ალფრედ დობლინი ბერლინი,
ალექსანდერპლაცი

ფრანც ბიბერკოპფის თავგადასავალი

გერმანულიდან თარგმნა დონარა (დოდო) თოფურიამ

ალფრედ დობლინი და მისი რომანი „ბერლინი, ალექსანდერპლაცი“

იმ სიამოვნებათა შორის, ადამიანებს ამქვეყნად რომ გვერგო, ინტელექტუალური სიამოვნება, ჩემი აზრით, ერთ-ერთი გამორჩეულია. ამ თვალსაზრისით შესაძლებლობანი, რომელსაც მხატვრული ლიტერატურა გვთავაზობს, მართლაც ამოუწურავი და შეუფასებელია. გემოვნებაზე, ცხადია, არ დაობენ, მაგრამ ნამდვილი, უმაღლესი დონის მწერლობა უპირობოდ იმსახურებს აღიარებას - მიუხედავად იმისა, თუ რა სტილის ან ჟანრის ლიტერატურა მოგწონთ. თუკი გიყვართ ლიტერატურა, იცით მისი ყადრი, დობლინის რომანი „ბერლინი, ალექსანდერპლაცი“ სწორედ თქვენთვის არის!

ეს არის წიგნი, რომელიც თან ეპიკურია, თან ფსიქოლოგიური (ცნობიერების ნაკადის დონეზე), თან ექსპრესიონისტულ-ავანგარდული, თან ნატურალისტურ-ქრონიკალური თუ დოკუმენტური

- ანუ პოლიფონიური, მრავალმხრივ-მრავალშრიანი... რომანის ეს ორგანული (და არა ეკლექტიკური) მრავალსახეობა ისეთ განუმეორებელ განცდას იწვევს, თითქოს ცხოვრების გაშიშვლებული ნერვების წნულს ეხები - უნებურად ჟრუანტელი გივლის, გაოცებანარევი პატივისცემის გრძნობა გეუფლება, გიკვირს და ფიქრობ: როგორ ახერხებს ავტორი ამ გმირებით, ამ მასალით შექმნას ესოდენ შთამბეჭდავი, დამაჯერებელი, ცოცხალი სურათი ცხოვრებისა?

გმირებად კი ავტორს შეგნებულად აურჩევია „ნაძირალები“ (იმ გაგებით, რომ საზოგადოების ძირზე არიან მოქცეული). მთავარ გმირს, უპროფესიო, გაუნათლებელ, მიამიტ ახალგაზრდა კაცს, ფრანც ბიბერკოპფს, საყვარელი შემოაკვდა, ციხეში იჯდა, გათავისუფლდა, ერთხანს გადაწყვიტა, პატიოსნად ეცხოვრა, მაგრამ არაფერი

გამოუვიდა, ბოროტმოქმედებს დაუმეგობრდა, მათ კი გაიმეტეს, მანქანიდან გადმოაგდეს, მისი მოკვლა უნდოდათ (არ გაგვცესო), ბეწვზე გადარჩა, სამაგიეროდ, მარჯვენა ხელი მოჰკვეთეს, მერე ისევ იგივე - წესიერი ცხოვრება სურს, მაგრამ არაფერი გამოსდის....ერთი სიტყვით, ფრანც ბიბერკოპფი და მისი მეგობრები თუ საყვარლები საკმაოდ პრიმიტიული, შეზღუდული, სულიერად ღატაკი ადამიანები არიან, მათი ურთიერთობები უმეტესწილად ვაჭრულ-გამოყენებითია, ცხოველური, სასტიკი და ვერაგი, თუმცა დროდადრო მათშიც იღვიძებს ადამიანობა - ენატრებათ ნამდვილი სიყვარული, წრფელი მეგობრობა, ოცნებობენ უკეთეს ცხოვრებაზე, თუმცაღა იმ რეალობაში, რომელშიც ცხოვრება უწევთ, მათ ოცნებას ახდენა არ უწერია. თითქოს ბნელ ლაბირინთში მოხვდნენო, - საშველი არ ჩანს... ეს, ერთი მხრივ, სავსებით ლოგიკურია, თუმცა კი ტრაგიკული - ღმერთს მოწყვეტილი, საკუთარი ვნებებით შეპყრობილი ადამიანი ცხოველური არსებობისთვისაა განწირული.

დობლინი აღწერს **20**-იანი წლების ბერლინს - ვაიმარის რესპუბლიკის ხანას, გერმანიის ცხოვრებაში მძიმე პერიოდს: პირველ მსოფლიო ომში დამარცხებას უიმედობა, გულგაცრუება, ეკონომიკური სიდუხჭირე (წიგნის კითხვისას ძალაუნებურად ჩვენი დუხჭირი ცხოვრება გახსენდება) მოჰყვა, რაც საზოგადოებაში რევანშისტულ განწყობას ასაზრდოებდა და რამაც საზარელი ნაყოფიც გამოიღო - ჰიტლერის დიქტატურა და მეორე მსოფლიო ომი.

რომანში მოცემული რეალობა ძალიან შორს არის რამდენადმე მოსაწონი თუ მისაღები ცხოვრებისაგან, მაგრამ დახატული სურათი ნამდვილია, არ არის ყალბი, გამოგონილი! წიგნში მორალიზატორობის მისხალსაც ვერ ნახავთ - ავტორი კი არ ამხელს, არამედ აღნუსხავს, გამოცდილი ექიმივით ადგენს დაავადებული საზოგადოების ავადმყოფობის სურათს, „ანამნეზს“. ეს შედარება შემთხვევით არ მიხმარია - ალფრედ დობლინი განათლებით მართლაც ექიმი იყო, ფსიქიატრი.

ახლა მის ბიოგრაფიაზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა.

ალფრედ დობლინი დაიბადა **1878** წელს შტეტინში (პომერანია, პრუსია). მამამისი ებრაელი იყო, წვრილი მეწარმე - სამკერვალო სახელოსნოს მფლობელი. საქმე არ წაუვიდა, გაკოტრდა და ოჯახიც მიატოვა. **1898** წელს ალფრედის დედა ხუთ შვილთან ერთად ბერლინში გადავიდა საცხოვრებლად. მომავალი მწერალი ბერლინისა და

ფრაიბურგის უნივერსიტეტებში ეუფლებოდა მედიცინას. თანაც წერდა. პირველი მსოფლიო ომის დროს სამხედრო ექიმი იყო ელზასში. მოგვიანებით ცხოვრობდა ბერლინში, ეწეოდა აქტიურ ჟურნალისტურ მოღვაწეობას. გახდა

გერმანელ მწერალთა ასოციაციის წევრი. ერთხანს გატაცებული იყო სოციალისტური იდეებით, კითხულობდა მარქსს, თუმცა შემდეგ ამ რევოლუციურ სწავლებას ზურგი შეაქცია - რადიკალიზმის გამო. **1933** წელს, როდესაც ჰიტლერმა და ნაცისტურმა პარტიამ ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს, დობლინი ცოლთან ერთად ჯერ შვეიცარიაში, მერე კი საფრანგეთში გადასახლდა, სადაც **1936** წელს მოქალაქეობა მიიღო, **1940** წელს კი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა, სადაც ჰოლივუდისთვის დაიწყო წერა, - ლოს-ანჯელესში დაიდო ბინა. **1941** წელს, მას შემდეგ, რაც მისმა ვაჟმა თავი მოიკლა, - ფრანგულ არმიაში მსახურობდა და თავი იმიტომ მოიკლა, ნაცისტებს ტყვედ რომ არ ჩავარდნოდა, - ალფრედ დობლინმა და მისმა მეუღლემ კათოლიციზმი მიიღეს.

ალფრედ დობლინი პოლიტემიგრანტებიდან ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც გერმანიაში **1945** წელს, ომის დამთავრებისთანავე დაბრუნდა. თანამშრომლობდა სხვადასხვა გაზეთთან, მუშაობდა რადიოსათვის. ფედერაციული გერმანიის ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად იყო განწყობილი (მის პოლიტიკაში რევანშისტულ ტენდენციებს ხედავდა), ამიტომ **1953** წელს საფრანგეთში გადასახლდა. გარდაიცვალა **1957** წელს პატარა ქალაქ ემენდინგენში. მწერლის გარდაცვალებიდან სამი თვეც არ გასულა, რომ მისმა ცოლმა თავი მოიკლა. ალფრედ დობლინიც და მისი მეუღლეც საფრანგეთში არიან დაკრძალული - ვაჟის გვერდით.

დასკვნის სახით ვიტყვი - და წრესაც შევკრავ - გსურთ ინტელექტუალური სიამოვნება მიიღოთ? გსურთ ახალ, უცხო და, იმავდროულად, პარადოქსულად ნაცნობ, თითქოსდა მშობლიურ რეალობაში ჩაყვინთოთ? წაიკითხეთ „თბილისი, ვაგზლის მოედ“..., უკაცრავად, „ბერლინი, ალექსანდერპლაცი“!

ირაკლი ლომოური

* * *

ამ წიგნში ყოფილი მეცემენტისა და მტვირთავის, ფრანც ბიბერკოპფის ბერლინში ცხოვრების ამბავია მოთხრობილი. ციხიდან, სადაც იგი ძველი ცოდვების გამო სასჯელს იხდიდა, ეს-ეს არის გამოვიდა. ახლა ისევ ბერლინში დგას და გადაწყვეტილი აქვს აწ და მარადის პატიოსნად და წესიერად იცხოვროს.

თავიდან ამას თითქოს ახერხებს კიდევაც. მაგრამ მერე, მიუხედავად იმისა, რომ ასე

თუ ისე მატერიალურად რიგიანად ცხოვრობს, მისდა უნებურად რაღაც უხილავ ძალასთან ორთაბრძოლაში ებმება. მისი ძალა იმ სამყაროდან მოდის, რომელშიც ფრანცი ცხოვრობს. ის მოუხელთებელია, ვერაგი და ბედისწერას ჩამოჰგავს.

ჰოდა, ეგ მოუხელთებელი ძალა თუ ბედისწერა ჩვენს გმირს სამ უძლიერეს დარტყმას აყენებს და მისი ცხოვრების გეგმას ამსხვრევს: პირველი - სიცრუისა და გამყიდველობის დარტყმით მიყენებული ტკივილისგან ფრანცი განიკურნება და ფეხზე ისევ მყარად დადგება; მეორით, ადამიანთა ვერაგობის დარტყმით გაოგნებულ-გაბრუებული კი ფეხზე ისეთივე გაჭირვებით წამოდგება, როგორითაც მოკრივე თვლაზე - ცხრა; ხოლო მესამე დარტყმა, რასაც საშინელი და ზღვარგადასული სისასტიკე ჰქვია, მას ნოკდაუნში ჩააგდებს.

და ჩვენი გმირი, რომელიც აქამდე მტკიცედ იდგა, უცებ მოტყდება, ბრძოლაზე უარს იტყვის. გამოსავალს ვერ ხედავს. ეტყობა, ეს დასასრულია. და სწორედ იმ დროს, როცა სიცოცხლესთან დამშვიდობების ჟამი ისე ახლოს იყო, რომ სიკვდილის სუნთქვას ლამის ხელშესახებად გრძნობდა, თვალი აეხილა. იმაზე, ეს როგორ მოხდა, ჯერჯერობით არაფერს გეტყვით. მას დაწვრილებით და გასაგებად განუმარტეს, თუ ვის მიუძღოდა ბრალი მის ყველა თავს დატეხილ უბედურებაში. ვის და თავად მას, აბა, სხვა ვის? მას და მისეული ცხოვრების ახალ გეგმას. ახლაღა მიხვდა, რომ გეგმა, რომელიც აქამდე უბრალო და ჩვეულებრივი ეგონა, თურმე თავდაჯერებულობის, უვიცობის, თავხედობის, სულმოკლეობის, სიმხდალის ნაზავი ყოფილა და არაფრად ვარგოდა.

ფრანც ბიბერკოპფის შემზარავმა ცხოვრებამ მოულოდნელად ახალი აზრი შეიძინა. მას იძულებითი მკურნალობა ჩაუტარდა... და წიგნის დასასრულს კაცს ისევ ალექსანდერპლაცზე ვხედავთ. დგას იქ ერთობ შეცვლილი, დრო-ჟამისგან გაცვეთილი, მაგრამ, სამაგიეროდ, იცის, სად არის მისი ადგილი.

ამ ამბის მოსმენა და შესმენა მათ წაადგებათ, ვინც ფრანც ბიბერკოპფივით ადამიანის ტყავში გახვეულები, მასავით ცხოვრობენ, მის გზას გადიან, კერძოდ, ვისაც პური არსობისა არ აკმაყოფილებთ და ამ ცხოვრებისგან უფრო მეტს მოითხოვენ, მაგალითად, ლორიან ბუტერბროდს.

წიგნი

პირველი

წიგნის დასაწყისში ფრანც ბიბერკოპფი ტოვებს ტეგელის ციხეს, სადაც იგი ადრინდელი თავქარიანი ცხოვრების გამო მოხვდა. თავდაპირველად ბერლინში ცხოვრება უჭირს, მაგრამ დროთა განმავლობაში ფეხზე მყარად დგება, რაც ძალიან ახარებს და ახლა ფიცს დებს, რომ პატიოსნად და წესიერად იცხოვრებს.

41 ნომრით ქალაქისკენ ჰერი, ჰერი!

იგი ტეგელის ციხის ალაყაფის კარის წინ დგას და თავისუფალია. ჯერ კიდევ გუშინ პატიმრის ქურთუკი ეცვა და ციხის ბოსტანში სხვებთან ერთად კარტოფილს თხრიდა, ახლა კი საზაფხულო ყვითელ ლაბადაშია გამოწყობილი, შიგნით დარჩენილები ისევ თხრიან, ფრანცი კი თავისუფალია. წითელ კედელს ზურგით არის მიყრდნობილი, ტრამვაის ტრამვაიზე უშვებს და არ მიდის. ალაყაფის კართან მდგარმა ზედამხედველმა რამდენჯერმე აუარ-ჩაუარა, მერე ჰკითხა, რომელ ნომერ ტრამვაის ელოდებიო. ამან წაუყრუა, მაინც არ მიდის. დადგა საზარელი წამი (საზარელი, ფრანც, რატომ საზარელი?). ოთხი წელი უკვე გავიდა. კარის შავი საგდულები, რომლებსაც ამ ბოლო წელიწადს განსაკუთრებული ზიზღით უყურებდა (ზიზღით, რატომ ზიზღით?), მის უკან ხმაურით დაიკეტა. იგი ისევ გარეთ გამოაგდეს. სხვები კი, კედელს მიღმა დარჩენილები, დურგლობენ, ლაქავენ, ახარისხებენ, აწებებენ, ვინ კიდევ ორი წელი უნდა იჯდეს, ვინ - ხუთი. ფრანცი კი ტრამვაის გაჩერებაზე დგას (პატიმრობა დამთავრდა, გეშინოდეს თავისუფლების! რატომ, ფრანც?).

სასჯელი იწყება.

სიცივისგან შეაჟრჟოლა. ნერწყვი გადაყლაპა. ფეხზე დაიბიჯა. მერე გამბედაობა მოიკრიბა და ტრამვაიში ავიდა. ადამიანებს შორის აღმოჩნდა. წავედით! თავიდან ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს კბილის ექიმთან იჯდა. ექიმი კი მაშით ფესვს ჩასჭიდებია და ექაჩება, ტკივილი მატულობს, თავი ლამის გაუსკდეს. თავი უკან მიატრიალა, წითელ კედელს გასცქერის, მაგრამ ტრამვაი ლიანდაგებზე გარბის და მასაც მიარბენინებს. თავი კი ეგრევე რჩება წითელი კედლისკენ მიტრიალებული. მერე ვაგონი უხვევს და მიტრიალებულ თავსა და წითელ კედელს შორის ხეები და სახლები

იკავებენ ადგილს. ახმაურებული ქუჩები, ზეეშტრასე, ადამიანები ამოდიან და ჩადიან. უცბად მასში შიში უხმოდ აყვირდა: „ყურადღება, ყურადღება, იწყება!“ ცხვირის წვერი გაუცივდა, ყურები უწივის: „ცვოლფ ურ მიტაგსცაიტუნგი“, „ბ. ც.“, „დი ნოისტე ილუსტრირტე“,

„დი ფუნკშტუნდე ნოი“. „კიდევ ვინმე ამოვიდა?“ „ბილეთები ყველას აქვს?“ შუპოებს[1] ახლა ლურჯი უნიფორმები აცვიათ. ყურადღებას არავინ აქცევს, ტრამვაიდან ჩამოდის. ბრბოში გაერევა. რა ხდება? არაფერი. თავი სულ დაკარგე, შე მართლა ღორო, იცოდე, სახეში მუშტი მოგხვდება. ეს რა ჭყლეტაა! ყველანი სადღაც გარბიან. თავი ცარიელი მაქვს, ასე მგონია, ტვინი გამილაყდა. აუ, აქ რას არ ნახავ! ფეხსაცმელების, ქუდების, ელექტროსაქონლის მაღაზიები, ლუდხანები, სასაუზმეები. როცა ადამიანები ამდენს დარბიან, ფეხსაცმელები აუცილებლად სჭირდებათ, იქ ფეხსაცმელების სახელოსნო ჩვენც გვქონდა, თუკი, რაღა თქმა უნდა, ეს გაინტერესებთ. ასობით განათებული ვიტრინა. გაუშვი, იბრწყინონ! მათი არ უნდა გეშინოდეს, ნებისმიერის ჩამტვრევა შეიძლება - დიდი ამბავი, მაგას რა უნდა. როზენტალერპლაცზე ქვაფენილი აყრილია და ფრანციც სხვებთან ერთად ფიცარნაგზე მიაბიჯებს. საკმარისია, ბიჭო, ხალხში გაერიო და ყველაფერი წესრიგშია, თვალებში აღარაფერი გეჩხირება. ვიტრინებში თავს იწონებენ მანეკენები: კოსტიუმებში, პალტოებში, ქვედაკაბებში გამოწყობილები, აბრეშუმის წინდებითა და ფეხსაცმელებით. გარეთ ყველა და ყველაფერი მოძრაობს, მაგრამ მათ უკან არაფერია. ეს ყველაფერი მოჩვენებითი და უსიცოცხლოა! აქვთ მხიარული სახეები, იცინიან, აშინგერის პირდაპირ, ტრამვაის გაჩერებაზე, წყვილ-წყვილად თუ სამ-სამად მდგარი ადამიანები სიგარეტს ეწევიან, გაზეთებს ფურცლავენ, - დგანან როგორც ქუჩის ფარნის ბოძები, გაშეშებულები... რა ადამიანები, რა სახლები, ერთნაირად თეთრები და ერთნაირად გაქვავებულები.

შიშმა შეიპყრო, როცა ქვემოთ, როზენტალერშტრასეზე მიმავალმა მომცრო ლუდხანის ფანჯარასთან მსხდომ ქალსა და მამაკაცს ჰკიდა თვალი: ლუდს ლიტრიანი ტოლჩებიდან პირდაპირ ხახაში ისხამდნენ. დიდი ამბავი! ადამიანები სვამენ, აქვთ ჩანგლები, მათ ხორცში არჭობენ და პირში იდებენ, მერე ჩანგლებს ისევ უკან იღებენ და არც ერთი წვეთი სისხლი. გული შეეკუმშა, სად წავიდე, ვისთან? და მაშინვე მოესმა: აი, სასჯელიც!

უკან დასაბრუნებელი გზა მოჭრილია! ტრამვაიმ ძალიან შორს წამოიყვანა და ახლა აქ არის. ციხიდან გამოუშვეს და დღეიდან მისი ადგილი ქალაქის ცენტრშია.

„ვიცი, - გაიფიქრა და ამოიოხრა, - რომ ჩემი ადგილი ახლა აქ არის. ისიც ვიცი, ციხიდან რომ გამომიშვეს. პატიმრობის ვადა გამივიდა და უფლება არ ჰქონდათ, არ გამოვეშვი. ყველაფერს

თავისი წესი აქვს. ბიუროკრატიც თავის მოვალეობას ასრულებს. და რაც წესია, იმას აკეთებს. მეც მივდივარ, ოღონდაც დამღალა ამ სიარულმა. ღმერთო ჩემო, აღარ შემიძლია“.

როზენტალერშტრასეზე უნივერსალურ მაღაზია „ტიცს“ ჩაუარა, მერე მარჯვნივ, ვიწრო სოფიენშტრასეზე გავიდა. მოეჩვენა, რომ ამ ქუჩაზე უფრო ბნელოდა და სადაც ბნელა, იქ ჯობს.

პატიმრები იზოლატორებში, ერთკაციან და საერთო საკნებში არიან გამოკეტილი. პატიმარი, რომელიც იზოლატორში ზის, ყველა სხვა პატიმრისგან დღისითაც და ღამითაც იზოლირებულია, ხოლო ერთკაციან საკნებში მსხდომნი სხვა პატიმრებს ეზოში სეირნობისას, მეცადინეობისა და ღვთისმსახურების დროს ხვდებიან. ვაგონები გრუხუნებენ და წკრიალებენ, სახლების ფასადები კი უსასრულოდ გარბიან. სახურავები სახლების თავზე თითქოს ჰაერში ლივლივებენ. ფრანცს მზერა ზემოთ გაურბის, შიშობს, სახურავები ქვემოთ არ ჩამოცურდნენ! მაგრამ სახლები მყარად დგანან, არ ქანაობენ. სად წავიდე, ვისთან მივიდე, მე უბედური! სახლების რიგს მიუყვება და ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს ეს რიგი არასოდეს დამთავრდება. საკუთარ თავს არწმუნებს: ეჰ, ყეყეჩო, ეს მართლაც უსასრულოდ ხომ არ გაგრძელდება. ხუთი წუთი, მაქსიმუმ ათი, მერე კი ერთ ჭიქა კონიაკს გადაკრავ და დაჯდები. პატიმრები მუშაობას ზარის დარეკვისას იწყებენ. მუშაობის შეწყვეტა მხოლოდ სადილის, გასეირნებისა და მეცადინეობისთვის მკაცრად განსაზღვრულ საათებშია ნებადართული. სეირნობის დროს პატიმრებმა გაჭიმული მკლავები წინ და უკან უნდა იქნიონ.

ეს სახლია. ტროტუარს მზერა მოსწყვიტა და ერთ-ერთი სახლის სადარბაზოს კარი შეაღო. მკერდიდან მწარე ოხვრა აღმოხდა: ოჰ, ოჰ! გაჩერდა, გულზე ხელები დაიკრიფა, ასე, ყმაწვილო, აქ თბილა და არ გაიყინები, ესეც საქმეა! ეზოს მხრიდან კარი გაიღო, ვიღაცა ფეხებს ძლივს მოათრევს, ნაბიჯების ხმა ფრანცის ზურგს უკან წყდება. ფრანცი ოხრავს და თავისი ხმა რომ ესმის, უხარია, ეს ნიშნავს, რომ აღსასრული ჯერ არ დამდგარა. საკნებში ასე ბევრი ოხრავდა, ვინ - დაპატიმრებისთანავე, ვინ მოგვიანებით, როცა გულს სევდა შემოაწვებოდა. ოხვრა მათ ამშვიდებდა, რაც უნდა იყოს, არის ოხვრაში რაღაც ადამიანური. ასე იდგა კაცი უცხო სადარბაზოში და ქუჩის

საშინელი ხმაური აქამდე არ აღწევდა, არც გადარეული სახლები იყო.

კრიჭაშეკრული იღრინება და ჯიბეებში ჩაწყობილი მუშტად შეკრული ხელებით თავს იმხნევებს. ყვითელი ლაბადის ქვეშ მხრები ისე აქვს აწეული, თითქოს დარტყმას ელოდა. ყოფილ პატიმარს გვერდით უცხო კაცი ამოუდგა, ახედ-დახედა და ჰკითხა:

- რა მოგივიდათ? ცუდად ხართ? რა გტკივათ?

ფრანცმა უცნობი შეამჩნია და ოხვრა მაშინვე შეწყვიტა.

ახალმოსული კი განაგრძობს:

- გული გერევათ, არა? ამ სახლში ცხოვრობთ?

კაცი ებრაელი იყო, გრძელი, წითური წვერით, ტანდაბალი, პალტო ეცვა, თავზე ფეტრის შლაპა ეხურა, ხელში კი ჯოხი ეკავა.

- არა, ამ სახლში არ ვცხოვრობ.

იძულებული გახდა, იქაურობა დაეტოვებინა. არადა, სადარბაზოში თავს ისე კარგად გრძნობდა. ქუჩა ისევ გაიწელა მასზე ჩარიგებული სახლების ფასადებით, ვიტრინებით, სწრაფად, მკვირცხლად მოსიარულე ფიგურებით შარვლებში, ღია ფერის წინდებში, თანაც მისი ფიქრები ყოველ წამს იცვლება, სულ ახალი და ახალი ჩნდება, - თვალსაც კი ვერ მიადევნებ. ფრანცმა ისევ რომელიღაც სახლის სადარბაზოში შესვლა დააპირა, მაგრამ თითქოს ჯიბრზე, იქ ალაყაფის კარი გააღეს და იქიდან სატვირთო მანქანამ იწყო გამოსვლა. აი, ამ მეზობელ სახლში შევალ, აქ სადარბაზო ისეთი ვიწროა, რომ ვერც ერთი მანქანა ვერ შემოვა და ვერ გავა. კიბეს მივეყუდები. კიბის მოაჯირის ბოძს მყარად ჩაებღაუჭა. ჩაებღაუჭა და მაშინვე მიხვდა, რომ სასჯელის თავიდან აცილება უნდოდა (ო, ფრანც, რის გაკეთებას აპირებ, ამას ვერ შეძლებ), არა, ამას აუცილებლად გააკეთებს, უკვე იცის, ხსნა რაშიც არის. და ისევ ხმადაბლა თავისი მუსიკა წამოიწყო, - ოხვრა და კვნესა, „ქუჩაში აღარ გავალ და მორჩა!“ სადარბაზოში წითური ებრაელიც შევიდა, მაგრამ მოაჯირთან მდგომი უცხო კაცი უცბად ვერ შეამჩნია. მერე მისი ოხვრა შემოესმა. ჰკითხა:

- აქ რას აკეთებთ, ცუდად ხართ?

ფრანცმა ბოძს ხელი გაუშვა, ეზოში გამავალი კარისაკენ წავიდა, ხოლო კარის სახელურს როგორც კი ხელი მოჰკიდა, იცნო ებრაელი, რომელიც ახლახან მეზობელ

სადარბაზოში შეხვდა.

- თავი დამანებეთ, რა გინდათ ჩემგან?

- არაფერი, არაფერი. ისე ოხრავთ და კვნესით, რომ ვიღაცამ ხომ უნდა გკითხოთ, როგორ

ბრძანდებით? რა, არ შეიძლება?

ოდნავ შეღებულ კარში ქუჩა შემოიჭრა: იგივე ძველი და უშნო სახლები, მოფუთფუთე ადამიანები, დაბრეცილი სახურავები. სასჯელმოხდილმა კარი ფართოდ გააღო, ეზოში გავარდა, ებრაელი ფეხდაფეხ მიჰყვა:

- აი, აი, რა მოხდა? თქვენ რომ გგონიათ, ყველაფერი არც ისე ცუდად არის. ნუ გეშინიათ, არ დაიკარგებით. ბერლინი დიდი ქალაქია, სადაც ათასობით ადამიანი ცხოვრობს, აქ ადგილი ერთი კაცისთვისაც მოიძებნება.

ეზო ბნელია და ჭასავით ღრმა. ფრანცი ნაგვის ყუთთან დგას. და მოულოდნელად ხმამაღლა ამღერდა. სიმღერა კედლებს მიეხეთქა. ქუდიც მოიხადა, როგორც მეარღნემ.

ხმები კედლებიდან ექოდ ბრუნდება. გენიალურია! საკუთარი ხმა მისივე ყურებში ჟღერს. მთელი ხმით მღერის, ასე ხმამაღლა სიმღერის უფლებას ციხეში არ მისცემდნენ. მაინც რას მღეროდა, უკან ექოდ რა სიმღერა უბრუნდებოდა? „ისმის ყიჟინა ჭექა-ქუხილის“... მღეროდა ჯარისკაცურად მხნედ, ძლიერად. და მერე: „იუვივალერალერა“, - ეს მისამღერი კი სხვა სიმღერიდან არის. მაგრამ არა უშავს, ამას ყურადღებას არავინ აქცევს. ალაყაფის კართან ებრაელი დახვდა:

- კარგად მღეროდით. ძალიან კარგად, ასეთი ხმით დიდი ფულის შოვნა შეიძლება.

ებრაელი ფრანცს უკან გაჰყვა, მერე ხელკავი გამოსდო, ენად გაიკრიფა და ასე ლაპარაკ-ლაპარაკით ქუჩაში წინ და წინ მიჰყავდა, გორმანშტრასეზეც ერთად გაუხვიეს: ებრაელმა და მხარბეჭიანმა, ახოვანმა მაკინტოშიანმა ახალგაზრდამ, რომელსაც პირი ისე ჰქონდა მოკუმული, თითქოს აი, ახლა ნაღველი უნდა ამოარწყიოსო.

გონს ჯერ კიდევ ვერ მოსულა

ებრაელმა ოთახში შეიყვანა, იქ რკინის ღუმელი ენთო. დივანზე დასვა:

- აი, უკვე მოვედით. დაბრძანდით. მშვიდად დაისვენეთ. შეგიძლიათ შლაპა მოიხადოთ, ან არ მოიხადოთ, როგორც გნებავთ. გავალ, სულ ერთი წუთით. მინდა ერთი ვინმე მოგიყვანოთ. ვიცი, ის კაცი ძალიან მოგეწონებათ. მე აქ არ ვცხოვრობ, აქ მხოლოდ სტუმარი ვარ, ისევე, როგორც თქვენ. და როგორც ხდება ხოლმე, თუ სახლში

სითბოა, მაშინ ერთ სტუმარს მეორე მოჰყავს.

ნაცხარი ოთახში მარტო დარჩა. „ისმის ყიჟინა ჭექა-ქუხილის, ხმლების ჭახუნის, აზვირთებულ ტალღათა ღმუილი“... როგორ იყო? - ტრამვაიში იჯდა, ფანჯარაში იყურებოდა და ცხის წითელი კედლები ხეებს შორის მოჩანდა, ფერადი ფოთლების წვიმა მოდიოდა. წითელი კედლები სულ და მარად თვალწინ უდგას, ახლაც, დივანზე რომ ზის, თვალს ვერ აშორებს. ამ კედლებში ცხოვრება დიდი ბედნიერებაა, ის მაინც იცი, დღე როგორ დაიწყება და როგორ ჩაივლის (ფრანც, დამალობანას თამაშს მორჩი! ისედაც ოთხი წელიწადი იმალებოდი, განა საკმარისი არ არის? ძალა მოიკრიბე, თავი ასწიე, ირგვლივ მიმოიხედე, სიკვდილამდე ხომ ვერ დაიმალები). ყველაფერი: სიმღერა, სტვენა, ხმაური აკრძალულია: დილით, ადგომის სიგნალზე მაშინვე უნდა წამოხტნენ, საწოლი გაასწორონ, დაიბანონ, დაივარცხნონ, სამოსი გაიწმინდონ და ჩაიცვან. საპონი ხელმომჭირნედ უნდა იხმარონ. ბუმ, ჩამოჰკრავს ზარი, ხუთ საათსა და ოცდაათ წუთზე - ადგომა, ბუმ, ექვს საათსა და ოცდაათ წუთზე - საკნებს აღებენ, ბუმ, ბუმ - დილის შემოწმება - ამოკითხვა! ბუმ - დილის საუზმე; მერე სამუშაო, შესვენება, ბუმ, ბუმ, ბუმ - სადილი. შენ კი, ბიჭო, ცხვირს მაღლა ნუ სწევ: ჩვენი პურით მუცელს ვერ ამოიყორავ! მომღერლები - ერთი ნაბიჯით წინ! ხუთ საათსა და ორმოც წუთზე გუნდის მეცადინეობაზე გამოცხადდებით. გავბედავ და მოგახსენებთ, დღეს ვერ ვიმღერებ, ხმა ჩამეხლიჩა. ექვს საათზე საკნები იკეტება, ძილი ნებისა! კიდევ ერთი დღე გავიდა. დიახ, ამ კედლებში ცხოვრება მართლაც დიდი ბედნიერებაა. მე საზიზღრად მექცეოდნენ, როგორც ნამდვილ მკვლელს. მაგრამ მკვლელობა, ღმერთია მოწმე, წინასწარგანზრახული არ ყოფილა, მხოლოდ სხეულის დაზიანებით გამოწვეული სიკვდილი იყო. ეს უკანასკნელი არც ისე დიდი საშინელებაა. არადა, ნამდვილ არამზადად გამომაცხადეს. ამბობენ, შეძახილით ხე გახმაო. და ხომ შეიძლებოდა, მართლაც ბანდიტი გავმხდარიყავი.

მაღალი, გრძელთმიანი, ხანში შესული ებრაელი კეფაზე დასკუპებული არახჩინით კარგა ხანია ფრანცის პირდაპირ იჯდა. ოდესღაც ქალაქ სუზში ცხოვრობდა კაცი, სახელად მარდოქე, იგი ზრდიდა ესთერს, თავისი ბიძის ქალიშვილს, გოგონას პირმშვენიერსა და ტანკენარს. მოხუცმა ფრანცს თვალი მოაშორა და თავი წითურისკენ მიატრიალა:

- ეგ კაცი სად ჯანდაბაში იპოვეთ?

- აბა, რა გითხრა, სახლიდან სახლში დარბოდა. ერთ ეზოში კი დადგა და ამღერდა.

- ამღერდა?

- ჰო, ჯარისკაცურ სიმღერებს მღეროდა.

- ეტყობა, შესცივდა.

- ალბათ.

მოხუცი ფრანცს ათვალიერებს.

აღდგომის პირველ დილას მიცვალებულს მხოლოდ ურჯულოები ასაფლავებენ, ისრაელის შვილები კი მხოლოდ აღდგომის მეორე დღეს. ასეა ახალი წლის დღეებშიც. და ვის მიაწერენ რაბანანის[2] მოძღვრების ამ სიტყვებს: „ვინცა იგემოს მკვდარი, მაგრამ სუფთა ფრინველის ხორცი, არ შეიბილწოს, მაგრამ შეიბილწოს ის, ვინც მისი ღვიძლი ან ჩიჩახვი იგემოს“?

მოხუცი ებრაელი ყვითელი ხელით შეეხო ფრანცის ხელს, რომელიც მას მუხლებზე ედო.

- არ გინდათ პალტო გაიხადოთ? აქ ცხელა. მოხუცებს სულ გვცივა, თქვენ კი, ალბათ, დაგცხათ.

ნაცხარი დივანზე ზის, თავის ხელს ალმაცერად დასცქერის. ასეა, ქუჩებში დაეხეტებოდა, ეზო- ეზო დადიოდა, ხომ უნდა ენახა, ამქვეყნად რა ხდებოდა. ადგომა და აქედან წასვლა უნდა. ბნელ ოთახში მზერით კარს ეძებს, მაგრამ მოხუცმა ისევ დივანზე დასვა.

- დარჩით, დარჩით, ასე სად გეჩქარებათ?

არადა, ფრანცს წასვლა უნდა. მოხუცს მისი ხელი უკავია და უჭერს და უჭერს მთელი ძალით.

- გინდათ გავიგოთ, ჩვენ შორის ვინ უფრო ძლიერია, თქვენ თუ მე? რადგანაც გეუბნებით, დარჩებით, გინდათ ეს თუ არა.

მეორე მოხუცი აყვირდა:

- მოისმენთ, რასაც გეტყვით, ღლაპო, თავი ხელში აიყვანეთ, ცოდვილო!

ახლა წითურს მიუბრუნდა, რომელიც ამ დროს ფრანცს მხრებზე ებღაუჭებოდა:

- წაეთრიეთ, აქედან წადით, აქ მე არ მომიწვევიხართ, მაგას კი თავად მოვუვლი.

ამ ადამიანებს მისგან რა უნდათ? წასვლა უნდა, ადგომას ცდილობს, მაგრამ მოხუცი მხრებზე აწვება და ადგომის საშუალებას არ აძლევს. ამჯერად ფრანცი ყვირის:

- რა გინდათ ჩემგან?

- იყვირეთ, იჩხუბეთ, ეს დაგამშვიდებთ.

- გამიშვით, აქედან წასვლა მინდა.

- ალბათ, იმიტომ, რომ ისევ ქუჩებსა და ეზოებში იხეტიალოთ?

აქ კი მოხუცს მოთმინებამ უმტყუნა. სკამიდან ადგა, ოთახში წინ და უკან ხმაურით გაიარ- გამოიარა და თქვა:

- თავი დაანებეთ, იყვიროს, რამდენიც უნდა. რაც უნდა, ის ქნას და გააკეთოს, მაგრამ არა ჩემთან. კარი ფართოდ გააღეთ და გაუშვით.

- ეგ რას ნიშნავს, რა, თქვენს ოჯახში არასოდეს ყვირიან?

- არ მოიყვანოთ ჩემს სახლში ადამიანები, რომლებიც ხმაურს ტეხენ. ჩემს ქალიშვილს შვილები ავად ჰყავს, უკანა ოთახში წვანან, ასე რომ, საკუთარი ხმაურიც მყოფნის.

- აი, აი, რა უბედურებაა, მე კი არაფერი ვიცოდი, მაპატიეთ, თუ შეგიძლიათ, - და წითურმა ფრანცს მკლავში ხელი წაავლო.

- წავედით, რაბის თავისი საზრუნავი ყელამდე აქვს. შვილიშვილები ავად ჰყავს. წავედით. მაგრამ ამჯერად ადგომა ფრანცმა გადაიფიქრა.

- წავედით.

ფრანცი იძულებული იყო, ამდგარიყო.

- ნუ მიმათრევთ, წასვლა არ მინდა, - ჩურჩულით უთხრა წითურს, - წასვლა არ მინდა, აქ დარჩენა მინდა.

- მაგრამ ხომ გაიგონეთ, სახლში ავადმყოფები ჰყავთ.

- არა, თუ შეიძლება, თავი დამანებეთ. აქ ყოფნა მინდა.

მოხუცი კაცს, რომელიც აქ დარჩენას მოითხოვს, ანთებული თვალებით ათვალიერებს.

„და თქვა იერემიამ: განვკურნავთ ბაბილონს. მაგრამ მისი განკურნვა შეუძლებელია. დატოვეთ ეს ქალაქი და თითოეული ჩვენგანი თავის ქვეყანაში დაბრუნდეს. დაე, მახვილმა მხოლოდ ქალდეელები, ბაბილონის მცხოვრებნი განგმიროს“.

- კარგი, თუ ჩუმად იქნება, მაშინ დარჩეს, თქვენც დარჩით. მაგრამ თუ იხმაურებს, კეთილი ინებოს და წავიდეს.

- კარგი, კარგი, არ ვიხმაურებთ. მაგასთან მე ვიქნები და შეგიძლიათ ჩემი იმედი გქონდეთ. მოხუცი ოთახიდან უსიტყვოდ გაფლატუნდა.

ნაციხარს ცანოვიჩის ჭკუის სასწავლებელ ამბავს უყვებიან

და აი, ყოფილი პატიმარი, რომელსაც ყვითელი ლაბადა აცვია, ისევ დივანზე ზის. წითური კი თავის ქნევითა და ოხვრით ბოლთას სცემს:

- მოხუცზე არ გაბრაზდეთ, ასე უხეშად რომ მოგექცათ. თქვენ ჩამოსული ხართ?

- დიახ, მე ვარ, ვიყავი...

„წითელი კედლები, ლამაზი კედლები, საკნები, ამ კედლებს ახლაც ხედავს და ენატრება, ზურგით ამ კედლებს ეწებება, ისინი ერთმა ჭკვიანმა ადამიანმა ააშენა და მას ამ კედლების დატოვება არ შეუძლია“. და მოულოდნელად კაცი დივნიდან ნოხზე თოჯინასავით ჩამოსრიალდება და დაცემის დროს მაგიდას ადგილიდან დაძრავს, ოდნავ წინ გასწევს.

- რა მოხდა! - ყვირის წითური. ფრანცი ნოხზე იკლაკნება, შლაპა ხელიდან გაუვარდება და იატაკზე გაგორდება. უცებ თავს იატაკზე დაარჭობს და აქეთ-იქით ისე აქანავებს, თითქოს მისი გაბურღვა უნდა, თან მოთქვამს:

- მინდა მიწა გამისკდეს და შიგ ჩავიმარხო, რაც შეიძლება ღრმად,

ქვესკნელში. წითური იატაკზე დაგდებულს ექაჩება.

- ღვთის გულისათვის, რას აკეთებთ, თქვენ სხვის სახლში ხართ... მოხუცი რას იტყვის?

ადექით,

გესმით?

იგი კი არ ემორჩილება, ნოხს ებღაუჭება და კვნესის.

- დამშვიდდით, ღვთის გულისათვის, მოხუცი გაიგებს და იცით, რა მოხდება, გაგვყრის. ჩვენ კი ერთმანეთში როგორმე მოვრიგდებით.

- აქედან ვერავინ ამაყენებს!.. - თქვა და ნოხში ჩაეფლო, როგორც თხუნელა მიწაში.

როცა წითური დარწმუნდა, რომ ფრანცს ნოხს ვერ ააგლეჯდა, კიკინები გაისწორა, კარი დაკეტა და გვერდით თამამად მიუჯდა. ხელები მუხლებზე შემოიჭდო, მაგიდის ფეხებს მიაშტერდა და თქვა:

- კეთილი, იჯექით, თუკი მოგწონთ. მეც მოგიჯდებით. ეს ერთობ უხერხულია, მაგრამ რატომაც არა. და თუ თქვენ არ მეტყვით, რა დაგემართათ, მაშინ რაიმეს მე გიამბობთ.

ნაცხარი ოხრავს, კვნესის, თავი ნოხზე უდევს (მაგრამ რატომ ოხრავს და კვნესის? იმიტომ, რომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, ერთ-ერთ გზას უნდა დაადგეს, მაგრამ არ იცის, რომელს. ასეა, ფრანც, არა? აღიარე! ძველი სისულელეების გამეორება არ გინდა და საკანშიც მხოლოდ კვნესოდი, საკუთარ თავს ემალებოდი, არაფერზე ფიქრობდი, არადა, უნდა გეფიქრა, ბიბერკოპფ!). წითური გაბრაზებული ლაპარაკობს:

- არ შეიძლება საკუთარ თავზე ამხელა წარმოდგენა გქონდეს. ხანდახან ყური სხვებსაც უნდა დაუგდო. ვინ გითხრათ, რომ თქვენი საქმე ასე ცუდად არის? ღმერთი თავის წყალობას არავის მოაკლებს, და ამქვეყნად თქვენ გარდა სხვა ადამიანებიც არსებობენ. ის მაინც არ წაგიკითხავთ, დიდი წარღვნის დროს ნოემ თავის კიდობანში ვინ ჩასვა? ყველა ცოცხალი ქმნილება წყვილად -

დედალ-მამალი. ღმერთმა თავში მოფუთფუთე ტილიც კი არ დაივიწყა! ღმერთს ყველა უყვარს და ყველა ქმნილება მისთვის ძვირფასია.

ფრანცი კი საწყალობლად წკმუტუნებს (წკმუტუნი უფასოა, წკმუტუნი ავადმყოფ ძაღლსაც შეუძლია).

წითური ნაციხარს კვნესაში ხელს არ უშლის, ზის და ლოყებს იფხანს:

- ამ დედამიწაზე ბევრი რამ ისეთი ხდება და მომხდარა, რისი მოყოლაც ღირს მოხუცისთვისაც და ახალგაზრდისთვისაც. და მე გიამბობთ, ნუ ცახცახებთ, შტეფან ცანოვიჩის თავგადასავალს. თქვენ ეს ამბავი, ალბათ, არ გსმენიათ. და მაშინ, როცა ოდნავ უკეთესად გახდებით, თავი ასწიეთ. იცით, ჩაქინდრულ თავში სისხლი გასხამთ, ეს კი ჯანმრთელობისთვის მავნებელია. ჩემი აწ გარდაცვლილი სულკურთხეული მამა ბევრ საინტერესო ამბავს გვიყვებოდა. იგი, ისევე როგორც ყველა ჭეშმარიტი ებრაელი, ბევრს მოგზაურობდა. თითქმის მთელი მსოფლიო შემოვლილი ჰქონდა. დედაჩემის სიკვდილის შემდეგ კარგა ხანს იცოცხლა. სამოცდაათი წლისამ დატოვა ეს ქვეყანა. ბევრი რამ იცოდა, ბრძენი კაცი იყო. დიახ, შვიდი მშიერი ვთხოვდით საჭმელს და როცა მუცლის ამოსაყორი არაფერი გვქონდა, მაშინ სხვადასხვა ამბავს გვიამბობდა, მართალია, საინტერესო ამბები ვერ დაგაპურებს, მაგრამ შიმშილს კი გავიწყებს.

იატაკზე კი კვნესა არ წყდება (კვნესა ავადმყოფ აქლემსაც შეუძლია).

- ერთი სიტყვით, ვიცით, რომ ამ ქვეყანაზე მხოლოდ ოქრო, სილამაზე და ბედნიერება არ არსებობს. მაინც ვინ იყო ეგ ცანოვიჩი, ვინ იყო მისი მამა, ვინ იყვნენ მისი მშობლები? ისეთივე მდაბიონი და ღარიბ-ღატაკნი, როგორიც ბევრი ჩვენგანი, თუ ვაჭრები, მედუქნეები, მაკლერები? მოხუცი ცანოვიჩი ალბანელი იყო, მერე ვენეციაში გაემგზავრა და იქ დასახლდა. რატომ? მან კარგად იცოდა რატომაც! ერთნი საცხოვრებლად ქალაქიდან სოფელში გადადიან, მეორენი, პირიქით, სოფლიდან ქალაქში. სოფელში სიმშვიდეა, სიწყნარე, სოფლელები ამისა თუ იმის ყიდვას არ ჩქარობენ, შვიდჯერ ზომავენ და ან ჭრიან, ან არა, ან ყიდულობენ, ან არა. და საათობით ლაპარაკის შემდეგ თუ გაგიმართლათ, იქნებ ორიოდე პფენიგი იშოვოთ. ქალაქშიც ძნელია, მაგრამ აქ ხალხი ბევრია და დროც არავის აქვს. ერთი არ იყიდის, მეორე

იყიდის. ისინი ხარებით კი არ დადიან, არამედ ეტლებში შებმული ცხენებით. და ამ ეტლების კოფოზე მეეტლეები სხედან. ადამიანები აგებენ და იგებენ. ეს მამილო ცანოვიჩმა კარგად იცოდა. ჯერ იყო და, რაც კი ებადა, ყველაფერი გაყიდა, მერე ბანქო აიღო და თამაში გაახურა. პატიოსანი ნამდვილად არ ეთქმოდა და ბანქოს თამაში საქმედ გაიხადა. ის, რომ ქალაქელებს დრო არასოდეს აქვთ, არადა, გართობა უნდათ, კარგად გამოიყენა. ცანოვიჩი საჭირო დროს გართობის მსურველებთან ჩნდებოდა და მათ ართობდა. მაგრამ მოხდა ისე, რომ ხათაბალაში გაება. დიახ, მოხუცი ცანოვიჩი თაღლითი და შულერი იყო, მაგრამ თავი ნამდვილად ჰქონდა ისეთი, რომ ყველამ ინატროს: გლეხებთან ფრთები ფართოდ ვერ გაშალა, ქალაქში კი მისი საქმეები კარგად მიდიოდა მანამდე, ვიდრე ვიღაცას არ მოეჩვენა, რომ ფულს ცინცლავდა. ამაზე მოხუც ცანოვიჩს კი ნამდვილად არ უფიქრია. ატყდა შეხლა-შემოხლა, პოლიცია მოიყვანეს და ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ცანოვიჩი შვილებიანად უკანმოუხედავად და სასწრაფოდ გაიქცა. სასამართლოში უჩივლეს, მაგრამ ცანოვიჩი მიხვდა, რომ მართლმსაჯულებასთან ლაპარაკი ზედმეტი იყო, მას ვერ გაუგებდა. ასე რომ, სასამართლომ დანიშნულ დროს მისი პოვნაც კი ვერ შეძლო, არათუ გასამართლება. მას უკვე ჰყავდა ცხენები და ჰქონდა ფული, ამიტომ ისევ ალბანეთში დაბრუნდა: იყიდა მამული, მთელი სოფელი, და შვილები განათლების მისაღებად უმაღლეს სასწავლებლებში გაგზავნა. ხოლო, როცა ძალიან დაბერდა, სული მშვიდად და პატივისმცემლებით გარშემორტყმულმა განუტევა. აი, როგორ იცხოვრა უფროსმა ცანოვიჩმა. გლეხები მოხუცს დასტიროდნენ, მაგრამ მიცვალებულს ისინი არ უყვარდა, წარსულს აგონებდნენ, იმ დროს, როცა მის საწვრილმანოში - სამშვენისებში, ბეჭდებში, სამაჯურებში, მარჯნის ყელსაბამებში - საათობით იქექებოდნენ, ბინძურ ხელებში ატრიალებდნენ და ბოლოს ხელცარიელი მიდიოდნენ, არაფერს ყიდულობდნენ.

და იცით, როცა მამა ბალახის ღეროა, უნდა, შვილი ტანად, ძლიერ ხედ იქცეს. და თუ მამა ქვა არის, უნდა, რომ მისი ვაჟიშვილი კლდე იყოს. მოხუცმა ცანოვიჩმა თავის ვაჟებს უთხრა: აქ, ალბანეთში, ოცი წელი ვვაჭრობდი და ვერაფერი მოვინაგრე. და იცით, რატომ? არ ვიცოდი, კისერზე რომ მება, იმ თავის ადგილი სად იყო! ამიტომაც გაგზავნით პადუაში, დიდ და მთავარ სკოლაში სასწავლებლად, წაიყვანეთ ცხენები და ეტლები. სწავლის გასრულების შემდეგ კი გამიხსენეთ მე, მამათქვენი, ვინც

დედათქვენთან ერთად თქვენზე ზრუნავდა და თქვენთან ერთად ღამეებს ველური მხეცივით ტყეში ათევდა. ამაში დამნაშავე თავად ვიყავი. გლეხებმა გამომფიტეს, უნაყოფო მიწად მაქციეს და სულ მთლად დავიკარგებოდი, ხალხში რომ არ გავსულიყავი, იქ დაღუპვას გადავრჩი, სიცოცხლის ძალა შევიძინე.

წითური თავისთვის იცინოდა, თავს აქნევდა, მთელი სხეულით ირწეოდა. ისინი ისევ იატაკზე, ნოხზე ისხდნენ.

- აქ რომ ვინმე შემოვიდეს, გიჟები ვეგონებით. აგერ, დივანი დგას, ესენი კი იატაკზე სხედანო, იფიქრებს. თუმცაღა, რატომაც არა, თუკი ადამიანებს ასე უნდათ. ჰოდა, ახალგაზრდა შტეფან ცანოვიჩი ოცი წლისა უკვე დიდი ორატორი იყო, მჭევრმეტყველებით გამორჩეული. შეეძლო მიდგომ-მოდგომა იქითაც და აქეთაც, ყველასთვის თავის მოწონება, - ქალებთან თავაზიანი და ალერსიანი იყო, მამაკაცებთან - ფეხის ამწყობი. ერთი სიტყვით, საზოგადოების სული და გული. პადუაში თავად-აზნაურები პროფესორებისგან სწავლობდნენ, შტეფანი კი თავადაზნაურობისგან სწავლობდა. ყველას უყვარდა. და როცა ალბანეთში ჩავიდა, მამამისი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მოხუცს მისი ნახვა ძალიან გაუხარდა, ამაყობდა თავისი საყვარელი ნაშიერით და ამბობდა:

„შეხედეთ ამ ახალგაზრდას, ეს გზას ყველგან გაიკვლევს და ჩემსავით ოც წელს გლეხებთან ვაჭრობაში არ დაკარგავს, შვილმა მამას ოცი წლით გაუსწრო“. ჭაბუკმა კი აბრეშუმის სახელოები აიკაპიწა, რბილი, ლამაზი კულულები შუბლიდან გადაიყარა, ბედნიერ მოხუც მამას ეამბორა და უთხრა: „მამაჩემო, ეგ მძიმე ოცი წელიწადი ხომ თქვენ აგვაშორეთ“. „დაე, ეს წლები შენს ცხოვრებაში საუკეთესო იყოს!“ - ბუტბუტებდა მოხუცი, თავის ბიჭს ეფერებოდა და მისი ცქერით ტკბებოდა.

და მართლაც, ახალგაზრდა ცანოვიჩის ცხოვრება ზღაპარს დაემსგავსა. და მაინც, ეს ზღაპარი ნამდვილად არ ყოფილა. ადამიანებს ანდამატივით იზიდავდა, ყველას გულის გასაღებს ადვილად პოულობდა.

ერთხელაც მონტენეგროში გაემგზავრა, კარეტით, ცხენებითა და მსახურების თანხლებით! არც მეტი, არც ნაკლები, როგორც ნამდვილი კავალერი. ამ დიდებულების მხილველი ხარობდა მამის თვალი და გული, მამა - ბალახის ღერო, ვაჟი კი - ტანადი, ძლიერი ხე. მონტენეგროში იგი გრაფად და თავადად მიიღეს. მას, ალბათ, არც დაუჯერებდნენ, რომ ეთქვა: „მამაჩემი გვარად ცანოვიჩია, სოფელ პასტროვიცაში ცხოვრობს და ამით ძალიან ამაყობს!“ დიახ, არავინ დაუჯერებდა, იმდენად ჰგავდა პადუელ დიდგვაროვანს, და ყველა იქაურ დიდგვაროვანს იცნობდა. ამიტომ საზოგადოებას იმედი არ გაუცრუა, აღსრულდეს ნება თქვენიო, თქვა და თავი პოლონელ მდიდარ შლიახტიჩად გამოაცხადა, ბარონი ვარტა დაირქვა. და ორივე მხარე: ახალგაზრდა ცანოვიჩიც და საზოგადოებაც კმაყოფილი დარჩნენ.

ნაციხარი, რომელიც აქამდე ნოხზე იწვა, მოულოდნელად მკვეთრი მოძრაობით წამოიწია, მუხლებზე დადგა და მთხრობელს ზემოდან ქვემოთ გამომცდელად დახედა. მერე კი ცივად გამოცრა: „მაიმუნი“. წითური აგდებულად გამოელაპარაკა:

- თუ ეგრე გინდა, მაიმუნი ვიქნები. მაშინ გამოდის, მაიმუნმა ზოგიერთ ადამიანზე მეტი იცის.

მერე ფრანცი უჩინარმა ხელმა ისევ ნოხს გააკრა (უნდა მოინანიო. გახსოვდეს, რა მოხდა; გახსოვდეს, მომავალში როგორ უნდა იცხოვრო).

- ასე, ხომ შეიძლება ლაპარაკი განვაგრძო? არსებობენ სამაგალითო ადამიანები, თანაც უხვად, ისინი, ვისაც უნდა მივბაძოთ და მათგან ბევრი რამ ვისწავლოთ. ახალგაზრდა ცანოვიჩი ამ გზას რომ დაადგა, არ გადაუხვევია, და ამ გზაზე სიარულს ისევ აგრძელებდა. ამ მართლაც საინტერესო ადამიანს ვერც მე და ვერც მამაჩემი ვერ მოვესწარით. მაგრამ ადვილად შეიძლება ადამიანმა წარმოიდგინოს, თუ როგორი იყო. და აი, ახლა გეკითხებით თქვენ, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ მაიმუნი მიწოდეთ - სხვათა შორის, ამ დედამიწაზე არსებული არც ერთი ღმერთის მიერ შექმნილი ცხოველი არ უნდა გეზიზღებოდეს, ისინი ხომ თავიანთ ხორცს გვაძლევენ, სხვა ბევრ სიკეთესაც გვიკეთებენ. ამის კარგი მაგალითია ცხენი ან ძაღლი, ფრინველები, რომლებიც გალობით გვატკბობენ. რაც შეეხება მაიმუნებს, ისინი საზოგადოებას ჯაჭვებით დაბმულები ართობენ. ხედავს ღმერთი, რომ ასეთი მძიმე ხვედრი არც ერთ ადამიანს არ რგებია წილად, ჰოდა, ახლა მინდა გკითხოთ, არც კი ვიცი, როგორ მოგმართოთ, რადგან ჩემთვის თქვენი სახელი არ გითქვამთ: მითხარით ერთი, ცანოვიჩებმა, უფროსმაც და ახალგაზრდამაც, ასე მაღლა აფრენა როგორ მოახერხეს? არ მითხრათ, რომ გონება უჭრიდათ და ძალიან ჭკვიანები იყვნენ. ჭკვიანები ამქვეყნად სხვებიც არიან, მაგრამ იმის ნახევარსაც კი, რასაც შტეფანმა ოცი წლის ასაკში მიაღწია, სიბერეშიაც ვერ აღწევენ. არა, ადამიანში მთავარი თვალები და ფეხებია! სამყაროს დანახვა და მასთან მისვლა უნდა შეგეძლოს.

მაშ, მომისმინეთ, რა ქნა შტეფან ცანოვიჩმა, რომელიც ადამიანებს კარგად ხედავდა და იცოდა, რომ მათი შიში არ უნდა ჰქონოდა. ისინი ხომ მისკენ თავად ილტვოდნენ. აქ სწორი გზის პოვნა ბრმასაც კი არ გაუჭირდებოდა. და რა უნდოდათ ადამიანებს მისგან? „შენ ბარონი ვარტა ხარ!“ - ეუბნებოდნენ ისინი ჭაბუკს. „იყოს ნება თქვენი,

თუ გინდათ, ბარონი ვარტა ვიყო, ვიქნები!“ მოგვიანებით შტეფანს ბარონობაც ეცოტავა, ან იქნებ ადამიანებს? აბა, რა ვიცი. თუკი შეიძლება ბარონი იყოს, რატომ არ შეიძლება, ვინმე უფრო დიდი გახდეს? მაგალითად, დიდი თავადი! ცხოვრობდა ერთ დროს ალბანეთში სკანდერბეგი, ალბანეთის განმათავისუფლებელი და სახალხო გმირი, რომელიც დიდი ხნის წინ გარდაიცვალა, მაგრამ მისი დიდების შარავანდედი ჯერაც არ იყო

გაფერმკრთალებული და ერი მას ისეთ პატივს მიაგებდა, როგორიც ნამდვილ გმირს ეკადრება. ცანოვიჩი, ალბათ, სკანდერბეგობას დაიჩემებდა, მაგრამ, ვინაიდან იგი გარდაცვლილი იყო, შტეფანმა თავი სკანდერბეგის შთამომავლად გამოაცხადა, გაიბღინძა, პრინცი კასტრიოტა[3] ალბანელი დაირქვა და ლეგენდაც შეთხზა: ალბანეთისთვის ოდინდელი დიდების დაბრუნებას ვაპირებ და ჩემი თანამოაზრენი ხმლებს მაშინვე იშიშვლებენ, როგორც კი სამშობლოში დავბრუნდებიო. ახალგაზრდა ცანოვიჩს ბევრი ფული მისცეს, რომ ისე ეცხოვრა, როგორც პრინცს ეკადრებოდა. ასეთი ამბები ადამიანებს ხომ სიამოვნებას ანიჭებს. მეტიც, სიამოვნების მისაღებად საღამოობით თეატრში მიდიან, გამოგონილ ამბებს ისმენენ და ამაში ფულს იხდიან. მაშ, რატომ არ უნდა გადაიხადონ ფული ასეთივე სპექტაკლში, რომელიც დღისით-მზისით მათ თვალწინ თამაშდება და თანაც მასში მთავარს არა, მაგრამ მეორეხარისხოვან როლებს თავადაც თამაშობენ.

და ყვითელლაბადიანი მამაკაცი იატაკიდან ისევ წამოიწია. სახე ნაღვლიანი აქვს, წითურს ზემოდან ქვემოთ დააცქერდება, ჩაახველებს და შეცვლილი ხმით ეკითხება:

- კეთილი ინებეთ და ერთი მითხარით,თქვენ რა, მთვარიდან ჩამოვარდით თუ ცოტა მოისულელებთ?

- მთვარიდან ჩამოვვარდი, ალბათ. წეღან მაიმუნი მიწოდეთ, ახლა კი მეუბნებით, სულელი ხარო.

- არა, მითხარით, რას ზიხართ აქ და რაღაც სისულელეებს მიყვებით?

- და ვინ ზის იატაკზე და ადგომა არ უნდა? იქნებ მე? დივანი კი ჩვენ უკან ცარიელი დგას? კეთილი, ჩემი ლაპარაკით თუ გაწუხებთ, მაშინ გავჩუმდები.

ფრანცმა ოთახი შეათვალიერა, მერე ფეხები გაჭიმა, ზურგით დივანს მიეყრდნო, ხელები კი ნოხს დააბჯინა.

- ახლა თქვენ უფრო მოხერხებულად ზიხართ, - უთხრა წითურმა.

- კარგი, ყბედობას მორჩით. ყურები გამიხვრიტეთ.

- როგორც გენებოთ. მე რა? არაფერი. გგონიათ ამ ამბავს პირველად ვყვები? არ

გინდათ და ნუ გინდათ.

მაგრამ ხანმოკლე პაუზის შემდეგ ფრანცი მთხრობელისაკენ მიბრუნდა და სთხოვა:

- თუ შეიძლება, ამბის თხრობა განაგრძეთ, ოღონდ მშვიდად.

- აი, ხომ ხედავთ. თხრობა და საუბარი დროთა სვლას აჩქარებს. მე მხოლოდ თქვენთვის თვალის ახელა მინდოდა. შტეფან ცანოვიჩს მისმა პატივისმცემლებმა და თაყვანისმცემლებმა იმდენი ფული მისცეს, რომ გერმანიაში გამგზავრება შეძლო. მონტენეგროში მას ნიღაბი ვერ ჩამოხსნეს. ის, თუ როგორ იცნობდა ადამიანებს და საკუთარ თავსაც, კაცმა შტეფან ცანოვიჩისგან უნდა ისწავლოს. აქ იგი უცოდველი იყო, მგალობელი ჩიტივით. და ამ სამყაროსი სულ არ ეშინოდა: ძლიერნი ამა ქვეყნისანი, მრისხანე მთავრები, მბრძანებლები, ყველანი მისი მეგობრები იყვნენ: საქსონიის კურფიურსტი, პრუსიის კრონპრინცი, რომელმაც მოგვიანებით ომებში სახელი გაითქვა, გმირად აღიარეს და რომლის შიშითაც დედოფალი, ავსტრიელი ტერეზია, ტახტზე ძრწოდა. ცანოვიჩი კი შიშით და მით უმეტეს, კრონპრინცის წინაშე არ ძრწოდა. და ერთხელ, როცა შტეფანი ვენას ეწვია და იქ მავანმა და მავანმა ძირის გამოთხრა დაუწყო, თავად დედოფალმა ასწია ხელი და ბრძანა: „თავი დაანებეთ ამ ბიჭს“.

ამბის მოულოდნელი დასასრული. ნაციხარის სულიერი წონასწორობა აღდგენილია

მსმენელი, რომელიც იატაკზე იჯდა, ახარხარდა, უფრო სწორად, აჭიხვინდა და ზურგს დივანს ურტყამს.

- თქვენი ადგილი ცირკშია, კარგი ჯამბაზი

იქნებოდით. წითურმა ჩაიხითხითა.

- რას გეუბნებოდით? მხოლოდ ჩუ, ხმადაბლა, მოხუცის ავადმყოფი ბავშვები არ დაგავიწყდეთ. თქვენი აზრით, არ ჯობს, დივანზე დავსხდეთ? რას ფიქრობთ?

ფრანცმა გაიცინა, ადგა და დივნის კუთხეში დაჯდა, წითური კი მეორე კუთხეში.

- აქ უფრო რბილია და არც პალტო დაგეჭმუჭნებათ.

ლაბადიანი კაცი თავისი კუთხიდან წითურს დაჟინებით უყურებს:

- თქვენისთანა შერეკილი დიდი ხანია არ შემხვედრია.

წითური კი სრულიად გულგრილად:

- ალბათ, უბრალოდ ადამიანებს ყურადღებას ნაკლებად აქცევთ. ჩემნაირები ჯერ კიდევ არ გადაშენებულან. აი, პალტო დაისვარეთ, აქ ხომ ფეხებს არავინ იწმენდს.

ნაციხარს,ასე ოცდაათისან ოდნავ მეტი წლისას, თვალები აუციმციმდა,

თითქოს სახეც გაუახალგაზრდავდა:

- ჯობს ის მითხრათ, რითი ვაჭრობთ? ალბათ, მთვარეზე ცხოვრობთ.

- ოჰო, ეს უკვე კარგია, მოდი, ახლა მთვარეზეც ვილაპარაკოთ.

უკვე ხუთი წუთია კარში ვიღაც უცნობი მამაკაცი დგას, ხვეული, წაბლისფერი წვერით.

ახლა წაბლისფერწვერიანი მაგიდასთან მიდის და სკამზე ჯდება. კაცი ახალგაზრდაა და ისეთივე ფეტრის შლაპა ახურავს, როგორიც წითურს. იგი ხელით ჰაერში წრეს მოხაზავს და მისი გამკივანი ხმა ოთახს ავსებს:

- ეგ ვინ არის და მაგასთან ერთად რას აკეთებდი?

- შენ კი აქ რას აკეთებ, ელიზერ? ამ კაცს კი არ ვიცნობ, თავის სახელს არ მეუბნება.

- შენს ზღაპრებს უყვებოდი, არა?

- თუნდაც ეგრე იყოს, რა შენი საქმეა?

- მაშასადამე, თავის ზღაპრებს მაინც გიყვებოდა,არა? - მიუტრიალდა წაბლისფერთმიანი ნაციხარს.

- ეგ არ ლაპარაკობს, - სტუმრის ნაცვლად პასუხობს წითური, - ეგ მხოლოდ ქუჩებში დახეტიალებს და ეზოებში მღერის.

- დახეტიალებს და იხეტიალოს! აქ რას ჩაგიკეტავს?

- მე რას ვაკეთებ, ეგ შენი საქმე არ არის.

- კარში ვიდექი და გავიგონე, ცანოვიჩის ამბებს როგორ უყვებოდი. შენ ხომ ლაქლაქის გარდა სხვა არაფერი შეგიძლია.

ფრანცმა, რომელიც ამ ხნის განმავლობაში წაბლისფერთმიანს აკვირდებოდა, წაიბუზღუნა:

- თქვენ კი აქ რა ქარმა გადმოგაგდოთ, მაინც ვინ ბრძანდებით და სხვის საქმეში რატომ ერევით?

- გიყვებოდათ ეგ ცანოვიჩის ამბებს თუ არა? რა თქმა უნდა, გიყვებოდათ. ჩემი ცოლისძმა ნახუმი სულ აქეთ-იქით დაწანწალებს და სხვადასხვა ამბავს ჰყვება. ყველას რჩევებს აძლევს, მაშინ, როცა თავისი საქმეები ვერ მოუგვარებია.

- მაგრამ შენთვის დახმარება არ მითხოვია. ვერ ხედავ, რომ ადამიანს უჭირს, შე ცუდო ადამიანო.

- თუნდაც უჭირდეს, თუნდაც ცუდად იყოს. ღმერთს შენთვის არ დაუვალებია, ამ ადამიანს უშველეო, რა, ღვთის მოციქული ხარ? თუ ღმერთს ამ ადამიანის შველა უშენოდ გაუჭირდებოდა?

- ცუდი ადამიანი ხარ.

- ეი, თქვენ, გირჩევნიათ ამისგან თავი შორს დაიჭიროთ. ალბათ, უკვე გიამბოთ, ცანოვიჩს ან კიდევ ვინმე მავანს ამ ცოდვილ დედამიწაზე როგორ გაუმართლა?

- ბოლოს და ბოლოს, აქედან წაეთრევი თუ არა?

- არა, ერთი ამ თაღლითს დამიხედეთ, თავი კეთილისმყოფლად რომ მოაქვს და ჩემთან ლაპარაკსაც ბედავს: ეს რა, შენი ბინაა? აბა, მითხარი, ცანოვიჩზე რაები მოროშე და ან ამ ადამიანმა მისგან რა უნდა ისწავლოს? შენ რაბინი უნდა ყოფილიყავი. მაშინ ლუკმაპურს არ დაგამადლიდით.

- თქვენი მოწყალება არ

მჭირდება! წაბლისფერთმიანი

ისევ აყვირდა:

- ჩვენ კი მუქთახორები, რომლებიც წურბლებივით კისრებზე გვასხედან და სისხლს გვწოვენ! ის თუ გიამბოთ, ცანოვიჩმა ცხოვრება როგორ დაამთავრა?

- სულელი და ბილწი ადამიანი ხარ!

- გიამბოთ თუ არა, თქვენ გეკითხებით?

ნაცხარი ამ ორის კინკლაობამ დაღალა, თვალები ზანტად დაახამხამა, შეხედა წითურს, რომელიც ამ დროს მუქარის ნიშნად მუშტის ქნევით კარისკენ გარბოდა და დაადევნა:

- მოიცადეთ, არ წახვიდეთ, ასე ნუ ღელავთ, გაუშვით, იყბედოს.

მაშინ წაბლისფერთმიანი შეჩერდა და გრძნობით ალაპარაკდა, ხან უცნობს მიმართავდა, ხან წითურს, ენას აწკლაპუნებდა, თავი უტოკავდა და გამომეტყველებას ყოველ წუთში იცვლიდა:

- ეგ ადამიანებს მხოლოდ თავს ულაყებს, ასულელებს! დიახ, ასეა. აბა, მაგ ამბავს ბოლომდე მოჰყვეს, თქვას, მაგის ცანოვიჩმა ცხოვრება როგორ დაამთავრა. არა, ამას ვაჟბატონი არ მოჰყვება, რატომ? მე თქვენ გეკითხებით, რატომ?

- იმიტომ, რომ შენ ძალიან ცუდი ადამიანი ხარ, ელიზერ!

- ნუთუ? შენ მაინც გჯობივარ, - წაბლისფერთმიანმა ხელები ზიზღით აღაპყრო და თვალები ამაზრზენად გადმოკარკლა, - იცით, რატომ არ მოჰყვება? იმიტომ, რომ მაგის ცანოვიჩი ფლორენციიდან ქურდის იარლიყით გამოაძევეს. იმიტომ, რომ ბოლოს და ბოლოს მიხვდნენ, რა შვილიც ბრძანდებოდა.

წითურს მრისხანე გამომეტყველებით მის წინ დადგა, მაგრამ წაბლისფერთმიანმა ხელი აუქნია:

- ახლა მე ვლაპარაკობ. მან თავადებს წერილები გაუგზავნა, თითოეული თავადი ბევრ წერილს იღებს, ხოლო ხელწერით ძნელი მისახვედრია, ამ წერილის უკან რა და როგორი ადამიანი დგას. ჰოდა, ეს ჩვენი შტეფანი ისე გამედიდურდა, რომ ბრიუსელში ჩავიდა, იქ თავი ალბანეთის პრინცად გამოაცხადა და დიდ პოლიტიკაში გარევა მოინდომა. ეტყობა, ეს მისმა ბოროტმა ანგელოზმა ჩასჩურჩულა. უმაღლეს ხელისუფლებასთან მიბრძანდა, - არა, წარმოიდგინეთ ერთი ამ ცინგლიანი შტეფანის თავხედობა, და ვისაც საჭირო იყო, უმაღლეს პირს მიმართა: ომისათვის ასი თუ

ორასიათასიანი, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, არმია შესთავაზა. ცანოვიჩს პასუხად უგზავნიან სამთავრობობეჭდიან ქაღალდს: დიდი მადლობა, საეჭვო გარიგებებში არ ვმონაწილეობთო და ბოროტმა ანგელოზმა შტეფანი ისევ აცდუნა, უთხრა: ამ ქაღალდით სესხის აღება სცადეო. ის წერილი კი მინისტრის გამოგზავნილია ადრესატისთვის: „მის მაღალკეთილშობილებას, ალბანეთის ბრწყინვალე პრინცს“. ფული სესხად მართლაც მისცეს და ეს თაღლითის დასასრული აღმოჩნდა. არადა, მაშინ რამდენი წლისა იყო? სრულიად ახალგაზრდა, საცა იყო, ოცდაათი შეუსრულდებოდა. ფულის უკან დაბრუნება ვერ შეძლო, მატყუარად გამოაცხადეს და მაღალ საზოგადოებაში მის ტრიალს წერტილი დაესვა. ბრიუსელში სასამართლოს წინაშეც წარდგა, აი, იქ კი ყველაფერი გამჟღავნდა. პატიმრობა მიუსაჯეს. აი, ვინ იყო შენი გმირი, ნახუმ! ის თუ მოუყევი, ციხეში როგორ გარდაიცვალა, არა? ძაღლივით მოკვდა. ცუღლუტობისა და ხრიკებისათვის ღმერთმა სასტიკად დასაჯა: ვენები გადაიჭრა. როგორც იცხოვრა, ისე ჩაძაღლდა. მერე მოვიდა ჯალათი, ანუ ცხოველების გამტყავებელი, ძაღლებისა და კატების მძორების გადასატანი ურიკით, ზედ შტეფან ცანოვიჩის გვამი შეაგდო, ქალაქგარეთ, ნაგავსაყრელზე, იქ, სადაც სახრჩობელაა აღმართული, გაიტანა, დააგდო და ზედ ნაგავი დააყარა.

ყვითელლაბადიანმა კაცმა პირიც კი დააღო:

- ეს მართალია? (წკმუტუნი ავადმყოფ ლეკვსაც კი შეუძლია).

წითური ცოლისძმის წამოსროლილ ყოველ სიტყვას ითვლიდა და წაბლისფერთმიანის სახის წინ აშვერილი თითით თავის რეპლიკას ელოდებოდა. ახლა კი თითი მკერდში ატაკა და მის ფეხებთან იატაკზე დააფურთხა:

- ფუი, ფუი! აი, მიიღე! აი, რა ადამიანი ხარ! და ეს კაცი ჩემი ცოლისძმაა!

წაბლისფერთმიანი ფანჯრისკენ ბარბაცით წავიდა:

- აბა, ახლა თუ ვაჟკაცი ხარ, თქვი, რომ ეს სიმართლე არ არის.

კედლები სადღაც გაქრა. დარჩა მხოლოდ პატარა ოთახი, ჭერზე ჩამოკონწიალებული ნათურით და შიგ ერთმანეთის ლანძღვა-გინებით დარბოდა ორი ებრაელი: ერთი - წაბლისფერთმიანი და მეორე

- წითური, თავზე წამოსკუპებული შავი ფეტრის შლაპებით. ნაციხარმა თავის

მეგობარს, წითურს მიმართა:

- მომისმინეთ, სიმართლეა, რაც ამ კაცმა იმ ახალგაზრდაზე თქვა? ჯერ ციხეში ჩასვეს და მერე როგორ მოკლეს?

წაბლისფერთმიანი აყვირდა:

- მოკლეს? განა მე ვთქვი, მოკლეს-მეთქი? იმ ახალგაზრდამ თავი თავად მოიკლა. წითური:

- ჰო, თავი მოიკლა.

ნაციხარი:

- და სხვებმა კი რაღა ქნეს, ჰო, სხვებმა?

წითური:

- ვინ სხვებმა?

- ხომ იყვნენ იქ სხვებიც, შტეფანისთანები? ყველა მინისტრი, გამტყავებელი ან ბანკირი ხომ არ იქნებოდა?

წითურმა და წაბლისფერთმიანმა ერთმანეთს
გადახედეს. წითური:
- იმათ რა უნდა ექნათ? ალბათ, სეირს უყურებდნენ.

ყვითელლაბადიანი ნაციხარი, ტანმაღალი ახალგაზრდა, დივნიდან წამოდგა, შლაპა აიღო, მტვერი მოაშორა და მაგიდაზე დადო; უსიტყვოდ გაიხსნა პალტო, მერე ჟილეტი და მხოლოდ ამის შემდეგ თქვა:

- აბა, შეხედეთ ჩემს შარვალს. იყო დრო, ძლივს მეკვრებოდა, ახლა კი შიგ ორი მუშტი ჩაეტევა, ტომარასავით მკიდია, ეს შიმშილმა ქნა. ყველაფერი სადღაც გაქრა! იყო მუცელი და აღარ არის, აორთქლდა. მათ რომ უნდოდათ, ისე არ ვიქცეოდი და აი, გამანადგურეს, გამაძვალტყავეს. იმას არ ვამბობ, რომ სხვები უკეთესები არიან, არა და არა, ისინი ადამიანს მხოლოდ თავგზას უბნევენ.

წაბლისფერთმიანმა წითურს გადაუჩურჩულა:

- გაიგე?

- რა, რა უნდა გამეგო?

- რა და ეგ კაცი ნაციხარია.

- თუნდაც ეგრე იყოს, მერე

რა? ნაციხარი:

- ერთ მშვენიერ დღეს კი მოდიან და გეუბნებიან: თავისუფალი ხარ, წადიო. ეს კი ნიშნავს, ადრე

რომ ცხოვრობდი, იმავე ნაგავში იცხოვრეო. ეს სასაცილო არ არის, - წამოდგა და ჟილეტის ღილების შეკვრა დაიწყო, - განა თქვენ თვითონ არ მიამბეთ, იმათ რა გააკეთეს? კაცი ციხეში გარდაიცვალა და იქ მაშინვე გაჩნდა ვიღაცა არამზადა ძაღლების ურიკით და გვამი ნაგავსაყრელზე წაიღო. არადა, ამ ადამიანმა თავი მოიკლა. ეგ ნამუსგარეცხილი, ცხოველი. ასეთები უნდა დახოცო, რადგან მკვდარს მასხრად იგდებენ, შეურაცხყოფენ. ეს როგორ შეიძლება, ვინც უნდა იყოს მიცვალებული და რა დანაშაულიც უნდა ჰქონდეს ჩადენილი, მაინც ადამიანია.

- აბა, ამაზე რა უნდა გითხრათ, - მწუხარე ხმით ამოღერღა წითურმა.

- მხოლოდ იმიტომ, რომ ოდესღაც რაღაც დავაშავეთ, ადამიანები აღარ ვართ? ყველა პატიმარს, განურჩევლად ჩადენილი დანაშაულისა, უნდა შეეძლოს ფეხზე დადგომა და რაც უნდა, იმის გაკეთება (რა დროს სინანულია! ამ ქვეყანაში თავი უნდა დაიმკვიდრო. ყველა საქმე ხელაღებით აკეთო! სხვაზე არაფერზე იფიქრო, მაშინ შიშიც გაივლის და სხვა ყველაფერიც).

- მე თქვენთვის მხოლოდ იმის ჩვენება მინდოდა, რომ ყველაფერ ამის დაჯერება და მოსმენა, რასაც ჩემი ცოლისძმა ამბობს, არ შეიძლება. ზოგჯერ მოვლენები, ჩვენ რომ გვინდა, ისე არ ვითარდება. ხანდახან სულ პირიქით ხდება.

- უსამართლობაა ნაგავსაყრელზე ადამიანის მკვდარი ძაღლივით გადაგდება. თანაც გვამზე ნაგვის მიყრა, განა შეიძლება მიცვალებულს ასე მოექცე? ფუი, ეშმაკს! ახლა მინდა დაგემშვიდობოთ. თათი მომეცით (მან წითურს ხელზე ხელი მოუჭირა). ვიცი, ჩემთვის სიკეთე გინდათ, თქვენც

(წაბლისფერთმიანს მიუახლოვდა). მე ფრანცი მქვია, გვარად ბიბერკოპფი ვარ, ფრანც ბიბერკოპფი. დიდი მადლობა, რომ შემიფარეთ, თორემ იქ, ეზოში, კინაღამ გავგიჟდი. კარგი, რაც იყო, იყო.

სტუმარს ორივე ებრაელმა ხელი ღიმილით ჩამოართვა. წითურს სახე უბრწყინავდა და ნაციხარს ხელს ხელზე დიდხანს უჭერდა.

- აი, თავს უკვე უკეთესად გრძნობთ, - იმეორებდა წითური, - დრო რომ გექნებათ, შემოგვიარეთ, გამიხარდება.

- გმადლობთ. აუცილებლად შემოგივლით. დროის პოვნა ადვილია, აი, ფულის პოვნისა კი რა მოგახსენოთ. აქ რომ იყო, იმ მოხუც ბატონსაც გადაეცით ჩემგან მადლობა. ოო, რა ღონიერი ხელები აქვს, ახალგაზრდობაში ყასაბი ხომ არ იყო? აუ, რაებს ვამბობ, ნოხი სულ აიბურდა, მოდი, გავასწოროთ. თუმცაღა თავად გავასწორებ, თქვენ ნუ შეწუხდებით, ახლა ზედ მაგიდაც დავდგათ, აი, ასე.

ფრანცი წითურის ზურგს უკან ფორთხავდა და შიგადაშიგ მხიარულად იცინოდა:

- აი, აქ, იატაკზე ვისხედით და ვმასლაათობდით. უკეთესი ადგილი ვერ ვიპოვეთ, თუ შეიძლება, მაპატიეთ.

ნაციხარი ორივემ კარამდე მიაცილა. წითურმა შეწუხებულმა ჰკითხა:

- გზას მარტო გაიგნებთ?

წაბლისფერთმიანმა გვერდში ხელი

გაჰკრა:

- ჩუმად, მაგისგან ხეირი არ იქნება.

ნაციხარი წელში გაიმართა, თავის წინ ხელებით ჰაერი მოხვეტა (ჰაერზე, გარეთ, ღია სივრცეში, და მხოლოდ ჰაერი, ჰაერი, ჰაერი მინდა), მერე თქვა:

- ნუ შეწუხდებით, შეგიძლიათ მშვიდად გამიშვათ: თქვენ ხომ მითხარით, ადამიანისთვის მთავარი თვალები და ფეხებიაო. ჯერჯერობით თვალებით კარგად ვხედავ და ფეხებითაც კარგად დავდივარ. კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონებო!

და სანამ ნაციხარი ვიწრო, გადატვირთულ ეზოში გზას მიიკვლევდა, მას ზემოდან წითური და წაბლისფერთმიანი დაჰყურებდნენ. ბიბერკოპფმა შლაპა შუბლზე

ჩამოიფხატა და როცა ბენზინის გუბეზე ხტებოდა, წაიბურტყუნა:

- რა საზიზღრობაა! ახლა ერთ ჭიქა კონიაკს სიამოვნებით გადავკრავდი... ვინც გზას გადამიღობავს, ცხვირ-პირს დავუნაყავ... აქ ყელის გასველება სად შეიძლება?

საერთო ტენდენცია - მომლოდინეობითი მოგვიანებით - კურსის მნიშვნელოვანი დაცემა ჰამბურგის ბირჟაზე - პანიკა, ლონდონის ბირჟაზე - დაცემა

წვიმს. მარცხნივ, მიუნცშტრასეზე კინოს რეკლამები ციმციმებენ. კუთხეში გზას ვერ გაიკვლევ. ღობესთან ადამიანები დგანან, მათ უკან ღრმა ორმოს თხრიან, ტრამვაის ლიანდაგები ჰაერში კიდია, მათზე დიდი სიფრთხილით, ნელი სვლით ტრამვაი მიბობღავს. ერთი ნახე, მეტროს ახალი ხაზი გაჰყავთ, მაშასადამე, ბერლინში სამუშაოს შოვნა შეიძლება. აქ კიდევ ერთი კინოს შენობაა.

„ჩვიდმეტ წლამდე ახალგაზრდებისთვის შესვლა აკრძალულია“. უზარმაზარ პლაკატზე, კიბის ერთ-ერთ საფეხურზე სისხლივით წითელი მამაკაცი დგას და მოხდენილი ლამაზი ქალი მას ფეხებზე ეხვევა. კაცი ქალს ზედაც არ უყურებს. პლაკატის ქვეშ კი წარწერაა: „უდედმამო. ობოლი გოგონას ცხოვრება ექვს აქტად“. კეთილი, მოდი, ამ ფილმს ვნახავ. ორკესტრი ეშხშია შესული. ბილეთი - 60 პფენიგი.

სალაროსთან ვიღაც სუბიექტი მოლარეს ეუბნება:

- ფროილაინ, მოხუცი ლანდშტურმისთვის, რომელსაც კუჭი არა აქვს, ფასდაკლება არა გაქვთ?

- არა, მხოლოდ ხუთ თვემდე ბავშვებისთვის, თანაც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწოვარა აქვთ.

- ძუძუმწოვრები განვადებით. ვიანგარიშეთ და ზუსტად მაგდენის გამოვდივართ.

- კმარა, 50 პფენიგი გადაიხადეთ და გაიარეთ.

კაცმა გაიარა და სალაროსთან მისი ადგილი გამხდარმა, შარფიანმა ბიჭმა დაიკავა:

- ფროილაინ, ფილმის ნახვა მინდა, მაგრამ ფული არა მაქვს.

- რა? დედაშენს უთხარი, რომ ღამის ქოთანზე დაგსვას.

- აუ, შეიძლება შევიდე?

- სად?

- კინოში.

- აქ კინო არ არის.

- აბა, რა არის?

მოლარემ სალაროს ფანჯრიდან თავი გამოყო და შესასვლელ კარში მდგომ შვეიცარს გასძახა:

- მაქს, აქ მოდი. ერთ ვიღაცას აინტერესებს, აქ კინო არის თუ არა. ფული არა აქვს, აუხსენი ერთი, აქ რა არის.

- ყმაწვილო, ნუთუ აქამდე ვერ მიხვდით, აქ რა არის? რა და, მიუნცშტრასეს განყოფილების სალარო, სადაც ღარიბებს შემწეობას სთავაზობენ.

შვეიცარმა ბიჭი ფრთხილი ხელის კვრით სალაროს მოაშორა, მერე მუშტი ცხვირთან მიუტანა და უთხრა:

- ხომ არ გინდა ცხვირში გითავაზო?

ფრანცი კინოში კი არ შევიდა, ხალხის ტალღამ შეიტანა. ანტრაქტი. გრძელი დარბაზი ხალხით არის გაჭედილი. მამაკაცების უმრავლესობას ქუდები ახურავს და მათ მოხდას არც აპირებენ. ჭერზე წითელ ქსოვილშემოხვეული სამი ნათურა ჩამოუკონწიალებიათ. წინ ყვითელი როიალი დგას და ზედ ნოტების დასტა აწყვია. ორკესტრი ქუხს. ბნელდება და ფილმი იწყება. ბატების მწყემსი გოგონასთვის განათლების მიცემა უნდათ. რისთვის და რატომ, გაუგებარია. ეტყობა, ფილმი კარგა ხნის დაწყებულია. გოგონა ცხვირს ხელით იხოცავს, ყველას თვალწინ კიბეზე უკანალს იფხანს, - დარბაზი ხარხარებს. ფრანცს უცნაური გრძნობა ეუფლება. რა თქმა უნდა, ესენი თავისუფალი ადამიანები არიან, მხიარულობენ და იცინიან, ამას ვერავინ აუკრძალავს და მე თავისუფალ ადამიანებს შორის ვარ. ეს ხომ დიდებულია! ფილმი

კი გრძელდება. ელეგანტურ ბარონს საყვარელი ჰყავს, რომელიც ჰამაკში წვება ხოლმე და ლამაზ ფეხებს რაც შეიძლება მაღლა სწევს: ოი, ოი, რა ლამაზი პანტალონები აცვია. და ეს ადამიანები ამ ჭუჭყიან მებატე გოგოს, რომელსაც თეფშების ენით გალოკვა მოსწონს, თავს ასე რატომ დასტრიალებენ? ეკრანზე ქალის ზეაშვერილმა ლამაზმა და სწორმა ფეხებმა ისევ გაიელვა. ბარონმა ქალი მარტო დატოვა და წავიდა, ქალი კი ჰამაკიდან გადმოვარდა, ბალახში ჩავარდა და შიგ მთელი ტანით გაიშოტა. ფრანცი ეკრანს მიშტერებია, კადრები იცვლება და ახალი სურათები ჩნდება, მაგრამ თვალწინ ისევ ის, ჰამაკიდან გადმოვარდნილი და ბალახში გაშოტილი ქალი უდგას. პირი გაუშრა, ენაზე იკბინა, ფუი, ეშმაკმა დალახვროს, ეს რა ხდება! ხოლო, როცა მებატე გოგოს შეყვარებულმა ეს გრძელი და სწორფეხება ქალი გულში ჩაიკრა, ფრანცს თითქოს დენმა დაარტყა, მის ზურგზე ჭიანჭველები აწრიალდნენ, ისე, თითქოს ის ქალი მკლავებში თავად ჰყავდა მომწყვდეული, და სისუსტე იგრძნო.

ქალი! (ამქვეყნად თურმე უსიამოვნებებსა და შიშზე უფრო მნიშვნელოვანი რამ არსებობს) რა თავში ვიხლი ამ სისულელეს! ქალი, აი, რა არის მთავარი! როგორ მოხდა, რომ ამაზე აქამდე არ უფიქრია?

იყო ხოლმე, ფანჯარასთან იდგნენ და ეზოში იყურებოდნენ. მოულოდნელად ეზოში ქალები გამოჩნდებოდნენ, პაემანზე ან უფროსობის ბინებში დასალაგებლად მიმავალნი. მაშინ ყველა პატიმარი ფანჯრების ცხაურებს ეწებებოდა, ნებისმიერ გამვლელ ქალს თვალებით ჭამდნენ. ერთხელ ერთ-ერთ ზედამხედველს ებერსვალდიდან ორი კვირით სტუმრად ცოლი ჩამოუვიდა. მანამდე კი ზედამხედველი თავის მეორე ნახევართან ორ კვირაში ერთხელ თავად მიემგზავრებოდა ხოლმე. ჰოდა, ქალი დროს ტყუილად არ კარგავდა, დაღლილი ქმარი კი სამსახურში მთელი დღე თვლემდა და ფეხებს ძლივს დაათრევდა.

ფრანცი უკვე ქუჩაშია. წვიმს. ახლა რა ვქნათ? ქალი მინდა მე. ქალი მინდა. სასწრაფოდ. შესანიშნავი სურვილია, გარეთ ცხოვრება მშვენიერია. ოღონდაც ფეხზე მყარად იდგეს და სიარული შეძლოს. ფეხები დაბუჟებული აქვს და ფეხქვეშ მიწას ვერ გრძნობს. კაიზერ- ვილჰელმშტრასეს კუთხეში ბაზრის ურიკების მიღმა ქალიც იპოვა. ეშმაკმა დალახვროს, ფეხების ტერფები ყინულის ლოდებივით რატომ აქვს? ქალს მიჰყვება, მოუთმენლობისგან ტუჩებს ისე

იჭამს, რომ სისხლი სდის. თუ შორს არის, იცოდე, არ წამოვალ! არა, თურმე ქალი ახლოს ცხოვრობს: ბიულოვპლაცი გადაჭრეს, გრძელ რკინის ღობეს ჩაუარეს, საპარადო შესასვლელიდან ეზოში გავიდნენ, მერე ექვსი საფეხური ჩაიარეს. ქალი კაცისკენ მიტრიალდა, სიცილით თქვა:

- საყვარელო, რა მოუთმენელი ყოფილხარ, კინაღამ თავზე
დამემხე. როგორც კი კარი მიიხურა, მაშინვე ქალს ეცა, თავისი
ტორებით ჩაბღუჯა.
- ადამიანო, ქოლგის დადება მაინც მაცალე.

მაგრამ არა, კაცი ქალს ხელებს უჭერს, ჭყლეტს, ჩქმეტს, პალტოზე ეხახუნება, ისე, რომ თავიდან შლაპაც არ მოუხდია. ქალი გაბრაზდა, ქოლგა დააგდო:

- დამაცადე, თავი დამანებე, ნუ გეშინია, არსად გავიქცევი.
თავბრუდახვეული კაცი კი ქშენით და ყალბი ღიმილით
კითხულობს:
- რა მოხდა?

- ლამის კაბა შემომახიო და დარწმუნებული ვარ, ახალს არ მიყიდი, არა? მუქთად ჩვენ არავინ არაფერს გვაძლევს...

კაცი კი ქალს მაინც არ უშვებს, ჩაბღუჯული ჰყავს.

- სულელო, დამახრჩობ, ნამდვილად გაგიჟდი! - ყვირის ქალი.

ის სქელი, დაბალი და მოუქნელია. კაცი იძულებულია, ქალს ჯერ სამი მარკა მისცეს. ფულს ქალი კამოდში მალავს, კამოდს კეტავს და გასაღებს ჯიბეში იდებს. კაცი კი თვალს არ აშორებს:

- ეს იმიტომ, სქელო, რომ რამდენიმე წელი ტეგელში ვიჯექი, ახლა გასაგებია?

- სად?

- ტეგელში, ხომ წარმოგიდგენია?

გათქვირებული დედაკაცი ახარხარდა. კოფთის ღილების გახსნა დაიწყო. „იყო პრინცი და პრინცესა. მათ ერთმანეთი ისე უყვარდათ... როცა ძაღლი პირში ძეხვით ღობეს გადაახტება“. ქალმა კაცს ხელი მოჰკიდა, თავისკენ მიიზიდა. წიპ, წიპ, წიპ,

ჩემო დედალო. წიპ, წიპ, წიპ, ჩემო მამალო.

კაცს შუბლი ოფლის მსხვილი წვეთებით დაეცვარა და ხმამაღლა აკვნესდა.

- რატომ კვნესი?

- ეგ კაცი, კედლის მიღმა რომ დაბორიალებს, ვინ არის?

- კაცი არ არის, ჩემი დიასახლისია.

- იქ რას აკეთებს?

- რას უნდა აკეთებდეს, იქ სამზარეულო აქვს.

- ასე... ასე... რაღა ახლა აუტყდა სირბილი. იშოვა რა მაგანაც დრო. ეგეთი რაღაცები არ მიყვარს.

- ოჰ, ღმერთო ჩემო, კარგი, წავალ და ვეტყვი.

რა ოფლიანი ვინმეა ეს ნაციხარი, მალე მაინც წაეთრეოდეს. ქალმა მეორე ოთახში გამავალ კარზე დააკაკუნა:

- ფრაუ პრიზე, ორიოდე წუთით ხმაური შეწყვიტეთ, რა! აქ ერთ ბატონს მნიშვნელოვან საქმეზე ველაპარაკები. ეს ჩვენ გავაკეთეთ, სამშობლოვ ჩემო, შეინარჩუნე სიმშვიდე, მემთხვიე მკერდზე, მაგრამ აქედან მალე გაგამწესებ, შე მაწანწალავ.

ბალიშში თავჩარგული ქალი ფიქრობს: დაბალყელიან ყვითელ ფეხსაცმელს ლანჩა უნდა გამოვუცვალო, ზედა პირები ჯერ კიდევ კარგია. ლანჩას კიტის ახალი საქმრო ორ მარკად დამიჭედებს, თუკი კიტი ნებას დამრთავს, აბა, მეგობარს საქმროს ხომ არ წავართმევ, თანაც ფეხსაცმელებს ჩემი კოფთისფრად, ყავისფრად შემიღებავს. თუმცა კოფთა უკვე ისეთი ძველია, რომ მხოლოდ საკერებლად თუ გამოდგება, მაგრამ მისი ჩაცმა ჯერ კიდევ შეიძლება, თუ წინ რომ აქვს, იმ ბაფთას გავუუთოებ. ფრაუ პრიზეს უნდა ვუთხრა, სანამ ღუმელი არ ჩაუქრია. ნეტავ დღეს რას ამზადებს. ქალმა ჰაერი ჩაისუნთქა, - აჰა, შემწვარი ქაშაყი ხახვით.

ფრანცს თავში რომელიღაც ლექსის თუ გათვლის ნაწყვეტები უტრიალებდა: „სუპს ხარშავთ, ფროილაინ შტაინ, მიწილადეთ ერთი კოვზი; ატრიას ხარშავთ, ფროილაინ შტაინ, მიწილადეთ

ატრია... გავრბოდი და

წავიქეცი...“ კაცი ხმამაღლა

ოხრავს:

- ჩემთან ყოფნა არ გსიამოვნებს, არა?

- აბა, რას ამბობ, მოდი ჩემთან, კიდევ ერთხელ ფუჭი

სიყვარულისთვის. კაცი საწოლზე დაეცა, კვნესის, ოხრავს,

ქალმა ხელი კისერზე მოისვა:

- ეს სასაცილოა! თუ გინდა, იწექი, ხელს სულ არ მიშლი.

ქალი იცინის, ფუმფულა ხელებს მაღლა სწევს, იზმორება. მერე წინდებიან ფეხებს საწოლიდან გამოყოფს.

- ღმერთია მოწამე, ჩემი ბრალი არ არის.

გარეთ, ქუჩაში! ჰაერზე! წვიმა კი ისევ ასხამს და ასხამს. არა, საგანგაშო არაფერი მომხდარა. სხვა ქალი უნდა ვიპოვო. თუმცა ჯერ კარგად გამოვიძინებ და მერე.

ფრანც, მაინც რა მოგივიდა?

„სქესობრივი პოტენცია სამი ფაქტორის ურთიერთქმედების შედეგად წარმოიქმნება: **1.** შიდა სეკრეციის ჯირკვლების სისტემის, **2.** ნერვული სისტემის, **3.** სასქესო ორგანოების. პოტენციის წარმოქმნაში მონაწილეობენ სეკრეციის შემდეგი ჯირკვლები: ჰიპოფიზი, ფარისებრი, წინამდებარე სათესლე და კვერცხის დანამატი. თუმცაღა მთელ ამ სისტემაში გადამწყვეტი მნიშვნელობა სასქესო ჯირკვლებს ენიჭება. სასქესო ჯირკვლების მიერ გამომუშავებულ ჰორმონებს მოძრაობაში მოჰყავს მთელი სასქესო აპარატი - თავის ტვინიდან სასქესო ორგანოებამდე. ეროტიკული შთაბეჭდილება თავის ტვინის ქერქში იწვევს შესაბამის აღგზნებას, რომელიც გადაეცემა შუა ტვინს, აქედან კი ვეგეტატიურ ნერვულ სისტემას. მაგრამ სექსუალურ აღგზნებას, სანამ თავის ტვინიდან გამოაღწევდეს, ბევრი დამამუხრუჭებელი ფაქტორის გადალახვა უწევს. ეს ფაქტორები, ძირითადად, ფსიქიკური ხასიათისაა: მორალით განპირობებული მოსაზრებები, საკუთარ ძალაში დაურწმუნებლობა, თავის შერცხვენის შიში, ვენერიული დაავადების შეყრის შიში, ქალის დაფეხმძიმების შიში და ბევრი სხვა. ყველა ეს ფაქტორი დიდ როლს თამაშობს“.

საღამოს კი ელზასერშტრასეზე ჰერი-ჰერი! არავითარი ყოყმანი. არავითარი დაღლილობა და მორცხვობა. „სიამოვნება რომ მომანიჭოთ, რამდენს თხოულობთ, ფროილაინ?“ ეს შავგვრემანი გოგონა ერთობ მომხიბვლელია. ფუნთუშებივით მადის აღმძვრელი თეძოები აქვს. „კავალერი ყველა ქალს ჰყავს, ყველას თავისებურად უყვარს“.

- აუ, რა მხიარული ხარ, ტკბილო! შენ რა, მემკვიდრეობა მიიღე?

- შენ კი შანსი გაქვს, ტალერი იშოვო.

- რატომაც არა, თანახმა ვარ.

არადა, შიში სულ რომ თან დაჰყვება!

და მერე სუფთა და სასიამოვნო ოთახი, ფარდის უკან, რაფაზე, ყვავილები. ამ გოგოს გრამოფონიც კი აქვს, თავადაც მღერის, - მას, ფრანცს უმღერის. კოფთას იხდის, ბემბერგის ხელოვნური აბრეშუმის წინდები აცვია, თვალები კი ღამესავით მრუმე აქვს:

- იცი, მომღერალი ვარ. ალბათ, მკითხავ, სად ვმღერი. სადაც მომინდება. ახლა ანგაჟემენტი არა მაქვს. ნორმალურ და კარგ კაფეებსა და ლუდხანებში შევდივარ და ჩემს მომსახურებას ვთავაზობ. თანაც მზად მაქვს შლაგერი, პროგრამის ღერძი. ოი, მეღიტინება.

- კარგი რა, ნუ იპრანჭები.

- არა, ხელები მომაშორე, ყველაფერს გააფუჭებ. ჩემი შლაგერია, თავაზიანობა გამოიჩინე, ტკბილო,

- კაფეში თეფშებს კი არ ვაგროვებ, აუქციონს ვაწყობ: ვინც ფულს გადაიხდის, შეუძლია, მაკოცოს. გიჟური იდეაა, არა? თანაც საჯაროდ, სტუმრების თვალწინ. ერთი კოცნის ფასი ორმოცდაათი პფენიგია და არც ერთი პფენიგით ნაკლები. და იცი, იხდიან. აბა, რა გეგონა. მკოცნიან აი, აქ, მხრებზე. შენც შეგიძლია სცადო.

ქალი თავზე მამაკაცის ცილინდრს იხურავს, დოინჯს შემოიყრის და თეძოების რხევით ფრანცს პირდაპირ სახეში შესცქერის: „თეოდორ, გუშინ საღამოს ქუჩაში რომ დამედევნე, მითხარი, რაზე ოცნებობდი, თეოდორ, მერე კი ვახშმად ღვინით რომ

მიმასპინძლდებოდი, რაზე ფიქრობდი?“

ქალმა კაცის მუხლებზე მოიკალათა, ჟილეტის ჯიბიდან სიგარეტი მოხერხებულად ამოაცურა, თვალებში სიყვარულით ჩახედა, ყურზე ყური ალერსიანად მოუთათუნა და შიგ ნაზად ჩაჰღუღუნა: იცი, რა არის ნოსტალგია? გულს ხლეჩს ნოსტალგია, ირგვლივ კი ისეთი სიცარიელეა და ყველაფერი ისეთი ცივი: ქალი სიმღერ-სიმღერით დივანზე წამოწვა, იზმორება. სიგარეტს ეწევა, კაცს თმაზე ხელს უსვამს, იცინის.

კაცს კი შუბლი ოფლით დაეცვარა: ისევ ეწვია შიში! მოულოდნელად თავი დაკარგა. ბუმ, ზარი, ადგომა **5.30**.-ზე. **6.00**.-ზე საკანს აღებენ, ბუმ, ბუმ, სასწრაფოდ ქურთუკი გავწმინდოთ, დღეს პატიმრებს თავად უფროსი შეამოწმებს, თუ დღეს მისი დღე არ არის და იქნებ არც მოვიდეს. მე ხომ მალე გამათავისუფლებენ. ჩუ, გაიგე? დღეს ღამით ერთი პატიმარი გაქცეულა, გალავანზე თოკი ჯერ კიდევ ჰკიდია და იქ პატრული მაძებარ ძაღლებთან ერთად დადის. კაცი კვნესის, თავს მაღლა სწევს, ხედავს ქალს, მის ნიკაპს, ყელს. ეჰ, ამ ციხეს თავს ნეტავ მალე დავაღწევდე. არა, არ გამათავისუფლებენ. ამ საკნიდან გასვლას ვერ ვეღირსები. ქალი კი გვერდით უზის და ბოლის ცისფერ რგოლებს მისკენ უშვებს, ხითხითებს და ამბობს:

- რა კარგი ხარ, გინდა ერთ სირჩა „მამპეს“ დაგისხამ, **30** პფენიგი
დაგიჯდება. მაგრამ კაცი გაუნძრევლად წევს, მთელ სიგრძეზე
გაშოტილი:
- არ მინდა შენი „მამპე“! ამ ოხრებმა დამღუპეს. ტეგელში ვიჯექი, რატომ, საკუთარ თავს ვეკითხები. ჯერ პრუსიელებთან სანგრებში ვლპებოდი, მერე ტეგელში... ახლა კი ადამიანად აღარ ვვარგივარ.

- აბა, მორჩი! ჩემთან ტირილი არ შეიძლება. აბა, ნისკარტი გააღე, დიდ კაცს დალევა უნდა. ჩვენთან საღამოს და ღამით მხოლოდ მხიარულება და გართობაა ნებადართული. ტირილი და მოწყენილობა აკრძალულია. ჩვენთან იცინიან დღისით და ღამით, სევდასა და ტკივილს აგდებენ გარეთ.

- ჰო, ეს საშინელებაა, ამას სჯობდა, იმ ძაღლებს ჩემთვის ყელი გამოეჭრათ და სადმე ნაგავსაყრელზე მოვესროლე.

- აბა, დიიდო ძიავ, კიდევ ერთი ჭიქა დალიე! საქმე ცუდად არის? ნუ დაღონდები, კიდევ ერთი ჭიქა

„მამპე“ გადაკარი!

- არადა, იყო დრო, გოგოები ჯოგებად დამდევდნენ, მე კი მათ ყურადღებას არ ვაქცევდი, ისინი სულ ფეხებზე მეკიდა. ახლა კი ჯირკივით ვგდივარ...

ქალი იმ სიგარეტებიდან, კაცს რომ დაუცვივდა, ერთს იღებს და ამბობს:

- ისღა დაგრჩენია, პოლიციაში იჩივლო.

- კარგი დაწყნარდი, მივდივარ.

და კრინტი აღარ დაუძრავს. აჭიმებს ეძებს, ქალს ზედაც არ უყურებს. ის კი ციბრუტივით ტრიალებს, ეწევა, იცინის, კაცს შესცქერის და თან ფარულად სიგარეტის ღერებს ფეხით დივნის ქვეშ ყრის. ფრანცმა ქუდს ხელი დასტაცა, გარეთ შურდულივით გავარდა, კიბეზე დაეშვა. **68** ნომერში ჩაჯდა და ალექსანდერპლაცისკენ გაემგზავრა. იქ ლუდხანაში შედის და კათხა ლუდს მიშტერებული დიდხანს ზის.

„ტესტიფორტანი“ სექსუალური უძლურების საწინააღმდეგო დაპატენტებული საშუალებაა. პატენტი **№365695**. ეს წამალი სექსუალურ მეცნიერებათა ინსტიტუტში მედიცინის მრჩეველმა, დოქტორმა მაგნუს გირშფელდმა და დოქტორმა ბერნჰარდ შაპირომ დაამზადეს.

იმპოტენციის გამომწვევი მთავარი მიზეზებია:

ა) შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ფუნქციის მოშლა.

ბ) ფსიქიკური ფაქტორების ერთობ ძლიერი წინააღმდეგობა, ერექციის ცენტრის გამოფიტვა.

მაგრამ ვადა, ავადმყოფს სექსუალური პოტენცია როდის აღუდგება, განსაზღვრული არ არის, რადგანაც ეს ორგანიზმზეა დამოკიდებული და ამდენად ინდივიდუალურია. დროებითი თავშეკავება ხშირად ძალიან სასარგებლოა“.

გამოძღა, გამოიძინა და მეორე დღეს ისევ ქუჩაში გავიდა: აი, ამ ქალს არა უშავს, არა, ის ქალი უფრო ლამაზია, ეს კი ორივეს ჯობს, - მაგრამ მიახლოებას ვერც ერთთან ვერ ბედავს. თუ ის, ვიტრინასთან რომ დგას. ზუსტად ისეთია, ჩვენ რომ გვჭირდება! არა, კმარა!.. და ისევ ლუდხანაში შედის, ზის იქ, ჭამს, სვამს და ქალებს არ უყურებს.

ახლა დღეებს მხოლოდსმა-ჭამაშივატარებ, კიდევ ძილში. ჩემთვის ცხოვრებამაინც უკვე დამთავრებულია. ბასტა!

გამარჯვება ფრონტის მთელ ხაზზე! ფრანც ბიბერკოპფი ხბოს ხორცს ყიდულობს

და როცა ოთხშაბათი გათენდა, თავისუფლების მესამე დღე, ფრანცმა პიჯაკი ჩაიცვა და დაფიქრდა: ამ ჩემს უბედურებაში ბრალი ვის მიუძღვის? ვის და, იდას. აბა, სხვა ვის? მაშინ იმ უნამუსოს ყველა ნეკნი გადავუმტვრიე, ციხეში ამიტომაც აღმოვჩნდი. მართალია, მოკვდა, მაგრამ თავისას მაინც მიაღწია. აი, რა დღეში ჩამაგდო! ყინავდა, ქუჩაში ერთიანად აფორიაქებული, დაჭრილი მხეცივით გარბოდა. სად წავიდე? რა თქმა უნდა, იდას დასთან, ვის ბინაშიც ერთ დროს იდასთან ერთად ცხოვრობდა. ინვალიდენშტრასეს გაუყვა, მერე აკერშტრასეზე გაუხვია, ერთ-ერთ ეზოში შევიდა და მარჯვნივ აღმართულ მეორე სახლს მიადგა.

ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ციხეში არც არასდროს მჯდარა და დრაგონერშტრასეზე არც ებრაელებთან ულაპარაკია ოდესმე. სად არის ახლა ის ბოზი? რაც მჭირს, ყველაფერი იმის ბრალია. ქუჩაში უაზროდ დახეტიალებდა და ფეხებმა, სადაც საჭირო იყო, იქ მიიყვანა. ყბა მოეღრიცა, თითები აუკანკალდა. აქეთ, აქეთ, გეთაყვა, რუბერ დი ბუმერ, რუბერ დი ბუმერ დი კიკერ დი ნელ, რუბერ დი ბუმერ...

აწკრიალდა ზარი.

- ვინ არის?

- მე.

- ვინ?

- ადამიანი, კარი გააღე.

- ღმერთო ჩემო, ეს შენ ხარ, ფრანც?

- გააღე!

რუბერ დი ბუმერ დი კიკერ დი ნელ. ენაზე დაგრეხილი ძაფი გაიწელა, სად გადააფურთხოს? იგი დერეფანში დგას, ქალი მის უკან კარს კეტავს.

- აქ მოსვლა როგორ გაბედე? კიბეზე ვინმემ ხომ არ დაგინახა?

- დიდი ამბავი, თუ დამინახა, ერთი მაგათი... გამარჯობა! - და ისე, რომ ნებართვა არც უთხოვია, მარცხნივ წავიდა და პირდაპირ ოთახში შევიდა. რუბერ დი ბუმერ... ეს დაწყევლილი ძაფი ისევ ენაზე აქვს, თითით ენის წვერი მოისინჯა, იქ არავითარი ძაფი არ არის. ეს ოხერი, მხოლოდ ეჩვენება, რომ აქვს. აი, უკვე ოთახშია, იგივე დივანი მაღალი საზურგით. კედელზე კაიზერი ჰკიდია. მას წითელშარვლიანი ფრანგი დაშნას უწვდის, ნიშნად იმისა, რომ ნებდება.

- აქ რა გინდა, ფრანც? შენ რა, გაგიჟდი?

- თუ შეიძლება, დავჯდები.

გნებდებით, თქვენო უდიდებულესობავ! მაგრამ კაიზერი ფრანგს დაშნას უკან უბრუნებს. აბა, როგორ, ასე უნდა მოიქცეს, წესია ასეთი.

- ახლავე წადი, გესმის? თუ არ წახვალ, ხალხს შევყრი, პოლიციას გამოვიძახებ!

- კი, მაგრამ, რატომ? რუბერ დი ბუმერ... შორი გზა გამოვიარე, ახლა აქა ვარ და წასვლას არსად ვაპირებ.

- შენ რა, უკვე გამოგიშვეს?

- გამომიშვეს, პატიმრობის ვადა გამივიდა და გამომიშვეს, - ქალს თვალებდაჭყეტილი შესცქერის, მერე დგება.

- გამათავისუფლეს, ჰოდა, მეც ავდექი და მოვედი. კი, გამოშვებით გამომიშვეს, მაგრამ ვაი, ამ გამოშვებას. იცი, რა დღეში ჩამაგდეს...

ძალიან უნდა ქალს აუხსნას, რა დღეშიც ჩააგდეს, მაგრამ პირში მოხვედრილი ძაფი ახრჩობს, დაღუპეს კაცი, ყველაფერი დამთავრდა. კანკალებს. ყმუილსაც ვერ ახერხებს და მხოლოდ ქალის ხელებს მიშტერებია.

- ადამიანო, რა გინდა, რა მოხდა?

და მოულოდნელად ჩნდებიან ათასწლოვანი, ათიათასწლოვანი მთები და ზედ მიაბიჯებენ ჯარისკაცები. მეომართა მთელი ლაშქარი ქვემეხებით, დროშებით; აქ არის კუნძულები და ამ კუნძულებზე ადამიანები სახლობენ. ეს აყვავებული ქვეყანაა და ყველაფერი ძლიერი და სანდოა - სავაჭრო ფირმები, ბანკები, ქარხნები, დისკოთეკები, ბორდელები, ექსპორტ-იმპორტი, სოციალური საკითხი. და ერთ მშვენიერ დღეს ტრრრრ, რრრ, და ისვრიან არა სამხედრო გემიდან, რადგანაც ისიც ფეთქდება, არამედ ქვემეხს. დედამიწა შეხტება, ბულბულო, ბულბულო, რა საამოდ გალობ... გემები მაღლა მიფრინავენ, ფრინველები მიწაზე ცვივიან.

- ფრანც, თავი დამანებე, ახლა ვიყვირებ. კარლი მალე მოვა. შეიძლება წუთი წუთზე გამოჩნდეს! იდასთანაც ასე დაიწყე.

რა ღირს ცოლი მეგობრებს შორის? ლონდონის სასამართლომ კაპიტან ბეკონის სარჩელი განიხილა და მისი თხოვნა განქორწინების შესახებ დააკმაყოფილა, რადგანაც ცოლი კაპიტანს მისივე მეგობარ კაპიტან ფურბერთან ღალატობდა, და მას ზარალის ასანაზღაურებლად **750** გირვანქა სტერლინგის გადახდა დააკისრა. ეტყობა, კაპიტანს თავისი ორგული ცოლი, რომელიც განქორწინების შემდეგ საყვარელზე გათხოვებას აპირებდა, ამაზე მეტად არ უღირდა.

დგანან მთები საუკუნეების განმავლობაში მყარად და მშვიდად. ამ მთაგრეხილებზე კი ლაშქარი ლაშქარს მიუყვება ქვემეხებითა და სპილოებით, და რა უნდა ვქნათ ჩვენ, ადამიანებმა, თუ ამ მთების შიგნით ერთხელაც რაღაც აფეთქდება, აგრუხუნდება, რრრრ... და ისინი გაიპობიან, დასკდებიან, ქვა-ღორღად ჩამოიშლებიან. ალბათ, ეს აღსასრული იქნება, რამეთუ ვეღარაფერს ვიზამთ. ამაზე ლაპარაკიც არ ღირს.

მინა ხელების გათავისუფლებას ცდილობს. ამაოდ. კაცის თვალები ზუსტად ქალის თვალების წინ არის დარჭობილი. ყურადღება, მამაკაცის სახეზე ლიანდაგებია დაგებული, ლიანდაგებზე კი მატარებელი გარბის, გრუხუნებს, კვამლს ბოლქვებად ისვრის – სწრაფი მატარებელი. ბერლინი- ჰამბურგი-ალტონა. გადის - **18.05**. - ჩადის **21.40**. ანუ **3** საათსა და **35** წუთში, ვერაფერს გახდები. ასეთ მამაკაცებს რკინის მკლავები აქვთ. ასეთი რკინის მარწუხებისგან კი თავის დაღწევა შეუძლებელია.

მინა ყვირის:

- მიშველეთ!..

არადა, უკვე ნოხზე წევს. მამაკაცის ჯაგარმოდებული ლოყები. ის იდას დაა, კაცი იდას ხანდახან ასეთი თვალებით უყურებდა. ახლა კაცს ის, მინა კი არა, იდა ჰყავს მკლავებში მომწყვდეული. ამიტომ დახუჭა თვალები და სახე ბედნიერებისგან გაუნათდა. დაავიწყდა ყველაფერი: ის, რომ იდა ცემით სიკვდილის პირამდე მიიყვანა, სიბინძურეში ყურებამდე რომ იყო ჩაფლული, ციხეში რომ იჯდა. ახსოვდა მხოლოდ ტრეპტოვის ბაღი „პარადიზი“, სადაც რომელიღაც დღესასწაულზე ერთმანეთი გაიცნეს, ფეიერვერკს უცქერდნენ, მერე კი ფრანცმა მკერავი გოგონა შინ მიაცილა. მაშინ იდამ ბალაგანში პატარა ფაიფურის ვაზა მოიგო. იმ საღამოს ბიჭმა სადარბაზოში გოგონას სახლის გასაღებით ხელში, იდას პირველად აკოცა, მას ქერელის ტილოს ფეხსაცმელები ეცვა და თითის წვერებზე აიწია. გასაღები იატაკზე დავარდა, ფრანცი კი გოგონას ტუჩებს ვეღარ მოსწყდა. ჰო, ეს ძველი, კარგი ფრანც ბიბერკოპფი გახლავთ.

ახლა კი ქალის სურნელს დანატრებული კაცი ქალის ყელს ქვემოთ ფოსოს უკოცნის, ყნოსავს, ჰო, იგივე გლუვი კანი, იგივე სურნელი, თავბრუ ესხმის, - რამე გამომივა? არადა, დასაც რა უცნაური გრძნობა დაეუფლა! ნებას დაჰყვა. მართალია, ეწინააღმდეგება, მაგრამ სრულად გადასხვაფერდა. დაძაბულობა გაუქრა, ხელებს კაცის მოსაშორებლად ძალა აღარ შესწევთ, ბაგეები მოუდუნდა.

ფრანცი კი დუმს. მის ბაგეებს ქალის ბაგენი წინააღმდეგობას აღარ უწევენ. მეტიც, კოცნას კოცნითვე პასუხობენ. ქალი მოდუნდა ისე, როგორც წყლით სავსე აბაზანაში: რაც გინდა, ის ქენი. და ყველაფერი ნაკადულივით მირაკრაკებს. კეთილი, მოხდეს, რაც მოსახდენია. მე ხომ ყველაფერი ვიცი, შენ რომ გიყვარდა, იმას არაფრით ჩამოვუვარდები, და შენ გინდივარ.

ჯადოსნური თრთოლა, კანკალი. აკვარიუმში ოქროს თევზები ბრწყინავენ. მთელი ოთახი კაშკაშებს. ეს უკვე აკერშტრასე არ არის, არც სახლი, არც სიმძიმის ძალა, არც ცენტრიდანული ძალები. სადღაც გაქრნენ, უკვალოდ, ისე, თითქოს მზის ძალთა ველში წითელ სხივთა გადახრა არც არასდროს ყოფილა, აღარ არსებობს აირების კინეტიკური თეორია, არც სითბოს მუშაობად გარდაქმნის თეორია, არც ელექტრონული რხევები, არც ელექტრომაგნიტური ინდუქცია, არც მეტალების,

სითხეების, არამეტალი საგნების სიმკვრივე.

ქალი იატაკზე წევს, აქეთ-იქეთ ტრიალებს. კაცი იცინის, იზმორება, ამბობს:

- თუ გინდა, დამახრჩვე, ამის ძალა თუ გეყოფა. არ გავინძრევი.

- მაგის ღირსი ნამდვილად ხარ.

კაცი დგება, ბედნიერებისა და ნეტარებისგან თავბრუდასხმული ოთახში ტრიალებს. საყვირები რას გუგუნებენ: ჰუსარებო, წინ, ალილუია! ფრანც ბიბერკოპფი ისევ აქ არის! ამ ქვეყანას დაუბრუნდა! ბიბერკოპფი თავისუფალია! შარვალს იცვამს, ფეხს ინაცვლებს, ერთ ადგილზე ტოკავს. ქალი სკამზე ჯდება, ცოტაც და, ატირდება.

- ჩემს ქმარს, კარლს ყველაფერს ვეტყვი. კარგი იქნებოდა, იქ კიდევ ოთხი წელი დაეტოვებინეთ.

- მიდი, მინა, კარლს უთხარი, არ მოგერიდოს!

- დიახ, ვეტყვი, ახლა კი პოლიციის მოსაყვანად წავალ.

- მინა, მინაკენ, ნუ ხარ ასეთი ბოროტი, ჩემი სული მღერის, გული მღერის, ისევ ადამიანად ვიქეცი, შეგიძლია ამის გაგება?

- ნამდვილად გაგიჟდი. ეტყობა, ტეგელში ტვინი დაგიზიანეს.

- მწყურია, ყავა ან სხვა რამე შენს სახლში არ მოიძებნება?

- წინსაფრის საფასურს ვინ გადამიხდის, ხედავ, როგორ დამიხიე.

- ვინ, თუ არა ფრანცი? დიახ, ფრანცი გადაგიხდის. ფრანცი ისევ ცოცხალია, ფრანცი ისევ აქ არის!

- მაგ ლაპარაკს ჯობს, შლაპა აიღო და აქედან გაქრე! თორემ თუ კარლმა მოგისწრო, კარგი დღე არ დაგადგება. მით უმეტეს, რომ თვალი ჩალურჯებული მაქვს. და ჩემი სახლის გზა დაივიწყე, გაიგე? აღარ მოხვიდე.

- ადიო, მინა!

მეორე დილას კი ისევ გამოცხადდა, ხელში პატარა ფუთით. ქალს მისი სახლში შეშვება არ უნდოდა, მაგრამ ფრანცმა გამოღებულ კარში ფეხი შედგა. მინამ ღრიჭოდან ჩურჩულით უთხრა:

- ფრანც, გასაგებად გითხარი, აღარ მოხვიდე-მეთქი.

- მინა, წინსაფარი მოგიტანე.

- რა წინსაფარი?

- აი, ნახე, აირჩიე.

- ეგ წინსაფარი არ მჭირდება, ალბათ, მოიპარე.

- არ მომიპარავს, გააღე რა!

- ადამიანო, წადი აქედან, მეზობლები დაგინახავენ.

- მინა, გააღე.

როგორც იქნა, მინამ კარი გააღო, კაცმა შეკვრა ოთახში მაგიდაზე დააგდო, მინა კი, ცოცხით ხელში, ისევ კართან იდგა. მაშინ ფრანცმა ოთახში ტრიალი მარტომ დაიწყო.

- ეჰ, მინა, რა კარგია! მთელი დღე რაღაც მიხაროდა. ღამით კი დამესიზმრე.

ფუთა გახსნა, მინა მიუახლოვდა, ქსოვილი თითებით გასინჯა, მერე სამი წინსაფარი აარჩია, მაგრამ როცა ფრანცმა ხელზე ხელი წაავლო, უკან გამოჰგლიჯა. კაცმა დარჩენილი წინსაფრები აკრიფა, ისევ გაახვია, მინა კი მის წინ ცოცხით იდგა და აჩქარებდა:

- აბა, დაუჩქარე და აქედან წადი.

კაცი კართან რომ მივიდა, ქალს ხელი დაუქნია:

- ნახვამდის, მინაკენ.

მინამ კარი ცოცხის ტარით მიხურა.

ერთი კვირის შემდეგ ფრანცი ისევ ქალის ბინის კარის წინ იდგა.

- მხოლოდ იმის გასაგებად მოვედი, თვალი როგორ გაქვს.

- კარგად, შენ კი აქ არაფერი გესაქმება.

კაცი ჯანზე მოვიდა, ძალ-ღონე მოიკრიბა; ლურჯი ზამთრის პალტო ეცვა და ყავისფერი ქვაბქუდა ეხურა:

- მინდოდა გენახე, როგორ გამოვიყურები.

- ეგ სულ არ მაინტერესებს.

- ფინჯანი ყავით მაინც გამიმასპინძლდი.

ამ დროს კიბეზე ნაბიჯების ხმა გაისმა. ვიღაც დაბლა ჩამოდიოდა, საფეხურებზე ბურთი დაგორდა. ქალს შეეშინდა, კარი ფართოდ გააღო, დაუპატიჟებელ სტუმარს ხელი წაავლო და შიგ შეათრია.

- აქ იდექი, ეს ლუმკეები არიან, მეზობლები, ზემოთ ცხოვრობენ, ასე, ახლა შეგიძლია წახვიდე.

- ყავა მაინც დამალევინე. დავიჯერო ამ სახლში ჩემთვის ფინჯანი ყავა არ მოიძებნება!

- შენ რა, აქ ყავის დასალევად მოხვედი? ოჰ, როგორ გამოპრანჭულხარ, ჩანს, უკვე ვიღაც გაიჩინე!

- ყავას დამალევინებ თუ არა?

- ჩემი გაუბედურება რატომ გადაწყვიტე, ფრანც?

ქალი შემოსასვლელში პალტოების საკიდთან იდგა, კაცი - სამზარეულოს კარში და ძაღლივით მავედრებელი თვალებით შესცქეროდა. ქალმა სახეზე ახალი ლამაზი წინსაფრის კალთა აიფარა და ატირდა.

- ფრანც, ნუ მტანჯავ.

- კი მაგრამ, რა ხდება?

- კარლმა ჩალურჯებულ თვალზე შეთხზული ზღაპარი არ დაიჯერა. როგორ შეიძლება კარადის კარს ადამიანმა თვალი ეგრე მიარტყასო, მითხრა. თითქოს არ შეიძლება მიარტყა, მაგალითად, ღია კარს. სცადოს ერთი თვითონ. მაგრამ ეს რატომღაც არ სჯერა, არ ვიცი, რატომ. არ მიჯერებს და მორჩა.

- თუ იცი, რატომ, მინა?

- შეიძლება იმიტომ, რომ ნაკაწრები აქ, ყელზე მაქვს. ეს ნაკაწრები თავიდან ვერ

შევამჩნიე და როდესაც კარლმა სარკესთან დამაყენა და მკითხა, შენს ყელზე ესენი საიდან გაჩნდაო, ხმა ვეღარ ამოვიღე.

- ჰა, ხომ შეიძლება ადამიანმა გაიკაწროს, მაგალითად, დავარცხნის დროს თმას ყელიც მიაყოლოს, ან კიდევ სხვანაირად. ყელის დაკაწვრის ბევრი საშუალება არსებობს. ისე, ეგ შენი კარლი ეგრე რატომ დაგცინის? მე, მაგალითად, მაგას უცბად დავამშვიდებდი.

- თანაც შენც თითქმის ყოველდღე მოდიხარ. ამ ლუმკეებმა, ალბათ, უკვე შეგამჩნიეს.

- ეგ არაფერი.

- არა, ფრანც, ჯობს, წახვიდე და უკან აღარასოდეს დაბრუნდე. იცოდე, გამაუბედურებ.

- რამე წინსაფარზეც ხომ არ უთქვამს?

- წინსაფრების ყიდვას დიდი ხანია ვაპირებდი.

- კარგი, მინა, წავალ.

ფრანცმა ქალს ყელზე ხელი მოხვია და ქალმა ხელი არ ჰკრა. კაცს მინას ხელი ეკავა, დიდხანს და ისე უბრალოდ, ქალმა იგრძნო, ხელზე როგორ ნაზად ეფერებოდა, გაკვირვებულმა კაცს სახეში შეხედა და წაიბუტბუტა:

- კარგი, ფრანც, წადი რა.

მან კი რბილად მოქაჩა ქალს და ოთახისკენ წაიყვანა. ის ჯიუტობდა, მაგრამ კაცს ფეხდაფეხ მიჰყვებოდა. ბოლოს ვერ მოითმინა და ჰკითხა:

- ფრანც, ნუთუ ყველაფერი ისევ განმეორდება?

- რატომ, არ შეიძლება ცოტა ხანს დავსხდეთ და ვისაუბროთ?

მერე ერთხანს დივანზე ერთმანეთის გვერდით მშვიდობიანად ისხდნენ და საუბრობდნენ. მერე კი ქალის ძალდაუტანებლად კაცი ადგა და წავიდა. ქალმა კარამდე მიაცილა.

- აღარასოდეს მოხვიდე, ფრანც, - ატირდა ქალი და თავი კაცის მკერდში ჩარგო.

- ეშმაკმა იცის, მინა, ადამიანისთვის რისი გაკეთება შეგიძლია. ვითომ რა მოხდება, ხანდახან რომ შემოგიარო? მაგრამ თუ არ გინდა, იყოს ნება შენი, არ მოვალ.

ფრანცის ხელი მაგრად ეჭირა, არ უშვებდა და თან ეუბნებოდა:

- არა, ფრანც, აღარ მოხვიდე.

ფრანცმა კარი გააღო, ქალს კი მისი ხელი ისევ ეკავა და ძლიერად უჭერდა. მერე კი უკან დაიხია და კარი უხმაუროდ დახურა. ფრანცმა იქვე ახლოს, საყასბოში ორი დიდი ნაჭერი ხბოს ფილე იყიდა და მინას გაუგზავნა.

ფრანცი საკუთარი თავისა და მთელი ქვეყნის წინაშე ფიცს დებს, რომ ბერლინში პატიოსნად იცხოვრებს, მიუხედავად იმისა, ფული ექნება თუ არა

ბერლინში ფეხზე უკვე მყარად დგას - თავისი ძველი ავეჯი ფულად აქცია, ორიოდე გროში ტეგელშიც დაზოგა, ცოტაოდენი თანხა ავანსად მისმა დიასახლისმა და მეგობარმა მექმაც მისცეს, - და სწორედ ამ დროს - პირველი ძლიერი დარტყმა. მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ როგორც ქუხს, ისე არ წვიმს; ანუ დარტყმა არც ისეთი ძლიერი აღმოჩნდა.

ერთ მშვენიერ დღეს მაგიდაზე მომცრო ყვითელი ფურცელი აღმოაჩინა. ეს ბლანკზე, საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი ოფიციალური შეტყობინება იყო:

„პოლიციაპრეზიდიუმი, მეხუთე განყოფილება, რიცხვი და ნომერი. აღნიშნულ საქმეზე განცხადებების შემთხვევაში, გთხოვთ ზემოთ აღნიშნული ნომერი მიუთითოთ. ჩემთვის წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, თქვენ სასჯელი მოიხადეთ იმის გამო, რომ თქვენ მიერ მიყენებული ფიზიკური შეურაცხყოფის გამო ადამიანი გარდაიცვალა. ამდენად, საზოგადოებისთვის საშიში პირი ბრძანდებით. ამიტომ ჩემთვის მონიჭებული უფლებით და **1842** წლის **31** დეკემბრის კანონის მე-**2** პარაგრაფისა და **1867** წლის **1**-ლი ნოემბრის კანონის თავისუფალი გადაადგილების შესახებ მე-**3** პარაგრაფის, აგრეთვე **1889** წლის **12** ივნისის და **1900** წლის **13** იანვრის კანონების თანახმად, თქვენ ადმინისტრაციული წესით გეკრძალებათ ცხოვრება

ბერლინსა და მის შემოგარენში: კერძოდ: შარლოტენბურგში, ნოიკელნში, ბერლინ-შონებერგში, ვილმერსდორფში, ლიხტენბერგში, შტრალაუში, აგრეთვე ბერლინ-ფრიდენაუს, შმარგენდორფის, ტემპელჰოფის, ბრიტცის, ტრეპტოვის, რეინიკენდროფის, ვაისუნზეეს, პანკოვისა და ბერლინ- ტეგელის რაიონებში. ამიტომ ვალდებული ხართ შეტყობინებიდან ორი კვირის განმავლობაში დატოვოთ ის რაიონი, სადაც ცხოვრება გეკრძალებათ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ვადის გასვლის შემდეგ აღმოჩნდება, რომ იმ რაიონში ცხოვრობთ, სადაც ცხოვრება გეკრძალებათ ან ვთქვათ, უკან დაბრუნდით, ამოქმედდება მეორე კანონის **132**-ე პარაგრაფის ნაწილი საადგილმამულო ადმინისტრაციის საერთო უფლებამოსილების შესახებ და ამ კანონის თანახმად დაჯარიმდებით **100** მარკით. იმ შემთხვევაში, თუ ამ თანხის გადახდას ვერ შეძლებთ, მაშინ ჯარიმა **10** დღის პატიმრობით შეგეცვლებათ. ამავე დროს გაცნობებთ, რომ თუ საცხოვრებლად აირჩევთ ბერლინის ირგვლივ დასახლებულ პუნქტებს: პოტსდამს, შპანდაუს, ფრიდრიხსფელდს, კარლსჰორსტს, ფრიდრიხსჰაგენს, ობერშონევაიდერსა და ვულჰაიდერს, ფიხტენაუს, რანსდორფს, კაროუს, ბუხს, ფრონაუს, კოპენიკს, ლანკვიცს, შტეგლიცს, ცელენდორფს, ტელტოუს, დალემს, ვანზეეს, კლაინ-გლინიკეს, ნოუავეს, ნეუენდორფს, ეიხეს, ბორნიმსა და ბორშტედს, მაშინ თქვენ ზემოთ აღნიშნული პუნქტებიდან ადმინისტრაციული წესით გამოგასახლებენ. ხელმოწერა. ბეჭედი. ფორმა **№968** ა“.

წაიკითხა. ცივმა ოფლმა დაასხა. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ქალაქის სადგურთან, ალექსანდერპლაცთან ახლოს გრუნენშტრასეს **№1**-ში არის ერთი მშვენიერი დაწესებულება - ყოფილი პატიმრების დასაქმების სამმართველო. იქ ფრანცი კარგად შეათვალიერეს, რამდენიმე შეკითხვა დაუსვეს და ხელმოწერილი ქაღალდი მისცეს: „ბატონი ფრანც ბიბერკოპფი ჩვენი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, სისტემატურად შევამოწმებთ, მუშაობს თუ არა და პოლიციის განყოფილებაში თვეში ერთხელ რეგისტრაციას გაივლის“. სულ ეს არის, წერტილი, ყველაფერი კარგად არის, თავი ქუდში აქვს.

გაქრა შიში, დაავიწყდა ტეგელი, წითელი კედლები, კვნესა და ოხვრა. რაც იყო, იყო. დღეიდან ახალ ცხოვრებას ვიწყებ, ძველი წარსულს ჩაჰბარდა. ფრანც ბიბერკოპფი დაბრუნდა, პრუსიელებს უხარიათ და ყვირიან ვაშას.

ამ კეთილად დაგვირგვინებული მოვლენის შემდეგ ბიბერკოპფი უსაქმურობდა, მუცელს ხორცით,

კარტოფილითა და ლუდით იყორავდა. ერთხელ კი დრაგონერშტრასეზე ებრაელებს ეწვია, მადლობის გადასახდელად. წონაში ასე მომატებული, გამოწკეპილი ნაციხარი სიძე-ცოლისძმამ ვერ იცნო. ფრანცი კონიაკის სურნელს აფრქვევდა, მან შლაპა თავაზიანად პირზე აიფარა და ჩურჩულით იკითხა: ხანდაზმული ბატონის შვილიშვილები ისევ ავად არიან თუ გამოჯანმრთელდნენ? ლუდხანის კუთხეში, თეჯირს მიღმა, სადაც ფრანცი დაუდგრომელ მოკამათეებს ლუდით უმასპინძლდებოდა, ებრაელებმა ჰკითხეს, რას საქმიანობთო?

- მე და საქმიანობა? არაფერსაც არ ვსაქმიანობ. ცხოვრების დინებას მივყვები.

- აბა, ფული საიდან გაქვთ?

- დანაზოგი მქონდა, ცოტა კიდევ დამრჩა.

ფრანცმა ნახუმს იდაყვი ფერდში გაჰკრა, მერე ნესტოები დაბერა, ეშმაკური,

იდუმალი გამომეტყველება მიიღო და უთხრა:

- გახსოვთ, ცანოვიჩის ისტორია რომ მიამბეთ? აი, ეგ იყო ნამდვილი ვაჟკაცი! ყოჩაღ! მართალია, მერე სული გააფრთხობინეს, მაგრამ მაინც. რამდენი რამე იცით, მეც მინდა იმ ცანოვიჩივით თავი პრინცად გავასაღო და უნივერსიტეტში ვისწავლო. თუმცაღა სწავლას ვერ მოვახერხებთ. ალბათ, ცოლს შევირთავთ.

- ბედნიერებას გისურვებთ.

- ქორწილში დაგპატიჟებთ. ალბათ, გვეწვევით. კარგად გაგიმასპინძლდებით. საჭმელ-სასმელი უხვად იქნება.

წითური ნახუმი ნიკაპს აწვალებდა და ფრანცს ყურადღებით ათვალიერებდა.

- ერთ ამბავს მოგიყვებით. იქნებ ამჯერადაც მომისმინოთ: იყო ერთი კაცი, ჰქონდა ბურთი. ჩვეულებრივი, ისეთი, ბავშვები რომ თამაშობენ, მაგრამ რეზინის კი არა, ცელულოიდისა იყო და შიგ საფანტი ეყარა (პატარა, მრგვალი, რკინის ბურთულები). ისე, რომ ბავშვებისთვის ის ბურთიც იყო და ჟღარუნაც. ამ კაცმა აიღო ეს ბურთი, ისროლა და გაიფიქრა: შიგ ხომ საფანტი ყრია, ამიტომ, სადაც მე ვვარაუდობ, იქ დაეცემა და ადგილზე დარჩება. მაგრამ რომ ისროლა ბურთი, კაცი რომ ვარაუდობდა, ისე არ გაფრინდა, მეტიც, დაცემისას კიდევ ერთხელ შეხტა და ოდნავ გვერდით

გაგორდა, ასე, ორი მტკაველის დაშორებით.

- ნახუმ, ამ კაცს თავი დაანებე, შენი ზღაპრები არაფერში
სჭირდება. სქელი ფრანცი კი:
- მერე, ბურთს რა მოუვიდა? ვერ გამიგია, ახლა ერთმანეთს რატომღა დაეძგერეთ? ბატონო მეპატრონევ, ერთი ამ ორს შეხედეთ, რაც ამათ ვიცნობ, სულ ასე ჩხუბობენ.

- ჩხუბობენ და იჩხუბონ! ადამიანებს ვერ გადააკეთებ. ჩხუბი კი ღვიძლისთვის
კარგია. წითური:
- თქვენ კი აი, რას გეტყვით, თქვენ ქუჩაში, მერე კი ეზოში შეგხვდით, თქვენი
სიმღერაც
მოვისმინე, უნდა გითხრათ, რომ კარგად მღერით. კარგი ადამიანი ბრძანდებით. მაგრამ ცეცხლს ნუ ეთამაშებით. დამშვიდდით, დაწყნარდით. მოთმინება, აი, რა არის ამ სამყაროში ყველაზე მთავარი. ვიცი, რა გინდათ და ღმერთმა კი სამომავლოდ რა გაგიმზადათ. იცით, ბურთი, ჩვენ რომ ვვარაუდობთ, იქით არ მიფრინავს, შეიძლება იქითაც მიფრინავს, მაგრამ სულ მთლად არა, ოდნავ შორს ვარდება, ან ოდნავ მარცხნივ, ან მარჯვნივ, შეიძლება ძალიან შორსაც კი.

ფრანცმა თავი უკან გადასწია, ხელები ფართოდ გაშალა და წითურს სიცილით გადაეხვია:

- მართლაც თხრობის დიდოსტატი ხართ, ნამდვილი დიდოსტატი.
მაგრამ ფრანცს რაღაც გამოცდილება აქვს. ფრანცი ცხოვრებას იცნობს. ფრანცმა საკუთარი თავის ფასი და ყადრი იცის.

- რა ვიცი, ამ ცოტა ხნის წინ კი ძალიან სევდიანად მღეროდით.

- რაც იყო, წარსულს ჩაჰბარდა! ახლა კარგად ვარ. ჩემი ბურთი სწორად მიფრინავს. აბა, ადიო! და როცა ცოლს შევირთავ, ქორწილში აუცილებლად უნდა მეწვიოთ!

ასე და ამგვარად, მეცემენტე და მერე კი ავეჯის მტვირთავი ფრანც ბიბერკოპფი, ერთი უხეში, გაუთლელი და არცთუ მიმზიდველი გარეგნობის ახალგაზრდა ისევ ბერლინის ქუჩებში დააბიჯებს. იყო დრო, ეს ახალგაზრდა ერთ ლამაზ გოგონას უყვარდა. გოგონა მუშის ოჯახიდან იყო, მამამისი ზეინკალი გახლდათ. მან კი გოგონა მეძავად აქცია და მერე ისე სცემა, რომ საწყალი გარდაიცვალა. ახლა კი ბიბერკოპფმა საკუთარი თავისა და ქვეყნის წინაშე ფიცი დადო, რომ

პატიოსნად იცხოვრებდა. და სანამ ფული ჰქონდა, მართლაც პატიოსნად ცხოვრობდა. მერე კი, როცა ფული შემოელია, ყველასთან თავის უპირატესობის დამტკიცებას ცდილობდა.

წიგნი მეორე

ამგვარად ჩვენი გმირი ბერლინში ბედნიერად ჩამოვიყვანეთ. დაიფიცა: პატიოსნად ვიცხოვრებო და ახლა იშვა კითხვა: ჩვენი თხრობა აქ ხომ არ დავამთავროთ? ეს ნაწარმოები ხომ თავადვე მოითხოვს ბედნიერსა და კეთილ დასასრულს. და თუ წერტილს დავსვამდით, მაშინ ამ მოთხრობას მხოლოდ ერთადერთი ღირსება ექნებოდა: სიმოკლე, ანუ დაადასტურებდა ნათქვამს: გრძლად თქმულ სიტყვას მოკლედ ნათქვამი სჯობს.

მაგრამ ეს ფრანც ბიბერკოპფი ნებისმიერი ადამიანი არ არის და იგი თავშესაქცევად კი არ გამიცოცხლებია, არამედ მინდოდა მისი მძიმე, ჭეშმარიტი და ჭკუის სასწავლებელი ცხოვრება მასთან ერთად გამევლო.

ფრანც ბიბერკოპფს თავს დიდი უბედურება დაატყდა. მაგრამ ახლა ქალაქ ბერლინში ფართოდ განზე გადგმული ფეხებით მყარად დგას. და თუ ამბობს, მინდა პატიოსნად ვიცხოვროო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ასეც იქნება.

თქვენ თავად ნახავთ, რომ რამდენიმე კვირის განმავლობაში მართლაც პატიოსნად და წესიერად იცხოვრებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დროებითი აღმოჩნდება.

ოდესღაც სამოთხეში ორი ადამიანი ცხოვრობდა: ადამი და ევა. ეს ორი აქ ღმერთმა მოათავსა. იმ ღმერთმა, რომელმაც შექმნა ცხოველები და მცენარეები, ცა და დედამიწა, სამოთხე კი უმშვენიერესი ედემის ბაღი იყო. ბაღში ყვავილები და ხეები ხარობდნენ, ირგვლივ ცხოველები ნავარდობდნენ და ერთმანეთს არას ერჩოდნენ. მზე ამოდიოდა და ჩადიოდა, მთვარეც მზეს ჰბაძავდა. ისიც ამოდიოდა და ჩადიოდა, სამოთხეში მთელი დღის განმავლობაში მხოლოდ მხიარულება სუფევდა.

მოდი, ჩვენც მხიარულად დავიწყოთ. ვიმღეროთ და ვიცეკვოთ, ხელებით ტაში დავუკრათ, ფეხები დავაბაკუნოთ, ერთი ნაბიჯი მარცხნივ, ერთი ნაბიჯი მარჯვნივ,

დავტრიალდეთ, ეს მართლაც არ არის ძნელი.

ფრანც ბიბერკოპფი ბერლინში შედის

ვაჭრობა და მრეწველობა

ქალაქის დასუფთავების სამსახური და საჭაპანო ტრანსპორტი

ჯანმრთელობის დაცვა

მიწისქვეშა სამუშაოები

ხელოვნება და განათლება

ტრანსპორტი

შემნახველი სალაროები და სახელმწიფო ბანკები

ვაზის მეურნეობა

სახანძრო სამსახური

ფინანსური და საგადასახადო ზედამხედველობა

შპანდაუერბრიუკეს ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთი **№10**-ის რუკა და გეგმა ყველა დანართით, მსურველებს შეუძლიათ გაეცნონ. იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი აქ სახლის აშენებას მოინდომებს, უნდა გაითვალისწინოს, რომ გარეთა კედელზე როზეტის დამონტაჟება ეკრძალება. ყველა დაინტერესებულ პირს ეძლევა შესაძლებლობა, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, ამ გეგმის თაობაზე პრეტენზიები კანონით განსაზღვრულ დროში წერილობით ან სიტყვიერად განაცხადოს. წერილობითი პრეტენზიები და შენიშვნები უნდა ჩაჰბარდეს რაიონული მაგისტრატის სამმართველოს. მისამართი: ცენტრი **2**, კლოსტერშტრასე **68**, ოთახი **76**. სიტყვიერი განცხადებები შეტანილი იქნება პროტოკოლში.

ბატონი პოლიციაპრეზიდენტის თანხმობით, ჩემს სანადირო ადგილებს დროებით არენდით გადავცემ ბატონ ბოტიხს. შეთანხმების ვადის გასვლამდე ეგრეთ წოდებული დამპალი ტბის პარკში ველურ ბოცვრებზე და სხვა მავნე ცხოველებზე ნადირობა შეიძლება: **1928** წლის საზაფხულო სეზონში - **1**-ლი აპრილიდან **30** სექტემბრამდე, ზამთრის სეზონში - **1**-ლი ოქტომბრიდან **31** მარტამდე, ყოველდღე, საღამოს **8** საათამდე. აქვე გაუწყებთ და გაფრთხილებთ ყველა ნადირობის მოყვარულს: ზემოთ აღნიშნულ ნაკვეთს მხოლოდ აღნიშნულ თვეებსა და საათებში ეწვიოთ. ხელს აწერს ობერბურგომისტრი ადგილობრივ მონადირეთა საზოგადოების შეფის უფლებით.

ბეწვეულის საამქროს ოსტატი ალბერტ პანგელი მაგისტრატის კომისიებში სხვადასხვა არჩევით თანამდებობაზე ოცდაათწლიანი მოღვაწეობის შემდეგ ამ საპატიო ვალდებულებაზე ხანდაზმულობისა და სხვა ოლქში გადასვლის გამო უარს ამბობს. იგი მრავალი წლის განმავლობაში გახლდათ კეთილმოწყობის კომისიის თავმჯდომარე და შეთავსებით სოციალური უზრუნველყოფის ინსპექტორი. ბატონ პანგელს რაიონულმა სამმართველომ ქვეყნისთვის გაწეული სამსახურისთვის მადლობის ნიშნად ადრესი გადასცა.

* * *

როზენტალერპლაცი ერთობა.

ცვალებადი, მაგრამ მშრალი ამინდი. ტემპერატურა მინუს ერთი გრადუსი. გერმანიის მთელ ტერიტორიაზე გავრცელებული ციკლონი მალე ამინდს მკვეთრად შეცვლის. წნევის უმნიშვნელო, მაგრამ ხანგრძლივმა ცვლილებებმა ციკლონის სამხრეთისკენ ნელ-ნელა გადაადგილება გამოიწვია, რაც ნიშნავს, რომ იქ უახლოეს დღეებში მოსალოდნელია ავდარი და ტემპერატურის შემდგომი დაცემა.

ტრამვაი **№68**-ის მარშრუტი: ვიტენაუ, ჩრდილოეთის სადგური, საავადმყოფო, ვედინგპლაცი, შტეტინის სადგური, როზენტალერპლაცი, ალექსანდერპლაცი, შტრაუსბერგერპლაცი, სადგური ფრანკფურტერალეე, ლიხტენბერგი, ფსიქიატრიული საავადმყოფო ჰერცბერგე.

ბერლინის სამმა სატრანსპორტო საწარმომ: ტრამვაის, მეტროს (მიწისზედა და

მიწისქვედა) და ავტობუსების - ერთი და იგივე ტარიფი დააწესა. მოზრდილებისთვის ბილეთი 20 პფენიგი ღირს, მოსწავლეებისთვის - ათი. მგზავრობისას შეღავათებით სარგებლობენ ბავშვები 14 წლამდე, სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებების შეგირდები, ხელმოკლე სტუდენტები, ომის ინვალიდები და სხვა ინვალიდები, რომლებსაც რაიონული მზრუნველთა დაწესებულებების ცნობები აქვთ. გაეცანით მარშრუტის რუკას. ზამთრის თვეებში ამომსვლელთა და ჩამსვლელთათვის წინა კარი არ იღება. ვაგონში 39 დასაჯდომი ადგილია. №5918, გთხოვთ, თქვენთვის საჭირო გაჩერებაზე ჩასასვლელად დროულად მოემზადოთ! ვაგონის მძღოლს მგზავრებთან ლაპარაკი ეკრძალება, სვლის დროს ვაგონში ასვლა და ჩამოსვლა სიცოცხლისათვის სახიფათოა.

შუა როზენტალერპლაცზე გაქანებული №41 ტრამვაიდან მავანი ხელში ორი ყვითელი პაკეტით ჩამოხტა და ტაქსიმ წესრიგის დამრღვევს ისე ახლოს ჩაუარა, რომ იგი ბეწვზე გადარჩა. და ამ ყველაფერს ხედავს შუპო, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, მის გვერდით მაშინვე ჩნდება ტრამვაის კონტროლიორი, შუპო და კონტროლიორი ერთმანეთს ხელის ჩამორთმევით ესალმებიან: ამ ღვთის მონას ძალიან გაუმართლა, ყვითელი პაკეტები დაბლა რომ არ დაუცვივდა.

ნაყინებით ბითუმად ვაჭრობა; დოქტორი ბერგელი. ნაფიცი მსაჯული და ნოტარიუსი; ლუკუტატი, ინდური სპილოების გამაახალგაზრდავებელი საშუალება, ფრომის პრეზერვატივები, დამზადებულია მსოფლიოში საუკეთესო რეზინისგან. ეს ყველასთვის აუცილებელი რამ არის. უამისოდ ფონს ვერ გახვალთ.

მოედნიდან ჩრდილოეთისკენ, ბრუნენშტრასე, გრძელი და ფართო გზა მიდის. ქუჩის მარცხენა მხარეს, ჰუმბოლდჰაინთან მისვლამდე, AEG-ს შენობა დგას. ეს კოლოსალური კომპანიაა. 1928 წლის სატელეფონო წიგნს თუ დავუჯერებთ, იგი მოიცავს: ელექტროსადგურს, ცენტრალურ სამმართველოს ფრიდრიხ-კარლის სანაპიროზე, №2-4, ადგილობრივ კომუტატორს, საქალაქთაშორისო კომუტატორს, დირექციას, გამჭოლ გასასვლელს, ელექტროსამრეწველო ბანკს A.Y., ელექტრომოწყობილობების განყოფილებას, რუსეთში კონცესიების განყოფილებას, ობერშპრეეს ლითონის საწარმოებს, ტრეპტოვის ელექტრომოწყობილობათა ქარხნებს, ფაბრიკას ბრუნენშტრასეზე, ჰენინგსდორფის ქარხნებს, საიზოლაციო მასალების

ქარხანას, ქარხანას რაინშტრასეზე, საკაბელო ქარხანას ობერშპრეეში, ტრანსფორმატორების ქარხანას ვილჰელმინენჰოფშტრასესა და რუმელსბურგშოსეზე, და ბოლოს, გუტენშტრასეს **№12-16-**ში მდებარე ტურბინების ქარხანას.

ბოლო მოედანს მარცხნიდან ერტყმის ინვალიდენშტრასე. ეს ქუჩა შტეტინის სადგურამდე მიდის, აქ მატარებლები ბალტიისპირეთიდან ჩამოდიან. „ღმერთო, სულ გამურული ხარ!“ „ჰო, ვაგონში ფანჯარა ღია გვქონდა და სულ გავიჭვარტლე!“ „გამარჯობა“. „ნახვამდის, მალე შევხვდებით!“

„ტვირთის წაღებაში ხომ არ დაგეხმაროთ? ორმოცდაათი პფენიგი“. „შესანიშნავად გამოიყურებით“. „აჰ, ნამზეური მალე გადადის“. „ეს ხალხი მოგზაურობისთვის ფულს სად შოულობს?“ ერთ ბნელ ქუჩაზე მდებარე სასტუმროში წყვილმა თავი მოიკლა. კაცი დრეზდენიდან არის, კულინარია, ქალი კი გათხოვილი ყოფილა და პორტიესთან სხვა გვარით ჩაეწერა.

მოედანს სამხრეთიდან როზენტალერშტრასე უერთდება. მეორე მხარეს აშინგერის კაფეტერიებია. აშინგერთან სტუმრებს საჭმელსა და ლუდს სთავაზობენ. აქვე საკონცერტო დარბაზია და პურის საცხობიც. თევზი ერთობ ნოყიერი და სასარგებლო პროდუქტია. მავანთ უყვართ თევზი და სიამოვნებით მიირთმევენ, მავანთ კი თევზის დანახვაც არ შეუძლიათ. თუ გინდათ, წონაში არ მოიმატოთ, იყოთ ჯანმრთელი და თავს კარგად გრძნობდეთ, მიირთვით თევზი. ქალის წინდა, პირველი კლასის ხელოვნური აბრეშუმის. სამამულო წარმოების მუდმივი კალმის ახალი მოდელი, რომელსაც კალმის წვერი უმაღლესი სინჯის ოქროსი აქვს.

ელზასერშტრასეზე მთელი ქუჩა გადაღობილია, მხოლოდ ვიწრო გასასვლელია დატოვებული მანქანებისთვის. ღობის მიღმა ლოკომობილი ქშინავს. ბეკერი და ფიბიხი, სამშენებლო ფირმა, ბერლინ-ვესტი, **35**. ხმაური, ღრჭიალი, ვაგონები იმ კუთხემდე მიდიან, სადაც კერძო კომერციული ბანკი დგას; დეპოზიტები, პროცენტიანი ქაღალდების შენახვა, საღამოს წიგნაკებზე ფულის გაცემა, მიმდინარე ანგარიშები. ბანკის წინ ხუთი მუშა მუხლებზე დგას და ქვაფენილზე ხრეშს ყრის.

ლოტრინგერშტრასეზე, გაჩერებაზე, **№4** ტრამვაიში ოთხნი ავიდნენ: ორი ხანში შესული ქალი, მოღუშული მამაკაცი და ბიჭი ყურებიანი ქუდით. ეს ქალები ერთად არიან. ერთი ფრაუ პლიუკია, მეორე კი ფრაუ ჰოპე. ბანდაჟის მკერავთან იყვნენ. უფროსი ფრაუ ჰოპესთვის ბანდაჟი შეიძინეს, რადგანაც ამ უკანასკნელს თიაქარი აწუხებს. ახლა კი შინ მიიჩქარიან, რათა სამსახურიდან მოსულ ქმრებს სადილი დაახვედრონ. კაცი კი მეეტლე ჰაზებრუკი გახლავთ და ახლა მისი თავსატეხი

ელექტროუთოა. ეს უთო შეფს მეძველმანისგან იაფად უყიდა, მაგრამ უვარგისი გამოდგა და ორიოდე დღის შემდეგ გადაიწვა. შეფმა ჰაზებრუკს უთოს უკან დაბრუნება უბრძანა, გამყიდველი კი არ იბრუნებს. და აი, ჰაზებრუკი ამ ვაიგამყიდველებთან უკვე მესამედ მიდის: ეტყობა, დამატების გარეშე არ გამოცვლიან და დასამატებელი ფულის გაღება თავისი ჯიბიდან მოუწევს. რაც შეეხება ბიჭს, ეს მაქს რიუსტია, იგი მოგვიანებით მეთუნუქე გახდება და ქვეყანას შვიდ რიუსტს აჩუქებს. გრიუნაუში ფირმა „ჰალისი და კომპანიის“ კომპანიონი გახდება. **53** წლისა პრუსიის ლატარიაში ჯეკპოტს მოიგებს და ამის შემდეგ მშვიდად ცხოვრებას გადაწყვეტს, მაგრამ **55** წლისა სულს განუტევებს, სწორედ იმ დროს, როცა „ჰალისსა და კომპანიასთან“ მისი იქიდან გამოსვლის გამო გამართულმა პროტესტმა პიკს მიაღწია. მისი გარდაცვალების შესახებ გამოქვეყნებული სამგლოვიარო განცხადება კი ასეთი იქნება: „**25** სექტემბერს მოულოდნელად გულის შეტევით **55** წლისა გარდაიცვალა ჩემი საყვარელი ქმარი, ჩვენი ძვირფასი მამა, ვაჟიშვილი, ძმა, ცოლისძმა და ბიძა პოლ რიუსტი. რასაც ღრმა მწუხარებით იუწყება აწ დაქვრივებული მარია რიუსტი მთელი ოჯახის სახელით“, ხოლო დასაფლავების შემდეგ კი განცხადებებს შორის მოთავსებული იქნება მადლობის წერილი: „რადგანაც არა გვაქვს შესაძლებლობა... თავს დამტყდარი უბედურების გაზიარებისთვის ყველას ცალ-ცალკე და ა.შ., ამ წერილით დიდ მადლობას ვუხდით ყველა ნათესავს, ახლობელს, მეგობარს, აგრეთვე კლაისტშტრასე **№4**-ის მობინადრეებს, ნაცნობებს, განსაკუთრებულ მადლობას კი ბატონ დეინენს, მის მიერ წარმოთქმული ღრმად განცდილი და მგრძნობიარე სიტყვისთვის“. ახლა ეს მაქს რიუსტი თოთხმეტი წლის არის, დღეს ბოლო გაკვეთილიდან გაათავისუფლეს და ახლა მიდის იქ, სადაც იმ ბავშვებს, რომლებსაც აქვთ მეტყველების, სმენის, მხედველობის დეფექტი, არიან ჩამორჩენილი და ძნელად აღსაზრდელნი, კონსულტაციებს უტარებენ; ბიჭი იქ უკვე ბევრჯერ იყო, რადგანაც ენას უკიდებს, თუმცა ახლა მან დეფექტი საგრძნობლად გამოასწორა.

* * *

მომცრო ლუდხანა როზენტალერპლაცზე.

წინ ბილიარდს თამაშობენ, უკან, კუთხეში, ორნი სხედან, ჩაის სვამენ და სიგარეტს ეწევიან. ერთ მათგანს მოშვებული ლოყები აქვს, ჭაღარა თმა და ლაბადა აცვია.

- რა მოგივიდათ? რატომ ვერ ისვენებთ, დამშვიდდით.

- დღეს ბილიარდის სათამაშოდ არ წამოგყვებით, ხელები მიკანკალებს. იგი გამხმარ ფუნთუშას ლოღნის, ჩაი უცივდება.

- კეთილი, ვალდებული არა ხართ, მეთამაშოთ. აქაც კარგად ვგრძნობთ თავს.

- სულ ერთი და იგივე ისტორია მეორდება. მაგრამ ამჯერად ეს საკითხი გადაწყვეტილია.

- ვინ გადაწყვიტა?

მეორე ქერა, ჩასკვნილი ახალგაზრდაა:

- რა თქმა უნდა, მეც. თქვენ გეგონათ, მხოლოდ მათ? ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი გაირკვა.

- სხვა სიტყვებით, თქვენ გამოგაგდეს.

- შეფს ზოგიერთ სიტუაციაზე გულახდილად დაველაპარაკე, იმან კი მიყვირა, ჰოდა, დღის ბოლოს კი შეტყობინება მომიტანეს, სადაც ეწერა, რომ მომავალი თვის პირველი რიცხვიდან გათავისუფლებული ვარ.

- აი, ხედავთ, ზოგიერთ სიტუაციაზე გულახდილად ლაპარაკი არ ღირს. თქვენი შეფისთვის, ისე, სასხვათაშორისოდ რომ მიგენიშნებინათ, ვერაფერს მიხვდებოდა და სამუშაოსაც არ დაკარგავდით.

- მაგრამ მე ჯერ არ წავსულვარ, გგონიათ, ასე ადვილად შევეშვები? ახლა ვაჩვენებ მაგას სეირს. ჯერ სად არის, შავ დღეს დავაყრი. ყოველდღე, ზუსტად ორ საათზე, იქ გამოვცხადდები და სიცოცხლეს გავუმწარებ: დამიჯერეთ, ასე ადვილად თავიდან ვერ მომიშორებენ.

- ოჰ, ახალგაზრდავ, ახალგაზრდავ, მგონი, ცოლი
გყავთ, არა? ახალგაზრდამ თავი ასწია:
- უბედურება სწორედ ის არის, რომ ცოლისთვის ჯერ არაფერი მითქვამს. ვერ ვეუბნები, არ შემიძლია.

- იმედი ვიქონიოთ, რომ საქმე გამოსწორდება.

- თანაც ცოლი ფეხმძიმედ არის.

- მეორეს ელოდები?

- ჰო.

ჭაღარამ ლაბადა ტანზე მჭიდროდ შემოიხვია. მოსაუბრეს იქედნურად უღიმის, მერე

თავს აქნევს და ამბობს:

- ძალიან კარგი. ბავშვები სიმამაცეს გვმატებენ. თქვენ კი ახლა სწორედ სიმამაცე გჭირდებათ.

- ეგ რაში მჭირდება, - იფეთქებს ახალგაზრდა, - მე ახლა ფული მჭირდება. ყელამდე ვალებში ვარ ჩაფლული. ეს მარადიული გადასახადები. არა, ამის თქმა ცოლისთვის არ შემიძლია, როგორ ვუთხრა, სამსახურიდან გამომაბუნძულეს-მეთქი. იცი, მე წესრიგს ვარ მიჩვეული, ჩვენთან კი ეშმაკმა იცის, რა ხდება. შეფს გარდა თავისი ავეჯის ფაბრიკისა, სხვა არაფერი აინტერესებს, და მომაქვს თუ არა ფეხსაცმელების განყოფილებისთვის შეკვეთები, ფეხებზე ჰკიდია. სწორედ ამაშია საქმე. შეფს ისევე ვჭირდები, როგორც ურემს მეხუთე ბორბალი. მთელი დღე კანტორაში დავძრწი და ვისაც ჯერ არს ვეკითხები: „ბოლოს და ბოლოს, წინადადებები გაგზავნეთ?“ - „რომელი წინადადებები?“ - „კი მაგრამ, ეს ხომ უკვე ექვსჯერ გითხარით! მაშინ ამიხსენით ერთი, კლიენტებთან რატომღა დავრბივარ?“ თანამშრომლები მოურიდებლად დამცინიან. მაგ განყოფილებას შეფი ან დახურავს, ან არ ვიცი, რას იზამს“.

- დაწყნარდით, ჩაი დალიეთ, ჯერჯერობით მხოლოდ თქვენ გამოგაგდეს.

ბილიარდის მაგიდის მხრიდან ამ ორს სახელოებაკაპიწებული კაცი უახლოვდება, ახალგაზრდას მხარზე ხელს ადებს, ეკითხება:

- ერთი პარტია ხომ არ ვითამაშოთ?

ახალგაზრდის ნაცვლად ხანში შესული პასუხობს:

- ახლა თამაშის თავი არა აქვს, ნოკაუტშია.

- ბილიარდი ნოკაუტიდან გამოსასვლელად საუკეთესო საშუალებაა.

მოთამაშე მიდის. ლაბადიანი ცხელ ჩაის ხვრეპს. სასიამოვნოა შაქრიანი და რომიანი ჩაის ხვრეპა და სხვისი წუწუნის მოსმენა. სიმყუდროვეა ამ ყავახანაში.

- გეორგ, თქვენ რა, დღეს სახლში წასვლას არ აპირებთ?

- გაბედულება არ მყოფნის, მართლა, გაბედულება არ მყოფნის. აბა, ცოლს რა უნდა ვუთხრა? არ ვიცი, თვალებში როგორ შევხედო.

- წადით, წადით და თვალებში თამამად შეხედეთ.

- ეჰ, თქვენ ამისი არაფერი გაგეგებათ.

ჭაღარა მკერდით მაგიდაზე გადაწვება და ხელით ლაბადის კალთას სრესს.

- ჩაი დალიეთ, გეორგ, ან რამე შეჭამეთ და ზედმეტს ნუ ლაპარაკობთ. ამ საქმეში რაღაც მეც გამეგება. დიახ, ასეა. ეს მუსიკა კარგად მაქვს შესწავლილი. აი, თქვენ რომ მაგიდის ქვეშ დაფორთხავდით, მე ეს ყველაფერი უკვე განცდილი და გადატანილი მქონდა.

- თავად განსაჯეთ. კარგი ადგილი იყო. მაგრამ არა, ადგნენ და ყველაფერი წაბილწეს.

„ომამდე უფროსი მასწავლებელი ვიყავი. ომი რომ დაიწყო, დღეს რომ ვარ, ისეთივე ვიყავი. ეს ყავახანაც ზუსტად ისეთი იყო. სამხედრო სამსახურში არ გავუწვევივარ. ჩემისთანები, ანუ მორფინისტები, არ სჭირდებათ. ან უფრო სწორად, მაინც გამიწვიეს. მეგონა, ეს აღსასრული იყო. რა თქმა უნდა, შპრიცი ჩამომართვეს, მორფიც. და დაიწყო: ერთი, ორი, მარცხენა, მარცხენა!.. ამ საშინელებას ორი დღე გავუძელი, მანამდე, ვიდრე რეზერვი, ორიოდე წვეთი ჯერ კიდევ მქონდა, მერე კი მშვიდობით, კარგად ბრძანდებოდეთ, პრუსიელებო, და თავი ფსიქიატრიულში ამოვყავი. მერე გამიშვეს, ჯანდაბაში წასულხარო, მითხრეს. ჰო, როგორც მორფინისტი, გიმნაზიიდანაც გამომაგდეს. იცით, ეს ისეთი რაღაცაა, როგორ გითხრათ, კაიფი რომ გეწვევა, თავს ისე გრძნობ, როგორც ბურანში. ეს ძირითადად მაშინ ხდება, როცა ახალგაზრდა ხარ. სამწუხაროდ, მსგავსი რამ ახლა დიდი ხანია აღარ მიგრძნია. და ცოლი? შვილი? მაპატიე, მშვიდობით, ჩემო საყვარელო სამშობლოვ. ეჰ, გეორგ, ჩემო ძვირფასო, შემიძლია რომანტიკული თავგადასავალი გიამბოთ“.

ჭაღარას ხელები ჭიქაზე აქვს შემოხვეული, ჭამს ნელ-ნელა, სულითა და გულით, ჩაის ჩაჰყურებს.

- მდაა... ცოლი, შვილი... ზოგს ეს სამყაროს დასაწყისი და დასასრული ჰგონია. მე კი,

გამოგიტყდებით, არ მინანია, არც დანაშაულის გრძნობა მაწუხებს. ფაქტებს უნდა შეურიგდე და საკუთარ თავთანაც თანხმობაში იყო. შენი ბედით არც ყოყოჩობა ღირს და არც ბედის სამდურავის თქმა. ფატალისტი არა ვარ, ნამდვილად არა! არც ელინი, ბერლინელი ვარ, გეორგ. ასეთ მშვენიერ ჩაის რატომ აცივებთ? რომი დაუმატეთ.

ახალგაზრდა ფინჯანს ხელისგულს აფარებს, მაგრამ ჭაღარა ახალგაზრდის ხელს გვერდზე გასწევს, ჯიბიდან მომცრო მათარას ამოიღებს და ჭიქაში რომის მოზრდილ ულუფას დაუსხამს.

- არა, ჩემი წასვლის დროა. დიდი მადლობა. წავალ, ქუჩაში გავივლი, მწუხარებას გავიქარვებ.

- დამშვიდდი, გეორგ, აქ დარჩით, ცოტა დავლიოთ, მერე კი ბილიარდი ვითამაშოთ. სისულელეს ნუ ჩაიდენთ. თავი ხელში აიყვანეთ. ეს დასასრულის დასაწყისი იქნება. როცა შინ დაბრუნებულს აქ არც ცოლი დამხვდა და არც ბავშვი, მხოლოდ წერილი აღმოვაჩინე, რომელშიც ეწერა, რომ დასავლეთ პრუსიაში ბრუნდება, და კიდევ უამრავი საყვედური: გამაუბედურე, ცხოვრება დამინგრიე, შემარცხვინეო და ა.შ. მაშინ აი, აქ მარცხენა ხელი გავიკაწრე, სწავლა სიკვდილამდეო, და მართლაც ასეა, გეორგ! მე, მაგალითად, პროვანსული ენაც კი ვიცი, მაგრამ ანატომიის ინჩიბინჩი არ გამეგებოდა. ჰოდა, აი, მყესი ვენა მეგონა. მართალია, მედიცინაში დღემდე ვერ ვერკვევი, მაგრამ ახლა ეს არც მჭირდება. ერთი სიტყვით: ტკივილი, მწუხარება სისულელეა, დღეს ცოცხალი ვარ, ცოლი ცოცხალია, შვილიც ცოცხალია. მეტიც, ცოლს სხვა შვილებიც შეეძინა, იქ, დასავლეთ პრუსიაში, თანაც ორი. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს იმაზე, რომ ის ორი ამ ქვეყანას მოვლენოდა, მე აქედან, შორიდან ვიზრუნე; ჩვენ ყველანი ვცოცხლობთ. ახლა კი ყველაფერი მახარებს, როზენტალერპლაცის დანახვა, მის კუთხეში მდგარი შუპო, ბილიარდიც. და აბა, ახლა მოვიდეს ვინმე და მითხრას, რომ ჩემზე უკეთესად ცხოვრობს და ქალებისა არაფერი გამეგება!

ქერა მამაკაცი ათვალწუნებით შესცქერის:

- თქვენ ხომ ერთი ბეხრეკი ვინმე ხართ, კრაუზე, და ეს თქვენც კარგად იცით. თქვენ ჩემთვის სამაგალითო ნამდვილად არ ბრძანდებით. უბრალოდ, თქვენი უბედურებით ჩემთან თავს იწონებთ, კრაუზე. თავად არ მეუბნებოდით, რომ თქვენი კერძო გაკვეთილებით თავი ძლივს გაგაქვთ, ნახევრად მშიერი ხართ ხოლმე. მე კი საკუთარი

თავის ცოცხლად დამარხვა არ მინდა.

ჭაღარამ ჭიქა გამოცალა, ისევ სკამის მეტალის საზურგეს მიაწვა, წუთით მტრულად ანთებული თვალები ახალგაზრდას შეავლო, მერე უცებ სიცილი წასკდა და არაბუნებრივად, ყრუდ დიდხანს იცინა.

- დიახ, სამაგალითო ნამდვილად არა ვარ, ამაში გეთანხმებით. და იმის პრეტენზია, რომ ჩემთვის მოგებაძათ, ნამდვილად არ მქონია. ყველას თავისი შეხედულება აქვს, ბუზსაც კი. მაპატიეთ და, ბუზს მიკროსკოპის ქვეშ თავი სპილო ჰგონია. კარგი, დაინახავ ბუზს ტელესკოპში და მერე რა? და ვინ ბრძანდებით თქვენ, ბატონო გეორგ - მომიტევეთ, გვარი დამავიწყდა. აბა, წარმომიდგინეთ თავი: ფირმა NN-ის ფეხსაცმელების განყოფილების გასაღების აგენტი. დაანებეთ თავი სისულელეებზე ფიქრს და ჩემთან თქვენს სადარდებელზე ლაპარაკს. ჯობს სიტყვა, ,,დარდი" ასო- ასო წარმოთქვათ და თითოეულ ასოს თქვენთვის სასიამოვნო მნიშვნელობა მიანიჭოთ: მაგალითად, დ-დილა, ა-აქლემი, რ-რვეული, ი-ირემი. ხომ ხედავთ? ამ სიტყვებს დარდთან საერთო არაფერი აქვთ. ანუ, ჩემო ბატონო, ეს სიტყვა ასოების მცდარი ერთობლიობაა.

ტრამვაი №99. მარშრუტი: მარიენდორფი, ლიხტენრადერშოსე, ტემპელჰოფი, პალეშესტორი, ჰედვიგსკირხე, როზენტალერპლაცი, ბადშტრასე, ზეეშტრასე, ტოგოშტრასეს კუთხე. შაბათი. ღამე. ტრამვაი მოძრაობს დღისით და ღამით, 24 საათის განმავლობაში: უფერშტრასეს, ტემპელგოფსა და ფრიდრიხ-კარლშტრასეს შორის ყოველ თხუთმეტ წუთში ერთხელ. საღამოს 8 საათი, ტრამვაიდან ნორჩი გოგონა ჩამოდის, იღლიაში ნოტების ჩანთა აქვს ამოჩრილი და კრაველის საყელოში თავჩარგული ბრუნენშტრასედან ვაინბერგსვეგის კუთხემდე წინ და უკან დადის. ვინმე ბეწვისქურქიანი ბატონი გოგონას გამოელაპარაკება, გოგონა შეცბება და მაშინვე სწრაფი ნაბიჯით ქუჩის მეორე მხარეს გადადის, მაღალი ლამპიონის ქვეშ დგება და ქუჩის კუთხიდან იყურება. იქ ხანში შესულმა, ტანდაბალმა, ძვლისსათვალიანმა ბატონმა შემოუხვია. გოგონა მაშინვე მისკენ გაიქცა და გვერდით ამოუდგა. ხელკავი გამოსდო და სიცილ-სიცილით ბრუნენშტრასეს ზემოთ აუყვნენ.

- დღეს შინ ადრე უნდა დავბრუნდე, გეფიცები. წესით, სულაც არ უნდა მოვსულიყავი, მაგრამ თქვენთან ხომ დარეკვა არ შეიძლება.

- შეიძლება, ოღონდ განსაკუთრებულ შემთხვევაში. ჩვენთან სამსახურში ტელეფონები ისმინება და ამას ხომ შენ გამო ვაკეთებ, პატარავ!

- აჰ, ისე მეშინია, ეს ამბავი არ გამჟღავნდეს, იმედი მაქვს, თქვენ არავის ეტყვით, არა?

- რა თქმა უნდა, არავის.

- ღმერთმა ნუ ქნას, ამ ამბავმა დედაჩემის ან მამაჩემის ყურამდე მიაღწიოს! ხანში შესული ბატონი კმაყოფილი სახით გოგონას ხელკავს გამოსდებს.

- დაწყნარდი, ძეხორციელი ვერ გაიგებს. კრინტს არავისთან დავძრავ. აბა, მითხარი, გაკვეთილმა როგორ ჩაიარა?

- შოპენი დავუკარი. ნოქტიურნები. მუსიკა გიყვართ?

- მიყვარს, ხანდახან.

- მინდა ჩემი დაკვრა მოგასმენინოთ, უფრო სწორად, თქვენთვის დავუკრა, მერე, როცა კარგად მოვამზადებ, მაგრამ თქვენი ისე მეშინია.

- აბა, რას ამბობ, ეგ სისულელე თავიდან ამოიგდე.

- ჰო, თქვენი სულ მეშინია, თუმცა არა ძალიან, ოდნავ. დიახ, ოდნავ... თქვენი ხომ არ უნდა მეშინოდეს, არა?

- რა თქმა უნდა, არა. ან რატომ? ჩვენ ხომ ერთმანეთს უკვე სამი თვეა ვიცნობთ.

- ისე, გამოგიტყდებით და ნამდვილად მხოლოდ მამაჩემის მეშინია. რა მოხდება, თუ შემთხვევით გაიგებს?

- მომისმინე,გოგონი,ბოლოს და ბოლოს,საღამოობით მარტოს სასეირნოდ გამოსვლა ხომ შეგიძლია? შენ ხომ პატარა არა ხარ, უკვე დიდი გოგო ხარ.

- დედაჩემსაც მაგას ვეუბნები და გამოვდივარ კიდევაც.

- და ჩვენც ვსეირნობთ, ტუნტხენ. საგანგაშო არაფერი ხდება.

- ძალიან გთხოვთ, ტუნტხენს ნუ მეძახით, ეს ისე, სხვათა შორის გითხარით. დღეს კი სად მივდივართ? ცხრა საათზე შინ უნდა ვიყო.

- უკვე მოვედით.აქ, ზემოთ ჩემი მეგობარიცხოვრობს. ახლა შინ არ არის. დავსხდებით, დავისვენებთ, ხელს არავინ შეგვიშლის.

- მეშინია, ვინმემ არ დაგვინახოს. თქვენ წინ წადით, მე კი უკან მოგყვებით.

ზემოთ ისინი ერთმანეთს ღიმილით შესცქერიან. გოგო კუთხეში დგას. კაცი პალტოსა და შლაპას იხდის, გოგონასთან მიდის და ხელიდან ნოტების ჩანთას და ქუდს ართმევს. მერე გოგონა კართან მირბის და სინათლეს აქრობს:

- ოღონდ დღეს დიდხანს არა, დრო ცოტა მაქვს, შინ უნდა გავიქცე, არ გავიხდი, კარგი? იმედია, დღეს არ მატკენთ.

ფრანც ბიბერკოპფი სამუშაოს ეძებს, ფული სჭირდება და უნდა იშოვოს, უფულოდ ადამიანი ვერ იცხოვრებს. ორიოდე სიტყვა ფრანკფურტის ბაზრობის შესახებ

ფრანც ბიბერკოპფიდა მისი მეგობარი იმ მაგიდას მიუსხდნენ, რომელთანაც

რამდენიმე ხმაურიანი მამაკაცი უკვე იჯდა და კრების დაწყებას ელოდებოდა. მექმა აუხსნა:

- ფრანც, შრომის ბაზარზე არ დაფიქსირდები, ფაბრიკაში სამუშაოდ არ წახვალ, მიწის სამუშაოებისთვისაც ახლა ძალიან ცივა. ვფიქრობ, აი, რა არის ყველაზე კარგი საქმე, - ბერლინში ან ბერლინს გარეთ. არჩევანი შენ უნდა გააკეთო, მაგრამ ვაჭრობით თავს ნამდვილად ირჩენ.

კელნერი ყვირის:

- ფრთხილად, თავები

გასწიეთ. მექი და ფრანცი

ლუდს სვამენ.

ამ დროს მათ თავებს ზემოთ ნაბიჯების ხმა გაისმა, მეორე სართულზე ბატონი ვიუნშელი, მმართველი, „სასწრაფო დახმარების“ გამოსაძახებლად გარბის, მის ცოლს გული წაუვიდა. მექი აგრძელებს:

- აბა, ამ ადამიანებს შეხედე, ესენი მშივრებს ჰგვანან? გოტლიბ მექი არ ვიყო, თუ სიმართლეს არ გეუბნებოდე, ესენი ნამდვილად წესიერი ადამიანები არიან.

- გოტლიბ, კარგად მიცნობ, წესიერი ადამიანი ვარ და ასეთ რაღაცებზე ხუმრობა არ მიყვარს. გულზე ხელი დაიდე და დაიფიცე: ეს სანდო საქმეა თუ არა?

- აბა, ირგვლივ მიმოიხედე, ამ ადამიანებს შეხედე. მე არაფერს გეტყვი. ტიპ-ტოპ,[4] შეხედე და თავად დარწმუნდი.

- მართლაც სოლიდური ადამიანები არიან.

- მთავარია, საქმე იყოს საიმედო!

- ოჰ, რა უფრო საიმედოა: აჭიმები, ქალის მაღალყელიანი თუ დაბალყელიანი წინდები. წინდები თუ თავსაფრები?

- გააჩნია, რაც უფრო იაფად შეისყიდი, მოგებაც მეტი იქნება.

ვიღაც კუზიანი კაცი ტრიბუნასთან იჯდა და ფრანკფურტის ბაზრობაზე ლაპარაკობდა. აუცილებელია მკაცრად გავაფრთხილოთ სხვა ქალები, რომ ამ ბაზრობაში მონაწილეობა არ მიიღონ! ბაზრობა ერთობ უხეირო ადგილზეა, განსაკუთრებით - ჭურჭლის რიგები.

- მოწყალეო ქალბატონებო და ბატონებო, ძვირფასო კოლეგებო! გასულ კვირას ვინც ფრანკფურტში ჭურჭლის რიგები იხილა, დამეთანხმება, რომ ეს ხალხის გამასხარავებაა.

გოტლიბმა ფრანცს ხელი გაჰკრა:

- ეგ კაცი ფრანკფურტის ბაზრობაზე ლაპარაკობს, შენ ხომ იქ მაინც არ წახვალ.

- მერე რა, მაგარი კაცია, იცის, რაც უნდა.

- ვინც კი ფრანკფურტში მაღაზიების მოედანზე ერთხელ მაინც ყოფილა, იქ მეორეჯერ აღარ წავა, - განაგრძობდა კუზიანი, - ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ირგვლივ ტალახი, ჭუჭყი, სიბინძურე, ნამდვილი ჭაობი! და, ალბათ, იმაშიც დამეთანხმებით, რომ ფრანკფურტის მაგისტრატი ჩვენთვის ტერიტორიის მოცემას ბაზრობის გახსნის ბოლო დღემდე აჭიანურებდა. მერე კი მაღაზიის მოედანზე გამოგვიყო ადგილი და არა, როგორც ყოველთვის, ქალაქის ბაზრის მოედანზე. და იცით, ჩემო ძვირფასო კოლეგებო, ამას რითი ხსნის? თურმე ბაზრის მოედანზე ქალაქის საკვირაო ბაზრობა იმართება და ჩვენ თუ შევიდოდით, მაშინ საცობი შეიქმნებოდა და ქალაქის ტრანსპორტი პარალიზებული აღმოჩნდებოდა. ეს ფრანკფურტის მაგისტრატის გაუგონარი თავხედობაა, სახეში

სილის გაწვნა. ვერაფერს იტყვი, ერთობ დამაჯერებელი არგუმენტებია. იქ კვირაში ოთხჯერ, ისიც ნახევარი დღით, ბაზრობა იმართება და იქიდან კინწისკვრით ამიტომაც გამოგვყარეს! ნება მომეცით, ვიკითხო: მაპატიეთ, მაგრამ რატომ სწორედ ჩვენ? რატომ არა ბოსტნეულის გამყიდველები და მერძევეები? დღემდე ფრანკფურტმა ერთი ჩვეულებრივი ბაზრის შენობა რატომ არ ააშენა? რატომ, თქვენ გეკითხებით. თუმცაღა, მაგისტრატი ბოსტნეულის, ხილისა და სხვა საკვები პროდუქტების გამყიდველებს ისევე ცუდად ექცევა, როგორც ჩვენ. მაგისტრატის უთაურობისა და დაუდევრობის გამო ყველანი ვზარალდებით. ვაჭრობა მაღაზიის მოედანზე, შეიძლება ითქვას, ჩაიშალა. შეიძლება ითქვას, ჩიტი ბდღვნად არ ღირდა. აბა, წვიმასა და ქარში იქ ვინ ჭკუათამყოფელი მოვიდოდა? ჩვენმა კოლეგებმა, რომლებიც იქ მივიდნენ, უკან წამოსასვლელი ფულიც კი ვერ იშოვეს. არადა, ტრანსპორტის ხარჯი, სამუშაო ადგილის გადასახადი, მოედნის გადასახადი, საქონლის მიტანა - ეს ხომ ყველაფერი ფულია?! და ბოლოს, თქვენი ყურადღება მინდა განსაკუთრებით კიდევ ერთ გარემოებაზე მივაპყრო: ფრანკფურტში საზოგადოებრივი ტუალეტები საშინელებაა, პირდაპირ ღვთის რისხვა. ვინც კი იმ ტუალეტში ფეხს ერთხელ მაინც შედგამს, იქაურ „სურნელს“ ვერასოდეს დაივიწყებს. ასეთი ჰიგიენური პირობები ამ დიდ ქალაქს ნამდვილად არ ეკადრება და ღირსების შემლახველია. საზოგადოებამ ამის გამო მაგისტრატი საჯაროდ უნდა შეარცხვინოს. ასეთი მდგომარეობა ფრანკფურტში სტუმრებს ვერ მოიზიდავს, შეაშინებს მათ და დააზარალებს გამყიდველებს. და კიდევ ერთი რამ: დახლები და ჯიხურები, რომლებსაც ჩვენ არენდით ვიღებთ, ისეთი ვიწროა, პატარა და ერთმანეთზე ისეა მიწყობილი, როგორც კასრში ქაშაყი.

დისკუსიის შემდეგ, რომლის დროსაც უმოქმედობისთვის გამგებლობასაც მოხვდა, ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი რეზოლუცია:

„ჩვენ, ბაზრობაზე მოვაჭრენი, ბაზრობის მაღაზიის მოედანზე გადატანას შეურაცხყოფად და სილის გაწვნად აღვიქვამთ. ამის შემდეგ სავაჭრო ბრუნვა წინა წლების ბაზრობებთან შედარებით კატასტროფულად დაეცა. მაღაზიის მოედანი ბაზრობისთვის სრულიად შეუფერებელი ადგილია, რადგანაც მომსვლელთა მასას ვერ იტევს, ხოლო რაც შეეხება სანიტარიულ-ჰიგიენურ პირობებს, ის ქალაქ ოდერის

ფრანკფურტისთვის სამარცხვინოა. გარდა ამისა, ხანძრის შემთხვევაში ჩვენ, ვაჭრები, და ჩვენი საქონელიც დასაწვავად ვართ განწირული. კრების მონაწილენი ვითხოვთ ბაზრობის ბაზრის მოედანზე დაბრუნებას, რამეთუ ბაზრობის შემდგომი არსებობის ერთადერთი გარანტია ეს არის. დაჟინებით მოვითხოვთ აგრეთვე სავაჭრო ნაგებობების იჯარის გადასახადის შემცირებას, რადგანაც შექმნილი მდგომარეობის პირობებში აღებული ვალდებულებებიდან ძირითადის შესრულებასაც ვერ შევძლებთ და იძულებული ვიქნებით დახმარებისთვის სოციალური მფარველობის საქალაქო დაწესებულებას მივმართოთ".

ბიბერკოპფი ორატორისკენ მთელი სულით და გულით ილტვის:

- გოტლიბ,აი, ორატორიც ამას ჰქვია, აი, კაცი, წინამძღოლად დაბადებული. მაგასთან არ დაიკარგები!

- წადი, თითის წვერებზე მიეახლე. იქნებ შენც რამეს გამოჰკრა ხელი.

- შენ არ გესმის, გოტლიბ! გახსოვს, ებრაელებმა უბედურებისგან როგორ მიხსნეს? მე ხომ ეზო-ეზო დავრბოდი და გონება ისე არეული მქონდა, „მესაზღვრეები რაინზე" ვმღეროდი. ებრაელებმა კი თითქმის ჭაობიდან ამომათრიეს. რაღაც ამბები მიამბეს და მეც გონს მოვედი. არა, გოტლიბ, საჭირო დროს, კრიტიკულ მომენტში ნათქვამი სიტყვები ადამიანს ნამდვილად ეხმარება.

- ფრანც, ისევ პოლონელ შტეფანზე შეთხზულ ზღაპრებზე ლაპარაკობ? იცი, შენ ტვინი ახლაც არეული გაქვს.

ფრანცმა მხრები აიჩეჩა:

- შეიძლება, მაგრამ ვნახავდი, რას იზამდი, ჩემს ადგილზე რომ ყოფილიყავი! პატარა კუზიანი კი მაგარი კაცია, დამიჯერე, ძალიან მაგარი, პრიმა!

- მაგარია და მაგარი იყოს. ღმერთი იყოს მაგის მფარველი. ოღონდ საქმე ნუ გავიწყდება, ფრანც!

- არ მავიწყდება, ყველაფერს თავისი რიგი და დრო აქვს. საქმეზე უარს ხომ არ ვამბობ. ფრანცი ადგა, გზა ხალხში კუზიანისკენ გაიკაფა და მოკრძალებით მიმართა.

- რა გნებავთ?

- მინდა რაღაც გკითხოთ.

- დისკუსია დამთავრებულია! მგონი, საკმარისად ვილაპარაკეთ, ყელამდე ვარ სავსე, - კუზიანი ღვარძლიანი ადამიანი იყო, - არა, მაინც რა გნებავთ?

- მე... თქვენ აქ ფრანკფურტის ბაზრობაზე ბევრი ილაპარაკეთ და თქვენი საქმე ბრწყინვალედ გააკეთეთ, ჩემო ბატონო! მინდოდა, ჩემი აზრი თქვენთვის პირადად მეთქვა. ყველაფერში გეთანხმებით.

- მოხარული ვარ, კოლეგა. ვისთან მაქვს საუბრის პატივი?

- ფრანც ბიბერკოპფი გახლავართ. აღფრთოვანებული გისმენდით, იმ ფრანკფურტელებს რა დღე აყარეთ.

- იმის თქმა გინდოდათ, რომ მაგისტრატს?

- დიახ, მაგრად ამხილეთ, ასე ვთქვათ, გააშიშვლეთ, ტყავი გააძვრეთ. ახლა ისინი ხმის ამოღებასაც ვერ გაბედავენ. ამ საქმეში მეორეჯერ ცხვირს ვერ ჩაყოფენ. ნამდვილად.

პატარა კაცმა თავისი ქაღალდები მოაგროვა, პოდიუმიდან გაბოლილ დარბაზში ჩამოვიდა და თქვა:

- ძალიან სასიამოვნოა, კოლეგა, ძალიან
სასიამოვნო. ფრანცი გაიბადრა, კუზიანს ლამის
ფეხქვეშ გაეგო.
- ასე... რისი კითხვა გინდოდათ? ჩვენი კავშირის წევრი ბრძანდებით?

- ჯერ არა. ძალიან ვწუხვარ.

- ამას ახლავე მოვაგვარებთ. ჩვენს მაგიდასთან მივიდეთ.

და აი, ფრანცი სახეაწითლებულ, შეზარხოშებულ გამგეობის წევრებს შორის მაგიდასთან ზის.

ჭამს, მავანთ და მავანთ ესალმება. მან ხომ უკვე წევრობის საბუთი მიიღო. პირობა დადო, წევრობის შესატანს მომავალი თვის პირველ რიცხვებში შევიტანო და ყველას ხელის ჩამორთმევით დაემშვიდობა.

ფრანცი მექს შორიდან ქაღალდის ქნევით უყვირის:

- კავშირის ბერლინის განყოფილების წევრი ვარ, დიახ! აი, წაიკითხე, აქ წერია: სრულიად გერმანიის წვრილმანებით მოვაჭრეთა ბერლინის განყოფილება. გენიალურია, არა?

- და ახლა შენ რა ხარ? ქსოვილის მზა საქონელს ყიდი? აქ წერია ქსოვილის საქონელი. ეს როდიდან, ფრანც? ასეთი რა ქსოვილის საქონელი გაქვს?

- ქსოვილისგან შეკერილ საქონელზე არაფერი მითქვამს. მათ წინდებსა და წინსაფრებზე ველაპარაკე. იმათ კი ქსოვილის ნივთები აიჩემეს. დაე, ეგრე იყოს. ჩემთვის სულერთია. გაწევრების შესატანი მაინც პირველ რიცხვში უნდა გადავიხადო.

- უცნაური კაცი ხარ! იქნებ ფაიფურის თეფშებით ან სამზარეულოს ვედროებით, ან ბატონებივით მსხვილფეხა საქონლით ვაჭრობა მოგინდეს, მაშინ რა? ბატონებო, განა სისულელე არ არის, ადამიანი წევრობის ბარათს ქსოვილის ნივთებზე რომ იღებს და ამ დროს, ვთქვათ, მსხვილფეხა საქონლით ვაჭრობს?

- მსხვილფეხა საქონლით ვაჭრობას არ გირჩევთ, წამგებიანია. წვრილფეხა საქონლით ივარგებს.

- მაგრამ ამ კაცს საქმიანობა ჯერჯერობით არ დაუწყია. ეს ფაქტია, ბატონებო. ის ახლა იწყებს, ანუ ასე ვთქვათ, მიზანი აქვს. თუ ახლა ეტყვით, სათაგურებით ან თაბაშირის ფიგურებით ივაჭრეო, მაშინვე დაგეთანხმებათ, არა, ფრანც?

- დავეთანხმები! რა, არ შეიძლება? ეჰ, გოტლიბ, ოღონდაც კი პურის ფული ვიშოვო და... რაც შეეხება სათაგურებს, ჩემი აზრით, არა ღირს. სათაგურებს არავინ იყიდის, აფთიაქებს, სადაც ამდენი თაგვის საწამლავი იყიდება, კონკურენციას ვერ გავუწევ. თაბაშირის ფიგურებს კი, რატომაც არა? პატარა ქალაქებში მათზე დიდი მოთხოვნაა.

- აი, ხომ ხედავთ, ეს-ეს არის უფლება წინსაფრებზე აიღო და უკვე თაბაშირის ფიგურებით ვაჭრობას აპირებს.

- გოტლიბ, მორჩი, თქვენ, ბატონებო, მართალი ბრძანდებით. მაგრამ შენ, გოტლიბ, ცდები, მოვლენებს ამახინჯებ! ნებისმიერი საქმე შესწავლასა და განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს. ისე, როგორც ეს კუზიანმა გააკეთა ფრანკფურტის ბაზრობის შემთხვევაში. მაგრამ შენ ხომ არ მოგისმენია, იმ კაცმა რა თქვა.

- იმიტომ, რომ ფრანკფურტის ბაზრობა არაფერში მჭირდება. ამ ბატონებსაც არ სჭირდებათ!

- კეთილი, გოტლიბ, კარგი, ბატონებო, მე თქვენ არ გსაყვედურობთ, არც გამტყუნებთ. რაც შემეხება მე, მართალია, ერთი უბირი ადამიანი ვარ, მაგრამ ყურადღებით ვუსმენდი და რაც მოვისმინე, ძალიან საინტერესო იყო. ამ კაცმა ეს პრობლემა როგორ გააშუქა, მშვიდად, მაგრამ დაუნდობლად, თავისი დაბალი, სუსტი ხმით, ეტყობა, ფილტვებიც სუსტი აქვს. ყველაფერი ზუსტად და თანამიმდევრობით ილაპარაკა, მერე კი რეზოლუცია, იქაც ყველა პუნქტი ნათელი და გასაგებია. ის საპირფარეშოებიც კი არ დაავიწყდა, რომლებმაც ასე აღაშფოთა. მართალია კუზიანი, არ მოეწონა და რა ქნას. თავი მართლაც რომ კარგად უმუშავებს, ჭკვიანი ვინმეა! აი, მე, ბატონებო, ერთხელ, როცა ძალიან მიჭირდა და გაგიჟებას აღარაფერი მაკლდა, ორი ებრაელი დამეხმარა. გოტლიბ, ეს ამბავი შენ უკვე იცი. ამ ორმა ერთი ისტორია მიამბო და შვება ვიგრძენი. პატიოსანი ადამიანები იყვნენ, არ მიცნობდნენ და წარმოიდგინეთ, უცხო კაცი თავიანთ სახლში წამიყვანეს და ერთი პოლონელის ცხოვრების ამბავი მიამბეს, განსაკუთრებული არაფერი, მაგრამ ჩემთვის, იმ სიტუაციაში, რომელშიც ვიყავი, ერთობ სასარგებლო და ჭკუის სასწავლებელი გამოდგა. ძალიან მიშველა და ცხოვრება სულ სხვა კუთხით დამანახვა. მაშინ მეგონა, ერთი-ორი ჭიქა კონიაკი რომ გადამეკრა, მდგომარეობიდან ისიც გამომიყვანდა, მაგრამ ახლა ამაში დარწმუნებული არა ვარ. მას შემდეგ ფეხზე დავდექი.

ერთმა საქონლით მოვაჭრემ პირიდან ბოლი უხვად გამოუშვა, გაიკრიჭა და თქვა:

- მანამდე, ალბათ, თავში უზარმაზარი ქვა ჩაგცხეს.

- თუ შეიძლება, დაცინვის გარეშე, ბატონო! თუმცაღა მართალი ბრძანდებით. ქვა მართლაც ჩამცხეს, მერედა რამხელა. მაგრამ ასეთივე ლოდი თავში თქვენც შეიძლება მოგხვდეთ და ისეთი რეტი დაგესხათ, რომ გონება დაკარგოთ. მაშინ ვნახავდი, ალექსზე, როზენტალერტორისა და ბრუნენშტრასეს ქუჩებს შორის ქანცის გაწყვეტამდე როგორ ირბენდით და ქუჩების დასახელებებსაც ვერ წაიკითხავდით. შეიძლება ასეც მოხდეს. მე კი ამ დროს ჭკვიანი ადამიანები დამეხმარნენ, როგორც ამბობენ, ტვინით დატენილები, მელაპარაკნენ, საინტერესო ამბები მიამბეს. ჰოდა, ახლა გეუბნებით: ბედნიერება კონიაკში არ არის, არც ფულში და არც რაღაც საწევრო გადასახადში, საცოდავ გროშებში! მთავარია, მხრებზე თავი გებას და მისი გამოყენება შეგეძლოს! უნდა იცოდე, შენ ირგვლივ რა ხდება, თორემ ისე ჩაგყლაპავენ, აზრზე

მოსვლასაც ვერ მოასწრებ. და თუ მხრებზე თავი გაბია, მაშინ არ დაიკარგები, - ასეა ეს, ბატონებო, ეს არის ჩემი თვალსაზრისი.

- მაშინ, ჩემო ბატონო, უფრო სწორად, კოლეგავ, ჩვენი კავშირის სადღეგრძელო დავლიოთ.

- გაუმარჯოს კავშირს! გაგიმარჯოთ, ბატონებო, გაგიმარჯოს,
გოტლიბ! გოტლიბი კი იცინოდა და იცინოდა:
- ადამიანო, მაინტერესებს, პირველი რიცხვისთვის საწევროს შესატან ფულს სად ან როგორ იშოვი?

- ახალგაზრდა კოლეგავ, რადგანაც წევრის საბუთი უკვე გაქვთ და ახლა ჩვენი კავშირის წევრი ბრძანდებით, იქნებ კავშირი სარფიანად ვაჭრობასა და ფულის შოვნაშიც დაგეხმაროთ, - საქონლით მოვაჭრენი გოტლიბს ფრანცის დაცინვაში ეჯიბრებიან.

- იცით რა, მაგ თქვენი წიგნაკით მაინინგენში გაემგზავრეთ, - განაგრძო დაცინვა მეორე ვაჭარმა, - მომავალ კვირაში იქ ბაზრობა იმართება. მე მარჯვენა რიგში დავდგები, თქვენ კი - ჩემ პირდაპირ, მარცხენა რიგში და თვალყურს მივადევნებ, საქმე როგორ წაგივათ. ალბერტ, აბა, წარმოიდგინე, ეს კავშირის წევრი თავისი საბუთით დახლთან დგას. მე კი ამ დროს ლამის ყურში ჩამყვირიან: სოსისები, ვენური სოსისები! ნამდვილი მაინინგენური თაფლაკვერები. მოპირდაპირე მხარეს კი ეგ ღმუის და იქნევს საბუთს, აქეთ, აქეთ, პირველად ამ ქალაქში, კავშირის წევრი, დიდი სენსაცია მაინინგენის ბაზრობაზე! რა თქმა უნდა, ხალხი ზღვასავით მოასკდება, ახმახო, მაინც რა ყეყეჩი ხარ.

ისინი ხარხარებენ, ხელებს მაგიდაზე ურტყამენ. ბიბერკოპფიც. მერე ქაღალდს (საბუთს) მარცხენა გულის ჯიბეში დიდი სიფრთხილით იდებს:

- სანამ კაცი შორ გზას დაადგება, რკინის ქალამანს იცვამს და ხელში რკინის ჯოხს იღებს. მეც ამას ვაპირებ. არ მითქვამს, დიდ ფულს ვიშოვი-მეთქი. მაგრამ მხრებზე თავი ჯერჯერობით მეც მაბია, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ!

ყველანი დგებიან.

* * *

ქუჩაში მექსა და მსხვილფეხა საქონლის ვაჭრებს შორის ცხარე დებატები გაიმართა.

სასამართლოში ერთ-ერთის წინააღმდეგ აღძრულ საქმეში თავიანთ პოზიციას იცავდნენ. ამჟამად ბრალდებული ვაჭარი მსხვილფეხა საქონელს ბრანდენბურგის პროვინციაში ყიდდა, თუმცა ვაჭრობის უფლება მხოლოდ ბერლინში ჰქონდა. რომელიღაც სოფელში მას კონკურენტი შეხვდა და იგი ჟანდარმთან დაასმინა. მაგრამ კომპანიონებმა, რომლებიც ერთად მოგზაურობდნენ, ეშმაკური სვლა მოიფიქრეს: ბრალდებულს სასამართლოზე უნდა განეცხადებინა, რომ იგი გეორგს მხოლოდ ახლდა და ყველაფერს მისი დავალებით აკეთებდა.

მსხვილფეხა საქონლით მოვაჭრეებმა განმარტეს:

- ჩვენ არ გადავიხდით, ჩვენებას ფიცით მივცემთ. ახლა რაიონულ სასამართლოებში ფიცს ადებინებენ. იგიც დაიფიცებს, რომ მე მახლდა. ადრეც ხომ ხშირად ვყოფილვართ ერთად. დაიფიცებს და მორჩა. ამით ყველაფერი დამთავრდება.

აქ კი მექმა მოთმინება დაკარგა, ორივე საქონლით მოვაჭრეს პალტოს ლაცკანებზე ხელი სტაცა:

- თქვენ რა, ორივენი გაგიჟდით? თქვენი ადგილი საგიჟეთშია. ასეთ იდიოტურ საქმეზე დაფიცებას აპირებთ? ვერ ხვდებით, რომ ამით წყალს იმ არამზადას წისქვილზე ასხამთ. იგი ხომ დაგასამარებთ. ეს გაზეთში უნდა დაწეროთ, განაცხადოთ, რომ სასამართლო ასეთ საქმეებს სულ არ უნდა არჩევდეს და დროს ამაოდ კარგავდეს; რომ ეს მონოკლიანი ბატონები სულ გათავხედდნენ და ასეთ საქმეებს აწი ჩვენ თავად მოვაგვარებთ.

მაგრამ მეორე მოვაჭრე თავის აზრს ჯიუტად იცავდა:

- ფიცს დავდებთ და ჩვენებას ისე მივცემთ, დიდი ამბავი! აბა, სამ ინსტანციაში ფული გადავიხადოთ და იმ არამზადას სიამოვნება მივანიჭოთ? მაგ შურიანს. ეს ფულის წყალში გადაყრა იქნება.

მექმა ხელი შუბლზე იტკიცა:

- ეჰ, გერმანელო მიხელ, ლაფში ზიხარ და გიხარია. ჰოდა, იჯექი, მანდ არის შენი ადგილი.

ისინი მოვაჭრეებს დაშორდნენ. ფრანცმა მექს ხელკავი გამოსდო და ბრუნენშტრასეს გაუყვნენ. ამ ორზე აღშფოთებული მექი აგრძელებდა:

- რა ტიპები არიან, ჩვენ ასეთები გვღუპავენ! ღუპავენ მთელ ხალხსა და ქვეყანას!

- რას ამბობ, გოტლიბ?

- დოყლაპიები. იმის მაგივრად, სასამართლოს თავიანთი მუშტების ძალა აჩვენონ, თაღლითობენ. ნამდვილი დოყლაპიები. ეჰ, რა უნდა ვთქვა, ყველანი ეგეთები არიან, ყველანი, მთელი ხალხი, ვაჭრები, მუშები, ყველანი სოროებში იმალებიან.

მოულოდნელად მექი გაჩერდა და ფრანცს წინ დაუდგა:

- ფრანც, ჩვენ გულახდილად უნდა ვილაპარაკოთ. სხვანაირად ერთი გზით ვერ ვივლით. ვერავითარ შემთხვევაში.

- მიდი, დაიწყე!

- ფრანც, უნდა ვიცოდე, ვინ ხარ. თვალებში შემომხედე. და აქვე, ახლავე, პატიოსნად და პირდაპირ მითხარი, ეს ყველაფერი შენ ხომ იქ, ტეგელში გამოცადე და იცი, რას ნიშნავს სამართალი და სამართლიანობა. და სამართალი სამართალი უნდა იყოს.

- ჭეშმარიტებას ღაღადებ, გოტლიბ!

- მაშინ, ფრანც, გულზე ხელი დაიდე და მითხარი: იქ თავი რით გამოგიტენეს?

- შეგიძლია მშვიდად იყო. და დამიჯერე: იქ მოჩხუბარ ხარს რქებს ძალიან სწრაფად ამტვრევენ, ამაში დარწმუნებული იყავი. ისე კი, იქ წიგნებს კითხულობენ, სტენოგრაფიას სწავლობენ, ჭადრაკს თამაშობენ, მეც ამას ვაკეთებდი.

- ჭადრაკს შენც თამაშობ?

- ისევ ჩვენს სკატს[5] ვთამაშობ, მოდი, ერთხელ ვითამაშოთ, გინდა? ერთი სიტყვით, ზიხარ იქ და ზიხარ: ფიქრსა და გონებრივ მუშაობას ნამდვილად ჩვეული არა ვარ. ჩვენ, მტვირთავები, გონებაზე მეტად, ხელების, ღონისა და მსხვილი ძვლების იმედად ვართ. და მაინც, ერთ დღესაც იტყვი: ეშმაკმა დალახვროს ეს ყველაფერი, მოშორდი ამ ადამიანებს, მათი ნდობა არ შეიძლება, წადი, შენი გზით იარე. ხელები შორს ადამიანებისგან. გოტლიბ, რა საქმე აქვს ჩვენს ძმას სასამართლოსთან, პოლიციასთან, პოლიტიკასთან? გვყავდა ჩვენ იქ ერთი კომუნისტი, ჩემზე

სქელი იყო, 1919-ში ბარიკადებზე იბრძოდა. იქიდან ძლივს გამოასწრო. ციხის შემდეგ კი დაჭკვიანდა. ერთი ქვრივი ქალი გაიცნო და მის ბიზნესში ამოყო თავი. ხედავ, რა მოხერხებული ბიჭი გამოდგა, ერთი გასროლით ორი კურდღელი მოკლა.

- ეგ კაცი თქვენთან როგორ აღმოჩნდა?

- კარგად არ მახსოვს, მგონი, რაღაცებს ყიდდა, ჩვენ კი ვეხმარებოდით. ხომ იცი, იქ ყველა ერთმანეთს მხარში ვედექით, ჩამშვებებს კი სასტიკად ვუსწორდებოდით. მაგრამ ამ ხალხთან ახლოს ყოფნა თვითმკვლელობის ტოლფასია. გაუშვი, რაც უნდათ, ის აკეთონ. შენ კი შენთვის უნდა იცხოვრო, ოღონდ პატიოსნად. ეს არის ჩემი სიტყვა.

- აი, თურმე რა, - თქვა მექმა და ფრანცს ათვალწუნებით შეხედა, - მაშასადამე, სხვები კი ეშმაკსაც წაუღია, არა? ნამდვილი ჩვარი ხარ, ეს არის ჩემი სიტყვა, ფრანც.

* * *

ფრანც ბიბერკოპფი თავის ახალ მეგობართან, პოლონელ ლინასთან ერთად ინვალიდენშტრასეზე მოსეირნობს. შოსეშტრასეს კუთხეში, ერთ-ერთი სახლის სადარბაზოში, გაზეთების გამყიდველს დახლი აქვს გამართული. დახლთან ხალხი დგას. ისმის შეძახილები:

- ყურადღება! გაიარეთ, აქ ნუ გაჩერდებით!

- რა, სურათების დათვალიერება არ შეიძლება?

- იყიდეთ და მერე რამდენიც გინდათ, დაათვალიერეთ! გასასვლელში ნუ დგახართ!

- რეგვენო!

დღევანდელ ნომერს დამატება მოჰყვება, სამოგზაურო ბიუროს პროსპექტი: „ახლა, როცა ჩვენს ჩრდილოეთში ის არასასიამოვნო ხანა დგას, რომელიც აწ გასული ზამთრის თოვლით გაბრწყინებულ დღეებსა და ჯერ არდამდგარი მაისის მზით აბზინებული მწვანე ველების ლამაზ ხანას შორის წვიმითა და ნესტით თავს გვაბეზრებს, ალპებში, იტალიაში გამგზავრების ათასწლოვანი სურვილი გვიპყრობს. ვინ არის ის ბედნიერი, ვინც ამ სურვილს აისრულებს?“

- ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ახლა ხალხი გამხეცებულია. აი, წაიკითხეთ, ქალაქის

რკინიგზის ვაგონში ვიღაც ახალგაზრდა სუბიექტი ერთ გოგონას თავს დაესხა, იმდენი სცემა, რომ სიკვდილის პირამდე მიიყვანა რაღაც მათხოვრული ორმოცდაათი მარკის გამო.

- ორმოცდაათი მარკის გამო ვინმეს მეც ვცემდი.

- რა?

- იცით, ორმოცდაათი მარკა რამდენია? თუმცა საიდან უნდა იცოდე! ეს ჩვენისთანა ადამიანებისთვის ძალიან დიდი ფულია, ძალიან დიდი, გაიგეთ? მოდი, ჯერ გაარკვიეთ, თქვენთვის ორმოცდაათი მარკა ბევრია თუ ცოტა და მერე ვილაპარაკოთ.

რაიხსკანცლერ მარქსის ფატალური სიტყვა: „ის, რაც უნდა მოხდეს, ჩემი ღრმა რწმენით, ღვთის განგებულებაა. მამაზეციერმა ყველა ერს განსაზღვრული მისია დააკისრა. ამასთან შედარებით ადამიანის ყველა საქმიანობა უბადრუკია. ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, ხალხის კეთილდღეობისთვის ჩვენი მრწამსისა და რწმენის შესაბამისად შეძლებისდაგვარად და მუხლჩაუხრელად ვიშრომოთ. ამიტომაც არის, რომ ჩვენს საქმეს რწმენითა და სიმართლით ვემსახურებით იმ თანამდებობაზე, რომელიც მე დღეს მიკავია. დასასრულ, ნება მომეცით, ღრმად პატივცემულო ბატონებო, თქვენსა და ჩვენი მშვენიერი ბავარიის სასიკეთოდ მძიმე და თავდადებულ მოღვაწეობაში დიდი წარმატება გისურვოთ“.

- აბა, ჩემო ბატონებო, ბოლომდე წაიკითხეთ?

- რა?

- იქნებ გაზეთი უფრო ახლოს მოგიწიოთ? იყო აქ ჩემთან ერთი ბატონი და სკამზე დაჯდომა შევთავაზე, რათა კითხვის დროს უხერხულობა არ შეჰქმნოდა.

- თქვენ აქ სურათების გამოფენას იმიტომ აწყობთ, რომ...

- სურათებს რატომ ვფენ, ეგ ჩემი საქმეა, ამ ადგილში თქვენ კი არა, ფულს მე ვიხდი. მუქთახორებს, რომლებიც გაზეთის წაკითხვას მუქთად ცდილობენ, აქ არაფერი ესაქმებათ. ისინი მხოლოდ მყიდველებს აფრთხობენ.

„როგორც იქნა, წავიდა, პარაზიტი! ამ პირდაუბანელს ჯობდა ფეხსაცმელები გაეწმინდა. ღამეს,

ალბათ, ფრებელშტრასეზე ღატაკთა ღამის სათევში ათევს. აი, ტრამვაიში ჩაჯდა. ნამდვილად ყალბი თვიური ტალონი ან ქუჩაში ნაპოვნი ძველი ბილეთით მგზავრობს. ერთხელაც იქნება, ჩავარდება! და თუ ჩავარდება, იტყვის, ბილეთი დავკარგეო და დაფიცებისას არ შერცხვება. ოჰ, ეს ყალთაბანდები. აი, კიდევ ორი ყალთაბანდი. ეტყობა, აქ თეჯირის გაკეთება მომიწევს. უნდა ვისაუზმო".

და ფრანც ბიბერკოპფი გამოჩნდა. თავზე ქვაბქუდა ეხურა და თავის ფუნთუშა, პოლონელ ლინას ხელკავით მოაბრძანებდა.

- აბა, ლინა, თვალები მარჯვნივ! სადარბაზოსკენ ნაბიჯით იარ! დღეს უმუშევრების ამინდი არ არის. მოდი, სურათები დავათვალიეროთ. მშვენიერი სურათებია, მაგრამ აქ საშინლად უბერავს. კოლეგა, ერთი მითხარი, საქმე როგორ მიდის? აქ ადამიანი შეიძლება გაიყინოს!

- აქ სათბური არ გახლავთ!

- ლინა, გაყიდდი გაზეთებს?

- აქედან წავიდეთ, რა, ეგ ტიპი ბილწად იკრიჭება.

- ფროილაინ, ჩემი აზრით, ბევრს მოეწონებოდა, განსაკუთრებით მამაკაცებს, აქ რომ იდგეთ და გაზეთებს ყიდდეთ, მომსახურება უმაღლესი - ქალის ნაზი ხელებით!

ქარმა გაზეთები ააწრიალა, ისინი მომჭერებიდან გამოძრომას ლამობდნენ.

- ეი, კოლეგა, გარედან ქოლგა მაინც მიამაგრე.

- რატომ, მყიდველებმა გარედან რომ არაფერი დაინახონ?

- მაშინ წინ ჩარჩოში ჩასმული მინა დადგი.

- წავიდეთ, რა, ფრანც.

- სად გეჩქარება. აი, კაცი ამ სიცივესა და ქარში საათობით დგას და ჯერ კიდევ ცოცხალია. ნუ ხარ ასეთი აზიზი, ლინა!

- აზიზი სულაც არა ვარ, მაგრამ ეს კაცი ისე ბილწად იკრიჭება!

- ცდებით, ფროილაინ, უბრალოდ სახე მაქვს ასეთი.

- ხედავ, ლინა, ეგ თურმე ყოველთვის ეგრე იცინის, საწყალი ბიჭი!

ფრანცმა ქუდი უკან გადაიწია, გაზეთების გამყიდველს სახეში შეხედა და ახარხარდა, დიდხანს ხარხარებდა, მაგრამ ლინასთვის ხელი არ გაუშვია.

- ეს მაგის ბრალი არ არის, ლინა, ეგეთი დაიბადა. კოლეგა, იცი, როცა იკრიჭები, როგორი სახე გაქვს? არა, ასე არა, წეღან რომ იცინოდი, ისევ ისე გაიცინე. იცი, როგორი, ლინა? თითქოს დედის ძუძუს წოვს და უცებ რძე ამჟავდა.

- ჩემზე მაგას ვერ იტყვი. მე საწოვარათი გამზარდეს.

- ახლა მოჰყვება ტრაბახს!

- კარგი, მოვრჩეთ ხუმრობას, ერთი ეს მითხარი, ამ საქმით რამდენს შოულობ?

- „როტე ფანე“ გნებავთ? აი, ინებეთ! დიდი მადლობა. კოლეგა, გაატარე ეს ადამიანი. გაიწიე, დაგეჯახებიან!

- მართლა ბევრი მყიდველი გყავს, კოლეგა?

ლინამ ფრანცი ძალით წაიყვანა. შოსეშტრასეზე გავიდნენ და ორანიენბურგის კარიბჭისკენ წავიდნენ.

- იცი, ეს საჩემო საქმე არ არის, - თქვა ფრანცმა, - გაცივების არ მეშინია, მაგრამ რომ მახსენდება, სადარბაზოში უნდა ვიდგე, გული მერევა.

* * *

ორი დღის შემდეგ ოდნავ დათბა, ფრანცმა თავისი პალტო გაყიდა და ლინას ნაჩუქარი, ღმერთმა იცის, საიდან მოტანილი, თბილი საცვლები ჩაიცვა, და ახლა როზენტალერპლაცზე მაღაზია „ფაბიში და Kє“-ს წინ დგას. „მამაკაცის სამოსი - მზა და დაკვეთით; მაღალი ხარისხი და დაბალი ფასები ჩვენი ფირმის ტრადიციაა“. ფრანცი ჰალსტუხის საჭერელას ყიდის და დროდადრო

გაჰყვირის:

„რატომ არის, რომ დასავლეთის კვარტალებში მცხოვრები მოდის მიმდევრები ბაფთებს იკეთებენ, ხოლო პროლეტარიატი კი არაფერს? ბატონებო, ახლოს მობრძანდით, უფრო ახლოს. თქვენც ფროილაინ, ნუ მორცხვობთ, მოდით თქვენს თანმხლებ მამაკაცთან ერთად, არა აქვს მნიშვნელობა, ქმარია თუ საყვარელი, მოზარდებს ჩვენთან მოახლოება არ ეკრძალებათ, თუ იმდენივე თანხას გადაიხდიან. რატომ არ ატარებს პროლეტარიატი ჰალსტუხს? იმიტომ, რომ მისი შეკვრა არ იცის. იძულებულია, საჭერელა იყიდოს და როცა იყიდის, აღმოჩნდება, რომ ის არაფრად ვარგა და ჰალსტუხს მაინც ვერ გამონასკვავს. ამას თაღლითობა ჰქვია, ეს ასასტიკებს ადამიანებს და ამ ჩვენს ისედაც გაჭირვებულ გერმანიას უფრო დიდ გასაჭირში აგდებს. მაშინ შევიძინოთ ჰალსტუხების დიდი საჭერელა. მაგრამ არა, დიდ საჭერელას არავინ ყიდულობს, იმიტომ, რომ ყელზე აქანდაზის დაკიდება არავის უნდა, არც კაცს, არც ქალს, ძუძუთა ბავშვსაც კი, უტყვსა და უმეცარს. ნუ იცინით, ბატონებო, ეს სასაცილო არ არის. ვინ იცის, საყვარელ ბავშვს პატარა თავში რა აზრები უტრიალებს, რა საყვარელი თავია, მუჭისხელა, თმა კი რბილი და ნაზი, მაგრამ ალიმენტები?.. აი, ალიმენტების გადახდა კი უკვე სასაცილო არ არის, ის მამაკაცებს მძიმე ტვირთად აწვება. შეიძინეთ საჭერელა „ტიცთან“ ან ვერტჰაიმთან, ან, თუ ამ ებრაელებისგან ყიდვა არ გინდათ, ვინმე სხვასთან. აი მე, მაგალითად, არიელი ვარ.

ფრანცი ქუდს მაღლა იწევს: თმა - ქერა, ყურები - წითელი, გაჩაჩხული და მხიარული, ხარის თვალები.

- დიდ უნივერმაღებს ჩემი რეკლამა არ სჭირდებათ, ისინი უჩემოდაც შესანიშნავად არსებობენ. იყიდეთ ის საჭერელები, რომლებიც მე მაქვს, ან მთელი ღამე იფიქრეთ ამაზე, საჭერელას გარეშე დილით ჰალსტუხი როგორ შეიკრათ. ბატონებო, ვის აქვს ახლა დილით საჭერელას გარეშე ჰალსტუხის შეკვრის თავი? ზედმეტი ხუთი წუთით წაძინებაზე უარს ვინ იტყვის? ჩვენ ბევრი ძილი გვჭირდება, რადგან ბევრს ვმუშაობთ და ცოტას გვიხდიან. და თუ საჭერელას იყიდი, დილით მშვიდად დაიძინებ. საჭერელა, რომელიც მე მაქვს, აფთიაქებს კონკურენციას უწევს. როგორ? ისე, რომ მას, ვინც საჭერელას შეიძენს, არ დასჭირდება არც საძილე ფხვნილები, არც მიქსტურები, ღამით, როგორც ჩვილს დედის მკერდზე, ისე დაეძინება, რადგან ეცოდინება, რომ

დილით უთენია არ უნდა წამოხტეს: ის, რაც მას სჭირდება, კამოდზე უკვე შეკრული დევს და მხოლოდ საყელოს ქვემოთ უნდა შეაცუროს. თქვენ ფულს რაღაც სისულელეებში ხარჯავთ. აი, თქვენ გასულ წელს „ნიანგში“ გაიძვერების თაღლითობის საყურებლად წახვედით, გახსოვთ, წინ ცხელი სარდელებით ვაჭრობდნენ, უკან კი მინის ყუთში ჟოლი იწვა და პირიდან მჟავე კომბოსტო ეზრდებოდა. ეს ყველა თქვენგანმა ნახა, - უფრო ახლოს მოდით, ძალიან ახლოს, თორემ ყვირილით ხმა ჩამეხლიჩება, მე კი ხმა დაზღვეული მაქვს და კიდევ პირველი შესატანი ჯერ არ გადამიხდია. ჟოლი მინის ყუთში როგორ იწვა, ეს ყველამ დაინახეთ, მაგრამ მინის ყუთში ჟოლის შოკოლადს როგორ უდებდნენ, ეგ არ დაგინახავთ. ჩემთან კი თქვენ ხარისხიან და საჭირო ნივთს იყიდით. ერთი ცალი - ოცი პფენიგი, სამი ცალი - ორმოცდაათი.

ტროტუარზე ამოდით, ახალგაზრდავ, თორემ დაგეჯახებათ სატვირთო და მაშინ სისხლის გუბეს ვინ გაწმენდს? აგიხსნით, საჭერელათი ჰალსტუხი როგორ უნდა შეკრათ. გონიერი ადამიანი ბრძანდებით და თქვენთვის ამ მარტივი პროცედურის თავში უროთი ჩაჭედება არ დამჭირდება, ადვილად მიხვდებით, რა და როგორ. მაშასადამე, ერთი მხრიდან ვიღებთ ოცდაათ-ოცდათხუთმეტ სანტიმეტრს, მერე საჭერელასთან ერთად გადავკეცავთ, არა, ეგრე არა, თორემ ხელში კვანძი კი არა, ბაღლინჯო შეგრჩებათ, თანაც კედელზე მიჭყლეტილი ბაღლინჯო. ბატონებო, ჰალსტუხს ასე არ იჭერენ. დაკეცეთ, არა? მერე იღებთ ჩემგან შეძენილ აპარატს. დაზოგეთ დრო, დრო ფულია. რომანტიზმის ხანა გავიდა და უკან აღარასდროს დაბრუნდება. ეს დღეს ყველამ უნდა გავაცნობიეროთ. ჰალსტუხის შეკვრაში ყოველდღე უამრავ დროს ხომ არ დახარჯავთ, თქვენ მზა, ელეგანტური ნასკვი გჭირდებათ. შემომხედეთ, ეს არის საშობაო საჩუქარი მამაკაცებისთვის. ასეთი საჩუქარი ნებისმიერ მამაკაცს გაახარებს. ბატონებო, დავოსის გეგმის შემდეგ თუ კიდევ რამე შეგრჩათ, ეს არის თავი, რომელზეც ქუდი გახურავთ. და უნდა გითხრათ, თავიანებო, ეს საჭერელა თქვენთვის არის და ვინც ამ ნივთს იყიდის და შინ წაიღებს, მასში ნუგეშს პოვებს.

ბატონებო, ნუგეში ყველას, სულ ყველას გვჭირდება. ვინც სულელია, ნუგეშს ლუდხანაში პოულობს, გონიერი ადამიანი კი ასე არ იქცევა. ის თავის ჯიბეს

უფრთხილდება, რადგანაც მეტრაქტირეები ისეთ საშინელ არაყს გვასმევენ, რომ ჩვენ კი არა, გული ეშმაკსაც ერევა. კარგი არაყი კი ძალიან ძვირია. ამიტომ იყიდეთ ჩემი აპარატი და შიგ ჰალსტუხის ვიწრო ბოლო გაუყარეთ, ოდნავ ფართოს გაყრაც შეიძლება, მაგრამ არა უფართოეს იმ ზონრისა, რომლითაც ჰომოსექსუალი ბიჭები ფეხსაცმელებს იკრავენ. წვერს აქ შეუყრით, აქედან კი გამოაძვრენთ. ჭეშმარიტი გერმანელი მხოლოდ მაღალი ხარისხის ნივთებს ყიდულობს, ისეთს, როგორსაც მე გთავაზობთ.

ლინა ერთსქესიანი სიყვარულის წინააღმდეგია

მაგრამ ფრანც ბიბერკოპფს ეს არ აკმაყოფილებს. თვალები ფართოდ აქვს გაღებული, ცქერად არის გადაქცეული! გაიარ-გამოიარა გულთბილ და უწყინარ ბოზანდარა ლინასთან ერთად. ალექსსა და როზენტალერპლაცის მონაკვეთზე ქუჩის ცხოვრებას დააკვირდა და გაზეთებით ვაჭრობა გადაწყვიტა. რატომ? იმიტომ, რომ ეს საქმე ძალიან უქეს და ამაში ლინაც დაეხმარება, ეს კი მისთვის რაღაცას ნიშნავს. ნაბიჯი მარცხნივ, ნაბიჯი მარჯვნივ, ბრუნი, სულ არ არის ძნელი.

- ლინა, დიდი ორატორი არა ვარ, ტრიბუნიდან არასოდეს მილაპარაკია. როცა გასაყიდი ნივთების დასახელებას გავყვირი, ჩემი ესმით, მაგრამ ეს ის არ არის. იცი, რა არის გონი?

- არა, - პასუხობს ლინა და აღფრთოვანებული უყურებს კაცს.

- აბა, ერთი შეხედე ამ ვაჟბატონებს, ალექსზე რომ დაძრწიან, მაგათ არც ერთს გონი არა აქვს. უგუნურები არიან. ისინი, ვინც დუქნებში საქონელს ფურგონებით დაატარებს, რა თქმა უნდა, ეშმაკები არიან და თაღლითობაზეც უარს არ ამბობენ, მაგრამ გონიერებით ეგენიც ვერ დაიკვეხნიან. ხომ იცი, არაფერი გამომეპარება. მე სხვა გონებაზე ვლაპარაკობ. აბა, წარმოიდგინე, ორატორი რაიხსტაგში ბისმარკი ან ბებელი, ახლა ეგეთები აღარ არიან, ადამიანები, რომლებსაც აქვთ გონი. ეს თავია და არა უბრალოდ გოგრა. ახლანდელი გამომსვლელები კი მხოლოდ ყბედები არიან. ეგენი არ მომწონს. თუ ორატორი ხარ, ორატორი უნდა იყო.

- აი, როგორიც შენ, არა, ფრანც?

- კარგი ერთი, რა ორატორი მე ვარ. იცი, ვინ არის ნამდვილი ორატორი? არ დაიჯერებ და შენი დიასახლისი.

- ვინ, დედაბერი შვანკე?

- არა, მაგის წინ კარლშტრასეზე რომ გყავდა. მახსოვს, მაგასთან შენი ნივთების წამოსაღებად ერთად ვიყავით.

- აჰ, ის, ცირკთან ახლოს რომ ცხოვრობს? ეგ ქალი არ გამახსენო. ფრანცი იდუმალი გამომეტყველებით ლინასკენ გადაიხრება:

- ქალი ვარო, მაგან უნდა თქვას! მაგარი ორატორია.

- კარგი რა, ფრანც, მორჩი! ეგ ქალი დილაუთენია შემომივარდა ოთახში, ჯერ კიდევ ვიწექი, ჩემი ჩემოდნის წაღება უნდოდა და იცი რატომ? ერთი თვის ფული დროზე ვერ გადავუხადე. დიდი ამბავი.

- კარგი, ლინა. გეთანხმები, კარგად არ მოიქცა, მაგრამ როცა მასთან მივედი და ჩემოდნის ამბავი ვკითხე, ოჰ, როგორ დაიქოქა და აღარ გაჩერდა...

- მაგის ლაყბობას არასოდეს ვუსმენდი. შენ კი, ფრანც, სისულელეებს პირდაღებული უსმენდი?

- ლინა, გეუბნები, პარაგრაფებზე, სამოქალაქო კოდექსის პარაგრაფებზე ილაპარაკა, მიამბო, სახელმწიფოს თავისი ქმრის პენსია როგორ გამოჰგლიჯა, მიუხედავად იმისა, რომ ეგ მტარვალი ომში კი არ დაიღუპა, არამედ შინ სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა. როდის იყო, რომ შინ გარდაცვლილებს ომში დაღუპულებს უთანაბრებდნენ. ამას თავად დიასახლისი ამბობდა. მაგრამ იმდენი იჩალიჩა, რომ თავისას მიაღწია. აი, ამას ჰქვია გონი. გესმის, ჩემო ფუმფულა? მიზნად რასაც დაისახავს, აუცილებლად მიაღწევს. ეს ხომ ის არ არის, ვინმეს ორიოდე გროში დასცინცლო. სწორედ ასეთ რაღაცებში ჩანს ადამიანის პოტენცია. იცის, ფრთები სად გაშალოს. იცი, დღემდე გაოგნებული ვარ.

- შენ რა, იმ ქალთან კიდევ იყავი?

ფრანცმა უარის ნიშნად ორივე ხელი გააქნია.

- აბა, ერთი სცადე და მიდი იმ ქალთან. მიხვალ ჩემოდნის წამოსაღებად ზუსტად **11** საათზე, რადგან **12** საათზე სხვაგან ხარ მისასვლელი და ლამის ღამის პირველ საათამდე იქ იყურყუტებ. გაუთავებლად ლაპარაკობს, ჩემოდანს კი, რისთვისაც მიხვედი, არ გაძლევს. მოდიხარ იქიდან ხელცარიელი, ლაპარაკისგან გასავათებული. ერთი სიტყვით, ლაპარაკის დიდოსტატია.

ფრანცი ზის და ჩაფიქრებული მაგიდაზე დაღვრილი ლუდის პატარა გუბეში თითით გაურკვეველ ხაზებს ავლებს:

- იცი, მივალ, სადაც საჭიროა და გაზეთების გაყიდვას დავიწყებ. ეს
კარგი საქმეა. ლინა დუმს. ის ოდნავ ნაწყენია. ფრანცის სიტყვა და საქმე
ერთია.

ერთ მშვენიერ დღეს ფრანცი როზენტალერპლაცზე დგას და მასთან ლინას, როგორც ყოველთვის, საუზმე მოაქვს. ამ დღეს, 12 საათზე, თავის მუყაოს ყუთს დადგამს, ლინას გადაულოცავს და გაზეთების გაყიდვის საქმის გასარკვევად გაემართება.

* * *

ჯერ ორანიენბურგერშტრასეზე, ჰაკეს ბაზართან, ვიღაც მოხუცს გამოელაპარაკება. მოხუცმა სექსუალური განათლების მიღება ურჩია, უთხრა, ამან ახლა საყოველთაო ხასიათი მიიღო და ეს საქმე ძალიან მომგებიანიაო.

ფრანცი დაიბნა, გაოგნებულმა იკითხა:

- რას ნიშნავს სექსუალური განათლება? - არა, ეს საქმე მართლაც არ
მოსწონდა. ჭაღარამ გამოფენილ ჟურნალებზე მიუთითა:
- აი, - თქვა, - შეხედე და კითხვებსაც არ დამისვამ.

- აქ სანახავი რა არის? შიშველი გოგოებია დამორჩა.

- სხვა ჟურნალები არა გვაქვს.

გაჩუმდნენ. დგანან. ერთმანეთს სიგარეტებს აბოლებენ. ფრანცი სურათებს ათვალიერებს, კვამლის ბოლქვებს უშვებს. ჭაღარა სადღაც მის მიღმა იყურება. ფრანცმა მისი მზერა დაიჭირა.

- მეგობარო, მითხარი, ამ შიშველი გოგოების ფოტოები მოგწონს, არა? ცხოვრება გვიღიმის. აქ დედიშობილა გოგო კატის კნუტთან ერთად დაუხატავთ. ეს გოგო კატასთან ერთად კიბეზე რას აკეთებს? საეჭვო არსებაა. ხელს ხომ არ გიშლი, კოლეგა?

ჭაღარა კი თავის დასაკეც სკამზე წელში მოხრილი მორჩილად ზის და თავისთვის წუხს: რა გამოლევს ამისთანა ვირებს, ნამდვილ აქლემებს, ჰაკეს ბაზარზე: ყოველ ცისმარე დღეს დახეტიალებენ და იმ ადამიანებს, რომლებსაც უმაგათოდაც ცხოვრება ძალიან უჭირთ, მოსვენებას არ აძლევენ, თავიანთი სისულელეებით გულს უწუხებენ.

ჭაღარა რომ გაჩუმდა, ფრანცმა დაფიდან რამდენიმე ჟურნალი ჩამოხსნა:

- შეიძლება ავიღო, კოლეგა? ეს რა ჟურნალია, „ფიგარო“? ეს „ქორწინება“. ეს კი „იდეალური ქორწინება“, ანუ ეს სხვა რამეა და არა უბრალოდ „ქორწინება“. ეს კი „ქალის სიყვარული“. ვის რა მოსწონს. ამ ჟურნალებიდან ბევრ რამეს გაიგებ. თუკი, რა თქმა უნდა, მათ შესაძენად ფული გექნება, რადგანაც ეს ყველაფერი ძალიან ძვირია, საქმე კი სადავიდარაბო.

- როგორ თუ სადავიდარაბო? ეს ხომ ნებადართულია. აკრძალული არაფერია, ჩემს გამოცდილებას ენდე. შენ კი ამბობ, სადავიდარაბოო. იცოდე, აკრძალულს არასდროს არაფერს გავაკეთებ. ეგღა მაკლია, ხათაბალაში გავეხვიო.

- აი, რას გეტყვი, ოღონდ არ გამიბრაზდე. ამ სურათების დათვალიერება არავის არგებს. ეს საკუთარი გამოცდილებით ვიცი. ეს მამაკაცს მხოლოდ აუძლურებს, მეტიც, ანადგურებს. ამ სურათების ცქერას და ამით ტკბობას თუ შეეჩვევი, მაგრად მოგეხაზება, და მაშინ, როცა საქმე საქმეზე მიდგება, მიხვდები, რომ ბუნებრივი გზით, ანუ როგორც წესი და რიგია, უკვე აღარაფერი გამოგდის.

- ვერ მივხვდი, რას ამბობ! და თუ შეიძლება, დორბლებს ნუ ყრი და ჩემს ჟურნალებს ნუ ასველებ, ჩემს ძვირად ღირებულ ჟურნალებს, ხედავ, მთელი ყდა დანერწყვე. ხედავ, აქ რა წერია: დაუქორწინებლებისთვის. ანუ ეს ჟურნალი თავისუფალი სიყვარულის მომხრეებისთვის არის, აქ ყველაფერი მათთვის წერია. ასეა, ჟურნალები ნებისმიერი ორიენტაციის ადამიანებისთვის გვაქვს.

- ჰო, დაუქორწინებლები. რა თქმა უნდა, ასეთი მამაკაცებიც არსებობენ. ჩემს პოლონელ ლინაზე ჯვარი არც მე დამიწერია.

- აი, ხომ ხედავ! აბა, შეხედე აქ რა წერია, არ ვიცი, ეს სწორია თუ არა, მაგრამ მაინც. მაგალითად,

„მცდელობა, რომ მეუღლეების სქესობრივი ცხოვრება კონტრაქტით დარეგულირდეს, ნიშნავს ყველაზე დამამცირებელ და უნამუსო მონობას, როგორიც კი ადამიანმა შეიძლება წარმოიდგინოს“. აბა, რას იტყვი?

- როგორ თუ რას?

- ასეა თუ არა?

- ამგვარი რამ არ გამომიცდია. ასეთ საქმეში ქალი არ უნდა მბრძანებლობდეს. არა, ბატონო. ნუთუ ასეთი რამ შესაძლებელია?

- შენი თვალით წაიკითხე და დარწმუნდები, რომ შესაძლებელია.

- ეს უკვე მეტისმეტია, ასეთი ქალი რომ შემხვედროდა, მაშინ...

ფრანცი ამ ფრაზას შეცბუნებული კიდევ ერთხელ კითხულობს, მერე წამოხტება და ჭაღარას ჟურნალში თითით ერთ ადგილს აჩვენებს:

- აი, ნახე მერე რას წერენ: „მინდა ამის დასტურად დ'ანუნციოს ნაწარმოებიდან „ავხორცობა" ფრაგმენტი მოვიყვანო"... - ერთი ნახე, ამ ღორს დ'ანუნციო ჰქვია, ესპანელია თუ იტალიელი, ან იქნებ ამერიკელი, - „კაცს, შეპყრობილს ფიქრით, ვნებითა და ჟინით შორეულ სატრფოზე, მის მაგივრობას სხვა ქალი უწევს და სატრფოსნაცვალს ალერსის დროს უნებურად სანატრელი ქალის სახელს უწოდებს". ეშმაკმა იცის, ეს რა არის! არა, მეგობარო, მე ამ თამაშს არ ვთამაშობ.

- აბა, ერთი მაჩვენე, ეგ სად წერია!

- აი, აქ, სანატრელი ქალის მაგივრობას, სატრფოსნაცვალი... გაგიჟდება კაცი! სალაფავი გემრიელი კერძის ნაცვლად, რეზინი კანის ნაცვლად. ეს სად გაგონილა, ქალი ან ქალიშვილი ვინმეს მაგივრობას სწევდეს. მამაკაცი კი საწოლში იწვენს ნაქირავებ ქალს, რადგანაც ის, ვინც უყვარს, გვერდით არა ჰყავს, სატრფოს მაგიერი კი ამას ამჩნევს და დაწუწუნებასაც ვერ ბედავს! და ეგ ესპანელი ასეთ სისულელეებს დასაბეჭდად აძლევს? ამწყობი რომ ვყოფილიყავი, ამ იდიოტობას ნამდვილად არ ავაწყობდი.

- აბა, ენა დაიმოკლე, ახალგაზრდავ, ეს შენი განსასჯელი არ არის. შენისთანა კაცის, ჰაკეს ბაზარს რომ ტკეპნის, მწირი გონება როგორ გაიგებს ნამდვილ მწერალს რისი თქმა უნდა, დიახ, ნამდვილ მწერალს, თანაც ესპანელს თუ იტალიელს, სულერთია.

ფრანცი კითხვას აგრძელებს:

- „ამის შემდეგ მის სულში უკიდეგანო სიცარიელემ და სიჩუმემ დაისადგურა". მეცინება. ეგ შენი მწერალი სადაურიც უნდა იყოს, ტყემალზე ზის და ბლის კურკებს

ისვრის. მაგრად მაბოლებს. როდის მერე არის სიცარიელე და სიჩუმე? ამ საქმეში მეტი რაღაც გამეგება, უფრო მეტი, ვიდრე მაგას. და ქალები ყველგან, ყველა ქვეყანაში ერთი და იმავე ცომით არიან მოზელილი. ერთი ქალი მყავდა. ერთხელაც ჩემს ბლოკნოტში სხვა ქალის მისამართი აღმოაჩინა და ეჭვით შეპყრობილმა საშინელი დღე მაყარა. იმის წივილ-კივილი მთელ სახლში ისმოდა. მინდოდა მისთვის საქმის ნამდვილი ვითარება ამეხსნა, მაგრამ პირის გაღებაც ვერ მოვახერხე. დაჭრილი მხეცივით ღრიალებდა. ხალხი მოცვივდა... ბედნიერი ვიყავი, როცა იქიდან ძლივს გამოვაღწიე. ასე რომ, ჩემო ძვირფასო, ეტყობა, ქალებს ცუდად იცნობ. მაგათ ღალატი აცოფებთ.

- შენ კი, ადამიანო, ორ გარემოებას ვერ ითვალისწინებ.

- კერძოდ?

- როცა ჩემგან ჟურნალი ან გაზეთი მიაქვთ, ამაში ფულს მიხდიან. და თუ შიგ სისულელეა, უბედურება არ არის, რადგან მკითხველს, ძირითადად, სურათები აინტერესებს.

ფრანც ბიბერკოპფმა მარცხენა თვალი გამკიცხავად მოჭუტა.

- გარდა ამისა, - აგრძელებდა ჭაღარა, - კიდევ „ქალის სიყვარული“ და „მეგობრობა“ გვაქვს. ესენი საქმეზე არ ყბედობენ, ესენი იბრძვიან, დიახ, დიახ, ადამიანის უფლებებისთვის იბრძვიან.

- კი მაგრამ, რითი არიან უკმაყოფილო?

-175-ე პარაგრაფზე[6] თუ გსმენია რამე?

და ჭაღარამ ამ საკითხში ფრანცი გაანათლა: თურმე დღეს ლანდსბერგერშტრასეზე მდებარე ალექსანდერპალასში მოხსენებას წაიკითხავენ. აი, სად შეუძლია ფრანცს იმ უსამართლობის ამბები მოისმინოს, რომელთა მსხვერპლიც გერმანიაში ასიათასობით კაცია. ისეთ რაღაცებს მოისმენს, თმა ყალყზე დაუდგება. ჭაღარამ ფრანცს გაყვითლებული ჟურნალების დასტა იღლიაში ამოუდო. ფრანცმა დასტას დახედა, ამოიოხრა და იქ აუცილებლად შევივლიო, დაჰპირდა მოხუცს. დაპირებით კი დაჰპირდა, მაგრამ თავისთვის გაიფიქრა: „ისე, იქ რა მესაქმება, ღირს კი წასვლა? იქნებ ეს ჟურნალები მართლაც სარფიანი საქმე გამოდგეს? ეს პედერასტი ბიჭები; ახლა წაათრიე ესენი სახლში და წაიკითხე. მართალია, ასეთი ბიჭები მეცოდებიან, მაგრამ

მათთან მე არაფერი მესაქმება. სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი“.

არადა, გაება ხათაბალაში. ეს საქმე იმდენად ბინძურად მოეჩვენა, რომ ლინასთან კრინტიც არ დაუძრავს, საღამოს კი ჩუმად გაიპარა. ჭაღარა მეგაზეთემ პატარა, გადაჭედილ დარბაზში ზურგში ხელის კვრით შეაგდო. აქ უმრავლესობა მამაკაცები იყვნენ, მათ შორის ახალგაზრდები ჭარბობდნენ, ისხდნენ წყვილ-წყვილად. იყვნენ ქალებიც, მაგრამ კანტიკუნტად და ისინიც ორ- ორი, ერთმანეთის გვერდით. ფრანცს ერთი საათი ხმა არ ამოუღია, ხანდახან სიცილი წასკდებოდა და პირზე შლაპას იფარებდა. ასე იჯდა **10** საათამდე. მერე კი მოჰბეზრდა, დროა, დავითესოო, გაიფიქრა, რაზეც ლაპარაკობდნენ და ეს ხალხიც კომიკურად მოეჩვენა. ამდენი პედერასტი ერთად და იგი მათ შორის. არა, აქ არაფერი ესაქმება. ფრანცი გარეთ ტყვიასავით გავარდა და სანამ ალექსანდერპლაცამდე მივიდოდა, სიცილით კვდებოდა. სულ ბოლოს ჰემნიცის ამბები მოისმინა. ჰემნიცში **27** ნოემბერს პოლიციამ გამოსცა განკარგულება, რომლის თანახმადაც, ჰომოსექსუალებს ქუჩაში წყვილად სიარული და საზოგადოებრივი ტუალეტებით სარგებლობა ეკრძალებოდათ. დანაშაულის ადგილზე წასწრების შემთხვევაში ოცდაათი მარკით დაჯარიმდებოდნენ.

ფრანცს ლინას ნახვა უნდოდა, მაგრამ ის თავის დიასახლისთან ერთად სადღაც წასულიყო. ამიტომ დაწვა და დაიძინა. სიზმარში ბევრი იცინა, იგინა და იჩხუბა. ეჩხუბა ვიღაც რეგვენ მძღოლს, ზიგესალეესთან ახლოს, როლანდის შადრევნის ირგვლივ წრეებს რომ არტყამდა. მანქანას უკვე შუპო მოსდევდა. როგორც იქნა, ფრანცი მანქანიდან გადმოხტა. მანქანა კი არ ჩერდებოდა, ისევ და ისევ შადრევნის ირგვლივ ტრიალებდა. ფრანცი და შუპო იდგნენ და მსჯელობდნენ, მძღოლი როგორ გაეჩერებინათ: ეტყობა, გაგიჟდა ყმაწვილი.

სადილობის ჟამს ფრანცი, როგორც ყოველთვის, ლინას ლუდხანაში ელოდებოდა. ჭაღარასგან წამოღებული ჟურნალებიც წამოეღო. ერთი სული ჰქონდა, ლინას ჰემნიცელ საწყალ ტანჯულებზე როდის დაელაპარაკებოდა. უამბობდა **27** ნოემბერს მიღებული პარაგრაფის შესახებ, რომლის თანახმადაც, ტანჯულები ოცდაათი მარკით ჯარიმდებოდნენ. თანაც ეტყოდა, რომ მას ეს არ ეხება, კეთილი ინებონ და თავიანთ პარაგრაფებში თავად გაერკვნენ. მექსაც, მსხვილფეხა საქონლის გამყიდველებსაც ტვინი როგორც უნდა, ისე აურიონ. მას, ფრანცს, მშვიდობა უნდა. თავი დაანებონ. ეს მას არ ეხება.

ლინა მაშინვე ამჩნევს, რომ ფრანცს ცუდად ეძინა. ფრანცმა ქალს ყდაზე უწმაწურსურათებიანი ჟურნალები მორცხვად ახლოს მიუწია. ლინამ შიშით პირი დააღო და ზედ ხელი მიიფარა. აქ ფრანცი ისევ გონზე, ანუ ჭკუაზე ალაპარაკდა. მაგიდაზე სანუკვარი ლუდის გუბის ძებნა დაიწყო, მაგრამ ვერ აღმოაჩინა. ქალმა კი სკამი გააჩოჩა, მისგან კარგა მანძილზე უკან დაიხია: ეს კაცი ხომ არ გაგიჟდა, იქნებ ეგეც, ამ ჟურნალებში რომ წერენ, იმათი მსგავსია. არადა, აქამდე ხომ მაგათი მსგავსი არ იყო. კაცი კი რაღაცას ლუღლუღებს და მაგიდის მშრალ, თეთრ ზედაპირზე თითებით გაურკვეველ ხაზებს ავლებს. უცებ ქალი მაგიდიდან ჟურნალების დასტას იღებს და ხელის ძლიერი მოქნევით სკამზე ყრის, მერე დგება, განრისხებული, ვითარცა მენადა. მერე ერთმანეთს თვალებში უყურებენ: ბრაზმორეული ქალი - ზემოდან, კაცი კი დამნაშავე ბიჭივით - ქვემოდან. ლინა გარბის, ფრანცი რჩება - ზის და ამ მოცალეობის ჟამს ჟურნალებს ათვალიერებს და ფიქრობს.

ერთ თბილ და საამო საღამოს ვინმე დარბაისელი მელოტი ბატონი ტირგარტენში სეირნობისას ლამაზ ბიჭუნას ხვდება. ბიჭუნა მაშინვე კაცს ხელკავს გამოსდებს. ისეირნებენ ერთი საათი და მოულოდნელად მელოტს სურვილი იპყრობს, ჟინი, მოთხოვნილება. აქვე, ამწუთას მხურვალედ და ვნებით მოეფეროს ამ ბიჭს. კაცი ცოლიანია, მსგავსი რამ ადრეც უგრძნია, მაგრამ არასოდეს ისე ძლიერად, როგორც ახლა და ეს ხომ მშვენიერია:

- ჩემი მზე ხარ, ჩემი თვალის სინათლე, ძვირფასო.

ბიჭი კი ისეთი დამყოლია, ისეთი მორჩილი. ხომ არსებობენ ასეთები ამქვეყნად!

- მოდი, - ამბობს პატარა ბიჭი, - სადმე პატარა სასტუმროში წავიდეთ, ხუთ ან ათ მარკას მაჩუქებ, სულ უფულოდ ვარ.

- რასაც ისურვებ, ჩემო ბიჭუნავ!

და ბიჭს ფულით სავსე საფულე აჩუქა. ასეთი რაღაცებიც ხდება. მშვენიერია!

მაგრამ ნომრის კარს საჭვრეტი ჰქონდა. სასტუმროს პატრონმა საჭვრეტში შეიჭვრიტა, რაღაც დაინახა და დიასახლისს დაუძახა. საჭვრეტში დიასახლისმაც შეიჭყიტა, ის რაღაც მანაც დაინახა და მერე ერთხმად განაცხადეს, რომ იმას, რაც დაინახეს თავიანთ სასტუმროში, არ მოითმენდნენ, დაინახეს კი ესა და ეს და მელოტი ბატონი ამის

უარყოფას ვერ გაბედავს. ისინი ამ საქმეს ასე არ დატოვებენ, ხანში შესულ ბატონს სირცხვილისაგან მიწა უნდა უსკდებოდეს, რომ ასეთ სამარცხვინო საქმეს სჩადის, პატარა ბიჭებს რყვნის და სადაც ჯერ არს, იქ უჩივლებენ. ამ დროს, თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, პორტიე და დამლაგებელი ქალი გაჩნდნენ, კბილებს აკრაჭუნებდნენ. დამნაშავეს მუშტებს უღერებდნენ. მეორე დღეს მელოტმა ბატონმა ორი ბოთლი

კონიაკი „ასბახი ძველი“ იყიდა, ოჯახში დაიბარა, საქმეზე მივდივარო და სინამდვილეში ჰელჰოლანდში დასათრობად გაემგზავრა, რათა მერე მთვრალს თავი დაეხრჩო. გემზე მართლაც ავიდა, გონების დაკარგვამდეც გაილეშა, მაგრამ ორი დღის შემდეგ, ისე, თითქოს არაფერი მომხდარაო, თავის დედაბერს დაუბრუნდა.

და მართლაც არაფერი მომხდარა იმ ერთი, ორი და ა.შ., თვეების განმავლობაში, მთელი წლის განმავლობაში. თუმცა არა, - მოხდა, და აი, რა: მელოტმა ბატონმა ამერიკელი ბიძისგან მემკვიდრეობა - 3000 დოლარი მიიღო, ახლა შეეძლო საკუთარი თავისთვისაც მიეხედა და ერთ დღესაც, როცა ჩვენი მელოტი კურორტზე, სამკურნალო წყლებზე ბრძანდებოდა, მისმა დედაბერმა სასამართლოს უწყებას ქმრის მაგივრად ხელი მოაწერა. ქალმა უწყება, რომელშიც დაწვრილებით ეწერა კარის საჭვრეტიდან დანახული სცენების, საფულისა და სანდომიანი ბიჭის ამბავი, წაიკითხა. მელოტი კურორტიდან გამოჯანმრთელებული დაბრუნდა და რას ხედავს: ოჯახი - დედაბერი მეუღლე და მისი ორი ქალიშვილი ცრემლად იღვრებიან. უწყება წაიკითხა, ეს უკვე მეტისმეტია, წყეული ბიუროკრატია, გერმანიას რომ ეს ობი მოედო, კარლოს დიდის დამსახურებაა. ახლა მასაც მისწვდნენ. მაგრამ ამ ქაღალდში სიმართლე წერია, ვერაფერს იზამ. და აი, იგი სასამართლოს წინაშე დგას:

- ბატონო მოსამართლევ, ასეთი მაინც რა ჩავიდინე! საზოგადოებრივი წესრიგი არ დამირღვევია, უბრალოდ სასტუმროს ნომერში შევედი და კარი ჩავკეტე. რა ჩემი ბრალია, თუ საჭვრეტი ჰქონდა... და შიგ სისხლის სამართლის დანაშაული ნამდვილად არ მომხდარა.

ბიჭი მელოტის ნათქვამს ადასტურებს.

- ასეთი რა გავაკეთე? - ბეწვისქურქიანი მელოტი ტირის, - რამე მოვიპარე? ვინმეს სახლში შევუვარდი და გავძარცვე? მხოლოდ ჩემს ძვირფას ადამიანს მოვტაცე გული. ვუთხარი, შენ ჩემი მზის სხივი ხარ-მეთქი!

და ეს ასეც იყო: მამაკაცი გაამართლეს, მაგრამ ამან ოჯახის წევრებს ცრემლი ვერ შეუშრო.

„ჯადოსნური ფლეიტა“, დანსინგპალასი, პირველ სართულზე ამერიკული ჯაზი. ქირავდება: კაზინო აღმოსავლურ სტილში ოჯახური ზეიმებისათვის. რას ვაჩუქებ ჩემს მეგობარ ქალს საშობაოდ?

ჰერმაფროდიტების საყურადღებოდ! მრავალი წლის ცდების შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, შევქმენი რადიკალური საშუალება, რომელიც თქვენს სახეზე წვერისა და ულვაშის ამოსვლას არათუ შეაჩერებს, არამედ ძირფესვიანად მოსპობს. ახლა სხეულის ნებისმიერ ადგილზე თმის განადგურება შეგიძლიათ. გარდა ამისა, აღმოვაჩინე ქალის მკერდის უმოკლეს დროში გაზრდის საშუალება. არავითარი მედიკამენტები. ეს საშუალება საკუთარ თავზე გამოვცადე და ფანტასტიკური შედეგი მივიღე; ანუ ამის დასტური და თვალსაჩინო მაგალითი მე თავად ვარ. გაუმარჯოს თავისუფალ სიყვარულს!

ადამიანების ბნელ საცხოვრებლებს კაშკაშა ვარსკვლავებით მოჭედილი ცა დასცქერის. კერკაუენის სასახლეში ღამის სიჩუმეს არაფერი არღვევს. მხოლოდ ერთი ქერათმიანი ქალი ვერ იძინებს და თავით აწვალებს ბალიშს. ხვალ ვაი, რომ ხვალ მიატოვებს მამაკაცი, რომელიც ასე ძლიერად, თავდავიწყებით უყვარს.

ჩურჩული მიქრის ბნელ (უფრო სწორად, მრუმე) ღამეში: გიზა, ჩემთან დარჩი, ჩემთან დარჩი (არ წახვიდე, არ გაემგზავრო, დაჯექი, დაისვენე) არ მიმატოვო. მაგრამ გულქვა სიჩუმეს არც ყურები აქვს და არც გული (არც ფეხები და არც ცხვირი). იქვე ახლოს კი, სულ რამდენიმე კედლის მიღმა, ფერმკრთალი, ტანკენარი ქალი წევს და მისი შავი, ხშირი თმა აბრეშუმის ზეწრებზე არეულ- დარეულ შავ ხაზებად მიიკლაკნება (კერკაუენის სასახლე აბრეშუმის ზეწრებით არის განთქმული). ქალი ციებ-ცხელებიანივით კანკალებს, კბილები ისე უკაწკაწებს, როგორც საშინელ ყინვაში (წერტილი), მაგრამ ქალი არ ინძრევა (მძიმე), გადასაფარებელს ტანზე მჭიდროდ არ იხვევს (წერტილი). ტანზე უმოძრაოდ უწყვია ნატიფი, ყინულივით ცივი ხელები (როგორც ძლიერ ყინვაში, სიცივისგან ატეხილი კანკალი, ტანკენარი ქალი ღია თვალებით, განთქმული აბრეშუმის ზეწრებით) (წერტილი). მისი ელვარე თვალების მზერა სიბნელეში დახეტიალებს, ბაგენი მისი კანკალებენ, ორი წერტილი, ბრჭყალები, ო, ლორა, ტირე, ტირე, ლორა. ბრჭყალები, ბატის ფეხი, ბატის ღვიძლი ხახვით.

- არა, არა, შენთან ერთად არსად არ წამოვალ, ფრანც. და საერთოდაც ჩვენ ერთმანეთს უნდა დავშორდეთ, აქედან წადი.

- მოდი, ლინა, იმ მოხუცს ამ საზიზღრობას უკან მივუტან.

ხოლო, როცა ფრანცმა შლაპა მოიხადა და კამოდზე დადო - ეს ლინას ოთახში ხდებოდა - და ქალს

საკმაოდ დამაჯერებლად ხელები აუსვ-დაუსვა, მან ჯერ ხელები დაუკაწრა, მერე ატირდა, ბოლოს კი მასთან ერთად წასვლას დათანხმდა. სექსუალური ჟურნალები შუაზე გაიყვეს და ბრძოლის ველზე მარშრუტით: როზენტალერშტრასე-ნოიეშონჰაუზერშტრასე-ჰაკეს ბაზარი - წავიდნენ.

ბრძოლის ველზე ლინამ, სანდომიანმა, პატარა, პირდაუბანელმა და ნამტირალევმა მსუქანამ, დამოუკიდებლად წამოიწყო შეტევა ა ლა პრინც ჰომბურგელი: ჩემი კეთილშობილი ბიძა ფრიდრიხ ბრანდენბურგელი! ნატალი! თავი დაანებე, დაანებე! დიდო ღმერთო, ახლა დაიღუპება, მაგრამ სულერთია, მოხდეს, რაც მოსახდენია.

ქალი მაშინვე პირდაპირ ჭაღარას ჯიხურისაკენ გაიჭრა. ფრანც ბიბერკოპფმა კი, კეთილშობილმა და წამებულმა, თავი დაიოკა და რეზერვში დარჩა. იგი შრედერის „იმპორტული სიგარების“ მაღაზიის ვიტრინის წინ იდგა და ბრძოლის მსვლელობას თვალს ადევნებდა; მხოლოდ ეგ იყო, რომ ნისლი, ტრამვაი და გამვლელები ოდნავ უშლიდნენ ხელს. მხატვრულად რომ ვთქვათ, ცხარე ბრძოლაში შეტაკებული მოხუცი და ლინა ერთ არსებად იქცნენ. ერთმანეთის სხეულებზე სუსტ და დაუცველ ადგილებს ეძებდნენ. ხელი მთელი ძალით მოიქნია და მოწინააღმდეგეს ჟურნალების დასტა ესროლა. ჩერნოვიცელმა ფროილაინ ლინა პშიბალამ, მიწათმფლობელ სტანისლავ პშიბალას ერთადერთმა და კანონიერმა ქალიშვილმა. ლინას დაბადებამდე დედამისი ორჯერ იყო ფეხმძიმედ და ორივეჯერ მეხუთე თვეზე მოსწყდა მუცელი. და ორივესთვის მშობლებს ლინას დარქმევა უნდოდათ. ორთაბრძოლის შემდგომი სცენები ქუჩის გრუხუნსა და გამონაბოლქვში ჩაიკარგა.

- ერთი უყურე, ურცხვი, ურცხვი! - აღტაცებით ამოიგმინა ბრძოლის ერთ-ერთი ეპიზოდის ხილვით გაკვირვებულმა და გამხიარულებულმა წამებულმა ფრანცმა. იგი, როგორც რეზერვი, საბრძოლო მოქმედებების ცენტრს უახლოვდებოდა, ხოლო ერნსტ კიუმერლიხის ლუდხანის წინ აღტაცებისგან სახეგაბრწყინებული და აწკმუტუნებული ხვდება გამარჯვებული - ფროილაინ ლინა პშიბალა, მომხიბვლელი ბოზანდარა:

- აბა, ფრანც, იმ ბეხრეკს ჩემგან მაგრად მოხვდა, არა?

ფრანცმა თავისი პოსტიდან ყველაფერი კარგად დაინახა. ლუდხანაში კაცმა ქალს ხელი

მოხვია და ისიც ძლიერ სხეულს იმ ადგილას მიეკრა და გაიტრუნა, სადაც მისი ვარაუდით შალის პულოვერის ქვეშ კაცის გული ეგულებოდა, - მაგრამ უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ალბათ, იქ მკერდის ძვალი ან მარცხენა ფილტვის წვერი თუ იქნებოდა. ლინამ მოზეიმე გამომეტყველებით სულმოუთქმელად გადაკრა ერთი სირჩა ლიქიორი.

- იმ მოხუცმა თავისი ნაგავი ტროტუარიდან თვითონ აკრიფოს.

ახლა კი, ო, მარადიულო ნეტარებავ, შენ, საყვარელო, სამუდამოდ ჩემი ხარ, ეს რა ნათება იღვრება ირგვლივ! დიდება, დიდება ჰომბურგის პრინცს, ფერბელინის ბრძოლაში გამარჯვებულს, დიდება (სასახლის ტერასაზე სეფექალები, ოფიცრები, მსახურები ჩირაღდნებით გამოდიან)!

- ერთი სირჩა კიდევ დამისხი!

ჰაზენჰაიდეს პარკში, „ახალ სამყაროში“. თუ ეს არა, მაშინ სხვა იქნება, ცხოვრება ისედაც მძიმეა და ადამიანმა მეტად არ უნდა დაამძიმოს

ფრანცი ფროილაინ პშიბალას ოთახში ზის, იცინის, ხუმრობს:

- ლინა, შენ თუ იცი, ჩაწოლილი საქონელი რას ნიშნავს? - და ქალს გვერდში მსუბუქად გაჰკრავს. ლინამ თვალები დაჭყიტა.
- ვიცი, აი, ფელში, ჩემი მეგობარი, ხომ იცი ფირფიტების მაღაზიაში რომ მუშაობს, ხშირად ამბობს,
ამ მაღაზიაში მხოლოდ ჩაწოლილი საქონელი გვაქვსო.

- არა, ცდები. აი, მაგალითად, შენ დივანზე წევხარ, მე კი შენ გვერდით. ახლა შენ ჩაწოლილი საქონელი ხარ, მე კი მყიდველი.

- ოჰ, გამოიგონებ რა, რაღაცას.

კაცმა უჩქმიტა, ქალმა წამოიკნავლა.

მაშ, ვიმხიარულოთ, მეგობრებო, ვიცინოთ, ტრალალა, ტრალალა, ვიცეკვოთ.

მერე დივნიდან წამოდგნენ (ავად ხომ არ ბრძანდებით, ბატონო, მაშინ წაბრძანდით ექიმთან)

ᥣᥱ

მხიარულად გაემართნენ ჰაზენჰაიდესკენ, „ახალ სამყაროში“. იქ სუფრა ყოველთვის გაშლილია, სულ ზეიმობენ, ლამაზი ფეხების კონკურსს აწყობენ და გამარჯვებულ ქალს პრიზს აძლევენ. ესტრადაზე ტიროლურ სამოსში გამოწყობილი მუსიკოსები ხმადაბლა უკრავენ: „დალიე, ძმაო, დალიე, საზრუნავი შინ დატოვე, მწუხარება დაივიწყე, სევდა განიქარვე და ცხოვრება უფრო საამური მოგეჩვენება“.

მუსიკა აქ მყოფთ საცეკვაოდ იწვევს, აქეზებს, ყოველ ტაქტზე სულ უფრო მეტად და მეტად. ლუდის კათხების მიღმა ადამიანები იღიმებიან, ფეხებს აბაკუნებენ და სიმღერას ჰყვებიან:

„დალიე, ძმაო, დალიე, საზრუნავი შინ დატოვე, მწუხარება დაივიწყე, სევდა განიქარვე და ცხოვრება უფრო საამური მოგეჩვენება“.

ამ დროს, სად იყო და სად არა, თვით ჩარლი ჩაპლინი გამოჩნდა, საქსონური აქცენტით ჩურჩულებს, მხრებს ათამაშებს, ფართხუნა შარვლითა და ფრატუნა ფეხსაცმელებით ზემოთ, ბალუსტრადაზე მიჩანჩალებს, მერე ვიღაც არცთუ ახალგაზრდა ქალს ფეხში ხელს სტაცებს და მასთან ერთად რუსულ გორაკებზე ელვისებურად დაეშვება. მაგიდების ირგვლივ მსხდომი ოჯახები თეთრ ქაღალდებზე შავი ლაქებივით ჩანან. შეიძინეთ **50** პფენიგად გრძელი ჯოხი ქაღალდის საგველათი, იგი კონტაქტების დამყარებაში დაგეხმარებათ: კისერი ღიტინისადმი ძალიან მგრძნობიარეა, მუხლს ქვემოთ ნაკეციც, ამ ჯოხით შეუღიტინეთ და ის ადამიანი, რომელიც თქვენ გაინტერესებთ, მაშინვე ფეხს გასწევს და თქვენკენ მოტრიალდება. აქ ვინღა არ არის? ორივე სქესის მოქალაქეები, რაიხსვერის რამდენიმე სამხედრო პირი მეგობარ ქალებთან ერთად. დალიე, ძმაო, დალიე, საზრუნავი შინ დატოვე...

ბევრს ეწევიან, ჰაერი ჩიბუხებიდან, სიგარებიდან, სიგარეტებიდან გამონაბოლქვი ბოლით არის გაჟღენთილი. ირგვლივ კვამლის ღრუბლებია, დიდი დარბაზის თავზე ნაცრისფერი კვამლი ნისლივით ჰკიდია. აქ კვამლსაც კი ევიწროება, კარგია, რომ მსუბუქია, ზემოთ მიიწევს, გარეთ გასასვლელს, ღრიჭოებს, ნახვრეტებს, ვენტილატორებს ეძებს. ესენიც მზად არიან, გარეთ გაუშვან, მაგრამ იქ, ქუჩაში ბნელა და ცივა. დროა, კვამლი შეგვეცოდოს, კვამლს არ ძალუძს თავისი ბუნების საწინააღმდეგოდ მოქცევა და აქ დარჩეს. ვერაფერს იზამ, - ვენტილატორები შეუსვენებლად ტრიალებენ და კვამლს ისრუტავენ. ერთობ გვიან არის! სადაც უნდა

ჩაყო ცხვირი, ყველგან ფიზიკის კანონები მოქმედებს. კვამლი ვერ ხვდება, მის თავს რა ხდება, უნდა თავში ხელი შემოირტყას, თავი კი არა აქვს, უნდა იფიქროს, მაგრამ რითი? ქარი კვამლს აიტაცებს და გააქროლებს, სიცივემ და სიბნელემ თვალი მოჰკრეს მხოლოდ.

ერთ მაგიდასთან ორი წყვილი ზის და გამვლელ-გამომვლელს თვალს აყოლებს. კავალერი ნაცრისფერ კოსტიუმში ულვაშიან სიფათს შავგვრემანი ტანსრული ქალის მკერდისკენ ხრის. ორივეს გული უფანცქალებს, კაცი ქალის მკერდის სურნელს იყნოსავს, ქალი კი - კაცის კეფაზე წასმული ბრიოლინისას.

გვერდით ვინმე ყვითელ-კუბოკრული არსება ხითხითებს. იმ სკამის საზურგეზე, რომელზეც ეს ყვითლად შეფერადებული ქალი ზის, მისი კავალერი ხელს დებს. ქალს კბილები ლამის პირიდან გადმოუცვივდეს, მარჯვენა თვალზე ბინოკლი უელავს, ფართოდ გაღებული მარცხენა კი დაშრეტილი აქვს, ჩამქრალი. ეწევა, იღიმება, თავს იქნევს: „ვერ გავიგე, რა მკითხე?“ ახალშეღერებული ვარია, რომელსაც ფუმფულა ტალღოვანი თმა აქვს, მეზობელ მაგიდასთან ზის, უფრო სწორად, თავისი ერთობ განვითარებული და შთამბეჭდავი, მაგრამ კაბაში გამოკვართული უკანალი ბაღის დაბალ რკინის სკამზე ბალიშივით უდევს. ოდნავ ცხვირში ლაპარაკობს და ბიფშტექსითა და სამი კათხა პილზენურით მოდუნებული და ბედნიერი მუსიკის ტაქტში ზუზუნებს და ირხევა. მერე ლაპარაკ-ლაპარაკით გვერდით მჯდომ კაცს, ნოიკელნის ერთ-ერთი ფირმის მონტიორს მხარზე თავს ადებს. მონტიორისთვის ეს ვარია ამ წელიწადში რიგით მეოთხე რომანია, კაცი ვარიასთვის კი მეათე, ხოლო მისი გარე ბიძაშვილის, ოფიციალური საქმროს ჩათვლით - მეთერთმეტე. ქალს თვალები უფართოვდება; ჩაპლინი შეიძლება ყოველ წამში ზემოდან ჩამოვარდეს. მისი პარტნიორი ორივე ხელით ჩამოსასრიალებლის კიდეზე ჰკიდია, იქ ხალხი ნაკლებია. ისინი მარილიან ბლითებს უკვეთენ.

ერთმა **36** წლის ბატონმა, პატარა პროდუქტების მაღაზიის თანამფლობელმა ექვსი საჰაერო ბუშტი, თითო **50** პფენიგად, იყიდა და პირდაპირ იქ, სადაც ორკესტრი იჯდა, ერთმანეთის მიყოლებით ჰაერში გაუშვა; ამით მარტოდ თუ წყვილად მოარული ქალების, გათხოვილი, ერთგული თუ მოღალატე ქალების, ქალიშვილების, ქვრივების, ქმარგაშორებულების ყურადღება მიიპყრო და, როგორც იქნა, პარტნიორი

მდედრიც იპოვა, რასაც შეუხედაობის გამო აქამდე ვერ ახერხებდა.

თუ ძალა გერჩით, ასწიეთ შტანგა - 20 პფენიგი.

შეიხედეთ მომავალში: თითი ნერწყვით კარგად დაისველეთ, ამ თითით მეორე ფურცელზე ორ გულს შორის წრეში დაყრილ ქიმიურ პრეპარატს შეეხეთ, სუფთა ფურცლის ზედაპირზე თითი

რამდენჯერმე გაატარ-გამოატარეთ და მასზე თქვენი საბედოს გამოსახულება გამოჩნდება.

...თქვენ ბავშვობიდანვე სწორ გზაზე დგახართ. თქვენი გულისთვის სიყალბე და სიცრუე უცხოა, მიუხედავად ამისა, შურიანი მეგობრების ყველა ხრიკს ინტუიციით ხვდებით. თქვენს ცხოვრებისეულ გამოცდილებას და ალღოს მომავალშიც ენდეთ, რადგან თანავარსკვლავედი, რომელი ნიშნითაც თქვენ ამ სამყაროში შემოაბიჯეთ, ცხოვრების გზაზე არასოდეს მიგატოვებთ, თქვენი მეორე ნახევრის პოვნაში დაგეხმარებათ, ვისთანაც სიცოცხლის ბოლომდე ბედნიერი იქნებით. თქვენს მეორე ნახევარს ისეთივე ხასიათი ექნება, როგორიც თქვენ. იგი ხელსა და გულს ნაჩქარევად არ შემოგთავაზებთ, მაგრამ მით უფრო მყარი იქნება თქვენი მყუდრო ბედნიერება.

გარდერობის გვერდით, დარბაზში, ზემოთ, ბალკონზე კაპელა უკრავს. წითელჟილეტიანი მუსიკოსები გამუდმებით სასმელს ითხოვენ. დაბლა მსუქანი, კეთილი გამომეტყველების სერთუკში გამოწყობილი კაცი დგას. კაცს თავზე უცნაური ზოლებიანი ქაღალდის ქუდი ახურავს, მღერის და ღილ-კილოში ქაღალდის მიხაკის გარჭობას ცდილობს, მაგრამ ამაოდ, რადგან უკვე დალეული აქვს რვა კათხა პილზენური ლუდი, ორი ულუფა პუნში და ოთხი ჭიქა კონიაკი. იგი ორკესტრისკენ პირით დგას და მღერის, მერე კი ვიღაც ბებერ, მეტისმეტად გათქვირებულ არსებასთან ვალსის ცეკვას იწყებს. ქალთან ერთად, ვითარცა კარუსელი, ფართო წრეებს ხაზავს. არსება ესე, გათქვირებული, ტრიალის დროს თანდათან უფრო და უფრო სქელდება და გასკდომამდე ცოტა ხნით ადრე, კრიტიკულ მომენტში მასში თვითგადარჩენის ინსტინქტი იღვიძებს და ქალი ერთდროულად სამ სკამზე მოწყვეტით ჯდება.

ფრანც ბიბერკოპფი და სერთუკიანი მამაკაცი ანტრაქტის დროს ერთმანეთს შემთხვევით ბალკონის ქვეშ ხვდებიან. იქ მუსიკოსები ლუდს სვამდნენ. ფრანცს ერთი გაბრწყინებული ცისფერი თვალი მიაშტერდა, - მდინარის თავზე სავსე მთვარე მიცურავს, - მეორე თვალით კაცი ბრმა იყო. ამ ორმა თეთრი ფაიანსის ტოლჩები ერთდროულად ასწიეს და ინვალიდმა ჩახლეჩილი ხმით თქვა:

- შენც ისეთივე მოღალატე ხარ, როგორიც ისინი, რომლებიც ქერის ორმოში სხედან, - ნერწყვი გადაყლაპა, - თვალებში ასე ნუ მომშტერებიხარ, აბა, მითხარი, სად მსახურობდი?

ერთმანეთს კათხები მიუჭახუნეს: ორკესტრმა ტუში დააგუგუნა, სასმელი არა გვაქვს, სასმელი არა გვაქვს. დაგავიწყდით? ბავშვებო, წყნარად, უფრო წყნარად, გაუმარჯოს, გაუმარჯოს სიწყნარეს.

- გერმანელი ხარ? ნამდვილი გერმანელი? რა გვარი ბრძანდებით, ახალგაზრდავ?

- ბიბერკოპფი, ფრანც ბიბერკოპფი. ლინა, სქელო, ეგ კაცი მე არ
მიცნობს. ინვალიდმა დაასლოკინა, პირზე ხელი აიფარა და
აჩურჩულდა:
- ესე იგი, ნამდვილად გერმანელი? აბა, გულზე ხელი დაიდე და ისე დაიფიცე. აბა, ისიც მითხარი,
წითლებთან კავშირი გაქვს? ვისაც წითლებთან კავშირი აქვს, მოღალატეა. და ვინც მოღალატეა, ჩემი მეგობარი არ არის.

კაცი ფრანცს გადაეხვია.

- პოლონელები, ფრანგები, სამშობლო, სისხლი რისთვის დაღვარეთ? აი, ნაციის მადლიერება!

მერე მოხუცმა ძალა მოიკრიბა და ისევ საცეკვაოდ წავიდა. ისევ იმ გათქვირებულ არსებასთან, რომელმაც დასვენება მოასწრო. ისევ ამ ძველმოდურ ვალსს ცეკვავდნენ ნებისმიერ მუსიკაზე. ცეკვას რომ მორჩა, მერე დარბაზში დაბანცალებდა, ამ დროს ფრანცმა დაუძახა:

- აქეთ! აქეთ!
ლინამ ცალთვალა მოუყვანა, ამიტომ მან ჯერ ლინასთან იცეკვა, მერე ხელიხელჩაკიდებულნი ბართან ფრანცის წინაშე წარდგნენ.

- მაპატიეთ, ვისთან მაქვს შეხვედრის პატივი? თუ შეიძლება თქვენი სახელი მიბრძანეთ, ახალგაზრდავ!

„დალიე, ძმაო, დალიე, საზრუნავი შინ დატოვე, მწუხარება დაივიწყე, სევდა განიქარვე, და ცხოვრება საამური მოგეჩვენება“.

ორი ულუფა „აისბაინი“,[7] ერთი მწნილი, ქალი პირშუშხასაც იღებს. აქ გარდერობი სად არის? თქვენ სად გაიხადეთ, აქ ორი გარდერობია, თუ იცი, პატიმარს, რომლის

საქმესაც იძიებენ, საქორწინო ბეჭდის ტარების უფლება აქვს? მე მგონი, არა! ნიჩბოსანთა კლუბში საღამომ ოთხ საათამდე გასტანა, იქ მისასვლელი სამანქანო გზა კი არაფრად ვარგა, ოღროჩოღრო გზაზე მანქანა

ხტის, ხან ორმოში ვარდება, ხან ზემოთ.

ინვალიდი და ფრანცი ბართან ხელიხელგადახვეული დგანან და სვამენ:

- ჩემი მეგობარი ხარ და პირდაპირ გეტყვი, პენსია შემიმცირეს და წითლების მხარეზე ვაპირებ გადასვლას. მთავარანგელოზი ცეცხლის მახვილით სამოთხიდან გვერეკება და უკან აღარასოდეს დავბრუნდებით. აი, ერთხელ ზემოთ ჰარტმანსვაილერკოპფზე[8] ვიჯექი, და ვეუბნები ჩემს როტმისტრს, თანამემამულეები ვიყავით, ისიც შტარგარდელია...

- შტორკოველი?

- არა, შტარგარდელი. ვაი, ჩემი მიხაკი დავკარგე, აჰ, არა, აი, სად ჩამომკიდებია.

ვისაც ზღვის სანაპიროზე მოცეკვავე ტალღების ხმაზე ერთხელ მაინც უკოცნია, მან იცის, რომ ეს ამქვეყნად უმშვენიერესი რამ არის, იგი ხომ სიყვარულს გაესაუბრა.

* * *

ახლა ფრანცი ფაშისტურ გაზეთებს ყიდის. ებრაელების საწინააღმდეგო არაფერი აქვს, მაგრამ წესრიგის მომხრეა. წესრიგი სამოთხეშიც კი უნდა იყოს, ეს ჭეშმარიტება ყველამ იცის. ფოლადისჩაფხუტიანი ბიჭებიც მაგრები არიან და მათი ბელადებიც - აი, ძალა. ფრანცი მეტროსადგურ პოტსდამერპლაცის შესასვლელთან დგას ხოლმე, ან ფრიდრიხშტრასეზე, პასაჟის წინ, ან ალექსანდერპლაცის სარკინიგზო სადგურთან. იგი ყველაფერში ეთანხმება ცალთვალას, რომელიც მან „ახალ სამყაროში“ გაიცნო და რომელიც იქ სქელ ქალთან ერთად ცეკვავდა.

„გერმანელ ხალხს საშობაო მარხვის წინ: ბოლოს და ბოლოს, დაამხეთ თქვენი კერპები, დასაჯეთ ფარისევლები, რომლებიც ფუჭი დაპირებებით გამშვიდებენ! მაშინ დადგება დღე, როცა მათ ერთიათასად მიეზღვება და ჭეშმარიტების მსახვრალი ხელი თავის მტრებს მტვრად აქცევს“.

„იმ დროს, როცა ეს სტრიქონები იწერება, განსასჯელთა სკამზე რაიხსბანერელები[9] სხედან. ამ

„რაინდებმა“ თავიანთი პაციფისტური იდეების დამკვიდრება ოცჯერ აღმატებული ძალით კიდევ ერთხელ სცადეს და მათი მრწამსის სრულიად შესაბამისი ნაქები

მამაცობის დემონსტრირება მოახდინეს: თავს დაესხნენ ერთ მუჭა ნაციონალ-სოციალისტებს, სცემეს, ჩვენი პარტიის წევრი პ. გ. ჰირშმანი კი მხეცურად მოკლეს. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულებს კანონი, სამწუხაროდ, სიცრუის თქმის უფლებას აძლევს (მათი პარტია კი, ეტყობა, ამას ავალდებულებს), მათი ჩვენებებიდან მაინც ჩანს, რომ საქმე გვაქვს ჩვენი მოწინააღმდეგეების მიერ უკვე სისტემად ქცეულ სასტიკ ტერორთან".

„ანტისემიტიზმი ჭეშმარიტი ფედერალიზმია, ებრაელებთან ბრძოლა ბავარიის თვითგამორკვევისთვის ბრძოლას ნიშნავს. დაწყებამდე კარგა ხნით ადრე უზარმაზარი დარბაზი უკვე ისე იყო გადაჭედილი, ნემსიც ვერ ჩავარდებოდა. დასწრების მსურველთა ნაკადი კი არ წყდებოდა. კრების დაწყებამდე ადგილობრივ შტურმანთა რაზმების სამხედრო ორკესტრმა მარშები და ხალხური სიმღერები შეასრულა. ცხრის ნახევარზე პარტიის წევრი ობერლერერი შეკრებილებს გულითადად მიესალმა, კრება გახსნილად გამოაცხადა და სიტყვა პარტიის წევრ ვალტერ ამერს გადასცა".

ელზასერშტრასეზე ლუდხანაში ირონიულად იცინიან, როცა სასადილოდ ფრანცი შედის. მართალია, სიფრთხილეს იჩენს, სვასტიკიან სამკლავურს წინასწარ იხსნის და ჯიბეში იდებს, მაგრამ ამაოდ. აუცილებლად გამოხტება ვინმე თამამი, ვინც საგულდაგულოდ დამალულ სამკლავურს ჯიბიდან ამოუძვრენს ხოლმე. მაგრამ იცის ბიჭმა, თავი როგორ დაიცვას!

- რიხარდ, - მიმართავს უმუშევარ ახალგაზრდა ზეინკალს, ეს უკანასკნელი კი ფრანცს გაკვირვებული შესცქერის და თავის კათხას განზე სწევს.

- აი, შენ, რიხარდ, დამცინი, რატომ? იქნებ იმიტომ, რომ ცოლიანი ხარ? შენ ოცდაერთი წლისა ხარ, ცოლი კი - თვრამეტის, მითხარი, ერთი ამ ცხოვრებაში რა გინახავს? თითქმის არაფერი. შენთან ქალებზე ხომ არ ვილაპარაკებ, პირზე ჯერ დედის რძე არ შეგშრობია, ღამღამობით ერთი ქალის აკვნესება იცი მხოლოდ, რომელიც არ გაძინებს. და სხვა არაფერი.

ამჯერად ფრანცის სამკლავურს ახლახან სამსახურიდან გამოგდებული **39** წლის მხეხავი გეორგ დრესკე დაეპატრონა, აფრიალებს.

და ამბობს ფრანცი:

- ორგე, მაგ სამკლავურს რამდენიც უნდა უყურო, ზედ ისეთს ვერაფერს აღმოაჩენ, რაზეც პასუხის გაცემა გამიჭირდება. ფრონტიდან თვრამეტ წელში მეც შენსავით უკანმოუხედავად გამოვიქეცი, მერედა რა ხეირი? ამის შემდეგ რა შეიცვალა? ადამიანს წითელი სამკლავური უკეთია, ოქროსფერი

თუ შავ-წითელ-თეთრი, რა მნიშვნელობა აქვს, ამით სიგარა არ გატკბილდება, რადგან საქმე ფერზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ თამბაქოზე, ჩემო ძველო მეგობარო, და კიდევ იმაზე, ეს თამბაქო როგორ ქაღალდში და როგორ არის გახვეული, გამომშრალი და სად არის მოყვანილი. მითხარი, ორგე, მას შემდეგ რას მივაღწიეთ, რა გავაკეთეთ?

ორგე სამკლავურს ბარის დგამზე თავის წინ მშვიდად დებს. ლუდს ხვრეპს, აღელვებული ლაპარაკობს, შიგადაშიგ ენა ებმება.

- აი, გიყურებ, ფრანც, და მიკვირს. დიდი ხანია გიცნობ, არასსა და კაუნასთან ერთად ვიბრძოდით, მაგრამ დაგახვიეს თავბრუ.

- ამას სამკლავურის გამო ამბობ?

- ყველაფრის გამო. ამ საქმეს შეეშვი. ამ სამკლავურით ქალაქში სირბილი არ გეკადრება.

აქ ფრანცი დგება. ახალგაზრდა მწვანეპერანგიან ზეინკალ რიხარდ ვერნერს, რომელსაც მისთვის რაღაცის კითხვა უნდა, უცერემონიოდ გვერდით სწევს:

- არა, არა, რიხარდხენ, ჩვენი ბიჭი ხარ, მაგრამ ეს მამაკაცების საქმეა და არა ბავშვების. მართალია, ცხვირი გაგეზარდა, მაგრამ არა იმდენად, რომ ჩემსა და ორგეს საუბარში ჩაყო, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება გაქვს.

მერე ფრანცი დგამთან მიდის და მხეხავს დაფიქრებული უყურებს. დგამის მიღმა ბოთლების ფონზე ლურჯწინსაფრიანი ბარის მესაკუთრე წყლის ნიჟარაში მსუქანხელებჩაწყობილი დგას და მოკამათეებს ყურადღებით შესცქერის.

მერე ფრანცი ამბობს:

- არა, ორგე, როგორ იყო საქმე არასთან?

- რაც იყო, ეგ შენც იცი. იქიდან გამოიქეცი და ახლა ეს სამკლავური მიიწებე, არ მესმის. ჯობდა, მაგ სამკლავურზე შენ ჩამოკიდებულიყავი. მართალია, მაგრად დაუმუშავებიხართ.

ფრანცს თავის სიმართლეში დარწმუნებული ადამიანის გამომეტყველება აქვს და მხეხავს ჯიქურ მისჩერებია, ის კი დაბნეული თავს აქეთ-იქით აქნევს.

- ორგე, შენ არასზე ლაპარაკობდი. არადა, იმ დროზე

გასარკვევი ბევრი გვაქვს. მოდი, ვილაპარაკოთ.

- ბოდავ, ფრანც, შემეშვი. მე არაფერი მითქვამს. ალბათ, ზომაზე მეტი დალიე.

ფრანცი იცდის, ფიქრობს: თუ კაცი ვარ, ყველაფერს გათქმევინებ, ისე იქცევა, თითქოს არაფერი ესმოდეს, ეშმაკობს.

- ორგე, არასთან ორივენი, რა თქმა უნდა, ვიყავით, ჩვენ გარდა იყვნენ არტურ ბიოზე, ბლუმი და ის პატარა ფელდფებელი, დამავიწყდა, რა ერქვა, რაღაც კომიკური გვარი ჰქონდა.

- დამავიწყდა.

გაუშვი, ილაპარაკოს, კაცი ნასვამია, ჭკუა არ მოეკითხება.

- მოიცა, რა ერქვა, ბისტა თუ ბისკრა თუ რაღაც ამდაგვარი იმ ჩვენს
პატარას. იყბედოს. პასუხს არ გავცემ. მოჰბეზრდება და თავად
გაჩუმდება.

- ჰო, ეს ყველამ ვიცით, მაგრამ ამაზე არ ვლაპარაკობთ. შენ მხოლოდ ის მითხარი, როცა არასზე ყველაფერი დამთავრდა, ჩვენ სად ვიყავით. სად ვიყავით, როცა ბერლინში, ჰალეში, კილში და კიდევ სხვაგანაც ახალი დავიდარაბა ატყდა...

აქ კი გეორგ დრესკემ საუბრის გაგრძელებაზე კატეგორიული უარი თქვა. ამ ლუდხანაში განა ამ სისულელეების მოსასმენად მოვედი?

- მოკეტე, თორემ აქედან წავალ. ეგ ზღაპრები პატარა რიხარდს მოუყევი. რიხარდ, აქ მოდი.

- მაგასთან მიახლოებისაც კი მეშინია. საკუთარ თავზე ერთობ დიდი წარმოდგენა აქვს, ბარონია თუ რა? მაგას, ალბათ, მხოლოდ ბარონებთან აქვს საქმე. მიკვირს ეს დიდი ბატონი ჩვენთან ლუდხანაში მოსვლას როგორ კადრულობს?

ფრანცის ნათელი თვალები კი დრესკეს აქეთ-იქით მორბენალ თვალებს მიშტერებია.

- ჰოდა, მაგაზე ვლაპარაკობ, ორგე, ზუსტად მაგაზე. **1918**-ში ყველანი - საველე არტილერია,

ფეხოსანთა არმია, რადისტები, მესანგრეები და ყველა სხვა რჯულის ხალხი არასთან რომ ვიდექით, მერე ომის შემდეგ სად აღმოვჩნდით?

(ე, აი, თურმე ლაპარაკი საით მიჰყავს, გამაგრდი, ძმაო, ამ პერიოდს ჯობს საერთოდ არ შეეხო).

- იცი, - ამბობს დრესკე, - მე ჯერ ლუდს ბოლომდე შევსვამ, შენ კი, ფრანცეკენ, ილაპარაკე, მერე სად იყავი, სად დაწანწალებდი, სად იდექი, სად იჯექი, შენს ქაღალდებში ჩაიხედე, თუკი თან გაქვს. ვაჭარი საბუთებს სულ თან უნდა ატარებდეს. წესია ასეთი.

რა მოგივიდა? იმედია, მიხვდი? მაშინ დაიმახსოვრე. მაგრამ ფრანცის ეშმაკურ და ცბიერ თვალებს დრესკეს მოწკურული მშვიდი თვალები შესცქეროდა:

- კეთილი, - თქვა ფრანცმა, - გეტყვით, თვრამეტის შემდეგ ოთხი წელიწადი ბერლინში ვცხოვრობდი, ამის შემდეგ ომი დიდხანს არ გაგრძელებულა. დავწანწალებდი, შენც, არა დრესკე? აი, რიხარდი კი მაშინ მაგიდის ქვეშ დაფორთხავდა. აქ ხომ არასის სულისკვეთების ნატამალიც არ იგრძნობა! იტყვი, რომ არა? ინფლაცია იყო, ქაღალდის ფული - მილიონობით, მილიარდობით, მაგრამ არ იყო ხორცი, არ იყო კარაქი. ყველაფერი უფრო ცუდად იყო, ვიდრე ომამდე. ეს ყველამ შევამჩნიეთ, შენც, ორგე, არასი სადღაც შორს დარჩა. ჰოდა, დაფიქრდი, ამ დავიდარაბიდან ჩვენ რა გვერგო? არაფერი! სრულიად არაფერი. სოფლებში დავრბოდით და გლეხებს კარტოფილს ვპარავდით.

რევოლუცია? გაშალე დროშა, ტარი ცალკე და ქსოვილი ცალკე, ქსოვილი შალითაში ჩადე და მერე ეს ორივე ტანსაცმლის კარადაში რაც შეიძლება ღრმად შეინახე. დედაშენს სთხოვე, ღამის ფლოსტები მოგიტანოს და ალისფერი ყელსახვევი მოიხსენი. თქვენ მხოლოდ რევოლუციაზე ლაყბობთ, სხვა არაფერი შეგიძლიათ. ეგ თქვენი რესპუბლიკა უბრალოდ ქარხნის წუნია.

დრესკე ფიქრობს: საშიში ადამიანი ხარ, ძმაო!

რიხარდ ვერნერი, ეს დოყლაპია, უკვე ნისკარტს ამოძრავებს:

- მაშასადამე, შენი აზრით, ფრანც, ახალი ომი უნდა დავიწყოთ. თქვენ ოღონდ ამის ნება მოგცენ! მერე კი ყველაფერი ჩვენი თავსატეხი იქნება! ყველაფერი ჩვენი, უბრალო

ადამიანების ზურგზე გადაივლის. „წინ, გავილაშქროთ საფრანგეთზე!“ მგონი, თავი წესრიგში არა გაქვს ან ქუსლგამოხეული წინდები მოგენატრა.

ფრანცი კი ფიქრობს: ამ ლაწირაკს ომი მხოლოდ ეკრანზე აქვს ნანახი. თავში ერთხელ რომ ჩაარტყა, მაშინვე ხმას გაკმენდს.

ლუდხანის მეპატრონე ლურჯ წინსაფარზე ხელებს იწმენდს. სუფთა ჭიქების წინ მწვანე ყდაში პროსპექტი დევს. იგი მძიმედ სუნთქავს და თავისთვის კითხულობს: უმაღლესი ხარისხის ყავა მარცვლებში (არაკონდიცირებული და მოხალული), მათთვის, ვინც მსახურობს; სუფთა მარცვლოვანი ყავა - **2,2** მარკა. „სანტოსი“ პირველი ხარისხის, დიასახლისებისთვის, მაგარი, ეკონომიური, იხარშება მცირე ულუფებად. „ვან კამპინა - მელანჟი“, შესანიშნავი გემო; მელანჟი „მექსიკა“ ექსტრა, პირდაპირ პლანტაციიდან - **3, 75** მარკა. ადგილზე მიტანით, ტრანსპორტის ხარჯებს ფირმა საკუთარ თავზე იღებს, თუ შეკვეთა არა უმცირეს **36** გირვანქის იქნება.

ჭერში, ღუმლის მილთან ახლოს, ფუტკარი, ბზიკი თუ კრაზანა წრეებს არტყამს, ეს ამ ზამთარში ნამდვილი სასწაულია. მისი სახეობა, თვისტომნი, ჯიშისანი, ცოცხლები აღარ არიან, ისინი ან უკვე დაიხოცნენ, ან ჯერ არ დაბადებულან, მარტოხელა კრაზანასთვის ზამთარი ხომ გამყინვარების პერიოდია და თავადაც არ იცის, ეს როგორ მოხდა, რატომ გადარჩა სწორედ იგი. მზის ნათება მაგიდებსა და იატაკზე უხვად იღვრება. აბრა „ჰაცენჰოფერული ლუდი ლევენბრაი“ მზის ნაკადს ორ ნათელ ზოლად ყოფს: მზის სხივები ჩვენს დედამიწას უხსოვარი დროიდან ეცემა. შეხედავ სხივს და ეს ცხოვრება უმნიშვნელოდ, უაზროდ, წარმავალად მოგეჩვენება. მზემ ჩვენამდე რომ მოაღწიოს, **x** კილომეტრი უნდა გაიაროს, **y** ვარსკვლავს გვერდი აუაროს, მზე მილიონობით წელია ანათებს; ანათებდა ნაბუქოდონოსორამდე, ადამ და ევამდე, იქთიოზავრებამდე ბევრად ადრე, ახლა კი ეს მნათობი პატარა ლუდხანის ფანჯარაში იჭვრიტება და მისი სხივების ნაკადს თუნუქის აბრა, წარწერით „ჰაცენჰოფერული ლუდი ლევენბრაი“, ორ ნათელ ზოლად ჭრის, და მიცოცავენ ისინი კედლებზე, იატაკზე ეცემიან, უკან იხევენ, ცელქობენ: ირგვლივ ყველასა და ყველაფერს ახალისებენ. მზის სინათლე ფრთამალია, უწუნო, ის ჩვენთან მაღლიდან, ციდან მოდის.

ორი დიდი ცხოველი, ორი ადამიანი, ორი მამაკაცი: ფრანც ბიბერკოპფი და გეორგ დრესკე, გაზეთების გამყიდველი და ქარხნიდან გამოგდებული მხეხავი დგამთან დგანან, ქვედა ნაწილს შარვლები უფარავთ, სქელი ქურთუკების სახელოებიდან გამოყოფილი ხელებით დგამის ზედაპირს ეყრდნობიან. თითოეული მათგანი ფიქრობს, მოვლენებს აკვირდება, გრძნობს, მაგრამ ერთმანეთისგან განსხვავებულად.

- მოდი რა, ვაღიაროთ, რომ იქ არავითარი არასი არ ყოფილა. ეს ორივემ ვიცით, ორგე. იქ არც დისციპლინა ყოფილა და არც წესრიგი. მეთაურიც კი არ გვყოლია. ბიჭები ერთმანეთს დავერიეთ. იმ სანგრებიდან იმიტომ გამოვიქეცით მეც და შენც. მერე კი იქაურობა ეზემაც დატოვა. და ჩვენთან სახლში დავიდარაბა რომ ატყდა, მაშინ აქედან ვინ მოკურცხლა? თითქმის ყველამ. ეშმაკმა იცის, ვინ სად გაიქცა. აქ აღარავინ დარჩა. ამის მოწმე ხომ შენც ხარ, ორგე. დარჩნენ მხოლოდ გასაცოდავებული ადამიანები. რამდენი იქნებოდნენ, ათასი თუ უფრო ნაკლები? პირადად მე ისინი მუქთადაც არ მინდოდა.

აჰა, თურმე რა, რა უტვინო ხარ, ფრანც, ანკესს როგორ ადვილად წამოეგე.

- ეგ იმიტომ, ფრანც, რომ თვრამეტსა და ცხრამეტ წლებში ბონზებმა[10] გაგვყიდეს. როზაც მოკლეს და კარლ ლიბკნეხტიც. ასეთ დროს ხალხის დარაზმვაზე მიზნის მისაღწევად ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. შეხედე რუსეთს, ლენინს. აი, სად დგას ხალხი მტკიცედ, აი, სად არის ადამიანთა მძლე კავშირი ძმური! მაგრამ დრო მოგვეცით...

სისხლი უნდა დაიღვაროს, სისხლი უნდა დაიღვაროს, სისხლი უნდა დაიღვაროს წყალივით.

- ჩემთვის სულერთია! შენ თუ გინდა, დაელოდე. მაგრამ ამ მოლოდინში ეს ქვეყანა ჯანდაბაში შთაინთქმება და შენც მასთან ერთად. არა, მე ვეღარ მიყიდით. ჩვენებმა ვერაფერი გააკეთეს. იმიტომ, რომ ვერ შეძლეს. არც ძალა ეყოთ, არც გამოცდილება. უფრო იმიტომ, რომ ერთიანობა არ იყო და ყველა თავისას მიერეკებოდა, ზუსტად ისე, როგორც გარტმანსვაილერკოპფთან. გარტმანსვაილერკოპფის ხსენებაზე, ერთი ინვალიდი გამახსენდა, იქ, ზემოთ, ჩვენთან ერთად იყო, მაგრამ შენ არ იცნობ. ჰო, არაფერი გამოვიდა.

არადა, შეიძლებოდა, გამოსულიყო...

ფრანცი წელში გაიმართა, მაგიდიდან სამკლავური აიღო, გაასწორა, ქურთუკის ჯიბეში ჩაიდო და თავისი მაგიდისკენ ნელი ნაბიჯით წავიდა.

- ახლაც იმას გეტყვით, რაც ადრეც მითქვამს, და მიხვდები, კრაუზე, რიხარდ, შენც მომისმინე, წაგადგება. ამ თქვენი საქმიდან არაფერი გამოვა. სწორ გზაზე არ დგახარ; მართალი გითხრათ, არც ის ვიცი, მათაც, ვისაც ასეთი სამკლავურები უკეთიათ, რამე გამოუვათ თუ არა. ვერ გეტყვით, მაგრამ ეს მაინც სხვა საქმეა. ნათქვამია, იყოს

მშვიდობა ამ დედამიწაზეო, და ამას მეც ვეთანხმები, ადამიანმა მშვიდობიანად უნდა იცხოვროს! თუ მუშაობა გინდა, იმუშავე! თქვენს ოინებს კი არ ავყვები, არ მინდა. ახლა თამაშის დრო არ არის.

ლაპარაკი დაამთავრა და რაფაზე ჩამოჯდა, ლოყა მოიფხანა, კაშკაშა სინათლემ თვალი მოსჭრა და ამიტომ ლუდხანას მზერა მოჭუტული თვალებით მოავლო, ყურიდან ბეწვი ამოიგლიჯა. გარეთ ცხრა ნომერმა ტრამვაიმ ჩაიხრიგინა, მარშრუტით აღმოსავლეთის წრე: ოსტრინგი, ჰერმანპლაცი, ვილდენბრუხპლაცი, სადგური ტრეპტოვი, ვარშავის ხიდი, ბალტენპლაცი, კნიპროდეშტრასე, შონჰაუზერალეე, შტეტინის სადგური, ჰედვიგკირხე, ჰალიშესტორი, ჰერმანპლაცი. ლუდხანის პატრონი ლუდის სპილენძის ონკანს დაყრდნობია, ეწევა და ენით პირში ახალ ბჟენს ეხება, ქვემო კბილს წამლის გემო აქვს. ამ ზაფხულში ჩვენი ემილია სოფელში ან ცინოვიცში, ბავშვთა ბანაკში აუცილებლად უნდა გავგზავნოთ, გოგონა სუსტია, ხშირად ავადმყოფობს; მწვანეყდიანი პროსპექტი ისევ თვალში ხვდება, ისევ ირიბად დევს. დარღვეულმა სიმეტრიამ შეაკრთო. გართულება აქვს, ვერ იტანს, როცა ნივთები ირიბად დევს, პროსპექტი გაასწორა, სწორად დადო. ქაშაყი „ბისმარკი“ სანელებლებით. ფილე, როლმოპსი კიტრის მარინადში, ქაშაყი ჟელეში, ახალი ქაშაყი...

სიტყვები, ხმოვანი ტალღები, ხმაურის ტალღები, აზრით დატენილი ცვივა ენაბლუ დრესკეს ხორხიდან, ოთახში აქეთ-იქით ეხეთქებიან, დრესკე კი ამ დროს თავის ფეხებს დასცქერის ღიმილით:

- თუ ასეა, ფრანც, როგორც მღვდლები ამბობენ, მშვიდობით გევლოს შენს სავალ გზაზე. და როცა ჩვენ იანვარში კარლსა და როზასთან ფრიდრიხსფელდზე დემონსტრაციას მოვაწყობთ, ამჯერად ჩვენთან არ იქნები. არადა, მახსოვს, ყოველთვის გვერდში მედექი.

ამ ენაბლუს ყური რატომ უნდა დავუგდო... მე გაზეთებს ვყიდი.

როცა მარტონი დარჩნენ, ლუდხანის პატრონმა ფრანცს გაუღიმა. ფრანცმა კი სიამოვნებით გაიზმორა და მაგიდის ქვეშ ფეხები გაჭიმა.

- შენი აზრით, ჰენშკე, აქედან ისე სწრაფად და უხმაუროდ რატომ გაიცურცლნენ? ნუთუ ამ სამკლავურის გამო, ან იქნებ თავისიანების მოსაყვანად წავიდნენ?

არა მგონია, მაგრამ ფრთხილად იყავი, ერთხელაც იქნება, აქედან გამაგდებენ და გვერდებსაც

დამიზელენ!

სისხლი დაიღვრება, სისხლი დაიღვრება, სისხლი დაიღვრება, წყალივით...

პატრონი ისევ თავის ბჟენს წუწნის; ჩიტბატონა ფანჯარასთან ახლოს უნდა დავკიდო; ამბობს, მზე ჩიტსაც უნდაო. ფრანცი სიამოვნებით ეხმარება, დგამის უკან, კედელზე, ლურსმანი ჩააჭედა, პატრონმა კი სხვა კედლიდან გალია ჩამოხსნა. დამფრთხალი ჩიტბატონა წნელის კედლებს ეხეთქება:

- ისე ბნელა, როგორც ღამით. ირგვლივ მაღალი სახლებია. სინათლეს გვიჩრდილავენ.

ფრანცი სკამზე დგას, გალიას ჰკიდებს, მერე დაბლა ჩამოხტება, უსტვენს, თითს მაღლა სწევს და ჩურჩულით ამბობს:

- ჩიტთან ჯერ არ მიხვიდეთ. ახალ ადგილს უნდა მიეჩვიოს. ოჰ, ჩიტბატონა! იცი, რომ დედალია? ორივე ჩუმდება. დგანან და იღიმებიან, თავებს აქნევენ, ერთმანეთს შესცქერიან.

ფრანცი ფართო გაქანების ადამიანია, საკუთარი თავის ფასი იცის

საღამოს კი ფრანცი ლუდხანიდან მართლაც გამოაგდეს. იქ ცხრა საათზე მარტო მივიდა, ჩიტს შეხედა. მას ფრთის ქვეშ თავამოდებულს უკვე ეძინა, ხარიხის კუთხეში მიყუჟულს. საოცარია პირდაპირ, დაბლა რომ არ ვარდება ეს ღვთის ქმნილება!

ფრანცმა ლუდხანის პატრონს უთხრა:

- ერთი შეხედე, ამ ხმაურში სძინავს, რას იტყვი! ეტყობა, საწყალი მაგრად დაიღალა, თანაც აქ ყველაფერი სიგარეტის ბოლით არის გაჟღენთილი, საერთოდ, ნეტავ როგორ სუნთქავს.

- მიეჩვია, აქაურობა ყოველთვის გაბოლილია, ეს კიდევ არაფერი, უარესი
რაღაცებიც ხდება. ფრანცი მაგიდას მიუჯდა;
- კარგი, რაც არის, არის! ვეცდები, დღეს მე მაინც არ მოვწიო, თორემ აქ სუნთქვა
შეუძლებელი
იქნება, მერე კი ფანჯარა გამოვაღოთ, ცოტა ხნით. ამ ჩიტს ორპირი ქარი ხომ არაფერს ავნებს?

გეორგ დრესკე, ახალგაზრდა რიხარდი და კიდევ სხვა სამნი მოპირდაპირე მაგიდასთან შეთქმულებივით სხედან. ამ კომპანიიდან ორს ფრანცი არ იცნობს. ლუდხანის დარბაზში მათ გარდა არავინ არის. ფრანცი აქ რომ შემოვიდა, მაგიდასთან ისეთი კვამლის ღრუბელი იდგა, მათი დანახვა ჭირდა, ისინი კი ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, იგინებოდნენ და როგორც კი კარში ფრანცი დაინახეს, მაშინვე გაჩუმდნენ, წინ გადაიხარნენ, ლამის ერთმანეთს თავები მიადეს და რამდენიმე წუთი ჩურჩულებდნენ, მერე ისევ გასწორდნენ, ჭიქები აიღეს, მიაჭახუნეს. ახლა კი სკამებზე გადაშხლართულები ფრანცს თავხედურად უყურებენ. „როცა ლამაზი თვალები გიხმობენ, შუშხუნა ღვინო ბრწყინავს, არის დალევის საბაბი“. ლუდხანის პატრონი, ქაჩალი ჰენშკე ბარში საქმიანობს, ჭიქებს რეცხავს, ლუდის ონკანს წმენდს, დღეს იგი, როგორც ყოველთვის, სამზარეულოში არ გადის.

მოულოდნელად მეზობელ მაგიდასთან ხმამაღლა ალაპარაკდნენ. სიტყვა ახლებიდან ერთ-ერთმა აიღო. მას სიმღერის მოსმენა უნდა, მუსიკას ითხოვს. აქ კი პიანისტს ვერ ხედავს, ვერც ფორტეპიანოს.

მეპატრონემ ფრაზა ჩააგდო:

- აქ პიანისტს ვინ მოუსმენს? თანაც რა შემოსავალი მაქვს, რომ პიანისტს გადავუხადო?

რა სიმღერაცუნდათ, ფრანცმა კარგად იცის, „ინტერნაციონალი“ ან „ძმებო, სინათლისკენ, თავისუფლებისკენ“, იმ შემთხვევაში, თუ რამე ახალი არ შეუქმნიათ. ჰო, რა თქმა უნდა, „ინტერნაციონალი“.

ფრანცი იღეჭება, ფიქრობს: ეს ჩემს ბაღჩაში ნასროლი ქვებია. კარგი, გაუშვი, გაერთონ, ოღონდაც ბევრი არ მოსწიონ. როცა მღერიან, მაშინ არ ეწევიან და ჩიტსაც ნაკლები ზიანი ადგება. ეგ გეორგ დრესკე კი კარგი ვინმე ყოფილა! ეგ ბებერი ამ ღლაპს გადაეკიდა, ან ის სამნი ვინ არიან, ზის ახლა ამ ცინგლიანებთან და მე კი ყურადღებას არ მაქცევს, თითქოს აქ არც ვიყო. მაგისგან ამას ნამდვილად არ მოველოდი. ორგე, მართალია, წესიერი კაცია, ცოლიც ჰყავს, მაგრამ ზის ახლა ამ უგუნურებთან და მათ ლაყბობას უსმენს. ახლებიდან ერთ-ერთი კი უკვე ყვირის, ფრანცს მიმართავს:

- აბა, კოლეგავ, ჩვენი სიმღერა როგორ მოგეწონა?

- მომეწონა, კარგი ხმები გქონიათ.

- მოდი, მაშინ ერთად ვიმღეროთ.

- არა, მირჩევნია, ვახშმობა გავაგრძელო. როცა დავამთავრებ, თქვენთან ერთად მერე ვიმღერებ, თუ არა და, მარტო ვიმღერებ.

- მოსულა, შევთანხმდით.

მეზობელ მაგიდაზე საუბარი განაგრძეს. ფრანცი თავისთვის მყუდროდ ზის, ჭამს, სვამს, ლინაზე ფიქრობს და პატარა ჩიტზე, რომელიც ძილში ხარიხიდან არ ვარდება, აქეთ-იქით იყურება, აქ ჩიბუხს ვინ აბოლებს, ჩიტს მაგის კვამლიღა აკლდა! დღეს კარგი დღე იყო, ბევრი გაზეთი გაყიდა, ფულიც კარგად ბლომად იშოვა, მაგრამ ციოდა და ლამის გაიყინა. ფრანცი ჭამს, ისინი კი, მოპირდაპირე მაგიდასთან მსხდომნი, პირდაპირ პირში ურცხვად შესცქერიან! იქნებ შიშობენ, ლუკმა არ გადამცდეს და არ დავიხრჩო. როგორც ამბობენ, ასეთი რამ მომხდარა: თურმე კაცმა ძეხვიანი ბუტერბროდი შეჭამა და ის, როგორც წესია, კუჭში ჩავიდა. მაგრამ გადაიფიქრა, უკან, ყელში ამოვიდა და ეუბნება, მდოგვი დაგავიწყდაო? და კუჭში ნამდვილად მხოლოდ მას შემდეგ ჩავიდა, როცა მდოგვი წაუსვეს. აი, როგორ იქცევა ნამდვილი ძეხვიანი ბუტერბროდი, იგი ხომ კეთილშობილური წარმომავლობისაა. ის-ის იყო ფრანცმა ბოლო ლუკმა გადაყლაპა და ლუდის ბოლო ყლუპი შესვა, რომ მეზობელი მაგიდიდან იყვირეს:

- აბა, მეგობარო, გვიმღერებ რამეს?

ეტყობა, ესენი მომღერალთა გუნდს აყალიბებენ, დასწრება კი უფასოა. შეთავაზება მიღებულია, სიმღერის დროს არ ეწევიან. არსად მეჩქარება. დავპირდი და დანაპირებს შევასრულებ. ფრანცი ფიქრობს, ცხვირს იხოცავს, მომდის ეს ოხერი. სითბოში ასე მემართება. მაგრამ ეს არ მიშველის, ფიქრობს, სად დაიკარგა ლინა, იქნებ ორი-სამი სოსისი კიდევ შევუკვეთო, თუმცა არა, არ ღირს, ისედაც ძალიან გავსუქდი. ამათ მაინც რა ვუმღერო? ამათ ხომ ცხოვრებისა არაფერი გაეგებათ, მაგრამ სიტყვა სიტყვაა. და მოულოდნელად თავში ფრაზა აჟღერდება, სტროფი, ეს ის ლექსია, ციხეში რომ ისწავლა, ამ სტრიქონებს ის ხშირად იმეორებდა. წამით გაირინდა, სიცხისგან თავი

უხურს, სახე გაუწითლდა, ჩაფიქრდა, თავდახრილმა ხელი კათხას შემოხვია და თქვა:

- ერთი ლექსი ვიცი, ციხეში ვისწავლე, ერთმა პატიმარმა დაწერა, მოიცა, რა ერქვა, მოიცა, ჰო, დომსი. კი ასეა, ნამდვილად დომსი. ჰო, ასეა. უკვე გარეთ არის, მაგრამ ძალიან კარგი ლექსია, დიდებული.

ფრანცი მაგიდასთან მარტოდმარტო ზის. ჰენშკე ბარში ფაციფუცობს. ისინი კი, მოპირდაპირე მაგიდასთან რომ სხედან, სმენად არიან ქცეულნი. რკინის ღუმელში შეშა ტკაცუნობს. ფრანცი ხელებზე თავდაყრდნობილი დომსის ლექსის კითხვას იწყებს და ხედავს საკანს, ეზოს, სადაც სასეირნოდ გამოჰყავდათ ხოლმე. მაგრამ ამჯერად გულს სევდა უღრღნის. საინტერესოა, ნეტავ ახლა იქ რა ხალხია, ვინ დარჩა, ვინ წავიდა. აი, იგიც, სასეირნოდ გამოდის. ამ ახალგაზრდებს წარმოდგენა არა აქვთ, რა ხიფათში ყოფენ თავს და რა ელით. არა, ამ ცხოვრებისა არაფერი გაეგებათ. და ამბობს:

„ადამიანო, თუ გსურს,
ახალო, რომ ამ ცხოვრებას
თავი ახალო, და სანამ
დედამ დაღვარა წყალი ან
აგიტაცებს ბებიაქალი,
ამ სამყაროთი შენაშინები
თუ დედამიწას
მოევლინები,
მიზეზს იპოვი ბედთან
მდურების სამფლობელოში
უბედურების. შეუნდე ავტორს
ამ სტრიქონების სურვილი
ლექსის გამოგონების და
დავუჯერებთ თუკი გოეთეს,
ბედი არ წყალობს თავად
პოეტებს,

და მეც ასევე
გამიგონია, რომ
ბედნიერი ემბრიონია.
შენს წვრთნას მოითხოვს
ხელისუფლება, დაკარგული გაქვს
თავისუფლება, გმართებს ზრდილობა
და მოკრძალება და ყველაფერი
აგეკრძალება.
ყველგან მექრთამე
წყალწაღებული გძარცვავს, თუ
გნახა პირდაღებული, და შენც
მუშაობ თითქმის ორ ცვლაში
ასეთ სულელურ გარემოცვაში.
იქნებ მოგინდა ცოტა
დალევა, რომ დაივიწყო, რა
გევალება, გართობის მერეც
დღეა შემდეგი (ნაბახუსევი
ამის შედეგი). გადის
ცხოვრება ჩქარი ნაბიჯით
და შენც სხეულით უკვე
მახინჯით სიბერისაკენ
მიექანები
და გეზიზღება შენისთანები.

ტვინით ვერაფრით მიმხვდარხარ, სად
ხარ და კიდევ ცოტაც და, უკვე მზად
ხარ,
შენი დრო არის გასული, ხვდები

და გადაღლილი ცხოვრებით
კვდები. მე კი მოვუყრი როდესაც

თავს ამ ყველაფერს, ასეთ
შეკითხვას დავსვამ:
„რადგან ამხელას შეიცავს
ნაგავს, ჩვენი ცხოვრება ნეტავი
რას ჰგავს?“ ისე, შილერის
სიტყვებით მართლით,
სიცოცხლე არ ჰგავს შემოსილს
მადლით, რადგანაც უფრო გვაგონებს
თავლას
და მიესალმე შენც იმის გავლას“.[11]

სიჩუმე. ბუზის ბზუილს გაიგებ. ხანმოკლე დუმილის შემდეგ ფრანცი ამბობს:

- დიახ, ეს ლექსი იმ კაცმა დაწერა, ჰანოვერელი იყო, მე კი ზეპირად ვისწავლე. მშვენიერია, არა? ცხოვრებაზე კარგად არის ნათქვამი, თუმცაღა მწარედ.

მეზობელი მაგიდიდან კი ისმის:

- შენ კი გუნდრუკი უკმიე სახელმწიფოს, შენს კარგ დედა-სახელმწიფოს, რომელიც ხელით გატარებს. მხოლოდ ლექსების დაზეპირებით საქმეს არ ეშველება, კოლეგა!

ფრანცი ისევ ხელებზე თავდაყრდნობილი ზის, ლექსზე ფიქრობს:

- დიახ, თართსა და ხიზილალას ჩვენი ძმა არ შეექცევა. არსობის პურსაც მძიმე შრომით მოვიპოვებთ, ყველანი უსახლკარონი და ღარიბები ვართ, მაგრამ იმაზეც მადლობა უნდა ვთქვათ, რომ ხელ-ფეხი გვაქვს და ციხეში არ ვსხედვართ.

ისინი კი, მეორე მაგიდასთან, თავისას ჯიუტად იმეორებენ, ამ ჯეელს თვალები უნდა ავუხილოთო:

- ლუკმაპურის მოპოვება სხვადასხვა გზითა და ხერხით შეიძლება. აი, მაგალითად, რუსეთში წინათ ჯაშუშები იყვნენ, მათ დიდ ფულს უხდიდნენ.

მეორე კი საყვირივით გუგუნებს:

- ჩვენთან კი უფრო მაგრები არიან, ისინი ზემოთ სალაფავით სავსე გობთან სხედან და არაფერი ენაღვლებათ. თავიანთი ამხანაგები, მუშები კაპიტალისტებს მიჰყიდეს და ამაში მათ დიდ მაყუთს უხდიან.

- კახპებს არ ჩამორჩებიან!

- გაცილებით უარესები არიან!

ფრანცი ისევ ლექსზე ფიქრობს და ტეგელში რომ სხედან, იმ ბიჭებზე: როგორ არიან, რას აკეთებენ. იქ, ალბათ, ბევრი ახალი მივიდა, იქ ხომ დაპატიმრებულებს ყოველდღე ჯოგებად მიერეკებიან. ესენი კი აქ ისევ თავისას გაიძახიან:

- აბა, დაიწყე, არ იმღერებ? სად არის შენი დაპირებული სიმღერა? თუ უკვე გადათქვი?

- თუ სიმღერა გინდათ, ვიმღერებ. დაპირებას ყოველთვის ვასრულებ, მაგრამ ყელი გამისველეთ! - და ფრანცმა ახალი, სავსე კათხა აიღო, მოსვა, - რა გიმღეროთ, - და ხედავს, ციხიდან ახალგამოსული ეზოში, კედლისკენ პირით როგორ დგას და რაღაცას მღერის. ნეტავ მაშინ რას მღეროდა. არ ახსენდება, ღმერთმა იცის, მის თავში რა ხდება. და მშვიდად, ნელა იწყებს სიმღერას, მელოდია მისი პირიდან მდორედ მოედინება:

„მე მეგობარი ამქვეყნად მყავდა,
ერთგული გული დაჰქონდა
მკერდით და როცა ბრძოლის
დაფდაფი დაჰკრეს,
ერთ მწკრივში მოვხვდით, ერთურთის გვერდით.
მივაბიჯებდით ღამე თუ დღეა,
იკვეთებოდნენ ხიფათთან

დღენი, აი, სიკვდილის
მოფრინავს ტყვია, ნეტავ
ვისია - შენი თუ ჩემი?
აი, ბარბაცებს, ჭრილობას
სამკვდროს მაჩვენებს, სისხლი
როგორ სდის ცხელი, მე კიდევ ჩემს
თოფს ვტენიდი ამ დროს, ვერ
შევაშველე ვერაფრით ხელი.
ჰოდა, მას შემდეგ
გულით ვატარებ მეგობრის ხსოვნას".

ფრანცი სკამის საზურგეს მიყრდნობილი მღერის, გაბმით, მხნედ, მამაცურად, მთელი ხმით. მათ კი, მოპირდაპირე მაგიდასთან რომ სხედან, როგორც იქნა, გაკვირვება დასძლიეს და მომღერალს აჰყვნენ, - მაგიდაზე ხელებს აბრახუნებენ, ყვირიან, მასხარაობენ. და სწორედ ამ დროს ფრანცს ახსენდება, რა უნდოდა, რომ ემღერა. ჰო, მაშინ ეზოში სწორედ ამ სიმღერას მღეროდა. როგორც იქნა, გაიხსენა. ამით მოგვრილმა სიხარულმა ისიც კი დაავიწყა, სად იყო და ვისთან - მიმიფურთხებია! თუ სიმღერაა, სიმღერა იყოს, გაუშვი, მომისმინონ! თვალწინ კი ორი ებრაელი უდგას - იქნებ ახლაც ჩხუბობენ?

ღმერთო, გამახსენე, იმ პოლონელსა და იმ ბრძენ მოხუცს რა ერქვა? მადლიერების ნაზი გრძნობით აევსო გული და ფრანცი მთელი ლუდხანის გასაგონად ისე ამღერდა, რომ ბარში ჭურჭელი აწკრიალდა:

„ისმის მოწოდება მეხის გავარდნის,
ჟღარუნის, ზვირთცემის მსგავსი:
„რაინისაკენ,

რაინისაკენ, გერმანული

რაინისაკენ, ყველამ დავიცვათ

რაინი ჩვენი! სამშობლოვ

საყვარელო, მშვიდად იყავი,

სამშობლოვ საყვარელო, მშვიდად

იყავი, მტკიცედ და ერთგულად

გიცავენ

შენი მცველები, რაინის მცველები!“

მადლობა ღმერთს, ეს ყველაფერი წარსულში დარჩა. ეს ყველამ ვიცით. ახლა კი აქ ვსხედვართ, ირგვლივ ყველაფერი ისეთი მშვენიერია და ცხოვრებაც მშვენიერი, ძალიან მშვენიერია.

მეორე მაგიდასთან მსხდომნი ჩაჩუმდნენ. ახლებიდან ერთ-ერთი კი თითქოს სხვების დარწმუნებას ცდილობს, თითქოს ყველაფერმა მშვიდობიანად უნდა ჩაიაროს. დრესკე მხრებში მოხრილი ზის, კეფას იფხანს, მეპატრონე ბარიდან გამოდის, ცხვირით იქაურობას დაყნოსავს და ფრანცის მაგიდას მიუჯდება. იმღერა ფრანცმა და თითქოს მთელ სამყაროს მიესალმა, კარგია ცხოვრება, კათხა აიღო, მაღლა ასწია, ჯანმრთელად ვიყოთო, ყველას უთხრა, ხელი მაგიდას დაჰკრა, გაიბადრა. ყველაფერი კარგად მიდის, დავლიე, დავწყნარდი - ბედნიერებისთვის ადამიანს მეტი რა უნდა! ეს ლინა სად დაიკარგა, - გაიფიქრა. მსუქან სახეზე ეტყობა, რომ ჯანმრთელი, ძლიერი და ჯანიანია, ოდნავ წონაში მოიმატა, არა უშავს, მაგას ეშველება.

ფრანცს არავინ ეხმიანება. ლუდხანაში სიჩუმეა.

მაგრამ აი, კომპანიიდან ერთ-ერთი წამოდგა, სკამი ფეხით გასწია, ქურთუკის ყველა ღილი შეიკრა, ქამარი უფრო მაგრად მოიჭირა. ეგ ერთ-ერთი ახალგაზრდათაგანია, აწოწილი ჭაბუკი, სარგადაყლაპულივით გაჭიმული და ერთგვარი ცერემონიული მარშით პირდაპირ ფრანცისკენ გაემართა. აი, ახლა დაიწყება! არა უშავს, აბა, ერთი რამე გაბედე, კისერს მოგიგრეხ! სარგადაყლაპული კი ჰოპ და, მაგიდაზე შემოჯდა. ფრანცი არ ინძრევა, უყურებს, ელოდება, ეს ტიპი კიდევ რას მოიმოქმედებს.

- ეი, ბიჭო, რა გქვია? შენ რა, სკამები გეცოტავება?

მაგრამ ბიჭმა ფრანცის თეფშში საჩვენებელი თითი ჩაარჭო!

- რა ჭამე?

- უკვე გითხარი, აქ სკამები საკმარისად არის, თუ თვალები არა გაქვს?

- ახლა ამაზე არ ვლაპარაკობთ, გეკითხები, რა მიირთვი-მეთქი?

- ბუტერბროდები ყველით, ვირო; ვერ ხედავ, თეფშზე ქერქები დაგიტოვე! აბა, მაგიდიდან ახლავე ჩამოდი, ბრიყვო.

- ყველიანი ბუტერბროდები რომ იყო, მაგას სუნით ვგრძნობ. ოღონდ რა ფულით იყიდე?

ფრანცს სიბრაზისგან ყურებიც კი გაუწითლდა. ფეხზე წამოხტა, მეორე მაგიდასთან მსხდომნიც, ფრანცი მაგიდის კიდეს ჩაეჭიდა და გადააყირავა. სარგადაყლაპული თეფშთან, ლუდის კათხასა და მდოგვთან ერთად იატაკზე გაიშხლართა. თეფში წვრილ ნაწილებად დაიმსხვრა, ჰენშკე თითქოს ამას ელოდებოდა - სირბილი დაიწყო, ნამსხვრევებს ფეხს ურტყამდა და უფრო წვრილ ნაწილებად ამსხვრევდა.

- აბა, აბა, ჩემს ლუდხანაში ჩხუბი არ შეიძლება, ასეთ რაღაცებს ვერ ვიტან. ვისაც მშვიდობიანად ჯდომა არ შეუძლია, აქედან წავიდეს.

სარგადაყლაპული უკვე ფეხზეა, მეპატრონის განზე გაყვანას ცდილობს.

- ერთი წუთით, ჰენშკე, აქ მუშტი-კრივი არ გაიმართება, ყველაფრის ფულს გადავიხდით. ვინც რას გატეხს, იმის ფულს ის გადაიხდის.

ფრანცი ფანჯარასთან დგას, ჟალუზს მიყუდებული, ფიქრობს: წავალ, მე არავის ვერჩი, მაგრამ ვინმე თუ გაბრიყვდება და საჩხუბრად გამოიწვევს, მაშინ მიფრთხილდეს!

სარგადაყლაპულმა დრო იხელთა და შარვალი აიწია, - ასე, მაშასადამე, ემზადება! ახლა დაიწყება ზედახორა! დრესკე კი კარგი ვინმეა; დგას სეირის მაყურებელივით, თითქოს არაფერ შუაში იყოს.

- ორგე, ეს მათხოვარი აქ რატომ მოათრიე, ნეტავ ვიცოდე ვის დაეკარგა ან შენ სად იპოვე ეს ლაწირაკი?

ეს ლაწირაკი კი შარვალს სულ ზემოთ იწევს და მეპატრონეს ელაპარაკება. ამ ოხერს შარვალი სძვრება თუ რა, თუ სძვრება, მაშინ ღილები მაინც დაეკერებინა.

სარგადაყლაპული კი მეპატრონესთან გულს იოხებს:

- მაშასადამე, ამათთვის ყველაფერი ნებადართულია. ფაშისტებს ლაპარაკი შეუძლიათ. რასაც ისინი ამბობენ, იმას სიტყვის თავისუფლებას უწოდებენ. ჩვენ კი რა, პირები ამოვიკეროთ?

დრესკე ბიჭების უკან დგას და იქიდან მარცხენა ხელს იქნევს:

- არა, ფრანც, ამ საქმეში არ ჩავერევი და ახლა კეთილი ინებე და შენვე დაალაგე. უნდა გეფიქრა, რას სჩადიხარ და რას მღერი. არა, არ ჩავერევი, ეგღა მაკლია. მსგავსი რამ აქ არასოდეს მომხდარა.

„ისმის მოწოდება მეხის გავარდნის“, ჰო, მაშინ ეზოში ამ სიმღერას ვმღეროდი... მივხვდი, ამათ ეს სიმღერა არ მოეწონათ და ეს აურზაურიც ამის გამო ატყდა.

- ფაშისტო, სისხლისმსმელო! - უტევს ფრანცს სარგადაყლაპული, - მომეცი სამკლავური! შენ გეუბნებიან!

აი, იწყება, ხუთი ერთზე! აბა, ზურგით ფანჯრისკენ, სკამი, სკამი კი ხელში:

- სამკლავური ამოიღე, შენ გეუბნებიან! თორემ ჯიბიდან თავად ამოგიღებ. გიბრძანებ, სამკლავური მომეცი.

სხვები კი ამ ბიჭის უკან კედელივით არიან აღმართული. ფრანცს ხელში სკამი უკავია. მტკიცედ, მყარად.

- დააოკეთ ეგ აყლაყუდა, გესმით? თორემ საკუთარ თავზე პასუხს არ ვაგებ. მეპატრონემ აყლაყუდა უკნიდან მკლავში მოიმწყვდია, ეხვეწება:

- ახლა წადით! ბიბერკოპფ, რაც შეიძლება, სწრაფად წადით!

თავისი ლუდხანის დარდი აქვს, გასაგებია, სრულიად გასაგები. ალბათ, ფანჯრები დაზღვეული აქვს, მაგრამ ეგ ნაკლებად მანაღვლებს.

- კარგი, კარგი, ჰენშკე, ბერლინში, რა თქმა უნდა, ბევრი ლუდხანაა, აქ მე მხოლოდ

ლინას ველოდებოდი. მაგრამ მაგათ მხარს რატომ უჭერთ? ადამიანს, რომელიც ყოველ საღამოს თქვენი სტუმარია, აქედან რა უფლებით აგდებენ? ეგ ორი ხომ აქ საერთოდ პირველადაა?

ჰენშკე აყლაყუდას ბარისკენ მიათრევს. ახლებიდან მეორე დორბლებს ყრის, ყვირის:

- იმიტომ გაგდებენ, რომ ფაშისტი ხარ! ჯიბეში სამკლავურიც კი გიდევს, ბარემ სვასტიკა მკერდზეც მიიწებე, ფაშისტო.

- ვარ, მერე რა? დრესკეს ყველაფერი ავუხსენი და რატომ, ამას თქვენ ვერ გაიგებთ და ამიტომაც ღრიალებთ.

- ჩვენ ვღრიალებთ? ეგ თქვენ ღრიალებდით „რაინის მცველებს“ რომ მღეროდით!

- თუ ასეთივე დებოშებს სხვაგანაც მოაწყობთ, ლუდხანებში მაგიდებზე შემოსხდებით ხოლმე, მაშინ აღარ იქნება სიმშვიდე ამ ქვეყანაში. მშვიდად ცხოვრება ყველას უნდა, მუშასაც და ვაჭარსაც, უამისოდ ვერ იმუშავებენ და დაინგრევა ქვეყანა. დაიმახსოვრეთ: უწესრიგოდ ცხოვრება შეუძლებელია. თქვენ კი, უგუნურებო, ასე აპირებთ ცხოვრებას? ყელის ჩახლეჩით, სკანდალების მოწყობით. საშიში ხალხი ხართ, სკანდალებს აწყობთ, ცოფიანი ძაღლებივით ადამიანებს ერჩით. ერთხელაც იქნება, ადამიანები მოთმინებას დაკარგავენ და კისრებს მოგიგრეხენ. აბა, ვინ სულელი მოგცემთ ბებერაზე ფეხის დაჭერის უფლებას?

ფრანცი გაცხარდა, მოთმინება დაკარგა, აყვირდა, თითქოს შიგნიდან რაღაცამ ამოფეთქა და მის თვალწინ სისხლით გაჟღენთილი ნისლი გაცურდა.

- მოღალატეები ხართ, ბიჭებო, თავადაც არ იცით, რას აკეთებთ! ეგ სისულელეები ვიღაცამ თავიდან უნდა გამოგიბერტყოთ, თორემ მთელ ქვეყანას დაღუპავთ; ფრთხილად, ეგ თქვენი იდეები ცუდად არ შემოგიტრიალდეთ, სისხლისმსმელო არამზადებო.

შიგნით ყველაფერი უდუღს, იგი ტეგელში იჯდა, ცხოვრება სასტიკია, ზუსტად ისეთი, როგორიც იმ ლექსშია აღწერილი, ძაღლური და ერთხელაც სადღაც ძაღლივით ჩაკვდები. ეს მან გამოცადა. იდა, იდა, ამ ამბის გახსენებაც კი ეშინია.

შეძრწუნებული ყვირის, უკან იხევს, თითქოს ვიღაც უფსკრულისკენ ექაჩებოდეს, ხელებისა

ᲥᲐ

ფეხების ქნევით მოგონებებსა და წარსულის აჩრდილებს იგერიებს, ღრიალებს, რათა აღარაფერი გაიგონოს. ლუდხანის კედლები ზანზარებს, ჰენშკე იქვე მაგიდასთან დგას და ფრანცთან მიახლოებას ვერ ბედავს, ფრანცი კი მთელი ძალით ღრიალებს, ტუჩებზე დუჟი ადგება.

- თქვენ ჩემთვის სათქმელი არაფერი გაქვთ, არავის, არც ერთ ადამიანს არა აქვს უფლება აქ მოვიდეს და რამე მიბრძანოს. განა ამისთვის ვლპებოდი სანგრებში, სისხლს ვღვრიდი? თქვენ შფოთისთავები ხართ, შფოთისთავები, მე კი ვამბობ, რომ სიმშვიდე უნდა იყოს, სიმშვიდე. შეგიძლიათ ეს გონებაში ჩაიბეჭდოთ, სიმშვიდე და სხვა არაფერი. აქეთ ვისწრაფვით ჩვენ, ეს არის ერთადერთი ჭეშმარიტება. ის კი, ვინც ახლა რევოლუციის მოწყობას ცდილობს და ხალხს ტვინს ურევს, ბოძზე უნდა დაკიდო. ქუჩაში კი ბოძები საკმარისად არის, ტეგელის შოსეს გასწვრივ ჩარიგებული ბოძები, ეს ნამდვილად ვიცი, კიდევ ტელეგრაფის ბოძები. რას სჩადიხართ, ამას მაშინ მიხვდებით, როცა ბოძებზე ფეხებს ააფართხალებთ. ნამდვილად გაიგებთ, შფოთისთავებო. ჰო, მაშინ დამშვიდდებით თქვენც და ქვეყანაც.

ფრანც ბიბერკოპფს ნერვიული შეტევა აქვს. ხმა ჩაეხლიჩა და მაინც ყვირის, ნერწყვს აფრქვევს, თვალები შუშისა გაუხდა, სახე გაულურჯდა, ხელები უხურს, კაცი ჭკუაზე არ არის, გონება დაებინდა. გაშმაგებული სკამის საზურგეს ჩასჭიდებია, ეჭიდება, რომ არ წაიქცეს. ახლა იგი სკამს აიღებს და შეტევაზე გადავა.

ყურადღება, ფრთხილად, გზა, დაიშალეთ, ქუჩა გაათავისუფლეთ, დატენეთ, ცეცხლი, ცეცხლი, ცეცხლი.

და კაცს ესმის, რომ იგი დგას და ღრიალებს, ესმის თავისი ღრიალი, საკუთარ თავს შორიდან ხედავს და აკვირდება. სახლები, სახლები ვაითუ ისევ დაინგრნენ, სახურავები კი მოცურავენ და მის თავზემოთ ეკიდებიან, არა, ეს არ მოხდება, ჩემთან ამ შფოთისთავებს ეგ არ გამოუვათ, ჩვენ სიმშვიდე გვჭირდება. ჩვენ მშვიდობა გვინდა.

თავში კი უტრიალებს და არ ასვენებს აზრი: აი, ახლა დაიწყება, უნდა ვიმოქმედო, ვიღაცას ყელში უნდა ვწვდე, მალე გარს შემომერტყმებიან, დაბლა დამაგდებენ, წუთიც და შეტევაზე გადმოვლენ, წუთიც და... მე კი მეგონა, ამქვეყნად სიმშვიდე იყო, წესრიგი. მის ამღვრეულ გონებაში შიში ისადგურებს და ნათლად ხედავს: არა, ამ

სამყაროში რაღაც ისე არ არის. გარეთ საშინელება ტრიალებს და მის წინააღმდეგ ამხედრებული ხუთეულიც მყარ კედლად დგას და სადაც არის, თავს დაესხმება.

სამოთხეში ოდესღაც ორნი ცხოვრობდნენ: ადამი და ევა. სამოთხე კი ულამაზესი ბაღი - ედემი იყო. შიგ ცხოველები და ფრინველები ნავარდობდნენ.

ეგ კაცი გიჟი ხომ არ არის? თავდამსხმელები გაურკვეველ მდგომარეობაში არიან. მაგრამ ეტყობა, დაცხრნენ. ის კი არა, სარგადაყლაპული ცხვირით ქსუტუნებს და დრესკეს თვალს უკრავს: მოდი, ჯობს, მაგიდასთან დავსხდეთ და რამე სხვაზე ვილაპარაკოთ. ჩამოვარდნილ სიჩუმეში დრესკე აბლუკუნდება:

- ასე, ფრანც, ახლა შეგიძლია სკამს ხელი გაუშვა, უკვე საკმარისად ილაპარაკე, აქედან იქნებ მშვიდობიანად წახვიდე.

ჭექა-ქუხილმა გადაიარა, ცის მოწმენდის შანსი გაჩნდა, იქნებ მზემაც გამოანათოს. მადლობა ღმერთს. სახე გაუფერმკრთალდა, მოეშვა. ისინი მაგიდასთან დგანან, სარგადაყლაპული კი ზის და სვამს. ხის დამამუშავებლები თავიანთი მოთხოვნის გატანას ცდილობენ, კრუპი თავის პენსიონერებს აშიმშილებს. უმუშევართა რიცხვმა ერთ-ნახევარ მილიონს მიაღწია, ბოლო **15** დღეში **22600** უმუშევარი დარეგისტრირდა.

ფრანცს ხელები მოუდუნდა, სკამი გაუვარდა, ისევ თავჩაქინდრული დგას. მაგრამ მშვიდად ლაპარაკობს, ჩვეულებრივი ხმით, აგრესიული ხუთეული აღარ აღელვებს:

- მივდივარ და თანაც დიდი სიამოვნებით. ისე კი, თავი რითი გაქვთ გამოტენილი, ჩემი საქმე არ არის.

ისინი კი ფრანცს პასუხის ღირსად არ თვლიან. გაუშვი, საზიზღარმა რენეგატმა თაღლითებმა, ბურჟუაზიისა და სოციალ-შოვინისტების აპლოდისმენტებით წახალისებულებმა ლაფში ამოსვარონ საბჭოთა კონსტიტუცია, ეს ევროპის რევოლუციურად განწყობილ მუშებსა და შეიდემანელებს**[12]** შორის განხეთქილებას უფრო გააღრმავებს და ა.შ., ჩაგრული მასები მხარს ჩვენ გვიჭერენ.

ფრანცი ქუდს იღებს:

- ვწუხვარ, ორგე, ჩვენი გზები რომ გაიყო, თანაც რაღაც სისულელის გამო.

დრესკეს ხელს გაუწვდის, მაგრამ ეს უკანასკნელი არ ჩამოართმევს. თავის ადგილზე უსიტყვოდ დაჯდება.

სისხლი დაიღვრება, სისხლი დაიღვრება, სისხლი დაიღვრება წყალივით.

- მდაა, კარგი, წავედი, ჰენშკე, კათხისა და თეფშის რამდენი უნდა გადაგიხადო?

ეს არის მაგათი წესრიგი. 14 შვილზე დახმარებას კაპიკებს იძლევიან. ერთ თეფშსაც ვერ იყიდი. ცენტრის მინისტრ ჰირტზიფერის მრავალშვილიანთა ოჯახების დახმარების ცირკულარი. მხოლოდ სამოსამსახურო სარგებლობისათვის. გამოქვეყნებას არ ექვემდებარება. ჩემს განკარგულებაში არსებული თანხების სიმწირის გამო დახმარების განაწილებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მხოლოდ შვილების რაოდენობა - 12 ან მეტი, არამედ ისიც, იჩენენ თუ არა მშობლები, მიუხედავად მცირე შემოსავლისა, შვილების აღზრდისას თავდადებას, რათა ისინი წესიერ და სამაგალითო ადამიანებად ჩამოყალიბდნენ.

მიმავალ ფრანცს ვიღაცამ სიტყვა დაადევნა:

- კარტოფილი და ქაშაყის კუდია შენი წმინდა ომის ნადავლი.

ალბათ, აყლაყუდაა, გაიფიქრა ფრანცმა, მაგან ჯერ უკანალიდან მდოგვი გამოიწმინდოს. ერთი კარგად უნდა მიმებეგვა. არა უშავს. ქუდი დაიხურა. ჰაკეს ბაზარი გაახსენდა, ჰომოსექსუალები, ჭაღარა გაზეთების გამყიდველი და მისი ჟურნალები, ისიც, ეს ჟურნალები როგორ არ მოეწონა. წამით შეჩერდა, მიიხედ-მოიხედა, გზა განაგრძო.

ყინავს. მაღაზიის წინ ლინა დგას, ეს-ეს არის მოვიდა. ფრანცი ფეხს ითრევს. უკან დიდი სიამოვნებით დაბრუნდებოდა და იმ სულელებს ყველაფერს აუხსნიდა. ეს ბიჭები სულ გაგიჟდნენ, გაგიჟდნენ იმიტომ, რომ თავი, კაცმა არ იცის, რითი გამოუტენეს. ისე, ცუდი ბიჭები არ არიან, სარგადაყლაპულიც კი. ეგ თავხედი იატაკზე როგორ დაეხეთქა! რას იზამ, სისხლი უდუღთ. არ იციან, მოჭარბებულ სისხლს რა უყონ. ტეგელში რომ მოხვედრილიყვნენ, ან ისეთ ადგილას, სადაც ცხოვრების სიმწარეს იგემებდნენ, მაშინ დასცხრებოდნენ, იქ მაგათ ტვინს გამოურეცხავენ, მერედა, როგორ.

ლინას ხელკავი გამოსდო, აქეთ-იქით იხედება. ქუჩაში ძალიან ბნელა, აანთონ რა

დალოცვილებმა მეტი ფარანი, ენანებათ თუ რა? რატომ არის, რომ ყველა მე მეკიდება, ჯერ პედერასტები, ჯანდაბაშიც წასულან, ახლა - წითლები. მაგათთან არაფერი მესაქმება, მშვიდად ლუდის დალევის საშუალებასაც არ მაძლევენ. კარგი იქნებოდა, ახლა უკან რომ დავბრუნებულიყავი და იმ ჰენშკეს დაწესებულება დამელეწა. თვალები ისევ ენთება, სისხლით ევსება, შუბლზე ძარღვები ებერება, ცხვირი უწითლდება. მაგრამ მადლობა ღმერთს, გაუარა. ლინას ეცა, ხელები დაუკაწრა, ლინა კი იღიმება:

- მიდი, ფრანცეკენ, ნუ გრცხვენია, შენგან სახსოვრად დამრჩება.

- ლინა, მოდი, შევიდეთ სადმე, დავლიოთ, ოღონდ არა ლუდხანაში. ეგ ლუდხანები ყელში ამომივიდა. აი, ჰენშკესთან ისეა გაბოლილი, რომ სუნთქვა ჭირს. იქ კი გალიაში პატარა ჩიტბატონა ზის, მეცოდება, არ დაიხრჩოს, იმათ კი ჩიტი ფეხებზე ჰკიდიათ, ეწევიან და ეწევიან.

ახლა ფრანცი ლინას უხსნის, რატომ იყო ახლახან ლუდხანაში იგი მართალი და ისინი - არა. ლინა ეთანხმება. მერე ტრამვაიში სხდებიან და იანოვიცკის ხიდისკენ, ვალტერხენის დანსინგში მიემგზავრებიან. იმით წავიდნენ, რაც ეცვათ. ფრანცმა ლინა ტანსაცმლის გამოსაცვლელად არ გაუშვა: ასეც ლამაზი ხარო, უთხრა. ტრამვაიში ლინამ ჯიბიდან დაჭმუჭნილი გაზეთი ამოაძვრინა. სპეციალურად ფრანცისთვის მოიტანა. „მშვიდობის მაცნე“ - საკვირაო ნომერი. ფრანცი აღფრთოვანდა, ლინას ხელი მოუჭირა. ასეთი გაზეთი ჯერ არ გაუყიდია. მარტო ჟურნალის სახელწოდება რად ღირს. პირველ გვერდზე ქუდი არის გამოტანილი „უბედურებიდან ბედნიერებამდე“, დიდებულია!

აბა, ტაში, ტაში, ტაში, ფეხი დავაბაკუნოთ, თევზი, ჩიტი, მთელი დღე, სამოთხე.

ტრამვაის მოჯაყჯაყე ვაგონში, პლაფონების მკრთალ სინათლეზე, ფრანცი და ლინა თავდახრილები გაზეთის პირველ გვერდზე ლექსს კითხულობენ, ლინამ ის ადრევე ფანქრით მონიშნა: ე. ფიშერი, „ყოველთვის ერთად“:

„ჯობს, რომ ვიაროთ ყოველთვის
ერთად ცხოვრების ჩვენის უმძიმეს
გზაზე, ადვილად ფეხის აცდენის

უბედურება ახლოა მეტად.

მარტო მიდიხარ, სამყაროც

გიტევს და თუ ნამუსით

სიარულს შეძლებ

და შენს მეგზურად მოუხმობ ქრისტეს,

იპოვი იმ გზას, რომელსაც

ეძებ. მოგევლინება ის ჭირში

ღმერთად

და ჩვენც ვიქნებით ყოველთვის ერთად".

კითხულობს ფრანცი და ფიქრობს: რა კარგი იქნებოდა ახლა დალევა, ორი კათხა ცოტაა, ამდენი ლაპარაკისგან ყელი გამიშრა. უცბად გაახსენდა, როგორ იმღერა. კარგ გუნებაზე დადგა. თითქოს გულიდან ტვირთი მოეხსნა. სიმსუბუქე იგრძნო. ლინას იდაყვზე ხელი მოუჭირა.

ლინა დილის ნიავს სახეს უშვერს. ჰოლცმარკტშტრასეზე ქალი მამაკაცს მსუბუქად ეკვრის: ამ დღეებში ჩვენი ნიშნობა ხომ არ გამოვაცხადოთ?

აი, როგორია ჩვენი ფრანც ბიბერკოპფი: ნამდვილი ანტიკური გმირი!

ეს ფრანც ბიბერკოპფი, ყოფილი მეცემენტე, ავეჯის გადამზიდი და ასე შემდეგ, ახლა კი გაზეთების გამყიდველი, ორ ცენტნერს იწონის. კობრასავით ძლიერი და ისევ ათლეტთა კლუბის წევრია. დამცავ გამაშებს, ლურსმნით შემოჭედილ წაღებსა და წყალგაუმტარ ქურთუკს ატარებს. ფული ბევრი არა აქვს, შოულობს ცოტას, მაგრამ პურის საყიდლად ჰყოფნის. ფეხზე დაბიჯების უფლებას არავის მისცემს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ.

იქნებ მისი გავლილი გზიდან ზოგიერთი ეპიზოდის (იდა და ა.შ.) გამო სინდისის ქენჯნას გრძნობს, ან ამის გამო კოშმარები, მშფოთვარე სიზმრები აწუხებდეს, ან ჩვენი შორეული წინაპრების დროინდელი ერინიები? ამდაგვარი არაფერი. იმიტომ, რომ დრო შეიცვალა. თავის დროზე დამნაშავემ, ღვთისგან დაწყევლილმა მამაკაცმა

(საიდან იცი, შვილო ჩემო?) ორესტემ კლიტემნესტრა, სახელია ისეთი, ენას იღრძობ, საკურთხეველთან მოკლა (მაინც რომელ საკურთხეველს გულისხმობთ? ჩვენთან ღამით ღია ეკლესიას ვერ იპოვი). რაც უნდა ყოფილიყო, დედა იყო მაინც. აკი ვამბობ, დრო შეიცვალა-მეთქი. მიდი, ეცი! და მას გარს ახვევია საზარელი ურჩხულები: ბანჯგვლიანი ჯადოქრები თმაში გველებით, უალიკაპო ქოფაკები და ვინ იცის, კიდევ რა, ერთი სიტყვით, მთელი სამხეცე, საშინელი სანახავია... და ყველა ეს ოთხფეხა თუ ორფეხა ქმნილება ცოფს ყრის, ხტის, კბილებს აღჭრიალებს, მაგრამ ორესტეს ვერ უახლოვდებიან, რადგანაც ის საკურთხეველთან დგას, - ეს ანტიკური წარმოდგენაა. მერე ეს ხროვა მის ირგვლივ განრისხებული როკავს, ძაღლები კი ამ წრის ცენტრში, არფის ჰანგების აკომპანემენტის გარეშე, როგორც სიმღერაშია ნათქვამი, ერინიების ცეკვას ასრულებენ, მერე მსხვერპლის ირგვლივ მოცეკვავეთა წრე ვიწროვდება და... მორჩა: სიგიჟე, გონების დაბნელება და ერთი გზაღა რჩება - ყვითელ სახლში მიმავალი.

არა, ფრანც ბიბერკოპფს ერინიები არც ტანჯავენ, არც აწამებენ. პირდაპირ გეტყვით, მადა კარგი აქვს. ჰენშკესთან სვამს თუ ვინმე სხვასთან, სამკლავურს ჯიბეში მალავს. თავს ლუდით იბრუებს, ზედ მწარე არაყსაც აყოლებს და თავს ამქვეყნად უბედნიერეს ადამიანად გრძნობს. ეს არის განსხვავება ყოფილ მტვირთავსა და ამჟამად, 1927 წელს, გაზეთების გამყიდველ ბერლინელ ფრანც ბიბერკოპფსა და ოდინდელ გმირ ორესტეს შორის. აბა, ვინ ვის კანში იგრძნობს თავს უკეთესად?

ფრანცმა თავისი საცოლე იდა (მაპატიეთ, მაგრამ გვარს მნიშვნელობა არა აქვს), ახალგაზრდა ქალი მოკლა. ეს იდას დის, მინას ბინაში მოხდა. დრამა კი ფრანცსა და ქალს შორის შელაპარაკებით დაიწყო. შელაპარაკება ჩხუბში გადაიზარდა. ეს ყველაფერი მოგვიანებით საავადმყოფოში დაადგინეს და ამან სასამართლო პროცესზე დიდი როლი ითამაშა. მერე დაზარალებულს მსუბუქი დაბეჟილობები და მხრებზე სისხლჩაქცევები აღმოუჩინეს. ეპითეტების კასკადმა, რომლითაც იდამ მოძალადე შეამკო: მამალო კატავ, სუტენიორო, მყრალო ხვადო, მართალია, ამჟამად რამდენადმე ნამუსშელახული, მაგრამ ღირსების საკითხებში მაინც ერთობ მგრძნობიარე ფრანც ბიბერკოპფი განარისხა. ამას ისიც დაერთო, რომ გუნებაზე ვერ იყო: ვარჯიშის დროს ხელზე მყესი დაეჭიმა და რადგან ამ დროს ხელში აღმოაჩნდა პატარა ხის სათქვეფელა,

რომელსაც მეტალის სპირალი ჰქონდა, ძლიერი მოქნევით იდას მკერდში ორჯერ ჩაარტყა. ამ მომენტამდე იდას გულმკერდი სახილველად ერთობ მიმზიდველი და საამო გახლდათ, უწუნო და უზადო, რისი

თქმაც მის ხასიათზე არ შეიძლებოდა. გოგო ჭირვეული და თავისნათქვამა გახლდათ. თანაც კაცი, რომელიც პატარა იდას ხარჯზე ცხოვრობდა, ეჭვობდა, და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ ქალი მასთან დაშორებასა და რომანის გაბმას ჰორიზონტზე მოულოდნელად გამოჩენილ ვინმე ბრესლაველთან აპირებდა. ასე იყო თუ ისე, მომხიბვლელი გოგოს გულმკერდი მთელი ძალით მოქნეული სათქვეფელას დასახვედრად მზად არ აღმოჩნდა. იდამ პირველივე დარტყმის შემდეგ დაიკვნესა და სუტენიორო კი არა, ადამიანო, რას აკეთებო, იყვირა. სათქვეფელას მეორედ დარტყმისას კი იდამ მარჯვნივ ნახევარწრე მოხაზა, ფრანცი კი იმავე მდგომარეობაში იდგა. ამ დარტყმის შემდეგ ქალს აღარაფერი უთქვამს, პირი უცნაურად გააღო და ხელები აიქნია.

ის, რაც შარშან ახალგაზრდა გულმკერდს მოუვიდა, მტკიცე კავშირშია სიმკვრივისა და დრეკადობის, ქმედებისა და უკუქმედების კანონებთან. ამ კანონების ცოდნის გარეშე ამის ახსნა შეუძლებელია. აქ უნდა გავიხსენოთ შემდეგი ფორმულები:

ნიუტონის პირველი კანონი, რომლის თანახმადაც: საგანი უძრავ მდგომარეობაში არის მანამდე, ვიდრე მას მდგომარეობის შეცვლას რაიმე ძალის ზემოქმედება არ აიძულებს (ეს ეხება იდას ნეკნებს). ნიუტონის მეორე, მოძრაობის კანონი კი ამბობს: მოძრაობის შეცვლა მოქმედი ძალის პროპორციულია და აქვს იგივე მიმართულება (მოქმედი ძალა არის ფრანცი, უფრო სწორად, მისი მუშტი სათქვეფელათი). ძალის სიდიდე გამოიხატება შემდეგი ფორმულით:

f = c lim v/t = cw

სიჩქარე, გამოწვეული მოცემული ძალით, გამოიხატება შემდეგი

ფორმულით: **v = l/c ft**

ამ ფორმულების თანახმად, მოსალოდნელი იყო და მართლაც ასე მოხდა, რომ სათქვეფელას სპირალი შეიკუმშა და დარტყმა უშუალოდ ხის სახელურით იქნა მიყენებული მარცხენა იღლიის ხაზზე, ანუ ძალის ზემოქმედებას მეშვიდე და მერვე ნეკნი შეეწირა.

ამ მდგომარეობის განხილვა ერინიების გარეშეც შესანიშნავად შეიძლება; ნაბიჯ-ნაბიჯ აღდგენა იმისა, რა გააკეთა ფრანცმა და რა გადაიტანა იდამ.

ეს არის ტოლობა უცნობის გარეშე. საჭიროა, მხოლოდ ამ პროცესის მსვლელობას

მივყვეთ, პროცესი კი ასე წარიმართა: ძლიერი ბიძგის გამო იდამ ვერტიკალური მდგომარეობა დაკარგა და ჰორიზონტალურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ამას თან დაერთო სუნთქვის გაძნელება, ძლიერი ტკივილი, შიში და წონასწორობის ფიზიოლოგიური დარღვევა. მიუხედავად ამისა, ფრანცი დაზარალებულს, მისთვის ესოდენ ახლობელ არსებას, ალბათ, დაგლეჯდა ვითარცა გამძვინვარებული ლომი, მეზობელი ოთახიდან იდას და რომ არ გამოვარდნილიყო. ამ ქალის კივილმა და ლანძღვამ აიძულა უკან დახევა, საღამოს კი პოლიციის პატრულმა მისი სახლის ახლოს დააკავა.

„ეცი, დასცხე მაგას!“ - ყვირიან ოდინდელი ერინიები. საზიზღრობა, საშინელებაა ამის ყურება, ღვთისგან დაწყევლილი ადამიანი საკურთხეველთან დგას, ხელები სისხლით აქვს მოსვრილი. როგორ ხრიალებენ ეს ურჩხულები: გძინავს? გაიღვიძე, შორს ძილი! ადექი, ადექი! მამამისი, აგამემნონი, დიდი ხნის წინ ტროასთან საომრად წავიდა. ტროა დაეცა და მაშინვე აგიზგიზდა სასიგნალო ცეცხლი: ფიჭვის ტოტების ჩირაღდნების ჯაჭვი ტროადან ათონის გავლით თვით კითერის ტყემდე გაიჭიმა.

რადგანაც ეს ეპიზოდი გავიხსენეთ, ისიც ვთქვათ, რა მშვენიერებაა ეს ტროიდან საბერძნეთამდე მიმავალი აგიზგიზებული შეტყობინება. წყლის ზედაპირზე ცეცხლის ესტაფეტა! აფეთქებული პატარა კოცონები, გულის ძგერა, სული, ბედნიერება, საზეიმო შეძახილები.

აი, ავარდა წითელი ალი და გორგოპისის ტბის თავზე არილი ალისფრად იღვრება, არილს გუშაგი დაინახავს და სიხარულისგან შეჰყვირებს. და ამ სასიხარულო ცნობას უფრო შორს გადასცემს; ცეცხლი კი ყურეს გასცდება, მთა არაქნეონის წვერზე აალდება და წითელ ანაშუქზე ყველანი ერთ, ყურთასმენის წამღებ კივილში გაერთიანდებიან: „აგამემნონი ბრუნდება“. დიახ, ასეთი გრანდიოზული სანახაობის მოწყობა ჩვენ არ ხელგვეწიფება.

ჩვენ შეტყობინების გადასაცემად ვინმე ჰაინრიხ ჰერცის ცდების შედეგებით ვსარგებლობთ. ჰერცი კარლსრუეში ცხოვრობდა, ადრე გარდაიცვალა. და თუ მიუნხენის მუზეუმში გამოფენილ მის გრაფიკულ სურათს ვენდობით, მას ხშირი და გაბურძგნილი წვერი ჰქონია. ჩვენ შეტყობინებებს უსადენო ტელეგრაფით გადავცემთ. ჩვენს დიდ სადგურებში ძლიერი გადამცემები მაღალი სიხშირის ცვალებად დენს

გამოიმუშავებენ და ეთერში გზავნიან. რხევითი კონტური ელექტრონულ ტალღებს იწვევს. რხევები სფერული სახით ვრცელდებიან, მიმღებში კი არის კათოდის ნათურა და მემბრანა, რომელიც ან დიდი, ან ნაკლები სიხშირით ირხევა და

წარმოიქმნება ზუსტად ისეთი ხმა, რომელიც სულ ახლახან გადამცემმა მიიღო. საკვირველია პირდაპირ, ასეთი რამ ადამიანს თავში ხომ უნდა მოგივიდეს. ისე, მეტისმეტად ნუ ავფორიაქდებით, მადლობა ვთქვათ, რომ ეს მოწყობილობა მუშაობს.

სულ სხვა რამ არის აგამემნონის მოახლოების მაუწყებელი ნაძვის ტოტების ჩირაღდნები! ისინი იწვიან, ალი მათი მაღლა მიიწევს და ვითარცა ცოცხალი არსება აუწყებს ყველას: „აგამემნონი ბრუნდება!“ და ირგვლივ ყველა და ყველაფერი ზეიმობს: „აგამემნონი ბრუნდება!“ და აი, უკვე ათობით, ასიათასობით კაცი ყურის სანაპიროზე აგამემნონს აღტაცებული შეძახილებით ეგებება.

ახლა კი მთავარს დავუბრუნდეთ. აგამემნონი უკვე შინ არის. სურათი იცვლება, სრულიად იცვლება. ასე ვთქვათ, ეს მედლის მეორე მხარეა. სახლში ფეხი შედგა თუ არა, ცოლმა მაშინვე ბანაობა შესთავაზა. წყალში დაუყოვნებლივ ჩასვა. აი, მაშინ გამოჩნდა, რა ვერაგი იყო კლიტემნესტრა. წყალში ჩამჯდარ ქმარს ქალმა მაშინვე თავზე მეთევზის ბადე ჩამოაცვა და თანაც ისე მყარად, რომ კაცმა განძრევაც კი ვერ შეძლო, და ნაჯახიც მოათრია, ვითომ შეშის დასაჩეხად. აგამემნონი ხრიალებს: „ვაიმე, დავიღუპე!“, გარეთ კი კითხულობს ხალხი: „ვინ დასტირის საკუთარ თავს ასე მწარედ?“ აგამემნონი კი ისევ ოხრავს: „ვაი მე და ვაი მე!“ ერთი სიტყვით, ამ ანტიკურმა ალქაჯმა მოკლა ქმარი, ისე, რომ თვალიც არ დაუხამხამებია. მერე კი ხალხთან გავიდა და თავმომწონედ განაცხადა: „ჩემს ქმარს ბოლო მოვუღე, მეთევზის ბადეში გავახვიე და თავში ორჯერ ჩავარტყი. ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და როცა ამოისუნთქა, მაშინ ბოლო, მესამე დარტყმით ჰადესში გავისტუმრე“. სენატორები შეძრწუნდნენ, მაგრამ საჭირო სიტყვები მაინც მოძებნეს: „შენი გაბედული სიტყვებით გაოგნებული ვართ“. აი, როგორი ვერაგი იყო ეს ანტიკური ალქაჯი. აგამემნონთან ცოლქმრულ სიამეში მას ბიჭი ჩაესახა, დაბადების შემდეგ ორესტედ სახელდებული. მერე კი ამ სიამის ნაყოფმა დედამისი მამის კვალს გაუყენა. სწორედ ამის გამო მიუსიეს მას ერინიები.

სრულიად სხვაგვარად არის საქმე ფრანც ბიბერკოპფის შემთხვევაში. მისი იდა ხუთი კვირის შემდეგ ფრიდრიხსჰალენის საავადმყოფოში ნეკნების მრავლობითი მოტეხილობის, პლევრისა და ფილტვების დაზიანების, ამის ნიადაგზე განვითარებული პლევრის ემპიემისა და ფილტვების ანთების გამო გარდაიცვალა.

მანამდე კი ეუბნებოდნენ: „ღმერთო ჩემო, სიცხე დაბლა არ იწევს, იდა, რას ჰგავხარ, სარკეში ჩაიხედე, წასულია იდას საქმე“. მიცვალებული გაკვეთეს, მერე კი ლანდსბერგერალეეს სასაფლაოზე წაიღეს, იქ სამმეტრიანი საფლავი გაუთხარეს, შიგ კუბო ჩაუშვეს და მიწა მიაყარეს. ქალი ისე გარდაიცვალა, რომ ფრანცი სძულდა, და ბოღმა არც ფრანცს განელებია, რადგანაც იდას ახალი მეგობარი, ბრესლაველი, საავადმყოფოში დადიოდა. ახლა იდა უკვე ხუთი წელიწადია მიწაში წევს, ზურგზე გაჭიმული. კარგა ხანია კუბოს ფიცრები დალპა, თავად მიცვალებული კი ლაფსა და ტლაპოში ცურავს. ის იდა კი, რომელიც ერთ დროს

„პარადიზის“ ბაღში თეთრი ტილოს ფეხსაცმლით ცეკვავდა, იდა, რომელსაც იგი, ფრანცი, ასე ძალიან უყვარდა და სხვა ბევრ მამაკაცსაც ეპრანჭებოდა, ახლა წევს და არ ინძრევა; ის აღარ არის.

ფრანცმა კი ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხი აგო, ოთხი წელი ციხეში გაატარა. და იგი, ვინც ქალი მოკლა, ახლა თავისუფლად დასეირნობს, ცხოვრობს, ჭამს, სვამს, თავის თესლს აფრქვევს, აქა-იქ ახალ სიცოცხლეს თესავს, იდას დაც კი მისი გახდა. ერთხელაც იქნება, სიკვდილი მასაც ეწვევა. რას იზამ, სიკვდილი გარდაუვალია, ადრე თუ გვიან, ყველანი იქ აღმოვჩნდებით. მაგრამ ჯერ არა, ჯერ ადრეა. ეს მან იცის. მანამდე კი ლუდხანებში სიარულს განაგრძობს და როგორც შეუძლია და ესმის, ალექსანდერპლაცის თავზე გადაშლილ ცას ხოტბას შეასხამს: „როდის აქეთ არის, რომ ბებიაშენი ტრომბონზე უკრავს და ჩემი თუთიყუში მოხარშულ კვერცხს არ ჭამს“.

და სად არის ახლა ტეგელის ციხის წითელი კედელი, რომელიც მას ოდესღაც შიშის ზარს სცემდა! ციხიდან გამოსვლისთანავე იმ კედელს ისე მიეწება, რომ ზურგის აგლეჯა ვერ მოახერხა. ის შავი რკინის კარი, რომელიც ფრანცში საშინელ ზიზღს იწვევდა, ანჯამებზე ისევ ჰკიდია და მის წინ დაცვაც ისევ დგას. არც კარსა და არც დაცვას ახლა არავინ უყურებს, საღამოობით კი კარს ისე კეტავენ, როგორც ნამდვილ და წესიერ სახლებშია მიღებული. ამიტომაც არსებობს კარი! ახლა დილაა, მცველი კართან დგას და ჩიბუხს აბოლებს. მზე ანათებს, ის მზე, რომელიც ზუსტად იცი, რომელ საათზე ცის თაღის რომელ წერტილში იქნება. მზე საერთოდ გამოჩნდება თუ არა, ღრუბლიანობაზეა დამოკიდებული. **№41**-დან რამდენიმე კაცი ჩამოვიდა ყვავილებითა და პაკეტებით, ეტყობა, საავადმყოფოში მიდიან. აქვეა, გზატკეცილის

პირდაპირ და მარცხნივ: ალბათ, შესცივდათ, ყინავს! ხეები შავ მწკრივად დგანან. იქ, ციხეში კი, ისევ ისე, როგორც ადრე, პატიმრები საკნებში სხედან, სახელოსნოებში მუშაობენ, ეზოში ბატებივით დაწალიკებით დადიან. მკაცრი ბრძანებაა: პატიმარი სასეირნოდ აუცილებლად თბილი ფეხსაცმლით, ქუდითა და ყელზე კაშნეთი უნდა გავიდეს. მერე ციხის უფროსი საკნებს ჩამოივლის და იკითხავს:

„წუხანდელი წვნიანით კმაყოფილი ხართ?“ პასუხი: „სჯობდა, უფრო გემრიელი და ბევრი ყოფილიყო“. უფროსი კი ისეთ სახეს იღებს, თითქოს არ ესმის. „საწოლის თეთრეულს რამდენ ხანში გიცვლიან?“ - „ეგ ჩვენზე უკეთესად იცით, რას გვეკითხებით?“

ცალკე საკანში ვინმე ტუსაღი წერდა: „შემოუშვით მზე, დღეს ეს მოწოდება მთელ მსოფლიოში ქუხს. და მხოლოდ აქ, ციხის კედლებში ვერ პოვა მან გამოძახილი, ნუთუ აღარ ვართ ღირსი მზე ანათებდეს ჩვენთვის?“

ციხის შენობები ისეა დაგეგმილი, რომ ზოგიერთი საკანი ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს არის და მზე არ ადგება. ამ საკნებში მზის ერთი სხივიც კი ვერ აღწევს, სხივი, რომელიც მათ ბინადრებს გარე სამყაროსგან სალამს გადასცემდა. ეს ადამიანები წლიდან წლამდე მუშაობენ და სევდა ღრღნით მაცოცხლებელი მზის სხივის გარეშე. ციხეში კომისიას ელოდებიან, შენობა უნდა დაათვალიერონ, ზედამხედველები საკნიდან საკანში დასუნსულებენ.

სხვა პატიმარი წერს: „საოლქო სასამართლოსთან არსებულ პროკურატურას! საოლქო სასამართლოში ჩემი საქმის მოსმენის დროს სასამართლოს თავმჯდომარემ დოქტორმა **X**-მა მაუწყა, რომ ჩემი დაპატიმრების შემდეგ ელიზაბეტშტრასეს **76**-ში მდებარე ჩემს ბინაში ვინმე უცნობი მივიდა, ჩემი ნივთები მოითხოვა და წაიღო. ეს ფაქტი ოქმში არის შეტანილი და პოლიციისა და პროკურატურის აზრით ეს დამატებით გამოსაძიებელია. დაპატიმრების შემდეგ ჩემთვის ნივთების წაღების ამბავი არ უცნობებიათ და როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ეს ფაქტი მხოლოდ ჩემი საქმის მოსმენის დღეს შევიტყვე. გთხოვთ, ბატონო პროკურორო, საქმის კურსში ჩამაყენოთ და გადმომცეთ საქმეში არსებული იმ პროტოკოლის ასლი, სადაც ლაპარაკია ზარალის ანაზღაურებაზე იმ ძარცვის გამო, რომელიც ჩემი ბინის დიასახლისის უყურადღებობის გამო მოხდა“.

მინა კი, იდას და, კარგად არის. დიდი მადლობა მოკითხვისთვის, ძალიან თავაზიანი ბრძანდებით! ახლა თორმეტის ოცი წუთია და სწორედ ახლა ის აკერშტრასეზე მდებარე ბაზრიდან ბრუნდება. ეს დახურული ბაზარია. ბაზრის დიდი ყვითელი შენობა მაგისტრატმა ააშენა და გამოსასვლელი ინვალიდენშტრასეზე აქვს. მაგრამ მინა ამ გამოსასვლელით არ სარგებლობს, ყოველთვის აკერშტრასეზე გამოდის, აქედან მის სახლამდე ორი ნაბიჯია. ბაზარში ღორის თავი, ყვავილოვანი კომბოსტო და ერთი კონა ნიახური იყიდა, ბაზარში შესვლამდე კი დიდი, მსუქანი კამბალა და ერთი პაკეტი გვირილაც. ოჯახში გვირილა ყოველთვის საჭიროა.

წიგნი მესამე

ამ წიგნში ფრანც ბიბერკოპფი, კაცი პატიოსანი, რომელსაც მხოლოდ კეთილი ზრახვები აქვს, პირველ დიდ დარტყმას იღებს. იგი მოატყუეს, რამაც თავზარი დასცა.

ბიბერკოპფმა დაიფიცა, რომ პატიოსნად იცხოვრებდა, და თქვენც ნახეთ, რომ დადებული ფიცი კვირების განმავლობაში არ გაუტეხია. მაგრამ ეს მხოლოდ ერთგვარი გადავადება იყო, ასე ვთქვათ, დროის საკითხი. ნათქვამია, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. სწორედ ასე გამოვიდა: ცხოვრებამ, რომელსაც მისი ეგზომ ხანგრძლივი პატიოსნება მეტისმეტად მოეჩვენა, ბიბერკოპფს ეშმაკურად კვანტი გამოსდო. ფრანცი კი ფიქრობს: განა ეს საქმეა? ოჰ, როგორ მოჰბეზრდა ეს ძაღლური და ვერაგი ყოფა.

ვერ გაუგია, ეს ცხოვრება ასე სასტიკად რატომ ექცევა. და ვიდრე ამას გაიგებდეს, კიდევ გრძელი გზა უნდა გაიაროს.

გუშინ ცხენზე ჯერ კიდევ ამაყად იჯდა

შობა კარს არის მომდგარი. ფრანცმა ამპლუა შეიცვალა: გაზეთებით ვაჭრობა მოჰბეზრდა და ახლა შემთხვევით საქონელს ყიდის, სახლში მიტანით. ბოლო დღეებში ფეხსაცმლის ზონრებზე გადაერთო. დღეში რამდენიმე საათი ვაჭრობს - დილით ან ნასადილევს. ჯერ მარტო ვაჭრობდა, მერე კომპანიონი გაიჩინა - ოტო ლიუდერსი. იგი უკვე ორი წელიწადია უმუშევარია, მისი ცოლიც კი კარდაკარ დადის და მსურველებს სარეცხს ურეცხავს. ლიუდერსი ფრანცს მსუქანა ლინამ გააცნო. ის ქალის ბიძაა. მხოლოდ ამ გაზაფხულზე გაუმართლა ლიუდერსს. ორიოდე კვირა „როდერდორფის პიტნის კვერებს“ რეკლამას უწევდა: ლივრეა ეცვა, ყელზე პლაკატი ჰქონდა ჩამოკონწიალებული, თავზე სულთნის ქუდი ეხურა და ქალაქის ქუჩებში ასე გამოწყობილი დადიოდა. ახლა კი ისინი, ორივენი, ძაღლებივით ენაგადმოგდებული დაძრწიან, ყველა სახლში შედიან, ყველა ბინის კარზე ზარს რეკავენ, საღამოს კი ერთმანეთს ხვდებიან.

ერთ დღეს ფრანცი ლუდხანაში შედის. მაშინვე, თითქოს იატაკიდან ამოძვრაო, ლინაც

იქ ჩნდება. ფრანცი შესანიშნავ გუნებაზეა, ქალის მოტანილ ბუტერბროდებს ერთბაშად გადასანსლავს და სავსე პირით კიდევ სამ ლაბას ბარდით უკვეთს: თავისთვის, ლინასა და ლიუდერსისთვის.

იცინის, სქელოს ისე მოურიდებლად, ყველას დასანახად ჩქმეტს, რომ ქალმა დაიმორცხვა კიდეც, გაწითლდა, ლაბას სასწრაფოდ მოუთავა ხელი და იქიდან მოუსვა.

- რა კარგია, სქელო რომ წავიდა, არა?

- ჰო, მაგას თავისი ნავსაყუდელი აქვს, თორემ ეგ რომ არა, წამითაც არ მოგშორდებოდა. ფრანცი მაგიდაზე ლამის გაწვა და ლიუდერსს ქვემოდან ზემოთ რაღაც უცნაურად შეაცქერდა:

- აბა, გამოიცანი, ოტო, დღეს რა მოხდა?

- რა უნდა მომხდარიყო?

- გამოიცანი, თუ ბიჭი ხარ!

- კარგი, გეყოფა, მითხარი!

- ორი ლუდი, ერთი ლიმონი!

ლუდხანაში ქოშინით ვიღაც კაცი შემოვარდება, ხელის ზურგით ცხვირს იწმენდს, ახველებს:

- ერთი ფინჯანი ყავა.

- შაქრით? - დიასახლისი ჭიქებს რეცხავს.

- არა, ოღონდ ცოცხლად.

ახალგაზრდა კაცი თავზე ყავისფერი სპორტული ქუდით მაგიდებს შორის გზას იკვლევს, თვალებით ვიღაცას ეძებს, ღუმელთან ჩერდება, ხელებს ითბობს - მერე ისევ განაგრძობს გზას, ფრანცსა და ლიუდერსს უყურებს, მეზობელ მაგიდასთან მიდის და ეკითხება:

- მითხარით, აქ ხომ არ დაგინახავთ კაცი შავ, ყავისფერ ბეწვისსაყელოიან პალტოში?

- რა, აქ ხშირად შემოდის ხოლმე?

- ჰო.

მაგიდასთან ორი კაცი ზის. უფრო ასაკოვანი თავის ფერმკრთალ მეზობელს ეკითხება:

- ყავისფერი ბეწვის საყელოთი?

- აქ ასეთი საყელოიანი ბევრი ვინმე დადის, - ბუზღუნით პასუხობს ფერმკრთალი, -

თქვენ კი საიდან მოხვედით, ვინ გამოგგზავნათ?

- განა თქვენთვის სულერთი არ არის? თუ არ გინახავთ, მითხარით და წავალ.

- აქ ყავისფერი ბეწვისსაყელოიანი ბევრი შემოდის, ხომ უნდა ვიცოდე, ვინ გამოგგზავნათ?

- საჭირო არ არის, ჩემს საქმეებზე

გელაპარაკოთ. აქ უკვე ფერმკრთალი

გაბრაზდა:

- თუკი თქვენ ამას ვიღაც კაცზე ეკითხებით, ამასაც ხომ აქვს უფლება, გკითხოთ, ვინ ხართ და აქ

ვინ გამოგგზავნათ?

უცხო კაცი უკვე სხვა მაგიდასთან დგას.

- კი, ვეკითხები, მაგრამ ამისთვის მაგათ მთელ ჩემს ბიოგრაფიას ხომ არ მოვუყვები, - ცხარობს ახალგაზრდა.

- მაპატიეთ, მაგრამ თუ თქვენ ამ კაცს ეკითხებით, ხომ შეიძლება იმანაც რაღაც გკითხოთ? ან იქნებ საკითხავი არაფერი გაქვთ?

- კი მაგრამ, ჩემს საქმიანობაზე ამ უცნობ ადამიანებს რატომ უნდა ველაპარაკო?

- თუ ეგრეა, ჩვენც არ გეტყვით, აქ ვინ იყო და ვინ არა.

ახალგაზრდა კაცი კარისკენ წავიდა, მერე მოტრიალდა და

თქვა:

- გგონიათ მახე დამიგეთ? ფრთხილად, თქვენს დაგებულ მახეში თავადვე არ

გაებათ. მიტრიალდა, კარი ლამის გაგლიჯა და გაუჩინარდა.

ორნი მაგიდასთან:

- შენ რა, იმ ახალგაზრდას იცნობ? მე პირველად ვნახე.

- აქ არასოდეს ყოფილა. ეშმაკმა იცის, რა უნდოდა.

- ეტყობა, ბავარიელი იყო.

- ეგ ახალგაზრდა? არა, რაინელი იყო, ლაპარაკზე ეტყობოდა.

ფრანცი კი გაყინულ, საცოდავ ლიუდერსს მრავალმნიშვნელოვნად უღიმის.

- ვერ მიხვდი, არა? ვერც მიხვდები! აბა, მკითხე, ფული მაქვს თუ არა?

- და რა, გაქვს?

ფრანცს მუჭად შეკრული ხელი უკვე მაგიდაზე უდევს, ნელ-ნელა ხსნის და ამაყად იკრიჭება. ლიუდერსი, საცოდავი კაცუნა, წინ გადაიხარა, გამოხრულ კბილს წოვს:
- ორი ათიანი, ეშმაკმა დალახვროს!

ფრანცმა ფული მაგიდაზე დაყარა:

- მაგარია, არა? თანაც ეს სულ რაღაც თხუთმეტ-ოც წუთში ვიშოვეთ! არა გჯერა?

- რას ამბობ, ადამიანო?!

- დაწყნარდი! ახლა შენ რომ ფიქრობ, მსგავსი არაფერი ჩამიდენია. ეს პატიოსნად ნაშოვნი ფულია. ასე რომ, ოტო, ეჭვი არაფერში შეგეპაროს.

ჩურჩულზე გადავიდნენ. ლიუდერსმა სკამი ფრანცისკენ გააჩოჩა.

და ფრანცი უამბობს, რომ ერთ ბინას მიადგა, ზარი დარეკა, კარი ქალმა გაუღო. „ფეხსაცმლის ზონრები არ გნებავთ? უმაღლესი ხარისხის, თქვენთვის, ქმრისთვის, შვილებისთვის?“ - შევეკითხე. ქალმა ზონრები შეათვალიერა, მერე მე შემათვალიერა და შინ შემიპატიჟა. ვილაპარაკეთ აქეთურ-იქითურზე. ქალი ქვრივი გამოდგა, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ მომხიბვლელი არსებაა. ვუთხარი, ყავით ხომ არ გამიმასპინძლდებით, გარეთ ძალიან ცივა და სულ გავიყინე-მეთქი. ჰოდა, ყავა დავლიეთ, მერე კი რაღაც-რაღაცებიც მოხდა“.

ფრანცმა ჩაიხითხითა, ლოყაზე ხელი ჩამოისვა და ოტოს მუხლი გაჰკრა.

- ჩემი ხარახურა იმ ქალთან დავტოვე. როგორ გგონია, რამე შეამჩნია?

- ვინ იმან?

- ვინ და, სქელომ. აბა, სხვა ვინ? ხელში ხომ საქონელი არ მეჭირა?

- თუნდაც შეემჩნია. ეტყოდი, ყველაფერი გავყიდეო და მორჩა. კი მაგრამ, ეს სად მოხდა?

და ფრანცი ფქვავს: „იმ ქალს კიდევ ვეწვევი, ოღონდ ცოტა მოგვიანებით. აქვე, ელზასერშტრასეზე ცხოვრობს ეგ ქვრივი. ძმაო, ოცი მარკა ქუჩაში არ გდია“.

ლუდხანაში სამ საათამდე სვამდნენ. ოტომ საჩუქრად ხუთი მარკა მიიღო, მაგრამ ფულმა ნაღველი ვერ გაუქარვა.

მეორე დღე, 12 საათი, როზენტალერშტრასე: ეს ვინ მიიპარება კედელ-კედელ მკერდს მიდებული ზონრების პაკეტით? რა თქმა უნდა, ოტო ლიუდერსი. კუთხეში, ფაიბიშის მაღაზიასთან ჩერდება, ელოდება, ფრანცი ბრუნენშტრასეზე როდის გაუხვევს. გაუხვია, კაცი ადგილიდან მოწყდება, გზის მეორე მხარეს გადარბის და ელზასერშტრასესკენ გარბის. ერთ სახლთან ჩერდება. ის სახლია, ნომერი ემთხვევა. იქნებ ფრანცი ახლა ზემოთ არის? ქუჩაში კი ადამიანები აუჩქარებლად მიდი- მოდიან. ჯობს, სადარბაზოში ცოტა ხანს დავიცადო. თუ ახლა ფრანცი შემოვა, ვეტყვი, რომ... მაინც რას ვეტყვი? ოი, გული როგორ მიცემს. ყოველდღე მხოლოდ უსიამოვნება, აი, ექიმმა გამსინჯა, მართალია, ვერაფერი აღმომიჩინა, მაგრამ ნამდვილად ვგრძნობ, რომ რაღაცა მჭირს... ცოტაც და, გავიყინები. აბა, რა, მათხოვარივით ძონძებში დავდივარ, ომისდროინდელი დაკონკილი ფარაჯა მაცვია. ახლა კი დროა, ზემოთ ავიდე.

ლიუდერსმა დარეკა, კარი ოდნავ გაიღო.

- მადამ, ფეხსაცმლის ზონრები ხომ არ გნებავთ? არა, არა, მინდოდა მხოლოდ მეკითხა, მითხარით, თუ შეიძლება, მომისმინეთ.

ქალს კარის დახურვა უნდოდა, მაგრამ ლიუდერსმა ღრიჭოში ფეხის შეყოფა მოასწრო.

- საქმე ის არის, რომ აქ მეგობრის თხოვნით მოვედი. თქვენ იმას იცნობთ. წუხელ აქ იყო და თქვენთან თავისი საქონელი დატოვა.

- ო, ღმერთო!

ქალმა კარი გააღო. ლიუდერსი შევიდა და სასწრაფოდ გასაღები გადაატრიალა.

- რა ხდება? ღმერთო ჩემო!

- არაფერი, მადამ, ასე რატომ კანკალებთ?

ლიუდერსი თავადაც კანკალებს, არ ელოდა, რომ ყველაფერი ასე სწრაფად მოხდებოდა. ახლა კი ბოლომდე უნდა მიაწვეს, მოხდეს, რაც მოსახდენია, არა უშავს, ყველაფერი გამოვა. მეტი თავაზიანობა უნდა გამოიჩინოს, ალერსიანად დაელაპარაკოს, მაგრამ ხმა არ ემორჩილება, ყელი გადაეკეტა, თითქოს პირიდან ცხვირამდე და ღაწვებიდან შუბლამდე მავთულის ბადე ჰქონდეს გადაჭიმული. ღაწვები უდუნდება. „ნეტავ პირის გაღება შევძლო, თორემ წასულია ჩემი საქმე“.

- მე მხოლოდ საქონლის წაღება მთხოვეს.

ქალი პაკეტის გამოსატანად ოთახში გარბის, ლიუდერსი ფეხდაფეხ მიჰყვება. და აი, უკვე კარის ზღურბლზე დგას. ქალი კაცს უყურებს, ენის ბორძიკით ლაპარაკობს:

- აი, თქვენი პაკეტი. ღმერთო, ღმერთო...

- დიდი მადლობა, უღრმესი მადლობა. მადამ, ასე რატომ კანკალებთ? აქ ისე ბნელა, იქნებ ყავითაც გამიმასპინძლდეთ?

„ოღონდ არ დავიბნე, გაუჩერებლად ვილაპარაკო და აქედან ფეხი არ მოვიცვალო! ვიდგე მტკიცედ, ვითარცა მუხა“.

ქალი გამხდარია, ფერმკრთალი, ნატიფი, დგას კაცის წინ მუშტად შეკრული ხელებით:

- იმან კიდევ რამე გითხრათ? რა გითხრათ?

- ვინ? ჩემმა მეგობარმა?

კაცი ლაპარაკობს და ლაპარაკობს, ენას არ აჩერებს სიმამაცის შესანარჩუნებლად. აი, ის წყეული ბადეც პირიდან თითქოს ვიღაცამ ჩამოხსნა. ახლა ექავება, მაგრამ მხოლოდ ენის წვერი:

- არა, სხვა არაფერი უთქვამს, ან კი რა უნდა ეთქვა, ჰო, ყავაზე რაღაც ილაპარაკა. საქონელი უკვე მივიღე, კიდევ რა მინდა?

- წავალ, სამზარეულოში შევიხედავ, - ამბობს ქალი.

„ეშინია! ჩემი ეშინია, მაგრამ ყავას რა თავში ვიხლი, ყავას თავადაც მოვიხარშავ, თანაც უფრო კარგად. სასაუზმეებში კი მზა ყავა მოაქვთ. უბრალოდ უნდა, ხელიდან დამიძვრეს. არა, ასე ადვილად ვერ მომიშორებ. ისე კარგად გამოვიდა, მაშინვე შემომიშვა!“ - და მაინც, ეშინია ლიუდერსს, კართან მიდის, აყურადებს, კიბეზე ვინმე ხომ არ ამოდისო, მერე ისევ ოთახში ბრუნდება. უძინარია, ბავშვი მთელი ღამე ახველებდა. „მოდი, ჩამოვჯდები“, - და წითელი ხავერდის დივანზე დაჯდა.

იქნებ ფრანცმა ეს ქალი ამ დივანზე გაჟიმა. ასე, ასე! ახლა კი ქალი ყავას მე მიხარშავს. შლაპასაც მოვიხდი, თითები გამეთოშა, ყინულივით ცივი მაქვს!

- აი, თქვენი ყავა, მიირთვით!

„ამ ლამაზ, პატარა არსებას ჩემი ეშინია. არადა, რა მიმზიდველია, ცდა ბედის მონახევრეაო, ნათქვამია, ჰოდა, მეც ვცდი, იქნებ რამე გამომივიდეს“.

- თქვენ ყავას ჩემთან ერთად არ მიირთმევთ? კომპანიონობას არ გამიწევთ?

- არა, არა, სადაც არის, მდგმური მოვა, იგი ამ ოთახს ქირაობს.

ეშმაკობს, აქედან ჩემი გაგდება უნდა, ამ ოთახში მდგმურები რომ ცხოვრობდნენ, მაშინ აქ საწოლი იდგმებოდა.

- ეგ არაფერი, მდგმური სადილამდე არ მოვა, ეგეც ხომ მსახურობს. ჩემს მეგობარს კი სხვა არაფერი უთქვამს, მხოლოდ საქონლის წამოღება მიბრძანა, - მხრებში მოხრილი ლიუდერსი ყავას სიამოვნებით ხვრეპს, - კარგია ცხელი ყავა, დღეს ცივა. რა, ჩემს მეგობარს კიდევ რამე უნდა ეთქვა? მართალია, რომ ქვრივი ხართ?

- დიახ.

- თქვენი ქმარი რითი გარდაიცვალა, თუ ომში დაიღუპა?

- მაპატიეთ, მაგრამ საქმე მაქვს, სადილი უნდა მოვამზადო.

- ერთი ფინჯანი კიდევ დამალევინეთ. სად გეჩქარებათ? ახალგაზრდობა წავა და აღარ დაბრუნდება! შვილები გყავთ?

- აქედან წადით, გთხოვთ, თქვენი საქონელი უკვე მიიღეთ, მე კი ბევრი საქმე მაქვს.

- არა, არა, რატომ ასე უხეშად? იქნებ ახლა პოლიციასაც გამოუძახოთ, მაგრამ ჩემ გამო ნუ შეწუხდებით, არ ღირს. ისედაც წავალ. აი, ყავას დავლევ და წავალ. კი მაგრამ, ასეთი რა გადაუდებელი საქმე გაქვთ? ორიოდე დღის წინ კი დრო უხვად გქონდათ, ხვდებით, ალბათ, როდის. თუმცაღა, არ გინდათ და ნუ გინდათ, კარგად ბრძანდებოდეთ.

შლაპა დაიხურა, ადგა, ზონრების შეკვრა იღლიაში ამოიჩარა, კარისკენ ნელი ნაბიჯით წავიდა, მაგრამ უცებ შემოტრიალდა:

- აბა, ჩქარა ფული მომეცი!

მარცხენა ხელი წინ გაიშვირა და ქალი თითით მოიხმო. შეშინებულმა ქალმა ხელი პირზე აიფარა, პატარა ლიუდერსი მიუახლოვდა, ლამის ტანზე აეკრა:

- ციც, ყვირილი არ გაბედო,ეტყობა, ფულს მხოლოდ იმათ აძლევ, ვინც თვალშიმოგივა. ყველაფერი ვიცი! მეგობრებს შორის საიდუმლო არ არსებობს!

რა ღორობაა, წყეული ძუკნა, თანაც შავები აცვია, სიამოვნებით გავასილაქებდი, ჩემს დედაბერს არაფრით ჯობს.

ქალს სახე წითლად აელეწა, ლოყებზე კი თეთრი ლაქები გაუჩნდა. ხელში პორტმანე უჭირავს, შიგ თითებს აფათურებს და ფართოდ გახელილი თვალებით ლიუდერსს შესცქერის, მარჯვენა ხელით ხურდა ფულს უწვდის. ქალს სახის არაბუნებრივი გამომეტყველება აქვს. ლიუდერსი კი დგას და მსხვერპლს ისევ თითით თავისკენ იხმობს. ქალი ახლა მთელ ფულს, რაც კი პორტმანეშია, კაცს ხელისგულზე უყრის. ლიუდერსი ისევ ოთახში შერბის, მაგიდას წითელ, ნაქარგებიან სუფრას გადააძრობს

და უბეში იტენის. ქალი კვნესის, ხმის ამოღების არც თავი აქვს და არც ღონე, დგას კართან გაშეშებული. ლიუდერსი დივნიდან კიდევ ორ ბალიშს იღებს, მერე სამზარეულოში შერბის, მაგიდის უჯრებში იქექება. შიგ ხეირიანს ვერაფერს პოულობს, მხოლოდ ალუმინის კოვზები და ჩანგლებია. ფიქრობს: „აქედან უნდა დავითესო, თორემ ახლა ყვირილს ატეხს. უნდა მოვუსვა და რაც შეიძლება სწრაფად!“

დერეფანი გაიარა, კარი ფრთხილად გაიხურა, კიბეზე ბურთივითხტუნაობითდაეშვა

და მეზობელი სახლის სადარბაზოში შევარდა.

დღეს კი გულში დაჭრეს

საუცხოო და დიდებული რამ გახლდათ სამოთხე. წყალი თევზით იყო სავსე. მიწიდან ამოსული ხეები მზისკენ მიილტვოდნენ, ცხოველები მიწისა, ზღვისა და ფრინველები თამაშობდნენ. ჩუ, ერთ ხეზე რაღაცამ გაიშრიალა. გველი, გველი, ფოთლებიდან გველმა გამოყო თავი. გველი სამოთხეში ცხოვრობდა და ყველა მინდვრის ცხოველზე მაცდური იყო, გველი ალაპარაკდა, ადამ და ევას დაელაპარაკა.

ერთი კვირის შემდეგ: ფრანცი ტკაცუნა ქაღალდში გახვეული თაიგულით ნაცნობ კიბეზე აუჩქარებლად ადის. ფიქრი თავისი სქელოსკენ გაურბის, შერცხვება, მაგრამ ძალიან არა, ისე, ოდნავ. ჩერდება, არა, ჩემი ლინა მართლაც კარგი გოგოა, ერთგული, ნამდვილი ოქრო. თუმცა მის წინაშე კუდის ქიცინი საჭირო არ არის, ეს ხომ საქმეს სჭირდება, საქმე კი საქმეა: დარეკა, დგას, იღიმება. ცხელი ყავისა და ლამაზი თოჯინას გახსენებაზე ნერწყვი მოადგება. ნაბიჯები, ეს ის არის. ფრანცი გაიჭიმება, თაიგულს ასწორებს, აი, ჯაჭვმა გაიჩხრიალა, კარი ოდნავ გაიღო. გული ბუდიდან ლამის ამოუვარდეს. ჰალსტუხი კიდევ ერთხელ გაისწორა, ნაცნობმა ხმამ იკითხა:

- ვინ არის?

ფრანცმა კი ოდნავ ხუმრობით:

- ფო-სტა-ლი-ონი!

კარში ვიწრო, შავი ღრიჭო, გაიბრწყინეს თვალებმა - ქალის თვალებმა. სახე ფრანცსაც უბრწყინავს, გალანტურად იხრება, თაიგულს არხევს. ღმერთმა დასწყევლოს: ბაახ! კარი მიჯახუნდა, ტრრრრ - ჯაჭვმა გაირახრახა. კარი ჩაიკეტა! აი, უნამუსო... ამ ქალს რა მოუვიდა, ხომ არ გაგიჟდა? იქნებ ვერ მიცნო? იქნებ კარი შემეშალა? არა, ნამდვილად, არა. თითქოს ყველაფერი წესრიგშია; იგივე ყავისფერი კარი, იგივე კარის ლირსი, მეც გამოწკეპილი ვარ, ჰალსტუხიც კი მიკეთია. პირდაპირ დაუჯერებელია. იქნებ კიდევ ერთხელ დავრეკო, თუ არ ღირს? ხელებს დასცქერის, თაიგულს, რომელიც სულ ახლახან აქვე, კუთხეში იყიდა, ერთ მარკად, აბრეშუმის ქაღალდიანად. რეკავს ერთხელ, მეორეჯერ, გაბმულად. დიასახლისი ახლა ნამდვილად ისევ კართან დგას! მოდი და ელაპარაკე ახლა, ჩაიკეტა და ხმას არ იღებს! მე კი აქ გარეთ სულელივით ვდგავარ. არადა, იქ ხომ ზონრები დავტოვე, სამ მარკად ღირებული პაკეტი, ხომ უნდა წავიღო.

ისევ ნაბიჯების ხმა, ხმა თანდათან შორდება, და ბოლოს მიჩუმდა. ეტყობა, ქალი სამზარეულოში შევიდა. ეშმაკმა იცის, რა ხდება!

ფრანცი კიბეზე დაეშვა, ისევ უკან მიბრუნდა, კიბეზე ავიდა. კიდევ ერთხელ უნდა დავრეკო, ალბათ, კარგად ვერ დამინახა, სხვა ვეგონე. მაგალითად, მათხოვარი, ახლა მათხოვრები ისე არიან მომრავლებული. მაგრამ ზარს არ რეკავს, უბრალოდ კართან დგას. სურვილი დაეკარგა. უბრალოდ, დგას და იცდის. ასე, კარს არ მიღებს, მხოლოდ იმის გაგება მინდა, რატომ? აქ, ამ სახლში, აღარ ვივაჭრებთ, ასეა, მაგრამ თაიგულს რა ვუყო, მე ხომ ამ ყვავილებში ერთი მარკა გადავიხადე. გადაგდება მომიწევს. და უცებ, თითქოს ვიღაცამ უბრძანაო, ხელი ასწია და ზარს მიაჭირა, იცდის მოთმინებით, მშვიდად. არა, არ ვცდები, კართან არც მოდის, იცის, რომ მე ვარ. კეთილი, მაშინ მეზობელთან პატარა წერილს დავუტოვებ, ჩემი ზონრები როგორმე უკან ხომ უნდა დავიბრუნო.

ფრანცი მეზობელი ბინის კარზე რეკავს, არ აღებენ, ეტყობა, შინ არავინ არის. კეთილი, წერილს მაინც დავწერთ. კიბის უჯრედის ფანჯარასთან მიდის, ჯიბიდან ფანქრის ნაგლეჯს ამოიღებს, გაზეთს თეთრ კიდეს ჩამოახევს და წერს: „კარის გაღება თუ არ გნებავთ, ჩემი საქონელი მაინც დამიბრუნეთ. ელზასერშტრასეს კუთხეში მდებარე ლუდხანაში კლაუსენს დაუტოვეთ“.

შე უნამუსო ქალო, რომ იცოდე, რა ადამიანი ვარ და ერთ შენისთანას რა დღე ვაყარე, თავს ეგრე არ დაიფასებდი. კარგი, შენი ჯერიც დადგება. ღირსი ხარ, ახლა ნაჯახი ავიღო და კარი ჩამოგიღო! წერილი ფრთხილად კარის ქვეშ შეაცურა.

ფრანცი მთელი დღე გაოგნებული და დაღვრემილი დადიოდა. მეორე დღეს, სანამ ლიუდერსს შეხვდებოდა, ლუდხანის მეპატრონემ ფრანცს წერილი გადასცა. წერილი ქალისგან იყო:

- სხვა არაფერი დაუტოვებია?

- არა, რამე უნდა დაეტოვებინა?

- არა, ეს წერილი გუშინ საღამოს ვიღაც ბიჭმა მოიტანა.

- აი, თურმე რა, შეიძლება პაკეტის წამოსაღებად მე თავად მომიხდეს წასვლა.

ორი წუთის შემდეგ კი ბარის გვერდით ფანჯარასთან მივიდა, ტაბურეტზე მძიმედ დაეშვა, მარცხენა ხელი, რომელშიც წერილი ეკავა, უღონოდ ჩამოუვარდა, ტუჩები მაგრად მოკუმა და უაზრო მზერა მაგიდის ზედაპირს მიარჭო. ჩია, საცოდავი ლიუდერსი ლუდხანის კარში სწორედ ამ დროს გამოჩნდა, დაინახა, ფრანცი როგორ იჯდა, მაშინვე იაზრა, რომ საქმე ცუდად იყო და მოკურცხლა.

ბარის მეპატრონე მაგიდასთან მივიდა:

- ეგ ლიუდერსი რატომ გაიქცა, ჯერ ხომ საქონელი არ აუღია.

ფრანცი კი ზის და ზის. ამ დედამიწის ზურგზე რაღა არ ხდება, ფეხები თითქოს წამერთვა. ვერ ვდგები, ლიუდერსს კი სირბილი შეუძლია. ფეხები აქვს, გასაქცევად აქვს საქმე და ისიც გარბის. არა, მაინც რა ნაგავია! სანთლით რომ ეძებო, მეორე მსგავსს ვერ იპოვი.

- ბიბერკოპფ, კონიაკს ხომ არ დალევთ? ვინმე გარდაგეცვალათ თუ რა ხდება?

ეს კაცი რას მეუბნება? მისი ერთი სიტყვაც არ მესმის, ყურები ბამბით მაქვს გამოტენილი. მეპატრონე კი არ მიდის, ლაპარაკობს.

- ლიუდერსი ასე კისრისტეხით რატომ გაიქცა? თითქოს ვინმე მოსაკლავად მისდევდა. რამე ხომ არ შეემთხვა?

- ლიუდერსი? ეტყობა, საქმე ჰქონდა. ჰო, ასეა. თუ შეიძლება, კონიაკი მომიტანეთ.

ფრანცი კონიაკს სულმოუთქმელად გადაკრავს. ეს რა უბედურებაა, ფიქრი სადღაც გაურბის. ეს ქალი რას მწერს, კარგად ვერ გავიგე.

- კონვერტი დაგივარდათ. იქნებ დილის გაზეთი მოგიტანოთ?

- არა, დიდი მადლობა.

თავად კი თავს იმტვრევს: ვერ გამიგია, რა ხდება. ეს ქალი ასეთ რაღაცებს რატომ მწერს? ლიუდერსი ხომ გონებადამჯდარი, წინდახედული კაცია, შვილები ჰყავს. ფრანცი იმის გაგებას ცდილობს, ეს ყველაფერი როგორ შეიძლებოდა, მომხდარიყო. მაგრამ ვერ ახერხებს, თანაც თავი ისე დაუმძიმდა, რომ მძინარესავით მკერდზე ჩამოუვარდა. მეპატრონე ფიქრობს, ალბათ, ძალიან გადაიღალაო. ფრანცს კი ეჩვენება, რომ ნაცრისფერ უფსკრულში ეშვება, უფსკრულის კიდეზე მიცურავს, მხოლოდ მარცხნივ მიტრიალებას ახერხებს და ფსკერზე ქვასავით ეცემა.

ფრანცი მკერდით მაგიდას დაემხო, თავზე ხელები შემოიწყო და თითებს შორის

მაგიდის ზედაპირს დაჰყურებს, ხეს ასუნთქავს:

- ჩემი სქელო ლინა აქ ხომ არ არის?

- არა, ის ხომ თორმეტ საათზე მოდის ხოლმე.

ჰო, მართალს ამბობს. ჯერ ხომ ცხრა საათია, მე კი ჯერ არაფერი გამიკეთებია, ლიუდერსიც სადღაც წავიდა.

ახლა რა უნდა ვქნა? და უცებ ხვდება, ტუჩზე მწარედ იკბენს: ეს ხომ სასჯელია, მე გამომიშვეს, სხვები კი ციხის უკან აღმართულ ნაგავსაყრელის მაღალი მთის გვერდით კარტოფილს ისევ თხრიან, მე კი ტრამვაებით დავდივარ, ღმერთმა დასწყევლოს! იქ თავს შესანიშნავად ვგრძნობდი. ადგა. ქუჩაში უნდა გავიდე, ეს ყველაფერი უნდა ჩამოვიფერთხო, ოღონდ ის ულმობელი შიში ისევ არ დამეუფლებოდეს, მაშინ ყველაფერი გაივლის. ფეხზე მყარად ვდგავარ, ვერავინ მომერევა, ვერავინ.

- როცა სქელო მოვა, უთხარით, რომ წერილი მივიღე, რომლითაც ბიძის თუ ვიღაცის გარდაცვალება შემატყობინეს. სადილად აქ არ მოვალ და ნუ დამელოდება. რამდენი უნდა გადავიხადო?

- როგორც ყოველთვის, ერთ ჭიქაში.

- კარგი, კარგი.

- პაკეტს აქ დატოვებთ?

- რა პაკეტს?

- რა მოგივიდათ, ბიბერკოპფ? ამისთვის თავის მოკვლა არ ღირს, ცხვირს ნუჩამოუშვებთ, წელში გასწორდით. პაკეტს კი მე შეგინახავთ.

- მაინც რა პაკეტზე ლაპარაკობთ?

- კარგი, კარგი, წადით... სუფთა ჰაერზე გადით.

ფრანცი გარეთ გადის. მეპატრონე ფანჯრიდან უყურებს და ფიქრობს:

- ღმერთმა არ ქნას, ეგ ახლა უკან შემოიტანონ, ცუდად არის მაგის საქმე. არადა, ხარივით ჯანმრთელი კაცია. აი, სქელოს კი გაოცებისგან ნამდვილად თვალები გაუფართოვდება.

სახლის წინ ერთი დაბალი, ფერმკრთალი კაცი დგას, მარჯვენა მკლავზე სახვევი ადევს, ხელის მტევანზე კი შავი ტყავის ხელთათმანი აქვს წამოცმული. აქ, მზისგულზე უკვე ერთი საათია დგას და თავის ბინაში ასვლას ვერ ბედავს. კაცი საავადმყოფოდან დაბრუნდა. მას ორი ქალიშვილი ჰყავს, უკვე დიდები, ბიჭი კი ნაბოლარა, ოთხი წლისა, წუხელ საავადმყოფოში გარდაიცვალა.

არადა, თავიდან ამბობდნენ, უბრალო ანგინა არისო. ექიმმა უთხრა, ახლავე მოვალო, მაგრამ მხოლოდ საღამოს მოვიდა და მაშინვე განაცხადა: ბიჭს დიფთერიტი აქვს და დაუყოვნებლივ საავადმყოფოში უნდა გადავიყვანოთო. პატარა იქ ოთხი კვირა იწვა, უკვე სრულიად გამოჯანმრთელდა და მოულოდნელად ქუნთრუშა შეეყარა. ორი დღის შემდეგ კი, ანუ წუხელ, გარდაიცვალა. მთავარმა ექიმმა ბრძანა, გულმა უმტყუნაო.

კაცი სახლის კართან დგას, იქ, ზემოთ ცოლი გუშინდელივით ყვირილსა და ტირილს დაიწყებს, მთელი ღამე არ დააძინებს, საყვედურებით აავსებს, რომ ბავშვი სამი დღის წინ, როცა უკვე სრულიად ჯანმრთელი იყო, არ წამოიყვანა. მაგრამ მაშინ მედდამ უთხრა, ბაცილები ბიჭს ყელში ჯერ კიდევ აქვს და მისი წაყვანა შინ, სადაც სხვა ბავშვები არიან, საშიშიაო. მართალია, ცოლმა

მაშინ თქვა, მედდას ეგ რა სისულელე უთქვამსო, მაგრამ ვინ იცის, მეზობლების ბავშვებიდან რომელიმეს რომ გადასდებოდა და ავად გამხდარიყო? დგას.

მეზობელ სახლთან ხალხი შეკრებილა: ყვირიან, ხმაურობენ. მოულოდნელად გაახსენდა, ბავშვი საავადმყოფოში რომ მიიყვანა, იქ ჰკითხეს, ექიმი იყო თუ არა და ბიჭს დიფთერიტის საწინააღმდეგო ნემსი თუ გაუკეთაო. არა, უთხრა მან, არ გაუკეთებია, ექიმს მთელი დღე ველოდებოდით, ის კი მხოლოდ საღამოს მოვიდა და ბავშვის სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაყვანა გვიბრძანა.

და კაცი, ომში დაზიანებული ხელით, ადგილს მოსწყდა, ქუჩა გადაჭრა, კუთხეში მდგარ სახლში შევარდა იქ, სადაც ექიმი ცხოვრობდა. უთხრეს, რომ ექიმი შინ არ არის. ინვალიდი ყვირის, როგორ თუ შინ არ არის! ექიმი ვალდებულია, სადილამდე მიღება ჰქონდეს. მისაღების კარი გაიღო და მელოტი, ღიპიანი კაცი გამოვიდა. აღელვებულ კაცს დააკვირდა, იცნო და კაბინეტში შეიყვანა. კაცი დგას, ჰყვება საავადმყოფოს ამბებს, ბავშვი როგორ გარდაიცვალა. ექიმმა შვილმკვდარ მამას უსიტყვოდ მიუსამძიმრა, თანაგრძნობის ნიშნად ხელი ჩამოართვა.

- ოთხშაბათს დილიდან გელოდებოდით, დილიდან საღამოს ექვს საათამდე. თქვენს წამოსაყვანად კაცი ორჯერ გამოვგზავნეთ, თქვენ კი არ მოხვედით.

- ბოლოს და ბოლოს, ხომ მაინც

მოვედი. ინვალიდი ისევ აყვირდა:

- მე და ჩემისთანები ბრძოლის ველზე სისხლს ვღვრიდით! რისთვის? შემომხედეთ, ხეიბარი ვარ,

თქვენ კი მთელი დღე მალოდინეთ. ეს ხომ ადამიანის მასხრად აგდებაა? განა ასეთ მოპყრობას ვიმსახურებ?

- დაბრძანდით, გთხოვთ, დაწყნარდით. თქვენი შვილი დიფთერიტით ხომ არ გარდაცვლილა. აქ საქმე ინფექციის გადატანასთან გვაქვს. საავადმყოფოებში ასეთი შემთხვევები ხდება ხოლმე!

- უბედური შემთხვევა აქ, უბედური შემთხვევა იქ! - ღრიალებს ინვალიდი, - ყველანი ყველაფერს შემთხვევას აბრალებენ. ესე იგი, თუ ჩვენ და ჩვენი შვილები ავად გავხდებით, აუცილებლად სული უნდა ამოგვხდეს? ჩვენ და ჩვენი შვილები ხომ

თქვენთვის ადამიანები არა ვართ.

ნახევარი საათის შემდეგ ინვალიდი კიბეზე ნელა დაეშვა, თავისი სახლის წინ, მზისგულზე, კიდევ ერთხანს შეყოვნდა და მერე თავის ბინაში ავიდა. ცოლი ქურასთან საქმიანობდა.

- აბა, როგორ არის საქმე, პაულ?

- აბა, რა გითხრა, დედიკო.

ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდეს, ერთხანს თავჩაქინდრულები იდგნენ.

- პაულ, არ გისადილია, ახლავე მოგიტან.

- ექიმთან ვიყავი, შევახსენე, რომ ოთხშაბათს ჩვენთან დროზე არ მოვიდა. ცხვირიდან ძმარი ვადინე.

- ჩვენი პაულხენი დიფთერიტით ხომ არ გარდაიცვალა.

- ეგ სისულელეა. ექიმს ეგეც ვუთხარი. ბავშვისთვის ნემსი მაშინვე რომ გაეკეთებინათ, მისი საავადმყოფოში წაყვანა არ დაგვჭირდებოდა-მეთქი. ექიმი კი დროზე არ მოვიდა. ამიტომაც ვეჩხუბე. სხვებზეც ხომ უნდა იფიქროს, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდეს. იქნებ ასეთი რამ ყოველდღე ხდება, ჩვენ ხომ არ ვიცით?

- კარგი, ჭამე, ჭამე, მერე ექიმმა რა გითხრა?

- რა უნდა ეთქვა, ექიმი კარგი ადამიანია. ასაკოვანია და მთელი დღე ავადმყოფებთან დარბის. მისი კარგად მესმის. ბედისწერას ვერ გაექცევი. რაც მოსახდენია, აუცილებლად მოხდება. ერთი ჭიქა კონიაკი დამისხა, რომ დავმშვიდებულიყავი. მისი ცოლიც გამოვიდა.

- შენ კი ჩხუბი ატეხე არა,პაულ?

- არა, მხოლოდ დასაწყისში, მერე კი ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა, მაგრამ ეს მისთვის ვინმეს ხომ უნდა ეთქვა, ამაში თავად ექიმიც დამეთანხმა. ცუდი ადამიანი არ არის, მაგრამ რაც ვუთხარი, ის აუცილებლად უნდა მეთქვა.

ჭამის დროს კაცი ციებ-ცხელებიანივით კანკალებდა, გვერდზე ოთახში ცოლი ტიროდა. მერე ქურასთან ყავა დალიეს.

- ნამდვილი ყავაა, პაულ.

პაულმა ფინჯანში ჩასხმულ ყავას უყნოსა.

- სუნზე ეტყობა.

ხვალ ცივი სამარე ელოდება... მაგრამ არა, ფეხზე დადგომის ძალა ჯერ კიდევ შესწევს

ფრანც ბიბერკოპფი გაუჩინარდა. იმ დღეს, როცა ფრანცმა წერილი მიიღო, ლინა ნასადილევს მასთან სახლში მივიდა. ქალმა საყვარელ კაცს ყავისფერი ჟილეტი მოუქსოვა და უნდოდა საწოლზე მისგან ფარულად დაედო. და აი, სასწაული: ფრანცი შინ დახვდა. იმ დროს, როცა წესით ქუჩაში ზონრებს უნდა ყიდდეს, მით უმეტეს ახლა, შობის წინ. ეგ კი საწოლზე ზის, მაგიდა ახლოს მიუჩოჩებია და დაშლილი მაღვიძარას აწყობას ცდილობს. ლინას შეეშინდა, ვაითუ ჟილეტი დროზე ადრე შეამჩნიოსო, მაგრამ კაცს მისთვის ზედაც არ შეუხედავს, ისე იყო გართული თავისი საქმით. ეს ლინას ხელსაც კი აძლევდა. ჟილეტი სასწრაფოდ კართან ახლოს დამალა. მაგრამ მერე იგრძნო, რომ რაღაც წესრიგში არ იყო, - არ ლაპარაკობს, არც შემომხედა, იქნებ ნაბახუსევია? სახეც უცნაური აქვს. ასეთი არასოდეს მინახავს. ამ სულელურ მაღვიძარას ისე აწვალებს, თითქოს ძილ- ბურანში იყოს.

- მახსოვს, ეგ მაღვიძარა მუშაობდა, ფრანც.

- არა, არა, გაფუჭდა, უცნაურ ხმებს გამოსცემს, უდროო დროს რეკავს, ჰოდა, რა გაუფუჭდა, აუცილებლად ვიპოვი.

მაღვიძარასთვის თავდაპირველი სახის დაბრუნებას დიდხანს ამაოდ ცდილობდა, მერე კბილებს იჩიჩქნიდა, ქალს კი არც ამჩნევდა. ლინა მოიბუზა, ოდნავ შეშინდა კიდეც, ჯობს, კარგად გამოიძინოსო, გაიფიქრა და ცოდვას გაერიდა. საღამოს კი ისევ მივიდა, მაგრამ ფრანცი შინ აღარ დახვდა, თითქოს მიწამ ჩაყლაპა. დიასახლისს ბინის ქირა გადაუხადა, თავისი ავლადიდება ჩანთაში ჩაალაგა, სულ ყველაფერი წაიღო და წავიდა. დიასახლისმა სხვა არაფერი იცოდა, გარდა იმისა, რომ ფული გადაუხადა და სთხოვა პოლიციაში შეტყობინების გაგზავნა, რომ რამდენიმე დღით გაემგზავრა - ეტყობა, იძულებული იყო, აქედან მოტეხილიყო, ივარაუდა დიასახლისმა. ლინას შეკითხვაზე,

ჩემთვის წერილი ხომ არ დაუტოვებიაო, დიასახლისმა უპასუხა, არავითარი წერილიო.

ამის შემდეგ კი საშინელი ტანჯვის 24 საათი გავიდა, ვიდრე ლინა გოტლიბ მექს მიაგნებდა. მექი ერთადერთი იყო, ვისაც დახმარება შეეძლო. ბინა მექმაც გამოიცვალა, ამიტომ ლინამ თითქმის ყველა ლუდხანა შემოირბინა. ბოლოს, როგორც იქნა, იპოვა. მექმა არაფერი იცოდა. აბა, ფრანცს რა უნდა მოუვიდეს, კუნთებიც აქვს და ეშმაკიც არის, ალბათ, ორიოდე დღით სადმე გაემგზავრა, ან რამე საქმეში გაეხვია და აქედან დაითესა. არა, ეს წარმოუდგენელია, ფრანცი ამას არ იზამდა. ან იქნებ პატარა ოჯახური დრამა, ა? მაგდაგვარი არაფერი, ტკბილად ვცხოვრობდით, აი, ჟილეტიც კი მოვუქსოვე. მეორე დღეს მექი ფრანცის ყოფილ დიასახლისთან მიდის, ლინაც ფეხდაფეხ მისდევს. დიასახლისი შინ დახვდათ, ისაუბრეს. ჰო, ბიბერკოპფი აქედან გადავიდა, ისეთი კისრისტეხით გაიქცა, რომ მასთან დამშვიდობებაც ვერ მოვასწარი, - თქვა ქალმა, - აქ რაღაც ისე არ არის, ის ხომ ისეთი კარგი ადამიანია. იმ დილას თავს კარგად გრძნობდა, მხიარული იყო, და უცებ, აბა, რას გაიგებ. ეტყობა, რაღაც შეემთხვა. ყველაფერი, სულ ყველაფერი წაიღო. აქ ქაღალდის ნაგლეჯიც კი არ დაუტოვებია, თავად ნახეთ.

მექმა ლინას უთხრა, არ ინერვიულო, ამ საქმეს მე გამოვიძიებო. ბევრი იფიქრა თუ ცოტა, კვალს მაშინვე მიაგნო. იგიც ხომ ვაჭარია და იცის რა როგორ. ეჭვი მაშინვე ლიუდერსზე აიღო. შინ მიადგა. ლიუდერსი თავის ბუნაგში ზის, პატარა გოგონას ნანას უმღერის. სად არის ფრანცი? ლიუდერსმა კი თავისი წამოიწყო: გაიქცა ფრანცი, მიღალატა, ჩემი ვალი აქვს და არც კი დამიბრუნა. აი, ამას კი მექი ნამდვილად არ დაიჯერებს. დიდხანს, თითქმის ერთი საათი ილაპარაკეს, მაგრამ ლიუდერსს მექმა ვერაფერი დააცდენინა.

საღამოს კი მექმა და ლინამ ლიუდერსს მისი სახლის წინ ლუდხანაში მიაგნეს და საქმეს თანდათანობით ნათელი მოეფინა. ლინა ცრემლებად იღვრება, მაგრამ რაღაც-რაღაცებს მაინც იხსენებს:

- ლიუდერს, ფრანცი სად არის, შენ ნამდვილად იცი, თქვენ გუშინ დილით ერთად გნახეს. ალბათ, ფრანცმა რაღაცა გითხრა, თუნდაც ერთი სიტყვა.

- არაფერი უთქვამს.

- ესე იგი, რაღაც შეემთხვა.

- რა უნდა შემთხვეოდა? უბრალოდ, რაღაც დააშავა და დაითესა. ეს არის და ეს.

- არა, არაფერს დააშავებდა, - გაცხარდა ლინა, - კისერს მოვიჭრი, თუ ეს ასე არ არის. პოლიციაში უნდა განვაცხადო, დიახ!

- შენ რა, გგონია, ბავშვივით დაიკარგა და პოლიცია ძებნას გამოაცხადებს? - ჩია, საცოდავ ლიუდერსს თავის ენამოსწრებულობაზე ეცინება.

ლინა კი პანიკაშია:

- აჰ, ახლა რა უნდა ვქნათ, რა?

მექი კი ჩუმად ზის და თავისას ფიქრობს. მერე ეს ყველაფერი მოჰბეზრდა, გაწითლდა, ადგა, ლიუდერსს თავის გაქნევით გარეთ გაიხმობს. მას ლიუდერსთან ცალკე, პირისპირ ლაპარაკი უნდა, თორემ ასე არაფერი გამოვა. მექი და ლიუდერსი ლუდხანიდან ერთად გადიან, რაბლერშტრასეზე მისეირნობენ, აქეთურ-იქითურზე, ვითომც არაფერი, ისე საუბრობენ.

გრენცშტრასემდე მივიდნენ, აქ კი მექმა ერთი ბნელი კუთხე შეარჩია და ლიუდერსს თავს დაესხა, საშინლად სცემა. მიწაზე დაგდებულმა ლიუდერსმა დაყვირება სცადა, მაგრამ მექმა ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ჩია კაცს პირში ჩასტენა. მერე ადგომა უბრძანა და უფრო მეტად რომ დაეშინებინა, ჯიბიდან დასაკეცი დანა ამოიღო, გახსნა და მოკვლით დაემუქრა. ორივენი ქშინავდნენ. სუნთქვა უჭირდათ. ჯერ კიდევ განრისხებულმა მექმა ლიუდერსს უკანმოუხედავად გაქცევა და მეორე დღეს ფრანცის მოძებნა უბრძანა:

- როგორ და სად იპოვი, ბიჭო, ჩემთვის სულერთია. და თუ ვერ იპოვი, მაშინ საძებნელად სამივენი წავალთ. აი, შენ კი აუცილებლად გიპოვი, თუნდაც შენი დედაბრის კალთის ქვეშ დაიმალო.

მეორე საღამოს ჩია ლუდხანაში დათრგუნვილი და ფერმკრთალი იჯდა. მექის ნიშანზე წამოდგა და ორივენი უკანა ოთახში გავიდნენ. იქ ბნელოდა. სანამ ლუდხანის მეპატრონე გაზის ლამპას აანთებდა, რამდენიმე წუთი გავიდა. ჩუმად იდგნენ. მერე

მექმა ჰკითხა:

- აბა, რას მეტყვი, იყავი?

- იცი, უნდა გითხრა, რომ...

- რომ არ უნდა მაგას, რა თქვა, და საერთოდ, როგორ დამიმტკიცებ, რომ ფრანცთან ნამდვილად იყავი?

- მექ, ეტყობა, გეგონა, ისიც ისე გამალამაზებდა, როგორც შენ გუშინ? არა, ვერ მოგართვი, ამჯერად ზომები მივიღე.

- აბა, რაშია საქმე?

ლიუდერსი ერთხანს დუმდა, მერე მექს მიუახლოვდა:

- მომისმინე, მექ, თავად იფიქრე. თუ კეთილი რჩევა გინდა, მაშინ გეტყვი: მართალია, ფრანცი შენი მეგობარია, მაგრამ მის გამო წუხელ ჩემთან იმგვარად ლაპარაკი არ ღირდა, კინაღამ მომკალი! არადა, მე და შენ გასაყოფი რა გვაქვს? არა, ნამდვილად არ ღირდა ეგრე ჩემი ცემა, მით უმეტეს, იმ კაცის გამო.

მექი ლიუდერსს მიაშტერდა:

- ფრთხილად იყავი, თორემ კიდევ მოგხვდება და თუნდაც მთელი ლუდხანა აქ მოვარდნილა, არ მენაღვლება.

ლიუდერსი კი თავისას აგრძელებს:

- ფრანცი სულ გაგიჟდა, მექ! შენ რა, არაფერი შეგიმჩნევია? ეტყობა, მაგრად აფრენს.

- მოკეტე, გესმის? ფრანცი ჩემი მეგობარია! გაჩუმდი, ღვთის გულისათვის - ამაზე ნუ ხუმრობ, ლამის ფეხები მომეკვეთოს.

მექი დაჯდა, ლიუდერსმა კი მოყოლა დაიწყო.

მან ფრანცი სადღაც ხუთსა და ექვს საათს შორის მოინახულა. თავისი სახლიდან სულ ახლოს, მესამე სახლში გადასულა. არიან ადამიანები, ვინც დაინახა ფრანცი ხელში მუყაოს ყუთითა და

ფეხსაცმელებით იმ სახლის სადარბაზოში რომ შევიდა. და მართლაც, იქ, ფლიგელში, ზემო სართულზე უქირავებია პატარა ოთახი. როცა ლიუდერსმა დააკაკუნა და ოთახში შევიდა, საწოლზე ჩაცმული იწვა. ფეხსაცმელებიანი ფეხები ქვემოთ ჰქონდა ჩამოშვებული. ოთახში ნათურა ენთო და ფრანცმა ლიუდერსი მაშინვე იცნო. აი, ლიუდერსიც მობრძანდა, რა უნდა ამ ვირიშვილს? ლიუდერსს კი გაუთვალისწინებელი შემთხვევისთვის ხელი ჩაყოფილი აქვს მარცხენა ჯიბეში, სადაც გახსნილი დანა უდევს. მეორე ხელში კი ფული უჭირავს, რამდენიმე მარკა. ფული მაგიდაზე დადო, გაუჩერებლად ყბედობს, ყელიც კი ჩაეხლიჩა. აჩვენებს დალურჯებულ ადგილებს, კოპებს თავზე, გასივებულ ყურებს, თანაც ბოღმისა და ჯავრისგან ლამის აღმუვლდეს.

ბიბერკოპფი წამოიწია, საწოლზე დაჯდა, ლიუდერსს მიაშტერდა, სახე ხან უქვავდებოდა, ხანაც უთრთოდა. მერე კარზე მიუთითა და წყნარად უთხრა: წაეთრიე! ლიუდერსმა ფრანცს წინ რამდენიმე მარკა დაუდო და მექის მუქარა რომ გაახსენდა, სთხოვა: ხელწერილი დამიწერე დასტურად იმისა, რომ შენთან ვიყავიო. და ურჩია კიდეც: უკეთესი იქნება, მექისა და ლინას თავად თუ მოინახულებო. მაშინ ბიბერკოპფი წამოდგა, გასწორდა, - ლიუდერსი კი ჰოპ და კართან გაჩნდა, ხელი სახელურს სტაცა. ბიბერკოპფი კი გვერდულად ოთახის სიღრმისკენ, პირსაბანისკენ წავიდა, ტაშტი აიღო და როგორ გგონიათ, რა ქნა? ხელი ძლიერად მოიქნია და წყალი ოთახის სიღრმიდან ლიუდერსს პირდაპირ ფეხებში მიასხა: მიწა ხარ, მიწად იქეცი. ლიუდერსს თვალები შუბლზე აუვიდა. გვერდით გახტა, კარის სახელურს დააწვა. ახლა ბიბერკოპფმა დოქი აიღო, თქვა, შიგ წყალი ბევრია, გეყოფა, მთელ ჭუჭყს ჩამოგრეცხავს, მიწა ხარ და მიწად იქცევიო და ლიუდერსს თავზე დაასხა. კაცს გაყინული წყალი საყელოსა და პირში ჩაუვიდა. აქ კი დაუპატიჟებელმა სტუმარმა იკადრა გაქცევა, გარეთ გავარდნილმა კარი გაიჯახუნა და სასწრაფოდ მოკურცხლა.

ახლა კი ლუდხანის უკანა ოთახში მექის წინ დგას და გესლიანად ჩურჩულებს:

- გააფრინა კაცმა, შენ თვითონ ხედავ, კიდევ რა გინდა?

- სახლის ნომერი, ვისთან ცხოვრობს? - დაჟინებით ეკითხება მექი.

ლიუდერსი გაიქცა, ბიბერკოპფი კი დარჩა. იდგა და თავის სოროს რწყავდა. ოთხივე

მხარეს ხელით აშხეფებდა, იძახდა: ფუი, ეშმაკს! მთელი ჭუჭყი ჩამოვრეცხოთ! ფანჯრებს ფართოდ აღებს: ეს ყველამ უნდა დაინახოს (არა, სახლები არ ინგრევა და სახურავები დაბლა არ მოცურავენ, ეს ყველაფერი მართლაც იყო, მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ წარსულს ჩაჰბარდა)! მერე აცივდა და ფრანცი უხვად წყალმოსხმულ იატაკს გაოგნებული აშტერდება. უნდა მოვამშრალო, თორემ გაყინავს და ქვემოთ მცხოვრებ მობინადრეებს პირდაპირ თავზე დაესხმება, ჭერზე კი ლაქები გაჩნდება. ფანჯარა დახურა, დაწვა, მთელ სიგრძეზე გაიჭიმა (სიკვდილი. მიწისგან ხარ შექმნილი და მიწად უნდა იქცე).

ხელებით ტაში-ტაში-ტაში, ფეხებით ბაკიბუკი, ბაკიბუკი.

საღამოს კი ბიბერკოპფი ამ ოთახში უკვე აღარ იყო. სად გადავიდა, მექმა ვერ დაადგინა. ჩია ლიუდერსი თავიანთ, საქონლით მოვაჭრეთა ლუდხანაში წაიყვანა. მსხვილფეხა საქონლით მოვაჭრეებს მხოლოდ ის აინტერესებდათ, ლიუდერსსა და ფრანცს შორის რა მოხდა და რა ეწერა იმ წერილში, რომელიც ფრანცს ლუდხანის მეპატრონემ გადასცა. მაგრამ ლიუდერსს თითქოს კრიჭა შეეკრა, ჯიუტად დუმდა და დევნილი ცხოველივით საცოდავი მზერა ჰქონდა. ამიტომ ეს ბედკრული ადამიანი შინ გაუშვეს. ის კი არა, მექმაც თქვა:

- მაგან საკადრისი უკვე მიიღო, ეყოფა.

იმ საღამოს დიდხანს ისხდნენ და ლუდს წრუპავდნენ. მექი ხმამაღლა ფიქრობდა: „ფრანცს ან ლინამ უღალატა, ან რაღაც საქმეში ლიუდერსმა უმუხთლა“. საქონლით მოვაჭრეებმა კი სხვანაირად განსაჯეს: „ლიუდერსი რომ არამზადაა, არავინ დაობს. რასაც ეგ ამბობს, თავიდან ბოლომდე სიცრუეა. მაგრამ იქნებ ბიბერკოპფი მართლაც გაგიჟდა. უცნაურად ყოველთვის იქცეოდა. გახსოვთ, ალბათ, ვაჭრობის უფლება ისე მიიღო, არც კი იცოდა, რითი უნდა ევაჭრა. ახლა კი თავს ეს უბედურება დაატყდა და ამან მის ჯანმრთელობაზე იმოქმედა“.

მაგრამ მექი თავის აზრზე იდგა:

- ნერვიულობას შეიძლება ღვიძლზე ემოქმედა, მაგრამ არა თავზე. თავი სრულიად გამორიცხულია. ის ხომ ნამდვილი გოლიათია. ათლეტი, მთელი ცხოვრება ფიზიკურად შრომობს! პირველი კლასის მტვირთავი იყო, გადაჰქონდა ავეჯი, ფორტეპიანოები,

თქვენ კი ამბობთ, გააფრინაო. არა, ეს შეუძლებელია. ასეთებს უბედურება თავში არ ურტყამს.

- უბედურება სწორედ ეგეთ ადამიანებს ურტყამს თავში. ეგენი მგრძნობიარენი არიან. ეგენი

თავით ცოტას მუშაობენ. და თუ აამუშავეს, მაშინვე უავადდებათ.

- აბა, კომერსანტებო, თქვენს დავასა და პროტესტზე კი რას იტყვით? თქვენ ხომ ყველანი თავს კარგად გრძნობთ.

- ჩვენ, მსხვილფეხა საქონლით მოვაჭრეებს, მაგარი თავები გვაქვს. აბა, როგორ! ჩვენ თუ ყველაფერზე ვინერვიულეთ, მაშინ ყოველი ჩვენგანი საგიჟეთში აღმოჩნდება. ჩვენ არასოდეს და არაფერზე ვნერვიულობთ. უსიამოვნება ხომ ყოველდღე გვხვდება და მივეჩვიეთ. დღე არ გავა, მყიდველმა წინასწარ შეკვეთილ საქონელზე უარი არ თქვას ან ფულს არ იხდის. ასე განსაჯეთ, მყიდველებს ფული არა აქვთ.

- ან აქვთ, მაგრამ ნაღდი ფული არა.

- ჰო, ეგრეც ხდება.

ერთმა მსხვილფეხა საქონლით მოვაჭრემ დალაქავებულ ჟილეტზე დაიხედა:

- იცით, სახლში ყავას ფინჯნით კი არა, ლამბაქით ვსვამ, ასე უფრო გემრიელია, მაგრამ ჟილეტზე მესხმება და მილაქავდება.

- შენც წინსაფარი აიფარე.

- ჩემი დედაბერი დამცინის. ამ ბოლო დროს ხელები მიკანკალებს, აი, დატკბით.

მექმა და ლინამ ფრანც ბიბერკოპფი ვერ იპოვეს. ნახევარი ბერლინი მოირბინეს, მაგრამ მაინც ვერ იპოვეს.

წიგნი მეოთხე

მართალი გითხრათ, ფრანც ბიბერკოპფს თავს დიდი უბედურება არ დასტყდომია, აბა, რაშია საქმე? - იკითხავს გაოცებული რიგითი მკითხველი. მაგრამ ფრანც ბიბერკოპფი რიგითი მკითხველი არ არის. იგი ხვდება, რომ მისი პრინციპი, რომლითაც ცხოვრობს, სადღაც და რაღაცაში მცდარია, მაგრამ ვერ ხვდება, სად და რაში, რაც ჩვენს გმირს ღრმა სევდას ჰგვრის.

ბიბერკოპფმა სმა დაიწყო; ჰა და ჰა, სადაც არის ფსკერზე დაეშვება. მაგრამ ეს ჯერ კიდევ ის უბედურება არ არის, რომელიც მას გაანადგურებს. გამანადგურებელი

უბედურება, თანაც არა ერთგზის, მას კიდევ ელის.

ვინ წარმოადგენს ალექსზე ადამიანთა მოდგმას

ალექსანდერპლაცზე ტროტუარი აყრილია, ახალი მიწისქვეშა ხაზი გაჰყავთ. გამვლელები სპეციალურად დაგებულ ფიცარნაგზე დადიან. ტრამვაები ალექსანდერშტრასეზე პლაცს გადაკვეთენ, მერე კი მიუნცშტრასეთი როზენტალის კარიბჭემდე მიდიან. მარჯვნივ და მარცხნივ ქუჩებია, ქუჩებზე კი მჭიდროდ ჩარიგებული სახლები. და ეს სახლები სარდაფებიდან სახურავებამდე ადამიანებით არის სავსე. პირველ სართულებზე მაღაზიებია.

კიდევ ლუდხანები, რესტორნები, ხილისა და ბოსტნეულის ფარდულები, ბაკალეები და გასტრონომები; გადაზიდვის კანტორა, ვიტრინების მხატვრული გაფორმება, ქალის ტანსაცმელი, ფქვილი და ქატო, გარაჟი, დაიზღვიეთ თავი ცეცხლისგან: უპირატესობა მიანიჭეთ მომცროძრავიან ხანძარსაწინააღმდეგო ტუმბოს - ადვილი მოსახმარია და არც ძალიან დიდი. გერმანელებო, ჩვენო ძმებო და დებო, არც ერთი ერი არ მოუტყუებიათ ისე ვერაგულად, არც ერთი ერი არ გაუყიდიათ ისე სამარცხვინოდ და საზიზღრად, როგორც ჩვენ გაგვყიდეს! გახსოვთ, **1918** წლის **9** ნოემბერს რაიხსტაგის ფანჯარაში გადმომდგარი შეიდემანი მშვიდობას, თავისუფლებასა და პურს რომ გვპირდებოდა? და როგორ შეასრულა დაპირება?

სანტექნიკა, ბინების დალაგება, ფანჯრების გაწმენდა, - გადახდა ნიხრით. საუკეთესო საძილე წამალია, შტაინერის საწოლში თქვენ ისე დაიძინებთ, როგორც სამოთხეში; წიგნების მაღაზია, თანამედროვე ბიბლიოთეკა - „ევროპელი დიდი მწერლებისა და მოაზროვნეების სრული კრებულები! ევროპული კულტურის საგანძურის კარი ყველასათვის ღიაა“.

კანონი ბინების დამქირავებელთა უფლებების დაცვის შესახებ ფარატინა ქაღალდია. ბინის ქირა იზრდება. მცირე მეწარმეებს, ვაჭრებსა და ხელოსნებს გარეთ ყრიან, ისინი ხელმოკლეობის გამო ბინის ქირას ვერ იხდიან, სასამართლოს აღმასრულებელი კი უხვ მოსავალს იმკის. საშუალო ფენა

სიკვდილის პირას არის. მოვითხოვთ: ყველა მცირე მეწარმეს მიეცეს სახელმწიფო კრედიტი **- 15000**

მარკის ოდენობით და დაუყოვნებლივ შეწყდეს მცირე საწარმოების ქონების აღწერა.

მშობიარობის მძიმე წუთებისთვის მომზადება თითოეული ქალის სურვილი და მოვალეობაა. მომავალი დედის ყველა ფიქრი და გრძნობა მუცლად მყოფ შვილს დასტრიალებს. ამ დროს მომავალი დედისთვის სასმელების სწორად შერჩევა ერთობ მნიშვნელოვანია. ნამდვილი, ენგელგარდტის კარამელ-ალოეზე დამზადებული სასმელი ორსულებისთვის სასარგებლოა. აქვს სხვა ყველა სასმლისგან განსხვავებული, სასიამოვნო გემო, მატონიზებელია და ორგანიზმი ადვილად ითვისებს.

ციურიხში, შვეიცარიის სადაზღვევო საზოგადოებაში სიცოცხლის დაზღვევით თქვენს ოჯახებს უზრუნველყოფთ.

გახარებული ხართ, თქვენ ხომ ბინა ცნობილი ჰეფნერის ფაბრიკის ავეჯით გააწყვეთ! კომფორტზე, ოჯახურ სიმყუდროვეზე ოცნებობდით! სინამდვილემ თქვენს ოცნებებს გადააჭარბა! რადგან ეს ავეჯი მრავალი წლის შემდეგაც ისეთივე სიხარულის მომგვრელი იქნება, როგორიც დღეს არის. მისი გამძლეობა და პრაქტიკულობა ცხოვრების მძიმე წუთებში ყოველთვის დაგამშვიდებთ.

საზოგადოება „ღამის დაცვა“ თქვენი მფარველი ანგელოზია! იგი ყველგან არის, ყველაფერს ხედავს. მისი თანამშრომლები ღამით ბერლინში, მის გარეუბნებში, სხვა ქალაქებში მორიგეობენ და თქვენს უსაფრთხოებას იცავენ. საზოგადოებაში შედიან: „სრულიად გერმანიის სასაწყობე შენობების დამცველი ამხანაგობა“, „ბერლინისა და გარეუბნებში საწყობებისა და შენობების დაცვა“, ბერლინის ნაგებობათა მფლობელების გაერთიანებასთან არსებული ყოფილი დაცვის განყოფილება, ღამის დარაჯების კავშირი „ბერლინ-ვესტენი“, დაცვის საზოგადოება „დარაჯი“, საზოგადოებები „შერლოკი“, „შერლოკ ჰოლმსი და კონან დოილის სრული კრებული“.

სამრეცხაო ფირმა „აპოლონი“ - თეთრეულის გაქირავება; სამრეცხაო „ადლერი“ გასარეცხად იღებს ტანსაცმელსა და თეთრეულს, აგრეთვე, მამაკაცისა და ქალის ძვირფას თეთრეულს, იმის გარანტიით, რომ ხელით იქნება გარეცხილი.

სავაჭრო დაწესებულებების ზემოთ და უკან ბინები, ირგვლივ ეზოები, საცხოვრებელი კორპუსები, ფლიგელები, მიშენებები - ეს ლინიენშტრასეა და აქ არის ის სახლიც, სადაც ფრანც ბიბერკოპფი, მას შემდეგ, რაც ლიუდერსი ასე საზიზღრად მოექცა, შეძვრა, როგორც ვირთხა სოროში.

პირველ სართულზე დიდებული ფეხსაცმელების მაღაზიაა, ოთხი დიდი და პრიალა ვიტრინით. მყიდველებს ექვსი გოგონა ემსახურება, ანუ თუკი შემოვა აქ ვინმე ისეთი, ვისაც უნდა მოემსახურონ. ჯერჯერობით თითოეული გოგონა თვეში **40** მარკას იღებს და თუ გაუმართლებთ, იქნებ **100** მარკაც გადაუხადონ, მაგრამ ეს, ალბათ, მაშინ მოხდება, როცა თმა გაუთეთრდებათ. ეს მშვენიერი მაღაზია ეკუთვნის ერთ დედაბერს, რომელიც ცოლად თავის მმართველს გაჰყვა. გაბედნიერების შემდეგ ქალს უკანა, სენაკივით პატარა ოთახში სძინავს და თავს ცუდად გრძნობს. მმართველმა, ვეფხვივით კაცმა, მაღაზია ფეხზე დააყენა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ იგი ჯერ ორმოცი წლისაც არ არის და როცა შინ გვიან ბრუნდება, ცოლი დაწოლილი ხვდება და ლოგინში შამფურივით ტრიალებს, ქალს ბოღმა და ბრაზი არ აძინებს.

მეორე სართულზე ადვოკატი ცხოვრობს. საქსენ-ალტენბურგის საჰერცოგოში ველური ბოცვერი მიეკუთვნება თუ არა იმ ცხოველთა რიცხვს, რომლებზეც ნადირობა შეიძლება? ადვოკატი უსამართლობად მიიჩნევს დამცველის მოთხოვნას, რომ ველური ბოცვერი იმ ცხოველთა სიაში იქნეს შეტანილი, რომლებზეც ნადირობა შეიძლება. იმის თაობაზე, რომელ ცხოველზე შეიძლება ნადირობა და რომლის დაჭერა, გერმანიის ცალკეულ მხარეში სხვადასხვა ჩამონათვალი არსებობს, შესაბამისად, იქ გავრცელებული ცხოველებისა. **24** თებერვალს სამონადირეო პოლიციის პროექტში „წესდება ნადირობის შესახებ“ ველური ბოცვერი ჯერჯერობით მოხსენიებული არ არის.

საღამოს **6** საათზე კანტორაში დამლაგებელი მოდის, შემოსასვლელში ლინოლეუმს რეცხავს, ბატონმა ადვოკატმა მტვერსასრუტის საყიდლად ვერ მოიცალა, ფული ენანება ამ წუწურაქს. არადა, ცოლიც კი არ ჰყავს. ადვოკატის სახლში ფრაუ ცისკე ჯერ კიდევ მნე ქალად ითვლება. დამლაგებელი ერთობ მონდომებულად იღვწის: წმენდს, რეცხავს, ხეხავს. მეტისმეტად გამხდარია, მაგრამ მოქნილი, ის ოფლს ღვრის, რათა შვილები გამოკვებოს.

საკვები ცხიმების მნიშვნელობა: ორგანიზმში ცხიმი ძვლების შვერილებს ფენად

ედება და მის ქვეშ მოქცეულ ქსოვილს ზეწოლისა და ბიძგებისგან იცავს. ამიტომ არის, რომ ძალიან გამხდარი ადამიანები ფეხისგულებში ტკივილს უჩივიან. სხვათა შორის, ეს ამ კონკრეტულ დამლაგებელს არ ეხება.

ახლა 7 საათია. ადვოკატი ლოვენჰუნდი საწერ მაგიდასთან ზის და ორი სამაგიდო ლამპის შუქზე

მუშაობს. მადლობა ღმერთს, რომ ტელეფონი მაინც დუმს.

გაახლებთ ბრალდებულ ევგენია გროსის სისხლის სამართლის საქმეს **A 87827**, განცხადებითურთ, რომლის თანახმადაც ის თავისი საქმის წარმოებას მანდობს. აგრეთვე უმორჩილესად გთხოვთ ბრალდებულთან შეხვედრისთვის წერილობით ნებართვას.

ფრაუ ევგენია გროსს, ბერლინი. ღრმად პატივცემულო ფრაუ გროს, უკვე დიდი ხანია თქვენს მონახულებას ვაპირებ, მაგრამ, სამწუხაროდ, აქამდე ვერ მოვახერხე: ერთობ ბევრი საქმე მქონდა და თანაც შეუძლოდ ვიყავი. თქვენთან მოსვლას მომავალ ოთხშაბათს ვგეგმავ და გთხოვთ, მანამდე მოთმინებით აღიჭურვოთ. დიდი პატივისცემით. პატიმრებისთვის გაგზავნილ წერილებზე, ფულად გზავნილებსა და საფოსტო ამანათებზე უნდა დაიწეროს გამგზავნის მისამართი და პატიმრის ნომერი. დანიშნულების ადგილი კი არის **№W52**, მოაბიტი **12**ა.

ბატონ ტელმანს. იძულებული ვარ თქვენი ქალიშვილის საქმის შემდგომი წარმოებისთვის გთხოვოთ ჰონორარის **200** მარკით გაზრდა. ამ თანხის შეტანა შეგიძლიათ ერთად ან ნაწილ-ნაწილ, თქვენი ნება-სურვილის მიხედვით.

ღრმად პატივცემულო ბატონო ადვოკატო, მინდა ჩემი საბრალო ქალიშვილი მოაბიტში მოვინახულო, მაგრამ არ ვიცი, ვის მივმართო; ამიტომ დაბეჯითებით გთხოვთ, იზრუნოთ იმაზე, რომ იქ გამგზავრება შევძლო. აგრეთვე, თუ შეიძლება გაგზავნეთ თხოვნა, რომ ჩემი ქალიშვილისთვის თვეში ორჯერ პროდუქტების გადაცემის უფლება მომცენ. პასუხს თქვენგან სასწრაფოდ, ამ კვირის ბოლოს ან მომავალი კვირის დასაწყისში ველოდები. პატივისცემით ფრაუ ტოლმანი (ევგენია გროსის დედა).

ადვოკატი ლოვენჰუნდი დგება, სიგარეტით ხელში ფანჯარასთან მიდის. ნახევრად დახურული ფარდის მიღმა, ლინეინშტრასეზე ნათურები კაშკაშებენ. ამ ქალს დავურეკო თუ არა, - ფიქრობს ადვოკატი.

საკუთარი ბრალით ვენერიული დაავადებით დასნებოვნება. ეს საქმე ფრანკფურტი **1, C5**-ში მდებარე სასამართლომ განიხილა. ამონარიდი საოლქო სასამართლო დადგენილებიდან:

„ეთიკური თვალსაზრისით იმის განსჯას თავი რომ დავანებოთ, დასაშვებია თუ არა უცოლო მამაკაცებს ჰქონდეთ შემთხვევითი სქესობრივი კავშირი, იმის აღიარება მაინც მოგვიწევს, რომ სამართლებრივად აქ იკვეთება დანაშაულის ელემენტი, რამეთუ შტაუბის აზრით, შემთხვევითი სქესობრივი კავშირი ექსტრავაგანტურობაა, დაკავშირებული კარგად ცნობილ საშიშროებასთან, და პასუხიც უნდა აგოს იმან, ვინც თავს ასეთი ექსტრავაგანტურობის უფლებას აძლევს. დადგენილებიდან გამომდინარე, პლანკი სამხედრო ვალდებულის შემთხვევითი კავშირის შედეგად ვენერიული დაავადებით დასნებოვნებას განიხილავს როგორც წინასწარგანზრახულ კერძო შემთხვევას“. მდაა, ლოვენჰუნდი ყურმილს იღებს. თუ შეიძლება, ნოიკელნთან დამაკავშირეთ, ნომერს ამბობს. ახლა ეს ნომერი ბერვალდის არის.

მესამე სართული: იქ სახლის მმართველი და ორი ტანსრული წყვილი ცხოვრობს: მმართველის ძმა მეუღლითურთ, მმართველის და მეუღლესა და ავადმყოფ შვილთან ერთად.

მეოთხე სართულზე **64** წლის მელოტი მამაკაცი, ავეჯის გამპრიალებელი ცხოვრობს. მისი ქალიშვილი ქმარს გაცილებულია და საოჯახო საქმეებს უძღვება. მოხუცი ყოველ დილას კიბეზე ქშენით ეშვება, სუსტი გული აქვს. მალე ინვალიდობის პენსიას მიიღებს (კორონარული სისხლძარღვების სკლეროზი და გულის კუნთების გადაგვარება). ახალგაზრდობაში ნიჩბოსნობით იყო გატაცებული. ახლა კი ისღა დარჩენია, საღამოობით გაზეთები იკითხოს და ჩიბუხი გააბოლოს. ქალიშვილი კი ამ დროს, რა თქმა უნდა, კიბეზე მეზობლებთან ჭორაობს. ცოლი არა ჰყავს, **45** წლისა გარდაეცვალა. ყაჩაღანა დედაკაცი იყო, შფოთიანი, ვნებიანი, მუდმივად დაუკმაყოფილებლობის გრძნობა აწუხებდა, თანაც ერთ-ორ წელიწადში კლიმაქსიც დაეწყებოდა და შეშინებული ამით, ვიღაც ქალთან წავიდა, ისე, რომ არავისთვის არაფერი უთქვამს. იმ ქალისგან პირდაპირ საავადმყოფოში მოხვდა, იქიდან კი ვეღარ გამოვიდა, გარდაიცვალა.

გვერდით კი ხარატი ცხოვრობს, **30** წლის მამაკაცი პატარა შვილთან ერთად. მამა-შვილის ბინა პატარაა, მხოლოდ ერთი ოთახი და სამზარეულო. ხარატიც ქვრივია, ცოლი ჭლექით გარდაეცვალა, კაცი თავადაც ახველებს. ბიჭი დღისით ბაღში დადის, საღამოს კი მამა აკითხავს და შინ მოჰყავს. ბიჭს რომ დააძინებს, კაცი თავისთვის

ხველების საწინააღმდეგო ჩაის ამზადებს და მერე გვიან ღამემდე ჩხირკედელაობს. ადგილობრივ რადიომოყვარულთა კლუბის თავმჯდომარეა და არ დაიძინებს, ვიდრე ახალი სქემის მიხედვით კიდევ ერთ მიმღებს არ ააწყობს.

ამავე სართულზე ცხოვრობენ კელნერი და მისი საყვარელი. მათი ბინაც ერთოთახიანია, პატარა სამზარეულოთი. ირგვლივ ყველაფერი წკრიალებს. გაზის აირთალფაქზე მძივებისფოჩიანი ჩაჩია ჩამოცმული. კელნერი შინ ორ საათამდეა, სძინავს და ციტრაზე უკრავს, იმ დროს, როცა ადვოკატი

ლოვენჰუნდი შავ მანტიაში გამოწყობილი სასამართლოში ადვოკატთა ოთახიდან სხდომათა დარბაზში და სხდომათა დარბაზიდან ადვოკატთა ოთახში წინ და უკან დარბის. საქმის გარჩევა გადაიდო! ადვოკატი კი მოითხოვს, რომ გადაწყვეტილება მოპასუხის გარეშე იქნეს გამოტანილი. კელნერის საცოლე ერთ-ერთ უნივერმაღში კონტროლიორად მუშაობს. ყოველ შემთხვევაში, ქალი ასე ამბობს. ადრე ამ კელნერს ჰყავდა ცოლი, რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ღალატობდა. მაგრამ ქალი ყოველთვის ახერხებდა ქმრის დამშვიდებას, თუნდაც ამ უკანასკნელს მისთვის პიკანტურ მომენტში წაესწრო. ერთ მშვენიერ დღეს კი მოღალატე ცოლს მაინც გაექცა. ვიღაცასთან ერთი კუთხე იქირავა, მაგრამ ისევ ცოლთან დარბოდა. ბოლოს კი, როცა წყვილმა გაყრა გადაწყვიტა, სასამართლომ ქმარი დამნაშავედ ცნო, რადგან ამ უკანასკნელმა ცოლის მრუშობის დამტკიცება ვერ შეძლო. და როგორც ვერდიქტში ეწერა, „ცოლი ბოროტი განზრახვით მიატოვა“.

მერე ჰოპერგარტენში თავისი ახლანდელი ტურფა გაიცნო, რომელიც იქ კაცებზე სანადიროდ იყო ჩასული. ანუ იმავე კალიბრის ქალი, რომელსაც სულ ახლახან გაშორდა, მაგრამ მასზე გაცილებით ეშმაკი. კაცი ახლაც ვერაფერს ხვდება, თუმცა მისი საცოლე ლამის ყოველ კვირას სამსახურის საქმეებზე სადღაც მიემგზავრება; როდის აქეთ არის, რომ უნივერმაღის კონტროლიორებს მივლინებებში გზავნიან? უკაცრავად, მაგრამ ის უფროსების ნდობით აღჭურვილი პირია. ახლა კი კელნერი დივანზე ზის, თავზე სველ პირსახოცშემოხვეული, ტირის და ქალი იძულებულია საყვარელ კაცს მოუაროს. როგორც თვითონ ამბობს, ქუჩაში ფეხი დაუცურდა, წაიქცა და ძალიან დაშავდა. ალბათ, კაცთან ვიღაცა ბოროტმა რაღაც წამოროშა. ნდობით აღჭურვილი პირი კი უფროსების ნებართვით დღეს შინ დარჩა. ნუთუ რამეს ხვდება? - ფიქრობს ქალი, თუ ასეა, სამწუხაროა, ასეთ საყვარელ სულელს სადღა ვიშოვი. მაგრამ არა უშავს, დარდს მალე გავუქარვებ და ჩვენ შორის ჰარმონია ისევ აღდგება.

ბოლო სართულზე კი შიგნეულით მოვაჭრე ცხოვრობს. მის ბინაში, რა თქმა უნდა, საშინელი სუნი ტრიალებს, ხმაურია და ჟივილ-ხივილი. მისი ცოლი ხშირად მშობიარობს, კაცი კი ხშირად სვამს. დასასრულ, შიგნეულით მოვაჭრის გვერდით მცხობელი და მისი ცოლი ცხოვრობენ. ქალი სტამბაში ფურცლების დამწყობად მუშაობს და საკვერცხეების ანთება აწუხებს. ამ ორს ამ ცხოვრებისგან რა აქვს?

უპირველეს ყოვლისა, მათ ერთმანეთი ჰყავთ. ხანდახან თეატრში ან კინოში მიდიან, ისე, როგორც გასულ კვირას იყვნენ. ხანდახან კავშირის კრებას ესწრებიან და მშობლებს ესტუმრებიან. სულ ეს არის? აბა, აბა, ცხვირს მაღლა ნუ სწევთ, აი, თქვენ, ფრაკში გამოწყობილო ბატონო! არის კიდევ რაღაც, მაგალითად, დარი, ავდარი, ქალაქგარეთ გავლა; ღუმელთან გათბობა ან, ვთქვათ, გემრიელი საუზმე - რით არის ცუდი? თქვენ თავად რა გაქვთ ამ ცხოვრებისგან, ბატონო კაპიტანო, ან თქვენ, ბატონო გენერალო, ან თქვენ, ბატონო ჟოკეი, დიახ, თქვენ, რომელმაც ბოლო დოღზე პრიზი აიღეთ? თავს ნუ იტყუებთ.

ფრანცს თითქოს ნარკოზი გაუკეთეს შეძვრა თავის სოროში და არაფრის დანახვა არ უნდა

ფრთხილად, ფრანც, ფრთხილად. ეს კარგად არ დამთავრდება. სულ დაეშვი, დღედაღამ საწოლზე აგდიხარ და თუ არ გძინავს, სვამ.

აბა, ვისი რა საქმეა, მე რას ვაკეთებ! თუ მომინდება, ზეგამდე ვიძინებ, - იგი ფრჩხილებს იკვნეტს, ოხრავს, ოფლით დასველებულ ბალიშზე თავს ატრიალებს, შფოთავს. აი, მინდა და საწოლიდან ერთი კვირა არ ავდგები. ოღონდაც დიასახლისმა ღუმელში ცეცხლი არ გაანელოს. ზარმაცი დედაკაცი, მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს!

პირით კედლისკენ წევს. გადმოტრიალდება; ხედავს იატაკზე ფაფის გუბეა, ნარწყევი. ეტყობა, ჩემია, აბა, სხვისი ვისი იქნება? ღმერთო ჩემო, ადამიანი მუცლით რაღას არ დაათრევს. ფუი! ნაცრისფერ კუთხეში ობობას ქსელი გაუბამს. რა ცუდია, რომ ობობები თაგვებზე არ ნადირობენ. ოჰ, წელი მტკივა, მამტვრევს. შემოდით, ფრაუ შმიდტ! მაღლა, ქსელმოდებულ კუთხეში, შავი კაბა, გრძელი კბილები. ეს კუდიანია. ჭერიდან ეშვება, ფუი! ამას წინათ ვიღაც იდიოტმა მკითხა, სულ სახლში რატომ ხარო? ვუპასუხე, იდიოტო, ჯერ ერთი, ეგ რა შენი საქმეა, თანაც რას ნიშნავს „სულ“, როცა სახლში მხოლოდ რვიდან თორმეტამდე ვარ. თანაც ამ აქოთებულ სოროში გდება დიდი ვერაფერი ბედნიერებაა-მეთქი. არამკითხე მოამბე კი მეუბნება, კარგი რა, გეხუმრეო. კარგი ხუმრობაა, მე და ჩემმა ღმერთმა! კაუფმანიც ამასვე მეკითხება, თუ კარგია, ამ ორმა ერთმანეთში გაარკვიონ, სულ სახლში რატომ ვზივარ.

ჰოდა, ასე ვიზამ, თებერვლამდე მოვიცდი, არა, მარტამდე, ჰო, ჯობს, მარტამდე მოვიცადო.

* * *

...გული შენი ბუნებაში ხომ არ დაგიკარგავს? არა, გული ჩემი იქ არ დამიკარგავს, მაგრამ, როცა გოლიათი ალპების ძირში ვიჯექი ან აბობოქრებული ზღვის სანაპიროზე ვიწექი, მომეჩვენა,

თითქოს ჩემ თვალწინ სამყაროს მარადიულ საიდუმლოებებს ფარდა აეხადა. სული მაღლა მწვერვალებისკენ ისწრაფვის, ნაპირს მოხეთქებულ ტალღებს ერწყმის. ასეთ წუთებში დიდი მღელვარება მიპყრობს და მაინც, გული ჩემი იქ, სადაც არწივები ბუდობენ, არ დამიტოვებია, არც იქ, სადაც მაღაროელები დედამიწის წიაღში ჩაფლულ მადანს მოიპოვებენ.

მაშ, სად დატოვე გული შენი?

ხომ არ მიუძღვენი იგი სპორტს? ან ახალგაზრდულ მჩქეფარე მოძრაობას? ან იქნებ პოლიტიკური მოძრაობის მხურვალე ალში დაგეწვა?

არა!

ესე იგი, იმ ადამიანთა ჯიშისა ხარ, რომლებიც გულს არ კარგავენ, არსად ტოვებენ, არავის აძლევენ, უფრთხილდებიან და რუდუნებით აკონსერვებენ ან აბალზამებენ.

გზა ტრანსცენდენტურ სამყაროში, ლექციების ციკლი, დასწრება თავისუფალია. კვირა, მიცვალებულთა მოხსენიების დღე: „არის თუ არა სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე?“ ორშაბათი, 21 ნოემბერი, დასაწყისი საღამოს 8 საათზე. „არსებობენ თუ არა ჩვენს დროში ნამდვილი მორწმუნეები?“ სამშაბათი, 22 ნოემბერი. „შეუძლია თუ არა ადამიანს გარდაქმნა?“ ოთხშაბათი, 23 ნოემბერი. „ღვთის წინაშე ვინ არის უცოდველი?“ განსაკუთრებით გირჩევთ დაესწროთ ჩვენს მუსიკალურ-ლიტერატურულ კომპოზიციას „პავლე მოციქული“ - კვირა, დასაწყისი 7.45.

* * *

საღამო მშვიდობისა, ბატონო პასტორო. ფრანც ბიბერკოპფი გახლავართ, მუშა, შემთხვევით სამუშაოში აღებული გასამრჯელოთი ვირჩენ თავს. ადრე მტვირთავად ვმუშაობდი, ახლა უმუშევარი ვარ. აი, რა მინდოდა თქვენთვის მეკითხა. ძლიერი ტკივილი მაქვს მუცლის არეში, ხომ არ იცით, რა წამალი უნდა მივიღო? კიდევ ამ გულისრევამ გამაწამა. აი, ისევ, ფუი, პირში ვგრძნობ, ეს ნამდვილად ნაღვლის ბუშტია. ეჰ, ვიცი, ეს იმის ბრალია, რომ ბევრს ვსვამ. შეწუხებისთვის მაპატიეთ, ქუჩაში აგეკიდეთ. თქვენ ახლა სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად მიგეჩქარებათ, ეს ჩვენ გვესმის. მაგრამ გულძმარვამ ლამის ბოლო მომიღო. ოჰ, ისევ ეს აუტანელი სიმწარე პირში, ნაღველი, და ამას არაფერი ეშველება. ქრისტიანი ადამიანი

კი მოყვასსა თვისას უნდა დაეხმაროს, ასეა, ხომ? თქვენ კარგი ადამიანი ბრძანდებით, მართალი, პატიოსანი, მე კი სასუფეველში ვერასოდეს მოვხვდები. რატომ? ეგ თუ გაინტერესებთ, ფრაუ შმიდტს ჰკითხეთ, რომელიც ჩემთან ყოველთვის ჭერიდან მოდის. ხან მოდის, ხან მიდის და მე ყოველ ჯერზე უნდა ავდგე და ხან ოთახში შემოვუშვა, ხან გავუშვა. ჩემს საქმეში სხვა რატომ უნდა ერეოდეს? თავადაც კარგად გავარკვევ, ვინ ბოროტმოქმედია და ვინ არა. მარად ერთგული: „ჩვენ კარლ ლიბკნეხტს ერთგულება შევფიცეთ, რომ როზა ლუქსემბურგს ხელს გავუწვდიდით“.

როცა ჩავძაღლდები, მაინც სამოთხეში მოვხვდები. ისინი კი ჩემ წინაშე მუხლს მოიყრიან და იტყვიან: ეს არის ფრანც ბიბერკოპფი, ერთგული კუბოს ფიცრამდე, ნაღდი გერმანელი. გაურკვეველი საქმიანობის ადამიანი, მაგრამ ერთგული კუბოს ფიცრამდე: მაღლა ფრიალებს ჩვენი შავ-თეთრ-წითელი დროშა. ამ ყველაფერმა ფრანც ბიბერკოპფის სული შეძრა. იგი სხვებივით, ვინც თავს ნამდვილ გერმანელს უწოდებს და ამ დროს მოყვასს გროშებად ყიდის, მოღალატე არ გამხდარა. ეჰ, დანა არა მაქვს, თორემ მუცელს გამოვფატრავდი და გამოვფატრავ კიდევაც (ფრანცი საწოლში ტრიალებს, აქეთ-იქით აწყდება). ახლა შენ იმისთვისაც მზად ხარ, რომ აღსარების სათქმელად პასტორთან გაიქცე. კარგი ვინმე ხარ, აი! თუ ეს გინდა, მაშინ გაიქეცი, გაიქეცი, გაიქეცი, სანამ ფეხები არ გაგიჭიმავს. არა, ბატონო პასტორო, ამას არ ვიზამ, საკუთარი ღირსება უფრო ძვირად მიღირს. კუბოს ფიცრამდე ერთგულ ადამიანად დავრჩები, მაგაზე ხელს არ გავისვრი, ბატონო პასტორო. მაგ არამზადის ციხეში შეშვებაც არ შეიძლება, მე ხომ ციხეში ვიჯექი და ამას ამიტომ გეუბნები, ციხე კარგი ადგილია, მაგრამ არა არამზადებისთვის, განსაკუთრებით მაგისთანა გამყიდველებისთვის. თუ ასეთ საშინელებას აპირებდა, რჩევა ცოლისთვის მაინც ეკითხა, ან ვინმე კარგი ადამიანისთვის.

ორჯერ ორი ოთხია და ამ მოცემულობას ვერ შეცვლი.

თქვენ ახლა ხედავთ ადამიანს. მაპატიეთ, ბატონო პასტორო, თქვენ ხომ ახლა მსახურებაზე მიგეჩქარებათ, მე კი გაყოვნებთ... მაგრამ მუცელი საშინლად მტკივა! არა, თქვენ მშვიდად ბრძანდებოდეთ, თავს ხელში აუცილებლად ავიყვან! ფრაუ შმიდტ, ერთი ჭიქა წყალი. ეს აუტანელი ქალი ცხვირს ყველგან ყოფს!

ფრანცის შემობრუნება. ფრანცი ებრაელებთან გამოსამშვიდობებელ მარშს უკრავს

ფრანც ბიბერკოპფი ძლიერი, ვითარცა მახრჩობელა გველი, მაგრამ ამჯერად დასუსტებული, ადგა და მიუნცშტრასეზე ებრაელებთან წავიდა. მაგრამ იქ პირდაპირ კი არა, მიხვეულ-მოხვეული გზებით გაემართა. უნდა ყველაფერს წერტილი დაუსვას, თავიდან მტანჯველი ფიქრები გამოიბერტყოს. და აი, ფრანც ბიბერკოპფი ისევ ფეხზეა. იარე, ფრანც, იარე. ქუჩაში ცივა, ქარი ქრის, მაგრამ სუფთა ჰაერია და მას სიამოვნებს. აბა, ასეთ ამინდში რომელიმე სადარბაზოსთან გაყინული ფეხებით დგომა და გაზეთების გაყიდვა ან ხელში შემთხვევითი ნივთებით კარდაკარ სირბილი ვის მოუნდება? ალბათ, მხოლოდ გიჟს. აბა, ბატონო, ერთგულება უფრო ძვირად ფასობს. ბედნიერებაა, სოროდან რომ გამოძვრა და ქალების ყიყინი აღარ ესმის. აი, ფრანც ბიბერკოპფი აქ არის, ქუჩაში მიაბიჯებს. ყველა ლუდხანა ცარიელია. რატომ? ვიგინდარებს ჯერ სძინავთ. ლუდხანების მეპატრონეებმა თავიანთი თხლე თვითონ დალიონ. ჩვენ კი თავი დაგვანებონ! ჩვენ არაყს ვსვამთ.

ფრანც ბიბერკოპფი, გრუზა მამაკაცი, რომელსაც რუხ-მომწვანო ფარაჯა აცვია, ბრბოში გზას დინჯად მიიკვლევს. დიასახლისები ბოსტნეულს, ყველს, ქაშაყს პირდაპირ ფურგონებიდან ყიდულობენ. მწვანე ხახვი, მწვანე ხახვი, იყიდეთ, მადამ, სულ ქორფაა!

ადამიანები აკეთებენ იმას, რაც შეუძლიათ. შინ ბავშვები ჰყავთ, მშიერი ბარტყებივით ნისკარტდაღებული, მშია, მშია, ლუკმას ჩაუდებ და ყლაპ. ნისკარტს დახურავენ, გააღებენ, დახურავენ და ა.შ.

ფრანცმა ნაბიჯს აუჩქარა, კუთხემდე რომ მივიდა, გაუხვია. რა კარგია სუფთა ჰაერზე. დიდ ვიტრინას შედარებით დიდი ნაბიჯებით ჩაუარა. რა ღირს ნეტავ წაღები? ლაკის სამეჯლისო ფეხსაცმელები ფეხზე, ალბათ, ლამაზია. მეჯლისზე ამ ფეხსაცმელებით მოცეკვავე კოპწია გოგო მართლაც რა თვალწარმტაცი სანახავი იქნება. აი, ლისარეკი. იქ, ტეგელში, ჩემთან ერთად რომ იჯდა, მაიმუნივით ნესტოებდაბერილი ხანდაზმული ჩეხი, მის ცოლსა და საყვარელს (ეს ღმერთმა იცის) ყოველ ორ კვირაში ერთხელ ქალის ორი წყვილი აბრეშუმის წინდების მოტანას აიძულებდა: ერთი წყვილი ახალი უნდა ყოფილიყო, მეორე - ნახმარი. არ ანაღვლებდა, ქალი ამ ძვირად ღირებულ წინდებს უკანასკნელი კაპიკებით იყიდდა თუ მოიპარავდა. მთავარი იყო, ლისარეკისთვის აუცილებლად მოეტანა. და აი, ერთხელაც წავასწარით - ვხედავთ, კაცს ჭუჭყიან

ფეხებზე ქალის წინდები აცვია, ზის, თავის ფეხებს დასცქერის, სახე ჭარხალივით წითელი აქვს, ხელებით თავის ასოს არის ჩაფრენილი, თანაც ქათამივით კაკანებს, ერთი სიტყვით... სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. „ავეჯი განვადებით, სამზარეულოს ავეჯი, განვადება - 12 თვე“.

ფრანცი კარგ ხასიათზეა, კი არ მიდის, მისეირნობს. და ეს სიამოვნებს. მხოლოდ ეგ არის, დროდადრო ტროტუარზე უნდა დაიხედოს. ეს აუცილებელია. უნდა დარწმუნდეს, რომ ტროტუარი არ ქანაობს. არა, არ ქანაობს: გლუვია, მყარი და მაგარი! მერე კი მაღლა აიხედავს, სახლებს თავიდან ბოლომდე თვალს შეავლებს, დარწმუნდება, რომ სახლებიც არ ქანაობენ, დგანან მყარად. მაგრამ ასე დიდხანს გაგრძელდება? ღმერთო, ამ სახლებს რამდენი ფანჯარა აქვს, საკმარისია, ფანჯრები წინ გადმოიწიონ და სახლებიც დაგვერდდებიან, აქანავდებიან, მაშინ სახურავებიც დაიძვრებიან, ქვიშასავით ჩამოიშლებიან და ისე, როგორც ქარში თავიდან შლაპა, ქვემოთ ჩამოფრინდებიან. ყველა, ყველა სახურავი ხომ დამრეცად აწყვია. თუმცა უბრალოდ კი არ აწყვია, არამედ ნივნივებით და კიდევ ბევრი რამით არიან დამაგრებული. მტკიცედ და ერთგულად დგანან რაინის მცველები. გამარჯობა, ბატონო ბიბერკოპფ! სწორდი, თავი მაღლა, ზურგი სწორად, მკერდი წინ, ძველო მეგობარო, ბრუნენშტრასეზე ნაბიჯით იარ! როგორც ციხის უფროსი ამბობდა, ჩვენ, ადამიანებს, ღმერთი დაგვიფარავს, ჩვენ ხომ ერთმანეთის მოქალაქეები ვართ!

ვინმე ტყავისქუდიანი ტიპი, ჩამომჭკნარი ფერმკრთალი სახით, წინ გამოწეული ქვედა ტუჩით, ნიკაპზე ნეკათითით პატარა მუწუკს იწვალებს. მასთან ახლოს, მაგრამ გეზად დგას სხვა, მხარბეჭიანი კაცი, უკანალზე ოდნავ მოფამფალებული შარვლით. ისინი გზას კეტავენ. ფრანცი ამ ორს გვერდს უვლის. ტყავისქუდიანი ბეჭდიანი თითით მარჯვენა ყურში იჩიჩქნება.

ფრანცი კმაყოფილია, ყველაფერი წესრიგშია: ადამიანები ქუჩაში მშვიდად მიდი-მოდიან, მზიდავებს საზიდრებიდან საქონელი გადმოაქვთ, სახლები არ იძვრის, მათ არემონტებენ. ჭექა- ქუხილის გუგუნის მსგავსი ისმის მოწოდება, - თუ სხვები მიდიან, მაშინ ჩვენც წავალთ! კუთხეში, აფიშების ტუმბოზე, თავს იწონებს ყვითელი პლაკატი, რომელზეც დიდი, ლათინური ასოებით წერია: „ნახევარდაცვის მეფე“ და „რაინის ჯადოსნურ სანაპიროზე“. ხიდზე, ტროტუარზე ხუთი კაცი წრედ დგას და ურეებს

აქნევს, ასფალტს ამტვრევენ. იმას, შალის მწვანე ქურთუკი რომ აცვია, ჩვენ ვიცნობთ, ნამდვილად, მაშასადამე, სამუშაო უშოვია, ეგ არაფერი. მაგის გაკეთება ჩვენც შეგვიძლია, ოღონდ მოგვიანებით! ურო მარჯვენა ხელში გიჭირავს, მაღლა ასწევ, მოიქნევ, მარცხენას მარჯვენას მიაშველებ და ბაახ! ეს ჩვენ ვართ, მუშათა გვარდია. მარჯვენით ასწიე, მარცხენა მიაშველე. „ყურადღება, სამშენებლო სამუშაოები. შტრალაუსის ასფალტის კომპანია“.

ფრანცი ტროტუარიდან ჩამოდის, გზას ქვაფენილზე აგრძელებს. მის გვერდით ტრამვაები მიხრიგინებენ. ყურადღება, ტრამვაიდან მოძრაობის დროს ჩამოხტომა სიცოცხლისთვის სახიფათოა! ტრამვაის გაჩერებას დაელოდეთ! პოლიციელმა კვერთხი დააქნია, მანქანები გაუშვა. ვინმე ფოსტალიონმა გზაზე გადარბენა მოასწრო. ჩვენ კი არ გვეჩქარება, მოვიცდით, - ებრაელები არსად გაიქცევიან. ფეხსაცმელები დამესვარა! თუმცა ისედაც დიდი ხნის გაუწმენდავი იყო, აბა, ვინ გამიწმენდდა. ფრაუ შმიდტისგან ამას ვერ ეღირსები, დიდი ზარმაცი ქალია (ჭერზე ობობას ქსელი, მჟავე ნერწყვი). ფრანცმა ენა გააწკლაპუნა, ვიტრინებისაკენ მიტრიალდა: გარგოილის ავტომობილის ზეთი, ვულკანიზაცია, ბავშვების თმის მოვლა; პიქსაფონი ხელს უწყობს თმის ზრდას. ჩემს მსუქანა ლინას ხომ არ შევუარო? აი, ის კი ფეხსაცმელებს ნამდვილად გამიწმენდს. ლინას გახსენებაზე ფრანცმა ნაბიჯს აუჩქარა, რადგან გაახსენდა ლიუდერსი, ქალის წერილი.

დამაცადე, ლიუდერს, შე მოღალატე, მაგ მუცელს დანით გამოგფატრავ. ო, არა, ღმერთო, ფრანც, ამაზე ფიქრიც კი არ გაბედო, დაივიწყე, მაგისთანა ვიგინდარაზე ხელის გასვრაც არ ღირს, კმარა, ტეგელში ისედაც დიდხანს იჯექი. აბა, ვნახოთ, აქ რა არის? „მამაკაცის ტანსაცმელი. მზა და დაკვეთით“. ძალიან კარგი, დავიმახსოვრებთ. აბა, კიდევ: ავტომობილების შეკეთება, ძარის შეღებვა, სავარძლების შალითების შეკერვა, ძრავის შეკეთება. ეს კი საჭირო საქმეა, დიდი სიჩქარე რომ განავითაროთ. ისე, სხვათა შორის, ნათქვამია: „მოჩქარეს მოუგვიანდესო“, ეს სრული ჭეშმარიტებაა.

მარჯვენა, მარცხენა; მარჯვენა, მარცხენა; მარჯვენა, მარცხენა; წინ, რაც შეიძლება ნელა. ნუ მეჯახებით, ფროილაინ, მოჩქარეს მოუგვიანდესო, ხომ გაგიგიათ? ეს რა არის? ეს მანქანები მამლებივით აყივლდნენ. ფრანცი გამხიარულდა და შემხვედრი სახეები გაცილებით მიმზიდველი და მომხიბვლელი ეჩვენა.

ნაცნობ ქუჩაში თავს შინაურულად გრძნობს. ცივი ქარი ქრის, გაჯერებული სახლების თბილი სარდაფების, ბოსტნეულის, სამხრეთული ხილისა და ბენზინის სუნით. ზამთარში ასფალტს სუნი არა აქვს.

ფრანცი ებრაელებთან დივანზე ერთი საათი იჯდა. ებრაელები ლაპარაკობდნენ, ფრანციც ლაპარაკობდა. ფრანცს უკვირდა, ებრაელებსაც უკვირდათ მთელი ერთი საათის განმავლობაში. მაინც რა უკვირდა ფრანცს, იმ დროს, როცა დივანზე იჯდა,

ებრაელები ლაპარაკობდნენ და ფრანციც ლაპარაკობდა? როცა ფრანცი იქ იჯდა და ლაპარაკობდა და ებრაელებიც ლაპარაკობდნენ, მას უპირველეს ყოვლისა საკუთარი თავისა უკვირდა. საკუთარი თავისა რატომ უკვირდა?! მან საკუთარ თავში შეცდომა აღმოაჩინა და ისევე გადაწყვიტა მისი გამოსწორება, როგორც ბუღალტერი ანგარიშში დაშვებულ შეცდომას გამოასწორებდა, ანუ მტკიცედ და უპრობლემოდ.

გადაწყვეტილია! და ის, რომ გადაწყვეტილება მიიღო, უკვირდა ფრანცს. და როცა იჯდა, ებრაელებს სახეში უყურებდა და თავისი გადაწყვეტილების შესახებ უამბობდა, იცინოდა, ეკითხებოდა, პასუხობდა. ფრანც ბიბერკოპფ, მაგათ შეუძლიათ, რაც უნდათ, ის ილაპარაკონ, მაგათ, მართალია, სუტანები აცვიათ, მაგრამ პასტორები არ არიან. და რაც მათ აცვიათ, ის სუტანა სულაც არ არის, სერთუკია.

ესენი გალიციიდან, ლემბერგიდან არიან, ეს თავად თქვეს, გაიძვერები კი არიან, მაგრამ ვერ მომატყუებენ. ახლა აქ მათთან დივანზე კი ვზივარ, მაგრამ მათსავით არ ვცხოვრობ. რაც შემეძლო, უკვე ყველაფერი გავაკეთე. არ გამოვიდა.

ბოლოს აქ რომ ვიყავი, მაშინ ერთ-ერთ მათგანთან ერთად იატაკზე, ნოხზე ვიჯექი. რა იქნება, ერთხელ კიდევ რომ ვცადო? არა, დღეს არა, ეს წარსულში დარჩა. ახლა კი ვზივარ აქ, სადაც ჯდომა მიღებულია, და თანაც ებრაელებს სახეში ვუყურებ.

ასეა, ადამიანი მანქანა არ არის, აკეთებს იმას, რისი ძალაც შესწევს. მეტს ვერ გამოწურავ. მეთერთმეტე ცნება გვასწავლის: თავს ნურავის გააბრიყვებინებ! ეგრეა თუ არა? ამ ძმებს რა კარგი ბინა აქვთ, სადა, ზიზილპიპილების გარეშე, ზედმეტი არაფერი. ჰო, მაგრამ ამით ფრანცს ვერ გააკვირვებ! ის დრო წავიდა.

დაწექით, ძილის დროა, ვისაც საწოლი აქვს, საწოლზე დაწვეს, ვისაც არა აქვს, იატაკზე. შაბაშ! ფრანცი აღარ იმუშავებს! ადამიანს მეტი არ შეუძლია, საკუთარ თავს ვერ გადაახტება. თუ ტუმბო ქვიშით გაიტენება, მას ვეღარაფერი უშველის. და აი, ფრანცი აღარ იმუშავებს, აღარასოდეს. იგი სამსახურიდან გადადგა, უპენსიოდ. ფრანცი ტახტის კიდეს მიშტერებია და ფიქრობს: ეგ როგორ იქნება, უმუშევარი, პენსიის გარეშე.

- თქვენისთანა ჯანმრთელი და ღონიერი ადამიანი კი არ უნდა სვამდეს, მამაზეციერს მადლობას უნდა სწირავდეს, - ამბობს წითური ებრაელი, - აბა, რა უნდა აკეთოთ?

შეგიძლიათ ხელი მოჰკიდოთ ნებისმიერ საქმეს, ერთი თუ არ გამოგივათ, მეორე სცადეთ. მაგალითად, შეგიძლიათ

ბაზარში წახვიდეთ და მყიდველებს პროდუქტით სავსე ჩანთების წაღებაში დაეხმაროთ, ან თუნდაც სადგურში მგზავრებს... როგორ გგონიათ, ერთმა ასეთმა ადამიანმა, გასულ კვირას თუ იცი, რამდენი წამგლიჯა, ნახუმ? აბა, გამოიცანი. კარადასავით კაცმა, ნამდვილმა გოლიათმა, ღმერთო, შენ დამიფარე! ორმოცდაათი პფენიგი. დიახ, დიახ, ორმოცდაათი პფენიგი! სულ პატარა ჩემოდნის წაღებაში და რა მანძილზე! როგორც აქედან იმ კუთხემდე. ანუ ორიოდე ნაბიჯზე წავაღებინე. შაბათი იყო და ჩემოდნის ტარება არ მინდოდა. და აი, ორმოცდაათი პფენიგი წამგლიჯა. ისეთი თვალებით შევხედე, მისი განგმირვა მინდოდა. ამის გაკეთება თქვენც შეგიძლიათ. მოიცადეთ, მე უფრო კარგი რამ მოვიფიქრე. ფეიტელთან უნდა წახვიდეთ, იმ კაცთან, ხორბლით რომ ვაჭრობს, ელიზერ, ფეიტელს ხომ იცნობ?

- ფეიტელს არა, მაგის ძმას ვიცნობ.

- ფეიტელი ხომ ხორბლით ვაჭრობს და ვინ არის მისი ძმა?

- ხომ გითხარი, ფეიტელის ძმა არის.

- მე რა, ბერლინში ყველას ვიცნობ?

- ფეიტელის ძმა ფულიანი კაცია, დიდი კაპიტალი აქვს.

ელიზერს აღფრთოვანებისგან ენა დაება, მხოლოდ თავს აქნევდა აქეთ-იქით. წითურმა ხელები თავში შემოირტყა:

- რას ამბობ, ეგ ხომ ჩერნოვიცელია.

ებრაელებს ფრანცი სულ დაავიწყდათ, ფეიტელის ძმის სიმდიდრეზე ღრმად ჩაფიქრდნენ. წითური ცხვირის სრუტუნით ოთახში აღელვებული დააბიჯებდა. ელიზერი კი ხვად კატასავით კრუტუნებდა, თითებს ატკაცუნებდა და წითურს სარკასტული ღიმილით უყურებდა.

- მდაა!

- დიდებულია, რასაც შენ ამბობ.

- ყველაფერი, რაც ამ ოჯახიდან მოდის, ოქროა. ოქროზე მეტიც.

წითურმა წინ და უკან იარა და ბოლოს გაოგნებული ფანჯარასთან დაჯდა. იმან, რაც ფანჯრის მიღმა დაინახა, მას ზიზღი მოჰგვარა. აკაპიწებული სახელოებით ორი ტიპი

ძველ, გაქუცულ მანქანას რეცხავდა. ერთს აჭიმები ჩამოსცვენოდა და ქვემოთ ეკიდა, ისინი ვედროთი წყალს მოათრევდნენ, მთელი ეზო წყლით იყო მორწყული. წითური ფრანცს მიაშტერდა ოქროზე ოცნებით სავსე თვალებით.

- აბა, ამაზე რას იტყვი?

აბა, ამ საწყალმა კაცმა რა უნდა თქვას? ნახევრად შეშლილმა. ამ შარვალგამოხეულს ჩერნოვიცელი ფეიტელის ფულისა ხომ არაფერი გაეგება. ფეიტელი ამ საცოდავს ფეხსაცმელებსაც კი არ გააწმენდინებს.

ფრანცმა წითურის მზერას თვალი გაუსწორა. დილა მშვიდობისა, ბატონო პასტორო, ტრამვაები გაბმულად გრუხუნებენ. გრუხუნი მათი წამით არ ჩერდება, უკვე თავი მომაბეზრეს, მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, ზარებმა რა დარეკეს, იმაზე მეტს, რაც გააჩნია, ვერც ერთი ადამიანი ვერ გასცემს. ახლა შაბაშ! იგი აღარ იმუშავებს. არასოდეს. ვერავინ მაიძულებს, თუნდაც მთელი ქვეყანა იწვოდეს, თითს თითზე არ დავადებ!

გველი ხიდან შრიალით ჩამოცურდა. და უთხრა უფალმა გველს: რაკი ეს ჩაიდინე, წყეულიმც იყავ ყველა პირუტყვს შორის, ყველა გარეულ ცხოველს შორის! მუცლით იხოხე და მტვერი ჭამე მთელი სიცოცხლე. მტრობას ჩამოვაგდებ შენსა და დედაკაცს შორის, შენს თესლსა და დედაკაცის თესლს შორის: ის თავს გიჭეჭყავდეს, შენ კი ქუსლს უგესლავდე! ევას უთხრა: სატანჯველს გაგიმრავლებ და გაგიძნელებ ორსულობას, ტანჯვით შობ შვილებს. ქმრისკენ გექნება ლტოლვა, ის კი იბატონებს შენზე.

ადამს უთხრა: რაკი შენ დედაკაცს დაუჯერე და შეჭამე ხის ნაყოფი, რომლის ჭამა აკრძალული მქონდა შენთვის, მიწა დაიწყევლოს შენ გამო: ტანჯვით მიიღებდე მისგან საზრდოს მთელი სიცოცხლე. ძეძვი და ეკალი აღმოგიცენოს და მინდვრის ბალახი იყოს შენი საზრდო. პიროფლიანი ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე, რადგან მისგან ხარ აღებული, რადგან მტვერი ხარ და მტვრადვე მიიქცევი. საკმარისად იმუშავე და გეყოფა, ფრანც! მთელი ქვეყანაც რომ ცეცხლში გაეხვიოს, თითს თითზეც არ დავადებ.

ეს ფიქრი თითქოს რკინის ძალაყინია, ფრანც ბიბერკოპფის ხელში, ამით იჯდა იგი აქ და მერე კარიდანაც ამით გავიდა. რაღაც წაიბურტყუნა. აქ ყოყმანით მოვიდა, ტეგელის ციხიდან რამდენიმე თვის წინ გამოუშვეს, იქიდან ტრამვაით წამოვიდა, ძინ-ძინ, ქუჩებში სახლები ქანაობდნენ და სახურავები ქვემოთ მოცურავდნენ, მერე ებრაელებთან იჯდა. იგი ადგა, ახლა სხვაგან წავიდეთ, მაშინ ხომ მინასთან წავედი. აქ რა მინდა, მინასთან წავალ, თანამიმდევრობით გავიხსენოთ, მაშინ რა მოხდა.

ფრანცი წავიდა. სახლის წინ, სადაც მინა ცხოვრობდა, აქეთ-იქით დიდხანს დადიოდა. ისე, ამ ქალთან რა მესაქმება? იყოს და ეალერსოს თავის ბებერ ქმარს, რა ჩემი საქმეა. სახლიდან ბოლოკმა და მჟავე კომბოსტომ გამომაგდეს, დედაჩემს რომ ხორცი მოეხარშა, დავრჩებოდი მასთან. აქაც ისევე ყარან კაცები, როგორც სხვა ადგილებში. კურდღელო, გაქრი, როგორც ძეხვი კარადაში. კი მაგრამ, აქ იდიოტივით რას დავეხეტები და ამ სახლს შევცქერი. ასეულო, სწორდი, ზურგისაკენ, ნაბიჯით იარ! და მთელი კომპანია აყვირდა.

ყიყლიყო, ყიყლიყო, ასე თქვა მენელაოსმა და ტელემაქეს უნებლიეთ გული აუჩუყა. ვაჟიშვილის წამწამებს მსხვილი ცრემლი მოსწყდა, ლოყაზე ჩამოუგორდა და მან აცრემლებულ თვალებზე ძოწისფერი მანტიის კალთა აიფარა. ამასობაში საქალებოდან ელენე გამოვიდა, მშვენიერი, ვითარცა სილამაზის ქალღმერთი.

ყიყლიყო! მრავალი ჯიშის ქათამი არსებობს. ჩემთვის რომ ეკითხათ, რომელი ჯიშისა გიყვარსო, დაუფიქრებლად და გულწრფელად ვუპასუხებდი: შემწვარი. ქათმების ოჯახს ეკუთვნის ხოხობიც, ხოლო ბრემის წიგნში „ცხოველების ცხოვრება“ წერია, რომ ჯუჯა ქათამი ჭაობის ქათმისგან არა მარტო მომცრო ზომით განსხვავდება, არამედ იმითაც, რომ გაზაფხულზე ორივეს, მამალსაც და დედალსაც, თითქმის ერთნაირი ნაკრტენი აქვთ. აზიის მკვლევრებისთვის ცნობილია აგრეთვე მონიალი თუ მონალი, რომელსაც „ბრწყინვალე ხოხობს“ უწოდებენ. მისი ნაკრტენის ხასხასა, მკვეთრ ფერთა გამის აღწერა შეუძლებელია. მისი გაბმული, შესაბრალისი სტვენა, რომლითაც მეწყვილეს უხმობს, ტყეში დღის ნებისმიერ დროს გაისმის, უფრო ხშირად კი განთიადისას და მოსაღამოებულზე.

თუმცაღა ეს აქედან ძალიან შორს, ინდოეთში, სიკიმსა და ბჰუტანს შორის ხდება და ბერლინისთვის მხოლოდ გამოუსადეგარი, ეგზოტიკური სიბრძნეა.

რა ადამიანი და რა საქონელი - სიკვდილი ორივეს ხვედრია

ბერლინის სასაკლაო ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ელდენაერშტრასესა და ტაერშტრასეს შორის, ტანდსბერგერალეესა და კოტენიუსშტრასეს გავლით, საოლქო რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიაზეა თავისი ადმინისტრაციული კორპუსით, საქონლის დასაკლავი გომურითა და ბაკებით.

სასაკლაოს **47,88** ჰექტარი უკავია და მის მშენებლობაზე სულ **27.093.492** მარკა დაიხარჯა, აქედან საქონლის მოსარეკ ბაკზე - **7.682.844** მარკა, ხოლო სასაკლაოზე **– 19.410.648** მარკა.

საქონლის ბაკი, სასაკლაო და ხორცის საბითუმო ბაზარი ქმნის ერთ მეურნეობას, რომელსაც მართავს სპეციალურად შექმნილი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც არიან საქალაქო მაგისტრატის ორი წევრი, რაიონული მაგისტრატის ერთი წევრი, თერთმეტი საკრებულოს დეპუტატი და სამი ბიურგერთა წარმომადგენელი. მეურნეობაში დასაქმებულია **258** კაცი, მათ შორის არიან ვეტერინარები, სანექიმები, მდაღავები, სანექიმებისა და ვეტექიმების დამხმარე პერსონალი, მომსახურე პერსონალი და მუშები. **1900** წლის **4** ოქტომბრით დათარიღებული საერთო დებულება არეგულირებს საქონლის მორეკვის, ფურაჟის მოტანის რიგითობას, აწესებს გადასახადის ტარიფს ბაკში საქონლის დაყენებაზე, დაკვლაზე, საღორეებში საკვები გეჯების დასუფთავებაზე.

სასაკლაოს გარს არტყია ჭუჭყიანი ქვის გალავანი, ზემოთ ეკლიანი მავთულხლართით. ღობის მიღმა შიშველი ხეები დგანან. ხეები თავიანთ წვენს ფესვებში ინახავენ, გაზაფხულს ელოდებიან. ხორცის გადასატან ყვითელ და წითელბორბლებიან ოთხთვალებში შებმული ცხენები ჩორთით მოდიან. ერთ ოთხთვალას უკან გაძვალტყავებული ფაშატი მოსდევს. იწყება ვაჭრობა. ვიღაც ტროტუარიდან ყვირის:

- ეი, ემილ! ფაშატში **50** მარკას მოგცემ და რვა კაცზე პურმარილს ვკისრულობ.

ფაშატი ადგილზე ტრიალებს, კანკალებს, ხის ქერქს ძიძგნის. მეეტლე სადავეს ქაჩავს:

- თუ 50 მარკას გადაიხდი და პურმარილსაც გაშლი, მაშინ თანახმა ვარ, ოტო, თუ არა და აქედან

გაქრი!

მყიდველი ფაშატს ხელს დაუსვამს.

- კარგი, შევთანხმდით.

ადმინისტრაციის ყვითელი შენობა და მის წინ ობელისკი - ომში დაღუპულთა პატივსაცემად აღმართული. მარჯვნივ და მარცხნივ მინისსახურავებიანი ბარაკების რიგები. ამ ბარაკებში საქონელი თავის მწარე ხვედრს, ანუ აღსასრულს ელოდება. გარეთ, კედელზე, შავი დაფა ჰკიდია, ზედ აწერია: „ბერლინის ხორცით ბითუმად მოვაჭრეთა გაერთიანების საკუთრება. დაფაზე განცხადების გამოკვრის მსურველებმა ნებართვა უნდა აიღონ. ადმინისტრაცია“.

გრძელ დარბაზს კარები მიუყვება, შავი ხვრელების მსგავსი. კარები დანომრილია **26, 27, 28.** მსხვილფეხა საქონლის ბაგა, ღორების სადგომი, სასაკლაო ოთახები: - სიკვდილმისჯილთათვის განაჩენის აღსრულების ადგილი, მოქნეული ნაჯახების სამფლობელო, აქედან ცოცხალი ვერავინ გავა.

სასაკლაოს ირგვლივ მშვიდობიანი ქუჩები აკრავს: შტრასმანშტრასე, ლიბიგშტრასე, პროსკაუერი, ბაღები, სადაც ადამიანები დასეირნობენ. ისინი ერთად თბილად ცხოვრობენ, როცა ერთი ავად ხდება და ყელი ასტკივდება, სხვები მაშინვე ექიმის მოსაყვანად გარბიან.

მეორე მხრიდან კი **15-**კილომეტრიანი საგარეუბნო რკინიგზის ტოტი ერტყმის. აქ საქონელი პროვინციებიდან ჩამოჰყავთ: აღმოსავლეთ პრუსიიდან, პომერანიიდან, ბრანდენბურგიდან. დასავლეთ პრუსიიდან ცხვრები, ღორები და ხარები ჩამოჰყავთ. როცა საბიჯელაზე ჩამოდიან, ისინი ღრუტუნებენ, ზმუიან, ზღავიან. ღორები მიწას ღრუტუნით ყნოსავენ, ისინი ხომ ვერ ხედავენ, სად მიერეკებიან. საღორეში კი თეთრები და მსუქნები ისე, როგორც ქილაში ქაშაყები, ერთმანეთთან მჭიდროდ მიკრულები წვანან. თვალს ატყუებენ, სძინავთ, ძილში ღრუტუნებენ. მათ ხომ დიდხანს მოერეკებოდნენ, მერე მატარებელში იჯაყჯაყეს, ახლა მართალია, მათ მუცლებს ქვემოთ აღარაფერი ვიბრირებს, მაგრამ ქვის ფილები ძალიან ცივია. ღორებს ეღვიძებათ, ისინი ხომ ლამის ორ იარუსად წვანან. საღორის ჭერქვეშ საკუთარი ადგილისთვის ბრძოლას იწყებენ, ხრიალებენ, ერთმანეთს ახტებიან. ერთიმეორეს

ყელში, ყურებზე ჰკბენენ, ბზრიალებივით ტრიალებენ. შიგადაშიგ ჩაჩუმდებიან, დამშვიდდებიან. ღრენა მხოლოდ აქა-იქ ისმის. ბოლოს ერთ- ერთს მოთმინება უმტყუნებს, წამოხტება და თანამოძმეთა ტანზე გადარბის, მას მეორე ღორი დაედევნება, გზად ჰკბენს ყველას, მარცხნივ და მარჯვნივ. ქვედა იარუსი ამოძრავდება, აქეთ- იქით გაიწევ-გამოიწევს და მოჩხუბრები იატაკზე ცვივიან, ისევ წამოხტებიან და სიბნელეში ერთმანეთს ეძებენ.

ამ დროს კაცი გამოჩნდება, თხელი ტილოსქურთუკიანი, სადგომს აღებს და ღორებს ხელკეტით ფანტავს. კარი ღიაა და ღორების კოლტი დაიძვრება, გარეთ გამოსვლას ყველა ერთდროულად ცდილობს. ისმის ჭყვიტინი, ღრუტუნი. რაც შეიძლება ჩქარა, გარეთ, გაუმარჯოს თავისუფლებას! თეთრ, სასაცილო, მრგვალბარკლებიან, ხვეულკუდებიან და ზურგზე მწვანე და წითელლაქებიან ღორებს ეზოში ერეკებიან. საყვარელო ღორებო, აი, თქვენი ნანატრი მზე და მიწა. უყნოსეთ, მოჩიჩქნეთ დინგებით. მალე თქვენი აღსასრულის ჟამი დადგება. მალე? კიდევ მაინც რამდენი წუთი დაგვრჩა? მართალი ხართ, ხომ არ შეიძლება ადამიანმა სულ საათის მიხედვით იმუშაოს. ახლა კი გაიხარეთ, მიწას უყნოსეთ და ჩიჩქნეთ დინგებით! დასაკლავად ჩამოგიყვანეს. ბატონებო, ეს სასაკლაოა, აქ ღორებს კლავენ. ამ ტერიტორიაზე ძველი სასაკლაოებიც არის, მაგრამ თქვენ წილად გხვდათ ბედნიერება დაიკლათ თანამედროვე, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილ სასაკლაოში, რომელიც განლაგებულია წითელი აგურით ნაგებ ისეთ დიდ და ნათელ შენობაში, რომ ადამიანს ერთი შეხედვით კანცელარია ან საკონსტრუქტორო ბიურო ეგონება. აბა, ჯერჯერობით, ჩემო ღრუტუნებო, თქვენ ამ შესასვლელით შეხვალთ, მე კი იქით წავალ, მე ხომ ადამიანი ვარ და აი, იმ კარიდან შევალ, შიგნით კი ერთმანეთს ისევ შევხვდებით.

მძიმე კარს ხელს ჰკრავ, იღება და არ იკეტება, აქეთ-იქით ქანაობს. აუ, რა ორთქლია! საიდან ეს ორთქლი? მთელი დარბაზი ორთქლში ისეა გახვეული, ადამიანს თავი აბანოში ეგონება. ღორები იორთქლებიან, როგორც რუსულ-რომაულ აბანოში. ალალბედზე მიდიხარ, სათვალე დაიორთქლა, ტანზე თუ არ გაიხდი, ოფლად დაიღვრები. სამაგიეროდ, რევმატიზმისგან განიკურნები, მარტო კონიაკი ვერ მოგარჩენს. ფეხსაცმელებს მიატყაპუნებ. ვერაფერს ხედავ, ორთქლი ერთობ სქელია. ყოველი მხრიდან ისმის: ჭყვიტინი, ხრიალი, ტყაპანი, თხლაშანი, მამაკაცების ხმები.

ხელსაწყოების ჩხრიალი, ღრჭიალი, სახურავების დახურვის ხმა. სადღაც ღორები უნდა იყვნენ, ისინი აქ იქიდან, ეზოდან შემოვიდნენ. ოჰ, ეს სქელი თეთრი ორთქლი. აი, ღორებიც, აქ არ ყოფილან? მაგრამ უკვე დახოცილები, თავით დაღმა დაკიდულები, სისხლისგან დაწრეტილები, ლამის მოსახარშად გამზადებულები. აქვე კაცი დგას და თეთრ, ორად გახლეჩილ ღორებს რეზინის შლანგით რწყავს. ისინი რკინის კრონშტეინებზე ჰკიდია, თავდაღმა, ზოგიერთი მთლიანად, ასეთებს უკანა ფეხებს შორის ხის განმბრჯენებს უდებენ. ასეა, მკვდარ ცხოველს უკვე არაფრის

გაკეთება არ შეუძლია, გაქცევაც კი. ორ მამაკაცს ორთქლის ღრუბლებს შორის რკინის შტანგაზე წამოცმული, ეს-ეს არის გატყავებულ-გამოშიგნული ღორი მოაქვს, ზემოთ ასწევენ და ხარიხის კაუჭებზე ჰკიდებენ. იქ უკვე ქანაობენ მისი თანამოძმეები, იატაკის ქვის ფილებს მდუმარედ ჩაშტერებული. ირგვლივ კი ღორის მოჭრილი ფეხები გროვებად ყრია.

ამ ნისლში დარბაზში გზას მიიკვლევ, იატაკის ფილები წყლისა და სისხლის ნაზავით ვარდისფრად არის დახაზული. რკინის დგამებზე ერთმანეთის მიყოლებით უკვე გამოშიგნული თეთრი ღორები, გრძელ, ჰორიზონტალურ ჯოხზე მიბმულები, ზემოთ ფეხაშვერილები აწყვია. აქ კი, ალბათ, კამერებია, სადაც ღორებს კლავენ, დიახ, ასეა. აქედან ისმის ყრუ ბრახუნი, ტყაპანი, ჭყივილი, ყვირილი, ხრიალი, ღრუტუნი. აქ კი დგანან მოთუხთუხე ქვაბები, როფები, კოდები. აქედან მოდის მთელი ორთქლიც, რომელიც მთელ დარბაზს ავსებს. მუშები დაკლულ ცხოველებს მდუღარეში დებენ, მერე ბეწვს აცლიან და იქიდან გათეთრებული ამოაქვთ. ერთ-ერთი მუშა დარჩენილ ბეწვს ტყავიდან დანით ფხეკს და ნაკლავი კიდევ უფრო თეთრი და გლუვი ხდება. მერე კი ისინი, თეთრები და სუფთები, თითქოს ქათქათა ახალ პერანგებში, ისე, როგორც ცხელი აბაზანის მიღების ან მასაჟის შემდეგ მოთენთილები, ნეტარებაში მყოფნი გრძელ სკამებზე, თაროებზე ერთმანეთის გვერდით, ერთ მხარეს გადატრიალებულები უმოძრაოდ წვანან. ზოგიერთს ორრიგად ჩამწკრივებული ძუძუები უჩანს. ღორს რამდენი ძუძუ აქვს? ეტყობა, ჯიშიანი ცხოველებია. მაგრამ ეს რა არის? ყველას, გამონაკლისის გარეშე, წითელი ნაჭრილობევი აქვს. უცნაურია, ძალიან უცნაური!

ჭრიალი, სადღაც გვერდით კარი ისევ გაიღო, ორთქლი ილექება, იფანტება, ღორების ახალი კოლტი შემორეკეს. აბა, გაიქეცით, თქვე ვარდისფერო, სასაცილობარკლებიანო, ხვეულკუდებიანო, ჭრელლაქებიანო ღრუტუნებო. ყველას თავისი გზა და შესასვლელ-გასასვლელი აქვს. თქვენ აქ გვერდითა კარიდან შემოგიშვეს, მე კი მთავარი შემოსასვლელიდან შემოვედი.

მოვარდისფრო, ღიმილის მომგვრელი ჯერ კიდევ ცოცხალი არსებები გარბიან, ახალ კამერაში ჰაერს ყნოსავენ. აქ ცივა, ისევე, როგორც იქ, სადაც აქამდე იყვნენ, თანაც ნესტია, იატაკი მოლიპულია და სრიალა, წითელლაქებიანი. ეს რა შეიძლება იყოს?

საგონებელში ჩავარდნილი ღორები ლაქებს დინგებს უსვამენ.

ერთი ფერმკრთალი ახალგაზრდა კაცი, შუბლზე ჩამოშლილი მიწებებული ქერა თმით დგას და სიგარას ეწევა. აბა, ღრუტუნებო, ყურადღება მიაქციეთ ამ კაცს, რამეთუ ეგ არის ბოლო ადამიანი, ვისთანაც თქვენ ამქვეყნიურ სიცოცხლეში საქმე გექნებათ. მაგრამ მას ერთობ მკაცრად ნუ განსჯით, იგი ხომ მხოლოდ სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებს. მან მხოლოდ თქვენთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ფორმალობა უნდა მოაგვაროს. ქერათმიანს შარვლის ტოტები მაღალყელიან, მუხლზედა ჩექმებში აქვს ჩატანებული, ზემოთ კი პერანგი აცვია და აჭიმები უკეთია. ეს მისი სპეცტანსაცმელია. აი, კაცმა პირიდან სიგარა გამოიღო, კედელზე მიჭედებულ თაროზე დადო და კუთხეში აყუდებული გრძელტარიანი ნაჯახი აიღო. ნაჯახი არის მისი წოდებისა და თქვენზე მისი ძალაუფლების სიმბოლო, ისეთივე, როგორიც მაძებრისთვის - ჟეტონი. ახლა ეგ კაცი თქვენ ამ ჟეტონს წარმოგიდგენთ. ეს გრძელი ხისტარიანი ნაჯახია, რომელსაც კაცი მხრების სიმაღლემდე ასწევს და ცდილობს, დაუმიზნოს გოჭებს, რომლებიც მის ფეხებთან უშფოთველად ფუთფუთებენ, ყნოსავენ, ღრუტუნებენ. კაცი კი მათ შორის დადის თვალებდახრილი და ეძებს ვიღაცას თუ რაღაცას. იძებნება ვინმე მავანი, X-ის მიერ Y-ის წინააღმდეგ აღძრული საქმის ირგვლივ დასაკითხად. აი, ერთს, რომელიც მის ფეხებთან მიცუნცულდა, წაასწრო და ნაჯახი ბლაგვი მხარით ელვის სისწრაფით თავში ჩაარტყა! აი, კიდევ ერთი! ახალგაზრდა კაცი ძალიან სწრაფად მუშაობს, მისთვის კვლა ხომ ნებადართულია და ამიტომ ღორების გროვაში ციბრუტივით ტრიალებს და ნაჯახის ბლაგვ ყუას მათ თავში გამეტებით ურტყამს და ურტყამს. ღრუტუნები კი დაბლა ძალიან ღელავენ: ერთმანეთს აწყდებიან, ფეხები უსხლტებათ, ძირს ეცემიან, გვერდულად. მათ აღარაფერი ესმით. წვანან აქ და არ ესმით, რას სჩადიან მათი ფეხები, თავი! მაგრამ აქ უკვე ღორი არაფერ შუაშია. ფეხები უკვე მისგან დამოუკიდებლად მოქმედებენ.

მეზობელ ოთახში კი, სადაც ქვაბები თუხთუხებენ, ორი ჯეელი კედელში ჩამონტაჟებულ საფარს ზემოთ სწევს, დროა, მუშაობა დაიწყონ და სასაკლაოს კამერიდან გაბრუებული ღორების ამოთრევას შეუდგებიან. სალესზე დანებს ალესავენ, მუხლებზე დგებიან, ჩიკ-ჩიკ და ღორს ყელზე დანას უსვამენ. ჭრილობა გრძელია,

როგორც ტომარა, ისე გადახსნეს. ჩიკ-ჩიკ და მეორე ჭრილი, გაცილებით ღრმა, ცხოველი თრთის, იკრუნჩხება, გონს კარგავს, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ გონს, წინ უფრო დიდი განსაცდელი ელის, ღორი ჭყივის - მას ახლა არტერიები გადაუხსნეს. გონი მისი სამუდამოდ ჩაქრა. შვილო ჩემო, ჩვენ ახლა მეტაფიზიკისა და თეოლოგიის სფეროში შევაბიჯეთ, ჩვენ ახლა ამ ცოდვილ დედამიწაზე აღარა ვართ, ჩვენ ახლა ღრუბლებში დავფრინავთ. ჩქარა, ჩქარა, ბრტყელი გეჯა მოსწიე. მასში ცხელი, მუქი სისხლი მოსჩქეფს, ქაფდება, ბუშტუკებს იკეთებს, მოურიეთ ცოცხლად! სხეულში სისხლი მიედინება, შეიძლება შედედდეს, თრომბი

წარმოიქმნას, ახლა კი იგი სხეულიდან გათავისუფლებული, მოდის ლაღად, მოდის და არ ჩერდება. და არის ისე, როგორც ბავშვი, რომელიც საოპერაციო მაგიდაზე წევს და დედას ეძახის. არადა, დედაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, დედას მასთან მოსვლა არ უნდა. შვილს კი ეთერით გაჯერებული ნიღბის ქვეშ სული ეხუთება და ბოლო წუთამდე, ვიდრე ძალა შესწევს, გაიძახის: დედა, დედა! ჩიკ, ჩიკ, მარჯვნივ არტერიები გახსნილია, მარცხნივ არტერიები გახსნილია. ჩქარა მოურიეთ. ასე. კრუნჩხვები შენელდა. ახლა შენ მშვიდად წევხარ. ფიზიოლოგიასა და თეოლოგიასთან საქმე აღარა გვაქვს, ახლა ფიზიკის სფეროში შევაბიჯეთ.

ყასაბი მუხლებზე რომ იდგა, დგება. მუხლები სტკივა. ღორი უნდა გაითუთქოს, გაიწმინდოს, დაიჩეხოს. კარგად ნაკვები შეფი კი ორთქლის ბოლქვებში წინ და უკან დააბიჯებს, ჩიბუხს აბოლებს, შიგადაშიგ ღორის გაფატრულ მუცელში იჭვრიტება. მოქანავე კარის გვერდით კედელზე აფიშაა გაკრული: „დღეს ფრიდრიხსჰაინის საცეკვაო დარბაზში პირველი კატეგორიის ყასბებისთვის მეჯლისი იმართება. დაუკრავს კერმბახის ორკესტრი“.

გარეთ კი გაკრულია განცხადება: „დღეს გერმანიის დარბაზებში კრივში ტურნირი ჩატარდება. შოსეშტრასე **110**, ბილეთების ფასი **1,50 - 10** მარკა. პროგრამით გათვალისწინებულია ოთხი საკვალიფიკაციო შეხვედრა“.

დღეს საქონლის ბაკში შემორეკილ იქნა **1399** სული მსხვილფეხა საქონელი, **2700** ხბო, **4654** ცხვარი, **1864** ღორი. საბაზრო კონიუნქტურა: განსაკუთრებული მოთხოვნაა მსხვილფეხა საქონელსა და ხბორებზე. ცხვარზე ჩვეულებრივი მოთხოვნაა, დასაწყისში ღორის ხორცზე მოთხოვნა დიდი იყო, მაგრამ დღის ბოლოს ძალზე შემცირდა; მსუქან ღორებზე მოთხოვნა არ არის.

დღეს იმ გზებზე, რომლებზეც საქონელს მოერეკებიან, ქარი ქრის, წვიმს. ხარები და ძროხები ურჩობენ, ბღავიან. ნახირს მენახირეები კეტებით მოსდევენ. ერთმა ბუღამ შუა გზაში ძროხის დაგრილება მოინდომა. სურვილაღძრულ ხარს ძროხა გაურბის, ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ ეხეთქება. ახურებული ხარი კი არ ეშვება, ძროხას ისევ და ისევ ახტება.

სასაკლაოს დარბაზში უზარმაზარი თეთრი ხარი შეჰყავთ. აქ, ფეთიანი ღორების საკლავ

კამერაში რომ იყო, არც ისეთი ორთქლია და არც ისეთი კამერები. ღია კარში ძლიერი ხარები მენახირეების თანხლებით ცალ-ცალკე შედიან. თეთრი ხარის თვალწინ იშლება სისხლიანი დარბაზი შუაზე და ოთხად გაჩეხილი ხარების ჩამოკიდებული ნაწილებით. უზარმაზარ ხარს ფართო შუბლი აქვს. მას კეტის, ფეხისა და ხელის კვრით ყასბისკენ მიერეკებიან, რაც შეიძლება ახლოს. ყასაბი ცხოველს ნაჯახს უკანა ფეხებში მსუბუქად, ბრტყლად ურტყამს, რათა სათანადო მანძილზე მიუახლოვდეს. მერე ერთ-ერთი მენახირე ხარს ქვემოდან ორივე ხელს ყელზე შემოახვევს. ხარი მორჩილად დგას, საოცრად მორჩილად, ყველაფერზე თანახმაა და წინააღმდეგობის გაწევას არ აპირებს. თითქოს მას შემდეგ, რაც ყველაფერი დაინახა, მიხვდა, რომ ეს მისი ბედისწერაა და ვერ გაექცევა. ან იქნებ ჰგონია, რომ მენახირე ეფერება, შორიდან მართლაც ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს. ხარი ყელზე შემოხვეული მენახირის ხელების ნებას დაჰყვება, თავს გეზად და დრუნჩს ზემოთ სწევს.

არადა, მის ზურგს უკან ყასაბმა ურო უკვე აღმართა. უკან არ მიიხედო. ძლიერ ხელებში ჩაბღუჯული ნაჯახი, მის კეფაზე დამიზნებული, ზემოთ უკვე მუქარად ჰკიდია. ბაახ და ჯანმრთელი, ბრგე მამაკაცი ნაჯახის ფოლადის ბასრ პირს ცხოველის კეფაში მთელი ძალით არჭობს. ყასაბი კი ნაჯახის ამოღებას ვერც ასწრებს, რომ მძიმე სხეული ზემოთ აშვერილი ფეხებით თითქოს ზემოთ აფრინდება. მერე კი მოღუნული ფეხებით იატაკზე ეცემა, ამ მდგომარეობაში წამით ქვავდება და ნელ-ნელა გვერდზე გადაწვება. ჯალათი კი ხან მარცხნიდან, ხან მარჯვნიდან კვლავ ურტყამს ნაჯახს თავში: საფეთქლებში, თხემზე, ცდილობს ხარს სიცოცხლის უკანასკნელი ნიშანწყალი გამოაცალოს, თუკი ჯერ კიდევ შერჩენია. დაიძინე, შენ აღარ უნდა გაიღვიძო. მერე მეორე კაცი პირიდან სიგარეტის ნამწვავს აფურთხებს, ხელით ცხვირს იხოცავს, ქარქაშიდან დაშნასავით გრძელ დანას ამოიღებს და ეს-ეს არის გაბრუებული ხარის თავთან ეშვება. კრუნჩხვამ გაუარა, ახლა ფეხებს აფხარკალებს, გავას ზემოთ სწევს. ყასაბი კი იატაკზე რაღაცას ეძებს, დანას დაბლა დებს, ყვირის, სისხლისთვის გეჯა მოიტანეთო. გულის რიტმული ბიძგებით წახალისებული სისხლი ხარის ძარღვებში ჯერ კიდევ მშვიდად მიედინება, მიუხედავად იმისა, რომ ზურგის ტვინი უკვე დაზიანებულია. მაგრამ სისხლი ძარღვებში მაინც მოძრაობს, ფილტვები სუნთქავენ, ნაწლავები მოძრაობენ. ახლა დანას აამოქმედებენ, სისხლი ფეთიანივით გარეთ გამოვარდება და როგორც შლანგიდან, მსხვილ ჭავლად თქრიალით წამოვა ლამაზი,

შავი და მოზეიმე.

...და მაშინ ჩაქრება ნათურები, ჩაცხრება საზეიმო მხიარულება, კარში გამოსამშვიდობებელი ალიაქოთია, ნაქეიფარი სტუმრები უკვე გარეთ ცეკვავენ და გაქრა მსუყე ბალახით მოფენილი თვალუწვდენელი საძოვრები, თბილი ბოსელი, სურნელოვანი საკვები, ყველაფერი, სულ ყველაფერი. დარჩა მხოლოდ ხახადაღებული სიცარიელე, შემზარავი სიბნელე. ეს არის გზა სხვა სამყაროში. ოჰო, მოულოდნელად სცენაზე გამოჩნდება ვინმე ბატონი, ვინც ამ სახლს ყიდულობს.

აქ ახალი გზა გაჰყავთ, ეს სახლი კი დაინგრევა, - კონიუნქტურა ასე მოითხოვს!

უზარმაზარი გეჯა მოაქვთ, ხართან რაც შეიძლება ახლოს მისწევენ. დიდი ცხოველი კი უკანა ფეხებს ზემოთ აისვრის. მას დანას კისერში ურჭობენ, დანის წვერით არტერია ფრთხილად უნდა მოისინჯოს, არტერიას ერთობ მკვრივი გარსი აკრავს, ის კარგად არის დაცული. აი, უკვე გაიხსნა, აი, მეორეც, და ცხელი, ორთქლის მფრქვეველი შავი, შავ-წითელი შადრევნად ამოსჩქეფს, ეხეთქება დანას, მკვლელის მკლავს... და მოსჩქეფს და მოსჩქეფს ეს დაუდგრომელი, შავი, მოზეიმე სისხლი. სტუმრები მოდიან, გარდასახვის დიდებული აქტი თამაშდება. სისხლი შენი მზის სინათლის შენადედია, შენს სხეულში მზე იმალებოდა, ახლა კი ისევ გათავისუფლდა. ცხოველი კანკალით ისრუტავს ჰაერს. ხრიალებს ისე, თითქოს იხრჩობა ან ექავება ტანი. დიახ, სახლს ანგრევენ, ღრჭიალებენ ნივნივები... ხარს გვერდები უძაგძაგებს. ერთმა ყასაბმა მომაკვდავისთვის უკანასკნელი სამსახურის გაწევა გადაწყვიტა. თუ კაცი ეცემა, ხელს ნუ შეაშველებ, ზურგში უბიძგე. იგი სულთმობრძავს ტანზე შეახტება, იქ აცეკვდება, მუცელში ფეხებს ურტყამს, ბუქნავს ერთ-ორი, ერთი-ორი, ამას იმიტომ აკეთებს, რომ შიგნიდან სისხლი სწრაფად და ბოლო წვეთამდე გამოდევნოს. სიკვდილისწინა ხრიალი მატულობს. ეს გრძელი, უსასრულოდ გრძელი სუნთქვა თუ ამოოხვრაა. ხარს სული ახლა კი მართლაც ამოხდა. უკანა ფეხები ამოძრავდნენ, ბიძგები იატაკზე, ისეთი, თითქოს ხარი ადგომას ლამობს. სუნთქვა ჩერდება, სიცოცხლე გაიძურწა. ტანი ზურგით ამოტრიალდება და იატაკზე გაიშხლართება. ეს არის დედამიწის მიზიდულობის ძალა. ყასაბი ხარის ტანიდან ჩამოხტება, მისი ამხანაგი კი აწ უკვე ნამდვილად მკვდარ პირუტყვს ყელის ირგვლივ ტყავის მოშორებას დაუწყებს.

სადღა არის უკიდეგანო საძოვრები, თბილი თავლა.

როგორ გავანათოთ ხორცის მაღაზიები. ხორცის მაღაზიები პერპენდიკულარული ან ნახევრად გაფანტული სინათლით უნდა განათდეს. გაცილებით მიზანშეწონილია პირდაპირი, სწორი განათების ჭავლი, რადგან ასეთი სინათლე დახლსა და ხორცის საჩეხ ჯირკს კარგად ანათებს. რაც შეეხება ხელოვნურ დღის სინათლეს, ის ხორცის მაღაზიისთვის გამოუსადეგარია, ასეთ განათებაზე ხორცის პროდუქტები ბუნებრივ, ცინცხალ ფერს კარგავენ.

ფარშირებული ფეხები. ფეხები მდუღარეში ჩავაწყოთ, ამოვიღოთ, გავწმინდოთ,

სიგრძეზე გავჭრათ, ისე, რომ კანი არ მოვაშოროთ. მერე შიგ ჩავჩურთოთ საკაზმი, გადავახვიოთ ძაფით და მოვხარშოთ.

* * *

ფრანც, უკვე ორი კვირაა შენს სოროში გამოუსვლელად ზიხარ. ქირას არ იხდი. შენი დიასახლისი მალე გაგაგდებს. ეგ ქალი ოთახებს პირადი სიამოვნებისთვის კი არ აქირავებს. თუ ჭკუას არ მოუხმობ, მოგიწევს ღამის სათევში გადაბარგება. კიდევ რა? შენს სოროს არ ანიავებ, პარიკმახერთან არ დადიხარ, წაბლისფერი წვერი გაგეზარდა, ველურს დაემსგავსე. დავიჯერო, წვერის გასაპარსი თხუთმეტი პფენიგის შოვნა ვერ მოახერხე?

საუბარი იობთან იობ, ვერავინ გიშველის, თუ თავად არ მოინდომე

მას შემდეგ, რაც იობმა ყველაფერი დაკარგა, ყველაფერი ის, რაც კი ადამიანმა შეიძლება დაკარგოს, არც მეტი და არც ნაკლები, იგი ბოსტანში დაწვა.

- იობ, აი, ბოსტანში წევხარ, ძაღლის ბუდრუგანის გვერდით, მისგან ზუსტად იმ მანძილზე, რომ მოდარაჯე ძაღლი ვერ მოგწვდეს. გესმის მისი კბილების კრაჭუნი. ერთი ნაბიჯითაც რომ მიუახლოვდეს ვინმე, ძაღლი მაშინვე ყეფას იწყებს. გადაბრუნდები თუ გადმობრუნდები, ან ადგომას მოინდომებ, ძაღლი მაშინვე აყეფდება, იღრინება, მაღლა ხტება, ლამის გაგლიჯოს ჯაჭვი, დორბლს ყრის.

არადა, იობ, ეს სასახლე, ბაღები, მინდვრები, ოდესღაც შენ გეკუთვნოდა. არ გახსოვს, ალბათ, რომ ეს ბოსტანიც, სადაც ახლა აგდიხარ, შენი რომ იყო. ის თხებიც შენი იყო, იობ, რომლებსაც ახლა შენს ღობესთან, შენ თვალწინ ყოველ დილა-საღამოს ჩაატარ-ჩამოატარებენ ხოლმე. ისინი, რომლებიც სიარულისას ბალახს წიწკნიან, ღეჭავენ, ორივე ყბით სანსლავენ. დიახ, შენ გეკუთვნოდა, იობ.

ახლა კი, იობ, ყველაფერი დაკარგე. მხოლოდ ძველ გომურში გაქვს ღამის გათევის უფლება. ქეცის, რომელიც შეგეყარა, ყველას ეშინია. იყო დრო, როდესაც ცხენზე ამხედრებული შენს სამფლობელოს ამაყად თავაწეული შემოივლიდი ხოლმე. თავს კი უამრავი ადამიანი გეხვეოდა, შენ გვერდით ყოფნას ყველა ცდილობდა. ახლა კი მხოლოდ ცხვირწინ აღმართულ ღობეს, ლოკოკინებით სავსეს, შესცქერი. ჭიაყელებიც

უფრო ახლოს გაიცანი, ერთადერთი არსებები,

რომლებსაც შენი არ ეშინიათ.

ბედშავო, ცოცხალო ჩირქგროვავ, ქეცით ამოჭმულ თვალებსაც ახლა იშვიათად ახელ.

ყველაზე მეტად რა გტანჯავს, იობ? ის, რომ ვაჟიშვილები და ქალიშვილები დაკარგე, ის, რომ აღარაფერი გაგაჩნია, ის, რომ ღამღამობით იყინები თუ ის, ყელსა და ცხვირში წყლულები რომ გაქვს? რა, იობ?

- ვინ მეკითხება?

- მე მხოლოდ ხმა ვარ.

- ხმა ყელის გარეშე არ არსებობს.

- ანუ, შენი აზრით, ადამიანი ვარ?

- დიახ, შენი დანახვა ამიტომაც არ მინდა, წადი.

- არა, იობ, მე მხოლოდ ხმა ვარ. რაც შეიძლება ფართოდ გააღე თვალები, მაინც ვერ დამინახავ.

- აჰ, ესე იგი ვბოდავ! ვაიმე, ჩემო თავო, ჩემო გონებავ, ახლა გავგიჟდი კიდევაც, ახლა აზრებსაც მართმევენ.

- თუნდაც აგრე იყოს, განა გენანება?

- დიახ, გონების დაკარგვა არ მინდა.

- შენი მთელი ტანჯვა-წამება ხომ მხოლოდ შენს აზრებშია და იმათი დაკარგვა არ გინდა?

- ნუ მეკითხები, აქედან წადი!

- აზრების წართმევას არ ვაპირებ, მხოლოდ იმის გაგება მინდა, რა გტანჯავს ყველაზე მეტად?

- ეგ არავის საქმე არ არის!

- შენ გარდა არავისი?

- დიახ, დიახ! და არც შენი!

ძაღლი ყეფს, ღმუის, კბილებს აღრჭიალებს. ცოტა ხნის შემდეგ კი ისევ ის ხმა გაისმა.

- ვაჟიშვილებს დასტირი?

- როცა მოვკვდები, ლოცვებში არავინ მომიხსენიებს. ამ დედამიწისთვის საწამლავი ვარ. ყველა მომაფურთხებს. იობს სამუდამოდ დაივიწყებენ.

- იქნებ ქალიშვილებს გლოვობ?

- ვაი, ჩემი ქალიშვილები, ისინიც დაიხოცნენ... და მათი მშურს. არადა, მზეთუნახავები იყვნენ. ალბათ, ბევრ შვილიშვილს მაჩუქებდნენ, მაგრამ ისინი სიკვდილმა წამართვა. ერთმანეთის მიყოლებით დაიხოცნენ, ისე, თითქოს ღმერთი მათ თმაში სწვდა, ზემოთ ასწია და სადღაც ქვემოთ, ქვესკნელში ჩაყარა.

- იობ, თვალებს ვერ ახელ, დაწებებული გაქვს, დაწებებული. წუხხარ იმიტომ, რომ ბოსტანში წევხარ, თუ იმიტომ, რომ ერთადერთი, რაც დაგრჩა, ძაღლის ბუდრუგანა და ავადმყოფობაა?

- ხმავ, ხმავ, ვისი ხმა ხარ და სად იმალები?

- ვერ გამიგია, რატომ იტანჯები?

- ოჰ, ოჰ!

- კვნესი და თავად არ იცი, რატომ, იობ.

- მე...

- რა, შენ?

- დავუძლურდი, ძალა აღარ მაქვს, ამიტომ ვკვნესი.

- გინდა კი, რომ ძალა დაგიბრუნდეს?

- იმის ძალაც არა მაქვს, ვინატრო რამე ან იმედი მქონდეს რამის. არა მაქვს კბილები, ჩვრად ვიქეცი და ამის მრცხვენია.

- ეს შენ თქვი.

- და ეს სიმართლეა.

- ჰო და შენ ეს იცი. იცი, რომ ეს ყველაზე დიდი საშინელებაა!

- ცოდნა რად უნდა, ეს ხომ შუბლზე მაწერია. ადამიანი კი არა, ჩვარი ვარ!

- იობ, ეს არის ის, რაც ყველაზე მეტად გტანჯავს. გინდა, რომ ძალა მოგეცეს, ფეხზე ისევ წამოდგე თუ გირჩევნია, სულ გამოიფიტო, გონი, აზრები დაკარგო და ცხოველად იქცე? ინატრე რამე!

- ხმაო, იმდენი შეკითხვა დამისვი, რომ დამარწმუნე, შენა ხარ ის, ვისაც ჩემთვის შეკითხვების დასმის უფლება აქვს. ვინც უნდა იყო: სატანა, ღმერთი, ანგელოზი თუ ადამიანი, განმკურნე!

- თანახმა ხარ ნებისმიერმა განკურნოს?

- განმკურნე.

- იობ, კარგად დაფიქრდი, შენ ხომ ვერ მხედავ. თვალს თუ გააღებ, იქნებ ჩემი შეგეშინდეს კიდეც. შეიძლება განკურნებაში საშინელი ფასის გადახდა მოგთხოვო.

- ამას ვნახავთ. შენი სიტყვებით თუ ვიმსჯელებთ, არ უნდა ხუმრობდე.

- თუ სატანა ვარ ან ბოროტი სული?

- განმკურნე.

- სატანა ვარ.

- განმკურნე.

აქ კი ხმამ უკან დაიხია, დასუსტდა, გაჩუმდა. ძაღლმა დაიყეფა. შეშინებულმა იობმა სიჩუმეს მიაყურადა: გაჩუმდა, სად ხარ? მინდა განვიკურნო ან მოვკვდე! - იობმა გამყინავი ხმით იყვირა, ხოლო, როცა მრუმე და ავის მომასწავებელი ღამე დადგა, ხმა ისევ ალაპარაკდა:

- თუ სატანა ვარ და თავს ჩემგან ვერასოდეს დაიხსნი?

- ჩემი განკურნება არ გინდა, არავის უნდა ჩემი დახმარება, არც ღმერთს, არც სატანას,

არც ანგელოზს, არც ადამიანს! - იყვირა იობმა.

- თავად შენ?

- რა, მე?

- შენ თავად თუ გინდა, საკუთარ თავს დაეხმარო?

- რა?

- რა და განკურნება თავად არ გინდა, ამიტომ ვერავინ დაგეხმარება.

- არა, არა, - აქვითინდა იობი.

ხმა კი ამბობს: ყველას, ღმერთსაც და სატანასაც, ანგელოზებსაც და ადამიანებსაც უნდათ, რომ დაგეხმარონ, მაგრამ ეს თავად შენ არ გინდა. ღმერთი გულმოწყალეა და ამას ამიტომ გააკეთებს, სატანა კი იმიტომ, რომ შენს სულს დაეუფლოს, ანგელოზები და ადამიანები კი იმიტომ, რომ ისინი ღვთისა და სატანის მსახურები არიან, მაგრამ ეს შენ თავად არ გინდა.

- არა, არა! - იობი ისევ აქვითინდა, მერე შეჰკივლა და მიწაზე დაეცა. მთელი ღამე ყვიროდა, ხმა კი მთელი ღამე ლაპარაკობდა:

- ღმერთსა და სატანას, ანგელოზებსა და ადამიანებს უნდათ, რომ დაგეხმარონ, მაგრამ ეს შენ თავად არ გინდა!

იობი კი თავისას იმეორებდა:

- არა, არა!

იობი ყვიროდა, ხმის ჩახშობას ცდილობდა, მაგრამ ხმა სულ უფრო ძლიერდებოდა, უფრო ხმამაღლა, უფრო ჩქარა ლაპარაკობდა და იობი პასუხის გაცემას ვერ ახერხებდა. გამთენიისას იობი პირქვე დაეცა.

იმ დღიდან მან ქეცისგან განკურნება დაიწყო.

ცხოველიც და ადამიანიც ერთი ამოსუნთქვაა

საქონლის ბაზარში შემოვიდა: **154** სული ღორი, **2016** თავი მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, **1920 -**

ხბო, ცხვარი **- 4450.**

ერთი შეხედვით, რა თვინიერი და მშვენიერი ხბოა. ერთ კაცს ეს ხბო ყელზე გამონასკვული თოკით მოჰყავს. ნეტავ რას უპირებს ამ სათნო ცხოველს? კაცი დარბაზში შედის, ხბო მორჩილად მიჰყვება. უზარმაზარ დარბაზში ხარები ზმუიან. ერთ მხარეს გრძელი მერხები მწკრივად დგანან, თითოეულზე ხის კომბალია მიყუდებული. კაცს ხბო ერთ-ერთ გრძელ მერხთან მიჰყავს, ეს სულელი ოთხფეხი ხელში აჰყავს და გრძელ სკამზე სვამს. ხბო მორჩილად წევს, წინააღმდეგობის არავითარი ჟესტი, მოძრაობა. მერე კაცი ხელს ხბოს ქვემოდან ამოსდებს, მეორით კი უკანა ფეხზე აწვება, რათა ცხოველმა ტლინკი არ ყაროს. იღებს თოკს, რომლითაც ბოჩოლა მოიყვანა და კედელში შერჭობილ რკინის რგოლზე მყარად მიაბამს. იგი კი, სკამზე რომ წევს, მოთმინებით იცდის. არც კი იცის, რა მოელის. არადა, ხის გრძელ მერხზე მოუხერხებლად წევს, თავს რაღაც მაგარ საგანს ურტყამს. გაოგნებულია, რა არის ეს? რა და კომბლის მრგვალი და მაგარი თავი. იმ კომბლისა, რომელიც სულ მალე ნაზ კეფას გაუპობს და ამ სამყაროსთან მის კავშირს სამუდამოდ გაწყვეტს. და აი, ეს უბრალო, მოკრძალებული, ჩუმი მოხუცი ხბოს ალერსიანად ელაპარაკება, მერე იღებს კომბალს, მაღლა სწევს, თუმცა არცთუ ძალიან მაღლა და არცთუ მთელი ძალით, რადგან ასეთ ნაზ არსებას დიდი ძალა სულაც არ სჭირდება, კეფაში ურტყამს: აუღელვებლად და ისევე მშვიდად, როგორითაც ეს დაუცველი ცხოველი აქ მოიყვანა და ეუბნებოდა: ჩუ, წყნარად იწექი, მაგრამ ამავე დროს ყოველგვარი სიბრალულის გარეშე, აქაოდა, კარგი ცხოველი კი ხარ, მაგრამ რას იზამ, ეს შენი ბედისწერაა**.**

ხბო კი ფრრ, ფრრ. გაქვავდა, ფეხები გაუშეშდა. შავი, ხავერდოვანი თვალები გაუფართოვდა, მერე თეთრად ლიბრი გადაეკრა და ნელ-ნელა გვერდზე გადატრიალდა. კაცს ეს არ უკვირს, ასეთი თვალები აქვს მკვდარ ცხოველს, მაგრამ დღეს ჩვენ კიდევ ბევრი საქმე გვაქვს და მუშაობა უნდა განვაგრძოთ. იმ მერხის ქვეშ, რომელზეც აწ უკვე უსულო ხბო დევს, ხელებს აფათურებს, იქიდან თავის დანას

გამოაძვრენს, ფეხით ვარცლს სისხლისთვის ახლოს მისწევს. მერე დანას ყელში გამოუსვამს. ერთი გადასმით ყელიდან კისრამდე ყველა ხრტილს, კუნთს გადაჭრის. იქიდან ჰაერი სტვენით გამოდის. თავმა საყრდენი დაკარგა, მერხის უკან გადაეკიდა. იქიდან სისხლი ასხამს, მუქი წითელი, სქელი, ჰაერისბუშტუკებიანი. მგონი, სულ ეს არის! მაგრამ არა, კაცი თავის საქმეს ისევ მშვიდად და აუჩქარებლად აგრძელებს, დანას უფრო ღრმად და ღრმად, ხერხემლის ორ მალას შორის ურჭობს, მერე დანის წვერით შიგ რაღაცას მოსინჯავს, ახალგაზრდა ხორცია, ძალიან ნაზი. ხერხემალს შუაზე აპობს. მერე მოხუცი თავს ასწევს, გასწორდება, დანას მერხზე დებს, ვედროში ხელებს ჩაიბანს და მიდის. მან თავისი საქმე გააკეთა.

ხბო კი, როგორც მიაბეს, ისევ ისე საცოდავად წევს, გვერდულად და ობლად. დარბაზში კი ხმაურია, სიცილი, მხიარული გადაძახილ-გადმოძახილი, ვიღაცა რაღაცას მიათრევს, ვიღაცა რაღაცას მოათრევს, ვიღაც ჯალათია, ვიღაც მსხვერპლი. აქ სიკვდილ-სიცოცხლე ერთმანეთის გვერდით არსებობს. ტანიდან თითქმის მოკვეთილი თავი, სისხლითა და ნერწყვით მოსვრილი, ტყავზე უშნოდ ჰკიდია: კბილებს შორის გამოჩრილი შესივებული და გალურჯებული ენით. მერხიდან შემზარავი ხრიალი და ბუყბუყი ისმის. ტყავის ნაგლეჯზე დაკიდებული თავი კანკალებს, ტანი იკრუნჩხება. ბავშვის ფეხების მსგავსი გრძელი და წვრილი ფეხები ხტიან. უკვე შუშად ქცეული თვალები კი ვერაფერს ხედავენ. ეს მკვდარი თვალებია. ეს მკვდარი ცხოველია.

მშვიდი მოხუცი ხელში შავი ბლოკნოტით სვეტთან დგას, ხბოს იქიდან უყურებს და რაღაცას ანგარიშობს. ოჰ-ოჰ, მძიმე დრო დადგა, კონკურენციას ვერ გავუძლებ.

ფრანცი ღია ფანჯარასთან დგას ამქვეყნად ერთობ სასეირო ამბები ხდება

მზე ამოდის და ჩადის, ნათელი დღეების ხანა იწყება, ქუჩებში პატარებს საბავშვო ეტლებით დაასეირნებენ, გარეთ **1928** წლის თებერვალი დგას. მთელი სამყაროს წინააღმდეგ ამხედრებული ბიბერკოპფი დარდსა და ნაღველს არყით იქარვებს. რაც კი ებადა, უკანასკნელ პფენიგამდე, სასმელში დახარჯა. მისთვის სულერთია, რა

მოხდება. თუნდაც წყალსა და მეწყერს წაუღია ეს ქვეყანა, რომელიც ასე ძალიან ეზიზღება. მიდი და იცხოვრე პატიოსნად, როცა თავს მხოლოდ არამზადები, ნამუსგარეცხილები და უნამუსოები გახვევია. ამიტომაც არ უნდა გარე სამყაროსთან რაიმე საერთო ჰქონდეს. და ქეციანი ძაღლივით ღობის ძირას რომ მოუხდეს ღამის გათევა, მთელ ფულს მაინც სასმელში გადაყრის. ასე ასკდებოდა გულს ფრანც ბიბერკოპფი იმ თებერვლის

პირველ დღეებში, რომ ერთხელ ღამით ჩხუბის ხმამ გამოაღვიძა. სახლს უკან, ეზოში, დიდი სავაჭრო ფირმის საწყობი იყო. ნაბახუსევმა, როგორც ყოველთვის, ფანჯარა გამოაღო და დაიღრიალა: ამ ეზოდან წაეთრიეთ, თქვე ვირებო! და ისევ საწოლში ჩაწვა, ამაზე მეტად აღარ უფიქრია, მოყიყინენი კი ეზოდან შარშანდელი თოვლივით გაქრნენ.

ერთი კვირის შემდეგ ეს ამბავი ისევ დაემართა. ფრანცს უკვე ფანჯრის გაღება და მყუდროების დამრღვევებისთვის შეშის ნატეხის სროლა უნდოდა, მაგრამ გადაიფიქრა: საინტერესოა, ეს არამზადები ღამის პირველ საათზე აქ რას აკეთებენ, რას ეძებენ? ან იქნებ სულაც ამ სახლში ცხოვრობენ? არა, არა მგონია. აქ რაღაც ისე არ არის, - დაეჭვდა. ფრანცი ფანჯარაში გადაეყუდა, უყურებს, ღამის კისერი მოეღრიცა. და მართლაც, მისი ეჭვი გამართლდა: ეს კარგად შეკრული ბანდაა. რამდენიმე ახალგაზრდა კედელს მოუყვება, ქურდულად, ფეხაკრეფით, თითქოს ვინმეს ემალებიან. ერთი ეზოს კართან ზექსზე დგას, ეტყობა, საქმეზე გამოვიდნენ, სამნი საწყობის დიდ და მძიმე კართან ჩალიჩობენ, ბოქლომს ამტვრევენ. უყურე ერთი, რა მამაცები არიან, არც კი ეშინიათ, რომ ვინმე დაინახავს: ღრჭიალის ხმა ისმის - მზად არის, კარი გაიღო, ერთი ეზოში, ნიშაში რჩება, ორნი კი უკვე შიგნით, საწყობში არიან. ისეთი ბნელი ღამეა, რომ კაცი თვალთან თითს ვერ მიიტანს, ეტყობა, ამ მძარცველებს ამისი იმედი აქვთ.

ფრანცმა ფანჯარა ფრთხილად, უხმაუროდ მიხურა. ღამის ჰაერმა გამოაფხიზლა, აზროვნების უნარი დაუბრუნა. აი, რას სჩადიან ადამიანები, დღისითაც და ღამითაც; თაღლითები, ყალთაბანდები, მაგათთვის ყვავილების ქოთნები უნდა მესროლა, პირდაპირ თავში! წარმოუდგენელია, ასეთი რამ ხდებოდეს სახლში, სადაც ამჟამად იგი, ფრანცი ცხოვრობს. ესღა გვაკლდა.

სიჩუმემ დაისადგურა. ფრანცი სიბნელეში საწოლთან ხელის ცეცებით მიდის და ჯდება, მერე ვერ ითმენს, ისევ ფანჯარასთან მიდის და გარეთ იჭყიტება. ჯანდაბას მაგათი თავი, საინტერესოა, ამ ვიგინდარებს რა დაჰკარგვიათ იმ ეზოში, სადაც იგი, ფრანცი ცხოვრობს! მერე სანთლები აანთო, ხელი არყიანი ბოთლისკენ წაიღო, მაგრამ დასხმით ვერ დაისხა. ბრმა ტყვია მოფრინავს, ჩვენ ორიდან ერთ-ერთის სიკვდილი მოფრინავს:

შუადღისას ფრანცი ეზოში ჩავიდა. იქ უკვე ხალხია შეკრებილი. აქ არის ხურო გერნერიც, რომელსაც ფრანცი იცნობს. ისინი ერთმანეთს ელაპარაკებიან წუხანდელ ძარცვაზე. ფრანცი გერნერს იდაყვს გაჰკრავს და ეუბნება:

- წუხელ ქურდების მთელი კომპანია დავინახე. პოლიციას ახლა არ დავუძახებ, მაგრამ სახლში, სადაც მე ვცხოვრობ და მძინავს და სადაც ამათ არაფერი ესაქმებათ, თუ კიდევ მოვლენ, მაშინ ეზოში აუცილებლად ჩამოვალ და ბიბერკოპფი არ ვიყო, თუ ძვლები ყველას არ გადავუმტვრიო. არა აქვს მნიშვნელობა, რამდენი იქნებიან, ორი თუ სამი.

ხურომ ფრანცს ხელი მაგრად მოუჭირა:

- თუ რამე იცი, აი, იქ კრიმინალისტები დგანან, მიდი და უთხარი, იქნებ ფულიც გადაგიხადონ.

- თავი დამანებე, ადამიანების ჩაშვება ჩემი საქმე არ არის. ეგ არასოდეს გამიკეთებია და არც გავაკეთებ. კრიმინალისტებმა თავიანთი საქმე თვითონვე მოაგვარონ. მათ ამაში ფულს უხდიან, - უთხრა და თავის გზაზე წავიდა.

გერნერმა კი თავისი გზით წასვლა რომ დააპირა, სწორედ მაშინ მივიდნენ მასთან, ანუ გერნერთან, კრიმინალისტები და ჰკითხეს, გერნერს ხომ არ იცნობთ, მისი ნახვა სასწრაფოდ გვჭირდებაო. კაცი გაფითრდა, შიშისაგან სული ქუსლებში გაეპარა.

მერე კი თქვა, რა ბრძანეთ, ვინ გინდათ? გერნერი? აჰ, გერნერს ვიცნობ, დიახ, დიახ, ვიცნობ, ეგ კაცი ხუროა! წამობრძანდით, გაგაცნობთ.

და ისე, რომ კრინტი აღარ დაუძრავს, ისინი თავის ბინასთან მიიყვანა. ზარი დარეკა. კარი ცოლმა გააღო და მთელი კომპანია წინკარში შევარდა. სულ ბოლოს გერნერი შევიდა, ცოლს შეუმჩნევლად გვერდში უბიძგა, თითი ტუჩებთან მიიტანა, აქაოდა, ჩუმად იყავიო, ცოლმა ხომ საქმის ვითარება არ იცოდა. თავად კი ჯიბეებში ხელები ჩაიყო და შემოსულებში გაერია. არასასურველი სტუმრები სულ ოთხნი იყვნენ, ორი კრიმინალისტი და ორიც, როგორც მერე გაირკვა, სადაზღვევო კომპანიის აგენტი. აგენტებმა მთელი ბინა დაათვალიერეს, კედლებისა და იატაკის სისქით დაინტერესდნენ, კედლებზე დიდხანს აკაკუნეს, გაზომეს, ჩაიწერეს. საქმე ეხება დიდი სავაჭრო ფირმის გაძარცვას და ეს პირველი შემთხვევა არ არის. პირველი შემთხვევის

შემდეგ კარსა და კიბეზე სიგნალიზაციაც კი დააყენეს. ქურდები კი ისე გათავხედდნენ, რომ ახლა კედლის შენგრევა სცადეს! დიახ, კედლები თხელია, მთელი სახლი კი დაფხავებული, ქანაობს, როგორც სააღდგომო კვერცხი.

მერე ყველანი ისევ გარეთ, ეზოში გადიან, გერნერიც მათ სულელი ავგუსტივით[13] უკან მიჰყვება.

ახლა ისინი სარდაფის ორივე ახალ კარს ათვალიერებენ. გერნერიც იქ არის, აგენტებს ერთი ნაბიჯითაც არ შორდება. მერე კი, როცა ისინი ღვინის სარდაფისკენ დაიძრნენ, გერნერმა გვერდით გაიწია, მათთვის გზის დათმობა უნდოდა, და ამ დროს, მოულოდნელად ფეხი რაღაცას წამოსდო, ესმის, რაღაცა ეცემა, ინსტინქტურად ხელს სტაცებს და ეს ბოთლი აღმოჩნდება. ბოთლი ქაღალდზე დავარდა და ამიტომ ხმა არავის გაუგონია. კონიაკი! დგას აქ ეზოში ბოთლი, ეტყობა, იმათ დარჩათ. დარჩათ და ჩვენ წავიღოთ, რატომაც არა. დიდ ბატონებს ეს არ გააღატაკებს. და იგი ბოთლს ქაღალდთან ერთად იღებს. და მისცა ევამ ადამს ვაშლი, ვაშლი კი ხიდან რომ არ ჩამოვარდნილიყო, ევა ვერ იპოვიდა და ვაშლი ადამის ხელში არ მოხვდებოდა. გერნერმა ბოთლი ქურთუკის ქვეშ დამალა, ეზო გადაირბინა და შინ ცოლთან მივიდა.

რას იტყვის ცოლი? ცოლს სახე გაუბრწყინდა.

- ეს საიდან გაქვს, ავგუსტ?

- ვიყიდე, როცა ფარდულში არავინ იყო.

- ხუმრობ?

- ერთი კარგად შეხედე, კონიაკია, თანაც როგორი! დანიგური, ოქროს მარკა. აბა, რას იტყვი? ცოლი კი ბრწყინავს, სპილენძის ტაშტივით. ფარდას ხურავს და ამბობს:

- იქ, ალბათ, ასეთი ბოთლი ბევრია, იქიდან გაქვს, არა?

- კედელთან იდგა. ეტყობა, დარჩათ. მე თუ არა, სხვა აიღებდა.

- ადამიანო, უნდა დავაბრუნოთ.

- კარგი რა, გაგიგონია, ვინმეს კონიაკი ეპოვოს და უკან დაებრუნებინოს? დედილო, არა მგონია, ოდესმე ისეთი დრო დადგეს, რომ ჩვენ კონიაკის ყიდვა შევძლოთ. იცი, რომ ახლა უგროშკაპიკოდ ვართ, შენ კი გაიძახი, დავაბრუნოთო. ეს ხომ სისულელეა.

ბოლოს და ბოლოს, ცოლი დაითანხმა: ერთი ბოთლი, დიდი ამბავი, ერთი ბოთლის დაკარგვა მდიდარ ფირმას არ გააკოტრებს. თანაც, დედილო, სიმართლე თუ გინდა, ახლა ეს ბოთლი ფირმას კი არა, მძარცველებს ეკუთვნის, იქნებ იმათ შევუნახოთ, ა? ეს კანონსაწინააღმდეგო ქმედება იქნება. და აი, ცოლ-ქმარს დიდი ლხინი აქვთ. სხედან,

კონიაკს წრუპავენ და ცხოვრებისეულ სიბრძნეს აფრქვევენ: ამ ცხოვრებას თვალი არ უნდა მოუხუჭო, ფხიზლად უნდა იყო; ბედნიერება მხოლოდ ოქროში არ არის; ვერცხლიც, ასე ვთქვათ, ძვირფასი თუ არა, ნახევრად ძვირფასი ლითონია.

შაბათს კი ქურდები ისევ გამოჩნდნენ. აი, სწორედ მაშინ დაიწყო ყველაზე საინტერესო ამბები. ქურდებმა შეამჩნიეს, რომ ეზოში ვიღაც კაცი დადიოდა, უფრო სწორად, შეამჩნია იმან, ზექსზე რომ იდგა. ისინიც თავიანთი საიდუმლო ფარნებით ხელში ეშმაკებივით გამოცვივდნენ და ჭიშკრისკენ გაიქცნენ. მაგრამ ჭიშკარში გერნერი ისე დადგა, მძარცველები მეზობელ ეზოში რომ მოხვედრილიყვნენ, მწერებივით ღობეზე უნდა გადამხტარიყვნენ. გერნერი გაქცეულებს დაოთხილი დაედევნა, შიშობს, რომ ხელიდან წაუვლენ:

- ეი, გაჩერდით! ღმერთო ჩემო, ნამდვილი ვირები ხართ.

მაგრამ გაქცეულებს მის მოსასმენად არ სცალიათ, ერთმანეთის მიყოლებით კედელზე მიცოცავენ. გერნერი ლამის გაგიჟდეს. ორი უკვე გაუჩინარდა, აი, სულელები! მხოლოდ მესამემ, რომელიც ჯერ კიდევ კედელზე მიცოცავს, გერნერს ფარანი პირდაპირ სახეში მიანათა. აბა, - ეკითხება, - რა გინდა? იფიქრა, კონკურენტები გამიჩნდნენ და მთელ საქმეს მიფუჭებენო.

- მე ხომ თქვენთან ვარ, - ეუბნება გერნერი.

- რაო, რა თქვი?

- დიახ, თქვენთან ვარ, თქვენ კი გარბიხართ!

ქურდი წამით დაფიქრდა, მერე კედლიდან ჩამოხტა, ხურო კარგად შეათვალიერა, მიხვდა, რომ ნასვამი იყო. გამომტყვრალა და ასეთი გულადი იმიტომ არის, გაიფიქრა. ახმახი ქურდი დამშვიდდა. მარტოა, მაგრამ აღარ ეშინია, რადგან ხუროს ცხვირი წითელი აქვს და არყის სუნი ასდის. გერნერმა ახმახს ხელი გაუწოდა:

- ხელი მომეცი, კოლეგავ, ჩემთან წამოდი!

- ჩემი ყიდვა გინდა?

- როგორ თუ ყიდვა?

- მაბრიყვებ?

გერნერს ეწყინა, იგი შეურაცხყოფილია. ხვდება, რომ ქურდი აგდებულად უყურებს. ჯანდაბას, ოღონდ არ გაიქცეოდეს, კონიაკი კი მართლაც ძალიან კარგი იყო და ახლა შინ ხელცარიელი თუ დაბრუნდება, ცოლი დაეძგერება, მერედა, როგორ. და გერნერმა ხმას დაუწია:

- არა, ეგ რამ გაფიქრებინა. თუ გინდა, წამოდი და ნახე, რომ აქ ვცხოვრობ.

- მაინც ვინ ხარ?

- ვინ და სახლის მმართველი. ასეა. იცით, ვიფიქრე, ხომ შეიძლება ამ საქმიდან მეც რამე მერგოს- მეთქი.

ქურდი ჩაფიქრდა. ალბათ, მართლაც კარგი იქნებოდა, ყველაზე ნაღდი საქმე, თუ ეს მმართველი ჩვენს კომპანიას შემოუერთდებოდა! თუკი, რა თქმა უნდა, არ თაღლითობს: ეჰ, რაც არის, არის, გავრისკავ, რევოლვერი ხომ თან მაქვს.

ქურდმა მისაყუდებელი კიბე კედელთან დატოვა და გერნერს გაჰყვა. მისი ამფსონები ახლა ნაღდად ცხრა მთას იქით არიან, ჰგონიათ, ალბათ, რომ ახმახი ჩავარდა. გერნერმა ზარი პირველ სართულზე დარეკა.

- სად რეკავ, აქ ვინ ცხოვრობს?

- ვინ და მე, აბა, სხვა ვინ უნდა ცხოვრობდეს! - ამაყად უპასუხა გერნერმა, - აი, ნახე! ჯიბიდან ბრტყელი გასაღები ამოიღო და კარი ხმაურით გააღო.

- ახლა დარწმუნდი?

და სინათლე აანთო, ხედავს: ცოლი სამზარეულოს კარში დგას და ციებ-ცხელებიანივით კანკალებს. გერნერმა ქალი და სტუმარი ერთმანეთს ოფიციალური ტონით წარუდგინა:

- ნება მომეცით, ჩემი მეუღლე წარმოგიდგინოთ, ეს ბატონი კი ჩემი კოლეგაა, გუსტა.

ცოლი ისევ კანკალებს, მათთან მიახლოებას ვერ ბედავს, მერე კი ერთბაშად გაიფურჩქნება, გაიღიმებს, თავის ქნევას იწყებს, - ერთი შეხედეთ, რა სიმპათიური

ახალგაზრდაა, წარმოსადეგი, მომხიბვლელი. მიუახლოვდა და ცოტა ხნის წინ ვითომ სულაც არ აკანკალებდა, ისე მხნედ აქაქანდა:

- რა მოგდის, პაულ, ამ ბატონს ოთახში რატომ არ ეპატიჟები? დერეფანში ხომ არ იდგებით? თუ შეიძლება, გაიხადეთ, შემობრძანდით!

ქურდი მშვიდობიანად და უსაფრთხოდ აქედან ახლავე დიდი სიამოვნებით მოკურცხლავდა, მაგრამ ცოლ-ქმარი არამც და არამც არ უშვებს. ქურდი თვალებს არ უჯერებს: მოდი და ნუ გაგიჟდები, ასეთი სოლიდური ადამიანები არიან და თუმცაღა, ცოტა ხელმოკლედ კი ცხოვრობენ, ეს ახლა ჩვეულებრივი ამბავია, ინფლაციამ ყველაზე მეტად ხელოსნები დააზარალა. ცოლი კი მაგარი ქალია, ერთი ნახე, როგორ მიყურებს. შეცივებულმა ერთი ჭიქა ცხელი პუნში დალია და იქიდან მოუსვა, ისე, რომ საქმეში ხეირიანად ვერც კი გაერკვა. ეშმაკმა იცის, რა ხალხია!

გაერკვა თუ არა, ფაქტია: ახალგაზრდა კაცი გერნერებს მეორე დღესვე, შუადღისას ეწვია. ეტყობა, ბანდის დავალებით. ძალიან საქმიანად იკითხა, წუხელ აქ თქვენთან რამე ხომ არ დამრჩენიაო. ხურო გერნერი ამ დროს შინ არ იყო, მაგრამ ეგ არაფერი. ცოლმა სტუმარი ერთობ თავაზიანად მიიღო. ქათინაურებიც უთხრა და სასმელიც მიართვა, რომელიც სტუმარმა მაშინვე გადაკრა.

მაგრამ მერე, ცოლ-ქმრის სამწუხაროდ, ქურდები მთელი ერთი კვირა აღარ გამოჩენილან. პაულმა და გუსტამ არსებული ვითარება ათასჯერ მაინც განიხილეს - ის ახალგაზრდები უნებურად წამოცდენილი სიტყვით ან რაიმე ქმედებით ხომ არ დააფრთხეს, მაგრამ მსგავსი ვერაფერი გაიხსენეს. და მაინც:

- პაულ, იქნებ რამე ისე არ თქვი, ხანდახან ხომ ისეთი უხეში ხარ.

- არა, გუსტა, ჩემი ბრალი არ არის, ჩვენ შორის დამნაშავე თუ ვინმეა, შენ ხარ. ალბათ, ისეთი მჟავე სიფათი მიიღე, რომ ახალგაზრდა კაცი შეაშინე, ვერ მიხვდა, როგორ უნდა მოქცეულიყო. საშინელებაა, ახლა რა ვქნათ?

ასე ამტყუნებდა ცოლ-ქმარი ერთმანეთს. გუსტა ლამის აქვითინდა, ყველაფერში დამნაშავე ის გამოდის, არადა, როგორ ცდილობდა... ინატრა, მაგ სამიდან ნეტავი ერთ-ერთი მაინც მოვიდოდესო

და აი, პარასკევ დილას, როცა გუსტა შინ ისევ მარტო იყო, მართლაც დადგა დიადი წამი. აკაკუნებენ, დიახ, აკაკუნებენ... ქალი კარის გასაღებად გიჟივით გავარდა, შუქის ანთებაც კი დაავიწყდა, მაშინვე მიხვდა, ვინ იქნებოდა! დიახ, არ შემცდარა, კარში სწორედ ის ნანატრი აყლაყუდა იდგა, ქურდი. ახალგაზრდამ უემოციოდ, ცივად და საქმიანად იკითხა, შინ არის თუ არაო ქმარი, მასთან მნიშვნელოვანი საქმე აქვს. გუსტა აღელდა: მოხდა რამე? მაგრამ სტუმარი ქალს ამშვიდებს:

- არა, არა დამშვიდდით, მინდა ერთ საქმეზე ველაპარაკო.

ილაპარაკეს ბინაზე, ავეჯზე, იმაზე, რომ თუ ხელი არ გაანძრიე, თავისით არაფერი მოგერთმევა. ისინი სასტუმრო ოთახში მაგიდასთან დასხდნენ. გუსტა აღფრთოვანებულია, რომ სტუმარი დარჩენაზე დაითანხმა: ახლა პაული იმის თქმას რომ სტუმარი მან, გუსტამ დააფრთხო, ვეღარ გაბედავს. ქალი ახალგაზრდას, რაც უნდა თქვას, ყველაფერზე კვერს უკრავს, აქაოდა, მეც მაგ აზრისა ვარო. რაც უნდა თქვა, ხელი თუ არ გაანძრიე, თავისით არაფერი მოგერთმევა. დიახ, თავისით არაფერი მოგერთმევა, მართლაც ასეა, ამას თუნდაც ბიბლიაზე დავიფიცებ! ამ ორმა ეს მოსაზრება დაწვრილებით განიხილა. აღმოჩნდა, რომ დასტურად იმისა, თუ ხელი არ გაანძრიე, თავისით არაფერი მოგერთმევა, ორივეს შეუძლია მშობლების, ახლო და შორეული ნათესავების ცხოვრებიდან მაგალითების მოყვანა. თავისით არაფერი მოგერთმევა, ეს რომ მართლაც ასეა, ბიბლიაზე თუნდაც ამ წუთში დაიფიცებენ, ამ ჭეშმარიტებას ორივე მხარე აღიარებს. პირადი ცხოვრებიდან, მეზობლების, ახლობლების ცხოვრებიდან მაგალითს მაგალითზე ჰყვებიან და ლაპარაკში ისე გაერთნენ, რომ, როცა ზარის ხმა მოესმათ, აზრზე ძლივს მოვიდნენ. ოთახში ორი მამაკაცი შემოვიდა. მამაკაცებმა კრიმინალისტების მოწმობები წარმოადგინეს. ამ ორს კიდევ სადაზღვევო კომპანიის სამი აგენტი ახლდა.

კრიმინალისტებმა, რომელსაც ახალგაზრდა კაცი გერნერი ეგონა, მას ყოველგვარი შესავლის გარეშე მიმართა:

- მომისმინეთ, ბატონო გერნერ, ამ საქმეში თქვენ უნდა დაგვეხმაროთ, მხედველობაში მაქვს აქ, თქვენს ეზოში საწყობის გაძარცვის რამდენიმე შემთხვევა. სასურველია, რომ განსაკუთრებულ დაცვაში მონაწილეობა თქვენც მიიღოთ. ფირმის მფლობელები და სადაზღვევო კომპანია გაწეული სამსახურისთვის სათანადოდ აგინაზღაურებენ.

ამ საქმეზე დაახლოებით ათი წუთი ილაპარაკეს. საუბარს გერნერის ცოლიც ისმენდა; პოლიციელები და დაზღვევის აგენტები ზუსტად 12 საათზე წავიდნენ. ამის შემდეგ დიასახლისი და მისი სტუმარიც ისეთი ცელქობის ხასიათზე დადგნენ, რომ მათ შორის პირველ საათამდე რაღაც დაუშვებელი, წარმოუდგენელი რამ მოხდა, ისეთი რამ, რისი აღწერაც უხერხული იქნება. და არც არის საჭირო!

მერე იმისი, რაც მათ შორის მოხდა, ორივეს ძალიან შერცხვა. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ქალი 35 წლის იყო, ხოლო ვაჟი 20-21-ისა, მათ შორის მარტო ასაკობრივი კი არა, სხვა განსხვავებაც ხომ იყო, კაცი სიმაღლით 1.85 სმ გახლდათ, ქალი კი - 1.50 სმ. არამედ შერცხვათ იმისა, რომ ეს საქმე ასე უბრალოდ გამოვიდა, თავისთავად, ამ ლაპარაკსა და მღელვარებაში, მერე იყო და, იმ სულელმა აგენტებმა მართლაც რომ ძალიან გაამხიარულეს, ისე კი ცუდი სულაც არ იყო, ისიამოვნეს კიდევაც, მხოლოდ ეგ არის, რომ მერე იშვა ერთგვარი უხერხულობა, ყოველ შემთხვევაში, თავს უხერხულად გუსტა ნამდვილად გრძნობს, თუმცაღა ეს წვრილმანებია, ხდება ხოლმე! ყოველ შემთხვევაში, 2 საათზე სამსახურიდან შინ დაბრუნებულ გერნერს ყველაფერი წესრიგში დახვდა, ეს ორნი მაგიდასთან ისე მყუდროდ, მშვიდობიანად ისხდნენ და საუბრობდნენ, რომ მათი ხილვა ადამიანს ესიამოვნებოდა. გერნერიც მაშინვე მაგიდას მიუჯდა.

ასე ისხდნენ საღამოს ექვს საათამდე და გერნერი ყველაფერს, რასაც აყლაყუდა ამბობდა, თავისი ცოლივით დიდი აღფრთოვანებით უსმენდა. მართალია, იმაში, რასაც სტუმარი ამბობს, მხოლოდ ნაწილობრივ არის სიმართლე, მაგრამ მიუხედავად ამისა, გერნერი მაინც აღიარებდა, რომ ისინი, აყლაყუდას მეგობრები, მაგარი ბიჭები არიან, და უკვირს, დღევანდელი ახალგაზრდები ამ ცხოვრებას რა საღი თვალით უყურებენ. მას კი, რომელმაც საკმაოდ გრძელი ცხოვრების გზა გაიარა, თვალები ახლაღა აეხილა. მერე, როცა სტუმარი წავიდა და ცხრა საათზე ცოლ-ქმარი დასაძინებლად ემზადებოდა, გერნერმა თქვა, არ მესმის, ასეთი ტვინით დატენილ ბიჭებს ჩემთან ურთიერთობა როგორ არ ეჩოთირებათ. ალბათ, და ეს გუსტამაც უნდა აღიაროს, ჩემშიც არის რაღაც განსაკუთრებული და მათ რამეში შეიძლება მეც გამოვადგე! გუსტას კამათი არ დაუწყია, მოხუცი მაშინვე დაწვა და ხვრინვა ამოუშვა.

დილით კი, სანამ ადგებოდა, კაცმა ცოლს უთხრა:

- იცი, გუსტა, კაცი არ ვიყო, მშენებლობაზე დასაქირავებლად მოიჯარადრესთან კიდევ თუ წავიდე. იყო დრო, საკუთარი საქმე მქონდა, სანამ ხელი არ მომეცარა. აბა, შენ თვითონ თქვი, განა ეს

სამუშაოა იმ ადამიანისთვის, რომელიც საკუთარი თავის ბატონი იყო? თანაც, თუ ბედმა გაგიღიმა და დაგიქირავეს, მაშინვე შიში გიპყრობს, რადგანაც ორ დღეში შეიძლება გამოგაგდონ, აქაოდა, დაბერდიო. მართლაცდა, ჩვენს გვერდზე არსებულ მდიდარ ფირმაში რატომ არ წავიმუშაო? ხომ ხედავ, ბიჭებიც როგორი მარჯვე და მოხერხებულები არიან? დღეს ვინც არ ხელმრუდობს, იმისი საქმე წასულია. ამას მე გეუბნები, შენ კი რას იტყვი?

- ამას მე დიდი ხანია გეუბნები.

- აი, ხომ ხედავ. ადამიანური ცხოვრება მომენატრა, არ მინდა სამსახურში ფეხის თითები მეყინებოდეს.

გახარებული გუსტა ქმარს მოეხვია, მადლობას უხდის ყველა იმ სიკეთისთვის, რომელიც დღემდე მისთვის გაუკეთებია და რის გაკეთებასაც ახლო მომავალში აპირებს.

- იცი, დედილო, რა უნდა გავაკეთოთ მე და შენ? - და გერნერმა ფეხზე ისე მწარედ უჩქმიტა, რომ ქალმა წამოიკივლა.

- იცი, საქმე შენთვისაც გვაქვს, დედილო.

- კარგი ერთი.

- გეუბნები, გვაქვს-მეთქი, იქნებ თქვა, რომ საქმე უშენოდაც გაკეთდება.

- რა თქმა უნდა, გაკეთდება, თქვენ ხომ ახლა ხუთნი ხართ. ყველანი ისეთი ძლიერი მამაკაცები

(ამაში გუსტა თავად დარწმუნდა).

- ზექსზე დადგები!

- არც ეგ შემიძლია, - აწუწუნდა გუსტა, - ხომ იცი, ვენების გაგანიერება რომ მაქვს. აბა, როგორ უნდა დაგეხმაროთ.

- გუსტალხენ, გეშინია?

- მეშინია? საიდან მოიტანე. აბა, ერთი სცადე და გაგანიერებული ვენებით გაიქეცი. მრუდეფეხება ტაქსაც კი დაგეწევა... თუ დამიჭერენ, მაშინ ხომ შენც ჩავარდები, იმიტომ, რომ ცოლი ვარ შენი.

- ჩემი ცოლი რომ ხარ, ეგ რა, დანაშაულია?

კაცმა ქალს ფეხზე ისევ უჩქმიტა, ოღონდ ამჯერად ვნებით.

- პაულ, გეყოფა. ნუ აღმაგზნებ, გთხოვ.

- აბა, ერთი წარმოიდგინე, დედილო, შენ ხომ სულ სხვა ადამიანად იქცევი, ამ ობიდან და სიბინძურიდან თუ ამოძვრები.

- ეჰ, ეგ ისე მინდა, რომ ნერწყვიც კი მომერია!

- მოთმინება, დედილო, მოთმინება იქონიე და ყველაფერი იქნება. ახლა კი ყურები დაცქვიტე და კარგად მომისმინე. იცი, რა მოვიფიქრე? ამ საქმეს მე მარტო მოვუვლი. აი, სიურპრიზიც.

- მერედა, სხვები?

- აი, სწორედ საქმეც ეგ არის, გუსტა. ამ ოპერაციას თავს უმაგათოდაც გავართმევ. ხომ იცი, კომპანიონებთან ერთად არც ერთი საქმე არ გამოდის. ეს ჩემი მოგონილი არ არის, ოდითგანვე არის ცნობილი. რა, მართალი არა ვარ? მინდა მარტომ ვიმუშაო. ასე ღმერთმა ინება, რადგანაც ჩვენი ბინა პირველ სართულზეა, საწყობი კი ჩვენს ეზოში. გუსტა, მეთანხმები თუ არა?

- ჰო, მაგრამ, პაულ, ვერაფერში დაგეთანხმები, მე ხომ ვენების გაგანიერება მაწუხებს.

საერთოდ კი ქალს ეს გეგმა სხვა მხრივაც ხელს არ აძლევდა. ჰო, სამწუხაროა. და დედილო ქმარს მწარე ღიმილით სიტყვიერად დაეთანხმა, მაგრამ გულში კი გადაწყვიტა: არა და არა, არავითარ შემთხვევაში.

მეორე დღეს თანამშრომლები საწყობიდან ორ საათზე წავიდნენ. საღამოს კი გერნერი აქ ცოლთან ერთად ჩაიკეტა. 9 საათზე, ანუ იმ დროს, როცა დარაჯი სახლის წინ დადიოდა, თავად სახლში კი უკვე სიჩუმე სუფევდა და გერნერმა საქმის დაწყება მოინდომა, სწორედ ამ დროს სარდაფის კარზე კაკუნი გაისმა. მგონი, აკაკუნებენ. საინტერესოა, ვინ უნდა იყოს? არ ვიცი, მაგრამ ნამდვილად აკაკუნებენ. მაგრამ ეგეთი ვინ არის, რომ ამ დროს აკაკუნებს? ამ დროს ხომ საწყობი

არ მუშაობს და დაკეტილია. აკაკუნებენ, ისევ აკაკუნებენ. ისე, თითქოს არ ესმით, ცოლ-ქმარი კუთხეში მიიყუჟა. დგანან გატრუნულები. ისევ აკაკუნებენ. გერნერმა ცოლს ხელი გვერდში გაჰკრა.

- აკაკუნებენ, გესმის?

- მესმის.

- ეს რას უნდა ნიშნავდეს?

ქალს კი, უცნაურია, მაგრამ სულ არ შეშინებია.

- არაფერია, - ამბობს, - ხომ არ მოგვკლავენ.

არა, მოკვლით არ მოგვკლავენ, მაგრამ იმას, ვინც აკაკუნებს, ქალი კარგად იცნობს. იგი ქალს არ მოკლავს, ეს არის კაცი, რომელსაც ორი გრძელი ფეხი და მოკლე ულვაშები აქვს. და მისი დანახვა ქალს ძალიან გაუხარდება. ამ დროს ისევ დააკაკუნეს, ხმადაბლა, მაგრამ დაჟინებით. ღმერთო, ეს ხომ დათქმული კაკუნია.

- ესე იგი, ეგ ტიპი გვიცნობს! დედილო, მგონი, ჩვენი ბიჭებისგან რომელიღაცაა.

- რატომ არაფერს ამბობ?

გერნერი კართან ფეხაკრეფით მიდის. საიდან გაიგეს, მე და ჩემი ცოლი აქ რომ ვართ? ამათ კი არ ველოდი. გარედან ჩურჩული ისმის:

- გერნერ, გააღე!

უნდა თუ არა, უნდა გააღოს. არამზადები, რა ღორობაა, ლამის კარი ჩამოიღონ. გერნერი იძულებულია გააღოს. ასეა, ულვაშებიანი აყლაყუდაა, მარტო, ქალის კავალერი. გერნერი ვერაფერს ხვდება. ფიქრადაც არ მოსდის, რომ ცოლმა მის კავალერთან გაყიდა. ნათქვამია, ვალს გადახდა უნდაო და ქალმაც გადაუხადა. გრძელოს დანახვაზე ქალს თვალები აუჟუჟუნდა, სიხარულს მალავს, ქმარი კი ლამის გაგიჟდეს, იღრინება:

- რას იკრიჭები, ა?

- შემეშინდა, მეგონა, ვინმე მობინადრეთაგანი ან დარაჯი იყო.

ახლა კი სასწრაფოდ საქმეს მივხედოთ, ნადავლი კი მერე გავიყოთ, გინებით

უბედურებას არ ეშველება. რა ღორობაა! გერნერმა ბედი კიდევ ერთხელ სცადა, ამჯერად ცოლი შინ დატოვა: ცუდი თვალი აქვს, თარსია! - მაგრამ ღამით კაკუნი ისევ გაისმა: ამჯერად სამნი მოვიდნენ და ისე იქცეოდნენ, თითქოს აქ ვინმეს დაეპატიჟოს. ამათთან ვერაფერს გავხდები, უფროსი შენს საკუთარ სახლშიც კი არა ხარ, სცადე, აბა, ამ ბანდასთან გამკლავება. გერნერს მოთმინებამ უღალატა, ისე გაბრაზდა, ლამის გონება დაკარგა. ფიქრობს: კარგი, რადგან ამათ გადავეკიდე, სხვა გზა არა მაქვს, ამათთან უნდა ვიმუშაო, მაგრამ ხვალ, ბოდიში! ეს რეგვენები თავზე ხვალაც თუ დამადგებიან, ჩემს სახლში, სადაც უფროსი მე ვარ, დაუპატიჟებლად მოვლენ და ჩემს საქმეებში ცხვირს ჩაყოფენ, მაშინვე პოლიციას გამოვიძახებ: გამომძალველები, წყეული ექსპლუატატორები!

მამაკაცები სარდაფში ორი საათი მუხლჩაუხრელად შრომობენ. ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდებათ, გერნერის ბინაში მიათრევენ: ყავით, შაქრით თუ ქიშმიშით სავსე ტომრებს. ბაკალეა სულ მთლად გაასუფთავეს, მერე სპირტიან სასმელებს მიადგნენ. ზემოთ აზიდეს ღვინით, კონიაკით, არყითა და სხვადასხვა ნაყენით სავსე ყუთები. ბინაში თითქმის ნახევარი საწყობი აიტანეს. გერნერი აქეთ-იქით აწყდება, იმაზე ღელავს, რომ ეს ყველაფერი სხვებსაც უნდა გაუნაწილოს. ცოლი კი ამშვიდებს:

- ამ ყველაფრის ამოტანას მარტო ხომ ვერ შევძლებდით, დაგავიწყდა, რომ ვენების გაგანიერება მაქვს.

ბიჭებს კი ნაირ-ნაირი საქონელი მოაქვთ და მოაქვთ. მოხუცი კი ბუტბუტებს და დორბლს ყრის.

- ვენების გაგანიერება! მერე აფთიაქში წადი და რეზინის წინდები იყიდე. თორემ ფულს ყოველთვის იმაზე ზოგავ, რაზეც არ უნდა დაზოგო!

მაგრამ გუსტა არ უსმენს, თავისი აყლაყუდას ცქერით ტკბება. იგიც თავისი ბიჭებისკენ თვალს ამაყად აპარებს. აი, რა მაგარი ვინმე ვარო, მთელი ეს საქმე ხომ მე გავჩარხეო! და ამ ქალსაც არა უშავს რა!

მას შემდეგ, რაც ვირებივით იმუშავეს და წავიდნენ, გერნერმა კარი ჩაკეტა და მან და გუსტამ სმა დაიწყეს. დროის დაკარგვა არ ღირს, ყველა სასმლის გასინჯვა უნდა მოასწრონ და რაც

საუკეთესოა, ხვალ დილასვე თავიდან უნდა მოიშორონ, ვინმე გადამყიდველს გაატანონ. გერნერი გამხიარულდა კიდევაც, ჩიტი ბდღვნად ღირდა. გუსტაც კმაყოფილია, მას ხომ კარგი ქმარი ჰყავს, ჰო, გერნერი მისი ქმარია და ქალი მას დაეხმარება. ღამის ორი საათიდან დილის ხუთ საათამდე ისხდნენ და ყველა სასმელი გასინჯეს, სინჯავდნენ არა წვეთობით, არამედ დიდი ყლუპებით. გაილეშნენ და დაიძინეს. რა ვთქვათ, დიდებული ღამე იყო.

შუადღისას კი ზარი გაისმა! რეკავენ გაუჩერებლად. მაგრამ გერნერები ყურსაც არ აბარტყუნებენ. წუხანდელი ღრეობის შემდეგ მათ ღრმად სძინავთ. ზარი კი არ წყდება. აი, უკვე აბრახუნებენ, ლამის ფეხებით კარი ჩამოიღონ. როგორც იქნა, გუსტა გამოფხიზლდა, წამოდგა და პაულის გაღვიძება სცადა. ეჯაჯგურება.

- პაულ, პაულ, აბრახუნებენ, კარი

გააღე. პაულმა თვალები ძლივს

დააჭყიტა:

- სად? - იკითხა, მაგრამ ქალმა საწოლიდან წამოაგდო:

- ჩქარა, ჩქარა, არ გესმის, როგორ აბრახუნებენ, ლამის კარი ჩამოიღონ! ეტყობა, ფოსტალიონია.

პაული დგება, შარვალს იცვამს და როგორც კი კარს გააღებს, ოთახში სამი მაღალი კაცი შემოვარდება. ეს რა ბანდაა? რა უნდათ? ნუთუ ბიჭები ნაძარცვის წასაღებად ასე ადრიანად მოვიდნენ? არა, რაღაც სხვა ამბავია. ესენი ხომ ძაღლები არიან, კრიმინალური პოლიციიდან! ამჯერად დიდხანს ჩხრეკა-ძებნა არ დასჭირვებიათ. გაკვირვებისგან თვალები გაუფართოვდათ. აი, სახლის მმართველიც ამას ჰქვია! იატაკზე მოპარული საქონლის მთებია აღმართული. ყველგან, დერეფანში, ოთახში ერთმანეთშია არეული ტომრები, ყუთები, ბოთლები, ჩალა. კომისარი ამბობს:

- ასეთ ღორობას არასოდეს შევსწრებივარ.

და რას ამბობს გერნერი? რა უნდა თქვას? დგას და დუმს. მიშტერებია მაძებრებს და გული ერევა, ძაღლები, სისხლისმსმელები, ახლა რევოლვერი რომ მქონდეს, ეს ძაღლები ცოცხალს ხელში ვერ ჩამიგდებდნენ. ნუთუ მთელი ცხოვრება ოფლი მშენებლობაზე უნდა ვღვარო და ჩემი ფული დიდმა ბატონებმა მიითვისონ? ეჰ, ახლა

ნეტავ ვინმე ერთ ყლუპს დამალევინებდეს, და რადგან სხვა გზა არა აქვს, უნდა ჩაიცვას:

- იქნებ აჭიმების გაკეთების უფლება მაინც
მომცეთ! ცოლი კი ცრემლებს ღვრის,
სლუკუნით ამბობს:
- ოი, ღმერთო, მე არაფერი ვიცი, ბატონო კომისარო, ჩვენ ხომ პატიოსანი ადამიანები ვართ, ეს ყუთები კი, ეტყობა, ვიღაცამ მოგვიყარა. ჩვენ ხომ ძალიან ღრმად გვეძინა, ამის მოწმე თავად ბრძანდებით. ჰოდა, აი, ვიღაცამ ეს ოინი გაგვიკეთა, ალბათ, ჩვენი სახლიდან ვინმემ, ბატონო კომისარო! პაულ, ახლა რა გვეშველება?
- ამ ყველაფერს პოლიციაში
მოგვიყვებით. ლაპარაკში გერნერი
ერევა:
- ეტყობა, ახლა ღამით ქურდები ჩვენთან შემოიპარნენ, დედილო. ალბათ, ესენი იგივე ქურდები იყვნენ, რომლებმაც საწყობი დააცარიელეს, ჩვენ კი პოლიციაში
მიგვათრევენ.

- ხომ გითხარით, რომ ყველაფერს პოლიციაში მოგვიყვებით.

- პოლიციაში არ წამოვალ.

- არ წამოხვალთ და ძალით წაგიყვანთ.

- ღმერთო, გუსტა, ჩვენთან ქურდები როგორ შემოვიდნენ, მე ხომ ნამდვილად არ გამიგია, მკვდარივით მეძინა. თავად ბრძანდებით მოწმე.

- მეც ხომ მკვდარივით მეძინა, პაულ.

გუსტა კამოდიდან აყლაყუდას ორი წერილის შეუმჩნევლად ამოღებას ცდილობს. მაგრამ ერთ- ერთი კრიმინალისტის მახვილ თვალს ეს არ გამოჰპარვია.

- აბა, მაჩვენეთ! თუმცა არა, უკან ჩადეთ, ჩხრეკის დროს
ვნახავთ. ქალი აზარტში შედის:
- რას იზამ, ძალა თქვენ გაქვთ. იმისი მაინც შეგრცხვეთ, სხვის სახლში გაუფრთხილებლად რომ შემოცვივდით.

- აბა, წავედით.

ამჯერად გუსტამ კომედია გაითამაშა: ქმარს ზედ არ უყურებს, ყვირის, იატაკზე გორაობს, პოლიციელებმა ძალით ძლივს გაიყვანეს. ქმარი კი უშვერი სიტყვებით იგინება, თავის გათავისუფლებას ლამობს, ყვირის:

- ქალის შეურაცხყოფას როგორ ბედავთ!

რა ხდება? ნამდვილი მძარცველები მიიმალნენ, წყეული გამომძალველები, იგი კი, საწყალი და პატიოსანი, ბინძურ საქმეში გახვიეს.

კვიცმა ისევ გაინავარდა, ჰოპ, ჰოპ

სადარბაზოსთან ხალხი დგას. მითქმა-მოთქმა, ჭორები, რაღას არ ამბობენ. ფრანცი, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, ზემოთ აწეული საყელოთი, მხრებში ლამის შუბლამდე თავჩარგული, ერთი ჯგუფიდან მეორესთან მიდის და უსმენს. ლაპარაკში არ ერევა. მერე კი ხურო თავის მსუქან ცოლთან ერთად სადარბაზოდან რომ გამოიყვანეს და ქუჩისკენ წაიყვანეს, მოსეირეებმა გაიწ- გამოიწიეს, კედლებს შპალერივით აეკვრნენ. ფრანცი დგას და უყურებს. ესე იგი, დაიჭირეს. მას შემდეგ წლები გავიდა, მაგრამ ფრანცს კარგად ახსოვს, იგიც როგორ მიჰყავდათ. ოღონდ მაშინ უფრო ბნელოდა. ესენი სულ წინ იყურებიან გაშტერებულები. რცხვენიათ და იმიტომ! სხვები რა, მაგათზე უკეთესები არიან? ენის ტარტარი ყველას შეუძლია. მთავარია, გესმოდეს, ამ მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანი რას გრძნობს! ეს პოლიციელებიც კარგი ვიღაცები არიან: ჩუმად თაღლითობენ, მერე კი თავიანთ სოროებში მიძვრებიან და ყველაფერი საიდუმლოდ რჩება, წამგლეჯები, მექრთამეები, მეშჩანები! აი, „მწვანე ჰაინრიხის“[14] კარს აღებენ. აბა, შეძვერი, ჩემო ბიჭო! თქვენც, ჩემო პატარა ქალბატონო! მგონი, ქალი გადაკრულშია, მერე რა, ეგ მაგის უფლებაა, სრული უფლება! ესენი კი იდგნენ და იცინონ, მერე რა. აბა, ერთი თავიანთ ტყავზე ეწვნიათ, როგორია, როცა პოლიციის მანქანაში გტენიან! აბა, წავიდეთ.

ხალხი კი არ იშლება. ისევ ჭორები და მითქმა-მოთქმა. ფრანცი გარეთ, სადარბაზოს წინ დგას. გარეთ ყინავს, ძალიან ყინავს. მერე მიტრიალდება, სადარბაზოს კარს შეხედავს, მერე ქუჩას, ახლა რა ვქნათ, სად წავიდეთ? ერთხანს დგას, მიწას ტკეპნის.

ფუი ეშმაკს, როგორ ცივა, სწორედ ამაზეა ნათქვამი, ასეთ ამინდში ძაღლს გარეთ არ გააგდებენო. მაგრამ ზემოთ მაინც არ ავალ. არადა, სად წავიდე?

დგას. ერთ ადგილს ტკეპნის. ვერც კი შეამჩნია, როგორ გამოცოცხლდა! ამ ბრბოსთან აქ რომ დგას და ენას იფხანს, არაფერი მესაქმება. სხვა ოთახი უნდა მოვძებნო, აქედან მაინც მალე გამაგდებენ.

და ფრანცი გზას მხნედ დაადგა. ელზასერშტრასეს ქვემოთ იმ ღობის გასწვრივ დაუყვა, რომლის მეორე მხარესაც მეტროს არემონტებდნენ. ჯერ როზენტალერპლაცზე გავიდეთ, - მერე კი საითაც ფეხები წაგვიყვანს.

ეს მოხდა, ფრანც ბიბერკოპფი თავისი სოროდან გამოძვრა. სახლის მმართველი, რომელსაც ორად გახლეჩილი, კედლებზე შპალერებივით აკრულ უსაქმურთა შორის მსხვილფეხა საქონელივით მიერეკებოდნენ, მისი მრგვალი, ნასვამი ცოლი, ძარცვა, „მწვანე ჰაინრიხი“, - ეს ყველაფერი თავში გამუდმებით კინოფირივით უტრიალებდა. მაგრამ, სანამ მოედანზე გაუხვევდა, იქვე, კუთხეში, ლუდხანა დაინახა, აი, მაშინ კი აირია კაცი. ხელები თავისთავად ჯიბეებისკენ გაექცა, დიდხანს იქექებოდა, მაგრამ ლუდის ჩასასხმელად ბოთლი შიგ ვერ იპოვა. დალახვროს ეშმაკმა, დაავიწყდა, ზემოთ, ოთახში დარჩა. სულ იმ ამბის გამო. ეს ალიაქოთი რომ ატყდა, სასწრაფოდ პალტოში ხელი გაუყარა და ქვემოთ ჩავიდა, ბოთლი არც კი გახსენებია. ჯანდაბას. ახლა უკან ხომ ვერ დავბრუნდები. და დაიწყო: შევიდე, არ შევიდე; შევიდე არ შევიდე! ვერც აქეთ მიდის, ვერც იქით. ილანძღება უშვერი სიტყვებით. ერთ ადგილზე დგას და საკუთარ თავს ეკამათება: „შედი, რას დგახარ!“ „არა, მაგ ჯოჯოხეთში არ შევალ!“ მსგავს სიტუაციაში ფრანცი არასოდეს აღმოჩენილა.

„შევიდე თუ არა? ძალიან რომ მწყურია?“ „გწყურია და სელტერის წყალი დალიე! თორემ იქ თუ შეხვალ, ისევ გამოტყვრები, ადამიანო!“ მაგრამ, ღმერთო, ძალიან რომ მწყურია? პირი მიშრება! არა, აქ დარჩი, შიგ არ შეხვიდე, ჰო, არ შევალ, თორემ მერე ისევ დედაბერი შმიდტის სოროში აღმოჩნდები, საწოლში პირქვედამხობილი. და ისევ თვალწინ დაუდგა „მწვანე ჰაინრიხი“ და გერნერი ცოლითურთ, მარჯვნისაკენ, აქ არ დავრჩებით, შეიძლება ოდესმე სხვა დროს, ახლა კი... ახლა აქედან სასწრაფოდ წავიდეთ.

და აი, ფრანცი ჯიბეში **1** მარკა და **55** პფენიგით ალექსანდერპლაცისაკენ გარბის.

სუფთა ჰაერი ჩაყლაპა და ისევ გარბის. მერე თავი აიძულა, სასაუზმეში შესულიყო და ესადილა: შეუკვეთა ხბოს რაგუ კარტოფილის გარნირით და ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში პირველად მადიანად

ისადილა. სადილის შემდეგ თითქოს ისე ძალიან აღარ სწყუროდა. 75 პენიგი დარჩა. ფრანცმა მონეტა აათამაშა და ჩაფიქრდა. ლინასთან ხომ არ წავიდე? ერთი მაგისი, აბა, რა მინდა ლინასთან? სულ აღარ მომწონს. ენაზე ნადები აქვს, პირში მჟავე გემო, ყელი გაუშრა, თითქოს ცეცხლი უკიდია. მოდი, სელტერს დავლევ.

სვამს. გრილი წყლის ყლუპებს ხარბად ყლაპავს, გაზის ბუშტუკები ენაზე სასიამოვნოდ უღიტინებს. და უცებ მიხვდა, გული ვისკენაც მიუწევდა. მინასკენ! გაახსენდა, ერთხელ ქალს ხბოს ხორცი რომ გაუგზავნა, მას უარი არც წინსაფრებზე უთქვამს. დიახ, ეს სიმართლეა. დიახ, მინასთან უნდა წავიდეს.

ადგა ფრანცი და თავის მოსაწესრიგებლად სარკესთან მივიდა. თავისი გამოსახულება კრიტიკულად აათვალიერ-ჩაათვალიერა და ის, რაც დაინახა, არ მოეწონა. რას ვგავარ! - ფერმკრთალი, ფერისმჭამელებით სავსე სახე, ჩავარდნილი ლოყები, სიფათიც ამას ჰქვია, უკეთესს ვერ ინატრებ! შუბლზე წითელი ზოლები აქვს, ეს საიდანღა, ალბათ, ქუდისგან! ცხვირი კი შესივებულ და წითელ ქლიავს მიუგავს. ისე, ეს სიწითლე არყის ბრალი არ არის, ყინვის ბრალია. დღეს ხომ მაგრად ყინავს. თვალები კი, უაზრო და უფერული, ისე მაქვს გადმოკარკლული, როგორც ხბოს, თითქოს ვერ ვხედავდე და ზედ შაქრის სიროფი გადამასხა ვინმემ. მაგრამ არა უშავს, მინას ასეთიც მოვეწონები. ახლა თმა გადავივარცხნოთ, აი, ასე, სრულ წესრიგში ვართ. აბა, მინასკენ ნაბიჯით იარ! იქნებ ისიც მოხდეს, რომ ხუთშაბათამდე რამდენიმე პენიგი მასესხოს, მერე კი როგორ ვიმოქმედოთ, ამას სიტუაცია გვიკარნახებს.

სასადილოდან ტყვიასავით გავარდა. გარეთ ყინავს. უამრავი ადამიანი. ამ ალექსზე მაინც რამდენი ხალხია და ყველა სადღაც გარბის. ძალიან საქმიანები არიან. ნაბიჯს ჩვენმა ფრანცმაც აუჩქარა, ლამის მირბის, თანაც აქეთ-იქით იყურება. ცხენს გლუვ და მოლიპულ ადგილზე ფეხი რომ მოუცურდება, მას მუცელში წიხლების კვრით აყენებენ, და მერე შეშინებული თუ სასოწარკვეთილი ცხენი მთელი ძალით, გადარეულივით გარბის. ასეა ფრანცის საქმეც. ძალ-ღონე და კუნთები მისთვის მამაზეციერმა არ დაიშურა. ერთ დროს ათლეტთა კლუბში ტყუილად კი არ ვარჯიშობდა. ახლა ალექსანდერშტრასეზე მიდის და გრძნობს, რომ სხვანაირ, მტკიცე და მოზომილ ნაბიჯებს დგამს, ისეთს, როგორსაც გვარდიელები აღლუმზე. იქნებ ისეც იყოს, რომ სხვებს არაფრით ჩამოვუვარდებით, მუხასავით მტკიცედ ვდგავართ.

ამინდის პროგნოზი: დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, დროდადრო გამოიდარებს. უახლოეს დღეებში ყინვა შენარჩუნდება, მაგრამ მერე მოსალოდნელია ტემპერატურის მატება. მზე ღრუბლებიდან მორცხვად იყურება. მალე დათბება.

დაბრძანდით ჩვენი ახალი თექვსმეტცილინდრიანი „ოპელის“ საჭესთან, აღფრთოვანებული დარჩებით!

თქვენ იცით მხარე, სადაც ახლა ფორთოხლები ყვავის, საყვარელო, მინდა შენთან ერთად იქ გავემგზავრო!

აი, ფრანცი უკვე იმ სახლშია, სადაც მინა ცხოვრობს, ნაცნობი კარის წინ დგას, ზარს შესცქერის. მერე ხელის მკვეთრი გაქნევით შლაპას მოიხდის და დარეკავს. კარის გაღებას ელოდება. ნეტავ ვინ გააღებს. მინა, აბა, სხვამ ვინ უნდა გააღოს? მივესალმებით ღრმა რევერანსებით, როგორც კეთილშობილ ქალიშვილს კავალერი. აბა, სხვამ ვინ უნდა გააღოს... გასაღები გაჩხაკუნდა, კარი გაიღო და ეგეც შენ... ზღურბლზე მამაკაცი დგას! მინას ქმარი! ეს კარლია! ბატონი ზეინკალი! სამწუხაროა, მაგრამ არა უშავს. აუ, რა მჟავე სიფათი აქვს!

- შენ? რა მოხდა?

- შემომიშვი, კარლ, ნუ გეშინია, არ ვიკბინები!

და მაშინვე ბინაში შევარდა. აი, ჩვენც მოვედით. მიმართლებს არა, როგორც წყალწაღებულს.

- ღრმად პატივცემულო ბატონო კარლ, შენ, მართალია, უმაღლესი რანგის ზეინკალი ხარ, მე კი შავი მუშა, მაგრამ ცხვირს მაღლა მაინც ნუ სწევ და როცა გამარჯობას გეუბნები, გამარჯობითვე მიპასუხე.

- შენ აქ ნამდვილად არ მომიწვევიხარ. შენი შემოშვება სახლში არც კი მინდოდა. თვითონ შემოვარდი!

- კარგი, კარგი! შენი ცოლი შინ არის? მომცემ, ალბათ, უფლებას, რომ მივესალმო.

- ჩემი ცოლი შინ არ გახლავს და შენთვის არც არასდროს იქნება. შენთვის არც ერთი ჩვენგანი შინ არასდროს იქნება!

- აი, თურმე რა!

- დიახ, არა ვართ და არც ვიქნებით.

- მაგრამ, შენ ხომ სახლში ხარ, კარლ!

- შემთხვევითვარ. აქ პულოვერის ასაღებად ამოვედი და ახლა ისევ უკან, სახელოსნოში მივდივარ.

- რა კლიენტებს ვერ აუდიხარ?

- ბედს არ ვემდური.

- ანუ, მაგდებ?

- გაგდებ კი არა, სახლში არც შემომიშვიხარ. ბოლოს და ბოლოს, თქვი, აქ რა დაგიკარგავს ან რას ეძებ? აქ გამოჩენისა როგორ არ გრცხვენია, ვერ ხვდები, რომ ეს ჩემი შეურაცხყოფაა? აქ ხომ შენ ყველა გიცნობს.

- ნეტავ შენ, კარლ, რა გენაღვლება, იყეფონ რამდენიც უნდათ. მიგვიფურთხებია ყველასთვის. მე მათ საქმეში ცხვირს ხომ არ ვყოფ! ხალხი რას იტყვის, მაგისი არ უნდა გეშინოდეს, ეგეთები გვინახავს? აი, დღეს „მწვანე ჰაინრიხით“ ერთი წაიყვანეს, პროფესიონალი ხურო, რომელიც ამავე დროს ჩვენი სახლის მმართველი იყო. წარმოიდგინე, ცოლთან ერთად. იპარავდნენ კაჭკაჭებივით. მე კი რამე მომიპარავს? არასოდეს!

- ადამიანო, გაიგე, რომ წასასვლელი ვარ. აქედან გაეთრიე! შენთან ლაპარაკიც არ მინდა. მინას კი, გირჩევნია, არ დაენახვო, გაგაგდებს, ცოცხის ცემით გაგაგდებს!

„ეგრე გეგონოს, შენ არ იცი და რქები რა ხანია დაგადგი. და შენ მე მელაპარაკები? სიცილით მოკვდება კაცი. როცა ქალს კაცი ჰყავს, პატივს სცემს და უყვარს“.

კარლი ფრანცს მიუახლოვდა.

- აბა, რას ელოდები? ფრანც, დაიმახსოვრე, ჩვენ შენი ნათესავები არა ვართ! და ახლა, როცა ციხიდან გამოგიშვეს, შენი საქმეა, როგორ იცხოვრებ. ჩემი იმედი კი ნუ გექნება!

- როგორც მახსოვს, შენთვის ფული არ მითხოვია.

- არ გითხოვია, მინას კი იდა არ დავიწყებია, ხომ იცი, და მაინც და არის, და ჩვენ, იმას, როგორც იდას მოექეცი, არასოდეს გაპატიებთ. შენ ჩვენთვის ცარიელი ადგილი

ხარ და ყოველთვის ასეთად დარჩები. გაიგე?

- გავიგე, მაგრამ იდა მე არ მომიკლავს. გონება ამერია და ხელი გამექცა. ეს ყველას შეიძლება დაემართოს.

- მაგრამ ფაქტია, რომ იდა მკვდარია და ახლა შენი გზით წადი. ჩვენ პატიოსანი ადამიანები ვართ.

„ნამდვილი ძაღლი ხარ, თანაც რქიანი, შხამით სავსე ტომარა. ესეც რომ კაცობაზე დებს თავს. არ იცი და მაგ შენ ცოლს საწოლიდან მაშინ აგართმევ, როცა მომინდება“.

- ოთხი წელი, რომელიც სასამართლომ ამ დანაშაულისთვის მომისაჯა, ხომ ბოლო წუთამდე მოვიხადე. სასამართლოზე უფრო მკაცრი მსაჯული ნუ იქნები, კარლ!

- შენი სასამართლოსულ არ მაინტერესებს, აქედან ერთხელ და სამუდამოდ გაქრი, ჩვენი სახლისკენ მომავალი გზა დაივიწყე.

რა ემართება ბატონ ზეინკალს, ცოტაც და მუშტი-კრივზე გადავა.

- კარლ, უკანასკნელად გეუბნები, მე სასჯელი მოვიხადე და ახლა თქვენთან შერიგება მინდა. აი, ჩემი ხელი!

- არ ჩამოგართმევ!

ახლა ყველაფერი ცხადზე ცხადია (ღირსი არ არის ახლა ამ ვაჟბატონს ფეხებზე ხელი წაავლო და თავი კედელზე არტყმევინო?), ისე, თითქოს პასუხი წერილობით მიმეღოს. და ისეთივე სხარტი მოძრაობით, როგორითაც კარში შემოვარდა, შლაპა თავზე დაიხურა.

- მაშინ კარგად იყავი, კარლ, ბატონო საზეინკლო საქმეთა დიდოსტატო! მინა მომიკითხე და უთხარი, რომ თქვენი ამბების გასაგებად შემოვიარე! შენ კი, ღორო, ბინძურო ღორო, ამქვეყნად ყველაზე დიდი ვიგინდარა ხარ! და ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვრე: ენა დაიმოკლე და ჭკუას მოუხმე, თორემ ამ მუშტით ყბას მოგინგრევ. ნაგავო, ნეტავი მინა შენთან როგორ ცხოვრობს!

თქვა და ბინიდან გავიდა: მშვიდად, უხმაუროდ. კიბეზე აუჩქარებლად ჩავიდა. ერთი გაბედოს და დამედევნოს! მშიშარაა, ვერ გაბედავს!

სახლის პირდაპირ ლუდხანაში ფრანცმა ერთი ჭიქა არაყი გადაკრა. ერთი, მხოლოდ ერთადერთი, რათა დამშვიდებულიყო. ერთხანს იჯდა, ელოდა, კარლი გამოჩნდებოდა თუ არა. მოდი, კარლ, გელოდები. არა, ჯერ ვერ გაბედავს, და საკუთარი თავით ერთობ კმაყოფილმა ფრანცმა გზა განაგრძო. ფული? ფულს სადმე სხვაგან ვიშოვით. კუნთები აათამაშა, მხრები გააქან-გამოაქანა, ჰოპლა, ჩვენ ისევ ვცოცხლობთ და ვიცოცხლებთ დიდხანს.

* * *

- გინდა გზაზე გადამეღობო და წამაქციო? მაგრამ მაქვს ხელი, რომელსაც დახრჩობა შეუძლია და შენ ვერ მომერევი! გინდა შენი ზიზღით მდგომარეობიდან გამომიყვანო - მაგას ნუ ცდილობ, ნუ ცდილობ, - მე ძალიან ძლიერი ვარ. ყურებს დავიხშობ და შენს დაცინვას არ გავიგონებ. შენი კბილები ჩემს ჯავშანში ვერ შეაღწევენ, გველის კბენის არ მეშინია. არ ვიცი, ჩემს წინააღმდეგ ვინ აგამხედრა, მაგრამ თავის დაცვა შემიძლია. მამაზეციერი მტრებს ჩემსას დაჩოქილს გადმომცემს.

იყბედე, იყბედე. ასე ჭიკჭიკებს ჩიტი-ჩიორა ქრცვინის ბრჭყალებს თავდაღწეული. ჩიტებმა რამდენიც უნდა იჭიკჭიკონ, ამქვეყნად ბევრი ქრცვინია! ერთხანს ვერ მნახავ. ჯერჯერობით ეს საჭირო არც არის. გესმის ხალხის ლაქლაქი, ქუჩის ხმაური, ტრამვაის ღრჭიალი. ისუნთქე მხოლოდ, ისმინე მხოლოდ. და ამ საერთო ხმაურში ერთხელაც იქნება ჩემს ხმასაც გაიგებ.

- ვის, ვის ხმას? ვინ მელაპარაკება?

- არ გეტყვი. თავად დამინახავ, თავად მიგრძნობ. განიწმინდე სული შენი. და მერე ვისაუბროთ, მაშინ დამინახავ და ცრემლად დაიღვრები.

- ილაპარაკე რამდენიც გინდა და რამდენ ხანსაც გინდა. თუნდაც **100** წელი. მეცინება მხოლოდ!

- ოღონდ ნუ იცინი! ოჰ, ნუ იცინი!

- ცუდად მიცნობ. იმიტომ, რომ არ იცი, მე ვინ ვარ. ფრანც ბიბერკოპფი რა ადამიანია.

მე არაფრის მეშინია. ნახეთ, რა მუშტები მაქვს და რა კუნთები!

წიგნი მეხუთე

ხანმოკლე შესვენების შემდგომ კაცი ისევ იქ დგას, სადაც იდგა, ვერაფერი ისწავლა და ვერაფერი შეიგნო. ახლა მას ცხოვრება პირველ ძლიერ დარტყმას აყენებს, - მას დანაშაულში ითრევენ. კაცს ეს არ უნდა, ჯიუტობს, თავს იცავს, მაგრამ ბედისწერამ ასე ინება. თავს მამაცურად იცავს, ხელებითა და ფეხებით იბრძვის, მაგრამ ეს მის ძალღონეს აღემატება, იძულებულია, ბედს დაემორჩილოს.

გამარჯობა, ალექსანდერპლაც! ყინავს, მომავალ **1929** წელს უფრო დიდი ყინვა იქნება

ბუმ, ბუმ - ალექსზე, აშინგერის კაფეს წინ ორთქლის ურნალი**[15]** ხმაურობს. ურნალი სახლის სიმაღლის არის და მიწაში რკინის ხიმინჯებს თამაშ-თამაშით არჭობს.

თებერვალი. ყინავს. ხალხმა თბილი პალტოები ჩაიცვა. ვისაც ქურქი აქვს, ქურქი აცვია; ვისაც ქურქი არა აქვს, იმას არ აცვია. ქალებს თხელი აბრეშუმის წინდები აცვიათ, ალბათ, სცივათ, სამაგიეროდ, ლამაზია.

ვიგინდარების მთელი შემადგენლობა სიცივეს სადღაც დაემალა. როგორც კი დათბება, მაშინვე ცხვირებს გარეთ გამოყოფენ. ჯერჯერობით კი უსაფრთხო ადგილებში შეყუჟულები არყის ორმაგი ულუფით თბებიან. მაგრამ ეს რა არაყია, მხოლოდ ფეხების დასაბანად თუ გამოდგება.

ბუმ, ბუმ - ალექსანდერპლაცზე ორთქლის ურნალი ასფალტს ამტვრევს. ირგვლივ უსაქმურები ირევიან. ხალხს საქმე არა აქვს და დგას და უყურებს, ურნალი როგორ მუშაობს. ფიცარნაგზე შემდგარი მუშა წამდაუწუმ ჯაჭვს ექაჩება. მაშინ მაღლა რაღაც არახუნდება, აშიშინდება და ბაახ! ურო ხიმინჯს თავში ურტყამს. ურნალის ირგვლივ მდგართ კი - კაცებსა და ქალებს, განსაკუთრებით კი ბიჭბუჭობას უხარია: მაგარია, რა კარგად ურტყამს ურო თავში ხიმინჯებს, ბაახ! და აუჩინარებს. მოჩანს სულ ოდნავ, მხოლოდ ფრჩხილისოდენად. ხიმინჯებს კი თავში ურტყამენ და ურტყამენ, რას იზამ, ასეთია მათი ხვედრი! ბაახ და მიწაში მთლიანად ჩაეფლო.

ეშმაკმა დალახვროს, მარჯვედ ჩაარჭვეს.

ყველგან ფიცრები დაუგიათ. უნივერმაღ „ტიცთან“ წინ გაშვერილი ხელით ბრინჯაოს ბეროლინა[16] იდგა, სპილოსხელა დედაკაცი! და ისიც სადღაც წაუთრევიათ. იქნებ უნდა გადაადნონ და ბრინჯაოს მედლები დაამზადონ.

მუშები მიწაში მატლებივით ფუთფუთებენ. აქ ისინი ასობით არიან. შეუჩერებლად თხრიან დღისით და ღამით.

ძინ-ძინ, - ფიცარნაგზე ტრამვაები მიგრუხუნებენ, ალექსზე მიცოცავენ ყვითელი, მისაბმელი ვაგონები: ტრამვაიდან მოძრაობის დროს ჩამოხტომა სიცოცხლისთვის საშიშია. ქალაქის რკინიგზის სადგურის წინ დიდი მოედანი გაწმინდეს. აქედან მატარებლები ერთი - კენიგშტრასეს მიმართულებით მიდიან, გზად ვერტჰაიმის უნივერმაღს ჩაუვლიან. და ვისაც მოხვედრა აღმოსავლეთ ნაწილში უნდა, კლოსტერშტრასეთი პოლიციაპრეზიდიუმის გავლით უნდა გაემგზავროს. მატარებლები სადგურიდან „იანოვიცბრიუკესკენ“[17] გრუხუნით გარბიან. აი, ლოკომოტივი გაჩერდება და ლუდხანების „პრელატისა“ და „შლოსბრაის“ სახურავები ორთქლში გახვია.

სადგურის გასწვრივ და მოპირდაპირე მხარეს ყველა სახლს ანგრევენ. საიდან ამდენი ფული? ჰო, ბერლინი მდიდარი ქალაქია, ჩვენ გადასახადებს დროულად ვიხდით.

თამბაქოს ჯიხური „ლეზერი და ვოლფი“ თავისი მოზაიკის აბრით უკვე აიღეს და ახლა ეს აბრა ოცი მეტრის მოშორებით, სადგურთან ახლოს იწონებს თავს: „ლეზერისა და ვოლფის სავაჭრო სახლი“, უმაღლესი ხარისხის სიგარები: ბრაზილიიდან, ჰავაიდან, მექსიკიდან, „პატარა სიამოვნება“ და

„ლილიპუტი“ სიგარა №8, ცალი 25 პფენიგი, „ზამთრის ბალადა“, შეკვრაში 25 ცალი, ერთი სიგარა - 2 პფენიგი, სიგარა №10, დაუფასოებელი, სუმატრის თამბაქოს შესახვევი ფოთოლი, ფირმის სიამაყე, ძალიან იაფად. დაფასოებული, ყუთში 100 ცალი, 10 პფენიგი... მე ვანგრევ ყველაფერს, შენ ანგრევ ყველაფერს, თქვენ ანგრევთ ყველაფერს, ჩვენი სიგარებით ყუთებში 50-50 ცალი, მუყაოს შეფუთვაში 10-10 ცალი. ვგზავნით დედამიწის ყველა ქვეყანაში; სიახლე - „ბოიეროს“ მარკის სიგარა, 1 ცალი - 25 პფენიგი, კლიენტები აღფრთოვანებული არიან! მე ვანგრევ ყველაფერს, შენ ანგრევ

უკვე დიდი ხანია!

„პრელატის“ გვერდით პატარა მოედანია. იქ ბანანებით სავსე ოთხთვალები დგას. უყიდეთ ბავშვებს ბანანები! ბანანის სტერილიზაციაზე ბუნება ზრუნავს. ნაყოფს კანი მწერების, მატლებისა და ბაცილებისგან იცავს, რა თქმა უნდა, გარდა იმ მწერების, მატლებისა და ბაცილებისგან, რომლებიც კანქვეშ აღწევენ. საიდუმლო მრჩეველმა, პროფესორმა ჩერნიმ სრულიად დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ ის ბავშვები, რომლებიც ცხოვრების პირველ წლებში ბანანებით იკვებებიან, უკეთესად ვითარდებიან. მე ვანგრევ ყველაფერს, შენ ანგრევ ყველაფერს, ის ანგრევს ყველაფერს.

ალექსზე ქარი დაწანწალებს; უნივერმაღ „ტიცთან“ კი ყოველი მხრიდან უბერავს. ბრრრ! რა საზიზღრობაა! ქარი ქრის, ქარი ქრის... სახლებს შორის დაძრწის, ორმოებში ჩარბის, ადამიანებს აფორიაქებს. ახლა კარგია რომელიმე თბილ ლუდხანაში თავის შეფარება, მაგრამ ეგ ძვირი სიამოვნებაა, ქარი შარვლის ჯიბეებშიც უსტვენს. ცხოვრება კი თავისი გზით მიდის. გაინძერი, ნუ ამთქნარებ, სასეირნო ამინდი არ არის. და აი, რეინიკენდორფიდან, ნოიკელნიდან, ვაისენზეედან ჩამოსული მუშები ამ დილაადრიან ბატებივით გრძელ რიგად დაწყობილები ალექსისკენ მიდიან. სულერთია, ცივა თუ თბილა, დარია თუ ავდარი, ქარია თუ წყნარი ამინდი, ყველა დღე ერთმანეთს ჰგავს: დაისხი ყავა, ბუტერბროდები გაახვიე, სამსახურში წადი, ქანცის გაწყვეტამდე იმუშავე. ზემოთ კი მუქთახორები სხედან, ბუმბულის ქვეშაგებში გვიანობამდე სძინავთ და ჩვენ სისხლის უკანასკნელ წვეთებს გვწოვენ.

აშინგერს დიდი კაფე და რესტორანი აქვს. იქ იმან, ვისაც ღიპი არა აქვს, შეუძლია, დაიდოს, სასურველ ზომამდე გაიზარდოს. „ბუნებას ვერ მოატყუებ! მცხობელი, რომელიც დაობებულ ფქვილში ხელოვნური დანამატების ჩაყრით მზა პურფუნთუშეულის ხარისხის ამაღლებას ცდილობს, საკუთარ თავსაც ატყუებს და მომხმარებელსაც. ბუნებას თავისი კანონები აქვს და ნებისმიერ მოძალადეს სჯის! თითქმის ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში მოსახლეობის ჯანმრთელობა საგანგაშოა. ეს კვების პროდუქტებში ქიმიური ნივთიერებების დამატების სავალალო შედეგია“.

„უმაღლესი ხარისხის ძეხვი, შინ მიტანით, ღვიძლისა და სისხლის ძეხვები - იაფად!“

საინტერესო „ჟურნალი“ ერთი მარკის ნაცვლად **20** პფენიგი, ერთობ საინტერესო ჟურნალი „ქორწინება“, პიკანტური სტატიებით, მხოლოდ **20** პფენიგად. გამყიდველი სიგარეტს

აბოლებს, თავზე მეზღვაურის ქუდი ახურავს, მე ვანგრევ ყველაფერს.

ქალაქის აღმოსავლეთ რაიონიდან: ვაისენზეედან, ლიხტენბერგიდან, ფრიდრიხსჰაინიდან, ფრანკფურტერალეედან, ლანდსბერგერშტრასეს გავლით მიმავალი ყვითელი ტრამვაების ბოლო გაჩერება ალექსზეა. **№65** ცენტრალური საქონლის ბაკიდან დიდ წრეზე - ვედინგპლაციდან ლუიზენპლაცამდე, **№76** კი ჰუნდეკელედან ჰუბერტუსალეემდე მიდის.

ლანდსბერგერშტრასეს ქუჩის კუთხეში ფრიდრიხ ჰანის უნივერმაღი დაიხურა, ფასდაკლება იყო, გაიყიდა ყველაფერი, ახლა კი წინაპრებთან საიქიოში თავად უნივერმაღის შენობის გაგზავნასაც აპირებენ. აქ არის ტრამვაისა და ტურმშტრასეზე მიმავალი **№19** ავტობუსის გაჩერება. იურგენსის საკანცელარიო ნივთების მაღაზია უკვე აიღეს და ახლა მის ადგილას თავს ფიცრის ღობე იწონებს. ღობესთან კი მოხუცი ზის, წინ სამედიცინო სასწორი უდევს. თუ თქვენი წონა გაინტერესებთ, გადაიხადეთ ხუთი პფენიგი.

ო, საყვარელო დებო და ძმებო, ალექსზე მოფუთფუთენო, წუთით შეჩერდით და აწ უკვე მოხსენიებული სამედიცინო სასწორის გვერდით ღობის ღრიჭოში შეიჭვრიტეთ: იმ ადგილზე, სადაც სულ ცოტა ხნის წინ იურგენსი ყვაოდა, თქვენ ნამსხვრევების გროვას დაინახავთ. ჰანის უნივერმაღი კი ჯერ ისევ დგას, უკაცური, დაცარიელებული, გამოშიგნული, მისი ყოფილი დიდების დასტურზე - ფართო ვიტრინებზე ჭრელი ქსოვილისა და ქაღალდის ნაგლეჯებაკრული. ჩვენ წინ ნაგვის გროვაა აღმართული. მიწა ხარ და მიწად იქეცი. აქ ოდესღაც უმშვენიერესი შენობა იდგა, სულ მალე კი ის აღარავის გაახსენდება. ასე დაინგრა რომი, ბაბილონი, ნინევია; ჰანიბალი, ცეზარი, ყველა და ყველაფერი მტვრად იქცა. ო, იფიქრეთ ამაზე. თუ შეიძლება, ერთი წუთით, ნუ გავიწყდებათ, რომ ჩვენს დროში ამ ქალაქების გათხრები მიმდინარეობს, აი, იხილეთ ამ კვირის გაზეთი, აქ ილუსტრაციებია დაბეჭდილი. და კიდევ: ამ ქალაქებმა თავიანთი დანიშნულება შეასრულეს და მათ ადგილზე ახლები აშენდა. ასე ყოფილა ოდითგანვე და ასე იქნება მომავალშიც. შარვალი რომ გაგიცვდებათ, დაგეხევათ, მას ხომ არ მისტირით. უბრალოდ, აწ უკვე გამოუსადეგარ შარვალს აგდებთ და ახალს ყიდულობთ. ასეა სამყაროც. ისიც მუდმივად იცვლება.

მოედანზე პოლიცია ერთპიროვნულად მბრძანებლობს. აქ წესრიგის დამცველთა საკმაოდ ბევრი ეგზემპლარი დგას. თითოეული ეგზემპლარი ხან ამ, ხან იმ მხარეს

იყურება და ყველამ მოძრაობის წესები ზეპირად იცის. აი, ერთი მათგანი: ფეხზე კრაგები[18] აცვია, მარცხნივ რეზინის ხელკეტი ჰკიდია, მკლავი ჰორიზონტალურად, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მოძრაობს: ჩრდილოეთმა და სამხრეთმა ჯერჯერობით მოითმინონ, აღმოსავლეთი კი დასავლეთისკენ გადაადგილდება, ხოლო დასავლეთი აღმოსავლეთისაკენ. მერე ეგზემპლარი ავტომატურ რეჟიმში გადაირთვება, შეტრიალდება და ახლა ჩრდილოეთი სამხრეთისკენ გადაადგილდება, სამხრეთი კი ჩრდილოეთისკენ. შუპოს წელში გამოყვანილი, ტანზე კარგად მომდგარი მუნდირი აცვია. ეგზემპლარის თვალწინ მოედანს კიონიგშტრასეს მიმართულებით ყველა რანგისა და ჯურის ადამიანი გადაჭრის. ზოგი მოედანზე ტრამვაის გაჩერებაზე რჩება, სხვები კი მოედნის მოპირდაპირე მხარემდე ბედნიერად აღწევენ და გზას ფიცარნაგზე განაგრძობენ. ახლა ადამიანების გროვა აღმოსავლეთისაკენ დაიძრა და თანდათან დაიფანტა. მათაც საწინააღმდეგო მხარემდე ისე მიაღწიეს, არავინ დაშავებულა.

გზებზე გადადიან და გადმოდიან მამაკაცები, ქალები, ბავშვები. ბავშვები, როგორც წესი, ხელჩაკიდებული მოჰყავთ. ყველას ჩამოთვლა და მათი ცხოვრების აღწერა შეუძლებელია. მხოლოდ ერთ-ორი ადამიანის ბედით თუ დაინტერესდება მწერალი. ქარი ყველა გამვლელს თოვლის ფანტელებს თანაბრად აყრის. აღმოსავლეთისკენ მიმავალი ადამიანის სახე დასავლეთის, სამხრეთის, ჩრდილოეთის მიმართულებით მიმავალთაგან არაფრით განსხვავდება, ისინი ერთმანეთში როლებსაც ცვლიან და ის, ვინც ახლა მოედნის გავლით აშინგერისკენ მიდის, შეიძლება ერთი საათის შემდეგ სრულიად დაცარიელებულ ჰანის უნივერმაღთან აღმოჩნდეს. და ზუსტად ასევე ბრუნენშტრასედან „იანოვიცბრიუკესკენ“ მიმავალნი კი მათ შორის, ვინც საწინააღმდეგო მხარეს მიაბიჯებენ.

დიახ, ასეც ხდება, რომ ბევრი გეზს იცვლის: მაგალითად, სამხრეთისკენ მიმავალი მოულოდნელად დასავლეთისკენ ან აღმოსავლეთისკენ გადაუხვევს, ჩრდილოეთისკენ მიმავალი კი - დასავლეთისკენ ან აღმოსავლეთისკენ. ყველანი ერთმანეთს ჰგვანან, ისევე, როგორც ავტობუსსა და ტრამვაიში მსხდომნი. მათ შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ფეხით მოსიარულენი დედამიწას ამძიმებენ, ტრანსპორტში მსხდომნი კი ზრდიან იმ წონას, რომელიც ვაგონს გარედან აწერია. აბა, ვინ ჩახედავს ამ ადამიანებს სულში? ჭასავით ღრმაა და ბნელი ადამიანის სული... და ვინმემ რომც

ჩაიხედოს, რას არგებს? რა, ახალი წიგნის დაწერა შეიძლება? ახალი კი არა, ძველი წიგნებიც არ იყიდება! 1927-ში 1926 წელთან შედარებით ბევრად ნაკლები წიგნი გაიყიდა. მისი გასაღება რამდენიმე პროცენტით შემცირდა. მოდი, იმათ, რომლებიც მგზავრობის საფასურს, 20 პფენიგს იხდიან, უბრალოდ პრივატპერსონები ვუწოდოთ, იმ ადამიანების გამოკლებით, რომლებსაც ერთთვიანი სამგზავრო აბონემენტები აქვთ, და მოსწავლეებისა, რომლებიც მხოლოდ 10 პფენიგს იხდიან. და აი, მიემგზავრებიან ისინი -

თითოეულის ცოცხალი წონა ორმოცდაათიდან ას კილოგრამამდეა, თავიანთი ტანსაცმლით, ჩანთებით, პაკეტებით, შლაპებით, ხელოვნური ყბებით, თიაქრის ბანდაჟებით, ალექსანდერპლაცის გავლით და მგზავრობის ბოლომდე ინახავენ იდუმალ გრძელ ქაღალდებს, რომლებზეც დაბეჭდილია: მარშრუტი **№12** სიმენსშტრასე **DA**, გოცკოვსკიშტრასე **C,B**, ორანიენბურგერტორი **C,C**, კოტბუსერტორი **A** - საიდუმლო ნიშნები, ვინ ამოიცნობს მათ, ვინ ჩასწვდება მათ აზრს და ვინ ამოხსნის. სამ მნიშვნელოვან სიტყვას დაგისახელებთ, ბილეთები კი ოთხ განსაზღვრულ ადგილას დაკომპოსტირებულია და მათზე, იმავე გერმანულ ენაზე, რომელზეც ბიბლია და სამოქალაქო კოდექსია დაწერილი, აღნიშნულია: „ვარგისია ერთი მიმართულებით, ერთხელ მგზავრობისთვის, გადაჯდომის უფლების გარეშე“.

ადამიანები სხვადასხვა ხასიათის გაზეთებს კითხულობენ და წონასწორობას თავიანთი ყურების ლაბირინთის წყალობით ინარჩუნებენ, ისუნთქავენ ჟანგბადს, ერთმანეთს უაზროდ უყურებენ, ერთს რაღაც სტკივა, მეორეს - არა; ერთი ფიქრობს, მეორე - არა; ერთი ბედნიერია, მეორე - უბედური; ისეთებიც არიან, რომლებიც არც ბედნიერები არიან და არც უბედურები.

ურნალი კი ხმაურობს - ბუმ, ბუმ... მე ვანგრევ ყველაფერს, აბა, კიდევ ერთი ხიმინჯი ჩავარჭოთ! ზუზუნი მთელ მოედანზე ისმის და ეს ხმა პოლიციაპრეზიდიუმის მიდამოებიდან ისმის. იქ რაღაცას ერთმანეთზე ადუღებენ, იქვე ბეტონსარევი მუშაობს, იქიდან მზა ბეტონი ისხმება. ბატონი ადოლფ კრაუნი, მეეზოვე, კარგა ხანია ბეტონსარევის მუშაობით ტკბება. მისი ყურადღება განსაკუთრებით ბეტონსარევში ქვიშის ავტომატურად ჩატვირთვამ მიიპყრო. გაკვირვებულია, ასეთი რამ ვინ მოიგონა! დაძაბული შესცქერის, ქვიშით დატენილი ვაგონები ყალყზე როგორ დგებიან, ვერტიკალურ მდგომარეობაში წამით შეშდებიან და ჰოპ, გადაყირავდებიან. აუ, რა მაგარია! რა მოხდებოდა, საწოლიდან ადამიანიც რომ ეგრე გადმოეგდოთ, ფეხებით ზემოთ და თავით ქვემოთ. ალბათ, ცუდი დღე დაადგებოდა! ისე, ამათთვის სულერთია, რა ადამიანი, რა ქვიშა.

* * *

ფრანც ბიბერკოპფს მხრებზე ისევ ზურგჩანთა მოუგდია, ისევ გაზეთებს ყიდის. მან ბინა გამოიცვალა. ახლა როზენტალერტორთან კი არა, ალექსზე დგას. სრულ

ფორმაშია - მამაკაცი არწივი, 1.80 სმ სიმაღლის. ცოტა გახდა, მაგრამ ეს კარგია, თავს უფრო მსუბუქად გრძნობს, თავზე გაზეთების გამყიდველის ლურჯი ქუდი ახურავს.

„მშფოთვარე დღეები რაიხსტაგში!“ „სამთავრობო კრიზისი!“ „ლაპარაკია მარტში ახალი არჩევნების შესახებ“, „აპრილში არჩევნები გარდაუვალია!“ „იოზეფ ვირტ, სად მიდიხარ!“

„მძარცველები ტემპელჰერენშტრასეზე“. ფრანცის დახლი ალექსანდერშტრასეზე, მეტროს გამოსასვლელთან, კინოთეატრ „უფას“ მოპირდაპირე მხარეს დგას. ამ მხარეს ფრომმა ახალი მაღაზია „ოპტიკა“ გახსნა. ფრანც ბიბერკოპფი მიუნცშტრასეს გასცქერის და ახსენდება ის დრო, როცა ციხიდან ახალგამოსული ეზო-ეზო დარბოდა და მღეროდა: ჩემი ებრაელები ხომ სადღაც ამ ქუჩაზე ცხოვრობენ. კარგად მახსოვს, პირველად მათ ბინაში როგორ აღმოვჩნდი. ერთი აუცილებლად უნდა შევუარო, იქნებ ჩემგან „ფოლკიშერ ბეობახტერიც“ კი იყიდონ. რატომაც არა? ოღონდ იყიდონ და მერე ამ გაზეთს რაც უნდათ, ის უქნან, გინდ წაიკითხონ, გინდ გადააგდონ!

ამაზე რომ ფიქრობდა, ფრანცმა ჩაიცინა: ფლოსტები რომ ეცვა, ის მოხუცი დიდი სასაცილო ვინმე იყო. ირგვლივ მიმოიხედა, თითები გაეყინა, მის გვერდით ერთი ცხვირმონგრეული კუზიანი დგას. ეტყობა, ეგ ცხვირი ჩხუბში გაუტეხეს. „კრიზისი რაიხსტაგში“, „ჰებელშტრასე №17-ში სახლი სადაც არის ჩამოინგრევა, მობინადრეები უკვე გაყვანილი არიან“, „საზარელი მკვლელობა თევზსაჭერ გემზე“, „მეამბოხე თუ გიჟი“.

ყინავს. ფრანცი და კუზიანი მუშტად შეკრულ ხელებს უბერავენ. სადილამდე გაზეთები თითქმის არ იყიდება. ფრანცს გვერდით ერთი ხანში შესული, ჩამოძენძილსამოსიანი და გაქუცული ფეტრისშლაპიანი კაცი ამოუდგა და მუსაიფი გაუბა. ეკითხება, გაზეთების გაყიდვა მომგებიანი საქმე თუ არისო. იყო დრო, როცა ფრანცი სხვებს ზუსტად ამასვე ეკითხებოდა.

- ანუ გაინტერესებთ, კოლეგა, ეს თქვენი შესაფერისი საქმე არის თუ არა? არ ვიცი, გაუძლებთ?

- მდაა... ორმოცდათორმეტმა მომიკაკუნა.

- აი, მაგაშია საქმე. როგორც კი ადამიანს ორმოცდაათი მიუკაკუნებს, მაშინვე წელკავი

ეწყება ან ნიკრისის ქარი უტევს... ჩვენს პოლკში ერთი საარბრიუკენელი თადარიგის კაპიტანი გვყავდა, ორმოცი წლისა იყო. თავად ამბობდა, ლატარიის ბილეთების გამავრცელებელი ვარო, თორემ შეიძლება სიგარეტებსაც კი ყიდდა, აბა, მე რა ვიცი. ჰოდა, ამ ორმოცი წლის კაცს წელკავი დაემართა. მაგრამ ეს მისთვის სასიკეთოც კი გამოდგა, გაიმართა, გასწორდა, ისეთი გაჭიმული დადიოდა როგორც გორგოლაჭებზე შემდგარი ცოცხი. და წელზე ყოველდღე კარაქს ისვამდა. მერე,

1917-ში, როცა კარაქი გაქრა და მხოლოდ პალმინს[19] გვაძლევდნენ, ეს ჩვენი კაპიტანი ისეთმა სევდამ შეიპყრო, რომ თავში ტყვია დაიხალა.

- აბა, რა ვქნა? სამუშაოდ ქარხანაში არ მიღებენ, შარშან ლიხტენბერგში, წმინდა ჰუბერტუსის საავადმყოფოში ოპერაცია გამიკეთეს. ერთი კვერცხი ამომაჭრეს. მგონი, ტუბერკულოზი მქონდა. ტკივილი დღემდე მაწუხებს.

- მაშინ ფრთხილად იყავი, თორემ მეორესაც ამოგაჭრიან. შენთვის ისეთი სამუშაო აჯობებს, სადაც დიდხანს ფეხზე დგომა არ მოგიწვეს. მეეტლედ წადი, არ გინდა?

„შუა გერმანიაში გაფიცულთა ბრძოლა გრძელდება, მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა“. „ბინების დამქირავებელთა უფლებები დაცული არ არის. დაიძინებ ჭერქვეშ - გაიღვიძებ ტროტუარზე“.

- დიახ, დიახ, მეგობარო, - განაგრძობს ფრანცი, - გაზეთების გაყიდვა კარგი საქმეა და უნდა იცოდე, რომ გაზეთის გამყიდველს პურს ფეხები აჭმევს და კიდევ, ყელი. როგორი ყელი გაქვს? მღერი? ყელი ისეთი უნდა გქონდეს, როგორიც გვრიტს. უამისოდ არაფერი გამოგივა. ჩვენ მყვირალები და მორბენალები გვჭირდება. ვინც ბევრს დარბის და ხმამაღლა გაჰყვირის, ის უფრო მეტს ყიდის და ფულსაც მეტს იღებს. და კიდევ დროზე ფულის დახურდავება უნდა შეგეძლოს. აი, შეხედე, აქ რამდენი პფენიგია?

- მგონი, ოთხი.

- სწორია, შენთვის ოთხია. ამაშია საქმე, რომ შენთვის. მაგრამ, როცა მავანს ძალიან ეჩქარება, ჯიბეში იქექება და იქ მხოლოდ პფენიგიანი ან ერთმარკიანი ან სულაც ათმარკიანი აღმოაჩნდება, მაშინ ჰკითხე ჩვენს ძმას, მათ ყველანაირი კუპიურის დახურდავება შეუძლიათ და თანაც ერთ წამში. აბა, როგორ! იცი, ეს რა მარჯვედ კეთდება? მიმიქარავს შენი ბანკირები! თვალის დახამხამებაში დავახურდავებთ, ჩვენს პროცენტსაც გავითვალისწინებთ და პროცენტსაც დავამატებთ.

მოხუცმა ამოიოხრა.

- მდა, - არ ცხრება ფრანცი, - შენი ორმოცდაათი წელი და კიდევ წელკავი... მაგრამ, კოლეგა, ამ საქმეს ხელს თუ მაინც მოჰკიდებ, მარტო არ დადგე, ორი ახალგაზრდა დამხმარე დაიქირავე, რა თქმა უნდა, მათ უნდა გადაუხადო, შეიძლება აღებული

თანხის ნახევრის გადახდამაც კი მოგიწიოს, სამაგიეროდ, აღარ ირბენ და ყვირილით ყელსაც არ ჩაიხლეჩ. საქმე რომ კარგად წარმართო, დახლი ხალხმრავალ ადგილზე უნდა გქონდეს და კარგი და მუდმივი კლიენტურა გაიჩინო. რასაც დათესავ, იმას მოიმკი. ერთსაც გეტყვი, - კარგად გაზეთები მაშინ იყიდება, როცა ქვეყანაში ცხელ-ცხელი ამბები ხდება: სპორტული შეჯიბრებები ან მთავრობა იცვლება. აი, ამბობენ, როცა ებერტი გარდაიცვალა, ხალხი მყიდველებს გაზეთებს პირდაპირ ხელიდან ჰგლეჯდაო. ძმაო, ეგეთი ნაღვლიანი სახე ნუ გაქვს, საქმე არც ისე ცუდად არის. აი, ხედავ, ურნალი მუშაობს, უფრო დიდი უბედურება არ იქნებოდა, მაგას რომ შენთვის თავში ჩაერტყა? მიწაში ისე ჩაგაჭედებდა, თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებდი.

„ბინების დამქირავებელთა უფლებები ილახება!“ „გახსოვდეთ ცორგიბელი,[20] ვალს გადახდა უნდა!“ „ამანულაჰს ინგლისი აკონტროლებს, ინდოეთი კი ვერაფერს ხვდება“.

მეორე მხარეს, რადიომაღაზია „უებთან“ (მყიდველთა საყურადღებოდ! ერთ აკუმულატორს უფასოდ ვტენით) ფერმკრთალი გოგონა დგას. პლუშის პალტო აცვია, ქუდი კი თვალებამდე ჩამოუფხატავს. ეტყობა, ფიქრით აქ კი არა, სადღაც სხვაგან არის. იქვე ტაქსი დგას და შიგ მძღოლი ფიქრობს: გოგონა ტაქსიში ჩაჯდება თუ არა? იქნებ საკმარისი ფული არა აქვს ან იქნებ ვინმეს ელოდება? მაგრამ არა, პლუშისპალტოიანი წელში ოდნავ იხრება, ისე, თითქოს იტკინა რაღაც. მერე კი გზას განაგრძობს. გოგონა ცოტა შეუძლოდ არის - მუცელში დროდადრო მწვავე ტკივილს გრძნობს. მას მასწავლებლობა უნდა და ცენზის მისაღები გამოცდებისთვის ემზადება. ახლა შინ რომ მივა, ცხელ კომპრესებს გაიკეთებს და საღამოსთვის ტკივილი დაუამდება.

ჯერჯერობით სიმშვიდეა, შესვენება, საწარმოს რეორგანიზაცია

1928 წლის **9** თებერვლის საღამოს, როცა ოსლოში სოციალ-დემოკრატების ხელისუფლება დაემხო, შტუტგარტში კი ექვსდღიანი ველორბოლა მთავრდებოდა (გაიმარჯვეს მრბოლელებმა ვან კემპენმა და ფრანკენშტაინმა, მათ **2440** კილომეტრი გაიარეს და **726** ქულა დააგროვეს), მაშინ საარის მხარეში, როგორც ჩანდა, მდგომარეობა გამწვავდა, **1928** წლის **9** თებერვალს, სამშაბათს საღამოს (ერთი

წუთით, თუ შეიძლება, ბატონებო, თქვენ წინაშეა უცხოელი ლამაზმანის,

იდუმალი ქალბატონის გამოსახულება, ნუ დაიზარებთ, უპასუხეთ მის შეკითხვას: - თქვენ უკვე ეწევით ძმები გარბატების სიგარეტ „კალიფს“?), ჰო, რას ვამბობდი? ამ სამშაბათ საღამოს ფრანც ბიბერკოპფი ალექსანდერპლაცზე აფიშების ტუმბოსთან იდგა და ყურადღებით კითხულობდა იმ განცხადებას, რომელიც მსურველებს ირმების დიდ დარბაზში ტრეპტოფ-ნოიკელნისა და ბრიტცის რაიონების მებაღჩეობა-მებაღეობის კავშირის წევრების საპროტესტო შეკრებაზე ეპატიჟებოდა. დღის წესრიგში იდგა საკითხი კავშირის წევრების სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნის შესახებ. ამის ქვემოთ კი იყო პლაკატები: „როგორ განვიკურნოთ ასთმისგან“ და „სამასკარადო კოსტიუმების ფართო არჩევანი ქალბატონებისა და ბატონებისთვის“. და ჰოი, საოცრებავ, ხედავს ფრანცი, რომ მის გვერდით დგას (თუ იცით, ვინ?), ტანდაბალი ბიჭი! ეჰე, ეს ხომ მექია, ვიცნობთ ამ კაცს! მექ, ძველო!

- აჰ, ფრანცეკენ, ფრანცეკენ, - ერთობ ბედნიერია მექი მეგობრის ხილვით, ძალიან ბედნიერი, - ფრანც, ძმაო, თვალებს არ ვუჯერებ, თითქოს სხვა სამყაროდან გამომეცხადე! მზად ვიყავი, დამეფიცა, რომ...

- აბა, რა უნდა დაგეფიცა! გეგონა, ისევ რაღაც შარში გავეხვიე? არა, ძმაო, ყველაფერი კარგად არის!

ერთმანეთს ეხვეოდნენ, ისე, რომ, ძვლებს ტკაცატკუცი გაუდიოდა; ხელს მხრებზე ურტყამდნენ და ყოველი დარტყმის შემდეგ ქანაობდნენ.

- გოტლიბ, დიდი ხანია, ერთმანეთს არ შევხვედრივართ, ამ მუხთალ ბედს რა ვუთხარი, თორემ მეც აქ ვყიდი გაზეთებს!

- სად, ალექსზე? რას ამბობ, ფრანც, უცნაურია, როგორ ვერ შევხვდით. ალბათ, ერთმანეთისთვის გვერდი რამდენჯერ აგვივლია, მაგრამ, ეტყობა, ამ დროს თვალები ჩვენი სხვა მიმართულებით იყურებოდნენ.

- ჰო, ასეა, ნამდვილად ასეა, გოტლიბ!

და ხელკავით პრენცლაუერშტრასეს გაუყვნენ.

- ფრანც, შენ ხომ თაბაშირის სტატუეტებით აპირებდი ვაჭრობას!

- თაბაშირის სტატუეტებში ვერ ვერკვევი. განათლება და კულტურა არის საჭირო.

ჩვენ კი ბნელები ვართ. ისევ გაზეთებს ვყიდი, არა უშავს, პურის ფულს ვშოულობ. შენ კი რას აკეთებ, გოტლიბ?

- შენჰაუზერთან ვდგავარ და მამაკაცის წყალგაუმტარ ქურთუკებსა და შარვლებს ვყიდი.

- მაგ ტანსაცმელს კი სად შოულობ?

- შენ არ შეცვლილხარ, ისევ ის ძველი ფრანცი ხარ, სულ საიდან და როგორ გაკერია პირზე. ასეთ შეკითხვებს ქალები მაშინ სვამენ ხოლმე, როცა ალიმენტის მიღება უნდათ.

ფრანცს განწყობილება შეეცვალა. სახე მოეღუშა. რამდენიმე წუთი მექის გვერდით მდუმარედ მიაბიჯებდა, მერე კი თქვა:

- აი, ნახე, მაგ შენი ზმანებით ერთხელაც იქნება ჩავარდები!

- როგორ თუ ჩავვარდები და რომელი ზმანებით, ფრანც? თუ ვაჭრობა გინდა, გასაყიდი საქონელი საქმის ცოდნით უნდა შეარჩიო.

ფრანცმა გზის გაგრძელება გადაიფიქრა. ვირივით გაჯიუტდა და ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა. მექი კი არ ეშვებოდა, მის დაყოლიებას ცდილობდა.

- ლუდხანაში შევიდეთ, ფრანც, შეიძლება იქ ის მსხვილფეხა საქონლით მოვაჭრენიც ვნახოთ, საქმე სასამართლოში რომ ჰქონდათ. გახსოვს, მაშინ, შენ რომ ვაჭრობის ნებართვა აიღე, ჩვენთან ერთად ისხდნენ. იცი, ის პროცესი ჩაუფლავდათ. არ დამიჯერეს და ჩვენება ფიცით მისცეს. ახლა მოწმეები უნდა მიიყვანონ, მათი ჩვენება რომ დაადასტურონ. ამ საქმეზე კისრებს მოიგრეხენ, ძმაო.

- არა, გოტლიბ, აჯობებს, თუ არ წამოვალ.

მექი კი ფარ-ხმალს არ ყრიდა და ფრანციც დანებდა, რადგან, რაც უნდა იყოს, მექი მისი ძველი მეგობარია, ყველაზე კარგი მათ შორის, ვინც კი ჰყოლია, რა თქმა უნდა, ჰერბერტ ვიშოვის გამოკლებით, მაგრამ ამ უკანასკნელმა სუტენიორობა დაიწყო და ფრანცს მისი დანახვაც არ უნდა, ერთხელ და სამუდამოდ. მეგობრები ისევ პრენცლაუერშტრასეს გაუყვნენ, ისევ ხელკავით.

„ლიქიორის ფაბრიკა“, „მოდების ატელიე“, „კონფიტიურები“, „აბრეშუმი, აბრეშუმი, მაღალი წრის

ქალბატონები უპირატესობას აბრეშუმს ანიჭებენ!“

და როცა საათმა 8 ჩამოჰკრა, ფრანცი მექსა და ვინმე მუნჯ მამაკაცთან ერთად უკვე ლუდხანაში ერთ კუთხეში იჯდა. კაცი ხელებით ლაპარაკობდა. დიდი „ნადიმი“ გაიმართა. ფრანცი მასპინძლობდა. იგი თითქოს მკვდრეთით აღდგა, გემრიელად ჭამდა და სიამოვნებით სვამდა: ერთმანეთის მიყოლებით ორი აისბაინი დალია, მერე ლობიო ღორის ხორცთან ერთად მიირთვა და ლუდს კათხას კათხაზე ცლიდა. მექი და მუნჯი ფრანცის სმა-ჭამას თვალს გაკვირვებული ადევნებდნენ. ეს სამი ერთმანეთთან ძალიან ახლოს დაჯდა და არავინ რომ არ მისჯდომოდათ, იდაყვებით ხელები მაგიდაზე ფართოდ დააწყვეს. მათ ნაფოტივით ფარატინა დიასახლისი ემსახურებოდათ, სასმელ-საჭმელი მოჰქონდა, მაგიდას ალაგებდა, ჭიქებს ავსებდა. მეზობელ მაგიდასთან სამი ხანში შესული მამაკაცი იჯდა, ისინი დროგამოშვებით ერთმანეთს მელოტ თავებზე ხელებს ნაზად უსვამდნენ. ფრანცმა გამოტენილი პირით იქედნურად ჩაიცინა და თანამეინახეებს თვალის ჩაკვრით მათ მაგიდაზე მიანიშნა:

- რას აკეთებენ?

დიასახლისმა ფრანცს მდოგვი მიუწია:

- ეტყობა, ერთმანეთი უყვართ!

- მგონი, მართლაც ასეა.

სამივენი ახარხარდნენ, ლუკმა ყელში გაეჩხირათ და ხველება აუტყდათ, ფრანცი კი სულ ერთი და იმავეს ამბობდა:

- ხანდახან თავს პატივი უნდა სცე! ჯანმრთელმა ადამიანმა ბევრი უნდა ჭამოს. ცარიელი მუცლით მუშაობა გაგიჭირდება.

ბერლინში საქონელი რკინიგზით შემდეგი პროვინციებიდან ჩამოდის: აღმოსავლეთ პრუსიიდან, პომერანიიდან, დასავლეთ პრუსიიდან, ბრანდენბურგიდან. ვაგონიდან საბიჯელაზე ფეხის დადგმისას ცხვრები ბღავიან, ძროხები ზმუიან, ღორები ღრუტუნებენ, მიწას ყნოსავენ. ეგ არის შენი ბედისწერა: ნისლში მიდიხარ, ვინმე ფერმკრთალი ახალგაზრდა კომბალს იღებს, ბაახ! სულ ერთი წამი და გონებას კარგავ, და ისადგურებს სიცარიელე...

9 საათზე იდაყვები მაგიდიდან აიღეს, ცხიმიან ტუჩებში სიგარები გაირჭვეს, აბოლებდნენ და მაძღრები აბოყინებდნენ.

მერე კი მოვლენები ასე განვითარდა:

ლუდხანაში ერთი ახალგაზრდა გამოჩნდა, პალტო და შლაპა კედელში ჩარჭობილ ლურსმანზე დაკიდა და ფორტეპიანოს მიუჯდა, დაკვრა დაიწყო. ლუდხანა თანდათან ხალხით ივსებოდა. ბართან მამაკაცები იდგნენ და კამათობდნენ. ფრანცის გვერდით, მაგიდასთან, ორი ხანში შესული კეპიანი კაცი იჯდა და ერთი, შედარებით ახალგაზრდა, თავზე ქვაბქუდათი. მექი მათ იცნობდა და გამოელაპარაკა, მათ შორის საუბარი გაიბა. აი, ის, შავი, სხივიანი თვალებით, ჰოპერგარტენელი მრავლისმნახველი ახალგაზრდა ჰყვებოდა:

- ჰოდა, ინგლისელები ავსტრალიაში რომ ჩავიდნენ, პირველად ქვიშა დაინახეს, შიშველი სივრცე, არავითარი ხე, არავითარი ბალახი. მხოლოდ ერთი დიდი უდაბნო და უდაბნოში მილიონობით ყვითელი ცხვარი. ეს ველური ცხვარი იყო. ინგლისელები პირველ ხანებში ამ ცხვრის ხორცით იკვებებოდნენ. მერე მათი ამერიკაში გაყვანა დაიწყეს.

- რაში სჭირდებოდათ ამერიკელებს ავსტრალიური ცხვრები?

- სამხრეთ ამერიკაში, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ძალიანაც სჭირდებოდათ.

- მათ იმდენი ხარი ჰყავთ, რომ არც კი იციან, რა უყონ.

- მაგრამ ცხვრები, ცხვრები შალია. ქვეყანაში, სადაც ამდენი ზანგია, რომლებსაც სცივათ. ინგლისელებმა შენზე უკეთესად იცოდნენ, თავიანთი ცხვრები სად გაეყვანათ და ვისთვის მიეყიდათ. ასე რომ, ჩემო ძმაო, ინგლისელების გამო ნუ წუხხარ! მაგრამ მას შემდეგ ცხვრებს რა მოუვიდათ? ერთმა კაცმა, რომელმაც ახლახან მეხუთე კონტინენტზე იმოგზაურა, მითხრა, რომ ახლა ავსტრალიაში ცხვარს, სანთლითაც რომ ეძებო, ვერ იპოვიო. გაქრა, თითქოს ეს უწყინარი ცხოველი, იქ არც არასდროს ყოფილა. ხომ ვერ მეტყვით, რატომ? სად გაქრნენ ცხვრები?

- მტაცებელმა ცხოველებმა

გაანადგურეს. მექმა თავი გააქნია:

- მტაცებლებმა კი არა, ეპიზოოტიამ. ეს ცხოველების ჭირია, ცხოველებს ღვთის რისხვასავით ევლინება. იწყება ცხოველის დაცემა და შველა არსაიდან არის.

ბიჭი კი, რომელსაც ქვაბქუდა ეხურა, იმ მოსაზრებას, რომ ცხვარი ეპიზოოტიამ გაჟუჟა, არ ეთანხმებოდა.

- გეთანხმებით, რომ ეპიზოოტიის გამორიცხვა არ შეიძლება და სადაც ბევრი საქონელია, იქ ბევრიც იხოცება. მერე მძორი იხრწნება და ავადმყოფობა ვრცელდება. მაგრამ ამჯერად მათი გაუჩინარების მიზეზი ეს არ ყოფილა. იქ საქმე სხვაგვარად იყო. როგორც კი ინგლისელები ავსტრალიაში ჩავიდნენ და ცხვარს დევნა დაუწყეს, ყველანი, ფარებად, ზღვაში შევიდნენ. დიახ, როცა მათი დაჭერა და ვაგონებში შეყრა დაიწყეს, ცხვრები ისეთმა პანიკამ შეიპყრო, რომ ათასობით ცხვარი ზღვაში შევარდა.

მექი კი:

- თუ ასე იყო, ეს ინგლისელებს მხოლოდ ხელს აძლევდა. ზღვაში ხომ მათი გემები იდგნენ და ამ შენს ცხვარს ზედ აყრიდა. ამას ინგლისელი როგორმე მოიფიქრებდა, თანაც მატარებელში ფულის გადახდა არ დასჭირდებოდა. აბა, დაფიქრდით, რამხელა ფულს დაზოგავდნენ.

- რკინიგზაზე დაზოგავდნენ, ჰმ, ნახეთ, რა ადვილად მიხვდა ბიჭი. მაგრამ იცით, რამდენი ხნის შემდეგ შეამჩნიეს ინგლისელებმა, რომ საქმე ცუდად იყო! ისინი ხომ ქვეყანაში ღრმად თანდათან შედიოდნენ, იქ ცხვარს იჭერდნენ და ვაგონებში ტენიდნენ. ეს ქვეყანა უზარმაზარია და იქაც ისევე, როგორც თავიდან ყველა ველურ ქვეყანაში, წესრიგი არ იყო! მერე კი მიხვდნენ, მაგრამ უკვე გვიან იყო თითზე კბენა. ცხვარი უკვე ზღვაში იყო შესული და მლაშე წყალი ჰქონდა ნაყლაპი.

- მერე?

- რა, მერე? აბა, დაფიქრდი, წარმოიდგინე, გწყურია და ცარიელ მუცელზე ეს საზიზღრობა მლაშე წყალი რომ დალიო, რა მოგივა?

- ანუ შეხვრიპეს და ფეხები გაჭიმეს?

- ჰო, ეგრეა. როგორც ამბობენ, ათასობით და ათიათასობით დამხრჩვალი ცხვარი ზღვის სანაპიროზე ეყარა და იქაურობა საშინლად ყარდა. დახოცილი ცხვრებისგან

სანაპიროს გაწმენდას თურმე ძალიან დიდი დრო დასჭირდა.

- ჰო, - დაუდასტურა ფრანცმა, - პირუტყვი ძალიან ფაქიზია და საგანგებო მოპყრობა სჭირდება. და ვინც საქონლის მოვლა არ იცის, ამ საქმეს ხელიც არ უნდა მოჰკიდოს.

ამ ამბავმა ყველანი შეაძრწუნა. დალიეს, ამაოდ გადაყრილ ფულზე ბევრი იდარდეს; ღმერთო, ამქვეყნად რაღა არ ხდება! აი, ამერიკაში თურმე ხორბალს ალპობენ, მოსავალს ანადგურებენ - ჰო, ამქვეყნად ყველაფერი, ყველაფერი ხდება!

- ეს კიდევ რა არის იმასთან შედარებით, რასაც ავსტრალიაზე ახლა გიამბობთ, - ჰოპერგარტენელი შავთვალა ისევ ალაპარაკდა, - ამაზე ხალხმა არაფერი იცის, გაზეთებშიც არ წერენ, რატომ? ვინ იცის. ალბათ, იმიგრანტების დაფრთხობა არ უნდათ და იმიტომ. თურმე, იქ ხვლიკებია, ქვის ხანის დროინდელი, ერთმეტრიანი, ასეთ ხვლიკებს ზოოპარკშიც ვერ ნახავთ. ინგლისელებს აკრძალული აქვთ. ერთი გემის მეზღვაურებს ეს უზარმაზარი ხვლიკი დაუჭერიათ, ჰამბურგში ჩაუყვანიათ და აქეთ-იქით დაატარებდნენ, ხალხს აჩვენებდნენ, მაგრამ ეს უფროსობამ როგორც კი გაიგო, მეზღვაურებს ხვლიკი მაშინვე ჩამოართვა. რას იზამ, მთავრობას ყველაფრის უფლება აქვს და მას წინააღმდეგობას ვერ გაუწევ. ეს ხვლიკები კი თურმე ჭაობებსა და საფლობებში ბინადრობენ და რით იკვებებიან, არავინ იცის. ერთხელ ერთ საფლობში სატვირთო მანქანების მთელი კოლონა ჩავარდა და მათი ამოყვანაც კი არ სცადეს, გესმით? იქაურობასთან მიკარებაც კი ვერავინ გაბედა. აი, ასეა.

- ხედავ შენ! - შენიშნა მექმა, - ეგ ხვლიკები გაზით რომ

მოეწამლათ? შავთვალა ჩაფიქრდა.

- რატომაც არა, ეცადათ მაინც, ამით ხომ არაფერი დაშავდებოდა. ბოლოს და ბოლოს, ცდა ბედის

მონახევრეა.

იმაში, რომ ცდა ბედის მონახევრეა, შავთვალას ყველა დაეთანხმა.

მექის უკან დაჯდა და მისი სკამის ზურგს ხელებით დაეყრდნო ერთი ხანში შესული, ტანმორჩილი და ჩასკვნილი მამაკაცი, კიბოსავით სახეწითელი და გადმოკარკლულთვალება,

რომლებსაც სულ აქეთ-იქით აცეცებდა. სხვებმა მიიწ-მოიწიეს, რომ ამ კაცისთვის ადგილი მიეცათ. მექი და ეს მამაკაცი აჩურჩულდნენ. კაცს პრიალა ჩექმა ეცვა, მკლავზე კი ბრეზენტის ლაბადა ჰქონდა გადაგდებული. ფრანცი ელაპარაკებოდა პირდაპირ მჯდომ ჰოპერგარტენელ ახალგაზრდას, რომელიც ძალიან მოეწონა. მოულოდნელად მექმა მხარზე ხელი დაადო, თავით ანიშნა, ადექიო, მათთან ერთად ჩასკვნილიც გულუბრყვილო ღიმილით ადგა. სამივენი გვერდზე გავიდნენ და რკინის ღუმელთან დადგნენ. ფრანცს ეგონა, მსხვილფეხა საქონლით მოვაჭრეებზე და მათ წინააღმდეგ სასამართლოში აღძრულ საქმეებზე ილაპარაკებდნენ. ნურას უკაცრავად, ფრანცს ამ საქმეზე არაფრის გაგონება არ უნდა. მაგრამ არა, აღმოჩნდა, რომ ჩასკვნილ მამაკაცს მხოლოდ ფრანცის ახლოს გაცნობა უნდოდა და იმის გაგება, თუ რას საქმიანობდა. ფრანცმა პასუხის ნაცვლად ხელი გაზეთებით სავსე ჩანთას დაარტყა. იქნებ გაზეთებს შეეშვა და ხილით ვაჭრობა დაიწყოო, შესთავაზა ჩასკვნილმა. მას პუმსი ერქვა, ხილით ვაჭრობდა და ეძებდა გამყიდველს, რომელიც მსურველებს საქონელს ოთხთვალათი შინ მიუტანდა. ფრანცმა მხრები აიჩეჩა და თქვა:

- გასამრჯელოს გააჩნია!

სამივენი მაგიდასთან დაბრუნდნენ. ფრანცმა გაიფიქრა, ეს ჯეელი დიდი შებერტყილი ვინმე ჩანს, როგორ შეუბერა, ენა არ გაუჩერებია; ასეთებზე ამბობენ, ხმარების დროს სიფრთხილე გამოიჩინეთ, მიღების წინ შეანჯღრიეთო! იქ კი ისევ ლაპარაკობდნენ. საუბრის სათავეები ისევ ჰოპერგარტენელი ბიჭის ხელშია. ახლა ისინი ამერიკაში არიან. ბიჭმა ქუდი მოიხადა, მუხლებზე დაიდო.

- ჰოდა, ამ კაცმა ამერიკაში ცოლი შეირთო და თავს ბედნიერად გრძნობს. ეუბნებიან, ეგ ქალი ზანგიაო. და ეკითხება ცოლს, „შენ რა, მართლა ზანგი ხარ?“ და ბუმ, სახლიდან გააგდო. მერე ქალი იმის დასამტკიცებლად, რომ ზანგი არ იყო, სასამართლოს წინ გაშიშვლდა. ნიფხვის გარდა, ყველაფერი გაიხადა. და მართლაც, ქალს სრულიად თეთრი კანი ჰქონდა, იმიტომ, რომ მეტისი იყო. ქმარი კი არ ცხრება, დაუჩემებია, ზანგი არისო. ასე რატომ ფიქრობო, ეკითხებიან. იმიტომ, რომ თითებზე ფრჩხილები თეთრი კი არა, ყავისფერი აქვსო, - ამბობს ქმარი, - ნამდვილად მეტისიაო.

- მერედა ის ქალი რას ითხოვდა, განქორწინებას?

- არა, ზარალის ანაზღაურებას. ჯერ ერთი, კაცმა ქალი ხომ ცოლად შეირთო, მეორეც, ამ კაცის გამო შეიძლება სამსახური დაკარგა, თანაც განათხოვარ ქალს ცოლად ყველა ხომ არ შეირთავს. არადა, თოვლივით თეთრი ქალი იყო, ნამდვილი მზეთუნახავი. შეიძლება, მისი წინაპრები, ოდესღაც, მეჩვიდმეტე საუკუნეში, ზანგები მართლაც იყვნენ, მაგრამ ამას ვინ დაამტკიცებდა! ასე რომ, იმ კაცს ზარალის ანაზღაურება დააკისრეს!

ბართან აყალმაყალი ატყდა. დიასახლისი ვინმე აბობოქრებულ მძღოლს ეწიკვინებოდა, მძღოლი კი პასუხობდა:

- მაგას არასდროს ვიკისრებ, რომ კერძი რაღაცით
გავაფუჭო! ხილით მოვაჭრემ უყვირა:
- ეი, მანდ, წყნარად!

მძღოლმა შეძახილზე მოიხედა, სქელოს ავი მზერა მიარჭო, მაგრამ ამ უკანასკნელმა მის ავ მზერას კეთილი, მეგობრული ღიმილი შეაგება. ბართან ავის მომასწავებელი სიჩუმე ჩამოვარდა.

მექმა ფრანცს ჩასჩურჩულა:

- მსხვილფეხა საქონლით მოვაჭრეები დღეს არ მოვლენ. ალბათ, უკვე ყველაფერი მოაგვარეს. მოწმეები იპოვეს. ერთი, აი, იმ ყვითელსახიან კაცს შეხედე, აქ ყველას ავანჩავანი მაგან იცის. ერთი სიტყვით, აქ პირველი კაცია.

იმ ყვითელსახიანს, რომელიც მექმა დაანახვა, ფრანცი მთელი საღამო აკვირდებოდა. დაინახა თუ არა, რატომღაც მისდამი მაშინვე სიმპათიით განიმსჭვალა. მაღალი და გამხდარი იყო, ძველი ჯარისკაცის ფარაჯა ეცვა. იქნებ კომუნისტია? გრძელი მოყვითალო სახე, შუბლზე თვალში საცემი ღრმა, განივი ნაოჭები, ასეთივე ღრმა, თითქოს დანით დასერილი ნაოჭები ცხვირის ორივე მხრიდან პირამდეც გასდევდა. არადა, ეტყობოდა, რომ ახალგაზრდა იყო, ასე ოცდაათის ან ოდნავ მეტის თუ იქნებოდა. პირველი, რაც ფრანცს თვალში ეცა, იყო ცხვირი, პაჭუა და ჩაჭყლეტილი, ცხვირი კი არა, ნამდვილი საყნოსი აპარატი. თავი გადაწეული კი არა, თითქოს გადაკიდებული ჰქონდა მარცხენა ხელისკენ, რომელშიც მხრჩოლავი ჩიბუხი ეჭირა. შავი თმა მოკლე, აზღარბული ჰქონდა. ბარისკენ მიმავალს ფეხები უკან რჩებოდა, მიაჩოჩებდა ისე,

თითქოს იატაკი წებოვანი იყო და ნაბიჯის გადადგმა უჭირდა. ფრანცმა შეამჩნია, რომ ყვითელი, მაღალყელიანი ფეხსაცმელები და ქვემოთ

ჩამოჩაჩული სქელი, ნაცრისფერი წინდები ეცვა. ჭლექიანია? ახლა ეგ წესით სამკურნალო დაწესებულებაში უნდა იწვეს, ბელიცში ან სადმე სხვაგან და არა ლუდხანაში დაწანწალებდეს. საინტერესოა, თავს რითი ირჩენს? კაცი უკან, პირში ყალიონგაჩხერილი, ერთ ხელში ყავის ფინჯნითა და მეორეში ლიმონათის ჭიქით, ჩოჩვით დაბრუნდა, ჭიქაში დიდი კოვზი ქანაობდა. ისევ მაგიდას მიუჯდა და დიდხანს იჯდა: დაფიქრებული ხან ერთ ყლუპ ყავას მოსვამდა, ხან ერთ ყლუპ ლიმონათს. ფრანცი კი თვალს არ აშორებდა და ვერ ხვდებოდა, ეს კაცი რითი იზიდავდა. მაინც რა ნაღვლიანი მზერა აქვს, ეტყობა, ციხეში ეგეც იჯდა. მიყურებს ახლა და შეიძლება ჩემზეც იმავეს ფიქრობს. მართალი ხარ, ძმაო, მართალი, ჩვენც ვხეხეთ ტეგელი ოთხი წელიწადი და არც ერთი დღით ნაკლები. აბა, გავიცნოთ ერთმანეთი?

იმ საღამოს სხვა არაფერი მომხდარა. თუმცა ამის შემდეგ პრენცლაუერშტრასეზე სიარულს მოუხშირა და კაცს, რომელსაც ძველი ფარაჯა ეცვა, დაუძმაკაცდა. გულმა გული იცნო, - ასე ფიქრობს ბიბერკოპფი. კარგი ბიჭია, მხოლოდ ეგ არის, ენა ებმის, თანაც როგორ, ხანდახან ერთი სიტყვის წარმოთქმას იმდენ ხანს უნდება და ამ დროს თვალები უფართოვდება, მზერით კი თითქოს ბოდიშს იხდის. ციხეში კი არასდროს მჯდარა, მხოლოდ ერთხელ იყო ერთ პოლიტიკურ საქმეში გარეული: მას და მის მეგობრებს გაზის ქარხანა უნდა აეფეთქებინათ და ვიღაცამ გასცა. საბედნიეროდ, მიმალვა დროულად მოახერხა.

- ახლა რას აკეთებ?

- ვვაჭრობ ხილით და რასაც ხელს გამოვკრავ. ადამიანებს ვეხმარები. როცა სამუშაო არა მაქვს, მაშინ შრომის ბირჟაზე მივდივარ და აღრიცხვაზე ვდგები.

ერთობ ბნელ კომპანიაში აღმოჩნდა ფრანც ბიბერკოპფი. უცნაურია, მისი ახალი მეგობრები, ყველანი, უკლებლივ, ძირითადად, ხილით ვაჭრობდნენ და ამაში კარგ გასამრჯელოსაც იღებდნენ. მათი მომმარაგებელი ერთი წითელსიფათიანი, ჩასკვნილი კაცი იყო.

ფრანცი ამ ხილით მოვაჭრეებთან დაახლოებას არ ცდილობს და მასთან მეგობრობისთვის არც მოვაჭრეები იკლავენ თავს. ვერა და ვერ გაიგო ბიბერკოპფმა,

ძაღლის თავი სად არის დამარხული და ამიტომ ამბობს: არა, მირჩევნია ისევ გაზეთები გავყიდო.

გოგოებით სარფიანად ვაჭრობა

ერთ საღამოს რაინჰოლდი, - ასე ერქვა ახალგაზრდა კაცს, რომელსაც ჯარისკაცის ფარაჯა ეცვა, - ქალებზე ალაპარაკდა. ამჯერად ენა ისე ძალიან არ ებმოდა, მდედრობით სქესს უშვერი სიტყვებით აგინებდა: ეს ახალგაზრდა ქალებს მართლაც რომ სერიოზულად აღიქვამს. ამას კი მისგან არ მოველოდი. ესე იგი, ეგეც მაგრად უბერავს. აქ ყველანი უბერავენ. ზოგი ასე, ზოგი ისე, თითოეული თავისებურად, მართალი კი არავინ არის. რაინჰოლდს თურმე ლუდსახარში ქარხნის მეეტლის ცოლი შეჰყვარებია, ქალსაც ამ კაცის გამო ქმარი მიუტოვებია და უბედურება კი ის არის, რომ რაინჰოლდს ეს ძუკნა აღარ უყვარს, მოჰბეზრდა.

ფრანცი სიამოვნებისგან ქშინავს, ეს ბიჭი მართლაც რა სასაცილო ვინმეა!

- მერე გააგდე, მაგაზე ადვილი რა არის!

რაინჰოლდს კი ენა საშინლად აუბორძიკდა, თვალებიც გაუფართოვდა და ძლივს ამოღერღა:

- ადვილი სათქმელია, გააგდე! ქალებს ეგეთი რაღაცები არ ესმით. ვერ იგებენ, გინდა სიტყვით აუხსენი და გინდა წერილობით.

- მაინც რა მისწერე, რაინჰოლდ?

იმან კი პირზე მომდგარ დორბლს კრუნჩხვითა და ენის ბორძიკით სიტყვები გაჭირვებით ამოაყოლა:

- ათასჯერ ვუთხარი. ის კი ჯიუტობს, მეუბნება, არაფერი მესმის, ნამდვილად გაგიჟდიო. არა, ამის გაგების უნარი მას არა აქვს. ახლა რა უნდა ვქნა, სიცოცხლის ბოლომდე ჩემთან უნდა მყავდეს?

- სხვა გზა არა გაქვს!

- აი, ისიც მაგას მეუბნება.

ფრანცმა გადაიხარხარა, რაინჰოლდი გაბრაზდა:

- ადამიანო, მე სერიოზულად გელაპარაკები, შენ კი დამცინი, გეყოფა.

არა, ამის გაგება ფრანცის ძალ-ღონეს აღემატება, თავზე ხელაღებული ბიჭია, გაზის ქარხანა კინაღამ ააფეთქა, აქ კი ცრემლებს ღვრის.

- ფრანც, ის ქალი შენ წაიყვანე, რა? - წაიბლუკუნა
რაინჰოლდმა. შეთავაზებით გამხიარულებულმა ფრანცმა
მაგიდას ხელი დაჰკრა:
- მერე რა ვუყო?

- მერე შენც მიატოვე!

აქ ფრანცი კი მართლაც აღფრთოვანდა:

- კარგი, შენი გულისთვის ამას გავაკეთებ, ჩემი იმედი გქონდეს. შენ კი, რაინჰოლდ, ქალებში კი არ უნდა დაძვრებოდე, საწოვარას უნდა წოვდე.

- ჯერ წაიყვანე და მერე ვილაპარაკოთ.

ამ გარიგებით ორივენი კმაყოფილი დარჩნენ.

დღის მეორე ნახევარში კი მეეტლის ნაცოლარი ფრანც ბიბერკოპფს შინ თავად გამოეცხადა. კაცს იმის გაგება, რომ ქალს ფრანცე ერქვა, ძალიან გაუხარდა: ნამდვილი წყვილი ვართ; კაცი - ფრანცი, ქალი - ფრანცე! ქალმა რაინჰოლდისგან საჩუქრად სქელძირიანი, ყელიანი ფეხსაცმელი მოუტანა. ფრანცს გულში გაეცინა: აი, იუდას საზღაური, ათი შილინგი. და თანაც ის ქალმა თავისი ხელით მომიტანა. არა, ეგ რაინჰოლდი ნამდვილი ცხოველია. საზღაური სამსახურის ფასია. აქ მეტს ვერ მოითხოვ.

საღამოს კი ფრანცი და ფრანცე რაინჰოლდის საძებნელად წავიდნენ. მაგრამ, რა თქმა უნდა, ვერ იპოვეს, თითქოს მიწამ ჩაყლაპა; მერე მოვლენები ისე განვითარდა, როგორც მოსალოდნელი იყო: ყვირილი, ცრემლები და ღამით ფრანცის ოთახში ბედნიერი დასასრული. მეორე დილას მეეტლის ნაცოლარი რაინჰოლდთან გაქანდა, ამ უკანასკნელმა აბლუკუნება დააპირა, მაგრამ ქალმა სიტყვის თქმის საშუალება არ მისცა: ნუ შეწუხდები, ახსნა-განმარტებები საჭირო არ არის, ახლა შენგან თავად მივდივარ, სხვა მყავს, და თუ ვინ, ეგ შენი საქმე არ არისო, ყოფილ საყვარელს სულმოუთქმელად მიახალა და ბინა დემონსტრაციულად დატოვა. დატოვა თუ არა, შიგ ფრანცი შევიდა, ახალი ფეხსაცმელებით. და რადგან ძალიან დიდი ჰქონდა, ისინი

ორ წყვილ შალის წინდაზე ეცვა. მეგობრები ერთმანეთს გადაეხვივნენ და მხრებზე ხელები დიდხანს უთათუნეს. რაინჰოლდმა სამადლობელი სიტყვების კორიანტელი დააყენა, ფრანცი კი თავად მორიდებულობის განსახიერება იყო. ეგ არაფერი, ძმაო, მზად ვარ მარად შენს დასახმარებლად, მორცხვად ამბობდა ბიბერკოპფი.

მეეტლის ნაცოლარს ფრანცი მაშინვე და უყოყმანოდ შეუყვარდა, თავადაც არ იცოდა, რომ ასეთი თბილი და სიყვარულს დანატრებული გული ჰქონდა. ფრანცსაც უხაროდა, ასე მოულოდნელად საკუთარ თავში მოყვასთათვის სიკეთის გაკეთების უნარი რომ აღმოაჩინა, ადამიანები უყვარს და დიდი გულთამხილავი ვინმეა. იგი სიამოვნებით ადევნებდა თვალს, ფრანცე ბუდის მოწყობაზე როგორ ზრუნავდა. კაცმა შესანიშნავად იცოდა, რომ ქალები ამას გაცვეთილი კალსონებისა და გახვრეტილი წინდების კემსვით იწყებენ, მაგრამ, დილაობით ფრანცე ფეხსაცმელებსაც უწმენდდა, იმ ყელიან ფეხსაცმელებს, რომლებიც რაინჰოლდისაგან თავად მოუტანა. ამის დანახვა ფრანცს ყოველ ჯერზე ამხიარულებდა და ერთხელ, როცა ქალმა ჰკითხა, რატომ იცინიო, უპასუხა:

- მაინც რამხელაა ეგ ფეხსაცმელები, ნეტავ ვისთვის შეკერეს! ეგ ორივეს თავისუფლად მოგვერგება.

მართლაც სცადეს ფეხსაცმელებში ფეხების ერთად ჩადგმა, მაგრამ ეს ვარიანტი აშკარად გადაჭარბებული აღმოჩნდა, აქედან არაფერი გამოვიდა.

ახლა კი ენაბლუ რაინჰოლდს, ფრანცის ნამდვილ მეგობარს, ახალი სიყვარული ეწვია. მას ცილი ერქვა, ყოველ შემთხვევაში, ქალი ასე ამბობდა. ფრანც ბიბერკოპფისთვის კი სულერთი იყო, მას ცილი ერქვა თუ სხვა რამ სახელი. თუმცაღა ამ ქალს შორიდან იცნობდა, პრენცლაუერშტრასეზე რამდენჯერმე უნახავს. მაგრამ მაშინ, როცა ენაბლუმ დაახლოებით ოთხი კვირის შემდეგ ჰკითხა, ფრანცე ისევ შენთან არის თუ არაო, ფრანცმა პირველად იეჭვა რაღაც და ვითომ ვერ მიხვდა, მისი ძმაკაცი საით უმიზნებდა, აგდებულად უპასუხა: ჰო, ერთად კარგად ვართ. პასუხმა რაინჰოლდი ააღელვა: ხომ დამპირდი, რომ იმ ქალს ვინმე სხვას ძალიან მალე გადაულოცავდი! რაზეც ფრანცმა თქვა, რომ ფრანცეს ვინმე სხვისთვის გადალოცვა ჯერ ადრეა, ახალ საცოლეს იგი მხოლოდ გაზაფხულზე გაიჩენს, რადგანაც შეამჩნია, რომ ფრანცეს საზაფხულო ტანსაცმელი არა აქვს, მას კი ყიდვა არ შეუძლია. ჰოდა, ამიტომ ფრანცეს მხოლოდ

გაზაფხულზე დაემშვიდობება. მაშინ

რაინჰოლდმა უკმაყოფილოდ შენიშნა, რომ ფრანცე ახლაც თითქმის გახდილია. და ის, რაც აცვია, საშემოდგომო სამოსია და არა საზამთრო. ანუ დღევანდელი ტემპერატურისთვის სრულიად შეუფერებელია. ამის შემდეგ მათ შორის გრძელი საუბარი გაიმართა, ილაპარაკეს თერმომეტრზე, ბარომეტრზე, უახლოეს დღეებში როგორი ამინდები იქნებოდა, ტემპერატურა აიწევდა თუ დაიწევდა, ამის დასადგენად გაზეთებშიც ჩაიხედეს. ფრანცი ამბობდა, რომ ამინდის წინასწარ დადგენა შეუძლებელია, რაინჰოლდი კი ამ ზამთარში ძლიერ ყინვას წინასწარმეტყველებდა. და მხოლოდ მაშინ მიხვდა საბრალო ფრანცი, რომ მის მეგობარს ამჯერად ცილის თავიდან მოშორება უნდოდა, როცა ეს უკანასკნელი ამ ქალის ბოცვრის შეღებილ ბეწვის მანტოზე ალაპარაკდა. ამ მანტოს ღირსებებს რაინჰოლდი ხატოვნად აღწერდა, აქებდა, დიდებული რამ არის, ნაღდი ბეწვიაო. „ამ ბოცვრებით გული გააწყალა რა, - გაიფიქრა ფრანცმა, - რას გადამეკიდა!“ ხმამაღლა კი თქვა:

- ადამიანო, შენ ხომ არ გაგიჟდი, მეორე რაში მჭირდება, როცა კისერზე ერთი უკვე მაზის! საქმეებიც კარგად არ მიდის, ქურდობით კი, კარგად იცი, არ ვქურდობ.

- გეთანხმები, ორი ნამდვილად არ გჭირდება, მე ორზე არც ვლაპარაკობ. კაცს როგორ უნდა მოგთხოვო, ერთდროულად ორ ქალთან იცხოვრე-მეთქი! თათარი ხომ არა ხარ!

- მეც მაგას არ გეუბნები!

- შენ ვერ მიხვდი და ორთან იცხოვრე-მეთქი, ნამდვილად არ მითქვამს. ეგ ფიქრადაც არ მომსვლია. ასე შეიძლება კაცმა სამთანაც იცხოვროს! არა, პირველი თავიდან მოიშორე.

- როგორ თუ თავიდან მოვიშორო?

ამჯერად ნეტავ რა აქვს ჩაფიქრებული? დიდი უცნაური ვინმეა ეს რაინჰოლდი.

- ეგ გოგო ვინმეს შესაფერის ფასად დაუთმე, ფრანცეზე გეუბნები, და საქმეც მოგვარდება! ფრანცი აღფრთოვანდა და ამ იდეის ავტორს მხარზე ხელი დაჰკრა:

- ეჰ შენი, ეშმაკმაც დალახვროს,დიდი გაიძვერა ვინმე ხარ, ყმაწვილო.ერთი შეხედვით კულტურული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებ, მე კი შენს ფეხის ფრჩხილადაც არ ვღირვარ. მაშასადამე, გავყიდოთ, ხელიდან ხელში გადავცეთ, როგორც ბაზრობაზე ინფლაციის დროს, არა?

- რატომაც არა, ამ ქვეყანაში დედაკაცები ერთობ მომრავლდნენ.

- ჰო, მართლაც მომრავლდნენ. ღმერთმა დაგწყევლოს, რაინჰოლდ, მაგარი ვინმე ხარ.

- აბა, მოვილაპარაკეთ?

- კარგი, ეგრე იყოს, სარფიანი საქმეა. იქნებ ვინმე ვიპოვო. შენთან შედარებით, ძუძუმწოვარა ლეკვი ვარ, ფუი შენი!

რაინჰოლდი ფრანცს ალმაცერად უყურებს. ეს კაცი ნამდვილად ტვინნაღრძობია, ფენომენური სულელია ეს ფრანც ბიბერკოპფი. დავიჯერო, კისერზე ორი დედაკაცის დასმას მართლა აპირებს?

ფრანცი ამ გარიგებით ისე იყო აღფრთოვანებული, რომ საქმის მოგვარებას მაშინვე შეუდგა და პირდაპირ კუზიან ედესთან წავიდა. ედე თავის სოროში იჯდა. ფრანცმა საქმის ვითარება გააცნო: ხომ არ გინდა, ერთი გოგო გადაიბარო, რადგანაც ჩემს ჰორიზონტზე სხვა გოგო გამოჩნდა და კარგი იქნება, თუ ყოფილისგან გავთავისუფლდებიო.

კუზიანისთვის ეს შეთავაზება სწორედ რომ დროული აღმოჩნდა, რადგან მუშაობა მოჰბეზრდა და გადაწყვიტა, რომ იავადმყოფოს. ავადმყოფის დახმარებას აიღებს, ცოტას დაისვენებს, გოგონა კი პროდუქტების საყიდლად და ავადმყოფთა სალაროსთან ფულის გამოსატანად ივლის. მაგრამ ის გოგო მის სახლში სამუდამოდ დარჩენას თუ მოინდომებს, ეგ არ ვარგა, რადგან ედე იმათ რიცხვს არ ეკუთვნის, ვისაც ეგრე ადვილად გააცურებენ:

ფრანცს სახვალიოდ საქმის გადადება არ უყვარს, ამიტომ მეორე დილასვე, სახლიდან გასვლამდე, მეეტლის ნაცოლარს და რაინჰოლდის ნასაყვარლევს სრულიად უმიზეზოდ ჩხუბი აუტეხა. ვალში არც ფრანცე დარჩენია. ფრანცსაც ეს უნდოდა, ეშხში შევიდა და აღრიალდა. ერთი საათის შემდეგ საქმე უკვე მოგვარებული იყო: ქალს კუზიანი ნივთების შეგროვებაში ეხმარებოდა, განრისხებული ფრანცი სახლიდან გაიქცა, მეეტლის ნაცოლარი კი, რადგანაც წასასვლელი არსად ჰქონდა, თავისი ბარგი-ბარხანით საცხოვრებლად კუზიანთან გადავიდა. კუზიანი ექიმთან მივიდა, ექიმმა იგი ავადმყოფად ცნო, უკვე საღამოს ორივენი ხმაშეწყობილად ფრანც ბიბერკოპფს ლანძღავდნენ.

ფრანცთან კი ცილი გამოცხადდა. რა, ჩემო პატარავ, რა გნებავს, ჩემო პატარავ? რამე ხომ არ გტკივა,

ოჰ, შე საწყალო!

- აი, თქვენთვის ამ ბეწვის საყელოს გადმოცემა მთხოვეს.

ფრანცმა საყელო აიღო და ბეწვის კარგად მცოდნესავით მოწონების ნიშნად თავი დააქნია. დიდებული რამეა. ასეთი კარგი რაღაცები ამ ბიჭს საიდან აქვს? ჯერ იყო და, მაღალყელიანი ფეხსაცმელები გამომიგზავნა, ახლა - ეს. ცილი კი, რომელიც ვერაფერს ხვდება, ტიტინებს:

- ეტყობა, თქვენ და ჩემი რაინჰოლდი დიდი მეგობრები ხართ, არა?

- ო, დიდი მეგობრები, - იცინის ფრანცი, - ხანდახან პროდუქტებსა და იმ ტანსაცმელს მიგზავნის, რომელიც მას არ სჭირდება. ამ ცოტა ხნის წინ, მართალი გითხრათ, გამიკვირდა, მოულოდნელად ფეხსაცმელები გამომიგზავნა! ახლავე განახვებთ. ღმერთო, სად არის? იმ სულელმა ფრანცემ ხელს ხომ არ გააყოლა? მართლაც სად არის? აი, აგერ არ ყოფილა!

- აბა, შეხედეთ, ფროილაინ ცილი, აი, ესენი გამომიგზავნა ამას წინათ, აბა, რას იტყვით? ნამდვილი ბოტფორდებია! შიგ ერთდროულად სამი ადამიანის ფეხები მოთავსდება. აბა, ერთი შიგ თქვენი ლამაზი ფეხები ჩაყავით.

ცილიმ დიდი ხვეწნის გარეშე ფეხსაცმელებში ფეხები ჩაყო. ისე სუფთად აცვია, ბეწვისსაყელოიანი შავი მანტო ძალიან უხდება, ისეთი მომხიბვლელია, თვალს ვერ მოსწყვეტ. ეგ გამოთაყვანებული რაინჰოლდი ამ მარწყვივით გოგოზე უარს როგორ ამბობს, ასეთ ლამაზმანებს მაინც სად შოულობს? დგას ცილი, როგორც ჩექმებიანი კატა, ფრანცი კი ადრინდელ სიტუაციაზე ფიქრობს: ყველაფერი ისეა, როგორც ფრანცესთან იყო. გამოდის, ამ ქალებზე თავიანთი გარდერობითურთ თვიური აბონემენტი მაქვს, ისევე, როგორც ჟურნალზე! ფეხსაცმელი წაიძრო, ფეხი მანაც ბოტფორდში ჩაყო და ისიც ცილის ფეხს უკან ჩასრიალდა. ცილი წივის, გაქცევა უნდა, მაგრამ ვერ ახერხებს, ორივენი ახტუნავდნენ და ჰოპ-ჰოპ, ასე ხტუნვა-ხტუნვით მაგიდამდე მივიდნენ, აქ კი ფრანცი ფეხს მეორე ფეხსაცმელში ჩაყოფს. სადაც არის, ორივენი დაეცემიან. ასეც მოხდა... დაცემას მოჰყვა წივილ-კივილი, კისკისი, უადგილო ადგილებში ხელების ფათური... და ა.შ. ერთი სიტყვით, ქალიშვილო, თუ შეიძლება ამ სანახაობას თვალი მოსწყვიტეთ, მიტრიალდით,

- გაერთონ ეს ორნი, ახლა ურთიერთდახმარების სალაროში შესვენებაა, საღამოს 5-დან 7 საათამდე შემოიარეთ.

- ფრანც, მე ხომ რაინჰოლდი მელოდება. ხომ არაფერს ეტყვი, ძალიან გთხოვ, არაფერი უთხრა.

- ფისუნიავ ჩემო, რატომ უნდა ვუთხრა, დაწყნარდი!

საღამოს კი ატირებული გოგო თავისი მზითევით ხელიდან ხელში გადასცეს. ეს ორი მთელი საღამო რაინჰოლდს ლანძღავდა, ისეც და ასეც. ცილი მართლაც სათნო გოგოა, ლამაზი და კარგი გარდერობიც აქვს: თითქმის სრულიად ახალი მანტო, ნამდვილი სამეჯლისო ფეხსაცმელები და თან სულ ყველაფერი მაშინვე მოიტანა. ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს ყველაფერი რაინჰოლდმა აჩუქა? ეტყობა, განვადებით ყიდულობს.

ამის შემდეგ ფრანცი თავის რაინჰოლდს ყოველთვის აღფრთოვანებით და სიამოვნებით ხვდებოდა. აი, ვინ არის ნამდვილი არწივი, მაგრამ მძიმე სამუშაოს კი ასრულებინებს. იგი უკვე შიშით ელოდება თვის ბოლოს, როცა დიდი, მუნჯი რაინჰოლდი ისევ ალაპარაკდება. და აი, ერთ მშვენიერ დღეს დგას ფრანცი ალექსანდერპლაცის მეტროს სადგურთან, მოულოდნელად საიდანღაც რაინჰოლდი გამოეცხადა:

- ამ საღამოს რას აკეთებ?

- რა ხდება, ერთი თვე ჯერ ხომ არ გასულა?

ფრანცმა ისიც უთხრა, რომ შინ ცილი ელოდება, მაგრამ რაინჰოლდი თუ სადმე ეპატიჟება, დიდი სიამოვნებით წაჰყვება. და ისინი ნელი ნაბიჯით მიდიან - თქვენ როგორ ფიქრობთ, საით? ალექსანდერშტრასედან პრინცენშტრასეზე დაეშვნენ. ფრანცი დაჟინებით ეკითხება: მითხარი მაინც, სად მივდივართ? ვალტერხენთან, ერთი ჭიქის გადასაკრავად? როგორც იქნა, ათქმევინა, დრეზდენერშტრასეზე ხსნის არმიის თავშესაფარში. ქადაგების მოსმენა უნდა! ეს ფრანცისთვის მეხის გავარდნას ჰგავდა, ყველაფერს ელოდებოდა, გარდა ამისა. ეს ყმაწვილი ერთობ ახირებული ვინმეა, კი, კი, ტვინი ნამდვილად ნაღრძობი აქვს! ერთი სიტყვით, ასე აღმოჩნდა ფრანც ბიბერკოპფი იმ საღამოს ხსნის არმიის ჯარისკაცებთან პირველად თავის სიცოცხლეში. მოხვდა მისთვის უჩვეულო სამყაროში. ირგვლივ ყველაფერი ისე

კომიკურად ეჩვენებოდა, რომ გაკვირვებას ვერ მალავდა.

ათის ნახევარზე კი, როცა იქ შეკრებილები საკურთხეველთან ცოდვების მოსანანიებლად მიიწვიეს, რაინჰოლდი ბზიკნაკბენივით წამოხტა და დარბაზიდან გავარდა. მირბოდა ისე,

თითქოს უკან ვინმე მოსაკლავად მისდევდა. რა დაემართა? გაქცეულს ფრანცი კიბეზე ძლივს დაეწია. იგი კი ილანძღებოდა, ამქვეყნად ყველას და ყველაფერს აგინებდა.

- ამ ბიჭებს უფრთხილდი, - ეუბნება ფრანცს, - ეგენი თავიანთი ლაპარაკით ტვინს ისე აგირევენ, რომ შიშისგან სული გაგძვრება. რასაც გეტყვიან, ყველაფერს გააკეთებ, უსიტყვოდ.

- ამას მე მეუბნები? თუ მეხუმრები, ჩემთან ეგ ნომერი არ გაუვათ.

მაგრამ რაინჰოლდი ვერ ჩერდებოდა, ხსნის არმიის ჯარისკაცებზე ლაპარაკს ქუჩაშიც და პრინცენშტრასეზეც, ლუდხანაშიც აგრძელებდა. აი, მაშინ კი წამოსცდა:

- ფრანც, ქალებს უნდა შევეშვა, აღარ

შემიძლია! აი, ნომერი!

- ღმერთო, მე კი სულმოუთქმელად ველოდები, მორიგ ტურფას როდის გამომიგზავნი.

- შენ რა, გგონია, რომ მხოლოდ იმაზე ვოცნებობ, ერთი კვირის შემდეგ ქერათმიანი ტრუდე როგორ შემოგაჩეჩო? ან იქნებ ფიქრობ, რომ ამას სიამოვნებით ვაკეთებ? არა, ასე არ გამოვა...

- რაინჰოლდ, ჩემგან შეფერხება არ იქნება! ჩემი იმედი გქონდეს. თუნდაც ათი გოგო გამომიგზავნე, ჩვენ ყველას შევიფარებთ.

- ფრანც, მაგ შენი ქალებით გული ნუ გამიწყალე. ეგენი აღარ მინდა,

გესმის? მოდი ახლა და ამ ტიპს გაუგე. რატომ ადუღდა?

- თუ ქალი მოგბეზრდა, მაშინ მიატოვე და წადი შენი გზით. ეს ხომ ყველაზე ადვილია. მათი მოშორება ყოველთვის შეიძლება. ამ ქალს, რომელიც ახლა გყავს, შენი ხათრით კიდევ მივიღებ, მერე კი - შაბაშ!

ეს ხომ ისეთივე ნათელია, როგორც ორჯერ ორი ოთხია! რას დაუჭყეტია თვალები? რას მომშტერებია? თუ უნდა, ის ბოლო გოგო დაიტოვოს. საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. სასაცილო ჯეელია. და რა იქნება ახლა? ახლა თავის ყავასა და ფორთოხლის წვენს მოიტანს. არაყს ხომ ვერ იტანს, კი არ დადის, დაჩოჩავს და მაინც ქალებისკენ გაურბის თვალი. რაინჰოლდი კარგა ხანს ჯიუტად დუმდა, მაგრამ მერე სამი ფინჯანი წყალწყალა ყავა რომ დალია, ისევ ალაპარაკდა.

ისეთი პროდუქტის, როგორიც რძეა, მაღალნოყიერებაში ეჭვი არავის შეაქვს. რძე სასარგებლოა ბავშვებისთვის, ჩვილებისთვის, აგრეთვე, ავადმყოფებისთვის, რძე ხომ ტონუსის ამწევი საშუალებაა. მისი დადებითი თვისებები განსაკუთრებით მჟღავნდება მაშინ, თუ რძის შემდეგ მაღალკალორიულ პროდუქტებსაც ჭამთ. ცხვრის ხორცი, სამწუხაროდ, ღირსეულად არ არის დაფასებული, მაგრამ იგი დიეტური პროდუქტია. ამას სამედიცინო დარგის თითქმის ყველა ავტორიტეტი აღიარებს.

რძის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ფიქრობს ფრანცი, მაგრამ რეკლამამ მახინჯი ფორმა არ უნდა მიიღოს. რაც შემეხება მე, ლუდი მირჩევნია, აბა, რა შეიძლება იყოს კასრის ახალ ლუდზე უკეთესი?

რაინჰოლდმა ფრანცს შეხედა, - საწყალი, განადგურებული ბიჭი, ლამის ცრემლები გადმოყაროს.

- ხსნის არმიის თავშესაფარში უკვე ორჯერ ვიყავი, ფრანც. იქ ერთ ვინმესაც ველაპარაკე. პირობა დავდე, რომ ჭეშმარიტების გზას დავადგებოდი. ვიდრე ძალა მყოფნიდა, დაპირებას ვასრულებდი. მერე კი ნებისყოფამ მიმტყუნა და დაიწყო ისევ!..

- მაინც რა გემართება?

- შენ იცი, რომ ნებისმიერი ქალი მბეზრდება. დიდი-დიდი, ოთხი კვირა და ყველაფერი მთავრდება. მართალი გითხრა, ვერ გამიგია, ასე რატომ ხდება. აღარ მიყვარს და მორჩა. მეტიც, მათი დანახვა არ შემიძლია. არადა, სულ ცოტა ხნის წინ მათზე ჭკუას ვკარგავდი. როცა ქალი მომწონს, იმ დროს გიჟს ვემსგავსები. მერე კი ყველაფერი ქრება, ქალი, რომლის გამოც ლამის თავს ვიკლავდი, მეზიზღება. მზად ვარ, ფულიც კი გადავიხადო, ოღონდ მომაშოროს ვინმემ და ის ჩემს ოთახში აღარ დავინახო.

ფრანცს უკვირს:

- რაინჰოლდ, იქნებ მართლაც არანორმალური ხარ? მოიცადე...

- ჰოდა, მოხდა ისე, რომ ხსნის არმიაში წავედი. მეგონა, განმკურნავდნენ. იმათ ყველაფერი ვუამბე, მერე ერთ ტიპთან ერთად ვილოცე კიდეც...

ფრანცს გაკვირვებისგან თვალები გაუფართოვდა:

- რა? ილოცე?

- აბა, რა უნდა ქნა კაცმა, როცა სული დამძიმებული გაქვს, ცუდად ხარ და არ იცი, თავს როგორ უშველო?

ეშმაკმა დალახვროს, ეშმაკმა დალახვროს! ჯეელიც ასეთი უნდა, გინახავთ ასეთი ტიპი?

- და მართლაც მიშველა, ასე ექვსი-შვიდი კვირა სხვა აზრები მომდიოდა თავში. თავი ხელში ავიყვანე, თითქოს შვებაც ვიგრძენი, მაგრამ მერე ყველაფერი ისევ თავიდან დაიწყო.

- რაინჰოლდ, იქნებ კლინიკაში წასულიყავი, მიღებაზე. ან იქნებ იქიდან, დარბაზიდან არ უნდა გამოქცეულიყავი, გასულიყავი წინ, მერხზე დამჯდარიყავი და ცოდვები მშვიდად მოგენანიებინა. იქნებ ჩემი შეგრცხვა?

- არა, უბრალოდ აღარ მინდა და თანაც ეგ აღარ მშველის. მე ხომ არც ღმერთისა მწამს და არც ეშმაკის. მაშ, რატომ უნდა გავძვრე წინ და ვილოცო.

- ჰო, აი, ეს კი ნამდვილად მესმის. თუკი არა გწამს, მაშინ ნამდვილად ვერ გიშველის.

ფრანცი მეგობარს, რომელიც ცარიელ ყავის ფინჯანს დაღვრემილი ჩასცქეროდა, თანაგრძნობით აკვირდებოდა:

- აზრზე არა ვარ, რითი ან როგორ დაგეხმარო. ამ საქმეზე საფუძვლიანად უნდა დავფიქრდე. იქნებ ქალები ერთხელ და სამუდამოდ შეიზიზღო, ა?

- აი, ახლა, მაგალითად, ქერათმიანი ტრუდე რომ მახსენდება, ლამის გული ამერიოს. მაგრამ მერე, ერთი-ორი დღის შემდეგ, ჰორიზონტზე გამოჩნდება ვინმე ნელი ან გუსტა, არ ვიცი, რა ერქმევა იმ გოგოს, და მაშინ უნდა ნახო შენი რაინჰოლდი, ასანთივით ავენთები! და იმ გოგოს გარდა, სხვა არაფერზე შემიძლია ფიქრი: აი, ეს გოგო ჩემი უნდა გახდეს, რადაც უნდა დამიჯდეს, ნებისმიერ ფასად.

- ამ გოგოებში ასე ძალიან მაინც რა მოგწონს?

- ანუ იმის თქმა გინდა, რომ რითი მხიბლავენ? აბა, როგორ აგიხსნა, თითქმის არაფრით. ერთს, მაგალითად, თმა ბიჭურად აქვს შეკრეჭილი და იმ მომენტში,

ალბათ, ეს მომწონს. მეორე მხიარულია, ხუმრობა უყვარს. ეს ქალები რატომ მომწონს, მე თვითონაც არ ვიცი, ფრანც. ის კი არა, თავად ქალებსაც უკვირთ, მათ გამო რომ ისე გავგიჟდები და ვეცემი ხოლმე, როგორც ხარი წითელ ნაჭერს. ჰკითხე ნებისმიერს, თუნდაც ცილის, რომ ასეა. რა ვქნა, საკუთარ თავს ვერაფერს ვუხერხებ და რა ვქნა.

ფრანცი რაინჰოლდს გაოგნებული შესცქერის.

არის მომკელი, მას სიკვდილი ჰქვია, ყოვლად ძლიერი ღვთისგან დიდი ძალაუფლება აქვს მინიჭებული. დღეს თავის ცელს ლესავს, მკისთვის ამზადებს. მუშაობას მალე დაიწყებს და ცელი მისი ჩვენც მოგვწვდება.

მართლაც ძალიან უცნაური ახალგაზრდაა! ფრანცი იღიმება, რაინჰოლდი კი საერთოდ არ იღიმება.

არის მომკელი, მას სიკვდილი ჰქვია. ყოვლად ძლიერი ღმერთისაგან დიდი ძალაუფლება აქვს მინიჭებული. მუშაობას მალე დაიწყებს.

ფრანცი ფიქრობს:შენ ადამიანმა ერთხელ მაინც კარგად უნდა შეგანჯღრიოს,

ერთხელ და სამუდამოდ გასწავლოს ჭკუა, რომ ცხვირს ზემოთ აღარ სწევდე.

ხმამაღლა კი ამბობს:

- კარგი, რამეს მოვიფიქრებთ, რაინჰოლდ, ცილის დღესვე ვკითხავ.

ფრანცმა დიდხანს იფიქრა და მიხვდა, რომ გოგოებით ვაჭრობა მისი საქმე არ არის. მას რაღაც სხვა, უფრო მეტი უნდა

- ცილი, ახლა მუხლებზე ნუ დამიჯდები, ნურც შენს პატარა მუშტებს დამიშენ. შენ ხომ ჩემი ფისუნია ხარ. აბა, გამოიცანი, დღეს ვისთან ერთად ვიყავი.

- არ ვიცი და არც მაინტერესებს.

- ჩემო ჩიტუნია, გამოიცანი რა? ვისთან და რაინჰოლდთან.

ამის გაგონებაზე ცილის სახე ეცვლება, ბრაზდება. ნეტავი რატომ?

- რაინჰოლდთან არა? აი, თურმე რა? წარმომიდგენია, რაებს გეტყოდა!

- ჰო, ბევრი რამ მითხრა.

- მართლა? შენ კი იდიოტივით უსმენდი და რაც გითხრა, ყველაფერი დაიჯერე, არა?

- არა, პატარავ, არა.

- კეთილი, მაშინ ახლავე მივდივარ. ჯერ მთელი სამი საათი გელოდები, შენ კი, ეშმაკმა იცის, სად დაეხეტები, მერე მოდიხარ და გინდა რაღაც სისულელეებს მომიყვე.

რა ბუზმა უკბინა?

- არა, პატარავ, არა. რაღაც-რაღაცებს მე კი არა, შენ უნდა მომიყვე!

- არ მესმის, მე რა უნდა მოგიყვე?

მერე კი დაიწყო და აღარ დაამთავრა. ცილი, ეს პატარა შავტუხა, თანდათან ეშხში შედის, შმაგდება, ბრაზი ახრჩობს და ლაპარაკში ხელს უშლის. ფრანცი კი ჩქმეტს და კოცნის. ის ახლა ისეთი მშვენიერია, განრისხებული, აგზნებული, სახეაწითლებული, ელვარებს, როგორც ფრთაჭრელი ჩიტი. მერე კი ყველაფერს თანამიმდევრობით რომ იხსენებს, ცრემლებს ვეღარ იკავებს.

- ეგ რაინჰოლდი ქალის მეგობარი არ არის, არც ხვადი კატა. საერთოდ, კაცი არ არის, ჩვარია! ქუჩაში ბელურასავით დახტის, ჭიკ-ჭიკ და ხან ერთ მდედრს ჩაუნისკარტებს და ხან მეორეს. მაგაზე ათობით ქალი უამრავ რამეს მოგიყვება. ხომ არ გგონია მაგისთვის პირველი ვიყავი ან თუნდაც მერვე? ალბათ, მეასე ან მეათასე. სათვალავი მაგასაც აერია. ვერ დათვლის, მის ხელში რამდენმა ქალმა გაიარა. მერე მათ როგორ ექცეოდა, რა დღეში აგდებდა. ნამდვილი სადისტია. ფრანც, მაგ არაკაცს თუ უჩივლებ, შენი დიდი მადლობელი ვიქნები... მე მაგისგან მოყენებულ ტკივილს არაფერი მომიშუშებს, მაგრამ, ფრანც, შენ მაგის ჩაშვებისთვის პოლიციაპრეზიდიუმში შეიძლება ფული მოგცენ! შორიდან დაინახავ, თუ როგორ ზის ჩაფიქრებული და ყავის ნარეცხს წრუპავს. და ვერაფრით მიხვდები, რა ტიპია. ეგ კი ზის, ზის და მერე უცებ წამოხტება და ვინმე გოგოს აეკიდება.

- ეგ ყველაფერი რაინჰოლდმა თავად მიამბო!

- ჯერ ფიქრობ, ღმერთო, ამ ყმაწვილს ჩემგან რა უნდა? არ ჯობს, თავშესაფარში წავიდეს და ერთი კარგად გამოიძინოს? ეგ კი არ გეხსნება, ბზუილა ბუზივით თავს დაგტრიალებს და თანდათანობით გეცვლება აზრი, აღმოაჩენ, რომ თურმე ეს ბიჭი კარგი კავალერი ყოფილა. თვალში ნაცრის შეყრის ნამდვილი დიდოსტატია. არ დაიჯერებ, ფრანც, და იმ მომენტში ველარ იცნობ. ვერ ხვდები, ეს კაცი გუშინდელს აქეთ რამ შეცვალა. ეჭვი გიპყრობს, ეს ჯადოქრის ნახელავი ხომ არ არისო. თითქოს გაახალგაზრდავდა, სახეზე ნაოჭებიც კი გაუსწორდა. თანაც ცხრაპირი ტყავიდან ძვრება, თავი რომ მოგაწონოს, გაუჩერებლად ლაპარაკობს, ცეკვებზე გეპატიჟება...

- რა? რაინჰოლდი ცეკვავს?

- არ იცოდი? აბა, ერთმანეთი სად გავიცანით? საცეკვაო მოედანზე, შოსეშტრასეზე.

- იფ, რა ანცი ჯეელი ყოფილა.

- ფრანც, დამიჯერე, ეგ ნებისმიერ ქალს დაასხამს თავბრუს, ქმრიანს თუ უქმროს, არ მოეშვება, სანამ თავისას არ მიაღწევს!

- აი, ყოჩაღ!

ფრანცი ხარხარებდა, თვალზე მომდგარ ცრემლებს იწმენდდა.

„გთხოვ, ერთგულებას ნუ
მეფიცები, რადგანაც ეს არ
მადარდებს დიდად, და რა მაქვს
შენთან დასამტკიცები,
რომ გულებს ცხელებს ვერ ნახავ
მშვიდად. ამიტომ ჩემგან ნუ ითხოვ
შველას, მშვენიერება იზიდავს
ყველას,

გული კი ჩუმი, თუ მივცემ

ნებას, სულ ახალ-ახალს

დაეძებს ვნებას...

და რადგან პატივს საკუთარ თავს

ვცემ, მე უშურველად ყველაფერს

გავცემ“.

- გეცინება, არა? იქნებ შენც ეგეთი ხარ?

- არა, ცილიკენ. ეგ მეტისმეტად სასაცილო ვინმეა. ახლა ისევ წუწუნებს, რომ ქალების მიტოვება არ შეუძლია. „არა, ვერ მიგატოვებ, ეს ჩემს ძალ-ღონეს აღემატება“, - ფრანცმა ქურთუკი გაიხადა, - ახლა ქერათმიანი ტრუდე ჰყავს, იქნებ რაინჰოლდი მაგ ქალისგანაც გავათავისუფლო და ჩემთან წამოვიყვანო? შენ რას იტყვი, ცილი?

ქალი აკივლდა! აუ, ეს ქალები მაინც როგორ კივიან ხოლმე! ცილი გააფთრებული ძუ ვეფხვივით ღრიალებს. ფრანცს ქურთუკს ხელიდან გამოჰგლეჯს, იატაკზე დააგდებს. დიდი ბოდიში, ეს ქურთუკი იატაკის საწმენდად არ მიყიდია, თანაც შეიძლება დაიხეს, აი, მაშინ კი ცილის შავი დღე დაადგება!

- შენ რა, ფრანც, ტრუდეს უკვე გემო გაუსინჯე? ტრუდესთან რა ურთიერთობა გაქვს, აბა, მითხარი!

აი, ძუ ვეფხვი, მძვინვარე! ყვირილი ასე თუ გააგრძელა, მეზობლები გაიგებენ, იფიქრებენ, რომ ამ ქალს ვკლავ და პოლიციას გამოიძახებენ. მშვიდად, ფრანც, მშვიდად!

- ჩემს ტანსაცმელთან ფრთხილად, გესმის, ცილი? მაგ ქურთუკში ფული გადავიხადე, ჩვენს დროში კი ფულის შოვნა ადვილი არ არის! ქურთუკი მომეცი! რა გაყვირებს, ხომ არ ვიკბინები.

- ფრანც, შენ გულუბრყვილო კაცი ხარ!

- კარგი, შეიძლება გულუბრყვილო ვარ, მაგრამ რა ვქნა, რაინჰოლდი ჩემი მეგობარია და ახლა იგი ცუდ დღეშია. დღეს დრეზდენერშტრასეზე, ხსნის არმიის თავშესაფარშიც კი წავიდა, ცოდვების მონანიება უნდოდა. ჰოდა, თუ მისი მეგობარი ვარ, ვალდებული ვარ, დავეხმარო. მითხარი, რა ვქნა, რაინჰოლდისგან ტრუდე წამოვიყვანო თუ არა?

- მე რას მიპირებ?

მე და შენ ერთად მდინარეზე თევზს დავიჭერთ.

- აი, სწორედ ამაზე უნდა ვილაპარაკოთ, მოდი, ვიფიქროთ, რა და როგორ გავაკეთოთ. მართლა, სად არის ჩემი შტიბლეტები? აი, დატკბი მათი ხილვით.

- თავი დამანებე, ადამიანო!

- მხოლოდ ის მინდა, რომ შეხედო, ცილი. საქმე ის არის, რომ ისინი რაინჰოლდმა გამომიგზავნა. და კარგად იცი, რომ შენ კი ჩემთან ბეწვის საყელო გამოგატანა, ხომ ასეა? შენამდე კი ეს ფეხსაცმელები სხვა ქალმა მომიტანა.

მიდი, ყველაფერი აღიარე, რატომაც არა, ამის გამო გისოსებს მიღმა არ აღმოჩნდები, ცოდვა გამხელილი ჯობს!

ცილი ტაბურეტზე იჯდა, ფრანცს ახედა. არაფერი უთქვამს, უბრალოდ ატირდა. ფრანცი კი თავისას აგრძელებს:

- აი, ასეა საქმე. რას იზამ, ეგ ასეთი ადამიანია. ჰოდა, დავეხმარე, რაინჰოლდი ხომ ჩემი მეგობარია. არც შენი მოტყუება მინდა.

ცილიმ გამანადგურებელი მზერა ესროლა, გააფთრდა:

- შენც ვიგინდარა ყოფილხარ, გათახსირებული! იცი, რაინჰოლდი ხომ არამზადაა, შენ კი იმაზე უარესი ხარ, უკანასკნელ ხვად კატაზე ბილწი.

- შეურაცხყოფას მაყენებ, მე ხვადი კატა არა ვარ.

- აი, კაცი რომ ვიყო...

- კარგი, კარგი, მადლობა ღმერთს, რომ მამაკაცი არა ხარ. მხოლოდ ამის გამო ნერვიულობა არ ღირს, ცილიკენ. უბრალოდ, რაც იყო და როგორც იყო, ის გითხარი. და ვიდრე გისმენდი, მოვიფიქრე, რა უნდა ვქნა. ტრუდეს წამოყვანაზე უარს ვეტყვი, შენ კი აქ, ჩემთან დარჩები.

ფრანცი ადგა, რაინჰოლდის ნაჩუქარი ფეხსაცმელები კარადის უკან მოისროლა. ეს საჩემო საქმე არ არის, ამიტომაც მე - მორჩა, თამაშიდან გავდივარ. რაინჰოლდი ადამიანებს ღუპავს, ანადგურებს და ამაში მისი თანამონაწილე არ გავხდები. აუცილებლად რაიმე უნდა ვიღონოთ.

- ცილი, დღეს აქ დარჩები, ხვალ კი რაინჰოლდის შინიდან წასვლის შემდეგ ტრუდესთან მიხვალ, დაელაპარაკები. უთხარი, რომ დავეხმარები, მის გვერდით ვიქნები, შეუძლია, მენდოს. მოიცადე, უთხარი, რომ აქ მოვიდეს, სამივემ ერთად მოვილაპარაკოთ.

მეორე დღეს ქერათმიანი ტრუდე ფრანცსა და ცილისთან მივიდა. ზის გაფითრებული და სევდიანი. ცილიმ კი უბოდიშოდ მიახალა, ვიცი, რომ რაინჰოლდი ძალიან ცუდად გექცევა, შენზე არ ზრუნავს, ახლა კი შენს გაგდებასაც აპირებსო. დიახ, ასეა! ტრუდე ცრემლად იღვრება, მაგრამ ისიც ვერ გაუგია, ამ ორს მისგან რა უნდა. ამ დროს კი ფრანცი ალაპარაკდა:

- იცით, რა, რაინჰოლდი, როგორც თქვენ უწოდებთ, არამზადა არ არის. ეგ კაცი ჩემი მეგობარია და მისი შეურაცხყოფის უფლებას არ მოგცემთ. მაგრამ არც ადამიანების წამება შეიძლება. ამას ადამიანის ღირსების დაკნინება ჰქვია. დიახ!

ტრუდეს უთხრა, მაგრად იდექი, რაინჰოლდი შენს გაგდებას ვერ გაბედავს. მეც, ჩემი მხრივ კი... და რას გავაკეთებ, ამას მალე გაიგებთო!

იმავე საღამოს რაინჰოლდი ფრანცთან გაზეთების დახლთან გამოცხადდა. ძლიერი ყინვა იყო, რაინჰოლდმა ერთ ჭიქა ცხელ გროგზე დაპატიჟა. ფრანცმა მიწვევა მიიღო. თავიდან რაინჰოლდი მშვიდად ლაპარაკობდა, პრობლემებს არ შეხებია. მერე გაჩუმდა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

- ტრუდე საშინლად მომბეზრდა და სახლიდან მისი გასტუმრება დღესვე მინდა!

- რა, რაინჰოლდ, თვალი ახალ გოგოს დაადგი?

რაინჰოლდს არც ჰო უთქვამს და არც არა.

მაშინ ფრანცმა უთხრა, რომ ცილისთან დაშორებას არ აპირებს, ერთმანეთს კარგად შეეწყვნენ და

საერთოდაც, ძალიან კარგი და წესიერი გოგოა, ხოლო, რაც შეეხება რაინჰოლდს,

დროა, დადინჯდეს და იცხოვროს ისე, როგორც წესიერ ადამიანს ეკადრება, იმიტომ, რომ ასე გაგრძელება ნამდვილად აღარ შეიძლება. რაინჰოლდი თავდაპირველად ვერ მიხვდა, ფრანცი რას ეუბნებოდა, ეგონა, ბეწვის საყელოზე ელაპარაკებოდა და ჰკითხა, იქნებ ეგ საყელო არ მოგეწონა ან გეცოტავა? მაშინ ტრუდე საათს მოგიტანს, ჯიბის ვერცხლის საათს, აჰ, თუ გინდა, ბეწვისყურებიან ქუდსაც. აი, ბეწვის ქუდი კი ფრანცს ნამდვილად სჭირდება.

არა, არ გამოვა, აღებმიცემობას წერტილი უნდა დაესვას. და საერთოდაც, რაინჰოლდთან, როგორც მეგობართან, საუბარს კარგა ხანია აპირებს. და მერე, რაზეც კი ამ ბოლო დღეებში უფიქრია და მოუფიქრებია, ყველაფერი გულახდილად უთხრა: რაინჰოლდმა, რა ფასადაც უნდა დაუჯდეს, ტრუდე სახლიდან არ უნდა გააგდოს. დროთა განმავლობაში შეეჩვევა, შეუყვარდება. ქალიც ხომ ადამიანია. სხვა საქმეა, ვინმე იაფფასიანი ბოზი, ის სამ მარკას აიღებს და კმაყოფილია, თავის საქმეს უპრობლემოდ განაგრძობს. მაგრამ, როცა ყურადღებითა და შენი გრძნობებით ქალს თავბრუს დაახვევ, თავს შეაყვარებ და მერე სახლიდან გააგდებ, თანაც ამას ერთხელ და ორჯერ კი არა, სისტემატურად აკეთებ, ამას არც კი ვიცი, რა ჰქვია.

რაინჰოლდი ამ შეგონებას, როგორც ყოველთვის, მდუმარედ ისმენდა, ყავას წრუპავდა და დაღლილი თვალებით იყურებოდა. მერე კი სრულიად მშვიდად თქვა: თუ ფრანცს ტრუდეს მიღება არ უნდა, ასეთ საქმეებს ადრე უმაგისოდ აგვარებდა და ახლაც როგორმე მოაგვარებს. ადგა, ფული გადაიხადა, ძალიან მეჩქარებაო, თქვა, და წავიდა.

ფრანცს ღამით გაეღვიძა და დილამდე ვეღარ დაიძინა. ოთახში საშინლად ციოდა. მის გვერდით ცილი ფშვინავდა. რატომ არ მეძინება? ახლა ხილით დატვირთული ოთხთვალები ცენტრალური ბაზრისკენ მიხრიგინებენ. არ მინდა ვიყო ცხენი და ამ ყინვაში ოთხთვალას ვექაჩებოდე. საჯინიბოში დგომა სხვა საქმეა, იქ თბილა. ცილის მშვიდად სძინავს. ქალს შეუძლია ეძინოს, მე - არა. მოყინული ფეხის თითები მექავება. შიგნით რაღაც სიმძიმეს ვგრძნობ, ეს გული, ფილტვებია თუ ცუდი წინათგრძნობა? თითქოს შიგნით ვიღაცის უხილავი ხელი ქვას აქეთ-იქით აგორავებდეს. არ ვიცი, ეს ქვა შიგნით საიდან გაჩნდა. არადა, გორავს და არ მაძინებს.

ტოტზე ჩიტი ზის, მის შორიახლოს კი გველი გასრიალდა. შრიალზე ჩიტს გაეღვიძა და ბუმბულაბურძგნილი ზის, არადა, გველის გასრიალება არც კი უგრძნია. უნდა

ღრმად, რიტმულად ვისუნთქო, მაშინ დამეძინება. ფრანცს რაინჰოლდის სიძულვილი აწვება და მოსვენებას არ აძლევს. ზიზღმა ხის კარში შემოაღწია და გააღვიძა ფრანცი. რაინჰოლდიც წევს ტრუდეს გვერდით, სიზმარში ვიღაცას კლავს, სიზმარში გულს იოხებს.

ადგილობრივი ქრონიკა

ეს ამბები ბერლინში აპრილის მეორე კვირაში მოხდა, მაშინ, როცა ჭირვეულ და წვიმიან ამინდს აქა-იქ გაზაფხულის თბილი დღეები ენაცვლებოდა, და როგორც პრესა ერთხმად აღნიშნავდა, ამ შესანიშნავმა სააღდგომო ამინდებმა მოქალაქეებს ბუნების წიაღში გასვლის სურვილი გაუღვიძა, სწორედ ამ დროს ბერლინში რუსმა ემიგრანტმა, სტუდენტმა ალექსანდრე ფრენკელმა კერძო პანსიონში თავისი საცოლე, გამოყენებითი ხელოვნების სასწავლებლის სტუდენტი, 22 წლის ვერა კამინსკაია მოკლა და თავიც მოიკლა. ახალგაზრდა წყვილთან ერთად თავის მოკვლა უნდოდა აგრეთვე 22 წლის აღმზრდელ ტატიანა ზანფტლებენსაც, მაგრამ ბოლო წუთებში შეეშინდა და ოთახიდან გამოვარდა, იმ დროს, როცა მისი მეგობარი გოგონა იატაკზე ცოცხალ-მკვდარი ეგდო. ტატიანამ ქუჩაში შემხვედრ პოლიციელს უამბო, ამ ბოლო თვეებში რა მძიმე ცხოვრება ჰქონდა, როგორი გაჭირვების გადატანა მოუხდა და იგი იმ პანსიონში მიიყვანა, სადაც ალექსანდრე და ვერა სულს ღაფავდნენ. სულ მალე შემთხვევის ადგილზე სისხლის სამართლის პოლიციის აგენტები მივიდნენ. დაიწყო გამოძიება. აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდებს დაქორწინება უნდოდათ, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ შეძლეს.

დღემდე ვერ დაადგინეს, ჰერშტრასეზე ტრამვაის კატასტროფის მიზეზი. გამოძიება გრძელდება. მიმდინარეობს დაშავებულების და მძღოლ რედლიხის განმეორებითი დაკითხვა. ექსპერტებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს დასკვნაზე მუშაობა ჯერ არ დაუმთავრებიათ. მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ დადგინდება, არის თუ არა დამნაშავე მძღოლი, რადგანაც დამუხრუჭება დროულად ვერ მოასწრო, თუ კატასტროფა გაუთვალისწინებელ შემთხვევითობათა ერთობლიობამ გამოიწვია.

ბირჟაზე სიმშვიდეა, ზოგი აქციის კურსი გამყარდა. ამას ხელი შეუწყო სახელმწიფო ბანკის ბალანსის გამოქვეყნებამ. როგორც გვატყობინებენ, ბალანსის თანახმად, ქვეყანაში საკმაოდ კარგი ფინანსური მდგომარეობაა: მიმოქცევაში საკრედიტო ბილეთების თანხამ 400 მილიონი მარკით დაიწია, სავექსილო პორტფელი კი 350 მილიონი მარკით შემცირდა.

ამბობენ, რომ 18 აპრილის დილის 11 საათისთვის „ი. გ. ფარბის“ აქციების კურსი 260

1/2 - 267

პუნქტს შეადგენდა, „სიმენს და ჰალსკესი“ კი - 297 1/2 - 299 პუნქტს, „დესაუერ გაზის“ 202-203-ს,

„ვალდჰოფ-ცელულოზასი“ კი 295-ს. გერმანიის ნავთობის კომპანიის აქციებზე მოთხოვნა გაიზარდა. აქციის კურსი 134 1/2 პუნქტზეა გაჩერებული.

რაც შეეხება ჰერშტრასეზე ტრამვაის კატასტროფას, კიდევ ერთხელ იუწყებიან, რომ ამ უბედური შემთხვევის დროს მძიმედ დაზარალებულთა მდგომარეობა გაუმჯობესდა და მათ სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

11 აპრილს რედაქტორი ბრაუნი თანამზრახველებთან ერთად მოაბიტის ციხიდან გაიქცა. გაქცეულები შეიარაღებული იყვნენ. ეს სწორედ ამერიკული ვესტერნის საკადრისი ეპიზოდი იყო: მაშინვე მდევრები დაადევნეს, სისხლის სამართლის სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ იუსტიციის სამინისტროს პატაკი იმავე დღეს აახლა. ამ წუთებში კი თვითმხილველებისა და გაქცევაში ხელშემწყობი თანამშრომლების დაკითხვა მიმდინარეობს.

ეტყობა, დღეს ბერლინის საზოგადოების ინტერესი შენელდა ამერიკის უმნიშვნელოვანესი ავტოფაბრიკის იმ პროექტისადმი, რომელიც ჩრდილოეთ გერმანიის ფინანსურად ძლიერი ფირმების ამერიკული წარმოების უახლესი მოდელის რვაცილინდრიანი და მსოფლიოში ნომერ პირველად აღიარებული ექვსი მანქანის ექსკლუზიურად გაყიდვას ითვალისწინებს.

გაცნობებთ ყველას და უპირველეს ყოვლისა კი შტაინპლაცის სატელეფონო სადგურის რაიონში მცხოვრებთ: ჰარდენბერგშტრასეზე მდებარე თეატრ „რენესანსში“ შედგა პარიზული კომედიის

„გულის ვალეტი“ მესამე საიუბილეო წარმოდგენა. პუბლიკამ ეს დიდებული კომედია, რომელშიც დახვეწილი იუმორი და ღრმა აზრი ერთმანეთს ერწყმის, გულთბილად მიიღო, ხოლო კომედიაში მონაწილე მსახიობებს მხურვალე ოვაცია გაუმართა. ამას ფერად-ფერადი აფიშები იუწყებიან და ამავე დროს ბერლინელებს სთხოვენ, ამ სიბრძნითა და იუმორით სავსე პიესას თანადგომა გამოუცხადონ, რათა ამ უნიკალურმა ნაწარმოებმა ჩვენი თეატრების სცენები და რეპერტუარი მესამე

წარმოდგენის შემდეგაც დაამშვენოს. მხარდაჭერისთვის ბერლინელებს თეატრ „რენესანსში“ იწვევენ.

მაგრამ, ჩემი აზრით, მხედველობაშია მისაღები ზოგიერთი გარემოება: რა თქმა უნდა, ბერლინელების თეატრში მიწვევა შეიძლება, მაგრამ შესაძლებელია, ისინი თეატრში მიზეზთა გამო ვერ წავიდნენ, მაგალითად, იმიტომ, რომ საზღვარგარეთ არიან და ამ პიესის შესახებ არაფერი სმენიათ; სხვები, მართალია, აქ არიან, მაგრამ ბერლინში გამოკრული თეატრ
„რენესანსის“ აფიშები არ წაუკითხავთ ავადმყოფობის გამო, ისინი საწოლებში წვანან. ხომ

წარმოგიდგენიათ, ქალაქში, სადაც ოთხი მილიონი კაცი ცხოვრობს, ავად რამდენი იქნება. თუმცაღა რადიოში, 18 საათის გადაცემიდან „განცხადებები და რეკლამები“ შეიძლებოდა გაეგოთ, რომ

„გულის ვალეტი“, ეს უმშვენიერესი პარიზული კომედია, რომელშიც დახვეწილი იუმორი და ღრმა აზრი ერთმანეთს შესანიშნავად ერწყმის, თეატრ „რენესანსის“ სცენაზე მესამეჯერ დაიდგა. მაგრამ ეს ინფორმაცია, უკეთეს შემთხვევაში, სინანულის გრძნობას თუ გამოიწვევდა, იმის გამო, რომ მათ ჰარდენბერგშტრასეზე წასვლა არ შეუძლიათ, რადგან ავადმყოფებისთვის თეატრში სიარული რეკომენდებული არ არის. თანაც, სარწმუნო წყაროებიდან ცნობილია, რომ თეატრ

„რენესანსში“ საწოლების განსალაგებელი ადგილი გამოყოფილი არ არის. თუნდაც იქ ავადმყოფები სასწრაფო დახმარების კარეტებით მიგვეყვანა. და კიდევ: აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი მოსაზრებაც: სავსებით შესაძლებელია, ბერლინში ისეთი ადამიანებიც აღმოჩნდნენ და ნამდვილად აღმოჩნდებიან, რომლებიც თეატრ „რენესანსის“ პლაკატს კი წაიკითხავენ, მაგრამ მის რეალურობაში ეჭვი შეეპარებათ. არა, აფიშის რეალურად არსებობაში კი არა, არამედ აფიშაზე ტიპოგრაფიულად დაბეჭდილი ტექსტის შინაარსის რეალობასა და საჭიროებაში. ასეთი ადამიანები არ ფიქრობენ, რომ „გულის ვალეტი“ უმშვენიერესი კომედიაა. პირიქით, ამ პიესის ქება მათ აღიზიანებს, შეიძლება ზიზღსაც კი ჰგვრის. დიდი ბოდიში, მაგრამ ერთი გვიბრძანეთ, ეს კომედია ვის ხიბლავს, რატომ ხიბლავს, რითი ხიბლავს. და თუ მართლა ხიბლავს, მაშინ ვინ მოგცათ ჩემი მოხიბვლის უფლება. იცით, სულ არ მჭირდება, ვინმე მხიბლავდეს! სხვები კი ფრაზის - „ამ კომედიაში დახვეწილი იუმორი და ღრმა ჩანაფიქრი ერთმანეთს ერწყმის“ - წაკითხვაზე პირს მკაცრად მოკუმავენ, რადგან ცხოვრებას სერიოზულად უყურებენ და ნებისმიერი იუმორის წინააღმდეგი არიან. ისინი დამწუხრებული არიან და არა საზეიმოდ განწყობილი, რადგან ამას წინათ ერთ-ერთი ნათესავთაგანი გარდაეცვალათ. და შეგონებით, რომ ღრმა აზრს შეიძლება იუმორი და თანაც დახვეწილი ერწყმოდეს, მათ ვერ მოატყუებ. მათი აზრით, დახვეწილი იუმორი უკიდურესად საშიში რამ არის და მისი გაუვნებლება-განეიტრალება უბრალოდ შეუძლებელია. ღრმა აზრი განცალკევებით და დამოუკიდებლად უნდა იდგეს, ხოლო დახვეწილი იუმორი ისევე უნდა იქნეს განადგურებული, როგორც თავის დროზე რომაელებმა კართაგენი ან სხვა ქალაქები,

ადამიანი ყველას ერთდროულად ვერ გაიხსენებს, აღგავეს პირისაგან მიწისა.

გამოჩნდებიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც სვეტებზე გაკრულ აფიშებზე ხოტბაშესხმულ პიესაში „გულის ვალეტი“ ღრმა აზრის არსებობას სადავოდ გახდიან. ღრმა აზრი, რატომ ღრმა აზრი და არა უბრალოდ ჩანაფიქრი? რომელი ჯობს: აზრი თუ ჩანაფიქრი? ეგენი ნამდვილად შარზე არიან.

გასაგებია, რომ ისეთ დიდ ქალაქებში, როგორიც ბერლინია, მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც აკრიტიკებენ და აშავებენ ყველაფერს და მათ შორის თეატრ „რენესანსის“ აფიშის ყოველ სიტყვასაც, რომელშიც დირექტორმა საკმაოდ დიდი თანხა გადაიხადა. მათ, დარწმუნებულებს საკუთარ სიბრძნეში, სხვა არაფრის გაგონება და ცოდნა არ უნდათ. დასასრულ: მართალია, არსებობენ კეთილად განწყობილი ადამიანებიც, რომლებსაც უყვართ თეატრი, განსაკუთრებით კი ჰარდენბერგშტრასეზე მდებარე თეატრი „რენესანსი“ და სჯერათ, რომ პიესაში „გულის ვალეტი“ ღრმა აზრი და დახვეწილი იუმორი ერთმანეთს მართლაც ერწყმის, მაგრამ ამ წარმოდგენის სანახავად შეიძლება ისინიც არ წავიდნენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სწორედ ამ საღამოს წასვლას სხვაგან აპირებენ. აი, სწორედ ამიტომ ჰარდენბერგშტრასეზე მდებარე თეატრ

„რენესანსში“ სპექტაკლზე „გულის ვალეტი“ მაყურებელთა რიცხვი მინიმუმამდე შემცირდა. ყოველ შემთხვევაში, იმის იმედი, რომ ეს პიესა პარალელურად სხვა თეატრებშიც დაიდგმება, არ უნდა გვქონდეს.

1928 წლის ივნისში ბერლინში განვითარებული საზოგადოებრივი და კერძო ხასიათის მოვლენების ამ ყურადსაღები მიმოხილვის შემდეგ, ისევ ვუბრუნდებით ბიბერკოპფს, რაინჰოლდსა და ქალებთან მის უსიამოვნებებს. ჩემი ვარაუდით, ეს ამბებიც, ისევე როგორც სხვა ადრინდელი, მკითხველების მხოლოდ ვიწრო წრეს დააინტერესებს. თუ რატომ, ამის მიზეზებს ჩვენ არ ჩავუღრმავდებით. მაგრამ ეს სულ არ შემიშლის ხელს, ჩვენს თავმდაბალ გმირს, უბრალო ადამიანს, ბერლინის ყველა კუთხე-კუნჭულში გავყვე და მისი თავგადასავალი ბოლომდე გიამბოთ. რას იზამ, ყველა აკეთებს იმას, რასაც საჭიროდ თვლის.

ფრანცი საბედისწერო გადაწყვეტილებას იღებს. ვერც შენიშნა, რომ ხათაბალაში გაება

ფრანც ბიბერკოპფთან ლაპარაკის შემდეგ რაინჰოლდს საქმე ცუდად წაუვიდა, - ქალებს ფრანცივით უხეშად ვერ ეპყრობოდა, არ შეეძლო, ყოველ შემთხვევაში, აქამდე. მათი თავიდან მოშორებაში ყოველთვის ვიღაც ეხმარებოდა და ახლა მძიმე დღეში ჩავარდა. ყველა ქალი აუმხედრდა: ტრუდე, რომელსაც ჯერ არ დაშორებოდა, ცილი, ის, ვინც ბოლოს მოიშორა, და

ცილისწინა მდედრი, რომლის სახელიც უკვე დაავიწყდა. სამივენი უკან ჯაშუშებივით დასდევდნენ. ტრუდე იმიტომ, რომ მისი დაკარგვის ეშინოდა. იმ ქალმა კი, რომელიც რაინჰოლდის ჰორიზონტზე ეს-ეს არის გამოჩნდა, ვინმე ცენტრალურ ბაზარში მოვაჭრე ქვრივმა ნელიმ, მისდამი ყოველგვარი ინტერესი დაკარგა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ქალთან ერთმანეთის მიყოლებით მივიდნენ ტრუდე და ცილი, ბოლოს კი მთავარი მოწმის სტატუსით ვინმე ფრანც ბიბერკოპფი გამოცხადდა, რომელმაც თავი რაინჰოლდის მეგობრად გააცნო, მათ ქალი გააფრთხილეს, განსაკუთრებული გულმოდგინება კი ფრანცმა გამოიჩინა.

- ფრაუ ლაპშინსკაია (ამ გვარის გახლდათ ეს ქალი), აქ მე არც ჩემი მეგობრის და არც ვინმე სხვის სალანძღავად მოვსულვარ, ღმერთო, დამიფარე! არ მიყვარს სხვის ჭუჭყიან საცვლებში ქექვა. მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, - მე ქალების ერთმანეთის მიყოლებით ქუჩაში გაყრა უსამართლობად მიმაჩნია და ჩემს მეგობარს ამას ვერ მოვუწონებ. ეს ხომ ნამდვილი სიყვარული არ არის.

ფრაუ ლაპშინსკაიამ დამცინავი გამომეტყველებით შეარხია დიდი და მკვრივი მკერდი: რაინჰოლდი? ფრანცი მის გამო თავს ნუ შეიწუხებს. ბოლოს და ბოლოს, უცოდველი არც ფრაუ ლაპშინსკაიაა, მისთვის რაინჰოლდი პირველი მამაკაცი არ არის და იმედია, არც ბოლო იქნება.

ფრანცმა განაგრძო:

- მიხარია, ამას რომ ამბობთ, ჩემთვის ეს საკმარისია. ასეთ შემთხვევაში, იცით, ალბათ, როგორ უნდა მოიქცეთ. თქვენ ამით კეთილ საქმეს გააკეთებთ, ეს კი ჩემთვის უმნიშვნელოვანესია. იცით, ქალები მეცოდება, ისინიც ხომ ჩვენსავით ადამიანები არიან. ისე, უნდა ვაღიარო, რომ რაინჰოლდიც მეცოდება. ასეთი არეული ცხოვრება კარგს არაფერს მოუტანს, შეიძლება ფეხებიც მალე გაჭიმოს. ამ ქალებზე დარდით ლუდსაც კი არ სვამს, არც არაყს, მხოლოდ წყალწყალა ყავას წრუპავს. ასეთი არაფერი გამიგია, კაცი სპირტიან სასმელს ვერ იტანს. არადა, კარგი იქნებოდა, თავი ხელში აეყვანა. გულის სიღრმეში კარგი ადამიანია.

- კარგი, ნამდვილად კარგი ადამიანია, - ლაპშინსკაიამ ცრემლები
გადმოყარა. ფრანცმა თავი სერიოზული გამომეტყველებით დააქნია.

- აი, საქმე სწორედ ეს არის. მაგ კაცმა ბევრი რამ გადაიტანა, მაგრამ არ შეიძლება ცხოვრება ასე გააგრძელოს. ჩვენ ორმა ეს არ უნდა დავუშვათ!

დამშვიდობებისას ფრაუ ლაპშინსკაიამ ფრანცს თავისი ძლიერი თათი გაუწოდა:

- თქვენი იმედი მაქვს, ბატონო ბიბერკოპფ!

დიახ, ქალს შეიძლებოდა, ფრანცის იმედი ჰქონოდა, მაგრამ რაინჰოლდი გაქრა. ამ კაცს ლოდინი შეეძლო და მის ფიქრებსა და ზრახვებს ვერავინ ჩასწვდებოდა. ტრუდე რაინჰოლდთან ოთხის ნაცვლად უკვე მეშვიდე თვეა ცხოვრობდა. ქალი ფრანცს საქმის ვითარებას ყოველდღიურად მოახსენებდა. ფრანცი ხელებს იფშვნეტდა: დროა, ახლა რიგში შემდეგია. მაშასადამე, ფხიზლად უნდა იყოს. ფრანცი მართალი აღმოჩნდა: ერთ შუადღეს ტრუდემ მას აკანკალებული ხმით ამცნო: რაინჰოლდი უკვე ორი საღამოა საგარეო კოსტიუმში გამოპრანჭული სადღაც მიდის. ობიექტი მეორე დღესვე გაშიფრეს: ვინმე როზა, ღილ-კილოების ამომხვევი, **30**-ს გადააბიჯა, გვარი ვერა, მაგრამ მისამართი დაადგინეს.

- ესე იგი, საქმე კარგად არის, - იკრიჭება ფრანცი.

ბოროტი ბედისწერის ნებით კავშირი ჩვენი მხოლოდ გარკვეულ დრომდე არის მტკიცე და ბედისწერა ჩქარი ნაბიჯებით გვიახლოვდება. და აი, მწუხარებაც მოგვადგა კარზე... თუ სიარულის დროს ტკივილს გრძნობთ ფეხებში - ამ მწუხარებას ადვილად მოევლება: შეიძინეთ ლაიზერის ფეხსაცმელი. ლაიზერის ფეხსაცმლის სახლი ბერლინის ცენტრშია. და თუ თქვენ ფეხით სიარული არ გნებავთ, მანქანით იმოგზაურეთ: ავტოფირმა „ნეკარსულმი“ თავისი ექვსცილინდრიანი ლიმუზინით უფასო საცდელ მოგზაურობას გთავაზობთ. სწორედ ამ ხუთშაბათს ფრანც ბიბერკოპფი კარგა ხნის შესვენების შემდეგ პრენცლაუერშტრასეზე სრულიად მარტო მიაბიჯებდა, თავისი მეგობრის, მექის ნახვა უნდოდა, რომელიც რა ხანია, აღარ უნახავს. უნდოდა დალაპარაკებოდა, ეამბნა მისთვის რაინჰოლდის სასიყვარულო ისტორიები, რჩევა ეკითხა, მეგობარი როგორ გადაერჩინათ, თუმცაღა, მექს, ალბათ, როგორ გაუკვირდება, როცა გაიგებს, რომ იგი, ფრანცი, ასეთი ბიჭის გამოსწორებას ცდილობს და აიძულებს, წესიერად იცხოვროს. და კაცი არ იყოს, თუ ამას არ მიაღწევს!

ფრანცი ლუდხანაში შედის თავისი გაზეთების ყუთით და ვის ხედავს ჩემი თვალები?

მექს. მაგიდასთან ორ მეგობართან ზის და ილუკმება. ფრანცი მაშინვე მათ მაგიდასთან ჯდება, ისიც მადიანად ისაუზმებს და როცა ის ორნი წავლენ, მაგიდაზე ორ კათხა ლუდს დგამს, ენის

წკლაპუნითა და ლუდის ხვრეპით უსმენს და უკვირს, ამ დედამიწაზე რამდენ და რა ტიპის შერეკილს არ შეხვდები. მაგარი ამბავია, კაცი შეიძლება გაგიჟდეს! მექი, რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს საიდუმლოდ შეინახავს, არავის ეტყვის, მაგრამ ეს ხომ მეტისმეტია! ფრანცი სახეგაბრწყინებული ჰყვება, ამ საქმეში რა წარმატებებს მიაღწია, რაინჰოლდის ბრჭყალებისგან როგორ იხსნა ვინმე ნელი, გვარად ლაპშინსკაია, და როგორ აიძულა რაინჰოლდი, უნდოდა ეს თუ არა, ტრუდე არ გაეგდო და თავისთან 4 კვირის ნაცვლად 7 კვირა დაეტოვებინა. ახლა ჩვენმა ქალთა გულთამპყრობელმა თვალი ვინმე როზას, ღილ-კილოების ამომხვეველს დაადგა. მაგრამ ჩვენ ამ ღილ-კილოსაც ამოვუკერავთ. ფრანცი თავისი კათხა ლუდით და ცხიმიანი ტუჩებით კმაყოფილი ზის.

მეგობრებო, შემოვძახოთ სუფრული, ჩამოვატაროთ სუფრაზე თასი, ათჯერ ხუთი ორმოცდაათი, ვხვრეპთ გოჭების მსგავსად, შევსვათ ერთი, შევსვათ ორი, მერე ისევ ერთი...

ოჰო, ეს ვინ დგას ბართან, იქ, სადაც სვამენ, მღერიან და ლაღად ცხოვრობენ, ამ ბოლით დატენილ და აქოთებულ ოთახში ვინ იღიმება? ღორებს შორის ყველაზე მსუქანი ღორი, ქოსმენი, ბატონი პუმსი. იღიმება, თუ ამას ღიმილი ჰქვია. ღორის წვრილ თვალებს აცეცებს, თავის გოჭებს ეძებს. ვერ პოულობს და ვერც იპოვის, რადგანაც ბოლი სქელ ფარდად ჰკიდია, ნაჯახითაც ვერ გაჭრი და თუ მოახერხე და გაჭერი, მაშინ იქნებ რაღაცას ან ვიღაცას მოჰკრა თვალი. აი, პუმსს სამი ტიპი უახლოვდება, მისი ამფსონები და მასთან საქმეში გასულები. რაც ალხანა, ის ჩალხანა. ძმები არიან, ერთნაირი ქუდი ახურავთ. სიბერეში კარდაკარ წანწალს, ჯობს ახალგაზრდობაში თოკზე ჩამოგკიდონ. დგანან ოთხნი, კეფას იფხანენ, იკრიჭებიან, დარბაზში თვალების ცეცებით ვიღაცას ეძებენ, ნაჯახითაც რომ გააპო, მაინც ვერაფერს დაინახავ, ვენტილატორი მაინც აამუშავეთ, იქნებ უშველოს საქმეს.

მექმა ფრანცს ხელი გაჰკრა.

- ხედავ, სრული კომპლექტი ვერ შეაგროვეს. კარდაკარ მოწანწალე გამყიდველებს ეძებენ, ამ ქოსმენს, დაკოდილ ღორს, ადამიანები ყოველთვის სჭირდება.

- ეგ ტიპი ერთხელ ჩემთანაც მოვიდა, მაგრამ რატომღაც მაგასთან საქმის დაჭერა არ

მინდა. ხილით ვაჭრობა არ მაინტერესებს. ეტყობა, იმდენი ხილი აქვს, გასაღება უჭირს.

- ეშმაკმა იცის, რა საქონელს ყიდის. ეგ ამბობს, ხილიო, თორემ ვინ იცის, რა აქვს... ეჰ, ფრანც, ბევრი გეცოდინება, ადრე დაბერდები. მაგრამ მაგ კაცის დაკარგვა არ ღირს, მაგას ერთ-ორ ცენტს ყოველთვის გამორჩები. ეგ ბებერი დიდი გაქნილი ვინმეა, მაგას არც სხვები ჩამორჩებიან.

8 საათს, 27 წუთსა და 17 წამზე ბარს, სადაც სვამენ და მღერიან, კიდევ ერთი ტიპი უახლოვდება. ჰა, ჰა, ჰა, ერთი, ორი, სამი, კურდღელი მოცუნცულებს, ყურებს მოაბარტყუნებს... ვინ უნდა იყოს? იტყვით, ინგლისის მეფეო. არა, ეგ კაცი ინგლისის მეფე არ არის. მეფე ინგლისისა ამ წუთებში დიდებულთა ამალის თანხლებით პარლამენტის გახსნაზე მიდის - ინგლისელი ერის დამოუკიდებლობის ნიშანსვეტის თავყრილობაზე. არა, მეფე არ არის. აბა, ვინ არის? იქნებ იმ დელეგატებიდან ერთი-ორი მათგანი, რომლებმაც პარიზში 50 ფოტოგრაფით გარშემორტყმულებმა კელოგას პაქტს ხელი რომ მოაწერეს? და ის სამელნე, რომლის შეტანაც უნდოდათ, დარბაზში მისი გაბარიტების გამო ვერ შეიტანეს და იძულებული გახდნენ, სევრის ფაიფურის საწერი ნაკრებით დაკმაყოფილებულიყვნენ. არა, ეგ დელეგატი არ არის. ეგ ფეხებს მოათრევს, ყელიან ფეხსაცმელებზე შალის წინდები კი ნაკეცებად გადმოჰფენია. შეუხედავია - ეს ხომ თაგვივით ნაცრისფერი რაინჰოლდია! ახლა ისინი ხუთნი არიან, კეფებს იფხანენ და თვალებს აქეთ-იქით აცეცებენ... აიღეთ რა, ეს ოხერი ნაჯახი და ფარდასავით ჩამოკიდებული ბოლი დაჩეხეთ! თორემ ვერაფერს დაინახავთ. ვენტილატორი მაინც რომ მუშაობდეს, კარგი იქნებოდა, მაგრამ ვენტილატორი, ფაფუ! ფრანცი და მექი ამ ხუთეულს მზერას არ აშორებენ, აინტერესებთ, რას იზამენ. ბოლოს და ბოლოს, კომპანია სრული შემადგენლობით მაგიდას მიუჯდა.

თხუთმეტი წუთის შემდეგ რაინჰოლდი ყავისა და ლიმონათის ასაღებად ისევ ბარისკენ მიიკვლევს გზას, თვალებს აქეთ-იქით აცეცებს და ბახ, ხედავს, რომ უღიმიან და ხელსაც უქნევენ, - ნეტავ ვინ არის! რა თქმა უნდა, არა დოქტორი ლუპე, ქალაქ ნიურნბერგის ობერბურგომისტრი. ამ დილას ბურგომისტრს ამათთვის არ სცალია, იგი ახლა თავის მშობლიურ ქალაქში დიდი მხატვრის, დიურერის გარდაცვალებიდან ოთხას წლისთავთან დაკავშირებით მისასალმებელ სიტყვას წარმოთქვამს; მის შემდეგ

კი გამოვლენ იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრი კეიდელი და ბავარიის სახალხო განათლების მინისტრი გოლდენბერგერი. ეს მოვლენა, ალბათ, საკმარისია იმის ასახსნელად, ზემოთ ჩამოთვლილი ბატონები პრენცლაუერშტრასეზე მდებარე ლუდხანაში რატომ ვერ იქნებოდნენ. ჰო, სიტყვამ მოიტანა და პასტილა „პ. რ. რაილი“ კბილებს ამაგრებს, პირს წმენდს, მონელებას ხელს უწყობს.

აბა, ვის ეკუთვნის ეს კბილებდაკრეჭილი ფიზიონომია? დიახ, რა თქმა უნდა, ფრანცს. რაინჰოლდი

ფრანცის მაგიდასთან მიდის. ფრანცს გაუხარდა, ძალიან გაუხარდა! აბა, რა! ეს კაცი ხომ მისი მოწაფეა, აღსაზრდელი. ჰოდა, ახლა მექის წინაშე თავისი, როგორც აღმზრდელის. წარმატების დემონსტრირებას მოახდენს. ერთი შეხედე, როგორ მოდის. ანკესზე გვყავს წამოცმული. ყავითა და ლიმონათით ხელში რაინჰოლდი მათ მაგიდას უახლოვდება, ჯდება, იშმუშნება, რაღაცას ბლუკუნებს. ფრანცი კი ცქმუტავს, მოთმინება ღალატობს, უნდა მოწაფეს სასწრაფოდ გამოცდა ჩაუტაროს და ეს ყველაფერი მექმა საკუთარი ყურით მოისმინოს.

- რაინჰოლდ, ოჯახში საქმეები როგორ არის, ხომ ხართ მაგრად?

- ჰო, ტრუდე ისევ ჩემთან არის, - სიტყვები ნელ-ნელა ცვივა, წვეთ-წვეთად, როგორც წყალი გაფუჭებული ონკანიდან. ფრანცი სიხარულისაგან მეშვიდე ცაზეა, ეს მისი აღმზრდელობითი მუშაობის შედეგია. იცნობდე შენიანს და დააფასე იგი! გაბრწყინებული სახით თავის მეგობარ მექს უყურებს. მექიც აღტაცებულია და გაკვირვებული.

- რაო, მექ, ჩვენ ამ სამყაროში წესრიგს ვამყარებთ, შენ ოღონდ თქვი და ნებისმიერ საქმეს მოვაგვარებთ.

ფრანცი რაინჰოლდს მხარზე ხელს დაჰკრავს, იგი კი შეცბება და განზე გაიწევს.

- აი, ხომ ხედავ, ძმაო, მთავარია, მონდომება. საკმარისია მოინდომო და ყველაფერს შეძლებ. მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიტყვი: თავს თუ ხელში აიყვან და სიმტკიცეს გამოიჩენ, ეშმაკიც კი ვერ მოგერევა!

შესცქერის ფრანცი რაინჰოლდს და შეხარის: ერთი ცოდვილი, რომელმაც მოინანია, 999 წმინდანს ჯობს.

- და რას ამბობს ტრუდე, არ უკვირს, რომ ყველაფერმა ასე მშვიდობიანად ჩაიარა? და შენ, ადამიანო, არ გიხარია, ქალების ცვლის მომაბეზრებელ საქმეს თავი რომ დააღწიე? რაინჰოლდ, ქალები კარგი რამეა, მოდი, პირდაპირ ვთქვათ, ისინი ჩვენ სიამოვნებას გვანიჭებენ, მაგრამ მე თუ მკითხავ, ქალებზე რას ვფიქრობ, გეტყვი, რომ, როგორც ყველაფერში, აქაც ზომიერებაა საჭირო: ქალი არც ძალიან ცოტა უნდა გყავდეს, არც ძალიან ბევრი. მაგრამ თავს თუ ერთობ ბევრი ქალი გახვევია, მაშინ თავს უშველე, გაიქეცი. ეს ყველაფერი საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი, დამიჯერე!

იქნებ ახლა ამას იდაზე ვუამბო, სამოთხის ბაღზე, თეთრი ტილოს ფეხსაცმელზე, ტეგელის ციხეზე. მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერი წარსულში დარჩა, დავიწყებას მიეცა!

- მშვიდად იყავი, რაინჰოლდ, დაგეხმარები და ქალებთანაც საქმე კარგად გექნება. ხსნის არმიაში სირბილი აღარ დაგჭირდება, ყველაფერს ჩვენ ორნი მოვაგვარებთ. აბა, შენი დღეგრძელობისა იყოს, რაინჰოლდ, ერთი კათხა ლუდი მაინც დალიე!

მაგრამ რაინჰოლდმა ლუდის კათხაზე ყავის ფინჯანი მშვიდად მიუჭახუნა.

- მაინც როგორ მოაგვარებ, ფრანც, მინდა ვიცოდე.

აქ ფრანცმა ენაზე იკბინა, ეშმაკმა დალახვროს, მე სულელმა კინაღამ ყველაფერი წამოვროშე.

- იმის თქმა მინდოდა, რომ ჩემი იმედი გქონდეს. ისე, არყის სმაც უნდა ისწავლო, თუნდაც პატარა ყლუპებით.

რაინჰოლდი კი ისევ ხმადაბლა ამბობს:

- შენ რა, ექიმი ხარ?

- რატომაც არა, ასეთ საქმეებში ყველა ექიმზე მეტად ვარ გარკვეული. თუ გახსოვს, ცილის ამბავში დაგეხმარე და მომავალშიც დაგეხმარები. არ გჯერა, რომ ყოველთვის შენ გვერდით ვიქნები? ფრანცი ადამიანების მეგობარია! მან ქიციც იცის და ქიცმაცურიც.

რაინჰოლდმა თავი ასწია, ფრანცს ნაღვლიანი თვალებით შეხედა:

- მართლა იცი?

ფრანცმა ამ მზერას აუღელვებლად გაუძლო. მას კარგ განწყობილებას ვერავინ და ვერაფერი ჩაუშხამებს. რამდენიც უნდა, მიყუროს, მგონი, ხვდება, საქმე რაშია! არა, ჩემი გზიდან არ გადავუხვევ, მაგასვე წაადგება!

- აი, მექიც დამიდასტურებს, რომ ჩვენ ამ საქმეში რაღაც გამოცდილება გვაქვს. ეს ჩვენი ცხოვრების წესია! და როცა არყის სმას ისწავლი, ამას ჩვენ აქ აღვნიშნავთ, - მე დაგპატიჟებთ, მთელი სუფრის ფულს გადავიხდი.

რაინჰოლდი ნაღვლიანი თვალებით კიდევ დიდხანს უყურებდა ფრანცს, რომელიც წინგამოშვერილი მკერდით იჯდა; უყურებდა პატარა მექსაც, რომელიც, თავის მხრივ, ორივეს ცნობისმოყვარედ აკვირდებოდა, მერე თვალები დახარა და ფინჯანს ისე ჩააშტერდა, თითქოს შიგ რამე ჩავარდნოდეს.

- იქნებ მართლა გინდა, შენი მკურნალობით ქორწინებამდე მიმიყვანო?

- შენ გაგიმარჯოს, რაინჰოლდ! გაუმარჯოს ერთგულ ქმრებს! შესვით ერთი, შესვით ორი, მერე ისევ ერთი. ჩვენთან ერთად იმღერე, რაინჰოლდ, აგვყევი, ყველაფრის დაწყება ძნელია, მაგრამ უამისოდ ფინალიც არ იქნება.

ასეულო, სდექ! სმენა! გაორმწკრივდით! მარჯვენა მხარი წინ, ნაბიჯით იარ! რაინჰოლდმა თავი ისევ ასწია, თითქოს თავისი ფინჯნიდან ამოყვინთა. პუმსი, სახეწითელი და ყველა ღორზე სქელი ღორი, მოულოდნელად რაინჰოლდის გვერდით გაჩნდა, ყურში რაღაც ჩასჩურჩულა, ენაბლუმ კი მხრები აიჩეჩა. პუმსმა რატომღაც შეუბერა, ისე, თითქოს მის წინ ფარდასავით დაშვებული ბოლის გაფანტვა უნდოდა და მხიარულად დაიხრჭიალა:

- აბა, ბიბერკოპფ, კიდევ ერთხელ გეკითხებით, შესახვევი ქაღალდებით ვაჭრობა არ მოგბეზრდათ? ალბათ, ფულს ბევრს შოულობთ, არა? ერთი გაზეთი ორი პფენიგი, საათში ხუთი პფენიგი, ასე ხომ?

და ფრანცის დამუშავება დაიწყო: კარდაკარ ივლი, ხილითა და ბოსტნეულით სავსე ოთხთვალათი, პუმსი კი მას უმაღლესი ხარისხის საქონლით მოამარაგებს, ანაზღაურება დიდი! ფრანცს კი ეს სამუშაო სულაც არ ხიბლავს, რატომღაც პუმსი და მისი კომპანია არ მოსწონს. ამ ყოჩაღ ბიჭებთან სიფრთხილე უნდა გამოიჩინო, თორემ თვალიდან ბეწვს ისე ამოგაცლიან, დახამხამებასაც ვერ მოასწრებ. ენაბლუ რაინჰოლდი კი კუთხეში ზის და დუმს. ფრანცი მისკენ მიტრიალდა, უნდოდა, ეკითხა, შენ რას მირჩევო და უცებ მიხვდა, რომ მთელი ამ საუბრის განმავლობაში რაინჰოლდს მისთვის თვალი არ მოუშორებია და ფინჯანს მხოლოდ ახლაღა ჩააშტერდა.

- აბა, რაინჰოლდ, შენი აზრი მაინტერესებს!

- რა ჩემი აზრი, მეც ხომ პუმსთან ვმუშაობ, - ძლივს

ამოიბლუკუნა. აქ სიტყვა მექმაც თქვა:

- ვითომ რატომ არ უნდა სცადო. ხომ გაგიგია, ცდა ბედის მონახევრეა, იქნებ შენც გაგიმართლოს.

მაშინ ფრანცმა განაცხადა, რომ იფიქრებს, ჯერჯერობით კი ვერაფერს იტყვის, ხვალ ან ზეგ აქ მოვა და დეტალებზე პუმსს დაელაპარაკება: რა საქონლით უნდა ივაჭროს, ამ საქონელს სად მიიღებს, რამდენს გადაუხდიან და რომელ უბანში უნდა გაყიდოს.

ყველანი წავიდნენ, ლუდხანა დაცარიელდა: პუმსი წავიდა, მექი და ბიბერკოპფი წავიდნენ და მხოლოდ ბარის დგამთან ვიღაც კონდუქტორი მეპატრონეს ხელფასის დაქვითვებზე ელაპარაკება, ძალიან ბევრს გვიქვითავენო, ამბობს. ენაბლუ რაინჰოლდი კი ისევ თავის ადგილზე ზის: მაგიდაზე ლიმონათის სამი ცარიელი ბოთლი, ერთი ლიმონათის ნახევრად ცარიელი ჭიქა და ფინჯანი ყავა დგას. შინ რატომ არ მიდის? იმიტომ, რომ შინ ქერათმიან ტრუდეს სძინავს. კაცი რაღაცას ფიქრობს, რაღაც ვერ გადაუწყვეტია. მერე დგება, ჩოჩვა-ჩოჩვით დარბაზს გადაჭრის, დგამთან მიდის, ყელიან ფეხსაცმელებზე შალის წინდები ნაკეცებად აქვს ჩამოშვებული.

საშინლად გამოიყურება, – სახეზე ყვითელი ფერი დაჰკრავს, ცხვირის ორივე მხრიდან წამოსული, თითქოს დანით დასერილი ნაოჭები პირთან წყდება, შუბლზე კი შიშის მომგვრელი, ღრმა ნაწიბურებივით ჰორიზონტალური ნაოჭები აქვს.

იგი კიდევ ერთ ფინჯან ყავას და ერთ ბოთლ ლიმონათს იღებს.

* * *

დაწყევლილია ის ადამიანი, ამბობს იერემია, რომელიც ადამიანების იმედად არის და მხოლოდ ხორცზე ზრუნავს, ხოლო გული მისი ღვთისგან შორსაა. იგი უდაბნოში ობლად ამოსულ მანანას ბუჩქს დაემსგავსება და ვერ იხილავს სიკეთეს, როცა ის მოვა და მარად დარჩება უნაყოფო, თაკარა მზით დამწვარ უდაბნოში, და სამუდამოდ იქ დაიდებს ბინას. ხოლო დალოცვილია ადამიანი, რომელსაც ღვთის იმედი აქვს და მამაზეციერს სასოებით შესცქერის. რამეთუ იგი იქნება მსგავსად წყლებთან დარგული ხისა, რომლის ფესვებსაც წყალი ესხურება, - ფოთლები მისი მწვანეა, გვალვის არ ეშინია და მუდამ ნაყოფით არის დახუნძლული. მაცდურია ადამიანის გული და

ცოდვებით სავსე: ვინ შეიცნობს მას?

წყალი ულრან შავ ტყეებში, ერთობ შავი წყალი, უტყვი და უმოძრაო. შემზარავი სამარისებური სიმშვიდე. ქარიშხალი ბობოქრობს ტყეში, ცად აწვდილ ფიჭვებს რკალად ხრის, ტოტებს შორის ობობას ქსელი იგლიჯება, ირგვლივ მსხვრევისა და კვნესის ხმა ისმის. მაგრამ წყლის ზედაპირი არ შეირხევა. უმოძრაო და დამუნჯებულია ქვაბულში ჩამდგარი წყალი, ამ ჭაობში მხოლოდ ხმელი ტოტები ცვივა. ტყეს ქარი გლეჯს, მაგრამ იქ, ქვემოთ, წყლამდე მაინც ვერ აღწევს. შენ, ტყის ტბაო, ქარიშხალშიც გძინავს. შენს ფსკერზე დრაკონები არ ცხოვრობენ, დრო მამონტებისა და ხვლიკისებრთა გავიდა და ამიტომ ადამიანს თითქოს შენი არ უნდა ეშინოდეს. იქ, ფსკერზე, მხოლოდ მცენარეები ლპებიან, იხრწნებიან და წყალში ათასში ერთხელ მხოლოდ კუდს თუ მოიქნევს ზარმაცი თევზი. ჰო, შენს სამყაროში სხვა არაფერი ხდება. დაე, ასე იყოს, დაე, ეს მხოლოდ წყალი იყოს, მაგრამ მაინც, ოჰ, რა შიშის მომგვრელია ეს ტბა თუ ჭაობი, შავი, ბოროტი, ავის მომასწავებლად გარინდებული.

კვირა, **1928** წლის **8** აპრილი

მგონი, თოვლი მოვა! ამ აპრილში ყველაფერი კიდევ ერთხელ გადათეთრდება?

ფრანცი თავის პატარა ოთახში ფანჯარასთან ზის, რაფაზე დაბჯენილ იდაყვებზე თავდაყრდნობილი. კვირადღეა, უკვე ისადილეს, ოთახში თბილა, სიმყუდროვეა. ცილიმ ღუმელი დილიდანვე დაანთო, ახლა კი საწოლში თვლემს, მის ფეხებთან კატა კრუტუნებს. ერთი სიტყვით, ოჯახური იდილიაა.

- ნუთუ თოვლი მოვა? თუმცა რა, მოვიდეს, კარგი იქნება. დღე ისეთი რუხია!

ფრანცმა თვალები დახუჭა და უცებ ზარების რეკვა ჩაესმა. რამდენიმე წუთი გარინდებული ზის, ფანჯრის მიღმა კი არ ცხრება ხმა: ბუმ, ბიმ, ბიმ, ბუმ, ბიმ, ბიმ, ბუმ, ბიმ, ბიმ. ვიდრე ხელებზე დაყრდნობილ თავს ზემოთ ასწევდა, ესმოდა ორი დიდი ზარის ყრუ გუგუნი და ერთი პატარა ზარის წკრიალა ხმა. მერე ხმები შეწყდა. სიჩუმემ დაისადგურა.

ფრანცმა იდაყვები რაფიდან აიღო, ადგა, ცილისთან მივიდა. ცილი საწოლზე იჯდა, ხელში სარკითა და პირში გარჭობილი თმის სარჭით, თავისთვის ცხვირში რაღაც მხიარულ მელოდიას ღიღინებდა.

- ცილი, დღეს რა დღეა, რამე დღესასწაული ხომ არ

არის? ქალი თმას ივარცხნის.

- ჰო, მგონი, კვირაა.

- კვირა რომ არის, გასაგებია, მაგრამ დღეს რა დღესასწაულია?

- არ ვიცი, იქნებ რომელიმე კათოლიკური.

- რა ვიცი, ზარები ისე ხმამაღლა რეკავდნენ.

- არ გამიგია, შენ კი, ფრანც, გაიგე?

- გავიგე, აბა, რა. ირგვლივ ყველაფერი გუგუნებდა.

- ფრანც, ალბათ, დაგესიზმრა! ფუი,

ეშმაკს! ფრანცი შიშმა შეიპყრო:

- არ მძინებია, ფანჯარასთან ვიჯექი.

- შეიძლება წამით ჩათვლიმე.

- არა, არა.

იგი თავისას ჯიუტად იმეორებდა, გაშეშებული იდგა. მერე ოთახში ნელი ნაბიჯით გაიარ-გამოიარა და მაგიდასთან თავის ადგილზე დაჯდა.

- შეუძლებელია ასეთი რამ დაგესიზმროს. მე ხომ ზარების რეკვა აშკარად გავიგონე. ფრანცმა კათხიდან ლუდი მოსვა. შიშის გრძნობა არ ტოვებდა, პირიქით, უძლიერდებოდა. ცილის შეხედა. ქალს ისეთი სახე ჰქონდა, სადაც იყო, ატირდებოდა.

- რა იცი, ცილიკენ, იქნებ ვინმეს თავს უბედურება დაატყდა!

გაზეთი მოიკითხა, ცილის გაეცინა.

- რა გაზეთი? დღეს კვირაა და კვირაობით დღის გაზეთი არ გამოდის!

ფრანცმა გუშინდელი გაზეთის დათვალიერება დაიწყო, ყველა სათაური წაიკითხა:

- აქ მხოლოდ უმნიშვნელო ამბები წერია. არა, ეს ის არ არის. თითქოს მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა.

- ფრანც, თუ ეს რეკვა მხოლოდ შენ გესმის, მაშინ იქნებ ეკლესიაში წახვიდე, ილოცებ!

- ოჰ, მღვდლებს ნუ მიხსენებ, მათი დანახვაც არ შემიძლია. ოღონდ ის ვერ გამიგია, მესმის ზარის ხმა, მოვტრიალდები და დუმდება. სასაცილოა, არა?

ფრანცი ჩაფიქრდა. ცილი მის გვერდით დგას და ხელებით ფრთხილად ეფერება.

- იცი, ცილი, წავალ, გავივლი. მხოლოდ ერთი საათით. გავიგებ, მნიშვნელოვანი ხომ არაფერი მომხდარა. საღამოს „ველტი“ და „მონტაგ მორგენი“ გამოდის, ვნახავ, რას წერენ.

- თავს ტყუილად ნუ იტანჯავ, რას უნდა წერდნენ. ისედაც გეტყვი: პრენცლაუერის კარიბჭესთან ასენიზაციის მანქანამ კატასტროფა განიცადა და ფეკალიებმა ქუჩა დატბორა. და კიდევ ერთი ასეთი გამაოგნებელი ამბავი: გაზეთის გამყიდველმა მყიდველს ფული დაუხურდავა და ხურდა შეცდომით ზუსტად დაუბრუნა.

ფრანცმა გაიცინა.

- კარგი, წავედი, ჯერჯერობით, ცილიკენ!

- კარგად, ფრანცეკენ.

ფრანცი გავიდა, მეხუთე სართულიდან კიბეზე ნელა დაეშვა და ამის შემდეგ თავის ცილისთან აღარ დაბრუნებულა.

ცილი ფრანცს საღამოს **5** საათამდე ელოდებოდა და რომ არ გამოჩნდა, სახლიდან გავიდა. და ირგვლივ არსებული ყველა ლუდხანა, პრენცლაუერშტრასეზე მდებარე ლუდხანის ჩათვლით, შემოირბინა. არა, იგი არც ერთ ლუდხანაში არ უნახავთ. ეს როგორ? მას ხომ ზარების სულელური ამბის შემდეგ გაზეთების წაკითხვა უნდოდა. ალბათ, სადმეზის!

პრენცლაუერშტრასეს კუთხეში ლუდხანის დიასახლისმა კი უთხრა:

- არა, აქ არ შემოსულა. აი, ბატონი პუმსი კი შემოვიდა და ფრანცი იკითხა. ბატონ პუმსს კი ბატონი ბიბერკოპფის მისამართი მივეცი. თქვა, ბიბერკოპფს უნდა შევუაროო.

- ჩვენთან არავინ მოსულა!

- იქნებ ვერ მოგაგნოთ?

- შეიძლება.

- ან მას სახლის კართან შეხვდა.

ცილი იქ გვიან საღამომდე იჯდა. ლუდხანა ხალხით გაივსო. ცილი სულ კარს იყო მიშტერებული. მხოლოდ ერთხელ გაიქცა შინ და მაშინვე უკან მობრუნდა. მხოლოდ მექი მოვიდა, იგი ქალს ამშვიდებდა და თითქმის თხუთმეტი წუთი ეოხუნჯებოდა:

- გამოჩნდება, აბა, სად წავა! მუცელი შეაწუხებს და მოვა, დამიჯერე. ოღონდ შენ ნუ ნერვიულობ, ცილი!

და მექი ცილის ამას რომ ეუბნებოდა, გაახსენდა ის დრო, როცა ლიუდერსმა თასმების საქმეში ფრანცს უჩათლახა და ღალატით გაოგნებული კაცი გაუჩინარდა, მაშინ იგი მაგიდასთან, ლინას გვერდით, რომელიც აგრეთვე ფრანცს ეძებდა, ასევე იჯდა. და მექი ცილის, რომელიც ბნელ, ატალახებულ ქუჩაში ისევ გავარდა, კინაღამ უკან გაჰყვა, მაგრამ ისედაც აღელვებულ გოგოს ნერვების უფრო აშლა არ უნდოდა, იფიქრა, იქნებ ყველაფერი თავისთავად მოგვარდესო.

უცებ ერთდროულად დაბნეულსა და გაბრაზებულ ცილის რაინჰოლდი გაახსენდა, იქნებ იმ არაკაცმა ფრანცს ვინმე კახპა შეტენა და ამ უკანასკნელმა მე მიმატოვაო, გაიფიქრა ქალმა. რაინჰოლდთან გაიქცა, მაგრამ მიის სოროში არავინ იყო, ტრუდეც კი, კარზე ბოქლომი ეკიდა.

ცილი ისევ პრენცლაუერის კუთხეში მდებარე ლუდხანაში წაჩანჩალდა, ყინავდა, მაგრამ თოვლი მაინც ასფალტზე დნებოდა. ალექსზე გაზეთების გამყიდველები ყვიროდნენ „მონტაგ მორგენი“

და „ველტ ამ მონტაგი“. ვიღაც ბიჭისგან ცილიმ გაზეთი იყიდა, გადაათვალიერა: იქნებ ფრანცი არ ცდებოდა და ამქვეყნად დღეს რაღაც განსაკუთრებული მოხდა. საყურადღებო შიგ ვერაფერი იპოვა: ამერიკის შეერთებულ შტატებში, ოჰაიოში, მატარებლის კატასტროფა; ნაცებისა და კომუნისტების შეტაკება, - არა, ასეთ საქმეებში ფრანცი არ ერევა; ხანძარი ვილმერსდორფში; არა, არც ეს!

ცილიმ ნელი ნაბიჯით უნივერმაღ „ტიცის“ აკაშკაშებულ ვიტრინებს ჩაუარა, მერე ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა, ჩაბნელებულ პრენცლაუერშტრასესკენ გაუხვია. ქოლგა შინ დარჩა და სულმთლად დასველდა. პრენცლაუერის ქუჩაზე მომცრო საკონდიტროს წინ, ქოლგებიანი კახპები ჯგუფად იდგნენ და მთელ ტროტუარს კეტავდნენ. ცილიმ კახპების ჯგუფს გვერდი ძლივს აუარა და ამ დროს მას ვიღაც ტანსრული მამაკაცი გამოელაპარაკა. კაცს შლაპა არ ეხურა, ეს-ეს იყო ერთ- ერთი სახლის სადარბაზოდან გამოვიდა. ქალმა ნაბიჯს აუჩქარა. აი, მეორეს კი უარს ნამდვილად არ ვეტყვი და ეს ფრანცმა საკუთარ თავს დააბრალოს! ეს რა ნომრებს მიწყობს. ეს ჩემთვის არავის გაუბედავს!

ათს თხუთმეტი წუთი აკლდა. საზარელი შავი კვირა. ამ დროს აქედან შორს, ქალაქის სხვა ტერიტორიაზე, სადრენაჟო ღია თხრილში - თავით და ტროტუარზე ფეხებით უგონოდ ეგდო ფრანც ბიბერკოფი!

* * *

ფრანცი კიბეზე ჩადის. ერთი საფეხური, კიდევ ერთი საფეხური, კიდევ ერთი, ერთი, ერთი, ოთხი საფეხური, უფრო დაბლა, დაბლა, კიდევ დაბლა. გარეთ ნისლია, თავში კი რაღაც სისულელეები უტრიალებს. წვნიანს ხარშავთ, ფროილაინ შტაინ... ამბობენ, ფრაზის ორჯერ გამეორება შველისო. ვინმეს შეიძლება კიდევაც უშველოს, მაგრამ მე - არა! წვნიანს ხარშავთ, ფროილაინ შტაინ, დამისხით ერთი კოვზი, ფროილაინ შტაინ; წვნიანს ხარშავთ, ფროილაინ შტაინ; დამისხით ერთი კოვზი, ფროილაინ შტაინ; არა, არ მშველის, იმ უნამუსო ქალთან სულ ოფლში ვიწურებოდი! აი, როგორც ახლა. გარეთ უნდა გავიდე, სუფთა ჰაერი ჩავისუნთქო, ეს რა არის, რა მოაჯირებია ამ სახლში, კიბეზე სინათლეც არ ანთია, ცოტაც და, ლურსმანსაც წამოვეგები.

ფრანცმა ის-ის იყო მესამე სართული ჩაიარა და ამ დროს იქ კარი გაჯახუნდა. მის

ზურგს უკან ვიღაც კაცი ქშენითა და ხვნეშით ჩამოდის. ეტყობა, ღიპი აქვს დიდი, სულს ძლივს ითქვამს, თანაც ჩამოსვლის დროს. ნეტავ ზემოთ როგორღა ადის! დაბლა ფრანცი გაჩერდება. ერთხანს კარში დგას. რუხი დღეა, ნესტიანი, ნაღდად თოვლი მოვა. ამ დროს კაცმა, რომელიც ფრანცის უკან ჩამოდიოდა, როგორც იქნა, ჩამოაღწია. ეს დაბალი, ჩათქვირებული კაცი იყო, ფერმკრთალი შეშუპებული სახით; თავზე მწვანე ფეტრის შლაპა ეხურა.

- მეზობელო, ასთმამ შეგაწუხათ? ძლივს სუნთქავთ.

- ჰო, ზედმეტმა სიმსუქნემ ასე იცის და კიდევ იმიტომ, რომ სულ კიბეზე ავდი-ჩავდივარ. ქუჩაში ერთად გამოდიან. სქელი მამაკაცი კი განუწყვეტლივ ქშინავს და ხვნეშის.

- დღეს მეხუთე სართულზე ხუთჯერ ავედი და ჩამოვედი. აბა, დაითვალეთ: დღეში ხუთი კიბე,

თითო კიბეზე საშუალოდ ოცდაათი საფეხურია. მართალია, ხრახნისებრი კიბე უფრო მოკლეა, მაგრამ სამაგიეროდ მიხვეულ-მოხვეული და მასზე ასვლა გაცილებით ძნელია. მაშასადამე, ხუთი ოცდაათსაფეხურიანი კიბე ეს ხომ ასორმოცდაათი საფეხურია. აბა, დღეში ასორმოცდაათი საფეხური აიარ-ჩამოიარე.

- ჰო, მგონი, ეს სამასი საფეხური იქნება. გატყობთ, ჩამოსვლაც ძალიან გიჭირთ.

- დიახ, ჩამოსვლაც მიჭირს.

- მაშინ პროფესია უნდა გამოიცვალოთ.

თოვლის მძიმე ფიფქები ცვივა, ისინი ტრიალებენ და ეს ისეთი ლამაზი სანახაობაა, რომ ადამიანი თვალს ვერ მოსწყვეტს.

- დიახ, განცხადებებს ვკითხულობ, მერე კი იქ მითითებულ მისამართებზე მივდივარ. ვნახულობ, ვინ რას ყიდის. აი, ასეა საქმე. ჩემთვის დასვენების დღე არ არსებობს. კვირადღე გაცილებით დატვირთული მაქვს, იცით, განცხადებები უფრო მეტია, ხალხი მყიდველს უფრო კვირას ელოდება.

- დიახ, რადგანაც ხალხი გაზეთებს უმეტესად კვირას კითხულობს. ეს ვიცი ჩემი პროფესიის წყალობით.

- რა, განცხადებებს თქვენც აქვეყნებთ?

- არა, გაზეთებს ვყიდი. აი, ახლა სწორედ გაზეთების წასაკითხად მივდივარ.

- ეგ გაზეთები მე უკვე წავიკითხე. საზიზღარი ამინდია. ამ დროს თოვლი, მსგავსი რამე გინახავთ?

- ნუ გავიწყდებათ, რომ ახლა აპრილია! გუშინ მზე ანათებდა, ხვალ კი ისევ გამოიდარებს. გინდათ, დაგენაძლევებით!

მაგრამ კაცს ისევ ქოშინი აუტყდა, ქშინავს და სიტყვის თქმას ვერ ახერხებს. ქუჩებში უკვე ლამპიონები აანთეს. სქელო ერთ-ერთი ლამპიონის ქვეშ გაჩერდა, ჯიბიდან პატარა, უყდო ბლოკნოტი ამოიღო, ხელი, რომელშიც ეკავა, რაც შეიძლება შორის გასწია და მისი ფურცვლა დაიწყო.

- დაგისველდებათ, - უთხრა ფრანცმა.

კაცმა ნათქვამი ვერ გაიგო, ბლოკნოტი ისევ ჯიბეში ჩაიდო.

საუბარი დამთავრდა, ალბათ, ერთმანეთს უნდა დავემშვიდობოთ, - გაიფიქრა ფრანცმა, მაგრამ უცებ მოხუცმა თავისი მწვანე შლაპის ქვემოდან ფრანცს შეხედა:

- ერთი ეს მიბრძანეთ, მეზობელო, თავს რითი ირჩენთ?

- ამას რატომ მეკითხებით? გაზეთებს ვყიდი, თავისუფალი გაზეთების გამყიდველი გახლავართ.

- აი, თურმე რა! და პურის ფულს ამით შოულობთ?

- ბედს არ ვემდური, თავი როგორღაც
გამაქვს. ამ კაცს მაინც რა უნდა, დიდი
უცნაური ვინმეა!

- დიახ, იცით, მეც ყოველთვის მინდოდა თავისუფალი მეწარმე ვყოფილიყავი, ძალიან კარგია,
როცა იმას აკეთებ, რაც გინდა, და თუ იბეჯითებ, საქმეც კარგად წაგივა.

- ხანდახან ბეჯითობაც არ გშველის. გააჩნია დღეს, თქვენ კი, მეზობელო, როგორც გატყობთ, ბევრს დარბიხართ, თანაც დღეს რომ არის, ისეთ ამინდში, თანაც კვირადღეს, ქუჩაში ბევრი ვინმე არ გამოვა.

- მართალს ამბობთ, მართალს. დილიდან ენაგადმოგდებული დავრბივარ და ერთი ცენტიც ვერ ვიშოვე. დღეს ხალხს უჭირს, ფული არა აქვს.

- თუ საიდუმლო არ არის, მითხარით, რითი ვაჭრობთ, მეზობელო, რითი ცხოვრობთ?

- მცირე პენსიას ვიღებ, ჰოდა, მეც გადავწყვიტე, თავისუფალი ადამიანი გავმხდარიყავი, საკუთარი საქმე წამომეწყო და ფული ჩემი შრომით მეშოვა. პენსიას სამი წელია ვიღებ, მანამდე კი ფოსტაში ვმუშაობდი, ახლა კი დამთხვეულივით აქეთ-იქით დავრბივარ. იოლი საქმეა, გაზეთებში განცხადებებს ვკითხულობ, მერე მითითებულ მისამართებზე მივდივარ და იმ ნივთებს ვათვალიერებ, რისი გაყიდვაც ხალხს უნდა.

- ალბათ, ავეჯი გაინტერესებთ.

- ავეჯიც, ისე კი ყველაფერი: კანტორის ძველი ავეჯი, ბეხშტაინის როიალები, ძველი სპარსული ნოხები, პიანოლები, საკოლექციო მარკები, მონეტები, გარდაცვლილთა ნივთები, ტანსაცმელი.

- ჰოო, ხალხი ბევრი კვდება?

- დიახ, ბუზებივით იხოცებიან! დავდივარ ასე კარდაკარ და რაღაც-რაღაცებს ვყიდულობ კიდევაც.

- და მერე ყიდით, არა? გასაგებია.

ამ შეკითხვაზე ასთმიანმა პასუხი არ გასცა, თავი ცხვირამდე პალტოში ჩარგო. ისინი ნახევრად დამდნარ თოვლში მიაბიჯებდნენ, მეორე ლამპიონს რომ მიუახლოვდნენ, ასთმიანმა სქელომ ჯიბიდან საფოსტო ღია ბარათების შეკვრა ამოიღო, ფრანცს ნაღვლიანი თვალებით შეხედა და ერთ-ერთი ფრანცს გაუწოდა:

- აი, წაიკითხეთ, მეზობელო!

ღია ბარათზე ეწერა: „ბერლინი, რიცხვი საფოსტო შტამპზე იხილეთ. ჩემდა სამწუხაროდ, არასასურველ ვითარებათა დამთხვევის გამო, იძულებული ვარ, ჩვენ შორის გუშინდელ მიღწეულ შეთანხმებაზე უარი ვთქვა. ღრმა პატივისცემით. ბერნჰარდ კაუერი“.

- თქვენი გვარი კაუერია?

- დიახ, ამ ბარათებს ასლის გადასაღებ პრესზე ვამრავლებ. ეს ნივთი შემთხვევით შევიძინე. ეს არის ერთადერთი რამ, რაც ცხოვრებაში შემიძენია. ასლებს ამ პრესზე ვამრავლებ. საათში ორმოცდაათს ვბეჭდავ.

- რას ამბობთ? კი მაგრამ, ეს რაში გჭირდებათ?

აჰა, ეტყობა, ამ კაცს თავში ყველაფერი წესრიგში არა აქვს. თვალებსაც ასე იმიტომ ახამხამებს.

- ხომ წაიკითხეთ: არასასურველ ვითარებათა დამთხვევის გამო, იძულებული ვარ, უარი ვთქვა და ა.შ. იცით, ნივთის შეძენის დიდი სურვილი მაქვს, ყიდვაზეც ვთანხმდები, მაგრამ გადახდა არ შემიძლია, უფულოდ კი ადამიანები არაფერს იძლევიან! მათი კარგად მესმის, აბა, რატომ უნდა მომცენ! მიუხედავად ამისა, მაინც დავრბივარ, ქანცის გაწყვეტამდე, მოლაპარაკებას ვაწარმოებ და ეს ორივე მხარეს: მეც და იმ ადამიანებსაც სიხარულს გვანიჭებს. ნივთის პატრონებს უხარიათ, რომ ნივთი ასე მალე და უპრობლემოდ გაყიდეს, მე კი მიხარია, რომ ამ უიშვიათესი ნივთების ხილვის საშუალება მომეცა. იცით, ამქვეყნად რამდენი იშვიათი და ლამაზი ნივთია? მაგალითად, მონეტების უმდიდრესი კოლექცია და ბევრი სხვა რამ. და კიდევ მახარებს ისიც, რომ ადამიანებს ჩემი დანახვა უხარიათ, რადგანაც მათ ნივთის გაყიდვის იმედი ეძლევათ. აბა, წარმოიდგინეთ: სხედან ადამიანები უფულოდ, განცხადება რა ხანია გამოაქვეყნეს, მაგრამ მყიდველი არ ჩანს, ლამის იმედი გადაეწურათ და ამ დროს მივდივარ მე! გასაყიდ ნივთებს გულმოდგინედ ვათვალიერებ, ისინი კი მაშინვე ლაპარაკს იწყებენ და მიამბობენ, რომ საჭმლის ფულიც არა აქვთ, გაჭირვებას რა ვუთხარი, თორემ ამ ნივთს ნამდვილად არ შეელეოდნენ და ასეთ დღეში მარტო ისინი კი არ არიან, ირგვლივ ყველას უჭირს. თქვენს სახლშიც შევათვალიერე რაღაცები: სარეცხი მანქანა და პატარა მაცივარი, მათაც ახლა ფული ჰაერივით, მეტიც, ციდან წამოსული მანანასავით სჭირდებათ, და ძალიან გაუხარდებათ, თუკი ზედმეტი ნივთებისგან გათავისუფლდებიან. ჩამოვდივარ კიბეზე და ამ ყველაფრის ყიდვა ისე ძალიან მინდა, მაგრამ... დიახ, არსებობს ერთი მაგრამ: ფული არა მაქვს და ამიტომაც ადამიანი უძლური ხარ!

- ალბათ, გყავთ მყიდველი, ვინც ამ ნივთებში საკომისიოს გიხდით, არა?

- აბა, რას ამბობთ, ასლების გადასაღები აპარატი იმიტომ ვიყიდე, რომ ღია ბარათები ხელით არ მეწერა. ერთი ღია ბარათი ხუთი პფენიგი მიჯდება - რას იზამ, ეს ზედნადები ხარჯებია. მაგრამ შოვნით კი ერთ პფენიგსაც ვერ ვშოულობ!

ფრანცმა თვალები დააჭყიტა:

- ოი, მამილო, გულიანად გამაცინეთ. დავიჯერო, ამას სერიოზულად ამბობთ?

- ჰო, ზედნადებ ხარჯებს იშვიათად ხუთი პფენიგით ვამცირებ, ეს მაშინ, როცა ჩემს ბარათს კარებზე ჩამოკიდებული წერილების ყუთში იმ ადამიანების ბინიდან გამოსვლისთანავე ვაგდებ.

- მაშინ რისთვის დარბიხართ, არ მესმის, ან თავი არ გეცოდებათ, ან ფეხები, ვერ ხედავთ, რა დღეში ხართ, ლამის დაიხრჩოთ.

ეს ორნი ალექსანდერპლაცზე გავიდნენ. იქვე კუთხეში ხალხი ჯგუფად იდგა. ჯგუფს ისინიც მიუახლოვდნენ. მოკლე და მსუქანმა კაცუნამ ფრანცს ბოროტად შეხედა.

- აბა, სცადე და თვეში **85** მარკად იცხოვრე.

- კი მაგრამ, ადამიანო, ეგ ნივთები ვინმეს ხომ უნდა მიჰყიდოთ. თუ გინდათ, ბევრი ნაცნობი მყავს და შემიძლია მათ ვკითხო.

- სისულელეებს ნუ ამბობთ, თქვენთვის დახმარება არ მითხოვია. ჩემს საქმეებს მარტოც კარგად ვუძღვები. კომპანიონებს ვერ ვიტან!

ისინი ბრბოსთან მივიდნენ. ეს ჩვეულებრივი ქუჩის ჩხუბი იყო, ორმა ერთმანეთში რაღაც ვერ გაიყო და წაკინკლავდა. ფრანცმა მიიხედ-მოიხედა, მსუქანას ეძებდა, მაგრამ უკვე უკვალოდ გამქრალიყო, თითქოს მიწამ უყო პირი. ნეტავ ასე დიდხანს უნდა ირბინოს? სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. მაგრამ სად არის ის უბედურება, რომლის გამოც ზარები გვიხმობდნენ? ლუდხანაში წავიდა, ერთი ჭიქა კიუმელი მოითხოვა, „ფორვერტსი“ და „ლოკალანცაიგერი“ გადაათვალიერა, განსაკუთრებული არც ერთში ეწერა და არც მეორეში: ინგლისში დიდი დოღი გაიმართა, პარიზში მავანმა ტოტალიზატორში დიდი თანხა მოიგო. ვნახოთ, იქნებ ბედმა მეც გამიღიმოს, ვინ იცის, იქნებ უბედურების კი არა, ბედნიერების მომასწავებელია, როცა ზარების ხმა გესმის მაშინ, როცა არ რეკავენ?

და აი, ფრანცმა უკვე შინ, ცილისაკენ წასვლა დააპირა, მაგრამ მერე ისევ ბრბოსთან მისვლა გადაწყვიტა. იფიქრა, ვნახავ ერთი, ორთაბრძოლა თუ დამთავრდაო. ირგვლივ ქუჩის გამყიდველები დარბოდნენ და ყვიროდნენ: „სარდელები, ცხელი სარდელები, იყიდეთ,

ახალგაზრდავ! „მონტაგ მორგენი“, „დი ველტი“, „დი ველტ ამ მონტაგი!“

ერთი შეხედე, ეს ორი ისევ ჩხუბობს, უკვე ნახევარი საათია, თანაც უმიზეზოდ! დავდგები, ვნახავ, ეს ჩხუბი როგორ დამთავრდება... თქვენ, ეი, გაიარეთ, აქ კინოა თუ რა? დადგა აქ, ახლა ვერც ფეხით გაივლი და ვერც მანქანით! გამომივიდა ეგეც ბატონი! ეგ რა ბატონია, ეგ ხარისფაშვა. შეხედე ერთი, შეხედე, ეგ ახლა იმას დაარტყამს...

ფრანცი ბრბოში წინ მიიწევს. ვნახოთ, ერთი იქ ვინ ჩხუბობს? აი, ესენი ხომ ჩვენი ნაცნობები არიან, პუმსის ბიჭები. ერთი ამათ დამიხედეთ? აი, ერთმა მათგანმა, გრძელომ, მოწინააღმდეგე ლამის ხელებში მოიმწყვდია, მაგრამ დაბალმა იმარჯვა, ხელიდან გაუსხლტა და ბახ, გრძელო ტალახში ჩააგდო. ეჰ, ბიჭო, ამ ქეციანმაც კი გაჯობა, ნამდვილი ლაყე ხარ, რა!

- აბა, აქ რა თავყრილობაა, დაიშალეთ, დაიშალეთ!

- ძაღლები! ძაღლები! აბა, აქედან წავიდეთ...

ბრბოში ორი კაპიუშონიან-ლაბადიანი პოლიციელი გზას მიიკვლევს. დაბალი მაშინვე ბრბოში გაერია, აქედან აორთქლდა. მეორე, გრძელო კი ვერ დგება, ეტყობა, მაგრად დაეცა და ადგომა უჭირს. ფრანცი დაგდებულისკენ მიიწევს. ადამიანს გაჭირვებაში ხომ არ მიატოვებს! მაინც რა ხალხია, ადგომაში არავინ ეხმარება: ფრანცმა გრძელოს ხელი წაავლო და მის წამოყენებას ცდილობს, ძაღლები კი ეკითხებიან:

- აქ რა ხდება?

- აი, ორმა იჩხუბა!

- დაიშალეთ, ნუ ჩერდებით!

აუ, რას აყეფდნენ ეს ძაღლები - როცა გჭირდება, სადღაც გაქრებიან ხოლმე, რა ეჩქარებოდათ, იქნებ ხვალ მოსულიყვნენ. დავიშალოთ? დიდი სიამოვნებით, ბატონო ვახმისტრო, ნუ ნერვიულობთ, უკვე მივდივართ!

ფრანცმა გრძელო პრენცლაუერშტრასეზე რომელიღაც სახლის სადარბაზოში შეათრია. სხვათა შორის, აქედან სწორედ მესამე სახლიდან გამოვა სწორედ ის უშლაპო მსუქანი კაცი, რომელიც ცილის გამოელაპარაკება, ცილი კი ნაბიჯს აუჩქარებს და გვერდით

ჩაუვლის. აი, მეორეს კი უარს ნამდვილად არ ეტყვის და ეს ფრანცმა საკუთარ თავს დააბრალოს!

ჯერჯერობით კი ფრანცი სადარბაზოშია, იმ უნიათო, აწოწილი ემილის მოვლით არის დაკავებული.

- ემილ, აბა, თავი ხელში აიყვანე, წავიდეთ, სადმე შევიდეთ. კაცი არა ხარ, რა გაკვნესებს. ნუ გეშინია, შენ ხომ მაგარი ბიჭი ხარ, ეგ ტკივილი ქორწილამდე გაგივლის. გაინძერი, ტანისამოსი გაიწმინდე, თორემ მთელი ქუჩის ტალახი ზედ გაქვს აწებებული.

სადარბაზოდან გამოდიან, ქუჩას გადაკვეთენ და ფრანცი ეუბნება:

- ახლა შენ, ემილ, პირველივე შემხვედრ ლუდხანაში შეგიყვან, დაგსვამ, მე კი სახლში წავალ, იქ საცოლე მელოდება, - ერთმანეთს დაემშვიდობებიან, ფრანცი წასვლას დააპირებს, მაგრამ მოულოდნელად ის აწოწილი ემილი ისევ დაუძახებს:

- ფრანც, გთხოვ, მეცი პატივი და პუმსთან შეირბინე, დღეს მასთან ერთად საქონლის წამოსაღებად უნდა წავსულიყავი, გთხოვ, შეირბინე, მისი სახლი აქედან ორ ნაბიჯზეა, შესასვლელი ქუჩიდან, წადი, რა?

- რატომ? რა უნდა ვუთხრა, იცი, ძალიან მეჩქარება.

- მარტო ის უთხარი, რომ ვერ მივალ, იცი, ის კაცი მელოდება და მთელი საქმე ჩაეფუშება.

ფრანცმა გუნებაში შეიგინა, ეშმაკმა დალახვროს ეს ემილი, არადა, სახლში დროზე უნდა მივიდე, ცილი, ალბათ, უკვე ნერვიულობს! გამიწყალა გული მაგ გამოშტერებულმა, ამდენი დრო სად მაქვს?

მაგრამ პუმსთან მაინც წავიდა!

ფრანცმა ნაბიჯს აუჩქარა. ხედავს, რომ ლამპიონის ქვეშ მისი ნაცნობი მსუქანა დგას და თავის ბლოკნოტში რაღაცას ჩხაპნის.

ეჰეი, ჩემი ძველი მეგობარი! ამ დროს კაცუნამ თავი ასწია და ფრანცისკენ გაიქცა.

- ერთი წუთით, მეზობელო! თქვენ ხომ იმ სახლში ცხოვრობთ, სადაც სარეცხი მანქანისა და მაცივრის საყიდლად ვიყავი? თუ შეიძლება, იმ ბინას რომ ჩაუვლით, საფოსტო ყუთში ეს ღია ბარათი ჩააგდეთ, ეჰ, ამით ხუთ ცენტს მაინც დავზოგავ.

და ფრანცს ხელში ღია ბარათი შეაჩეჩა: „...შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობის გამო“...

ფრანცმა ღია ბარათი გამოართვა, გზა განაგრძო, თან გაიფიქრა: ამ ბარათს აუცილებლად ჯერ ცილის ვაჩვენებ და ყუთში მერე ჩავაგდებ, ამ წერილს ადრესატები რაც უფრო გვიან მიიღებენ, მით უკეთესი. რა სასაცილო მოხუცია, ნამდვილი ფოსტის ვირთხა. მთელი დღე დარბის, ნივთებს ათვალიერებს, აფასებს, ჯიბეში კი ერთი ცენტიც არა აქვს. თავში უქრის, თანაც ნიავი კი არა, დიდი ქარიშხალი.

- გამარჯობა, ბატონო პუმს, საღამო მშვიდობისა. გაგიკვირდებათ, ალბათ, ჩემი ნახვა. იცით, აი, რა უნდა გითხრათ, - ალექსზე მივდიოდი და დავინახე, რომ ლანდსბერგერშტრასეს კუთხეში ორნი ერთმანეთს ურტყამდნენ. ვიფიქრე, მოდი, ვნახავ, საქმე რაშია-მეთქი და არ დაიჯერებთ და, ბატონო პუმს, იქ თქვენი ბიჭები ჩხუბობდნენ! ის გრძელი ემილი და პატარა, ჩემი სეხნია, ფრანცი. გაიხსენეთ?

რაზეც ბატონმა პუმსმა უპასუხა, რომ იგი დღეს მასზე, ბიბერკოპფზე, ისედაც ფიქრობდა: დღისითვე შეამჩნია, რომ ამ ორმა, ასე ვთქვათ, რაღაც ვერ გაიყვეს.

- ეტყობა, გრძელო ვერ მოვა. იმ ბიჭს ხომ არ შეცვლიდით, ბიბერკოფ?

- რა უნდა გავაკეთო?

- ახლა ექვსი სრულდება, ცხრა საათზე კი საქონლის წამოსაღებად უნდა წავიდეთ. ბიბერკოპფ, დღეს კვირადღეა, საქმე ისედაც არა გაქვთ, მთელ ზარალს აგინაზღაურებთ, სამსახურის გაწევისთვის კი გადაგიხდით, ვთქვათ, საათში ხუთ მარკას.

ფრანცი ყოყმანობს.

- ამბობთ, ხუთ მარკასო?

- დიახ, ვაჭრობას არ დავიწყებ, რადგანაც იმ ორმა მიმტყუნა. თუ წამომყვებით, ერთობ დამავალებთ.

- დაბალო ხომ მოვა?

- ესე იგი, მოვილაპარაკეთ, ხუთი მარკა და დავკრათ ხელი! ყველა ხარჯს აგინაზღაურებთ და გარდა ამისა, საათში ხუთი მარკა. ეჰ, რაც არის, არის, ხუთი და ორმოცდაათი იყოს.

ისინი ბინიდან ერთად გამოდიან. კიბეზე წინ პუმსი ჩადის, ფრანცი უკან მიჰყვება და ულვაშებში ეცინება. კმაყოფილია, კვირადღეს მართლაც ძალიან გაუმართლა! ასეთ სარფიან საქმეს კაცი იშვიათად თუ გამოჰკრავს ხელს. ამაოდ კი არ მესმოდა ზარების რეკვა. ეტყობა, ზარების რეკვა მართლაც ბედნიერების მომტანია. აი, ახლა შეიძლება თხუთმეტ ან ოც მარკასაც გამოვკრა ხელი. თანაც პუმსი ჩემს ყველა ხარჯსაც აანაზღაურებს.

დაბლა ამ ფიქრებით ჩამოვიდა, მხიარული და კმაყოფილი. სადარბაზოში ჯიბეში ხელი ჩაიყო და შიგ მსუქანას მოცემული ღია ბარათი აშრიალდა, პუმსთან გამომშვიდობება დააპირა, პუმს გაუკვირდა:

- სად მიდიხართ, მეგონა, მოვილაპარაკეთ, ბიბერკოპფ!

- დიახ, მოვილაპარაკეთ და ჩემი იმედი გქონდეთ: მე სიტყვას ყოველთვის ვასრულებ. მხოლოდ ერთი წუთით შევირბენ სახლში, იცით, ჰე, ჰე, იქ საცოლე მელოდება, ცილი, იცნობთ მას, ალბათ, რაინჰოლდისგან, ადრე ცილი მისი შეყვარებული იყო. კვირა საღამოს სახლში ახალგაზრდა ქალს მარტო ხომ არ დავტოვებ.

- არა, ბიბერკოპფ, ახლა ვერსად გაგიშვებ. ახლა წახვალ და სდიე მერე ცაში გაფრენილ ჩიტს! მე კი სულელის მდგომარეობაში აღმოვჩნდები, არა, ქალის გულისთვის ასეთი დიდი საქმის ჩაშლა არ ღირს, იმედია, ცილი დაგელოდებათ, არსად გაგექცევათ.

- გაქცევით ნამდვილად არ გამექცევა, ეს ერთობ სწორედ შენიშნეთ, ცილი წესიერი ქალია. და სწორედ ამიტომ არ შემიძლია მისი ასე დატოვება, ზის სახლში მარტო და არ იცის, სად ვარ და რას ვაკეთებ.

- კარგი რა, წავიდეთ, ამ ყველაფერს კი ჩვენ მერე, მოგვიანებით მოვაგვარებთ.

აბა, ასეთ ვითარებაში რას იზამ, გამოუვალი მდგომარეობაა, ფიქრობს ფრანცი. წავიდნენ. ისევ

პრენცლაუერშტრასეს კუთხე. აქა-იქ უკვე დგანან საშოვარზე გამოსული ქალები, ისინი, ვისაც ცილი რამდენიმე საათის შემდეგ დაინახავს თავისი ფრანცის საძებნელად გამოსული და აქ გაივლის. დრო კი სწრაფად გარბის და ფრანცის თავში შავი ღრუბლები თანდათან გროვდება. მალე იგი მანქანაში აღმოჩნდება და მარწუხებში მოექცევა. მაგრამ ეს მერე იქნება, ახლა კი იმ უცნაური კაცის ღია ბარათის გაგზავნასა და თუნდაც რამდენიმე წუთით ცილის ნახვაზე ფიქრობს, გოგო ხომ ელოდება.

იგი და პუმსი ალტენ-შონჰაუზერშტრასეზე მიდიან, რომელიღაც ეზოში შედიან და გვერდითა ფლიგელში ადიან. პუმსი ამბობს, რომ აქ მისი კანტორაა. ოთახი მართლაც კანტორას ჰგავს, სინათლე ანთია, მაგიდაზე, ტელეფონის გვერდით, საბეჭდი მანქანები დგას. პუმსი დაჯდა, სკამი ფრანცსაც შესთავაზა. ოთახში ხანში შესულმა, მკაცრსახიანმა ქალმა რამდენჯერმე შემოიხედა.

- გაიცანით, ჩემი ცოლია, ეს კი ბატონი ბიბერკოპფი გახლავთ. იგი დაგვთანხმდა, რომ დღეს ჩვენს საქმეში მონაწილეობა მიიღოს.

ქალმა გაიარა ისე, თითქოს არც არაფერი გაუგონია და სანამ პუმსი საწერი მაგიდის უჯრებში იქექებოდა, ფრანცმა დრო იხელთა, სკამიდან „ბერლინერ ცაიტუნგი“ აიღო და გაშალა. აბა, ვნახოთ ერთი, რას წერენ? 3000 მილი კაკლის ნაჭუჭში - გიუნტერ პლიუშოვის რეპორტაჟი. შვებულებების სეზონი დაიწყო, სპორტული ქრონიკა: საგაზაფხულო რბოლა. ლეო ლანიას დრამას

„კონიუნქტურა“ ლესინგის თეატრის სცენაზე პისკატორის დასი წარმოადგენს. დამდგმელი რეჟისორი თავად პისკატორია. „სად არის აქ ლანია და სად პისკატორი? სად მთავრდება დრამა და სად იწყება მისი სცენური ხორცშესხმა?“ ინდოეთში ნაადრევი ქორწინება აიკრძალა, სასაფლაო რეკორდსმენი ძროხებისთვის. ქრონიკა: დირიჟორი ბრუნო ვალტერი კვირას, 15 აპრილს, ქალაქის ოპერაში ბოლო კონცერტს გამართავს. პროგრამაშია მოცარტის სიმფონია s-dur, შემოსული თანხა ვენაში გუსტავ მალერის ძეგლის დადგმის ფონდში გადაირიცხება. მეორე კლასის მძღოლი, 32 წლის, დაოჯახებული, ეძებს მსუბუქი ან სატვირთო მანქანის მძღოლის ადგილს.

პუმსი სიგარას იღებს, მერე ასანთს და ზუსტად ამ დროს მისი ცოლი შპალერაკრულ კარს აღებს. ოთახში სამი მამაკაცი ლამის ფეხაკრეფით შემოდის. პუმსს მათკენ არც კი

გაუხედავს. ისინი პუმსის ბიჭები არიან. პუმსის ცოლი ის-ის იყო წასვლას აპირებდა, რომ პუმსმა ფრანცს უთხრა:

- ბიბერკოპფ, მგონი, რაღაც წერილის გაგზავნა გინდოდათ? ჰოდა, დაწერეთ, კლარა კი მიუტანს.

- აჰ, ძალიან დამავალებთ, ფრაუ პუმს, ამ წერილს თუ მიუტანთ. ეს წერილიც კი არ არის, უბრალოდ ღია ბარათია ჩემი საცოლისთვის, რომ არ ინერვიულოს.

ფრანცმა ფრაუ პუმსს ზუსტად აუხსნა, სად ცხოვრობდა, კონვერტზე, რომელიც ბატონმა პუმსმა მისცა, მისამართი დაუწერა და შიგ ცილისთვის წერილი ჩადო: „ჩემო ცილი, არ ინერვიულო, შინ ათი საათისთვის დავბრუნდები, ღია ბარათი კი ზედ აღნიშნულ მისამართზე მიიტანე. შენი ფრანცი“.

ასე, ყველაფერი კარგად არის, ყველაფერი მოგვარდა. ბოროტი და უნამუსო ქალი კი სამზარეულოში კონვერტს ხსნის და ცეცხლში აგდებს, ფრანცის წერილს ხევს და ნახევებს ნაგვის ურნაში ყრის. მერე ღუმელთან მოკალათდება, ყავის სმას განაგრძობს, არაფერზე ფიქრობს, სითბოში ზის და სვამს.

ბიბერკოპფის სიხარულს კი საზღვარი არა აქვს, როცა ხედავს ტიპს ჯარისკაცის ფარაჯაში. ეს ვის აქვს სახეზე ასეთი ღრმა ხნულები, ვინ მიათრევს ფეხებს ისე, თითქოს იატაკზე კი არა, სქელ თიხაში მიდიოდეს? რა თქმა უნდა, ეგ რაინჰოლდია. ახლა ფრანცი აქ თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში. ეს ხომ შესანიშნავია.

- რაინჰოლდ, მეც თქვენთან ერთად მოვდივარ, მოხდეს, რაც მოსახდენია.

- რა თქვი, ჩემთან ერთად სად მოდიხარ ან რა უნდა მოხდეს? - იღრინება რაინჰოლდი და ოთახში დაჩოჩავს.

- ეს ხომ შენი გადაწყვეტილებაა, - და ფრანცი ალექსზე მომხდარ ჩხუბზე ალაპარაკდება, ჰყვება, ემილს როგორ დაეხმარა. მას ცნობისმოყვარეობით უსმენენ, მხოლოდ ოთხნი, პუმსი კი ისევ წერს. მერე ის ოთხნი ორ-ორად განაწილდებიან და ერთმანეთში ჩურჩულებენ. ახლა ფრანცის აქ ყოფნა მხოლოდ ერთ მათგანს აღელვებს.

* * *

ზუსტად 8 საათზე გზას დაადგნენ. ყველას თბილად ეცვა. თბილი პალტო ფრანცსაც

მისცეს. ძალიან გაუხარდა, ღმერთო ჩემო, ასეთი პალტო რომ მქონდეს, რა ბედნიერება იქნებოდა, და კრაველის ქუდიც, ეშმაკმა დალახვროს!

- რატომაც არა! - პასუხობენ ფრანცს, - ოღონდ ამას დამსახურება უნდა.

გარეთ გამოდიან, ქუჩაში უკუნეთი და მუხლებამდე ჭყაპია. და გარეთ რომ იდგნენ, - აბა, რა უნდა გავაკეთოთ? - იკითხა ფრანცმა.

თანამეინახეებმა კი უპასუხეს:

- უპირველეს ყოვლისა, მანქანა უნდა ვიშოვოთ, უკეთესი იქნება, თუ ორს ვიშოვით. მერე კი საქონლის: ვაშლის ან სხვა რამის წამოსაღებად გავემგზავრებით.

ბევრი მანქანა გაუშვეს. როგორც იქნა, მეცერშტრასეზე ორი შესაფერისი მანქანა იპოვეს. ჩასხდნენ და გაემგზავრნენ.

გზაზე მანქანები ერთმანეთს მისდევენ. იარეს ნახევარ საათზე მეტხანს. სიბნელეში ფრანცმა ვერ გაარჩია, ვაისენზეეზე შეუხვიეს თუ ფრიდრიხსფელდეზე. ბიჭები ამბობენ, მოხუცს ჯერ რაღაცების მომარაგება უნდაო. მერე ერთი სახლის წინ გაჩერდნენ, აქ ფართო ხეივანია. ეტყობა, ტემპელჰოფია, ამბობს ფრანცი. დანარჩენები ამბობენ, არ ვიცით, სად ვართო. მანქანაში ისეთი კვამლია, ვერაფერს ვხედავთო. ისინი ხომ სიგარეტს სიგარეტზე ეწევიან.

ამ მანქანაში რაინჰოლდი ბიბერკოპფის გვერდით ზის. ვერ იცნობ, კაცი თითქმის შეცვალეს, ისე არის გადასხვაფერებული. ხმაც სხვანაირი აქვს. აღარ ენაბორძიკობს, ხმამაღლა ლაპარაკობს, მბრძანებლობს, შინაგანად მობილიზებულია, გარეგნულად კი აკვალთული, წელში გამართული, არც მეტი, არც ნაკლები, ნამდვილი ასეულის მეთაური, ერთი-ორჯერ კიდევაც გაიცინა, - მანქანაში ყველა მას უსმენს და ემორჩილება.

ფრანცმა რაინჰოლდს მხრებზე ხელი გადასდო და სადღაც კეფაში, კეპის ქვეშ ჩასჩურჩულა:

- აბა, რას იტყვი, რაინჰოლდ, მეგობარო, ქალებთან საქმე ხომ კარგად მოგიგვარე?

- აბა, რა! ყველაფერი კარგად არის, შესანიშნავად!

და რაინჰოლდმა მუხლზე ხელი დაჰკრა, აუ, ამ ბიჭს რა მძიმე ხელი აქვს, ნამდვილი რკინის, ჩაიცინა ფრანცმა.

- ის ქალი, რომლის გულისთვისაც ჩვენ ვიჩხუბებთ, ჯერ არ დაბადებულა, არა, რაინჰოლდ!

ხდება, რომ უდაბნოში ადამიანები იკარგებიან, ქარავანს გზა აერევა, აქლემები სავალი ბილიკიდან გადავლენ და მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ ვინმე ყარიბი ქვიშაში დროჟამისგან გათეთრებულ ძვლებს წამოჰკრავს ფეხს.

აი, სახლიდან ჩემოდნით ხელში პუმსი გამოდის და მანქანაში ჯდება. ისევ ბნელი ქუჩებით მიდიან. ზუსტად ცხრა საათზე კი ბიულოვპლაცზე ჩერდებიან. ორ-ორად ეწყობიან და გზას აგრძელებენ. საქალაქო რკინიგზის ვიადუკის ქვეშ ფრანცი ამბობს:

- აი, ცენტრალურ ბაზრამდე თითქმის მივედით. იქ მივდივართ?

- ბაზარშიც შევივლით, მაგრამ ჯერ საქონელი უნდა მივიღოთ.

ასე მივიდნენ კაიზერვილჰელმშტრასემდე. და მოულოდნელად ის ორნი, წინ რომ მიდიოდნენ, საქალაქო რკინიგზის სადგურთან გაქრნენ, თითქოს მიწამ ჩაყლაპა. და ფრანცმა და მისმა თანამგზავრებმაც გაუჩინარებულთა კვალდაკვალ რომელიღაც ბნელ ალაყაფის კარში შეაბიჯეს.

- მოვედით! - წაისისინა ფრანცის თანამგზავრმა, - მორჩი მოწევას.

- ეგ ვითომ რატომ?

მაგრამ ბიჭმა ხელი გადაუგრიხა და ნამწვავი პირიდან გამოჰგლიჯა.

- გითხარი, რომ მოწევას მორჩი!

და ბიჭი სიბნელეში ისე გაუჩინარდა, რომ ფრანცმა პასუხის გაცემაც ვერ მოასწრო. ეს რას ნიშნავს? ამ სიბნელეში მარტო დამტოვეს! სად გაქრნენ? ფრანცი ეზოში გზას ალალბედზე მიიკვლევს, მაგრამ უცებ თვალებში ჯიბის ფარნის აფეთქებული სხივი ეცა. მის წინ პუმსი დგას:

- აქ რას დაძრწიხართ, აქ არაფერი გესაქმებათ, უკან დაბრუნდით.

- აი, თურმე რა, მე კი მეგონა, საქონელი უნდა მეთრია.

- სისულელეებს ნუ ამბობ, უკან დაბრუნდით! რა, თქვენთვის არავის არაფერი უთქვამს? სინათლე ჩაქრა. ფრანცი უკან ისევ ალალბედზე ბრუნდება. მთელი ტანით კანკალებს, შიგნით

თითქოს რაღაც ჩაწყდა, ნერწყვს ძლივს ყლაპავს. აქ რა ხდება, სხვები სად არიან? იგი უკვე ალაყაფის კართან იდგა, როცა ეზოს სიღრმიდან ორნი გამოვიდნენ. ყველაფერი გასაგებია: ესენი ხომ მძარცველები, ბანდიტები, მკვლელები არიან, საკეტებს ამსხვრევენ, ქურდობენ, შორს, აქედან რაც შეიძლება შორს! უნდა გავიქცე ალექსზე! ქუდი იღლიის ქვეშ და გავიქცე! დავგორდე აქედან, ისე, როგორც მოყინული მთიდან. მაგრამ იქიდან გამოსულებმა ხელი სტაცეს, იჭერენ: ერთ-ერთი რაინჰოლდია, რკინასავით მძიმე აქვს ხელი!

- რა, შენთვის არავის არაფერი აუხსნია? აქ იდექი და იყარაულე!

- ვის, ვის უნდა აეხსნა?

- სულელის როლის თამაშს თავი დაანებე, საქმე სერიოზულად არის. რას ვერ ხვდები? აქ იდექი და თუ რამე საეჭვოს შეამჩნევ, დაგვისტვინე!

- მე... მე...

- მოკეტე, რეგვენო!

და ფრანცს მარჯვენა ხელზე ისე მაგრად დაარტყამენ, რომ იგი იკრუნჩხება.

ის ორნი მიდიან, ბნელ სადარბაზოში ფრანცი მარტო რჩება. კანკალებს. აქ რატომ ვდგავარ? მომატყუეს, ბინძურ საქმეში გამრიეს! იმ უნამუსომ დამარტყა კიდევაც. ეგენი იქ ეზოში რაღაცებს იპარავენ. ეგენი ხომ ხილით არ ვაჭრობენ! ბანდიტები არიან. შავი ხეების გრძელი ხეივანი, რკინის ალაყაფის კარი. საღამოს შემოწმების შემდეგ პატიმრები მაშინვე წვებიან, ზაფხულობით კი უფლებას აძლევენ, დაბნელებამდე არ დაიძინონ. ეს ხომ ქურდების ბანდაა და პუმსი მათი თავკაცია! წავიდე, არ წავიდე; წავიდე, არ წავიდე? რა ვქნა? ჩამითრიეს ამ არამზადებმა, ზექსზე დამაყენეს.

დგას ფრანცი, კანკალებს, შესივებულ მკლავს ისინჯავს. პატიმრები ვალდებული არიან ავადმყოფობა არ დამალონ, მაგრამ არც თავი მოიავადმყოფონ, თორემ დაისჯებიან. მთელ სახლში სამარისებური სიჩუმეა. ჩამიჩუმი არ ისმის. ეზოს სიღრმიდან კი ფუსფუსი და ტკაცანის ხმა ისმის. აი, ჯიბის ფარანმა გაიელვა, ვიღაც სარდაფში შეძვრა. გაგასულელეს, ფრანც, კუთხეში მიგიმწყვდიეს. აქ ზექსზე დგომას და ამ ბანდის დარაჯობას, ხმელი პურის ჭამა გერჩიოს, ფრანც! ეზოში მოულოდნელად რამდენიმე ფარანმა იფეთქა; ფრანცს რატომღაც კაცი გაახსენდა, მისი ღია ბარათებით.

შერეკილია, ნამდვილი შერეკილი. მოჯადოებულივით დგას, ადგილიდან ვერ იძვრის. იმ მომენტიდან, რაც რაინჰოლდმა დაარტყა, გაქვავებულივით დგას, თითქოს ამ დარტყმამ მიწაში ჩააჭედა. წასვლა უნდა, მთელი არსებით ცდილობს, მაგრამ ვერ ახერხებს, თითქოს უხილავ ხელს რკინის მარწუხებით უკავია და არ უშვებს. ქვეყანა რკინისგან არის გამოჭედილი, ირგვლივ სიკვდილია და არსაიდან ხსნა. სიკვდილი უზარმაზარი ჯანდარასავით[21] მოგორავს და სავალ გზაზე ყველაფერს მიწასთან ასწორებს. მოგორავენ, მოგორავენ ტანკები. ტანკებში ეშმაკები სხედან. ეშმაკებს რქები აქვთ, თვალებიდან ცეცხლს აფრქვევენ, კბილებს აკრაჭუნებენ და ყველაფერს ნაწილებად გლეჯენ. ტანკი წინ ღრჭიალით მიცოცავს. ირგვლივ სიკვდილი ბატონობს და არსაიდან ხსნა. ღამის წყვდიადში ალი გიზგიზებს. ოდნავ ინათებს თუ არა, ვნახავთ, რა დარჩა ადამიანთა მოდგმისგან.

წასვლა მინდა, წასვლა, ვიგინდარებო, ძაღლებო, ასეთი საქმეების კეთება არ მინდა! ძალიან ცდილობს ადგილიდან დაძვრას, ამაოდ. სასაცილოა, დავიჯერო, სიარული არ შემიძლია? მთელი სხეული გაშმაგებით გაიქნია. თითქოს მთელ ტანზე ცომი მიაწებეს, მიწას ფეხები ვერ ააგლიჯა. როგორც იქნა, ფეხი მოინაცვლა, ნაბიჯი გადადგა: ერთი, ორი, ძლივს გაიარა, მაგრამ მაინც გაიარა! დავდივარ, ესე იგი, წავალ! მაგათ ძარცვონ, მე კი აქედან მოვტყდები!

პალტო გაიხადა. შიშით, ფეხაკრეფით ეზოში დაბრუნდა, მოხდეს, რაც მოსახდენია. პალტო კი იმათ უნდა მივუგდო. პალტო სიბნელეში სახლის უკანა კედელთან მიაგდო. ამ დროს ფარნები ისევ აციმციმდნენ, ფრანცს, თვითონ რომ ეცვა, ისეთივე პალტოების ფუთებით დატვირთულმა ორმა კაცმა ჩაურბინა, ორივე მანქანა ალაყაფის კართან დგას. კაცებმა ფუთები მანქანაში შეყარეს. უკანა გზაზე ერთ-ერთმა ისევ დაარტყა ისევ მარჯვენა მკლავზე, ხელით კი არა, თითქოს რკინით:

- აბა, ყველაფერი კარგად არის?

ეს რაინჰოლდი იყო. ახლა ფრანცს ყუთებით დატვირთულმა სხვა ორმა კაცმა ჩაურბინა, მერე ისევ ორმა, იქით და აქეთ, დარბიან სიბნელეში. ფრანცს კი პირის დამუწვისა და მუშტებით ქადილის გარდა სხვა არაფერი დარჩენია. პუმსის ბიჭები ეზოში ფეთიანებივით აქეთიქით დარბიან, ეზოს კარიდან გარეთ გარბიან, მერე ისევ მორბიან, სადღაც მიძვრებიან და კიდევ კარგი, სიბნელეში ისინი ბიბერკოპფის სახეს

რომ ვერ ხედავენ, თორემ შიშისგან დაფრთხებოდნენ, რადგან იგი, ვინც აქ დგას, ფრანცი აღარ არის: უპალტოოდ, უქუდოდ, შეშლილი სახით, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი

და ფართოდ გახელილი თვალებით ამ სიბნელეს მიშტერებული. იქნებ რომელიმე იცნოს. აი, ვიღაცამ გაირბინა, მაგრამ ვერ გაარჩია, ვინ იყო. დამაცადეთ, ძმებო, თქვენ ფრანც ბიბერკოპფს არ იცნობთ, აბა, სცადეთ და თითი დამაკარეთ! აფსუს, დანა არა მაქვს, მოიცა, იქნებ ქურთუკის ჯიბეშია, აბა, ვნახო, და ამ დროს ყველანი ერთად გამოცვივდნენ, ხელში ფუთებით ერთმანეთის მიყოლებით გარბიან და ერთმა მათგანმა, ტანმორჩილმა და ჩასკვნილმა მამაკაცმა ფრანცს ხელი მოჰკიდა:

- წამოდი, ბიბერკოპფ, წავედით, ყველაფერი კარგად არის.

და ფრანცი დიდ მანქანაში ჩატენეს. რაინჰოლდი მის გვერდით ზის, დაკუნთული სხეულით აწვება, ეს სხვა რაინჰოლდია.

- ლამის გამსრისო, - ჩურჩულებს

ფრანცი. აფსუს, დანა არა მაქვს.

- მოკეტე, დამპალო, კრინტი აღარ დაძრა.

წინა მანქანა მიქრის, მეორე მანქანის მძღოლი უკან იყურება, გაზს უმატებს, შეშფოთებული ყვირის:

- მოგვდევენ!

რაინჰოლდმა თავი ღია ფანჯარაში გაყო:

- გაზი ბოლომდე მიეცი, კუთხეში გაუხვიე!

მანქანა კი ისევ მისდევს და უცებ ფანჯარაში გაელვებული ფარნის შუქზე რაინჰოლდმა ფრანცის გაბრწყინებული და ნეტარი ღიმილით დამშვენებულ სახეს მოჰკრა თვალი.

- რას იკრიჭები მაიმუნივით, შენ რა, სულ გაგიჟდი?

- მინდა და ვიცინი, მერე შენ რა?

იცინის კიდევაც ეს ნაგავი, ნაბოზარი! და უცებ რაინჰოლდს გაახსენდა ყველაფერი ის, რისი დავიწყებაც საქმეზე წასვლის წინ მოახერხა: ეს ხომ ის ბიბერკოპფია, რომელმაც იმედი გაუცრუა, მისგან ქალები მიჰყავს, თანაც ჭკუასაც არიგებს. თავხედი, გასივებული ღორი. თანაც მის შესახებ ყველაფერი იცის, განა ამ ღორს ყველაფერი თავად არ მოუყვა?

და რაინჰოლდს მდევარი მაშინვე დაავიწყდა.

წყალი ულრან შავ ტყეში, ერთობ შავი წყალი, უტყვი და უმოძრაო. შემზარავი სამარისებური სიმშვიდე. ქარიშხალი ბობოქრობს, ცად აწვდილ ფიჭვებს რკალად ხრის, ტოტებს შორის ობობას ქსელი იგლიჯება, ირგვლივ მსხვრევისა და კვნესის ხმა ისმის. მაგრამ წყლის ზედაპირი არ შეირხევა. უმოძრაო და დამუნჯებულია ქვაბულში ჩამდგარი წყალი, ამ ჭაობში მხოლოდ ხმელი ტოტები ცვივა. ტყეს ქარი გლეჯს, მაგრამ ქვემოთ, წყლამდე მაინც ვერ აღწევს.

ეს ჯეელი, ფიქრობს რაინჰოლდი, ზის თავის ქოხში ღრმად ჩაფლული და, ალბათ, ნატრობს, რომ მანქანა, რომელიც მოგვდევს, დაგვეწიოს და დაგვიჭირონ, მე კი აქ ვზივარ გულხელდაკრეფილი, ეს პირუტყვი კი ლექციებს მიკითხავს ქალებზე და მე ეს უნდა ვითმინო.

ფრანცი ისევ უხმოდ იცინის, შიგადაშიგ თავს უკან ატრიალებს, ქუჩას გასცქერის, მდევარი ისევ მოსდევთ, ნამდვილად დაეწევიან, ახია ამათზე, ეს ამათი სასჯელი იქნება. დაე, მეც ჩავვარდე, მაგრამ აწი ვეღარ დამცინებთ, მასხრად ვერ ამიგდებთ, თქვე ბანდიტებო, წყეულო ქურდების ბანდავ!

დაწყევლილია ის კაცი, ამბობს იერემია, რომელიც ადამიანების იმედად არის და მხოლოდ ხორცზე ზრუნავს, ხოლო გული მისი ღვთისგან შორსაა. იგი დაემსგავსება უდაბნოში ობლად ამოსულ მანანას ბუჩქს და ვერ იხილავს სიკეთეს, როცა მოვა. მარად დარჩება უნაყოფო, თაკარა მზით დამწვარ უდაბნოში და სამუდამოდ იქ დაიდებს ბინას. ერთობ ვერაგია კაცის გული და ცოდვებით სავსე: ვინ შეიცნობს!

რაინჰოლდმა მის პირდაპირ მჯდომ ახალგაზრდა კაცს რაღაც ანიშნა. მანქანის სალონში სიბნელეს სინათლე ენაცვლება და პირიქით. დევნილებისა და მდევრების მანქანები მიქრიან, ერთმანეთს ტოლს არ უდებენ. დევნილების მანქანამ სრული სვლით რომელიღაც ხეივანში შეუხვია. რაინჰოლდმა შეუმჩნევლად იმ კარის სახელური მოსინჯა, რომელთანაც ფრანცი ზის. ფრანცმა კი უკან კიდევ ერთხელ მიიხედა. სწორედ ამ დროს მკერდზე ხელი ძლიერად მოხვიეს და წინ გაქაჩეს. ადგომა სცადა და რაინჰოლდისთვის ერთი-ორჯერ სახეში ძლიერად გარტყმა მოასწრო,

მაგრამ მარწუხივით შემოჭდობილი ხელებისგან თავი მაინც ვერ გაითავისუფლა. ძალიან ძლიერი ხელები აქვს რაინჰოლდს. კარი გაიღო, მანქანაში ცივი ქარი შემოვარდა და შიგ მყოფთ თოვლი მიაყარა. უკვე ფუთებზე დავარდნილ ფრანცს ღია კარისკენ რამდენიმე ხელი ექაჩება. ფრანცი ყვირის და ცდილობს რაინჰოლდს ყელში სწვდეს, მაგრამ მის პირდაპირ მჯდომი ბიჭი ხელზე ჯოხს ძლიერად დასცხებს, ხოლო მეორე მუშტს თეძოში მტკივნეულად ჰკრავს და ადგომის საშუალებას არ აძლევს. ძლიერი ხელები კი ღია კარისკენ ექაჩებიან და მანქანიდან მის გადაგდებას ცდილობენ. ფრანცი, რაზეც კი შეიძლება, ყველაფერს ხელებითა და ფეხებით ეჭიდება, ბოლოს მანქანის საფეხურს ძლიერად ჩაავლო ხელი.

ამ დროს თავში ჩაარტყამენ. ფრანცი უცებ მოდუნდება. რაინჰოლდი დაიხრება და გრძნობადაკარგულ კაცს ქუჩაში გადააგდებს. კარი იხურება. ქვაფენილზე დაგდებულ ადამიანს მდევართა მანქანა გადაუვლის და თოვლში გაუჩინარდება.

* * *

გვიხარია, მზე რომ ამოდის და ნათდება. მზე არც გაზია და ელექტროშუქი, არ ჩაქრება. ახმაურდნენ მაღვიძარები და ადამიანებმა გაიღვიძეს, ახალი დღე დადგა. თუ გუშინ **8** აპრილი იყო, მაშინ დღეს **9** აპრილია, თუ გუშინ კვირა იყო, დღეს ორშაბათია. აი, წელი და თვე იგივეა. არ შეცვლილა. და მაინც, რაღაც შეიცვალა. სამყაროს წელთაღრიცხვას კიდევ ერთი დღე დაემატა. მზე ამოვიდა. მზის ბუნება ჯერ ზუსტად დადგენილი არ არის. ასტრონომები ამ ციურ სხეულს ასეც და ისეც იკვლევენ. როგორც ისინი ამბობენ, მზე ჩვენი პლანეტის სისტემის ცენტრშია, ჩვენი დედამიწა კი ერთი პატარა პლანეტაა. და ეს თუ ასეა, მაშინ რანი ვართ ჩვენ? ხოლო, როცა მზე ამოდის და ადამიანებს უხარიათ, თურმე სასიხარულო არც არაფერი ყოფილა, რადგან რას წარმოადგენს ადამიანი, თუკი მთლიანად დედამიწა მზეზე **300000**-ჯერ პატარაა? და კიდევ სხვა რამდენი ციფრია მიწერილი ნულებით, რომლებიც ადასტურებენ, რომ ადამიანი ნულია, ნული, წინ ჯოხის გარეშე, ანუ არარაობა. მაშასადამე, ისმება კითხვა: სასიხარულო რა გვაქვს?

და მაინც, ადამიანებს უხარიათ, როცა მზე ამოდის და თეთრსა და ძლიერ შუქს ქუჩებს ჰფენს, ოთახებში ყველა ფერს აღვიძებს და სახეებიც სიბნელიდან ამოყვინთავენ. სასიამოვნოა, როცა ფორმებს ხელით შეიგრძნობ, მაგრამ გაცილებით

დიდი სიამოვნებაა ფერებისა და ხაზების მზის შუქზე ხილვა. აპრილის მზე ადამიანებს ოდნავ გაგვათბობს და გვიხარია, ისევე როგორც ყვავილებს, რადგან მზის შუქისკენ ჩვენც ისევე მივილტვით, როგორც ისინი. ესე იგი, უამრავ ნულებმიწერილ უზარმაზარ ციფრებში რაღაც ისე არ არის, რაღაც შეცდომაა.

ოღონდ ამოდი, მზეო, ჩვენ შენი არასოდეს შეგვეშინდება. არ გვაინტერესებს ის უთვალავი კილომეტრი, რომელიც ჩვენგან გაშორებს, არც შენი დიამეტრი და მოცულობა. თბილო მზეო, ამოდი ოღონდ, ნათელო მზეო, ამოდი. შენ არც დიდი ხარ და არც პატარა, შენ მხოლოდ სიხარული ხარ.

პარიზის ექსპრესის ვაგონიდან ბეწვის მანტოში გახვეული დიდთვალება ქალი პეპელასავით გამოფარფატდა, ხელში უკავია ორი პაწაწკინტელა პეკინური ფინია. მის ირგვლივ ფოტოგრაფები და კინოოპერატორები ფუსფუსებენ. რაკელი მოწყალე ღიმილით გადაღების უფლებას აძლევს. ახარებს ის ულამაზესი ღია ყვითელი ვარდების თაიგული, მას რომ ესპანურმა კოლონიამ მიართვა. სპილოსძვლისფერი მისი საყვარელი ფერია. წაიტიკტიკებს: ბერლინში ჩამოსვლა ჩემი ოცნება იყო, - და ცნობილი ქალი მანქანაში ჩაჯდება, აღფრთოვანებულ ბრბოს ხელს დაუქნევს და მანქანა, რომელშიც ზის, ბერლინის დილის ნისლში გაუჩინარდება.

წიგნი მეექვსე

ფრანც ბიბერკოპფმა სმას თავი დაანება და სამზეოზე გამოვიდა. ახლა ადამიანებს ხვდება და ღიმილით ამბობს, კაცმა ფეხები იქამდე უნდა გაჭიმო, სადამდეც საბანი გაგწვდებაო. ძალიან გაბრაზებულია იმის გამო, რომ იგი, პატიოსნად ცხოვრების ტრფიალი, თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ ბინძურ საქმეში მაინც ჩაითრიეს. მომავალში ამას ვეღარავინ გააკეთებს, ძლიერთა შორის უძლიერესიც კი! კაცი მის პირდაპირ მდგომ ბნელ ძალას მუშტებს უღერებს. ეს რაღაც ძალა, მის წინ რომ დგას, მაგრამ ვერ ხედავს, აუცილებლად ამოქმედდება, ბიბერკოპფის თავზე აღმართულმა ჩაქუჩმა ჰაერში უკვე გაიზუზუნა.

არა, სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით, ამის მიზეზი არ არსებობს. მთელი ამ გრძელი ამბის თხრობისას, მის სასტიკ, შემზარავ და მწარე დასასრულამდე, ამ ფრაზას -

„სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით, ამის მიზეზი არ არსებობს“ - კიდევ მრავალჯერ გაგიმეორებთ, რამეთუ კაცი, რომლის ცხოვრების ამბავსაც გიყვებით, ჩვეულებრივი ადამიანი არ არის, მაგრამ ამავე დროს, თითქოს ჩვეულებრივია, რადგან მისი ყველას კარგად გვესმის და ხანდახან ვამბობთ: ხომ

შეიძლებოდა, რომ ეს გზა ნაბიჯ-ნაბიჯ ჩვენც გაგვევლო, სწორედ მასავით მოვქცეულიყავით და იგივე უბედურება, რაც თავს დაატყდა, ჩვენც დაგვტყდომოდა. ამიტომ დაგპირდით და ასეც მოვიქცევი, ამ უჩვეულო ადამიანის უჩვეულო თავგადასავალს ბოლომდე გიამბობთ.

დიახ, ის კი, რასაც გიამბობთ, ულმობელი სიმართლეა კაცზე, რომელიც სახლიდან გამოვიდა და გუმანითაც ვერ გრძნობდა, თავისი ნების საწინააღმდეგოდ დანაშაულში თუ ჩაითრევდნენ, მერე კი მანქანიდან გადმოაგდებდნენ და სხვა მანქანის ბორბლებქვეშ აღმოჩნდებოდა. როგორ, იკითხავთ თქვენ, განა ამ კაცს არ უნდოდა, პატიოსნად ეცხოვრა, სწორი გზით ევლო და ამისთვის ძალისხმევას არ იშურებდა? და მოულოდნელად ასეთი დარტყმა, - განა მკითხველს ეს სასოწარკვეთილებაში არ ჩააგდებს? თუ გინდათ, იმაში, როგორც ეს კაცი დაამცირეს, ან ამ უაზრობაში აზრი ვეძებოთ და ამ ამორალურობაში კი - მორალი? ან იქნებ ის, რაც ბიბერკოპფს შეემთხვა, მის ბედისწერას ან ბედის ირონიას დავაბრალოთ?

მაგრამ ამაოდ არ გეუბნებით თქვენ: სასოწარკვეთილების მიზეზი არ არსებობს. მე უკვე რაღაც ვიცი და შეიძლება ამ რაღაცას მკითხველიც ხვდება... სიმართლე თანდათან გამჟღავნდება და ფრანცთან ერთად ყველა განსაცდელს თქვენც რომ გაივლით, ყველაფერი ნათელი გახდება.

რაც არ ერგებოდა, ის შეერგო

რაინჰოლდმა სულ აიწყვიტა. შინ მხოლოდ ორშაბათს, შუადღეზე დაბრუნდა. ქრისტესმიერო დებო და ძმებო, დროს, განვლილს კვირიდან ამ მომენტამდე, ჩვენი მოყვასისადმი სიყვარულის ასე ათი კვადრატული მეტრი მოსასხამი გადავაფაროთ. სამწუხაროდ, წინარეწარსულის ტრაგიკული მოვლენების დაფარვა ვერ მოვახერხეთ, - მოსასხამის შოვნა გაგვიჭირდა. შემდგომ მოვლენები კი ასე განვითარდა: ორშაბათს, მზე რომ ამოვიდა და ბერლინის ქუჩები ჩვეულებისამებრ ახმაურდა, რაინჰოლდი ზუსტად პირველ საათზე, ანუ **13.00**-ზე, სახლში მიდის და იქიდან აწ უკვე ყავლგასულ ტრუდეს, რომელიც მასთან იყო ჩასახლებული და წასვლა არ უნდოდა, გააგდებს. რა ბედნიერებაა, რა დიდებული შაბათ-კვირა ელის, რა კარგია, როცა ვაცი

წალთან[22] მირბის, მამალი კი - დედალთან. ახლა სხვა მწერალი რაინჰოლდისთვის რაიმე სასჯელს მოიფიქრებდა ან რაღაცას შურისძიებისმაგვარს, მაგრამ რა ვქნა, რომ მსგავსი არაფერი მომხდარა, დანაშაული დაუსჯელი დარჩა. რაინჰოლდი თავს მხნედ გრძნობს, კარგ ხასიათზეა და უფრო რომ გამხიარულდეს, ტრუდეს, ქალს, მტკიცეს და შეუვალს, რომელიც წასვლას არ აპირებს, გარეთ აგდებს. ისე, სიმართლე ის არის, რომ რაინჰოლდს მისი გაგდება არც კი უნდოდა, ეს სპონტანურად, ანგარიშმიუცემლად გააკეთა და ამაში დამნაშავე მისი შუა ტვინი იყო. საქმე ის არის, რომ მაგრად დასპირტული ბრძანდებოდა. ჩვენ მიერ დამალულ მოვლენათაგან ერთ-ერთი ის არის, რომ გასულ ღამეს რაინჰოლდმა ერთობ ბევრი სპირტიანი სასმელი მიირთვა, ანუ ჯერჯერობით ბედი წყალობს. მაშ, ასე, თხრობა რომ გავაგრძელოთ, აუცილებელია რამდენიმე დეტალს გაკვრით შევეხოთ. ეს ჩვარი რაინჰოლდი, ვისაც ფრანცი დასცინოდა და ვინც ქალებს უხეშად დალაპარაკებას კი არა, ზედმეტი სიტყვის თქმასაც ვერ უბედავდა, ორშაბათს, 13 საათზე, ისე გათავხედდა, რომ ტრუდეს საშინლად სცემა, თმა დააგლიჯა, თავზე სარკე გადაატეხა და როცა ქალმა ყვირილი მორთო, სახე დაუჩეჩქვა, თანაც როგორ!

საწყალ გოგოს სახე ისე გაუსივდა და სისხლი ისე სდიოდა, რომ იმავე საღამოს ექიმთან წავიდა. გოგონამ ორიოდე საათის განმავლობაში თავისი ხიბლი და მშვენიერება დაკარგა გამხეცებული რაინჰოლდის მუშტების გამოისობით. მსხვერპლი კი ჯერჯერობით ტუჩებზე მალამოს წასმით დაკმაყოფილდა და სადაც ჯერ არს, იქ ჩივილს არ აპირებს. მიზეზი იმისა, რაინჰოლდმა ასე რომ აიწყვიტა, არაყი გახლდათ. მისი დიდი ტვინი არყით იყო გაბრუებული, რამაც შუა ტვინის განმუხრუჭება გამოიწვია. ისე კი ამ კაცს შუა ტვინი უფრო აქტიური ჰქონდა.

საღამოს კი როგორღაც რომ გამოფხიზლდა, ოდნავ გონს მოეგო, მიიხედ-მოიხედა და თავის ოთახში რამდენიმე სასიამოვნო ცვლილება აღმოაჩინა: ეტყობა, ტრუდე წავიდა, თანაც სამუდამოდ, რადგან კალათაც არსად ჩანდა. კიდევ, დამსხვრეული სარკე, იატაკი კი ვიღაც უზრდელსა და თავხედს ნაფურთხ-ნახველით მოესვარა. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ ნახველი სისხლიანი გახლდათ. რაინჰოლდმა დარბეულ ოთახს თვალი მოავლო, თავს ძალა დაატანა, აქ გათამაშებული დრამატული მოვლენების გახსენება სცადა. მისი პირი წესრიგშია. ესე იგი იატაკი ტრუდეს

ფურთხით არის მორწყული, ეტყობა, ცხვირ-პირში მოსდო. საკუთარმა სიყოჩაღემ ისე გაამხიარულა, რომ ახარხარდა. იატაკიდან სარკის ნამტვრევი აიღო და საკუთარი ფიზიონომიის ყურებით დიდხანს ტკბებოდა; ყოჩაღ, რაინჰოლდ, ეტყობა, იმ ძუკნას მაგრად მოსდე, როგორ მოახერხე, ამას ხომ სიზმარშიც ვერ წარმოვიდგენდი! ყოჩაღ, რაინჰოლდხენ, რაინჰოლდხენ! ოჰ, რა ბედნიერი და კმაყოფილი იყო! ლოყებზე ხელიც კი ჩამოისვა.

მერე ჩაფიქრდა: იქნებ ტრუდე აქედან მე კი არა, ვინმემ სხვამ გააგდო, მაგალითად, ფრანცმა?

საღამოსა და ღამის მოვლენებს ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებს. საკუთარ თავს ვერ ენდობა. ამიტომ დიასახლისს, იმ ბებერ მაჭანკალს უძახის და შეკითხვებს დიდი სიფრთხილით უსვამს.

- დღეს რა, ჩემთან დიდი ჩხუბი იყო?

დიასახლისმაც გუდას პირი მოხსნა და ყველაფერი მაშინვე დაფქვა: დიახ, იმ ტრუდეს, ნამდვილ ზარმაც ძროხას, ეგრე მოუხდება, იცით, კაბის ქვეშ ჩასაცმელი ქვედაკაბის გაუთოებაც კი არ უნდოდა! რა, ტრუდე შიგნით ქვედაკაბას იცვამდა? ესღა მაკლდა. მაშასადამე, ქალი ნამდვილად მან გააგდო. ბედნიერებისგან რაინჰოლდმა თავი მეშვიდე ცაზე იგრძნო. და უცებ ყველაფერი გაახსენდა, რაც კი გუშინ საღამოს და ღამით მოხდა. უჰ, მშვენიერი გასეირნება იყო, იქიდან ბევრი რამ წამოიღეს, თანაც, ის მსუქანი ღორი, ფრანც ბიბერკოპფი, მანქანიდან მოისროლეს, გამყიდველი, რაც დაიმსახურა, ის მიიღო. იმედია, იმ მანქანამ, ზედ რომ გადაუარა, სული გააფრთხობინა. და თანაც ტრუდე გააგდო, აი, მესმის, უკეთეს ბალანსს ადამიანი ვერც ინატრებდა.

ესეც ასე! ახლა რა ვქნათ? უპირველეს ყოვლისა, საღამოსთვის თავი მოვიწესრიგოთ. აბა, ახლა მითხრას ვინმემ, არაყზე აუგი. რა სულელი ვიყავი აქამდე, არაყს რომ არ ვსვამდი! ეს სასმელი გამბედაობას მმატებს, უმაგისოდ ამ გმირულ საქმეებს ხომ ვერ ჩავიდენდი!

ის-ის იყო ჩაცმა დაიწყო, რომ კარი პუმსის გამოგზავნილმა ბიჭმა შემოაღო, ჩურჩულით, მანჭვა- გრეხით და თვალების აქეთ-იქით ცეცებით რაინჰოლდს დანაბარები გადასცა: პუმსი გიბარებთ, დაუყოვნებლივ ქუჩის მეორე მხარეს მდებარე ლუდხანაში უნდა მიხვიდეთო. არადა, რაინჰოლდი სახლიდან მხოლოდ ერთი საათის შემდეგ გავიდა. დღეს ქალების დღეა. პუმსმა თავისი საქმეები თავად მოაგვაროს. ლუდხანაში ბიჭებს კი შიშისაგან მუხლები უკანკალებთ. რაინჰოლდმა მათ მაგრად უმუხთლა. ბიბერკოპფის მანქანიდან გადაგდება მაინც რაში დასჭირდა. რა მოხდება, თუკი გადარჩა? ალბათ, ყველას ჩაუშვებს! და თუ მოკვდა? რას ამბობ, ადამიანო, მაშინ საქმე უფრო ცუდად არის, ყველას ერთ ადგილას გვიკრავენ თავს! ბიჭებმა იმ სახლში, სადაც ბიბერკოპფი ცხოვრობდა, ფარულად ცნობების შეკრება დაიწყეს.

რაინჰოლდი კი ბედნიერია. ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად. იგი პერანგში დაიბადა და არაფერი შეემთხვევა. რაც თავი ახსოვს, მის ცხოვრებაში ეს უბედნიერესი დღეა. ახლა იცის, რომ ამქვეყნად არაყი არსებობს და მისი წყალობით ნებისმიერ ქალს საწოლში უპრობლემოდ ჩაიგორებს, მობეზრდება და გააგდებს. იხმარს და მოიშორებს, ეს ხომ დიდებულია. და სწორედ ახლა, თავისი ფიქრების პრაქტიკულად განხორციელება გადაწყვიტა, მაგრამ პუმსის საძმომ არ გაუშვა, ვიდრე პირობა არ დაადებინეს, რომ რამდენიმე დღეს მათთან ერთად პუმსის ბუნაგში, ვაისენზეეში გაატარებდა და გარეთ ცხვირსაც არ გამოყოფდა. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გაიგონ, ფრანცს რა მოუვიდა და მომხდარის გამო რა ელით. რაინჰოლდს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და დაეთანხმა.

მაგრამ იმავე ღამეს ყველაფერი დაავიწყდა და აიწყვიტა. არადა, არც არაფერი შემთხვევია. ბიჭები კი ვაისენზეეში, პუმსის ბუნაგში ისხდნენ და შიშისგან კანკალებდნენ. მეორე დღეს ფარულად შინ შეუარეს, მისი წაყვანა უნდოდათ, მაგრამ რაინჰოლდმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, წასვლაზე სასტიკი უარი თქვა, ვინმე კარლასკენ მიუწევდა გული, რომელიც გუშინ აღმოაჩინა.

და რაინჰოლდი მართალი აღმოჩნდა, ფრანც ბიბერკოპფზე არაფერი ისმოდა, თითქოს ეს კაცი მიწამ ჩაყლაპა. გაქრა ადამიანი, აორთქლდა. გაქრა და მადლობა ღმერთს. დამალულები ისევ დღის სინათლეზე გამოძვრნენ და კმაყოფილები სახლებში წავიდ-წამოვიდნენ.

რაინჰოლდს კი თავის ბინაში ნადიმი აქვს. ის ვინმე კარლა, თოვლივით ქათქათა და ქერათმიანი, მოვიდა და თან სამი ბოთლი არაყი მოიტანა. რაინჰოლდი არაყს წრუპავს, სამაგიეროდ, კარლა სვამს ხელაღებით. იგი კი ფიქრობს: „სვი, ლამაზო, სვი, მე კი მაშინ შევსვამ, როცა ჩემი დრო დადგება, და ეს შენთან დამშვიდობების დრო იქნება - ადიუ, ძვირფასო“.

ალბათ, მკითხველთაგან მავანს და მავანს ცილის ბედი აღელვებთ. რა ეშველება საწყალ გოგონას, თუ ფრანცი არ დაბრუნდება, ან თუ ცოცხლებს შორის აღარ არის, მინდა ისინი დავამშვიდო. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ცილი არ დაიკარგება. ის იმ ქალების კატეგორიას ეკუთვნის, რომლებიც კატების მსგავსად ყოველთვის ფეხებით ეცემიან. ცილის ორი დღის სამყოფი ფული ჯერ კიდევ ჰქონდა, ხოლო სამშაბათს კი,

როგორც მოსალოდნელი იყო, ქუჩაში რაინჰოლდს შეხვდა; დიახ, ნუ გაგიკვირდებათ, სწორედ რაინჰოლდს, ალექსზე ყველაზე პეწიან ნაძირალას. ნამდვილ აბრეშუმის პერანგში გამოწკეპილი რაინჰოლდი ალექსზე მახეში მორიგი მსხვერპლის გასაბმელად გახლდათ გამოსული. ცილი შეძრწუნებული იყო იმ ბუნდოვანი გრძნობით, რომელიც ამ კაცისადმი ჰქონდა. ვერ ხვდებოდა, ისევ შეუყვარდა თუ შურისძიების სურვილი აწვალებდა.

ქალი შილერის პერსონაჟივით ლაბადის ქვეშ სატევარს მალავს, თუმცაღა, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ შემთხვევაში ეს სატევარი კი არა, სამზარეულოს დანაა, მაგრამ არა უშავს, ქალი რაინჰოლდს ამ დანას სადაც მოუხდება, იქ ჩასცხებს და უნამუსობისა და სისაძაგლისთვის სიცოცხლეს გამოასალმებს. და აი, ცილი რაინჰოლდის სახლის წინ დგას, კაცი ელაპარაკება, პირდაპირ თავაზიანობის განსახიერებაა, ორი წითელი ვარდი, ცივი, მოკრძალებული ამბორი... კეთილი, ფიქრობს ცილი, თუნდაც ხვალამდე ილაქლაქე, დანას მაინც გაგიყრი! მაგრამ, სად? სხეულის რომელ ნაწილში? ეს საკითხი ქალს ძალიან აღელვებს, მართლაცდა, დანით ასეთი ძვირფასი კოსტიუმის გაჭრა ხომ არ შეიძლება, აფსუსია, კოსტიუმი, თანაც როგორ უხდება! ალექსზე გაიარეს, ცილი გვერდით მიჰყვება, ქუსლებს მიაბაკუნებს. მერე კი, არც აცივა, არც აცხელა, პირდაპირ ჰკითხა, ჩემი ფრანცი შენ ხომ არ გადაიბირე? რას ნიშნავს გადავიბირე? - გაიკვირვა რაინჰოლდმა. რას და, ფრანცი ორიოდე დღის წინ სახლიდან გავიდა და დაიკარგა, შინ ჯერაც არ დაბრუნებულა, ხომ არ იცი, რა დაემართა? თანაც, უცნაური დამთხვევაა, მისგან ამ დღეებში ტრუდეც წავიდა. აქ უკვე ყველაფერი დღესავით ნათელია, რაინჰოლდმა რა ზღაპრებიც უნდა უამბოს, არაფერს დაუჯერებს, ეს უკვე მეტისმეტია.

რაინჰოლდს უკვირს, ცილიმ ეს ამბები ასე მალე როგორ გაიგო? როგორ და მის დიასახლისთან იყო და ქალმაც დაწვრილებით უამბო, ტრუდემ და რაინჰოლდმა როგორ სასტიკად იჩხუბეს. და ცილი რაინჰოლდის ლანძღვას მოჰყვა, ამით გაგულადება უნდოდა, სახუმარო საქმე ხომ არ იყო, ამ კაცისთვის დანის ჩაცემას აპირებდა! უყვიროდა, ნაგავი ხარ, არამზადა, ახლა, ალბათ, სხვა ქალს ეკურკურები, თვალებში გატყობო.

მაგრამ ბრმა არც რაინჰოლდია. შეუიარაღებელი თვალითაც ხედავს: 1. ცილის ფული არა აქვს, 2. ფრანცზე გაბრაზებულია და 3. მას ეს წარმოსადეგი მამაკაცი, რაინჰოლდი, დღემდე უყვარს. ეს არც უკვირს, ასეთ კოსტიუმში გამოწყობილი მამაკაცის წინაშე ხომ ყველა ქალი უძლურია. მით უმეტეს, როცა ეს განმეორებით ხდება, ანუ ეგრეთ წოდებული რეპრიზაა. ქალების გულთამპყრობელმა რაინჰოლდმა ცილის სამივე მოთხოვნა დააკმაყოფილა: 1. ჯიბეზე ხელი გაიკრა და ათი მარკა მისცა, 2. ფრანც ბიბერკოპფი გალანძღა. მეც მაინტერესებს ეგ რეგვენი სად დაეთრევაო (ეს ისე თქვა,

სინდისის ქენჯნაც არ უგრძნია! ორესტე და კლიტემნესტრა? აბა, რას ბრძანებთ, რაინჰოლდს მათი სახელებიც კი არ სმენია). წარმოდგენა არა აქვს, ეგ ქალბატონი და ბატონი ვინ არიან. მას მხოლოდ ის უნდა მთელი გულით და სულით, რომ ფრანცი მკვდარი იყოს და გვამი მისი პოლიციამ ვერ ამოიცნოს. დიახ, წარმოდგენა ცილისაც არა აქვს, სად გაუჩინარდა ფრანცი. ეტყობა, წასულია მისი საქმე, ეს უკვე რაინჰოლდმა გაიფიქრა და გული ოდნავ აუჩუყდა კიდევაც. და მესამე მოთხოვნაზე გადავიდა: ურთიერთობის აღდგენაზე. ამბობს:

- ახლა ადგილი დაკავებულია, მაგრამ მაისში შეგიძლია ჩემთან
გადმოხვიდე. ცილი შეიცხადებს;
- შენ რა, გაგიჟდი! - ეს ისე, მოსაჩვენებლად, თორემ გულში გაუხარდა, ყურებს არ უჯერებდა. რაინჰოლდი გაიკრიჭა:
- ჰო, გავგიჟდი!

ჩემთვის შეუძლებელი არაფერია, ქალს დაემშვიდობა და გზა გააგრძელა, ცილი კი: რაინჰოლდ, ოჰ, რაინჰოლდ, ჩემო ძვირფასო, ჩემო რაინდო, ჩემო რაინჰოლდ, შენ მიყვარხარ, მხოლოდ შენ.

რაინჰოლდი კი თითოეული ლუდხანისა და კაფეს წინ ჩერდებოდა და შემოქმედს მადლობას სწირავდა, რომ ამქვეყნად სპირტიანი სასმელები არსებობდა. და უცებ შეშინდა: რა მოხდება, გერმანიაში ერთ მშვენიერ დღეს „მშრალი კანონი“ რომ შემოიღონ და ყველა ლუდხანა, კაფე თუ ბარი დახურონ? მაშინ რას იზამს?

ყოველი შემთხვევისათვის სასმელი უნდა მოვიმარაგო, გადაწყვიტა. შედის მაღაზიაში, „მაინც რა მოხერხებული ვინმე ვარ“, - ფიქრობს რაინჰოლდი და თან ეტიკეტებს ათვალიერებს. ახლა დარწმუნებულია, თუ საჭირო იქნება, მას არა მხოლოდ დიდი, არამედ შუა ტვინიც გაუაქტიურდება.

ასე და ამგვარად, რაინჰოლდისთვის მკვლელობის ღამემაც და ორშაბათმაც მშვიდობიანად ჩაიარა, ექსცესების გარეშე. და თუ ვინმეს დაებადება კითხვა: ამქვეყნად სამართალი არ არსებობს? პირდაპირ გეტყვით, - ჯერჯერობით არა, ყოველ შემთხვევაში, სამართალს ამ პარასკევამდე ეძინა.

კვირა ღამით, ორშაბათი, 9 აპრილი

უგონო ფრანცი დიდ მსუბუქ მანქანაში ფრთხილად ჩააწვინეს. მკლავში ქაფური და მორფინი შეუშხაპუნეს. ორ საათში მანქანა უკვე მაგდებურგში გავიდა და ეკლესიის წინ, მოედანზე გაჩერდა. ორმა მამაკაცმა, ვინც ფრანცი იქ მიიყვანა, ადგილობრივი კლინიკის კარი ბრახუნით ლამის ჩამოიღო. დაშავებულს ოპერაცია იმ ღამესვე გაუკეთეს. მარჯვენა ხელი წინამხართან მოჰკვეთეს, იქიდან ძვლის ნამსხვრევები ამოიღეს. გულმკერდისა და მარჯვენა ბარძაყის დაჟეჟილობა უმნიშვნელო აღმოჩნდა, ხოლო შიდა ორგანოების დაზიანებას ექიმები არ გამორიცხავდნენ, მაგალითად, ღვიძლის გასკდომას. მაგრამ უნდა დავიცადოთო, განაცხადეს.

- სისხლი ბევრი დაკარგა, სად იპოვეთ?

- X-შოსეზე. მისი მოტოციკლეტიც იქ ეგდო. ეტყობა, მანქანა უკნიდან დაეჯახა.

- მანქანა არ დაგინახავთ?

- არა, გზაზე დაგდებული ვიპოვეთ. ამ უბედურ შემთხვევამდე ცოტა ხნით ადრე კი ერთმანეთს X-

ზე დავშორდით, მაგან მარცხნივ გაუხვია.

- ჰო, იქ საშიში ადგილია და ძალიან ბნელა!

- დიახ, დიახ, ეს ამბავი სწორედ იქ მოხდა.

- ბატონებო, თქვენ აქ დარჩებით?

- დიახ, რამდენიმე დღე დავრჩებით. ეს კაცი ჩემი ქვისლია, მისი ცოლი კი დღეს ან ხვალ ჩამოვა. ჩვენ კი აქვე, მეორე მხარეს, სასტუმროში გავჩერდებით, იმ შემთხვევისთვის, თუ რამე დასჭირდება.

ერთ-ერთი კაცი საოპერაციოს კართან ექიმს კიდევ ერთხელ მიუბრუნდა:

- რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცუდია, მაგრამ ჩვენ ამ საქმის გახმაურება არ გვინდა, გთხოვთ, არსად არაფერი განაცხადოთ. გვინდა დავიცადოთ, სანამ ავადმყოფი გონს მოვა, გავიგოთ, ამაზე თავად რას ფიქრობს. სასამართლო პროცესების მოყვარული ნამდვილად არ არის. იცით, ოდესღაც ერთ კაცს ეგეც დაეჯახა და მას შემდეგ ნერვები წესრიგში არა აქვს.

- როგორც ინებებთ.

- ჯერ გამოჯანმრთელდეს და მერე ვნახოთ.

ორშაბათი, დილის 11 საათი: ფრანცს ნაოპერაციები გადაუხვიეს. ამ უბედურების თანამონაწილენი, მათ შორის - რაინჰოლდიც, ვაისენზეეში, პუმსის ქურდების ბუნაგში, მაგრად ნასვამები, დროს ატარებენ. ფრანცი გონს მოვიდა, სუფთა საწოლში წევს, ნათელ პალატაში, გულმკერდი მჭიდროდ, შიშის მომგვრელად აქვს გადახვეული. მომვლელ ქალს ეკითხება: სადა ვარ? ქალი უამბობს იმას, რაც მორიგე დამ უთხრა და რასაც სხვებისგან მოჰკრა ყური. ფრანცს ცნობიერება სრულად დაუბრუნდა: ყველაფერი ესმის, ყველაფერს ხედავს, მარჯვენა მკერდის მოსინჯვას ცდილობს. მაგრამ მომვლელი მის მარცხენა ხელს იღებს და საბანზე დებს: მოძრაობა არ შეიძლება! ჰო, ახსოვს, ქვაფენილზე ტალახში ეგდო, სახელოდან კი სისხლი ასხამდა, ამას კარგად გრძნობდა, მის ირგვლივ კი ადამიანები იდგნენ, და იმ მომენტში თითქოს გონება გაუნათდა. მიხვდა, რაც უნდა გაეკეთებინა, გადაწყვეტილება მიიღო. ბიულოვპლაცზე მდებარე სახლის ეზოში ხელებზე რაინჰოლდის მძიმე დარტყმები წონასწორობას აკარგვინებდა, მის ქვეშ კი მიწა ირყეოდა, ვეღარ აზროვნებდა.

მერე კი, მანქანაში რომ იჯდა, მიწა მაშინაც ირყეოდა, თუმცა, ძალიან ცდილობდა, ეს არ შეემჩნია, მაგრამ ის მაინც ირყეოდა.

ხუთი წუთის შემდეგ კი, როცა ქუჩაში ტალახში ეგდო, მის ტვინში რაღაც შეინძრა. აზრები თითქოს ღამის წყვდიადიდან ამოტივტივდნენ, ახმაურდნენ, აწკრიალდნენ. ფრანცი გაქვავდა, მიხვდა, რომ მანქანამ გადაუარა, მაგრამ შიში არ უგრძნია, არც აღელვებულა. რა, ბოლო მოეღო? სიცოცხლე დამთავრდა? ეტყობა, ასეა! არადა, მაშინვე მტკიცედ და გასაგებად თქვა, სად უნდა წაეყვანათ. ეტყობა, ჩემი საქმე წასულია, მაშინ საიქიოს გაუმარჯოს, მაგრამ არა, მე ვიცოცხლებ! შარვლის აჭიმი მარჯვენა ხელზე გადაიკრა, ისე, რომ არ ემოძრავა. მერე მისი წაყვანა პანკოვის საავადმყოფოში დააპირეს. ფრანცი კი ყველა მათ მოძრაობას მონადირე ძაღლივით აკვირდებოდა: არა, საავადმყოფოში არა, და მისამართი თქვა. რა მისამართი? ელზასერშტრასე, ჰერბერტ ვიშოვი, მისი სიყრმის მეგობარი, უფრო სწორად მასთან ტეგელში მოხვედრამდე მეგობრობდა! ზუსტი მისამართი თქვა. დიახ, გაახსენდა, როცა ქუჩაში ტალახში ეგდო, - აზრი სიბნელიდან ამოტივტივდა, ახმაურდა... ამ დროს გონება გაუნათდა და ზუსტად იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა.

ოღონდ არ დამეძინოს, იმედია, ჰერბერტი სადაც ცხოვრობდა, ისევ იქ ცხოვრობს და სახლში

დამხვდება. ადამიანები, რომლებმაც ფრანცი წამოიყვანეს, ელზასერშტრასეზე მდებარე ლუდხანაში შეცვივდნენ. და ჰერბერტ ვიშოვი იკითხეს. ერთ-ერთი მაგიდიდან წამოდგა, მაღალი, ახალგაზრდა კაცი, რომელიც იქ ლამაზ, შავგვრემან ქალთან ერთად იჯდა. რა მოხდა, რა, გარეთ, მანქანაში? ფრანცი? და კაცი მოსულებთან ერთად გარეთ გავარდა, შავგვრემანი ქალიც ფეხდაფეხ მიჰყვა, და ლუდხანის სტუმრების ნახევარიც. ფრანცმა იცის, ახლა მასთან ვინც მოვა. მან დრო დაამარცხა.

ფრანცი და ჰერბერტი ერთმანეთს მეგობრულად მიესალმნენ, ფრანცმა მას ყურში რამდენიმე სიტყვა წასჩურჩულა. მოსეირეებმა გზა დაუთმეს და ფრანცი ლუდხანაში ბარის უკანა ოთახში გადაიყვანეს, საწოლზე დააწვინეს, ექიმი მოუყვანეს. ევა, ლამაზი, შავგვრემანი, შინ ფულის მოსატანად გაიქცა. ფრანცი დაბანეს, ტანსაცმელი გამოუცვალეს, ერთი საათის შემდეგ კი მას უკვე მანქანით ბერლინიდან მაგდებურგში მიაქროლებდნენ.

შუადღეს ჰერბერტი ფრანცთან პალატაში რამდენიმე წუთით შეუშვეს. ჰერბერტმა უთხრა, რომ მიემგზავრება, მაგრამ ფრანცი ნუ იდარდებს, ერთ კვირაში დაბრუნდება და კლინიკიდან გაიყვანს. ევა კი ჯერჯერობით მაგდებურგში დარჩება.

წევს ფრანცი, გაუნძრევლად, ცდილობს, თავი ხელში აიყვანოს, ის, რაც მოხდა, არ გაიხსენოს! არა, ღმერთო ჩემო! და მხოლოდ მაშინ, როცა ორ საათზე მოწყალების დამ უთხრა, თქვენი მეუღლე ჩამობრძანდაო და ევა პალატაში ხელში ტიტების თაიგულით შევიდა, კაცი აქვითინდა. ევამ ატირებულს ცრემლები პირსახოცით შეუმშრალა. ფრანცი კი გამშრალ ტუჩებს ილოკავს, თვალებს ხუჭავს, კბილს კბილზე აჭერს, მაგრამ ყბა მაინც უკანკალებს, ცრემლებს ვერ იკავებს. და ფრანცის ქვითინი მორიგე დას რომ მოესმა, პალატის კარზე დააკაკუნა და ევას სთხოვა, წამობრძანდითო. „ეტყობა, ამ შეხვედრამ ავადმყოფი ძალიან ააღელვა!“

მეორე დღეს ფრანცი დამშვიდდა და ევას ღიმილით შეხვდა. ორი კვირის შემდეგ კი კლინიკიდან გაიყვანეს. და ახლა ისევ ბერლინშია. როცა მანქანა ელზასერშტრასეზე გავიდა, ფრანცს ყელში გორგალი მოაწვა, მაგრამ საქმე ცრემლებამდე არ მისულა. გაახსენდა ბოლო კვირადღე, ოთახში სადილის შემდეგ ცილისთან ერთად რომ იყო, ზარები კი რეკავდნენ და რეკავდნენ. ახლა კი მე აქ ვიცხოვრებ, აქ რაღაც მელოდება,

ბედმა აქ გადმომისროლა და აქ რაღაცა მოხდება. ამაში ფრანცი დარწმუნებული იყო და როცა მანქანიდან გადმოჰყავდათ, საკაცეზე მშვიდად იწვა.

აქ საქმე მექნება, აქ რაღაც მოხდება, ფრანც ბიბერკოპფი არ ვიყო, თუ უკან დავიხიო. ასე ფიქრობდა ფრანცი, როცა საკაცით კიბეზე აჰყავდათ და მერე მისი მეგობრის, ჰერბერტ ვიშოვის ბინაში შეჰყავდათ. იმ ვიშოვის, რომელიც საკუთარ თავს მაკლერს უწოდებდა. ეს იყო ის მტკიცე რწმენა, რომელიც მასში ავტომობილიდან გადმოვარდნის შემდეგ იშვა.

დღეს სასაკლაოზე შემოიყვანეს: ღორი - **11543**, მსხვილფეხა რქოსანი საქონელი - **2016**, ხბო - **920**,
ცხვარი - **14450**. დარტყმა, ხრრრ და ფეხები გაჭიმეს.

ღორებს, ხარებს, ხბორებს კლავენ. ოდითგანვე ასეა დაწესებული. ამაზე ლაპარაკი არ ღირს: ვილაპარაკოთ იმაზე, ჩვენ, ადამიანებს, როგორ გვექცევიან!

ევა ფრანცის საწოლთან ზის, ვიშოვი კი უკვე მერამდენეჯერ მიდის და დაჟინებით ეკითხება:

- ეს როგორ მოხდა, ადამიანო, ვინ გააკეთა ასეთი რამ?

ფრანცი კი კრინტს არ ძრავს. რკინის კედელი აღმართა და თავისთან არავის უშვებს.

ევა, ჰერბერტი და მისი მეგობარი ემილი მაგიდასთან სხედან და ფრანცზე ლაპარაკობენ. მას შემდეგ, რაც იგი კატასტროფის შემდეგ თავიანთ ბინაში მოიყვანეს, მათთვის მომხდარი ჯერ კიდევ ბურუსით არის მოცული. ბიბერკოპფი არაფერს ამბობს, მაგრამ ცხადია, მანქანა ისე, უბრალოდ არ დასჯახებია. არა, აქ საქმე რაღაცა სხვაშია. საინტერესოა, ღამის ათ საათზე, ასე გვიან, ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში რას დაეხეტებოდა, როცა იქ, ქუჩებში, ძეხორციელს ვერ შეხვდები, დარწმუნებული ვარ, გაზეთებს არ ყიდდა. ჰერბერტი კი ისევ თავისას იმეორებს: ეტყობა, ფრანცი იქ რაღაც საქმეზე წავიდა და მანქანაც მაშინ დაეჯახა, ახლა კი აღიარება იმისა, რომ მხოლოდ გაზეთების გაყიდვით თავს ვერ ირჩენდა, რცხვენია. და თანაც ამ საქმეში სხვებიც არიან გარეული, ვისი ჩაშვებაც არ უნდა. ევა ჰერბერტს ეთანხმება, ჰო, რაღაც საქმეზე წავიდა, მაგრამ ამ საზიზღარ ისტორიაში როგორ გაება? რა უბედურებაა, ახლა მთელი ცხოვრება ხეიბარი იქნება. არა უშავს, ადრე თუ გვიან, ყველაფერს გავიგებთ.

ამ საიდუმლოებით მოცულ ამბავს ფარდა ნაწილობრივ მაშინ აეხადა, როცა ფრანცმა ევას თავისი ბოლო მისამართი მისცა, იქიდან თავისი კალათის მოტანა სთხოვა და დაამატა, დიასახლისს ჩემი ადგილსამყოფლის შესახებ არაფერი უთხრაო. ჰერბერტმა და ემილმა ამ შემთხვევით ისარგებლეს

და დიასახლისთან წავიდნენ. ქალი ფრანცის კალათის მიცემაზე ჯერ სასტიკ უარს ამბობდა, მაგრამ, როცა ჰერბერტმა ხუთი მარკა მისცა, მრისხანება წყალობად შეცვალა, მხოლოდ ის წაიბურტყუნა, რომ დაიღალა იმ ადამიანების მიღება-გაცილებით, რომლებიც აქ მოდიან და ფრანცის ამბავს კითხულობენო. მაინც ვინ? ვინ და პუმსი, რაინჰოლდი და კიდევ ბევრი სხვა. აი, თურმე რა! პუმსი! მაშასადამე, მათ უკვე იციან, რომ ეს პუმსია თავისი ბანდით. ევა გაბრაზებულია, ჰერბერტი კი გაცოფებული: თუ ისევ ძველ საქმიანობას დაუბრუნდა, რატომ პუმსთან ერთად? ხოლო, როგორც კი უბედურება შეემთხვა, მაშინვე ჩვენ გავახსენდით. ახლა რა უნდა უთხრას ხეიბარს, ნახევრად გვამს, თორემ იგი, ჰერბერტი, ფრანცს სხვანაირად დაელაპარაკებოდა.

ჰერბერტმა ფრანცთან გულახდილად, პირისპირ დალაპარაკება გადაწყვიტა. ხუმრობა ხომ არ არის, ეს ამბავი ათასი მარკა დაუჯდა. ფრანცთან სამივენი შევიდნენ, ემილიც იქ იყო, და ევამაც ოთახში შესვლის უფლება ჰერბერტთან დიდი ხვეწნის შემდეგ მოიპოვა.

- აბა, ფრანც, - საუბარი ჰერბერტმა დაიწყო, - ლამის გამოჯანმრთელდი, მალე ადგები და მომავალში როგორ იცხოვრებ, ამაზე თუ გიფიქრია?

ფრანცმა ჰერბერტისკენ გაუპარსავი სახე მიატრიალა:

- მაცალე, ჯერ ფეხზე დავდგე.

- არ იფიქრო,რომ სახლიდან გაგდებ! მაინტერესებს მხოლოდ, აქამდე ჩვენთან რატომ არ მოდიოდი? ტეგელიდან ხომ უკვე ერთი წელია, რაც გამოხვედი.

- არა, ნაკლები.

- დავუშვათ, ნახევარი წელია. აქამდე რატომ არ მოგვინახულე? იქნებ ჩვენი ნახვა არ გინდოდა?

სახლები, სახლები, დაცურებული სახურავები, ღრმა, ბნელი ეზო, ისმის მოწოდება, ჭექა-ქუხილის მსგავსი, იუვივალერალარა, ყველაფერი აქედან დაიწყო.

ფრანცი ზურგზე დაწვა, ჭერს მიაშტერდა.

- მე ხომ მხოლოდ გაზეთებს ვყიდდი, აბა, რაში

გჭირდებოდით? ემილს მოთმინების ძაფი გაუწყდა და

იღრიალა:

- ტყუი, გაზეთებს არ ყიდდი, თავს სულელად ნუ გვაჩვენებ!

ევა ემილს ამშვიდებს. ფრანცი კი მიხვდა, რომ ეს ლაპარაკი ამაოდ არ წამოუწყიათ, რაღაცა იციან, მაგრამ რა?

- გეუბნებით, გაზეთებს ვყიდდი. მექს

ჰკითხეთ. ვიშოვი:

- წინასწარ ვიცი, შენი მექი რასაც იტყვის, რომ გაზეთებს ყიდდი. კარგი რა, აგე, პუმსის ბიჭებიც ამბობენ, რომ ხილითა და თევზით ვაჭრობენ, მაგრამ რითიც ვაჭრობენ, ეგ ჩემზე უკეთესად იცი.

- მაგრამ მე არა, მე გაზეთებით ვვაჭრობ. პურის ფულს ამით ვშოულობ. თუ გინდათ, ცილის ჰკითხეთ, ის მთელი დღეები სახლში იჯდა, გეტყვით, რასაც ვაკეთებდი.

- რამდენს შოულობდი, დღეში ორ მარკას?

- ხანდახან მეტსაც, ჰერბერტ, მე მყოფნიდა.

ამ სამმა არ იცოდა, რა ეფიქრა. ევა ფრანცს მიუჯდა:

- მითხარი, ფრანც, პუმსს ხომ იცნობ?

- ვიცნობ.

რაც უნდათ, ის ჰკითხონ, ფრანცისთვის სულერთია. მთავარია, ცოცხალია.

- ჰოდა, გვიამბე, პუმსთან რა ურთიერთობა გქონდა, - და ამ დროს ევა ავადმყოფს ხელზე ეფერება.

- ყველაფერი დაწვრილებით მოგვიყევი, - უცებ აფეთქდა ჰერბერტი.

- კარგად ვიცი, პუმსთან რაც გაკავშირებდა. ისიც ვიცი, იმ ღამით სად გაემგზავრეთ. გეგონა, არ ვიცოდი? საქმეზე წახვედით. მაგრამ ეს მე არ მეხება. ეს შენი საქმეა. მაგრამ როგორ მოხდა, რომ საქმეებში იმ ბებერ არამზადასთან გადიხარ, ჩვენთან კი ერთხელაც არ გამოჩენილხარ.

ემილი ბუზღუნებს:

- მაშინ გავახსენდით, როცა გაუჭირდა...

ჰერბერტმა ემილს რაღაც ანიშნა და ისიც მაშინვე გაჩუმდა. ფრანცი კი ატირდა, ისე ხმამაღლა არა, როგორც კლინიკაში, მაგრამ ცრემლები ღვარად სდის. სლუკუნებს, სულს ძლივს ითქვამს, ბალიშზე თავს აქეთ-იქით იქნევს: თავში ჩაარტყეს, წააქციეს, გაქანებული მანქანიდან გადმოაგდეს, მერე სხვა მანქანამ გადაუარა, მკლავი მოჰკვეთეს, ინვალიდია. ჰერბერტი და ემილი ოთახიდან გადიან. ფრანცი კი ისევ ტირის, ევა პირსახოცით ცრემლებს უმშრალებს. როგორც იქნა, ტირილს წყვეტს და კარგა ხანს თვალდახუჭული უმოძრაოდ წევს. ის იყო, ევამ იფიქრა, ფრანცმა დაიძინაო, კაცმა თვალები გაახილა და თქვა:

- პატივი დამდე და ჰერბერტსა და ემილს

დაუძახე, კაცები თავდახრილნი შემოდიან და

ფრანცი ეკითხება:

- პუმსზე რა იცით? საერთოდ, ამ კაცს იცნობთ თუ არა?

ამ ორმა ერთმანეთს დაბნეულმა გადახედა. ვერაფერი გაიგეს. ევამ ფრანცს ხელზე ხელი მოუთათუნა:

- იმ პუმსს შენც ხომ იცნობ, ფრანც.

- არა, ყველაფერი მითხარით, რაც იმ კაცზე იცით.

- ვიცით, რომ არამზადაა, - პასუხობს ემილი, - და რომ ხუთი წელი ზონენბურგის ციხეში იჯდა, თუმცაღა თხუთმეტ წელს ან სულაც სამუდამო პატიმრობას იმსახურებდა. ვიცით, ეგ თაღლითი რა ხილითაც ვაჭრობს.

- ეგ ხილით არ ვაჭრობს, - ამოილუღლუღა ფრანცმა.

- არა, უფრო საქონლის ხორცი ურჩევნია.

- ფრანც, - თქვა ჰერბერტმა, - ციდან ხომ არ ჩამოვარდნილხარ, როგორ ვერ მიხვდი, პუმსი რა ჩიტიც არის.

- მეგონა, მართლა ხილით ვაჭრობდა.

- იმ კვირას მაგათ რატომ წაჰყევი?

- მითხრეს, ხილის წამოსაღებად მივდივართო, მერე კი ბაზარში მივიტანთო. ფრანცი მშვიდად წევს. ჰერბერტი დაიხრება და სახეში შეხედავს:

- და მათი ნათქვამი დაიჯერე?

ფრანცი ისევ ატირდა. ამჯერად თითქმის უხმოდ, პირმოკუმული ტიროდა. ჰოდა, იმ დღეს კიბეზე ჩამოდიოდა, სადარბაზოში ვიღაც შერეკილი შეხვდა, რომელიც ბლოკნოტში სულ სხვადასხვა მისამართს ეძებდა. მერე პუმსთან სახლში მივიდა და მის ცოლს ცილისთვის წერილი გადასცა.

- რა თქმა უნდა, დავიჯერე. მხოლოდ მაშინ მივხვდი ყველაფერს, როცა ზექსზე დამაყენეს და მერე...

იმ სამმა ერთმანეთს დაბნეულმა გადახედა. როგორც ჩანს, ფრანცი სიმართლეს ამბობს, მაგრამ დაუჯერებელი ამბავია. ევა ავადმყოფის ხელს ისევ შეეხო.

- მერე რა მოხდა?

კმარა დუმილი, ყველაფერს ვიტყვი! სიმართლე ყველამ უნდა გაიგოს.

- მერე იქიდან წამოსვლა მინდოდა, მაგრამ სხეული ისე მქონდა გაქვავებული, ადგილიდან ვერ დავძარი. მერე კი მანქანიდან გადმომაგდეს, რადგან სხვა მანქანა დაგვედევნა.

კიდევ რა მოხდა? მანქანიდან გადმოგდებულს მდევრის მანქანამ გადაუარა, თვითონაც უკვირს, ცოცხალი როგორ გადარჩა! მათ ხომ მისი მოშორება უნდოდათ. სასიკვდილოდ გაწირეს. ფრანცმა ტირილი შეწყვიტა, პირი მოკუმა და ფეხები გაჭიმა.

როგორც იქნა, სათქმელი ამოთქვა, ახლა ამ სამმა ყველაფერი იცის. დარწმუნდნენ ფრანცის სიმართლეში. არის მომკელი, მას სიკვდილი ჰქვია, ღვთისგან მას დიდი ძალაუფლება აქვს მინიჭებული. ჰერბერტმა კიდევ ერთი შეკითხვა დაუსვა:

- აი, რა მითხარი, ფრანც, და წავალთ: ჩვენთან იმიტომ არ მოდიოდი, რომ გაზეთებით ვაჭრობა გინდოდა?

მაგრამ ფრანცს ლაპარაკის ძალა არ ჰქონდა. გაიფიქრა მხოლოდ: ჰო, პატიოსნად ცხოვრება მინდოდა და ბოლომდე პატიოსან ადამიანად დავრჩი. და თქვენთან რომ არ მოვდიოდი, ამაზე ნუ გაბრაზდებით. თქვენ ყოველთვის ჩემი მეგობრები იყავით და დღესაც ჩემი მეგობრები ხართ. თქვენთვის არასოდეს მიღალატია და არ ჩამიშვიხართ. კაცებს პასუხისთვის არ დაუცდიათ, ოთახიდან ფეხაკრეფით ისე გავიდნენ.

მერე ფრანცმა ძილის წამალი დალია და ისევ დაიძინა. ეს სამნი კი ქვემოთ, ლუდხანაში ჩადიან. ჩაფიქრებული სხედან, ერთმანეთს არც კი უყურებენ. ევა კი კანკალმა აიტანა. ევას ფრანცი ჯერ კიდევ მაშინ მოსწონდა, როცა მას რომანი იდასთან ჰქონდა. მაგრამ მაშინ ფრანცმა იდა არ მიატოვა, თუმცაღა, ამ უკანასკნელს უკვე ბრესლაველი ბიჭისკენ გაურბოდა თვალი. ევა ახლა კარგად ცხოვრობს. ჰერბერტი ანებივრებს და ნებისმიერ სურვილს უსრულებს, მაგრამ ქალს ფრანცი ჯერაც არ დავიწყებია.

ჰერბერტმა სამი ჭიქა ცხელი გროგი შეუკვეთა. ჭიქებს სულის ერთი მოთქმით გადაკრავენ და კიდევ შეუკვეთენ. დალევენ და ისევ ჩუმად სხედან. ევა ლამის ყინულად არის ქცეული. კეფიდან წამოსული სიცივე ზურგზე დაეშვა, გვერდებისკენ გაიფანტა. ევა მოიკუნტა, ფეხი ფეხზე გადაიდო, ემილი კი ხელზე თავდაყრდნობილი ზის, ტუჩებს აცმაცუნებს, ენას აწკლაპუნებს, ნერწყვს ყლაპავს. მერე მოთმინება ღალატობს, ახველებს, პირდაპირ იატაკზე აფურთხებს. ჰერბერტ ვიშოვი კი, ახალგაზრდა, პეწიანი და მოწესრიგებული, ყოჩაღად ზის სკამზე, ისე, როგორც უნაგირზე, არც მეტი, არც ნაკლები, ასეულის მეთაურს ჰგავს აღლუმზე. სახეზე არც ერთი კუნთი არ უთამაშებს. სხედან ასე: ვიშოვი, ემილი და ევა, გაოგნებული, ვერაფერს ხედავენ და არაფერი ესმით. ისინი აქ, ლუდხანაში, თითქოს არც სხედან, თავიანთ ტყავში ვერ გრძნობენ თავს, ევას არ ჰქვია ევა, ვიშოვს - ვიშოვი, ემილს კი - ემილი. თითქოს ირგვლივ კედლები ჩამონგრეულა, ცივი ბურუსი შემოვარდნილა და მათ სხეულებს შემოხვევია. ისინი ფიქრით ზემოთ არიან - ფრანცის საწოლთან. ავადმყოფის საწოლი მათ ფიქრებს მაგნიტივით იზიდავს.

არის მომკელი, მას სიკვდილი ჰქვია, დიდი ღმერთისგან დიდი ძალაუფლება აქვს მინიჭებული. დღეს იგი ცელს ლესავს, უფრო კარგად მომკის.

ჰერბერტმა თავი ასწია და დანარჩენ ორს ეკითხება:

- ამის გაკეთება ვის

შეეძლო? ემილი:

- რაზე

ლაპარაკობ?

ჰერბერტი:

- ფრანცი მანქანიდან ვინ

გადმოაგდო? ევა:

- ჰერბერტ, დამპირდი, თუ იმ მკვლელს იპოვი, მაშინ...

ჰერბერტი:

- შეგიძლია, არ დაამთავრო, ისედაც გასაგებია! ასეთ საზიზღარ, ბილწ ადამიანს ეს დედამიწა როგორ უძლებს. დამაცადე, ვინც უნდა იყოს, დედასვუტირებ.

ემილი:

- ჰერბერტ, ეს ხომ წარმოუდგენელი ამბავია!

- არა, მსგავსი რამ არ მსმენია, ეს რა ველურობაა!

არა, ჯობს, ამაზე არ იფიქრო, არ ილაპარაკო. ევა მთელი ტანით კანკალებს. ისე ლაპარაკობს, თითქოს მოწყალებას ითხოვს.

- ჰერბერტ, ემილ, რამე

გააკეთეთ, რა! ჩახუთულია,

სუნთქვა ჭირს.

არის მომკელი, მას სიკვდილი ჰქვია...

- ადვილი სათქმელია „გააკეთეთ“, როცა საქმის ვითარებაში გარკვეული არა ხარ. ჯერ ის უნდა

გავიგოთ, ხელი ვინ ჰკრა, თორემ პუმსის მთელ ბანდას ჩავაგდებთ!

- მაშინ ფრანციც ჩავარდება?

- იცი, ამას იმ შემთხვევაში გავაკეთებ, თუ დამნაშავის ვინაობას ვერ გავიგებ. ისე კი ფრანცს დანაშაული არ ჩაუდენია, ეს დღესავით ნათელია, მის უდანაშაულობას ნებისმიერი სასამართლო დაამტკიცებს. აბა, მათიანი რომ ყოფილიყო, მანქანიდან ხომ არ გადმოაგდებდნენ.

ჰერბერტს გააჟრჟოლა: აი, არამზადები! წარმოუდგენელი ამბავია.

- იქნებ მე მითხრას, ეს ვინ გააკეთა, - ხმამაღლა გაიფიქრა ევამ.

მაგრამ ფრანცი მორივით წევს და დუმს - კრინტსაც კი არ ძრავს. თავი დამანებეთ. თავი დამანებეთ. მკლავი მომკვეთეს და ახალი აღარ გამეზრდება. რა უნდა ვთქვა, მანქანიდან გადმომაგდეს! მადლობა ღმერთს, თავი მთელი მაქვს. ცხოვრება უნდა გავაგრძელოთ. ამ საზიზღარი მდგომარეობიდან როგორმე უნდა გამოვძვრე, უპირველეს ყოვლისა კი, ფეხზე დავდგე.

და გაზაფხულის ამ თბილ დღეებში ძალას საოცარი სისწრაფით იკრებს. ადგომის უფლება ჯერ არ მიუციათ, მაგრამ მაინც ადგა და გაიარა. ჰერბერტსა და ემილს ფული საკმარისად აქვთ. ამიტომ ფრანცს ყველა სურვილს უსრულებენ და მოაქვთ ყველაფერი, რასაც ექიმი საჭიროდ თვლის. ფრანცს კი უნდა, რომ ფეხზე დადგეს, გამოჯანმრთელდეს, ამიტომ ჭამს და სვამს სამი ადამიანისოდენს, და არ კითხულობს, მის ძმაკაცებს ფული საიდან აქვთ.

ისინი ხშირად საუბრობენ, მაგრამ არა მნიშვნელოვან თემებზე, - პუმსსა და მის საქმეებზე ფრანცთან ლაპარაკს ერიდებიან. იხსენებენ ტეგელს, უფრო ხშირად კი იდას. იდა, რა თქმა უნდა, ეცოდებათ, ის ხომ სრულიად ახალგაზრდა იყო. მაგრამ ერთხელ, ისე, სასხვათაშორისოდ, ევამ თქვა, ასე თუ ისე, იდა მაინც ცუდად დაამთავრებდაო. ამ ადამიანებს შორის, ტეგელამდე რომ იყო, ის ურთიერთობა აღდგა. თითქოს მას შემდეგ არაფერი მომხდარიყოს, - ფრანცს დაავიწყდა აქანავებული სახლები, დაცურებული სახურავები, ისიც, რომ სხვის ეზოში მღეროდა და იფიცებოდა, ძველ ცხოვრებას დავემშვიდობე და ფრანც ბიბერკოპფი არ ვიყო, თუ ამიერიდან წესიერად და პატიოსნად არ ვიცხოვროო.

მეგობრების გვერდით მშვიდად ზის ან წევს. ხანდახან ძველი მეგობრები მოდიან, ვინ მეგობარ ქალთან, ვინ ცოლთან ერთად. ისინი ფრანცს ისე ემასლაათებიან, თითქოს მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, დიდი ამბავი, კაცი ტეგელიდან ეს-ეს არის გამოვიდა და ავარიაში მოხვდა. სად და როგორ, სტუმრები არ ეკითხებიან. კარგად იციან, ისეთი სამსახური აქვს, რისკს რომ მოითხოვს. აღმოჩნდები დავიდარაბაში და შეიძლება ტყვია დაგახალონ ან კისერი მოგიგრიხონ, მაგრამ ციხეში სალაფავის ხვრეპას ან დაჭლექიანებას, ისევ მათი ცხოვრების წესი ჯობს. დიახ, ასეა და ამიტომაც მიდიან რისკზე.

ამასობაში პუმსის ბანდამაც იყნოსა, ფრანცი სად იქნებოდა. ფრანცის კალათა ვინ წაიღო, ეს ბიჭებმა მაშინვე დაადგინეს, წამღებს ხომ ისინიც იცნობენ. და ვიდრე ვიშოვი რამეს იაზრებდა, პუმსის ბანდამ უკვე გაიგო, რომ ბიბერკოპფი მასთან წევს, რა თქმა უნდა, ისინი ხომ ძველი მეგობრები არიან. ფრანცი ცოცხალია, მისთვის მხოლოდ ხელი მოუკვეთიათ, გაუმართლა ბიჭს! ახლა ჯანმრთელია, დადის კიდევაც, ერთიც ვნახოთ და ყველა ჩაგვიშვას, მერე რა ვქნათ? რაინჰოლდზე ძალიან გაბრაზებული არიან, ეგ გიჟი ჩვენთან როგორ მოიყვანაო, ამბობენ, მაგრამ პირდაპირ თქმას ვერავინ უბედავს. რაინჰოლდს ხომ შიშველი ხელებით ვერ შეებრძოლები, მას ხომ გადაბრუნებული სიტყვის თქმას პუმსიც ვერ უბედავს. ჰო, ძალიან თავზე ხელაღებული ვინმეა. შეხედავ და შიშისგან სული გაგეპარება. სიფათი - ყვითელი, შემზარავი, შუბლზე ღრმა, ჰორიზონტალური ნაოჭები, ემჩნევა, რომ ავადმყოფია და ორმოცდაათ წლამდე ვერ მიაღწევს. სწორედ ასეთი ჭირიანები არიან ყველაზე თავზე ხელაღებულები. ასეთ ადამიანს უნდა უფრთხილდე, ჯიბეში ხელს რომ ჩაიყოფს, იქიდან პისტოლეტს დააძრობს და ისე, თვალს რომ არ დაახამხამებს, შუბლს გაგიხვრეტს.

დიახ, ფრანცი რომ სიკვდილს გადაურჩა, ამან მდგომარეობა გაართულა, ახლა ყველაფერი მოსალოდნელია.

რაინჰოლდი კი მხოლოდ თავს აქნევს და ამბობს:

- ნუ ნერვიულობთ, ბიჭებო. მშვიდად. დამიჯერეთ, არ ჩაგვიშვებს. რა, სიცოცხლე მოჰბეზრდა? ის არ ეყოფა, ხელი რომ დაკარგა, ახლა უნდა ზედ თავიც მიაყოლოს?

და რაინჰოლდი მართალი იყო, ფრანცისა არ უნდა შინებოდათ. ერთხელ ევა და ემილი

ფრანცის საწოლთან ისხდნენ და კიდევ წამოიწყეს ლაპარაკი იმ უბედურ შემთხვევაზე. ეკითხებოდნენ, ეს როგორ მოხდა, იგი, ფრანცი, მანქანიდან ვინ გადმოაგდო, არწმუნებდნენ, იმ ადამიანისა ნუ

შეგეშინდება, მხარში ამოგიდგებით, დაგიცავთ, ბერლინში სანდო ნაცნობები გვყავსო. ფრანცი კი მოკუნტული იწვა და მათ აბეზარი ბუზებივით იშორებდა, თავი დამანებეთო, ეხვეწებოდა. მერე გაფითრდა, მძიმედ სუნთქავდა, - აი, ახლა ატირდება: რა საჭიროა ეს ყველაფერი? რა აზრი აქვს ამაზე ლაპარაკს? ხელი მაინც არ გამეზრდება! და საერთოდაც, ბერლინიდან სადმე სხვაგან უნდა წავიდეს, - აბა, ხეიბარმა აქ რა უნდა აკეთოს?

- ფრანც, ეგრე ნუ ლაპარაკობ, - ამბობს ევა, - შენ ჯერ კიდევ ბევრ ჯანმრთელს აჯობებ, მაგრამ არ შეიძლება, იმ ბოროტებს ეს შეარჩინო. ხომ ხედავ, სასიკვდილოდ გაგწირეს. გაქანებული მანქანიდან გადმოგაგდეს!

- ხომ გითხარი, ხელი მაინც არ გამეზრდება.

- მაგრამ ვალდებული არიან, ფული გადაგიხადონ!

- რა?

აქ ემილი ჩაერია:

- რა და იმას, ვინც ეს გააკეთა, ჩვენ ან თავს გავუტეხთ, ან მაგის ბანდამ, იგი ხომ მარტო არ მუშაობს, შემწეობა უნდა გადაგიხადოს. დარწმუნებული იყავი, ამაზე მოლაპარაკებას მოვახერხებთ. პუმსმა და მისმა ბანდამ იმ ბოროტმოქმედის გამო პასუხი უნდა აგოს, ან ბანდიდან გააგდოს. ვნახოთ, მერე მარტო როგორ იმუშავებს ან ვის მიეკედლება. ერთი სიტყვით, ასეა თუ ისე, შენი ხელის საფასური უნდა გადაიხადონ. ეგ შენი მარჯვენა იყო და არა მარცხენა! ახლა კეთილი ინებონ და პენსია დაგინიშნონ.

ფრანცს ხმა არ ამოუღია, უბრალოდ თავი გააქნია.

- თავს რას აქნევ? აი, ნახავ, იმას, ვინც ეს გააკეთა, თავს გავუტეხთ. ეს დანაშაულია, ბოროტმოქმედება, რომელიც კანონით ისჯება! და რადგან სასამართლოში ჩივილი არ შეიძლება, პასუხს ჩვენ თვითონ ვაგებინებთ.

- ფრანცი ბანდის წევრი არ ყოფილა, - შეაწყვეტინა ემილს ევამ, - ხომ გაიგონე, ეგებ საქმეებში გარევა არ უნდოდა და არც ერეოდა, ასე სასტიკად ამიტომაც გაუსწორდნენ.

- არ უნდა და ნუ უნდა, ეს მისი უფლებაა! როდის აქეთ არის, რომ ადამიანს იმის გაკეთებას აიძულებენ, რაც არ უნდა? ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ ველურები არა

ვართ!

ფრანცმა თავი ისევ გააქნია:

- თანხას, რომელიც დამახარჯეთ, უკანასკნელ პფენიგამდე დაგიბრუნებთ.

- ლაპარაკი ამაზე არ არის, შენგან არაფერი გვინდა, მაგრამ იმ არამზადებს, ეშმაკმა დალახვროს, ანგარიში ხომ უნდა გავუსწოროთ. სამართლიანობა ხომ უნდა აღდგეს. ასეთი რაღაცების დაუსჯელად დატოვება არ შეიძლება!

ევამ მხარი ემილს დაუჭირა:

- არა, ფრანც, შენ როგორც გინდა, მაგრამ ამ საქმეს ასე არ დავტოვებთ! ახლა ნერვები წესრიგში არა გაქვს. ჰოდა, ჯიუტობ, მაგრამ ჩვენი იმედი გქონდეს! ჩვენ ძლიერი ნერვები გვაქვს. მიგვიფურთხებია მაგ შენი პუმსისთვის! აი, ჰერბერტი ამბობს, იმ არამზადებს ისეთ სასაკლაოს მოვუწყობ, ბერლინს ჯერ რომ არ დასიზმრებიაო.

- ეგრე იქნება! - ადასტურებს ემილი.

ფრანცი კი სადღაც შორს იყურება, ფიქრობს: რასაც ეგენი ამბობენ, მე არ მეხება და რას გააკეთებენ, ეგ ჩემი საქმე არ არის. ხელი მაინც არ გამეზრდება, მხოლოდ ეს არის ჭეშმარიტება. ყეფით თუ ყეფის გარეშე მოკვეთილ ხელს ვერ დავიბრუნებ. არადა, ხომ შეიძლებოდა, უფრო დიდი უბედურება მომხდარიყო.

და ისევ იხსენებს, როგორ მოხდა ყველაფერი: ალბათ, რაინჰოლდმა იმიტომ შემიძულა, რომ იმ დედაკაცის წამოყვანაზე უარი ვუთხარი, და შური იძია: მანქანიდან გადმომაგდო. ასე აღმოჩნდა მაგდებურგის კლინიკაში. მისი მცდელობა, პატიოსნად ეცხოვრა, აი, რითი დამთავრდა! ფრანცმა გაიზმორა, ერთადერთი ხელი მუშტად შეკრა: ასე იყო ყველაფერი, სწორედ ასე: ჩვენ ბრძოლის უნარი ჯერ არ დაგვიკარგავს.

ფრანცმა არ თქვა, მანქანიდან ვინ გადმოაგდო და მეგობრებიც შეკითხვებით თავს აღარ აბეზრებდნენ. სჯეროდათ, რომ ერთ მშვენიერ დღეს მის ვინაობას ფრანცი თავად იტყოდა.

ფრანცი ძლიერია, ფრანცს ადვილად ვერავინ წააქცევს

პუმსის ბანდა, რომელიც ფულში ცურავს, ბერლინიდან გაუჩინარდა. ორი მათგანი მშობლიურ ქალაქ ორანიენბურგში გაემგზავრა, პუმსი კურორტ ალტჰაიდეს წყლებზე ასთმას მკურნალობს, ასე ვთქვათ, სხეულს იჯანსაღებს. რაინჰოლდი ბევრს არა, მაგრამ ორ-სამ სირჩას ყოველდღე სვამს. არყით ტკბობას უკვე მიეჩვია. ეს ცხოვრებას ულამაზებს. ვერ გაუგია, აქამდე სპირტიან სასმელს რატომ არ ეკარებოდა და მხოლოდ ლიმონათსა და ყავას წრუპავდა. ღმერთო, რა საშინელება იყო. რაინჰოლდს რამდენიმე ათასი მარკა გადადებული აქვს. ეს არავინ იცის. ახლა კი კაცმა ამ ათასების დახარჯვა მოინდომა, მაგრამ ჯერ არ იცის, რაში და როგორ! სხვებივით აგარაკს ხომ არ იყიდის. ჯერ ახალი საყვარელი გაიჩინა, დახვეწილი ქალი, ოდესღაც ფუფუნებაში ნაცხოვრები, და ნიურნბერგერშტრასეზე სახლი უქირავა, დიდებულად მოწყობილი. აქ შეიძლება ბატონივით იცხოვრო და უცხო, ცნობისმოყვარე თვალსაც დაემალო. ახლა ყველაფერი მშვენივრად არის, - აქვს მეფური სახლი ქალაქის დასავლეთ ნაწილში და ძველი სორო რომელიმე, მორიგი იაფფასიანი ქალისთვის. ქალებს ისევ თვეში ორჯერ იცვლის, ძველ ჩვეულებაზე უარს ვერ ამბობს.

მაისის ბოლოს პუმსის ბანდის რამდენიმე წევრი ბერლინში ბრუნდება. ერთმანეთს ხვდებიან, ფრანცის ამბავს იხსენებენ. ამბობენ: როგორც გავიგეთ, ეგ ჰერბერტ ვიშოვი ჩვენს წინააღმდეგ ხალხს ამხედრებს, ნაძირლებსა და ღორებს გვიწოდებს, არწმუნებს ყველას, რომ ბიბერკოპფს იმ საქმეზე წასვლა არ უნდოდა, მუქარით ვაიძულეთ და მერე კი მანქანიდან გადმოვაგდეთ. მაშინ ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ბიბერკოპფს ჩვენი ჩაშვება უნდოდა, რომ საქმეზე მაგას არავინ ექაჩებოდა, ნებით წამოვიდა და თითს არავინ დააკარებდა, მაგრამ ისე იქცეოდა, რომ არჩევანი არ დაგვიტოვა. სხედან და თავებს აქნევენ, ბანდის დაშლა არ უნდათ, მერე საქმეს ბანდის წევრებთან არავინ დაიჭერს. შიმშილით დავიხოცებით. ფაქტი ხომ ფაქტად რჩება, კაცი მანქანიდან მართლა გადმოაგდეს. იფიქრეს, იფიქრეს და გადაწყვიტეს: ეს ამბავი მშვიდობიანად უნდა მოგვარდეს. ფრანცს ფული შევუგროვოთ, რაც უნდა იყოს, ჩვენიანია, არავინ ჩაუშვია. სანატორიუმში უნდა გავგზავნოთ და საავადმყოფოში მკურნალობის ხარჯებიც ავუნაზღაუროთ. ახლა ხელმომჭირნეობა არ გვარგებს.

მაგრამ რაინჰოლდი გაჯიუტდა: ეგ სუბიექტი უნდა მოვკლათო, დაიჟინა, - ბანდის სხვა წევრებსაც ამის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ, რაინჰოლდს ეთანხმებიან, მაგრამ ვინ შეაბამს კატას ეჟვანს? ხელების გასვრა არავის უნდა. თავი დავანებოთ, იცოცხლოს, ერთი საცოდავი ხეიბარია, რა უნდა დაგვიშავოს? უფრო საშიშია მაგის განეიტრალება. ვერ ხედავთ, ბედი სწყალობს, თანაც მაგრად. ერთი სიტყვით, ბიჭებმა ჯიბეზე ხელი გაიკრეს. ას-ასი მარკა გაიღეს. მხოლოდ რაინჰოლდს არ დაუდვია ერთი პფენიგიც კი. მერე ერთ-ერთ თავისიანს ბიბერკოპფთან შეგროვებული თანხის წაღება დაავალეს, ოღონდ იმ დროს უნდა მიეტანა, როცა ჰერბერტი შინ არ იქნებოდა.

ბიბერკოპფი მშვიდად ზის და „მორგენპოსტს“ კითხულობს, ეს გაზეთი არაფრად ვარგა, გვერდზე გადადებს, „გრუნე პოსტს“ იღებს, ეს გაზეთი ყველაზე მეტად მოსწონს, მასში პოლიტიკაზე არ წერენ. დახედა და თვალებს არ დაუჯერა, 1927 წლის 27 ნოემბრის ნომერი აღმოჩნდა, ანუ შარშანდელი. რა ძველია, - გაიფიქრა. იმ დროს რომანი პოლონელ ლინასთან მქონდა, ნეტავ ახლა როგორ არის?

გაზეთში ექსკაიზერის ახალ სიძეზე წერდნენ: პატარძალი - 61 წლის არის, სასიძო - 27-ის. ეს ქალს ძალიან ძვირი დაუჯდება, რადგან საქმრო პრინცი ვერასოდეს გახდება. „ტყვიაგაუმტარი ჟილეტი კრიმინალური პოლიციის აგენტებისთვის“, ეს შეგიძლიათ ბებიებს მოუყვეთ, ჩვენ ამისი უკვე არ გვჯერა.

მოულოდნელად სამზარეულოდან ხმები მოისმა. თითქოს ევას ბინაში ვიღაცის შემოშვება არ უნდა. ფრანცი გაზეთით ხელში კართან მიდის, აღებს. ზღურბლზე შრაიბერი დგას, პუმსის ბანდის ერთ-ერთი წევრი.

კი მაგრამ, აქ რა უნდა? ევა კი სამზარეულოდან ყვირის:

- ფრანც, ფრთხილად, ეგ ჰერბერტის წასვლას დაელოდა და აქ მერე გამოცხადდა. ფრანცი კი მშვიდად ეკითხება:

- ჩემთან ხარ, შრაიბერ? რა გინდა?

- ჰო, შენთან ვარ, მაგრამ ევა არ მიშვებს. რატომ, შენ რა, აქ პატიმარი ხარ?

- ეგ საიდან მოიტანე?

- გეშინიათ, რომ ფრანცი ჩაგიშვებთ, - ყვირის ევა, - ფრანც, ეგ კაცი გააგდე.

ფრანცი:

- აბა, მითხარი, შრაიბერ, რა გინდა? შემოდი, მანდ რას დგახარ! ევა, შენც მოდი, ერთი გვითხრას, რატომ მოვიდა.

სამივენი ოთახში შევიდნენ, დასხდნენ. ფრანცმა გაზეთი მაგიდაზე დადო. სურათზე: ექსკაიზერის ახალი სიძის ჯვრისწერა. წინა პლანზე ახალგაზრდა საქმრო, უკანა პლანზე კი ორ ხელისმომკიდეს მის თავზემოთ გვირგვინი უკავია... კიდევ რა ხდება? ლომებზე ნადირობა. კურდღლების ხოცვა- ჟლეტა, ველური ტახი, აი, კიდევ: „გზა მიეცით ჭეშმარიტებას“.

- და ფულს რაში მიხდით, მე ხომ არაფერში დაგხმარებივართ.

- როგორ არა, დაგვეხმარე, აბა, ზექსზე ვინ იდგა?

- არა, შრაიბერ, ზექსზე არ ვმდგარვარ. აზრზე არ ვიყავი, ეზოს ჭიშკართან რატომ დამაყენეთ, - ამბობს ფრანცი და თან ფიქრობს: „რა ბედნიერებაა, ამათ თავი რომ დავაღწიე და იმ ბნელ ეზოში დგომა აღარასოდეს მომიწევს. მზადა ვარ, ამათ თვითონ გადავუხადო, ოღონდ იმ დაწყევლილ ადგილზე მეორედ არ მოვხვდე“.

და ისევ ხმამაღლა:

- ასე რომ, ჩემი არაფერი გმართებთ. შეგიძლიათ მშვიდად იყოთ, ღვთის მადლით ცოცხალი ვარ და ცხოვრებაში ჯერ არავინ დამისმენია.

ევამ შრაიბერს მუშტი დაანახვა, აქაოდა, იცოდეს ამ არამზადამ, რომ არიან ადამიანები, რომლებიც მის და მისი ამფსონების ყველა ნაბიჯს აკონტროლებენ:

- და საერთოდ, აქ მოსვლა როგორ გაბედე? ჰერბერტი შინ რომ ყოფილიყო, ცოცხალი ვერ გაასწრებდი!

და უცებ დატრიალდა საშინელება: ევამ დაინახა, რომ შრაიბერმა ჯიბეში ხელი ჩაიყო, მას ფულის ამოღება და ფრანცისთვის ჩვენება უნდოდა. ეგებ სულს წაეძლია და აეღო. ევამ კი მისი მოძრაობა სხვანაირად გაიგო, იფიქრა, შრაიბერს ჯიბიდან პისტოლეტის ამოღება და ფრანცის სამუდამოდ დადუმება უნდაო. დიახ, ეს არამზადა აქ ფრანცის მოსაკლავად მოვიდა. ქალი გაფითრდა, სახე მოეღრიცა, სკამიდან წამოხტა და აკივლდა! აკანკალდა, მუხლებზე დაეცა, ისევ წამოდგა და აკივლდა. ფრანცი წამოხტა,

შრაიბერიც, ევას რა მოუვიდა, რა ხდება? ევა კი მაგიდის მეორე მხრიდან ფრანცისკენ მირბის, თავში კი ერთი აზრი უტრიალებს: რა ვქნა? ახლა გაისვრის, ორივეს მოგვკლავს, ყველაფერი დამთავრდება, მე კი სიკვდილი არ მინდა, გვიშველეეთ!

წუთით გაჩერდა, ისევ წინ გაიჭრა, ფრანცთან მივარდა სახეგაფითრებული, მთელი სხეული უკანკალებს.

- კარადის უკან დაიმალე, ფრანც, გვკლავენ, გვიშველეეთ! - კივის, შიშისგან გაფართოებია თვალები. ორივე მამაკაცს ტანში სუსხმა დაუარა. ფრანცმა თავიდან ვერ გაიგო, რა ხდებოდა. დაინახა მხოლოდ, შრაიბერმა მარჯვენა ჯიბეში რომ ჩაიყო ხელი. რატომ? როგორც იქნა, მიხვდა, - გასაგებია, რატომაც! და ფრანცი შებარბაცდა, როგორც მაშინ, ეზოს კართან ზექსზე რომ დააყენეს. აი, ისევ ყველაფერი თავიდან დაიწყო. მას კი არ უნდა, კმარა, საკმარისად დაისაჯა, არ უნდა ბორბლებქვეშ კიდევ ერთხელ აღმოჩნდეს. კვნესის. ევა გვერდზე გასწია. შრაიბერისკენ წავიდა. მაგიდიდან გაზეთი დაცურდა, იატაკზე დაეცა: ახალგაზრდა ბულგარელი გერმანელ პრინცესაზე ქორწინდება. აბა, ახლა მაგას სკამი ჩავცხოთ, სად არის სკამი? ხმამაღლა კვნესის, მაგრამ მისი თვალები მხოლოდ შრაიბერს ხედავენ და მის ცხვირწინ მდგარ სკამს კი ვერა. სკამს ეჯახება, სკამი წაიქცა. აუ, სკამი აქ ყოფილა... მაგრამ ახლა მხოლოდ მაგდებურგის ჩაბნელებულ მოედანს ხედავს. ჰერბერტმა და ევამ მაშინ კლინიკის კარი კინაღამ ჩამოიღეს. ევა კი ისევ კივის, აქედან წაეთრიე, ვერ მოგვერევი, აზრზე არა ხარ, ვის გადაეყარე. ფრანცი სკამის ასაღებად იხრება, შრაიბერი კი დროს იხელთებს, ჰოპ და ოთახიდან გავარდება, აქ რა, ყველა გაგიჟდა? - უკვირს. დერეფანში კარები აჯახუნდა, ისმის მეზობლების ხმები... ყვირილი და ჯახუნი ლუდხანაშიც გაიგონეს. ორი მამაკაცი მაშინვე წამოხტა და ზემოთ გაიქცა. კიბეზე შრაიბერს შეეჯახნენ, რომელიც ამ დროს ქვემოთ კისრისტეხით ჩარბოდა. იგი არ დაიბნა, თავი ასწია და დაიყვირა. სასწრაფოდ ექიმი, ქალს გულის შეტევა აქვს, და გაიქცა ეს გაიძვერა.

ზემოთ, ოთახში, ფრანცი სკამთან უგონოდ აგდია. ევა კი კარადასა და ფანჯარას შორის ჩაყუნცულა და წივის, ისე, თითქოს მოჩვენება დაენახოს. ფრანცი ააყენეს, საწოლზე ფრთხილად დააწვინეს. ევას ასეთი შეტევა კი დიასახლისისთვის უცხო არ არის, იცის, მდგომარეობიდან როგორ უნდა გამოიყვანოს, - წყლით და თავზე ევას

ერთი დოქი გადაასხა. ევა მიყურდა, ჩურჩულებს:

- ფუნთუშა მინდა!

- ერთი ნახე, ფუნთუშა მოუნდა! - გაიცინეს კაცებმა.

დიასახლისმა კი ევას მხრებზე ხელი მოჰკიდა, წამოაყენა, სკამზე დასვა და თქვა:

- ევა, ყოველთვის, როცა ამ მდგომარეობაში ვარდება, ასე იქცევა. ისე, ეს არც გულის შეტევაა და არც სურვილი! უბრალოდ, ნერვებმა უმტყუნა, ავადმყოფის მოვლით გადაიღალა. ეტყობა, ამხელა კაცი ვერ დაიჭირა და ისიც დაეცა. არადა, რატომ დგება, იწვეს თავისთვის, თავისი ადგომით მხოლოდ ადამიანებს აფორიაქებს.

- აბა, ვიღაც კაცი კიბეზე რატომ ყვიროდა, ევას გულის შეტევა აქვსო?

- ვინ კაცი?

- აი, სულ ახლახან კიბეზე რომ ჩამორბოდა.

- ალბათ, ვიღაც რეგვენი იყო. ჩემს ევას ექვსი წელიწადია ვიცნობ. დედამისს ჰგავს. ისიც ყვირილს რომ დაიწყებს, ხმას მხოლოდ წყლით თუ ჩააკმენდინებ.

საღამოს ჰერბერტმა, შინ რომ დაბრუნდა, ევას რევოლვერი მისცა, ყოველი შემთხვევისათვის, არ დაელოდო, სხვა როდის გაისვრის, თორემ მერე ძალიან გვიან იქნებაო. თავად კი მაშინვე შრაიბერის მოსაძებნად წავიდა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ვერსად იპოვა, თითქოს მიწამ ჩაყლაპა. პუმსის ბიჭები ყველანი გაემგზავრნენ, სხვადასხვა მიმართულებით. ამ ხათაბალაში გახვევა არავის უნდა. შრაიბერი კი უკვალოდ გაქრა. ფრანცისთვის შეგროვებული ფული მიითვისა და შინ, ორანიენბურგში გაემგზავრა. გამგზავრებამდე მხოლოდ რაინჰოლდის მოტყუება მოასწრო. უთხრა, ბიბერკოპფმა ფულზე უარი თქვა, მაგრამ, მერე როგორღაც ევა დაითანხმა, თანხა გადასცა და ის აუცილებლად ყველაფერს მოაგვარებსო. ჰო, ასეა.

ტყუილ-მართლის გარკვევაში დრო გავიდა. ბერლინში ივნისი დადგა. ამინდი თბილი და წვიმიანია. ქვეყანაში სხვაც ბევრი რამ ხდება. დირიჟაბლი „იტალია“, რომელშიც გენერალი ნობილე იმყოფებოდა, ჩამოვარდა და იმ ადგილიდან, სადაც აგდია, რადიოტელეგრამებს გადმოსცემს, მაგრამ იქამდე, სადაც ჩამოვარდა, კერძოდ, შპიცბერგენის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მიღწევა არც ისე ადვილია. აი, მეორე მფრინავს კი გაუმართლა: სან-ფრანცისკოდან ავსტრალიაში მიწაზე დაუშვებლად

სამოცდაჩვიდმეტ საათში მშვიდობიანად ჩაფრინდა. კიდევ რა ხდება? აი, ესპანეთის მეფე თავის დიქტატორ პრიმო დე რივერას სულ ეკინკლავება. იმედია, როგორმე შეთანხმდებიან. აი, ამბავი, რომელიც სასიამოვნოდ გაგაოცებთ: ბადენ-შვედეთის ნიშნობა: ასანთის ქვეყნის პრინცესამ ბადენის პრინცის გულში ცეცხლი ააგიზგიზა. და თუ ადამიანი დაფიქრდები, ბადენი და შვედეთი ერთმანეთისგან რა მანძილით არიან დაშორებული, მართლაც გაოცდები, ეს პრინცესამ როგორ მოახერხა.

* * *

„დიახ, ქალების დანახვაზე ვდნები: ერთს ვკოცნი, მეორეზე ვფიქრობ, მესამისკენ თვალი გამირბის. ჰო, ქალებო, თქვენს დანახვაზე ვდნები... რა ვქნა, თავს ვერ ვერევი, თავბედს ვიწყევლი. და როცა ვიგრძნობ, რომ დავიშრიტე, გულის ფიცარზე მივიჭედებ აბრას წარწერით: „გაყიდულია!“

და აგრძელებს ჩარლი ამბერგი:

„წამწამს ამოვიძრობ და ამ წამწამით სასიკვდილოდ დაგჭრი, მერე ავიღებ პომადას და გვამს შენსას წითლად გავაფერადებ; და თუ ამის გამო გამიბრაზდები, იცი, რას ვიზამ? - ჩემთვის ერბოკვერცხს შევუკვეთ, შენ კი ისპანახს შემოგაყრი. შენ, შენ, შენ, შენ... მაშინ ჩემთვის ერთი ერბოკვერცხი შეუკვეთე, ისპანახი კი თავად შეიყარე“.

ბერლინში კი ისევ თბილა და ისევ წვიმს. ტემპერატურა ცელსიუსის სკალით +20-22 გრადუსია. და ასეთ ამინდში ბერლინის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე წარდგა ვინმე რუტკოვსკი, რომელსაც შეყვარებულის მკვლელობა ბრალდება. და აქ დაისვა ერთობ საინტერესო კითხვა: ხომ არ არის მოკლული ელზე არნდტი № გიმნაზიის მასწავლებლის ცოლი, რომელიც მას ორიოდე წლის წინ გაექცა? მიტოვებულმა ქმარმა სასამართლოს განცხადებით მიმართა, რომელშიც გამოთქვამს ეჭვს, და ეტყობა, სურვილსაც, რომ მოკლული მისი ყოფილი მეუღლე ელზე არნდტია. და თუ ეს დადასტურდება, მზად არის, სასამართლოს მნიშვნელოვანი ჩვენება მისცეს. ჰაერში რაღაცის სუნი ტრიალებს. მძაფრი სუნი: ჰიპნოზისა თუ ფსიქოზის და კიდევ რაღაცის. ერთი სიტყვით, ჰაერში არის რაღაც იდიოტიზმის, ჰიპნოზის სუნი, ძევს ჰაერში და ჰაერიდან არ გამოდის.

მომავალ ორშაბათს ქალაქის ელექტრონული რკინიგზა იხსნება. რკინიგზის

სამმართველო ამ შემთხვევას გამოიყენებს, რათა მგზავრებს კიდევ ერთხელ შეახსენოს, გამოიჩინონ სიფრთხილე,

სვლის დროს ჩამოხტომა-ახტომა აკრძალულია, წესების დარღვევისათვის ჯარიმაა დაწესებული. [23]

დასუსტებულო სულო ჩემო, გამაგრდი, ნუ დაეცემი!

ზოგჯერ გულის წასვლა სიკვდილს ჰგავს. ასე ვთქვათ, გენერალური რეპეტიციაა. გულწასული ფრანცი ისევ საწოლში ჩააწვინეს. მას შემდეგ წევს და წევს, თბილი და წვიმიანი დღეები კი ერთმანეთს მისდევენ. ისეთი შეგრძნება აქვს, რომ ცოტაც და, ფეხებს გაჭიმავს. ფრანც, თუ ახლა რამეს არ გააკეთებ, რაიმე ნაღდს, გადამწყვეტს, თუ ახლა ხელში კომბალს არ აიღებ, არა, ხმალი ჯობს, და ირგვლივ ყველასა და ყველაფერს არ დაჩეხ და დალეწავ, მაშინ შენი საქმე წასულია, გაიქეცი მაინც, ფრანც, ფრანცეკენ, ძველო მეგობარო, ვითომ დარდიმანდო, და თუ ამასაც ვერ შეძლებ, მაშინ ერთიღა დაგრჩენია: მეკუბოვეს დაუძახე, ზომა აგიღოს!

კვნესის: არ მინდა, არ მინდა, სიკვდილი არ მინდა. ოთახს მზერას მოავლებს, მიაყურადებს - ჩამიჩუმი არ ისმის, მხოლოდ საათი წიკწიკებს, ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ, ცოცხალი ვარ. ისინი მიახლოვდებიან, უნდათ, ზურგში მესროლონ. აი, შრაიბერმა ხომ კინაღამ მესროლა, არა, ეს არ მოხდება! და ფრანცი, ისე, როგორც ფიცის დადების დროს, თავის ერთადერთ ხელს მაღლა სწევს: არა, ეს არ მოხდება!

ძლიერმა და ნამდვილმა შიშმა ზეწამოაგდო. წოლა აღარ შეუძლია. უნდა ადგეს, გარეთ გავიდეს. ჰერბერტ ვიშოვი თავის შავგვრემან ევასთან ერთად ცოპოტში, ზღვაზეა, იქ ევას კავალერი ჰყავს, ბებერი და მდიდარი, ბირჟის ბობოლა და ფულს იმას ცინცლავს. ჰერბერტი იქ ინკოგნიტოდ ჩავიდა, გოგო კარგად მუშაობს, ერთმანეთს ყოველდღე ხვდებიან, დღისით ერთად არიან, ღამით კი ცალ-ცალკე.

ამ ზაფხულის მშვენიერ დღეს ფრანც ბიბერკოპფი ისევ ქუჩაში მიაბიჯებს, ისევ სრულიად მარტოდმარტო, მარტოსული ფრანც ბიბერკოპფი ფეხებს ძლივს მიათრევს, მაგრამ მაინც მიდის. მახრჩობელა გველი აქეთ-იქით იყურება, მაგრად დაასახიჩრეს და ძლივს მიხოხავს, უპეები ჩაშავებია, ღიპი საერთოდ აღარა აქვს, და მაინც, ძველებურად ნამდვილი მახრჩობელა გველია!

მიხოხავს ქუჩაში, რადგან სოროში სიკვდილი არ უნდა. მაგრამ ბიჭმა, რომელიც ახლა სიკვდილს გაურბის, რაღაც-რაღაცები მაინც გაიგო. ცხოვრების გაკვეთილები სასიკეთოდ წაადგა. ქუჩას მონადირე ძაღლივით ყნოსავს, აინტერესებს, ეს იგივე ქუჩაა თუ შეიცვალა, მიიღებს თუ არა დაკარგულ შვილს? აშტერდება აფიშებს, როგორც არნახულ სასწაულს. ჰო, ძვირფასო, ახლა ძველებურად მხნედ ვერ მიაბიჯებ, - მიჩანჩალებ, მიყანყალებ, მიწას ეწებები, დარჩენილი ერთი ხელითა და კბილებით სიცოცხლეს ებღაუჭები. ცდილობ, არ დაეცე.

ცხოვრება ჯოჯოხეთია, არ იცი, სად და როდის გიმუხთლებს! ეს ერთხელ უკვე გამოცადე, ჰენშკეს ლუდხანაში, როცა სვასტიკიანი სამკლავურის გამო შენი იქიდან გამოგდება სცადეს. აყლაყუდამ, ისე, რომ მისთვის გადაბრუნებული სიტყვა არ გითქვამს, ჩხუბი დაგიწყო. შენ კი გეგონა, ამ სამყაროში სიმშვიდე სუფევდა, წესრიგი დამყარდა, თურმე არა. მაშინ ის ოთხნი, აყლაყუდა და მისი თანამეინახენი, მათ შორის - მექიც, შენს წინააღმდეგ მუქარის კედლად აღიმართნენ, ცოტაც და, გადაგივლიდნენ. ეს იმ მომენტში აშკარად დაინახე, ნათელი იყო, როგორც ხილვა.

* * *

ახლა კი მოდი და გაჩვენებ სასჯელს დიდი მეძავისას, რომელიც ზედ აზის მრავალ წყალს, სახელი მისი ბაბილონია. და ვიხილე ქალი, რომელიც ზედ აჯდა წითელ მხეცს, რომელსაც, გმობის სახელებით სავსეს, შვიდი თავი ჰქონდა და ათი რქა; ხოლო ქალს ემოსა პორფირი და ძოწეული, ოქროთი, პატიოსანი ქვითა და მარგალიტებით შემკული, და ხელთ ეპყრა ბარძიმი, სავსე სიბილწითა და მისი სიძვის უწმინდურებით.

და ეწერა სახელი შუბლზე: საიდუმლო, ბაბილონი დიდი, მეძავთა და მიწიერ სიბილწეთა დედა. და ქალი მთვრალი იყო წმიდათა სისხლით.

ფრანც ბიბერკოპფი კი ქუჩებში ჩორთით დადის და ბედს არ ნებდება. გამოსაჯანმრთელებლად და ძალის მოსაკრებად მხოლოდ დრო სჭირდება. ზაფხულის ცხელი დღეა და ფრანცი ლუდხანიდან ლუდხანაში გადადის. იჯდა ერთში, მეორეში წავიდა. სიცხისგან თავს იცავს.

ლუდი მიუტანეს.

პირველი კათხა ეუბნება, კასრის ლუდი ვარ, დაყენებული სვიისა და ალაოსგან, თანაც ცივი. როგორ მოგწონვარ?

ფრანცი ამბობს:

- არაფერი ჯობს ახალსა და ცივ ლუდს.

- დიახ, შემსვი და გაგაგრილებ, მერე კი გაგათბობ და ზედმეტი ფიქრისგან გაგათავისუფლებ.

- ამბობ, ზედმეტი ფიქრისგანო?

- ჰო, უმრავლესობა ზედმეტია, არ მეთანხმები?

- გეთანხმები, მართლაც ეგრეა.

პატარა სირჩით ღია ყვითელი არაყი დგას ფრანცის წინ. არაყსაც გაესაუბრა.

- აქ საიდან გაჩნდი? ეჰ, რა ბრაზიანი ხარ, ყელს მიჩხაპნი, შენ რა, ბრჭყალები გაქვს?

- აბა, რა გგონია, მაგიტომაც ვარ არაყი. გეტყობა, დაგვიწყებივარ. დიდი ხანია არ დაგილევივარ?

- მოდი და ნუ დამავიწყდებოდი, მე, ძმაო, კინაღამ საიქიოს გავემგზავრე, უკან დასაბრუნებელი ბილეთის გარეშე.

- ჰოდა, გეტყობა!

- ჰო, ილაპარაკე, ილაპარაკე! ახლა გადაგყლურწავ და ვნახოთ მერე. აბა, სადა ხარ? ოჰ, რა კარგია, ცეცხლივით ხარ, მთელი ყელი დამწვი. ცეცხლი ხარ, ნამდვილი ცეცხლი!

ცეცხლიდან ამოვარდნილმა ბოღმამ ფრანცს ყელი გაუშრო, ახლავე ლუდი უნდა დააყოლოს: შენ მეორე კათხა ხარ, ერთი უკვე დავლიე, რა გინდა, რომ მითხრა?

- სქელო, ჯერ შემსვი და მერე ვილაპარაკოთ.

- მოსულა!

და ამბობს კათხა:

- მისმინე, ახლა თუ კიდევ ორ კათხა ლუდს დალევ, მერე ერთ სირჩა არაყსა და ერთ გროგსაც დააყოლებ, მაშინ ისე გაიბერები, როგორც ბარდაწყალში.

- მართლა?

- ჰო, მართლა გასუქდები, თორემ, აბა, ახლა რას ჰგავხარ! მიკვირს, რომ ხალხში გამოჩენისა

არა გრცხვენია! აბა, კიდევ ერთი გადაკარი.

და ფრანცმა მესამე კათხა აიღო:

- უკვე ვსვამ, - და რიგრიგობით სვამს, წესრიგს იცავს!

მეოთხეს ეკითხება:

- აბა, შენ რას მეტყვი, საყვარელო?

ლუდი კი განცხრომით დუდუნებს, და ფრანცი გადაკრავს:

- შენი მჯერა. ყველაფერს, რასაც მეტყვი, საყვარელო, დაგიჯერებ. მე და შენ დიდებული წყვილი ვართ: ვერძი და აზმანი,[24] ბალახსაც ერთად მოვძოვთ.

ფრანცი ბერლინს მესამედ დაიპყრობს

ისევ, მესამეჯერ გამოჩნდა ფრანც ბიბერკოპფი ბერლინის ქუჩებში. პირველად ეგონა, სახლებიდან სახურავები ცვიოდა, მაგრამ მოვიდნენ ებრაელები და ჩვენი გმირი გადაარჩინეს. მეორედ ლიუდერსმა მოატყუა, მაგრამ ფრანცმა გულისტკივილი და ბოღმა სასმლით გაიქარვა, და ახლა უკვე ცალხელამ მესამეჯერაც გაბედა ბერლინის ქუჩებშიგასვლა.

ჰერბერტმა და ევამ ფრანცისთვის კარგა მოზრდილი თანხა დატოვეს, ფული დაბლა, ლუდხანის მეპატრონესთან ინახება, მაგრამ იქიდან ფრანცი მხოლოდ რამდენიმე პფენიგს აიღებს, რადგან გადაწყვიტა: ამ ფულს არ ავიღებ, პურს არსობისას ჩემი მარცხენა ხელით მოვიპოვებო. სოციალურ სამსახურს მიაკითხა და შემწეობა მოითხოვა. იქ კი უთხრეს:

- ჯერ ცნობები უნდა შევაგროვოთ.

- მანამდე რა ვქნა?

- ორ დღეში შემოიარეთ.

- ორი დღის განმავლობაში ხომ შეიძლება შიმშილით სული ამომხდეს.

- ასე მალე ბერლინში შიმშილით არავინ მომკვდარა, ეს მხოლოდ ფუჭი ლაპარაკია. თანაც, ჩვენ ფულს კი არა, კვების ტალონებს გავცემთ და ბინის ფულსაც თავად ვრიცხავთ. სწორი მისამართი გაქვთ მითითებული?

ფრანცი ქუჩაში გავიდა. იქ შუპოები დაინახა და გაახსენდა: ღმერთო, ჩემ შესახებ ხომ ცნობებს შეაგროვებენ, კი, ასე თქვეს, ესღა მაკლდა, ალბათ, იმასაც გამოიძიებენ, ხელი სად და როგორ დავკარგე. სიგარეტების ჯიხურთან შეჩერდა, ფიქრობს: გამომკითხავენ, ხელზე რა მომივიდა, მკურნალობის ფული ვინ გადაიხადა და რომელ კლინიკაში ვიწექი. ნამდვილად ასე იქნება. ვაითუ, ისიც მკითხონ, ბოლო ორი თვე რითი ვცხოვრობდი. ვერ მოგართვით!

გზას აგრძელებს და ისევ ფიქრობს: რა ვქნა? რჩევა ვის ვკითხო, საქმე ცუდად არის. ჰერბერტისა და ევას ხარჯზე ცხოვრება არ მინდა. იმ ფულს არ ავიღებ.

და ამ დროს თავისი მეგობარი მექი გაახსენდა, - ის მირჩევს, რა უნდა გავაკეთო. მექს ორი დღის განმავლობაში ალექსსა და როზენტალერპლაცზე ეძებდა, არც ერთი კუთხე-კუნჭული არ დაუტოვებია, ყველგან შეიხედა. მეორე დღის ბოლოს კი მექს როზენტალერპლაცზე შემთხვევით შეეჯახა. ერთმანეთი აათვალიერ-ჩაათვალიერეს. ფრანცი ხელს უწვდის, უნდა მეგობრულად, მაგრად ჩამოართვას, ახსოვს, მაშინ, ლიუდერსთან იმ ამაზრზენი ისტორიის შემდეგ, მექს მისი ნახვა როგორ გაუხარდა, - მაგრამ ახლა იგი ხელს უგულოდ უწვდის, ფრანცისას თითქმის არც კი ეხება. ხელს მაღლა სწევს, უნდა მეგობარს ბეჭზე დაჰკრას, მაგრამ ეს ჯუჯა მექი ისეთ სერიოზულ სიფათს იღებს, რომ ზეაწეული მარცხენა ჰაერში უშეშდება. რა მოუვიდა, რამე ხომ არ ვაწყენინე? ისინი მიუნცერშტრასეს ზემოთ აუყვნენ, მიდიან და მოდიან, მერე კი ისევ როზენტალერპლაცზე დაბრუნდნენ, და ფრანცი სულ ელოდება, იქნებ მექმა ხელის შესახებ რამე მაინც მკითხოსო. მაგრამ არა, არ უკითხავს და ეტყობოდა, არც აპირებდა, რადგან სულ სადღაც გვერდზე იყურებოდა. ალბათ, საზიზღრად გამოვიყურები, მაწანწალასავით, და მექს ჩემთან ერთად სიარულისა რცხვენია.

ფრანცმა თავს ძალა დაატანა, გაიცინა, ცილის ამბავი ჰკითხა, ხომ არ იცი, როგორ არისო.

აჰ, ცილი კარგად არის, ან კარგად რატომაც არ უნდა იყოს და ქალის ამბავს დიდხანს და დაწვრილებით ჰყვება. ფრანცი კი უსმენს. ფრანცმა სიცილი შეწყვიტა, დასერიოზულდა. მექი კი ისევ და ისევ ხელზე არაფერს ეკითხება, თითქოს ვერც ამჩნევს, ფრანცი რომ ცალხელაა და ფრანცს გონება გაუნათდა, ეკითხება:

- პრენცლაუერშტრასეზე, ბარში, ალბათ, ისევ დადიხარ, არა?

- ჰო, ხანდახან შევდივარ ხოლმე, - ძლივს ამოღერღავს მექი.

ფრანცი ყველაფერს მიხვდა, მექს ჩამორჩა: პუმსმა, რაინჰოლდმა, შრაიბერმა ან ღმერთმა იცის, ვინ, ჩემზე რაღაცები უთხრეს და ჰოდა, მექსაც მოღალატე ვგონივარ. წესით, ახლა ყველაფერი უნდა ავუხსნა, მაგრამ ჩემგან ამას ვერ ეღირსება, არაფერს ვეტყვი.

ფრანცმა ძალა მოიკრიბა, მექს წინ დაუდგა:

- აბა, გოტლიბ, აქ უნდა დაგემშვიდობო, ჩემი სახლში წასვლის დროა, ხეიბარი ვარ და ახლა ადრე ვწვები. თავს სუსტად ვგრძნობ.

მექმა ფრანცს ამ საღამოს განმავლობაში თვალებში პირველად შეხედა, პირიდან ჩიბუხი გამოიღო, უნდოდა, რაღაც ეკითხა, მაგრამ ფრანცმა თავი გააქნია, აქაოდა, საკითხავი არაფერიაო, ხელი ჩამოართვა და წავიდა. მექი კი დიდხანს იდგა, კეფას იფხანდა და ნანობდა, რომ ფრანცს გულახდილად არ ელაპარაკა.

ფრანცი კი როზენტალერპლაცზე მიაბიჯებს, იღიმება და ფიქრობს: ლაპარაკს რა აზრი აქვს, ახლა ფულის შოვნაზე უნდა ვიზრუნო, მექმა რაც უნდა, ის იფიქროს, ჩემთვის ახლა მთავარია, ფული ვიშოვო.

ახლა თქვენ გინდათ იხილოთ ფრანც ბიბერკოპფი, თუ როგორ ნადირობს ფულზე და ეს მასში რაღაც ახალია, აღმაშფოთებელი. ევა და ჰერბერტი ფრანცს თავიანთ ბინაში დარჩენას სთავაზობენ. მაგრამ ფრანცს საკუთარი კუთხე უნდა, სხვის ბინაში არაფერი გამოსდის, საქმე ვერ ააწყო. რაღაც ოთახი მოძებნა, მაგრამ ამას უსიამოვნო წუთები მოჰყვა: ჩაწერისთვის აუცილებელი იყო ბლანკის შევსება და ფრანცი დიასახლისის თხოვნით მაგიდას მიუჯდა, ზის და თავს იმტვრევს, რა დავწერო? გვარი -

ბიბერკოპფი, დაწერ და ისინი მაშინვე კარტოთეკაში ჩაიხედავენ,

პოლიციაპრეზიდიუმში დარეკავენ, იქიდან კი შეტყობინებას გამოგზავნიან, გამომიძახებენ, დამკითხავენ: რატომ არ ჩანდით, ხელზე რა მოგივიდათ, რომელ კლინიკაში იწექით, მკურნალობის ფული ვინ გადაიხადა? იძულებული ვიქნები, ვიცრუო.

გაბრაზებულმა ფრანცმა მაგიდას მუშტი დაჰკრა. ეშმაკსაც წაუღია შემწეობა! ეშმაკსაც წაუღია ქველმოქმედება! იგი თავისუფალი ადამიანია და ეგენი ყველანი ფეხებზე ჰკიდია. გამოსავალი ვერ იპოვა და განრისხებულმა ბლანკზე თავისი სახელის წერა დაიწყო. დაწერა „ფრანცი“, თავი ასწია, თვალწინ უბნის პოლიციის შენობა დაუდგა, გრუნერშტრასეზე მდებარე პატრონატი, და მანქანა, რომლიდანაც გადმოაგდეს. ქურთუკის ქვეშ ტაკვი[25] მოსინჯა. მოკვეთილ ხელზე აუცილებლად მკითხავენ, რა ვქნა, მკითხონ, რაც უნდათ, ყველაფერს ისე დავწერ, როგორც არის, და ყველაფერი ჭირს წაუღია.

და როგორც ჯოხით ქვიშაზე, ისეთი დიდი ასოებით წერდა ფრანცი. არა, მშიშარა არასოდეს ვყოფილვარ და არ დავუშვებ, სახელი ვინმემ მომპაროს. ბიბერკოპფად დავიბადე, ბიბერკოპფად ვიცხოვრე დღემდე და ბიბერკოპფად მოვკვდები. და ერთმანეთის მიყოლებით გამოჰყავს მსხვილი ასოები და ცოცხლდება ტეგელის ციხე, შავი ხეების გრძელი ხეივანი. სახელოსნოებში პატიმრები ძერწავენ, აწებებენ, დურგლობენ, ტომრებს კერავენ. მელანში კალამი კიდევ ერთხელ ჩააწო და წერტილი დასვა. არც ძაღლების მეშინია და არც ჟეტონიანი „ხარების“,[26] რამეთუ მე თავისუფალი ადამიანი ვარ ან არავინ.

არის მომკელი, მას სიკვდილი ჰქვია.

შევსებული ბლანკი ფრანცმა დიასახლისს მისცა. ეს საქმე ასე დაამთავრა. ახლა მხრებში გავიმართოთ, შარვალი ავიწიოთ, ძალა მოვიკრიბოთ და ბერლინის ქუჩებში ნაბიჯით იარ!

ტანსაცმელი ადამიანს ცვლის და სხვაც სხვა თვალით გიყურებს

ბრუნენშტრასეზე, იქ, სადაც მეტროს ახალი გვირაბი გაჰყავთ, შახტში ცხენი ჩავარდა. უკვე ნახევარი საათია, შემთხვევის ადგილზე ხალხი ირევა, მეხანძრეები მოცვივდნენ

და ცხენს მუცელქვეშ ბაგირი ამოუდეს. დგას საწყალი წყლისა და გაზის მილებს შორის და ვინ იცის, იქნებ ფეხი აქვს მოტეხილი, კანკალებს და ჭიხვინებს, ზემოდან მხოლოდ მისი თავი მოჩანს.

ცხენი შახტიდან ჯალამბრით ამოჰყავთ, გაოგნებული ფეხებს მთელი ძალით იქნევს.

აქ მექი და ფრანც ბიბერკოპფიც არიან. ფრანცი შახტში ჩახტა და მეხანძრეს ცხენის წინ წაგდებაში ეხმარება. მექსა და სხვა სეირის მაყურებლებსაც უკვირთ, ეს კაცი ცალი ხელით ამას ასე იოლად და მარჯვედ როგორ ახერხებს. დგანან და ცხენს გაოფლიანებულ გავაზე ხელს ურტყამენ, იგი მრთელია, არაფერი მოსვლია.

- ყოჩაღ, ფრანც, მიკვირს, მაინც საიდან ამდენი ღონე ერთ ხელში? - უკვირს მექს.

- იცი, კუნთები მაქვს, თუ მოვინდომებ, ყველაფერი შემიძლია.

ბრუნენშტრასეზე მიდიან. როზენტალერშტრასეზე უსიამოვნო ლაპარაკის შემდეგ, ისინი ერთმანეთს პირველად შეხვდნენ. მექი ცმუკავს, ფრანცს ელაქუცება.

- ჰო, გოტლიბ, ახლა კარგად ვიკვებები და ბევრს ვსვამ, ამიტომაც ისევ მოვღონიერდი. გინდა გითხრა, კიდევ რას ვაკეთებ?

თავად კი ფიქრობს, დამაცადე, გოტლიბ, კაცი არ ვიყო, ჭკუა თუ არ გასწავლო, გიჩვენებ, ცხვირის აბზუება როგორ უნდა, შენც მეგობარი გქვია რა, და განაგრძობს:

- იცი, ახლა მაგარი სამუშაო მაქვს. ელბინგერშტრასეზე, იქ, სადაც ბალაგანია, ვდგავარ და მსურველებს კარუსელებზე ვეპატიჟები, ვყვირი: ქალბატონებო და ბატონებო, მობრძანდით, ერთი წრე ორმოცდაათი პფენიგი. იქვე რომინტენერშტრასეზე კი გუშინ ახალი ატრაქციონი გაიხსნა: „მსოფლიოში ყველაზე ღონიერი ცალხელა ადამიანი“, ეგ მე ვარ, და ნებისმიერს შეუძლია კრივში შემეჯიბროს.

- არ მჯერა, ცალი ხელით კრივი არ გამიგონია!

- მოდი და შენი თვალით ნახე. მეორე ხელის ნაცვლად ფეხებით ვმუშაობ.

ფრანცი კიდევ ბევრ დაუჯერებელ ამბავს უყვება, მექი კი ვერაფერს ხვდება. თავის გაკვირვებას მხოლოდ შორისდებულების „აჰ“ და „ოჰ“-ის წამოძახებით გამოხატავს.

ისევე, როგორც წინათ, ალექსიდან გიპსშტრასემდე გაიარეს. ძველ საცეკვაო დარბაზთან ფრანცი მექს ეუბნება:

- ხედავ, როგორ გაარემონტეს! ამ დარბაზის ხშირი სტუმარი ვარ, ვცეკვავ და ბარშიც შევდივარ ხოლმე.

მექი სულ გამოშტერდა, არ იცის, რა თქვას:

- თუ შეიძლება, მითხარი, რა მოგდის?

- რა უნდა მემართებოდეს, მინდა ძველი დრო გავიხსენო. შენ რა, წინააღმდეგი ხარ? აბა, რას იტყვი, შევიდეთ? ნახავ, ცალი ხელით როგორ ვცეკვავ.

- არა, თუ ცეკვა გვინდა, მაშინ ჯობს, მიუნცჰოფში წავიდეთ.

- კეთილი, როგორც იტყვი, მაგრამ ასე ჩაცმულებს იქ არ შეგვიშვებენ. თუ გინდა, იქ ხუთშაბათს ან შაბათს მოდი. ეგრე გაკვირვებული რატომ მიყურებ, საჭურისი ხომ არ გგონივარ? ტყვიამ მხოლოდ ხელი მომაგლიჯა, სხვა ყველაფერი კი ადგილზე მაქვს!

- არ მეტყვი, ვინ გესროლა?

- ძაღლებმა მესროლეს, მაგრამ ნამდვილად არ ვიმსახურებდი, ეს უსიამოვნება სხვების გამო შემხვდა. ღამით ბიულოვპლაცზე მივდიოდი. დავინახე, ერთ ეზოში საწყობს ძარცვავდნენ. ბიჭები ვიცანი, ჩემი ნაცნობები იყვნენ. კარგი, პატიოსანი ბიჭები არიან, მაგრამ ჯიბეში გროშიც არ უჭყავით, არადა, ცხოვრება უნდათ. იქვე, კუთხეში, სიბნელეში ორი ტიპი დავინახე, დავაკვირდი, პოლიციელები იყვნენ, ხომ იცი, ქუდებზე დასკუპებული ფუნჯებით მაგათ მაშინვე იცნობ. ბიჭს, რომელიც ზექსზე იდგა, ვუთხარი, რომ იქ ორი პოლიციელი იდგა. ისინი კი გაქცევას არც აპირებენ, ამბობენ, დიდი ამბავი, თუ გარეთ ორი პოლიციელიაო! იცი, ყოჩაღი ბიჭები იყვნენ და ნაქურდლის წაღება უნდოდათ, აქ ხომ არ დავტოვებთო, ამბობდნენ. ამ დროს კი პოლიციელები ეზოში შემოცვივდნენ. ეტყობა, მობინადრეებმა შეამჩნიეს, რომ სარდაფში რაღაც ხდებოდა და პოლიციელებს შეატყობინეს. მოპარული საქონელი ბეწვისა იყო, ისეთი, რომ ქალებს დანთებულ ღუმლებზე მეტად გაათბობდა. ბიჭები და მეც მათთან ერთად, საწყობში ჩავიკეტეთ, პოლიციელები კარის შემომტვრევას ცდილობდნენ, ვერ მოახერხეს და ზეინკლის მოსაყვანად კაცი აფრინეს, ამ დროს ბიჭები უკანა კარიდან გაიპარნენ. და როცა ზეინკალმა საკეტის

მტვრევა დაიწყო, ამ დროს გასაღების ჭუჭრუტანიდან ვისროლე. აბა, მექ, ამაზე რას იტყვი?

მექს, ამის გამგონეს, ყელი გაუშრა:

- რა თქვი, ეს ამბავი სად მოხდა?

- ბერლინში, მარჯვენა კუთხის მიღმა, კაიზერალეეში.

- სისულელეებს ნუ ამბობ, სერიოზულად გეკითხები!

- დამშვიდდი, ეს ხომ ფუჭი გასროლა იყო, ისინი კი სერიოზულად ისროდნენ. მთელი კარი დაცხრილეს. ჩემი დაჭერა ვერ მოახერხეს, სანამ საკეტს ტეხდნენ, იქიდან უკვალოდ გავქრით, აი, ხელში კი დამჭრეს.

- შეუძლებელია, - წაიკიკინა მექმა.

ფრანცმა კი მეფური ჟესტით ხელი გაუწოდა და ამბობს:

- აბა, ჯერჯერობით, მექ! თუ რამე დაგჭირდება, შენს სამსახურში მიგულე, ვცხოვრობ... არა, არა, მისამართს მოგვიანებით შეგატყობინებ. აბა, წარმატებას გისურვებ.

მიბრუნდა და ვაინმაისტერშტრასეს გაუყვა, მექი კი სრულიად დაბნეული დატოვა, ამ საცოდავმა არ იცოდა, რა ეფიქრა. ფრანცი ან ამასხარავებს, ან... პუმსს ყველაფერი კარგად უნდა გამოვკითხო. პუმსის ბიჭები ამ ამბავს ხომ სულ სხვანაირად ჰყვებოდნენ.

ფრანცი კი მიხვეულ-მოხვეული გზებით ისევ ალექსზე დაბრუნდა.

არ ვიცი, აქილევსს, როცა ბრძოლაში მიდიოდა, როგორი ფარი ჰქონდა, და არც ის, როგორ იყო აღჭურვილი, ტანთ რა დანები და ხანჯლები ესხა, ფეხებზე ან ხელებზე რა სამკლავურები ეკეთა.

მაგრამ ამჟამად, როცა ფრანცი ახალ ბრძოლაში ჩაბმას აპირებს, ზუსტად გეტყვით, როგორ გამოიყურება. აცვია ძველი, დამტვერილი, ცხენის ამოყვანის დროს გატალახიანებული სამოსი, ლამის გაცვეთილი, ოდინდელი ყავისფერი ქურთუკი და შარვალი, ორივე ბამბის, და ახურავს მეზღვაურის ქუდი, ზედ მირჭობილი გაღუნული ღუზით.

მიუნცჰოფში შეიარა, ერთი კათხა ლუდი დალია და ათი წუთის შემდეგ ერთი კავალრისგან მიტოვებული ახალგაზრდა ქალი შეაბა. და რადგანაც დარბაზში ჩახუთული, მძიმე ჰაერია, ქუჩაში კი, მიუხედავად იმისა, რომ ოდნავ ჟინჟღლავს, მშვენიერი ამინდია, როზენტალერშტრასეზე გასეირნებას გადაწყვეტენ.

მიდის ფრანცი და სულის სიღრმემდეა შეძრული: რა ხდება, საითაც გაიხედავ, ყველგან თაღლითობას, ტყუილს აწყდები. ამას ადრე როგორ ვერ ამჩნევდა! ესე იგი შეიცვალა, სხვა ადამიანად იქცა, ყველაფერს სხვა თვალით უყურებს! თითქოს თვალები ახლა აეხილა! უმნიშვნელო თემებზე ლაპარაკობენ, მიდიან და სიცილით კვდებიან. ღმერთო, ამქვეყნად რაღა არ ხდება. ექვსი საათია, უფრო სწორად, შვიდის წუთები. ისევ ჟინჟღლავს, არა უშავს, გოგოს ქოლგა აქვს.

გზად ლუდხანა ხვდებათ. გაჩერდნენ, ფანჯარაში შეიხედეს.

- აბა, შეხედე, მეპატრონე როგორ ასხამს. კათხას არ ავსებს თაღლითი. შეხედე, ემი, ამ კათხაში ნახევარი ქაფია.

- მერედა, რა მოხდა?

- როგორ თუ რა მოხდა, ფულს ხომ მთელი კათხა ლუდისას იღებს. ნამდვილი გაიძვერაა! ისე კი ეგ ბიძა სწორად იქცევა. ყოჩაღია, არ დაიკარგება. ეგრე უნდა.

- კი მაგრამ, ახლა არ თქვი, თაღლითი და გაიძვერაა?

- მაინც ყოჩაღია.

სათამაშოების მაღაზია.

- ეშმაკმა დალახვროს, ემი, იცი, აქ რომ ვდგავარ და ამ პატარა სათამაშოებს შევცქერი, ვერ ვიტყვი,

რომ მიხარია. სიხარულს არ მგვრის არც ეს ფერად-ფერადი ვედროები, რომლებსაც დედასთან ერთად ჩვენ, ბავშვებიც ვაწებებდით და იცი, ამაში რას გვიხდიდნენ! ამის გახსენებაც კი არ მინდა.

- ალბათ, გროშებს.

- არამზადები. ხელები მექავება, ისე მინდა, ეს ვიტრინა ჩავამსხვრიო. რა სიმდაბლეა, საწყალ და ღარიბ ადამიანებს სისხლის უკანასკნელ წვეთებს სწოვენ.

ქალის ტანსაცმელი. ფრანცს უნდოდა ამ მაღაზიისთვის გვერდი აევლო, მაგრამ ამჯერად ვიტრინისკენ ემი გაიწია და ფრანციც გაიყოლა.

- აი, ამ პალტოებზე კი მე შემიძლია ბევრი რამ გითხრა, რა თქმა უნდა, თუ გაინტერესებს. ეს პალტოები ჩვეულებრივ მოკვდავთათვის კი არა, მაღალი წრის ქალბატონებისთვის არის და თუ იცი, ასეთი პალტოს შეკერვაში მკერავებს რამდენს უხდიან?

- წამოდი, გოგონი, წამოდი, არ ვიცი და არც მინდა, ვიცოდე, რადგან თუ შენ თანახმა ხარ, იმ ფასად შეკერო, რასაც გიხდიან, დამნაშავე თავად ხარ.

- მოიცადე, ნუ ბრაზობ, მითხარი, ჩემს ადგილზე რას იზამდი?

- რა, ვირი კი არა ვარ, ასეთი სამუშაო გროშებად შევასრულო? პირდაპირ უნდა განაცხადო, რომ პალტო აბრეშუმის სარჩულით შენ თვითონ გინდა, რომ გეცვას, და ბასტა.

- აბა, წადი და შენ უთხარი.

- დამშვიდდი, შენს ადგილზე ეგეთი პალტო მე უკვე მეცმებოდა. და შენ თუ არ გაცვია, მაშინ პატრონი მართალია, გროშებს რომ გიხდის. მაშასადამე, მეტი არ ღირხარ!

- გეყოფა სისულელეების ლაპარაკი.

- შენ რა, გგონია, რადგანაც ჭუჭყიანი შარვალი მაცვია, ყოველთვის ასე დავდივარ? დღეს აი, შახტიდან ცხენის ამოყვანაში მეხანძრეებს ვეხმარებოდი და დავისვარე. არა, ორ გროშად ვერავინ მიყიდის, შეიძლება **1000** მარკაც კი მეცოტავოს.

- მერე სად გაქვს ეგ ფული?

ქალმა ბიბერკოპფს გამომცდელად შეხედა.

- ეს ფული ჯერჯერობით არა მაქვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მივიღებ, თანაც ათასებს და არა რაღაც გროშებს.

ქალი კაცის სიტყვებმა გააკვირვა და ასიამოვნა კიდევაც, ის ბიბერკოპფს ეკვრის. ამერიკული ქიმწმენდა. მამაკაცის ტანსაცმლის შეკეთება და გაუთოება.

ფანჯარა ფართოდ არის ღია. მოჩანს საუთოო დაფები, დაფებს ორთქლი ასდის, ოთახის სიღრმეში რამდენიმე ამერიკული გარეგნობის მამაკაცი ზის და სიგარეტს ეწევა. დაფასთან კი მკლავებაკაპიწებული ახალგაზრდა, შავგვრემანი მკერავი დგას და რაღაცას აუთოებს. ფრანცმა მთელ ოთახს თვალი მოავლო, მერე გაბრწყინებული თვალებით თავის ახალგაცნობილ ქალს შეხედა.

- ემი, პატარავ, რა კარგია, რომ გაგიცანი.

ქალს არ ესმის, კაცს საუბარი საით მიჰყავს, მაგრამ სიამოვნებით უსმენს. ერთი ახლა შეახედა მისთვის იმ ბიჭს, რომელმაც ის მიუნცჰოფში მიატოვა. ალბათ, როგორ გაბრაზდებოდა!

- ემი, ჩემო ემი. ერთი ამ ბუნაგს შეხედე! - არ ცხრება ფრანცი.

- აბა, რა გითხრა, ეგ კაცი უთოობით ბევრ ფულს ვერ იშოვის.

- აბა, რომელი?

- აი, ის შავგვრემანი.

- ჰო, ეგ ნამდვილად ვერ იშოვის, მაგრამ სამაგიეროდ, სხვები იშოვიან.

- რომელი სხვები? აი, ისინი? ასე რატომ ფიქრობ? იმათ არც მე ვიცნობ და არც შენ.

- არა, არ ვიცნობ, მაგ ადამიანებს პირველად ვხედავ, მაგრამ ვხვდები, რასაც საქმიანობენ, - ზეიმობს ფრანცი, - შენ მხოლოდ ამათ შეხედე, მეპატრონეზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მის სახელოსნოში აუთოებენ, მაგრამ უკანა ოთახში სხვა რაღაცებს აკეთებენ.

- შენი აზრით, წყვილებზე აქირავებენ?

- შეიძლება აქირავებენ კიდევაც, მაგრამ არა მგონია. ეს ყველაფერი ხომ მაგარი აფერაა! შენი აზრით, ვისია ეს კოსტიუმები, აქ რომ კიდია? აბა, ახლა აქ ერთი სისხლის სამართლის პოლიციის აგენტი შემოსულიყო და გამოეძია, აქ რა და როგორ ხდება, მაშინ ეს თაღლითები აქედან თვალის დახამხამებაში გაიძურწებოდნენ.

- ეგ საიდან იცი?

- საიდან და ვხვდები, რომ რაც აქ კიდია, ყველაფერი მოპარულია, დამიჯერე, „ამერიკული ქიმწმენდა“, - კარგი რა!

უბრალოდ მარჯვე ბიჭები არიან. მოიწყვეს აქ საუთოო თუ ქიმწმენდა და ბედნიერად ცხოვრობენ. სხედან, აბოლებენ, მოპარულ საქონელს ყიდიან და ცხოვრება მშვენიერია.

ფრანცმა და ემიმ გზა განაგრძეს.

- აი, ემი, ისწავლე, ასე უნდა ცხოვრება! მუშაობით თავი არ უნდა მოიკლა, ქანცის გაწყვეტამდე რომც იმუშაო, ბებერების გარდა ვერაფერს გამოიმუშავებ. ფულს მხოლოდ თაღლითობით შოულობენ. ნათქვამია, წესიერი მუშაობით ქვის პალატებს ვერ აიშენებო! ასეა, შრომით ამქვეყნად ჯერ არავინ გამდიდრებულა, კი, ნამდვილად ასეა, შენც კარგად ხედავ!

- შენ კი რას საქმიანობ? - ეკითხება ემი იმედით აღვსილი.

- გზა გავაგრძელოთ, ემი, მერე გეტყვი.

ისევ ახმაურებულროზენტალერშტრასეზე არიან, მერე სოფიენშტრასედან მიუნცშტრასეზე გადიან, ფრანცი გაჭიმული, ისე როგორც აღლუმზე, წინწამოწეული მკერდით, მხნედ მიაბიჯებს:

საყვირები მარშს უკრავენ:

„გმირულად ვიბრძოდით, მახსოვს ეგ ომი, ტრატატა, ტრატატა, ტრატატა, ქალაქი ავიღეთ და მთელი ხაზინა გამოვიტანეთ, ტრატატა!..“

ორივენი იცინიან. ფრანცმა ანკესზე მართლაც მაგარი გოგო წამოაგო. შეხედავ და ემი ერთი ჩვეულებრივი გოგოა, მაგრამ თავს რა არ გადახდენია: თავშესაფარშიც უცხოვრია, ქმარსაც გაშორებია. ერთიც და მეორეც კარგ გუნებაზე არიან. ემი ეკითხება:

- ხელი სად დაკარგე?

- საცოლის სახლში გირაოდ დავტოვე, ნიშნად იმისა, რომ ისევ დავბრუნდები, თორემ ისე არ მიშვებდა.

- ალბათ, ისიც შენსავით მხიარულია!

- აბა, რა, გაუგონარ საქმეებს სჩადის, - დავდგამ ხელს მაგიდაზე და ის მთელი დღის განმავლობაში გაიძახის: მხოლოდ იმან უნდა ჭამოს, ვინც მუშაობს. ვინც არ მუშაობს, არ ჭამს. შიმშილით უნდა მოკვდეს. შესვლა ერთი გროში ღირს, მოდიან პროლეტარები, უყურებენ და უხარიათ.

ემი ფრანცს ხელზე ექაჩება, კისკისებს.

ფრანციც იცინის:

- ცოტა ნელა, შე გადარეულო, თორემ მეორე ხელსაც მომაგლეჯ!

თუ გაქვს ახლებური ხედვა, ახლებურადაც ფიქრობ

ქალაქში ერთი უჩვეულო, ფერად-ფერადი ალმებით მორთული პატარა ეტლი გამოჩნდა. შიგ დამბლადაცემული კაცი ზის, ხელით მართავს, ეტლი შონჰაუზერალეეში მიგორავს, ყველა კუთხეში ჩერდება, მის გარშემო კი ადამიანები იკრიბებიან, ხოლო კაცის დამხმარე ბიჭი საფოსტო ღია ბარათებს ათ პფენიგად ყიდის:

ღია ბარათზე კი წერია:

„უცნაური მოგზაური! მე, იოჰან კირბახი, **1874** წლის **20** თებერვალს მიუნხენ-გლადბახში დავიბადე; მსოფლიო ომამდე სრულიად ჯანმრთელი გახლდით და თავს საკუთარი შრომით ვირჩენდი. სხეულის მარჯვენა ნაწილის დამბლამ შრომითი საქმიანობის გაგრძელებაში ხელი შემიშალა. მერე, დროთა განმავლობაში, იმდენად გამოვჯანმრთელდი, რომ სიარული და მუშაობა ისევ შევძელი და ჩემი ოჯახი საშინელი სიდუხჭირისგან ვიხსენი. სამწუხაროდ, ჩემი ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა. **1924** წლის ნოემბერში რაინის ოლქის სახელმწიფო რკინიგზები დამპყრობელი ბელგიის ოკუპაციისგან გათავისუფლდა. ეს სასიხარულო მოვლენა ჩემთვის საბედისწერო აღმოჩნდა. იმ დღეებში მთელი მოსახლეობა ზეიმობდა. პატრიოტი გერმანელების უმრავლესობამ ეს ამბავი ლუდითა და არყით აღნიშნა, რაც ჩემი უბედურების მიზეზად

იქცა. ერთ საღამოს შინ მიმავალს, გზაზე, ჩემი სახლიდან სამასი მეტრის მოშორებით, შეზარხოშებულმა კომპანიამ წამაქცია და ფეხებით გადამიარა. ისე უიღბლოდ დავეცი, რომ სამუდამოდ ხეიბრად დავრჩი, მე ვეღარასოდეს შევძლებ სიარულს. არ ვიღებ პენსიას და არც არანაირი სახის დახმარებას. იოჰან კირბახი".

ლუდხანაში, სადაც ჩვენი ფრანცი ამ მშვენიერი დღეების განმავლობაში უსაქმურობს, იქაურობას ზვერავს, სხვათა საუბრებს ფარულად უსმენს, იქნებ შემთხვევით რაიმე ხელსაყრელ, უსაფრთხო საქმეს გამოჰკრას ხელი, მის გვერდით ვიღაც ღლაპი ერთ ამბავშია. მას, თურმე, ეს ეტლი შიგ მჯდომი პარალიზებული კაცით დანციგერშტრასეზე, სადღაც სადგურთან ახლოს უნახავს და ახლა მთელი ლუდხანის გასაგონად კაკანებს, თუ როგორ ეცოდება ის დამბლიანი კაცი და ჰყვება, რა საზიზღრად მოექცნენ მამამისს, - მას ომში მკერდში ტყვია მოხვედრია და ახლა ძლივს სუნთქავს. ექიმებმა კი უთხრეს, რომ ეს მხოლოდ ნერვიულობის ნიადაგზე წარმოშობილი ქოშინია. და ამ უგუნური დიაგნოზის გამო პენსია გაუნახევრეს. მეტიც, პენსიის წართმევითაც ემუქრებიან!

მოპირდაპირე მხარეს სხვა ახალგაზრდა ზის, ჟოკეის ქუდი ახურავს. კარგა ხანია, ზის მაგიდასთან და არაფერს უკვეთს. მოკრივეებისთვის დამახასიათებელი ოთხკუთხედი ყბა აქვს. ყმაწვილის კაკანს უსმინა, უსმინა და თქვა:

- დიდი ამბავი, თუ ხეიბარია! ასეთებს ერთი პფენიგიც კი არ უნდა მისცე.

- ერთი ამ ჭკუის კოლოფს დამიხედეთ. შენი აზრით, ადამიანმა, რომელმაც იომა, სისხლი დაღვარა, დახეიბრდა, სახელმწიფოსგან ერთი პფენიგიც არ უნდა მიიღოს?

- ეგრეა, მთავრობამ ყველა სისულელეში ფული არ უნდა გადაიხადოს. აი, მაგალითად, ბიჭი ტრამვაის კიბიდან ჩამოვარდა და ფეხი მოიტეხა, რა პენსია უნდა გადაუხადონ? თავის უბედურებაში ხომ თვითონ არის დამნაშავე?

- ამაზე ასე ადვილად იმიტომ ლაპარაკობ, რომ ომის დროს, ალბათ, მაგიდის ქვეშ დახოხავდი.

- სისულელეების ლაქლაქს მორჩი! მთელი უბედურება, რაც კი დღეს გერმანიას ჭირს, იმის

ბრალია, რომ ინვალიდებს პენსიას უხდიან. ეს ადამიანები არაფერს აკეთებენ, მხოლოდ ზედმეტ ბარგად აწვებიან ოჯახს და ქვეყანას, და მათ ამაში ფულს უხდიან.

ლაპარაკში მეზობელი მაგიდიდან ერთვებიან:

- ვილი, ეს უკვე მეტისმეტია! შენ კი სად მუშაობ?

- არსად, უმუშევარი ვარ და თუ შემწეობის გადახდას ქვეყანაში მომავალშიც განაგრძობენ, მუშაობას არც დავიწყებ, რადგანაც შემწეობას მეც მიხდიან.

მეზობელ მაგიდასთან მსხდომნი იცინიან.

- ნამდვილი რეგვენი ხარ!

ფრანც ბიბერკოპფი მაგიდასთან ზის. ჟოკეისქუდიანმა კი ჯიბეებში ხელები ჩაიყო და ფრანცის ცარიელ სახელოს გამომწვევად უყურებს. აქაოდა, აი, კიდევ ერთი ინვალიდიო. ვიღაც ქალმა ფრანცს უკნიდან ხელები მოხვია, ეკითხება:

- შენ ხომ ცალხელა ხარ. გვითხარი, პენსიას რამდენს იღებ?

- ამის გაგება ვის აინტერესებს?

ქალი თავს ახალგაზრდისკენ

იქნევს:

- აი, ამ ბიჭს აინტერესებს.

- სულაც არ მაინტერესებს, - გაბრაზდა ბიჭი, - მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, თუ ისეთი სულელია ვინმე, რომ ომში მიდის, მაშინ... კმარა, ამაზე ლაპარაკი აღარ გვინდა!

ქალს გაეცინა და ფრანცს ეუბნება:

- ხედავ, როგორ შეშინდა?

- ჩემი ნამდვილად არ უნდა ეშინოდეს, მეც იმავეს ვამბობ. იცით, ახლა ჩემი ხელი სად არის? არა, ეს არა, მეორე, რომელიც ჩიკ-ჩიკ, მომაჭრეს? სპირტიან ქილაში ჩავდე და დგას ახლა იგი, ძვირფასო, კამოდზე და ყოველ ცისმარე დღეს მეუბნება: „გამარჯობა, ფრანც, შე ნამდვილო იდიოტო!“

საერთო სიცილი, წამოძახილები: მაგარი კაცია, ძლიერი! ვიღაც ხანში შესულმა კაცმა ჯიბიდან გაზეთში გახვეული ორი უზარმაზარი ბუტერბროდი ამოათრია, ჯიბის

დანით დაჭრა და ლუკმებს ერთმანეთის მიყოლებით პირში იყრის:

- აი, მე ომში არ ვყოფილვარ, მთელი ცხოვრება ციმბირში ვყავდით ჩაკეტილი. ახლა ცოლთან ერთად ვცხოვრობ. და იცით, წელკავმა გამაწამა და თქვენი აზრით, დახმარება მეც უნდა შემიწყვიტონ? ბიჭებო, თქვენ ნამდვილად გაგიჟდით.

- რევმატიზმი სად აიკიდე? - შეუღრინა ახალგაზრდამ, - ალბათ, ქუჩაში ვაჭრობდი ან საქონლით ხელში კარდაკარ დარბიხარ. რა, გამოვიცანი? ჰოდა, თუ ძვლები გტკივა, მაშინ ქუჩაში ნუ ვაჭრობ!

- აბა, სუტენიორობა დავიწყო, თუ რა ვქნა?

ახალგაზრდამ მუშტი მაგიდას დაარტყა, ისე ძლიერად, რომ ბუტერბროდიანი პაკეტი ზემოთ ავარდა.

- დიახ, მართალია, და სასაცილო არაფერია. აი, მაგალითად, ჩემი ძმა და მისი ცოლი წესიერად ცხოვრობდნენ, კარგი ადამიანები იყვნენ, ჩემი ძმა მთელი დღეები ქუჩაში დარბოდა, სამსახურს ეძებდა. როგორც უმუშევარს, შემწეობას უხდიდნენ. ცოლი კი გიჟს დაემსგავსა. ისე, როგორც თევზი ყინულს, კედლებს ეხეთქებოდა და მართალიც იყო, ამ მათხოვრული თანხით ხომ ვერ იცხოვრებდნენ. ცოლს მუშაობა არ შეეძლო, შინ ორი პატარა ჰყავდათ, ბავშვებს მოვლა ხომ უნდოდა. და აი, მოხდა ის, რაც, სავარაუდოდ, უნდა მომხდარიყო: ქალმა ჯერ ერთი მამაკაცი გაიცნო, მერე მეორე, მესამე და ასე შემდეგ. ბოლოს ჩემმა ძმამ რაღაც იყნოსა. დამიძახა, უნდოდა ცოლთან გულახდილად ჩემი თანდასწრებით ელაპარაკა. აი, მაშინ მოხდა, რაც მოხდა. ნამდვილი ტრაგიკომედია გათამაშდა. ქალმა აიწყვიტა, შენი საცოდავი გროშებით თავიდან მომწყდი და აღარ დამენახვო, გამომივიდა რა ესეც ქმარიო, - ყვიროდა. ჩემმა ძმამ კრინტიც ვერ დაძრა. იდგა გამშრალი და მხოლოდ თვალებს ახამხამებდა.

- და ქმარი გააგდო?

- გააგდო, ახლა ჩემი ძმა უკან დაბრუნებაზე ოცნებობს, მაგრამ ცოლს მისი დანახვაც არ უნდა. ამბობს, რაში მჭირდება ეგ სულელი, თვითონ სამუშაოს ვერ პოულობს და ფულის შოვნას სხვასაც

უშლისო!

აქ უკვე კრინტის დაძვრა ვერავინ გაბედა, რადგანაც ყველა ქალის მხარეს იყო. ფრანცი ვილის, ამ ბიჭს ასე ერქვა, გვერდით მიუჯდა, ჭიქა მიუჭახუნა:

- ყოჩაღი ბიჭები ხართ, ჩვენზე ათი-თორმეტი წლით უმცროსები ხართ და ასჯერ უფრო ჭკვიანები და ეშმაკები. ოცი წლისანი ამდენ ლაპარაკს კი არა, პირის გაღებასაც ვერ ვბედავდით. ჯანდაბას, როგორ ამბობენ პრუსიელები, ხელები შარვლის ნაკერებთან. ჯარში მხოლოდ გესმის: სწორდი, მარჯვნისაკენ! სხვა არაფერი.

- ჩვენს შემთხვევაშიც ეგრეა, მაგრამ ჩვენ უფრო მარცხნისკენ ვიხრებით.

ხარხარი.

ლუდხანაში იმდენი ხალხია, ერთმანეთს გვერდს ვერ უქცევენ. კელნერმა ბარის უკან კარი გააღო,

- იქ ვიწრო, მომცრო ოთახია. მთელმა კომპანიამ იქ გადაინაცვლა და აირმაშუქის ქვეშ დასხდნენ. ოთახში ცხელა, ბუზები გუნდ-გუნდად დაფრინავენ, იატაკზე ჩალით დატენილი ლეიბი აგდია. ლეიბი დაახვიეს, ფანჯრის რაფაზე დადეს, კარგია, განიავდება! საუბარი გრძელდება. ვილი თავის აზრზე ჯიუტად დგას.

ამ დროს მეორე ყმაწვილმა, რომელიც აქამდე ხმას არ იღებდა და მისი არსებობა თითქმის ყველამ დაივიწყა, ვილის ხელზე საათი დაინახა:

- ერთი ნახეთ, ოქროსია. რა, შემთხვევით იყიდე?

- ჰო, თანაც სამ მარკად.

- ესე იგი, ნაქურდალია.

- მერე მე რა, ეგ ჩემი საქმე არ არის. შენც ხომ არ გინდა ასეთი საათი? შემიძლია გაყიდვინო.

- არა, დიდი მადლობა. ერთიც ვნახოთ და მაგ საათით დამიჭირეს, ხომ მკითხავენ, საიდან გაქვსო, რა ვუპასუხო?

- ერთი ნახეთ, ეს რა მშიშარა ყოფილა! - ვილი იცინის, აქეთ-იქით თავმომწონედ იყურება.

- კარგი რა, მორჩი!

ვილი ხელს მაგიდაზე დებს:

- რა, ჩემი საათი არ მოგწონს? ისეთია, როგორიც ყველა საათი, - მუშაობს, დროს აჩვენებს და სხვა არც არაფერი მოეთხოვება! თანაც ოქროსია.

- და ამაში სამი მარკა მიეცი?

- კარგი, მაშინ სხვანაირად აგიხსნი. შენი კათხა მომეცი, ახლა კი მითხარი, ეს რა არის?

- კათხა.

- სწორია, ლუდის კათხა.

- ჰო, არ შეგეკამათები.

- ეს კი რა არის?

- ეს? საათი. მორჩი, რას ოინბაზობ?

- ეგეც სწორია. ეს საათია და არა ჩექმა და არც კანარის ჩიტი. მაგრამ სურვილი თუ გაქვს, შეგიძლია თქვა, რომ ეს ჩექმაა.

- არ მესმის, ამით რისი თქმა გინდა?

ვილიმ კი იცის, რისი თქმა უნდა. მაგიდიდან ხელს იღებს, ერთ-ერთ გოგოს თავისკენ მიიზიდავს და ეუბნება:

- აბა, ერთი გაიარე!

- რას ნიშნავს, გავიარო?

- რას უნდა ნიშნავდეს, ჩვეულებრივად გაიარე, თუნდაც კედლის გასწვრივ. გოგოს გავლა არ უნდა, მაგრამ იქ მყოფნი ეხვეწებიან:

- ნუ იპრანჭები, გაიარე რა!

გოგო დგება, ვილის თვალს არ აშორებს და თან კედლისკენ მიდის.

- აჩუ, ცხენო, იარე! - უბრძანებს ვილი, გოგო კი ენას გამოუყოფს და თეძოების ქნევით კედლის გასწვრივ მიდის. პუბლიკა იცინის.

- კარგია, გეყოფა! აბა, ახლა მითხარით, ეს ქალიშვილი რას აკეთებდა?

- ენას გიყოფდა.

- კიდევ რას?

- წინ და უკან დადიოდა.

- კარგი, ეგრე იყოს. მაშასადამე,

დადიოდა? აქ უკვე გოგო ერთვება:

- არ დავდიოდი, ვცეკვავდი.

ხანში შესული კაცი ბუტერბროდების ჭამას თავს ანებებს და ამბობს:

- ეგ რა ცეკვაა! როდის აქეთ არის, რომ თეძოების ქნევა ცეკვად ითვლება?

- აი, თუ შენ ააქანავებ თეძოებს, რა თქმა უნდა, ის ცეკვა ნამდვილად არ იქნება, - იღრინება გოგო.

- რა მოხდა, გაიარა და მორჩა! - ყვირის სხვა ორი.

ვილი უსმენს, გამარჯვებულივით იცინის, მერე ამბობს:

- აი, მე კი ვიტყვი, რომ გოგო დააბიჯებდა.

- ამის ეშხი მაინც რა არის, ვერ ვხვდები, - ცხარობს პირველი ყმაწვილი.

- ეშხი რა არის? ის, რაც ამათ თქვეს.

- ვერ მივხვდი!

- ერთმა თქვა, რომ გოგომ უბრალოდ გაიარა, მეორემ - ცეკვავდაო, მესამემ - მიაბიჯებდაო. თითოეულმა ის თქვა, გოგონას გავლა როგორც აღიქვა. კიდევ ვერ მიხვდი? შენ ადამიანმა ყველაფერი უნდა აგიხსნას, დაგიღეჭოს! კარგი, აი, მომისმინე; შეხედე, ეს კათხაა, შიგ ლუდი ასხია, შენ კი შეგიძლია, თქვა, რომ შიგ

ლუდი კი არა, ნარეცხი წყალია. და ამაში შეიძლება ყველა დაგეთანხმოს, მე კი ამ კათხიდან მაინც დავლიო. ასეა ესეც. გოგო დადიოდა, ადამიანები კი ამბობდნენ: დააბიჯებს, დარბის ან ცეკვავსო, ხოლო რასაც ეს გოგო აკეთებდა, ხომ შენი თვალითაც დაინახე. ასეა მაშინაც, როცა ადამიანს საათს ართმევენ, ეს აუცილებლად ქურდობა არ არის. ახლა გაიგე? საათი უბრალოდ მავანის ჯიბიდან ამოიღეს ან ვიტრინიდან გამოიღეს. ვინ დაამტკიცებს, რომ საათი მოპარულია? პირადად მე ამის დამტკიცებას არ შევეცდებოდი.

და ვილი სკამის საზურგეზე გადაწვა, ხელები ისევ ჯიბეებში ჩაიწყო.

- აბა, ამას შენ რას დაარქმევ?

- უბრალოდ, საათი ერთი მფლობელის ხელიდან მეორის ხელში გადავიდა. ან საათმა მფლობელი გამოიცვალა და მორჩა. ვილიმ თავისი მოკრივის ნიკაპი წინ გასწია და დადუმდა. სხვებიც ფიქრობენ. მაგიდის ირგვლივ წუთით ავი სიჩუმე ჩამოვარდა.

მაგრამ ამ დროს ისევ ვილის წკრიალა ხმა გაისმა. ახლა იგი ცალხელა ფრანცს მიადგა.

- აი, შენ პრუსიულ ჯარში მსახურობდი, ომშიც იბრძოდი, არ ვიცი, ამაზე ვინ რას ფიქრობს, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს ადამიანისთვის თავისუფლების წართმევაა და რადგან სასამართლო და პოლიცია მათ მხარეს არის, საკუთარი უფლების დასაცავად ხმის ამოღებაც ვერ გაბედე. ისინი კი გეუბნებიან, ეი, ვირო, ეს თავისუფლების წართმევა კი არა, შენი მოვალეობაა და ვალდებული ხარ, ისევე პირნათლად მოიხადო, როგორც გადასახადები უნდა გადაიხადო. თუმცაღა, ეგეც არ იცი, შენი ფული რაში იხარჯება.

- აჰ, პოლიტიკაზე ლაპარაკი არ გვინდა, ერთობ მოსაწყენი თემაა, - წუწუნებს გოგო. პირველი ყმაწვილი საუბრის სადავეების ხელში აღებას ცდილობს:

- შენი მოსმენით ყურები დამიჭკნა! ასეთ კარგ ამინდში აქ ჯდომა დანაშაულია.

- მაშინ ქუჩაში გადი, - უტევს ვილი, - ბიჭო, შენ გგონია, პოლიტიკაზე მხოლოდ აქ, ლუდხანაში ლაპარაკობენ? იქნებ ფიქრობ, რომ ასე არ არის. წადი, თავად დარწმუნდი! პოლიტიკას ვერსად დაემალები, სადაც უნდა წახვიდე, პოლიტიკა ყველგან არის, ყველგან სახეში გაფურთხებენ. რა თქმა უნდა, თუკი სახეს მიუშვერ!

- მოკეტე, მორჩი ტლიკინს! - იქ მყოფთაგან ვიღაც ყვირის.

ორი ახალი სტუმარი შემოდის. გოგო მაცდუნებელ პოზებს იღებს. კედელთან დგება, იგრიხება, უკანალს აქანავებს, ვილის ეთამაშება. ვილი წამოხტება. ქალს ხელს სტაცებს და ჰერი, მასთან ერთად ზედმეტად თამამ „შიმის“ ცეკვავს. მერე, ხანგრძლივი კოცნა. ამ წყვილს ყველა მზერას არიდებს. ფრანცმა მესამე კათხის აღება დააპირა, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა, ზის, მარცხენა ხელს მარჯვენის ნარჩენებს უსვამს, ვერ გაუგია, ცეცხლი უკიდია თუ უცეცხლოდ იწვის. ამ ლაწირაკმა ვილიმ სული აუფორიაქა.

ოთახიდანმაგიდა გაიტანეს, ჩალით დატენილი ლეიბი ფანჯრიდან გადაყარეს. საიდანღაც აკორდეონისტი გაიჩითა, ტაბურეტზე დაჯდა და დაიწყო:

„იოჰან უძლიერესი,

იოჰან

დაუმარცხებელი,

ყველა ქალისთვის სასურველი,

მამაკაცი განუმეორებელი!“

მამაკაცებმა პიჯაკები გაიხადეს, მხიარულად ცეკვავენ, სვამენ, ლაყბობენ, ოფლი ღვარად სდით. ფრანცი ადგა, ფული გადაიხადა. ფიქრობს: იმ ასაკისა აღარა ვარ, რომ მოვილხინო და ვიცეკვო. თანაც ამის დროც არა მაქვს, როგორმე ფული არსობისა უნდა ვიშოვო! და როგორ, ეგ სულერთია!“

ქუდი დაიხურა და ლუდხანიდან გავიდა.

* * *

შუადღე. როზენტალერშტრასეზე მდებარე კაფეში ორი მამაკაცი ზის. ბარდის წვნიანს

ხვრეპენ. ერთს თეფშთან „ბერლინერ ცაიტუნგი“ უდევს, შიგადაშიგ გაზეთში იყურება, ეცინება.

- ნახე? „კოშმარული ოჯახური დრამა ვესტფალიაში“.

- მერე? სასაცილო რა არის?

- არა, მისმინე, რა წერია: „მამამ სამი შვილი წყალში დაახრჩო“. სამი ერთად! სერიოზული მამაკაცი ყოფილა!

- ეგ ამბავი სად მოხდა?

- ჰამში, ვესტფალიაში. წარმომიდგენია, რა აურზაური ატყდებოდა! ჩანს, კაცი უკიდურეს მდგომარეობამდე მიიყვანეს. მოიცა, ვნახოთ, ცოლს რა უქნა. ისიც ხომ არ... არა, ქალს თავის მოკვლა გაცილებით ადრე გადაუწყვეტია და სისრულეშიც მოუყვანია. მხიარული ოჯახია, არა? ცხოვრება ისწავლე, მაქს. აი, აქ ცოლის ბოლო წერილია, მისმინე: „მოღალატევ!! - აქ ქალს მეტი დამაჯერებლობისთვის ორი ძახილის ნიშანი დაუსვამს, - ასე ცხოვრების გაგრძელება აღარ შემიძლია. ეს ჩემს ძალ-ღონეს აღემატება. გადავწყვიტე, თავი არხში დავიხრჩო. შენ კი გირჩევ, თავი ჩამოიხრჩო. იულია“. წერტილი.

წაიკითხა და გადაიხარხარა:

- ეტყობა, ეს ორი ერთმანეთს არაფერს უჯერებდა, სრული უთანხმოება ჰქონდათ. ცოლი თავს არხში იხრჩობს, ქმარს კი ყულფში თავის გაყოფას ურჩევს. ცოლი ეუბნება, თავი ჩამოიხრჩვეო, ქმარი კი გარბის და შვილებს წყალში ახრჩობს, რა ჭირვეული ვინმე ყოფილა. აბა, ერთად როგორ იცხოვრებდნენ.

ორივე ხანდაზმულია. როზენტალერშტრასეზე, მშენებლობაზე მუშებად მუშაობენ. მეორე უსმენს, გაკვირვების ნიშნად თავს აქნევს:

- ერთობ სევდიანი ამბავია. ასეთ ისტორიას თეატრში თუ ნახავ, ან წიგნში წაიკითხავ, ატირდები კაცი.

- შენ შეიძლება ატირდე კიდეც, მაგრამ ეს ამბავი სატირალი კი არა, სასაცილოა.

- კარგი. გეყოფა, ნუ იკრიჭები. ცოლი, სამი შვილი, მართლაც რომ საცოდაობაა.

- მე კი ეს ყველაფერი კომიკურად მეჩვენება. მამა მომწონს, რა თქმა უნდა, ბავშვები მეცოდება, მაგრამ მეორე მხრივ, ერთი დარტყმით მთელი ოჯახის ამოწყვეტა, ძმაო, ყველას არ შეუძლია, - ისევ იცინის, - თუ გინდა, მომკალი, მაგრამ მეცინება, როცა ვფიქრობ, რომ ეს უბედური წყვილი სიცოცხლის ბოლომდე ჩხუბობდა. ცოლი ანდერძში სთხოვს, თავი ჩამოიხრჩვეო, კაცი კი ამბობს, შენს ჯინზე არ ჩამოვიხრჩობო, გარბის და შვილებს კატის კნუტებივით წყალში ახრჩობს.

მეორემ ფოლადისჩარჩოიანი სათვალე ცხვირზე მოირგო და წერილი თავიდან ბოლომდე წაიკითხა.

- ქმარი თურმე არ მომკვდარა, დაპატიმრებულია. მის ადგილზე ყოფნას ნამდვილად არ ვისურვებდი.

- ვითომ რატომ? შემთხვევით ხომ არ იცი, თავს როგორ გრძნობს?

- ვიცი!

- იცი? მე კი მგონია, რომ საკანში ზის, ეწევა, თუკი სიგარეტი აქვს, და ფიქრობს, ერთი თქვენი ყველასი...

- შენ რა გესმის. არა, ძმაო, ეგრე არ არის, ახლა მაგ კაცს სინდისი ქენჯნის, საკანში სულ ტირის ან გაშტერებული ზის. მთელი ღამეები არ სძინავს. შენ კი ეგრე არ უნდა ილაპარაკო, სულს ცოდვით იმძიმებ.

- არ გეთანხმები, ახლა იმ კაცს მკვდარივით სძინავს. ასეთ საშინელებას მხოლოდ თავზე ხელაღებული კაცი თუ ჩაიდენდა. ეგეც, ეტყობა, ეგეთია და ამიტომაც კარგად სძინავს და კარგადაც ჭამს. გარწმუნებ, უფრო კარგად სძინავს და იკვებება, ვიდრე გარეთ.

- მაშინ ეგ კაცი უკანასკნელი არამზადა ყოფილა, - თქვა მეორემ და მოსაუბრეს დაკვირვებით შეავლო თვალი, - და თუ თავს მოჰკვეთენ, ახია მაგაზე.

- ჰო, მართალი ხარ, მაგაში, ალბათ, ბავშვების მკვლელი მამაც დაგეთანხმებოდა.

- კარგი. სისულელეების ლაპარაკი გეყოფა. ჯობს, კიტრი შევუკვეთოთ.

- არა, რაც უნდა თქვა, გაზეთებში საინტერესო რაღაცები იბეჭდება! აი, ცოფიანი! ახლა, ალბათ, თავადაც დარდობს და განიცდის. ხომ ხდება ხოლმე, გააკეთებ რამეს და მერე ნანობ

ამაზე.

- კიტრთან ერთად ლაბასაც შევუკვეთ, შენ?

- მეც ავიღებ ლაბას!

თუ ახალ ცხოვრებას იწყებ, პროფესია შეიცვალე. შეიძლება პროფესიის გარეშეც

„თუ სახელოებზე პირველ ნახვრეტს შეამჩნევთ, მაშინ, დროა, ახალ კოსტიუმზე იფიქროთ. დროს ნუ დაკარგავთ, მობრძანდით ჩვენს მაღაზიაში. აქ ნათელ, ლამაზ დარბაზებში, ფართო დახლებს მიღმა, ყველა ფასონისა და ზომის მამაკაცისთვის სამოსის მდიდრული არჩევანია“.

- რაც უნდა მითხრათ, ფრაუ ვეგნერ, გარწმუნებთ, რომ მამაკაცი უხელოდ, თანაც მარჯვენა ხელის გარეშე, უკვე აღარაფრისთვის ვარგა.

- არა, კამათს არ დაგიწყებთ, ბატონო ბიბერკოპფ, უხელობა ძალიან ძნელია, მაგრამ ამდენი დარდიც არ შეიძლება, არც ასე დაღვრემილი უნდა დადიოდეთ, შეგხედავთ ადამიანი და შეეშინდება.

- აბა, რა ვქნა, ცალი ხელით რა გავაკეთო?

- სცადეთ, იქნებ უმუშევრობის შემწეობა მიიღოთ, ან რამით ივაჭრეთ.

- მაგალითად, რითი?

- დახლი გამართეთ!

- რა დახლი?

- გაზეთების. „ტიცის“ წინ ან სადმე სხვაგან რაიმე წვრილმანები, წვივსაკრავები, ჰალსტუხები, მზა ტანსაცმელი ან სხვა რამე გაყიდეთ.

- გაზეთებიო, ამბობთ?

- ან ხილი, ხილი გაყიდეთ.

- ეგენი რომ გავყიდო, იმ ასაკში აღარა ვარ. ეგ ახალგაზრდების საქმეა.

თავად კი ფიქრობს: ხილით ვაჭრობა ერთხელ ვცადე და მივქარე. კმარა, ეს საქმე დამთავრებულია.

- საცოლე უნდა გყავდეთ, ბატონო ბიბერკოპფ, რაიმეს გირჩევდათ, გვერდში ამოგიდგებოდათ. დაგეხმარებოდათ, როცა გაგიჭირდებოდათ. ფურგონსაც ერთად ატარებდით და ივაჭრებდა, თუ თქვენ რამე სხვა საქმე გამოგიჩნდებოდათ.

ფრანცმა ქუდი დაიხურა და ქუჩაში გავიდა. ეს ყველაფერი სისულელეა. ის დროა, არღანი ავიღო და ეზო-ეზო ვიარო. ეს ვილი სად დაიკარგა?

- გამარჯობა,

ვილი! მერე

ამბობს ვილი:

- ცხადია, რომ შენგან დიდი ხეირი არ იქნება, მაგრამ თუ თავი გაბია და ეშმაკი ხარ, მაშინ გამოგვადგები. მაგალითად, მე რომ ყოველდღე პატარ-პატარა ნივთები მოგიტანო, შეგიძლია ფარულად გაყიდო? ასე ვთქვათ, გაასაღო. გყავს სანდო ნაცნობები, ისეთები, რომლებსაც ენაზე კბილის დაჭერა შეუძლიათ? თუკი ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებ, მაშინ დარწმუნებული იყავი, კარგ ფულს იშოვი.

ფრანცს სწორედ ეს სჭირდება! სწორედ ასეთი საქმე უნდოდა. ყველაფერს გააკეთებს, ოღონდაც კი ბევრი ფული იშოვოს და რაც შეიძლება სწრაფად! უნდა, რაც შეიძლება მალე ფეხზე დადგეს.

მუშაობა სისულელეა. გაზეთებისთვის მიუფურთხებია. ახლა იმ ლენჩებისა და რეგვენების დანახვა არ შეუძლია, გაზეთებს რომ ყიდიან. უკვირს, ამქვეყნად ისეთი სულელები რომ არსებობენ, რომლებიც ორი პფენიგის გამო ქანცის გაწყვეტამდე მუშაობენ, იმ დროს, როცა სხვები საკუთარ მანქანებს დააქროლებენ. მუშაობა ჩემი საქმე არ არის, ეს ჩემს ცხოვრებაში უკვე იყო და ჭირი მოგჭამა. ტეგელი, შავი ხეების ხეივანი, სახლები ქანაობენ, სახურავები დაბლა მოცურავენ, სადაც არის თავზე დაეცემიან, - ეს მაშინ გადაწყვიტა პატიოსნად ეცხოვრა. სასაცილოა, რომ ფრანც ბიბერკოპფს წესიერად ცხოვრება უნდოდა. დიახ, მაშინ, ალბათ, ტვინი ნაღრძობი

ჰქონდა. ციხემ თავი შეახსენა, მაგრამ ახლა არა! მოგონებები განდევნა. ახლა ფული უნდა, მხოლოდ ფული, რაც შეიძლება ბევრი ფული, ადამიანს ფული სჭირდება, ადამიანი უფულოდ ვერ იცხოვრებს.

ასე და ამგვარად ფრანცმა ნაქურდლის გაყიდვა დაიწყო, ანუ დამნაშავე გახდა. და თუ ახალ ცხოვრებას იწყებ, პროფესიაც უნდა შეიცვალო. მალე იგი უფრო უარესი გახდება.

ეს არის ქალი, აცვია პორფირი და ძოწეული, ოქროთი, პატიოსანი ქვითა და მარგალიტებით შემკული, ხელთ უპყრია ბარძიმი, სავსე სიბილწითა და მისი სიძვის უწმინდურებით. ის იცინის და აწერია სახელი შუბლზე: საიდუმლო, ბაბილონი დიდი, ის წმიდათა სისხლით არის მთვრალი. რა ეცვა ფრანც ბიბერკოპფს, როცა იგი ჰერბერტ ვიშოვთან ცხოვრობდა?

და რა აცვია ახლა? უზადო საზაფხულო კოსტიუმი, შემთხვევით ვიღაც ტიპისგან თუ გადამყიდველისგან რაღაც 20 მარკად ნაყიდი. სადღესასწაულო დღეებში მკერდზე, მარცხენა მხარეს, ჯვარი კიდია, ანუ ყველამ გაიგოს, ხელი სადაც დაკარგა. პატიოსან პუბლიკაში ჯვარი მოწიწებას იწვევს, პროლეტარიატში კი - აღშფოთებას!

ფრანცი ახლა პატივცემულ ბიურგერ-მიკიტანს თუ მეძეხვეს ჰგავს, კარგად ნაკვები, მოვლილი, გაუთოებული შარვლით, თავზე ქვაბქუდათი, ხელზე ხელთათმნით. გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის დოკუმენტებიც აქვს, - ყალბი, რა თქმა უნდა, ვინმე როკერის სახელზე, რომელიც 1922 წლის არეულობების დროს დაიღუპა. მიცვალებულთა საბუთებმა უსიმოვნებისგან უკვე ბევრი გაიძვერა იხსნა. ყველაფერი ის, რაც შიგ წერია, ზეპირად იცის: მშობლები სად ცხოვრობენ, ისინი სად და როდის დაიბადნენ, რამდენი და და ძმა ჰყავთ, ახლა სად მუშაობენ და ადრე სად მუშაობდნენ. ერთი სიტყვით: პასუხი აქვს ყველა იმ კითხვაზე, რომელიც კი ნებისმიერ აგენტს შეიძლება თავში მოუვიდეს. და მერე რა მოხდება? ამას მომავალი გვიჩვენებს!

* * *

ეს ივნისში მოხდა. დიდებული თვეა ივნისი!

ჭუპრი ფრთაფარფატა პეპლად გარდაიქმნა. და იმ დროისთვის, როცა ევა და ჰერბერტი კურორტიდან ბრუნდებიან, ფრანცი უკვე ფორმაშია, ბედს აღარ ემდურის.

ბალტიისპირეთში, ცოპოტში, ბევრი საინტერესო რამ მოხდა. ფრანცი მეგობრების ნაამბობს სიამოვნებით უსმენს. თურმე, ევას მებირჟეს ნამდვილად არ გაუმართლა. მართალია, რულეტში დიდი თანხა მოიგო, მაგრამ იმ დღეს, ბანკიდან **10000** მარკა სასტუმროში რომ მოიტანა, გაქურდეს. იმ სულელმა ფული

ნომერში დატოვა და ევასთან ერთად სავახშმოდ წავიდა. უკან რომ დაბრუნდნენ, ნომერი გაძარცული დახვდათ. ეს როგორ მოხდა? ვიღაცამ კარს გასაღები მოარგო, შევიდა და ღამის მაგიდის უჯრიდან ოქროს საათი და ხუთი ათასი მარკა ამოიღო. რა თქმა უნდა, ოთახში ამხელა თანხის დატოვება დიდი გაუფრთხილებლობა იყო, მაგრამ, აბა, ამას ვინ იფიქრებდა. მებირჟემ ბევრი იყვირა: ვერც წარმოვიდგენდი, რომ ასეთ, პირველი კლასის სასტუმროში ქურდები შეღწევას მოახერხებდნენ, პორტიეს თვალები სად ჰქონდა, სასამართლოში გიჩივლებთ. აქ ყურადღებას არაფერს აქცევენო, მაგრამ ამაოდ დაშვრა. უპასუხეს, სამწუხაროდ, ადმინისტრაცია იმ ძვირფასეულობაზე, რომელსაც შემნახველ საკანში არ ჩააბარებთ, პასუხს არ აგებსო!

განრისხებულმა მებირჟემ მერე ევაზე იყარა ჯავრი, სავახშმოდ წასვლას რატომ მაჩქარებდიო, მხოლოდ იმიტომ, რომ იმ ცუღლუტ ბარონს გაპრანჭოდი; ან სხვა დროს მის ბრწყინვალებას იქნებ ხელებიც დაუკოცნო და ჩემი ფულით ბონბონიერი უყიდო და გაუგზავნო?

- ძალიან ვულგარული ხარ, ერნსტხენ...

- და ჩემი ხუთი ათასი მარკა?

- ვერ გამიგია, მე რა შუაში ვარ? აჰ, სახლში წავიდეთ
რა. მებირჟემ გაბრაზებულმა უპასუხა:
- ეგ კარგი აზრია, ოღონდაც აქედან შორს და რაც შეიძლება ჩქარა!

ასე და ამგვარად, ახლა ჰერბერტი ისევ ელზასერშტრასეზე ცხოვრობს. ევა კი დასავლეთით, არისტოკრატულ კვარტალში მდიდრულ ბინაში დაბინავდა. ისე, ეს ხომ პირველად არ ხდება და იმედია, ევა იქ დიდხანს არ იცხოვრებს. მებირჟეს ის მალე მობეზრდება და მაშინ ქალი ისევ ელზასერშტრასეზე დაბრუნდება.

ჯერ კიდევ მატარებელში, პირველი კლასის კუპეში, სადაც ევა ვნებას თამაშობდა და მებირჟის მოსაბეზრებელ ალერსს ითმენდა, სულ ფრანცზე ფიქრობდა. ხოლო, როცა კუპეში მარტო დარჩა, უცბად გაახსენდა, რომ ფრანცი ისევ დაიკარგა და შიშმა შეიპყრო.

ხოლო, როცა ოთხშაბათს, 4 ივნისს, კარი გაიღო და ოთახში შევიდა, ...ვინ, როგორ გგონიათ? გასაგებია, ვინც, არა? - თმაგადასლექილი, სუფთად და კარგად ჩაცმული,

გმირულ მკერდზე რკინის ჯვრით, ერთგული ძაღლივით ალერსიანი და თაფლისფერთვალება ჩვენი ფრანც ბიბერკოპფი. და თავისი ერთადერთი ხელი, ცხელი და ძლიერი, ისეთი, როგორიც ნამდვილ მამაკაცს ეკადრება, ყველას ჩამოართვა, მასპინძლებს ძალიან გაუხარდათ. ერთი ამას შეხედეთ, ეს ხომ ჩვენი ფრანც ბიბერკოპფია! ჰერბერტი და ევა კინაღამ სკამებიდან გადმოცვივდნენ. აი, ემილი კი ყველაფრის საქმის კურსში იყო და ჰერბერტსა და ევას ცუღლუტური ღიმილით უყურებდა: აუ, პირები როგორ დააღეს! ყოჩაღ, ფრანც, ყოჩაღ, შეკოხტაპრუწა.

ჰერბერტი აღფრთოვანებას ვერ მალავს:

- ახალგაზრდავ, ახლა ნამდვილად შამპანურში ბანაობ?

ევა კი გაოგნებული ზის, ვერ გაუგია, რა მოხდა, იქნება ახალი ხელი გაეზარდა? არა, მგონი, არა, ცარიელი მარჯვენა სახელო ისევ ჯიბეში აქვს ჩაჩურთული, ევა ფრანცს მოეხვია, აკოცა.

- აჰ, ღმერთო ჩემო, ფრანცეკენ, ჩვენ კი სულ შენზე ვფიქრობდით, როგორ იყავი, ხომ არაფერი გიჭირდა. ვერ წარმოიდგენ, როგორ ვღელავდით.

ფრანცმა მაგიდას კიდევ ერთხელ შემოუარა, ყველანი გადაკოცნა - ევა, ჰერბერტი, ემილიც კი. ევა ზეიმობს:

- რა კარგია! ნახეთ, რა მაგარია! ისე მიხარია, ვერც წარმოიდგენთ!

- მეც მიხარია!

- ფრანცეკენ, ახლა ვის ეკურკურები?

- რაო, ვეკურკურები? აჰ, ახლა მივხვდი, რასაც გულისხმობ! არავის. ყველაფერი ძველებურად არის. არავის ვეტრფი, არავინ მეტრფის!

მეგობრებს თავის საქმიანობაზე ყველაფერი დაწვრილებით უამბო და ჰერბერტს დაჰპირდა, ვალს უკანასკნელ პფენიგამდე უახლოეს თვეებში გადავიხდიო. ჰერბერტსა და ევას გაეცინათ. აქ ჰერბერტმა ფრანცს ცხვირწინ ყავისფერი ათასმარკიანი ბანკნოტი აუფრიალა.

- გინდა, ფრანც? ნუ მოგერიდება, აიღე!

- ფრანც, აიღე, რა! - სთხოვს ევაც.

- არავითარ შემთხვევაში, საკუთარიც საკმარისად მაქვს. მაგრამ ამ ათასიანის დახურდავება თუ ასე ძალიან გეჩქარება, ამის გაკეთება დაბლა, ლუდხანაში შეგიძლია. აი, მაგაზე კი უარს არ ვიტყვი.

სცენაზე ქალი გამოდის. ფრანც ბიბერკოპფი ისევ კარგ ფორმაშია

მეგობრებმა ფრანცს ახალი ცხოვრების დაწყება მიულოცეს და ყველა მისი წამოწყება დალოცეს. ევას, რომელსაც ეს კაცი ჯერ კიდევ უყვარს, უნდა, მას ერთი თავისი ნაცნობი გოგონა გააცნოს. ფრანცი უარზეა. ამბობს, იმ გოგონას უკვე ვიცნობ და დიდად არ მომწონსო.

- ტყუი, იმ გოგონას ჰერბერტიც კი არ იცნობს და აბა, შენ საიდან უნდა იცნობდე? ბერლინში სულ ახლახან ჩამოვიდა, ადრე ბერნაუში ცხოვრობდა და აქ ხანდახან საღამოობით, შტეტინის სადგურზე ჩამოდიოდა, სწორედ იქ შევხვდი და გავაფრთხილე კიდევაც, პატარავ, აქ ნუ ჩამოდიხარ ხოლმე, თორემ თავს დაიღუპავ. ბერლინურ ცდუნებას შენ კი არა, შენზე ბევრად ძლიერი და გამოცდილი ქალები ვერ უძლებენ. გაიცინა და მითხრა, აქ მხოლოდ გასართობად ჩამოვდივარო. მაშინ ეს ამბავი ჰერბერტსა და ემილსაც მოვუყევი. მერე კი ამ გოგონას ერთ-ერთ კაფეში შევხვდი. გამიკვირდა, რადგანაც ძალიან გვიანი იყო, ასე თორმეტი საათი იქნებოდა. ვკითხე, გოგონი, რაღაც გაბრაზებული და დანაღვლიანებული მეჩვენები, ვინმემ ხომ არ გაწყენინა-მეთქი? ის კი ატირდა. მითხრა, საბუთები არ მქონდა და პოლიციაში წამიყვანეს, მე ხომ არასრულწლოვანი ვარ, იქ ოქმი შეადგინეს, ჩემს სამსახურში შეკითხვა გაგზავნეს და სახლშიც შეატყობინეს. ასე რომ, ახლა არც სამსახური მაქვს და დედამაც შინიდანაც გამომაგდო. და მხოლოდ იმიტომ, რომ გართობა მოვინდომე! ბერნაუ ხომ ისეთი ჩამკვდარი ადგილია, შეიძლება კაცმა მოწყენილობისგან თავი მოიკლას.

ემილი უსმენდა, როგორც ყოველთვის, ხელებზე დაყრდნობილი:

- გოგო მართალია, ბერნაუში ვყოფილვარ, მართლაც გაუსაძლისი მოწყენილობაა.

- ჰოდა, ეს პატარა ისე მომეწონა, რომ გადავწყვიტე, მასზე მეზრუნა. შტეტინის სადგურში აღარ ვუშვებ.

ჰერბერტმა ძვირფასი სიგარა გააბოლა:

- ფრანც, შენ თუ ქალებთან განსაკუთრებული მოთხოვნები გაქვს, მაშინ ამ გოგოსგან რასაც მოინდომებ, იმას გამოძერწავ. ეს პატარა ნანახი მყავს, მართლაც კარგი გოგოა.

ემილმა დაუმატა:

- ძალიან ახალგაზრდაა, მაგრამ მისგან კარგი ქალი დადგება. მართლაც მაგარი გოგოა.

მეორე დღეს, დათქმულ დროს, გოგონამ ფრანცის ბინის კარზე დააკაკუნა. ფრანცმა კარი გააღო და სახტად დარჩა. მართალია, ევამ გოგონა ძალიან აქო და ფრანცსაც უნდოდა ევასთვის ესიამოვნებინა, მაგრამ იმან, რაც კაცმა იხილა, მოლოდინს გადააჭარბა. ასეთი არსება, რომელმაც ახლა ოთახში შემოაბიჯა, ფრანცს არათუ არ ჰყოლია, არც კი უხილავს. უმშვენიერეს გოგოს თეთრი, თხელი, უსახელო კაბა აცვია და ამ სამოსში სკოლის მოწაფეს ჰგავს, კატასავით მსუბუქი, ოდნავ ზანტი მოძრაობები აქვს და ფრანცთან ისე ახლოს დგას, ლამის სხეულზე ეკვრის. ნახევარი საათის შემდეგ კი ფრანცს ამ პატარა მაცდურის გარეშე თავისი ბინა და არსებობა ვეღარ წარმოუდგენია. ჰო, გოგონას ემილია ჰქვია, გვარად კი პარზუნკე არის, მაგრამ ფრანცს სთხოვს, თუ შეიძლება, სონია დამიძახეო. ეს სახელი მას ევამ დაარქვა, რადგანაც ღაწვები რუსული აქვს.

- და ევას, ევას ნამდვილი სახელიც ხომ ემილიაა. ეს ევამ თავად მითხრა.

ფრანცს გოგონა მუხლებზე უზის, ნაზად არწევს, შესცქერის ამ ულამაზეს არსებას და მაღალ ღმერთს მადლობას სწირავს, რომ ეს ბედნიერება შინ გამოუგზავნა. ხომ ამბობენ, ცხოვრება კიბეა, მასზე ადამიანი ხან ადის, ხან ჩამოდისო და თუ ასეა, მაშინ ფრანცი ახლა კიბის თავში დგას. ევას კი ადრე ემილია რომ ერქვა, აბა, მასზე კარგად ვინ უნდა იცოდეს, ეს სახელი ქალს ხომ თავად ფრანცმა დაარქვა. მას ევასთან რომანი იდამდე ჰქონდა. ეჰ, მაშინ ემილია, ახლა ევა არ უნდა მიეტოვებინა. მორჩი, გვიანია თითზე კბენანი, სამაგიეროდ, ახლა სახლში როგორი ქალი შემოუვიდა.

მაგრამ ფრანცს სახელი სონია რატომღაც არ მოეწონა. და მეორე დღესვე შეევედრა გოგოს, იცი, უცხოურ სახელებს ვერ ვიტანო, შენ ხომ ბერნაუდან ხარ და არა რომელიმე

სხვა ქვეყნიდან, მოდი, რამე სხვა სახელი მოვიფიქროთ. იცი, ძალიან ბევრი ქალი მყოლია, მაგრამ სახელი მარია არც ერთს

არ რქმევია. მარია, მიცი - აი, ეს მომწონს, კარგი სახელიაო და მას მერე ფრანცი გოგონას მიცის, მიციკენს ეძახდა.

მაგრამ ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. ასე ივლისის პირველ რიცხვებში ფრანცის მიციკენმა რაღაც იოინბაზა! არა, არც ფეხმძიმედ იყო და არც ავადმყოფი. ნამდვილად არა! ეს რაღაც სხვა იყო, რამაც ფრანცი ძალიან შეაშფოთა, თუმცაღა სინამდვილეში დიდი არაფერი მომხდარა. მაშინ შტრეზემანი[27] პარიზში ან სულაც სხვაგან მიემგზავრებოდა. ვაიმარში ტელეგრაფის შენობის ჭერი ჩამოინგრა, გრაცში კი ერთმა უმუშევარმა მამაკაცმა საცოლეს სხვასთან შეუსწრო, ორივენი რევოლვერით ჩაცხრილა, მერე კი ტყვია შუბლში დაიხალა. ასეთი რაღაცები ზამთარშიც ხდება და ზაფხულშიც, ამინდი არაფერ შუაშია. ამ დროს მოხდა ეს უჩვეულო ამბავიც: ჰამბურგში თეთრ ელსტერში თევზი ამოწყდა, არავინ იცის, რატომ! როცა ადამიანი ასეთ ამბებს წაიკითხავ, გიკვირს, და როცა საკუთარი თვალით ნახავ, მაშინ მხოლოდ მხრებს იჩეჩ, აქაოდა, ეს რა გასაკვირია, ასეთი რამ ხომ ყველა სახლში ხდებაო, ფიქრობ.

ალტეშონჰოიზერშტრასეზე, ლომბარდთან, ფრანცი ხშირად დგას: ლომბარდის ბუფეტში საჭირო ხალხს ელაპარაკება, გაზეთში ვიყიდი-გავყიდის რუბრიკას გადახედავს, მერე კი სადილობის ჟამს მიცის ხვდება. და აი, ერთხელ მოხდა ისე, რომ მიცი ალექსზე აშინგერთან, სადაც სადილობენ ხოლმე, დაგვიანებით მიდის, ღელავს, სულს ძლივს ითქვამს. ამბობს, ჩამეძინა და ამიტომ ძალიან ვჩქარობდიო. ფრანცი გრძნობს, რომ რაღაც ისე არ არის, მაგრამ მაშინვე დაავიწყდა ეს, გოგონა ისეთი ნაზია, რომ არ შეიძლება, არ დაუჯერო, მათ ბინაშიც ისეთი სისუფთავეა, ირგვლივ ყველაფერი წკრიალებს, და ისე, როგორც ბავშვის ოთახში, ყვავილებითა და ბაფთებით არის დამშვენებული, კარგად განიავებულია და შიგ ლავანდის სურნელი ტრიალებს. შინ დაბრუნებულს გული სიხარულით გიძგერს. მიცი საწოლში ბუმბულივით მსუბუქია და რბილი, მშვიდი და ნაზი. მხოლოდ ეგ არის, რომ ოდნავ სევდიანია და ჩაფიქრებული. ფრანცს მხოლოდ ის ვერ გაუგია, ეს გოგონა ფანჯარასთან რომ ზის ხოლმე, რაზე ფიქრობს. რამდენჯერმე ჰკითხა, მაგრამ კონკრეტულს არაფერს ამბობს, არაფერზე მთელი დღე ფიქრი ხომ არ შეიძლებაო, ფრანცი ამას ამბობს მხოლოდ. ეგეც მართალია, ვერაფერში შეედავები.

ფრანცმა ბინის კარზე წერილებისთვის ყუთი დაკიდა და ზედ ყალბი გვარი - კერეკი

დააწერა. იგი ახლა წერილებსა და განცხადებებზე ამ გვარს წერს ხოლმე. ჰოდა, ერთ დღეს მიცი ფრანცს ეუბნება, ამ დილით აშკარად მომესმა, ფოსტალიონმა ყუთში რომ რაღაც ჩააგდო, მაგრამ იმ რაღაცის შემოსატანად გარეთ რომ გავედი, შიგ არაფერი იყოო. ფრანცს გაუკვირდა, ეს რას უნდა ნიშნავდეს? მაშინ მიციმ ვარაუდი გამოთქვა, ეტყობა, ყუთიდან წერილი ვიღაცამ ამოიღო და ის ვიღაც მათ სართულზე მცხოვრები მეზობლები იქნებოდნენ, აბა, სხვა ვინ? ისინი მათ საჭვრეტიდან ყოველთვის უთვალთვალებენ და ფოსტალიონი რომ დაინახეს, წერილი ამოიღეს. ფრანცი ისე გაბრაზდა, რომ გაწითლდა კიდეც. ეს რაღაც ახალია, იქნებ ვინმე მითვალთვალებს? იმავე საღამოს მეზობლებს მიადგა, დააკაკუნა. კარი ოცდაათიოდე წლის ქალმა გაუღო და მაშინვე ქმრის დასაძახებლად გაიქცა. ქმარი კი მოხუცია, ასე, სამოცი წლისა, ჰოდა, ფრანცი ეკითხება, შემთხვევით ჩემი წერილი თქვენთან ხომ არ მოუტანიათო? კაცმა ცოლს გადახედა:

- შენთვის წერილი ვინმეს ხომ არ მოუტანია? მე ხომ შინ ეს წუთია მოვედი.

- არა, არ მოუტანიათ.

- მიცი, ეს რომელ საათზე იყო?

- ასე, თერთმეტ საათზე, ფოსტალიონი ყოველთვის ამ დროს მოდის.

- დიახ, - ამბობს მეზობელი ქალი, - თერთმეტ საათზე მოდის ხოლმე, მაგრამ ფროილაინი ფოსტას ყოველთვის თვითონ ართმევს, ფოსტალიონი ხომ კარზე ზარს რეკავს.

- ეს ყველაფერი ასე დაწვრილებით საიდან იცით? ფოსტალიონს კიბეზე მხოლოდ ერთხელ შევხვდი, მაშინ ერთი წერილი გადმომცა და ისიც ყუთში ჩავაგდე.

- არ ვიცი, წერილი ყუთში ჩააგდეთ თუ არა, მაგრამ ფოსტალიონმა წერილი რომ გადმოგცათ, ეგ დავინახე. ოღონდ ვერ გამიგია, ჩვენ რა შუაში ვართ?

ფრანცი:

- ესე იგი, ჩემი წერილი, თქვენთან არ არის? ჩემი გვარია რეკერი.

- ღმერთმა დაგვიფაროს, რა, სხვის წერილებს ხომ არ ავიღებდით. ჩვენ ყუთი არა გვაქვს, თავადაც ხედავთ, და ფოსტალიონიც ჩვენთან იშვიათად მოდის.

ფრანცმა ქალს კუშტად შეხედა. თავისი კარისკენ წავიდა, მიცი უკან გაჰყვა. ზღურბლზე კეპი აიწია:

- კარგად ბრძანდებოდეთ, ნახვამდის!

მერე ფრანცმა და მიციმ ამ ეპიზოდზე კიდევ დიდხანს ილაპარაკეს. ფრანცმა კი ვერა და ვერ დაადგინა, მას უთვალთვალებდნენ თუ არა? ეს ამბავი ჰერბერტსა და ევას აუცილებლად უნდა უამბოს. მიცის კი მკაცრად უბრძანა, ფოსტალიონისთვის ეთქვა, სხვა დროს წერილს რომ მოიტანდა, ზარი აუცილებლად დაერეკა.

- ეს უკვე რამდენჯერ ვუთხარი, ფრანცეკენ, მაგრამ ხანდახან მისი შემცვლელი მოდის.

ამ ინციდენტიდან ორიოდე დღის შემდეგ ფრანცმა სადილობამდე შინ შემთხვევით შეიარა. მიცი არ დახვდა, აშინგერთან უკვე წასულიყო, და მაშინ გაცხადდა ის საიდუმლო, რაც ასე ძალიან აწუხებდა. და გული შეეკუმშა, მაგრამ მალე ისევ გაუფართოვდა. ერთი სიტყვით, ოთახში შედის და იქ არავინ არის. ირგვლივ ყველაფერი წკრიალებს, ყველა ნივთი თავის ადგილზეა, მაგიდაზე კი ძვირფასი სიგარების ყუთია მიცის წერილითურთ: „ფრანცეკენს“, და კვლიავის ნაყენით სავსე ორი ბოთლი დგას. ფრანცს გული აუჩუყდა, ფიქრობს: რა თადარიგიანი გოგოა, ხელმომჭირნე, ასეთი ცოლად შერთვასაც იმსახურებს, ერთი ნახე, კანარის ჩიტიც კი უყიდია, თითქოს დაბადების დღე მქონდეს. ჩემო თაგუნია, ვალში ნამდვილად არ დაგრჩები. ჯიბეზე ხელი გაიკრა, უნდა დათვალოს, ფული რამდენი აქვს. მოულოდნელად ზარი გაისმა! აბა, ალბათ, ფოსტალიონია, მაგრამ რატომ ასე გვიან? უკვე თორმეტი საათია. თუმცა, კარგიც კია, ახლა ყველაფერს გავარკვევ.

ფრანცი დერეფანში გადის, კარს აღებს, იქ კი ფოსტალიონი არ არის. გაიხედ-გამოიხედავს, მიაყურადებს, დგას კარგა ხანს, არა, არავინ არის. კარგი, ალბათ, რომელიმე მეზობელთან შევიდა. ყუთში კი წერილი აგდია. წერილს ამოიღებს და ოთახში შედის. კონვერტი გახსნილია, მასში კი მეორე მომცრო ზომის დაწებებული კონვერტი დევს, მასში კი წერილია. კონვერტზე აშკარად შეცვლილი ხელწერით, ოკრობოკრო ასოებით წერია: „ადრესატს შეცდომით ჩაჰბარდა“ და გაურკვეველი ხელმოწერა. მაშასადამე, ამ წერილმა მეზობლების ხელში მართლაც გამოიარა. ეგენი მართლაც ჯაშუშები არიან, მაგრამ ვის უთვალთვალებენ? ვინ აინტერესებთ? ფრანცი მისამართს დახედავს: „ბატონ ფრანც რეკერს, სონია პარზუნკესთვის“. უცნაურია, მიცი წერილებს ვისგან უნდა იღებდეს? ფრანცი წერილს გახსნის, დახედავს და გაშეშდება: „ჩემო ძვირფასო, საყვარელო, შენგან პასუხს როდემდე ველოდო“... ფრანცს

ფეხები მოეკვეთა, თვალთ დაუბნელდა, კითხვის გაგრძელება ველარ შეძლო, სკამზე დაეშვა, თვალწინ, ისე როგორც ბურანში, ისე ჩაუქროლა სიგარებმა, კანარის ჩიტმა.

ფრანცი სახლიდან გადის, მაგრამ აშინგერთან კი არა, ჰერბერტთან მიდის. წერილს აჩვენებს, ჰერბერტი მეორე ოთახში გადის, იქ ევას რაღაცას ეჩურჩულება. მალე თავად ევა გამოდის, ჰერბერტი კი ფრანცს ემშვიდობება. ევა ჰერბერტს ლოყაზე კოცნის და კარამდე მიაცილებს. და გავა თუ არა, მაშინვე ფრანცს ყელზე ჩამოეკიდება.

- ფრანც, მაკოცე რა!

ფრანცს მოულოდნელობისგან თვალები უფართოვდება.

- თავი დამანებე!

- კარგი რა, ფრანცეკენ, მაკოცე, ჩვენ ხომ ძველი მეგობრები ვართ!

- ევა, რა გემართება? წესიერად მოიქეცი, ჰერბერტი რას იფიქრებს?

- ჰერბერტი ვერ გაიგებს, ხომ დაინახე, სახლიდან გავუშვი. არ გჯერა? მაშინ მთელი ბინა დაათვალიერე, - ევამ ფრანცი მეზობელ ოთახში გაიყვანა და კარი ჩაკეტა.

- ნუ გეშინია, მაკოცე!

ხელები ყელზე მოხვია, მთელი ტანით მიეკრა, ხურს, თითქოს ცეცხლი უკიდია.

- გოგონი, გოგონი, - ფრანცი ლამის დაიხრჩოს, - გაგიჟდი, ჩემგან რა გინდა.

მაგრამ ქალმა გონება დაკარგა. რა ვქნა, როგორ მოვიშორო, უკვირს, ამ ქალს ამდენი ძალა საიდან? მერე კი, უცებ თითქოს დენმა დაარტყა. ამქვეყნად ყველაფერი დაავიწყდა. იმაზე, ევას რა დაემართა, უკვე აღარ ფიქრობს. ორივენი ველურმა, გაშმაგებულმა ვნებამ შეიპყრო. მაგრამ მალევე გამოფხიზლდნენ. ფრანცი ზურგზე წევს, ევა კი - მის მკერდზე.

- ჰერბერტი სახლში მართლა არ არის? - კითხულობს.

- რა, კიდევ არ გჯერა?

- ეს ნამდვილი ღორობაა, ჰერბერტი ხომ ჩემი მეგობარია.

- ჩემო ძვირფასო, სანატრელო, ძალიან მიყვარხარ, ფრანც!

- ახლა ყელზე დალურჯებული ადგილები გექნება!

- შემიძლია ცოცხლად შეგჭამო, იმდენად მიყვარხარ. ოთახში ხელში წერილით რომ შემოხვედი, კინაღამ ჰერბერტის თანდასწრებით გადაგეხვიე.

- ჰერბერტს რას ეტყვი, თუ ჩალურჯებულ ადგილებს შეგამჩნევს, რას იზამ?

- დაწყნარდი, ვერ შეამჩნევს! ამის შემდეგ ჩემს მებირჟესთან წავალ და ჰერბერტს ვეტყვი, რომ ეს მისი ნამოქმედარია.

- აი, ეს კარგია, ჭკვიანურად მოიფიქრე, ევა! იცი, ასეთ ღორობას ვერ ვიტანი. და შენი მებირჟე კი რაღას იტყვის, მასთან ასე დალურჯებული რომ მიხვალ?

- რას იტყვის დედა, რას იტყვის მამა, რას იტყვის ბებია? კარგი, რა, ფრანც, არა გრცხვენია, რა მშიშარა ხარ.

მერე ევა მოხერხებულად დაწვა, ფრანცს თავზე ხელები შემოხვია, დიდხანს ეფერებოდა, კოცნიდა, გახურებული ლოყა მკლავის ნარჩენებზე მიადო. მერე როგორც იქნა, ადგა, თავი მოიწესრიგა, თავზე შლაპა დაიხურა, ფრანცს წერილი გამოართვა:

- ახლა წავალ? და იცი, სად? აშინგერთან, მიცის მე დაველაპარაკები.

- კი მაგრამ, ეგ რა საჭიროა, ევა?

- საჭიროა. შენ აქ დარჩი, დაისვენე. მალე დავბრუნდები, ხელი არ შემიშალო. ეს გოგონა ხომ სულ მთლად ბავშვია, გამოუცდელი, თანაც ამხელა ქალაქში და აბა, მასზე სხვა ვინ იზრუნებს, თუ არა მე? ასე რომ, ფრანც...

და ფრანცს ისევ კოცნის, კინაღამ ისევ აღეგზნო, მაგრამ მერე თავს მოერია და წავიდა. ფრანცი ზის და არაფერი ესმის.

ეს ორის ნახევარზე იყო, სამის ნახევარზე კი ევა უკან დაბრუნდა, - ერთობ სერიოზული, დამშვიდებული და ეტყობოდა, საკუთარი თავით კმაყოფილი. ფრანცს კი ამ დროს ეძინა. ევამ გააღვიძა, ჩაცმაში დაეხმარა, ოფლიანი სახე ოდეკოლონით გაუწმინდა, მერე კამოდზე ჩამოჯდა, ფეხებს აქანავებდა და სიგარეტს ეწეოდა.

- მიციმ იმდენი იცინა, ძალიან ბევრი! ფრანც, იცოდე, მიცის დაჩაგვრის უფლებას არ

მოგცემ. ფრანცს უკვირს.

- მისმინე, აშინგერთან რომ მივედი, მიცი ისევ იქ იყო და შენ გელოდებოდა. წერილი ვაჩვენე, ის კი

მეკითხება, სიგარები და კანარის ჩიტი თუ მოეწონაო! იცი, ფრანც, ეგ წერილი საერთოდ უნდა დაივიწყო.

- საჩუქრები, რა თქმა უნდა, მომეწონა.

- ჰოდა, ეს ისე მშვიდად მითხრა, წარბიც არ შერხევია. ყოჩაღ, გოგო. ასეთები მიყვარს. ძალიან კარგი გოგოა. ხედავ, შენთვის ვიღაც ნათრევი კი არ შემომიტენია!

ფრანცი წარბშეჭმუხნილი ზის. ერთი სული აქვს, გაიგოს, რაშია საქმე. ევა კამოდიდან ჩამოხტება, ფრანცს მუხლზე ხელს დაჰკრავს.

- ფრანცეკენ, ბუტია ხარ! არ გესმის, რომ ყველა გოგოს თავისი საყვარელი მამაკაცის გახარება უნდა? ხედავს, რომ მთელი დღე დარბიხარ, ფულს შოულობ, ზრუნავ მასზე და ასე შემდეგ, ის კი მხოლოდ ყავას გიხარშავს და ოთახს გილაგებს. არადა, მასაც უნდა რაღაც გაჩუქოს, გაგანებივროს! აი, ამიტომ აკეთებს ამას!

- მხოლოდ ამის გამო? და შენც დაიჯერე? მიცი ამიტომ

მატყუებს? აქ კი ევა ძალიან დასერიოზულდა:

- არ მესმის, რომელ მოტყუებაზე მელაპარაკები! მიცის შენი მოტყუება ფიქრადაც არ გაუვლია. და თუ ვინმემ წერილი დაწერა, მერე რა. კაცი შეყვარებულია და სწერს. ასეც ხდება. გასაკვირი არაფერია.

ფრანცი, როგორც იქნა, რაღაცას მიხვდა! აი, თურმე რა, ძაღლის თავი სად ყოფილა დამარხული! ევამ იგრძნო, ფრანცი რომ რაღაცას მიხვდა და თქვა:

- დიახ, ასეა! თავისი შრომით ფულის შოვნა მიცისაც უნდა, შენს ხარჯზე ცხოვრება არ მოსწონს! და ცალხელას ფულის შოვნა განა არ გიჭირს? მერე რა მოხდა, ფულს ხომ მეც ვშოულობ!

- ჰმ, ჰმ.

- ჰოდა, მიციმაც სწორედ ეს მითხრა. ისე, რომ თვალიც არ დაუხამხამებია! იცი, ფრანც, მიცი მართლაც არაჩვეულებრივი გოგოა. ქალი, რომელსაც შეიძლება ენდო. მითხრა, ფრანცი თავს უნდა გაუფრთხილდეს, ამ წელიწადში ისედაც ბევრი რამ გადაიტანა, ტკბილი ცხოვრება ადრეც არ ჰქონდა, ტეგელი და კიდევ ბევრი სხვა. მიციმ ხომ შენზე ყველაფერი იცის, ამიტომ შენს ხარჯზე ცხოვრების უფლებას სინდისი არ აძლევს, ამიტომაც უნდა დაგეხმაროს, ოღონდ შენთვის ამის თქმას ვერ ბედავს.

- ასეა, ასე, - თავჩაქინდრული უკრავს კვერს
ფრანცი. ევა მასთან მიდის, ზურგზე ხელს
უსვამს, ამბობს:
- ფრანც, შეიძლება არ დაიჯერო, მაგრამ ეს გოგო ძალიან შეგეთვისა, უყვარხარ, ჩემო კარგო, და თანაც, ძალიან. მე კი სულ დაგავიწყდი, ჰო, ფრანც? თუ არა, ფრანც?

კაცმა ევას ხელი წელზე მოხვია, ქალიც მის მუხლებზე ფრთხილად ჩამოჯდა, - ცალი ხელით მისი დაჭერა ხომ ძნელია, მან კი ქალის თავი მკერდზე მიიკრა, ჩუმად თქვა:

- ევა, შენ კარგი გოგო ხარ, ჰერბერტთან დარჩი, მას ძალიან სჭირდები, ის ხომ მართლაც მაგარი ბიჭია!

ფრანცი იდამდე ევას ხვდებოდა და ამის გახსენება ახლა საჭირო არ არის, მათ წარსულის გახსენება კარგს არაფერს მოუტანს. ევამ ეს იცის:

- ფრანც, ახლა კი მიცისთან წადი. აშინგერის შესასვლელთან გელოდება, მითხრა, თუ ჩემი ნახვა არ უნდა, შინ აღარ დავბრუნდებიო.

ფრანცი ევას მშვიდად და ნაზად დაემშვიდობება. ალექსზე მიდის და ხედავს, რომ აშინგერთან, ოდნავ გვერდით ფოტოგრაფის ვიტრინასთან, პატარა მიცი დგას. ფრანცი ქუჩის მეორე მხარეს, ღობესთან გაჩერდება და მიცის დიდხანს უყურებს. მიცი კუთხიდან აშინგერამდე და აშინგერიდან კუთხემდე დადის და ფრანცი აქეთ-იქით

მზერით მიაცილებს. ვერ გადაუწყვეტია, მიცისკენ წავიდეს თუ უკან გაბრუნდეს. ამ ფიქრში ვერც კი გაიგო, ადგილიდან როგორ დაიძრა და კუთხემდე მივიდა. ახლა გოგონა მისკენ პროფილით დგას: პატარა, ყავისფერ მაღალყელიან სპორტულ ფეხსაცმელებში. ვაითუ ახლა ვინმე მიუახლოვდეს, ქუჩაში ათასი ჯურის ვიგინდარა დაძრწის. პატარა ცხვირი აქვს, ოდნავ აპრეხილი... დგას, გზას გასცქერის, ფრანცი კი ხომ მეორე, უნივერმაღის მხრიდან მოვიდა, გოგოს არ დაუნახავს. აშინგერის პურით დატვირთული ფურგონი ტროტუარზე ავიდა და გზა გადაღობა. ფრანცი ღობის გასწვრივ მიდის და კუთხემდე, იქ, სადაც ქვიშასა და ცემენტს ერთმანეთში ურევენ, ძლივს გააღწია. მიცის ახლა აქეთ რომ მოეხედა, ფრანცს აუცილებლად დაინახავდა, მაგრამ ის სხვა მხარეს იყურება. გოგოს უკვე კარგა ხანია ვიღაც ხანში შესული ბატონი უთვალთვალებს, მიცი კი კაცს ვერც ამჩნევს. აი, გოგონა თამბაქოს მაღაზია „ლეზერ და ვოლფისკენ“ მიდის. ფრანცი მეორე მხარეს გადადის და მისგან ათიოდე ნაბიჯზე ჩერდება. ივლისის მზიანი დღეა, ვიღაც ქალი კაცს ყვავილების თაიგულს სთავაზობს, იგი **20** პფენიგს აძლევს და ერთ ადგილზე მილურსმულივით დგას. ჭოჭმანობს. ყვავილებს ყნოსავს, ნაზი სურნელი აქვს. და გაახსენდა ის ლარნაკი, მაგიდაზე ოთახში რომ იდგა, რომელშიც მიციმ ყვავილები ჩააწყო, კანარის ჩიტიც გაახსენდა, ნაყენი და სიგარებიც.

უცებ გოგონა მოტრიალდა და ფრანცი დაინახა, მაინც მოვიდა, თანაც ყვავილებით! აილეწა, აენთო, გაწითლდა იმ ყვავილებივით, რომლებიც კაცს მარცხენა ხელში უჭირავს. მაშინვე მასთან მიირბინა. მერე ისევ გაფითრდა, სახეზე წითელი ლაქები მხოლოდ აქა-იქ შერჩა.

კაცს კი გული გამალებით უცემს. გოგონას ხელკავს გამოსდებს და ორივენი ლანდსბერგერშტრასეს გაუყვებიან. მიდიან ჩუმად. მიცი მხოლოდ შიგადაშიგ ფარულად აპარებს თვალს მინდვრის ყვავილების თაიგულისკენ, რომელიც კაცს ხელში უჭირავს და მისი არსებობა აღარც კი ახსოვს. გვერდით **№19** ორსართულიანი, ხალხით გაჭედილი ყვითელი ავტობუსი ჩაიგრუხუნებს. მარჯვნივ, მშენებლობაზე გარშემორტყმულ ღობეზე პლაკატია მიწებებული:

„რაიხსპარტია ხელოსნებისა და ვაჭრების პარტიაა“. მეორე მხარეს ვერ გადახვალ, რადგან წითელი სინათლე აინთო და პოლიციაპრეზიდიუმის მხრიდან მანქანები

დაიძრა. ლოდინი დიდხანს მოუხდათ. და მხოლოდ სვეტთან, რომელზეც „პერსილის“ რეკლამა იყო გაკრული. გაახსენდა ფრანცს ყვავილების თაიგული. თავის ხელს შეხედა, ამოიოხრა, ყოყმანმა შეიპყრო, მისცეს თუ არა მიცის ყვავილები. ეჰ, ღმერთო ჩემო, რა შუაშია აქ იდა და ტეგელი? მე მიყვარს ეს გოგო.

და აი, სვეტთან, რომელზეც „პერსილის“ რეკლამა იყო გაკრული, ფრანცმა, როგორც იქნა, მიცის

თაიგული ხელებში ჩაუტენა. გოგო კი რა ხანია თაიგულისკენ თვალს აპარებდა, ელოდებოდა, როდის მისცემდნენ, კაცი კი დუმდა და ისე მიაბიჯებდა, თითქოს ამქვეყნად არც იყო. ახლა კი გოგონას სახე აელეწა, გაწითლდა, კაცს ხელზე ხელი სტაცა და თავისი აელვარებული ლოყით მის ხელისგულს დააკვდა. მისი სახის მხურვალება კაცსაც გადაედო და მთელ სხეულში ტალღად დაუარა. მერე გოგო უცებ გაჩერდა, ხელები უღონოდ დაუშვა, თავი კი მარცხნივ და ქვემოთ ჩამოუვარდა. შეშინებულმა ფრანცმა წელზე ხელი შემოხვია, მან კი ძლივს გასაგებად წაიჩურჩულა:

- არაფერია, ფრანც, არაფერი. მალე გამივლის.

გზაც იქ გადაჭრეს, სადაც ჰანის უნივერმაღს ანგრევდნენ. მიცი გონს მოვიდა და ახლა ყოჩაღად მიაბიჯებს.

- მიცი, რა მოგივიდა?

მიციმ კი კაცის მკლავი ჩაბღუჯა:

- იცი, შემეშინდა, ძალიან შემეშინდა, - თავი გვერდზე მიატრიალა და ცრემლები წასკდა, მაგრამ ვიდრე კაცი მის ცრემლებს შეამჩნევდა, ის უკვე იღიმებოდა, ეს მძიმე წუთები იყო.

შინ დაბრუნდნენ. ფრანცი დივანზე უპიჯაკოდ ზის, ხოლო გოგო თავის თეთრ კაბაში - მის ფეხებთან, პატარა სკამზე. გაუსაძლისი სიცხეა, სუნთქვა ჭირს. ფრანცი გოგონას ცქერით ტკბება. როგორ მიყვარს ეს პატარა არსება, რა ბედნიერებაა, რომ ისევ ჩემ გვერდით ხარ, გოგონი, რა ლამაზი ხელები გაქვს, ლაიკის ხელთათმანებს გიყიდი, ახალ კოფთასაც, შენ კი, რაც გინდა, ის გააკეთე, ღმერთო, რა კარგია, რომ ისევ აქა ხარ, ჩემო პატარავ. გოგონას თავს კალთაში იდებს, მერე თავს მაღლა აუწევს, უცქერის და მისი ცქერით ტკბება. უნდა ჩაიკრას გულში, იგრძნოს მისი სხეული. თავს ისევ ცოცხალ ადამიანად გრძნობს. არსად გაგიშვებ, არასოდეს. რაც უნდა მოხდეს, არსად გაგიშვებ.

- ჩემო მიციკენ, შეგიძლია, გააკეთო ყველაფერი, რაც კი გინდა, არასოდეს მიგატოვებ, არასოდეს, -

ჩურჩულებს გამშრალი ტუჩებით.

რა ბედნიერები არიან. ჩახუტებულები კანარის ჩიტს უყურებენ. მიცი თავის ჩანთაში

იქექება, იქიდან დღეს მიღებულ წერილს ამოიღებს და ფრანცს აჩვენებს:

- ამ სისულელის გამო გაბრაზდი? იმან აგაღელვა, რაც შიგ წერია? - გოგომ წერილი დაჭმუჭნა და იატაკზე დააგდო, - ადამიანო, ასეთი წერილების მთელ დასტას გაჩვენებ.

თავდაცვითი ომი სამოქალაქო საზოგადოებასთან

ამ ბოლო დღეებში ფრანც ბიბერკოპფი მშვიდად დასეირნობს. დაცხრა, დიდი ფულის შოვნას აღარ ცდილობს, მოჰბეზრდა ბნელი საქმეების მოსაგვარებლად ერთი ნაქურდლის შემსყიდველიდან მეორესთან სირბილი, სხვა მყიდველების ძებნა. საქმე არ აეწყო და ჯანდაბას მაგისი თავი, მიუფურთხებია ყველაფრისთვის. თავზე არ აწვიმს, არ ათოვს, სიმშვიდე და დრო კი ფულზე მეტად ფასობს. კარგი ამინდები რომ ყოფილიყო, მაშინ მიცისა და ევას დაუჯერებდა და სვინემიუნდეში დასასვენებლად გაემგზავრებოდა, მაგრამ თითქოს ჯიბრზე სწორედ ახლა მთელი დღეები გადაუღებლად წვიმს, ცივა, ქარმა კი ისე აიწყვიტა, რომ ჰოპეგარტენში საუკუნოვანი ხეები ფესვებიანად მოგლიჯა, აბა, რა დროს ზღვაზე წასვლაა. მიცი და იგი შეხმატკბილებულად ცხოვრობენ. ჰერბერტსა და ევასთან ხშირად დადიან. მიცის უკვე მუდმივი თაყვანისმცემელი ჰყავს, ერთობ სოლიდური და პატივცემული ბატონი. იმ კაცს ფრანცი, როგორც მიცის ქმარი, ისე გაეცნო. და ხანდახან მას ხვდება კიდევაც და კიდევ ერთ ტიპს, რომელიც აგრეთვე მიცის აღმერთებს. ეს სამნი ერთად დროს კარგად ატარებენ, მეგობრულად სვამენ და საუბრობენ.

ეს ჩვენი ფრანც ბიბერკოპფი ძალიან მაღლა აფრინდა! კარგად ცხოვრობს, ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვალა. იყო დრო, სიცოცხლე მისი ბეწვზე ეკიდა, ახლა კი ჯანმრთელია და ფეხზე მყარად დგას, ყველაფერი აქვს: აცვია, ახურავს, მაძღარია, საკუთარ თავს უარს არაფერზე ეუბნება. გვერდით ჰყავს ქალი, ვისთანაც თავს ბედნიერად გრძნობს, ფულიც საკმარისად აქვს, ჰერბერტს ვალი უკვე გადაუხადა. მეგობრები - ჰერბერტი, ევა, ემილი საიმედო ადამიანები არიან, მათ ფრანცი უყვართ და პატივს სცემენ. თითქმის მთელი დღეები იგი ჰერბერტსა და ევასთან ზის და მიცის ელოდება, და თუ იქ არ ზის, მაშინ მიუგელზეეზე მიემგზავრება, იქ ორ ნაცნობთან ერთად

ნიჩბოსნობაში ვარჯიშობს. ერთადერთ მარცხენა ხელში ძალა ყოველდღიურად ემატება და ამ საქმეშიც ოსტატდება. მიუნცშტრასეზე მდებარე ლომბარდშიც შედის ხოლმე, აინტერესებს, იქ რა ხდება.

ფრანც ბიბერკოპფ, შენ ხომ დაიფიცე, რომ პატიოსნად იცხოვრებდი. წარსულში აღვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდი, ფსკერზე დაეშვი და ეს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ იდა შემოგაკვდა, ამის გამო ციხეში აღმოჩნდი, და ეს საშინელება იყო. ახლა კი ნაგავში ზიხარ. ოღონდ იდას ახლა მიცი ჰქვია, მარჯვენა ხელი დაკარგე, ფრთხილად იყავი, სმა ისევ არ დაიწყო, თორემ იგივე განმეორდება, მაგრამ განმეორდება უფრო სასტიკად და ეს შენი აღსასრული იქნება.

სისულელეა, დამნაშავე ნამდვილად არა ვარ. სუტენიორობა ნაღდად არ მინდოდა. ყველაფერი გავაკეთე, რაც კი შემეძლო, მაგრამ ცხოვრებამ მომთხოვა ის, რაც ჩემს ძალ-ღონეს აღემატებოდა. ხელი წამართვეს, რატომ? პასუხი არა მაქვს, არა! სულში ნუ მიძვრები და იქ ნუ იქექები. ისედაც საკმარისად დავიტანჯე! კმარა, გაზეთებითა და ათასი წვრილმანით ხელში მთელი დღეების განმავლობაში ქუჩაში ვეგდე ან კარდაკარ დავწანწალებდი, მერე რა გამოვიდა? შაბაშ, მეყოფა. გეთანხმები, ჩემგან პატიოსანი კაცი ნამდვილად არ დადგა. გაიგე, რომ ხვადი კატა ვარ, მერე რა? ამის გამო სირცხვილი არ მწვავს! სულაც არა. ტყავს არავის ვაძრობ და სიცოცხლეს არავის ვუმწარებ!

იცოდე, ფრანც, სიცოცხლეს კატორღაში დაამთავრებ ან ვინმე მუცელში დანას გაგიყრის. გაბედოს ერთი. ამის გაკეთების მსურველს ჯერ ჩემი დანა მოხვდება.

* * *

გერმანიის სახელმწიფო რესპუბლიკაა და ვინც არ დაგვეთანხმება, მაგრად მოხვდება. კიოპენიკერშტრასეზე, მიხაელკირხშტრასეს ახლოს, ერთ-ერთ სახლში კრება ტარდება. ვიწრო და გრძელი დარბაზი მუშებით არის სავსე. ახალგაზრდებს „აპაშის“ პერანგები აცვიათ. რიგებს შორის გოგონები და ქალები დადიან, ბროშურებს ყიდიან. ესტრადაზე, მაგიდასთან, სამი მამაკაცი ზის. ერთი, სქელი და მელოტი, ფეხზე დგას, ლაპარაკობს, იმუქრება, დაპირებებს იძლევა, ბრაზობს, გესლიანად იცინის:

- ბოლოს და ბოლოს, ჩვენ აქ იმისთვის ხომ არ შევკრებილვართ, რომ წყალი ვნაყოთ. წყლის ნაყვის დიდოსტატები რაისხტაგში სხედან და მათ ამაში ნუ შევეცილებით. ერთ ჩვენს ამხანაგს ჰკითხეს, რაიხსტაგში მოხვედრა ხომ არ გინდაო. ამხანაგმა კი უპასუხა: რაიხსტაგში? იქ, სადაც თაღი ოქროსია და სავარძლები რბილი? აბა, რას ამბობ, იქ უჩემოდაც ბევრი უსაქმურია და ახლა მეც ხომ არ მივემატებიო. დიახ, ჩვენ სიტყვებს

ქარს არ ვატანთ? ფუჭი ლაპარაკის დრო არა გვაქვს, ხომ ხედავთ, ქვეყანა გვენგრევა. კომუნისტები დაუფარავად ამბობდნენ, მმართველი კლასის პოლიტიკა უნდა ვამხილოთო. და ამას რაც მოჰყვა, კარგად დავინახეთ.

კომუნისტები თავად გახდნენ კორუმპირებულები. ჩვენ მმართველი კლასის პოლიტიკის მხილება არ გვჭირდება. ეს მხოლოდ თავის მოტყუება იქნება და სხვა არაფერი. და იმას, რაც უნდა ვამხილოთ, გერმანიაში ბრმაც კი ხედავს, ამისთვის რაიხსტაგში შესვლა საჭირო სულაც არ არის. ლაქლაქი ხალხის გაბრიყვების საუკეთესო საშუალებაა, ეს ყველა პარტიამ იცის, გარდა ეგრეთ წოდებული მშრომელთა მასების წარმომადგენლებისა.

აი, თუნდაც, ჩვენი კარგი სოციალისტები. მათ ახლა რელიგიური სოციალისტებიც შეუერთდნენ და წესდების **№1** პუნქტის თანახმად ყველანი რელიგიურები უნდა გახდნენ და მღვდლებთან ირბინონ. და კაცი მღვდელთან დარბის თუ რომელიმე აღგზნებულ ლიდერთან, რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია, მოუსმინო, რას ამბობს (წამოძახილები ადგილიდან: „და ირწმუნო“). დიახ, ეგრეა! სოციალისტები არაფერს ითხოვენ, მათ არც არაფერი იციან და არც არაფერი შეუძლიათ. რაიხსტაგში ყოველთვის უმრავლესობა ჰყავთ, ანუ ხმას უმრავლესობა აძლევს, მაგრამ არ იციან, ეს ხმები როგორ და რაში გამოიყენონ. თუმცაღა, მაპატიეთ, კარგად იციან სავარძლებში ჯდომა, სიგარების გაბოლება და მინისტრებად გაძრომა. ჰგონიათ, მშრომელებმა ხმები იმიტომ მისცეს და პარტიულ სალაროში ოფლით მოპოვებული გროშებიც იმიტომ შეიტანეს, რომ ამ ვიგინდარების კეთილდღეობას საფრთხე არ დამუქრებოდა. და ამ მუშების ხარჯზე შეიძლება კიდევ ორმოცდაათი ან სულაც ასი კაცი გამდიდრდეს. სოციალისტებს არ დაუპყრიათ ძალაუფლება, ძალაუფლებამ დაიპყრო სოციალისტები. ხომ ნათქვამია, სწავლა სიკვდილამდეო და მაინც სულელად დარჩებიო! მაგრამ ისეთი სულელი, როგორიც გერმანელი მუშაა, მსოფლიოში არ არსებობს, ის უნიკალური მოვლენაა. წლიდან წლამდე ვერაფერს სწავლობს და სულ ერთსა და იმავე შეცდომას უშვებს: იღებს საარჩევნო ბიულეტენს, კაბინაში მიჩანჩალებს, ბიულეტენს ურნაში აგდებს და ჰგონია, საქმე დამშია მოსული. მუშები ამბობენ, გვინდა, ჩვენი ხმა რაიხსტაგში გაიგონონო. მაშინ არ ჯობს, კაპელა შექმნან, უფრო სასარგებლო საქმეს გააკეთებენ.

ამხანაგებო, ჩვენ საარჩევნო ბიულეტენს ხელში არ ავიღებთ, ჩვენ ხმას არ ვაძლევთ, კვირადღეს ქალაქგარეთ გამგზავრება ჯობს, სუფთა ჰაერს მაინც ჩაისუნთქავთ და რატომ? იმიტომ, რომ ამომრჩეველი კანონს არ დაარღვევს. და რა არის კანონი და კანონიერება? ეს არის ძალადობა, ეს მდიდართა კლასის ძალაუფლების უხეში ძალაა. ამ ვაიპოლიტიკოსებს, მდიდრების მეხოტბეთ და

მათ შამანებს კი უნდათ შავი თეთრად მოგვაჩვენონ, მათი „საგმირო საქმეებით“ მოყენებულ ზარალსა და უსიამოვნებებზე თვალი დავხუჭოთ. ისინი ხომ ყველაფერს ჩქმალავენ, ჰგონიათ, კანონებში ვერ ვერკვევით. ჰოდა, ამიტომაც არჩევნებზე არ წავალთ, კარგად ვიცით, მაგათი კანონიერება და სახელმწიფო რასაც წარმოადგენს. ამ სახელმწიფოში ჩვენთვის ყველა კარი და ხვრელი დაგმანულია. ჩვენ აქ უკეთეს შემთხვევაში მუქთა ვირებად ვითვლებით, მაგრამ ეს არ ჰყოფნით, ახლა უნდათ, კანონმორჩილ მუქთად მომუშავე ვირებად გვაქციონ. მშრომელთა დიდი ნაწილი კარგა ხანია გამოჭერილი ჰყავთ და თავიანთ დაკრულზე აცეკვებენ. ჩვენ, გერმანელები, კანონმორჩილები ვართ, ასე აღგვზარდეს, მაგრამ, ამხანაგებო, დღევანდელი სახელმწიფო და მშრომელები ეს ორი ისეთივე შეუთავსებელი რამ არის, როგორიც ცეცხლი და წყალი და ჩვენ ეს უნდა ვიცოდეთ.

მემარჯვენეები, მემარცხენეები და კომუნისტები შეკრულები არიან, ერთხმად ღაღადებენ: „ადამიანს კეთილდღეობა ზემოდან ეძლევა“, ანუ სახელმწიფოსგან, კანონისგან არსებული მართლწესრიგისგან და ეს კარგად ჩანს. სახელმწიფოს ყველა მოქალაქის უფლებები და თავისუფლება კონსტიტუციით არის გათვალისწინებული. შიგ მყარად ძევს. თავისუფლებას კი, როგორიც ჩვენ გვჭირდება, არავინ გვაძლევს, ჩვენ თვითონ უნდა მოვიპოვოთ! გონიერ ადამიანებს მხოლოდ ქაღალდზე დაჩხაპნილი თავისუფლება არ სჭირდებათ. აბა, ერთი კონსტიტუციით მონიჭებული უფლების ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენება სცადეთ, წესრიგის დამცველი მაშინვე თქვენ გვერდით გაჩნდება და ბახ, ხელკეტს ჩაგცხებს. და ახსნა- განმარტებებს, რომ იმას, რასაც აკეთებთ, თქვენი კონსტიტუციური უფლებაა, აზრი არა აქვს, რადგან მაინც შემოგიღრენს, - ბევრს ნუ ლაპარაკობ, მოკეტე! და ის ხელკეტი შეიძლება მეორეჯერაც მოგიქნიოს და ამჯერად თავიც გაგიტეხოს. და მართალი იქნება. იქნებ მკითხოთ, რატომ? იმიტომ, რომ მას კონსტიტუციის არსებობის შესახებ არაფერი სმენია, სამაგიეროდ, თავისი წესდება ზეპირად იცის, იმიტომაც უჭირავს ხელკეტი, რომ ჩვენ ყველამ კრინტი არ დავძრათ, ამ წყობილების საწინააღმდეგო არაფერი დაგვცდეს. ახლა მრეწველობის ძირითად დარგებში გაფიცვებიც იკრძალება! სახელმწიფო არბიტრაჟი თავზე დამოკლეს მახვილივით გვკიდია. აბა, ერთი გაიფიცე, მახვილი მაშინვე ამოქმედდება.

ამხანაგებო, ყველა არჩევნების წინ ერთსა და იმავეს ამბობენ: აი, ამჯერად ყველაფერი კარგად იქნება, ოღონდაც მოინდომეთ, ჩვენს კანდიდატებს შინაც და სამსახურშიც აგიტაცია გაუწიეთ, ხუთი ხმა მოგვიტანეთ, ათი, თხუთმეტი და ა.შ. და ნახავთ, რა საამურ ცხოვრებას შეგიქმნით. როგორ არა! ჯიბე ფართოდ გასწიეთ, რომ დაპირებული სიკეთე შიგ საიმედოდ შეინახოთ. ბრმები ხართ, წრეზე გატარებენ და გგონიათ, წინ მიდიხართ! სინამდვილეში არაფერი იცვლება! მალე პარლამენტარიზმი მუშათა კლასის სიღატაკეს სამარადისოდ უკვდავყოფს. აი, ბევრს ლაპარაკობენ აგრეთვე მართლმსაჯულების კრიზისზე, კიდევ სასამართლოს რეფორმირების აუცილებლობაზე. აქაოდა, სასამართლოდან კორუმპირებული მოსამართლეები უნდა გაიყარონ. სასამართლო რესპუბლიკის კანონიერებისა და სამართლიანობის ბურჯად უნდა იქცესო. არ გვინდა ახალი მოსამართლეები, არ გვინდა მართლმსაჯულება, არც ძველი, არც ახალი, ჩვენ არსებული წყობილების დამხობა გვინდა და მასებს მოქმედებისკენ მოვუწოდებთ! ხალხნო, ყველაფერი თქვენს ხელშია, შეწყვიტეთ მუშაობა და თქვენსას მიაღწევთ, აი, ისე, როგორც ჩვენს სიმღერაშია, მღერიან: „ყველა მანქანას გააჩერებს შენი ძლიერი ხელი!“ მაგრამ დროა, სიტყვებიდან საქმეზე გადავიდეთ. მთავრობას არ მივცეთ ჩვენი გაბრიყვების საშუალება პარლამენტარიზმით, შემწეობით, პენსიებითა და სხვა სოციალური თაღლითობებით! ჩვენ სახელმწიფოს შეურიგებელი მტრები ვართ. ძირს კანონები! გაუმარჯოს ხალხის თვითმპყრობელობას!

დარბაზში ფრანცი ცბიერ ვილისთან ერთად დადის, ბროშურებს ყიდულობს, ჯიბეებში იტენის. საერთოდ, პოლიტიკა არ უყვარს, მაგრამ ვილის აგიტაციას წამოეგო. ორატორს ინტერესით უსმენს. ხან ეჩვენება, რომ ეს ორატორი ყველაფერში მართალია, ხან კი მის ნათქვამში ეჭვი ეპარება! აენთება, მაგრამ მაშინვე ქრება. არა, რაღაც ისე არ არის! ვილის კი მაინც არ შორდება, ფეხდაფეხ დასდევს.

ორატორი კი განაგრძობს:

- არსებული წყობილება მშრომელთა ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ დამონებაზე არის დამყარებული. საკუთრების უფლება, წარმოების საშუალებებზე მონოპოლია, სახელმწიფოში ძალაუფლების მონოპოლია, - ესენი ამ წყობის ღვიძლი შვილები არიან. თანამედროვე წარმოება ადამიანების ბუნებრივი მოთხოვნილებების

დაკმაყოფილებაზე კი არ არის გათვლილი, არამედ მოგების მიღების პერსპექტივაზე. ტექნიკური პროგრესი კი განუზომლად ზრდის მდიდართა კლასის ქონებას, ფართო მასებს კი აღატაკებს, ისე, რომ მომავლის შანსსაც არ უტოვებს. სახელმწიფო მდიდართა კლასის პრივილეგიების დაცვასა და ფართო მასების დამონებას ემსახურება. ქონებაზე მონოპოლიისა და კლასობრივი განსხვავების შენარჩუნების მიზნით სახელმწიფო ყველაფერზე მიდის: ხალხს ატყუებს, მათ წინააღმდეგ უხეშ ძალას იყენებს.

სახელმწიფოს წარმოშობისთანავე იწყება დრო უმცირესობისა უმრავლესობაზე ძალადობისა. ადამიანი მარიონეტი და უზარმაზარი მექანიზმის სრულიად უმნიშვნელო ჭანჭიკი ხდება. აღსდექ, მუშავ შენ, აღსდექ მშრომელთა კლასო! ჩვენ სხვა პარტიებივით ძალაუფლების მიტაცება კი არა, არსებული წყობის დამხობა გვინდა. ანუ მოქმედებისკენ მოგიწოდებთ. ეგრეთ წოდებულ საკანონმდებლო ორგანოებში თანამშრომლობაზე უარს ვამბობთ, რადგან ისედაც მონებს საკუთარი მონობის დაკანონებას აიძულებენ. უარს ვამბობთ ძალადობასა და თვითნებობაზე. ნაციონალიზმი არის თანამედროვე სახელმწიფოს რელიგია. მაგრამ უარს ვამბობთ ყოველგვარ ნაციონალურ ერთობაზე, რადგანაც ნებისმიერი გაერთიანების უკან ვინმე მდიდარი იმალება. აღსდექ, მშრომელო ხალხო! აღსდექ, მუშავ, შენ!

ფრანც ბიბერკოპფი იმის გაგებას ცდილობს, რასაც ვილი თავში უტენის. ერთხელ ლუდხანაში, სადაც ისხდნენ, კრების შემდეგ დებატები გაიმართა და ერთ ხანში შესულ მუშას წაეჩხუბნენ. ვილი ამ მუშას იცნობდა. მუშას კი ეგონა, ვილი მასთან ქარხანაში მუშაობდა. ამიტომ მისი გადაბირება გადაწყვიტა, ჰკითხა, ამხანაგო, აგიტატორობა ხომ არ გინდაო? ვილიმ კი სახეში თავხედურად შესცინა:

- მოხუცო, როდის აქეთ გავხდი შენი ამხანაგი? მე, ბიძაჩემო, კაპიტალის ზვიგენებისთვის წელს არ ვიწყვეტ!

- კარგი, მაგრამ სადღაც ხომ მუშაობ? ჰოდა, იქ იმოქმედე, აგიტაცია გასწიე.

- იქ სააგიტაციო არაფერია, სადაც მე ვმუშაობ, ყველამ კარგად იცის, რა უნდა გააკეთოს. ვილი სიცილით კვდება. აი, ნომერი! ფრანცს ფეხზეც კი უჩქმიტა, წარმომიდგენია, კლაისტერის ქოთნით სირბილი და ამ „მოღვაწეებისთვის“ პლაკატების გაკვრაღა მაკლდა. ვილი იცინის და ჭაღარათმიან და საკინძეშეხსნილ მუშას უყურებს:

- გაზეთებს შენც ხომ ავრცელებ, „პფანენშპიგელს“, „შვარცე ფანეს“, „ათეისტსა“ და კიდევ, არ მახსოვს. თქვენ, ანარქისტები, რას უშვებთ? აბა, მითხარი, ამ გაზეთებში შენ თვითონ ერთხელ მაინც თუ ჩაგიხედავს, იცი, შიგ რას წერენ?

- აბა, ამხანაგო, დაფიქრდი, რას ამბობ. წამიკითხავს კი არა, დამიწერია კიდევაც, შემიძლია გაჩვენო!

- მჯერა, მჯერა! ვხედავ, შენთან კაცმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს. ოღონდ,

ძალიან გთხოვ, დრო რომ გექნება, ის შენი სტატია ერთხელ კიდევ გადაიკითხე და რაც შიგ წერია, იმის მიხედვით იცხოვრე. აი, „კულტურა და ტექნიკა“. აბა, კარგად მომისმინე აქ რა წერია: „ეგვიპტელი მონები ფარაონების აკლდამებს ყოველგვარი ტექნიკის გარეშე ათწლეულების განმავლობაში აგებდნენ. ევროპელი მუშები კი ათწლეულების განმავლობაში დაზგებთან დგანან და ვინმე კერძო პირის გასამდიდრებლად შრომით წელში წყდებიან. თქვენი აზრით, ეს არის პროგრესი? შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ვისთვის? რა, ოფლი იმისთვის უნდა ვღვარო, რომ ესენში კრუპისა და ბერლინში ბორზიგის შემოსავალი თვეში ათასი მარკით გავზარდო? აი, გიყურებ და ვერ გამიგია, რა ადამიანი ხარ, მოგვიწოდებ, იმოქმედეთო, შენს ქმედებას კი რაღაც ვერ ვხედავ. ფრანც, იქნებ მე დავბრმავდი და ვერ ვხედავ, მაშინ მითხარი, შენ ხედავ თუ არა?

- კარგი რა, ვილი, მორჩი!

- არა, მითხარი, ამ ამხანაგსა და ნებისმიერ სოციალისტს შორის განსხვავებას ხედავ? მუშა სკამზე უფრო მოხერხებულად მოკალათდა, ვილი კი თავისას ერეკება:

- ამხანაგო, პირადად მე თქვენსა და მათ შორის განსხვავებას ვერ ვხედავ. განსხვავება მხოლოდ

ქაღალდზეა, გაზეთში. კეთილი, დავუშვათ, თქვენსას მიაღწიეთ, გაიმარჯვეთ! მერე რას გააკეთებთ? არ იცი, ხომ? მაშინ მე გეტყვი: ზუსტად იმავეს, რასაც შენ და ყველა სოციალდემოკრატი დღეს აკეთებთ: ანუ, ისევე დადგები დაზგასთან, სახლში საცოდავ გროშებს წაიღებ, აქციონერები კი შენს ხარჯზე მსხვილ დივიდენდებს აიღებენ. „ევროპელი მუშები დაზგებთან ათწლეულობით დგანან და ვინმე კერძო პირის გასამდიდრებლად შრომით წელში წყდებიან“. მართლა, ეს შენ ხომ არ დაგიწერია?

ჭაღარა მუშა ხან ფრანცს უყურებს, ხან ვილის, ხანაც ბარს, სადაც მისი მეგობარი ანარქისტები დგანან, მერე მაგიდაზე გადაწვება და ჩურჩულით ეკითხება:

- თქვენ კი რას საქმიანობთ?

ვილი ფრანცს ეშმაკურად გახედავს, ეუბნება:

- შენ უთხარი!

ფრანცი პასუხის გაცემაზე უარს ამბობს. აცხადებს, პოლიტიკა არ მაინტერესებსო. ჭაღარა ანარქისტი კი არ ეშვება:

- ჩვენ ახლა პოლიტიკაზე ხომ არ ვლაპარაკობთ, ჩვენზე ვლაპარაკობთ. მაინც სად მუშაობ? ფრანცი სკამის საზურგეს მიაწვა, ანარქისტს თვალებში შეხედა. არის მომკელი, მას სიკვდილი ჰქვია...

მთების გამო ავტეხ ტირილსა და მოთქმას, უდაბნოს ქოხების გამოგლოვას, რადგან გადაიბუგნენ და აღარავინ შეივლის იქ. აღარ ისმის საქონლის ხმა, ცის ფრინველიდან პირუტყვამდე ყველანი გადაიკარგნენ, წავიდნენ.

- რას ვაკეთებ, შემიძლია თამამად გითხრა, კოლეგა, რადგან არც ერთი პარტიის წევრი არა ვარ. ქალაქში დავდივარ, პურის ფულს ვშოულობ. მუშაობით კი არსად ვმუშაობ, გაუშვი, ჩემ მაგივრად სხვებმა იმუშაონ.

ეს კაცი რა სისულელეს ამბობს, დამცინის თუ რა, ფიქრობს ჭაღარა.

- იქნებ შენ თვითონ ხარ მეწარმე, აბა, მითხარი, შენს საწარმოში რამდენი კაცი მუშაობს? და თუ კაპიტალისტი ხარ, მაშინ აქ რა გინდა, შენიანებთან წადი!

ნანგრევებად ვაქცევ იერუსალიმს, ტურების ბუნაგად, გავაუდაბურებ იუდას ქალაქებს, უმკვიდროდ დავტოვებ.

- ვერ ხედავ, ცალხელა ვარ. მეორე მომაგლიჯეს. აი, მუშაობამ სადამდე მიმიყვანა! ამიტომ ახლა პატიოსან შრომაზე სიტყვის გაგონებაც არ მინდა. გაიგე? გეკითხები, გაიგე? თვალებს რას ახამხამებ? იქნებ სათვალე გჭირდება?

- არა, კოლეგა, ვფიქრობ და ვერ ვხვდები, მაშინ რითი ცხოვრობ. თუ პატიოსანი შრომით არა, ესე იგი, თაღლითობით.

ფრანცმა ერთადერთი მუშტი მაგიდას დაჰკრა, გაბრაზდა, ანარქისტს თითი ლამის თვალებში ატაკოს და ყვირის:

- ვაშა, როგორც იქნა, მიხვდა! მართალია, თაღლითობით ვირჩენ თავს. შენ თვითონ არ ამბობ, პატიოსანი შრომა მონობა არისო? ამაში მეც გეთანხმები და სწორედ ამიტომ ვარ უმუშევარი... (თავად კი ფიქრობს: „ეს მე უშენოდაც კარგად გავიგე, შე ლოქო, მელნიანო სულო, გაზეთში მჩხაპნელო!“).

ანარქისტს თხელი, თეთრი ხელები აქვს, პროფესიით ოპტიკოსია, თავის თითებს დასცქერის და ფიქრობს: ამ არამზადის გამოაშკარავება კარგი იქნებოდა! მაგრამ ვაითუ პატიოსან ადამიანს შეურაცხყოფა მივაყენო. ბიჭებიდან ვინმეს უნდა დავუძახო, მოუსმინონ ამათ ლაპარაკს, - ადგომა დააპირა, მაგრამ ვილიმ შეაჩერა.

- საით, კოლეგა! მოიცადე, ლაპარაკი ჯერ ხომ არ დაგვიმთავრებია, ვალდებული ხარ, ამ კოლეგას საქმის ვითარება აუხსნა. თუ ფარ-ხმალი უკვე დაყარე.

- მინდა ჩემი მეგობრებიდან ვინმეს დავუძახო, თქვენს ლაპარაკს მოუსმინოს, თორემ მარტო ვარ, თქვენ ორნი კი მთელი ძალით მიტევთ.

- რატომ? ჩვენ ხომ უბრალოდ ვსაუბრობთ! აბა, ამ კოლეგას რას ეტყვით? ცნობისთვის გეტყვით, ამ ამხანაგს ფრანცი ჰქვია.

ანარქისტი ისევ დაჯდა:

- კარგი, მარტო გაგიმკლავდებით! ესე იგი, როგორც ეგ კაცი ამბობს, არც ერთი პარტიის წევრი არ არის, არ მუშაობს. ეტყობა, უმუშევრობის შემწეობასაც არ იღებს, უმუშევართა ბირჟაზეც არ დადის, ხომ არაფერი მეშლება, ასეა არა?

ფრანცი გაშავდა, თვალები დააბრიალა:

ვილი:

- ჰო, ასეა, არ დადის!

- მაშინ ეგ არც ჩემი ამხანაგი არის, არც კოლეგა და არც სამსახურის მაძიებელი. მაშინ ერთ შეკითხვას დავსვამ, სხვა დანარჩენი მე არ მეხება. ამ კაცს აქ რა უნდა?

ფრანცმა მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო, ალაპარაკდა:

- სულ ველოდებოდი, რომ მკითხავდი, აქ რა გინდაო? აქ შენ პროკლამაციებს, გაზეთებსა და ბროშურებს ყიდი, მაგრამ როგორც კი გკითხავენ, შიგ რა წერიაო, მაშინვე ყვირილს იწყებ, როგორ ბედავ, ამას რომ მეკითხები, შენ აქ რა გინდაო? არადა, თავად არ წერ ამ დაწყევლილ მშრომელთა მონობაზე, იმაზე, რომ გარიყულები, საცოდავები ვართ და დაკნავლებასაც ვერ ვბედავთ?

„აღსდექ, ყოველი მხრის მუშავ! გაიღვიძე, პროლეტარო“.

- ეტყობა, კარგად არ მისმენდით. მე ვამბობდი, რომ ყველამ, ყველამ, თავისი სამუშაო ადგილი უნდა დატოვოს, სამსახურიდან უნდა წამოვიდეს. ხოლო სამსახურიდან რომ წამოხვიდე, აუცილებლად სადმე უნდა მსახურობდე.

- მე კი ავდექი და სანამ მაგას მეტყოდით, სამსახურიდან მანამდე წამოვედი.

- მერე აქედან რა? ეგ ჩვენ არ გვაწყობს. მე, თუ გახსოვთ, გაფიცვაზე, მასობრივ, საყოველთაო გაფიცვაზე ვლაპარაკობდი. ანუ მოქმედებაა საჭირო!

ფრანცი ხელს სწევს და იცინის, ძალიან გაბრაზებულია:

- და რასაც შენ ამბობ, მოქმედებას იმას უწოდებ? პლაკატების გაკვრას, კრებებზე სიტყვის წარმოთქმას? და ვერც კი ხვდები, მაგ შენი მოქმედებით ძლიერთა ამა ქვეყნისა კლასს რომ უფრო აძლიერებ? ეჰ, შენ, ამხანაგო, ნამდვილი პირუტყვი ხარ, საკუთარი თავის ასაფეთქებელ ჭურვებს თავად ჩარხავ და მე მიწევ აგიტაციას? აბა, რას იტყვი, ვილი? გამაგიჟებს ეს ხალხი.

კიდევ ერთხელ გეუბნები, არსად, არსად არ ვმუშაობ. ეგღა მაკლია, ვიმუშაო. შენგან განსხვავებით კაპიტალისტების კაპიტალს არაფერს ვმატებ. სისულელისთვის კი, შენნაირები რომ ქადაგებენ, გაფიცვებისა და მომავალი თაობების კეთილდღეობისთვის, საერთოდ მიმიფურთხებია. მხრებზე ყველას საკუთარი თავი აბია და საკუთარ ცხოვრებაზე უნდა იზრუნოს. ყველაფერ იმას, რაც მჭირდება, თავად მოვიპოვებ. ასე ვთქვათ, თვითმომარაგებაზე ვარ გადასული! ახლა გაიგე?

მუშამ ლიმონათი მოსვა, თავი გააქნია:

- რადგან აგრეა, მიდი და მარტომ

იბრძოლე! ფრანცი იცინის, მუშა კი

თავისას მიერეკება:

- უკვე ასჯერ გითხარი, მარტო ვერაფერს გახდები. ჩვენ მებრძოლი ორგანიზაცია გვჭირდება.

მასებს უნდა შევაგნებინოთ, რომ სახელმწიფო ხელისუფლება და ეკონომიკური მონოპოლია ორივე ძალადობაა.

ფრანცი იცინის. რაო, როგორ არის?

„სხვა სუყველა ტყუილია:

ღმერთი, მეფე, ვინმე

გმირი! ძალა არის

შეერთება,

ერთი ლხინი!.. ერთი ჭირი!..

...ჩვენვე უნდა მოვუპოვოთ

ჩვენს თავს აწ დრო სანეტარო!“[28]

მერე გაჩუმდნენ. მწვანესაყელოიანი მუშა ფრანცს მიაშტერდა, თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო და ფრანციც არ ჩამორჩა, მუშას თვალი თვალში გაუყარა. ახალგაზრდავ, რას მიყურებ, ვინ ვარ, ვერ გაიგე, არა? მუშამ პირი გააღო:

- ამხანაგო, ვხედავ, რომ ლაპარაკით ვერაფერს შეგაგნებინებ. შეაყარე კედელს ცერცვი... ძალიან ჯიუტი ხარ. ჰოდა, გაიტეხ მაგ თავს და მიყარე მერე კაკალი... ვერ შეიგნე, რომ პროლეტარიატისთვის მთავარი სოლიდარობაა. არა, ვერ ხვდები.

- კოლეგა, უკვე ყელში ამომივიდა. იცი, ახლა ქუდებს ავიღებთ და აქედან წავალთ. რას იტყვი, ვილი? კმარა, სულ ერთსა და იმავეს იმეორებ.

- აბა, სხვა რა უნდა ვთქვა? ყურებში ბამბა ჩაიტენეთ და არაფრის მოსმენა არ გინდათ, კრებებზე სიარულს კი თავი დაანებეთ, თქვენ არაფერი გესაქმებათ!

- გვაპატიეთ, ბატონო ოსტატო! მოხდა ისე, რომ თავისუფალი დრო გვქონდა, ბევრი კი არა, სულ

რაღაც ნახევარი საათი და კლუბში შევიარეთ. ლექციისთვის დიდი მადლობა. კელნერო, ფული აიღეთ! აი, შემომხედე, რაც მივირთვით, იმის ფულს ვიხდი: სამი კათხა ლუდი, ორი სირჩა არაყი, სულ 1 მარკა და ათი პფენიგი, შეხედე, ვიხდი, აი, ეს არის პირდაპირი მოქმედება.

- ბოლოს და ბოლოს, მაინც ვინ ხარ? - არ ეშვება მუშა.

ფრანცი ხურდას იღებს.

- კეთილი, თქვენს ცნობისმოყვარეობას დავაკმაყოფილებ, - ვინ ვარ და სუტენიორი, განა შეუიარაღებელი თვალითაც არ ჩანს?

- ჩანს, როგორ არა, ჩანს.

- სუტენიორი ვარ! ახლა გაიგე? შეკითხვები აღარ გაქვს? ვილი, ახლა კი შენ უთხარი, ვინ ხარ!

- ეგ მაგისი საქმე არ არის!

ეშმაკმა დალახვროს, ესენი მართლაც თაღლითები ყოფილან, - ფიქრობს ოპტიკოსი, - არამზადები, სიტყვას ბანზე მიგდებდნენ. იმის გაგება უნდოდათ, ვინ ვიყავი და რას ვფიქრობდი.

- თქვენ კაპიტალიზმის ჭაობის ქაფი ხართ, აქედან გაქრით, თქვენ პროლეტარები კი არა, მაწანწალები ხართ. აქედან დაიკარგეთ!

ფრანცი უკვე ადგა:

- მაწანწალები ნამდვილად არა ვართ. ღამეს თავშესაფარში არ ვათევთ, კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო პირდაპირ მოქმედებავ. თქვენი კაპიტალისტები კარგად გამოკვებეთ, საწუწუნო რომ არაფერი ჰქონდეთ. თქვენს კატორღაში, ანუ სამსახურში არ დააგვიანოთ, ზუსტად დილის 7 საათზე მიდით, მუყაითად იმუშავეთ, მერე კი ხელფასიც იქნება, რამდენიმე პფენიგი და თქვენს დედაბერს მიუტანეთ, გაუხარდება.

- აქედან დაიკარგეთ და დაიმახსოვრეთ, აქ ცხვირი აღარ შემოყოთ!

- დამშვიდდი, ყბედო, იმოქმედე, როგორც გონებამ გიკარნახოს, ჩვენ კი კაპიტალიზმის მონებთან არ გვინდა რამე საერთო გვქონდეს.

და ნელი ნაბიჯით, ხელკავით კარისკენ წავიდნენ. მტვრიან ქუჩას გაუყვნენ. ვილი

აღფრთოვანებას ვერ მალავს:

- ფრანც, იმ ანარქისტს მაგარი დღე აყარე!

ფრანცი კი პასუხად მხოლოდ შორისდებულებს ისვრის. ვილის უკვირს, ნეტავ მის მეგობარს რა მოუვიდა? რა მოუვიდა, ეს ფრანცსაც ვერ გაუგია, რატომღაც ვერ მშვიდდება, ბოღმა და ბრაზი ახრჩობს, სულიც აუფორიაქდა.

მიუნცშტრასეზე კაფე „მოკა-ფიქსში“ ფრანცს მიცი ელოდება. იქ უამრავი ხალხია. შინ წავიდეთ, შენთან სალაპარაკო მაქვს, ეუბნება გოგონას და მიდიან. ჰო, ვილაპარაკებთ და დავმშვიდდები, ფიქრობს ფრანცი. უამბო მიცის, მან და ჭაღარა მუშამ რაც ილაპარაკეს, უნდა გოგოს ათქმევინოს, მართალი იყო თუ არა, ამ ოპტიკოსს ყველაფერი პირში რომ მიახალა. მაგრამ მიცი არაფერს ამბობს. იღიმის, არაფერი ესმის, ხელებზე ეფერება, ჩიტმაც გაიღვიძა, ახტუნავდა. ფრანცი კი ზის და ოხრავს, არა, მიცი დღეს ვერ ამშვიდებს..

ქალბატონების შეთქმულება. სიტყვა ეძლევა ჩვენს საყვარელ ქალბატონებს. ევროპის გული არ ბერდება

ფრანცს პოლიტიკამ სიმშვიდე დააკარგვინა (რატომ, რა გტანჯავს? ვის წინაშე იმართლებ თავს?) გრძნობს: აქ რაღაც ისე არ არის!

„როტე ფანესა“ და „არბაიტსლოზეს“[29] კითხულობს და ბრაზი ახრჩობს, არ იცის, რა გააკეთოს. ჰერბერტსა და ევასთან ვილისთან ერთად მიდის ხოლმე, მაგრამ მასპინძლებს ეს ტიპი არ მოსწონთ. არც ფრანცი არის ვილით აღფრთოვანებული, მაგრამ მასთან, ასე თუ ისე, პოლიტიკაზე ლაპარაკი შეიძლება, აი, მისი ძველ მეგობრებთან კი არა. ამ ორს თავიანთი საქმიანობის გარდა, არაფერი აინტერესებს. ევა გამუდმებით ჩასჩიჩინებს, რომ ამ სუბიექტთან მეგობრობა კარგს არაფერს მოუტანს. ვერ ვხვდები, ამ ჯიბის ქურდში რა ნახე, ეგ ხომ მხოლოდ ფულს გცინცლავსო, ეუბნება. ფრანცი ევას ერთ დღეს ჰპირდება, ვილის ჩამოვშორდები და მასთან ერთად პოლიტიკასაც, რაში მჭირდება, ერთი მაგისიცო, მაგრამ მეორე დღეს ამ ბიჭთან ერთად ისევ

ქალაქში დახეტიალებს ან ტბაზე ნიჩბოსნობაში სავარჯიშოდ მიემგზავრება.

- ეს რომ ფრანცი არ იყოს, - ეუბნება ევა ჰერბერტს, - ან ხელი მაინც არ დაეკარგა, მაგ ბიჭს ჭკუას ნამდვილად ვასწავლიდი!

- ჰო!

- გარწმუნებ, ამ ორის, იდიოტისა და გამომძალველის მეგობრობა ორი კვირაც არ გაგრძელდებოდა. იშოვა რა მაგანაც მეგობარი, მიცის ადგილზე ძალისხმევას არ დავიშურებდი, რომ იგი, სადაც ჯერ არს, იქ ჩამეყუდებინა.

- ვინ, ვილი?

- ვილი თუ ფრანცი, ეგ სულერთია. სეირს ნამდვილად ვაჩვენებდი. ერთი თუ მეორე, გისოსებს მიღმა რომ აღმოჩნდებოდა, მაშინ მიხვდებოდა, მართალი ვინ იყო.

- ევა, ფრანცზე მეტისმეტად ხომ არ ბრაზობ?

- როგორ არ უნდა გავბრაზდე, მიცი განა იმიტომ გავაცანი და სახლში დავუსვი, რომ ასე დატანჯოს? ფრანცმა ისევ ძველი ოინები გაიხსენა! არადა, კარგი იქნებოდა, ჩემთვის ცხოვრებაში ერთხელ მაინც რომ დაეჯერებინა. ეგ ხელიც, ეტყობა, თავისი სულელური გამოხდომების გამო დაკარგა. არ ვიცი, ეს ყველაფერი რითი დამთავრდება! პოლიტიკაში ყურებამდე ჩაეფლო და გოგო სულ გააწამა.

- მართალია, ფრანცზე მიციც გაბრაზებულია, - ამბობს ჰერბერტი, - გუშინ შემომჩივლა. ზის, ფრანცს ელოდება, ის კი არ მოდის. არადა, ცხოვრება იმ გოგოსაც უნდა!

ევამ ჰერბერტს აკოცა:

- აი, მეც მაგ აზრის ვარ. ღმერთმა არა ქნას, კრებებზე სირბილი შენც რომ დაგეწყო, მაშინ, ჰერბერტ, იცი, რა დღეს დაგაყრიდი?

- მაინც რას იზამდი, ჩემო თაგუნა?

- თვალებს ამოგჩიჩქნიდი და საერთოდ, იცი რა, მაკოცე ერთ ადგილზე...

- დიდი სიამოვნებით, თაგუნა!

ევას გაეცინა, კაცს ხელუკუღმა ტუჩებზე მსუბუქად მიარტყა, მერე მხრებზე ხელი მოხვია და

შეაჯანჯღარა:

- ჰერბერტ, მაგ კაცს სონიას დაღუპვის უფლებას არ მივცემ, მეცოდება, კარგი გოგოა. ისე ფრანციც მაგრად დაიტანჯა, დროა, ჭკუას მოუხმოს. პოლიტიკანობით ხომ ერთ პფენიგსაც ვერ იშოვის.

- ჰოდა, სცადე, დაელაპარაკე, ხომ იცი, ფრანცს კარგად ვიცნობ, მართლა კარგი ბიჭია! მაგრამ ვერაფერს შეაგნებინებ, სიტყვაგაუმტარი თავი აქვს.

ევასაც გაახსენდა, ფრანცს როგორ არწმუნებდა, იდასთან არ წასულიყო, ვინ იცის, რამდენჯერ გააფრთხილა. დიახ, ამ კაცისგან ბევრი სიმწარე იგემა, მაგრამ მისი დავიწყება დღემდე ვერ შეძლო.

ევა:

- მხოლოდ ერთი რამ ვერ გამიგია, პუმსსა და მის ბანდას დანაშაულისთვის პასუხს რატომ არ სთხოვს. ამისთვის თითიც არავის გაუნძრევია. ახლა მართალია, თავს კარგად გრძნობს, მაგრამ ხელის დაკარგვა ხუმრობა ხომ არ არის.

- ეგ მეც ვერ გამიგია!

- ისიც აშკარაა, რომ ფრანცს ამ შემთხვევაზე ლაპარაკი არ უნდა. ჰერბერტ, იცი, რომ ხელის დაკარგვის ამბავი ფრანცმა მიცის უამბო, მაგრამ არ უთქვამს, სად და როგორ მოხდა. არც ის, მანქანიდან ვინ გადმოაგდო. მიცის ვუთხარი, დამნაშავის სახელი იქნებ როგორმე ათქმევინო- მეთქი, მაგრამ სიტყვა ბანზე ამიგდო, არ ვიცი და არც მაინტერესებსო, მიპასუხა. მიცი ძალიან რბილია, დამთმობი, დამჯერე, მაგრამ, ალბათ, სახლში მარტოდმარტო რომ ზის, ნერვიულობს, ფიქრობს, სად არის ფრანცი, ვაითუ, ჩავარდესო. მის გამო ბევრ ცრემლს ღვრის, მაგრამ არა ფრანცის თანდასწრებით. მეშინია, ამ კაცმა ხათაბალაში არ გაყოს თავი. ასე მგონია, უბედურებისკენ გარბის. ჯობდა, ცოტა საკუთარ თავზე ეზრუნა, იცი, რა მოვიფიქრე, ფრანცი პუმსის ბანდას მიციმ უნდა დაუპირისპიროს.

- ოჰო! - გაიკვირვა ჰერბერტმა.

- ჰო, ისეთი რა ვთქვი, ფრანცი ვალდებულია ბოროტმოქმედებს პასუხი მოსთხოვოს. თუნდაც სროლამდე და დანის დარტყმამდე მივიდეს საქმე. ამისთვის არავინ გაამტყუნებს!

- კარგი რა, თუ ღმერთი გწამს. რაღა არ გავაკეთე, რომ ყველაფერი გამეგო, მაგრამ პუმსის ბიჭებს ვერაფერი დავაცდენინე. ენაზე კბილის დაჭერა კარგად შეუძლიათ. ამბობენ, არ ვიცითო, მორჩა და გათავდა..

- ეგ არაფერი, მოიძებნება ისეთიც, ვინც ალაპარაკდება.

- ევა, ვერ გამიგია, მაინც რა გინდა!

- მინდა, ეს საქმე ერთხელ და სამუდამოდ ფრანცმა მოაგვაროს, ვილის დაშორდეს, შეეშვას ანარქისტებს, კომუნისტებსა და ყველა იმ სისულელეს, საიდანაც ფულის შოვნა არ შეიძლება.

- ევა, გაფრთხილებ, ცეცხლს ეთამაშები და თითები არ დაიწვა.

ევას მეგობარი და მფარველი, ბირჟის ტუზი, ბრიუსელში გაემგზავრა. ბინაში სრულუფლებიან დიასახლისად დარჩენილმა ევამ მიცი დაპატიჟა. ერთხელ მაინც ხომ უნდა ნახოს გოგონამ მდიდრები როგორ ცხოვრობენ! ასეთი ფუფუნება გოგონას ჯერ არ უნახავს. მებირჟე ევაზე ისე გიჟდება, რომ პატარა საბავშვო ოთახიც კი მოუწყო. ახლა იქ ორი მაიმუნი ცხოვრობს.

- სონია, გგონია, ეს ოთახი მართლა მაიმუნებისთვის არის? არა, ჩემო კარგო. რადგანაც ოთახი ცარიელი იყო, მაიმუნები მე ვიყიდე, რატომ? იმიტომ, რომ ჰერბერტს ეს ცხოველები ძალიან უყვარს.

- რას ამბობ, ჰერბერტი აქ მოდის ხოლმე?

- რა თქმა უნდა. და ეს უხერხულობას სულაც არ ქმნის. ჩემი მოხუცი ჰერბერტს იცნობს და მასზე ძალიან ეჭვიანობს. სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული! ჰერბერტზე ასე ძალიან რომ არ ეჭვიანობდეს, აქედან დიდი ხნის წინ გამაგდებდა. ახლა კი, არ დაიჯერებ და უნდა, შვილი გავუჩინო, საბავშვო ოთახი ამიტომაც მოაწყო!

ევა იცინის. ოთახი მყუდროა და ლამაზად მორთული. კედლებზე ფერადი სურათები

კიდია, ირგვლივ ბაფთებია, ფანჯრებზე კი ფარდები. ერთ კუთხეში ბავშვის საწოლი დგას, მის ბადეზე, აქეთ-იქით, მაიმუნები დახტიან. ევამ ერთ-ერთი ხელში აიყვანა და მეოცნებე მზერა რომელიღაც შორეული წერტილს მიაპყრო.

- ბავშვი მეც მინდა, მაგრამ მაგისგან არა.

- კი, მაგრამ შვილი ჰერბერტს არ უნდა!

- არა, არ უნდა. მე კი შვილი ჰერბერტისგან მინდა... ან ფრანცისგან... სონია, ჩემზე ხომ არ გაბრაზდი?

და რაც ამ დროს მოხდა, ამას ევა ნამდვილად არ ელოდა: სონიამ უცებ წამოიკივლა, ცელქი ბავშვივით თვალები აუციმციმდა, მაიმუნი შორს მოისროლა და ევას გადაეხვია, გიჟივით კოცნის, აღტაცებისგან კვნესის. ევას არაფერი ესმის, გოგოს იშორებს, მობრუნდება და ხელებს სახეზე აიფარებს. სონია კი ისევ ეცემა, გადაეხვევა, ყვირის:

- ევა, ევა, ნება მომეცი კიდევ ერთხელ გაკოცო, გაბრაზება არც მიფიქრია, პირიქით, ძალიან მიხარია, ფრანცი რომ გიყვარს. მითხარი, ძალიან გიყვარს? ალბათ, ძალიან, რადგან გინდა, მისგან შვილი გყავდეს! იცი, ევა, ეს ფრანცს უნდა უთხრა.

ევამ, როგორც იქნა, სონიას მკლავებისგან თავის დაღწევა მოახერხა:

- შენ რა, გაგიჟდი, თუ ღმერთი გწამს, მითხარი, რა დაგემართა? შენ რა, ხომ არ გინდა, რომ ფრანცი გადმომილოცო?

- არც მიფიქრია, რატომ? ფრანცი მიყვარს! მაგრამ შენც მიყვარხარ. შენ ჩემი ევა ხარ!

- რა თქვი?

- ჩემი ევა, ჩემი, ჩემი!

და ისევ ეცა და ისე შემოეხვია, რომ ამჯერად ევამ მისი მკლავებიდან თავის დახსნა ვერ მოახერხა. სონია ტუჩებში, ცხვირზე, ყურებზე, კეფაზე კოცნის, ევა ამ გიჟურ ვნებას დაჰყვა, ბრძოლა შეწყვიტა, მაგრამ, როცა სონია მის მკერდს ბაგეებით ლამის დააკვდა, ევამ თავი აუწია და თვალებში ჩახედა:

- სონია, ქალები გიყვარს? ლესბოსელი ხარ?

- არა, - წაიჩურჩულა, ევას ხელებიდან თავი გაითავისუფლა და ლოყა ლოყაზე მიადო, - უბრალოდ, ძლიერ მიყვარხარ, და თუ როგორ ძლიერ, ეს აქამდე მეც არ ვიცოდი... და ახლა, როცა თქვი, რომ ფრანცისგან შვილი გინდა...

- მერე რა? გაბრაზდი?

- არა, ევა, მეც ვერ ვხვდები, რა მემართება, - ჩურჩულებს სონია, სახე უხურს, ევას ქვემოდან ზემოთ ასცქერის, - ესე იგი, ფრანცისგან შვილი მართლა გინდა?

- კარგი, რა გემართება?

- არა, მითხარი, ფრანცისგან შვილი მართლა გინდა?

- აჰ, ისე, უბრალოდ ვთქვი.

- არა, გინდა, გინდა, ნუ უარობ, ევა, - და სონიამ თავი ისევ ევას მკერდში ჩარგო, მიეკრა და აღგზნებული ტიკტიკებს:

- რა კარგია, რომ ფრანცისგან შვილი გინდა, რა კარგია, როგორ
მიხარია! ევამ სონია მეზობელ ოთახში გაიყვანა, შეზლონგზე
დასვა.

- რაც უნდა იუარო, ჩემო ძვირფასო, არ დაგიჯერებ, - შენ ლესბოსელი ხარ!

- არა, ქალისთვის არასოდეს მიკოცნია.

- მაგრამ მე გიზიდავ, არა?

- ჰო, მხოლოდ იმიტომ, რომ ძალიან მიყვარხარ და გამიხარდა, რომ ფრანცისგან შვილი გინდა, მისგან შვილი აუცილებლად უნდა გააჩინო!

- შენ რა, გაგიჟდი, გოგონი!

ევამ ადგომა დააპირა, მაგრამ გრძნობამორეულმა სონიამ ხელები დაუჭირა და ისევ თავისკენ მიიზიდა.

- ხომ თქვი, რომ ფრანცისგან შვილი გინდა! დამპირდი, რომ მისგან შვილი გეყოლება!

ევამ სონიას ხელებისგან თავი ძლივს გაითავისუფლა. ღონემიხდილი სონია კი შეზლონგზე გადაწვა, თვალებდახუჭული წევს და ტუჩებს აცმაცუნებს. მერე გონზე

მოდის, ევასთან ერთად მაგიდას მიუჯდება, მოსამსახურეს ევასთვის ღვინო და საუზმე მოაქვს, სონიასთვის კი ყავა და სიგარეტი. ვნების კვალი სახეზე ჯერ არ წაშლილა. ზის გაბრუებული, თითქოს ღრუბლებში დაფრინავს, როგორც ყოველთვის სადა, თეთრი კაბა აცვია, ევას კი შავი აბრეშუმის კიმონო.

- სონია, გოგონი, სერიოზულად ლაპარაკი შეგიძლია?

- ეგ ყოველთვის შემიძლია.

- მითხარი, ჩემი ბინა მოგწონს?

- ძალიან.

- კარგი, ფრანცი ხომ გიყვარს?

- მიყვარს.

- ჰოდა, თუ ფრანცი გიყვარს, მაშინ ყურადღება მიაქციე, იმ ლაწირაკ ვილისთან ერთად იქ დადის, სადაც არ უნდა იაროს.

- ვიცი, ვილი მოსწონს.

- შენ?

- მე? მეც მომწონს, რადგან ფრანცს მოსწონს.

- ეჰ, ჩემო გოგონა! ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ხარ, ვერაფერს ამჩნევ. ვილი ფრანცის ტოლი და სწორი არ არის და ამიტომაც არც მეგობარი. ჰერბერტიც ასე ფიქრობს. ფრანცმა ხელი უკვე დაკარგა, განა ეს საკმარისი არ არის? ვილი კი, ჩემი აზრით, ფრანცს რაიმე ბინძურ საქმეში ჩაითრევს. ღმერთმა დაიფაროს, მაგრამ აი, ნახავ, ასე თუ არ მოხდეს.

სონია გაფითრდა, სიგარეტი ტუჩებზე მიეწება. მერე სიგარეტი საფერფლეში ჩადო და ხმადაბლა იკითხა:

- ღვთის გულისათვის, რამე მოხდა?

- მხოლოდ ღმერთმა იცის, რა შეიძლება მოხდეს. ფრანცს კუდში ხომ არ დავდევ. შენც არ ადევნებ თვალყურს. ვიცი, ამის დრო არა გაქვს, მაგრამ ის მაინც გითხრას, სად დადის, რას აკეთებს. არაფერს გეუბნება?

- კი მეუბნება, მაგრამ მხოლოდ პოლიტიკაზე ლაპარაკობს, მე კი პოლიტიკისა არაფერი გამეგება.

- აი, ხომ ხედავ, ამ კომუნისტებს, ანარქისტებს და ვინ იცის, კიდევ რა ჯურის ხალხს გადაეკიდა და ცხვირს პოლიტიკაში ყოფს. პოლიტიკოსები კი შარვალგამოხეულთა ბრბოა და ჩვენი ფრანცი ამათთან მეგობრობს, შენ ეს კი სულ არ განაღვლებს. რა, ამისთვის შრომობ?

- ფრანცს ვერ ვეტყვი, იქ წადი და იქ ნუ წახვალ-მეთქი! ევა, ეს არ შემიძლია, უფლება არა მაქვს.

- კარგი იქნებოდა, ერთი მაგრად გაგელაწუნებინა, მაგრამ ძალიან ახალგაზრდა ხარ და ვერ გაბედავ! რას ნიშნავს, უფლება არა გაქვს? გინდა, ფრანცი ისევ მანქანის ბორბლებქვეშ აღმოჩნდეს?

- არა, ევა, აღარ აღმოჩნდება. ამას ყურადღებას ნამდვილად ვაქცევ.

უცნაურია, სონია აცრემლებული თვალებით, დანაღვლიანებული თავჩაქინდრული ზის. ევა უყურებს და ვერ ხვდება, ასე უცბად გოგონას რა მოუვიდა, ნუთუ ამ პატარას ფრანცი ასე ძალიან უყვარს?

- აი, წითელი ღვინო მოსვი, სონია, ჩემი მოხუცი სულ ამას სვამს. აბა, დალიე! - და გოგოს ევამ პირში ნახევარი ჭიქა ღვინო ლამის ძალით ჩაასხა, მას კი ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა, მოწყენილი და დამწუხრებულია.

- სონია, აბა, კიდევ ერთი ყლუპი!

- არ მინდა.

ევამ ჭიქა დადგა, სონიას ლოყაზე ხელი მოუთათუნა, ეგონა, ფიქრებით სადღაც წასულ გოგონას უკან დააბრუნებდა.

არადა, სონიას რაღაც უცნაური, არაამქვეყნიური მზერა აქვს. მერე ადგა, ფანჯარასთან მივიდა და გარეთ დიდხანს იყურებოდა. ევა მიუახლოვდა, ამ გოგოს ვერაფერს გაუგებ!

- სონია, ყველაფერს ასე ახლოს გულთან ნუ მიიტან. ეტყობა, სწორად ვერ გამიგე. მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ ფრანცს ყურადღება მიაქციო, როგორმე იმ ახმახ ვილის არ აჰყვეს. იცი, ჩვენი ფრანცი ძალიან კეთილი და გულუბრყვილო ადამიანია. აქეთ-იქით სიარულს სჯობდა, პუმსითა და იმ ადამიანით დაინტერესებულიყო, ვინც მანქანიდან გადააგდო. ჯერ თავისი საქმე უნდა აკეთოს.

- კარგი, ფრანცს ყურადღებას მივაქცევ, - ხმადაბლა თქვა პატარა სონიამ და ისე, რომ თავი ზემოთ არ აუწევია, ევას წელზე მოხვია ხელი. ასე თავებმიდებულები ხუთი წუთი იდგნენ და ევამ ისევ გაიფიქრა: „ფრანცს ვინმეს თუ დავუთმობდი, მხოლოდ ამ გოგოს!“

მერე გამხიარულდნენ, მაიმუნებს მთელ ბინაში დასდევდნენ. ევა სტუმარს ყველაფერს ათვალიერებინებს. სონია ევას ტანსაცმლის, ავეჯის, საწოლების, ნოხების მხილველი აღფრთოვანებას ვერ მალავს. პიქსაფონის დედოფლობაზე ოცნებობენ: აქ მოწევა შეიძლება? - რა თქმა უნდა! საინტერესოა, ასეთი შესანიშნავი და სურნელოვანი სიგარეტები ბაზარზე რომ არ ძვირდება. ჩაის ვარდის სურნელი - ეს სუნამო მოსწონს გერმანელ ინტელიგენტ ქალბატონს: მისი არომატი ნაზია, მაგრამ მდგრადი. აჰ, ამერიკელი კინოვარსკვლავების პირადი ცხოვრება მკვეთრად განსხვავდება იმისგან, რასაც მათზე შეთხზული ლეგენდები მოგვითხრობენ...

გოგოებს ყავა მოართვეს, სონია ბალადას მღერის:

„აბრუდპანტას ახლოს, უღრან ტყეს სასტიკ ყაჩაღთა რაზმი აფარებს თავს, მათი მეთაური გვიდონი კი კეთილშობილი და მამაცი კაცია. და შეხვდა ერთხელ გვიდონი ტყეში დე მარშანის ქალიშვილს და სულ მალე ხეებს შორის გაისმა: „მე შენი ვარ სამუდამოდ, სამუდამოდ“.

მაგრამ შეყვარებულები სიყვარულის ბურანიდან მდევარმა გამოიყვანა. მამამ

ზეწამოყარა საწყლები და გვიდონი შეიპყრო. ეხვეწება მამას ქალი, შეწყალებას სთხოვს. „მასთან ერთად ჯოჯოხეთშიც კი წავალ“, - ამბობს.

მაგრამ გვიდონი უკვე დილეგშია, როგორ დააღწევს თავს იქიდან?! იზაბელა გეგმას აწყობს, როგორ იხსნას საყვარელი კაცი. და ქალმა ეს მოახერხა. გვიდონი თავისუფალია, სახრჩობელას გადაურჩა! ახლა სასახლისკენ მიიჩქარის, მაგრამ გვიანია! იზაბელა საკურთხევლის წინ არის დაჩოქილი და აიძულებენ, მისთხოვდეს კაცს, ვინც არ უყვარს. და ამ დროს მუქარასავით გაისმა შემახილი „შეჩერდით!“

იზაბელა მოცელილივით დაეცა, აჰ, სატრფოს ამბორი ვეღარ გამოაღვიძებს. და გვიდონმა ამაყად და მრისხანედ უთხრა მარშანს: „იზაბელას გული შენ გაუხეთქე, თვალის ჩინი ჩაუქრე, ღაწვები გაუფერმკრთალე“.

მაგრამ, როცა გვიდონმა ქალს კიდევ ერთხელ დახედა, სიყვარულმა სასწაული მოახდინა, ქალმა თვალი გაახილა, გაცოცხლდა. ახლა ორივენი მიქრიან შორს, შორს ბოროტი ადამიანებისგან. შეყვარებულებმა თავს უნდა უშველონ, მაგრამ არ ეგულებათ ადგილი, სადაც მშვიდად იცხოვრებენ, მათ მკაცრი კანონი ემუქრება და ერთმანეთს შეჰფიცებენ: „ჩვენ აღარ დავიმალებით. სამსალით სავსე ფიალას ერთად გამოვცლით და უმაღლესი სამსჯავროს წინაშე წარვდგებით, ჩვენს სულებს ღმერთს მივაბარებთ“.

სონიამ და ევამ კარგად იციან ამ სიმღერის ფასი. გვიდონის ბალადას ბაზრობებზე მეარღნეები მღერიან, უკან, დიდ დაფებზე გაკრული ამ ბალადის სიუჟეტის ამსახველი სურათების ფონზე. სონიამ სიმღერა რომ დაამთავრა, ორივენი ატირდნენ, დიდხანს ქვითინებდნენ, ისე, რომ მათი მოკიდებული სიგარეტები საფერფლეზე ჩაიფერფლა.

ფრანცს პოლიტიკაზე გული აუცრუვდა, მაგრამ უსაქმურობა უფრო საშიშია

ჩვენი ფრანცეკენ ბიბერკოპფი პოლიტიკურ სიტუაციაში გარკვევას კიდევ ცდილობს, კრებებზე, თავყრილობებზე დადის. ვილი მკვირცხლი ბიჭია, თავიც კარგად უმუშავებს, მაგრამ ჯიბის ქურდებს შორის დამწყებად ითვლება, დიდი ავტორიტეტითაც არ სარგებლობს და ამიტომაც არა აქვს ფული. ჰოდა, ეწებება ფრანცს, წურბელასავით. ბიჭი ბავშვთა სახლში აღიზარდა და იქ ჯერ კიდევ არასრულწლოვანს ვიღაცამ თავში ჩაუტენა, რომ კომუნიზმი საზიზღრობაა და გონიერმა ადამიანმა

მხოლოდ ნიცშესი და შტაინერისა უნდა იწამოს. ცხოვრობს ისე, როგორც უნდა და აკეთებს იმას, რაც უნდა; დიდი ლაზღანდარა ვინმეა და ენაც უჭრის. უყვარს კრებებზე სიარული, მოსწონს, რეპლიკებით გამომსვლელებს სიტყვას რომ აწყვეტინებს და დებოშს ტეხს. თანაც დამსწრეთ აკვირდება: ანკესზე ვისი წამოგება ან გამასხარავება შეიძლება.

ერთი სიტყვით, იარა ერთხანს ფრანცეკენმა ვილისთან ერთად კრებებზე და ბოლოს ორივეს: ბიჭსაც და პოლიტიკასაც დაემშვიდობა. ერთხელ და სამუდამოდ, მიცისა და ევას ჩაურევლად. ეს კი ასე მოხდა:

ერთ საღამოს ფრანცი ლუდხანაში ზის ერთ შუახნის დურგალთან ერთად, რომელიც ერთ-ერთ კრებაზე გაიცნო. ვილი ბართან სვამს და ვიღაც სტუმარს ტვინს ულაყებს. ფრანცი მაგიდასთან ხელებზე თავდაყრდნობილი ზის და დურგალს უსმენს.

- იცი, კოლეგა, - ამბობს დურგალი, - მაგ კრებებზე მხოლოდ იმიტომ დავდივარ, რომ ჩემი ცოლი ავად არის და სიმშვიდე სჭირდება. ზუსტად 8 საათზე ძილის წამალს მიიღებს, ჩაი დალევს და დასაძინებლად დაწვება. იძულებული ვარ, სინათლე ჩავაქრო. გამოდის, ხელს ვუშლი. აბა, სიბნელეში სახლში რა უნდა ვაკეთო, ჰოდა, მეც ლუდხანაში მოვდივარ. როცა კაცს ავადმყოფი ცოლი ჰყავს, ნამდვილად გალოთდება.

- შენც ადექი და საავადმყოფოში დააწვინე, მართლაც ძნელია, ასეთი ავადმყოფის სახლში მოვლა.

- საავადმყოფოში უკვე იწვა, მაგრამ იძულებული გავხდი, გამომეყვანა. ცუდი კვება იყო და ვერც განკურნეს.

- ეტყობა, შენი ცოლი მძიმე ავადმყოფია, არა?

- რა გითხრა, ჯერ ამბობდნენ, საშვილოსნოზე სწორი ნაწლავი აქვს მიწებებულიო, ოპერაციაც გაუკეთეს. იცით, მუცელი გაუჭრეს, მაგრამ ამან არ უშველა. ტკივილი ისევ აქვს, მთელი დღე ყვირის. ექიმი კი ამბობს, არაფერი სჭირს, ეს ყველაფერი ნერვების ბრალიაო.

- რას ამბობთ!

- ეს ექიმი ჩემს ცოლს, ალბათ, მალე სრულიად ჯანმრთელად გამოაცხადებს. დიახ,

პროფკავშირების ექიმთან განმეორებით შემოწმებისთვის უკვე ორჯერ გამოიძახეს, მაგრამ არ წავიდა. იცის, სანამ რამე წამალს გამოუწერს, მანამდე ავადმყოფობის ისტორიაში ჩაუწერს, რომ

სრულიად ჯანმრთელია. ნერვულ დაავადებებს თურმე არ ცნობენ.

ფრანცი დურგალს უსმენს და თავისას ფიქრობს, ისიც ხომ ავად იყო, მკლავი მოჰკვეთეს, მაგდებურგის კლინიკაში უმკურნალეს. ახლა კი ეს ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდა, საავადმყოფო მართლაც სხვა სამყაროა.

- ლუდს კიდევ ხომ არ დალევთ?

- თუ შეიძლება.

- ერთი ლუდი
მოგვიტანეთ!
დურგალმა ფრანცს
შეხედა:
- პარტიის წევრი არა ხარ, არა, კოლეგა?

- ოდესღაც ვიყავი, ახლა კი - არა, აზრი არა აქვს.

მათ მაგიდას ლუდხანის მეპატრონე მიუჯდა, დურგალს მიესალმა, შვილების ამბავი ჰკითხა, მერე კი აჩურჩულდა:

- ედე, პოლიტიკაში ისევ ხარ?

- ახლა სწორედ პოლიტიკაზე ვლაპარაკობდით! პოლიტიკანობას თავი დავანებე და უკან დაბრუნებას აღარ ვაპირებ.

- სწორად იქცევი, ედე! ყოველთვის ვამბობდი და ჩემი ვაჟიც მიდასტურებს, რომ პოლიტიკოსობით ადამიანი ფულს ვერ იშოვის. ჩვენ კი ოჯახები გვაქვს და ფული გვჭირდება. შეიძლება ზოგიერთმა იცის კიდევაც პოლიტიკაში ხელი როგორ მოითბოს, მაგრამ ჩვენ არა!

დურგალმა მეპატრონეს გამქირდავი მზერა ესროლა:

- ვერ დავიჯერებ, რომ ავგუსტმა პოლიტიკოსობას თავი დაანება და ახლა შენსავით ფიქრობს!

- ჩემი შვილი კარგი ბიჭია, დამიჯერე, ასე ადვილად არ მოტყუვდება, ჩვენი საქმე ფულის შოვნაა და საქმეებიც, არა უშავს, მიდის. მთავარია, არ ვიწუწუნოთ! - და კათხა

ასწია, - დავლიოთ, ფრანც, კარგად ვიყოთ! წარმატებას გისურვებთ!

- ძმაო, მარქსიზმისთვის არა მცალია, მიმიფურთხებია ლენინისთვის, სტალინისთვის და მთელი მაგათი საძმოსთვის. მე მხოლოდ ის მაინტერესებს, კრედიტს მომცემენ თუ არა, და თუ მომცემენ, რამდენს და რა ვადით, ამის გარშემო ტრიალებს მსოფლიო.

„შენ საწუწუნო არაფერი გაქვს", - ფიქრობენ ფრანცი და დურგალი.

მეპატრონე „ბრძნულ" აზრებს კიდევ დიდხანს აფრქვევს. ფრანცი და დურგალი უსმენენ. მერე დურგალს ბოღმა ყელში ბურთივით მოაწვა და ალაპარაკდა:

- მარქსიზმში მეც ვერ ვერკვევი, მაგრამ, ფრანც, აქ საქმე ისე მარტივად არ არის, როგორც ეს ყველაფერი შენს ტვინის უჯრედებში განალაგე. მე არც მარქსიზმი მჭირდება, არც რუსები და არც ვილი თავისი შტირნერით, იმის შესაგნებად და გასაცნობიერებლად, თუ რა შავ დღეში ვარ. აი, მაგალითად, დღეს ვმუშაობ, მაგრამ ხვალ კი შეიძლება იქიდან გამომისტუმრონ, მეტყვიან, სამუშაო არ არისო ან სულაც ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. ოსტატი დარჩება, რა თქმა უნდა, შეფიც, ქუჩაში მხოლოდ მე გამომაგდებენ. შინ კი სამი შვილი მყავს, სამი გოგონა, დაწყებითი კლასების მოსწავლეები. უფროსს რაქიტმა ფეხები გაუმრუდა. მკურნალობა აუცილებელია, მაგრამ მკურნალობას ფული სჭირდება, რომელიც არ მაბადია. სკოლის დახმარების იმედიღა მაქვს. ისე, ცოლს შეეძლო მზრუნველთა საბჭოსთვის ან რომელიმე სხვა ინსტანციისთვის მიემართა, მაგრამ ბევრი საზრუნავი აქვს, ახლა კი ისიც ავად არის. საერთოდ კი, ჩემი ცოლი ყოჩაღი და მშრომელი ქალია, ხელიდან ყველაფერი გამოსდის, ფულის შოვნასაც ცდილობს, შებოლილი წვრილი თევზით ვაჭრობს. დიახ! სულ იმას ვფიქრობ, გოგონები რომ წამოიზრდებიან, რა უნდა გააკეთონ, სკოლაში ბავშვებს ბევრს ხომ არაფერს ასწავლიან! აი, ეგ არის კიდევ ერთი უბედურება! მდიდრები შვილებს უცხო ენებს ასწავლიან, ზაფხულობით აგარაკებზე მიჰყავთ. იქნებ გგონიათ, ბავშვების აგარაკზე წაყვანა მეც არ მინდა? მაგრამ როგორ? იმისი ფულიც კი არა მაქვს, ერთი დღით ქალაქგარეთ გავიყვანო. მდიდრების შვილები რაქიტულები არ არიან და ფეხებიც სწორი აქვთ. ან, დავუშვათ, რევმატიზმმა თავი შემახსენა, წავედი ექიმთან. მისაღებში კი ოცდაათი კაცი ზის. დილას მისული ექიმთან საღამოს ძლივს შეაღწევ და ის კი გეუბნება, „იცით, თქვენი რევმატიზმი უკვე ქრონიკულშია გადაზრდილი. ჩემთან მოსვლა მაინცდამაინც ახლა

რატომ გადაწყვიტეთ? რამდენი წელია, რაც მუშაობთ? აბა, თქვენი ქაღალდები მაჩვენეთ!“ არა, არ სჯერა, რომ ავად ვარ და მორჩა! მერე პროფკავშირების

ექიმთან მივდივარ და იგივე ისტორია მეორდება. ან, თუნდაც დაზღვევის სალარო ავიღოთ: ყველა ხელფასიდან განსაზღვრულ თანხას გვიქვითავენ და, აბა, ერთი სცადეთ და იქ ითხოვეთ, რომ სამკურნალოდ გაგიშვან. რა დაგიკარგავს, რას ეძებ! შეიძლება, თხოვნა მაშინ დაგიკმაყოფილონ, როცა აღარ გჭირდება: სიკვდილამდე ერთი დღით ადრე, ან სულაც უკვე გარდაცვლილს! ეჰ, ფრანც, იმას, რაც ჩვენს თავს ხდება, უსათვალოდაც კარგად ვხედავ. პირუტყვი უნდა იყო, რომ იმ უსამართლობამ, ჩვენს ქვეყანაში რომ ტრიალებს, არ აღგაშფოთოს. და ეს უმარქსოდაც ყველამ კარგად იცის! ჰო, ფრიც, სიმართლე ეს არის!

დურგალმა ჭაღარა თავი ზეასწია და მეპატრონეს ჯიქურ შეხედა. მერე ჩიბუხი ისევ პირში გაირჭო, აბოლებს და ელოდება, ფრიცი რას უპასუხებს. მეპატრონეს კი, ეტყობა, ჭაღარას გრძლად ნათქვამი სიტყვა არ მოეწონა, ტუჩები აიბზუა და წაიბურტყუნა:

- ჰო, ძმაო, მართალი ხარ, ჩემს პატარასაც მრუდე ფეხები აქვს, მისი სამკურნალო ან აგარაკზე გასაგზავნი ფული მეც არა მაქვს, მაგრამ ამ დედამიწაზე ოდითგანვე არსებობდნენ მდიდრები და ღარიბები, აქ ჩვენ ვერაფერს გავხდებით!

- ჰო, ეგ ნამდვილად ეგრეა, - უპასუხა დურგალმა, ისე, რომ ჩიბუხი პირიდან არ გამოუღია, - მაგრამ აღარავის უნდა, რომ ღარიბი იყოს, სიღარიბე ყველას მოჰბეზრდა! შენი არ ვიცი, მაგრამ მე ნამდვილად მომბეზრდა. მეტიც, სიღარიბე დანაშაულად მიმაჩნია.

ლაპარაკობენ მშვიდად, აუღელვებლად, ლუდს წრუპავენ, ფრანცი კი ზის და თავისას ფიქრობს. მათ მაგიდას ვილი მიუახლოვდა. ფრანცი კი ადგა, თავისი ქუდი აიღო:

- არა, ვილი, დღეს მინდა ადრე დავწვე. გუშინდლის მერე თავი მისკდება!

* * *

ცხელ, მტვრიან ქუჩაში ფრანცი მარტოდმარტო მიაბიჯებს. რუმ დი ბუმ დი დუმელ დი დეი, რომ დი ბუმ დი დუმელ დი დეი.

ცოტა კიდევ, ცოტა კიდევ მოიცადე, ეშმაკი შენთანაც სულ მალე მოვა, პატარა ნაჭრებად დაგაქუცმაცებს, შენგან დიდ ძეხვს გააკეთებს. ცოტა კიდევ, ცოტა კიდევ მოიცადე, ეშმაკი შენთანაც სულ მალე მოვა...

დასწყევლოს ღმერთმა, სად მივდივარ, ღმერთმა დასწყევლოს, სად მივდივარ. ფრანცი ჩერდება. მეორე მხარეს გადასვლა უნდა, ხედავს, იქ გზა არ არის, მიბრუნდება, მტვრიან ქუჩაზე უკან მიდის. ლუდხანას ჩაუვლის, ფრიცი, ლუდის მეპატრონე, და დურგალი ისევ სხედან, ლუდს წრუპავენ. არა, ამ ლუდხანაში აღარ შევალ. დურგალმა სიმართლე თქვა. სრული სიმართლე! პოლიტიკა და პოლიტიკოსები, ეგ ნაყარნუყარა ხალხი არაფერში მჭირდება. რა ხეირია ამისგან! მე მაინც ვერ მიშველიან. მე საერთოდ ვერაფერი მიშველის!

ფრანცი ისევ ცხელ, მტვრიან, ახმაურებულ ქუჩებში მიაბიჯებს. აგვისტო. როზენტალერპლაცზე უამრავი ადამიანი ირევა, დგას ვიღაც კაცი გაზეთებით ხელში, ერთ-ერთი „ბერლინერ არბაიტერ ცაიტუნგია“**[30]** და წერია შიგ: „მარქსისტული საიდუმლო სამსჯავრო“. „ჩეხი ებრაელი - ბავშვების გამხრწნელი“, ჩეხმა ებრაელმა ოცი ბავშვი გახრწნა და დღემდე თავისუფალია. ნაცნობი გაზეთებია, ერთ დროს ჩვენც გაზეთებს ვყიდდით. ფრანცმა ხეიბრისგან პირველივე გვერდზე გამოტანილი სვასტიკიანი გაზეთი იყიდა. ოჰო, ეს ცალთვალა ხეიბარი ხომ მისი ძველი ნაცნობია.

„დალიე, ძმაო, დალიე, საზრუნავი შინ დატოვე, მწუხარება დაივიწყე და ნაღველი გაფანტე -

ცხოვრება მხიარული მოგეჩვენება“.

მოედანს გადაჭრის, ელზასერშტრასეზე გადის. ახსენდება ფეხსაცმელების თასმები, ლიუდერსი...

ლექსი „სატკივარი დაივიწყე, ნაღველი გაფანტე, ცხოვრება მხიარული მოგეჩვენება“... ეს დიდი ხნის წინ იყო, გასული წლის დეკემბერში. რა დრო გასულა, აი, აქ, მაღაზია „ფაბიშის“ წინ ვიდექი, რაღაც სისულელეს ვყიდდი და გავყვიროდი, მაინც რას ვყიდდი? ჰო, ჰალსტუხების დამჭერს. კი, კი, ჰალსტუხების დამჭერს. მაშინ ლინას ვხვდებოდი, ჰო, პოლონელ ლინას, სქელო აქ მაკითხავდა ხოლმე.

და ფრანცი ისევ მიაბიჯებს, და თვითონაც არ იცის, რატომ, ისევ უკან, როზენტალერპლაცისკენ, და აშინგერის მოპირდაპირე მხარეს მდებარე „ფაბიშის“ წინ გაჩერებაზე დგება. იცდის. დიახ, მას ეს უნდა. ხვდება, გული საითაც მიუწევს. დგას და იცდის, ფიქრები მისი, მაგნიტის მსგავსად მიმართულია ჩრდილოეთისკენ! ტეგელისკენ, ციხისკენ, ციხის გალავნისკენ, აი, საით მიუწევს გული, სად უნდა

წასვლა!

და შემდეგ ეს მოხდა: ჩამოდგა ტრამვაი **№41**. ფრანცი ვაგონში ადის. გრძნობს, რომ სწორად იქცევა. ტრამვაი დაიძრა და იგი ტეგელისკენ მიჰყავს! **20** პფენიგი გადაიხადა, ბილეთი უკვე აიღო.

ტეგელისკენ მიემგზავრება! ყველაფერი კარგად არის. თავს კარგად გრძნობს. უცნაური სიმსუბუქე თუ ნეტარება დაეუფლა. ჰო, ჰო, ჩვენ ტეგელში მივდივართ. გზა ნაცნობია - ბრუნენშტრასე, უფერშტრასე, ხეივანი, რაინიკენდორფი, ქუჩებს ადგილი არ შეუცვლიათ, არც რიგითობა. დიახ, ასეა. ოდინდელი წესრიგი არ დარღვეულა. ზის ფრანცი, ფანჯარაში იხედება, ეჩვენება, რომ ირგვლივ ყველაფერი იბადება, აღმოცენდება, იზრდება, ძლიერდება. ფრანცს დიდი ნეტარება ეუფლება, უზარმაზარი სიმშვიდე იპყრობს და თავს ისე კარგად გრძნობს, რომ თვალებს ხუჭავს და ღრმად ჩაეძინება.

ტრამვაიმ განათებულ რატუშას ჩაუარა - ბერლინერშტრასე, რაინიკენდორფვესტი, აი, ტეგელიც -

ბოლო გაჩერება. კონდუქტორმა ფრანცი გააღვიძა, ადგომაში დაეხმარა.

- ბოლო გაჩერებაა. თქვენ სად მიდიოდით?

- ტეგელში, - ენის ბორძიკით უპასუხა ფრანცმა.

- მაშინ ჩაბრძანდით, მოვედით.

ფრანცი ვაგონიდან არეული ნაბიჯით ჩამოდის.

ეტყობა, ნასვამია. ეგ ინვალიდები ასეთები არიან, როგორც კი პენსიას აიღებენ, მაშინვე დასალევად გარბიან.

ფრანცს კი ისე ძალიან ეძინება, რომ მოედანზე, რომელზეც მიჩანჩალებს, პირველივე ლამპიონის ქვეშ მდგარ სკამზე ჯდება და მაშინვე იძინებს ასე, ღამის სამ საათზე, ფრანცი პოლიციელებმა გააღვიძეს, მაგრამ მისთვის პრეტენზია არ წაუყენებიათ; ეტყობა, წესიერი ადამიანია, ვინმე მაწანწალა კი არა, შინ წავიყვანოთ, თორემ ამ საცოდავს აქ ტყავს გააძრობენ.

- მეგობარო, აქ ძილი არ შეიძლება, გვითხარით, სად ცხოვრობთ?

ფრანცი გონს მოდის. ამთქნარებს. ერთი ახლა დამაძინა! ჰო, ეს ტეგელია, მაგრამ აქ რა მინდა. ეტყობა, აქ რაღაცისთვის მოვედი, მაგრამ რისთვის? აზრები ერევა, ღმერთო, ერთი ახლა ჩემს ლოგინში ჩამაწვინა. ირგვლივ მწუხარედ მიმოიხედა: ჰო, ეს ტეგელია, იყო დრო, ამ ციხეში ვიჯექი, მერე რა, რაც იყო, იყო! ტაქსი, ეი, ტაქსი! აქ რატომ

მოვედი? აი, ცდუნებაც ამას ჰქვია! მეგობარო, მომისმინეთ, თუ ჩამეძინება, გამაღვიძეთ. და ყოვლად ძლიერი ძილი ისევ ეწვია, გადაეფარა თვალებზე ლიბრი და ხედავს ფრანცი:

და გამოცადა აბრაამი ღმერთმა და უთხრა: აბრაამ! მიუგო: აქ ვარ!

უთხრა: მოჰკიდე ხელი შენს შვილს, შენს მხოლოდშობილს, რომელიც გიყვარს, ისააკს, და წადი მორიას მხარეში. იქ შესწირე აღსავლენ მსხვერპლად ერთ მთაზე, რომელსაც გიჩვენებ.

ირგვლივ მთებია, მაღალი მთები. დილაადრიანად ადგა აბრაამი და ეუბნება ვაჟს, ჩემთან ერთად წამოხვალ და მიჰყვება ისიც. მიდიან აღმა და დაღმა, ბევრი მთა გადაიარეს, ბევრი მინდორი გაიარეს. კიდევ ბევრი უნდა ვიაროთ, მამა? არ ვიცი, შვილო ჩემო, ჩვენ რომ ვადგავართ, ის გზა მთებზე ადის და მთებიდან დაბლა ეშვება, მომყევი! დაიღალე, შვილო ჩემო, ჩემთან ერთად სიარული მოგბეზრდა? აჰ, არ დავღლილვარ, თუ ეს შენ გსურს, წამოგყვები, აი, ხედავ, მოვდივარ! ადიან მთებზე, ჩამოდიან დაბლა, მინდვრები, ეს გზა გრძელია, დადგა შუადღე, და აი, ჩვენც მოვედით. ირგვლივ მიმოიხედე, შვილო ჩემო, აქ სამსხვერპლო დგას. მეშინია, მამა. რატომ გეშინია, ჩემო ბიჭო? დილაუთენია გამაღვიძე, ბევრი ვიარეთ, აღსავლენი კრავის წამოყვანა კი დაგვავიწყდა. ჰო, ღმერთი გამოაჩენს თავისთვის აღსავლენ კრავს. მთები გადმოვიარეთ, ველები გამოვიარეთ, აღსავლენი კრავი კი არ წამოგვიყვანია, დაგვავიწყდა, აქ კი სამსხვერპლოა აღმართული, მეშინია. მოიცადე, მოსასხამს მოვიხსნი, გეშინია, ძეო ჩემო? ჰო, მამაჩემო, მეშინია. მეც მეშინია, შვილო, მომიახლოვდი, ნუ გეშინია, ჩვენ ეს უნდა გავაკეთოთ! რა უნდა გავაკეთოთ, მამა? გადმოვიარეთ ცხრა მთა, გამოვიარეთ ცხრა ბარი, დილაუთენია ავდექი. ნუ გეშინია, ჩემო ბიჭო, ეს სიამოვნებით უნდა გააკეთო, მომიახლოვდი, ჩემთან ახლოს მოდი, მოსასხამი უკვე მოვიხსენი, არ მინდა, სახელოები სისხლში დამესვაროს. მოახლოების მეშინია, მამა, შენ ხომ ხელში დანა გიკავია. ჰო, დანა მიკავია, შენ უნდა დაგკლა, მსხვერპლად შეგწირო, ეს ღმერთმა მიბრძანა, ღვთის ნებასსიხარულით დაემორჩილე, შვილო ჩემო!

არა, არ შემიძლია, არ მომეკარო, ვიყვირებ, არ მინდა, რომ დამკლა. მუხლებზე დაეცი, შვილო ჩემო, არ იყვირო, თუ არ გინდა, ამას არ გავაკეთებ, მაგრამ შენ ეს გინდა, არა,

ჩემო შვილო? ცხრა მთა გადმოვიარეთ, ცხრა ბარი გამოვიარეთ, სახლში დაბრუნების უფლება რატომ არა მაქვს? სახლში დაბრუნება რად გინდა, იქ რა დაგრჩენია, როცა ღმერთი თავისთან გიხმობს? არ შემიძლია, არა, მე ეს შემიძლია, არა, მე ეს შემიძლია, არა, არ შემიძლია. მომიახლოვდი, ხედავ, დანა უკვე ხელში მიკავია, ის ძალიან ბასრია და ყელში შეგერჭობა. ყელი უნდა გამომჭრა, მამა? ჰო და სისხლი თქრიალით წამოვა. ჰო, ეს ღმერთმა მიბრძანა. შენ ეს გინდა? ამის ძალა ჯერ არ შემწევს, მამა.

მოდი ჩქარა, ამის გაკეთების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში მაქვს, თუ ეს შენი ნება და სურვილი იქნება. ჩემი ნება და სურვილი? ჰო, და თუ არ შეგეშინდება. და თუ დარჩები ცოცხალი, შენი სიცოცხლე რაღა სიცოცხლე იქნება. შენი სიცოცხლე ღმერთს ეკუთვნის და სიცოცხლეს შენსას ღმერთი ითხოვს. მომიახლოვდი. ღმერთს უნდა, რომ სიცოცხლე შევწირო? ცხრა მთა გადმოვიარე, ცხრა ბარი გადმოვიარე, ალიონზე ავდექი. ხომ არ გინდა მშიშარას სახელი დაიმკვიდრო? ჰო, გავიგე, გავიგე, გავიგე! რა გაიგე, ჩემო შვილო. გამირჭვე დანა ყელში, მოიცა, საყელოს უკან გადავიწევ, ყელს მოვიშიშვლებ, ასეა საჭირო. ეტყობა, ყველაფერი მართლაც გაიგე. მხოლოდ ეგ არის, რომ შენ ეს უნდა გინდოდეს და ეს მეც უნდა მინდოდეს, ჩვენ ეს ორივემ უნდა გავაკეთოთ, და მაშინ დაგვიძახებს ღმერთი, და ჩვენ მის ძახილს გავიგებთ: შეჩერდი. დიახ, მოდი აქ, კისერი მომიშვირე. ჰო, არ მეშინია, ღვთის ნებას სიხარულით ვემორჩილები. ცხრა მთა გადმოვიარე, ცხრა ბარი გამოვიარე, დამარტყი დანა, გამომღადრე ყელი, არ ვიყვირებ.

და შვილმა ყელი გადასწია, მამა უკან დაუდგა, შუბლზე ხელით აწვება, მარჯვენით კი დანას მაღლა სწევს. ვაჟიშვილი ღვთის განაჩენს სიხარულით ელოდება. და ამ დროს გაისმის ღმერთის ძახილი. ორივენი მიწაზე პირქვე ემხობიან.

და რა ესმათ მათ: ალილუია. მთებსა და ველებზე ეფინებოდა ღმერთის ხმა: ნუ აღმართავ ხელს ამ ყმაწვილზე, ნურაფერს დაუშავებ მას, რადგან მივხვდი, ღვთისმოშიში ყოფილხარ - მხოლოდშობილი შვილი გამოიმეტე ჩემთვის. გადააგდე დანა ხევში. ალილუია. მე ვარ ღმერთი და მარად და მარად ჩემი მორჩილი უნდა იყო. ალილუია, ალილუია, ალილუია! ალილუია, ალილუია, ალილუია. ალილუია, ალილუია, ალილუია, ლუია, ლუია, ლუია, ლუია, ლუია.

- მიცი, მულეკენ, ჩემო პატარა ფისუნია. აბა, მეჩხუბე, ღირსი ვარ, მაგრად მეჩხუბე, - ფრანცი მიცის მუხლებზე დასმას ცდილობს, - ნუ იბუტები. ჩემო პატარავ, ერთი სიტყვა მაინც მითხარი. დიდი ამბავი, წუხელ სულ ოდნავ დამაგვიანდა.

- ფრთხილად იყავი, ფრანც! უბედურებაში არ გაეხვიო. მითხარი, გუშინ ვისთან ერთად სვამდი?

- ეგ საიდან მოიტანე? არავისთან!

- საიდან და წუხელ ზემოთ მძღოლმა ძლივს ამოგათრია. შენი გაღვიძება ვცადე, მაგრამ ამაოდ, თვალებსაც კი ვერ ახელდი.

- ხომ გითხარი, რომ ტეგელში ვიყავი? ჰო, ტეგელში, რა გიკვირს? იქ, სრულიად მარტო წავედი, არავინ მახლდა.

- მართალს მეუბნები, ფრანც?

- გეფიცები, მარტო ვიყავი. ხომ იცი, იქ რამდენიმე წელი გავატარე და რატომღაც გულმა იქით გამიწია.

- რატომ, კიდევ ერთხელ ჩაჯდომა მოგინდა?

- არა, რაც ვიჯექი, ისიც მეყოფა. მე ხომ სასჯელი ბოლო დღემდე მოვიხადე! უბრალოდ, იქაურობისთვის თვალის შევლება მომინდა. მაინტერესებდა, იქ ახლა რა ხდებოდა. მულეკენ, ღირს კია, ამაზე გაბრაზება?

მიცი გვერდით მიუჯდა და როგორც ყოველთვის, კაცს ნაზად შესცქერის.

- იცი, ფრანც, პოლიტიკას უნდა შეეშვა.

- უკვე შევეშვი.

- კრებებზეც აღარ უნდა იარო!

- კარგი. არ ვივლი!

- და თუ წახვალ, მაშინ მეტყვი?

- გეტყვი!

მიცი ფრანცს მოეხვია, თავი თავზე მიადო, გაჩუმდნენ.

ფრანცი ამ წუთებში უბედნიერესი ადამიანია. პოლიტიკა კი ეშმაკსაც წაუღია! რაში სჭირდება კედლების თავით მტვრევა!

ფრანცმა პოლიტიკას თავი კი დაანება, მაგრამ ახლა მთელ დღეებს ლუდხანებსა თუ სამიკიტნოებში ატარებს: სვამს, მღერის, ბანქოს თამაშობს. ამ ხნის განმავლობაში კი მიციმ ერთი ბატონი გაიცნო, ლამის ევას მფარველივით მდიდარია, მაგრამ ცოლიანი, რაც გოგონას ძალიან

აწყობს, ფრანცისთვის მეტი დრო ექნება. კაცმა მიცის ოროთახიანი ბინა უქირავა და ძვირფასი ავეჯით გაუწყო.

მიცის ჩანაფიქრის თანამონაწილე ფრანციც ხდება. ერთ მშვენიერ დღეს ფრანცს ბინაში ევა გამოეცხადება, ბოლოს და ბოლოს, რატომაც არა, თუკი მიცის ეს თავად უნდა? მაგრამ, მისმინე, ევა, ამას სერიოზულად ამბობ? გიფიქრია იმაზე, შვილი ჩემგან მართლაც რომ შეგეძინოს, მერე რას იზამ? ბედნიერი ვიქნები, იცი, თუ შვილი მეყოლება, მაშინ ჩემი მოხუცი ოქროში ჩამსვამს, ცივ ნიავს არ მომაკარებს, ხომ წარმოგიდგენია, როგორ იამაყებს, მის ასაკში ეს რომ შეძლო!

ბუზი ქვიშიდან ამოძვრა, ფრთები გაიწმინდა და გაისწორა, მალე ისევ აბზუვლდება

აბა, ფრანც ბიბერკოპფზე კიდევ რა გიამბოთ, მე და თქვენ ამ ვაჟბატონს უკვე ვიცნობთ! რას აკეთებს ღორი, როცა საღორეში ბრუნდება, ხვდებით, ალბათ! ისე, ეს ღორი, ხორცისა და ქონის გროვა, სხვათა შორის, ადამიანზე ბედნიერად ცხოვრობს, რადგან ერთადერთი, რაც სჭირდება, სალაფავია და თუ ის საკმარისზე ბევრი ექნება, მით უკეთესი. დიდი პერსპექტივები მის წინაშე არ იშლება, დიდი-დიდი კიდევ ერთხელ გოჭები დაყაროს. და ბოლოს, ცხოვრებას აუცილებლად სასაკლაოზე დაამთავრებს. ეს კი არცთუ ისე ცუდი დასასრულია, რადგან იგი ხომ ოთხფეხია და სანამ რამეს მიხვდებოდეს, უკვე იმ ქვეყნად არის. ადამიანს კი თვალები აქვს, რომელშიც რაღა არ ეჩხირება, რაღას არ ხედავს, აქვს აგრეთვე თავი და შეუძლია ფიქრი. ღმერთმა იცის, რაზე და რას აღარ ფიქრობს, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, ჩვენი მეგობარი ფრანც ბიბერკოპფი, ბრგე მამაკაცი, არაფერზე ნაღვლობს. გარეთ აგვისტოა, ჯერ კიდევ თბილი ამინდი არის, ერთი ხელით ნიჩბის მოსმაში ერთობ დაოსტატდა, პოლიცია არ აწუხებს, მიუხედავად იმისა, რომ რა ხანია, იქ არ გამოცხადებულა, რეგისტრაცია არ გაუვლია. განყოფილების თანამშრომლები, ალბათ, შვებულებაში არიან, ბოლოს და ბოლოს, თავიანთ ჯანმრთელობაზე პოლიციის ჩინოვნიკებმაც ხომ უნდა იზრუნონ, თანაც იმ საცოდავი პფენიგების გამო, რომლებსაც უხდიან, ზედმეტად თავი რატომ უნდა შეიწუხონ? რას აკეთებს ფრანც ბიბერკოპფი, სულ არ ანაღვლებთ, რა, ეს სამყარო ამ კაცის ირგვლივ ხომ არ ტრიალებს? და, როგორ

გგონიათ, მათ, იმაზე ფიქრის გარდა, ამ ვინმე ბიბერკოპფს ახლა ორი ხელის ნაცვლად ერთი ხელი რატომ აქვს, სხვა საზრუნავი არა აქვთ? არც ის აფიქრებთ, ბიბერკოპფის საქმე არქივში რომ იმტვერება. პოლიციას უამისოდაც ბევრი სხვა რამე აწუხებს.

მაგრამ არსებობს კიდევ ქუჩები, სადაც ადამიანი, ვინ იცის, რას არ გაიგებს? რას არ ნახავს. ამ ქუჩების მხილველს ძველი ამბები გაახსენდება, კარგიც და ცუდიც, გულს სევდა შემოაწვება, რა ხანი გასულა! და მუჭში დაგროვებული წყლის წვეთებივით მისდევენ დღეები ერთმანეთს და უკან მოხედვასაც ვერ მოასწრებ, ცხოვრება ხელში ისე შემოგადნება. ქუჩაში რაღაც დღესაც აუცილებლად მოხდება, მაგრამ ის ხვალვე ყველას დაავიწყდება. და ასე იქნება ყოველთვის: ქუჩაში ვინმეს აუცილებლად რამე შეემთხვევა. ცხოვრება კი ამ ორომტრიალში გარბის და ადამიანებს მოსვენებას უკარგავს. ჰო, ცხოვრება თავისას ითხოვს, ფიქრობს ფრანცი. და მასთან ჭიდილი შენც უნდა შეგეძლოს. აი, მაგალითად, ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ფანჯარაზე აბზუვლებულ ბუზს თუ დაიჭერ, ყვავილის ქოთანში ჩასვამ და ზემოდან ქვიშას დააყრი, ის თუ ჯანმრთელი ბუზია, იქიდან აუცილებლად ამოძვრება, ფრთებს გაისწორებს, ქვიშას ჩამოიფერთხავს და გაფრინდება. ანუ მთელი ეს ქვიშა მისთვის წინაღობა არ იქნება! ფრანცი აკვირდება, რაც მის ირგვლივ ხდება, და სულ ის ბუზი ახსენდება, აი, მე კარგად ვცხოვრობ და პოლიტიკაც არ მაინტერესებს. რა ჩემი საქმეა, თუკი ადამიანები იმდენად ბრიყვები არიან, რომ მავანსა და მავანს ზურგზე შეჯდომის უფლებას აძლევენ. სხვების გამო თავი მე რატომ უნდა ვიმტვრიო.

მას მიცი მხოლოდ იმიტომ საყვედურობს, რომ ბევრს სვამს, ეს ფრანცის სუსტი წერტილია. სმისადმი მიდრეკილება დედის მუცლიდან დაჰყვა, მასში ზის და თავს ხშირად ახსენებს.

ერთხელ საუბარში ჰერბერტმა უთხრა:

- ფრანც, ძალიან ბევრს სვამ, შენ ხომ პერანგში დაიბადე, აბა, დაფიქრდი, ადრე ერთი საწყალი გაზეთების გამყიდველი იყავი და ახლა ვინ ხარ? მართალია, ხელი დაკარგე, მაგრამ სამაგიეროდ, გყავს მიცი და გაქვს კარგი შემოსავალი! იცოდე, ცოტაც და, ისევ გალოთდები, როგორც მაშინ, იდას დროს.

- არა, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია, ჰერბერტ! თუ ვსვამ, იმიტომ, რომ ბევრი დრო მაქვს. ზიხარ უსაქმოდ, ერთ ჭიქას დალევ, მერე მეორეს, მესამეს და ასე შემდეგ.

თანაც, სასმელი დედის რძესავით მერგება და უსიამოვნო მოგონებებსაც მავიწყებს.

- ეს შენ გგონია ასე. მართალია, გასუქდი, მაგრამ ერთი სარკეში ჩაიხედე და შენს თვალებს შეხედე.

- რა, ჩვეულებრივი თვალები მაქვს.

- კარგად დააკვირდი, მოხუცი კაცივით დაგუდლებული თვალები გაქვს. შენისთანა ახალგაზრდა კაცს ასე არ უნდა ჰქონდეს. იცოდე, დროზე ადრე დაბერდები, ლოთობა ადამიანს აბერებს.

- ამ ლაპარაკს შევეშვათ, ჰერბერტ! ჯობს, მითხრა, თქვენკენ ახალი რა არის? რის გაკეთებას აპირებთ!

- მუშაობას მალე დავიწყებთ, ორი ახალი ბიჭი გვყავს. აი, კნოპს ხომ იცნობ, იმას, ცეცხლს რომ ყლაპავს ხოლმე. ჰოდა, ის ბიჭები მაგან იპოვა. თვრამეტი-ცხრამეტი წლისანი არიან. ჰოდა, უთხრა, თუ ჩემთან მუშაობა გინდათ, ჯერ უნდა მაჩვენოთ რა შეგიძლიათო. და დადგა კნოპი დანციგერშტრასეს კუთხეში და უყურებს, ეს ბიჭები თავიანთ უნარს და შესაძლებლობებს როგორ გამოამჟღავნებენ. ბიჭებმა კი მიზანში ერთი დედაბერი ამოიღეს, დაინახეს, ბანკში რომ ფული აიღო და ახლა სულ შორიახლო უტრიალებდნენ. კნოპს ეგონა, დედაბერს ხელს ჰკრავდნენ, ჩანთას გამოჰგლეჯდნენ და მერე, ადიუ, მომავალ შეხვედრამდე! მაგრამ არა, საიდანღაც ქალის გვარი გაიგეს, ისიც, თუ სად ცხოვრობს, გაიქცნენ და სადარბაზოში დაელოდნენ. როგორც კი დედაბერმა სადარბაზოს კარი შეაღო, ორივენი მისცვივდნენ: თქვენ, მადამ, თქვენ მიულერი ხომ არ ბრძანდებით? ის კი გვარად ხომ მართლაც მიულერია. ელაპარაკნენ მანამდე, სანამ კუთხიდან ტრამვაი გამოჩნდებოდა. აქ კი ქალს თვალებში დაფქული წიწაკა შეაყარეს, ჩანთა გამოგლიჯეს, კარი მიხურეს და ქუჩის მეორე მხარეს, გაჩერებისკენ გაიქცნენ. მაგრამ კნოპმა ბიჭებს ჩატარებული ოპერაცია დაუწუნა: ტრამვაიში ახტომა საჭირო არ იყოო, უთხრა, ვიდრე დედაბერი თვალებს გაიწმენდდა, კარს გააღებდა და ვინმეს საქმის ვითარებას აუხსნიდა, მოპირდაპირე მხარეს მდებარე ლუდხანაში თითო კათხა ლუდის დალევასაც მოასწრებდითო. ქუჩაში კი ასეთ დროს უკიდურეს შემთხვევაში უნდა გაიქცე, რადგანაც გამვლელებიც და შუპოებიც ადამიანს, რომელიც ქუჩაში კისრისტეხით გარბის, ეჭვით უყურებენ.

- ის მაინც თუ მოიფიქრეს, ტრამვაიდან მალე ჩამომხტარიყვნენ?

- ეგ მოიფიქრეს, მაგრამ კნოპი მაინც უკმაყოფილო იყო და აი, ბიჭებმა რა გააკეთეს:

კნოპი საღამოს, ასე ცხრა საათზე, თან წაიყვანეს და მის თვალწინ რომინტენერშტრასეზე მდებარე საათების მაღაზიის ვიტრინა ქვით ჩაამტვრიეს, იქიდან რაც ამოსაღები იყო, ამოიღეს და გაიქცნენ. მერე კი უკან დაბრუნდნენ, იქ შეკრებილ ხალხში გაერივნენ და უცოდველი კრავებივით იდგნენ. მართლაც რომ გაბედული ბიჭები არიან, ასეთები ნამდვილად გვჭირდება!

ფრანცმა თავი ჩაქინდრა:

- მართლაც მაგრები ყოფილან.

- მაგრამ ეს ყველაფერი შენ არაფერში გჭირდება.

- მართალია, არ მჭირდება, მაგრამ იმაზე, რაც მერე მოხდება, ფიქრიც არ მინდა.

- შენ ოღონდ სმას თავი დაანებე,

ფრანც! ფრანცს სახე აუკანკალდა:

- რატომ დავანებო, ჰერბერტ, ვერ გამიგია, ჩემგან რა გინდათ? სხვა რა შემიძლია. მე ხომ ინვალიდი

ვარ, ასპროცენტიანი ინვალიდი, - ჰერბერტს თვალებში შეხედა, პირის კუთხეები დაბლა ჩამოეშვა,

- ყველანი რატომ შემომიჩნდით: ერთი სმას მიშლის, მეორე - ვილისთან მეგობრობას, მესამე მეუბნება, ადამიანო, პოლიტიკას შეეშვიო.

- პირადად მე პოლიტიკის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

ფრანცი სკამზე გადაწვა და თავის მეგობარ ჰერბერტს მიაშტერდა, ჰერბერტი კი ფიქრობს: ხედავ, რა სიფათი მიიღო, მართალია, ჩვენი ფრანცი კეთილი ადამიანია, მაგრამ ძალიან საშიში.

ფრანცმა კი მეგობარს მუხლზე ხელი დაადო და წასჩურჩულა:

- დამასახიჩრეს, ჰერბერტ, ადამიანად აღარ ვვარგივარ!

- შემაცოდე თავი, ძმაო, მაგრამ ზღვარს ნუ გადახვალ. აბა, ეგ ერთი ევას და მიცის უთხარი, ვნახოთ, რას გიპასუხებენ.

- ჰო, საწოლში... ეგ საქმე კარგად გამომდის. აი, შენ რაღაცას აკეთებ, რაღაცას წარმოადგენ, ბიჭებიც!

- თუ ასე ძალიან გინდა, საქმეების კეთება ერთი ხელითაც შეიძლება.

- მინდოდა და უარი მითხრეს. მიცისაც არ უნდა, თავისი გაიტანა.

- მიაფურთხე და იმოქმედე!

- ახლა ამბობ, იმოქმედეო! ყველანი ერთსა და იმავეს მეუბნებით: ხან - ყველაფერს შეეშვი, ხან -
იმოქმედეო! მწვრთნით, როგორც ძაღლს: მაგიდაზე ახტი, მაგიდიდან ჩამოხტი! ახტი - ჩამოხტი!

ჰერბერტმა კონიაკი ორ სირჩაში დაასხა, - თან ფიქრობს, მიცი უნდა გავაფრთხილო, რომ ამ ბიჭს რაღაც ემართება და ფრთხილად იყოს, თორემ ერთხელაც იქნება, გონება აერევა და იდას ამბავი გამეორდება. ფრანცმა კონიაკი გადაკრა:

- არა, ჰერბერტ, ხეიბარი ვარ! ხომ ხედავ, სახელო ცარიელია! მხარი კი ღამღამობით ისე მაწუხებს, არ დაიჯერებ და ვერ ვიძინებ!

- ექიმთან წადი.

- მაგდებურგის შემდეგ ექიმის გაგონებაც კი არ მინდა.

- მოდი, მიცის ვეტყვი და იქნებ ერთად სადმე გაემგზავროთ, ბერლინს გაეცლები, გარემოს გამოიცვლი!

- მაგას, ჰერბერტ, სმა მირჩევნია.

ჰერბერტი ფრანცისკენ დაიხარა და ყურში ჩასჩურჩულა:

- ჰოდა, მერე მიცისაც იგივე მოუვა, რაც იდას?

- რაო?

- რაც გაიგონე, რას მომაშტერდი? ეტყობა, ციხეში გატარებულიოთხი წელიწადი შენთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

ფრანცმა მუშტად შეკრული ხელი ჰერბერტს ცხვირთან მიუტანა:

- შენ რა, მართლა ასე ფიქრობ?

- მე არა, ასე შენ ფიქრობ!

ევა კართან დგას და კაცების ლაპარაკს უსმენს. წასვლას აპირებდა, მაგრამ ამ სიტყვების მერე გადაიფიქრა და ოთახში შედის. ღია ყავისფერი, ელეგანტური კოსტიუმი აცვია, ჰერბერტს გვერდში ხელს ჰკრავს:

- შენ რა, გაგიჟდი, რას გადაეკიდე ამ კაცს, რა გინდა, უნდა და დალიოს!

- ადამიანო, შენ რა, ვერაფერს ხედავ? გინდა ისეთივე უბედურება დაატრიალოს, როგორც მაშინ?

- მართლა სულ გაგიჟდი, მოკეტე!

ფრანცი ევას უაზრო თვალებით მიშტერებია.

ნახევარი საათის შემდეგ კი თავის ოთახში ფრანცი მიცის ეკითხება:

- აბა, რას მეტყვი, შეიძლება, რომ დავლიო?

- შეიძლება, მაგრამ არა გონების დაკარგვამდე.

- მოდი, გინდა ერთად დავლიოთ?

- ერთად? სიამოვნებით!

ფრანცი

აღფრთოვანებულია.

- მიცი, ოქრო ხარ, მაშასადამე, გინდა, რომ დავლიოთ, მაგრამ შენ ხომ არ სვამ.

- ერთი-ორჯერ დამილევია. მოდი, თუ გინდა, ახლავე დავლიოთ!

ფრანცი მაშინვე კარგ ხასიათზე დადგა. ნაღველი სადღაც გაქრა. ხედავს, მიცის როგორ უბრწყინავს თვალები, ზუსტად ისე, როგორც ევას, როცა ისინი ბავშვზე ლაპარაკობდნენ.

ფრანცი მიცის უყურებს და ფიქრში ეფერება: ჩემო საყვარელო, ჩემო ძვირფასო გოგონავ, რა პატარა ხარ, ლამის ჯიბეში ჩაგისვა! გოგონა ფრანცს მოეხვია, კაცმაც ქალს პასუხად ერთადერთი ხელი წელზე მოხვია და ამ დროს... ამ დროს...

ფრანცი ფიქრებით სადღაც გადასახლდა. ხელით ისევ გოგონას წელზე ეხვევა, სახე კი გაუქვავდა: ეჩვენება, რომ ხელში სადღვებელა უჭირავს და მიცის მკერდში ურტყამს, - ერთხელ, ორჯერ...

ესმის ნეკნების მტვრევის ხმა. საავადმყოფო, სასაფლაო, ბრესლაუელი ბიჭი.

ფრანცი მიცის ხელისკვრით იშორებს და ის კი ვერ ხვდება, კაცს რა მოუვიდა. ქალი იატაკზე კაცის გვერდით წევს, იგი კი ბურტყუნებს, მიცის არ ესმის, რას. მერე კოცნის, კოცნის დიდხანს, და თანაც ცრემლები თვალებიდან ღვარად სდის, ლამის დაასველა გოგო. გოგოც ატირდა, თავადაც არ იცის, რატომ. მერე კი მიცის ორი ბოთლი არაყი მოაქვს. და კაცი უყურებს მიცის და სულ იმეორებს. არა, არა, არა, არასოდეს, არასოდეს... ორივემ დალია და გაიხარეს, თავს შესანიშნავად გრძნობენ... გამხიარულდნენ, სიცილით კვდებიან და არ იციან, რატომ! მიცი თავის კავალერთან არის წასასვლელი, იგი, რა ხანია უკვე ელოდება, მაგრამ რა ქნას, რომელ წასვლაზეა ლაპარაკი, ფეხზე ძლივს დგას, ჯობს, თავის ფრანცთან დარჩეს. მიცი ახალ გასართობს იგონებს, არაყს ფრანცის პირიდან სვამს, ფრანცს კი უნდა, სასმელი მიცის პირიდან უკანვე ამოწუწნოს, მაგრამ გოგოს არაყი ცხვირიდან მოსდის. ბევრი იცინეს, გულის წასვლამდე. მერე კი ფრანცი გუდასავით დაეცა, ხვრინვა ამოუშვა და ასე ეძინა ლამის შუადღემდე.

ოჰ, მხარი როგორ მტკივა, მაინც რატომ? ხელი ხომ აღარ მაქვს! ოჰ, მხარი, მხარი, ძალიან მტკივა, მიცი, მიცი სად დაიკარგა, რატომ წავიდა, მარტო რატომ დამტოვა!

მკლავი მომაჭრეს, მხარი კი მტკივა. მაგ ძაღლებმა, ვიგინდარებმა, ღმერთმა დასწყევლოს, მკლავი მომაჭრეს, მხარი კი დამიტოვეს. რომ შესძლებოდათ, მხარსაც მომაჭრიდნენ, ისე, ვითომც არაფერი. სჯობდა კი, მოეჭრათ, მაშინ ეგრე აღარ მეტკინებოდა. იმ ღორებს ჩემი მოკვლა უნდოდათ, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, მაგათ ჯინაზე ცოცხალი ვარ. მაგრამ ცხოვრება კი ნამდვილად გამიმწარეს. აი, ვაგდივარ სულ მარტოდმარტო და ჩემი ტკივილის გაზიარება არავის უნდა. იმ ძაღლებს სჯობდა, მოვეკალი, აბა, ახლა რაღა ვარ, ადამიანად აღარ ვვარგივარ. ვაიმე, მხარი, მხარი! ვიგინდარები, დამღუპეს კაცი, ახლა რა უნდა ვქნა? მიცი მაინც სად დაიკარგა? დამაგდეს სრულიად მარტო. ოჰ, როგორ მტკივა, ოჰ, ოჰ...

ბუზი ზემოთ მიცოცავს და მიცოცავს, ყვავილების ქოთანში ზის და ზემოდან ქვიშა აყრია, მაგრამ ბუზი ქვიშას არაფრად აგდებს, ქვიშას აქეთ-იქით ყრის და აი, ჯერ შავი თავი ამოყო, მერე მთლიანად ამოძვრა, წვრილი ფეხებით ქვიშაზე დგას, ფრთებს იბერტყავს, ახლა გაფრინდება...

და მრავალ წყალს ზედა ჯდა ბაბილონი, დიდი, მეძავთა და მიწიერ სიბილწეთა დედა. შეხედე, როგორ აზის ის წითელ მხეცს, რომელსაც გმობის სახელებით სავსეს, შვიდი თავი აქვს და ათი რქა. ამის ნახვა ღირს. მას ყველა შენი ნაბიჯი ახარებს. მხეცი უფსკრულიდან შენს წარსაწყმედლად ამოდის! შეხედე, შეხედე, ამ ქალს, მის მარგალიტებს, პორფირსა და ძოწეულს. დაკრეჭილ კბილებს, მსხვილ ტუჩებს, რომელზეც წმიდათა სისხლი სცხია... მეძავი ბაბილონი. ოქროსფერ- ყვითელი, შხამით სავსე თვალები, დაღარული ყელი... შეხედე, როგორ იღიმება! დიდი მეძავი შენ გიღიმის!

დაფდაფები! ბატალიონებად, საზეიმო აღლუმზე ნაბიჯით იარ!

დაწექი, ირგვლივ ჭურვები სკდება? საქმე ცუდად არის! წინ, ბიჭებო, ხოხვით წინ! ოი, მუცელმა მომიარა, წინ, წინ, სიკვდილი ორჯერ არ მოდის, სიკვდილი ერთხელ მოდის, ბაახ!

მხედრული ნაბიჯით იარ! ერთი, ორი, მარცხენა-მარჯვენა, მარცხენა-მარჯვენა, მარცხენა-მარჯვენა! მიაბიჯებს ქუჩაში ჩვენი ფრანცი, როგორც აღლუმზე, მტკიცე ნაბიჯით, მარცხენა, მარჯვენა, არავითარი სასმელი, მარცხენა, მარჯვენა, დაიღალე? მე შენ გაჩვენებ დაღლას! ლუდხანისკენ? ეგ არც იფიქრო! კარგი, წავიდეთ და მერე ვნახოთ, რა მოხდება! ბრმა ტყვია მოფრინავს - მავანის სიკვდილი მოფრინავს. მარცხენა, მარცხენა! ბატალიონებო, ნაბიჯით იარ! ისმის დაფდაფების ხმა... როგორც იქნა, მთელი მკერდით სუნთქავს.

ბერლინის ქუჩებში მიაბიჯებს. როცა ქუჩებში ჯარისკაცები მიაბიჯებენ, მათ გოგოები ფანჯრებიდან თვალს აყოლებენ! აჰ, რატომ, აჰ, იმიტომ, ჩინგდა, ჩინგდა, ჩინგდარადას გამო. მშვიდად დგანან სახლები, არ ქანაობენ, და ქარი სადაც უნდა, იქ დაეხეტება. აჰ, რატომ, აჰ, იმიტომ, ჩინგდარადას გამო.

* * *

აქოთებულ და ტურტლიან ბუნაგში ბათქაშჩამოყრილ ოთახში, ეი, რატომ, ეი, იმიტომ, ბათქაშჩამოყრილ ოთახში, ეი, რატომ, ეი, მხოლოდ ჩინგდარადას გამო - რაინჰოლდი ზის, პუმსის ბანდის წევრი, როცა ქალაქის ქუჩებში ჯარისკაცები

მიაბიჯებენ და მათ გოგოები ფანჯრებიდან და კარებიდან თვალს აყოლებენ, გაზეთს კითხულობს. მარცხენა, მარჯვენა, მარცხენა, მარჯვენა, მოფრინავს ბრმა ტყვია, მომხვდება მე თუ მოგხვდება შენ, აბა, რა ხდება ამქვეყნად, „ოლიმპიური

თამაშები“, წავიკითხოთ, ეს საინტერესოა, ერთი, ორი და კიდევ „გოგრის თესლი, ჭიების გამომდევნი საუკეთესო საშუალებაა“, - კითხულობს რაინჰოლდი ნელა და ხმამაღლა. ხომ არ დაგავიწყდათ, რომ ენაბლუა! ისე, როცა მარტოა, ენა თითქმის არ ებმის. შენიშვნა გოგრის თესლზე გაზეთიდან ამოჭრა. როცა ქუჩაში ჯარისკაცები მიაბიჯებენ. იყო დრო, რომ მუცელში სოლიტერი ჰყავდა, იქნებ ახლაც იქ არის, შეიძლება იგივე ან ახალი, რომელიც იმ ძველმა გამოჩეკა. გოგრის თესლი აუცილებლად უნდა მივიღო. მაგრამ როგორ, ქერქით თუ უქერქოდ? სახლები მშვიდად დგანან, არ ქანაობენ, ქარი კი სადაც უნდა, იქ დაეხეტება. სკატის მოთამაშეთა კონგრესი ალტენბურგში: სკატს მე არ ვთამაშობ! მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო, კვირაში ოცდაათი პფენიგი, ყველა ხარჯის გათვალისწინებით. ნამდვილად კიდევ ერთი აფერაა! როცა ჯარისკაცები ქუჩაში მიაბიჯებენ, მათ გოგონები ფანჯრებიდან და კარებიდან თვალს აყოლებენ, ეი, რატომ, ეი, იმიტომ, ეი მხოლოდ ჩინგდარადას გამო, ბუმდარადა ბუმ, აკაკუნებენ, მობრძანდით.

გადარბენა! წინ, წინ! რაინჰოლდმა მაშინვე ჯიბეზე ხელი იტაცა, იქ რევოლვერი ეგულება. მოფრინავს ბრმა ტყვია, ჩვენ ორს შორის ერთ-ერთს მოხვდება, მე თუ შენ? ტყვიამ მეგობარი წააქცია, იგი ჩემს ფეხებთან წევს, როგორც ჩემი სხეულის ნაწილი. კარში კი ვინ დგას? ფრანც ბიბერკოპფი, ცალხელა, ომის ინვალიდი. ეს ჯეელი ნასვამია თუ არა. აბა, ერთი გაინძრეს, ტყვიას პირდაპირ შუბლში მივაჭედებ!

- ვინ შემოგიშვა?

- შენმა დიასახლისმა.

წინ, შეტევაზე!

- ეგ რა, გაგიჟდა?

რაინჰოლდი კარს ეცა, გასძახა:

- ფრაუ ტიტჩ, ფრაუ ტიტჩ! რას ჰგავს ეს? ხომ გაგაფრთხილეთ, სახლში არა ვარ-მეთქი, მაშასადამე, არა ვარ!

- მაპატიეთ, ბატონო რაინჰოლდ, ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს.

- ეშმაკსაც წაუღიხართ, თუ არ მითქვამს, მაშასადამე, ჩემთან ვისაც გინდათ, იმას შემოუშვებთ?

- იქნებ ჩემს ქალიშვილს უთხარით, ის კი ისე წავიდა, ჩემი გაფრთხილება დაავიწყდა. რაინჰოლდმა კარი დახურა, ჯიბეში რევოლვერს ხელს უჭერს. ჯარისკაცები.

- აქ რა გინდა, რრრას ეძებ, აქ, რაიმე დაგ-გ-რჩა?

რაინჰოლდს ენა ისევ ებმის. ეს ისევ ძველი ფრანცია თუ არა? მალე გამოჩნდება. ეს კაცი არცთუ ისე დიდი ხნის წინ მანქანის ქვეშ შეაგდეს და ხელი დაკარგა. მაშინ წესიერი ადამიანი იყო, ამას ყველა, თუნდაც ფიცით დაადასტურებს. ახლა კი სუტენიორია. ეს ვისი ბრალია, ახლა გავიგებთ. ბატალიონებო, ნაბიჯით იარ! ფრანცი მწკრივში გაჭიმული, სმენაზე დგას!

- რაინჰოლდ, შენ რა, ჯიბეში რევოლვერი გაქვს?

- დავუშვათ, მაქვს!

- მერე, რად გინდა?

- ისე, მინდა და მაქვს.

- ჯობს, ამოიღო და შეინახო!

რაინჰოლდმა რევოლვერი მაგიდაზე წინ დაიდო.

- ჩემთან რატომ მოხვედი?

აი, აქ არის კაცი, რომელმაც ჭიშკართან რომ ვიდექი, მაშინ დამარტყა, მანქანიდან გადმომაგდო, ნეტავ ასეთი რა დავუშავე? მაშინ ცილი მყავდა. კიდევ მახსოვს, კიბეზე რომ ჩამოვდიოდი. ფრანცს ის დღე ახსენდება, მთვარე ამოვიდა, წყალს ღამით მთვარე სარკის ბრწყინვალებას ანიჭებს, ჰო, მაშინ ზარები, ზარები რეკავდნენ! მის წინ რაინჰოლდია და მას რევოლვერი აქვს.

- დაჯექი, ფრანც, მითხარი, ნასვამი ხარ?

რა თქმა უნდა, ნასვამია! თანაც მაგარი ნასვამი! ერთი ნახეთ, როგორ მომშტერებია, ეგ ხომ გადაბმულად სვამს, თავს ვერ ანებებს. იყოს რა, სამაგიეროდ მე რევოლვერი მაქვს. ჰეი, მხოლოდ ჩინგდარადას გამო, ბუმდარადა ბუმ, ფრანცი ჯდება. დაჯდა და ზის. ნათელ მთვარეზეწყალი

სარკესავით ბრწყინავს. ახლა იგი რაინჰოლდთან ზის. რაინჰოლდი ის ადამიანია, ვისაც იგი გოგოებთან საქმის მოგვარებაში ეხმარებოდა. იმ გოგოებს, რომლებიც მოყირჭდებოდა, თავისი ოთახის კარს ფართოდ უღებდა, მერე ამავე რაინჰოლდმა იგი, ისე, რომ არც გაუფრთხილებია, აიძულა, საწყობის ძარცვის დროს, ზექსზე დამდგარიყო. ჰოდა, აი, სუტენიორობა დავიწყე და არ ვიცი, მიცის რა ელის, აი, ასეთი მდგომარეობაა. ეს ყველაფერი ფილოსოფიაა და სხვა არაფერი. ფაქტი კი ის არის, რომ ახლა რაინჰოლდი, რაინჰოლდი მის წინ ზის.

- რაინჰოლდ, შენი ნახვა მინდოდა.

ჰო, სწორედ ასეა, მისი ნახვა მოუნდა, ადგა და მოვიდა. ახლა კი აქ ვსხედვართ.

- გინდა კუთხეში მიმიმწყვდიო, არა? ძველი ამბები გამახსენო? შანტაჟი მომიწყო? ასეა, ხომ? მშვიდად, ფრანც, არ აჰყვე! წინ, ბიჭებო, მამაცებს ტყვია არ ეკარებათ!

- გინდა დამაშანტაჟო? ფული გამომძალო? მაინც რამდენი გინდა? მაგრამ, მგონი, მისამართი შეგეშალა. ჩვენ ყველაფერი ვიცით, ყველაფრის საქმის კურსში ვართ! ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ სუტენიორი ხარ, ჩვენამდეც მოაღწია!

- ეგრეა. აბა, ერთი ხელით სხვა რა უნდა მექნა? გამოსავალი არ მქონდა.

- მაშინ ვერ ვხვდები, ჩემგან რა გინდა?

- არაფერი, არაფერი, რა უნდა მინდოდეს.

ოღონდაც მოთმინება არ დავკარგო, ნებისყოფამ არ მიღალატოს! დაჯექი და ელოდე! ეს ხომ რაინჰოლდია, იგი ხომ შეტევაზე პირდაპირ არ გადმოდის, ყოველთვის ზურგიდან გეპარება ხოლმე.

მაგრამ ფრანცი უკვე ცახცახებს. იყო სამი მოგვი, ისინი აღმოსავლეთიდან მოვიდნენ და მოიტანეს მათ გუნდრუკი, აკმიეს გუნდრუკი, ბევრი გუნდრუკი აკმიეს! რაინჰოლდი ფიქრობს: თუ ეს ტიპი მთვრალია, მაშინ არა უშავს, მალე წავა და არაფერი მოხდება. მაგრამ იქნება რამე უნდა, მაგრამ რა, ჩემს დაშანტაჟებას თითქოს არ აპირებს. მაშ, რა უნდა? რაინჰოლდმა არაყი მოიტანა, ფიქრობს, იქნებ რომ დალევს, ალაპარაკდესო, ან იქნებ ჰერბერტმა მოგვიგზავნა, ჩვენი გეგმების გასაგებად, რათა მერე ჩაგვიშვას! რაინჰოლდი მაგიდაზე ორ ლურჯ ჭიქას დგამს და ახლაღა ამჩნევს, რომ ფრანცი ცახცახებს.

მთვარე, თეთრი მთვარე ზემოდან ტბას დანათის და სარკესავით აკაშკაშებული წყალი თვალებს ჭრის. თვალთ დაუბნელდა, ეს რა მომდის? ეს ტიპი უკვე მოთავებულია. ერთი ნახე, აღარაფრის თავი არა აქვს. მაგრამ თავს ჯერჯერობით კიდევ იკავებს, სარგადაყლაპულივით გაჭიმული ზის, მაგრამ მოთავებულია. რაინჰოლდი სიხარულმა აიტანა, დამშვიდდა, გაგულკეთილდა კიდევაც. რევოლვერი მაგიდიდან აიღო, ჯიბეში ჩაიდო. არაყი დაისხა, ისევ ფრანცს შეხედა, ეჰე, ხელიც კი უცახცახებს დედაბერივით! რევოლვერის შეეშინდა, ჩემი ეშინია. არა, ფრანცი ნასვამი არ არის, უბრალოდ დაფრთხა, უკან დაიხია, იქნებ სკამიდანაც გადმოვარდეს ან შარვალში ჩაისვაროს. და რაინჰოლდს ფრანცთან თავის მოწონება მოუნდა: ცილიზე ლაპარაკობს: იცი, გოგო ისევ დამიბრუნდა და ჩემთან ორიოდე კვირა დარჩა. ასეთი რამ მემართება ხოლმე, ჩემი ყოფილი ქალები, რამდენიმე თვის შემდეგ მენატრება ხოლმე. მომწონს სპექტაკლების აღდგენა და ახლებურად გათამაშება!

მერე სიგარეტები, პორნოგრაფიული ბარათების დასტა და რამდენიმე ფოტო მოიტანა. ერთ ფოტოზე ცილისთან ერთად იყო გადაღებული. ფრანცს თითქოს ენა ჩაუვარდა, სიტყვას ვეღარ ძრავს, რაინჰოლდის ხელებს უყურებს, რაინჰოლდს ორი მკლავი, ორი ხელის მტევანი აქვს, მას, ფრანცს კი, მხოლოდ - ერთი. ამ კაცმა მანქანის ქვეშ აი, ამ ორი ხელით შეაგდო. აჰ, რატომ, აჰ, ამიტომ, ეს ადამიანი ახლა ჩემგან სიკვდილს არ იმსახურებს? აჰ, მხოლოდ ჩინგდარადას გამო. ის, რომ რაინჰოლდი ჩემი ხელით სიკვდილს იმსახურებს, ასე ჰერბერტი ფიქრობს, მაგრამ არა მე. მაინც რა მინდა?! ადამიანად აღარ ვვარგივარ! მაგრამ რაღაც ხომ უნდა გავაკეთო, არადა, ხომ ვაპირებდი! აჰ, რატომ, აჰ, იმიტომ ჩინგდარადა, ბუმდარადა. ვერ გამიგია, კაცი ვარ თუ გაწუწული ქათამი. ფრანცი მოიკუნტა, აკანკალებული ხელი წინ გასწია, ჭიქა აიღო, გადაკრა. მერე მეორე გადაკრა, მესამე, კიდევ, კიდევ - არაფერი შველის. და რაინჰოლდი ხმადაბლა, ლამის ჩურჩულით ეუბნება:

- ფრანც, ძალიან მინდა შენი ნაჭრილობევის, ტაკვის
ნახვა. ჰე, მხოლოდ ჩინგდარადას გამო,
ბუმბდარადა.

ფრანცმა ქურთუკი გაიხსნა, აი, ასე უბრალოდ, ვითომ არაფერი, ისე გაიხსნა, სახელო აიწია და

ტაკვი აჩვენა. რაინჰოლდმა სახე ისე შეჭმუხნა, თითქოს რაღაც ეტკინა. გააჟრიალა კიდევაც: ბრრრ,

რა საშინელებაა! ფრანცმა ქურთუკი ისევ შეიკრა.

- ადრე უფრო მძიმე სანახავი იყო.

და უყურებს რაინჰოლდი ფრანცს, რომელიც არაფერს ამბობს, არაფერი შეუძლია, ღორივით გასუქებულა და პირსაც ვერ აღებს. ჰოდა, მისი მასხარად აგდება მოუნდა, სულ გათავხედდა, მიუჩოჩდა და აჩურჩულდა:

- ფრანც, სახელო ყოველთვის, ყოველ ჯერზე, ასე ჯიბეში გიდევს თუ მიკერებული გაქვს?

- არა, ყოველ ჩაცმაზე ვიდებ.

- როცა კოსტიუმი გაცვია, ჯიბეს მარცხენა ხელით სწვდები თუ ჯიბეში ჩაცმამდე იდებ?

- ხან ასე, ხან ისე. როცა გაცვია, უფრო
მოუხერხებელია. რაინჰოლდმა ფრანცს სახელო
მოქაჩა:

- იცოდე, მარჯვენა ჯიბეში არაფერი ჩაიდო, თორემ ამოგაცლიან, - მერე დაფიქრდა და ჰკითხა, - ერთი ეგ მითხარი, პალტოს როგორ იცვამ? ერთმანეთზე ორი ცარიელი სახელოც ხომ ძალიან მოუხერხებელი იქნება?

- ეგ არაფერი! ახლა ზაფხულია, ზამთარში კი რამეს მოვიფიქრებთ.

- დამიჯერე, მოუხერხებელი იქნება. იქნებ ხელოვნური ხელი შეიძინო. რადგან ხელოვნური ფეხი არსებობს, არსებობს, ალბათ, ხელოვნური ხელიც.

- არა, არ მინდა. შემაწუხებს.

- აი, მე კი აუცილებლად ვიყიდი, ან იქნებ მაგ ცარიელ სახელოში რაღაც-რაღაცები ჩავტენოთ.

- რატომ? არ მინდა.

- როგორ თუ რატომ? იმიტომ, რომ ცარიელი სახელოთი არ იარო. იცი, მშვენიერი იქნება, ვერავინ შეამჩნევს, რომ ხელი არა გაქვს.

- არ მინდა, ეგ არაფერში მჭირდება.

- კარგი, ნუ ჯიუტობ. ხე არ ივარგებს, ჩვენ სახელოში წინდებს ან პერანგებს ჩავტენით. აი, ნახავ, როგორ მოგეწონება.

და რაინჰოლდმა ჩანაფიქრის ხორცშესხმა დიდი ენთუზიაზმით დაიწყო: ჯერ ფრანცს ჯიბიდან ცარიელი სახელო ამოაცალა, მერე კამოდთან მიიჭრა და უჯრებიდან ყველაფერი, რაც კი ხელში მოხვდა, ამოყარა და ცხვირსახოცების, წინდების სახელოში ჩატენვა დაიწყო. ფრანცი ეწინააღმდეგება:

- არ მინდა, ადამიანო, შიგნიდან მაინც გადმოიყრება ან უფორმო ძეხვივით გამოვა, თავი დამანებე.

- არ გამოდის. ეს მკერავის საქმეა, გააკეთებს როგორც წესი და რიგია. სადაც საჭიროა, იქ დაჭიმავს, სადაც საჭიროა, დაავიწროებს. ჰო, ასე აჯობებს, ვერავინ მიხვდება, ხეიბარი რომ ხარ, ეგონებათ, კაცს უბრალოდ ხელი ჯიბეში უდევს.

სახელოდან წინდები გამოცვივდა:

- ჰო, ეს მკერავმა უნდა გააკეთოს. ხეიბრებს ვერ ვიტან, ჩემი აზრით, ხეიბარი არასრულფასოვანი ადამიანია, მისი საქმე წასულია. ხეიბარს რომ დავინახავ, ვფიქრობ: ასეთ ყოფას სიკვდილი ჯობს- მეთქი!

ფრანცი კი უსმენს, ეთანხმება და კანკალებს, თავს ვერაფრით ერევა. მერე, მოულოდნელად, ყველაფერი გაუჩინარდა, ზუსტად ისე, როგორც მაშინ, ალექსზე რომ გონება დაკარგა. ეს ნერვების ბრალია, ციებცხელებიანივით აჟრჟოლებს, სიგარეტი პირიდან გაუვარდა. აბა, ადიუ, რაინჰოლდ, წავედი! ქუჩაში გავარდა და შინისკენ გაემართა: მარცხენა, მარცხენა.

და, აი, მსუქანი ფრანცი რაინჰოლდისგან შინ დაბრუნდა. ხელი ისევ უკანკალებს და ტანში აჟრჟოლებს. მიცი კი მაგიდასთან თავის კავალერთან ერთად ზის და ფრანცს ელოდება. კავალერს უნდა, გოგონა ორი დღით წაიყვანოს.

ფრანცმა მიცი გვერდზე გაიყვანა:

- გინდა მყოლიხარ და გინდა არა, შენგან ხეირი არ არის.

- ღმერთო ჩემო, ფრანც, რა გემართება, არ წავიდე?

- კარგი, წაეთრიე.

- რადგან ეგრეა, დღეს საღამოსვე დავბრუნდები.

- წაეთრიე, - ლამის იღრიალა.

მაშინ გოგონამ კავალრისკენ გაიხედა, რაღაც ანიშნა, ფრანცს სასწრაფოდ კეფაზე აკოცა და გავიდა. მიცემ ევას ტელეფონის ჯიხურიდან დაურეკა:

- დრო თუ გაქვს, იქნებ ფრანცთან შეიარო.

- რა მოხდა?

- ეგ არ ვიცი. შეივლი ხომ?

ევამ მისვლა ვერ მოახერხა. მაინცდამაინც იმ დღეს ჰერბერტი სულ უკან დასდევდა და რაღაცაზე ეჩხუბებოდა, ამიტომ სახლიდან ვერ გავიდა.

ამ დროს კი ჩვენი ფრანც ბიბერკოპფი, მახრჩობელა გველი, რკინის მკვნეტელი რაინდი, ფანჯარასთან, რაფაზე ცალ ხელზე თავდაყრდნობილი ზის სრულიად მარტო და არ ასვენებს ფიქრი, დღეს ეს რა სისულელე ჩაიდინა. ღმერთმა დასწყევლოს, რაინჰოლდთან რა უნდოდა, იქ რატომ მივიდა? აი, მოგივა თავში ასეთი აბსურდული აზრი და ტვინიც გადაგიტრიალდება, კონტროლის უნარს კარგავ! როცა ქუჩებში ჯარისკაცები მიაბიჯებენ, ახლა რა ვქნა? ყველაფერი, ოღონდ ეს არა! მაგრამ მაშინვე თავში უნებურად მოსული და უარყოფილი აზრის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას იღებს: დიახ, იქ კიდევ ერთხელ აუცილებლად უნდა წავიდეს. ამის ასე დატოვება არ შეიძლება, შემარცხვინა, თავი მომჭრა, სახელო ჩვრებით გამომიტენა! მასხრად ამიგდო! სირცხვილით ამას ვერც ვერავის მოუყვება.

ფრანცმა თავი რაფაზე დადო. მის გლუვ ზედაპირს შუბლი მთელი ძალით მიაჭირა. სირცხვილით იწვის: ეს როგორ დავუშვი, ღმერთო ჩემო, რა იდიოტი ვარ! ვისი, ვის წინაშე ვკანკალებდი, ამ ვიგინდარას წინაშე? სირცხვილის გრძნობამ მოიცვა მთელი მისი არსება. სირცხვილი დიდია, ძლიერი და ფრანცი მას ვერ უმკლავდება. გაბრაზებული კბილებს აღრჭიალებს, საკუთარი სხეულის დანაკუწება მოუნდა. ეს ნამდვილად არ მინდოდა, მშიშარა არასოდეს ვყოფილვარ, მართალია, ერთი ხელი

მაქვს, მაგრამ მშიშარა არც ახლა ვარ!

არა, იმასთან ერთხელ კიდევ უნდა მივიდე! დაიტანჯა ფრანცი და ჩაეძინა. საღამოს პირზე გაეღვიძა, სკამიდან ადგა, მიიხედ-მოიხედა, მაგიდაზე არაყი დგას, მიცემ დატოვა, ეტყობა. არა, არ დავლევ, არ მინდა მრცხვენოდეს. არ მინდა, ადამიანებს თვალს ვარიდებდე. არა, ჩვენი „მეგობარი“ კიდევ ერთხელ უნდა მოვინახულო. რამ და ბუმ, ქვემეხები კაკანებენ, საყვირები ყვირიან. აბა, წინ! სად არის ქურთუკი, ეს როგორ გამიბედა, რომ სახელო ჩვრებით გამომიტენა! პირდაპირ მივალ, დავჯდები და აღარ ავკანკალდები, დედას ვუტირებ!

ბერლინი! ბერლინი! ტრაგედია ზღვის ფსკერზე. წყალქვეშა ნავი ჩაიძირა, ეკიპაჟი დაიღუპა. ყველანი გაიგუდნენ. გლოვობს ქვეყანა. გლოვობენ ახლობლები, მაგრამ მწუხარება და ცრემლები დაღუპულებს ვერ გააცოცხლებს. წინ, ნაბიჯით იარ! კიდევ რა მოხდა? ორი სამხედრო თვითმფრინავი ერთმანეთს დაეჯახა. ჩამოვარდნენ და ორივე მფრინავი დაიღუპა. სულ მალე ისინი აღარავის გაახსენდება! მკვდრები ვერ გაცოცხლდებიან!

- საღამო მშვიდობისა, რაინჰოლდ, ისევ
მოვედი! რაინჰოლდმა კი გაკვირვებისგან
თვალები დაჭყიტა:
- ვინ შემოგიშვა?

- არავინ, კარი ღია იყო და შემოვედი.

- ჰო, არ შეგეძლო დაგერეკა?

- დამერეკა? რატომ, დაწყნარდი, ნასვამი არა ვარ.

პირისპირ დასხდნენ, გააბოლეს. ახლა ფრანცი აღარ კანკალებს, წელში გამართული ზის. რაც უნდა თქვა, ცხოვრება მშვენიერია! დღეს ფრანცს, მას შემდეგ, რაც მანქანამ გადაუარა, უბედნიერესი დღე გაუთენდა. აი, მოვიდა აქ და ზის, ეს კი ყველაზე კარგი რამ არის, რაც კი იმ კატასტროფის შემდეგ გაუკეთებია. იმ კრებებზე სიარულს და შეიძლება მიცისთანაც ყოფნას ეს სჯობს. ზიხარ აქ და იცი, რომ ახლა იგი ვერ დაგამარცხებს.

საღამოს რვა საათამდე ასე ისხდნენ, მერე რაინჰოლდმა ფრანცს სახეში შეხედა და თქვა:

- ფრანც, ორივემ კარგად ვიცით, რომ ძველი ანგარიშებიგვაქვს გასასწორებელი. მოდი, გულწრფელად მითხარი, ჩემგან რა გინდა?

- რა ანგარიშებზე ლაპარაკობ?

- კარგად იცი. ავტომობილთან დაკავშირებით.

- მაგ საქმის გარკვევას რა აზრი აქვს? ხელი მაინც არ გამეზრდება და საერთოდაც, - ფრანცმა მაგიდას მუშტი დაჰკრა, - იქნებ ასე რომ მოხდა, კარგიც კი იყო. ჩემი ცხოვრება ასე ვეღარ გაგრძელდებოდა, რაღაც ამდაგვარი აუცილებლად უნდა მომხდარიყო! აი, ასეა, ძმაო. ასეთი ამ შემთხვევის შემდეგ კი არა, დიდი ხნით ადრე გავხდი!

- რას ამბობ, შენ ხომ ქუჩაში ვაჭრობდი? - ფრთხილად, გამომცდელად ჰკითხა რაინჰოლდმა.

- ჰო, ეგრე იყო, ქუჩაში ვაჭრობა რაღაც ამოჩემებული მქონდა, ახლა კი გამიარა, ქუჩაში თითქოს არც არასოდეს ვმდგარვარ.

- და ხელიც თითქოს არასოდეს გქონია?

- ეგ არაფერი, ცალი ხელითაც იოლად გავალ. თანაც თავი მაბია და ფეხებიც მაქვს.

- ახლა რას აკეთებ? მარტო მუშაობ თუ ჰერბერტთან ერთად?

- არა, აბა, ცალი ხელით რა უნდა გავაკეთო, რისი მაქნისი ვარ?

- იცი, მხოლოდ კუროდ ყოფნაც მოსაწყენია!

რაინჰოლდი ფრანცს შესცქერის და ფიქრობს: გასივდა, კანში ვეღარ ეტევა ეს ღორი. დამაცადე, თავ-ბედს გაწყევლინებ, ჯერ სადა ხარ! ნეკნებსაც დაგიმტვრევ, დედას გიტირებ, ეტყობა, ერთი ხელის დაკარგვა გეცოტავება!

ახლა ქალებზე ალაპარაკდნენ. ფრანცმა სიტყვა მიციზე ჩამოაგდო: მიცი მე დავარქვი, ადრე სონია ერქვა, ფულს კარგად უხდიან და თავადაც შესანიშნავი გოგოა.

რაინჰოლდმა კი გაიფიქრა: „ძალიან კარგი, მაგ გოგოს წაგართმევ და ნახე მერე. სანამ არ გაგანადგურებ, არ მოვისვენებ!“

ჭიაყელები მიწით იკვებებიან და მაშინვე ამოანთხევენ, ისინი შეუსვენებლად ჭამენ და ჭამენ. ამ გაუმაძღარმა ქმნილებებმა დაღლა რა არის, არ იციან. ის-ის არის, მუცელს ამოივსებენ, გაიხედავ და შიათ! ადამიანი ჩირაღდანივით არის: სანამ ჭამს - ანთია, შეწყვეტს ჭამას და ქრება!

ფრანცი კი საკუთარი თავით აღფრთოვანებულია, თითქოს ამქვეყნად ახლად დაიბადა. აბა, რა, რაინჰოლდთან მივიდა, მასთან მშვიდად ზის, თავს კარგად გრძნობს, მას, ფრანც ბიბერკოპფს, კვანტს ვერავინ გამოსდებს და წააქცევს. აბა, ერთი გაბედონ! მერე გარეთ გამოდიან, კიბეზე ჩადიან, წინ რაინჰოლდი მიდის, უკან კი ბედნიერი ფრანცი მიჰყვება. მას ცხოვრება ისევ უღიმის. როცა ქუჩებში ჯარისკაცები მიაბიჯებენ, მარჯვენა, მარცხენა, ცხოვრება მშვენიერია, ირგვლივ ყველა და ყველაფერი მისი მეგობარია! და მას, ბიბერკოპფს, ვერავინ წააქცევს! აბა, ერთი ვინმემ სცადოს! ჰეი, რატომ, ჰეი, იმიტომ, ფანჯრებიდან და კარებიდან გოგონები თვალს აყოლებენ! აჰ, რატომ, აჰ, იმიტომ, ჩინგდა, ჩინგდა, მხოლოდ ჩინგდარადას გამო.

- საცეკვაოდ მივდივარ, - ეუბნება რაინჰოლდს.

რაინჰოლდი ეკითხება:

- შენი მიციც მოდის?

- არა, მიცი თავის კავალერთან ერთად ორი დღით გაემგზავრა.

- რომ დაბრუნდება, თქვენთან ერთად მეც წამოვალ!

- ძალიან კარგი, მიცის გაუხარდება.

- ნუთუ?

- დარწმუნებული იყავი! ნუ გეშინია, მიცი არ იკბინება!

ფრანცი კარგ ხასიათზეა, ბედნიერია. კაცი სულმთლად შეიცვალა. მთელი ღამე ცეკვავს. ჯერ ძველ დანსინგპალასში, მერე ჰერბერტის ლუდხანაში. მის ირგვლივ მყოფნიც მხიარულობენ, ფრანცი კი ყველაზე მეტად. იგი ევასთან ცეკვავს, ფიქრობს კი იმ ორ ადამიანზე, ვინც ამქვეყნად ყველაზე

მეტად უყვარს: ერთი მისი მიცია, რა კარგი იქნებოდა, ახლა ისიც აქ რომ ყოფილიყო, მეორე კი - რაინჰოლდი! დიახ, დიახ, რაინჰოლდი! მაგრამ ამის აღიარებას ჯერ ვერ ბედავს. და ასე, მთელი ღამის განმავლობაში ხან ერთ ქალთან, ხან მეორე ქალთან ცეკვის დროს სულ იმ ორზე ფიქრობს, ვინც ყველაზე მეტად უყვარს და ვინც ახლა აქ არ არიან, და ვისთან ერთადაც თავს ბედნიერად გრძნობს.

მუშტი უკვე აღმართულია

ახლა ყველა, ვინც ეს წიგნი ამ ეპიზოდამდე წაიკითხა, ხვდება, ჩვენს გმირში რა გარდატეხაც მოხდა: ფრანცი ცხოვრების ძველ წესს დაუბრუნდა, თანაც, როგორ! ფრანც ბიბერკოპფი, ეს რკინის მკვნეტელი რაინდი, გველი მგუდავი, არენაზე ისევ გამოჩნდა. განვლილ გზაზე ბევრი უსიამოვნება შეხვდა, მაგრამ ახლა აქ არის, ჩვენ წინაშე დგას.

ისე, ფრანცი მანამდე გამოჩნდა, სანამ მიცის სუტენიორი გახდებოდა. მაშინ ქუდზე დამაგრებული ნიჩბოსანთა კლუბის ნიშნით და ჯიბეში ოქროს პორტსიგარით დააბიჯებდა. მაგრამ ახლა ნამდვილი სახით წარმოგვიდგა: დროს ატარებს, მხიარულობს, ეჭვები არ აწუხებს და არც არაფრის შიში აქვს. ახლა სახურავები ქვემოთ აღარ ცვივა, ხოლო რაც შეეხება ხელს, ეგ არაფერი, ასე ჯობს კიდევაც. თითქოს ტვინიდან ხიწვი ამოუღეს. ჯერჯერობით მოლოდ სუტენიორია, მალე კი გაბანდიტდება, მაგრამ ამაზე არ ნაღვლობს, პირიქით, მოსწონს. ერთი სიტყვით, ფრანცი ძველ ცხოვრებას დაუბრუნდა. მაგრამ მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ფრანცი ახლა, წინათ რომ იყო, ისეთივე მახრჩობელა მგუდავი არ არის. მას შემდეგ ცხოვრებაში ბევრი რამ ნახა; იგი სხვა ადამიანად იქცა. ჯერ იყო და, ლიუდერსმა უმუხთლა, მოატყუა და ფრანცმა ეს ვერ აიტანა, ვერ გაუძლო და აირია კაცი, ლამის გაგიჟდა და ცხოვრებაზე ხელი ჩაიქნია. მერე იყო და, მისი ნებისა და სურვილის გარეშე მძარცველებმა ზექსზე დააყენეს. და როცა ამის გამო უკმაყოფილება გამოთქვა, იგი რაინჰოლდმა იმ გაქანებული მანქანიდან გადმოაგდო, რომელშიც ისხდნენ და პირდაპირ უკან მომავალი მანქანის ბორბლებქვეშ შეაგდო. და მაშინ ფრანცმა გადაწყვიტა: მოხდეს, რაც მოსახდენია, კმარა! მის ადგილზე სხვა ნებისმიერი ადამიანიც ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებდა! მაგრამ მონასტერში არ წასულა და არც

თავი მოუკლავს, არა. მაშინ ფრანცმა მთელ ქვეყანას ომი გამოუცხადა, - სუტენიორი და ბანდიტი ადამიანებისა და ქვეყნის ჯიბრზე გახდა. აქაოდა, ეს გინდოდათ? კი, ბატონო, მიიღეთ! ადრე ფრანცი ადამიანების გასაღიზიანებლად კი არა, თავისი სიამოვნებისთვის ჭამდა, სვამდა, ცეკვავდა. ახლა კი გიჟივით, გაშმაგებული ცეკვავს, თითქოს ვიღაც თუ რაღაც უხილავ ძალას ებრძვის. ამ უხილავმა ძალამ თითქოს ორთაბრძოლაში გამოიწვია. ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს.

ხომ გახსოვთ, ფრანცი ტეგელიდან რომ გამოვიდა, როგორც კი სული მოითქვა, მთელ ქვეყანას შეჰფიცა, პატიოსნად ვიცხოვრებო. აქედან არაფერი გამოვიდა. ფიცი გატეხა. მის შესრულებაში ხელი ადამიანებმა შეუშალეს. ახლა კი იმის გაგება გადაწყვიტა, აქვს თუ არა ამქვეყნად რამე უფლება. იმის გარკვევა უნდა, რა ცოდვებისთვის მოჰკვეთეს ხელი. რა დააშავა, და დააშავა კია? ისე, ვინ იცის, თავში რა მოუვა, მაშინ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ფრანცმა რაინჰოლდს ახალი ხელი მოსთხოვოს!

წიგნი

მეშვიდე და დაეცა თავზე ურო, ურო დაეცა ფრანც
ბიბერკოპფს.

პუსი ული. ამერიკელების მოზღვავება. „ვილმა“ გერმანულად W-თი თუ V-თი იწერება?

ალექსანდერპლაცზე ისევ ჩიჩქნიან და ჩიჩქნიან. კიონიგშტრასესა და ნოიე-ფრიდრიხშტრასეს შესაყართან ფეხსაცმელების მაღაზია „სალამანდრას“ დანგრევას აპირებენ, ამჟამად კი ამ მაღაზიის გვერდით აღმართულ სხვა შენობას ანგრევენ. საქალაქო რკინიგზის ვიადუკის ქვეშ ტრანსპორტი არ მოძრაობს, იქ ახალ ხიდს აგებენ და ახლა ზემოდან მოჩანს აგურით აკურატულად ამოპირკეთებული ორმო, შიგ ბურჯებს ჩაყრიან. ახლა სადგურში მოსახვედრად ადამიანები ზემოთ მომცრო კიბით უნდა ავიდნენ და ჩამოვიდნენ.

ბერლინში აცივდა, თითქმის გადაუღებლად წვიმს, ავტომობილისტები და მოტოციკლისტები ცუდ დღეში არიან: ერთმანეთს ეჯახებიან, ხშირად მოცურდებიან ხოლმე. მერე არის საჩივრები, ითხოვენ მიყენებული ზარალის ანაზღაურებას და ასე

შემდეგ. ასეთ შემთხვევებში ადამიანები

ხშირად იმტვრევენ ხელებს, ფეხებს და ეს უბედურება სულ ამინდის ბრალია. გსმენიათ რამე მფრინავ ბეზე-არნიმის ტრაგიკულ ცხოვრებაზე? პოლიციამ ეს ბატონი პუსი ულის, ყოფილი მეძავის მკვლელობის საქმეში როგორც მთავარი დამნაშავე სწორედ დღეს დაჰკითხა. ღმერთმა აცხონოს პუსი ულის სული! ბეზემ, ედგარმა, რომელიც, როგორც პოლიციელები ამბობენ, ყოველთვის ერთობ ახირებულ ადამიანად ითვლებოდა, ულის ბინაში საშინელი სროლა ატეხა. თურმე ომის დროს ბეზეს თვითმფრინავი **1700** მეტრი სიმაღლიდან ჩამოაგდეს. მფრინავი სასწაულით გადარჩა, მაგრამ მისი ტრაგედია სწორედ ამის შემდეგ დაიწყო. ჯერ იყო და, მთელი ქონება დაკარგა და სხვა გვარით ციხეში აღმოჩნდა. მაგრამ მისი უბედურება ამით არ დამთავრებულა. კატასტროფის შემდეგ ბეზე სამკურნალოდ შინ გაემგზავრა და იქ რომელიღაც სადაზღვევო საზოგადოების დირექტორმა მთელი ფული, რაც კი გააჩნდა, გამოსცინცლა. მერე კი გაირკვა, რომ დირექტორი დირექტორი სულაც არ ყოფილა, აფერისტი გახლდათ. ასე გადაინაცვლა ფულმა მფრინავის ხელიდან უმაღლესი კლასის თაღლითის ხელში. მფრინავს კი ერთი პფენიგიც არ დარჩა. იმ წუთიდან ბეზე გვარად დუკლაირი გახდა. ოჯახისა ძალიან რცხვენოდა, რომ იგი, ზრდასრული მამაკაცი, ბრიყვი ბავშვივით მოატყუეს. ეს ფაქტი დღეს დილით პოლიციაში ზედმიწევნით გამოიკვლიეს და ოქმშიც ჩაწერეს. პროტოკოლში ისიც ჩაიწერა, რომ ბეზემ, იმავე ოკლერმა, ამის შემდეგ მრუდე გზით დაიწყო სიარული. სასამართლოში საქმე ადრეც ჰქონია, ციხეში ორ-ნახევარი წელი გაუტარებია, სასჯელის მოხდის შემდეგ კი თავი პოლონეთის ქვეშევრდომ კრახტოვილად გაუსაღებია და ამიტომ ბერლინში გაუსახლებიათ. მალე ისევ ბერლინში ჩამოდის და აი, სწორედ მაშინ აღმოჩნდა პუსი ულისთან ერთად უბნელეს და უსაზიზღრეს ისტორიაში. თავის დროზე სწორედ ამ პუსი ულმა მიანიჭა გვარი ფონ არნიმი და ეს ნათლობა განსაკუთრებული ცერემონიით აღნიშნეს. ჯობს, ამ ამბავზე ნუ ვილაპარაკებთ. ამის შემდეგ მფრინავი ამ გვარით ოინბაზობდა. **1928** წლის **14** აგვისტოს, სამშაბათს, ფონ არნიმმა ნათლია პუსი ულს მუცელში ერთი კი არა, რამდენიმე ტყვია დაახალა. და თუ რატომ ან რისთვის, მათი ბანდა ჯიუტად დუმს. დიახ, ასეთ ადამიანებს სიმართლეს სიკვდილით დასჯის შიშითაც ვერ ათქმევინებ, ან კი ძაღლებს, თავიანთ მოსისხლე მტრებს, გული რატომ უნდა გადაუშალონ? ცნობილია მხოლოდ, რომ ამ ისტორიაში თავის როლს ვინმე მოკრივე ჰაინიც თამაშობს. ისინი, ვინც ადამიანის ბუნებას კარგად იცნობენ, ამბობენ,

ტრაგედია ეჭვიანობის ნიადაგზე დატრიალდაო, აგანგალა-განგალა. პირადად მე კი დავიფიცებ, რომ ამ საქმეს ეჭვიანობის სუნი არ ასდის. და თუ მაინცდამაინც ლაპარაკი ეჭვიანობაზეა, მაშინ ეჭვიანობა ფულის გამო! ამ საქმეში მთავარი ფული იყო. როგორც კრიმინალური პოლიცია ამბობს, ბეზე განადგურებულია; ნეტარ არიან მორწმუნენი! დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თუკი მართლაც განადგურებულია (რაც ნაკლებად სარწმუნოა), მაშინ მხოლოდ იმიტომ, რომ ახლა კრიმინალისტები მის ყველა „საგმირო საქმეს“ გამოქექავენ. განსაკუთრებით კი საკუთარ თავზე ბრაზობს, რომ ბებრუხანა ულის სული გააფრთხობინა, და ფიქრობს, ნეტავ ის უნამუსო არ ჩამეძაღლებინა, ახლა რითი უნდა ვიცხოვროო. ახლა თქვენ დაწვრილებით გაეცანით **1700** მეტრი სიმაღლიდან მტრის მიერ ჩამოგდებული მფრინავ ბეზე-არნიმის ტრაგიკული ცხოვრების ამბავს. კაცის, ვისაც ვინმე თაღლითმა მთელი ფული გამოსძალა და ვინც მოგონილი გვარით ციხეში ორ-ნახევარი წელიწადი იჯდა.

ბერლინში ამერიკელების მოზღვავება იგრძნობა. გერმანიის დედაქალაქში სამსახურებრივ თუ პირად საქმეზე ჩამოსულ ათასობით ამერიკელს შორის ბევრი ცნობილი მოღვაწეა. მაგალითად, ოტელ „ესპლანადაში“ გაჩერდა საერთაშორისო საპარლამენტო კავშირთან არსებული ამერიკის დელეგაციის პასუხისმგებელი მდივანი, დოქტორ კოლი ვაშინგტონიდან, ერთი კვირის შემდეგ კიდევ რამდენიმე ამერიკელი სენატორი ჩამოვა. უახლოეს დღეებში კი ბერლინში ნიუ-იორკელ ბრანდმაიორ ჯონ კეილზს ელოდებიან. იგი, ისევე როგორც შრომის ყოფილი მინისტრი დევისი, სასტუმრო „ადლონში“ დაბინავდება.

ლონდონიდან მორწმუნე ლიბერალ ებრაელთა საერთაშორისო გაერთიანების ყრილობაზე, რომელიც ბერლინში **18-21** აგვისტოს გაიმართება, გაერთიანების თავმჯდომარე კლოდ მონტეფიორე ჩამოვიდა. თავმჯდომარე და მისი მდივანი ლედი ლილი მონტეგიუ ოტელ
„ესპლანადაში“ გაჩერდნენ.

* * *

მეტისმეტად ცუდი ამინდია. გარეთ ყოფნას სახურავის ქვეშ შესვლა ჯობს. აი, თუნდაც ცენტრალურ ბაზარში, მაგრამ იქ საშინელი ხმაურია, თანაც შეიძლება ურიკა დაგაჯახონ და

„ფრთხილადო“ არც იყვირებენ. იქნებ თავი უკეთესად ვიგრძნოთ ციმერშტრასეზე მდებარე შრომითი კონფლიქტების სასამართლოში, იქვე ვისაუზმებთ. მათ, ვისაც უბირ არსებებთან აქვთ ურთიერთობა, - ბოლოს და ბოლოს, ღმერთია მოწმე, არც ფრანც ბიბერკოპფი არის ვინმე დიდი ბობოლა, - გული ქალაქის დასავლეთ ნაწილისკენ მიუწევს, სადაც გაცილებით დახვეწილი პუბლიკაა, და აკვირდება მათ ცხოვრებას.

ოთახი **№60**, აქ სასამართლოს ბუფეტია. ოთახი პატარაა, ბარით, ყავის მოსადუღებელი მანქანა

„ესპრესოთი“. კედელზე მენიუ კიდია: „სადილი: ბრინჯის წვნიანი, ცხვრის ხორცის რაგუ - 1 მარკა“, ოჰ, რამდენი „რ“ არის. მაგიდასთან ტანსრული, რქისსათვალიანი კაცი ზის და სადილს თქვლეფს. თუ შევხედავთ, დავრწმუნდებით, რომ მის წინ მდგარ თეფშზე, რომელსაც ორთქლი ასდის, მართლაც არის ცხვრის ხორცის რაგუ, სოუსითა და კარტოფილით და იგი ამ ყველაფრის დაუყოვნებლივ და სასწრაფოდ ჩაყლაპვას აპირებს. შფოთიანი მზერა თეფშზე აქვს მირჭობილი, თუმცა ამ კაცისთვის ძეხორციელი არაფრის წართმევას არ აპირებს, ის კი არა, მის სიახლოვეს არავინ არის, - მაგიდასთან ეულად ზის, მაგრამ მაინც ღელავს. აი, ჭამა დაიწყო: დანა-ჩანგალი აიღო და ჭრის, სრესს, პირში ერთმანეთის მიყოლებით ნაჭერს ნაჭერზე იყრის, ერთი-ორი, ერთი- ორი, ჩანგალს ხმარობს, აქნევს ზემოთ-ქვემოთ, ზემოთ-ქვემოთ, მერე ჭრის, კარტოფილს ჭყლეტს, პირს ივსებს, ქსუტუნებს, აწკლაპუნებს, ღეჭავს, ყლაპავს და ამ დროს თეფშს თვალს არ აშორებს; თვალები ჯაჭვით დაბმული ორი ნაგაზივით თეფშს დარაჯობენ და მოანგარიშესავით ანგარიშობენ, კიდევ რამდენი დარჩა. დარჩა კი ძალიან ცოტა. კიდევ ერთხელ ჩანგალი პირში, კიდევ ერთხელ ჩანგალი პირიდან გარეთ და მორჩა კერძი. ახალგაზრდა კაცი, დონდლო და გათქვირებული დგება; კერძი უკანასკნელ ლუკმამდე შეჭამა, თეფში მოასუფთავა და ახლა ფულის გადახდას აპირებს. საფულეს ამოიღებს და ქონიანი ხმით კითხულობს: ფროილაინ, რამდენი? გადაიხადა, მიდის, დიდ ღიპს მიაქანავებს, ხვნეშის, შარვალზე უკან საჭირებელი შეეხსნა, მუცელმა თავისუფლად ხომ უნდა იმოძრაოს. ახლა ამ კაცს მუცელში სულ ცოტა, კილო- ნახევარი კვების პროდუქტები აქვს. სამუშაო მისცა თავის კუჭს, ხომ უნდა გადაამუშაოს ის, რაც პატრონმა მასში ჩაყარა. ნაწლავები ირხევიან, იკლაკნებიან, იკუმშებიან ჭიაყელებივით. ჯირკვლები კი აკეთებენ იმას, რაც ევალებათ, - წვენს გამოყოფენ და შთანთქმულ საკვებს ასხურებენ, როგორც ბრანდსპოიტიდან,[31] ზემოდან კიდევ ნერწყვი ესხმება. ეს გათქვირებული ტიპი რასაც კი ყლაპავს, ყველაფერი ნაწლავებში ხვდება, თხიერ საკვებს თირკმლები იერიშით იღებენ, ისე, როგორც უნივერმაღს მყიდველები ფასდაკლების დღეებში და, აი, მაპატიეთ, წვეთები შარდის ბუშტში ნება-ნება ჟონავენ. კაპ, კაპ, კაპ! ნუ გარბიხარ, ძმაო, ამავე დერეფნით უკანვე მალე დაბრუნდები და იმ კარში შეხვალ, რომელზეც წარწერაა: „მამაკაცების ტუალეტი“. ასეთია ამ სამყაროს წესი და რიგი.

კარს მიღმა სასამართლოს სხდომა მიმდინარეობს. შინამოსამსახურე ვილმა, თქვენი სახელი როგორ იწერება, მგონი „w“-თი. აქ „v“ გიწერიათ. მოდი, შევასწოროთ. ეგ გოგო გათავხედდა, უხეშობდა, ურცხვი ქალივით იქცეოდა, ვუთხარი, შენი ნივთები აკრიფე და აქედან გაეთრიე- მეთქი. მოწმეებიც მყავს. არა, ბატონო მოსამართლევ, მსგავს რაღაცებს არ ჩავდიოდი, მე წესიერი, პატიოსანი გოგო ვარ. მზად ვარ, ექვსი რიცხვის ჩათვლით სამი დღის ფული გადავუხადო, 10 მარკა. იცით, ცოლი ავად მყავს, კლინიკაში წევს. ფროილაინ, თქვენ რამდენს ითხოვთ? ჰო, სარჩელი 22 მარკასა და 75 პფენიგზეა წარმოდგენილი. დიახ, მაგრამ მინდა ვთქვა, - იცით, იმის მოთმენა, როგორც ეგ კაცი მექცეოდა, შეუძლებელი იყო. მთელი დღეები „უნამუსო“, „აუტანელო გოგო“ მესმოდა; გთხოვთ, ცოლი გამოიძახოთ, როცა გამოჯანმრთელდება, და დაჰკითხოთ, უხეშობა პირველად მაგან, ამ უნამუსო გოგომ დაიწყო. მხარეები შემდეგ შეთანხმებამდე მივიდნენ.

მძღოლი პაპკე და კინოგაქირავების ფირმის მფლობელი ვილჰელმ ტოცკე. ეს რა საქმეა? ეგ საქმე ეს წუთია მაგიდაზე დაგვიდეს. კარგი, კარგი, დაწერეთ: პროცესზე კინოგაქირავების ფირმის მფლობელი ტოცკე პირადად გამოცხადდა. არა, არა, მე აქ მხოლოდ მისი მინდობილობით ვიმყოფები, ანუ ტოცკეს სრულუფლებიანი წარმომადგენელი ვარ. ძალიან კარგი, თქვენ კი ბატონ ტოცკესთან მძღოლად მუშაობდით? არა? სულ ცოტა ხნით... მერე კი სხვა მანქანას დაეჯახეთ და გასაღების მიტანა მოგთხოვეს. ამის შესახებ რას მეტყვით? 28 რიცხვში, შაბათს, ვიქტორიაშტრასეზე მდებარე ადმირალის აბანოდან მძღოლს დიასახლისის წამოსაყვანად მისვლა უბრძანეს. მოწმეები დამიდასტურებენ, რომ ეგ ვაჟბატონი საშინლად მთვრალი იყო. ეგ ხომ ლოთია, ეს ყველამ იცის. ასე თუ ისე, ცუდ ლუდს მაინც არა ვსვამ. დიახ, მანქანა ჩვენი იყო, გერმანული, მისი შეკეთება 387 მარკა და 20 პფენიგი დაჯდა. შეჯახება კი როგორ მოხდა? როგორ და, რომ დავამუხრუჭე, მანქანა მოულოდნელად აბუქსავდა. იცით, ამ მანქანას მუხრუჭები ოთხივე ბორბალზე არა აქვს და წინა ბორბლებით მაგის საბარგულს დავეჯახე. იმ დღეს რამდენი დალიეთ? საუზმეზე რაღაც მაინც ხომ დალიეთ? არა, შეფთან ვისაუზმე, თანამშრომლებს იქ გვაჭმევენ. ჩვენი შეფი კეთილი ადამიანია, პერსონალზე ზრუნავს. ჩვენ ამ ადამიანისგან ზარალის ანაზღაურებას არ ვითხოვთ. გვინდა, მხოლოდ მთვრალ მდგომარეობაში მოხდენილი ავარიის გამო სამსახურიდან გაათავისუფლოთ. მოდით თქვენი

ნივთების წასაღებად, ისინი ვიქტორიაშტრასეზე ყრია. და მაშინ ტელეფონზე შეფმა თქვა: ნამდვილი მაიმუნია, მანქანა დაამსხვრია. ეს თქვენ საიდან გაიგეთ? გავიგონე, თქვენი აპარატი ისე ხმამაღლა ლაპარაკობს, რომ ყველაფერი ისმის. თქვენი აზრით, ასე უნდა გვიწოდონ, რადგან გაუნათლებლები ვართ? ისიც თქვა, რომ მე სათადარიგო ბორბლები მოვიპარე, ძალიან გთხოვთ, მოწმეები დაჰკითხოთ. არ დავკითხავ, ორივე მხარე დამნაშავე ხართ, თქვენმა შეფმა ვირი გიწოდათ თუ მაიმუნი, მნიშვნელობა არა აქვს, შეურაცხყოფისთვის 35 მარკა კომპენსაციაზე თანახმა ხართ? ახლა

თორმეტს თხუთმეტი წუთი აკლია, დრო კიდევ გაქვთ, დაურეკეთ და უთხარით, რომ პირველ საათამდე აუცილებლად მოვიდეს.

* * *

ქვემოთ ციმერშტრასეზე, სადარბაზოს კართან, გოგონა დგას. ის აქ ეს-ეს არის მოვიდა, ქოლგა ასწია და საფოსტო ყუთში წერილი ჩააგდო. წერილში წერია: „საყვარელო ფერდინანდ, დიდი მადლობა იმ ორი წერილისთვის, შენ რომ გამომიგზავნე, მაგრამ მართალი გითხრა, იმედი გამიცრუე. ეტყობა, შენში შევცდი, არ მეგონა, რომ საქმე ასე შემოტრიალდებოდა. ორივეს კარგად გვესმის, დაქორწინებისთვის ანუ კუბოს კარამდე რომ ერთად ვიყოთ, ძალიან ახალგაზრდები ვართ. ვფიქრობ, ამაში მაინც დამეთანხმები. ალბათ, გეგონა, სხვა გოგოებს ვბაძავდი, არა? ძვირფასო, შეგეშალა, სამწუხაროდ, სხვანაირი ვარ. ან იქნებ მდიდარი გგონივარ? ამაშიც შეცდი. მე ერთი უბრალო გოგო ვარ, მუშათა ოჯახიდან. ახლა ყველაფერი იცი და ისე მოიქეცი, როგორც გულმა და გონებამ გიკარნახოს: ადრე რომ მცოდნოდა, ჩვენი ურთიერთობა როგორც წარიმართებოდა, შენთან მიწერ-მოწერას ნაღდად არ გავაჩაღებდი. ახლა ჩემი აზრი იცი, გაითვალისწინე და გადაწყვეტილების მიღება შენთვის მომინდვია. კარგად. ანა“.

* * *

ამავე სახლის ფლიგელში, სამზარეულოში, სხვა გოგონა ზის: დედა მაღაზიაში წავიდა, გოგონა კი დღიურში საიდუმლოდ წერს: ის ოცდაექვსი წლის არის და უმუშევარია. ათი ივლისით დათარიღებულ ბოლო ჩანაწერში წერია: „გუშინდელი დღიდან თავს შედარებით უკეთესად ვგრძნობ: მაგრამ კარგმა დღეებმა ჩემს ცხოვრებაში ისევ იკლო. გვერდით არავინ მყავს, რომ დარდი ჩემი გავუზიარო, გული გადავუშალო. ამიტომაც გადავწყვიტე, ყველა ჩემი გულისტკივილი ფურცელს გავუზიარო. როცა მენსტრუაცია მეწყება, ყველაფერი ხელიდან მივარდება და ყველა წვრილმანი მაღიზიანებს. ირგვლივ, რასაც კი ვხედავ, საგანსა თუ სულიერს, მნიშვნელობა არა აქვს, ყველა და ყველაფერი ჩემში ახალ, მძიმე ფიქრებს იწვევს, მათგან თავის დაღწევას ვერ ვახერხებ, ვიწყებ ნერვიულობას და რაიმეს გაკეთებას თავს გაჭირვებით ვაიძულებ. მეუფლება დიდი სულიერი მღელვარება, რომელიც ხან იქით მერეკება, ხანაც აქეთ მომერეკება, მინდა ამა თუ იმ საქმის გაკეთება, მაგრამ არაფერი გამომდის. მაგალითად, დილით,

როცა ვიღვიძებ, ადგომა არ მინდა, მერე თავს ძალას ვატან და როგორღაც ვდგები, ვცდილობ, სიმხნევე მოვიკრიბო, მაგრამ ამაოდ, უკვე დაღლილი ვარ, და ამიტომ დიდხანს, ზლაზვნით ვიცვამ და ვიდრე ბოლომდე ჩავიცვამდე, მოძალებული ფიქრებისგან თავბრუ მესხმის. ასე მგონია, რასაც ვაკეთებ, ცუდად ვაკეთებ და ის უბედურებით დამთავრდება. ხდება ხოლმე, ღუმელში ნახშირის ნატეხს ჩავაგდებ და ის აალდება, მე კი შიში მიპყრობს, საკუთარ სხეულს ვათვალიერებ, სადმე ცეცხლი ხომ არ წამეკიდა, ან რამე ხომ არ გავაფუჭე, და არ მასვენებს ფიქრი, ვაითუ, ვერ ვხედავ და ჩემდა უნებურად, სახლს ხანძარი გავუჩინე. და ასე ვიტანჯები მთელი დღე.

რასაც უნდა ვაკეთებდე, მგონია, რომ ვერ გავაკეთებ, რადგანაც უძლური ვარ, ღონე არ მეყოფა. და მერე, როცა გასაკეთებელს იძულებით მაინც ვაკეთებ, ამას ძალიან დიდხანს ვუნდები, მიუხედავად იმისა, რომ, რაც შეიძლება სწრაფად გაკეთებას ვცდილობ. ასე გადის დღე და ვერაფრის გაკეთებას ვერ ვასწრებ, რადგანაც საკუთარი ფიქრებით ვარ დაკავებული. ფიქრები კი პესიმისტურია. რატომღაც თავში ჩატენილი მაქვს, რომ ხელმოცარული ვარ, რაც უნდა ვეცადო, არაფერი გამომივა და ტირილს ვიწყებ. ასე გადის მენსტრუაციის დღეები.

მენსტრუაცია **12** წლისას დამეწყო. მშობლები ფიქრობენ, რომ მე ვთვალთმაქცობ. ოცდაოთხი წლისამ თავის მოკვლა ვცადე, მაგრამ გადამარჩინეს. იმ დროს სექსუალური ცხოვრება ჯერ კიდევ არ მქონდა და ამაზე დიდ იმედს ვამყარებდი. მაგრამ, აღმოჩნდა, რომ სულ ტყუილად. სექსში ზომიერების მომხრე ვარ და ზღვარს არასოდეს გადავდივარ, მაგრამ ამ ბოლო დროს ფიზიკურად ისე ვარ დასუსტებული, რომ მამაკაცის სახელის გაგონებაც არ მინდა.

14 აგვისტო. უკვე ერთი კვირაა, თავს ისევ ძალიან ცუდად ვგრძნობ. არ ვიცი, ასე თუ გაგრძელდება, უახლოეს მომავალში რა მელის. ასე მგონია, ამქვეყნად რომ არავინ მყავდეს, ერთ ღამეს გაზის აირთალფაქს დაუფიქრებლად გავხსნიდი. მაგრამ დედაჩემისთვის ამის გაკეთება არ შემიძლია. ვნატრობ, განუკურნებელი სენი შემეყაროს და იმ სენმა მომკლას. აი, ჩემი მდგომარეობა და განცდები სრულად აღვწერე და მოვიშორე ლოდი, რომელიც გულზე მძიმედ მაწვებოდა“.

ორთაბრძოლა იწყება! წვიმიანი ამინდია

და მაინც რატომ (ხელზე გეამბორებით, მადამ, გეამბორებით), რატომ, უნდა დავფიქრდე, კარგად დავფიქრდე. ჰერბერტი ოთახში ქუჩის ფეხსაცმელებით დადის, დადის და ფიქრობს, ფანჯრის

მიღმა კი წვიმს, წვიმს კოკისპირულად, თანაც გადაუღებლად. ქუჩაში ცხვირსაც ვერ გაყოფ. არადა, თითქოს ჯიბრზე სიგარები გაუთავდა, აქ ახლომახლო კი არსად იყიდება. რატომ წვიმს აგვისტოში ასე გადაუღებლად, და ეს წარღვნა თან აგვისტოსაც წაიყოლიებს, რატომ მოუხშირა ფრანცმა რაინჰოლდთან სიარულს, პირზე სულ რაინჰოლდი აკერია (ხელზე გეამბორებით, მადამ, გეამბორებით; იმ საღამოს ზიგრიდ ონეგინი მღეროდა, პუბლიკის საყვარელი მომღერალი... ეს მისი ბოლო გამოსვლა იყო, თავი საფრთხეში ჩაიგდო, ნაღდ სიკვდილს გადაურჩა). ალბათ, იცის ფრანცმა, რატომ და რისთვის, ჰო, იცის, გარეთ კი წვიმს, წვიმს, კოკისპირულად წვიმს. მგონი, შეეძლო, ერთხელ ჩვენთანაც შემოევლო!

- ადამიანო, ამაზე ფიქრს შეეშვი, დაკმაყოფილდი იმით, რომ იმ ოხერ პოლიტიკას თავი დაანება. რა იცი, იქნებ ისინი მართლაც მეგობრები არიან!

- აბა, რას ამბობ, ევა! რომელ მეგობრობაზეა ლაპარაკი. წერტილი. ფროილაინ, აღარ შემეკამათო. შენზე უკეთესად ამაში მაინც ვერკვევი. უბრალოდ, ფრანცს მაგ ვაჟბატონისგან რაღაცა უნდა, მაგრამ რა (მაგრამ რის საფუძველზე, გარიგება ცენტრალურმა მმართველობამ დაამტკიცა და შესაბამისი ფასიც დაადგინა)? მაინც რა უნდა ფრანცს რაინჰოლდისგან? სულ მაგასთან რატომ დადის და ამაზე გაუთავებლად ლაპარაკობს? ეტყობა, მაგ ბანდიდან ვიღაცის მოკვლა უნდა, გაიგე, ევა? მათ ნდობას მოიპოვებს, მერე კი ხელში თოფს აიღებს და ბახ, ბახ, ისე, რომ გონზე მოსვლასაც ვერავინ მოასწრებს.

- ასე ფიქრობ?

- აბა, სხვა რა უნდა ვიფიქრო?

ყველაფერი გასაგებია. ხელზე გეამბორებით, მადამ. ისევ წვიმს, წვიმს კოკისპირულად და გადაღებასაც არ აპირებს.

- ჰერბერტ, მართლა ასე ფიქრობ? ისე, რომ ვთქვათ, ფრანცისა მეც ძალიან მიკვირს, კაცს ხელი ისე დააკარგვინეს, ვითომც არაფერი და მან კი იმ ავაზაკებთან ურთიერთობა აღადგინა.

- ჰო, სწორედ ეგ არის
საკვირველი! ხელზე
გეამბორებით, მადამ!

- ჰერბერტ, შენი აზრი მაინტერესებს, იქნებ რასაც ვფიქრობთ, იმ ადამიანს ვუთხრათ? თორემ
ისეთ სახეს ხომ არ მივიღებთ, რომ ბრმები ვართ და ვერაფერს ვხედავთ?

- ჩვენ ეგ არაფრად გვაგდებს, ალბათ, ფიქრობს, ამ გამოთაყვანებულებთან საბოდიშო რა მაქვსო.

- ჰო, ეგრეა, ჰერბერტ. იქნებ ჯერ არაფერი ვუთხრათ, გავჩუმდეთ, ეს ყველაზე სწორი იქნება. კი, კი, ასე აჯობებს, ხომ იცი, რა უცნაური ადამიანია.

გაყიდვის აქტს ხელს აწერს ცენტრალური მმართველობა, ისე, რომ შეთავაზებული ფასი... მაგრამ რატომ, მაინც რატომ, ეშმაკმა დალახვროს. უნდა ვიფიქრო, კარგად მოვიფიქრო. გარეთ კი ისევ წვიმს.

- კარგი, ევა, ნურაფერს ვეტყვით, მაგრამ ფხიზლად უნდა ვიყოთ. ასი ყური და ასი თვალი უნდა გამოვისხათ, რადგან არავინ იცის, რა მოხდება, თუ პუმსი და მისი ბანდა რამეს იყნოსავენ.

- გეთანხმები, ჰერბერტ, მაგაზე მეც მიფიქრია. ვფიქრობდი, ღმერთო ჩემო, ეს ცალხელა ბიჭი სად მიძვრება-მეთქი?

- სწორად იქცევა! მხოლოდ ფხიზლად უნდა ვიყოთ, რომ არაფერი გამოგვეპაროს, ყურები მიციმაც უნდა გამოიბერტყოს.

- ვეტყვი, მაგრამ მიცის რა შეუძლია?

- რისი და, თვალი არ მოაშოროს.

- მოხუცი მიცის გასაქანს არ აძლევს, უნდა, გოგო სულ მასთან იყოს.

- მაშინ მოხუცი მიატოვოს.

- მაგრამ ის ხომ მიცის ცოლად შერთვას აპირებს!

- კარგი რა, ნუ მაცინებ! ცოლად შერთვა უნდა? მერე ფრანცი?

- ჰო, ეს სისულელეა, მოხუცი ყბედობს. ან რატომ არ უნდა იყბედოს?

- ჯობს, მიციმ ფრანცს თვალი არ მოაშოროს. დაიხსომე, ფრანცმა ამ ბანდიდან ერთ-ერთი მიზანში

თუ არ ამოიღოს და ერთ დღესაც ვიღაცა სულს გააფრთხობს!

- ჰერბერტ, ღვთის გულისათვის, მორჩი.

- ევა, მე ხომ იმას არ ვამბობ, რომ სულს ფრანცი გააფრთხობს. მაგრამ მიცი აუცილებლად ყურადღებით უნდა იყოს.

- ფრანცზე მე ვიზრუნებ. თვალს არ მოვაშორებ. ღმერთო ჩემო, ეს ყველაფერი პოლიტიკაზე გაცილებით დიდი საშინელებაა!

- ევა, შენ არ გესმის. ამას, საერთოდ, ვერც ერთი ქალი ვერ გაიგებს.

აი, ნახავ, ფრანცმა მაგათ შავი დღე თუ არ აყაროს! ჩვენი ძმაკაცი დროს უქმად არ დაკარგავს. ხელზე გეამბორებით, მადამ... იქ როგორ წერია: მან თავი გადაირჩინა, არა, ასე არა, თავი საფრთხეში ჩაიგდო და ამით გარდაუვალ სიკვდილს გადაურჩა. მაინც რა აგვისტოა წელს, სულ წვიმს და წვიმს.

* * *

- მაგას ჩვენთან რა უნდა? მგონი, სულ გაგიჟდა, ჩვენთან ერთად საქმეზე უნდა წამოსვლა! ვუთხარი კიდევაც, ცალხელას ვერ წაგიყვანთ-მეთქი.

- ეგ კი რას ამბობს? - ეკითხება პუმსი.

- ეგ? რა უნდა თქვას, დგას და იკრიჭება, ეტყობა, იმ ამბის შემდეგ მაგრად გააფრინა. თავიდან მეგონა, რომ მომეყურა. რა-მეთქი, - ისევ შევეკითხე, ვერ ხედავ, რომ ცალხელა ხარ? ეგ კი ისევ იცინის, მერე რაო, ამბობს, ხელი ერთი მაქვს, მაგრამ ძლიერი. ღონიერი, იცი, სიმძიმეებს ვწევ, ცოცვაც შემიძლია და გაძრომ-გამოძრომაც, თუ საჭიროიქნებაო.

- შენ რას ფიქრობ, მართალს ამბობს?

- აბა, რა გითხრა, მართალი თუ გინდა, ეგ ტიპი არ მომწონს. ჩემი აზრით, პუმს, ჩვენს საქმეში ეგეთები არ გვჭირდებიან. და მართალი თუ გინდა, მაგის ღორის სიფათის დანახვაზე გული მერევა!

- შენ როგორც გინდა, რაინჰოლდ, მე არ გაძალებ. ჩემი წასვლის დროა, კიბე უნდა ვიშოვო.

- ჰო, კარგი შეარჩიე, ფოლადის, თუ ასეთი იშოვება. დასაკეცი ან ადვილად გასაწევ-

გამოსაწევი. იცოდე, ბერლინში არ იყიდო, სადმე სხვაგან.

- ეგ ვიცი.

- ბალონიც გვჭირდება, არ დაგავიწყდეს. ჰამბურგში ან ლაიფციგში შეუკვეთე.

- დამშვიდდი.

- აქ როგორ ჩამოვიტანთ?

- ეგ უკვე ჩემი საქმეა.

- მაშასადამე, ფრანცი არ მიგვყავს.

- რაინჰოლდ, ფრანცი ჩვენთვის ზედმეტი ტვირთი იქნება, საზრუნავი უმაგისოდაც ბევრი გვაქვს, ჯობს, შენ დაელაპარაკო.

- არა, მოიცადე, შენ რა, მაგის ფიზიონომია მოგწონს? წარმოიდგინე: მანქანიდან გადავაგდე და ეგ კი ისე, თითქოს არაფერი მომხდარაო, სახლში გამომეცხადა! თვალებს არ დავუჯერე! იდგა ჩემ წინ და ვერხვის ფოთოლივით კანკალებდა. ნამდვილი კრეტინია, რა! ვერ გამიგია, ჩემთან რატომ მოდის. იცი, მეორეჯერაც მოეთრია, იდგა, იკრიჭებოდა და თუთიყუშივით სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა: საქმეზე წამიყვანეთ და საქმეზე წამიყვანეთო.

- ერთი სიტყვით, მაგას შენ მოელაპარაკე. ჩემი წასვლის დროა.

- ჩვენი ჩაშვება უნდა!

- შეიძლება ეგრეც იყოს! შენ თუ ასე გგონია, მაშინ მისგან თავი შორს დაიჭირე! აბა, ჯერჯერობით!

- გაგვყიდის, ნამდვილად გაგვყიდის! ან რომელიმე ჩვენგანს სადმე ბნელ კუთხეში გაასაღებს.

- კარგი, მორჩი რაინჰოლდ, წავედი. ხომ არ დაგავიწყდა, კიბე რომ გვჭირდება.

ეგ ბიბერკოპფი რომ ნამდვილი რეგვენია, ეს გასაგებია, - ფიქრობს რაინჰოლდი, - მაგრამ ის ვერ გავიგე, ჩემგან რა უნდა. თავი წმინდანად მოაქვს და თავში მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებს, როგორმე ანგარიში გამისწოროს. მაგრამ იცოდე, ძმაო, კერკეტ კაკალს შეხვდი. მე შენ გაჩვენებ სეირს! უნდა დავლიო, არაყი, არაყი მინდა! სული მინდა გავითბო. ეჰ, რა კარგია. დეიდა პაულას მოუნდა წაულა. ერთმა მეგობარმა უთხრა, ქურქი მოგიხდებაო. და თუ ჰგონია, ვალდებული ვარ, მასზე ვიზრუნო, შემცდარა. ჩვენ ხომ სადაზღვევო კომპანია არა ვართ. და თუ ინვალიდია და თანაც ცალხელა, მაშინ შესაფერისი სამუშაო მოძებნოს, - კონვერტებზე მარკები დააწებოს ან რამე სხვა აკეთოს. რაინჰოლდი ყვავილებთან მიჩოჩდა, აი, ქოთნის ყვავილები შევიძინე, მოსამსახურე გოგოს ყვავილების მორწყვაში ზედმეტ ორ მარკას ვუხდი, ის სულელი, საზიზღარი ქალი კი არ რწყავს. აბა, ეს რას ჰგავს. მიწა გამომშრალია, ეგ დედაკაცი სულ იმას ფიქრობს, რაც შეიძლება მეტი ფული დამცინცლოს! დამაცადე, შენთვისაც მოვიცლი. აბა, კიდევ ერთიც შევსვათ. ცხოვრება მხიარული მოგვეჩვენება, სმასაც მაგ ღორმა მიმაჩვია. იქნებ წავიყვანო, რადგან ასე ძალიან უნდა? დედას გიტირებ, ცხოვრებას გაგიმწარებ, შე მართლა ღორო! იქნებ ფიქრობს, რომ მაგისი მეშინია? ეგღა მაკლია. აბა, ერთი, ზედმეტი გაბედოს. მაგას რომ ჰკითხო, ფული არ მინდაო, ამბობს. ეტყობა, ჩემს გაბრიყვებას ცდილობს, მაბოლებს. მიცი ჰყავს და ჰერბერტიც თავს მაგის მეგობრობაზე დებს. ხვადი, მაგას სხვა რა შეუძლია, განცხრომით ცხოვრობს, როგორც ღორი საღორეში. სად დაიკარგა ჩემი ფეხსაცმელები? დამაცადე, ნეკნებს დაგიმსხვრევ! მოდი, მოდი, გულში ჩაგიკრა, ჩემო სიყვარულო! მობრძანდით, ახალგაზრდავ, მობრძანდით, არ გინდათ, მოინანიოთ? აქ სკამზე, ჩემ გვერდით, ბედად ადგილი არის!

და ისევ იწყო ჩანჩალი, დაჩოჩავს ქოთნებს შორის, თითით ქოთნებში მიწის სიმშრალეს სინჯავს: იმ ძუკნას ორ მარკას ვუხდი, ის კი არ რწყავს. ახალგაზრდავ, მოსანანიებლად მოხვედით, შესანიშნავია! საქმეს ისე გაგიხდი, რომ დრეზდენერშტრასეზე ხსნის არმიაში მირბოდე! დაბადების დღეს გაწყევლინებ, შე ღორო, თვალებგადმოკარკლულო, მაჭანკალო, საქონელო! მართლაც რომ საქონელია, მერედა როგორი! იქ, პირველ რიგში დადგები და ილოცებ, მე კი შენი ცქერით დავტკბები, ოჰ, რა სასაცილო იქნება.

* * *

ისე, რომ ვთქვათ, ფრანც ბიბერკოპფმა მართლაც რატომ არ უნდა მოინანიოს. განა მისთვის სკამზე ადგილი არ მოიძებნება? ამას ვინ ამბობს?

ვითომ ხსნის არმია ცუდი რითია? მერე, ვის და რაინჰოლდს ხსნის არმიაზე აგდებულად ლაპარაკი არ ეკადრება. განა ეგ არ იყო, ვინც ერთხელ, ოი, რას ვამბობ, სულ ცოტა, ხუთჯერ მაინც მოინახულა დრეზდენერშტრასეზე მდებარე ხსნის არმიის სამყოფელი? ლამის გაგიჟების პირას იყო მაშინ რაინჰოლდი, სულს ძლივს ითქვამდა, ცოტაც და, ფეხებსაც გაფშეკდა, მაშინ იქ გაარემონტეს, ფეხზე წამოაყენეს. და რატომ? იმისთვის ხომ არა, რომ მერე ბნელი საქმეები ეკეთებინა? რა თქმა უნდა, არა!

ალილუია, ალილუია! ფრანცს ეს სმენია, ეს სიმღერა, ეს მოწოდება მონანიებისკენ. ფრანც, ფრთხილად, დანა ყელზე გაქვს მობჯენილი, ალილუია! სად არის სიცოცხლე შენი? სად არის სისხლი შენი? აი, გულიდან მოსჩქეფს სისხლი ჩემი. ღმერთო ჩემო, როგორ გამიჭირდა, მაგრამ ახლა ყველაფერი უკან დარჩა. როგორც იქნა! რატომ ადრე არ მოვინანიე, ასე რატომ დავიგვიანე? მაგრამ ახლა აქ ვარ.

დიახ, მაშ, ფრანცმა რატომ არ უნდა მოინანიოს? მისთვის ნეტარი წამი ნეტავ როდის დადგება? შეხედავს თავის სიკვდილს საზარელ სახეში და მიწაზე მძიმედ დაეცემა. და მაშინ ამღერდება იგი და სხვანი, რომლებიც მის ზურგს უკან სხედან, მასთან ერთად ამღერდებიან: „ო, ცოდვილო, დაუყოვნებლივ იესოსთან მიდი, ო, პატიმარო, გამხნევდი და გარეთ გამოდი, ხსნას დღესვე მოიპოვებ, ირწმუნე და სულის სიმშვიდეს პოვებ“. ქორო: „მხსნელი შენს ხუნდებს დაამსხვრევს, მხსნელი შენს ხუნდებს დაამსხვრევს და სახელოვან გამარჯვებამდე მიგიყვანს, და სახელოვან გამარჯვებამდე მიგიყვანს“.

მუსიკა ქუხს, საყვირები გრგვინავენ, ჩინგდარადა! მხსნელი ყველა შენს ხუნდებს დაამსხვრევს და სახელოვან გამარჯვებამდე მიგიყვანს. ტრარა, ტრარა, ტრარა! ბუმ, ბუმ! ჩინგდარადა!

მაგრამ ეგ არის, რომ ფრანცი მონანიებაზე არც კი ფიქრობს. ერთ ადგილზე ჯდომა უჭირს. მას არც ღმერთი აინტერესებს და არც ადამიანი. ისევე, როგორც მთვრალს, ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად.

როგორ იქნა, რაინჰოლდის ოთახში შეაღწია. პუმსის ბანდის წევრები უკლებლივ უკვე იქ არიან. მათ ფრანცის საქმეზე წაყვანა არ უნდათ. ფრანცი კი ბობოქრობს, თავის ერთადერთ მუშტს იქნევს და ღრიალებს:

- თქვენ რა, არ მენდობით? გამყიდველი გგონივართ და ფიქრობთ, რომ ჩაგიშვებთ, არა? ეშმაკსაც წაულიხართ! ნეტავი რაში მჭირდებით? წასვლა ჰერბერტთანაც შემიძლია და კიდევ ბევრ ვინმესთან.

- პატივი დაგვდე და წადი!

- პატივი დაგვდე და წადი, ამას შენ მეუბნები, უკუდო მაიმუნო, ჩემთან ასე ლაპარაკს როგორ ბედავ! აი, შემხედეთ და დატკბით, სად არის ჩემი მეორე ხელი? აი, ამ ვაჟბატონმა, რაინჰოლდმა, მანქანიდან გადმომტვირთა, ოღონდ მაშინ, როცა მანქანა მიქროდა და უკან მეორე მანქანა სრული სვლით მოგვდევდა. და მოხდა ისე, რომ იმ მეორე მანქანის ქვეშ აღმოვჩნდი. ეს ხელი მაშინ დავკარგე. მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა და ამის გამო იმ ვაჟბატონს პასუხი არ უგია. ანუ არ ჩამიშვია, არავისთან დამიბეზღებია და სამაგიერო არც მე გადამიხდია და ხედავთ, რომ ისევ თქვენთან მოვედი, შენ კი ძაღლივით ყეფ, პატივი დაგვდე და წადიო. ეს ამბავი რომ მოხდა, მაშინ იმ გაუგებრობაში ჩემი სურვილის გარეშე აღმოვჩნდი. ახლა კი თქვენთან ჩემი ფეხითა და ნებით მოვედი და საქმეზე წამოსვლა მინდა. თქვენ არ იცნობთ. ფრანც ბიბერკოპფს ჯერ არავისთვის უღალატია, არავინ ჩაუშვია, ჰკითხეთ, ვისაც გინდათ. ამას ყველა დაგიდასტურებთ. რაც იყო, იყო - წარსულს ჩაჰბარდა. ხელს ვეღარ დავიბრუნებ და ეგ აღარ მაინტერესებს. თქვენ კი გიცნობთ და აქ იმიტომ მოვედი! ჩემი ადგილი აქ არის! ახლა მიხვდით?

მაგრამ პუმსის ბიჭებიდან ერთ-ერთი, ტანმორჩილი მეთუნუქე მართლაც ვერაფერს მიხვდა.

- და მაინც მაინტერესებს, ჩვენთან ერთად წამოსვლა ასე უცებ რატომ დაიჟინე? ალექსზე გაზეთებით ხელში რომ დარბოდი, შენთან მოახლოებას ვერავინ ბედავდა, მაშინ ჩვენთან ერთად რატომ არ დადიოდი?

ფრანცი სკამზე უფრო მოხერხებულად მოკალათდა და დიდხანს დუმდა. დუმდნენ პუმსის ბიჭებიც. დიახ, ფრანცმა დაიფიცა, რომ პატიოსნად იცხოვრებდა და ყველა ხედავდა, რომ ფიცს ასრულებდა და ეს ერთი კვირა კი არა, დიდხანს გაგრძელდა!

მაგრამ ეს მაინც დროებითი აღმოჩნდა, იგი ბნელ საქმეში ჩაითრიეს, მისი ნებისა და სურვილის წინააღმდეგ. არ უნდოდა, თავს იცავდა! მაგრამ ამაო გამოდგა მისი ძალისხმევა, ბედისწერას ვერ გაექცევი! დიდხანს ისხდნენ და დუმდნენ, მერე ფრანცი

ალაპარაკდა:

- თუ იმის გაგება გინდა, ფრანც ბიბერკოპფი რა ადამიანია, მაშინ ლანდსბერგერალეეზე ეკლესიის სასაფლაოზე შეიხედე, იქ ერთი ქალი წევს, იმის გამო ვიჯექი ოთხი წელიწადი. მაშინ მარჯვენა ხელით ვიმუშავე. მერე გაზეთებს ვყიდდი, მინდოდა პატიოსნად მეცხოვრა.

ფრანცმა ამოიოხრა, ნერწყვი გადაყლაპა:

- ახლა შენც ხედავ, ამისგან რა გამოვიდა! ასეთი მწარე გაკვეთილის შემდეგ, ძმაო, გაზეთები და ბევრი სხვა რამეც მალე დაგავიწყდება. აი, აქ იმიტომ მოვედი.

- ახლა რას გვიბრძანებ, მოკვეთილის ნაცვლად ახალი ხელი ხომ არ მიგაბათ?

- ამას თქვენ ვერ შეძლებთ, ძალიანაც რომ მოინდომოთ, მაქს. ჩემთვის ისიც საკმარისია, ახლა აქ რომ ვზივარ და ალექსზე აღარ დავრბივარ. რაინჰოლდსაც არ ვადანაშაულებ. აბა, ერთი ჰკითხეთ, მაგისთვის საყვედური თუ მითქვამს. იქ, მანქანაში, მაგის ადგილზე მეც იმავეს გავაკეთებდი. სხვანაირად არ შეიძლება, როცა საქმეში ვინმე საეჭვო გამოერევა. შენც, მაქს, ჭკუას მაშინ ისწავლი, თუ ოდესმე სულელურად მოიქცევი.

ფრანცმა შლაპა აიღო და ოთახიდან გავარდა. ასეთი იყო საქმის ვითარება.

რაინჰოლდმა მიმავალ ფრანცს თვალი გააყოლა, მათარიდან არაყი დაისხა და იქ შეკრებილთ უთხრა:

- ბიჭებო, ჩემთვის ეს საკითხი გადაწყვეტილია. მაშინ ამ ყმაწვილს მოვერიე, თუ საჭირო იქნება, ახლაც მოვერევი. ვიცი, მეტყვით, რომ ამ კაცთან საქმის დაჭერა სარისკოაო და მართალიც იქნებით. მაგრამ ბატონ ბიბერკოპფს ხელები უკვე დასვრილი აქვს, იგი ახლა სუტენიორია, თავად აღიარა და პატიოსნებაზე თავს აღარ დებს, იმიტომ, რომ პატიოსანი აღარასოდეს იქნება. მხოლოდ ერთი შეკითხვა რჩება პასუხგაუცემელი: ფრანცი ჩვენთან ერთად რატომ მოდის და არა თავის ძველ მეგობარ ჰერბერტთან? მართალი გითხრათ, არ ვიცი! მაგრამ ყველაფერი ხდება. თუმცაღა, კაპიკია ჩვენი ფასი, თუ ყველანი ერთად ბატონ ფრანც ბიბერკოპფს ვერ მოვერევით. იმუშაოს ჩვენთან და თუ რამე ზედმეტს გაბედავს, ქეჩოში მოხვდება და საქმეც ამით დამთავრდება. თანახმა ვარ, წამოვიდეს ჩვენთან ერთად!

და ფრანციც წავიდა საქმეზე.

ფრანცი მრბეველი. ამჯერად ფრანცი ბორბლებქვეშ კი არ აგდია, მანქანაში შინაურულად ზის. თავისი მაინც გაიტანა!

აგვისტოს დასაწყისშივე ეგრეთ წოდებული ბატონი თავდამსხმელები ჯერ კიდევ თავ-თავიანთ ბუნაგებში სხედან, ისვენებენ და მცირედით კმაყოფილდებიან. არც ერთი ამ საქმის მცოდნე და სპეციალისტი ოდნავ კარგ ამინდში „სანადიროდ“ არ გავა, მეტიც, საერთოდ, არც კი ეცდება. მსგავსი საქმეები ზამთარში კეთდება. წლის ამ დროს, უნდათ ეს თუ არა, ბუნაგებიდან გამოდიან, რაც უნდა იყოს, ზამთარი ნაკლებად საშიში დროა და თანაც მათი სალარო შევსებას ითხოვს. მაგალითად, ფრანც კირში, ცნობილი სეიფების გატეხის სპეციალისტი, ორი თვის წინ, ანუ ივლისის პირველ რიცხვებში, სხვა პატიმართან ერთად ზონენბურგის ციხიდან გაიქცა. მართალია, ამ ციხეს ერთობ ლამაზი და სასიამოვნო სახელი ჰქვია, მაგრამ ამ მზის ქალაქში დასვენება სასიამოვნო ნამდვილად არ არის და ამიტომაც კირშმა დასვენება ბერლინში არჩია. დედაქალაქში ორი თვე მშვიდად გაატარა და ეტყობა, იფიქრა, დროა, საქმეს მივხედოო და გარეთ გავიდა. ამით არ დაკმაყოფილდა, აცდუნა ეშმაკმა და ტრამვაით გასეირნებაც გადაწყვიტა. ამ დროს, სად იყო და სად არა, თავს პოლიციელები დაადგნენ და ტრამვაიდან დასავლეთ რაინიკენდორფზე ჩამოაბრძანეს. და ეს აგვისტოს ბოლოს მოხდა! მშვიდობით, დასვენებავ! დიახ, ცხოვრებაში ასეც ხდება ხოლმე. მართალია, კირში დააპატიმრეს, მაგრამ გარეთ სხვები დარჩნენ და ისინი მალე მუშაობას დაიწყებენ.

მაგრამ, მოდი, ჯერ ბერლინის მეტეოროლოგიური სადგურის ამინდის პროგნოზი შევიტყოთ: საერთო პროგნოზი: ჩრდილოეთიდან მომავალი ანტიციკლონი ცენტრალურ გერმანიაში თანდათან ვრცელდება, რაც ამ მიდამოებში ამინდის გაუმჯობესებას გამოიწვევს, ხოლო სამხრეთ რაიონებში ატმოსფერული წნევა დაბლა დაიწევს, რაც ამინდის გაუარესების წინა პირობაა. შაბათს ანტიციკლონის გავლენით მზიანი, თბილი ამინდი შენარჩუნდება. ხოლო ესპანეთიდან მომავალი ციკლონი ტემპერატურის მკვეთრ დაცემას გამოიწვევს.

ბერლინსა და მის შემოგარენში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, დროდადრო გამოიდარებს. დაუბერავს სუსტი ქარი, აღინიშნება ტემპერატურის მატება,

გერმანიის დასავლეთ და სამხრეთ რაიონებში დაუბერავს სუსტი, ზომიერი ქარი, თანდათან დათბება.

როგორც ხედავთ, ამინდის პროგნოზი სახარბიელო არ არის და პუმსის ბანდა მასთან მიტმასნილი ჩვენი ფრანცითურთ ნელ-ნელა ამოძრავდა. ბანდასთან დაკავშირებული ქალბატონებიც დაჟინებით მოითხოვენ, რომ მათმა კავალრებმა ფეხი გაშალონ, წელში გაიმართონ, ცოტა წაივარჯიშონ, თორემ ცოტაც და ამ სუსტი სქესის წარმომადგენლებს ქუჩაში მოუწევთ გასვლა. ამას ნებით არც ერთი მათგანი არ გააკეთებს, მხოლოდ მაშინ, თუ გაჭირვება აიძულებთ. კავალრები კი ამბობენ, რომ ჯერ ბაზარი უნდა შეისწავლონ. ვთქვათ, თუ მზა კაბებზე მოთხოვნა არ იქნება, მაშინ ბეწვეულზე იფიქრებენ. საქონლის მოპოვება უპირველესი საქმეა და გასაღება არანაკლებ მნიშვნელოვანი. ამ თმაგრძელა და ჭკუამოკლეებს ეს ყველაფერი ადვილი ჰგონიათ. აბა, ქალებს რა ესმით, კარგად მხოლოდ ერთი რამ იციან, ის, რასაც დიდი ჭკუა არ სჭირდება. აბა, ერთი სცადონ და კონიუნქტურას აუღონ ალღო, როდის დაეცემა, როდის აიწევს. მაგათ ამის ტვინი ვინ მისცა. ამიტომ ისხდნენ ჩუმად და ნურაფერში ერევიან.

პუმსმა კი ერთი მეთუნუქე გაიცნო, რომელსაც ავტოგენური ჭრისა რაღაც გაეგება და ამით კიდევ ერთი საზრუნავი მოიშორა. კიდევ ერთი გაკოტრებული ვაჭარი გამოჩნდა, გარეგნულად ერთობ ელეგანტური, მაგრამ უქნარა. მუშაობა არ უნდოდა, ამიტომ დედამისმა სახლიდან გამოაგდო. თუმცა თაღლითობასა და აფერისტობაში ნიჭიერი გამოდგა. და ისიც, რომ ვაჭრებს იცნობს და მათ წრეში გაშინაურებულია, პუმსის აზრით, ძალიან კარგია. მისი გაგზავნა ყველგან შეიძლება, საჭირო ინფორმაციას შეაგროვებს და მერე ბიჭებს მიაყენებს. პუმსი თავისი ბანდის ვეტერანებს ეუბნება:

- კონკურენტების არ უნდა გვეშინოდეს. ჩვენ და კონკურენტები ერთმანეთში როგორმე შევთანხმდებით. მაგრამ ჩვენი უპირველესი ამოცანა გონიერი ადამიანების შეკრებაა. ისეთი ადამიანებისა, რომლებმაც თავიანთი საქმე კარგად იციან, ყველა ნიუანსში ერკვევიან, და თუ ამას ვერ მოვახერხებთ, ჩავარდნა გარდაუვალია. არიფების ჯოგთან ერთად საქმეზე წასვლას, ჯობს, ცალ-ცალკე ვიქურდოთ.

და რადგან ბანდა მზა ტანსაცმელსა და ბეწვეულზე იყო სპეციალიზებული, ბიჭებს ფეხების გავარჯიშება მოუხდათ: მთელი ქალაქი მოირბინეს ისეთი მაღაზიების ძებნაში, სადაც საქონელს ზედმეტი შეკითხვების გარეშე იღებდნენ და სადაც პოლიცია ცხვირს ხშირად არ ყოფს. ყველანაირი სამოსის გადაკეთება შეიძლება, თავიდან შეკერვა, უკიდურეს შემთხვევაში, უბრალოდ, შესანახავად ჩაბარება, ოღონდაც სანდო ადამიანები იყვნენ.

საქმე ის არის, რომ პუმსსა და თავის ვაისენზეელ შემსყიდველს შორის მოლაპარაკება არ შედგა. ძნელია ასეთ ადამიანთან საქმის დაჭერა. შენც იცხოვრე, მეც მაცხოვრე. ძმაო. ვაისენზეელი კი მოჰყვა წუწუნს და აღარ დაამთავრა, აქაოდა, გასულ ზამთარს კინაღამ გავკოტრდი, ფულის ამოღება საკუთარი ჯიბიდან მიხდებოდა, ვალში ჩავვარდი, თქვენ კი მთელი ზაფხული თითი არ გაგინძრევიათო. ფული წინასწარ მოგეცით და გავკოტრდიო! და თუ გაკოტრდი, დამნაშავე თავად ხარ, ესე იგი, არაფრად ვარგიხარ, კომერსანტი კი არა, თხლე ყოფილხარ! ასეთი პარტნიორები ჩვენ არ გვჭირდება. ახლის მოძებნა მოგვიწევს. ეს სათქმელად ადვილია, მაგრამ გასაკეთებლად ძნელი. არადა, სხვა გზა არა გვაქვს, როგორმე უნდა მოვძებნოთ. მაგრამ მიდი და მოძებნე, თუკი მთელ ამ ბანდაში შემსყიდველების მოძებნაზე მხოლოდ ბებერი პუმსი ზრუნავს. უცნაური ის არის, რომ ამ ბიჭებიდან საქონლის გაყიდვაზე ყურს არავინ იბერტყავს, თუმცაღა კარგად იციან, რომ მარტო ძარცვით კუჭს ვერ ამოიყორავ. არის კიდევ მეორე ეტაპი, ნაქურდალი ფულად უნდა აქციო. არადა, ვისაც არ ჰკითხავ, ყველა ამბობს, რომ ბანდის წევრები მათი უფროსის მეთაურობით, საქონელს ერთად ასაღებენ. არა მარტო მას, პუმსსაც ჰყავს თითქოს საგანგებოდ შერჩეული მუქთახორები, ისინი სულ იმას იმეორებენ, აბა, პუმსი რას გვიკეთებსო? პუმსი ყველაფერს მოაგვარებს! ერთიც ვნახოთ და, პუმსმა ყველაფერი ვერ მოაგვარა. ნათქვამია, ალილუია ერთხელ მღვდელსაც შეეშლებაო, მაშინ რას იზამენ? რას და შავ დღეში აღმოჩნდებიან უკლებლივ ყველანი. საქონელს თუ ვერ გაასაღებ, მაშინ ძარცვაზე გაწეული მთელი შრომა წყალში გადაიყრება. დღეს ჩვენს საქმეში ავტოგენისა და სხვა ახალი ხელსაწყოების გარეშე ფონს ვერ გახვალ და კიდევ მხრებზე თავი უნდა გებას, - კომერსანტის ალღო და ტვინი გქონდეს, არადა, სექტემბერი უკვე კარზეა მომდგარი. მოქმედების დრო არის და პუმსიც იძულებულია, ყველას მაგივრად იფიქროს: ავტოგენი როგორ იშოვოს, ნაძარცვი საქონელი სად და როგორ გაასაღოს. იგი აგვისტოს პირველი რიცხვებიდან ამ საქმეებით არის დაკავებული და თუ გინდათ, გაიგოთ, ვინ არის პუმსი, დიდი სიამოვნებით გაგაცნობთ: არის ხუთი მოზრდილი ბეწვეულის მაღაზიისა და კიდევ ჭონების სახელოსნოების მეპაიე. რომლების? ამას რა მნიშვნელობა აქვს! ფული აქვს ჩადებული ორიოდე ამერიკულ ქიმწმენდაშიც, იცით, ეს დაწესებულებები, არა? გაუთოება და წმენდა: ფანჯარასთან საუთოებელი დაფა, დაფასთან კი ხელებდაკაპიწებული მკერავი საქმიანობს, - დაფაზე

შარვალი დადო, უთო მოიმარჯვა, ორთქლი ჭერამდე ურტყამს, მუშაობა დუღს, უკანა ოთახში კი პალტოები და კოსტიუმები კიდია - და სწორედ ეს არის მთავარი! ეს დაწესებულება სწორედ ამისთვის არსებობს. შეკითხვაზე, ეს პალტოები და კოსტიუმები აქ საიდან მოხვდაო? პასუხი იქნება: - დამკვეთებისგან! გასაუთოებლად და გადასაკეთებლად გუშინ ჩაგვაბარეს. ინებეთ მისამართები, ქვითრები. ასე რომ, თუ პოლიციელები შემოვლენ, აქედან ხელცარიელი გავლენ, ყველაფერი წესრიგშია, საეჭვო არაფერია. ისე, რომ ჩვენი სქელი პუმსი ზამთრის სეზონისთვის სათანადოდ მოემზადა. ახლა შეუძლია სხვა საქმესაც მიხედოს. და თუ რამე გაუთვალისწინებელი მოხდება. მაპატიეთ, მაგრამ ერთი ადამიანის გონი და თვალი ყველას და ყველაფერს ვერ გასწვდება. თანაც ყველა საქმეში იღბალიც აუცილებელია. მაგრამ მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ.

ბერლინში უკვე სექტემბერია. ახალბედა, ელეგანტურმა გაიძვერამ, რომელიც ფრინველ- ცხოველთა ხმების დიდებული იმიტატორიც არის (მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ მას ვერ მოვისმენთ) და ამბობს, ჩემი გვარი და სახელი ვალდემარ ჰელერიაო და ამჯერად არ ტყუის, რადგან გვარად მართლაც ჰელერია, კრონენშტრასესა და ნოიევალშტრასეზე მდებარე ყველა დიდი მზა ტანსაცმლის მაღაზია მოირბინა, ყველა შესასვლელ-გამოსასვლელი დაზვერა, გაიგო, სად საპარადო, სად უკანა შესასვლელია, რომელი იკეტება, რომელი - არა. ვინ ზემოთ ცხოვრობს, ვინ - ქვემოთ, დარაჯი ვინ არის, საკონტროლო საათები სად კიდია და სად არა და სხვა ბევრი ამდაგვარი დეტალი. ხარჯებს პუმსი ფარავს. ჰელერმა პოზნანური ერთ-ერთი ფირმის, რა თქმა უნდა, ეს-ეს არის დაარსებულის, აგენტის როლიც გაითამაშა. მართალია, სასწრაფოდ გამოისტუმრეს, ჯერ ამ ფირმაზე ცნობები უნდა შევკრიბოთო, კი ბატონო, შეკრიბეთო, უპასუხა მანაც, მე ხომ მხოლოდ ის მაინტერესებს, თქვენი ჭერი რა სიმაღლის არისო. დიახ, ჭერის სიმაღლე ნამდვილად დააზუსტა, იმ შემთხვევისთვის, თუკი პუმსი და კომპანია იმ მაღაზიაში ჩაბრძანებას ზემოდან ისურვებდნენ.

შაბათი. ამ ღამეს დაგეგმილ ძარცვის ოპერაციაში ფრანციც მონაწილეობს. ეს მისი დებიუტია. ჩვენმა ფრანც ბიბერკოპფმა თავისას მიაღწია. ახლა იგი სხვებთან ერთად მანქანაში ზის. აქ ყველამ იცის, რა უნდა გააკეთოს. ფრანცსაც თავისი როლი აქვს. საქმე კარგად მიდის. ამჯერად ზექსზე სხვა დააყენეს. ისე, შეეძლოთ არც დაეყენებინათ,

რადგანაც საღამოს ერთი სართულით მაღლა განლაგებულ ტიპოგრაფიაში სამი ბიჭი შეძვრა, უკანა შესასვლელიდან ყუთებში მოთავსებული დასაკეცი კიბე და ავტოგენის აპარატი შეიტანეს და ქაღალდის დასტების უკან დამალეს. მძღოლიც მათი კაცია, აქ კომპანია სრული შემადგენლობით მანქანით მოვიდა. **23.00** საათზე შიგ მყოფმა სამმა მოსულებს კარი უხმაუროდ გაუღო. ვერავინ ვერაფერი გაიგო. ეს გასაკვირი არც არის. შენობაში ხომ მხოლოდ მაღაზიები და კანტორებია. მუშაობა მშვიდად დაიწყეს: ერთი ფანჯარასთან დადგა, ქუჩას გაჰყურებს, მეორე - ეზოს. მეთუნუქე თვალებზე დამცავი სათვალით იატაკზე ავტოგენით მუშაობს. განივად ნახევარი მეტრი გაჭრა და ქვემოთა ხეფენილის გაჭრა რომ დაიწყო, ამ დროს ქვემოთ ნამსხვრევები გრუხუნით ჩაცვივდა.

ეგ არაფერი - ბათქაში

სიმხურვალისგან გასკდა. პატარა ხვრელში წვრილი აბრეშუმის ქოლგა ჩაუშვეს, წკაპ და გაიხსნა. ახლა მასში ბათქაშის ნამსხვრევები ცვივა. ბათქაშის რაღაც ნაწილი, რა თქმა უნდა, ქვედა სართულის იატაკზეც იყრება, მაგრამ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა: ქვემოთ ისევ სამარისებური სიბნელე და სიჩუმეა.

ქვემოთ რიგრიგობით ჩავიდნენ. პირველად თოკის კიბით კატასავით მარჯვედ და მოხერხებულად ელეგანტური ვალდემარი ჩაძვრა. აქ თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში. საქმეზე პირველად არის და შიშის გრძნობა ჯერჯერობით არა აქვს. ასეთ ჩიტირეკიებს ძალიან უმართლებს ხოლმე - დასაწყისში, რა თქმა უნდა, ვიდრე ჩავარდნის სიმწარეს იგემებდეს. მერე მეორე ჩაცოცდა და ქვემოთ ჩასულ ორს ფოლადის კიბე ჩააწოდეს - ის მოკლე აღმოჩნდა, მხოლოდ **2,5** მეტრი. მაშინ ამ ორმა მაგიდები მოათრია, ერთიმეორეზე დადგეს და ზედა მაგიდაზე კიბე დაამაგრეს. აბა, მზად არის, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! ფრანცი ზემოთ დარჩა: მუცელზე წევს და ნახვრეტში იჭვრიტება, ქსოვილების ფუთებს, რომლებსაც ქვემოდან აწოდებენ, ერთადერთი ხელით, ისე როგორც კაუჭით, იჭერს და მის უკან მდგომ ბიჭს გადასცემს. ძალიან ღონიერია ეს ფრანცი! რაინჰოლდსაც კი, რომელიც დაბლა მეთუნუქესთან ერთად მუშაობს, უკვირს, ეს რა ტრიუკებს სჩადის ფრანცი. თავშესაქცევი რამეა, საქმეზე ცალხელასთან ერთად წასვლა! ფრანცის ხელი ჯალამბარივით მუშაობს, აი, სასწაული, არავინ დაიჯერებს! მერე კალათები გასასვლელისკენ წაათრიეს. ჭიშკარში ყარაული გამოჩნდა. ირგვლივ სიწყნარეა. მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა და რაინჰოლდმა ეზო თავად შემოიარა. ერთი საათი კიდევ მოვიცადოთ და ყველაფერი კარგად იქნება. ყარაული შენობას ათვალიერებს, მაგრამ მას ხელი არ უნდა ვახლოთ. იგი კრინტსაც არ დასძრავს. გიჟი ხომ არ არის, იმ გროშების გამო, რომელსაც უხდიან, თავი სასიკვდილოდ გაწიროს? აი, ყარაულიც წავიდა. აქაურობას გაეცალა. ყოჩაღ, საკონტროლო საათის გვერდით ასმარკიანი უნდა დავუდოთ. უკვე ორი საათია, მანქანა სამის ნახევარზე მოვა. მანამდე კი დალევაც შეიძლება, ოღონდ არა უმეტეს ერთი-ორი ჭიქისა, თორემ ვიღაც აუცილებლად ხმაურს ატეხს. უკვე სამის ნახევარია. ორი მონაწილე: ფრანცი და ელეგანტური ვალდემარი ამ ბანდასთან ერთად საქმეზე პირველად არიან. ისინი საჩქაროდ ისვრიან მონეტას. ვალდემარი იგებს, მაშასადამე, დღევანდელ საქმეს „ბეჭედი“ მან უნდა დაუსვას. იგი კიბით ისევ ეშვება ბნელ, გაძარცულ საწყობში. შარვალს იხსნის,

ჩაიკუზება, გაიჭინთება და „ბეჭედს“ სვამს.

ოთხის ნახევარზე მთელი ნადავლი დანიშნულ ადგილზე ჩამოტვირთეს. მერე დილამდე კიდევ ერთი ამდაგვარი რიტუალის ჩატარება მოასწრეს: დღეს რომ ვართ, ასეთი ახალგაზრდები ხვალ აღარ ვიქნებით, და ისიც არავინ იცის, შპრეეს მწვანე სანაპიროზე ერთმანეთს ოდესმე თუ შევხვდებით? და იქაც ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. მხოლოდ ეგ იყო, უკანა გზაზე მანქანამ ძაღლს გადაუარა: აი, ასეთი სამწუხარო ამბავი მოხდა. ამ შემთხვევამ პუმსი დააღონა. ძალიან უყვარს ძაღლები! აბუზღუნდა, დღეს საჭესთან მეთუნუქე ზის და იმას ებუზღუნება, რატომ არ დაასიგნალე, ვიღაც არამზადებმა ეს საწყალი ძაღლი გარეთ გამოაგდეს, რადგანაც გადასახადის გადახდა არ უნდათ. შენ კი, რეგვენო, რა მძღოლი ხარ, ამხელა ძაღლი თუ ვერ დაინახე და გვერდი ვერ აუარეო! რაინჰოლდი და ფრანცი ჭიხვინებენ. ერთი ნახე, მოხუცი ამ ქეციანი ძაღლის გამო როგორ წუხს, ნამდვილად გააფრინაო. მეთუნუქე კი თავს იმართლებს, ამბობს, დავუსიგნალე, თანაც ორჯერ, მაგრამ, ეტყობა, ძაღლი ყრუ იყო. ძაღლი და ყრუო, ეგეთი სისულელე პირველად მესმის: პუმს, უკან ხომ არ დავბრუნდეთ და ძაღლი საავადმყოფოში წავიყვანოთ? კარგი, მორჩი სისულელეების ლაპარაკს! ჯობს, გზას უყურო, ასეთ რაღაცებს ვერ ვიტან, უბედურების მომასწავებელია.

აქ ფრანცმა მეთუნუქეს გვერდში ხელი გაჰკრა.

- მაგას ძაღლი კატებში

ერევა! ყველანი

ხორხოცებენ.

ფრანცს ორი დღე მომხდარზე შინ არაფერი უთქვამს. მხოლოდ მაშინ, როცა პუმსმა ორი ასმარკიანი გამოუგზავნა და თან შემოუთვალა, ფული თუ არ გჭირდება, უკან დამიბრუნეო, ჩაიცინა: ცოცხალ ადამიანს ფული ყოველთვის სჭირდება! ძალიან კარგი, ჰერბერტს მაგდებურგის ვალს დავუბრუნებ. მაგრამ ვისთან მიდის იგი, მზერა ვისკენ აქვს მიპყრობილი, ვისთვის, ვისთვის ძგერს გული მისი? ვისთვის და მხოლოდ შენთვის, ეს ღამე ბედნიერებას, ნეტარებას მპირდება, გეპატიჟები აყვავებულ ბაღში, კავშირი ჩვენი ზეცაშია გადაწყვეტილი. მიციკენ, ჩემო სიყვარულო, ტურფა დედოფალო, რა მშვენიერი ხარ ამ მოოქრულ ფეხსაცმელებში, დგახარ და იცდი, შენი

ფრანცი ამ საფულიდან როდის ამოაცოცებს ორ ასმარკიანს და მაგიდაზე დადებს? გაბრწყინებული სახით ქალს ეკვრის, ისე, როგორც მას შეუძლია, ბავშვივით, და იგი მართლაც არის დიდი ბავშვი. ქალს ხელს ხელზე უჭერს, რა ტკბილი და ნაზი თითები აქვს.

- მიცი, მიციკენ!

- რა იყო, ფრანც?

- არაფერი, უბრალოდ გიყურებ და ვტკბები.

- ფრანც! - ასე გამოხედვა და თქმა „ფრანც“ ამქვეყნად მხოლოდ მიცის შეუძლია.

- არაფერი, უბრალოდ მიხარია, შენ რომ გიყურებ. იცი, მიცი, ამ ცხოვრებაში ბევრი რამ არის კომიკური. მე ახლა სხვა ადამიანებისგან განსხვავებულად ვცხოვრობ. მათ თავიანთი ცხოვრება აქვთ, არაფერზე დარდობენ, ალბათ, იმიტომ, რომ ამის დრო არა აქვთ, რადგანაც ენაგადმოგდებულები დარბიან, ფულს შოულობენ. მერე დღესასწაულებზე ლამაზად იცვამენ და როგორც შეუძლიათ, ისე ერთობიან. მე კი ასე არ შემიძლია. მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ ხეიბარი ვარ. შევხედავ ქურთუკს, ვხედავ ცარიელ სახელოს, მახსენდება, რომ ხელი არა მაქვს და გული მტკივა.

- ფრანცეკენ, ჩემო ძვირფასო!

- ჰო, ასეა, მიციკენ, ასეა და ამას აღარაფერი ეშველება. ეს დამღასავით არის!

- კარგი, ფრანცეკენ, ნუ დარდობ, რა მოგივიდა? მე ხომ შენ გვერდით ვარ. ჭრილობა ხომ დიდი ხანია, რაც შეგიხორცდა და დროა, დაივიწყო.

- არც ვიხსენებ. შენ გვერდით ყველაფერი მავიწყდება! - თავი მუხლებზე დაადო, ქალს სახეში ქვემოდან შესცქერის, უღიმის. მაინც რა სახე აქვს: ნაზი, გადატკეცილი, თითქოს გამოქანდაკებული, თვალები კი ცოცხალი, ცეცხლოვანი.

- შეხედე, მაგიდაზე რა დევს, ფული. ეს შენთვის, მიცი, ჩემი მარცხენა ხელით მოვიპოვე. ჰო, ეგ ფული შენია.

მაგრამ რაშია საქმე? მიციმ კოპი შეკრა. ფულს ისეთი შიშით უყურებს, თითქოს იკბინებოდეს. არადა, ფული კარგი რამ არის: საჭირო და აუცილებელი.

- მართლა შენი შრომით იშოვე?

- ჰო, გოგონი, უნდა ვიმუშაო, თორემ სახლში ჯდომით სულ დავგლახდები. ამ შაბათს, პუმსსა და რაინჰოლდთან ერთად საქმეზე წავედი. იცოდე, ჰერბერტსა და ევას არაფერი უთხრა, ეს რომ გაიგონ, ჩემი დანახვაც არ მოუნდებათ, ცოცხლად დამმარხავენ!

- ფული საიდან გაქვს?

- ხომ გითხარი, ჩემო თაგუნა. პუმსმა და ჩვენ ერთი საქმე მოვაყომარეთ. მერე რა მოხდა, მიცი? ეს ჩემგან საჩუქრად. შენგან კოცნა დავიმსახურე თუ არა?

მიცის თავი მკერდზე ჩამოუვარდა, მერე შეფრთხიალდა, ფრანცს ხელი მოხვია, აკოცა, მერე ლოყა ლოყაზე მიადო, ერთხანს ასე ჩუმად ისხდნენ. ბოლოს გოგონა ეკითხება, ისე, რომ სახეში არც უყურებს:

- ეს მე მაჩუქე?

- ჰო, აბა სხვა ვის?

ამ გოგოს რა ემართება, ეს კომედია რაში სჭირდება?

- და ამ ფულის ჩუქება რატომ მოგინდა?

- რატომ, არ გინდა?

მიციმ ტუჩები უხმოდ შეარხია, ფრანცს ხელი გაუშვა, თავი ჩაქინდრა, როგორც მაშინ ალექსზე, აშინგერთან, მკვდრისფერი დაედო, ხედავს ფრანცი, ცოტაც და, დავარდება. მერე სკამზე დაჯდა, ზის, ცისფერ სუფრას დაშტერებია. რაშია საქმე? ამ ქალებს ვერაფერს გაუგებ.

- ჩემო პატარავ, როგორც ვხედავ, ამ ფულის აღება არ გინდა! მე კი მიხაროდა! აბა, თავი ასწიე და შემომხედე! ამ ფულით შეგვიძლია სადმე გავემგზავროთ, დავისვენოთ, მიციკენ.

- მართალია, ფრანცეკენ.

და თავი მაგიდის კიდეზე დადო და მწარედ ატირდა. გოგონა ტირის, რა მოუვიდა? ფრანცი თმაზე ხელს უსვამს, ეფერება, ამშვიდებს, იცი, ეს გული ვის ეკუთვნის? მხოლოდ შენ, ჩემო ერთადერთო, მხოლოდ შენ!

- ჩემო პატარა მიციკენ, ამ ფულით სადმე გავემგზავროთ, განა არ გინდა, ერთად გავემგზავროთ?

- მინდა!

და თავი ასწია, ლამაზი სახე უტირის, პუდრი ცრემლებში აზელილი რაღაც საწებლად იქცა, ფრანცს კისერზე ხელები შემოხვია, სახეზე სახე მიადო, მერე მოულოდნელად მოშორდა, ისე, თითქოს ვინმემ უკბინაო და ისევ ატირდა, მაგიდაზე პირქვედამხობილი. მაგრამ ამჯერად ჩუმად, ლამის უხმოდ, შორიდან არც კი ეტყობა, რომ ტირის.

ახლა რაღა დავაშავე, არ უნდა, რომ ვიმუშაო!

- დაწყნარდი, ჩემთან მოდი, შენი პატარა თავი ასწიე, მაინც რატომ ტირი? მაგრამ მიცი პირდაპირ პასუხს თავს არიდებს:

- გინდა, გინდა, რომ...

- რა მინდა, მიცი?

- ფრანც, გინდა, რომ თავიდან მომიშორო?

- აბა, რას ამბობ, ღმერთო ჩემო!

- არა, ფრანცეკენ?

- ღმერთია მოწმე, ნამდვილად არა!

- მაშინ ასე რატომ ცდილობ, ფულს განა საკმარისად არ ვშოულობ? მგონი, გვყოფნის, არა?

- მიციკენ, მე შენთვის მხოლოდ ჩუქება მინდოდა!

- მე კი ეს არ მინდა. - და თავი ისევ მაგიდის კიდეზე ჩამოდო.

- აბა, რა ვქნა, საერთოდ არაფერი გავაკეთო, გულხელდაკრეფილი ვიჯდე? ასე ცხოვრება არ შემიძლია.

- გულხელდაკრეფილი იჯექიო, არ გეუბნები, მაგრამ ფულის საშოვნელად არასოდეს წახვიდე. ფული საერთოდ არ მინდა.

მიცი სკამზე გასწორდა, ფრანცს ხელები წელზე შემოხვია; სახეში სიყვარულით შესცქერის, ათას სისულელეს ტიკტიკებს და გაუთავებლად იმეორებს:

- საქმეზე აღარ წახვიდე, ფული არ მინდა, შენ თუ რამე გჭირდება, თქვი და გექნება!

- არა, პატარავ, არაფერი მინდა, მაგრამ უსაქმოდ როგორ ვიჯდე?

- აბა, მე რისთვის გყავარ, ფრანცეკენ! ყველაფერს მე გავაკეთებ!

- ჰო, მაგრამ მე...

აქ მიცი ფრანცს ყელზე ჩამოეკიდა:

- ფრანც, ოღონდაც არსად გამექცე, არ მიმატოვო! - და ტიკტიკებს რაღაცას, კოცნის კაცს და მთელი ტანით ეკვრის.

და ფრანცი თავის გოგოსთან ისეთ ნეტარებას განიცდის, თავი სამოთხეში ჰგონია. მაინც რა ხავერდივით კანი აქვს, მიცისთან პუმსზე და ჩვენს საქმეებზე არ უნდა მელაპარაკა, არ იყო საჭირო. ეს ქალების საქმე არ არის.

- დამპირდი, ფრანც, რომ ამას მეტად აღარ გააკეთებ?

- მიციკენ, ამას ფულისთვის ხომ არ ვაკეთებ!

მიცის ახლაღა გაახსენდა ევას ნათქვამი, ფრანცს ყურადღება მიაქციეო. და მაშინვე ის სიმძიმე, გულზე ლოდივით რომ ეკიდა, სადღაც გაქრა: მაშასადამე, მისი საყვარელი კაცი საქმეზე ფულის გამო კი არ წასულა, არამედ მას ძველი ისტორია დღესაც ტანჯავს. ამის დასტურია ისიც, რომ სულ თავის ხელზე ლაპარაკობს. ნამდვილად შურისძიების სურვილი აწვალებს. თორემ ფული მართლაც რად უნდა, ფული მას, მიცისაც, საკმარისად აქვს და ვინ უშლის, აიღოს რამდენიც უნდა, მიცი ფიქრობს და ფიქრობს და კაცს მთელი ტანით ეკვრის.

სიყვარულის სიამენი და სიმწარენი

ფრანცმა მიცის კოცნით გული რომ იჯერა, ეს უკანასკნელი სახლიდან გაძვრა და ევასთან წავიდა.

- ფრანცმა ორასი მარკა მომიტანა. თუ იცი, საიდან? მოიცა, რა ჰქვია?

- პუმსისგან?

- ჰო-ჰო, თვითონ მითხრა, ახლა რა უნდა
ვქნა? ევამ ჰერბერტს დაუძახა და
უთხრა:

- შაბათს ფრანცი პუმსთან ერთად საქმეზე ყოფილა.

- მერე თქვა, სად იყვნენ?

- არა, ეგ არ უთქვამს. ახლა როგორ მოვიქცე, რა გავაკეთო?

- საკვირველია პირდაპირ! - გაუკვირდა ჰერბერტს, - ასე უბრალოდ ადგა და მათთან ერთად წავიდა?

- ჰერბერტ, შენ რამე გესმის? - ჰკითხა ევამ.

- არაფერი, ყოვლად გაუგებარია.

- ახლა რა ვქნათ?

- თავი უნდა დავანებოთ. შენი აზრით, ფული სჭირდებოდა და საქმეზე იმიტომ წავიდა? არა, ჩემო კარგო, ნამდვილად არა. გეუბნებოდი და ახლა შენც ხედავ, რომ ფრანცმა საქმეს ხელი სერიოზულად მოჰკიდა, და ჩვენ მალე საინტერესო ამბების მოწმენი გავხდებით!

ევა მიცის უყურებს და ახსენდება ეს ფერმკრთალი, გამხდარი კახპა ინვალიდენშტრასეზე როგორ იდგა. ორივეს ახსენდება მათი პირველი შეხვედრა, „ბალტიკუმოტელის“ გვერდით მდებარე კაფეში. ევა იქ ვიღაც პროვინციელთან ერთად იჯდა, ეს ქალს საერთოდ არ სჭირდებოდა, მაგრამ ევას ექსტრავაგანტური გამოხდომები ყოველთვის უყვარდა, თანაც იქ კიდევ საეჭვო რეპუტაციის რამდენიმე გოგო და სამი-ოთხი ახალგაზრდა კაციც იყო. ათ საათზე კაფეში პოლიციის აგენტები შეიჭრნენ და განურჩევლად ყველა, ვინც კი კაფეში იყო, შტეტინის სადგურის განყოფილებაში წაიყვანეს. ქუჩაში ბატებივით დაწალიკებული მიაბიჯებდა ხალხი,

გაქნილი, თავხედი, უზრდელი, იფურთხებოდნენ, სიგარეტებს აბოლებდნენ, ბილწსიტყვაობდნენ. მიაბიჯებდნენ პოლიციელების თანხლებით, მსვლელობას კი წინ ყოფილი მეძავი, როგორც ყოველთვის საშინლად მთვრალი ვანდა გუბრიხი მიუძღოდა, მერე კი განყოფილებაში ჩვეული სკანდალი ატყდა, შეშინებული მიცი კი, იგივე სონია, ევას მკერდში თავჩარგული მოთქმით ტიროდა, რა ეშველება, ახლა ბერნაუში ხომ ყველა ყველაფერს გაიგებს! ერთმა აგენტმა მთვრალ ვანდას ხელიდან სიგარეტი გამოჰგლიჯა და ის უშვერი გინებ-გინებით საკანში თავისი ნებით შევიდა და კარი მიიჯახუნა.

ევა და მიცი ერთმანეთს უყურებენ. ევა თავის პროტეჟეს ისევ ჭკუას არიგებს:

- მიცი, ახლა ათი ყური და ათი თვალი უნდა გამოიბა.

- მაინც რა უნდა გავაკეთო? - წუწუნებს მიცი.

- შენი კაცია და თავად უნდა იცოდე, რაც უნდა გააკეთო!

- და თუ არ ვიცი?

- ნუ ღრიალებ, თუ

შეიძლება. ჰერბერტს კი

უხარია:

- მერწმუნეთ, ყმაწვილი კარგად გრძნობს თავს. მართალი გითხრათ, ძალიან მიხარია, რომ

ფრანცმა ბოლოს და ბოლოს საქმეს ხელი სერიოზულად მოჰკიდა. ეტყობა, ამაზე დიდხანს იფიქრა, ასჯერ აწონ-დაწონა და... ეგ ხომ გამოცდილი კაცია!

- ოჰ, ღმერთო ჩემო, ევა.

- ღრიალი შეწყვიტე, გითხარი შეწყვიტე-მეთქი, გესმის. ფრანცს ყურადღებას მეც მივაქცევ, - თქვა ევამ, გულში კი ფიქრობს: „არა, შენ ფრანცის ღირსი არა ხარ. არა ხარ მისი ტოლი და სწორი! მარტო ტირილი იცის ამ სულელმა, ნამდვილი ინდაურია! ერთი-ორ სილას სიამოვნებით გავაწნიდი!“

საყვირები! დაფდაფები! ბრძოლა ეშხშია შესული, ლეგიონები უტევენ, ტრარა, ტრარა, აქ არის არტილერია, კავალერია, ფეხოსნები, ცხენოსნები, ცაში თვითმფრინავები, ტრარა,

ტრარი, წინ,

ეკვეთეთ მტერს! ჩვენ მივაბიჯებთ მტრის ტერიტორიაზე! ასეთ შემთხვევებში ნაპოლეონი ამბობდა: ზემოთ მშრალია, ქვემოთ სველი! აქ კი წვიმამ გადაიღო, მოცოცავს ნისლი, გათენდება - ავიღებთ მილანს! მკერდზე ორდენს დაგვკიდებენ, რა კარგია ჯარისკაცის ბედი! ტრარი, ტრარა, ტრარი.

* * *

მიცის დიდხანს ღრიალი აღარ დასჭირდა და არც იმაზე თავის მტვრევა, რა უნდა ექნა. ყველაფერი თავისთავად მოგვარდა. რაინჰოლდი ხან თავის ოთახში ზის, ხანაც თავისი დახვეწილი საყვარლის ბინაში, ხან იმ მაღაზიაში შედის, სადაც პუმსი ნაქურდალ საქონელს ასაღებს. ფული და დასვენება მასზე სასიკეთოდ არ მოქმედებს, რას იზამ, ასეთი ადამიანია. როგორც კი ფული ხელში ჩაუვარდება, მაშინვე მოიწყენს ხოლმე! არც სვამს. ლუდხანაში ჯდომა და ყავის მოსატანად მაგიდიდან ბარამდე და ბარიდან მაგიდამდე ჩანჩალი და წვრილ-წვრილი საქმეების მოგვარება ურჩევნია. მაგიდასთან ზის, უსმენს, ირგვლივ რას ლაპარაკობენ და ბრაზი ახრჩობს. სადაც უნდა მივიდეს, პუმსთან თუ სადმე სხვაგან, ყველგან ფრანცს ხვდება, ამ რეგვენს, ცალხელა პირუტყვს. თავი დიდკაცურად უჭირავს. ეტყობა, არასაკმარისად მოხვდა. ახლა დიდკაცობასაც არ სჯერდება და პრეტენზია წმინდანობაზე აქვს. ისე იქცევა, თითქოს ცხოვრებაში ჭიანჭველასთვისაც არ დაუდგამს ფეხი და ბუზი არავისთვის აუფრენია! არა, ამ უნამუსოს ჩემგან რაღაც უნდა, რაღაც აქვს ჩაფიქრებული, ეს ისეთივე ცხადია, როგორც ორჯერ ორი ოთხია. მხიარული და კმაყოფილი დადის. აღარ შემიძლია, სიცოცხლე გამიმწარა, საკმარისია, ხელი რამე საქმეს მოვკიდო, ეგეც მაშინვე იქ ჩნდება. დროა, ჭკუა ვასწავლო, დროა.

და რას აკეთებს ფრანცი? ვინ, ფრანცი? აბა, რას უნდა აკეთებდეს. დააბიჯებს ამ ქვეყანაზე, არავის ერჩის, შეხედავ და მოარული უშფოთველობის განსახიერებაა. რაც უნდა მოხდეს ან შეემთხვეს, აინუნშიაც არ აგდებს. ხომ არსებობენ ასეთი აუღელვებელი ადამიანები, ისინი ძალიან იშვიათად გვხვდებიან, მაგრამ არიან.

აი, პოტსდამში თუ პოტსდამთან ახლოს ერთი ასეთი კაცი ცხოვრობდა, მას მოგვიანებით „ცოცხალი ლეშიც“ კი შეარქვეს. ვინმე ბორნემანი. ჰოდა, ამ კაცმა ერთი ოინი ჩაიდინა და იგი, ასე ვთქვათ, მიმოქცევიდან ამოიღეს. 15 წელი მიუსაჯეს და იჯდა კატორღაში. იჯდა, იჯდა, მერე ადგა და გაიქცა. მაპატიეთ, ეს კაცი პოტსდამიდან კი არა,

ანკლამიდან იყო. ანკლამთან ახლომდებარე ერთი პატარა დასახლება გორკედან. ჯდომით კი, ნოიგარდში იჯდა. ჰოდა, აი, ნოიგარდიდან შინ მიმავალი შპრეეს ნაპირზე აღმოჩნდა და რას ხედავს: წყალს დამხრჩვალი კაცი მოაქვს. და აი, ნოიგარდელმა ბორნემანმა იფიქრა, ამ ქვეყნისთვის მე ხომ ისედაც მკვდარი ვარო და დამხრჩვალის საბუთები აიღო, თავისი კი მკვდარს ჩაუდო: ახლა იგი გარდაცვლილად ოფიციალურად ითვლებოდა. ქმრის გარდაცვალება რომ შეატყობინეს, თქვა ცოლმა: „რა ვქნა, ღმერთმა მომცა და ღმერთმა წაიყვანა. ეგ დიდი უბედურება არ არის. ნახევარი ცხოვრება ისედაც ციხეში იჯდა. ასე რომ, ჯანდაბამდე ჰქონია გზა“. მაგრამ ბორნემანი, ოტო ერქვა, ხომ არ მომკვდარა. ცოცხალმა და ჯანმრთელმა ანკლამამდე ჩააღწია და მდინარესთან ახლოს დასახლდა, წყალი ხომ ადრეც უყვარდა და თევზით ვაჭრობა დაიწყო. ყიდის თევზს და იმ არემარეში ფინკეს სახელით იცნობენ. ბორნემანმა კი თქვენი ჭირი წაიღო, მაგრამ მაინც დაიჭირეს, როგორ, ამას ახლა გაიგებთ, ოღონდ სკამზე მაგრად დაჯექით, არ გადმოვარდეთ.

არ დაიჯერებთ და მისი გერი, ანუ წარსულში ბორნემანის და ახლა ფინკეს პირველი ცოლის ქალიშვილი, თითქოს ამ უზარმაზარ ქვეყანაში სხვა ადგილი არ მოიძებნებოდა, რატომღაც სწორედ მიყრუებულ ანკლამში ჩავიდა და იქ ერთ ოჯახს მოსამსახურედ დაუდგა. გერმა, რა თქმა უნდა, მკვდრეთით აღმდგარი მამინაცვალი მაშინვე იცნო. ხოლო ფინკემ კი, რომელიც აქ იმდენი ხანია უკვე ცხოვრობს, რომ ნოიგარდი კიდევაც დაავიწყდა, რაღა თქმა უნდა, აწ დაქალებული, გაზრდილი გოგონა ვერ იცნო. და მის შეკითხვაზე, უკაცრავად, თქვენ მამაჩემი ხომ არ ბრძანდებითო, გაოგნებულმა ფინკემ შეიცხადა: რას ამბობ, შენ ხომ არ გაგიჟდიო?! შვილობილმა არ დაუჯერა. მაშინ კაცმა თავის ცოლსა და ხუთ შვილს დაუძახა და მათაც ერთხმად დაადასტურეს, რომ თევზის გამყიდველი ფინკე, ნამდვილად ფინკეა, ოტო ფინკე და მას მთელი სოფელი იცნობს. ბორნემანი კი დიდი ხნის წინ მოკვდა, წყალში დაიხრჩო. გერი კი, მიუხედავად იმისა, რომ ფინკეს მისთვის ცუდი არაფერი გაუკეთებია, მაინც არ მოეშვა. წავიდა, მაგრამ მამინაცვალზე ფიქრი არ ასვენებს, აბა, ქალებს რას გაუგებ, ჰოდა, ბერლინში, კრიმინალურ პოლიციაში წერილი გაგზავნა: „ბატონ ფინკესგან თევზი რამდენჯერმე ვიყიდე. გარწმუნებთ, იგი ჩემი მამინაცვალია, მაგრამ არ აღიარებს. დედაჩემს ღალატობს, რადგან სხვა ქალისგან ხუთი შვილი ჰყავს“.

ეს ამბავი ბავშვებისთვის სავალალოდ დამთავრდა: მართალია, პატარებს სახელები იგივე დაუტოვეს, მაგრამ გვარი - არა! ხუთივე ბავშვი დედის გვარზე გადაიყვანეს. დედის ქალიშვილობის გვარი კი ჰუნდტი, თანაც ბოლოში „დტ“-თი აღმოჩნდა. ასეთი სამარცხვინო გვარი არ აკმარეს და ბავშვები უკანონო შვილების სიაშიც შეიტანეს, რამეთუ სამოქალაქო კოდექსის

თანახმად, „კანონიერი ქორწინების გარეშე შეძენილი შვილი და მისი მამა ნათესავებად არ ითვლებიან“.

დიახ, ჩვენი ფრანციც იმ ფინკესავით ცხოვრობს და ყურებს არ იბერტყავს, სიმშვიდის განსახიერებაა და ომი არავისთან უნდა. ეცა მძვინვარე მხეცი და ხელი მოაჭამა, მაგრამ მერე მან მხეცი მოათვინიერა და ეგ მხეცი ახლა არც ჭამს, არც სვამს, ღრიალებს და მუცელზე ხოხავს. ფრანცის მეგობრებიდან ვერავინ ხედავს, როგორ მოათვინიერა მხეცი, ეს მხოლოდ ერთმა კაცმა იცის. მაგრამ იგი დუმს. ფრანცი მტკიცე ნაბიჯებით დადის, უნიჭო თავს ამაყად დაატარებს, ცხოვრობს, როგორც ესმის და უნდა, სხვებისგან განსხვავდება და სინდისიც სუფთა აქვს. მაგრამ არის ერთი ადამიანი, რომლისთვისაც ფრანცს კარგი თუ არა, ცუდი ნამდვილად არ გაუკეთებია. და რომელიც ყოველჟამს იმეორებს: „ამ კაცს ჩემგან რა უნდა? არა, ამ კაცს ჩემგან რა უნდა“. ისე ამ კაცს რატომ უნდა აღელვებდეს, რომ ფრანცს ძლიერი ფეხები და ხარივით კისერი აქვს, კიდევ ჯანსაღი ძილი? აქვს და ჰქონდეს! მაგრამ არა, ამ კაცს ეს ყველაფერი აღიზიანებს, მოსვენებას უკარგავს! ფრანცს ამას არ შეარჩენს, არ აპატიებს! და რა მოხდება მერე? მან ამას პასუხი უნდა გასცეს. და როგორ?

ისე, როგორც ქარი გააღებს ჭიშკარს და სადგომიდან შეშინებული ჯოგი გამოვარდება, ისე, როგორც მძვინვარე ლომი აბეზარ ბუზს თათით გასრესს და იღრიალებს, იღრიალებს შემაძრწუნებლად და საზარლად.

ისე, როგორც ზედამხედველი ერთ პატარა გასაღებს ერთ პატარა ჭუჭრუტანაში შეარჭობს, წკაპ, კარი გაიღება და მოძალადეთა, მძარცველთა, მკვლელთა ბრბო გარეთ გამოვარდება.

* * *

რაინჰოლდი თავის ოთახში წინ და უკან დააბიჯებს, ან პრენცლაუერტორთან ახლომდებარე ლუდხანაში ზის და ფიქრობს ასეც, ისეც, იმაზე, ამაზე, გეგმებს აწყობს და ერთ დღეს გაიგებს, რომ ფრანცი მეთუნუქე კლემპნერთან ერთად ახალი საქმისთვის საჭირო ადგილების დასაზვერად არის წასული და რაინჰოლდი მიცისთან მიდის. ეჰ, რაც არის, არის!

მიცი კი რაინჰოლდს არ იცნობს, მეტიც, თვალითაც არასოდეს უნახავს. თუმცა, კაცი

სანახავად არც ისე მიმზიდველია და ქალს ამით არც არაფერი დაუკარგავს. თუმცა, გააჩნია, ამ სახეს ვინ როგორ შეხედავს.

მიცი კი ამ ადამიანის სახეს დღეს პირველად იხილავს, თუმცა მის სახეში სახილველი არც არაფერია. მიცი, შენ მართალი ხარ, მაგრამ გააჩნია, ვინ რა თვალით შეხედავს. ოდნავ დამწუხრებული სახე, უხალისო, ოდნავ ავადმყოფური და ძალიან ყვითელი, მაგრამ მასში რაღაცა მაინც არის.

მაგრამ ამ კაცს კარგად შეხედე, ხელი ჩამოართვი და რაც მთავარია, მის სახეს დააკვირდი. მიციკენ, ეს სახე შენთვის ამქვეყნად ყველა სხვა სახეზე მნიშვნელოვანია, გაცილებით მნიშვნელოვანი, ვიდრე ევასი და თუნდაც შენი საყვარელი ფრანცისა. იგი ახლა კიბეზე ამოდის და სულ მალე კარზე დაგიკაკუნებს. დღე არის ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული, ხუთშაბათი, 3 სექტემბერი, აბა, შემომხედე, მიცი, ნუთუ ვერაფერს გრძნობ, წინათგრძნობა არა გაქვს, ვერ ხვდები, ბედისწერა რას გიმზადებს?

შენი ცხოვრება როგორ წარიმართება, პატარა ბერნაუელო მიცი? ახალგაზრდა ხარ, ფულს კარგად გიხდიან, შენი ფრანცი გიყვარს. აი, ამიტომაც ამოვიდა კიბეზე, შენ წინ დადგა და ხელს გართმევს ფრანცის ბედისწერა. დღეიდან ეს შენი ბედისწერაც არის. ამ კაცს სახეზე დიდხანს ნუ მიაშტერდები, არ ღირს, ჯობს, ხელებზე დახედო. რა? არაფერი განსაკუთრებული, ორი ხელთათმანწამოცმული უჩინარი ხელი.

რაინჰოლდს თავისი საუკეთესო კოსტიუმი აცვია. მიცი მოულოდნელობისგან დაიბნა, არ იცის, სტუმართან თავი როგორ დაიჭიროს, ფრანცმა ხომ არ მომიგზავნა ან იქნებ ეს ფრანცის კიდევ ერთი ნომერია? არა, შეუძლებელია! ეჭვი და უხერხულობა რაინჰოლდმა განმუხტა: ფრანცმა ჩემი ვიზიტის შესახებ არ უნდა გაიგოს, იგი ხომ ძალიან ეჭვიანია. თქვენთან მინდოდა ლაპარაკი. საქმე ის არის, რომ ფრანცთან მუშაობა ყველას, მათ შორის, მეც, გვიჭირს. რაც უნდა იყოს, ცალხელაა და ყველას გვაინტერესებს, მუშაობა ასე ძალიან სჭირდება?

მაშინ კი მიხვდა მიცი, რაინჰოლდს საუბარი საითაც მიჰყავდა და ისიც გაახსენდა, ფრანცის გეგმებზე რაც ჰერბერტმა თქვა.

- არა, მართალი გითხრათ, ფულის საშოვნელად ქუჩა-ქუჩა სირბილი ფრანცს არ სჭირდება, რადგან არიან ადამიანები, რომლებიც ყოველთვის დაეხმარებიან. მაგრამ

ფრანცს უფრო მეტი უნდა, იგი მამაკაცია და უსაქმოდ ჯდომა არ შეუძლია.

- მაგაში მართალი ხართ, კაცი უსაქმოდ არ უნდა იჯდეს, მაგრამ ჩვენი სამუშაო ძნელია, ძალიან ძნელი. ჩვენთან მუშაობა ორხელიანებსაც უჭირთ.

ილაპარაკეს აქეთურზე, იქითურზე. საწყალი მიცი ვერ ხვდება, ამ კაცს რა უნდა. მერე რაინჰოლდმა ერთი ჭიქა კონიაკი დამისხიო, სთხოვა მიცის, მას ხომ მხოლოდ ფრანცის ფინანსური მდგომარეობის გაგება აინტერესებდა და თუ საქმე ისეა, როგორც მიცი ამბობს, მაშინ რა თქმა უნდა, იგიც და სხვა კოლეგებიც ფრანცს მუშაობაში ხელს შეუწყობენ. რაინჰოლდმა ერთი ჭიქა გადაკრა, მეორე დაისხა და ეკითხება:

- ფროილაინ, თქვენ, ალბათ, მიცნობთ, ფრანცს თქვენთვის ჩემზე არაფერი უთქვამს?

- არა, - პასუხობს მიცი და ერთი კითხვა აწვალებს, ამ კაცს რა უნდა? აფსუს, აქ ევა არ არის, თორემ ის მაშინვე მიხვდებოდა ამ კაცის მოსვლის ნამდვილ მიზეზს.

- მე და ფრანცი დიდი ხნის ნაცნობები ვართ. იმ დროიდან, როცა მას სხვა გოგო ჰყავდა, ცილი ერქვა. და არა მხოლოდ ის, მის ცხოვრებაში სხვა ბევრიც იყო.

აჰ, აი, თურმე რა, ჩემთან ფრანცის დამცირება უნდა. ეტყობა, კაცი ჭკუაზე ვერ არის!

- მერე რა, რომ ჩემამდე სხვები ჰყავდა? მეც მყავდა ფრანცამდე სხვა კაცი, მაგრამ ახლა ერთად ვართ და ერთმანეთი გვიყვარს, ფრანცი ჩემია!

ერთმანეთის პირდაპირ სხედან: რაინჰოლდი დივანზე, მიცი სკამზე და მშვიდად საუბრობენ.

- რა თქმა უნდა, თქვენია. იქნებ გგონიათ, ფროილაინ, თქვენთვის ფრანცის წართმევა მინდა. ეგ არც იფიქროთ. ისე, ჩვენს ურთიერთობაში ბევრი რამ თავშესაქცევი და საჩოთირო ყოფილა. თქვენთვის არაფერი უამბია?

- საჩოთირო, კერძოდ, რა?

- ბევრი რამ. იცით, ფრანცი ჩვენს კომპანიაში მე მივიყვანე. ხოლო, რაც შეეხება საჩოთირო ისტორიებს, ჩვენ ამაზე არ ვლაპარაკობთ. ისე კი, თუ თქვენი სურვილიც იქნება, შემიძლია თავშესაქცევი ამბები გიამბოთ.

- მართლა? თქვენ აქ ჯდომისა და რაღაც ამბების მოყოლის გარდა, სხვა საქმე არა გაქვთ?

- აჰ, ფროილაინ, ხანდახან მამა ღმერთიც ისვენებს ხოლმე და მით უმეტეს, ჩვენ,

ჩვეულებრივ მოკვდავებს გვაქვს დასვენებისა და მოლხენის უფლება.

- დარწმუნებული ვარ, მზად ხართ სამუშაო დღეებშიც
დაისვენოთ. გაიცინეს.

- იცით, ამაში მართალი ხართ, ვცდილობ, ძალა დავზოგო. სიზარმაცე სიცოცხლეს აახალგაზრდავებს. ხანდახან ერთობ დიდი ძალის დახარჯვა მიწევს.

- ეკონომია უნდა გასწიოთ, - ღიმილით ამბობს მიცი.

- ამ ცხოვრებაში კარგად ერკვევით, ფროილაინ, მაგრამ იცით, ერთი რასაც აღწევს, ვერ აღწევს მეორე. ჰოდა, იცოდეთ, ფროილაინ, მე და ფრანცი ერთმანეთში ქალებს ვცვლიდით ხოლმე. ამაზე რას იტყვით? - თავი გვერდზე გადასწია, სირჩიდან კონიაკს წრუპავს და იცდის, ეს პატარა არსება რას იტყვის. ლამაზი გოგოა, მალე ჩვენი იქნება. მაგრამ ხელში როგორ ჩავიგდოთ?

- ქალების გაცვლა-გამოცვლისა და სხვა მაგდაგვარი ამბები ბებიათქვენს მოუყევით. ვიღაც მეუბნებოდა, ახლა რუსეთში ქალების გაცვლა-გამოცვლა მოდურიაო. შემთხვევით იქიდან ხომ არა ხართ? ჩვენთან კი მსგავსი ამბები არ ხდება.

- მაგრამ დამიჯერეთ, ეს სიმართლეა.

- სისულელეა და სხვა არაფერი!

- ფრანცს ჰკითხეთ და გეტყვით!

- წარმომიდგენია, რა ქალები იქნებოდნენ. ალბათ, ორმოცდაათპფენიგიანები ღამის სათევიდან.

- ფრთხილად, ფროილაინ, ფრთხილად! ჩვენ ეგეთი ქალები არ გვაინტერესებს.

- მითხარით, თუ შეიძლება, ამდენ სისულელეს რატომ ლაპარაკობთ და ამით რის მიღწევას ცდილობთ?

ერთი ნახეთ, რა ფრთხილია, თანაც უმშვენიერესი და თავისი ფრანციც ძალიან უყვარს, მით

უკეთესი.

- მე? რისი მიღწევა უნდა მინდოდეს, ფროილაინ? თქვენგან რაღაც-რაღაცების გაგება მინდოდა. ეს პირადად ბატონმა პუმსმა დამავალა. ახლა კი ნება მომეცით, დაგემშვიდობოთ! სიტყვამ მოიტანა და იქნებ ერთ საღამოს ჩვენც გვეწვიოთ!

- რისთვის, ეგ თქვენი სისულელეები კიდევ ერთხელ რომ მოვისმინო?

- კარგი, რა, მეგონა, ჩემი და ფრანცის ქალების ამბავი თქვენ უკვე იცოდით. კეთილი, ამაზე მოვრჩეთ, ახლა კიდევ ისევ საქმეზე: პუმსმა გთხოვათ, რომ ჩვენი საუბარი ფულსა და სხვა რაღაცებზე საიდუმლოდ შეინახოთ. ფრანცს ხელს რომ შეახსენებენ ხოლმე, ძალიან ბრაზდება. არ არის საჭირო, კიდევ ერთხელ გააბრაზოთ, ამიტომ იმედია, არაფერს ეტყვით. ჯერ მინდოდა რაღაც- რაღაცები თქვენი მეზობლებისგან გამეგო, მერე კი, ვიფიქრე, რა საჭიროა ამ საქმის ასე გასაიდუმლოება. ალბათ, მიცი სახლშია, ავალ და ყველაფერს პირდაპირ ვკითხავ-მეთქი.

- ანუ ფრანცს არაფერი ვუთხრა?

- დიახ, ასე აჯობებს. მაგრამ თუ გინდათ, უთხარით. ამას ვერ აგიკრძალავთ. ერთი სიტყვით, როგორც გნებავთ, აბა, ნახვამდის!

- საით წახვედით, კარი მარჯვნივ არის.

მართლაც დიდებული ქალია, მალე ჩვენი გახდება. ფუი, ეშმაკს, თვალი არ ეცეს! წავიდა, პატარა მიციკენი კი ოთახში მაგიდასთან ზის და არაფერი ესმის, ვერაფერი იგრძნო, ვერაფერს მიხვდა.

მერე ცარიელ ჭიქას შეხედა და რაღაც გაიფიქრა. რა, დაავიწყდა. ჭიქა აიღო. კარადაში დადგა. აზროვნების უნარი დაკარგა. იმ ტიპმა ნერვები ამიშალა, მაკანკალებს. რას ჰყვებოდა? რატომ, რის მიღწევას ცდილობდა? ჭიქას შეხედა, ჭიქა კარადაში მარჯვენა მხარეს, ბოლოში დგას. მიცის კი აკანკალებს. სკამზე ჯდება, დივანს უყურებს, სადაც ცოტა ხნის წინ ის თავხედი იჯდა. გული გამალებით უცემს, მთელი სხეული უკანკალებს. არა, ფრანცი ეგეთი ღორი არ არის, ქალების გაცვლა-გამოცვლას არ იკადრებდა. აი, რაინჰოლდს კი ამის გაკეთება ნამდვილად შეუძლია, მაგრამ ფრანცს არა, თუმცა, არავინ იცის! და თუ ეს სიმართლეა? ფრანცს ხომ ნებისმიერი ადამიანი მოატყუებს.

ფრჩხილებს იკვნეტს. და თუ ეს სიმართლეა; მაგრამ ფრანცი ხომ ცოტათი სულელია, ყველა, ყველაფერს გააკეთებინებს. მანქანიდან ამიტომაც გადმოაგდეს. ჰო, აი, ასეთ ადამიანებთან მეგობრობს ფრანცი. ეს უსირცხვილო ადამიანების კომპანიაა.

მიცი ფრჩხილებს იკვნეტს და იკვნეტს. ევას ვუთხრა? არ ვიცი, იქნებ არ ღირს. ფრანცს ვუთხრა? იქნებ არ ღირს. არა, არავის ვეტყვი. თითქოს ჩემთან არც არავინ მოსულა.

უცებ შერცხვა, ხელები მაგიდაზე დააწყო, საჩვენებელ თითზე იკბინა. შვებას ვერაფერში პოულობს, ყელი ეწვის. და რა მეშველება, თუ მეც ასე მომექცევიან, მეც რომ გამყიდონ?

ეზოში არღნის ხმა გაისმა, მეარღნე ამღერდა: „გული ჰაიდელბერგში დავკარგე“. ოჰ, გული მეც დავკარგე და ახლა გულის ნაცვლად მკერდში სიცარიელე მაქვს. რა მეშველება, ტალახში ამომსვრიან, მიცი ატირდა, მე კი წასასვლელი არსად მაქვს. არა, ამას ჩემი ფრანცი არ გააკეთებს, რუსი ხომ არ არის, რომ ქალების გაცვლა-გამოცვლა დაიწყოს. ეს ყველაფერი სისულელეა!

მიცი ღია ფანჯარასთან დგას, ცისფერი კუბოკრული ხალათი აცვია, მეარღნეს ხმას უწყობს: „ჰაიდელბერგში გული დავკარგე (ეგ ადამიანები ყველანაირ საზიზღრობას ჩაიდენენ, სწორად მოიქცევა, თუ მათ ამხელს), ერთ წყნარ ზაფხულის ღამეს (ფრანცი სად დაიკარგა) კიბეზე გავალ, იქ დაველოდები) ტურფა გოგო შემიყვარდა (არა, არაფერს ვეტყვი, ასეთი საზიზღრობის თქმასაც კი ვერ გავბედავ. ჰო, ერთ სიტყვასაც არ ვეტყვი, ფრანცი კი ისე ძალიან მიყვარს, ახალ კოფთას ჩავიცვამ და ისე დავხვდები). იცინის და ვარდი სცვივა ბაგეთგან, და როცა ერთმანეთს კართან ვემშვიდობებოდით, ბოლო კოცნის დროს, ნათლად მივხვდი (ჰერბერტი და ევა მართალს ამბობენ, ამ კომპანიამ რაღაც იყნოსა და ჩემგან უნდათ იმის გაგება, მართლა ასეა თუ არა, მაგრამ ამაოდ ცდილობენ, ჩემგან ვერაფერს გაიგებენ), რომ გული ჰაიდელბერგში დავკარგე, გული ჩემი, იგი ნეკარის სანაპიროზე ძგერს.

წელს მოსავალს კარგი პირი უჩანს, მაგრამ კაცმა სისულელით შეიძლება ბევრიც დაკარგოს

დადის ამ დედამიწაზე ფრანცი: დააბიჯებს და თავად სიმშვიდისა და უწყინარობის

განსახიერებაა. გადმოაგდონ საიდანაც უნდათ, კი, ბატონო, მაინც ფეხებით დაეცემა, გასწორდება

და გზას გააგრძელებს. დადის: ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად. აი, პოტსდამში თუ ანკლამთან ახლოს პატარა დასახლება გორკეში მისი მსგავსი ადამიანი, ვინმე ბორნემანი, ცხოვრობდა. იგი კატორღიდან გაიქცა, მდინარე შპრეემდე მივიდა, დადგა ნაპირთან და ხედავს: წყალს მიცვალებული მოაქვს.

- მოდი, ფრანც, გვერდით მომიჯექი, მითხარი, შენს საცოლეს რა ჰქვია?

- ერთხელ ხომ გითხარი, რაინჰოლდ, რომ მიცი ჰქვია, ადრე კი სონია ერქვა.

- მერე გაგვაცანი, რა! თუ ისეთი ლამაზია, რომ ავ თვალს არ დაენახვება? თუ ჩვენ მისთვის შესაფერისი საზოგადოება არა ვართ.

- ეგზოტიკური ცხოველი კი არ არის, ქუჩა-ქუჩა ვატარო და ხალხს ვაჩვენო! ჩაკეტილი არა მყავს, ერთი მდიდარი მოხუცი მფარველობს და ანაზღაურებაც კარგი აქვს.

- გვანახვე მაინც!

- რას ნიშნავს, განახვო, რაინჰოლდ. გოგონას ისედაც ბევრი საქმე აქვს.

- ხომ შეგიძლია აქ ერთხელ მაინც რომ მოიყვანო, კარგი იქნებოდა.

- ჰო, შეიძლება.

- ძალიან მინდა ვნახო, ამბობენ, ძალიან ლამაზიაო.

- იცი, რას გეტყვი, რაინჰოლდ, ეგეთ რაღაცებს შეეშვი, ადრე ასეთ საქმეებში ერთად გავდიოდით, ხომ გახსოვს, შტიბლეტები, ბეწვის საყელო.

- რაც იყო, იყო. ეგ ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდა.

- ჰო, ეგრეა. მაგისთანა საზიზღრობას აღარასოდეს გავაკეთებ.

- კარგი, დამშვიდდი, უბრალოდ შეგეკითხე (ერთი ამ ვიგინდარას დამიხედეთ, საზიზღრობასო, ამბობს, დამაცადე, მე შენ გაჩვენებ სეირს, შე ცალხელა ღორო!).

მივიდა ბორნემანი მდინარესთან და რას ხედავს: წყალს მიცვალებული მოაქვს. იგი საკმაოდ გონიერი კაცი იყო და მაშინვე მიხვდა, რაც უნდა გაეკეთებინა: მკვდარი მდინარიდან ამოათრია, ჯიბიდან საბუთები ამოუღო და შიგ თავისი საბუთები ჩაუდო. რა, ეს უკვე გიამბეთ? მაპატიეთ, მეხსიერების ბრალია. ჰო, ბორნემანმა დამხრჩვალი იქვე დაგდებულ ხის მორზე მიაბა, რომ მდინარეს ისევ არ წაეღო, მისი

საბუთები ჯიბეში ჩაიდო, თავის მხსნელ გვამს დამშვიდობების ნიშნად ხელი დაუქნია და წავიდა. ჯერ შტეტინში ჩავიდა, იქიდან კი ბერლინში გაემგზავრა, იქ ერთ-ერთი კაფედან თავის ცოლს - ბორნემანისას დაურეკა, აქა ვარ და სასწრაფოდ მოდიო, უთხრა. ქალმა მას ფული და ტანსაცმელი მიუტანა, მერე ცოლს ყურში რაღაც ჩასჩურჩულა, მერე გაშორდა, სამწუხაროდ, სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ქალი დაჰპირდა, გვამს ამოვიცნობო, კაცი კი დაჰპირდა, ფულს თუ ვიშოვი, აუცილებლად გამოგიგზავნიო და იქიდან სასწრაფოდ გაუჩინარდა, რომ გვამი ვინმე სხვას, მის ბედში მყოფს არ ეპოვა.

- ფრანც, მითხარი, ის გოგო ძალიან გიყვარს?

- თავი დამანებე, რას გადამეკიდე. გოგოების გარდა, სხვა სალაპარაკო არა გაქვს?

- რა, რომ მითხრა, ამით შენ რა დაგაკლდება?

- რაინჰოლდ, არ მომწონს, ასე რომ გადამეკიდე, შენ ხომ ცნობილი მექალთანე ხარ!

ფრანცმა გაიცინა, რაინჰოლდმაც.

- აბა, ფრანც, შენს გოგოს გამაცნობ თუ არა?

(დიდი მლიქვნელი ვინმეა ეს რაინჰოლდი, ჯერ მანქანიდან გადმომაგდო, ახლა კი ძაღლივით მელაქუცება).

- რაინჰოლდ, იმ გოგოსგან მაინც რა გინდა?

- რა უნდა მინდოდეს, არაფერი! უბრალოდ, მისი ნახვა მინდა.

- გინდა ნახო, ვუყვარვარ თუ არა? მაშინ გეტყვი, რომ მთელი გულით ვუყვარვარ. ის მართლაც რომ სიყვარულისთვის არის შექმნილი. ჩემ გარდა, არავინ აინტერესებს. ძალიან ერთგულია, თანაც ისეთი მხიარული, რას არ იგონებს. არ დაიჯერებ და, ევას ხომ იცნობ?

- ვიცნობ. მერე რა?

- ჰოდა, მიცის უნდა, რომ ევამ... არა, არა, ნამდვილად ვერ გეტყვი.

- ჰა, ამოღერღე, ბოლოს და ბოლოს.

- არა, უბრალოდ არ დაიჯერებ, რაინჰოლდ, ცხოვრებაში მსგავსი არაფერი მსმენია!

- თქვი, რა შუაშია ევა?

- კარგი, მაგრამ იცოდე, არსად წამოგცდეს, აი, ამ გოგონა მიცის უნდა, რომ ევამ ჩემგან შვილი გააჩინოს!

ბუმ. სხედან და ერთმანეთს უყურებენ. ფრანცი შუბლში იტკეცს ხელს და წამოდგება. რაინჰოლდი იცინის, იცინის, კვდება სიცილით.

კაცი ფინკეს გვარით გორკეში ჩადის და თევზით ვაჭრობას იწყებს. და აი, ერთ მშვენიერ დღეს იქ მისი გერი ჩადის და რომელიღაც ოჯახს მოსამსახურედ დაუდგება. მიდის ერთხელ ეს გერი ჩანთით ხელში თევზის საყიდლად, შედის ფინკეს ფარდულში და ამბობს...

რაინჰოლდი იცინის, იცინის, მერე სიცილი შეწყვიტა და სერიოზული სახით ეკითხება:

- იქნებ შენს გოგოს ქალები უყვარს?

ფრანცი ერთადერთ ხელს ბარძაყზე ირტყამს:

- არა, იმ გოგოს მე ვუყვარვარ!

- ღმერთო, ახლა ვირწმუნე, რომ ამქვეყნად სასწაულებიც ხდება!

(ამ კაცს ხელში განძი ჩავარდნია, ეს რეგვენი კი ზის აქ და იკრიჭება).

- მერე ამაზე ევა რას ამბობს?

- რა უნდა თქვას? ისინი ხომ დიდი ხნის მეგობრები არიან, მიცი ევამ მოიყვანა ჩემთან.

- დაგლიჯე, ფრანც, მაგრად დამაინტრიგე! ოცი მეტრიდან მაინც დამანახვე ეგ შენი მიცი, თუ ასე ძალიან გეშინია, მაშინ ღობის მეორე მხრიდან.

- არა, შენი ნამდვილად არ მეშინია. მიცი ჩემი ერთგულია, თანაც ისეთი ლამაზი. ნამდვილი წმინდა წყლის ბრილიანტია! გახსოვს, გეუბნები ამ ქალების გაუთავებელ ცვლას შეეშვი-მეთქი. ხან ერთთან ხარ, ხან მეორესთან. ეს, ძმაო, ჯანმრთელობისთვის

საზიანოა, განა რა ნერვები უნდა გქონდეს, რომ ამას გაუძლო, ხომ შეიძლება ერთხელაც ისეთი შეგხვდეს, რომ რამე ავადმყოფობა აგკიდოს. დროა, დადინჯდე, თორემ ცუდად წავა შენი საქმე. თუ ღმერთმა დაგიფარა და ვენერიული აგაშორა, ფსიქიატრიულში მოხვედრა გარანტირებული გაქვს... კარგი, რაინჰოლდ, თანახმა ვარ. მიცის გაჩვენებ, აი, ნახავ და მიხვდები, რომ მართალი ვარ.

- მაგრამ ისე, რომ იმან არ დამინახოს.

- რატომ?

- რა ვიცი, არ მინდა, რომ დამინახოს, მეც არ ვიცი, რატომ.

- იყოს ნება შენი! ასე ჯობს კიდევაც.

დღის 3 საათი. ფრანცი და რაინჰოლდი ქუჩაში მიდიან. „მინანქრის აბრები, ნებისმიერი ფორმის“,
„მინანქრის ჭურჭელი“, „გერმანული და ნამდვილი ირანული ხალიჩები, 12-თვიანი განვადებით“,
„სუფრები, ხელსაწმენდები, დალიანდაგებული საბნები, შტორები და ფარდები - სავაჭრო სახლი
„ლაიზნერი და კომპანია“, „იკითხეთ ჟურნალი „მოდა ყველასთვის“, თუ ყიდვა არ გინდათ, გამოიწერეთ, მოითხოვეთ, სახლში უფასოდ მოგართვან“, „ფრთხილად, მაღალი ძაბვაა!“ ფრანცს რაინჰოლდი თავის სახლში მიჰყავს.

ახლა ჩემთან, სახლში მოდიხარ, ნახავ, როგორ ვცხოვრობ, იცი, კარგად ვცხოვრობ, თავსაც კარგად ვგრძნობ, უიარაღოდ ვერ დაგამარცხებ, შენი თვალით უნდა ნახო, რა კაცია ფრანც ბიბერკოპფი.

- ჩუმად შემოდი, შევიხედავ, მიცი სახლშია თუ არა. არა, ჯერ არ მოსულა. აი, ნახე, აქ ვცხოვრობ, მიცი მალე მოვა. ასეთ გოგოს, თეატრშიც ვერ ნახავ, იცოდე, ხმა არ ამოიღო, მხოლოდ უყურე!

- კარგი, არ ამოვიღებ!

- იცი, მე მგონი, უფრო კარგი იქნება, თუ საწოლზე დაწვები, საწოლით დღისით არ ვსარგებლობთ. მე კი ვიზრუნებ, რომ მიცი საწოლს არ მოუახლოვდეს. ფარდა

მარმაშის არის, ყველაფერს დაინახავ. აბა, დაწექი, კარგად ხედავ?

- საკმაოდ კარგად. მაგრამ ფეხსაცმელები ხომ უნდა გავიხადო.

- მართალი ხარ. შენს ფეხსაცმელებს დერეფანში გავიტან, თუ წახვალ, იცოდე, იქ იქნება!

- ფრანც, ოღონდ იცოდე, აქ რამე უსიამოვნება არ უნდა მოხდეს.

- შეგეშინდა? მე კი არ მეშინია, თუნდაც რამე შეამჩნიოს. შენ არ იცი, ჩემი მიცი რა გოგოა!

- მაგრამ არ მინდა, რომ დამინახოს!

- დაწექი, ამდენს ნუ ლაპარაკობ, სადაც არის, მოვა.

„მინანქრის აბრები“, „მინანქრის ჭურჭელი“, „სამამულო წარმოების ნოხები და ხელით ნაქსოვი ნამდვილი ხორასნული ხალიჩები, მოითხოვეთ სახლში უფასოდ მიტანით“.

* * *

შტეტინში კი სისხლის სამართლის პოლიციის კომისარი ბლუმი გოგონას ეკითხება:

- ამ კაცს საიდან იცნობთ? რა განსაკუთრებული ნიშნებით იცანით იგი?

- ეგ კაცი ხომ ჩემი მამინაცვალია.

- კარგი. გორკეში თქვენთან ერთად ჩვენც წამოვალთ. და თუ ის მართლაც გაქცეული კატორღელია, როგორც ამბობთ, მაშინვე დავიჭერთ.

* * *

როგორც კი შემოსასვლელი კარის საკეტი გაჩხაკუნდა, ფრანცი დერეფანში გავარდა:

- რა იყო, შეგეშინდა, მიცი? პატარავ, არ მელოდი? ეს მე ვარ, შემოდი, შემოდი, ოღონდ საწოლზე არაფერი დადო. იქ შენთვის პატარა სიურპრიზი მაქვს მომზადებული.

- მაშინ ახლავე ვნახავ, რა?

- მოიცა, ჯერ ფიცს დადებ. ხელი ასწიე, ისე, როგორც ამას ფიცის დადების დროს აკეთებენ. რასაც ვიტყვი, გაიმეორე: „ვფიცავ“.

- ვფიცავ...

- რომ საწოლთან არ მივალ,

- რომ საწოლთან არ მივალ...

- სანამ არ გეტყვი...

- სანამ საწოლთან არ მივირბენ...

- სდექ, სდექ, კიდევ ერთხელ, თავიდან, ვფიცავ...

- ვფიცავ, რომ საწოლთან არ მივალ...

- სანამ მე თვითონ არ დაგაწვენ...

აქ მიცი გაჩუმდა, მერე ფრანცს კისერზე ჩამოეკიდა და გაინაბა. გრძნობს ფრანცი, რომ მიცის რაღაც აწუხებს, არა, დღეს არაფერი გამოვა. მიცის კარის მიმართულებით ხელი ჰკრა. მისი გარეთ გაყვანა უნდა. მაგრამ გოგონა გაჩერდა:

- ნუ გეშინია, საწოლთან არ მივალ.

- რა ხდება, მულეკენ? ჩემს ფისუნიას რა დაემართა?

მიციმ ფრანცს ხელი მოჰკიდა და დივანთან მიიყვანა. ჩამოსხდნენ, ერთმანეთს გადაეხვივნენ. მიცი დუმს, მერე რაღაცა წაიბურტყუნა, ფრანცის ჰალსტუხს ხელი მოჰკიდა, კაცი თავისკენ უფრო ახლოს მისწია და წამოიკნავლა:

- ფრანცეკენ, რაღაც უნდა გითხრა, არ გამიბრაზდები?

- არა, მიციკენ, რა თქმა უნდა, არა, თქვი!

- დღეს ჩემს მოხუცთან რაღაც უსიამოვნება შემხვდა!

- მაინც რა, მულეკენ?

მიცი დუმს.

- რაშია საქმე, არ მეტყვი?

მიცი ისევ ჰალსტუხს აწვალებს. ამ გოგოს რა ემართება? ჯანდაბას, რა ღმერთი გამიწყრა და ეს რაინჰოლდი სახლში რაღა მაინცდამაინც დღეს მოვათრიე!

* * *

კრიმინალური პოლიციის კომისარი ეკითხება:

- ასე, თქვენ გვარად ფინკე ბრძანდებით? საბუთი გაქვთ?

- იცით, შეგიძლიათ მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების განყოფილებაში იკითხოთ, იქ ყველაფერი არის ჩაწერილი.

- რაც იმ განყოფილებაშია, ჩვენ არ გვეხება.

- საბუთები მაქვს.

- ძალიან კარგი, ამ საბუთებს დროებით გამოგართმევთ. ჰო, გარეთ ნოიგარდის ციხის ის ზედამხედველი დგას, რომლის განყოფილებაშიც ოდესღაც ვინმე ბორნემანი სასჯელს იხდიდა. ჰოდა, ახლა იგი აქ შემოვა.

* * *

- იცი, ფრანცეკენ, ამ ბოლო დროს მოხუცთან მისმა ნათესავმა ბიჭმა მოუხშირა სიარულს. მას იქ არავინ ეპატიჟება, თავისით მოდის ხოლმე.

- გასაგებია, - გამოცრა ფრანცმა და სხეული გაუცივდა. მიცი სახით ლოყაზე მიეკრა:

- ფრანც, იმ ბიჭს იცნობ?

- აბა, საიდან უნდა ვიცნობდე?

- მეგონა, იცნობდი, ჰოდა, იარა, იარა და ერთ დღეს კი გამომაცილა. ფრანცი აკანკალდა, თვალთ დაუბნელდა.

- აქამდე რატომ არაფერი მითხარი?

- მეგონა, უშენოდაც მოვიშორებდი. თანაც ისეთი არაფერი მომხდარა, უბრალოდ მოდიოდა. ჩემთვის არაფერი დაუშავებია.

მიცი ფრანცს ჩაეკრა, მის ფართო მკერდში თავი ჩარგო და ხმას არ იღებს. მაგრამ აი, ფრანცის ყელთან მიცის ტუჩები ამოძრავდნენ, უფრო სწორად, ათრთოლდნენ, დასველდნენ. ატირდა, რა ატირებს? ჰო, ასეთია მიცი, გაჯიუტდება და ხმას ვერ ამოაღებინებ! მის სულში რა ხდება, ეშმაკიც ვერ გაიგებს! საწოლზე კი რაინჰოლდი წევს, ღმერთო, მინდა ამ კაცს ახლა კეტი ჩავცხო და სული გავაცხებინო, რომ იქიდან ველარ ადგეს! ეს მიციც კარგი ვინმეა, რაინჰოლდის წინ თავს ლაფი დამასხა, შემარცხვინა!

ფიქრობს და ცახცახებს.

- მერე, ახლა რა? - ეკითხება.

- არაფერი, ფრანცეკენ, არაფერი, ნუ ღელავ, ოღონდ არ დამარტყა, გარწმუნებ, ჩვენ შორის არაფერი ყოფილა. მერე კიდევ ერთხელ მოვიდა და სანამ მოხუცისგან წამოვიდოდი, დაბლა მელოდებოდა. მოხუცმაც მთხოვა, რომ იმ ბიჭს წავყოლოდი.

- და შენც წაჰყევი, არა?

- აბა, რა მექნა, ფრანცეკენ, იგი ხომ ისე მემუდარებოდა და თანაც ისეთი ახალგაზრდაა! მერე კი...

- სად წახვედით?

- ჯერ ტრამვაით ლამის მთელ ბერლინში ვიმოგზაურეთ, მერე გრიუნვალდში წავედით, იქიდან კიდევ სადღაც, აღარ მახსოვს - სად. მთელი იმ ხნის განმავლობაში ვეხვეწებოდი, რომ წასულიყო. ბიჭი კი ტიროდა, მუხლებზე იდგა და ბავშვივით მემუდარებოდა, ნუ გამაგდებო. არადა, ისეთი ახალგაზრდაა. იცი, ზეინკალია!

- უსაქმური, ამდენ წანწალს ჯობდა ემუშავა.

- ალბათ, მართალი ხარ, არ გაბრაზდე, რა, ფრანც.

- მაინც ვერ ვხვდები, რა გატირებს?

მიცი გაჩუმდა, ეკვრის კაცს და მის ჰალსტუხს აწვალებს.

- ფრანც, ოღონდ არ გაბრაზდე, - ამოღერღა ბოლოს.

- რა იყო, შემთხვევით ხომ არ შეგიყვარდა?

მიცი გაიტრუნა.ფრანცს უცებ შეეშინდა,ისე ძალიან,რომ ფეხის თითებიცკი

გაუცივდა, გააჟრჟოლა, რაინჰოლდი დაავიწყდა და გოგოს კეფაში ჩასჩურჩულა:

- მითხარი, შეგიყვარდა?

ქალი მთელი ტანით აეკრა, კაცი მის სხეულს თავიდან ბოლომდე გრძნობს და ესმის, ერთი მოკლე, მაგრამ საბედისწერო სიტყვა:

- ჰო.

აი, ისიც, საშინელი სიმართლე! მიცის მოშორებას ცდილობს, უნდა ხელი ჰკრას, დაარტყას, მეხსიერებაში კი იდა და მისი ბრესლაუელი ბიჭი ამოუტივტივდა! ხელი პარალიზებულივით, მათრახივით დაეკიდა, მიცი კი მის სხეულს ნადირის ლეკვივით არის ჩაბღაუჭებული. ამ ქალს რა უნდა? დუმს, ეკვრის და თავს მის მკერდში მალავს, ფრანცი კი გაქვავებულივით დგას და თავს ზემოთ ფანჯარაში იხედება, სადღაც შორს, უაზროდ.

მიციმ მხრები შეანძრია და კაცმა იღრიალა:

- რა გინდა, რა? ხელი გამიშვი, მომშორდი,

გესმის? გაიფიქრა, ეს კახპა რაღაში

მჭირდებაო.

- ნუ ყვირი, ღმერთო ჩემო, ასეთი რა ჩავიდინე?

- წადი, თუ გიყვარს, იმ ბიჭთან წადი, შე კახპა!

- კახპა არა ვარ, ფრანცეკენ, საყვარელო, ნუ ყვირი, იმ ბიჭს ვუთხარი, რომ ეს შეუძლებელია და შენ არასოდეს მიგატოვებ!

- მერედა, სხვა მამაკაცი რომ უყვარს, ისეთი ქალი რაში მჭირდები?

- იმ ბიჭს ვუთხარი, რომ სამუდამოდ შენთან დავრჩები და სახლში გამოვიქეცი, მეგონა, შენ დამამშვიდებდი.

- მიცი, სულ გაგიჟდი? ხელი გამიშვი, გონება სულ დაკარგე? კაცი შეგიყვარდა და მე დაგამშვიდო?

- შენ თუ არა, აბა, სხვა ვინ დამამშვიდებს, ფრანც? მე ხომ შენი მიცი ვარ და გიყვარვარ. ის ბიჭი კი საწყალი დადის ახლა მარტოდმარტო!

- მიცი, სისულელეების ლაპარაკს მორჩი, წაეთრიე იმ ლაწირაკთან, არ შეგაჩერებ! აქ მიციმ იწივლა და ფრანცს უფრო მაგრად ჩაებღაუჭა.

- წადი, ხელი გამიშვი და აქედან წაეთრიე, გესმის?

- არა, არ გაგიშვებ, ესე იგი, არ გიყვარვარ, მოგბეზრდი, ასეთი რა დავაშავე?

როგორც იქნა, ფრანცმა ხელის გამოგლეჯა მოახერხა, კარისკენ წავიდა, მიცი გაეკიდა, ამ დროს ფრანცი მოტრიალდა და ქალს სახეში ისეთი ძალით დაარტყა, რომ ის უკან გადაქანდა, მერე ხელი მხარში ჰკრა და მიცი დავარდა. ფრანცი კი მივარდა და ერთი ხელით, სადაც მოხვდება, იქ ურტყამს და ურტყამს, ქალი პირაღმა გადმობრუნდა, სახეზე ხელები აიფარა. ფრანცი შეჩერდა, სული მოითქვა, ირგვლივ კი ოთახი ტრიალებს, მიცი წამოჯდა:

- გემუდარები, ჯოხით არ მცემო, ფრანცეკენ, მეყოფა, ოღონდ ჯოხით არა!

იატაკზე ზის, კოფთადაგლეჯილი, თვალგასივებული, ცხვირიდან სისხლი სდის, მარცხენა ლოყა და ნიკაპი სისხლში აქვს ამოსვრილი.

ფრანც ბიბერკოპფი კი, თუმცაღა რის ბიბერკოპფი, რა ბიბერკოპფი, ახლა ამ კაცს არც გვარი აქვს და არც სახელი, ისიც საკითხავია, საერთოდ კაცი არის თუ არაკაცი, - ოთახი ტრიალებს, აქ

საწოლები დგანან, იგი ერთ-ერთ საწოლს არის ჩაჭიდებული. შიგ რაინჰოლდი წევს, ღორი, სხვის საწოლში ფეხსაცმელებით წევს და დააბინძურა ქვეშაგები. ამას აქ რა უნდა? ხომ აქვს თავისი ოთახი. აი, ახლა ამ დაუპატიჟებელ სტუმარს აქედან გავათრევთ და კიბეზე დავაგორებთ. და ფრანც ბიბერკოპფი, მგონი, ამ კაცს ასე ჰქვია, თუ ერქვა ადრე, სანამ ადამიანის სახეს დაკარგავდა, საწოლთან მივარდა, რაინჰოლდს თავზე ხელი სტაცა და საბანთან ერთად მოათრევს: იგი კი, ვისაც მოათრევენ, იქნევს ხელებს, ფეხებს, საბანს გადააგდებს და საწოლზე ჯდება.

- რაინჰოლდ, აბა, აქედან გაქრი, სასწრაფოდ, ამ მზეთუნახავს შეხედე და მოუსვი.

მიცის მოულოდნელობისა და შიშისგან ცხვირ-პირი მოეღრიცა. მიწა იძრა, ჭექა-ქუხილი ატყდა, მეხი გავარდა! რკინიგზა აფეთქდა, ლიანდაგები დაიგრიხა, მიწიდან ამოცვივდა, სადგური, მეისრის ჯიხური ნამსხვრევებად იქცა, ტკაცანი, კვამლი, გრგვინვა, გრიალი, სიმყრალე, აღარაფერი ჩანს, ყველაფერი დაინგრა, აღიგავა პირისაგან მიწისა.

რა მოხდა, რა განადგურდა?

და მიცის ფართოდ დაღებული პირიდან აღმოხდება კივილი უმწეობისა, მოსალოდნელი საშინელების ღრიალი, თითქოს ამ ყვირილით უნდა, რომ დაიცვას თავი იმისგან, ვინც იქ საწოლზე, როგორც სქელ ნისლში, ბუნდოვნად მოჩანს. ჰო, უნდა, იგი კივილით განგმიროს. ამიტომ ვიყვიროთ, ვიყვიროთ, რაც შეიძლება ხმამაღლა და გაბმულად, ყვირილით გავანადგურეთ!

- მოკეტე, რა მოხდა? შეწყვიტე კივილი, მთელი სახლი აქ მოირბენს. ადრე კივილი, თორემ ახლა გოდება ძლიერდება, დიდდება, ტალღებად მოდგაფუნობს, ფართოვდება. დრო თითქოს გაჩერდა: აღარ არსებობს არც დღე, არც ღამე, არსებობს მხოლოდ განწირული ადამიანის გულისშემძვრელი გოდება.

გოდების ტალღამ ფრანციც აიტაცა. დაარტყი, დაარტყი, დაარტყი - ირგვლივ ყველა და ყველაფერი გაანადგურე! ხელი სკამს სტაცა და იატაკს დაანარცხა, სკამი დაიმსხვრა! მიცის მივარდა, ის კი იატაკზე ზის და გაბმულად ერთ ნოტზე გოდებს. ფრანცმა პირზე ხელი მიაფარა, ზურგზე დააგდო, მკერდით სახეზე დააწვა, მოგკლავ, შე კახპა!

გოდება შეწყდა, მიცი ფეხებს იქნევს, თავის დახსნას ცდილობს, რაინჰოლდი წამოხტა,

ფრანცს მივარდა, მიცის სხეულისგან მის აგლეჯას ცდილობს.

- ამ გოგოს დაახრჩობ, არ გესმის, გაუშვი!

- აქედან წაეთრიე, ეშმაკსაც წაუღიხარ!

- ადექი, ადექი, შენ გეუბნები.

როგორც იქნა, რაინჰოლდმა ფრანცი ქალის სხეულს ააგლიჯა. მიცი იატაკზე პირქვე აგდია, გვერდზე თავგადაგდებული, კვნესის, ხრიალებს, ხელებს იქნევს. ფრანცი კი ისევ მისკენ იწევს, სულს ძლივს ითქვამს, ყვირის:

- შე კახპა, ვის ეჭიდავები?

- წადი, ფრანც, ცოტა გაიარე. ქურთუკი ჩაიცვი, გონზე მოდი და მერე დაბრუნდი.

მიციმ ამოიკვნესა, თვალები გაახილა, მარჯვენა ქუთუთო გაუსივდა, წითლად უელავს.

- ძმაო, აქედან მოუსვი და რაც შეიძლება ჩქარა, თორემ ხელი ისევ გაგექცევა და ეს გოგო ნამდვილად შემოგაკვდება. ქურთუკი გამომართვი.

ფრანცმა რაინჰოლდის მოწოდებულ ქურთუკში ხელი ქსუტუნითა და ფრუტუნით გაუყარა.

მიცი წამოიწია, იდაყვს დაებჯინა, პირიდან სისხლს აფურთხებს, რაღაცის თქმას ცდილობს, მერე გასწორდა, იატაკზე დაჯდა და ჩახლეჩილი ხმით თქვა:

- ფრანც, ფრანც!

ფრანცი ქურთუკშია, რაინჰოლდმა შლაპა მიაწოდა.

- ფრანც, მოიცადე! მეც წამოვალ! - მიციმ ამოისუნთქა, ხმა დაუბრუნდა.

- არა, სახლში დარჩით, ფროილაინ, მე დაგეხმარები.

- ფრანცეკენ, დამიცადე, შენთან ერთად მოვდივარ!

ფრანცი წუთით შეყოვნდა. თავზე შლაპა გაისწორა, ტუჩები გაცმაცუნა, გადააფურთხა, წავიდა.

ბაახ! კარი გაჯახუნდა.

მიცი კვნესით წამოდგა, რაინჰოლდი ხელის კვრით მოიშორა და კარისკენ ბარბაცით წავიდა. მაგრამ დერეფანში ძალამ უმტყუნა და დაეცა. ფრანცი კი წავიდა, კიბეზე დაეშვა. რაინჰოლდმა მიცი ხელში აიყვანა და საწოლზე დააწვინა. ის კი გასწორდება, წამოჯდება, სულს მოითქვამს და სისხლის ფურთხებით ამოღერღავს:

- აქედან გაეთრიე!

მიცის ცალი თვალი გასივებული აქვს და ვერ აღებს, მეორე ღია თვალით კი რაინჰოლდს ჯიქურ უყურებს. ზის, საწოლზე დაბლა გადმოკიდებული ფეხებით. ვერ დგება. პირიდან სისხლიანი ნერწყვი ისევ სდის. რაინჰოლდს ზიზღისგან შეაჟრჟოლებს, დროა, აქედან დავითესო, თორემ მეზობლები მოცვივდებიან და ეგონებათ, ამ გოგოს ცხვირპირი მე დავუმტვრიე, იმ კრეტინი ფრანცის გამო უსიამოვნებაში მე გავეხვევი. არა, დიდი მადლობა! კარგად ბრძანდებოდეთ, ფროილაინ! დიდი ბოდიში, მაგრამ არ მინდა, სხვისი მოკლული ძაღლი ჩემი გადასათრევი გახდეს! ქუდი გვერდზე მოიგდო და კარისკენ ჰერი, ჰერი!

ქვემოთ ჩადის. ჩერდება, მარცხენა ხელზე სისხლს შენიშნავს, მოიშორებს: ფუ, რა საზიზღრობაა! მერე ეცინება: ამ კრეტინმა სახლში ამისთვის წამომათრია? კარგი სპექტაკლი იყო! მაგარი დებილია, თანაც თავის საწოლში ფეხსაცმელებით ჩამაწვინა. ახლა ბოღმა დაახრჩობს მაგ გამოთაყვანებულს. ნეტავ ახლა სად დაწანწალებს?

„მინანქრის აბრები“, „მინანქრის ჭურჭელი“... იქ, ზემოთ, მართლაც საინტერესო დრამა გათამაშდა. მაგრად გავერთე. სანახაობას თვალი ვერ მოვწყვიტე. არა, მაინც რა იდიოტია! ჩინებულია, შვილო ჩემო, დიდი მადლობა, ეგრე განაგრძე. არა, მოდი და ნუ გაგეცინება!

ბორნემანი კი პოლიციელებმა ისევ შტეტინის ციხეში წაიყვანეს. იქ მისი პირველი, ნამდვილი ცოლი გამოიძახეს. აჰ, ბატონო კომისარო, ჩემს ცოლს თავი დაანებეთ, მან სასამართლოზე სიმართლე თქვა, უფრო სწორად, ეგონა, სიმართლეს ამბობდა. რაც შემეხება მე, ორ წელიწადს დამიმატებენ, ეგ არაფერი, რა მნიშვნელობა აქვს, ერთი წლით მეტი თუ ნაკლები.

* * *

საღამოს კი ოთახში ფრანცსა და მიცის შორის სრული იდილია სუფევს. იცინიან, ერთმანეთს ეხვევიან, კოცნიან.

- მიცი, კინაღამ მოგკალი! ვაღიარებ, ზედმეტი მომივიდა.

- ეგ არაფერი. მთავარია, რომ დაბრუნდი.

- რაინჰოლდი კი მაშინვე წავიდა?

- ჰო, მაშინვე.

- მიცი, რატომ არ მეკითხები, რაინჰოლდი აქ რატომ იყო?

- მაგის ცოდნა არ მინდა.

- სულ არ გაინტერესებს?

- არა.

- მიცი, მომისმინე მაინც...

- არა, მაგის მოსმენა არ მინდა, ეგ ყველაფერი სისულელეა.

- რა არის სისულელე.

- ის, რომ ჩემი გაყიდვა გინდა.

- რა?

- ახლა ვიცი, რომ ეგ სიმართლე არ არის.

- მაგრამ, მიციკენ...

- ხომ გითხარი, რომ ვიცი, ასე არ არის და ეს ძალიან კარგია.

- რაინჰოლდი, მართალია, ჩემი მეგობარია, მაგრამ ქალებს ისე ექცევა, როგორც ნამდვილი გარეწარი. ჰოდა, მინდოდა ერთხელ მაინც ენახა, როგორია წესიერი გოგო. ვიფიქრე, ნახოს, ამით რა დაშავდება-მეთქი.

- კარგი, რაც იყო, იყო.

- ახლა გეზიზღები თუ ისევ გიყვარვარ? თუ მარტო ის ბიჭი გიყვარს?

- მე შენი ვარ, ფრანც.

ოთხშაბათი, 29 აგვისტო

უკვე ორი დღეა, მიცი თავის მფარველს არ ხვდება. დროს საყვარელ ფრანცთან ატარებს, გვერდიდან არ შორდება, ეალერსება. ერთად ქალაქგარეთ დადიან! ერკნერსა და პოსტდამში იყვნენ, ერთმანეთის სიყვარულით ტკბებიან. მაგრამ პატარა ჭინკას საიდუმლო ახლაც აქვს, თანაც გაცილებით დიდი და უფრო საშიში. ოღონდ ეგ არის, თავისი ფრანცის უსაფრთხოებაზე აღარ ღელავს: თუ ასე უნდა, იაროს პუმსის კომპანიასთან ერთად, გულხელდაკრეფილი არც მიცი იქნება! უპირველეს ყოვლისა, გოგომ ამ პუბლიკის გაცნობა გადაწყვიტა, - სადმე ცეკვებზე ან კეგელბანში. ფრანცს ის პუმსის ბანდის ამ ღონისძიებებზე არასოდეს დაჰყავს. იქ ევა და ჰერბერტი ერთად დადიან ხოლმე, ფრანცი კი ამბობს, - იქ შენ არაფერი გესაქმება, არ მინდა, ამ ვიგინდარებთან ურთიერთობა გქონდეს.

არადა, სონიას, იმავე მიციკენს, წვავს სურვილი, თავის ფრანცს რამე გაუკეთოს, ამ პატარა ფისუნიას უნდა თავის ხვადს დაეხმაროს, უბრალოდ, ფულის კეთებას განა მისი გადარჩენა არ ჯობს? ის ყველაფერს გაიგებს და ფრანცის დაცვას შეძლებს.

და რანსდორფში მორიგ მეჯლისზე, სადაც პუმსის ბანდა მთელი შემადგენლობით არის, უცნობი ქალი გამოჩნდა. ამ ქალს არავინ იცნობს, ის იქ მეთუნუქე კლემპნერთან ერთად გამოცხადდა, ეს მისი ქალია. უცნობს ნიღაბი მთელი საღამოს განმავლობაში არ მოუხსნია, ცეკვავს ყველასთან, ერთხელ ფრანცთანაც იცეკვა, მაგრამ მხოლოდ ერთხელ, შეეშინდა: ვაითუ სუნამოს სურნელით მიცნოსო. ეს მიუგელის სანაპიროზე, პარკში ხდებოდა და როგორც კი ჩამობნელდა, ილუმინაციამ იფეთქა. სანაპიროდან ბოლო, ხალხით სავსე გემი გავიდა. ორკესტრმა დასამშვიდობებელი ტუში დაუკრა, პუმსსა და მის კომპანიას კი წასვლა არც უფიქრიათ. ყველანი ერთად, წყვილ-წყვილად და ცალ-ცალკე სვამენ, ცეკვავენ, ღრეობენ დილამდე.

მიციკენი მეთუნუქე კლემპნერთან ერთად აქეთ-იქით დაფარფატებს, მისი კავალერი კი ამაყად დააბიჯებს, ერთი ნახეთ, რა ლამაზი მეგობარი ქალი მყავსო. მიციმ ამ ოდიოზურ სახეთა გალერეა თავიდან ბოლომდე დაათვალიერა: პუმსი და მისი ძვირფასი თანამეცხედრე, იხილა ელეგანტური თაღლითი ვაჭარი, კუთხეში მარტოდ მჯდარი და მჭმუნვარე, ნაღვლიანი რაინჰოლდიც.

ღამის ორ საათზე მეთუნუქემ მიცი ტაქსით წაიყვანა. გზაში ერთმანეთს ტუჩებში კოცნიდნენ. მერე რა? დიდი ამბავი, ეს საღამო უქმად ხომ არ გაუტარებია. ასე თუ ისე, ბევრი რამ გაიგო. კოცნით კი ხომ არაფერი დააკლდება? მაინც რა გაიგო მიციკენმა? რა და, ახლა პუმსის ბანდის ყველა წევრს სახით იცნობს. განა ეს ცოტაა? მეთუნუქე კი ახლა კოცნიდან აკრძალულ ადგილებში ხელის ფათურზე გადადის, მერე რა? გადადის და გადავიდეს, ცილი ფრანცს მაინც არ უღალატებს. მანქანა ღამის სიბნელეში მიქრის, ამ ბიჭებმა მისი ფრანცი მანქანიდან ასეთ ღამეში გადმოაგდეს. არა უშავს რა, კაცმა, ალბათ, გადმომგდების ვინაობა უკვე დაადგინა და სულ მალე შურსაც იძიებს. ცალხელაა, მაგრამ მისი მაინც ეშინიათ, აბა, ის თავხედი რაინჰოლდი მიცისთან რატომ მოაგზავნეს? ფრანც, ჩემო სიყვარულო, ძვირფასო, ძალიან, ძალიან მიყვარხარ, და ფრანცისადმი სიყვარულით აღვსილმა ქალმა მეთუნუქე კოცნით კინაღამ დაახრჩო. ისიც ვალში არ დარჩა და ქალს ლამის ენა მოაჭამა! აუ, რა ხდება? მანქანა, ეტყობა, თხრილში ჩავარდა, ისე შეჯანჯღარდა, რომ ერთ არსებად ქცეული წყვილი სახურავამდე აისროლა! ღმერთო, რა დიდებული ღამეა, ბევრი ვიმხიარულეთ. ამ ყოჩაღმა მძღოლმა იქნებ ხრამშიც კი გადაგვყაროს! საით წავიდეთ, მარჯვნივ თუ მარცხნივ? საითაც გინდა, იქით წადი! რა კარგი ხარ, მიცი! ასე თუ მოგწონვარ, ხშირად დამპატიჟე ხოლმე, კარლ! ჰოპლა! რა გიჟივით მიაქროლებს ეს მძღოლი, ნასვამია თუ რა? ნამდვილად შპრეეში ჩახრჩობას გვიპირებს! ოჰ, ღმერთმა დაგვიფაროს, ჩემი დახრჩობა არ შეიძლება, იმდენი საქმე მაქვს გასაკეთებელი, ფრანცს ვის დავუტოვებ? არ ვიცი, რის გაკეთებას აპირებს, მან კი არ იცის, მე რა მინდა და ორივენი არაფერს ვამბობთ, მაგრამ ორივეს ერთი და იგივე გვინდა. ოჰ, დამცხა, მაკოცე, მაკოცე, კარლ, გულში მაგრად ჩამიკარ, სული სხეულს ტოვებს, გონებას ვკარგავ, ადამიანო! კარლლაინ, კარლლაინ, ჩემო კარგო, ოჰ, ერთადერთო, ხეივანში შავი მუხები გარბიან, წლის **365** დღიდან **128** დღეს შენ გიძღვნი; ეს უბრალო დღეები არ არის, თითოეულს აქვს დილა, შუადღე, საღამო!

სასაფლაოზე ორი შუპო მიდის. საფლავის ქვაზე სხდებიან და ყველა გამვლელ-გამომვლელს ეკითხებიან, ვინმე კაზიმირ ბროდოვიჩს ხომ არ იცნობთ, ხომ არ გინახავთ ან მასზე რამე ხომ არ გსმენიათო! სამწუხაროდ, არა! ამ ბროდოვიჩმა ოცდაათი წლის წინ რაღაც დანაშაული ჩაიდინა,

კერძოდ, რა, - ცნობილი არ არის. ახლა კი მისგან უფრო დიდ უბედურებას უნდა ველოდოთ, მსგავსი ადამიანები ძალიან საშიშნი არიან. გვინდა, რომ იმ კაცს თითების ანაბეჭდები ავუღოთ და მისი სხვა ნიშნებიც დავადგინოთ, მაგრამ ჯობს, თუ ახლავე დავიჭერთ! თქვენ მხოლოდ გვითხარით, სად არის, ჩვენ კი მაშინვე სადაც ჯერ არს, იქ მივაბრძანებთ.

რაინჰოლდი თავის ბუნაგში წინ და უკან დაჩოჩავს და შარვალს წამდაუწუმ ზემოთ ექაჩება. არა, ფულისა და დასვენების შერგების უნარი არ გააჩნია. ბოლო იაფფასიანი გოგო ეშმაკებთან უკვე გაგზავნა. ძვირად ღირებული დახვეწილი ქალბატონიც მოჰბეზრდა. ჰო, რამე ახალი უნდა მოიფიქროს. ფრანცს ჭკუა უნდა ასწავლოს. ეგ ვირი, ისევ გახარებული სახით დააბოტებს და თავისი ძუკნათი ტრაბახობს. მოძებნა რა მაგანაც სატრაბახო! ფუ, რა გულისამრევი სანახავი იყო მაგისი ტურფა, როცა პირიდან ნერწყვი და სისხლი ერთად სდიოდა. მაგრამ არა, ეგ გოგო მაინც უნდა წავართვა.

მატერს, ასე ჰქვია კლემპნერს, თუმცაღა პოლიციაში ოსკარ ფიშერად არის ცნობილი, ძალიან გაუკვირდა, როცა რაინჰოლდმა სონიაზე რაღაცები ჰკითხა. საიდან გაიგო? მაგრამ რადგან უკვე იცის, დამალვას აზრი აღარ აქვს და ხვეწნა-მუდარის გარეშე რაინჰოლდს ყველაფერი დაუფარავად უამბო. მაშინ ამ უკანასკნელმა მატერს შინაურულად წელზე ხელი მოხვია და ჰკითხა: ერთი დღით მიცის ხომ ვერ დამითმობ, მასთან ერთად ქალაქგარეთ გასეირნება მინდაო. კლემპნერმა კი შეიცხადა, აბა, რას ამბობ, ეგ გოგო ჩემი კი არა, ფრანცის შეყვარებულია და მაგ საქმეში ვერ დაგეხმარებიო.

- მერე რა მოხდა, დაიყოლიე, ჩემთან ერთად ფრაიბურგში წამოსვლაზე.

- ეგ უკვე ფრანცს უნდა სთხოვო.

- ფრანცს ამას ვერ ვთხოვ, ხომ იცი, მაგასთან ძველი ანგარიშები მაქვს. თანაც, მგონი, სონიას არ მოვწონვარ, ეგ უკვე შევამჩნიე.

- არა, ამ საქმეში თანამზრახველად ვერ გამოგადგები. იქნებ ისეც არის, რომ ეგ გოგო მეც მომწონს და მაგასთან დროს ტარება მინდა.

- მერე მაგაში ხელს ვინ გიშლის. მაგ გოგოსთან ფრაიბურგში გამგზავრება მხოლოდ

ერთხელ მინდა და მერე შენთვის დამილოცია.

- რაინჰოლდ, ჩემი ნება რომ იყოს, ამქვეყნად ყველა ქალს და მათ შორის სონიასაც შენ დაგითმობდი, მაგრამ როგორ დავითანხმო! ნივთი ხომ არ არის, ავიღო და ჩამოვიღო.

- გოგო შენთან ხომ დადის. იცი რა, კარლ, ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, ამ საქმეში ათასი მარკა რომ მოგცე, მოაგვარებ?

- მაგას მართლა ამბობ? მაშინ ფული წინასწარ!

ორი ლურჯი შუპო ქვაზე ჯდება და ყველა გამვლელსა და გამომვლელს, აგრეთვე მანქანების მძღოლებს ეკითხება: მამაკაცი, რომელსაც ყვითელი სახე და შავი თმა აქვს, ხომ არ გინახავთ? ჩვენ სწორედ ამ მამაკაცს ვეძებთ! ამ კაცმა რა დანაშაული ჩაიდინა ან რა დანაშაულს ჩაიდენს, შუპოებმა არ იციან! თუ ძალიან გაინტერესებთ, გაზეთებში სისხლის სამართლის დანაშაულის ქრონიკა წაიკითხეთ. ასეთი მამაკაცი არავის უნახავს, ან შეიძლება ნახა, მაგრამ არ ამბობს. და შუპოები ხეივნის გავლით სასაფლაოს სიღრმისკენ მიდიან, უკან კი სამოქალაქო ტანსაცმელში ორი აგენტი მიჰყვებათ.

ოთხშაბათს, 29 აგვისტოს, ანუ იმ დღეს, როცა მიმდინარე 1928 წლის ბოლომდე რაღაც ოთხიოდე თვე რჩება, ხოლო წინა ორასორმოცდაორი დღე, რომლის განმავლობაშიც ფრანცმა მაგდებურგში ოპერაცია გაიკეთა და გამოჯანმრთელდა კიდევაც, რაინჰოლდმა კი არყის სმა ისწავლა, ფრანცის ცხოვრებაში მიცი გამოჩნდა, პუმსის ბიჭები და მათთან ერთად ფრანცი ამ სეზონზე საქმეზე პირველად გავიდნენ. და ჩვენი გმირი კვლავაც სიმშვიდისა და მშვიდობისმოყვარეობის განსახიერებად იქცა, გაილია, წარსულმა შთანთქა და უკან აღარასოდეს დაბრუნდება. სწორედ ამ დღეს მიცი მეთუნუქე კლემპნერთან ერთად ქალაქგარეთ მიემგზავრება, ფრანცს კი უბარებს, რომ თავის მფარველთან არის. ამ გამგზავრებაზე რატომ დათანხმდა, მიცი თავადაც ვერ ხვდება. უნდა, ფრანცს დაეხმაროს, მაგრამ არ იცის, როგორ. ღამით სიზმარი ნახა: ვითომ მისი და ფრანცის საწოლი დიასახლისის სასტუმრო ოთახში ჭაღის ქვეშ იდგა, მოულოდნელად კარზე ფარდა შეირხა და მის უკნიდან ოთახში ნაცრისფერი, მოჩვენების მსგავსი რაღაც გამოძვრა. მიცემ იყვირა და გაეღვიძა. ხედავს, მის გვერდით ფრანცს ღრმად სძინავს. არა, აუცილებლად დავეხმარები. ცუდი არაფერი შეემთხვევა! ისევ დაწვა, რა უცნაური სიზმარი იყო. სასაცილოა, ჩვენი საწოლი და

უცებ დიასახლისის ოთახში.

დიდხანს იარეს თუ ცოტა იარეს, მიცი და კლემპნერი უკვე ფრაიენვალდში არიან! აჰ, რა კარგია აქ!

ფრაიენვალდი პატარა, საკურორტო ქალაქია, უმშვენიერესი პარკით; პარკის ბილიკებზე ყვითელი ხრეშია მოყრილი და იქ ყველა ჯურის ადამიანი დააბიჯებს. და, აბა, გამოიცანით, სადილის შემდეგ კურჰაუზის რესტორნიდან გამოსვლისას ეს წყვილი ტერასაზე ვის ხვდება?

მიწისძვრა, ელვა, ჭექა-ქუხილი, რკინიგზა ფეთქდება, ლიანდაგები ყალყზე დგებიან, სადგური ინგრევა, კვამლი თვალებს წვავს, სულისშემძვრელი კივილი: მე შენი ვარ, მხოლოდ შენი.

იგი უახლოვდებათ, მათ გვერდით ჯდება. დაჯდეს რა, მაგისი არ მეშინია, შემიძლია სახეში მშვიდად შევხედო.

- რაინჰოლდ, ეს ფროილაინ მიცია, თქვენ, მგონი, ერთმანეთს უკვე იცნობთ!

- მხოლოდ შორიდან. ძალიან მიხარია თქვენი ნახვა, ფროილაინ!

ისინი კურჰაუზის საზაფხულო რესტორანში სხედან, როიალზე ვიღაც საკმაოდ კარგად უკრავს. აი, ფრაიენვალდში ვარ და შენ ჩემ პირდაპირ ზიხარ.

მიწისძვრა, ელვა, ჭექა-ქუხილი, კვამლის ნაცრისფერი ბოლქვები, სიკვდილი, აქ მხოლოდ სიკვდილი დააბიჯებს.

არა, კარგიც არის, ჩვენ რომ ერთმანეთს შევხვდით, ახლა ყველაფერს გამოვკითხავ, პუმსთან რა ხდება და მათთან ფრანცი რას აკეთებს. ამ კაცს ყველაფერს დავაფქვევინებ, თუ როგორც საჭიროა, გავაღიზიანებ და საუბარში ჩავითრევ. მაშინ ჩემს ხელში აღმოჩნდება, ოცნებობს მიცი. რა ბედნიერებაა, დღეს მართლა მიმართლებს. პიანისტი კიმღერის:

ჩემო პატარავ, მითხარი „oui“, - ეს ფრანგულად არის „ჩემო პატარა, მითხარი, „ჰო“, თუნდაც ჩინურად. სულერთია, რომელ ენაზეც გინდა, სიყვარული ხომ ინტერნაციონალურია, თქვი ყვავილის ენით, ქარაგმით, ჩუმად, თუნდაც ექსტაზში, ოღონდ თქვი „yes“ ან „ჰო“ და რასაც ინებებ, ყველაფერს მოგცემ.

ამ დროს კონიაკიც მოიტანეს. თითო-თითო ჭიქა გადაკრეს. მიციმ აღიარა, იმ საღამოს ცეკვებზე მიუგელის პარკში მეც ვიყავიო. და იმ საღამოზე ყველანი ხალისით ალაპარაკდნენ. მერე მაესტრომ, რომელიც როიალთან იჯდა, პუბლიკის

ერთსულოვანი თხოვნით დაუკრა:

„შვეიცარიასა და ტიროლში“. ტექსტი ფრიც როლერისა და ოტო შტრანსკისა, მუსიკა ანტონ პროფესის: „აქ, შვეიცარიაში, ტიროლის მთებში, გამგზავრების ნება დამრთე, ტიროლი ჩვენგან ხომ ასე ახლოსაა. ტიროლში ხომ მხოლოდ ახალმოწველილ თბილ რძეს სვამენ, შვეიცარიაში იქითაც, აქეთაც, ყველგან, ლამაზი მთებია, ყველაზე მაღალი კი ერთი მთა არის, მას „ქალწული“ ჰქვია. ჩვენთან კი პირდაპირ გეტყვით, ახალშობილი ქალწულიც კი უკვე ქალია. აი, ამიტომ ტიროლში გამგზავრების უფლება მომეც! ჰოლოროიდი!“ - მოითხოვეთ ყველა ნოტების მაღაზიაში! მიცი კისკისებს, მღერის „იუჰეი! ჰოლოროიდი!“ ახლა ჩემს საყვარელ ფრანცეკენს ჰგონია, რომ მოხუცთან ვარ, მე კი მასთან, ფრანცთან ვარ, ოღონდ იგი ვერ მხედავს.

ხომ არ გავისეირნოთ. აქაურობა დავათვალიეროთ მანქანით? ყველა თანახმაა, - კარლი, რაინჰოლდი და მიციც, ან პირიქით: მიცი, რაინჰოლდი და კარლიც. ანუ გასეირნება სამივეს უნდა. მაგრამ სწორედ ამ დროს კელნერმა ბატონ მატერს დაუძახა, ტელეფონთან გთხოვენო. აი, თურმე იმ კელნერს თვალს რატომ უკრავდი, რაინჰოლდ, ძალიან ეშმაკი ხარ, ძმაო! კარგი, ეგრე იყოს, ამჯერად არ გაგცემ! მიცის ეღიმება, ეტყობა, სადილის შემდეგ რაინჰოლდთან მარტო სასიამოვნო გასეირნების წინააღმდეგი არც ის არის. აი, კარლხენმა ტელეფონზე ლაპარაკი დაამთავრა, უკან ბრუნდება. ჩემო კარლხენ, კარლ, რა საყვარელი ხარ! რა მოხდა? ვინმე ავად ხომ არ გახდა? არა, ბერლინში სასწრაფოდ უნდა წავიდე, მიცი. შენ თუ გინდა, დარჩი, მე კი ხომ ხედავ, საქმე მეძახის, სამშობლო მეძახის, უნდა წავიდე და დამშვიდობებისას მიცის აკოცა; კარლ, იცოდე, არაფერი წამოგცდეს! დაწყნარდი, თაგუნია, სამარე ვარ! შემთხვევა, ძმაო, იშვიათად გეძლევა, და თუ მოგეცა, ხელიდან არ უნდა გაუშვა! ნახვამდის, რაინჰოლდ, ბედნიერ აღდგომას გისურვებ, ქრისტე აღდგა, ჭეშმარიტად!

აი, ჩვენ ორნი დავრჩით.

- ამაზე რას იტყვით?

- ფროილაინ, მაშინ იმ წვრილმანის გამო, ისე ყვირილი განა ღირდა?

- ძალიან შემეშინდა!

- განა ასეთი საშიში ვარ?

- აჰ, დროთა განმავლობაში ნებისმიერ ადამიანს ეჩვევი!

- ერთობ თავაზიანი ბრძანდებით!

ერთი ნახე, ამ პატარა კახპას თვალები როგორ უციმციმებს, ძალიან მომხიბლავია, ნაძლევი, რომ ეს გოგო დღეს ჩემი გახდება. ამას ვერ ეღირსები. ახალგაზრდავ, სურვილს აღგიძრავ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემს ფრანცზე, რაც კი იცი, ყველაფერი მიამბო. ოჰ, როგორ მიყურებს, თვალს არ მაშორებს.

მერე მაესტრომ თავისი რეპერტუარი ამოწურა, როიალიც დაიღალა, დროა, დაისვენოს. რაინჰოლდი და მიცი სასეირნოდ მიდიან. ბორცვებზე იხეტიალეს, მერე ცოტა ხანს - ტყეში. დადიან ხელკავით, ლაპარაკობენ, ეს რაინჰოლდი არც ისე ცუდი ვინმე ყოფილა! ექვს საათზე, უკან, კურჰაუზში დაბრუნდნენ. კარლი მანქანით ბერლინიდან უკვე ჩამოსულა და მათ ელოდება. განა ღირს ახლა შინ წასვლა, საღამოობით სავსე მთვარე ამოდის ხოლმე, ტყეში წავიდეთ, ამ დროს მთვარით განათებული ტყე ულამაზესია, მოდი, დავრჩეთ! რვა საათზე სამივენი ტყეში მიდიან, ცოტა ხნის მერე კარლი ოთახების დასაჯავშნად და მანქანის შესაკეთებლად სასტუმროში ბრუნდება. ერთმანეთს მოგვიანებით სასტუმროს ტერასაზე შევხვდებით.

ამ ტყეში უამრავი ხეა, მათ შორის ადამიანები, ქალები და კაცები ხელკავით დადიან, აქ ბევრი უკაცური და ბნელი ბილიკიც არის. ისინი, თავ-თავიანთ ოცნებაში წასული, ერთმანეთის გვერდით მიაბიჯებენ. მიცის ერთი სული აქვს, რაღაცა ჰკითხოს, მაგრამ არ იცის, რა, აჰ, ჯანდაბას, ამის საშუალება კიდევ მიეცემა. სიამოვნებს ამ კაცთან ერთად ასე ხელკავით სიარული და საღამოც ისეთი დიდებულია! ღმერთო ჩემო, ეს რომ გაიგოს, ფრანცი რას იტყვის? აქ სეირნობა მართლაც ნეტარებაა, მაგრამ აქედან უნდა წავიდე და რაც შეიძლება მალე! რაინჰოლდს მიცისთვის ხელკავი აქვს გაყრილი, იგი ქალს მარცხნივ მიჰყვება. ჰო, ამას ხომ ორი ხელი აქვს, ფრანცს კი ერთი და ისიც მარცხენა, ჰოდა, იგი მიცის ყოველთვის მარჯვენა მხარეს უდგას ხოლმე. რაღაცა ეხამუშება, ის ხომ მიუჩვეველია, რომ კაცი მარცხნივ მოჰყვებოდეს. არადა, რა ძლიერი ხელი აქვს, აი, ნამდვილი მამაკაცი! მიდიან ხეებს შორის, რბილ და გრილ მიწაზე! ჰო, ფრანცს კარგი გემოვნება აქვს, ქალები არ ეშლება! ამ გოგოს ნამდვილად წავართმევ, ერთი თვე მეყოლება, ფრანცმა კი, რაც უნდა, ის ქნას. აურზაურს ატეხს და თავში ისე მოხვდება, ფეხზე ვეღარ დადგება. გოგო კი მართლაც შეუდარებელია, ცეცხლოვანი და ფრანცის ერთგული!

მიდიან ნელი ნაბიჯით, საუბრობენ. ჩამობნელდა. ჩუმად სიარულს ლაპარაკი ჯობს: მიცი ოხრავს, საშიშია, ძალიან საშიში ჩუმად სიარული. ამ დროს ქალ-ვაჟი ერთმანეთთან სიახლოვეს უფრო მძაფრად გრძნობს. მიცი სულ აქეთ-იქით იყურება, გზას იმახსოვრებს. ამ კაცისთვის რა უნდა მეკითხა, აღარ მახსოვს. ოჰ, ღმერთო, ვერ გამიგია, რა მემართება? ისინი თითქმის ერთ ადგილზე ტრიალებენ, მაგრამ მიციმ შეუმჩნევლად შოსესკენ გადაუხვია. ესეც შენ, მოვედით.

რვა საათია. რაინჰოლდმა ჯიბიდან ფარანი ამოიღო, გზა გაანათა და სასტუმროსკენ წავიდნენ. უკან დარჩა ტყე, ჩიტების ჭიკჭიკი, ტოტების ხმაური. კარგი იყო! რაინჰოლდში რაღაც შეინძრა. გაიტრუნა, თავის თავს აღარ ჰგავს, კაცი შეიცვალა, თვალებიც კი უბრწყინავს. მიაბიჯებს მიცის გვერდით და გრძნობს, რომ ჯერეთ მისთვის განუცდელი, საოცარი სიმშვიდე ეუფლება, ტერასაზე კი მათ კლემპნერი ელოდება.

- ოთახები დაჯავშნე? - ეკითხება რაინჰოლდი და აქეთ-იქით იხედება, მიცის ეძებს, მაგრამ ის სადღაც გაქრა.

- მიცი სად წავიდა?

- თავის ოთახში.

კარზე დააკაკუნა, მაგრამ ამ დროს სართულის მორიგე მოდის და ეუბნება:

- ფროილაინმა მთხოვა, ვიძინებ და არავინ შემაწუხოსო!

ჰო, მასში რაღაც შეიცვალა. რა კარგი იყო. ნაცრისფერი ტყე, ჩიტები. ისე, ამ გოგოსგან მაინც რა მინდა? ამ ფრანცს რა დიდებული გოგო ჰყავს, აი, ჩემი რომ იყოს, რა ბედნიერი ვიქნებოდი?! მერე კარლთან ტერასაზე დაბრუნდა: დასხდნენ, სიგარები გააბოლეს, ერთმანეთს უღიმიან.

- მართლაც, აქ რაღა გვინდა? დაძინება სახლშიც შეიძლება!

რაინჰოლდი ისევ ნელა და ღრმად სუნთქავს და ისევ ახსენდება განაცრისფრებული ტყე; ერთ ადგილზე როგორ ტრიალებდნენ, მერე კი მიციმ იგი შოსეზე გამოიყვანა.

- კარლ, თუ გინდა, შენ წადი. მე კი ამ ღამით აქ დავრჩები.

და მერე ტყისპირამდე მივიდნენ, გზასთან ჩამოსხდნენ და მთელი სისწრაფით მიმავალ

მანქანებს თვალს აყოლებდნენ. ამ ტყეში ბევრი ხეა, ადამიანები რბილ და გრილ მიწაზე დადიან, ქალები და კაცები ხელკავით დასეირნობენ, ეჰ, ნაძირალა ვარ, ნამდვილი ნაძირალა.

შაბათი, 1-ლი სექტემბერი

ეს ოთხშაბათს, 1928 წლის 29 აგვისტოს იყო.

სამი დღის შემდეგ კი ყველაფერი განმეორდა. კლემპნერი ამჯერადაც მანქანით მოგრიალდა და მიცის ეკითხება: ფრაიენვალდში კიდევ ხომ არ გაგვესეირნა, ჩვენთან ერთად წამოსვლა რაინჰოლდსაც უნდა, რა თქმა უნდა, თუ შენ წინააღმდეგი არ იქნებიო. მიცი უყოყმანოდ დაეთანხმა. ოღონდ მანქანაში რომ ჯდებოდა, გაიფიქრა: ახლა მეტ სიმკაცრეს გამოვიჩენ და ტყეში გასეირნებაზე უარს ვეტყვიო. წასვლა ასე უცებ კი იმიტომ გადაწყვიტა, რომ ფრანცი ეს ბოლო დღეებია ცუდ ხასიათზეა, რაღაც აწუხებს, მაგრამ რა, არ ამბობს და მიციმ ხომ უნდა გაიგოს, რაშია საქმე. ის ფრანცს უარს ხომ არაფერზე ეუბნება, ფულსაც აძლევს, არადა, კაცი მაინც უგუნებოდ არის.

რაინჰოლდი მანქანაში მიცის გვერდით დაჯდა და მაშინვე წელზე ხელი მოხვია. უკვე ყველაფერი წინასწარ აქვს მოფიქრებული: შენს საყვარელ ფრანცს ვეღარ ნახავ, ვეღარასოდეს, დღეს ჩემთან იმდენ ხანს დარჩები, რამდენ ხანსაც მე მომინდება! ჩემი ქალების გრძელ სიაში მეხუთასე ხარ, ან იქნებ მეათასეც, აქამდე ყველაფერი კარგად იყო, ეგებ ახლაც გამიმართლოს. ზის ქალი უცოდველი კრავივით და ვერ ხვდება, განგება თუ ეშმაკი რას უმზადებს, მე კი ვიცი და ეს კარგია.

ფრაიენვალდში მანქანას სასტუმროს წინ აჩერებენ. კარლი და მიცი სასეირნოდ მიდიან. ეს შაბათს, 1-ლ სექტემბერს, დღის 4 საათზე ხდება. რაინჰოლდი კი თავის ნომერში ერთი საათით წასაძინებლად ადის. 6.00 საათზე რაინჰოლდი ნომრიდან გამოძვრება, ერთხანს მანქანასთან ტრიალებს, მერე სიმხნევისთვის ერთ ჭიქას გადაკრავს და მიდის.

მიცი კი ტყეში თავს ბედნიერად გრძნობს. კარლი ისეთი საყვარელია, თავისი გამოგონების შესახებ უამრავი რამ უამბო. იმ ფირმამ, სადაც იგი მუშაობდა, კარლისგან პატენტი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, გროშებად შეიძინა, თავად ფირმამ კი ამ პატენტის წყალობით მილიონები იშოვა. თანამშრომლებს, აი, ასე აბრიყვებენ, თანაც ხელწერილს ითხოვენ, რომ ყველაფერზე თანახმა ხარ. პუმსთან კი, ისე, სხვათა შორის მუშაობს, ახლა თავისი მანქანის ახალ მოდელს აწყობს, ძველზე

გაცილებით უკეთესს და როცა მზად იქნება, მაშინ ფირმის მესვეურები პირში ჩალაგამოვლებულები დარჩებიან. ახალი მოდელის შექმნა, რა თქმა უნდა, ხარჯს მოითხოვს, იმის თქმა, თუ რას წარმოადგენს ახალი გამოგონება, ჯერჯერობით არ შეუძლია, ეს საიდუმლოა! და თუ გაუმართლა, კარლი ნამდვილად გამდიდრდება. რადგანაც მოდელი თუ ისეთი გამოვა, როგორიც ჩაფიქრებული აქვს, მაშინ ამქვეყნად ბევრი რამ შეიცვლება: ტრამვაი, სახანძრო საქმე, ასენიზაცია, ერთი სიტყვით, თითქმის ყველაფერი: მის გამოგონებაზე მოთხოვნა ყველა სფეროში იქნება. მერე ცეკვების შემდეგ ავტომობილით თავიანთი მოგზაურობა გაიხსენეს. ხეივნის ორივე მხარეს მუხები გარბიან. საჩუქრად გიძღვნი **128** დღეს და ეს ჩვეულებრივი დღეები არ გეგონოს, თითოეულს აქვს დილა, შუადღე და საღამო!

გაისმა გრძელი აუუუ, აუუუ, - ეს რაინჰოლდი ყვირის. ჰო, ნამდვილად რაინჰოლდია და ისინიც ეხმიანებიან: აუ, აუ, აქ ვაართ! კარლი მაშინვე აორთქლდა და მისი ადგილი რაინჰოლდმა დაიკავა. მიციმ სიცილი შეწყვიტა. დასერიოზულდა.

აქ ორივე შუპო ქვიდან ადგა. თქვეს, თვალთვალმა ნაყოფი არ გამოიღო, ჩვენ უძლურები ვართ, ეტყობა, აქ მხოლოდ უმნიშვნელო დანაშაულები ხდება, რაზეც პატაკს უფროსობას წარვუდგენთ. მაგრამ, თუ რამე უფრო სერიოზული მოხდება, მაშინ შესაბამისად ვიმოქმედებთ. თვალი ადევნეთ ჩვენს განცხადებებს.

რაინჰოლდი და მიცი კი ტყეში მისეირნობენ. ირგვლივ სულიერი არ ჭაჭანებს, მხოლოდ რამდენიმე ჩიტი ჭიკჭიკებს და ისიც ხმადაბლა, სადღაც მაღლა კი ხეები თავისას მღერიან.

აი, ერთი ხე ამღერდა, მას მეორე აჰყვა და ბოლოს მათ თავზემოთ ფოთლები აშრიალდა.

არის მომკელი, მას სიკვდილი ჰქვია, ღვთისგან დიდი ძალაუფლება აქვს მინიჭებული. დღეს იგი თავის ცელს ლესავს, დიდი მკისთვის ემზადება.

- აჰ, რაინჰოლდ, მიხარია, ისევ ფრაიენვალდში რომ ვართ. ამ რამდენიმე დღის წინაც რა კარგი იყო, არა?

- დიახ, ცუდი მხოლოდ ის იყო, რომ ყველაფერი მალე დამთავრდა. ეტყობა, დაიღალეთ, კარზე დაგიკაკუნეთ, მაგრამ არ გამიღეთ.

- ჰო, ჩემზე სუფთა ჰაერმა იმოქმედა, თანაც მანქანამ მაწყინა.

- განა ეს ბედნიერება არ არის?

- დიახ, მაგრამ რაზე ლაპარაკობთ?

- იმას ვგულისხმობდი, რომ რა კარგია, აი, ასე, უბრალოდ ტყეში სეირნობა. მით უმეტეს, თუ გვერდით თქვენისთანა ლამაზი გოგონა მოგყვება!

- ლამაზი გოგონა? რა ჩაიფიქრეთ, რაინჰოლდ! მე ხომ თქვენ ლამაზ კავალერს არ გიწოდებთ!

- კარგია, აქ, ჩემთან რომ ხართ!

- მერე ამაში განსაკუთრებული რა არის?

- იცით, აქეთ რომ მოვდიოდით, ვფიქრობდი, ღმერთო ჩემო, ისეთი შეუხედავი ვარ, თქვენ კი, ჩემთან ერთად წამოსვლა მაინც ინებეთ. ვერ წარმოიდგენთ, ეს როგორ მიხარია!

აჰ, აი, ნამდვილი ჯენტლმენი!

- თქვენ რა, მეგობარი გოგონა არ გყავთ?

- ანუ შეყვარებული? დღეს განა ვინმეს შეყვარება შეიძლება?

- ოჰო!

- დიახ, დიახ! ამქვეყნად არაფერი არ უნდა გაგიკვირდეთ! ფროილაინ, ჩემს მსაჯულად ნამდვილად არ გამოდგებით. აი, თქვენ მეგობარი გყავთ, სანდო ადამიანი, ზრუნავს თქვენზე. მაგრამ სხვა გოგოებს მხოლოდ გართობა უნდათ. სული კი არ გააჩნიათ.

- ეტყობა, არ გიმართლებთ.

- რა ვიცი, ფროილაინ, ასე აეწყო ჩემი ცხოვრება! გახსოვთ, ქალების გაცვლა-გამოცვლაზე გეუბნებოდით, მაგრამ თქვენ ამის მოსმენა არ მოინდომეთ.

- კარგი, მიამბეთ, ამას როგორ აკეთებთ?

- დიახ, გიამბობთ და დარწმუნებული ვარ, გამიგებთ. აბა, სცადეთ და ჩემს ადგილზე თქვენი თავი წარმოიდგინეთ. შეძლებდით, თუნდაც რამდენიმე თვე იმ ქალთან ცხოვრებას, რომელსაც ქალსაც კი ვერ უწოდებ? ქალთან, რომელიც ნებისმიერ

შემხვედრ მამაკაცს ლოგინში უწვება, უსაქმურია, ყველაფერში ცხვირს ყოფს და თანაც სულ მთვრალია!

- გეთანხმებით, ეს საზიზღრობაა!

- აი, ხომ ხედავთ, მიცი. ასე იყო ჩემს შემთხვევაში. ეს ყველას შეუძლია მოუვიდეს. ეგ გოგოები ნაძირლები, სულმდაბლები არიან; თითქოს საგანგებოდ ნაგვიდან ამოჩიჩქნილები. მათი ცოლად შერთვა განა შეიძლება? ყოველ შემთხვევაში, მე არ შემიძლია! ჰოდა, ასეთ ქმნილებას შენ გვერდით ითმენ ერთი თვე, შეიძლება - ორი, მერე კი ხვდები, რომ ასე გაგრძელება აღარ შეგიძლია და სახლიდან აგდებ, შენ კი სულ მარტო რჩები და მერე ყველაფერი ისევ თავიდან იწყება. ამჯერად კი თქვენთან თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, მომწონს აქაურობა.

- თქვენი უბედურების მიზეზი მხოლოდ ეგ არ არის. ადამიანს ხანდახან ახლისკენაც გაგიწევს გული.

- მაგით რისი თქმა გინდათ, მიცი?

- იმისი, რაც ვთქვი: ერთი მოგბეზრდება, მეორე
მოგინდება, არა? რაინჰოლდს გაეცინა:
- ასეთია ადამიანის ბუნება, სიახლე ხიბლავს!

ხელკავით მიაბიჯებენ, იცინიან. დღეს შაბათია, 1-ლი სექტემბერი. ხეები კი ისევ მღერიან. უფრო სწორად, ღიღინებენ, თითქოს ლოცულობენ და მათ ლოცვას არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული.

ყოველივეს თავისი დრო აქვს და ყველაფერს თავისი ჟამი ამ ცისქვეშეთში. ჟამი შობისა და ჟამი სიკვდილისა, ჟამი დანერგვისა და ჟამი დანერგულის აღმოფხვრისა; ჟამი მოკვდინებისა და ჟამი განკურნებისა; ჟამი ნგრევისა და ჟამი შენებისა; ჟამი ტირილისა და ჟამი სიცილისა, ჟამი გლოვისა და ჟამი ლხინისა, ჟამი ქვათა მიმოფანტვისა და ჟამი მათი შეგროვებისა; ჟამი მიჯნურთა პაემნისა და ჟამი მათი გაყრისა. ჟამი პოვნისა და ჟამი დაკარგვისა, ჟამი შენახვისა და ჟამი გაფლანგვისა; ჟამი დარღვევისა და ჟამი შეკერვისა; ჟამი დუმილისა და ჟამი უბნობისა. ჟამი სიყვარულისა და

ჟამი სიძულვილისა; ჟამი ომისა და ჟამი მშვიდობისა. ყოველივეს თავისი დრო აქვს და ვხედავ, რომ ამ დედამიწაზე სიხარულზე კარგი არაფერია. მაშ, გავიხაროთ და ვიზეიმოთ! მზისქვეშეთში არაფერია მხიარულებასა და სიცილზე უმჯობესი.

რაინჰოლდი მიცის მარცხენა მხარეს მიდის, ქალი ხელკავით მიჰყავს. რა ძლიერი ხელი აქვს!

- იცით, მიცი, თქვენი დაპატიჟება მინდოდა და იმ შემთხვევის შემდეგ, ხომ ხვდებით, რა შემთხვევასაც ვგულისხმობ, ველარ გავბედე.

მერე გზა განაგრძეს, ცოტას ლაპარაკობენ. ძალიან საშიშია დიდხანს მდუმარედ სიარული. მიცი მარცხნივ კაცის მარჯვენა ხელს გრძნობს.

სად ჩამოვსხდეთ? რა გოგოა, უმაღლესი კლასის, არა, აქ არა, ასეთთან გრძნობით, სიყვარულით უნდა მიხვიდე, ამიტომ სასტუმროში ჯობს, თანაც ღამით, ამ ღამით, იმ დროს, როცა მთვარე ანათებს.

- ხელზე ნაწიბურები და სვირინგი გაქვთ, ალბათ, მკერდზეც გექნებათ, არა?

- რა თქმა უნდა, გინდათ, გაჩვენოთ?

- ეგ სვირინგი რაში გჭირდებათ?

- გააჩნია, სად, ფროილაინ?

მიცი კისკისებს, ხელზე ჩამოეკიდა:

- წარმომიდგენია... სანამ ფრანცს შევხვდებოდი, ერთი მყავდა, და ისეთი მოხატული იყო, თანაც ისეთ ადგილებში, რომ თქმაც კი მრცხვენია.

- მართალია,ამის გაკეთება მტკივნეულია, მაგრამ ლამაზია. არ გინდათ, თვალი შეავლოთ, ფროილაინ?

მიცის ხელი გაუშვა და მკერდზე პერანგი ელვისებურად გადაიღეღა.

- აი, ნახეთ, აქ დაფნის გვირგვინში ჩასმული გრდემლი მაქვს ამოსვირინგებული...

- კმარა, რაინჰოლდ, შეიკარით!

- არა, შეხედე, ნუ გეშინია!

რაინჰოლდმა თავი დაკარგა, აირია. სხეულზე თითქოს ცეცხლი მოედო, მძაფრმა ვნებამ

შეიპყრო, ქალს თავში ხელი სტაცა და სახით გაშიშვლებულ მკერდზე მიიკრა.

- აკოცე, გესმის, აკოცე!

ქალი კი არ კოცნის. რაინჰოლდი მკერდზე მიცის სახეს უფრო ძლიერად იკრავს.

-

გამიშვით!

გაუშვა.

- რას იპრანჭები? თავს იფასებ?

- მივდივარ!

აი, შე უნამუსო გოგო, დამაცადე, ჯერ სად ხარ, ამისთანებს გაგაკეთებინებ? ასე ლაპარაკს ჩემთან როგორ ბედავ! მაშინ ნახე, ყელში რომ გწვდები. პერანგი შეიკრა. დამაცადე, ამას არ შეგარჩენ! ოღონდ მშვიდად, ყმაწვილო, არ იჩქარო!

- ისეთი რა გავაკეთე, ხომ ხედავ, შევიკარი. შენ რა, კაცი არ გინახავს?

ამ ტიპს რას გადავეკიდე, აი, ვარცხნილობა სულ ამიჩეჩა, ეს ხომ ნამდვილი ხულიგანია, კმარა, უნდა წავიდე!

ყოველივეს თავის დრო აქვს და ყველაფერს თავისი ჟამი ამ ცისქვეშეთში!

- კარგი, გაბრაზება არ გიხდებათ, ფროილაინ! ეს ყველას ემართება. არის ცხოვრებაში ასეთი მომენტები.

- და მაინც, თავში არ უნდა მწვდომოდით, კინაღამ მომაგლიჯეთ.

- ნუ ბრაზობთ, მიცი.

დამაცადე, ეგ რა არის, ისე გწვდები, რომ ეს ალერსად მოგეჩვენება! და ისევ, თითქოს ცეცხლი წაეკიდა. ღმერთო, ერთი ამ ქალისთვის ხელი შემავლებინა!

- მიცი, მოდი, შევრიგდეთ!

- კარგი, ოღონდ წესიერად მოიქეცით!

- არის, წესიერად მოვიქცე!

ისევ გვერდიგვერდ და ისევ ხელკავით მიდიან. კაცი ქალს უღიმის. ის კი ქვემოთ იყურება, თავის ფეხებსა და ბალახს დასცქერის და სახეზე მასაც ღიმილი დასთამაშებს.

- ქოფაკი არც ისე საშიშია არა, მიცი? ჩვენ ვიყეფებით, მაგრამ არ ვიკბინებით.

- აი, სულ იმაზე ვფიქრობ, მკერდზე გრდემლი რატომ დაიხატეთ? კაცებს ან საყვარელი ქალის სახე, სახელი, გული აქვთ ხოლმე ამოსვირინგებული, ან რაღაც ამდაგვარი, თქვენ კი გრდემლი გაქვთ.

- თქვენი აზრით, ეს რას უნდა ნიშნავდეს, მიცი?

- არ ვიცი, ვერ ვხვდები!

- ეს ჩემი გერბია.

- გრდემლი?

- ჰო, - გაიცინა რაინჰოლდმა, - მასზე ყოველთვის შეიძლება ვინმე დააწვინო.

- ნამდვილი ღორი ხართ. ასეთ შემთხვევაში სჯობდა საწოლი დაგეხატათ.

- არა, გრდემლი ჯობს, თანაც ბევრად!

- თქვენ რა, მჭედელი ხართ?

- რაღაც გაგებით კი, მჭედელიც ვარ. იცით, აბსოლუტურად ყველაფერი მეხერხება. მხოლოდ გრდემლის შემთხვევაში თქვენ სწორად არ გაიგეთ. ეს ნიშნავს, ნურავინ მომეკარებით, თორემ დაიწვებით! მაგრამ, არ გეგონოთ, რომ ახლავე ჩაგახრამუნებთ. ნუ გეშინიათ, თითსაც არ დაგაკარებთ. ან რატომ უნდა დაგაკაროთ, ეს სასიამოვნო გასეირნება რისთვის უნდა ჩავიშხამოთ? მხოლოდ ეგ არის, ცოტა დავიღალე და სადმე ხევში სიამოვნებით ჩამოვჯდებოდი!

- პუმსს რა, სულ შენისთანა ბიჭები ჰყავს?

- ჰო, მათთან ფრთხილად უნდა იყო!

- და ასე, ყველანი ერთად რას საქმიანობთ?

ეჰ, ხევში როგორ ჩავიტყუო? ირგვლივ ხომ ძეხორციელი არ ჭაჭანებს.

- ეგ, მიცი, შენს ძვირფას ფრანცს ჰკითხე, ეს ყველაფერი ჩემზე უკეთესად იცის.

- მაგრამ ფრანცი არაფერს მეუბნება.

- ძალიან კარგი, თუ არ გეუბნება, ეშმაკია შენი ფრანცი. ამაზე ლაპარაკი არ ღირს!

- მაგრამ ჩემთვის თქმა ხომ შეიძლება.

- მაინც რისი გაგება გინდა?

- რას აკეთებთ?

- თუ გეტყვი, მაკოცებ?

- შევთანხმდით!

და აი, მიცი უკვე კაცის მკლავებშია. ამ ჯეელს ერთი კი არა, ორი ხელი აქვს. თანაც, ოჰ, რა ძლიერი! გულში როგორ ჩამიკრა! ყველაფერს თავისი დრო აქვს და ყველაფერს თავისი ჟამი ამ ცისქვეშეთში

- ჟამი პოვნისა და ჟამი დაკარგვისა, ჟამი თესვისა და ჟამი მოსავლის აღებისა. ოი, ველარ ვსუნთქავ. ეგ კი არ მიშვებს, დამცხა. გამიშვი. ერთი-ორჯერ ასე რომ ჩამიხუტოს, სული ამომხდება. მაშინ ჯერ ის მაინც მომიყვეს, ფრანცს რა ემართება, ფრანცს მაინც რა უნდა, ყველაფერი როგორ მოხდა და ესენი რას ფიქრობენ.

- კარგი, რაინჰოლდ, გეყოფა, გამიშვი!

- ო, არა!

გაუშვა, უცებ ქალის ფეხებთან მუხლებზე დაეცა, უკოცნის ფეხსაცმელებს, წინდებს, კაბას, უფრო და უფრო მაღლა მიიწევს, უკოცნის ხელებს, ყველაფერს თავისი ჟამი აქვს, - კიდევ მაღლა, აი, უკვე ყელს უკოცნის. მიცი იცინის. კაცის მოშორებას ცდილობს.

- თავი დამანებე, ადამიანო, ნამდვილი გიჟი ხარ!

აუ, როგორ აენთო, ვარვარებს, ახლა ცივი შხაპი ნამდვილად მოუხდებოდა. აქოშინებულმა თავი მიცის ყელში ჩარგო, რაღაცას ბურტყუნებს, ვერ გაიგებ - რას! მერე უცებ თავი ასწია. ნამდვილი ხარია! მერე მიცის წელზე ხელი მოხვია და გზა განაგრძეს, ხეები კი ისევ მღერიან და მღერიან!

- შეხედე, მიცი, რა მშვენიერი ხევია, თითქოს საგანგებოდ ჩვენთვის შექმნილი. აქ ვიღაც უკვე ყოფილა, კოცონი დაუნთია. ახლა აქაურობას მოვასუფთავებ, თორემ შარვალს დავისვრი.

მოდი, დავჯდები. იქნებ მაშინ უფრო ალაპარაკდეს:

- კარგი, დავსხდეთ. ოღონდ, აი, მიწაზე რამე რომ გაგვეფინა.

- მოიცადე, პიჯაკს გავაფენ.

- აი, დიდი მადლობა.

ისინი არცთუ ღრმა ხევის ბალახით შემოსილ ფერდზე წვანან. მიცი კონსერვის თუნუქის ქილას ფეხს ჰკრავს, მუცელზე გადმოტრიალდება და ისე, ვითომც არაფერი, რაინჰოლდს ხელს მკერდზე ადებს. როგორც იქნა, უღიმის და თვალს არ აშორებს, ვიდრე კაცი პერანგის საკინძეს იხსნის და იქიდან გრდემლი გამოჩნდება.

- აბა, ახლა მომიყევი, რაინჰოლდ!

კაცი კი პასუხად ქალს მკერდში იკრავს. ასე რა, აი, გოგო ამას ჰქვია. ქალი კი არა, ქალღმერთია. ყველაფერი კარგად მიდის, ეს სხვა ქალებზე გაცილებით დიდხანს მეყოლება, ფრანცმა კი რაც უნდა, ის ქნას, იჩხუბოს, სანამ არ მოსწყინდება, ამ გოგოს უკან მაინც ვერ მიიღებს, სანამ თავად არ მომინდება.

რაინჰოლდი ფერდობზე ოდნავ ქვემოთ დაცურდა, ზურგზე დაწვა, მიცი თავისკენ მიიზიდა, მკლავები მარწუხებივით შემოაჭდო და მის ბაგეებს დააცხრა. სხვა აღარაფერზე ფიქრობს. ვნება ბრმაა. მძვინვარე სურვილი. ახლა კი ყველა შემდგომი ნაბიჯი წინასწარ არის ცნობილი. აბა, გაბედოს ახლა ვინმემ და აღსრულებაში ხელი შეუშალოს: დაგლეჯს, დაკუწავს, დაამსხვრევს - ვეღარც ქარიშხალი და ვეღარც ზვავი ვერ შეაჩერებს. ჭურვს ჰგავს, ქვემეხიდან გასროლილს, რომელსაც რაც კი გზაზე ხვდება, ყველაფერს ამსხვრევს, გლეჯს, გვერდით ისვრის და ფრენას მაინც აგრძელებს.

- ოი, მტკივა, რაინჰოლდ!

ფიქრობს: ვერ გავუძლებ, თავს ხელში თუ არ ავიყვან, ნამდვილად დამიმორჩილებს.

- მიცი!

კაცი კი აგრძელებს, მიცი ისევ მარწუხებში ჰყავს მოქცეული.

- მიციკენ!

- რა, რაინჰოლდ?

- ისე მიყურებ, თითქოს პირველად მხედავდე!

- იცი რა, რაინჰოლდ, ძალიან ცუდად მექცევი, ფრანცს დიდი ხანია იცნობ!

- შენს ფრანცს?

- ჰო.

- განა ფრანცი ჯერ კიდევ შენია?

- აბა, ვისია?

- მაშინ მე ვინ ვარ?

- როგორ თუ ვინ ხარ, ვერ გავიგე?

მიციმ სახის დამალვა რაინჰოლდის მკერდში სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა. კაცმა თავი ძალით

აუწია.

- გეკითხები, ამ შემთხვევაში მე ვინღა ვარ?

ქალი მიეკრა, ცდილობს, ხელისგულით კაცს პირი დაამუწინოს.

ჰოდა, კაცი ისევ აენთო. ეტყობა, ძალიან მოვწონვარ, ფიქრობს მიცი, ისევ ცეცხლი უკიდია.

სახლში ხანძარია, ალი გუგუნებს, გარეთ გავარდნას ცდილობს, მას მეხანძრეები ვერ ჩააქრობენ! ბრანდსპოიტები ვერ მოერევიან!

- გეყოფა, გამიშვი!

- ვერ ვხვდები, მაინც რა გინდა, გოგონი?

- არაფერი, შენთან თავს კარგად ვგრძნობ.

- აი, ხომ ხედავ, მაშასადამე, მეც შენი ვარ! შენ რა, ფრანცს ეჩხუბე?

- არა!

- აღიარე, რომ ეჩხუბე!

- არა, არ მიჩხუბია, გირჩევნია, ფრანცზე რამე მიამბო, შენ ხომ დიდი ხანია იცნობ.

- ფრანცზე საამბობი არაფერი მაქვს.

- როგორ თუ არაფერი?

- მიცი, გაიგე, რომ არაფერს მოგიყვები!

რაინჰოლდი მიცის ხელს უხეშად ჩაავლებს, ზურგზე აწვენს, ქალი თავის დახსნას ცდილობს:

- არ მინდა, თავი დამანებე!

- გოგონი, ნუ ჯიუტობ!

- გამიშვი, უნდა ავდგე, აქ დავისვრებით.

- და თუ რაღაც-რაღაცებს მოგიყვები?

- მაშინ სხვა საქმეა,

- მაშინ რას მივიღებ, მიცი?

- რასაც მთხოვ!

- ყველაფერს?

- ვნახოთ!

- ყველაფერს?

წვანან, ლოყა ლოყაზე მიდებული, ორივეს ცეცხლი წვავს. მიცი პასუხს არ სცემს. რაინჰოლდიც ჩუმად არის, არ ვიცი, ეს რითი დამთავრდება. თავში ამ აზრმა მხოლოდ გაუელვა და იქვე ჩაქრა. მერე აზრები აქეთ-იქით გაეფანტა და გონება გაეთიშა.

რაინჰოლდი მიწიდან დგება, ერთი პირი დამაბანინა, ფუ, რა საშინელებაა ეს ტყე, სულ დავისვარე.

- კარგი, ეგრე იყოს, მაგ შენს ფრანცზე რაღაც-რაღაცებს მოგიყვები! კარგა ხანია, ვიცნობ, მართალი გითხრა, იშვიათი ეგზემპლარია. გასულ ზამთარს პრენცლაუერალეეზე რომ ლუდხანაა, იქ გავიცანი. გაზეთებით ვაჭრობდა და სულ თავის ერთ მეგობართან ერთად დადიოდა. მოიცა, რა ერქვა? ჰო - მექი, კი ნამდვილად მექი. მერე კი ერთად ხშირად ვიყავით ხოლმე. გოგოებზე ხომ კი უკვე მოგიყევი.

- ესე იგი, გოგოების ამბავი მართალია?

- შენ არ გჯერა, მაგრამ მართალია! ისე, ეგ შენი ბიბერკოპფი დიდი სულელი ვინმეა. ის, რითაც თავი მოაქვს, ჩემი წყალობით იყო. იქნებ გგონია, თავის ქალებს ეგ მატენიდა, არა, ჩემო ლამაზო, მე ვატენიდი მაგას. იმ ქალებს, რომლებიც უკვე მომყირჭდებოდა. ღმერთო ჩემო, აბა, მაგას რა ქალები უნდა ჰყოლოდა, შენს ფრანცს რომ დავუჯერო, ცოდვების მოსანანიებლად დღესვე ხსნის არმიაში უნდა გავიქცე.

- შენ კი ცოდვების მონანიებას არ აპირებ, არა, რაინჰოლდ?

- როგორც ხედავ, არა. მე ვერაფერი გამომასწორებს. რაც ვარ, ის ვარ. ხომ გაგიგონია: არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა. ჰოდა, ჩემი საქმეც ეგრეა, ათას ეკლესიაშიც რომ ვილოცო, ფრთები მაინც არ გამომესხმება. აი, შენს ფრანცთან კი რაღაც-რაღაცების გამოსწორება ნამდვილად შეგიძლია. აბა, დაფიქრდი, მიცი, მაგ ხვადისთვის შენ ხომ გემრიელი ლუკმა ხარ, ერთი გამაგებინა, ეგ შენი ცალხელა, რომელ სანაგვეზე იპოვე. შენ ხომ ულამაზესი გოგო ხარ და რომ მოინდომო, კაცებისგან მოსვენება არ გექნება.

- მორჩი სისულელეების ლაპარაკს.

- მართალი უთქვამთ, სიყვარული ბრმა არისო, მე კი დავუმატებდი, ბრმა არის ორივე თვალით. მაგრამ ასეთი სიბრმავე, მართლაც არ გამიგია. იცი, ახლა შენი ხვადი ჩვენთან რატომ დაყიალებს? დიდი ბატონის როლს თამაშობს და ჩვენი სახით მაყურებელი სჭირდება. არადა, ცოტა ხნის წინ ხსნის არმიაში ცოდვების მოსანანიებლად მიშვებდა და რომ არ გამოუვიდა, ახლა ბატონობანას მეთამაშება.

- მისი გინება არ გაბედო, ამის მოსმენა არ მინდა.

- არ ატირდე, პატარავ, ჰო, ვიცი, შენი საყვარელი ფრანცი გიყვარს და იგი განუმეორებელია, დავიჯერო, აქამდე არ მოგბეზრდა?

- ასეთი რა დაგიშავა ფრანცმა, რაინჰოლდ!

ყველაფერს თავისი დრო აქვს და ყოველივეს თავისი ჟამი ამ ქვეყანაზე. ეს რაინჰოლდი მართლაც საშიში ადამიანია, გამიშვას რა, რატომ არ მიშვებს? არც მაგის მოსმენა მინდა და ფრანცზეც არაფრის გაგება.

- არაფერი, მართალი ხარ, ჩვენთვის არაფერი დაუშავებია. აბა, ერთი სცადოს და დაგვიშავოს, დღის სინათლეს ვეღარ იხილავს! ისე, ვერაფერს იტყვი, მიცი, კაცი იშოვე, ქალი უკეთესს ვერ ინატრებს. ის თუ გითხრა, მარჯვენა ხელი სად და როგორ დაკარგა? რა, ხომ უნდა იცოდე, შენ ხომ მისი საცოლე ხარ, თუ იყავი? მოდი ჩემთან, მიციკენ, მოდი, ძვირფასო, საყვარელო, ნუ იპრანჭები.

რა უნდა ვქნა, როგორ მოვიცილო ეს კაცი, არ მინდა ეს კაცი.

არის ჟამი ხვნისა და თესვის; არის ჟამი მოსავლის აღებისა, არის ჟამი ტირილისა და ცეკვის, ჩივილისა და სიცილის.

- მოდი რა, მიცი, რა ჯანდაბად გინდა ეგ ჯამბაზი! მოდი, დამატკბე, ნუ ჯიუტობ, თავს ნუ იფასებ! არც შენი ფრანცი არის დიდი ბატონი და არც შენ ხარ კეთილშობილი გვარის გრაფინია. გიხაროდეს, რომ იმ იდიოტს თავი დააღწიე!

მიხაროდეს, სასიხარულო რა არის?

- ეგ ფრანცი კი იჯდეს და იყმუვლოს, ჰყავდა მიცი და ფაფუ, აღარ ჰყავს მიცი!

- კარგი, გეყოფა, ხელებს ასე მაგრად ნუ მიჭერ. რკინის ხომ არ ვარ.

- ვხედავ, რომ რკინის არა ხარ, ფუმფულა ხარ, რბილი და თბილი, მიციკენ, მოსწიე შენი ლამაზი სახე.

- ბოლოს და ბოლოს, რა ხდება? გითხარი,ხელებს ნუ მიჭერ! მორჩი ამ საზიზღრობას! საინტერესოა, შენი მიცი როდის აქეთ გავხდი?

მიცი წამოხტა და ფერდობზე აირბინა. შლაპა მიწაზე დარჩა. ნამდვილად, ახლა მუშტებზე გადავა, აქედან უნდა გავასწრო. და როგორც კი რაინჰოლდი წამოიმართა, ქალმა მაშინვე ყვირილი ატეხა, ფრანც, ფრანც, და გაიქცა. რაინჰოლდი ზემოთ ამოდის, მხოლოდ პერანგით, უპიჯაკოდ, გოგოს ორი ნახტომით დაეწევა, დაიჭერს და ორივენი ხის ძირას მიწაზე ეცემიან. მიცი გაშმაგებული იბრძვის, კივის, მაგრამ რაინჰოლდი ზემოდან ეცემა, პირზე ხელს აფარებს.

- რა გაყვირებს, შე კახპავ! ასეთი რა გიქენი? ჩუმად, გესმის? გგონია, თუ იმ შენმა ფრანცმა ძვლები არ გადაგიმტვრია, მეც ასე ადვილად დამაღწევ თავს?

კაცმა პირიდან ხელი მოაშორა.

- აღარ ვიყვირებ!

- ჰოდა, ძალიან კარგი. ახლა ადექი, წადი და შენი შლაპა აიღე. დაიმახსოვრე, მე ქალებს არ ვაუპატიურებ. ეგეთი რამ ცხოვრებაში არ მიკადრებია. მაგრამ იცოდე, მოთმინებასაც საზღვარი

აქვს. აბა, წადი, ცოცხლად!

მიცი უკან, ხევისკენ წავიდა. რაინჰოლდი ფეხდაფეხ მიჰყვა.

- თავზე ძალიან დიდი წარმოდგენა გაქვს, დიდი ამბავი, ფრანცის კახპა!

- კარგი, მე წავალ.

- რას ნიშნავს „წავალ“? შენ რა, გაგიჟდი? იქნებ ვერ ხვდები, საქმე ვისთან გაქვს? ეგრე შეგიძლია შენს გამოთაყვანებულს ელაპარაკო, მაგრამ არა მე! გასაგებია?

- ჩემგან რა გინდა?

- დაბლა ჩადი და დამჯერე გოგოსავით მოიქეცი!

მიიყვანენ ხბოს სასაკლაოზე, ყელზე მარყუჟს ჩამოაცვამენ, გრძელ სკამზე დააწვენენ და ზედ თოკით მიაბამენ.

ისევ ხევში ჩავიდნენ.

- დაწექი, - უბრძანა რაინჰოლდმა.

- რა?

- ერთი გაბედე და ხმა ამოიღე! ძალიან მომწონხარ, გოგონი, აქ, ამიტომაც ჩამოვედი! გეუბნები, შენ მხოლოდ ფრანცის ხასა ხარ და თავი გრაფინიად ნუ მოგაქვს! დაიმახსოვრე, ხმაურის ატეხა არ გაბედო! მსგავსი რაღაცები არავისთვის მიპატიებია, ყოფილა ეს მამაკაცი, ქალი თუ ბავშვი. ამ დროს დაუნდობელი ვარ. მომავალში, თუ ამის შემთხვევა მოგეცემა, ჰკითხე ერთი შენს ხვადს, თუ არ შერცხვება, მძიმე ამბებს მოგიყვება, თუმცა რატომ ველოდოთ შემთხვევას, რომელიც შეიძლება არც კი მოგეცეს, მე თვითონ მოგიყვები, რათა გაიგო და შეიგნო, თუ რა ადამიანია ეგ შენი ფრანცი და რომ ჩემთან ხუმრობა საშიშია, ოო, მერედა როგორი საშიში! ერთხელ მაგ რეგვენმაც სცადა ხმის ამაღლება, თავისი ვითომ პრინციპების გატანა, ვინ იცის, იქნებ ჩვენი ჩაყრაც უნდოდა. ერთხელ საქმეზე წავედით და ეგ ზექსზე დავაყენეთ. შენი ფრანცი კი მორალს აწვება, ამბობს, არ დავდგები, აქაოდა, წესიერი და პატიოსანი ვარ და უკანონობას არ ჩავიდენო. მე კი ვეუბნები, იმას გააკეთებ, რასაც ჩვენ გეტყვით- მეთქი. ერთი სიტყვით, კარგა ხანს იბობოქრა. ბედად საქმე მშვიდობიანად მოვაგვარეთ. მერე კი მანქანით უკან რომ მოვდიოდით, სულ იმას ვფიქრობდი, ამ

კაცისთვის ჭკუა როგორ მესწავლებინა. ეგ ცხვირს ადრეც ხომ სწევდა, თანაც ძალიან მაღლა. გამომივიდა რა წესიერი ადამიანი! გავიხედე და უკან პოლიციის მანქანა მოგვდევს, ვიფიქრე, წესიერო, ახლა გაჩვენებ სეირს-მეთქი! და გაქანებული მანქანიდან გადავაგდე. ახლა ხომ გაიგე, ხელი სად და როგორ დაკარგა.

მიცის ხელ-ფეხი გაუცივდა. აი, თურმე ვინ... ღმერთო ჩემო!

- ახლა კი დაწექი და ალერსიანად მომეპყარ, როგორც წესი და
რიგია. ეს კაცი ნამდვილი მკვლელია!
- არამზადა, თაღლითო!

რაინჰოლდი კი ზეიმობს:

- აჰა, როგორც იქნა, მიხვდი, იყვირე, სული
მოითქვი! იყვირე, იყვირე, ჩემო მტრედო, სხვა გზა
მაინც არა გაქვს. მიცი ტირის, ყვირის:
- ძაღლო, ფრანცის მოკვლა გინდოდა, კაცი გააუბედურე და ახლა გინდა, შენი გავხდე,
ამაზრზენო ადამიანო!

- დიახ, ეგ მინდა!

- მაგ ამაზრზენ სიფათში
მოგაფურთხებ! რაინჰოლდი ქალს
პირზე ხელს აჭერს:
- აბა, ერთი სცადე!

მიცი გალურჯდა, რკინის ხელებიდან თავის დახსნას ცდილობს:

- მკვლელო, მიშველეთ, ფრანც, ფრანცეკენ, მოდი.

ყველაფერს თავისი დრო აქვს და ყოველივეს თავისი ჟამი ამ ცისქვეშეთში! დადგება ჟამი - დაღუპავ და განკურნავ, ააშენებ და დაანგრევ, დახევ და შეკერავ, ყველაფერს თავისი დრო აქვს. მიცი მიწაზე ეცემა, ზემოთ მიცოცავს, ფერდობზე, რაინჰოლდი კი ხელს სტაცებს და ქვემოთ ჩამოათრევს. გოგონა იბრძვის, თავის დახსნას ცდილობს. ფრანც, მიშველე, ფრანც!

დამაცადე, საყვარელო, შენისთანებს გავსწორებივარ? შენს ფრანცს ისეთ სიურპრიზს მოვუწყობთ, რომ მთელი კვირა ეყოფა.

- გამიშვი, წასვლა მინდა, სახლში მინდა!

- რას მეუბნები, გინდა და გინდოდეს! რა ჩემი საქმეა, ვის რა უნდა!

კაცმა მიცის მუხლი ზურგზე დააჭირა, ხელები ყელზე შემოხვია, ცერა თითები კი მის კეფაზე გადააჯვარედინა, და სხეული დაიკრუნჩხა, უმწეო გოგოს სხეული დაიკრუნჩხა, აკანკალდა და დაიკრუნჩხა. არის დრო შობისა და დრო სიკვდილისა. ყველაფერს თავისი დრო აქვს.

მკვლელიო, ამბობ, აქ შენ თვითონ შემომიტყუე, მერე კი იმედი გამიცრუე, ხელი მკარი, შენ რაინჰოლდს არ იცნობ.

ძალაუფლება, ძალაუფლება, არის მომკელი, მას ღვთისგან დიდი ძალაუფლება აქვს მინიჭებული.

- გამიშვი, გამიშვი.

ის კიდევ იბრძვის, ტანი უთრთის, ეკრუნჩხება, ფეხებს იქნევს. არა უშავს, ჩვენ მალე დავამშვიდებთ, მძორი კი თუნდაც ძაღლებმა დაგლიჯონ!

სხეული, პატარა მიცის სხეული ჯერ კიდევ ფეთქავს, იკრუნჩხება, მკვლელი მიწოდე, კარგი, ვიყო მკვლელი, აი, მიიღე! ეს, ალბათ, შენმა საყვარელმა ფრანცმა გასწავლა!

მერე პირუტყვს კეფაში ხის უროს ურტყამენ და ყელის ორივე მხარეს არტერიებს დანით უსერავენ. სისხლი, რომელიც არტერიებიდან მოჩქეფს, ვარცლში ჩაედინება!

რვა საათია, ტყეში ბინდი ჩამოწვა, ხეები ირხევიან, იხრებიან. მძიმე სამუშაო იყო! აბა, რატომ დუმხარ? რატომ აღარ მლანძღავ, შე უნამუსოვ. იწანწალე ახლა ქალაქგარეთ ყველა ვიგინდარასთან ერთად.

ახლა, სასწრაფოდ ფიჩხი და ტოტები მივაყაროთ და უახლოესი ხის ტოტზე ცხვირსახოცი გამოვნასკვოთ, რომ ადგილს ადვილად მივაგნოთ. ამ ლამაზმა სული საბოლოოდ განუტევა, მორჩა! ჰო, სად არის კარლი, სასწრაფოდ აქ უნდა მოვათრიო.

კარლს თითქმის ერთი საათი ეძებდა, როგორც იქნა, იპოვა, ტყეში წაიყვანა, საწყალი მეთუნუქე აკანკალდა, ფეხები მოეკვეთა. მოდი და ასეთ გამოუცდელთან იმუშავე.

დაღამდა, შავმა ღამემ დაისადგურა. ჯიბის ფარნები აანთეს და დიდხანს ეძებეს. აი, ცხვირსახოცს მიაგნეს. ბარები თან მოიტანეს. გვამი ჩამარხეს, ორმო ქვიშით ამოავსეს, ზედ ტოტები წააყარეს, ახლა ფეხის ნაკვალევი უნდა წაშალონ, აქ იმდენი ნაკვალევი დატოვეს, კარლ, თავი ხელში აიყვანე, გაიმართე, თორემ ლამის ფეხები შენც გაჭიმო.

- კარლ, აი, ჩემი პასპორტი აიღე, საიმედო პასპორტია, აი, ფულიც, აქედან გაქრი, სანამ ყველაფერი არ ჩაწყნარდება, არ გამოჩნდე, არ ინერვიულო, ფულს რეგულარულად გამოგიგზავნი. წერილები პუმსის მისამართზე გამომიგზავნე. უკან მარტო გავემგზავრები. აქ მე არავის დავუნახავვარ, შენ კი ალიბი გაქვს და ეჭვს შენზე არავინ მიიტანს. სულ ეს არის, აბა, წავედით!

ხეები ირხევიან, იხრებიან. ყველაფერს, ყველაფერს თავისი დრო აქვს...

ისე ბნელა, ადამიანი თვალთან თითს ვერ მიიტანს. ის მოკლეს, მოკლეს. მისი სახე, კბილები, თვალები, ბაგეები, ენა, ყელი, საშო - ყველაფერი მოკლეს, მე შენი ვარ, შენ უნდა დამამშვიდო, შტეტინის სადგურზე პოლიციის განყოფილება, აშინგერი, აქ ვდგავარ და თავს ცუდად ვგრძნობ, ჩქარა მოდი და მაშინვე სახლში წავიდეთ, მე შენი ვარ.

ხეები ირხევიან, ქარი ძლიერდება, ხმაურობს. უუუ, უა, უუ-უუ-უუჰ, ღამე გრძელდება, წინ მიაბიჯებს. მისი სხეული მოკლულია, მისი თვალები, მისი ენა, პირი, უკვე მკვდარია, მოდი რა და მაშინვე სახლში წავიდეთ, მე შენი ვარ - ფერდობის კიდეზე მდგარი ხე ჭრიალებს, გვერდზე იხრება. უუ-უუ, უუუ, ეს უკვე ქარიშხალია და დაფდაფების ბრახუნითა და აკვნესებული ფლეიტებით მობრძანდება, ახლა ქარიშხალი უკვე ფრთებით ტყის თავზე დათარეშობს, მერე კი ღრიალით დაბლა, ხეებში შევარდება და მათ ააკვნესებს, ააჭრიალებს. ბუჩქები კი მიწაზე განერთხნენ, საწყალობლად აწკმუტუნებულები, ვითარცა ჩაკეტილში დატოვებული ძაღლი.

გესმით? ქარიშხალი ჩადგა, ეტყობა, ვინმე ძლიერმა ფეხი ამოჰკრა, თანაც ქუსლით, რომ უფრო

მტკივნეული ყოფილიყო.

უუუ-უუუ, ქარიშხალი ისევ ტყის თავზე დათარეშობს. შავია ღამე, ტყე კი არ ირხევა და არ თრთის. ხეები გვერდიგვერდ დგანან, ერთად, ჯოგივით. ტანი - ტანთან. ეს ხეები, ასე ტანაშოლტილები და ძლიერები მყუდროებაში გაიზარდნენ. კარგად იციან, ქარიშხალი ასე ადვილად ვერაფერს დააკლებს. მათ ერთად დგომა იცავს. აი, განაპირას მდგარი ხეები კი დაუცველები არიან, მაგრამ ერთიანობის აუცილებლობისა მათაც სწამთ. და თუ დავიღუპებით, ეგ არაფერი: ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის. ვიღაცას, მის შემდეგ მდგომს ხომ მაინც გადაარჩენენ! ბნელი ღამე, ავი და მოღუშული. მზე თითქოს არც არასოდეს ყოფილა. უ-უ-უ-უ, - ისევ აღრიალდა ქარიშხალი, ისევ აქ არის, ამჯერად ქვემოთაც, ზემოთაც და ირგვლივ. მოყვითალო-წითელი აფეთქება ცას კვეთს. მაგრამ სულ ერთი წამით და ცა პირს იკრავს, ისევ წყვდიადი, მოყვითალო- წითელი აფეთქება და წყვდიადი. ზუზუნი და სტვენა ძლიერდება, განაპირას მდგარმა ხეებმა იციან, რომ განწირულები არიან და ამიტომაც კვნესიან. აი, ბალახს ეს გამძვინვარებული ქარიშხალი ნაკლებად აშინებს, ბალახის ღეროები გადაიხრებიან, მიწაზე განერთხმებიან, მაგრამ რა ეშველება ამ გოლიათ ხეებს? და მოულოდნელად ქარი ჩადგა. მოჰბეზრდა თუ რა მოხდა? ან იქნებ დაიღალა? ხეები კი ქარს ეჭვის თვალით უყურებენ, მაინც ოხრავენ, ჭრიალებენ, ახლა რას იზამს? ერთი კი დანამდვილებით იციან: ქარისგან სიკეთეს არ უნდა ელოდონ!

როცა მავანს სახლის დანგრევა უნდა, ამას შიშველი ხელებით არ გააკეთებს. აუცილებლად კოპრს გამოიყენებს და თუ საჭირო გახდა, დინამიტსაც. ქარს კი ხეთა რიგების დასაწვენად მკერდის გარდა, სხვა არაფერი სჭირდება. აი, ნახეთ: მკერდით ჩაისუნთქავს, მერე ხმაურით - უ-უ-უ-უუუუ

- ამოისუნთქავს. და მისი ყველა სუნთქვა თუ ამოსუნთქვა მთასავით მძიმეა. ამოისუნთქავს და ხმაურით, უუუუ-უუ-უუუ, მთა გაგორდება, ჩაისუნთქავს და ჰაერი მთას უკან წაათრევს; ამოისუნთქავს და ხმაურით გაგორდება მთა. და ასე, წინ და უკან. და თითოეული მისი ამოსუნთქვა სიმძიმეა, დიდი რკინის ბირთვი, რომელიც ხეებს ეჯახება და გულ-მუცელს უნგრევს. და მერე რა, რომ ბორცვებზე ხეები ჯოგებივით ჯგუფურად დგანან, ქარი ჯოგს მიმოფანტავს და მათ შორის გზას გაიკაფავს.

ისევ აღბავლდა, უუუ-უუუ-უუ-უუუ, მაგრამ ამჯერად დაფდაფების ბრახუნისა და ფლეიტების სტვენის გარეშე. ისმის მხოლოდ ყრუ დარტყმები: ვუუმმ, ვუუმმ, ვუუმმ, ირხევიან ხეები, მაგრამ ქარდაქარ ვეღარ მიდიან, ძალა აღარა აქვთ. აი, მარცხნივ გადაიხარნენ და ქარიც იქით გავარდა. ხეებს რკალად ხრის, ამსხვრევს, ამტვრევს, ლეწავს, ისმის ხრჭიალი, ჭრიალი, გრიალი, კვნესა, ოხვრა, ტკაცანი, ჯახანი, გრუხუნი! ქარი კი ხეებს შოლტს სცემს, მარცხნივ ხრის, წაგაქცევთ! მაგრამ განზე გახტა ქარი, ჩაწყნარდა. ვერაგია ქარი და თუ გინდა, გადარჩე, ყურადღებით უნდა იყო! და ისევ ვუუმმ, ვუუმმ, ვუუმმ... თითქოს ტყეს ზემოდან ბომბებს აყრიდეს, მისი განადგურება, ნაფოტებად გადაქცევა უნდა.

იბრძვიან, რკალად იხრებიან, ქარდაქარ მიდიან ხეები: გუგუნებს და ტკაცუნობს ტყე. ვუუმმ, ვუუმმ, აქ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა გაჩაღებული. ვუუმმ, ვუუმმ, ბნელი ღამეა, ადამიანი თვალში თითს ვერ მიიტანს, თითქოს მზე არც არასოდეს ყოფილა.

მე შენი ვარ, ბოლოს და ბოლოს, მოდი, მალე შინ ვიქნებით, შენი ვარ, მხოლოდ შენი. ვუუმმ, ვუუმმ!

წიგნი მერვე

ვერ უშველა, ოდნავადაც ვერ უშველა! დაეშვა ურო ფრანცის თავზე და მიხვდა იგი, რომ ეს აღსასრული იყო. მაგრამ აქამდე ვერ ხვდება: რატომ?

ფრანცი ვერაფერს ამჩნევს. სამყარო კი სვლას განაგრძობს

2 სექტემბერი. ფრანცმა, როგორც ყოველთვის, ქალაქში გაიარ-გამოიარა. მერე ელეგანტურ ვაჭართან ერთად ვანზეეს სანაპიროზე მიდის. ორშაბათს, **3** სექტემბერს კი აღმოაჩინეს, რომ მიცი არ დაბრუნებულა. უკვირს, ასე გაუფრთხილებლად ნეტავ სად წავიდაო. ეტყობა, თავის პატივცემულ მეგობარსა და თაყვანისმცემელთან ერთად სადმე ქალაქგარეთ გაემგზავრა. იგი, ალბათ, სახლამდე მოაცილებს. საღამომდე მოვიცადოთ.

შუადღე, ფრანცი შინ არის, ზარი; წერილი მიცისთვის, მისი თაყვანისმცემლისგან. რა ხდება? როგორ, მიცი ხომ მოხუცთან არის თუ რაშია საქმე? აბა, ვნახოთ, წერილში რა წერია? კონვერტს ხსნის, კითხულობს: „სონია, მიკვირს, რომ არ დამირეკე. გუშინ და გუშინწინ, როგორც

მოვილაპარაკეთ, ბიუროში გელოდებოდი“. ეს რა არის, სად დაიკარგა?

მაშინვე წამოხტა, ქუდი დაიხურა, არაფერი მესმის, მოხუცთან უნდა წავიდე. ქუჩაში გადის: ეი, ტაქსი!

- როგორ, სონია თქვენთან არ არის, ბოლოს როდის იყო, პარასკევს? აი, თურმე, რა. ერთმანეთს შეჰყურებენ.

- თქვენ ხომ ნათესავი ბიჭი გყავთ. იქნებ იმასთან
არის! ბატონი მფარველი განრისხდა:
- რაო? ის ყაჩაღი ახლავე აქ მომგვარეთ, თქვენ კი იმის მოსვლამდე აქ დაბრძანდით, თითო ჭიქა დავლიოთ.

სხედან, წითელ ღვინოს წრუპავენ. ნათესავი ბიჭი მოდის.

- ეს ბატონი სონიას საქმროა. იცი, სონია სად არის?

- არა, რა მოხდა?

- სონია ბოლოს როდის ნახე?

- რა, ჩემზე ისევ რაღაცები გითხრეს? ვფიცავ, ბოლოს ორი კვირის წინ ვნახე.

- მართალს ამბობს. სონიამაც ეგრე მითხრა. მას მერე აღარ გინახავს?

- არა!

- და მასზე არც არაფერი გაგიგია?

- არაფერი, რა უნდა გამეგო! კი მაგრამ, რა მოხდა?

- აი, ეს ბატონი მოგიყვება.

- სონია შაბათს სახლიდან ისე გავიდა, რომ არავისთვის არაფერი უთქვამს და მას შემდეგ არ ჩანს. მისი ნივთები და ტანსაცმელი კი ხელუხლებელია.

- იქნებ ვინმე ახალი გაიცნო? - ივარაუდა თაყვანისმცემელმა.

- არა მგონია.

სამივენი წითელ ღვინოს სვამენ.

- მგონი, ცოტა კიდევ უნდა მოვიცადოთ, - ლამის ჩურჩულით ამბობს ფრანცი.

მკვდარია მიცი, მოკლეს. ყველაფერი მისი: სახე, კბილები, თვალები? ბაგენი, ენა, სხეული, საშო მკვდარია, სულ ყველაფერი მკვდარია.

მიცი მეორე დღესაც არ გამოჩნდა. სახლში ყველაფერი ისევ ისეა, როგორც მან დატოვა. ის კი არა და არ მოდის! იქნებ რამე ევამ იცის?

- ფრანც, მიცის ხომ არ ეჩხუბე?

- არა, მართალია, ორი კვირის წინ ცოტა წავიჩხუბეთ, მაგრამ მერე შევრიგდით.

- იქნებ ვინმე ახალი გაიცნო?

- არა და არა. მიციმ თავისი მოხუცის ნათესავ ბიჭზე მიამბო, მაგრამ ეს ის არ არის, იმ ბიჭს ველაპარაკე.

- მერე რა, მოდი, იმ ბიჭს ვუთვალთვალოთ, რა იცი, იქნებ მიცი მაინც მასთან არის?

- ასე გგონია?

- რას ვკარგავთ, შევამოწმოთ. მიცისაგან ყველაფერია მოსალოდნელი, ხომ იცი, თავნება გოგოა.

მიცი ისევ არ ჩანს. ფრანცი ორი დღეა, გულხელდაკრეფილი ზის. ფიქრობს, წავიდა და წავიდეს, დევნას არ დავუწყებო. არადა, მიცის შესახებ არაფერი ისმის, თითქოს მიწამ ჩაყლაპა. მაშინ ფრანცი ნათესავ ბიჭს თვალთვალს მაინც დაუწყებს, მთელი დღე უკან დასდევს, ხოლო მეორე დღეს, როცა ბიჭის დიასახლისი სადღაც წავიდა, ფრანცი და ელეგანტური ვაჭარი კარს გამღებით აღებენ და ბიჭის ოთახში შედიან. ბიჭის ოთახში ბევრი წიგნია და ქალის იქ ყოფნის არავითარი კვალი, კედლებზე კი ლამაზი სურათები კიდია. არა, მიცი აქ არც კი ყოფილა, მის პუდრს სუნით

ვცნობ. წავედით, წავედით, ხელი არაფერს ახლო, შეეშვი! დიასახლისი ერთი საცოდავი ქალია, ოთახებს აქირავებს და მხოლოდ ამით ირჩენს თავს.

მაინც სად უნდა იყოს? ფრანცი სულ სახლშია, გარეთ არ გადის. მიცის ელოდება. ის კი არ ჩანს: წავიდა, გაქრა, არც არაფერს ატყობინებს. ახლა რა ვქნა? ოთახში ყველაფერი თავდაყირა დააყენა, საწოლიდან ქვეშაგები გადმოყარა, მერე კი იქაურობა ისევ მიალაგა. მიმატოვა? არა, ეს შეუძლებელია, წარმოუდგენელი! და თუ მაინც მიმატოვა? მაშინ რატომ? რისთვის? რამე ვაწყენინე? არა, არ მიწყენინებია! ის კი, რაც მაშინ ნათესავი ბიჭის გამო მოხდა, მაპატია.

* * *

ზარი. ვინ არის? ევა.

- ფრანც, ამ სიბნელეში რატომ ზიხარ, სინათლე მაინც აანთე.

- მიციმ მიმატოვა! განა ასეთ რამეს წარმოვიდგენდი? რატომ?

- კარგი, დამშვიდდი. დაბრუნდება შენი მიცი. ხომ იცი, რომ უყვარხარ, არსად გაგექცევა. მაგ გოგოს კარგად ვიცნობ.

- მართალს ამბობ, რა თქმა უნდა, დაბრუნდება. არა, არ ვდარდობ!

- აი, ხომ ხედავ. რაღაცამ მოუარა, ვიღაც ძველ ნაცნობს შეხვდა და მასთან ერთად გასეირნება მოუნდა. მსგავსი რამ ადრეც, შენამდეც გაუკეთებია. დიდი ახირებული გოგოა.

- მესმის, მაგრამ მაინც ძალიან უცნაურად მეჩვენება მისი ეს გამოხდომა. რაღაც სხვაშია საქმე, არც კი ვიცი, რა ვიფიქრო.

- კარგი რა, ხომ იცი, რომ მიცის უყვარხარ. ჯობს, მე შემომხედო, ერთი ჩემს მუცელს შეეხე!

- რატომ?

- იმიტომ, რომ შიგ შენი შვილი ზის. გახსოვს? ჰოდა, ეს შენი შვილია. იცი, მიცის როგორ უნდოდა, რომ შვილი შენგან მყოლოდა?!

- რა?

- ჰო, რა იყო?

ფრანცმა ევას თავი მუცელზე მიადო:

- რას ამბობ, ეს მიცის მართლა უნდოდა? წარმოუდგენელია! მოიცა, უნდა დავჯდე!

- აი, ნახავ, ფრანც, როცა დაბრუნდება, ეს ამბავი როგორ გაუხარდება! - და ევა თავადაც აქვითინდა.

- ეჰ, ევა, ახლა ვხედავ, რომ შენ ჩემზე მეტად ღელავ!

- ოი, არ თქვა, ამ ამბავმა გამანადგურა, ამ გოგოსი არაფერი მესმის!

- ახლა ჩვენ ორიდან ვინ ვინ უნდა დაამშვიდოს!

- ყურადღება არ მომაქციო, ეს ნერვების ბრალია, უფრო, ალბათ, ფეხმძიმობის.

- ფრთხილად იყავი, მაგ შენი ფეხმძიმობის გამო მიციმ, როცა დაბრუნდება, სცენები არ მოგიწყოს. ევა კი ქვითინებს, ცრემლები ღაპაღუპით მოსდის.

- ფრანც, ახლა რა უნდა ვქნათ? ეს მიცის საქციელს ნამდვილად არ ჰგავს!

- ჯერ ამბობდი, მიცის მსგავსი რამ ადრეც გაუკეთებიაო, ახლა კი მეუბნები, ეს მის საქციელს არ ჰგავსო, ერთი მითხარი, რა უნდა ვიფიქრო?

- აბა, რა გითხრა, ფრანც, მეც არ ვიცი.

ევამ ფრანცს ხელები თავზე მოხვია, უყურებს კაცს და ახსენდება, როგორ იწვა იგი მაგდებურგის კლინიკაში, ხელი როგორ მოკვეთეს, საწყალი იდა იმ ქვეყნად როგორ გაისტუმრა, ღმერთო, რა გზააბნეული ადამიანია, თან უბედური, ჰო, უბედურება ფეხდაფეხ დასდევს. მიცი კი ნამდვილად ცოცხალი აღარ არის. ფრანცს ბედი სასტიკად ექცევა. მიცის კი რაღაც შეემთხვა. ეს დღესავით ნათელია. ევა სკამზე დაჯდა და სიმწრით ხელები კინაღამ დაიმტვრია. ფრანცი შიშმა შეიპყრო. ევა ხმამაღლა ქვითინებს. ღმერთო, ეს კაცი ასეთი უბედური რატომ არის?! მიცის კი რაღაც საშინელება შეემთხვა.

ფრანცი ევას უამრავ კითხვას უსვამს. ის კი არ პასუხობს. დუმს. მერე, როგორც იქნა, თავი ხელში აიყვანა და ამბობს:

- ჰერბერტი რომ ყირაზე დადგეს, აბორტს მაინც არ გავიკეთებ!

- რა, ეს ჰერბერტმა არ იცის?

ფრანცი ფიქრებით ცხრა მთას იქითაა.

- არა, მაგრამ, რაც უნდა მოხდეს, ბავშვს მაინც შევინარჩუნებ.

- კარგი, ევა, ნათლია მე ვიქნები.

- აი, გამხიარულდი კიდევაც, ფრანც!

- აბა, რა ვქნა? ჩემი წაქცევა ასე ადვილი არ არის! ევა, შენც დამშვიდდი. მიცის მეც კარგად ვიცნობ! არაფერი მოუვა, თავისი ნებით ავტობუსს ნამდვილად არ შეუვარდება. გამხნევდი, ყველაფერი კარგად იქნება.

- ღმერთმა გისმინოს! აბა, ნახვამდის, ფრანცეკენ!

- კოცნა დაგავიწყდა!

- მიხარია, ხასიათზე რომ მოხვედი, ფრანც!

* * *

აჰ, ფრანც, მთელი ცხოვრება ბობოქრობდი. ყოყლოჩინობდი. ჩვენ და ჩვენო, გაიძახოდი. ჩვენ გვაქვს ფეხები. ჩვენ გვაქვს ხელები, ჩვენ გვაქვს კბილები, ჩვენ გვაქვს თვალები და ვინც შეეხება, დაუპირისპირდება, ფრანცი ყველას, განურჩევლად, გაანადგურებს, არ დაინდობს. ფეხზე მყარად დგას, კუნთები აქვს ისეთი, მოყვარესაც კი შეშურდება! ნებისმიერს გააბრტყელებს. ფრანცი ნამდვილი მამაკაცია და არა ვინმე ბეჩავი. მას აქვს ორი ხელი, მას აქვს ორი ფეხი, მას აქვს კუნთები - გროვად. ფრანცს უნდა იცნობდე, იგი ყოყლოჩინა არ არის. რაც იყო, იყო, წარსულს ჩაჰბარდა, და რა იქნება, მომავალი გვიჩვენებს. სცადე და შეგვეხე! შევსვამთ ერთ სირჩას, მეორეს, მესამეს, მეხუთეს, მეათეს - ჩვენ ცა ქუდად არ მიგვაჩნია და დედამიწა ქალამნად!

და ბოლოს რა მივიღეთ? ეჰ, სადღაა ხელები, სადღაა ფეხები, სადღაა კბილები? მის ცხოვრებაში მიძვრება ყველა, ვისაც არ ეზარება, ჰკბენს ყველა, ვისაც ხელეწიფება.

განა ეგ კაცია? არა, ერთი ბეჩავი ადამიანია, ვისაც თავის დაცვაც არ შეუძლია. ერთადერთი რამ, რაც ჯერ კიდევ შეუძლია, სმა არის!

- ჰერბერტ, რამე უნდა ვიღონოთ, ამის ყურება აღარ შემიძლია!

- ევა, მაინც რისი გაკეთება გინდა?

- არა, ამის ყურება არ შემიძლია: ზის ადამიანი მარტოდმარტო, ხმაგაკმენდილი, ირგვლივ ვერაფერს ამჩნევს, ვერაფერს ხედავს და გაუთავებლად იმეორებს, რომ მიცი აუცილებლად დაბრუნდება. მე კი ყოველდღე გაზეთებს ვათვალიერებ, იქნებ შიგ მიციზე რამე ინფორმაციას წავაწყდე. შენ ხომ არაფერი გაგიგია?

- არა.

- არ შეგიძლია, გაიკითხ-გამოიკითხო, იქნებ ვინმემ რამე იცოდეს, ან ვინმეს რამე სმენია?

- ეგ უაზრობაა! შენ რაღაც სისულელეები გეჩვენება, რაღაც შიშები გაწუხებს, ეს, თქვენთვის საიდუმლოებით მოცული საქმე, ჩემთვის საიდუმლოებით მოცული სულაც არ არის! ჩვეულებრივი ამბავია: გოგოს კაცი მოჰბეზრდა და მიატოვა. გაიგეთ, მიციმ ფრანცი მიატოვა! დიდი ამბავი. საგანგაშო არაფერი მომხდარა! ამის გამო ფრანცმა თავი ხომ არ უნდა მოიკლას. რა, ამ ქალაქში ქალი დაილია? სხვას იპოვის.

- მე რომ რამე დამმართოდა, მაშინაც ეგრე იტყოდი?

- ეგ აღარ გაიმეორო! ჩემი ბრალია, მიცი რომ ეგეთია?

- მიცი ეგეთი ნამდვილად არ არის. ფრანცს ეგ გოგო მე შევურჩიე. იცი, მორგშიც კი ვიყავი, მიცის იქ ვეძებდი. ჰერბერტ, გული მიგრძნობს, რომ მიცის რაღაც საშინელება შეემთხვა. ამ ფრანცს უბედურება სულ თან სდევს. ესე იგი, არაფერი გსმენია?

- რაზე ლაპარაკობ?

- ხდება ხოლმე, რომ ბიჭები ლუდხანაში სხვადასხვა ყურმოკრულ ამბავს ჰყვებიან, დაუგდე ყური, გამოიკითხე. იქნებ რომელიმე მათგანმა მიცი ნახა, მართლა მიწა ხომ არ ჩაყლაპავდა. იცი, ამ დღეებში თუ ვერ ვიპოვეთ, პოლიციაში განვაცხადებ!

- აი, ეს აქამდე უნდა გაგეკეთებინა! - იცინის ჰერბერტი.

- რას იცინი, ამას ნამდვილად გავაკეთებ. აუცილებლად უნდა ვიპოვო. იცი, ჰერბერტ, რაღაცაშია საქმე. მიცი, ასე ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე არც მე და არც ფრანცს არ მიგვატოვებდა! ის კაცი კი ზის და ყურსაც არ აბარტყუნებს.

- ევა, სისულელეების ლაპარაკს მორჩი, ყურები გამომიჭედე, ამას ჯობს, კინოში წავიდეთ. წავიდნენ, დასხდნენ, ფილმს უყურებენ.

მესამე ნაწილში ბანდიტმა კეთილშობილი გმირი კინაღამ მოკლა. ევამ მძიმედ ამოიოხრა და ისე, რომ ჰერბერტმა მისკენ მიხედვა ვერც კი მოასწრო, გრძნობა დაკარგა და სკამიდან ჩამოცურდა. ესღა გვაკლდა! მერე ქუჩაში ხელკავით დიდხანს დახეტიალებდნენ. ჰერბერტს უკვირს:

- ხომ წარმოგიდგენია, შენს მოხუცს როგორ გაუხარდება, თუ მართლა ფეხმძიმედ ხარ!

- იმ ბანდიტმა კი ის გმირი კინაღამ მოკლა, ნახე, ჰერბერტ?

- ფილმში ხომ გამოგონილ ისტორიებს გვაჩვენებენ, შენ რა, მართალი გეგონა? ნახე, სულ კანკალებ!

- ჰერბერტ, რამე უნდა იღონო, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება!

- ევა, სადმე დასასვენებლად უნდა გაემგზავრო, უთხარი შენს მოხუცს, ვერ ხედავ, ავად რომ ხარ?

- არა, ჯერ არა. ჰერბერტ, რამე გააკეთე რა, ფრანცს ხელთან დაკავშირებული ის ამბავი რომ შეემთხვა, მაშინ ხომ დაეხმარე, ახლაც იღონე რა, რამე. ძალიან გთხოვ.

- ევა, მაინც რა გავაკეთო?

ევა ატირდა, ჰერბერტი იძულებული იყო, ტაქსი გაეჩერებინა.

* * *

ფრანცს ქუჩა-ქუჩა ხელგაწვდილი სიარული არ უწევს: ფულს ხან ევა აძლევს, ხან

პუმსი. სექტემბრის ბოლოსთვის კი ახალი საქმეა დაგეგმილი. ამ დროისთვის ბერლინში მეთუნუქე კარლ-მატერმაც ამოყვინთა. თქვა, საზღვარგარეთ ვიყავი, ქალაქ №-ში სამონტაჟო სამუშაოებს ვასრულებდიო. ფრანცს კი შეხვედრისას უთხრა, საზღვარგარეთ სამკურნალოდ ვიყავი, ფილტვები ვერ მაქვს კარგადო. ძალიან ცუდად გამოიყურება და არც გამოჯანსაღებისა ეტყობა რამე. ფრანცმაც აუწყა, იცი, მიციმ, რომელსაც შენც იცნობდი, მიმატოვა, ჩემგან წავიდაო. თან სთხოვა, ამას ნურავის მოუყვები, ხომ იცი, ჩვენ ირგვლივ არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც ასეთი გულის ამაჩუყებელი ამბები სიცილადაც არ ჰყოფნითო.

- ასე რომ, ამაზე რაინჰოლდთან კრინტი არ დაძრა, ადრე მაგასთან ქალების გამო რაღაც უსიამოვნებები მქონდა და თუ გაიგებს, რომ ქალი გამექცა, სიცილით მოკვდება. სხვა ქალი კი ჯერ არა მყავს, რაღაც არ მინდა, - ღიმილით დაამთავრა ფრანცმა.

ფრანცს მწუხარებისგან შუბლზე და პირის ირგვლივ ღრმა ნაოჭები გაუჩნდა, მაგრამ სიამაყე არ დაუკარგავს. უკან გადაწეული თავით და მაგრად მოკუმული ტუჩებით დააბიჯებს.

ქალაქში გამოცოცხლებაა. ტენიმ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ისევ მოიპოვა, მაგრამ გულახდილად რომ ვთქვათ, ამერიკელებს ეს ბიჭი არ მოსწონთ და მისით კმაყოფილი არ არიან, რადგანაც მეშვიდე რაუნდში ნოკდაუნში ჩავარდა და მეცხრემდე იატაკზე იწვა. მაგრამ ამის შემდეგ მისი მოწინააღმდეგე დემპსი დაიქანცა. ეს დემპსის ბოლო უძლიერესი დარტყმა იყო, მისი ბოლო ფსონი. მატჩი 1928 წლის 23 სექტემბერს, 4 საათსა და 58 წუთზე დამთავრდა. ყველგან და ყველანი ამ ორთაბრძოლაზე ლაპარაკობენ. ბევრს ლაპარაკობენ აგრეთვე რეკორდულ გადაფრენაზე მარშრუტით „კიოლნი-ლაიფციგი“, ინტერესს იწვევს აგრეთვე „ფორთოხლისა და ბანანის“ ეკონომიკური ომი. ამ ამბებს ხალხი არცთუ დიდი ენთუზიაზმით, ირონიულად, მოჭუტული თვალებით ისმენს.

როგორ იცავენ თავს მცენარეები სიცივისგან? ბევრი მცენარე სუსტ ზამთარსაც კი ვერ უძლებს. ხოლო არიან მცენარეები, რომლებიც სიცივისგან დამცავ საშუალებას - ერთგვარ ქიმიურ ნაერთს, თავად გამოიმუშავებენ. დამცავი საშუალებებისგან ყველაზე ეფექტური შაქარია, წარმოქმნილი იმ სახამებლისგან, რომელსაც მცენარის უჯრედები შეიცავენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ

წარმოქმნილი შაქარი ზოგიერთი ბაღჩეული კულტურის საკვებ ღირებულებას დაბლა სცემს. ამის დასტურად გამოდგება გაყინული კარტოფილი. მაგრამ არის ისეთი მცენარეებიც, რომელთა ნაყოფიც, საკვებად ვარგისი მხოლოდ მასში სიცივის ზემოქმედებით გამოწვეული შაქრის შემცველობის ზრდის შემდეგ ხდება. ასეთ ნაყოფს თუ ბუჩქებსა და ხეებზე პირველ ყინვებამდე დავტოვებთ, მაშინ უჯრედებში წარმოქმნილი შაქარი მათ გემოს საგრძნობლად გააუმჯობესებს. ასეთია, მაგალითად, ასკილის ნაყოფიც.

გაზეთების გამყიდველები ყელის ჩახლეჩამდე გაჰკივიან: დუნაიში ორი ბერლინელი ნიჩბოსანი დაიხრჩო; მფრინავი ნუნგესერი თავისი „თეთრი ფრინველით“ ირლანდიის სანაპიროსთან ჩამოვარდა; ეს გაზეთები, რომლებსაც მკითხველები წაკითხვის შემდეგ ან ნაგვის ურნაში აგდებენ, ან სადმე ტოვებენ, ათ პფენიგად იყიდება. აი, კიდევ ერთი ინფორმაცია ათპფენიგიანი გაზეთიდან. უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ერთ-ერთ სოფელში მანქანით პატარა ბიჭი გაიტანა და ბრბომ მისი გასამართლება ლინჩის წესით სცადა. და თუ ბრბო თავის ჩანაფიქრს ხორცს შეასხამდა, მაშინ გაზეთში ასეთი სათაური იქნებოდა: „ქალაქ კაპოშვარასთან ახლოს, ერთ-ერთ სოფელში, ბრბომ პრემიერ-მინისტრი ლინჩის წესით გაასამართლა“. ჰოდა, მაშინ უფრო დიდი აურზაური ატყდებოდა. ზერელედ განათლებული ადამიანები კი „Lynch“-ის ნაცვლად „Lunch“ -ს წაიკითხავდნენ და მერე მახვილსიტყვაობაში ერთმანეთს გაეჯიბრებოდნენ, დიდი მადლობა, კარგი საუზმე იყოო, ხოლო დანარჩენი, ანუ მკითხველების 80% იტყოდა, ერთი ასეთი გასამართლება ჩვენთანაც რომ მოეწყოთ, კარგი იქნებოდაო!

ბერლინში სიცილი უყვართ. კაიზერ-ვილჰელმშტრასეს ქუჩის კუთხეში, დობრინის კაფეში ერთი მაგიდის ირგვლივ სამნი სხედან: ერთი გუფთასავით მრგვალი, მხიარული მამაკაცი, მისი საყვარელი - ქალი გემრიელი, მადისაღმძვრელი ფუნთუშა, წიკვინა და გამყინავი ხმით, პატარა კაცუნა, მსუქანი კაცის მეგობარი, მის ფულს მსუქანი იხდის, კაცუნას მოვალეობა კი მსუქნის ყველა სიტყვაზე ხმამაღლა გაცინებაა, მისი, ასე ვთქვათ, იუმორის სათანადოდ შეფასება. ზის უწყინარი პუბლიკა და როგორც შეუძლია და უნდა, დროს ისე ატარებს. ფუმფულა საყვარელი თავის ღიპიანს ყოველ ხუთ წუთში პირდაპირ ტუჩებში კოცნის და გამკივანი ხმით ყვირის: ჰეი, რა

ხუმარა ხარ, ჩემო ტკბილო! ტკბილი სქელოც, თავის მხრივ, ქალს ყელში უძვრება და ლოშნის. ეს სცენა ყოველ ჯერზე ორ-ორი წუთი გრძელდება. წყვილი მესამეს ყურადღებას სულ არ აქცევს, რაც უნდა, ის იფიქროს, სულ არ ანაღვლებს. სქელო უწმაწურ ანეკდოტს ჰყვება, ამჯერად უკვე კაცუნა იწყებს დაკისრებული როლის შესრულებას:

- ხა, ხა, ხა, მართლაც ამ საქმის ოსტატი ხარ, ძმაო!

- მე კი ვარ ოსტატი, მაგრამ გონებაჩლუნგი ხარ და შენს ტვინამდე ვერ აღწევს.

ორივენი, კაციც და კაცუნაც, კმაყოფილები ჭიხვინებენ, ქალი კი წიკვინა და გამკივანი ხმით იცინის, იცინის, სულს ძლივს ითქვამს, მერე ამბობს:

- ამ ყველაფერს საიდან იგონებ?

გულიანად მხიარულობენ. კახპა-საყვარელი ტუალეტში მეექვსეჯერ გარბის.

- ქათამს მოსწყინდა და მამალს ეუბნება, დროა, საქმეს მიხედოო. ოფიციანტო, ანგარიში, სამი კონიაკი, ორი ბუტერბროდი ყველით, სამი ბულიონი და სამი რეზინის ლანჩა!

- რეზინის ლანჩა? ამას თქვენ ორცხობილებზე ამბობთ?

- იმას, რასაც თქვენ ორცხობილებს უწოდებთ, ჩემთვის ლანჩებია. ხურდა არა გაქვთ? იცით, სახლში ჩვილი გვყავს, პირში საწოვარას არ იდებს, მხოლოდ მონეტებს წუწნის. ასე, თაგუნია, წავედით. ყველაფერს თავისი დრო აქვს: საქმესაც და გართობასაც. აბა, სალაროსკენ და კასელში ჰერი, ჰერი!

ალექსანდერპლაცზე გამვლელებს შორის ბევრი გათხოვილი თუ გაუთხოვარი ქალია, რომლებიც მუცლით ჩანასახს დაატარებენ. ამ ნაყოფს კანონი იცავს. ცხელა. ეს ქალბატონები და გოგოები ოფლად იღვრებიან, ნაყოფს კი სიცხე არ აწუხებს, იქ, მის ბინაში, მუდმივად ერთი და იგივე ტემპერატურაა, არც იკლებს, არც იწევს, ალექსანდერპლაცზე სეირნობა კი მას სიამოვნებს, მაგრამ სიხარული ჯერჯერობით ნაადრევია. ნაყოფთაგან ზოგიერთი შეიძლება ამ ქვეყანას სულაც არ მოევლინოს, დროზე ადრე გაწყალდეს.

ორსულების გარდა, აქ კიდევ სხვადასხვა ჯურის ბევრი ადამიანი მიდი-მოდის; ზოგს

მუცელი ამოყორილი აქვს, ზოგი კი ფიქრობს, მუცელი როგორ და სად ამოიყოროს. ჰანის უნივერმაღი უკვე აიღეს. მერე რა, ყველა სახლის პირველ სართულზე ხომ მაღაზიებია. ანუ უამრავი მაღაზიაა, მაგრამ რად გინდა. ვერც ერთ მათგანში ხეირიანს ვერაფერს იყიდი. საითაც უნდა გაიხედო, ყველგან რეკლამებია: ზოგი ლაპარაკობს, ზოგი სხვადასხვა ხმაზე მღერის, ჭიკჭიკებს, ჟღურტულებს, ერთი

სიტყვით, ადამიანს თავი ფრინველების ბაზარში ეგონება.

და ვიხილე მზისქვეშეთში: განსჯის ადგილი დაეჭირა უკანონობას, მართლის ადგილი მტყუან კაცს ეპყრა. კვლავაც ვხედავდი ძალადობას, რაც კი ხდებოდა ამ მზისქვეშეთში: აბა, იღვრება ჩაგრულთა ცრემლი და მათ არავინ არ ანუგეშებს; მათ მჩაგვრელთა ხელშია ძალა, არავინა ჰყავ ნუგეშისმცემელი.

უფრო ბედნიერად შევრაცხე დიდი ხნის მკვდარნი, მათზე, ვინც ჯერაც ცოცხლობენ კიდევ.

და ორივეზე ბედნიერი მაინც ის არის, ვინც ჯერაც არ დაბადებულა და არ უხილავს ბოროტება, რაც მზის ქვეშ ხდება.

ყველაფერს თავისი დრო აქვს: შეკერვას და დარღვევას, შენახვას და გადაგდებას. უფრო ბედნიერად შევრაცხე მკვდარნი, ხეების ქვეშ რომ წვანან და მარადიული ძილით სძინავთ.

* * *

ევა ისევ ფრანცთან არის.

- ფრანც, ასე გულხელდაკრეფილი რატომ ზიხარ? უკვე ხომ სამი კვირა გავიდა, ჩვენ რომ ერთად გვეცხოვრა, თავს ჩემთვისაც არ შეიწუხებდი?

- ევა, იცი, ამ ამბავს ვერავის ვეტყვი, მიცის გაუჩინარების შესახებ მხოლოდ შენ და ჰერბერტმა იცით. ეტყვი ვინმეს და დაგცინებს, მასხრად აგიგდებს. პოლიციაშიც ვერ განვაცხადებ. რაც შეეხება ფულს, ამაზე არ ინერვიულო, ევა. ფული არ მინდა. მუშაობას დავიწყებ.

- უფულო ხარ და მიცი სულ არ გენაღვლება. ერთი ცრემლიც კი არ გადმოგიგდია! არ ვიცი, რა გავაკეთო, ადგილიდან როგორ დაგძრა, რომ ის გოგო მოძებნო. შეიგნე, რომ მე არაფრის გაკეთება არ შემიძლია.

- არც მე შემიძლია!

ჩანს, დანაშაული მალე გამჟღავნდება. ბანდიტები ერთმანეთს წაეკიდნენ

ოქტომბრის დამდეგს ბანდაში ის დიდი მოლაპარაკება იწყება, რომლისაც პუმსს ასე

ძალიან ეშინოდა. მოლაპარაკების მთავარი თემა ფულის განაწილებაა. პუმსის აზრით, მათ საქმეში მთავარი საქონლის გასაღებაა. ბანდის წევრები კი, მათ შორის, რაინჰოლდი და ფრანციც, ფიქრობენ, რომ მთავარი საქონლის მოპოვებაა და ამიტომ მოითხოვენ: ამოღებული თანხა ყველას თანაბრად გაუნაწილდეს. ისინი პუმსს ბრალს სდებენ, რომ საქონლის გაყიდვიდან შემოსული თანხის დიდ ნაწილს თავისთვის იტოვებს, მათ კი გროშებს უხდის, თანაც შემსყიდველებსა და ხელის დამფარებლებთან ურთიერთობის მონოპოლიით ბოროტად სარგებლობს. რა, დავიჯეროთ, სანდო შემსყიდველებს ურთიერთობა პუმსის გარდა სხვა არავისთან უნდათ? პუმსი დიდ დათმობაზე მიდის, ნებისმიერ კონტროლზე თანახმაა. მაგრამ ბიჭები ამას არ სჯერდებიან, მათ საარტელო საწყისებზე უნდათ მუშაობა. პუმსი თანამზრახველებს არწმუნებს, ასეც კარგად ვმუშაობთო, მაგრამ არავინ უჯერებს.

სულ მალე ახალი საქმე გამოჩნდა, შტრალაუერშტრასეზე სეიფი უნდა გატეხონ. მართალია, პუმსი კარგა ხანია რიგითი აღარ არის, მაგრამ ამ საქმეში მაინც მონაწილეობს. მოქმედების ადგილი: შტრალაუერშტრასეზე მდებარე სახვევი მასალების ფაბრიკის ერთ-ერთი ეზო. საქმის მიმცემისთვის ცნობილი გახდა, რომ დირექტორის კაბინეტში, სეიფში დიდი თანხა ინახება. ეს პუმსისთვის დიდი დარტყმაა: ფული საქონელი არ არის, გაყოფის დროს, ძალიანაც რომ მოინდომო, ვერ ითაღლითებ! ჰოდა, ბიჭებს პუმსიც აეკიდა. სახანძრო კიბეზე ორ-ორნი აძვრნენ, კანტორაში შესასვლელი კარიდან საკეტი მშვიდად ამოხრახნეს. მეთუნუქემ ავტოგენით სეიფის გაღება დაიწყო. სხვებმა კი ამ დროს კანტორის კარადები გატეხეს, მაგრამ შიგ მხოლოდ წვრილი ფული და საფოსტო მარკები აღმოჩნდა; დერეფანში კი ბენზინით სავსე ორი კანისტრა იპოვეს - კარგია, გამოგვადგება! მერე დასხდნენ და ელოდებიან, მეთუნუქე კარლი მუშაობას როდის დაამთავრებს. და ბედი არ გინდა, კარლმა ავტოგენით ხელი დაიწვა. მუშაობის გაგრძელება სცადა, მაგრამ ვერ შეძლო. კარლის შეცვლა რაინჰოლდმა სცადა, მაგრამ ამაოდ, იწვალა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, ამის გამოცდილება არა აქვს. მაშინ რაინჰოლდს ავტოგენი პუმსმა გამოართვა, ამ მოწყობილობას თავი და ბოლო ვერც მან გაუგო. აქედან უნდა დავახვიოთ, თორემ სადაც არის დარაჯი მოვა!

დაბოღმილებმა კანისტრები აიღეს და მთელი ბენზინი ავეჯს გადაასხეს, მათ შორის,

იმ დაწყევლილ სეიფსაც. ზეიმობ, პუმს? ახლა განახვებთ სეირს! ბენზინში ანთებული ასანთი დროზე

ადრე ისროლეს და პუმსი ალაგ-ალაგ შეტრუსეს. აბა, ფეხებში რას გვებლანდება, დახმარების ნაცვლად ხელს გვიშლის! პუმსს ცეცხლი პალტოზე წაეკიდა, თავად კი გარეთ გაცვივდნენ ყვირილით, დარაჯი მოდისო და კიბე კისრისტეხით ჩაირბინეს. პუმსმა მანქანაში ჩახტომა ძლივს მოასწრო თავისი აქა-იქ გამომწვარი პალტოთი. ბიჭებს კი უხარიათ: ვასწავლეთ თუ არა ჭკუა ამ ბებერს! ეს კარგი, მაგრამ ფული სად და როგორ ვიშოვოთ?

პუმსი გულში იცინის: გამოდის, საქონელი ფულზე საიმედო ყოფილა? ასეა, კაცმა თავისი საქმე უნდა იცოდეს! პუმსს ყველანაირი ეპითეტებით ამკობენ: სისხლის მწოველო, ბურჟუა, თაღლითო! მაგრამ ოდნავ თავს იკავებენ, ეშინიათ, მეტისმეტი არ მოუვიდეთ, თორემ ვაითუ პუმსმა თავისი კავშირები გამოიყენოს და ახალი ბანდა შექმნას. კლუბში, მორიგ შეკრებაზე კი განაცხადებს: მე, ბატონებო, რაც შემიძლია და ჩემს ძალას არ აღემატება, ყველაფერს ვაკეთებ, თუ გნებავთ, ამის დამადასტურებელ დოკუმენტებსაც წარმოგიდგენთო. ჩანს, მას ძირს ვერავინ გამოუთხრის, გამამტყუნებელ საბუთებსაც ვერ უპოვი და თუ მავანი მასთან მუშაობაზე უარს იტყვის, მაშინ კლუბში ეტყვიან: ჩვენ რა შუაში ვართ, მასთან მუშაობაზე უარი თავად თქვით. ეგ კაცი ყველაფერს აკეთებს, რაც შეუძლია და თუ თქვენზე ოდნავ მეტს იღებს, არ ღირს ამისთვის კბილების კრაჭუნი. თქვენ ასეა თუ ისე, გოგოები მაინც გყავთ, რომლებიც ფულს შოულობენ, პუმსს კი მხოლოდ ერთი დედაბერი აბადია, რომელიც მუქთადაც არავის უნდა! ასე რომ, ისევ ამ წყეულ ექსპლოატატორთან მოგვიწევს მუშაობა!

ბანდის წევრების მთელი რისხვა თავს მეთუნუქეს ატყდება, მეთუნუქეს, რომელმაც შტრალაუერშტრასეზე სირცხვილი ჭამა და ისინი პირში ჩალაგამოვლებული დატოვა. ბიჭები ეუბნებიან, შენისთანა ფარჩაკი არაფერში გვჭირდებაო. მას კი სწყინს, ამბობს, ხომ ხედავთ, ხელი როგორ დავიწვი, დღემდე გადახვევებზე დავდივარ. ყოველთვის კარგად ვმუშაობდი, რაც შემეძლო ვცდილობდი, და ახლა მადლობის ნაცვლად თქვენგან მარტო გინება მესმის. ბიჭებს კი ამის გაგონებაც არ უნდათ, აგინებენ და აგინებენ მეთუნუქეს. ვინმეზე ხომ უნდა მოიოხონ გული ჩავარდნილი საქმის გამო. ჰოდა, განტევების ვაცად იგი ამოარჩიეს, აბა, სხვა ვინ?

გაბრაზდა კარლი, არცთუ სახუმაროდ გაბრაზდა. ფიქრობს: „მაბრიყვებენ, როგორც

უნდათ. სახელოსნო მქონდა, მაგათ გამო დავკეტე. ცხოვრება ამირიეს. ეჰ, ღმერთმა დასწყევლოს ეს ძაღლური ცხოვრება! ცოლი რომ ყვირილს იწყებს, დალევა მინდება. თვითონ კი? აბა, ახალი წლის ღამეს სახლიდან ვინ წავა? შინ დავბრუნდი და ის კი არ არის. კახპა, შინ მხოლოდ დილის შვიდ საათზე დაბრუნდა, ეტყობა, ვიღაც ოყლაყთან ერთობოდა, მოღალატე! ჰოდა, ახლა აღარც სახელოსნო მაქვს და აღარც ცოლი მყავს! საწყალი მიცი, ამის გახსენებაზე კი შიშით ვკანკალებ. ეგ რაინჰოლდი ნამდვილი ძაღლისშვილია! მიცის მე მოვწონდი, რაინჰოლდის დანახვაც კი არ უნდოდა! საღამო ერთად უნდა გაგვეტარებინა, ხეივანში ერთმანეთს როგორ ვკოცნიდით! მაგ რაინჰოლდმა კი მიცი წამართვა. ეგეც ჩემი ბედი იყო. ამ ვიგინდარამ, ავაზაკმა მიცი მოკლა, მხოლოდ იმიტომ, რომ იმ გოგომ მაგასთან დაწოლა არ ინდომა. ახლა კი დიდი ბატონის როლს თამაშობს, არა, ხელის დაწვა მაინც როგორ მოვახერხე? არა, ბანდიტია ეგ რაინჰოლდი, სველ საქმეზე წამსვლელი. კინაღამ მაგ ვერაგის ხაფანგში გავები! მართლაც ძალიან სულელი ვარ“.

მეთუნუქე კარლს თვალი არ მოაშოროთ, მის თავს რაღაც ხდება

მეთუნუქე კარლი აქეთ-იქით იხედება, ადამიანს ეძებს, ვისაც დაელაპარაკება, ცოტა გულს გადააყოლებს. მერე ალექსზე, „ტიცის“ მოპირდაპირე მხარეს მდებარე ლუდხანაში შეიხედა, იქ ობოლთა თავშესაფრიდან გამოქცეული ორი ყმაწვილი გაიცნო და კიდევ ერთი სუბიექტი, უცნაური ტიპი, გაურკვეველი პროფესიის. ამბობს, რომ ფულს შემთხვევითი სამუშაოებით შოულობს, ისე კი ფორნების ხელოსანია. სხედან ეს ოთხნი მაგიდასთან, სარდელებს მიირთმევენ. მეფორნემ ბლოკნოტი ამოიღო და ვულგარულ სურათებს: შიშველ ქალებსა და კაცებს ფანქრით ნამდვილი პროფესიონალივით ხატავს. ობლები აღფრთოვანებული არიან. კარლიც მეფორნის უკან დგება, ბლოკნოტში იყურება და ფიქრობს: ეშმაკმა დალახვროს, ეს ბიჭი რა მაგრად ხატავს. სამივენი იცინიან, განსაკუთრებით ობლები მხიარულობენ: თურმე, ისინი აქ მოსვლამდის რიუკენშტრასეზე ლუდხანაში იყვნენ, იქ შუპოები მისულან და ამ ორმა უკანა გამოსასვლელით გარეთ ძლივს გამოაღწია. მეთუნუქე ადგა და ბარისკენ წავიდა. სწორედ ამ დროს ლუდხანაში ორი ტიპი შემოდის, აუჩქარებლად დადიან, აქეთ-იქით იხედებიან. მერე სტუმრებიდან ერთ-ერთს გამოელაპარაკებიან, სტუმარი

კი დოკუმენტების ამოსაღებად ხელს ჯიბეში იყოფს, ის ორი დოკუმენტებს ამოწმებს, მერე ერთმანეთს რაღაცას გადაულაპარაკებენ და ახლა სხვა მაგიდისკენ მიდიან. იმ მაგიდას უახლოვდებიან, რომელთანაც ობლები სხედან, მათ შიშით სული მუხლებში ეპარებათ, მაგრამ არ იმჩნევენ. თითქოს არაფერიო, ისე საუბრობენ. უკვე ცხადია, ესენი ის აგენტები არიან, ცოტა ხნის წინ რიუკერშტრასეზე ლუდხანაში რომ იყვნენ, და ბიჭები დაიმახსოვრეს. მეფორნე კი თითქოს ვერაფერს ამჩნევს, ბილწი სურათების ხატვას კვლავაც

მშვიდად განაგრძობს. მაშინ ერთ-ერთმა აგენტმა მეფორნეს ყურში ჩასჩურჩულა: „კრიმინალური პოლიცია“ - პიჯაკს შეიხსნის, ჟილეტზე ჟეტონი უელავს. მისი თანამგზავრი იმავე პროცედურას ჩაატარებს და ობლებისგან დოკუმენტებს ითხოვს. ამათ, რა თქმა უნდა, საბუთები არა აქვთ. მეფორნეს კი ჯიბეში მხოლოდ საავადმყოფოს ფურცელი და ვინმე ქალბატონის წერილი აღმოაჩნდა. სამივენი კაიზერ-ვილჰელმშტრასეზე პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს. ბიჭებმა მაშინვე ყველაფერი გულწრფელად აღიარეს და გონება კინაღამ დაკარგეს, როცა აგენტებმა უთხრეს, რომ რიუკერშტრასეზე ისინი მათ არათუ დაუმახსოვრებიათ, არამედ საერთოდ არც კი შეუმჩნევიათ, მეტიც, ამ ლუდხანიდაც ისე, ყოველი შემთხვევისთვის წამოუყვანიათ. და ბიჭები ახლა ნანობენ, აბა, ენაზე ვინ გვექაჩებოდა, რას ვამბობდით, რომ ბავშვთა თავშესაფრიდან გამოვიქეცითო. ამაზე ყველას გაეცინა. აგენტმა ბიჭებს მხრებზე ხელი დაჰკრა:

- დირექტორს თქვენი დაბრუნება ძალიან გაუხარდება!

- დირექტორი ახლა შვებულებაშია!

მეფორნემ სამორიგეოში შუპოებთან ყველაფერი თქვა, სახელი, გვარი, სწორი მისამართი და პროფესიაც. მხოლოდ ეგ არის, ერთ-ერთი შუპო ვერაფრით ხვდება, ამ კაცს, ფორნების ხელოსანს, ასეთი სათუთი და ნაზი ხელები რატომ აქვს. ეს ხომ შეუძლებელია. ჩააცივდა და თავს არ ანებებს. სულ მის ხელებს ათვალიერებს. მეფორნე უხსნის, ეს იმიტომ, რომ უკვე ერთი წელიწადია, არ მიმუშავიაო.

- იცით, რას გეტყვით, ჩემო კარგო, თქვენ ჰომოსექსუალი ხართ!

- ეგ რაღა არის, რასთან ერთად ჭამენ, ბატონო უფროსო?

მეფორნე ერთი საათის შემდეგ ისევ ლუდხანაში ბრუნდება. მეთუნუქე კარლი კი ისევ იმავე მაგიდასთან ზის. მეფორნე მასთან მიდის.

უკვე თორმეტი საათია. კარლი მეფორნეს ეკითხება:

- რითი ცხოვრობ?

- ხან ამით, ხან იმით! შენ კი რას აკეთებ?

- ხან ამას, ხან იმას!

- ვხედავ, არ მენდობი, თქმის გეშინია?

- ძმაო, მგონი, არც შენ ხარ ფორნების ხელოსანი.

- მე ისეთივე ფორნების ხელოსანი ვარ, როგორიც შენ მეთუნუქე!

- ო, ეგ უკვე ზედმეტი მოგივიდა. აი, ნახე, ხელი სარჩილავით როგორ დავიწვი, ისე ზეინკლობაც ვიცი.

- და, ალბათ, საქმეზე დაიწვი, არა?

- ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

- არ მეტყვი, ვისთან ერთად მუშაობ?

- იფ, აი, შე ცულლუტო! გინდა ყველაფერი მათქმევინო? კავშირის წევრი ხარ? - ეკითხება კარლი მეფორნეს.

- აბა, რა, შონჰაუზერის რაიონში.

- აი, თურმე რა, კეგელკლუბში დადიხარ?

- მაშასადამე, იქაურობის ხშირი სტუმარი ხარ?

- გახლავართ! იკითხე ერთი, იქ მეთუნუქე კარლს თუ იცნობენ, კლუბში კალატოზი პაულიც ხშირად დადის, იცნობ?

- აბა, რა, პაული ხომ ჩემი მეგობარია!

- ჩვენ კი ბრანდენბურგის ციხეში ერთ დროს ერთად ვისხედით.

- მართალს ამბობ! ეგ იქ იჯდა. ასე, ასე. იცი, რა, ლამის მეგობრები გამოვდექით და იქნებ ხუთი მარკა მასესხო, სულ უფულოდ ვარ, დიასახლისი გაგდებით მემუქრება, თავშესაფარში კი წასვლა არ მინდა, ხომ იცი, პოლიციელები იქ ხშირად დადიან.

- ხუთი მარკა? აბა, რა სალაპარაკოა, დიდი სიამოვნებით.

- დიდი, დიდი მადლობა! რამე საქმეზე ხომ არ გველაპარაკა?

მეფორნე წინამასწარა აღმოჩნდა, ქალებიც მოსწონს და კაცებიც; ფული რომ შემოელევა, ან სესხულობს, ან ქურდობს. და აი, მეფორნემ, კარლმა და შონჰაუზენელი ბიჭებიდან ერთ-ერთმა მუშაობა დამოუკიდებლად დაიწყეს. რაზმი მზად არის, ნაბიჯით იარ! დასაწყისში ორი ოპერაცია იოლად ჩაატარეს. კავშირიდან საქმის მიმცემებმა მათ მეფორნის საშუალებით შეატყობინეს, ხელის მოთბობა სად შეიძლებოდა. ჯერ იყო და, ორი მოტოციკლეტი გაიტაცეს და ამით თავისუფლად გადაადგილების საშუალება მოიპოვეს. ახლა მუშაობა ქალაქის გარეუბნებშიც შეუძლიათ, და საერთოდ, ბერლინის გარდა, სხვა ადგილებიც ხომ არის, სურვილი იყოს, თორემ ხელმრუდი ადამიანი ასაწაპნს ყველგან მიაგნებს.

ელზასერშტრასეზე ძალიან სასაცილო ეპიზოდი გათამაშდა, ნებისმიერ კომედიას დაამშვენებდა! არის ამ ქუჩაზე ერთი მზა ტანსაცმლის დიდი მაღაზია. შონჰაუზენელ ბიჭებს შორის კი არის რამდენიმე მკერავი, რომლებიც ამ მზა ტანსაცმელს სიამოვნებით ჩაიბარებენ და გადააკეთებენ. ამ მაღაზიასთან ისინი ღამის სამ საათზე მიდიან. კართან დგებიან და იქვე დგას ღამის დარაჯიც, მაღაზიის მცველი. მეფორნე ეკითხება: რაო, ამ სახლში მაღაზიაა, რისი? დანარჩენი ორი თავისი ძმაკაცის დაწყებულ საუბარს აგრძელებს. ენას იქავებენ, ლაპარაკობენ ქურდობაზე, თავდასხმებზე. ახლაო, ამბობს ერთ-ერთი, თავზე ხელაღებული ხალხი მომრავლდა, საძარცვავად იარაღით მიდიან და თუ ვინმე წაასწრებთ, მაშინვე სულს გააფრთხობინებენო. არაო, ამბობს დანარჩენი ორი, ჩვენ სახათაბალო საქმეზე წამსვლელები ნამდვილად არა ვართ, და საერთოდ, განა გიჟები ვართ, რაღაც მზა ტანსაცმლის ფარდულის გამო აუტკივარი თავი ავიტკივოთ? მით უმეტეს, როცა არ იცი, შიგ ტანსაცმელი არის თუ არა?

- რას ამბობთ, არის და თანაც რამდენი: მამაკაცის პალტოები, კოსტიუმები, ყველაფერი, რასაც კი ადამიანი ინატრებს, - ლაპარაკში დარაჯი ერევა.

- მართლა? მაშინ შევიდეთ და ახალი ტანსაცმელი ჩავიცვათ.

- თქვენ რა, გაგიჟდით? - ყასიდად ამბობს ამ კომპანიიდან მეორე, - ამ კაცს ჩვრების გულისთვის შარში ხომ არ გავხვევთ?

- შარიო, ვინ თქვა შარიო? ე, მეზობელო, შენც ხომ ადამიანი ხარ და ფული მოჭარბებულად, ალბათ, არც გაქვს. მითხარი ერთი, კოლეგა, აქ რომ დგახარ და დარაჯობ, ამაში რამდენს გიხდიან?

- აჰ, საცოდავ გროშებს, სათქმელადაც არ ღირს. როცა კაცი სამოცი წლის ხარ და შენი ერთადერთი შემოსავალი მხოლოდ პენსიაა, მაშინ ნებისმიერ ანაზღაურებაზე თანახმა ხარ.

- ჰოდა, მეც მაგას ვამბობ. ამ საწყალ მოხუცს მთელი ღამე ქუჩაში აყურყუტებენ, შეიძლება რევმატიზმიც კი აიკიდოს, ბიძაჩემო, ალბათ, ომშიც იყავი, არა?

- ჰო, ვიყავი, თანაც სადმე ზურგში ორმოებს კი არ ვთხრიდი, პოლონეთში წინა ხაზზე ვიბრძოდი. ლანდშტურმისტი გახლავართ.

- გასაგებია, ამქვეყნად მაგაზე უარესი რაღაცებიც ხდება. ადამიანი ფეხებს ძლივს დაათრევს, მას კი თავს სანგრებში უკრავენ. ახლა კი მადლობის მაგივრად აქ დაგაყენეს და შენც დარაჯობ, რომ ამ გაქსუებულ ბატონებს ვინმემ რამე არ მოჰპაროს. იცი რა, ბიძაჩემო, მოდი ახლა, ჩვენ და შენ ერთი კარგი საქმე გავაკეთოთ, ა? ერთი გვითხარი, სად ზიხარ?

- არა, არა, იცით, ეგ ძალიან სარისკო საქმეა, მეპატრონის ბინა ზუსტად გვერდით არის, თანაც ფხიზელი ძილი აქვს და მაშინვე ყველაფერს გაიგებს.

- დამშვიდდი, ძალიან ჩუმად ვიმოქმედებთ, დარწმუნებული იყავი. წამო, ყავა დავლიოთ, რამე სპირტიანი გაქვს? დავსხდეთ, ვილაპარაკოთ. რა, მაგ შენი ქონიანი ღორისთვის თავის გაწირვა გსიამოვნებს?

და აი, ისინი სრული შემადგენლობით უკვე დარაჯის კანტორაში სხედან, ყავას მიირთმევენ. და ვიდრე მეფორნე, აქ მყოფთაგან ყველაზე მოხერხებული და ენაწყლიანი, დარაჯს ლაპარაკით თავბრუს ახვევს, ორნი ჩუმად ითესებიან და მუშაობა გახურდა. დარაჯი შიგადაშიგ ადგომას ცდილობს, უნდა მაღაზიას შემოუაროს, ნახოს, ყველაფერი წესრიგშია თუ არა, არავითარ საქმეზე ერთი სიტყვიც გაგონებაც არ უნდა. ჰოდა, ამ დროს მეფორნე ეუბნება:

- იმ ბიჭებს თავი დაანებე, რადგან ვერაფერი შეამჩნიე, პასუხსაც არაფერზე აგებ!

- როგორ თუ ვერაფერი შევამჩნიე?

- მოდი, იცი, რა ვქნათ, გაგკოჭავ, ვითომ თავს დაგესხნენ, შენ ხომ მოხუცი ხარ და აბა, სამ ახალგაზრდას როგორ გაუმკლავდებოდი! და თუ მე ახლა თავზე სუფრას შემოგახვევ, ამოსუნთქვასაც კი ვერ მოასწრებ, რომ შენს პირში ჩვარი აღმოჩნდება და ფეხები გაკოჭილი გექნება.

- ხუმრობ?

- ვხუმრობ, ვხუმრობ! შენ კი, თუ ღმერთი გწამს, ნუღარ იპრანჭები, განა ღირს თავის გაწირვა იმ შენი ფულის ტომრისთვის, იმ გამძღარი ღორისთვის? მოდი, ერთი ფინჯანი ყავა კიდევ დავლიოთ, ზეგ კი შენს წილს მიიღებ. აი, აქ დამიწერე, სად ცხოვრობ? ამოღებულ თანხას ძმურად გავიყოფთ! აბა, დაჰკარ ხელი!

- მაინც რამდენი იქნება?

- გააჩნია, რას წავიღებთ და როგორ გავყიდით, ასე თუ ისე, ას მარკას აუცილებლად მოგცემთ!

- ორასი!

- მოსულა!

სიგარეტი გააბოლეს, ყავა დალიეს. ამ ხნის განმავლობაში ბიჭებმა ნაძარცვი შეკრეს. ახლა მხოლოდ სანდო მანქანა სჭირდებათ. მეთუნუქემ, სადაც ჯერ არს, იქ დარეკა. გაუმართლათ. ნახევარ საათში მაღაზიასთან კერძო მანქანა გაჩერდა.

და დაიწყო, რაც დაიწყო. მოხუცი დარაჯი სავარძელში ჩაჯდა, მეფორნემ სპილენძის მავთული აიღო და ფეხები შეუკრა; მაგრად არ მოუჭირა - მოხუცს ხომ ვენების გაგანიერება აქვს. ხელებზე ტელეფონის სადენი გადაახვიეს და აი, მოხუცს სამივემ ერთად დაცინვა დაუწყო. ეკითხებიან, ბიძაჩემო, იქნებ ორასი გეცოტავება, სამასს ან სამასორმოცდაათს მოგცემთ, გეყოფა? მერე ორი ბავშვის შარვალი მოიტანეს და უბრალო საზაფხულო პალტო. შარვლებით მოხუცი სავარძელს მიაბეს. დარაჯი კი ემუდარება ბიჭებს, გეყოფათ, შემეშვითო. მაგრამ ბიჭები ეშხში შევიდნენ და მოხუცს მასხრად იგდებენ, პასუხად ამ უკანასკნელმა შეუღრინა, რისთვისაც ორი სილა დაიმსახურა. მერე კი ისე, რომ გონზე მოსვლა ვერც კი მოასწრო, თავზე პალტო შემოახვიეს და ყოველგვარი მოულოდნელობის თავიდან ასაცილებლად, ზემოდან კიდევ პირსახოცი შემოახვიეს და ბოლოები გამოუნასკვეს. მერე ნაძარცვი ფრთხილად

და მშვიდად მანქანაში ჩააწყვეს. დასასრულ კი მეფორნემ მუყაოს ნაგლეჯებზე ორი განცხადება დაწერა: „ყურადღება, ფრთხილად გახსენით!“ და დარაჯს მკერდსა და ზურგზე მიაკრა. აბა, ბიძაჩემო, კარგად იყავი! კარგა ხანია, ფული ასე იოლად არ გვიშოვია.

წავიდნენ. დარაჯი ერთდროულად ბრაზმა და შიშმა შეიპყრო. ნასკვებსა და ხლართებს შორის გაინაბა. აქედან თავი როგორ დავაღწიო? კარიც კი არ დაუკეტავთ, ხომ შეიძლება სხვებიც შემოვიდნენ და დარჩენილი საქონელი წაიღონ? ეცადა, მაგრამ ხელები ვერა და ვერ გაიხსნა, თუმცაღა ფეხებიდან მავთული შედარებით ადვილად მოიშორა. საით წავიდე? ვერაფერს ხედავს, მოხუცი ლამის ცხრად მოკაკული, სავარძლით ზურგზე, როგორც ლოკოკინა თავისი სახლით, მიჩანჩალებს. მთელ კანტორაში მოკლე ნაბიჯებს ალალბედზე ადგამს. ხელებიდან მაგრად განასკვულ სადენს ვერ იხსნის და ვერც თავიდან პალტოს პირსახოცითურთ. ოთახში მდგარ ავეჯს ეჯახება, მაინც მიდის, როგორც იქნა, კარამდე მიაღწია, მაგრამ კარში ვერ გაეტია. ახლა კი გააფთრდა, ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და ბაახ, სავარძლით კარს დაეჯახა. ასეთი ილეთი რამდენჯერმე გაიმეორა, ზურგზე მიკრული სავარძლითურთ კარს ხან გვერდულად, ხან ზურგით ეჯახება, სავარძელი კი არ ინძრევა, ეტყობა, ზურგზე ყოფნა მოსწონს, დაბლა ჩამოცურება არ უნდა. კარი კი ჭრიალებს, ბრახუნობს, ლამის მთელ სახლში გუგუნი ისმის! დარაჯი კი ვერაფერს ხედავს, მთელი ძალით სავარძლით კარს ეჯახება, ბოლოს და ბოლოს, ეს ბრახუნი ვინმემ ხომ უნდა გაიგონოს! დამაცადეთ, ძაღლისშვილებო, დედას გიტირებთ, ოღონდ კი ეს პალტო თავიდან მომაშორებინა!

მერე ყვირილი დაიწყო: მიშველეეთ! მაგრამ საკუთარი ხმა თავადვე არ ესმის. პალტო უშლის. როგორც იქნა, მეპატრონეს გაეღვიძა, მეორე სართულის მობინადრენიც მოცვივდნენ. მოხუცმა კი ამ დროს გონება დაკარგა, სავარძელში ჩავარდა და სახელურზე გადმოეკიდა. ატყდა ხმაური, ყიჟინა: პოლიცია, გვიშველეთ, გაგვძარცვეს, დარაჯი გაკოჭეს! ასეთი მოხუცის დარაჯად დაქირავება როგორ შეიძლება, ასანთს ზოგავენ!

ახალშექმნილი ბანდა კი ზეიმობს!

რაში გვჭირდება პუმსი და რაინჰოლდი? საქმე უმაგათოდაც შესანიშნავად

მოვაგვარეთ! საქმე კი მოაგვარეს, მაგრამ არა ისე, როგორც ამ ახალი ბანდის წევრებს ეგონათ.

საქმე დაიძრა, მეთუნუქე ჩავარდა და ყველაფერი დაფქვა

რაინჰოლდი მეთუნუქეს პრენცლაუერშტრასეზე მდებარე ლუდხანაში ხვდება. ისინი ბარის უკანა ოთახში გადიან. რაინჰოლდი კარლს მათთან დაბრუნებას სთავაზობს, ეუბნება, ახალ ზეინკალს ვეძებდით, მაგრამ ვერსად ვიპოვეთო და ეკითხება:

- ჩვენთან დაბრუნებარატომ აღარ გინდა?საერთოდ, რას აკეთებ? რაღაც-რაღაცებმა ჩვენს ყურამდეც მოაღწია.

- იმიტომ, რომ არ მინდა, ვინმე მჩაგრავდეს და მაბრიყვებდეს.

- ესე იგი, ახალი სამუშაო გაქვს?

- მაქვს თუ არა, ეგ უკვე თქვენი საქმე არ არის.

- ვხედავ, ფულს შოულობ, მაგრამ, ეგრე არ გამოვა: აქამდე ჩვენთან მუშაობდი, ფულს ჯიბეში იდებდი, ახლა კი გვეუბნები, ნახვამდის, კარგად ბრძანდებოდეთო. ასე, ძმაო, არ შეიძლება.

- არ შეიძლება, კარგია, კაცმა ხელი დავიწვი და ყველანი სვავებივით მეცით, კინაღამ დამგლიჯეთ. რაღა არ მითხარით, არაფერი შენ არ იციო, ფარჩაკი ხარო, ახლა კი ვითომ არაფერი მომხდარა, მეუბნებით, კარლ, ჩვენთან წამოდიო!

- და წამოხვალ კიდევაც, რადგან შემცვლელი არა გვყავს. და თუ წამოსვლა არ გინდა, ის ფული დაყაჭე, ბოლო სამუშაოში რომ აიღე. გასტროლიორები ჩვენ არ გვჭირდება.

- ჩემგან იმ ფულის ამოღება სასამართლოს ძალით მოგიწევს, რაინჰოლდ, რადგანაც ის ფული მქონდა და აღარ მაქვს, გაქრა!

- მაშინ ვალდებული ხარ, ჩვენთან ერთად საქმეზე წამოხვიდე!

- უკვე გითხარი, არ მინდა და არ წამოვალ!

- კარლ, ხომ იცი, ნეკნებს დაგიმტვრევთ, ცოცხალ ლეშად გაქცევთ და შიმშილით ჩაძაღლდები!

- ნუ მაცინებ, ეტყობა, ზედმეტი დალიე, ა! იმ პატარა ძუკნაში ხომ არ გეშლები, წიწილასავით რომ წაახრჩვე?

- აი, თურმე რა! კარგი, სანამ ლამაზი ხარ, აქედან გაქრი! არ მაინტერესებს, ძუკნა ხარ თუ ვინმე სხვა, მაგრამ ტვინი გაანძრიე, იფიქრე იმაზე, რაც გითხარი. ამაზე ჩვენ კიდევ ვილაპარაკებთ.

- დიდი სიამოვნებით!

არის მომკელი, მას სიკვდილი ჰქვია.

რაინჰოლდმა მთელ ბანდასთან ერთად არსებული მდგომარეობა განიხილა. და ყველა დაეთანხმა, რომ უზეინკლოდ საქმეს თავს ვერ გაართმევენ. არადა, ახლა გახურებული სეზონია და თანაც რაინჰოლდი პუმსის გადმობირებულ ორ შემსყიდველს უკვე მოელაპარაკა. არა, მეთუნუქე კარლი ჯანდარაში უნდა გაატარონ და მაინც თუ ვერ დაითანხმებენ, მაშინ ეგ ვიგინდარა კავშირიდან უნდა გააგდონ.

კარლმა იყნოსა, რომ მის წინააღმდეგ რაღაც შეთქმულებისმაგვარი მზადდებოდა. და მივიდა ფრანცთან, რომელიც ამ ბოლო დროს სულ სახლში იჯდა. უნდოდა გაეგო, მისი ყოფილი თანამეინახეები რას უპირებდნენ. მეტიც, იქნებ ბიბერკოპფი თავის მხარეს გადმოებირებინა, მაგრამ ფრანცმა განუცხადა:

- შენ ჯერ შტრალაუერშტრასეზე გვიმუხთლე, ახლა კი ჩვენთან მუშაობაზე უარს ამბობ, სალაპარაკო, აბა, რაღა არის.

- იმიტომ, რომ რაინჰოლდთან მუშაობა არ მინდა. შენ მაგას არ იცნობ, ნამუსგარეცხილი ვინმეა!

- არა, კარგი ბიჭია.

- სულელი ხარ, ნამდვილი სულელი. წარმოდგენა არა გაქვს, ამქვეყნად რა ხდება, თვალები გაახილე.

- კარგი რა, კარლ, თავგზას ნუ მიბნევ, სადარდებელი ისედაც საკმარისად მაქვს, ჩვენ მუშაობა გვინდა და შენ გამო უქმად ვართ. ამას, კარლ, ღალატი ჰქვია. ფრთხილად იყავი, ცუდი დღე დაგადგება.

- ვის ვუფრთხილდე, რაინჰოლდს? ნუ მაცინებ! მაგას მე მოვუვლი, ის პატარა ძუკნა ხომ არ ვგონივარ, რომელიც... კარგი, კარგი, არაფერი მითქვამს. აბა, ერთი გაბედოს და თითი დამაკაროს!

- წადი, აქედან წადი, და ისევ გეუბნები, ფრთხილად იყავი!

და აი, ორი დღის შემდეგ მეთუნუქე თავის ორ ამფსონთან ერთად ფრიდენშტრასეზე საქმეზე მიდის და მას პოლიცია იჭერს. აიყვანეს მეფორნეც, გაქცევა მხოლოდ მესამემ მოასწრო, იმან, რომელიც ზექსზე იდგა. სამძებრო განყოფილებაში მაშინვე დაადგინეს, რომ კარლი ელზასერშტრასეზე მდებარე მაღაზიის ძარცვაშიც მონაწილეობდა. დარაჯის ოთახში ყავის ჭიქაზე მისი თითების ანაბეჭდები აღმოაჩინეს და ეს საკმარისი მტკიცებულებაა.

კი, მაგრამ, რატომ ჩავვარდი? - ფიქრობს კარლი, - ეს ამბავი ასე უცებ ძაღლებმა როგორ გაიგეს? ნამდვილად იმ არამზადა რაინჰოლდმა ჩამიშვა. ეს ბოღმამ გააკეთებინა! გაბრაზდა, მათთან მუშაობაზე უარი რომ ვთქვი. მაგ ვიგინდარამ ხაფანგში შეგვიტყუა და თავს პოლიცია დაგვაყენა. უნდა, თავი ციხეში ამომაყოფინოს. ეგეთ არამზადასა და დამპალს ამქვეყნად მეორეს ვერ იპოვი! არა უშავს, ბიჭი არ ვიყო, თუ ეგეც გვერდით არ მოვისვი.

ჰოდა, კარლი მეფორნეს ატყობინებს, რაინჰოლდმა ჩაგვიშვა და ამ საქმეში მესამე მონაწილედ ეგ უნდა დავასახელოთო. მეფორნემ დერეფანში შეხვედრისას კარლს თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. მაშინ მან დაუყოვნებლივ გამომძიებელთან წაყვანა მოითხოვა და იქ განაცხადა:

- ჩვენთან ერთად მესამე რაინჰოლდი იყო, მაგრამ მან გაქცევა მოახერხა.

რაინჰოლდი იმავე დღეს დააკავეს. იგი ყველაფერს უარყოფს და თავის ალიბიზე ლაპარაკობს. ამ სამს ერთმანეთს გამომძიებლის ოთახში ახვედრებენ. კარლი და მეფორნე ამტკიცებენ, რომ ელზასერშტრასეზე მაღაზიის ძარცვაში რაინჰოლდიც მონაწილეობდა. რაინჰოლდი ისე გაბრაზდა, რომ სახეზე მკვდრისფერი დაედო. გამომძიებელი უსმენს, უყურებს ამათ დაღრეჯილ სახეებს და ფიქრობს: არა, აქ რაღაც ისე არ არის, ერთმანეთზე ძალიან არიან გაბრაზებული. და მართლაც ორი დღის შემდეგ დასტურდება, რომ რაინჰოლდს მტკიცე ალიბი აქვს, ეს კაცი სუტენიორი კი არის,

მაგრამ ამ საქმეში ნამდვილად არ გარეულა.

დადგა ოქტომბერი.

რაინჰოლდი გამოუშვეს, მაგრამ პოლიციამ უკვე იცის, რომ იგი უცოდველი კრავი არ არის და მკაცრ თვალთვალს უწესებენ. მეფორნე და კარლი კი გამომძიებელმა მკაცრად გააფრთხილა, პატიოსანი ადამიანების ცილისწამება აღარ გაბედოთ, ხომ ხედავთ, რაინჰოლდის ალიბი დადასტურდაო. ამათ კი თავი ვერაფრით იმართლეს.

ზის კარლი საკანში და ბოღმა ახრჩობს, ამ დროს მასთან პაემანზე მიდის მისი გაშორებული ცოლის ძმა, რომელთანაც ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდა. და კარლი ცოლისძმას სისხლის სამართლის საქმეში გამოცდილი ადვოკატის მოძებნას სთხოვს. იგიც თხოვნას უსრულებს და ყოფილ სიძეს მართლაც კარგ ადვოკატს უგზავნის. კარლი ადვოკატს ჯერ ერთგვარ გამოცდას უტარებს, აინტერესებს, ერკვევა თუ არა სხვადასხვა წვრილმანში და ბოლოს ეკითხება: მოკლული ადამიანის გვამის დამარხვაში თანამონაწილეობისთვის კანონი სასჯელს თუ ითვალისწინებს?

- არ მესმის, რას ნიშნავს მოკლულის გვამის დამარხვაში თანამონაწილეობა?

- რას და, აი, თუ იპოვი ადამიანს, რომელიც უკვე მკვდარია და მიწაში ჩაფლობ?

- ვერ გავიგე, იქნებ ისეთის, რომლის დამალვა თქვენ გინდათ ან რომელსაც პოლიციამ ესროლა ან რამე ამდაგვარი?

- არა, ისეთის, რომელიც შენ არ მოგიკლავს, მაგრამ მაინც არ გინდა, რომ მისი გვამი აღმოაჩინონ, კანონი ამაზე სასჯელს ითვალისწინებს?

- იმის თქმა გინდათ, რომ თქვენ ამ მოკლულს იცნობდით და მის დამარხვაში თანხის გადახდას დაგპირდნენ?

- არა, ადამიანი ჩემმა მეგობარმა მოკლა და მე მხოლოდ დამარხვაში დავეხმარე. მოკლეს ადამიანი, გვამი აგდია და სასურველი არ არის, იპოვონ.

- ვინ აღმოაჩინოს, პოლიციამ? კარგი, პრინციპში ეს ქმედება ნაპოვნის დამალვად ითვლება. მაგრამ ეს ადამიანი რა გარემოებაში დაიღუპა?

- არ ვიცი, მკვლელობის დროს იქ არ ვიყავი. მე არაფერში დავხმარებივარ. მეტიც, არც არაფერი ვიცოდი. რომ მივედი, ის ადამიანი უკვე მკვდარი იყო. და მე მეუბნებიან:

მოდი, გვამი

ჩავმარხოთო!

- ამას ვინ გეუბნებათ?

- რომ ჩავმარხოთო? მაგას რა მნიშვნელობა აქვს? მხოლოდ ის მაინტერესებს, ითვლება თუ არა დანაშაულად, რომ სხვა ადამიანს გვამის დამარხვაში დავეხმარე და ამის გამო რა მელის?

- მოიცადეთ, მოიცადეთ, ის, რაც მომიყევით, დანაშაული ნამდვილად არ არის, ყოველ შემთხვევაში, მძიმე დანაშაული. რა თქმა უნდა, თუ ამ დანაშაულის თანამონაწილე არ ყოფილხართ და არც მკვლელობით დაინტერესებული, მაშინ რატომ დაეხმარეთ?

- ხომ გითხარით, მეგობრობის გამო, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, რატომ, მკვლელობაში მონაწილეობა არ მიმიღია და არც იმ გვამის გადამალვით ვყოფილვარ დაინტერესებული.

- იმ ადამიანს სიკვდილის განაჩენი რომელიმე თქვენმა სამსჯავრომ გამოუტანა?

- დავუშვათ, ეგრეა.

- ასეთი საქმეებისგან თავი შორს უნდა დაიჭიროთ. მართალი გითხრათ, კარგად არ მესმის, ეს საუბარი საით მიგყავთ?

- აბა, დიდი მადლობა, ადვოკატო, რაც მაინტერესებდა, უკვე გავიგე.

- იქნებ ამის შესახებ უფრო დაწვრილებით მიამბოთ?

- ვიფიქრებ. ახლა დავიღალე, სხვა დროს იყოს.

ადვოკატთან საუბრის შემდეგ მეთუნუქე კარლი მთელი ღამე საწოლზე წრიალებდა, ვერა და ვერ დაიძინა, საკუთარ თავს უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა. „სულელი ვარ, ჩემისთანა სულელს სანთლითაც რომ ეძებო, ამქვეყნად ვერ იპოვი, მოვინდომე რა, რაინჰოლდისთვის ჩვენს საქმეში თანამონაწილეობის მიკერება, მიხვდა, ალბათ, მისი საქმე ცუდად რომ არის, აღარ დავინდობ, და აქედან სადმე შორს გადაიხვეწა. სულელი ვარ, ნამდვილი სულელი. ეძებე ახლა თივაში ნემსი! მაგ არამზადამ კი ჩამიშვა. დამაცადე, მიწაშიც რომ დაიმალო, მაინც გიპოვი!“

კარლს ის ღამე უსასრულოდ მოეჩვენა, ეგონა, აღარ გათენდებოდა. რატომ არ ისმის ადგომის საყვირი? ეჰ, რაც არის, არის! დამარხვაში დახმარებისთვის პატიმრობის ვადას არ გამიგრძელებენ, თუ ორიოდე თვით მაინც გამიგრძელეს, ეგ არაფერი. სამაგიეროდ, მაგას სამუდამო პატიმრობას მიუსჯიან, შეიძლება დახვრიტონ კიდევაც. ნეტავ გამომძიებელი სამსახურში როდის მოდის? ახლა რომელი საათია? რაინჰოლდი, ალბათ, უკვე მატარებელშია, მატარებელი კი საზღვარს უახლოვდება. ასეთი არაკაცი ჯერ არ შემხვედრია! ბიბერკოპფი კი მასთან მეგობრობს. ახლა ცალხელას რა ეშველება, რითი იცხოვრებს? მთავრობა მაგას კი არა, ნამდვილ ომის ინვალიდებსაც ძლივს ეხმარება.

და აი, ციხეში, სახლში, სადაც ყველა მისი მობინადრე, როგორც ხელისგულზე, ისე ცხოვრობს, ადგომის საყვირი გაისმის. კარლი დროს უქმად არ კარგავს და როგორც აქაური განაწესი მოითხოვს, ზარს ხელს აჭერს. თერთმეტ საათზე იგი უკვე გამომძიებლის წინ დგას და დაუჯერებელ ამბავს უყვება. გაოგნებულმა გამომძიებელმა თვალები დააჭყიტა:

- აუ, მაგ რაინჰოლდზე რა მაგრად ხართ გაბრაზებული, ცილს უკვე მეორეჯერ სწამებთ.

მაგრამ კარლმა ისეთი ზუსტი ჩვენებები მისცა, რომ სადილის შემდეგ მანქანა გამოიძახეს და ჩასხდნენ შიგ გამომძიებელი, ორი ზორბა პოლიციელი, მათ შორის კი ბორკილდადებული კარლი. აბა, წავედით, ფრაიენვალდში!

* * *

ნაცნობი გზით მიემგზავრებიან. რა კარგია მგზავრობა! და კიდევ უფრო კარგი იქნებოდა, ამ მანქანიდან გადახტომა. ეჰ, ეს ფუჭი ოცნებაა! ამ ძაღლებმა ბორკილები დამადეს, ვერაფერს გავხდები. რევოლვერებიც აქვთ. ასე რომ, რაც უნდა მოვინდომო, არაფერი გამომივა. მიქრის მანქანა და მათ გვერდით ხეივანი გარბის. მიცი, ძალიან მიყვარხარ, გჩუქნი **180** დღეს... მოდი, მუხლებზე დამიჯექი. რა საყვარელი გოგო იყო, ეგ არამზადა რაინჰოლდი კი გვამებზე დააბიჯებს. დამაცადე, გაგახსენებ მიცის, მინდა მაკოცო, გაკოცო... მაინც რა კოცნა იცოდა! მძღოლმა იკითხა, საით წავიდე, მარჯვნივ თუ მარცხნივ, - ჩემთვის სულერთია, როცა გვერდით ასეთი გოგო მიზის, თუნდ ჯოჯოხეთში წამიყვანე!

მანქანიდან გადმოვიდნენ, ბორცვიდან დაეშვნენ და პირდაპირ ტყეს მიაშურეს.

ლამაზია ფრაიენვალდი, პატარა კურორტი სამკურნალო წყლებით. კურჰაუზის ბაღში ბილიკებზე,

როგორც მაშინ, ახლაც ყვითელი ქვიშა აკურატულად ყრია. აი, იქ კი ტერასიანი რესტორანია. მაშინ ტერასაზე მაგიდას სამნი ვუსხედით. ესტრადაზე კი იმ სიმღერას მღეროდნენ, როგორ არის? ჰო,

„შვეიცარიასა და ტიროლში ადამიანი კარგად გრძნობს თავს, მარცხნივ მთებია, მარჯვნივ მთებია, ყველაზე მაღალი კი ერთი მთაა, მას ქალწული ჰქვია, იუჰუ. მერე იგი მიცისთან ერთად ტყეში წავიდა, რაინჰოლდმა მე მომტეხა, იმ ნაძირალას საწყალი გოგო ათას მარკად მივყიდე. ახლაც ციხეში რაინჰოლდის გამო ვზივარ.

აი, ტყეც, დგანან ხეები შემოდგომის სამოსში გამოწყობილები, მზის სხივებით ოქროსფრად შეფერადებულები. ხეთა წვეროები არ ირხევიან.

- აი, იქით უნდა წავიდეთ, მაშინ ბნელოდა და რაინჰოლდი გზას ჯიბის ფარნით ანათებდა, ადვილი საპოვნელი არ იქნება, მაგრამ იმ ადგილს თუ დავინახავ, მაშინვე ვიცნობ. იქ კორდი იყო, კორდზე კი მხოლოდ ერთი ნაძვი იდგა, ოღონდ გვერდზე იყო გადახრილი და იქვეა ხევი.

- აქ ბევრი ხევია.

- მოიცადეთ, ბატონო კომისარო, მგონი, ძალიან ღრმად შემოვედით. მახსოვს, სასტუმროდან იქამდე ოცი წუთის სავალი გზა იყო. ყოველ შემთხვევაში, ასე ღრმად ჩვენ არ შევსულვართ.

- მაგრამ ხომ მითხარით, რომ მაშინ მირბოდით?

- ჰო, მაგრამ მხოლოდ ტყეში, გზაზე სირბილი საშიში იყო, ყურადღებას მივიპყრობდით.

აი, კორდიც გვერდზე გადახრილი ნაძვით, როგორც იმ დღეს იყო, ახლაც ყველაფერი ისევ ისეა... თხემით ტერფამდე შენი ვარ, მკვდარია შენი გული, თვალები, ბაგენი... ცოტა კიდევ გავიაროთ, ოი, ასე ნუ მიჭერ, დამახრჩობ!

- აი, იმ შავ ნაძვს ხედავთ? აი, სწორედ იქ არის!

წაბლა ცხენებზე ამხედრებულ მხედართა რაზმი შორიდან მოდიოდა, ცხენოსნები გამვლელებს სულ გზას ეკითხებოდნენ, ვიდრე სასურველ ადგილამდე, დიდ ტბასთან მიაღწევდნენ. იქ ისინი ჩამოქვეითდნენ, ცხენები ტოტებგაშლილ მუხაზე მიაბეს, ტბის ნაპირზე პირქვე დაემხნენ და ლოცვა დაიწყეს, მეორე დღეს სადღაც იშოვეს ნავი და

მეორე ნაპირზე გადავიდნენ. ისინი ტბას უმღეროდნენ, ხოტბას ასხამდნენ, ესაუბრებოდნენ. მაგრამ ისინი ამ ტბაში განძს არ ეძებდნენ, ტბას მხოლოდ თაყვანს სცემდნენ, რამეთუ ბელადი მათი ტბის ფსკერზე განისვენებდა.

პოლიციელებს თან ნიჩბები აქვთ. მეთუნუქე კარლმა იარა, იარა და ბოლოს იმ ადგილს მიაგნო. ბარები მიწაში ჩაარჭვეს და მაშინვე შეამჩნიეს, რომ ნიადაგი ფხვიერი იყო. დაიწყეს თხრა, თხრიან და თხრიან. უფრო ღრმად და ღრმად. მიწას ორმოდან ზემოთ ყრიან. აშკარაა, აქ უკვე ვიღაცებს უმუშავიათ, მიწაში ნაძვის გირჩები ხვდებიათ. კარლი დგას და უყურებს, უყურებს და იცდის. ეს აქ იყო, კი, ნამდვილად აქ იყო, მან და რაინჰოლდმა გოგონა სწორედ აქ ჩამარხეს.

- გოგონა რა სიღრმეზე ჩამარხეთ?

- ასე, მეოთხედ მეტრზე, უფრო ღრმად არა.

- მაშინ გვამი უკვე უნდა გვეპოვა.

- დარწმუნებული ვარ, რომ ამ ადგილზე. აბა, კიდევ ამოთხარეთ.

- კიდევ ამოთხარეთ, კიდევ ამოთხარეთ. რა ამოვთხაროთ, როცა არაფერია!

თხრა განაგრძეს. სიღრმიდან მწვანე ბალახი ამოთხარეს. ესე იგი, დღეს თუ არა, გუშინ აქ ვიღაცას ამოუთხრია. მაშინ გვამი ახლა ნამდვილად უნდა გამოჩნდეს. კარლი ხელს ცხვირზე იჭერს; საწყალი მიცი, მას შემდეგ რამდენი თვე გავიდა, გვამი, ალბათ, გაიხრწნა. თანაც სულ წვიმა იყო.

მოულოდნელად ერთ-ერთი პოლიციელი ორმოდან კითხულობს:

- გოგოს რა ეცვა?

- მუქი ფერის ქვედაკაბა და ვარდისფერი კოფთა.

- აბრეშუმის?

- ალბათ, აბრეშუმის, ოღონდ ღია ვარდისფერი.

- ასეთი?

ერთ-ერთ პოლიციელს ხელში ფურჩალის ნაგლეჯი უკავია, სულმთლად მიწაში ამოსვრილი, მაგრამ ეტყობა, რომ ოდესღაც ვარდისფერი იყო. პოლიციელი თავის

აღმოჩენას გამომძიებელს

აჩვენებს:

- ალბათ, ეს სახელოს ნაწილია.

თხრას აგრძელებენ. ფაქტია, აქ რაღაც იყო ჩამარხული. გუშინ ან შეიძლება დღეს ამ ადგილზე ვიღაცას უმუშავია. კარლი გაოგნებული დგას, მისი ვარაუდი გამართლდა, რაინჰოლდმა საშიშროება იგრძნო, გვამი ამოთხარა და ვინ იცის, სად გადააგდო, ალბათ, მდინარეში. მართლაც, რომ დიდი მოხერხებული ვინმეა! გამომძიებელს კომისარი გვერდით გაჰყავს, დიდხანს საუბრობენ, კომისარი რაღაცებს იწერს. მერე სამივენი ერთად მანქანასთან ბრუნდებიან. ერთი პოლიციელი ორმოსთან დარჩა.

გამომძიებელი კარლს გზაში ეკითხება:

- როგორც მითხარით, როცა იქ მიხვედით, გოგონა უკვე მკვდარი იყო, არა?

- დიახ, ეგრე იყო!

- ამას როგორ დაამტკიცებთ?

- რატომ უნდა დავამტკიცო?

- რატომ და, თუ თქვენი რაინჰოლდი იტყვის, რომ გოგო მან კი არა, თქვენ მოკალით ან მკვლელობაში დაეხმარეთ.

- გვამის გადმოტანაში მართლაც დავეხმარე, მაგრამ არ მესმის, ის გოგო რატომ უნდა მომეკლა?

- იმიტომ, რატომაც იმან მოკლა, ან, სავარაუდოდ, მოკლა.

- იმ საღამოს იმ გოგოსთან არ ვყოფილვარ, მეტიც, არც კი მინახავს.

- მაგრამ იმ გოგოსთან დღისით იყავით.

- დღისით კი, მაგრამ როცა წავედი, ის ხომ ცოცხალი იყო.

- თქვენი ალიბის დამტკიცება გაგიჭირდებათ.

მანქანაში გამომძიებელი კარლის დაკითხვას ისევ აგრძელებს.

- მომხდარის შემდეგ, საღამოს და ღამით შენ და რაინჰოლდი სად იყავით? ჯანდაბას, ყველაფერს ვიტყვი:

- აქედან გავემგზავრე, რაინჰოლდმა თავისი პასპორტი მომცა და მეც დავახვიე, იმ შემთხვევაში,
საქმე თუ გაიხსნებოდა, ალიბი რომ მქონოდა.

- უცნაურია, მერედა ეს რატომ გააკეთეთ? ეს ხომ სისულელეა! რა, თქვენ მეგობრები იყავით?

- შეიძლება ეგრეც ითქვას. თანაც ღარიბი ადამიანი ვარ, იმან კი ფული მომცა.

- ახლა კი იგი თქვენი მეგობარი აღარ არის? ან იქნებ რაინჰოლდს ფული აღარ აქვს?

- დიახ, ბატონო გამომძიებელო, ახლა იგი ჩემი მეგობარი აღარ არის, რადგანაც ციხეში მაგის გამო აღმოვჩნდი. იცით, რომ დარაჯთან დაკავშირებული საქმის გამო ვზივარ. ჰოდა, რაინჰოლდმა ჩამიშვა.

გამომძიებელმა და კომისარმა ერთმანეთს გადახედეს. მანქანა ისარივით მიქრის, დროდადრო ორმოებში ვარდება. ამ გზაზე მიცისთან ერთად მივქროდი, საჩუქრად გიძღვნი ასოთხმოც დღეს.

- ეტყობა, რაღაც ვერ გაიყავით და თქვენი მეგობრობაც დამთავრდა.

- რას იზამთ, ცხოვრებაში ასეთი რამ ხდება (მაბრიყვებს, არა, ძმაო, იაფად არ ვიყიდები, ვინმე არიფი არ გეგონო, ვიცი, რაც უნდა ვთქვა). საქმე ის არის, ბატონო გამომძიებელო, რომ ეგ რაინჰოლდი დიდი თავზე ხელაღებული კაცია და ჩემი მოშორებაც უნდა.

- აი, თურმე რა, თქვენს წინააღმდეგ რამე მოიმოქმედა?

- არა, მაგრამ მიმანიშნა.

- სხვა არაფერი?

- არა.

- კარგი, ვნახოთ.

* * *

მიცის გვამი ორი დღის შემდეგ ტყეში იმ ხევიდან დაახლოებით ერთი კილომეტრის დაშორებით იპოვეს. ეს ასე მოხდა: როგორც კი მიცის მკვლელობის ამბავი გაზეთებში დაიბეჭდა, ორმა მებოსტნემ პოლიციაში განაცხადა, რომ ამ დღეებში ტყეში დაინახეს ერთი მამაკაცი, რომელიც მიდიოდა და ჩემოდანს მიათრევდა, ეტყობოდა, ძალიან მძიმეს. მაშინ ვერ მიხვდნენ, ჩემოდანში ასეთი მძიმე რა უნდა ჰქონოდა. მერე კაცი დასასვენებლად ხევის პირას ჩამოჯდა. ხოლო, როცა ისინი ნახევარი საათის შემდეგ იმავე გზით უკან ბრუნდებოდნენ, კაცი ისევ იქ იჯდა, ოღონდ ამჯერად უპიჯაკოდ. ჩემოდანიც არ დაუნახავთ. ალბათ, ის დაბლა იდგა. მებოსტნეებმა იმ კაცის გარეგნობა დაწვრილებით აღწერეს: სიმაღლით დაახლოებით **175** სმ, მხარბეჭიანი, თავზე შავი ქვაბურა, აგურისფერი საგაზაფხულო კოსტიუმი, ფეხებს კი არ დგამს, მიაჩოჩებს, ეტყობა, ჯანმრთელი არ უნდა იყოს, მაღალი შუბლი ღრმა, განივი ნაოჭებით აქვს დასერილი.

იმ ადგილზე, რომელიც მებოსტნეებმა დაასახელეს, უამრავი ხევია და მაძებარ ძაღლებს კვალი აერიათ. ამიტომ პოლიციელებმა ახლომდებარე ორმოები ერთმანეთის მიყოლებით გათხარეს. ერთ-ერთ ორმოში ბარი კანაფგადახვეულ ფანერის ყუთს მოხვდა და როცა კომისრებმა გახსნეს, შიგ ქალის ნივთები აღმოჩნდა: დახეული ვარდისფერი კოფთა, ხორცისფერი გრძელი წინდები, ყავისფერი შალის ქვედაკაბა, ჭუჭყიანი ცხვირსახოცები და ორი კბილის ჯაგრისი. ეტყობა, ყუთი აქ არც ისე დიდი ხანია, რაც დევს. უცნაურია, მოკლულს ხომ ვარდისფერი კოფთა ეცვა.

მერე კი, ძალიან მალე, ხევში ჩემოდანსაც მიაგნეს: შიგ გვამი ორად მოკეცილი იდო. შტორების ზონრით მაგრად გადახვეული. სავარაუდო მკვლელის ნიშნები ტელეგრაფით ყველა საქალაქო და გარეუბნის პოლიციის უბნებს გადაეცა.

* * *

რაინჰოლდი, ჯერ კიდევ მაშინ, პოლიციაპრეზიდიუმში დაკითხვაზე რომ იყო, მიხვდა, საქმეს ცუდი სუნი ასდიოდა და ჩქარობს, რომ ეს საქმე ფრანცს აჰკიდოს. მას ნამდვილად შეეძლო მიცი მოეკლა! რისი დამტკიცება შეუძლია მეთუნუქე კარლს? არა მგონია, ფრაიენვალდში ვინმეს დავენახე. და თუ მავანმა და მავანმა მაინც დამინახა, მაშინ სასტუმროში ან გზატკეცილზე, ეს კი დიდი უბედურება არ არის!

მოდი, ერთი, ფრანცს დაველაპარაკები, თუ დროებით დაიმალება, მაშინ ყველა იფიქრებს, რომ მკვლელი ის არის.

პოლიციის შენობიდან გამოსული რაინჰოლდი პირდაპირ ფრანცთან წავიდა და ცალხელას შეშფოთებული სახით ეუბნება: „მეთუნუქემ გაგვცა, აქედან სასწრაფოდ უნდა აითესო, გაქრე!“ ფრანცი თხუთმეტ წუთში უკვე მზად იყო, ნივთების ჩალაგებაში რაინჰოლდიც ეხმარებოდა, ორივენი კარლს უშვერი სიტყვებით ლანძღავდნენ. ევამ ფრანცი ვილმერსდორფში თავის ძველ მეგობარ ტონისთან დააბინავა. რაინჰოლდი ევასა და ფრანცს მანქანაში ჩაუჯდა და ჩემოდანი ერთად იყიდეს. რაინჰოლდი საზღვარგარეთ გამგზავრებას აპირებს და დიდი ჩემოდანი სჭირდება, ჯერ სკივრის შეძენა უნდოდა, მაგრამ არჩევანი ბოლოს მაინც ფიბრის ჩემოდანზე შეაჩერა. აარჩია ყველაზე დიდი, ისეთი, რომლის ტარებასაც შეძლებდა. განაცხადა, მტვირთავებს ვერ ვენდობი, ეგენი ყველანი დამსმენები არიან, ნამდვილად გამცემენ. აბა, ჯერჯერობით, ფრანც, ჩემს მისამართს შეგატყობინებ. ევა მომიკითხე!

* * *

საშინელი კატასტროფა პრაღაში. ამოღებულია **20** გვამი, **150** კაცი ნანგრევებშია მოქცეული. სულ რაღაც რამდენიმე წუთის წინ ეს სამშენებლო ნაგავი ახალაშენებული შვიდსართულიანი სახლი იყო, ახლა კი მის ქვეშ მკვდრები და მძიმედ დაჭრილები წვანან. რკინაბეტონის რვაასტონიანი უზარმაზარი შენობის ქვედა ორი სართული მიწაში აღმოჩნდა, ზემოთები კი ჩამოინგრა. ქუჩაში პოსტზე მდგომმა პოლიციელმა როგორც კი საეჭვო ხრჭიალი გაიგონა, ჯერ გამვლელები გააჩერა, მერე კი არ დაიბნა და კატასტროფის ადგილს მიახლოებულ ტრამვაიში შეხტა და საკუთარი ხელით დაამუხრუჭა.

ატლანტის ოკეანეში შტორმი ბობოქრობს, ჩრდილოეთ ამერიკიდან აღმოსავლეთის მიმართულებით ერთმანეთის მიყოლებით ძლიერი ციკლონები მოძრაობენ, იმ დროს, როცა ორი ციკლონი, რომელთა ცენტრებიც ცენტრალურ ამერიკასა, გრენლანდიასა და ირლანდიის რაიონებს შორისაა, წარმოშობის ადგილზევე რჩება. გაზეთები დირიჟაბლ „გრაფ ცეპელინის“ მომავალი გადაფრენისადმი მიძღვნილი სტატიებითა და ფოტოებით არის აჭრელებული. ამ სტატიებში წვრილად არის აღწერილი დირიჟაბლის კონსტრუქცია, მისი დეტალები, მოთხრობილია მეთაურის ბიოგრაფია, არის

გაცხოველებული კამათი გადაფრენის პერსპექტივებზე, მეწინავე სტატიები ხოტბას ასხამენ გერმანულ გენიას, და აღიარებენ დირიჟაბლის ტექნიკურ უპირატესობას თვითმფრინავთან შედარებით. მიუხედავად იმ დიდი პროპაგანდისა, რომელსაც თვითმფრინავს უწევენ, აერნაოსნობაში მომავალი მაინც დირიჟაბლებს ეკუთვნის, იუწყებიან სათაურები. მაგრამ

ცეპელინის გადაფრენა გადაიდო, ეკენერს არ უნდა, ხომალდს საფრთხე შეუქმნას.

* * *

და აი, ჩემოდანი, რომელშიც მიცი წევს, გახსნილია. მიცი ტრამვაის კონდუქტორის შვილი გახლდათ და ოჯახთან ერთად ბერნაუში ცხოვრობდა. ოჯახი კი ოთხი სულისგან შედგებოდა: მამა, თავად მიცი და ორი უმცროსი და-ძმა. დედამ ქმარ-შვილი მიატოვა და ბერნაუდან შორს გაემგზავრა. რატომ, ცნობილი არ არის. ამიტომ დიასახლისის მოვალეობის შესრულება მიცის უწევდა. საღამოობით ხანდახან გოგონა ბერლინში მიემგზავრებოდა და ლესტმანის დარბაზში ცეკვებზე მიდიოდა. ხდებოდა ხოლმე, რომ ცეკვების შემდეგ თაყვანისმცემლები მას სასტუმროში ეპატიჟებოდნენ. ასეთ დღეებში იძულებული იყო, ღამე ბერლინში გაეთია, რადგანაც გვიანი იყო და ბერნაუსკენ მიმავალი ტრანსპორტი აღარ მუშაობდა. მერე კი ევა გაიცნო და ისინი დამეგობრდნენ. ორივე შტეტინის სადგურის პოლიციის განყოფილებაში იყო დარეგისტრირებული. მიცისთვის, რომლის ნამდვილი სახელიც სონია იყო, ცხოვრება გაიოლდა, რადგან ბევრი ნაცნობი და მეგობარი შეიძინა. მამაკაცებთან მხოლოდ ხანმოკლე ურთიერთობა ჰქონდა. მანამდე, ვიდრე ფრანცს შეხვდებოდა. ეს ცალხელა, მაგრამ ძლიერი მამაკაცი მიცის პირველი ნახვისთანავე შეუყვარდა და სიცოცხლის ბოლომდე უყვარდა. სიცოცხლე კი ერთობ ტრაგიკულად დაამთავრა. რატომ? ასეთი რა მოხდა? რა დააშავა? გოგო ბერნაუდან ჩამოვიდა და მაშინვე ბერლინის ცხოვრების მორევში აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, უმანკო არ ყოფილა, მაგრამ გულწრფელად, მთელი გულით და მხურვალედ უყვარდა იგი, რომელიც მისი მამაკაცი იყო და ვისაც პატარა ბავშვს უწოდებდა. გაანადგურეს, წაახრჩვეს კი მხოლოდ იმიტომ, რომ შემთხვევით ამ კაცის გვერდით აღმოჩნდა. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ასეთია ცხოვრება. მიცი ფრაიენვალდში გაემგზავრა, მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი მეგობარი დაეცვა, და იქ დაახრჩვეს, დაახრჩვეს, ბოლო მოუღეს და ეს, ეს არის ცხოვრება. იყო ადამიანი და აღარ არის! მისი ყელიდან და სახიდან ტვიფარი აიღეს და ახლა მიცი სისხლის სამართლის საქმეში ნივთმტკიცებულებაა, ასე ვთქვათ, ტექნიკური დეტალი, სატელეფონო კაბელივით დამაკავშირებელი რგოლი. აი, რად იქცა მისი ცხოვრება. მისი სახისა და ყელის ნიღაბი გააკეთეს, ის ბუნებრივი ფერებით შეღებეს და ბიუსტი გამოვიდა. ორიგინალის ზუსტი ასლი. და დგას იმ კარადაში, სადაც ნივთმტკიცებები

ინახება. მოდი, მოდი, შინ წავიდეთ. ჩქარა. წავიდეთ რა, ვინ დამამშვიდებს, თუ არა შენ? მე შენი ვარ, ძვირფასო! ეს ალექსზე, აშინგერთან მოხდა, ახლა კი მინის მიღმა დგას, მკვდარია მისი სახე, მკვდარია მისი გული, მკვდარია მისი სხეული, უსიცოცხლოა მისი ღიმილი; მე ვინღა დამამშვიდებს, მოდი რა, გთხოვ!

არის ბოროტება, რომელიც ვიხილე მზისქვეშეთში და მძიმეა იგი კაცთათვის და მოვიქეცი მე და ვიხილნე ყოველნივე ცილისწამებანი, რომელნი არიან მზესა ქუეშე

[32]

ფრანც, ფრანცეკენ, რატომ ოხრავ, ევა შენთან ყოველდღე მოდის და გეკითხება: რაზე ფიქრობო, მაგრამ შენგან პასუხს ვერ ეღირსა! რატომ? რა გტანჯავს? სულ მთლად მოიკაკვე, ფარდის უკან, კუთხეში იმალები, კუს ნაბიჯით დადიხარ, ისე, თითქოს გეშინია, რამეს არ დაეჯახო. რა ხდება? შენ კარგად იცნობ ამ ცხოვრებას, მთვარიდან არ ჩამოვარდნილხარ, ყნოსვა არ გღალატობს, რაღაც- რაღაცას ხვდები და იქით გახედვას კი ვერ ბედავ, თვალს არიდებ, მაგრამ არც გარბიხარ, რადგან გადაწყვეტილებას ვერ იღებ, დგახარ პირმოკუმული, მშიშარა არა ხარ, მაგრამ არ იცი, რა მოხდება და ამის მისაღებად მზად ხარ თუ არა, გაუძლებს შენი მხრები ზედ დაწოლილი ტვირთის სიმძიმეს?

და რამდენი ტანჯვა გამოიარა იობმა, კაცმა ყუცის ქვეყნიდან, გამოიარა ყველა ის უბედურება, რაც კი ადამიანს შეიძლება თავს დაატყდეს ამ ცოდვილ დედამიწაზე. დაეცნენ შებაელები მის ჯოგებს და გარეკეს. მსახური ბიჭები კი მახვილით ამოხოცეს, ღვთის ცეცხლი ჩამოვარდა ციდან, გადაწვა ცხვარი და მსახური ბიჭები, შთანთქა ისინი. ქალდეველები დაეცნენ აქლემებს და წაასხეს, მსახური ბიჭები კი ამოხოცეს. მისი ვაჟები და ასულები ჭამდნენ და ღვინოს სვამდნენ უფროსი ძმის სახლში, ამ დროს დაბერა უდაბნოდან დიდმა ქარმა, ეძგერა სახლის ოთხივე კუთხეს, ჭერი თავზე დაემხო ყმაწვილებს და დაიხოცნენ.

ამდენი უბედურება დაატყდა თავს იობს, მაგრამ მისი უბედურება ამით არ დამთავრებულა. ადგა იობი, შემოიხია მოსასხამი, გადაიპარსა თავი და ზედ ნაცარი დაიყარა. მაგრამ ტანჯვის ფიალა ჯერ კიდევ ბოლომდე არ შეუსვამს. გავიდა სატანა

უფლისგან და შეჰყარა იობს საშინელი ქეცი ფეხის ტერფიდან თხემამდე. აიღო იობმა კეცის ნატეხი მოსაქავებლად და ნაცარში ჩაჯდა.

შეიტყო იობის სამმა მეგობარმა ყველა ეს უბედურება, რაც თავს დაატყდა იობს, და მივიდნენ თავ-

თავიანთი ადგილებიდან ელიფაზ თემანელი, ბილდად შუხელი და ცოფარ ნაყამათელი; შეიყარნენ ერთად, რომ მისულიყვნენ მისასამძიმრებლად და სანუგეშებლად.

შორიდან გახედეს და ვერ იცნეს, ისეთი გაუბედურებული იყო იობი, რომელსაც ერთ დროს ჰყავდა შვიდი ვაჟი და სამი ასული, შვიდი ათასი სული ცხვარი, სამი ათასი აქლემი, ხუთასი უღელი ხარი და ბევრზე ბევრი მსახური.

შენ კი, ფრანც ბიბერკოპფ, ყუცელ იობთან შედარებით ბევრად ნაკლები დაკარგე; თანაც უბედურება თავს ერთბაშად კი არა, დროგამოშვებით გატყდება. და აი ახლა, იმას, რაც მოხდა, ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდები. თავს უამრავი დამამშვიდებელი სიტყვით იმხნევებ, გადაწყვიტე, სიმართლეს თვალს გავუსწორებო, მორიგი უბედურების დასახვედრად მზად ხარ, მაგრამ მხოლოდ - მორიგის და არა იმ ერთადერთი საშინელებისთვის, რომელიც ამჟამად განგებამ თუ ეშმაკმა მოგივლინა. ღმერთო, რაც გინდა, ოღონდ ეგ არა. გაუთავებლად იმეორებ. მერე თავს ირწმუნებ, რომ გამოუსწორებელი და შემზარავი არაფერი მომხდარა! მერე ხელს ჩაიქნევ და ამბობ: მოსახდენი აუცილებლად მოხდება! მაგრამ გულის სიღრმეში ამისი მაინც არ გჯერა ან არ გინდა დაიჯერო. კვნესი, ოხრავ: უბედურება მეწვია, ვინ დამიფარავს, არავინ არის ჩემი ქომაგი. უბედურება კი თანდათან გიახლოვდება. მის შესახვედრად შენც მიდიხარ კუს ნაბიჯით, მშიშარა არა ხარ, ნამდვილად არა, შენ არა მხოლოდ ძლიერი კუნთები გაქვს, - შენ ჯერ ისევ ფრანც ბიბერკოპფი ხარ, ჩვენი მახრჩობელა გველი, მგუდავი. შეხედე, როგორ მიხოხავ, იკლაკნები, ურჩხულს სანტიმეტრ-სანტიმეტრ უახლოვდები, იგი კი დგას და თავდასასხმელად მზად არის.

არა, ფულს კი არ დაკარგავ, ფრანც, დაიწვება და დაიფერფლება არა მარტო ხორცი შენი, არამედ სულიც! აი, ნახე, უკვე ზეიმობს მეძავი! მეძავი ბაბილონი! და მოვიდა ერთ-ერთი იმ შვიდი ანგელოზთაგანი, რომლებსაც ეპყრათ შვიდი თასი, და თქვა: მინდა გაჩვენო დიდი ბაბილონი, რომელიც ზედ აზის მრავალ წყალს. და ვიხილე ქალი, რომელიც ზედა აჯდა წითელ მხეცს და ხელთ ეპყრა ოქროს ბარძიმი და ეწერა სახელი შუბლზე: საიდუმლო. და ქალი მთვრალი იყო წმიდათა სისხლით.

* * *

ვილმერსდორფერშტრასეზე ბაღში გამავალ ფლიგელში, სასიამოვნოდ სუფთა და ნათელ

ოთახში, ზის ფრანც ბიბერკოპფი და იცდის.

გორგლად დახვეული შხამიანი გველი მზეს ეფიცხება, მოწყენილია, არ იცის, ძალ-ღონე რაში დახარჯოს. ფრანცს უსაქმურობა მოჰბეზრდა, დროა, საქმეს მოჰკიდოს ხელი. სამწუხაროა, ბიჭებს შეხვედრაზე რომ არ შეუთანხმდა. სქელმა ტონიმ ძვლისჩარჩოიანი მზის სათვალე უყიდა. კარგი იქნებოდა, ახალი კოსტიუმიც მეყიდა ან იქნებ ლოყაზე ნაჭრილობევი დამეხატა, როგორც ბურებს აქვთ.

აი, ეზოში ვიღაცამ გაირბინა. ეტყობა, ეჩქარება! მე კი არსად მეჩქარება, არსად მაგვიანდება! ადამიანები ასე რომ არ ჩქარობდნენ, ორჯერ უფრო დიდხანს იცოცხლებდნენ და მეტ წარმატებასაც მიაღწევდნენ. აი, ექვსდღიან ველორბოლებზე ველოსიპედისტები არ ჩქარობენ, პედლებს მსუბუქად აწვებიან, ამ ადამიანებს მოთმინება არ ღალატობს. არსად ეჩქარებათ, ქურაზე რძე არ უდგათ და არ გადმოუვათ, პუბლიკამ რამდენიც უნდა უსტვინოს, უსტვინონ რა, მათ ამ საქმისა ხომ არაფერი გაეგებათ, გზას მაინც მშვიდად აგრძელებენ.

დერეფნის კარზე აკაკუნებენ. რატომ არ რეკავენ, ამ ხალხს ხელის აწევა ეზარება. დასწყევლოს ეშმაკმა, აქედან მშვიდობიანად ხომ არ გავიდე, მაგრამ აქ ხომ მხოლოდ ერთი გასასვლელია. მაშინ ყური დავუგდოთ!

წინ ფრთხილად, კუს ნაბიჯებით მიიწევ, თავს ათასობით კარგი სიტყვით ინუგეშებ, დიახ, შენ მზად ხარ, მზად ხარ ძალიან ცუდი ამბის მოსასმენად, მაგრამ ყველაზე დიდი საშინელებისთვის, ფრანც, მზად არა ხარ!

აბა, ყური დავუგდოთ, აქ რა ხდება? ეს ხმა მეცნობა, ყვირილი, კივილი, ტირილი. მოდი, ვნახოთ. შიში, ჩემი შიში, რაზე ფიქრობ? ყველაფერზე, რაზეც ადამიანები ფიქრობენ. მე ხომ შენ გიცნობ. ევა.

კარი გაიღო. გარეთ ევა დგას და ის მსუქან ტონის მკლავებში ჰყავს მომწყვდეული. კივილი, მოთქმა, რა მოუვიდა ამ გოგოს. ყველანი რაზე ფიქრობენ, რა მოხდა, მიცი ყვირის, საწოლში რაინჰოლდი წევს.

- გამარჯობა ევა, გოგონი, რა მოგივიდა, დაწყნარდი, მოხდა რამე? იქნებ ყველაფერი არც ისე ცუდად არის.

- თავი დამანებე.

აუ, როგორ იღრინება, ალბათ, სცემეს. მოიცა, მოიცა, ეტყობა, ჰერბერტთან ფეხმძიმობაზე რაღაც წამოსცდა, მიხვდა, რომ ღალატობს ცოლი და ბავშვი მისი არ არის.

- ჰერბერტმა ხომ არ გცემა, ა?

- თავი დამანებე, არ მომეკარო!

აუ, თვალები როგორ უელავს, იყო დრო, ვენატრებოდი, ახლა კი ჩემი დანახვაც არ უნდა. ნეტავ რა ბუზმა უკბინა? რა მოხდა, შეიძლება ხალხიც მოვიდეს, კარი ჯაჭვით უნდა ჩავკეტო. ტონი კი ევას თავს დასტრიალებს, ელაპარაკება:

- კარგი, ევა, დაწყნარდი, მითხარი, რა მოგივიდა? მოდი, ოთახში შევიდეთ, ჰერბერტი სად არის?

- ოთახში არ შევალ, არაფრით არ შევალ!

- კარგი, წავიდეთ, ევა, წავიდეთ, დავსხდეთ, ყავა დავლიოთ. შენ კი ფრანც, აქედან მოშორდი!

- ვითომ რატომ უნდა მოვშორდე? მე ხომ ცუდი არაფერი ჩამიდენია.

აქ ევამ თვალები ფართოდ გააღო, მზერა ზიზღით აქვს სავსე, თითქოს მისი მოკვლა უნდა. მერე კი იწივლა და ფრანცს ჟილეტში სწვდა, წავიდა და კაციც თან წაიყოლია:

- ეგეც უნდა წამოვიდეს, კი, ბატონო, ჩვენთან ერთად წამოვიდეს, მინდა, მაგანაც მოისმინოს, მოდი, წამოდი.

რა მოუვიდა, ეს ქალი ნამდვილად გაგიჟდა! ან იქნებ ვინმემ რამე უამბო. ევა დივანზე კი არ დაჯდა, დაეხეთქა. მსუქანი ტონის გვერდით ზის და მთელი ტანი უცახცახებს. ღმერთო, სახე როგორ შეშუპებია და აჟრიალებს, ეტყობა, იმიტომ, რომ ფეხმძიმედ არის, მაგრამ ეგ ბავშვი ხომ ჩემია და ჩემი რატომ უნდა ეშინოდეს?

ევამ კი ტონის ორივე ხელი ყელზე შემოხვია და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა, ენას პირში ძლივს ატრიალებს, ლაპარაკი უჭირს. შეძრწუნებულმა ტონიმ ხელი ხელს შემოჰკრა, ევა კი კანკალებს, კბილები უკაწკაწებს, მერე ჯიბიდან დაჭმუჭნილ გაზეთს ამოიღებს.

მგონი, ორივენი გაგიჟდნენ, ნამდვილად რაღაც კომედიას თამაშობენ, ან ამ გაზეთში მაინც რა წერია, ალბათ, შტრალაუერშტრასეზე მომხდარ ძარცვაზე წერენ, აი სულელი ქალები! ფრანცი დგება და ბუზღუნებს:

- მაიმუნები ხართ, მორჩით სპექტაკლის თამაშს, თუ თქვენსავით მაიმუნი გგონივართ!

ფაშფაშა ტონი კი ვიშვიშებს: „ოჰ, ღმერთო ჩემო, ოჰ, ღმერთო ჩემო!“, ევა კი ხმას არ იღებს, მხოლოდ ცახცახებს და ტირის. ფრანცი მაგიდაზე გადაიხრება და ტონის ხელიდან გაზეთს გამოჰგლეჯს, გაშლის, ჩახედავს და რას ხედავს: შიგ ერთმანეთის გვერდით ორი ფოტოა დაბეჭდილი. ეს რა არის? ფრანცი შიშისგან გაცივდა, ეს ხომ მე ვარ, კი, ნამდვილად, მერედა აქ რატომ ვარ? დავიჯერო შტრალაუერშტრასეზე საქმის გამო? ღმერთო ჩემო, რა უბედურებაა, საშინელმა შიშმა შეიპყრო, ეს მე ვარ და ეს კი რაინჰოლდი, სათაური: „მკვლელობა, მკვლელობა ფრაიენვალდში! მოკლულია მეძავი ემილია პარზუნკე ბერნაუდან“. მიცი! ეს კი ვინ არის? მე? ჩუმად, ვირთხებო, კატა სახურავზე დააბიჯებს... რა ხდება? ეს რა არის? ღუმლის უკან თაგვი ზის, ის უნდა გავიდეს.

ფრანცი აკანკალებული ხელით გაზეთს ჭმუჭნის. სავარძელში ნელა ეშვება. ზის გატრუნული, მხრებში მოხრილი, გაზეთში მაინც რას წერენ? ღუმლის უკან თაგვი ზის, ვირთხებო, ჩუმად!

ქალები ფრანცს შესცქერიან და ტირიან. აბა, რას მომაშტერდით? რა მოხდა, მოკლეს, კი მაგრამ, ეს როგორ, მიცი! მიცი მოკლეს, მგონი, ვგიჟდები! ეს როგორ, ეს ყველაფერი რას ნიშნავს? ხელი ისევ მაგიდისკენ მიიწევს, კიდევ ერთხელ უნდა წაიკითხოს: აი, მე, ჩემ გვერდით კი რაინჰოლდია. მკვლელობა ფრაიენვალდში, მოკლულია ბერნაუელი ემილია პარზუნკე... კი, მაგრამ მიცის ფრაიენვალდში რა უნდოდა? და, საერთოდ, ეს რა გაზეთია? აჰა, „მორგენპოსტი“ ყოფილა.

ხელი, რომელშიც გაზეთი უკავია, ზემოთ სწევს, მერე ისევ უშვებს. ევა, და რას აკეთებს აქ ევა? ის რაღაც სხვანაირად იყურება, მისკენ იხრება, აღარ ტირის.

- აბა, ფრანც?

ევას ხმაა, ახლა ის მე მელაპარაკება და რაღაც უნდა ვუპასუხო. ქალები, ევა და ტონი, მკვლელობა, მკვლელობა ფრაიენვალდში, წერენ, რომ ფრაიენვალდში ის მე მოვკალი!

მე იქ არასოდეს ვყოფილვარ. და, საერთოდ, ეგ ფრაიენვალდი სადარის?

- ფრანც, ხმა ამოიღე, რამე გვითხარი!

ფრანცმა ევას ფართოდ გახელილი თვალებით შეხედა, გაზეთი გაშლილ ხელისგულზე უდევს, თავი უკანკალებს, უცნაურად ხრინწიანი, შეცვლილი ხმით ძლივს კითხულობს: მკვლელობა ფრაიენვალდში, ემილია პარზუნკე **1908** წლის **12** ივნისს ბერნაუში დაიბადა.

ჰო, ასეა, ეს მიცია, ევა, დიახ. ლოყას იფხანს, ევას ცარიელი, მღვრიე თვალებით უყურებს. შეუძლებელია ადამიანმა ასეთ მზერას გაუძლოს. ეს მიცია, ევა!

- აბა, რას იტყვი, ევა? ის მკვდარია. ამიტომაც ვერ ვიპოვეთ მიცი.

- ფრანც, იქ ხომ შენზეც წერენ!

- ჩემზე?

ფრანცი გაზეთს ისევ იღებს, შიგ იყურება. აქ ჩემი ფოტოა.

ზის ფრანცი და აქეთ-იქით ქანაობს. ღვთის გულისათვის, ევა, ღვთის გულისათვის. ქალს შიში იპყრობს და ის თანდათან ძლიერდება. შიშმა ქალის ლამის მთელი სხეული მოიცვა, ევამ სკამი ფრანცთან ახლოს სავარძელთან მიაჩოჩა. იგი კი ზემოთა ტანით ისევ ირხევა. ღვთის გულისათვის, ევა, ღვთის გულისათვის, ღვთის გულისათვის და ისევ ირხევა და ირხევა. მერე უცებ ქოშინი აუვარდება, ლოყები ებერება და ისეთ სახეს იღებს, ვინმეს ეგონება, იცინისო.

- ღვთის გულისათვის, ევა, ახლა რა უნდა ვქნათ, რა უნდა ვქნათ?

- და მაინც, შენი ფოტო რატომ მოათავსეს, ფრანც?

- სად?

- აი, მაგ გაზეთში!

- წარმოდგენა არა მაქვს. ღვთის გულისათვის, ეს რა ხდება? ამ გაზეთში რატომ ვარ, არ მესმის, სასაცილოა.

ლაპარაკობს, თავად კი ევას უყურებს, უმწეო, საცოდავი კაცის გამომეტყველებით, ევას კი უხარია, მადლობა ღმერთს, მზერა ადამიანისა აქვს. ქალს თვალები ისევ ცრემლებით ევსება, ფაშფაშა ტონი კი ისევ აწკმუტუნდა. ფრანცი ევას მხარზე ხელს ადებს, მერე სახეს მის მკერდში ჩარგავს და ასლუკუნებული ამბობს:

- ევა, ეს რა ხდება, ჩვენს მიციკენს რა შეემთხვა, ეს როგორ მოხდა? მიცი მოკვდა, თავს უბედურება დაატყდა, ახლა ყველაფერი გასაგებია, მიცის არ მივუტოვებივარ, ჩემი გოგონა მოკლეს. მიციკენ, ჩემო საყვარელო, ასე ვინ გაგწირა? ნუთუ ეს სიმართლეა? მითხარით, რომ ეს მართალი არ არის!

და იგი თავის მიციკენზე ფიქრობს. მის სხეულსა და სულს კი დიდი, ჯერეთ გაუცნობიერებელი შიში ეუფლება. აი, მოდის იგი, მომკელი. მას სიკვდილი ჰქვია, მოდის, ნაჯახითა და ცელით, ფლეიტაზე უკრავს. აი, აიღო საყვირი და დააღო შემზარავი ხახა. ახლა ჩაჰბერავს საყვირს, დაჰკრავს დაფდაფებს, ამოყვინთავს წყვდიადიდან შავი ტარანი და დაიწყებს ნგრევას, ბუმ, ბუმ, ჩუმად, ჩუმად!

ესმის ევას ფრანცის კბილების კრაჭუნი. მისი ყბები თანაბრად მოძრაობენ. ევა კაცს მოეხვია. მას კი თავი უკანკალებს, რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ ხმას ვერ იმორჩილებს, ჩაეხრინწა, ხრიალებს. სიტყვები ყელში ეჩხირება.

ზუსტად ასე დაემართა მაშინ, როცა მანქანის ქვეშ შეაგდეს. თითქოს დოლაბის ქვეშ აღმოჩნდა, ლოდი თითქოს ზემოდან დაეცა და მიწას გააკრა. როგორც უნდა გეჭიროს თავი, როგორც უნდა იქცეოდე, არაფერი გიშველის, თუნდაც ფოლადისგან იყო ჩამოსხმული, მაინც გაგსრესენ, გაგტეხენ.

ფრანცი კბილებს აკრაჭუნებს და ბუტბუტებს:

- რაღაც მოხდება!

- მაინც რა უნდა მოხდეს?

თითქოს დოლაბი ტრიალებს მის თავზე. მაინც რა წისქვილია ეგ, მისი დაფშვნა-დაფქვა რომ უნდა, ქარისა თუ წყლისა?

- ფრთხილად იყავი ფრანც, ისინი გეძებენ!

ესე იგი, ფიქრობენ, რომ მიცი მე მოვკალი, მე. ისევ კანკალი აუვარდა, სახეზე კი ირონიული ღიმილი აუთამაშდა, ჰო, ერთხელ მართლაც მოხდა ისე, რომ ვცემე, მაგრამ ისინი ამას იდას გამო

ფიქრობენ.

- ფრანც, სახლში იჯექი, გარეთ ნუ გახვალ. უკან დაბრუნებას რატომ ჩქარობ? გეძებენ და მაგ ცარიელი სახელოთი მაშინვე გიცნობენ.

- ევა, დაწყნარდი, თუ მე თვითონ არ მომინდება, დარწმუნებული იყავი, ვერავინ მიპოვის. დაბლა ჩავალ, აფიშების ბოძებზე განცხადებებს წავიკითხავ, ხომ უნდა გავიგო, ეს ამბავი როგორ მოხდა. ლუდხანაშიც შევივლი, ყველა გაზეთს წავიკითხავ.

იგი ევას წინ დადგა, სახეში მიაშტერდა, უსიტყვოდ, ლამის გაეცინოს.

- აბა, შემომხედე, ევა, მემჩნევა რამე?

ევა ერთადერთ ხელზე ჩამოეკიდა, არ უშვებს.

- არა, - ყვირის, - არსად გაგიშვებ!

- აბა, კიდევ ერთხელ შემომხედე, ალბათ, რაღაც წესრიგში არა მაქვს.

- არა, არა, არ გაგიშვებ, - ისევ აყვირდა ევა, ატირდა, თვალებიდან ცრემლები წასკდა. ფრანცმა კი კამოდიდან შლაპა აიღო, გაიღიმა და კარისკენ წავიდა.

აჰა, იღვრება ჩაგრულთა ცრემლი და არავინა ჰყავთ ნუგეშისმცემი

ფრანცს უკვე კარგა ხანია პროთეზი აქვს, ოღონდ იშვიათად იკეთებს, ახლა კი სახლიდან გასვლის წინ ამ ხელოვნური ხელის მტევანი პალტოს მარჯვენა ჯიბეში ჩაიდო, მარცხენა ხელში კი მოკიდებული სიგარეტი დაიკავა. ბინიდან ძლივს გამოაღწია, რადგან ევა ხმამაღლა ატირდა, მერე ზღურბლზე მის ფეხებთან დაეცა და არ უშვებდა, სანამ არ დაჰპირდა, აუცილებლად დავბრუნდებიო. ხომ იცი, სხვა დასამალი ადგილი არა მაქვს და თანაც ფრთხილად ვიქნებიო.

- ყავის დროს დავბრუნდები, - თქვა, როცა კიბეზე ჩადიოდა.

ფრანცი მართლაც არ აუყვანიათ, არც ახლა და არც მომდევნო დღეებში. იგი მომავალში პოლიციაში თავისი ფეხით მივა.

და მიჰყვება მარცხნივ და მარჯვნივ ორი მფარველი ანგელოზი და იცავენ მას უცხოთა მზერისგან.

და იგი დაპირებისამებრ შინ ოთხ საათზე, ყავის დროს დაბრუნდა, ჰერბერტიც მოვიდა და მაშინ ფრანცი ალაპარაკდა. ჯერ არასოდეს წარმოუთქვამს ფრანცს ასეთი გრძელი სიტყვა: გაზეთში ყველაფერი წავიკითხე, შიგ ისიც ეწერა, რომ ჩვენ ჩემმა მეგობარმა მეთუნუქე კარლმა ჩაგვიშვა, ოღონდ ვერ გამიგია, კარლმა ეს რატომ გააკეთა. იქ, ფრაიენვალდში, სადაც მიცი შეიტყუეს, თურმე კარლიც ყოფილა. რაინჰოლდმა მიცი ძალით წაიყვანა. ეტყობა, მანქანა სადღაც მოიპარა ან იშოვა, გზაში მათ მანქანაში კარლი ჩაუჯდა. ამ ორმა მიცის ხელ-ფეხი შეუკრა და ფრაიენვალდში ისე ჩაიყვანა. არ ვიცი, მაგრამ, შეიძლება ეს ღამით მოხდა და საწყალი გოგო გზაში მოკლეს.

- კი, მაგრამ რაინჰოლდმა ეს რატომ გააკეთა?

- მაშინ ხომ მანქანიდან რაინჰოლდმა გადმომაგდო. ახლა დასამალი აღარაფერი მაქვს. დიახ, ასეა, ეს მან გააკეთა, მაგრამ არა უშავს, მაგაზე გაბრაზებული არა ვარ. ჩემნაირებმა უნდა ისწავლონ, თორემ სულელად დაბადებული მიწაში სულელად ჩახვალ და ვერ გაიგებ, ამქვეყნად რა ხდება. ეტყობა, მაშინ ჩემი მორჯულება გადაწყვიტა, უნდოდა, მის წინ ძაღლივით უკანა თათებზე ვმდგარიყავი და მისთვის ხელები მელოკა. ეგონა, უკვე კლანჭებში ვყავდი, მაგრამ მერე მიხვდა, რომ შეცდა. მიცი ამიტომაც წამართვა და ასე სასტიკად გაუსწორდა. მაგრამ ერთი რამ ვერ გამიგია, მიცი რა შუაში იყო, რა დაუშავა!

როგორ იყო მაშინ... „აჰ, რატომ, აჰ, იმიტომ, დაფდაფების გუგუნი, ბატალიონო, სწორდი! ნაბიჯით იარ! როცა ქალაქის ქუჩებში ჯარისკაცები მიაბიჯებენ, მათ ფანჯრებიდან გოგონები თვალს აყოლებენ, აჰ, რატომ, აჰ, იმიტომ, ჩინგდარადა, ბუმდარადა, ბუმის გამო“... ღმერთმა დასწყევლოს! რატომ წავედი რაინჰოლდთან? არ უნდა წავსულიყავი, არა! თუმცა, ახლა სულერთია!

ჰერბერტს გაკვირვებისგან თვალები კინაღამ ბუდეებიდან გადმოუცვივდა. ევას კი ენა ჩაუვარდა.

- საქმე ეგრე თუ იყო, მიცის რატომ არაფერი უთხარი? - ჰკითხა ჰერბერტმა.

- აზრი არ ჰქონდა. მაგასთან ბინაში რომ მივედი, შეეძლო ზუსტად ასევე მოვეკალი. ასე რომ, მაგას თუ ეს ჩაფიქრებული ჰქონდა და ჩვენს განადგურებას აპირებდა, ლაპარაკს რა აზრი ჰქონდა?

და ჰქონდა მხეცს შვიდი თავი და ათი რქა, ხოლო ქალს ხელთ ეპყრა ბარძიმი, სავსე სიბილწითა და მისი სიძვის უწმინდურებით. ახლა ისინი ბოლოს მომიღებენ და მე უძლური ვარ მათ წინააღმდეგ.

- უცნაური ადამიანი ხარ, გეთქვა რამე და მიცი ახლა ცოცხალი იქნებოდა, სხვას კი კისერზე თავი არ შერჩებოდა.

- ჩემი ბრალი არ არის! იმის წინასწარ ცოდნა, ეგეთი ადამიანი რას მოიმოქმედებს, შეუძლებელია. ის კი არა, იმასაც ვერ მიხვდები, ამ წუთში რას გააკეთებს!

- რას გააკეთებს, მე მივხვდები!

- ჰერბერტ, თავი დაანებე, ასეთ ადამიანთან საქმის დაჭერა საშიშია, მეშინია, შენც რამე არ დაგიშავოს! - ევა ცრემლებად იღვრება.

- ფრთხილად ვიმოქმედებთ. ერთი ის გამაგებინა, ახლა სად არის და პოლიცია ნახევარ საათში თავზე დაადგება.

ფიქრებში წასულმა ფრანცმა თავი გააქნია:

- შეეშვი, ჰერბერტ, მაგასთან ანგარიშის გასწორება ჩემი საქმეა! დამპირდი, რომ ამაში ხელს არ შემიშლი!

ევა კი:

- დაჰპირდი, ჰერბერტ, და შენ კი რის გაკეთებას აპირებ, ფრანც?

- ჩემი საქმე წასულია, ადამიანად აღარ ვვარგივარ. ჩემი ადგილი სანაგვეზეა!

და ფრანცმა ევასა და ჰერბერტს ზურგი შეაქცია და სწრაფი ნაბიჯებით კუთხისკენ წავიდა.

და ესმათ მათ, როგორ აქვითინდა ფრანცი, ოხრავს, კვნესის, ცრემლები ახრჩობს. დასტირის მიცისა და საკუთარ თავს. ევამ კაცის ქვითინს ვერ გაუძლო, თავი მაგიდაზე ჩამოსდო და ისიც ატირდა. მაგიდაზე კი ისევ დევს გაზეთი, რომლის პირველ გვერდზე მსხვილი ასოებით წერია „მკვლელობა ფრაიენვალდში“. მიცი მოკლეს და ისინი გოგონას ვერ დაეხმარნენ, ვერ გადაარჩინეს. ასეთი იყო მიცის ბედისწერა.

და ვაქენ მკუდარნი, რომელნი მომწყდარ არიან, უფროს ცხოველთასა, რომელნი ცხოველ არიან აქამომდ

[33]

საღამო ჟამს ფრანცი ისევ გზას დაადგა. ბაიერიშენპლაცზე მის თავს ზემოთ ხუთმა ბეღურამ დაიწყო ტრიალი. ისინი იმ გარდაცვლილი ხუთი არამზადის სულები არიან, რომლებიც ფრანც ბიბერკოპფს ხშირად ხვდებოდნენ. ახლა ისინი იმაზე მსჯელობენ, ამ კაცს რა დაუშავონ, როგორ შეაშინონ, გზა-კვალი აურიონ, ფეხი დაუდონ.

პირველი ქაქანებს:

- აი, ბიბერკოპფიც მოდის! ერთი ნახეთ, ყალბი ხელი გაუკეთებია, ეტყობა, კიდევ რაღაცის იმედი აქვს, წყალწაღებულივით ხავსს ეჭიდება? ჰგონია, ვერ იცნობენ.

მეორე კი განაგრძობს:

- ამ ჯეელს რაღა არ ჩაუდენია! ეგ საშიში ბოროტმოქმედია, მაგისი ადგილი კატორღაშია, სამუდამო პატიმრობა უკვე დაიმსახურა, ჯერ იყო და, ქალი მოკლა, მერე ქურდობა დაიწყო, საწყობებს ძარცვავდა, ახლა კი მეორე ქალი მოკლა, კი, კი, ნამდვილად მაგან დაახრჩო! ნეტავ რისი იმედი აქვს?

მესამე:

- და ისევ ცხვირაწეული დადის! თავი წესიერ და უდანაშაულო ადამიანად მოაქვს. არა, ერთი ამ არამზადას შეხედეთ. აი, როგორც კი პოლიციელი გამოჩნდება, ჩავუშვათ, მაგის მედიდურობას წერტილი დავუსვათ.

და ისევ პირველი:

- და ისევ ცოცხალია. დადის და დედამიწას ამძიმებს. აი, მე კი ციხეში მეცხრე წელიწადს გავჭიმე ფეხები. არადა, მაგაზე ახალგაზრდა ვიყავი. ქუდი მოიხადე, გორილა, მოიხსენიეგ შენი

სულელური სათვალე, ვირო! გამომიჩნდა რა ეგეც ინტელიგენტი. ბრიყვი, ორჯერ ორი რამდენია, არ იცის, ცხვირზე კი რქის სათვალე დაუსკუპებია, თითქოს პროფესორი მყავდეს! მოიცადე, მალე დაგიჭერენ!

მეოთხე:

- მორჩით რა ყაყანს! რას იმუქრებით, ვერაფერს დააკლებთ. აბა, ერთი შეხედეთ, მაგას თავი აქვს, ორი ფეხი, მთელი და ღონიერი. ჩვენ კი რა? ბეღურები ვართ. პატარა ჩიტები, ვერაფერს დავაკლებთ, დიდი-დიდი თავზე დავასკლინტოთ. ისიც მაშინ თუ კარგად დავუმიზნებთ.

მეხუთე:

- მოდი, ყველამ ერთად შევუტიოთ. ისედაც არეულად ლაპარაკობს, კარგა ხანია მოისულელებს. დასეირნობს აქ, ორ ანგელოზთან ერთად, მაგისი საყვარელი ქალის მულიაჟი კი პოლიციაპრეზიდიუმში დგას. ნუთუ ვერ მოვერევით? აბა, ვიყვიროთ და რაც შეიძლება ხმამაღლა!

და ბეღურები ფრანცს თავს გიჟებივით დასტრიალებენ, ყაყანებენ. ფრანცმა ზემოთ აიხედა, თავში ფიქრების ნაგლეჯები უტრიალებს, ბეღურები კი მას უშვერი სიტყვებით ლანძღავენ.

შემოდგომის ამინდია, კინოთეატრ ტაუენცინპალასში „სან-ფრანცისკოს უკანასკნელი დღეები“ გადის, ეგერთა კაზინოში ორმოცდაათი ულამაზესი ქალი ცეკვავს, „მომართვი იასამანის თაიგული და გაკოცებ“. და ფრანცმა გადაწყვიტა, რომ მისი ცხოვრება დამთავრდა, აღსასრულის ჟამი დაუდგა, ერთი სიტყვით, აღარ შეუძლია, ყველაფერი ყელში ამოუვიდა და კმარა!

გრუხუნებენ ტრამვაები. ყველანი სადღაც მიდიან, მე კი სად წავიდე? აი, ტრამვაი **№51** მიდის მარშრუტით: ნორდენი, შილერშტრასე, პანკოვი, ბრაიტეშტრასე, სადგური შონჰაუზერალეე, შტეტინის სადგური, პოტსდამის სადგური, ნოლენდორფპლაცი, ბაირიშერპლაცი, ულანდშტრასე, შმარგენდორფის სადგური, გრიუნევალდი. აბა, ავიდეთ და გავემგზავროთ. გამარჯობა, აი, ჩვენც ჩავსხედით, წაგვიყვანეთ, სადაც გნებავთ. და ფრანცი იწყებს ქალაქის დათვალიერებას კვალდაკარგული ძაღლივით. ქალაქიც ამას ჰქვია, უზარმაზარია, და ფრანცმა ამ დიდ

ქალაქში რა ცხოვრებით იცხოვრა. თანაც იცხოვრა არა ერთი, არამედ რამდენიმე ცხოვრებით! ფრანცი შტეტინის სადგურთან ჩამოდის და ინვალიდენშტრასეს მიუყვება. აი, როზენტალის კარიბჭეც. ფაბიშის მაღაზია. იყო დრო, აქ ვიდექი და ჰალსტუხის საჭერლებს ვყიდდი, ჰო, ეს შარშან შობის დღეებში იყო. მერე **№41**-ში ჯდება და ტეგელისკენ მიემგზავრება. და როგორც კი მარცხენა მხარეს წითელი კედლები და რკინის მძიმე კარი გამოჩნდა, ფრანცს სუნთქვა შეეკრა, გაიტრუნა. ეს ჩემი ცხოვრების ნაწილია, ამ ადგილებს მეხსიერებიდან ვერ ამოშლი. აქაურობა კიდევ ერთხელ უნდა დავათვალიერო.

აქ არაფერი შეცვლილა: მიიკლაკნება წითელი კედელი და მის გასწვრივ კი ხეივანი. **№41** სვლას აგრძელებს, ეს გენერალპაპეშტრასეა, მერე ვესტრაინიკენდორფი და ესეც ტეგელი. გრუხუნებენ ბორზიგის ქარხნები. ფრანცი ერთხანს წითელ კედელთან დგას, მერე ქუჩის მეორე მხარეს გადადის, იქ ლუდხანაა და ამ დროს კედლის მიღმა წითელი აგურის შენობები შეტორტმანდნენ, შეირხნენ, გასივდნენ, თითქოს ლოყები გამობერეს. ფანჯრებთან პატიმრები დგანან, გისოსებზე შუბლმიყრდნობილი, თმაგადაპარსული და წვერგაუპარსავი, გამხდრები, ნაცრისფერი სახეებით, დათრგუნვილი გამომეტყველებით, ზეაპყრობილი თვალებით და ძაღლებივით წკმუტუნებენ.

დგანან: მკვლელები, თაღლითები, მძარცველები, მოძალადეები და ა.შ. ანუ სისხლის სამართლის კოდექსის გაცოცხლებული მუხლები, ნაცრისფერი ნაძირლების ხროვა და ზუზუნებენ, ზუზუნებენ. ეს მაგათ დაახრჩვეს მიცი.

ფრანცი უზარმაზარი ციხის გარშემო დახეტიალებს, ციხის წითელი აგურის შენობა კი ირხევა და ირხევა. დიდხანს იარა ახლომდებარე ბოსტნებსა და ნაძვნარებში, მერე კი ისევ მიდის იმ ქუჩისკენ, რომლის ორივე მხარეს ხეები დგანან.

და აი, იგი ისევ ამ ქუჩაზეა. არა, მიცი მე არ მომიკლავს. ეს მე არ გამიკეთებია. აქ არაფერი მესაქმება, რაც იყო, იყო. ტეგელში არაფერი დამიკარგავს. არც კი ვიცი, ეს ყველაფერი როგორ მოხდა.

უკვე საღამოს **6** საათია და თქვა ფრანცმა, - მიცისთან მინდა, სასაფლაოზე უნდა წავიდე. იქ, სადაც ჩემი პატარა გოგონა დამარხეს.

ხუთი არამზადა დამნაშავის სული, ანუ ბელურა კი ისევ ფრანცთან არიან. ისინი

ტელეგრაფის ბოძზე სხედან და იქიდან ლანძღავენ ფრანცს:

- წადი, წადი იმ გოგოსთან, შე მაწანწალა, წადი! როგორ არ გრცხვენია, იქ მისვლას როგორ ბედავ, სინდისი სულ დაკარგე? სად იყავი მაშინ, როცა ის ხევში იწვა და შენ გეძახდა, როცა კლავდნენ და

შენს გამოჩენას ნატრობდა, რატომ არ მიხვედი? წაბრძანდი ახლა და მისი საფლავის ცქერით დატკბი!

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ჩვენი თანამოქალაქეების სულები!

1927 წელს ბერლინში, თუ არ ჩავთვლით მკვდრადშობილებს, სულ **48742** კაცი გარდაიცვალა. აქედან ტუბერკულოზით - **4570**, კიბოთი - **6443**, გულის დაავადებებით - **5656**, სისხლძარღვთა დაავადებებით - **4818**, ტვინში სისხლის ჩაქცევით - **5140**, ფილტვების ანთებით - **2419**, ყივანახველით გარდაიცვალა - **961** ბავშვი, დიფთერიით - **562**, ქუნთრუშით - **123**, ყვავილით - **93**. გარდაიცვალა აგრეთვე **3640** ახალშობილი, ხოლო დაიბადა **42696**.

მიცვალებულები სასაფლაოზე თავიანთ ბაღებში წვანან, დარაჯი კი ბილიკებზე დადის და წვეტიანი ჯოხით დაყრილ ქაღალდებს აგროვებს.

ახლა საღამოს შვიდის ნახევარია. ჯერ არ დაბნელებულა. წიფლის ხის ქვეშ, ჩრდილში, ბეწვისქურქიანი ახალგაზრდა ქალი, უშლაპოდ, თავდახრილი ჩუმად ზის, ლაიკისხელთათმნიან ხელში წერილი უჭირავს, ჩვეულებრივი პატარა კონვერტი. ფრანცი კითხულობს: „სიცოცხლე მომბეზრდა, კიდევ ერთხელ ვემშვიდობები ჩემს მშობლებსა და ჩემს საყვარელ პატარას. ცხოვრება სატანჯველად მექცა. ჩემს სიკვდილში ბრალი იმ ნაძირალას მიუძღვის. ახლა გაიხაროს. მიყურებდა როგორც სათამაშოს და მომექცა როგორც სათამაშოს, თამაშით გული იჯერა და მერე მომისროლა. არამზადა და სალახანაა. ბერლინში მხოლოდ ამ მამაკაცის გულისთვის ჩამოვედი და ამ მდგომარეობამდე მიმიყვანა, დამღუპა, გამანადგურა“.

ფრანცმა კონვერტი ქალს დაუბრუნა.

- ვაი, ვაი, სად არის ჩემი პატარა
მიცი? ასე ნუ იკლავ თავს, ასე ნუ
იკლავ თავს! ის კი მაინც
განაგრძობს:
- ვაი, ვაი! მიცი, ჩემო პატარავ, სად ხარ?

აი, კიდევ ერთი ძეგლი-საფლავი,რაღაც დიდი, რბილი დივნის ფორმისა, მასზე

ვინმე განსწავლული თუ პროფესორია წამოწოლილი და ფრანცს ზემოდან ულიმის:

- ასე რამ დაგამწუხრა, შვილო ჩემო?

- აი, მიცის ვეძებ, ჩემს საცოლეს. არ შეწუხდეთ, ჩემო ბატონო, აი, აქ, გვერდით ჩაგივლით.

- შემომხედეთ, მე უკვე მკვდარი ვარ და ახლა გამოცდილებით ვიცი, რომ არც სიცოცხლე და არც სიკვდილი გულთან ახლოს არ უნდა მიიტანო. ადამიანს შეუძლია ცხოვრებაც გაიადვილოს და სიკვდილიც. როცა საკმარისად ვიცხოვრე და ავად გავხდი, იცით, რა ვქენი? იქნებ გგონიათ, სიკვდილს დაველოდე, იმ ცელიანი კაცის მოსვლას? ან იმას, რომ ნაწოლები გამჩენოდა? არა! მოვითხოვე: მორფით სავსე შუშა ჩემს საწოლთან დაედოთ, როიალზე დაეკრათ რომელიმე ჯაზური მუსიკა, ყველაზე თანამედროვე, უახლესი შლაგერი, და წაეკითხათ პლატონის „ნადიმი“, ეს უმშვენიერესი დიალოგი, და იმ დროს, როცა ჩემს ოთახში ჯაზის რიტმული ჰანგები საცეკვაოდ მიბიძგებდა, ხოლო მკითხველი კი მოხუცი სოკრატეს აზრებს ახმიანებდა, ამ დროს საბნის ქვეშ ვენებში ნემსით მორფის სასიკვდილო, სამი დოზა შევიშხაპუნე. ჰო, ასე იყო, არსებობენ ჭკვიანი ადამიანები და ნაკლებად ჭკვიანი ადამიანები.

- ხმამაღლა კითხვა, მორფი? აბა, რას ამბობთ! მაინც სად არის მიცი?

ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა: ხის ტოტზე კაცი კიდია, ხოლო ხის ქვეშ მისი ცოლი დგას, დაინახა ფრანცი და ხმამაღლა ატირდა, მოთქვამს: მოდით, ჩქარა მოდით, თოკი გადაჭერით! ამ კაცს საფლავში წოლა არ უნდა. მოძვრება ზემოთ და ხეზე ეკიდება. აი, როგორც ახლა, ირიბად, ცერად!

- ღმერთო ჩემო, ამას რატომ აკეთებს?

- ჩემი ერნესტი ისე დიდხანს ავადმყოფობდა, ვერავინ უშველა. ექიმებმა სამკურნალოდაც კი არ გაგზავნეს, ამბობდნენ, სიმულანტია, ავადმყოფობას იგონებსო და აი, ერთ დღეს ლურსმანი და ჩაქუჩი აიღო, სარდაფში ჩავიდა. მესმოდა, როგორ აჭედებდა ლურსმნებს, გავიფიქრე კიდეც, ნეტავ რას აკეთებს, ალბათ, ბოცვრების სადგომს-მეთქი. გამიხარდა, რომ რაღაც საქმე იპოვა, თორემ უსაქმურობამ ლამის გააგიჟა. მერე კი, როცა მოსაღამოვდა და კაცი არ გამოჩნდა, შემეშინდა. ვნახე, სარდაფის გასაღები ადგილზე იდო თუ არა, იქ არ იდო. მეზობლებს დავუძახე, ისინი სარდაფში ჩავიდნენ, მერე კი პოლიცია გამოვიძახეთ. საწყალს ჭერში ყველაზე დიდი ლურსმანი

ჩაუჭედებია, რად უნდოდა ნეტავ ასეთი დიდი, თავად ხომ ისეთი გალეული იყო, გამხდარი, ძვალი და ტყავი.

ეტყობა, იფიქრა, თუ ჩამოხრჩობაა, ჩამოხრჩობა იყოსო. თქვენ კი, ახალგაზრდავ, აქ რას ეძებთ, რატომ ტირით? თქვენც თავის მოკვლას ხომ არ აპირებთ?

- არა, საცოლე მომიკლეს და არ ვიცი, აქ დაასაფლავეს თუ არა.

- გალავანთან მოძებნეთ, ახლები იქ არიან.

ფრანცი ახალამოთხრილ საფლავთან დაემხო, ტირილის ძალა აღარა აქვს. გამოიფიტა და ცრემლიც გაუშრა. მიწას ღეჭავს. მიცი, რა მოხდა, ასე რატომ მოგექცნენ, შენ ხომ არაფერი დაგიშავებია, მიციკენ! ახლა უშენოდ რა ვქნა? ბოლოს და ბოლოს, ამ ცოდვილ დედამიწაზე კიდევ დიდხანს უნდა ვიარო? შენთან მინდა, მიცი, შენ გვერდით, მიწაში.

როგორც იქნა, ადგა, ბარბაცებს, ფეხებს ძლივს მიათრევს, მერე გონს მოვიდა, თავი ხელში აიყვანა და გასასვლელისკენ ფართო გზით კი არა, საფლავებს შორის გაწოლილი ვიწრო ბილიკებით წავიდა.

სასაფლაოს გასასვლელთან ცალხელა ბატონი ფრანც ბიბერკოპფი ტაქსიში ჩაჯდა და ბაირიშეპლაცისკენ გაემგზავრა.

ევას ახლა ბევრი, ბევრი საქმე აქვს. ქალი ფრანცს უვლის და ეს ადვილი არ არის. კაცს კი მზრუნველი ხელი და ფხიზელი თვალი სჭირდება დღისით და ღამითაც. იგი არც ცოცხალია და არც მკვდარი. დააბიჯებს ცოცხალ-მკვდარი. ჰერბერტი კი ამ დღეებში იშვიათად ჩნდება.

კიდევ რამდენიმე დღე გადის. ფრანცი და ჰერბერტი რაინჰოლდს ეძებენ. ძებნა პირველად ჰერბერტმა დაიწყო. მერე ფრანციც შეუერთდა. ეს ორი მთელ ქალაქში კბილებამდე შეიარაღებული დაძრწის. თავდაპირველად ფრანცს ამ ნადირობაში მონაწილეობა არ უნდოდა, მაგრამ ჰერბერტმა დაარწმუნა, რომ ეს ღირსების საქმე იყო. არადა, უნდა ითქვას, რომ ამქვეყნად ერთადერთი, რაშიც ნუგეშს პოულობდა, დევნა იყო.

ციხესიმაგრე გარშემორტყმულია, ალყაში მოქცეულები ჯერ კიდევ იბრძვიან, მაგრამ ეს მოჩვენებითი მანევრებია, უნდათ, სინდისი დაიმშვიდონ

ეს ნოემბერში ხდება. მთელი შემოდგომაა, ღამით გადაუღებლად წვიმს. გავიდა ის ნეტარი დრო, როცა ქუჩები მზით იყო დატენილი, ჰაერი ვარვარებდა, მამაკაცებს შილიფად ეცვათ, ქალები კი ლამის პერანგის ამარა დადიოდნენ. იმ დღეებში მიცის, ფრანცის გოგოს, თეთრი კაბა ეცვა, თავზე პატარა, მჭიდროდ მომდგარი ქუდი ეხურა, რომელიც ყურებსა და შუბლს უფარავდა. მერე მიცი ფრაიენვალდში გაემგზავრა და უკან აღარ დაბრუნებულა.

სასამართლო ბერგმანის წინააღმდეგ აღძრულ საქმეს განიხილავს. იგი ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების ჯანსაღ სხეულზე გაჩენილი პარაზიტია. ასეთი ადამიანები სოციალურ საშიშროებას წარმოადგენენ, რადგანაც სინდისი არ გააჩნიათ და ყველაფერს კადრულობენ.

დირიჟაბლი „გრაფი ცეპელინი“ დედაქალაქის თავზე ღრუბლიან ამინდში, ცუდი ხილვადობისას გამოჩნდა. როცა დირიჟაბლი ფრიდრიხსჰაფენიდან ჰაერში **2** საათსა **17** წუთზე აფრინდა, ცა მოწმენდილი იყო. და რადგან სინოპტიკოსების პროგნოზის თანახმად, ცენტრალურ გერმანიაში ცუდი ამინდი გაგრძელდებოდა, დირიჟაბლმა თავდაპირველი მარშრუტი შეცვალა და გეზი შტუტგარტისკენ აიღო. იქიდან ბერლინში გამოფრინდა მარშრუტით დარმშტადტი, მაინის ფრანკფურტი, ტისელი, კასელი, რატენოვი. **8.35**-ზე მფრინავმა ობიექტმა ნაუენს, ხოლო **8.45**-ზე შტააკენს გადაუფრინა. **9** საათი სრულდებოდა, როცა ცეპელინი დედაქალაქის თავზე გამოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ კოკისპირულად წვიმდა, სახლების სახურავებზე უამრავი ხალხი იდგა და საჰაერო ხომალდს, რომელმაც ქალაქის თავზე რამდენიმე წრე დაარტყა, აღფრთოვანებული შეძახილებით ესალმებოდა. **9.45**-ზე შტააკენში დასაშვები ბაგირი ჩამოაგდეს.

ფრანცი და ჰერბერტი მთელ ბერლინში დადიან, ყველა კუთხე-კუნჭულს ჩხრეკენ. ფრანცმა ხსნის არმიის ყველა მამაკაცთა თავშესაფარი მოიარა, აუგუსტშსტრასეზეც იყო, - დადის, ყველას უთვალთვალებს. დრეზდენერშტრასეზე ხსნის არმიის იმ სახლშიც შეიარა, სადაც ოდესღაც რაინჰოლდთან ერთად იყო. კარგა ხანს იჯდა. აქ ღამისმთევლები **66**-ე ქორალს მღეროდნენ: „რას უცდი, ო, ძმაო ჩემო? სიმხნევე მოიკრიბე და გამომყევი! მხსნელი გიხმობს შენ; გაძლევს საჩუქრად სიმშვიდესა და ნეტარებას“. გუნდი: „რატომ, რატომ არ მომყვები? რატომ არ გიზიდავს სიმშვიდე და

მოსვენება? ო, ძმაო ჩემო, დაატარებ თუ არა გულით ოცნებას მარადიულ ნეტარებაზე? ცოდვების გამოსყიდვა არ გინდა? აბა, იჩქარე ქრისტესკენ! რატომ აყოვნებ, ო, ძმაო, ჩემო! სიკვდილი გიახლოვდება და სამსჯავრო გელის! მაშ, მოდი, გზა ხსნილია. შენ ქრისტეს სისხლი გიხსნის!“

ფრანცი ფრებელშტრასეზე ლტოლვილთა ღამის სათევშიც რამდენჯერმე მივიდა, ფიქრობდა, რაინჰოლდი იქნებ იქ იყოსო, ზამბარებიან საწოლზე წვებოდა, ყოველ ჯერზე სხვადასხვაზე. თმის შეჭრა **10** პფენიგი, გაპარსვა **5** პფენიგი. აქ ღამისმთევლები საღამოობით საწოლებზე სხედან, თავიანთ ქაღალდებს აწესრიგებენ. ერთმანეთში ყიდიან და ყიდულობენ თეთრეულს, ფეხსაცმელებს, ძმაო, გეტყობა, აქ პირველად ხარ. იცოდე, გახდა არ შეიძლება, მაშინვე მოგპარავენ. არც ფეხსაცმელების? თუ თითოეულ ფეხსაცმელში საწოლის ფეხს ჩადგამ, აი, შეხედე, ასე, მაშინ კი. აქ ფხიზლად უნდა იყო, თორემ დილით დედიშობილა აღმოჩნდები. ყველაფერს მოგპარავენ, კბილის პროთეზსაც კი! გინდა, სვირინგს გაგიკეთებ? ჩუმად, დაიძინეთ, ჩუმად. შავი ღამე, ხვრინვა როგორც სამხერხაოში. ესე იგი, ვერსად ვნახე. სიჩუმე. სიჩუმეს კვეთს ზარის ხმა, ძინ-ძინ- ძინ, ეს რა არის, ციხეში ვარ თუ რა? მომეჩვენა, რომ ტეგელში ვიყავი! გა...ვი...ღვიძოთ! გვერდით ორნი ჩხუბობენ. ფრანცი ქუჩაში გადის, ღამის სათევის ეზოს ჭიშკართან ქალები ირევიან, თავიანთ კაცებს ელოდებიან, მერე იმათთან ერთად დუქნებსა და სამიკიტნოებში განაწილდებიან, გარეთ მათხოვრობით ნაშოვნი ფულის კარტში წასაგებად.

არა, რაინჰოლდი აქ არც ყოფილა და არც მოვა. სისულელეა ასე სირბილი, მაგის პოვნა შეუძლებელია. სადღაც, ალბათ, ისევ ქალებზე ნადირობს, ვინმე ელფრიდეზე, ემილიასა და კაროლინაზე, შავგვრემანსა თუ ქერათმიანზე. საღამოობით კი ევა ფრანცის გაქვავებულ სახეს შესცქერის. არა, ახლა მისგან მოფერებას არ უნდა ელოდო და ვერც ალერსიან სიტყვას გაიგებ. ფრანცი ცოტას ლაპარაკობს და ჭამს, მხოლოდ არაყსა და ყავას სვამს. მერე საწოლზე წვება და გულამოსკვნილი ქვითინებს. არა, რაინჰოლდს ვერ ვიპოვით!

- იმ საზიზღარ კაცზე ნუ ფიქრობ, ფრანც.

- არა, ვერ ვიპოვით. რა უნდა ვქნათ, ევა?

- ძებნას თავი დაანებე, თორემ ნამდვილად ჭკუიდან შეიშლები, ისედაც დაიტანჯე.

- ესე იგი, რა ვქნათ, არ იცი! შენ ამას ვერ გაიგებ, ევა, ეს უნდა განიცადო! აი, ჰერბერტს კი რაღაც მაინც ესმის. რა ვქნათ, არ ვიცი. ეჰ, ოღონდაც გვაპოვნინა და მზად ვარ, ეკლესიაში მთელი დღეები მუხლდაჩოქილმა ვილოცო.

ეს ყველაფერი მართალი არ არის! ეს ყველაფერი მართალი არ არის, ეს დევნა რაინჰოლდის დასაჭერად ტყუილია, ეს მხოლოდ აგონია და სიკვდილის შიშია, დიდი და მძაფრი. მისი ბედი ახლა წყდება, წილი უკვე ნაყარია, არა, უკვე გადაწყვეტილია, წილი უკვე ნაყარია და ფრანცმა იცის, როგორი იქნება ხვედრი მისი. ყველაფერი, რაც კი თავს გადახდა, ახალ აზრს შეიძენს, მოულოდნელსა და შემზარავს.

ბევრი აღარ დაგრჩენია, ძმაო, შენს დამალობანას თამაშს მალე ბოლო მოეღება.

* * *

ფრანცი რაინჰოლდის ბინას უთვალთვალებს, მიშტერებია სახლს, რომელშიც იგი ცხოვრობდა. ირგვლივ სხვა ვერაფერს ხედავს და გრძნობს, ამ სახლის წინ ადამიანები მიდი-მოდიან, ზოგიერთები შიგაც შედიან. შიგ ერთხელ ფრანციც შევიდა. რატომ და მხოლოდ ჩინგდერადა ბუმბდერადა ბუმისთვის.

სახლმა მის წინ მდგომ ფრანცს უყურა, უყურა და ახარხარდა, ისე, თითქოს ახლა ადგილიდან მოწყდება, მეზობელ სახლებს, მათ მიშენებებსა და ფლიგელებს ჩამოურბენს, აქ მოყრის, რათა ამ კაცის ცქერით ისინიც დატკბნენ. კაცის, რომელსაც თავზე პარიკი ახურავს და ხელოვნური მარჯვენა ხელის მტევანი ქურთუკის მარჯვენა ჯიბეში უდევს. და დგას აქ მილურსმულივით, სპირტით იმდენად გაჟღენთილი, რომ შეიძლება აალდეს კიდევაც, დგას და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებს:

- გამარჯობა, ბიბერკოპფენ. დღეს 22 ნოემბერია. წვიმა კი ისევ და ისევ მოდის. რა გინდა, გაცივდე და გრიპი აიკიდო? განა არა ჯობს, შენს საყვარელ სამიკიტნოში წახვიდე და კონიაკი გადაკრა?

- მომგვარე!

- საიდან მოგიყვანო, აქ არ არის!

- მომგვარე!

- მომგვარე რაინჰოლდი!

- შენ, ძმაო, სულ გაგიჟდი. დროა, საგიჟეთში წახვიდე!

- მომგვარე!

ერთ საღამოს კი ფრანცმა როგორღაც ამ სახლში შეაღწია, იქ ნავთით სავსე ბიდონი და ბოთლი დამალა.

- გამოდი, შენ უნამუსო ცხოველო, წყეულო პირუტყვო! გამოსვლისა
გეშინია? სახლი კი ისევ თავისას ამბობს:
- მორჩი ყვირილს, რაინჰოლდი აქ არ არის. თუ არ გჯერა, შედი და ნახე.

- ყველა ხვრელსა და ღრეჭოში ვერ შეიხედავ!

- გეუბნები, აქ არ არის-მეთქი. შენ რა, რაინჰოლდი სულელი გგონია? იქნებ ფიქრობ, რომ შინ ზის და გელოდება!

- მომგვარე ახლავე, თორემ ცუდად იქნება შენი საქმე.

- ცუდად იქნება? იცი, რას გეტყვი? ძმაო, აქ დგომას, წასვლა ჯობს. თორემ სულ გაგიჟდი, ეს იმიტომ, რომ არაფერს ჭამ! წადი, წადი და გამოიძინე, იქნებ აზრზე მოხვიდე!

მეორე დილას ფრანცი იმ სახლთან ფოსტალიონ ქალს ფეხდაფეხ მიჰყვა. დაინახეს ლამპიონებმა, ქუჩებში როგორ მორბოდა და თავები გადააქნიეს: ოჰ, ოჰ, ნამდვილად ხანძარი იქნება!

და აი, სახურავზე ბოლია, საკვამლე მილებიდან ცეცხლის ენები ხტებიან: შვიდ საათზე კი, როცა აქ მეხანძრეები მოცვივდნენ, ფრანცი უკვე ჰერბერტთან იჯდა და მუშტებს კუმშავდა.

- ეჰ, ვერაფერი გავიგეთ, ვერც შენ, ვერც მე. იქ მას ვერ ვიპოვით, ეს უკვე გასაგებია. ისე, ახლა მაგას წასასვლელი არსად არა აქვს, ვეღარც თავის სოროში მივა, იქ ყველაფერს ცეცხლი წავუკიდე!

- უცნაური კაცი ხარ, იგი ხომ იქ აღარ ცხოვრობს და იმის იმედი, რომ რაინჰოლდი იმ სახლში დაბრუნდება, არ გქონდეს.

- როცა რაინჰოლდი გაიგებს, რომ მაგის სოროში ხანძარი გაჩნდა, მიხვდება, ეს ვინ გააკეთა. ერთი სიტყვით, იქიდან გამოვაძევეთ. აი, ნახავ, ახლა როგორ მოვარდება.

- ჰმ, არა მგონია, ფრანც.

ჰერბერტი მართალი აღმოჩნდა, რაინჰოლდი არ გამოჩენილა. ბერლინი ხმაურობს,

გრგვინავს, გრიალებს, გრუხუნებს ისე, თითქოს არაფერი მომხდარა. რაინჰოლდი ისევ არ ჩანს, არც დაუჭერიათ, თორემ გაზეთებში აუცილებლად დაწერდნენ.

ფრანცი ევას წინ დგას, დაჭრილი მხეცივით ღმუის. მოლოდინმა სულ გატეხა.

- ვერსად ვიპოვე და პასუხი როგორ მოვთხოვო, მოთმინების გარდა სხვა აღარაფერი დამრჩენია. მე დამასახიჩრა, ჩემი გოგო მოკლა, მე კი აქ ვდგავარ და გლახაკივით მოვთქვამ. ასე რატომ ხდება? ეს უსამართლობაა, უსამართლობა.

- ფრანც, ყოველთვის ასე ხდება.

- მე კი არაფრის გაკეთება არ შემიძლია, წასულია ჩემი საქმე. ადამიანად აღარ ვვარგივარ.

- რატომ, ფრანცეკენ, რატომ?

- რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე. ოჰ, რა უსამართლობაა, რა უსამართლობა.

* * *

აი, მის გვერდით ორი ანგელოზი მოაბიჯებს და სახელი მათი სარუგ და ტერახ. მოდიან და საუბრობენ. ფრანცი ხალხში გზას მიიკვლევს, ჩერდება, გზას აგრძელებს და დუმს, ერთ სიტყვასაც არ ამბობს, მაგრამ ანგელოზებს მისი განწირული კივილი ესმით. პოლიციელები სამსახურის საქმეზე მიდი-მოდიან, ფრანცს ბევრჯერ აუარ-ჩაუარეს, მაგრამ ვერ ცნობენ. მას ხომ ორივე მხარეს ანგელოზები მოჰყვებიან. ეს რა სისულელეა, იტყვის მავანი, როდის ყოფილა, ანგელოზებს ამ დედამიწაზე ადამიანების გვერდით ევლოთ, და ახლა გინდათ, დაგვარწმუნოთ, რომ ამ **1928** წელს, ბერლინში, ყოფილი მკვლელის, ახლა კი სუტენიორისა და მძარცველის, ფრანც ბიბერკოპფის გვერდით მიაბიჯებენ? რატომ? დიახ, რადგანაც ფრანც ბიბერკოპფის ცხოვრების მძიმე, მართალი და ჭკუის სასწავლებელი ისტორია დასასრულისკენ მიდის. და იგი, რაც უფრო ხელდება, ბობოქრობს და ჯიუტობს, მით მეტად ეფინება ნათელი ყველაფერს. ვუახლოვდებით იმ მომენტს, როცა ყოველივე დაფარული გაცხადდება, გავიგებთ, თუ რატომ ხვდა წილად ბიბერკოპფს ასეთი მძიმე ცხოვრება.

ფრანცს ანგელოზები გვერდით მიჰყვებიან, ერთმანეთს ესაუბრებიან და სახელები მათი სარუგ და

ტერახ. ფრანცი უნივერმაღ „ტიცის“ წინ დგას, ვიტრინებს ათვალიერებს. ტერახი ამბობს:

- შენი აზრით, სარუგ, რა მოხდება, თუ ამ ადამიანს საკუთარ თავთან მარტო დავტოვებთ, ანუ ახლა რომ მივატოვოთ, მაშინვე დააპატიმრებენ?

- ისე, ჩვენ ამ კაცს ვერაფრით დავეხმარებით. ეს შეუძლებელია. ასე თუ ისე, მაინც დააპატიმრებენ, ეს გარდაუვალია. ტეგელის ციხის წითელ შენობას ასე დიდხანს ტყუილად კი არ უყურებდა. გრძნობს, რომ ორიოდე კვირაში შიგ აღმოჩნდება.

- ესე იგი, ფიქრობ, რომ აქ აღარაფერი გვესაქმება?

- ჰო, მგონი, ეგრეა, რადგან მისი აქედან წაღების უფლება ჩვენთვის არ მოუციათ.

- სარუგ, ჯერ ბავშვი ხარ, ამ სამყაროს მხოლოდ ორიოდე ათასწლეულია უყურებ. და თუ ჩვენ ადამიანს სხვა ადგილზე, სხვა პირობებში გადავიტანთ, შეძლებს კი იმის შესრულებას, რა დანიშნულებაც აქვს? რომ იცოდე, ათასიდან შვიდასი, არა, რომელი შვიდასი, ცხრაასი კაციც ვერ ახერხებს თავისი დანიშნულების შესრულებას.

- მაშინ, ტერახ, რატომ ვიცავთ სწორედ ამ ადამიანს, იგი ხომ ერთი ჩვეულებრივი ადამიანია, ვერ გამიგია, ამ კაცს რატომ დავყვებით.

- „ჩვეულებრივი“, „არაჩვეულებრივი“, ეს ფუჭი სიტყვებია. რა, მათხოვარი, ჩვეულებრივი ადამიანია და მდიდარი - არაჩვეულებრივი? მდიდარი ხვალ შეიძლება მათხოვრად იქცეს, ღარიბი კი გამდიდრდეს. ეს კაცი კი ძალიან ახლოს არის იმასთან, რომ თვალები აეხილოს, გონება გაუნათდეს. გონების განათებამდე ბევრი ვინმე მივიდა, მაგრამ იგი ახლოს არის იმასთანაც, რომ თავისი ქმედებები გააცნობიეროს. იცი, სარუგ, ვინც ბევრი გადაიტანა, ვინც ბევრი რამ გაიგო, მხოლოდ ის უნდა, რომ ყველაფერი გააცნობიეროს, გაიგოს, რატომ და რისთვის, მერე კი მზად არის, ქმედებაზე უარი თქვას და მოკვდეს. ასეთ ადამიანს აღარაფერი უნდა, მან სიცოცხლისა და ტკივილის თასი ბოლომდე შესვა, და დაიღალა, ხორციელად და სულიერად დაიღალა. გაიგე?

- გავიგე!

- მაგრამ ადამიანი, რომელიც მას შემდეგ, რაც ბევრს გადაიტანს, ბევრის მხილველია, არ გატყდება, არ დაეცემა, სიკვდილს არ ინატრებს, არამედ იბრძოლებს, სულიერად

განმტკიცდება, ცხოვრების სავალ გზას მაინც ბოლომდე გაივლის. ეს კი ცოტა არ არის. შენ ხომ არ იცი, სარუგ, ის როგორ გახდი, რაც დღეს ხარ, არ იცი, წინათ ვინ იყავი და როგორ მოხდა, რომ დღეს ჩემთან ერთად მოდიხარ და ცოცხლებს იცავ.

- მართალია, არ ვიცი, ტერახ, მე ხომ მეხსიერება არა მაქვს.

- ეგ არაფერი. მეხსიერება თანდათან დაგიბრუნდება. მარტოხელა კაცი, ამხანაგის დაუხმარებლად ძლიერი ვერასოდეს გახდება, საყრდენი აუცილებელია. ძლიერება უნდა მოიპოვო, შენ ხომ არ იცი, როგორ გაძლიერდი, და ახლა ის, რაც სხვებისთვის მომაკვდინებელია, შენ არ გაშინებს.

- მაგრამ ამ ბიბერკოპფს ჩვენთვის მოსვლა ხომ არ უთხოვია, შენ თავად არ თქვი, ამ კაცს ჩვენგან თავის დაღწევა უნდაო?

- სარუგ, ეგ სიკვდილს ნატრობს. ადამიანს შემაძრწუნებელი სიმართლის გაგებას, თავის მოკვლა ურჩევნია. და მართალი ხარ, ამას ბევრი ვერ უძლებს.

- და ამ ადამიანის იმედი გაქვს?

- მაქვს, სულიერად ძლიერი ადამიანია, განსაცდელს ორჯერ გაუძლო, არ გატყდა. ამიტომ დავრჩეთ მასთან, ტერახ, ამას მე გთხოვ.

- კარგი.

* * *

ფრანცთან ახალგაზრდა ექიმი ზის, კასრივით მრგვალი:

- გამარჯობა, ბატონო კლემენს! აუცილებლად სადმე უნდა გაემგზავროთ, ახლობელი ადამიანის გარდაცვალების შემდეგ თქვენისთანა მდგომარეობა ტიპურია. გარემო უნდა გამოიცვალოთ, დაუყოვნებლივ. ცოტა უნდა გაერთოთ, ქალბატონო, თქვენ ნათესავი ბრძანდებით? ავადმყოფს ვინმე უნდა წაჰყვეს.

- თუ ეს აუცილებელია, მარტოც გავემგზავრები.

- დიახ, საჭიროა! დამიჯერეთ, ბატონო კლემენს: თქვენ ახლა მხოლოდ სიმშვიდე, დასვენება და

ოდნავ გართობა გჭირდებათ. ვიმეორებ, ოდნავ და არა ძალიან. ჩვეულებრივ მელანქოლიური, სევდიანი განწყობილება სრულიად საპირისპიროში ძალიან ადვილად გადადის. ამიტომ მთავარია ზომიერება! ახლა სეზონი ჯერ კიდევ პიკშია. მაინც სად ინებებთ გამგზავრებას?

- იქნებ დამამშვიდებელი საშუალებები მივცეთ, „ლეციტინი“ ან რამე სხვა. ძილის წამალი? - თქვა ევამ.

- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! გამოვუწეროთ „ადალინი“.

- „ადალინს“ უკვე სვამდა.

- არ მინდა ეგ შხამი!

- მაშინ „ფანოდორმი“ მიიღეთ, საღამოობით ერთი აბი პიტნის ჩაისთან ერთად; პიტნის ჩაი ძალიან სასარგებლოა, წამლის შეთვისებაში დაგეხმარებათ. მერე კი შეგიძლიათ ერთად ზოოლოგიურ პარკში გაისეირნოთ.

- ცხოველები არ მიყვარს!

- მაშინ ბოტანიკურ ბაღში წაბრძანდით, გულს გადააყოლებთ. სევდას გაიქარვებთ, ოღონდ არა ძალიან!

- ექიმო, ნერვებისთვის კიდევ რამე საშუალება გამოუწერეთ!

- ნერვების დასაწყნარებლად ცოტა ოპიუმი ხომ არ მივცეთ?

- მაგას ისედაც ვსვამ, ბატონო ექიმო!

- უკაცრავად, ოპიუმი განსაკუთრებული საშუალებაა, ეს რაღაც სხვაა, ამიტომ „ლეციტინს“ გამოგიწერთ, ეს ახალი პრეპარატია, მოხმარების წესი შეფუთვაზე წერია. და კიდევ, ნერვულ სისტემაზე ერთობ დადებითად მოქმედებს აბაზანის მიღება. ქალბატონო, ბინაში სააბაზანო ხომ გაქვთ?

- რა თქმა უნდა, ბატონო ექიმო!

- აი, ხედავთ, რა უპირატესობა აქვთ ბინებს ახალ სახლებში. თქვენ ბრძანეთ „რა თქმა უნდა“, ჩემი საქმე კი უფრო რთულად იყო. იძულებული გავხდი, სააბაზანო თავად გამეკეთებინა. ძალიან ძვირი დამიჯდა, სამაგიეროდ, ახლა მაქვს უმშვენიერესი

სააბაზანო, მოხატული კედლებით. იცით, რომ ნახოთ, ნამდვილად აღფრთოვანდებით, მსგავსი ფუფუნება აქ თქვენც კი არა გაქვთ. ასე და ამგვარად: „ლეციტინი“ და აბაზანები, დღეგამოშვებით, დილით. ჰო, აი, კიდევ რა, მასაჟისტი მოიწვიეთ, კუნთები ისე დაუზილოს, რომ სისხლი აუთამაშდეს.

- ჰო, ეგ კარგი იქნება, - ეთანხმება ევა.

- ბატონო კლემენს, კარგი მასაჟი და მაშინვე უკეთესად იგრძნობთ თავს, დამიჯერეთ, მალე გამოჯანმრთელდებით, მერე კი სადმე გაემგზავრეთ.

- უთხარით რამე, იქნებ დაითანხმოთ, ბატონო ექიმო.

- დამშვიდდით, ყველაფერი კარგად იქნება, აბა, რას იტყვით, ბატონო კლემენს?

- რა უნდა ვთქვა, - წაიბუზღუნა ფრანცმა.

- ცხვირი ნუ ჩამოუშვით! „ლეციტინი“ რეგულარულად მიიღეთ და მასაჟი არ დაგავიწყდეთ!

- არა, ბატონო ექიმო. ნახვამდის, დიდი მადლობა. აბა, ახლა დამშვიდდა სული შენი, ევა?

- დამშვიდდა, წავალ, წამალს და აბაზანისთვის ექსტრაქტს მოვიტან.

- კარგი, წადი!

- იცოდე, ჩემს მოსვლამდის არსად წახვიდე!

- კარგი, კარგი, ევა.

ევამ პალტო ჩაიცვა და გავიდა. თხუთმეტი წუთის შემდეგ ბინა ფრანცმაც დატოვა.

ბრძოლა დაიწყო. ჯოჯოხეთში ბუკითა და ნაღარით მივემგზავრებით

ბრძოლის ველი გვიხმობს, ბრძოლის ველი!

ეშმაკთან, ჯოჯოხეთში, ბუკითა და ნაღარით მივემგზავრებით! თუ სიკვდილია, სიკვდილი იყოს! ამ სამყაროსთან ყველა ანგარიში გასწორებული გვაქვს. ჭირსაც წაუღია იგი ყველაფრიანად, რაც მის ზემოთ, ქვემოთ, შიგნით და გარშემოა, მასზე მცხოვრები ადამიანებითურთ: დედაკაცებითა და მამაკაცებით, ამ წყეული ნაყარნუყარი ხალხით, ნაძირლებითა და ვიგინდარებით, მათ შორის, სანდო მაინც არავინ არის. ფრინველი რომ ვყოფილიყავი, ნისკარტით განავლის ნაგლეჯს ზეავიტაცებდი, მერე ფეხებს ერთმანეთს გავუსვამდი, მოვიშორებდი და შორს გავფრინდებოდი. ვინც ან რაც უნდა ვყოფილიყავი - ცხენი, ძაღლი თუ კატა. ამ ქვეყნის ჩემი განავლით წაბილწვისა და აქედან სასწრაფოდ გაქცევაზე უკეთესს მაინც ვერაფერს მოვიფიქრებდი.

ოჰ, რა მოსაწყენია ამქვეყნად ცხოვრება, სმის სურვილიც კი დამეკარგა. დავთვრები და მერე, როცა აზრზე მოვდივარ, ეს საზიზღრობა ისევ თავიდან იწყება და ისევ სასმელი მიქარვებს ბოღმას, დროებით. ეს სამყარო საყვარელმა ღმერთმა შექმნა, ნეტავ რატომ, ეს, ალბათ, მღვდელმა უნდა ამიხსნას. მაგრამ ღმერთმა ერთი კარგი რამ მაინც გააკეთა, თუმცა ჩვენმა სულიერმა მამებმა ეს არ იციან: მოგვცა ორი ხელი და თოკი და თუ ამის სურვილი გექნება, ეშმაკსაც წაუღია მთელი ეს საზიზღრობა, ადიუ, ჩვენ კი პირდაპირი რეისით ეშმაკთან ჯოჯოხეთში გავფრინდებით.

რაინჰოლდი ხელში რომ ჩამვარდნოდა, კისერს მოვუგრეხდი. სულს გავაფრთხობინებდი, მაშინ ეს ბოღმაც გამინელდებოდა და აფორიაქებული სულიც დამიმშვიდდებოდა. თავს კარგად ვიგრძნობდი. ამ ვიგინდარამ იმდენი ბოროტება გამიკეთა, რომ ისევ ბოროტმოქმედად მაქცია. მაგის ბრალია, ხელი რომ დავკარგე. ახლა კი, ალბათ, სადღაც შვეიცარიაშია და დამცინის. მე კი ნაცემი ძაღლივით აქ დავძუნძულებ. მის წინაშე კანონიც კი უძლურია. სულ მარტო ვარ, გვერდში არავინ მიდგას, პოლიცია რომ პოლიციაა, ისიც კი ვერ დამეხმარება, რადგან პოლიციაც მე მეძებს, ჩემი დაჭერა უნდათ. ჰგონიათ, მიცი მე მოვკალი. იმ უნამუსომ ისე მოაწყო, რომ ამ საქმეში მეც გამრია. მაგრამ კოკა წყალს ყოველთვის ვერ მოიტანს. საკმარისად ვითმინე, ახლა კი მოთმინების ფიალა ამევსო, კმარა! ვერავინ მეტყვის, რომ არ ვიბრძოდი, თავს არ ვიცავდი. დღემდე ამ ცხოვრებას, ავად თუ კარგად, ვუძლებდი,

მაგრამ ზღვარი ყველაფერს აქვს და რადგანაც რაინჰოლდის მოკვლა ვერ შევძელი, თავს მოვიკლავ. ჯოჯოხეთში ბუკითა და ნაღარით გავემგზავრები.

* * *

ეს ვინ დგას ალექსანდერშტრასეზე და ფეხს სვენებ-სვენებით ინაცვლებს? ამ კაცის სახელი და გვარი ფრანც ბიბერკოპფია. და რას საქმიანობს, ეს თქვენ უკვე იცით, სუტენიორი გახლავთ, მკვლელი, რეციდივისტი, ერთი საწყალი კაცი, ბედუკულმართი ადამიანი. აი, მისი დროც დადგა. დასწყევლოს ღმერთმა ის მუშტები, რომლებიც აქამდე ურტყამდნენ, მაგრამ ის მუშტი, რომელშიც იგი ახლა არის მომწყვდეული, სხვებზე გაცილებით ძლიერია და საშიში. ის მუშტები, მას რომ ურტყამდნენ, ფრანცს არ იჭერდნენ, ნაცემს უშვებდნენ, თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალებას აძლევდნენ; მათგან მიყენებული ჭრილობა კი გვიან, მაგრამ მაინც უხორცდებოდა და ფრანცი ცხოვრების გზაზე სიარულს აგრძელებდა. ახლა კი მუშტი შეიკუმშა, შიგ მოიმწყვდია მისი ხორციც და სულიც. ფრანცი მოკლე ნაბიჯებს ადგამს და უკვე იცის, - ჩემი ცხოვრება ჩემი აღარ არის, მე აღარ მეკუთვნის. არ ვიცი, ახლა რა უნდა ვქნა, - მაგრამ ფრანც ბიბერკოპფისთვის ყველაფერი დამთავრდა, ეს დასასრულია.

* * *

ნოემბერი, საღამოს ცხრა საათი, მიუნცშტრასეზე ნაძირლების ხროვა გამოძვრა. ირგვლივ ყურისწამღები ხმაურია: ტრამვაები გრუხუნებენ, მანქანები საყვირებს აყვირებენ, გაზეთების გამყიდველები ღრიალებენ, პოლიციის ყაზარმის ეზოდან შუპოების რაზმი გამოდის, პოლიციელებს რეზინის ხელკეტები უკავიათ.

ლანდსბერგერშტრასეზე კი დემონსტრანტები წითელ დროშებს მოაფრიალებენ. „აღსდეგ, შრომითა დაღდასმულო“.

ალექსანდერშტრასე. კაფე „მოკა-ფიქსი“, საუკეთესო მარკის სიგარები, დაძველებული მიუნხენური ლუდი; ბანქოს თამაში სასტიკად აკრძალულია, ღრმად პატივცემულ სტუმრებს ვთხოვ საკუთარ ნივთებს და გარდერობს ყურადღება მიაქციონ, რადგანაც ნივთების დაკარგვის შემთხვევაში პასუხს არ ვაგებ.

კაფეს მფლობელი. საუზმე: დილის **6** საათიდან **1** საათამდე - ყავა, ორი მოხარშული კვერცხი, ბუტერბროდი - **75** პფენიგი.

პრენცლაუერშტრასეზე, კაფეში ფრანცს შეძახილებით ხვდებიან: „აი, ბარონიც მობრძანდა“. იგი მაგიდასთან ჯდება, ვიღაცა თავიდან პარიკს აძრობს, თვითონ კი ხელოვნურ ხელს იხსნის,

უკვეთს ერთ კათხა ლუდს, პალტოს მუხლებზე იდებს.

გვერდით მაგიდასთან სამნი სხედან, მოჩვარული და ნაცრისფერი სიფათებით, გამოცდილი თვალი მაშინვე შეამჩნევს, გამოქცეული პატიმრები ან ნაპატიმრალები რომ არიან. სხედან, ლაპარაკობენ:

- დალევა მომინდა და ვიფიქრე, რაღა სადღაც შორს წავიდე, აქვე ყურის ძირში პოლონელების სარდაფია, ჩავალ ჩემს ძეხვსა და სიგარეტებს ვაჩვენებ, იქნებ აიღონ და დამალევინებენ კიდევაც- მეთქი. და მართლაც, პოლონელ ცოლ-ქმარს არც უკითხავს, საიდან მქონდა ძეხვი და სიგარეტი, ისე აიღეს, ფულიც მაშინვე გადამიხადეს, არყით გამიმასპინძლდნენ. მერე კი დილამდე ვუთვალთვალებდი, ეს წყვილი სახლში როდის წავიდოდა. სარდაფში ჩავძვერი. მაგიდაზე ყველაფერი ხელუხლებელი იდო: ძეხვიც და სიგარეტიც, რა თქმა უნდა, წამოვიღე და იქიდან მოვტყდი. სუფთად მოვაყომარე ეს საქმე, არა?

- ეს მეძებარი ძაღლები არაფრის მაქნისები არ არიან. ჩვენი ციხიდან ხუთი კაცი გალავნის ქვეშ გაძვრა. ეგ როგორო, გაგიკვირდებათ. ახლავე ყველაფერს გიამბობთ. გალავნის კედლებზე ორივე მხრიდან ხომ ასე, რვა მილიმეტრი სისქის თუნუქის ფირფიტებია აკრული. ამიტომ ბიჭებმა ხვრელი კედლის ქვეშ გათხარეს, ხვრელი საკანშიც გათხარეს. იქ იატაკი ცემენტის იყო. საკანში გათხრილი ხვრელი კედლის ქვეშ გათხრილ ხვრელამდე აღწევდა. პატიმრები ღამღამობით მუშაობდნენ. ჰოდა, დაცვამ მათი გაქცევის შემდეგღა შემოირტყა თავში ხელი, როგორ ვერ გავიგეთ, ეტყობა, გვეძინაო, ამბობდნენ და თავს იმითღა იმშვიდებდნენ, ვალდებული არა ვართ, ყველაფერს თვალყური ვადევნოთ და ვიცოდეთ, ღამღამობით ვინ რას აკეთებსო.

- ბოლოს კი მობრძანდა, აბა, თუ მიხვდებით, ვინ? ჩვენი მთავარი დაცვის უფროსი, ობერვახმისტრი შვაბი, ხომ იცით, უყვარს შთაბეჭდილების მოხდენა, მობრძანდა და ამბობს: ამის შესახებ ჯერ კიდევ სამი დღის წინ ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ მივლინებაში გახლდითო. თუ შეიძლება, კიდევ ერთი ლუდი, მეც ერთი კათხა და სამი სიგარეტი.

მეზობელ მაგიდასთან ერთი გოგონა ვინმე აყლაყუდა კაცს თმას ვარცხნის. კაცი კი გაბმულად მღერის: „ო, ზონენბურგ! ო, ზონენბურგ“... უცებ სიმღერა შეწყვიტა.

მოიცადა, სანამ ირგვლივ სიჩუმე ჩამოვარდებოდა და მთელი ხმით ამღერდა, სული სიმღერას სთხოვდა!

„ო, ზონენბურგ, ო, ზონენბურგ, რა მწვანეა შენი ფოთლები. ოცდარვა წლის ზაფხულში სად ვიჯექი? ბერლინსა და დანციგში არა, არა, არც კენიგსბერგში, არ ვმჯდარვარ მე მაგდებურგში, მაშ, სად ვიჯექი? არა, მეგობარო, ვერ გამოიცნობ: ზონენბურგში, ზონენბურგში.

ო, ზონენბურგო, რა მწვანეა შენი ფოთლები! აი, სამაგალითო ციხე, შიგ თავად ფეხადგმული ჰუმანურობა დადის, იქ არ გვცემენ, არ გვლანძღავენ, არ გვიყვირიან. იქ ცხოვრება კი არა, მადლია და ბარაქა, უხვად არის სასმელი და საჭმელი.

ფაფუკი ლეიბ-საბნებია, სიგარეტები, ლუდი და ღვინო. დიახ, მეგობარო, იქ საამურია ცხოვრება, ზედამხედველები - სანდონი, სულით-ხორცამდე ჩვენი ერთგულნი. იქ სახელოსნოებში ვსხედვართ, ჯარისკაცებს ვეუბნებით: ფეხსაცმელი თქვენ წაიღეთ, ჩვენ კი საჭმელი მოგვიტანეთ. ომისდროინდელი ძველმანები: გიმნასტურები, შარვლები, ჩვენ უნდა გადავაკეთოთ, მაგრამ გადაკეთებაზე თავს არ ვიწუხებთ, პირდაპირ მალულად ვყიდით! მხოლოდ, ძმებო, არ ითაღლითოთ და ჩვენი წილი მოგვეცით, ფული საწყალ პატიმრებს ძალიან გვჭირდება.

მოგვიმრავლდნენ ენატანიები, ჩვენი გატეხა უნდათ, ასეთებს ძვლებს გადავუმტვრევთ, ნეკნებს დავუმსხვრევთ. იმათ ბიჭები ეუბნებიან: ჩვენთან ერთად იმხიარულეთ, თუ არა და გვერდებით გადაიხადეთ. დაფიქრდით, კიდევ ერთხელ! თორემ წამში დაგამშვიდებთ, ტუალეტში ლინჩის წესით გაგასამართლებთ.

ჩვენთან ხუმრობა არ უყვართ.

და თუ მაინცდამაინც ხუმრობა გინდათ, მაშინ დირექტორთან წადით, ის ცოტა აფრენს და ვერაფერს ხედავს. ატყდა ერთხელ ხმაური, ჩვენთან რევიზორი მოსულა. მავანსა და მავანს დაელაპარაკა და უფროსობას განუცხადა: - არ დავინდობ არავის, რევიზიას ჩავუტარებ ზონენბურგის ციხეს.

ოღონდ ეგ იყო, ბიჭებო, პირში ჩალაგამოვლებული დარჩა. და თუ რა მოხდა მერე, ახლა მოგიყვებით: ციხის ბუფეტში ვსხედვართ: ორი ზედამხედველი და ჩვენ, ვსხედვართ და ვსვამთ, და შემოდის ვინ? როგორ გგონიათ? ჩვენთან მოდის, ბუმ,

ბუმ, ბუმ, ბატონი რევიზორი! აბა, რას იტყვით ამაზე? და ჩვენმა მეგობრულმა გუნდმა დასჭექა: ჩვენს რევიზორს დიდხანს სიცოცხლე! დაე, აძვრეს ღობეზე, მიეწებოს ჭერს, გადაკრას სირჩა კონიაკი და კუთხეში დაჯდეს!

და რა გვითხრა რევიზორმა? ვაი, სირცხვილო, ყვირის! ეს მე ვარ, თქვენი რევიზორი! ბუმ, ბუმ, ეს

მე ვარ! ამბობს ჩვენი რევიზორი: - აქ ვინ არის ზედამხედველი და ვინ ქურდი, ვერ გამიგია. სად ვართ, ციხეში თუ სირაჯხანაში? შეწყვიტეთ სულელური სიცილი, ყველას კარცერში ჩაგყრით! მე რევიზორი ვარ, ბუმ, ბუმ, ბუმ, ეს მე ვარ, ბუმ, ბუმ!

ო, ზონენბურგ, ო, ზონენბურგ, მწვანე ფოთლებო. ნომერი არ გამოუვიდა, ჯავრისგან კინაღამ გული გაუსკდა. და ბოღმისგან გაცოფებული შინ, თავის ცოლთან გაიქცა! ბუმ, ბუმ, ბატონო რევიზორო! ამჯერად პირში ჩალაგამოვლებული დარჩით, ოღონდაც ჩვენზე ნუ გაბრაზდებით“.

* * *

იჩქარეთ, იჩქარეთ - ვის უნდა ყავისფერი შარვალი და შავი მაუდის ქურთუკი! მავანს პაკეტიდან პატიმრის ყავისფერი სამოსი ამოაქვს. ცხადდება აუქციონი, აბა, ვინ გადაიხდის მეტს? ფასი თქვენ დაადეთ! ლოტი პირველი: იყიდება ჩამოფასებული საქონელი, ქურთუკს იაფად ვყიდი, ერთ სირჩა კონიაკად. აბა, იჩქარეთ! ხმაური, სიცილი!

„ო, საამო, ნეტარო წამო. ო, ჩემო კეთილო მეგობარო, კიდევ ერთხელ ავწიოთ სასმისები“... ლოტი

№2 - ტილოს ფეხსაცმელი მისადაგებული ადგილობრივი ცხოვრების პირობებს, თანაც ჩალის ძირებზე, რეკომენდებულია გაქცევისთვის! ლოტი **№3** - გადასაფარებელი.

- შენ ეი, ეგ გადასაფარებელი მაინც ჩაგებარებინა მეკუჭნავისთვის.

დიასახლისი ფეხაკრეფით გამოვიდა, კარი ფრთხილად მიხურა და თქვა:

- ჩუმად, ჩუმად, იქ სტუმრები არიან.

ერთმა შეშინებულმა შეხედა ფანჯარას, მეორემ გაიცინა:

- ნუ გეშინია, ფანჯარა არ დაგვჭირდება, აი, ნახე, - იგი დაიხარა და მაგიდის ქვეშ სარდაფში ჩასასვლელის სახურავი ახადა, - აი, ხედავ, ჩასასვლელი სარდაფში. იქიდან კი მეზობელ ეზოში პირდაპირ სწორი გზა მიდის, არსად აცოცება არ დაგჭირდება. ოღონდ ქუდი არ მოიხადო, თორემ მაშინვე ვინმეს თვალში მოხვდები.

- ძმაო, კარგი სიმღერა იმღერე, - ჩაიბურტყუნა ვიღაც მოხუცმა, - მაგრამ არის კიდევ სხვა სიმღერა, მაგას არ ჩამოუვარდება! აი, ისიც, იცი?

მოხუცმა ჯიბიდან დაჭმუჭნილი ქაღალდი ამოიღო, გაშალა, ზედ ბატიფეხურით რაღაც ეწერა: -

სათაურს წაგიკითხავ: „ბორკილდადებული ტუსაღის სიკვდილი“.

- ძალიან სევდიანი ხომ არ არის?

- რას ნიშნავს „სევდიანი“? მართალი სიმღერაა, შენსას არ ჩამოუვარდება.

- აბა, მიდი, ძველო, მაგრამ ფრთხილად იყავი, შენ თვითონ არ ატირდე, თორემ ატრია ყელში გაგეჩხირება.

„ბორკილდადებულის სიკვდილი“: „იყო ღარიბი, მაგრამ მხიარული, სიმართლის გზით მიდიოდა, იყო კეთილშობილი და უცხო იყო მისთვის ბოროტება. მაგრამ ვაი, რომ უბედურების სულებმა გზა გადაუღობეს, მას ავაზაკობა დასდეს ბრალად. ის მაძებრებმა დააპატიმრეს (ნადირობა, ნადირობა, ეს დაწყევლილი ნადირობა, ამ წყეულმა ძაღლებმა ნადირივით მომიმწყვდიეს, კინაღამ მომკლეს. შეუძლებელია მათ თავი დააღწიო. რა სისწრაფითაც უნდა ირბინო, მაინც დაგეწევიან. აი, ახლაც ფრანცს გარს შემოერტყნენ, დაიჭირეს. საკმარისია, ყელში ამომივიდა, არ გავიქცევი, აჰა, აქ ვარ, მოდით, შემჭამეთ!).

ბევრი იტირა, ბევრი იყვირა, იფიცებოდა, მაგრამ არაფერმა უშველა, სასამართლომ მისი არც ერთი სიტყვა არ დაიჯერა, ყველა სამხილი მის დანაშაულს ამხელდა. ბრძენი მოსამართლენი შეცდნენ (ნადირობა, ნადირობა, დაწყევლილი ნადირობა), მათი განაჩენი (ოჰ, როგორ ნადირობდნენ ჩემზე ეგ წყეული ძაღლები) სამარცხვინო დამღა აღმოჩნდა, რომელსაც ვერასოდეს ჩამოირეცხავდა.

„ხალხო, ხალხო, - ყვიროდა იგი. სიმწრის ცრემლები სცვიოდა, - ჩემი რატომ არავის სჯერა, დანაშაული ნამდვილად არ ჩამიდენია“ (მაწამებდნენ, მთელი სიცოცხლე მომიწამლეს: მათ ვერსად დაემალები: რა სისწრაფითაც უნდა გაიქცე, მაინც დაგეწევიან! არაქათი გამომაცალეს! რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე).

და როცა დილეგიდან უცხო პილიგრიმად გამოვიდა, მთელი სამყარო უკვე შეცვლილი იყო, და კაცი ის აღარ იყო, რაც წინათ. მდინარის ციცაბო ნაპირზე დაეხეტებოდა, მაგრამ ხიდი უკვე ჩატეხილი იყო და მას, გულით ავადმყოფს, ბოღმა ისევ ღამეში მიერეკებოდა. და საწყალს, ხალხისგან აბუჩად აგდებულსა და უგულებელყოფილს,

მოთმინების ძაფი გაუწყდა, ადგა და მკვლელი გახდა, დანაშაული ჩაიდინა. ამჯერად იგი დამნაშავე იყო (დამნაშავე, დამნაშავე, დამნაშავე, ჰო, ასე,

მეტი, მეტი, ათასჯერ მეტი დანაშაული უნდა ჩამედინა).

რეციდივი უფრო მკაცრად ისჯება და სასტიკი სასამართლო საწყალს ისევ ციხეში გზავნის (ალილუია, ფრანც, ალილუია, მიხვდი ახლა? ათასჯერ მეტი, ათასჯერ მეტი დანაშაული უნდა ჩამედინა!) და აი, ისევ გარეთ გამოდის, თავისუფალია, ამჯერად ძარცვავს, კლავს, წვავს და ახრჩობს, რათა ამ წყეულ ადამიანებზე შებღალული პატიოსნებისა და სულში ჩაფურთხებისთვის შური იძიოს. და ისევ ციხეში ბრუნდება, როგორც თავზე ხელაღებული ბოროტმოქმედი და ამჯერად უვადო პატიმრობას მიუსაჯეს (აი, მაგასაც ჩემნაირად წამლავდნენ. წყეული ძაღლები, იგი, ვისზეც ეს სიმღერა შეთხზეს, სწორად მოიქცა, ეგენი მეტის ღირსი იყვნენ).

მაგრამ ახლა აღარ ტირის, ირგვლივ მყოფთა დაცინვას ყურადღებას არ აქცევს. ამ უღელში შებმული იგი თვალთმაქცობს, პირმოთნეობს და სხეულის გაცივებამდე მას სული განუტევებს (წყეული ძაღლები მიწამლავდნენ სიცოცხლეს. მე რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე! მაგრამ მაინც ძველი ფრანც ბიბერკოპფი ვარ, მიფრთხილდით, კიდევ ბევრჯერ გამიხსენებთ).

დღეს მან ამქვეყნიური ცხოვრება დაამთავრა და გაზაფხულის ბუნიობის ჟამს სამარეში ჩაასვენეს, სამარეში - პატიმრისთვის საუკეთესო საკანში. და ციხის ზარი რეკვით ემშვიდობება იმას, ვინც ამ ქვეყნისთვის დაკარგული ადამიანი იყო და სიკვდილს ციხეში შეხვდა (მიფრთხილდით, პატივცემულო ბატონებო, თქვენ ფრანც ბიბერკოპფს კარგად არ იცნობთ, ძვირად დაგიჯდებათ მისი ხელში ჩაგდება. და თუ სამარეში ჩაწოლა მაინც უწერია, თითოეულ თითზე თითო კაცს მამაზეციერთან მსტოვრებად წინასწარ გაუშვებს: აქაოდა, ჯერ ჩვენ მოვედით და ფრანცი ჩვენ შემდეგ გეახლებათო. აი-აი, საყვარელ ღმერთს როგორ გაუკვირდება, როცა ღვთის მონა ბიბერკოპფი მასთან ფორეიტორებიანი კარეტით მიბრძანდება! აბა, აქ საკვირველი რა არის? მთელი ცხოვრება მას, ფრანც ბიბერკოპფს, სიცოცხლეს უწამლავდნენ, დედამიწაზე ჭიანჭველასავით დაღოღავდა, მაშ, კარეტით ცაში მაინც შევიდეს, დაანახვოს მამა-ღმერთს რას წარმოადგენს)“.

მაგიდასთან მსხდომნი ისევ მღერიან, ლაყბობენ. აქამდე ფრანცი გამოთაყვანებული იჯდა, ახლა კი უცებ გამოცოცხლდა. თავზე პარიკი დაიხურა, ხელოვნური ხელი გაიკეთა, რომელიც ომში დაკარგა. ომი არასოდეს მთავრდება, ომია მთელი ცხოვრება.

მთავარია, ფეხზე მყარად იდგე.

მერე ფრანცი სასაუზმის რკინის კიბეზე ადის. აი, უკვე ქუჩაშია. აქ კი ჭყაპია, ნესტი, ცრის. უკვე ბნელა. ალექსანდერშტრასეს კუთხეში ჯგუფად დგანან პოლიციელები. ფრანცი მიტრიალდება და პოლიციელებისკენ ნელი ნაბიჯით მიდის.

პოლიციაპრეზიდიუმის შენობა ალექსანდერპლაცზე დგას

ათის ოცი წუთია. პოლიციაპრეზიდიუმის მინით გადახურულ ეზოში რამდენიმე კაცი დგას. ანეკდოტებს ჰყვებიან. მათ ახალგაზრდა კომისარი უახლოვდება, ესალმება.

- ბატონო პილც, ახლა თითქმის ათის ნახევარია. ხომ არ დაგავიწყდათ, შეგეხსენებინათ, რომ მანქანა აქ ზუსტად ცხრა საათზე უნდა მოსულიყო.

- ზუსტად ახლა, ზემოთ ერთ-ერთი ჩვენი თანამშრომელი ალექსანდრეს ყაზარმაში რეკავს, ჩვენ მანქანა გუშინ შუადღეზე შევუკვეთეთ.

მამაკაცების ჯგუფს კიდევ ერთი უახლოვდება:

- დიახ, მითხრეს, რომ მანქანა რვა საათსა და **55** წუთზე გამოგზავნეს, ოღონდ მძღოლისთვის სხვა მისამართი მიუცია თ, მითხრეს, ახლავე მეორეს გამოვუშვებთო.

- კარგია, მისამართი შეეშალათ, ჩვენ რა, აქ უნდა ვიდგეთ და ველოდოთ?

- ვეკითხები, ჩვენი შეკვეთილი მანქანა სად არის-მეთქი? ის კი მეუბნება, თქვენ ვინ ბრძანდებითო? - მდივანი პილცი, ვპასუხობ. მე კი ლეიტენანტი ესა და ეს ვარო, ამბობს. ვეუბნები, ლეიტენანტო, ბატონი კომისრის დავალებით გირეკავთ, მიბრძანეს, მანქანის შესახებ მეკითხა. მოთხოვნა მანქანის **9** საათზე გამოგზავნის თაობაზე გუშინ გამოგიგზავნეთ. მოთხოვნა მიიღეთ თუ არა? უნდა მოგესმინათ, უცებ რა ზრდილობიანი გახდა, დიახ, დიახ, მეუბნება, რა თქმა უნდა, მივიღეთ, მაგრამ რაღაც გაუგებრობა მოხდა და დიახ, მანქანას ახლავე გამოგიგზავნით და ასე შემდეგ, ამავე ტონალობაში.

სატვირთო მანქანები მოგრიალდნენ. პირველ მანქანაში სისხლის სამართლის სამძებროს აგენტები, ბატონები და ქალბატონები, კომისარი და აგენტი ქალები ჩასხდნენ. ეს ის მანქანაა, რომლითაც ორიოდე საათის შემდეგ ორმოცდაათამდე

დაპატიმრებულს და მათ შორის ფრანც

ბიბერკოპფსაც მოიყვანს. ანგელოზებმა იგი უკვე მიატოვეს და ამიტომ ახლა ფრანცი ადამიანებს სრულიად სხვა თვალით შეხედავს, განსხვავებით იმისგან, სასაუზმიდან გამოსვლისას რომ უყურებდა. ანგელოზები კი გაიხარებენ, აცეკვდებიან, დიახ, დიახ, პატივცემულო მკითხველებო, მორწმუნენო თუ ურწმუნონო, ეს ნამდვილად ასე იქნება!

სატვირთო მანქანა, რომლებშიც აგენტი ქალები და კაცები სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი სხედან, უკვე გზაშია. ეს, მართალია, საბრძოლო ეტლი არ არის, მაგრამ ასეა თუ ისე, თემიდას ეტლი ნამდვილად გახლავთ. აგენტები ძარაზე, გრძელ მერხებზე სხედან და მანქანა ალექსანდერპლაცზე მშვიდობიან ტაქსებსა და სავაჭრო ფირმების ავტომობილებს შორის მიგორავს. სხვათა შორის, ამ მანქანის მგზავრებიც ერთობ მშვიდობიანად გამოიყურებიან. ეს ხომ საიდუმლო ომია, გამოუცხადებელი ომი, ისინი თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად მიემგზავრებიან: მამაკაცები ეწევიან: ვინ ყალიონს, ვინ სიგარეტს; ქალები ლაპარაკობენ, იცინიან. აი, ის ბატონი, წინა სკამზე რომ ზის, ალბათ, რეპორტიორია. ესე იგი, დღევანდელი მოვლენები ხვალინდელ გაზეთებში დაიბეჭდება. ასე მიემგზავრებიან კმაყოფილები ზემოთ, ლანდსბერგერშტრასეზე. ისინი ხომ ვალდებულები არიან შემოვლითი გზებით იარონ, რათა ახლომდებარე ლუდხანებში არ გაიგონ, რომ დღეს პოლიციის თავდასხმა იქნება. გამვლელები სატვირთოს თვალს აყოლებენ და მაშინვე გზას აგრძელებენ. ამათთან ხუმრობა არ შეიძლება: მანქანამ გაიარა, აქვე ახლოს მდებარე ლუდხანებს დაესხმებიან, დამნაშავეებს დაიჭერენ. ოჰ, ღმერთო ჩემო, ასეთი საზარელი ამბები ჯერ კიდევ ხდება, კარგი, წამოდი, თორემ კინოში დაგვაგვიანდება.

მანქანა რიუკერშტრასეზე ჩერდება, აგენტები ჩამოდიან და გზას ფეხით აგრძელებენ. მანქანა კი იქ რჩება. პატარა ქუჩა ცარიელია, რაზმი ტროტუარზე მიდის, აი, რიუკერბარიც.

კართან და მის პირდაპირ, ქუჩაში, ყარაულები დააყენეს, დანარჩენები ბარში შეცვივდნენ.

- საღამო მშვიდობისა!

კელნერი იკრიჭება. აქაოდა, კარგად გიცნობთ, აქ პირველად ხომ არ მოდიხართო და

ეუბნება:

- ბატონები რამეს ხომ არ ინებებენ, თქვენ ოღონდ გვიბრძანეთ!

- ეგ სხვა დროს იყოს, ახლა არ გვცალია, სტუმრებს ფული გამოართვით, ეს შემოწმებაა; აბრძანდით, ყველანი პოლიციაპრეზიდიუმში უნდა წამობრძანდეთ!

სიცილი, საპროტესტო შეძახილები, ეს რა ხდება, უფროსობა მოინდომეს! გინება, ხმაური.

- ბატონებო, დაწყნარდით, ნუ ღელავთ!

- მე ხომ საბუთები წესრიგში მაქვს!

- ჰოდა, გიხაროდეს, ნახევარი საათის შემდეგ ჩიტივით თავისუფალი იქნები!

- არ მცალია, ბევრი საქმე მაქვს!

- მორჩი, ოტო, ამის გამო ნერვიულობა არ ღირს!

- პოლიციაპრეზიდიუმის სპეცოპერაცია საღამოს განათების ფონზე, შესვლა უფასოა!

- გაინძერით, სწრაფად, სწრაფად! სატვირთო მანქანა გადაჭედილია, ვიღაც მოდურ შლაგერს მღერის: „აჰ, სადგურზე ყველი ვინ შეაგორა[34] და ბაჟი არ გადაიხადა? გაუგონარი თავხედობაა, ასე ვინ იხუმრა? პოლიცია ძალიან გაბრაზებულია, ბობოქრობს, რადგან მავანმა ყველი სადგურზე შეაგორა“.

კარგია, საქმე იოლად მოვაგვარეთ. ახლა გზას ფეხით გავაგრძელებთ. ქუჩაზე ვინმე ელეგანტური ბატონი გადმოდის, ეს განყოფილების უფროსია. კომისარს ესალმება, მერე ორივენი იქვე მდგარი სახლის სადარბაზოში შედიან. აგენტები კი ჯგუფებად იყოფიან, მოგვიანებით პრენცლაუერ და მიუნცშტრასეს კუთხეში შევხვდებით.

ალექსანდერშტრასეზე ლუდხანა ისეა გადაჭედილი, როგორც იტყვიან, შიგ ნემსი ვერ ჩავარდება. პარასკევი ხელფასის დღეა, მოდი და ნუ დალევ! რადიო ხმაურობს, ორკესტრი უკრავს. აგენტები ბარისკენ გზას გაჭირვებით მიიკვლევენ. ახალგაზრდა კომისარი ვიღაც ბატონს რამდენიმე სიტყვას ეუბნება, ამის შემდეგ ორკესტრი დაკვრას წყვეტს. სისხლის სამართლის პოლიცია, შემოწმება! ადექით, ყველა სტუმარი პოლიციაპრეზიდიუმში მიგვყავს. სტუმრები კი ისევ მაგიდასთან სხედან, იცინიან, საუბრობენ, კელნერი სტუმრებს ემსახურება. დერეფნიდან ხმაური ისმის, ტირილი, წივილი, სამი გოგო აიყვანეს: „იქიდან ამოვეწერე, აქ კი ჩაწერა ჯერ ვერ მოვასწარი!

„არა უშავს, ერთ ღამეს ჩვენთან გაათევ, დიდი უბედურება არ იქნება“. „არ წამოვალ,

არ წამოვალ! გამიშვით! როგორ ბედავთ!“ „აბა, ისტერიკას ნუ აწყობ! არ გირჩევ“. „გამიშვით, გთხოვთ!“ - „არ შემიძლია, უფლება არა მაქვს, ადგილზე მივალთ და მერე ვილაპარაკოთ“. „კიდევ დიდხანს უნდა ვიცადოთ?“ „მანქანა ეს-ეს არის წავიდა, დაბრუნდება და თქვენც გაემგზავრებით!“ „საკმარისი მანქანები რატომ არა გყავთ?“ „აბა, ჭკუის სწავლებას თავი დაანებე, საქმეს უთქვენოდაც გავარკვევთ!“ „კელნერო, ერთი ბოთლი შამპანური, ფეხების დასაბანად!“

„მომისმინეთ, სამსახურში უნდა წავიდე, აქვე ახლოს ვმუშაობ, და თუ არ მივალ, საზღაურს დამიქვითავენ!“ „რას იზამ, თქვენი გაშვება ჩემს უფლებამოსილებას აღემატება“. „გასაგებად გეუბნებით, სამუშაოზე უნდა წავიდე, რასაც თქვენ აკეთებთ, მაგას ძალადობა ჰქვია“.

„ყურადღება, აქ ვინც ხართ, ყველანი ჩვენთან ერთად წამოხვალთ!“ „ეი, შენ, ძმაო, ნუ ხმაურობ, პოლიცია იმიტომ არსებობს, რომ შემოწმება ჩაატაროს, აბა, ხელფასს რაში უხდიან?“

დაკავებულები პოლიციაპრეზიდიუმში პარტიებად მიჰყავთ, მანქანები მიდიან და ისევ მოდიან, აგენტები ლუდხანაში დასეირნობენ, ქალების ტუალეტში ერთი გოგო იატაკზე გორავს, ყვირის, იქვე მისი კავალერი დგას.

- აქ, ქალების ტუალეტში მამაკაცი რას აკეთებთ?

- რა, ვერ ხედავთ, ქალი ისტერიკაშია.

პოლიციელები მრავალმნიშვნელოვნად

იღიმებიან:

- პირადობის მოწმობა თან გაქვთ?

- არა.

- ეგ მოსალოდნელი იყო, მაშინ კეთილი ინებეთ და აქ დარჩით, ამ ქალბატონთან ერთად.

ქალი კი ისევ ყვირის და იკრუნჩხება. ეს ნაცადი ხერხია. აბა, ერთი ყურადღებით დააკვირდით, როცა ეს აურზაური ჩაცხრება. ქალი ადგება და თავის კავალერთან ერთად ტანგოს საცეკვაოდ წავა.

- აბა, ერთი გაბედე და თითი დააკარე. პირველ დარტყმაზე ძვლებს დაგიმსხვრევ, მეორე დარტყმაზე კი კუბოს შეკვეთა მოგიწევს.

ბარი თითქმის დაცარიელდა. კართან ორი შუპო ვიღაც კაცს აკავებს. კაცი კი ყვირის:

- სად არ ვყოფილვარ, ლონდონში, მანჩესტერში, ნიუ-იორკში და ასეთი უმსგავსობა არსად მინახავს.

კაცს გარეთ ხელის კვრით აგდებენ:

- აბა, აქედან მოუსვი, გაქრი! არ დაგავიწყდეს, შენი მკვდარი ძაღლი მომიკითხე.

* * *

11.15-ზე ეს პროცედურა დასასრულს უახლოვდებოდა. მხოლოდ წინ, შემაღლებულზე და კუთხეში მდგომ რამდენიმე მაგიდასთან ისხდნენ სტუმრები. ამ დროს მოულოდნელად დარბაზში ვიღაც ჭაღარა მამაკაცი შემოდის, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ლუდხანა კლიენტებისთვის კარგა ხანია, დაკეტეს. ულმობელი შუპოები შიგ არავის უშვებდნენ. გოგოები დროდადრო ქუჩიდან ფანჯრებში იჭვრიტებიან:

- აჰ, ბატონო უფროსო, სწორედ ამ ლუდხანაში პაემანი მაქვს!

- ვერაფრით დაგეხმარებით, ფროილაინ, აქ მოსვლა კიდევ ერთხელ მოგიწევთ, ასე, თორმეტ საათზე. ნუ ღელავთ, თქვენი თვალისჩინი ამ დრომდე ჩვენთან, პოლიციაპრეზიდიუმში იქნება.

ის ჭაღარა მამაკაცი კი შიგნით შემოსვლამდე ლუდხანის კართან იდგა და ხედავდა, შუპოები დაკავებულებს ჯგუფ-ჯგუფად მანქანაში როგორ ტენიდნენ და პოლიციაში გზავნიდნენ. ისიც დაინახა, პოლიციელებმა რეზინის კეტები რომ აამოქმედეს, რადგან სატვირთოში ადგილი აღარ იყო, ხალხი კი ლუდხანიდან გარეთ გავარდნას ლამობდა. მერე მანქანა ადგილიდან დაიძრა, შემოსასვლელთან უკვე ხალვათობა იყო. პოლიციელები კი სხვა მხარეს იყურებოდნენ, უფრო სწორად, მათ ეჩხუბებოდა ვიღაც კაცი, რომელსაც ლუდხანაში შესვლა უნდოდა, ესენი კი არ უშვებდნენ. თანაც ამ დროს ყაზარმიდან შუპოების ახალი რაზმი მოვიდა, მათ გამოჩენას ქუჩის მეორე მხარეს მდგარი ბრბო ყიჟინით შეხვდა. და სწორედ ამ დროს ჭაღარა მამაკაცი ლუდხანაში თავისუფლად შევიდა და პირდაპირ ბარისკენ წავიდა, კათხა ლუდი აიღო, კიბეზე ავიდა და მეორე დარბაზში შევიდა. ქალთა ტუალეტიდან ქალის ყვირილი ისევ ისმოდა, რამდენიმე ადამიანი კი, რომლებიც ჯერ კიდევ მაგიდებთან ისხდნენ, იცინოდა და ლაყბობდა ისეთი სახით, თითქოს რაც აქ ხდებოდა, არ ეხებოდა.

შემოსული თავისუფალ მაგიდასთან დაჯდა, ლუდი მოსვა, მიიხედ-მოიხედა და უცებ ფეხი მისი იატაკზე მოხვდა რაღაც საგანს, რომელიც კედელთან ახლოს ეგდო, კაცი დაიხარა, ხელი მოაფათურა; ეჰეი, რევოლვერია, ეტყობა, ვიღაცამ დააგდო! ძალიან კარგი, ახლა ორი ცალი მაქვს. თითოეულ თითზე თითო კაცი და როცა დიდი ღმერთი მკითხავს, ეს რატომ გააკეთეო, მაშინ ვეტყვი, ამიტომ და იმიტომ. თუ დედამიწაზე კარეტით ვერ დავდიოდი, აქ მაინც მოვბრძანდე, როგორც ბარონი-მეთქი. აი, მოაწყვეს აქ შემოწმება, სწორია, რასაც აკეთებენ. ეტყობა, პოლიციის უფროსობიდან რომელიღაცამ ნოყიერი საუზმე მიირთვა, ჰოდა, გადაწყვიტა: დროა, დიდი შემოწმება მოვაწყოთ, ისეთი, რომ ყველას ყურადღება მიიპყროს. და თუ რამე ყურადსაღები მოხდება, მით უკეთესი, ხომ უნდა მივცეთ გაზეთებს ჩვენზე საინტერესო მასალა, რათა დაინახონ, იქ, ზემოთ, გულხელდაკრეფილი რომ არ ვსხედვართ. ან იქნებ პოლიციის რომელიმე ჩინოვნიკს ჩინის ან ხელფასის მომატება მოუნდა, ან რომელიმე ბობოლას ცოლს - ბეწვის ქურქი, ჰოდა, აწვალებენ ადამიანებს, თანაც აუცილებლად პარასკევს - ხელფასის დღეს.

ჭაღარას შლაპა არ მოუხდია, მარჯვენა ხელი ჯიბეში უდევს, მარცხენას კი ჯიბიდან მხოლოდ მაშინ იღებს, როცა ლუდს სვამს. ერთ-ერთი აგენტი, თავზე შალის მწვანეფოჩიანი ქუდით, დარბაზში დადის და დარჩენილ სტუმრებს აჩქარებს. მაგიდები ცარიელია, იატაკზე სიგარეტის ცარიელი კოლოფები, გაზეთების ნაგლეჯები, შოკოლადის ქაღალდები ყრია.

- დაამთავრეთ! ახლა ბოლო პარტიას

წაიყვანენ. აგენტი ჭაღარა მამაკაცს

უახლოვდება:

- ფული უკვე გადაიხადეთ?

იმან კი, ისე, რომ აგენტისთვის არც შეუხედავს, ჩაიბურდღუნა:

- განა არ დაინახეთ, რომ ახლა შემოვედი?

- თქვენთვის ჯობდა არ შემოსულიყავით! მაგრამ, რადგან უკვე აქა ხართ, ჩვენთან ერთად გამოსეირნება მოგიწევთ.

- აი, გამოვისეირნებ თუ არა, ეგ უკვე ჩემი საქმეა.

აგენტმა, ბრგე, მხარბეჭიანმა მამაკაცმა, ჭაღარა თხემიდან ტერფამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა: ეს რა, მთვარიდან ჩამოვარდა? იშოვა რა ამანაც დრო სკანდალის ასატეხად! აგენტი მაგიდას უსიტყვოდ მოშორდა, კიბეზე დაეშვა, მაგრამ შემთხვევით უკან მიიხედა და ჭაღარას ანთებულ მზერას წააწყდა. აუ, როგორ იყურება, აქ რაღაცაშია საქმე. იგი კართან მივიდა, იქ, სადაც სხვებიც იდგნენ, აჩურჩულდნენ და ერთად გარეთ გავიდნენ. ორიოდე წუთში კარი ისევ გაიღო. აგენტები უკან დაბრუნდნენ, ყვირიან:

- აბა, ყველანი, ვინც დარჩით, გამოდით!

- სხვა დროს მეც წამიყვანეთ რა, ძალიან მაინტერესებს, იქ რა სპექტაკლებს დგამთ, - იცინის კელნერი.

- დამშვიდდით, ერთ საათში ისევ მოგიწევთ მუშაობა. გარეთ, შემოსასვლელთან პირველი პარტიიდან უკვე ვიღაც-ვიღაცები დგანან. ერთი სული აქვთ, აქ როდის შემოვლენ.

- აბა, ბატონო, თქვენც წამობრძანდით.

ამას, მგონი, მე მეუბნებიან! თუ საცოლე გყავს და მას ენდობი, ზედმეტ შეკითხვებს ნუ დაუსვამ, იცოდე საქმე შენი, - აკოცე და მოეფერე.

ბატონი არ ინძრევა.

- თქვენ რა, დაყრუვდით? წამოდით, თქვენ გეუბნებიან!

შენი თავი გაზაფხულმა გამომიგზავნა, მაგრამ ვნების თასი შენს გაცნობამდე ბევრად ადრე დავცალე. არა, ერთი რა არის, ჯობს, სხვებიც მოვიდნენ და რაც მეტი, მით უკეთესი. ჩემს ეკიპაჟში ხუთი ცხენია შებმული.

კიბესთან უკვე სამი შუპო დგას, ერთ-ერთი ზემოთ ამოდის, მათ აგენტები მოჰყვებიან ახალგაზრდა, აწოწილი და წვრილი კომისრის წინამძღოლობით. ეტყობა, ჩქარობენ! სიცოცხლე საკმარისად გამიმწარეთ, დამდევდით როგორც ნადირს, რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე, ბოლოს და ბოლოს, მეც ადამიანი ვარ თუ არა.

კაცი მარცხენა ხელს ჯიბიდან იღებს და ისე, რომ ადგილიდან არც კი დაძრულა, პირველივე პოლიციელს, რომელიც ის-ის იყო, განრისხებული

მიუახლოვდა, ბაახ!- ესვრის. ასე, ახლა

ცხოვრებასთან ყველა ანგარიში გავასწორეთ და ჯოჯოხეთში ბუკისა და ნაღარის ცემით მივემგზავრებით.

პოლიციელმა წონასწორობა დაკარგა, გადაქანდა, ფრანცი წამოხტა, კედლისკენ გავარდა, მაგრამ მისკენ ამჯერად კარის მხრიდან პოლიციელების მთელი გუნდი გამოიქცა. ძალიან კარგი, საუცხოოა, რაც მეტი იქნება, მით უკეთესი. ხელს ისევ ზემოთ ასწევს, მაგრამ ამ დროს უკნიდან ერთ-ერთი მათგანი ეცა და მისი გაკავება სცადა. ფრანცმა იგი მხრით გვერდზე მოისროლა, მაგრამ ამ დროს დარტყმების სეტყვა დაატყდა ხელზე, სახეზე, თავზე, წინამხარზე. ვაიმე, მკლავი. ჩემი მკლავი, მე ხომ ერთი მკლავი მაქვს, ამ მკლავსაც მომტეხენ, მერე რა ვქნა. მომკლავენ, ჯერ მიცი მოკლეს, ახლა ჩემი მოკვლა უნდათ. ამ ყველაფერს აზრი არა აქვს, ყველაფერი ამოა, ამაო. ფუჭად გავისარჯე.

და იატაკზე დაებერტყა, პირდაპირ მოაჯირთან.

ისე, რომ მეორეჯერ გასროლა ვერ მოასწრო, დაებერტყა ფრანც ბიბერკოპფი. თამაში წაგებულია, იარაღი დადო, წევს და თავის გაჩენის დღეს და ამ ცხოვრებას წყევლის.

აგენტებმა და შუპოებმა მაგიდა და სკამები გვერდით გასწიეს, ჩაიმუხლეს, დაცემული ზურგზე გადააბრუნეს, ეე, ამ კაცს ხელოვნური ხელი ჰქონია, და ორი რევოლვერი, სად არის ამის საბუთები, მოიცა, მოიცა, თავზე პარიკი ახურავს. და ფრანც ბიბერკოპფი თვალებს ახელს, ღმერთო, თმაზე როგორ ექაჩებიან. პოლიციელები კი მთელი ძალით აჯანჯღარებენ. მხრებით ზემოთ სწევენ. აი, წამოსვეს, მერე ფეხზე დააყენეს. ფეხზე დგომა შეუძლია. სიარულსაც შეძლებს, თავზე შლაპას ახურავენ. და ვიდრე ლუდხანაში ეს ამბავი ხდებოდა, გარეთ ეჭვმიტანილები ძარაზე არეკეს, და სხედან იქ. ფრანცი კი მარცხენა ხელზე ბორკილდადებული გარეთ გაჰყავთ. მიუნცშტრასეზე უამრავი ხალხია შეკრებილი. ისმის ხმაური, ღრიანცელი! ჰო, შიგნით ისროლეს! შეხედეთ, ის კაცი მოჰყავთ, რომელმაც ისროლა. აი, მაგ კაცმა ისროლა! დაჭრილი პოლიციელი კი მანქანით უკვე წაიყვანეს.

ლუდხანის კართან ის სატვირთო მანქანა დგას, რომლითაც ათის ნახევარზე პოლიციაპრეზიდიუმიდან სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების კომისრები, პოლიციელები და აგენტები ქალაქში შემოწმებაზე გავიდნენ.

ახლა კი იმავე სატვირთო მანქანას გეზი ისევ პოლიციაპრეზიდიუმისკენ აქვს აღებული. მის ძარაზე ფრანც ბიბერკოპფი ზის, როგორც უკვე გითხარით, იგი ანგელოზებმა მიატოვეს. პრეზიდიუმის მინით გადახურულ ეზოში დაკავებულები ჩამოჰყავთ, მერე ვიწრო კიბით ზემოთ, გრძელ და ფართო დერეფნებში აჰყავთ. ქალებს ცალკე ათავსებენ. მათ, ვისაც დოკუმენტები წესრიგში აქვთ, პოლიციელების კორდონი უნდა გაიარონ. ისინი თითოეულს თავიდან ფეხებამდე ჩხრეკენ, უსინჯავენ მკერდს, შარვლებს, ფეხსაცმელებში უძვრებიან, კაცები იცინიან, დერეფანში ჭყლეტაა, ისმის ლანძღვა-გინება. და თუ დაკავებულს, საეჭვო ნივთი არ აღმოაჩნდება, უშვებენ. ახალგაზრდა კომისარი და სხვა ჩინოვნიკები წინ და უკან დადიან. ისინი ხალხს ამშვიდებენ, სთხოვენ, არ ინერვიულოთ, ცოტა კიდევ მოითმინეთო. ყველა გასასვლელთან შუპოები დგანან, დაკავებულებს გამცილებლის გარეშე ტუალეტშიც კი არ უშვებენ.

კანცელარიაში, მაგიდებთან ჩინოვნიკები სხედან, მათ სამოქალაქო ტანსაცმელი აცვიათ. ისინი მოქალაქეებს დოკუმენტებს უსინჯავენ. რა თქმა უნდა, თუკი აღმოაჩნდებათ და ავსებენ ოქმებს, ბლანკების გრძელ ჩამონათვალს. ბლანკებზე შტამპია:

პოლიციაპრეზიდიუმი, მე-4 განყოფილება

დაპატიმრების დრო (დილა, შუადღე, საღამო,

ღამე). დაპატიმრების ადგილი

დანაშაულის ადგილი

სახელი და გვარი

წოდება ან პროფესია

დაბადების წელი, თვე, რიცხვი და ადგილი

საცხოვრებელი ადგილის მისამართი (მუდმივი)

(მუდმივი საცხოვრებელი არა აქვს, ზუსტი მისამართი არ მიუთითა, მითითებული მისამართი ადგილზე შემოწმებისას ყალბი აღმოჩნდა) და ა.შ.

აბა, თქვენი სახელი, გვარი, ბოლოს როდის იყავით დაპატიმრებული?

- ჯერ მე დამკითხეთ, უფროსო, სამსახურში მეჩქარება!

- მოცდა მოგიწევთ, ვიდრე მოთხოვნაზე რაიონული განყოფილება არ გვიპასუხებს.

დაკითხვა მდორედ მიმდინარეობს, ამ ჩინოვნიკებსაც ბოლოს და ბოლოს, ხომ ორი ხელი აქვთ. თანაც აქ არიან დამნაშავენი, რომლებმაც მისცეს მისამართი, რომლებზეც მათი სახელისა და გვარის ადამიანები მართლაც ცხოვრობენ, მაგრამ ზედმიწევნით შემოწმებისას გაირკვა, რომ ისინი სულ სხვა პიროვნებები არიან და ეს საბუთები ამათ მოიპარეს ან ითხოვეს, ან კიდევ სხვა დანაშაულებრივი გზით იშოვეს. ანკეტაში სხვა გრაფებიც არის (თუ აღრიცხვის ბარათი არ გააჩნია, აღინიშნოს განსაკუთრებით): საქმეს დაერთოს იმ ნივთმტკიცებებისა და საგნების სია, რომლებითაც საკუთარი თავისთვის ან სხვა ადამიანისთვის ფიზიკური ზიანის მიყენება შეიძლება: ხელჯოხები, ქოლგები, დანები, რევოლვერები, კასტეტები და ა.შ.

მოიყვანეს ფრანც ბიბერკოპფი, გათავებულია მისი საქმე. ფრანცი ჩავარდა. ერთადერთ ხელზე ფოლადის სამაჯური უკეთია, თავი ჩაუქინდრავს, ნიკაპი მისი მკერდს ებჯინება. დასაკითხად ქვემოთ, მორიგე კომისრის ოთახში შეიყვანეს, მაგრამ კაცი არ ლაპარაკობს, გაშტერებულია. მარჯვენა თვალი შესივებული და ჩასისხლიანებული აქვს. აბა, რა იქნება, იმდენი ურტყეს სახეში რეზინის ხელკეტი. ერთადერთ ხელს სახეზე ხშირად ისვამს, მაგრამ მაშინვე დაბლა უშვებს. ხელი სტკივა, ხელზეც ხომ ბევრი ურტყეს.

დაბლა ულიმღამო და მოღუშული ეზოს გავლით ქუჩაში გადიან გათავისუფლებულები, მიდიან თავიანთ გოგოებთან ხელიხელჩაკიდებული. თუ საცოლე გყავს და შენი ერთგულია... ასე მივდივართ, მივდივართ ერთად ერთი რესტორნიდან მეორეში. პროტოკოლი სწორია, ვადასტურებ, მერე იმ ჩინოვნიკის ხელმოწერა და სამსახურებრივი ნომერი, ვინც ეჭვმიტანილი დაჰკითხა. საქმე გადაგზავნილია ქ. ბერლინის ცენტრალურ სასამართლოში, განყოფილება **151**-ში.

ფრანც ბიბერკოპფი სულ ბოლოს დაჰკითხეს. რა თქმა უნდა, არ გაუთავისუფლებიათ. ამ ადამიანმა ალექსანდერშტრასეზე მდებარე ლუდხანაში შემოწმების დროს ისროლა, მას აგრეთვე ჩადენილი აქვს სისხლის სამართლის სხვა დანაშაულიც. მას შემდეგ, რაც კაცი ლუდხანაში აიყვანეს, ნახევარ საათში დადგენილ იქნა, რომ იგი ერთ-ერთი იყო

იმ რვა რეციდივისტისგან, რომელთა ძებნაც კარგა ხნის წინ გამოაცხადეს და მონაწილეობდა ძარცვაშიც კოლონიიდან გაქცეულ მცირეწლოვან დამნაშავეებთან ერთად. ასე რომ, სამართალდამცველებს ხელთ დიდი ღლავი ჩაუვარდათ. ადამიანს, რომელმაც პოლიციელს ესროლა და მერე უგრძნობლად დაეცა, გაირკვა, რომ მარჯვენა ხელი ხელოვნური ჰქონდა, ხოლო თავზე ჭაღარა პარიკი ეხურა. ამის და კიდევ აღმოჩენილი ფოტოს წყალობით დადგენილ იქნა, რომ დაპატიმრებული ნამდვილად ფრანც ბიბერკოპფი იყო. სწორედ ის ბიბერკოპფი, რომელსაც ბრალად ფრაინვალდში მეძავ ემილია პარზუნკეს მკვლელობაში თანამონაწილეობა ედება და ნასამართლებია არაგანზრახული მკვლელობისა და მაჭანკლობის გამო.

ეს სუბიექტი უკვე დიდი ხანია საცხოვრებელ ადგილზე რეგისტრაციას თავს არიდებს. ახლა ერთი ჩვენ უკვე დავაკავეთ და მეორესაც მალე დავიჭერთ, იგი ხელიდან ვერ დაგვისხლტება.

წიგნი მეცხრე

ახლა ფრანც ბიბერკოპფის მიწიერი ცხოვრების გზა გაილია. დადგა აღსასრულის ჟამი, კაცი მოტეხილია, განადგურებული. ის ბნელი ძალის ხელშია, რომელსაც სიკვდილი ჰქვია. და ფრანციც თანახმაა, ნავსაყუდელი სიკვდილის სასუფეველში პოვოს. მაგრამ სიკვდილმა უთხრა კაცს ის ყველაფერი, რასაც მასზე ფიქრობდა. ეს სრულიად მოულოდნელად, ერთობ უცნაურად მოხდა და დაჩრდილა ყველა უბედურება, რაც ამ ცხოვრებაში გადაიტანა.

სიკვდილი გულწრფელად და გულახდილად ესაუბრა. თვალები აუხილა, მის თავდაჯერებულობასა და უვიცობაზე მიუთითა. გაქრა ძველი ფრანც ბიბერკოპფი, მისი მიწიერი ცხოვრება გასრულდა.

გასრულდება ამ კაცის ცხოვრება და მის ნაცვლად იშვება ახალი ფრანც ბიბერკოპფი, სხვანაირი, ისეთი, რომ ძველი ფრანცი ახლის ფრჩხილადაც არ ეღირება. მკითხველი ფერნაცვალ კაცს აუცილებლად გაიცნობს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ახლად შობილი ფრანცი ძველის შეცდომებს აღარ გაიმეორებს.

რაინჰოლდის შავი ოთხშაბათი, მაგრამ ეს თავი შეგიძლიათ არ წაიკითხოთ

„ერთი დავიჭირეთ და მეორეც ხელიდან ვერ წაგვივა“, - პოლიციელების ეს ვარაუდი გამართლდა. თუმცა ზუსტად ასე არ მომხდარა. ამბობდნენ, მეორეც ხელიდან ვერ წაგვივაო და არ იცოდნენ, რომ იგი უკვე მათ ხელში იყო. რაინჰოლდი პოლიციაპრეზიდიუმის წითელ შენობაში გაცილებით ადრე მოხვდა, ოღონდ სხვა ოთახში დაჰკითხეს, თანაც ფრანცის დაპატიმრების მომენტში უკვე ციხეში იჯდა.

რაინჰოლდი სახვალიოდ არაფერს დებდა და ეს საქმეც სასწრაფოდ მოაგვარა. ამ ჯეელს ჭოჭმანი არ სჩვეოდა. ხომ გახსოვთ, ფრანცის მანქანიდან გადმოგდების გადაწყვეტილება ერთ წუთში რომ მიიღო. იგი რამდენიმე დღეში მიხვდა, ფრანცი რა თამაშს თამაშობდა და თავის დასაცავად ზომები მაშინვე მიიღო.

ერთ საღამოს რაინჰოლდი მოცშტრასეზე გავიდა და რას ხედავს, ყველა ბოძზე განცხადებებია გაკრული: ემილია პარზუნკეს მკვლელის მპოვნელს მთავრობა ფულად ჯილდოს ჰპირდებოდა. პირველი, რაც გაიფიქრა ის იყო, რომ ციხეში ყალბი საბუთებით აღმოჩენილიყო. ვთქვათ, ქუჩაში ვინმესთვის ჩანთა გამოეგლიჯა ან რამე ამდაგვარი. როცა საშიშროება გემუქრება, ამ დროს ყველაზე საიმედო ადგილი ციხეა. უკეთესს ვერც იპოვი. ჩანაფიქრს მეორე დღესვე შეასხა ხორცი, ოღონდ ცოტა გადააჭარბა, ნაზ ქალბატონს, რომელსაც ხელიდან ჩანთა გამოჰგლიჯა, სახეში მაგრად ლეწა. არა უშავს, ოღონდ ქალაქის სცენიდან რაც შეიძლება სწრაფად გაქრეს. პოლიციაში ჯიბიდან საბუთები ვინმე მოროშკიევიჩის, ცნობილი პოლონელი ჯიბის ქურდის სახელზე ამოუღეს, და კეთილი იყოს თქვენი მობრძანება მოაბიტის ციხეში. პოლიციაპრეზიდიუმში კი ვერც კი მიხვდნენ, მათ წინ რა გაქნილი და ვირეშმაკა ბოროტმოქმედი იჯდა. თუმცა, ამის გაგება შეიძლება, ეს ახალგაზრდა ციხეში არასოდეს მჯდარა, ბოროტმოქმედთა სახელებს კი, ვისზეც ძებნაა გამოცხადებული, ყველას ვერ დაიმახსოვრებ. სასამართლოში რაინჰოლდის საქმის განხილვამ უხმაუროდ ჩაიარა, იგი აქაც ისეთივე მორჩილი და მშვიდი იყო, როგორიც პოლიციაში. მაგრამ სასამართლომ დამამძიმებელი გარემოებები მხედველობაში მაინც მიიღო: ბრალდებული რეციდივისტია, რომელსაც პოლონეთის ხელისუფლება ეძებს. თანაც, რა თავხედობაა, გაბედა და ქალაქის ფეშენებელურ უბანში, არც აცია, არც აცხელა, და პატიოსან ქალს თავს დაესხა, მხეცურად სცემა და ხელიდან ჩანთა გამოჰგლიჯა. გაუგონარია! ჩვენ, მადლობა ღმერთს, რუსეთის პოლონეთში არა ვართ, თქვენ,

ალბათ, გეგონათ, შეგრჩებოდათ? ამიტომ გადაწყვიტეს სამაგალითოდ დაესაჯათ: მიუსაჯეს ოთხი წელი მკაცრი იზოლაციით, უფლებების ჩამორთმევა 5 წლით, სასჯელის შემდეგ კი პოლიციის ზედამხედველობა დაუწესდა და ა. შ., ჩამოართვეს კასტეტიც და საქმეს დაურთეს, სასამართლოს ხარჯების დაფარვა ბრალდებულს დააკისრეს. მერე ათი წუთით შესვენება გამოცხადდა, აქ ძალიან ათბობენ, ცხელა, ფანჯარა გამოვაღოთ, მსჯავრდადებულო, კიდევ რაიმეს თქმა ხომ არ გნებავთ?

რაინჰოლდს კი სათქმელი არაფერი ჰქონდა, - განაჩენის გადახედვაზე თხოვნის უფლება შეუნარჩუნდა, ჰოდა, საქმის ასეთი მსვლელობით ძალიან კმაყოფილია, უკვე არავისი და აღარაფრისა უნდა ეშინოდეს, ორ დღეში ყველაფერი დამთავრდა, უსიამოვნებანი წარსულში დარჩა. ჩვენ აღარაფერი გვემუქრება, ზეიმობს რაინჰოლდი, დიდი საზიზღრობა იყო, რაც მიცისა და იმ სახედარ ბიბერკოპფთან მოხდა, მაგრამ ახლა ყველაფერი კარგად არის. ჰოდა, მადლობა ღმერთს, ალილუია, ალილუია, ალილუია!

მოვლენები ასე განვითარდა: იმ დროს, როცა ფრანცი აიყვანეს და სამძებრო განყოფილებაში მიიყვანეს, რაინჰოლდი, ნამდვილი მკვლელი, უკვე ბრანდენბურგის ციხეში იჯდა, ყველასგან მიტოვებული, ყველასგან დავიწყებული და ასე რომ არ ყოფილიყო, ამ კაცს მაინც ვერავინ იპოვიდა, მთელი მსოფლიო თავდაყირა რომ დაეყენებინათ. რაც შეეხება რაინჰოლდს, სინდისი ნამდვილად არ ქენჯნიდა და ყველაფერი ისე რომ წარმართულიყო, როგორც ფიქრობდა, დღემდე იმ ციხეში იქნებოდა ან სხვა ციხეში გადაყვანის დროს გზაში გაიქცეოდა.

არადა, ამ სამყაროში ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ყველაზე იდიოტური ანდაზებიც კი ხანდახან დიდ სიმართლეს ღაღადებენ: ზის კაცი და ფიქრობს. აი, ახლა გამიმართლა, ყველაფერი კარგად არის, არადა, ჰოპ, და რაღაც აუცილებლად მოხდება! როგორ ამბობენ? „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“, ან „კოკა წყალს ყოველთვის ვერ მოიტანსო“.

ახლა კი გიამბობთ, ასეთი კონსპირაციის მიუხედავად, რაინჰოლდი მაინც როგორ აღმოაჩინეს და გაიარა ბოლო ეკლიანი გზა თავის გოლგოთამდე. და თუ ეს არ გაინტერესებთ, შეგიძლიათ მომდევნო ორი-სამი გვერდი გამოტოვოთ, ხოლო „ბერლინი, ალექსანდერპლაცში“ მოთხრობილი ამბავი ფრანც ბიბერკოპფის

ცხოვრებისა, სრული სიმართლეა, ეს ყველაფერი მართლაც მოხდა და ღირს იმად, რომ ეს წიგნი ორ-სამჯერ გადაიკითხოთ, შიგ აღწერილი მოვლენები კარგად დაიმახსოვროთ, რათა სიმართლე, თხზულების აზრი თქვენთვის თვალსაჩინო და ხელშესახები გახდეს. რაინჰოლდმა კი თავისი როლი უკვე ითამაშა, თავისი გასაკეთებელი გააკეთა. და მხოლოდ იმიტომ, რომ იმ დაუნდობელ, სასტიკ ძალას განასახიერებს, რომლის შეცვლაც ამ სამყაროში არავის ძალუძს, მინდა იგი წარმოგიდგინოთ ბოლო, სასტიკ ორთაბრძოლაში. იგი

ბოლომდე უდრეკი რჩება, კლდესავით მტკიცედ და მედგრად დგას იქ, სადაც ბიბერკოპფი ბალახის ღეროსავით მიწაზე განერთხმება. ანუ უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ფერისცვალებას განიცდის, ბუნებას იცვლის ისევე, როგორც ერთი ელემენტი კონკრეტული სხივების ზემოქმედებით სხვა ელემენტად რომ გარდაიქმნება.

ადვილი სათქმელია: ჩვენ ყველანი ადამიანები ვართ. და თუ ღმერთი მართლაც არსებობს, ჩვენ მხოლოდ კარგი და ცუდი თვისებებით კი არ განგვასხვავებს, არამედ, იმითაც, რომ თითოეულ ჩვენგანს აქვს თავისი ბუნება, ხასიათი, ცხოვრების გზა, წარმომავლობა, მისწრაფება, ჩვენ ყველანი ინდივიდუალური ვართ.

სწორედ ბედის ირონია იყო, რომ რაინჰოლდი ბრანდენბურგის ციხეში სამუშაოდ ჭილობის საქსოვ სახელოსნოში გაამწესეს, სადაც მუშაობდა ერთი პოლონელი, ოღონდ ნამდვილი და აგრეთვე ნამდვილი ჯიბის ქურდი, ერთი თავზე ხელაღებული ვინმე და თანაც ნამდვილ მოროშკიევიჩს კარგად იცნობდა. ამან, როგორც კი გვარი მოროშკიევიჩი გაიგონა, მაშინვე მისი ნახვა მოინდომა, ეგ კაცი ჩემი მეგობარიაო, განაცხადა. და როცა რაინჰოლდი დაანახვეს, გაოგნდა: ეს კაცი როგორ შეცვლილაო, გაიფიქრა. ეს ხომ შეუძლებელია. არა, საქმე რაღაც სხვაშია! და თავიდან ისე იქცეოდა, თითქოს მოროშკიევიჩს არც იცნობდა, მასზე კრინტს არ სძრავდა. ერთ დღეს კი საპირფარეშოში, სადაც პატიმრები ფარულად აბოლებდნენ ხოლმე, იგი რაინჰოლდთან მივა, ნახევარ სიგარეტს შესთავაზებს და საუბარს გაუბამს. თურმე ეს ტიპი პოლონურად ძლივს ლაპარაკობს, ამტვრევს. ეგეც შენი მოროშკიევიჩი! რაინჰოლდს პოლონურად საუბრები არ მოეწონა და ჭილობის სახელოსნოდან წასვლა გადაწყვიტა. ბნედის შეტევები დამაჯერებლად გაითამაშა და ოსტატმაც როგორც ავადმყოფი სხვა სამუშაოზე გადაიყვანა. საკნების ჩამოვლა და ჭილობების შეგროვება დაავალა. ახლა რაინჰოლდი სხვა „მეჭილობეებს“ იშვიათად ხვდებოდა. მაგრამ პოლონელმა ჯიბის ქურდმა, რომლის გვარიც დლუგა იყო, მაინც არ მოისვენა. ერთხელ რაინჰოლდი და ოსტატი საკნების ჩამოვლაზე იყვნენ. რაინჰოლდი ყვირის: ჭილობები მოგვეცით! დლუგას საკანთან შეჩერდნენ და სანამ ოსტატი ჭილობებს ითვლიდა, დლუგამ მოახერხა და რაინჰოლდს ჩასჩურჩულა, ერთ მოროშკიევიჩს ვიცნობ, ისიც ჯიბის ქურდია, ვარშავაში ცხოვრობს, შემთხვევით თქვენი ნათესავი ხომ არ არისო? რაინჰოლდი ამ შეკითხვამ ისე შეაშინა, რომ დლუგას ერთი შეკვრა

თამბაქო შეაჩეჩა და გზა ხმამაღალი ყვირილით გააგრძელა: მზა ჭილობები ჩამაბარეთ!

პოლონელს საჩუქარი გაუხარდა. თამბაქო მოსწია, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ საქმე სუფთად არ იყო და რაინჰოლდის დაშანტაჟება დაიწყო, რაღაც-რაღაცებს სძალავდა, ამ ვითომ მოროშკიევიჩს რატომღაც ფული ყოველთვის ჰქონდა. საქმე შეიძლებოდა ცუდად დამთავრებულიყო, მაგრამ თავიდან რაინჰოლდს გაუმართლა, ამ ღორმა დარტყმის აცილება მოახერხა. მან ხმა დააგდო: დლუგამ, ჩემმა თანამემამულემ, ჩემს ძველ საქმეებზე ბევრი რამ იცის და ახლა ჩემი ჩაშვება უნდაო. და აი, ერთ დღესაც სასტიკი და დაუნდობელი მუშტი-კრივი გაიმართა. რაღა თქმა უნდა, ამ ჩხუბში რაინჰოლდი აქტიურად მონაწილეობდა და პოლონელს ცხვირ-პირი დაამტვრიეს. ამის გამო იგი კარცერში ერთი კვირით ჩასვეს. გაყინული საკანი, ხოლო საწოლი და ცხელი კერძი მხოლოდ მესამე დღეს. სამაგიეროდ, როცა იქიდან გამოვიდა, გარეთ სიმშვიდე და მოთვინიერებული პოლონელი დახვდა.

მაგრამ მალე რაინჰოლდმა თავისი დასაკლავი დანა თავად გალესა. მთელი ცხოვრება მისთვის ქალებს ბედნიერება და უბედურება მოჰქონდათ. ამჯერადაც კისერი სიყვარულმა წაატეხინა.

ის, რაც დლუგასთან შეემთხვა, რაინჰოლდმა ვერა და ვერ მოინელა. ზიხარ აქ მთელი დღეების განმავლობაში სრულიად მარტოდმარტო, ნებისმიერი ვიგინდარა დაგცინის, კარგი არაფერი ხდება. ასეთი ფიქრები მოსვენებას არ აძლევს, დროთა განმავლობაში უფრო და უფრო ტანჯავს, იბოღმება, ღელავს, ბოლოს სულ გიჟდება და იმაზე იწყებს ფიქრს, დლუგას ყელი როგორ გამოსჭრას. სწორედ ამ დროს უახლოვდება ერთ ახალგაზრდას, მძარცველს, ბრანდენბურგში იგიც პირველად ზის და პატიმრობის ვადა მარტში უთავდება. ეს ორი ერთმანეთთან თამბაქოს მაქინაციებმა და დლუგასადმი სიძულვილმა დააახლოვა, ამ ტიპს ხმაშეწყობილი ლანძღავენ. მერე გულითადი და ნამდვილი მეგობრები ხდებიან და ერთმანეთისადმი ნაზი გრძნობებით იმსჭვალებიან. მსგავსი რამ რაინჰოლდს არასოდეს განუცდია, სიყვარულის ობიექტი, მართალია, ქალი არ არის, ბიჭია, მაგრამ მასთან ყოფნა ძალიან სასიამოვნოა, მეტიც, დიდებული. ცხოვრებამ ბრანდენბურგში აზრი შეიძინა და ხარობს რაინჰოლდი, რომ დლუგასთან დაკავშირებულ დაწყევლილ ამბებს ასეთი კარგი რამ მოჰყვა. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ბიჭს პატიმრობის ვადა მალე უმთავრდება.

- მე კი პატიმრის შავი ტილოს ქუდისა და ყავისფერი ქურთუკის ტარება დიდხანს მომიწევს. შენ წახვალ, მე კი აქ დავრჩები, და მაშინვე დამივიწყებ, კონრად, ჩემო ბიჭო!

ახალგაზრდას კონრადი ჰქვია, ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობს, მეკლენბურგელია და ყველა მონაცემი აქვს, რომ დროთა განმავლობაში ნამდვილ ბანდიტად ჩამოყალიბდეს. იმ ორიდან,

ვისთან ერთადაც პომერანიაში სახლებსა და საწყობებს ძარცვავდა, ერთ-ერთს ათი წელი მიუსაჯეს და სასჯელს აქ ბრანდენბურგში იხდის.

და აი, საბედისწერო შავ ოთხშაბათს, კონრადის გათავისუფლების წინა საღამოს, ისინი სიყვარულს საერთო საკანში ეძლევიან. რაინჰოლდს იმის გაფიქრებაზე, რომ ისევ მარტო დარჩება და გვერდით არავინ ეყოლება, ცეცხლი ეკიდება.

- იქნებ სხვა ვინმე გამოჩნდეს, რაინჰოლდ, იქნებ ვერდერში ან კიდევ სადმე სხვაგან მინდვრებში სამუშაოდ გაგგზავნონ, - ეუბნება კონრადი.

მაგრამ რაინჰოლდი ვერა და ვერ მშვიდდება. მთელ სამყაროზეა გაბრაზებული, ვერ ხვდება, ასე რატომ ისჯება. ფიქრობს: ყველაფერი, რაც მჭირს, იმ ძუკნა მიცისა და რეგვენი ფრანც ბიბერკოპფის ბრალია! წყეული იდიოტები! ეგენი რომ არა, გარეთ ბატონივით ვიცხოვრებდი. ახლა კი აქ ამ ჭკუასუსტებთან ვზივარ და გამოსავალს ვერ ვხედავ! ლამის გაგიჟდეს, ნერვიულობს, კონრადს დაჟინებით სთხოვს, თან წამიყვანე, შენთან ერთად წამოვალო! წუწუნებს, ოხრავს. კონრადი კი როგორც შეუძლია, ამშვიდებს: - აბა, რას ამბობ, ეს წარმოუდგენელია, აქედან ვერ გაიქცევი, ეს ბევრმა სცადა, მაგრამ ამაოდ.

მათ ორიოდე დღის წინ სადურგლოში ათისთავს ერთი პატარა ბოთლი სპირტი გამოართვეს. ახლა კონრადმა ბოთლი რაინჰოლდს გაუწოდა, იმან დალია, კონრადმაც მოსვა. არა, გაქცევა სრულიად წარმოუდგენელია, აი, რამდენიმე დღის წინ ორნი გაიქცნენ, უფრო სწორად, გაქცევა სცადეს, ერთმა მათგანმა ნოიენდორფერშტრასემდე მიაღწია და ის-ის იყო ფორანზე შეჯდომას აპირებდა, რომ პატრულმა შეამჩნია და აიყვანა. სულ დასისხლიანებული იყო, ხელები დაესერა იმ მინის ნამსხვრევებზე, კედლის თავზე რომ არის ჩარჭობილი. ლაზარეთში დააწვინეს და არავინ იცის, ხელებზე ჭრილობები შეუხორცდება თუ არა. მეორე კი უფრო ჭკვიანი გამოდგა, ხელით როგორც კი შუშის წვეროებს შეეხო, მაშინვე უკან, ეზოში ჩამოხტა.

- რაინჰოლდ, ვერ გაიქცევი, არ გამოგივა!

რაინჰოლდმა ხალისი სულ დაკარგა, ცხვირ-პირი ჩამოსტირის. ფიქრისაც კი ეშინია, ამ ჯურღმულში ოთხი წელი უნდა გაატაროს და რისთვის? მოცშტრასეზე ცელქობისა და კიდევ იმ საზიზღარი მიცისა და ხეპრე ფრანცის გამო? მაგრამ როგორც კი

ბოთლიდან სპირტი მოსვა, მაშინვე გუნება გამოუსწორდა. გულზე მოეშვა. კონრადის ნივთები უკვე შეკრულია, ფუთაზე ზემოდან დანა დევს, შემოწმება უკვე იყო, კარი გასაღებით არის ჩაკეტილი, ტახტები დაშვებულია. მეგობრები კონრადის ტახტზე სხედან, ჩურჩულებენ. რაინჰოლდი ცუდ გუნებაზეა:

- ძმაო, გეტყვი, ბერლინში ვისთან მიხვიდე. აქედან გახვალ თუ არა, პირდაპირ ჩემს საცოლესთან მიდი, თუმცა, ეშმაკმა იცის, ის ახლა ჩემი საცოლეა თუ ვინმე სხვისი. მისამართს მოგცემ. მერე კი შემატყობინე, იქ რა ხდება. ერთი სიტყვით, თავად გაერკვევი საქმის ვითარებაში. ისიც გაიგე, ჩემს საქმეზე აურზაური ჩაწყნარდა თუ არა, ხომ იცი, დლუგამ რაღაცა იყნოსა. ბერლინში ერთ ჯეელს ვიცნობდი, მოსულელო ტიპს, გვარად ბიბერკოპფს, ფრანც ბიბერკოპფს...

და ჩურჩულებს რაინჰოლდი, უყვება ამბებს და კონრადს ძლიერად იკრავს გულში, იგი კი სმენად ქცეული, ყველაფერზე კვერს უკრავს და უკვე სექს-და-სულიერი მეგობრის საგმირო თავგადასავლები დაწვრილებით იცის. გულახდილობის მომენტში რაინჰოლდი ცუდად ხდება, ღრიალებს, ტირის, ბოღმა და ჯავრი ახრჩობს, თავის დაბადების დღესა და ბედს წყევლის: უძლურია, არაფრის გაკეთება არ შეუძლია, გამომწყვდეულია აქ, როგორც სათაგურში! კონრადი ამშვიდებს, ოთხი წელი არც ისე ბევრია, დრო სწრაფად გარბისო, მაგრამ რაინჰოლდს ამის გაგონებაც არ უნდა. არა, ამ კედლებში დიდხანს ცხოვრება არ შეუძლია, ვერ გაძლებს, მოკვდება! ერთი სიტყვით, ციხის ისტერიკა დაემართა. კონრადი იძულებული გახდა, მეგობრისთვის ტანსაცმელი გაეხადა და ლოგინში ჩაეწვინა.

ეს ყველაფერი შავ ოთხშაბათს ხდება, პარასკევს კი კონრადი უკვე ბერლინში რაინჰოლდის საცოლეს ეწვია. ქალი მას გულთბილად ხვდება. მის ნაამბობს ციხეში ცხოვრებაზე მთელი დღე უსმენს, დამშვიდობებისას კი ფულსაც აძლევს. ეს პარასკევი იყო. ორშაბათს კი რაინჰოლდის ადგილსამყოფელი გაიშიფრა.

კონრადი ზეეშტრასეზე შემთხვევით ხვდება ერთ მეგობარს, ვისთანაც ერთად ძნელად აღსაზრდელთა თავშესაფარში ცხოვრობდა. ახლა იგი უმუშევარია. საუბარში კონრადმა წაიტრაბახა, ციხეში კარგად ვცხოვრობდიო და დასტურად მეგობარი ლუდხანაში დაპატიჟა, გაუმასპინძლდა, მერე კი გოგოებთან ერთად კინოში მიდიან. კონრადი ენას არ აჩერებს, ბრანდენბურგზე დაუჯერებელ ისტორიებს ჰყვება. გოგოებს

თავი რომ დააღწიეს, ბიჭებმა კიდევ ლამის დილამდე ილაპარაკეს. ეს იყო ორშაბათ ღამეს და კონრადმა ყველაფერი დაფქვა: თუ ვინ არის რაინჰოლდი, რატომ გამოიცვალა გვარი და გახდა მოროშკიევიჩი. და რომ მაგარი ვინმეა,

მაგისთანას გარეთ ვერ შეხვდები, რაინჰოლდს პოლიცია მძიმე დანაშაულის გამო ეძებს, მგონი, მაგის მპოვნელზე დიდი ჯილდოა დაწესებული. ეს თქვა თუ არა, კონრადმა მაშინვე ენაზე იკბინა, მიხვდა, რომ სისულელე წამოროშა, ჩაუშვა კაცი. მაგრამ მისი მეგობარი იფიცება და არწმუნებს, რომ არსად არაფერს იტყვის, ჩუმად იქნება: ეგ როგორ შეიძლება, ვინ გგონივარ და ამისმაგვარი ბევრი სხვა. დუმილის საფასურად კონრადმა მას კიდევ 10 მარკა აჩუქა.

სამშაბათი გათენდა და კონრადის მეგობარი უკვე პოლიციაპრეზიდიუმის ვესტიბიულში დგას და ძებნილთა განცხადებებს კითხულობს. იმ ტიპს, რა გვარია, რაინჰოლდი, მართლა ეძებენ თუ იხუმრა კონრადმა? მპოვნელზე ჯილდო მართლა არის დაწესებული? და როცა გვარი რაინჰოლდი წაიკითხა, მოულოდნელობისგან კინაღამ გაგიჟდა, საკუთარ თვალებს არ უჯერებს. ღმერთო ჩემო, მეძავი პარზუნკეს მკვლელობა ფრაიენვალდში, მაგრამ ნამდვილად ის რაინჰოლდია, რომელმაც ის გოგო მოკლა? ჯილდო - 1000 მარკა! თანხის რაოდენობამ გააოგნა. მაშინვე თავის მეგობარ გოგოსთან გაიქცა და შუადღეზე ორივენი ერთად პოლიციაში წავიდნენ. გზად გოგომ უთხრა, კონრადს შევხვდი და შენზე მკითხა, ხომ არ გინახავსო. ეტყობა, იგრძნო, რომ რაღაცა ცუდი ხდებოდა.

- ახლა რა ვქნათ, განვაცხადოთ თუ არა?

- მაგას რა კითხვა უნდა, რა თქმა უნდა, განვაცხადოთ, ეგ კაცი ხომ მკვლელია, თანაც, შენი ვინ არის, მეგობარი თუ ნათესავი? არც კი იცნობ!

- მერე კონრადი?

- რა, კონრადი? დიდი ამბავი! მაგას, ღმერთმა იცის, კიდევ როდის შევხვდები, ან საიდან უნდა გაიგოს, რომ შენ განაცხადე. თანაც, როგორია, წარმოიდგინე 1000 მარკა. უმუშევარი ხარ და თანაც ორჭოფობ, 1000 მარკა აიღო თუ არ აიღო.

- ვაითუ, ეგ ის არ არის?

- კარგი. წავიდეთ და იქ გავიგებთ, ის არის თუ არა.

და კონრადის მეგობარმა მორიგე კომისარს რაც იცოდა, მოკლედ და გასაგებად აცნობა: მოროშკიევიჩი, რაინჰოლდი, ბრანდენბურგი! ეს საიდან იცოდა, არ უთქვამს. და რადგანაც საბუთები არ ჰქონდათ, კონრადის მეგობარსა და მის გოგოს საქმის

გარკვევამდე პოლიციაში მოუწიათ ჯდომამ, მაგრამ მალე ყველაფერი მოგვარდა.

და, როცა შაბათს კონრადი ბრანდენბურგში რაინჰოლდის სანახავად გაემგზავრა, რათა მისთვის საცოლისა და პუმსისგან ახალი ამბები გადაეცა, ამ დროს კუპეში სკამზე დაგდებული გაზეთი დაინახა, ეტყობა, ვიღაცას დარჩა. ეს ძველი გაზეთი იყო, ხუთშაბათ საღამოსი. უყურებს კონრადი და პირველ გვერდზე მსხვილი ასოებით დაწერილ სათაურს კითხულობს. ფრაიენვალდელი მკვლელი დაკავებულია! იგი ციხეში სხვა გვარით იმალებოდა.

კონრადის ფეხქვეშ ბორბლები აგრუხუნდნენ, ლიანდაგები ერთმანეთს ეხეთქებიან, ვაგონი ირყევა: ეს რა გაზეთია, რომელი რიცხვის? - „ლოკალანცაიგერი“ ხუთშაბათი, საღამოს გამოშვება.

- მიაგნეს, ესე იგი! ის კი არა, მისი ბერლინში გადაყვანაც კი მოუსწრიათ. ეს ჩემი ბრალია, ჩემი. მე ჩავუშვი!

ქალებსა და სიყვარულს რაინჰოლდისთვის მთელი ცხოვრების განმავლობაში ბედნიერება და უბედურება მოჰქონდა. და ამჯერადაც სიყვარულმა დაღუპა. ეს დასასრულია! იგი ბერლინში გადაიყვანეს, გზაში ცოფიანივით იქცეოდა. კიდევ ცოტაც და, მასაც იმ დაწესებულებაში გაამწესებენ, სადაც მისი ყოფილი მეგობარი ბიბერკოპფი ზის.

და აი, ახლა ოდნავ დამშვიდებული მოაბიტში ზის და ელოდება, მოვლენები როგორ განვითარდება და ფრანც ბიბერკოპფი რას მოიმოქმედებს. ხომ ამბობენ, რომ ეს კაცი მისი თანამზრახველი თუ წამქეზებელი იყო და საერთოდ, არავინ იცის, ბიბერკოპფს რა ელის.

ბუხის ფსიქიატრიული საავადმყოფო. პატიმართა ბარაკი

პოლიციაპრეზიდიუმის საპატიმროში ჯერ ეგონათ, ფრანც ბიბერკოპფი სიმულანტობდა. იცის, ჩადენილი დანაშაულისთვის შეიძლება, რომ თავად ზღოს, ჰოდა, სიგიჟე მოიგონა. მერე პატიმარი ექიმმა გასინჯა და მოაბიტის ციხის ლაზარეთში გაამწესა. მაგრამ სიტყვა იქაც ვერ ათქმევინეს. ჩანს, კაცი მართლაც გაგიჟდა.

გაუნძრევლად წევს, თვალებს იშვიათად ახამხამებს. ორი დღეა, საკვებზე უარს ამბობს, და იგი ბუხის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, პატიმართა ბარაკში

გადაიყვანეს. ეს კარგი გადაწყვეტილებაა, ამ ადამიანს გამოკვლევა, ასე თუ ისე, ხომ უნდა ჩაუტარდეს.

ფრანცს იზოლატორში ათავსებენ, რადგანაც დღისითაც და ღამითაც ერთიანად შიშველი წევს, საბანს საწოლიდან აგდებს, პერანგს ტანიდან იგლეჯს. რამდენიმე კვირის განმავლობაში ეს ერთადერთი გამოვლინებაა, რაც ექიმებს აფიქრებინებს, რომ ბიბერკოპფი ჯერ კიდევ ცოცხალია: თვალები დახუჭული აქვს, უმოძრაოდ წევს, საკვებს არ იღებს, ხელოვნურად კვებავენ, ზონდით: რძით, კვერცხითა და ცოტაოდენი კონიაკით. დროთა განმავლობაში ასეთი კვებისგან ეს ბრგე მამაკაცი თვალსა და ხელშუა დნება, ისე, რომ ახლა სანიტარს სააბაზანოში სხვის დაუხმარებლად, ხელში აყვანილი მიჰყავს. აბაზანის მიღება ფრანცს სიამოვნებს, წყალში რომ წევს, ბუტბუტებს ხოლმე, თვალებს ახელს, კვნესის, მაგრამ მისი არავის არაფერი ესმის.

ფსიქიატრიული დაწესებულება სოფელ ბუხიდან ოდნავ მოშორებით დგას. ციხის საავადმყოფო, პირქუში, მყარი შენობა, იმ შენობებისგან, სადაც მკურნალობენ ჩვეულებრივი მოკვდავნი, ისეთები, რომლებსაც არაფერი დაუშავებიათ, განცალკევებით დგას, უშენ, ღია, სრულიად მოტიტვლებულ ადგილას. ამ შენობას თავს ესხმის დღითა და ღამით ქარი, წვიმა, თოვლი. ირგვლივ არა ქუჩები, არა სახლები, აქ მხოლოდ რამდენიმე ხე, ბუჩქი და ორიოდე სატელეგრაფო ბოძი დგას. წვიმას, თოვლსა და ქარს არაფერი აკავებს. გზას არ უღობავს.

ვუუმმ, ვუუმმ, ქარმა მკერდი გაშალა, ჩაისუნთქა და ამოისუნთქა როგორც კასრიდან. ყველა ამოსუნთქვა მომსკდარ მთასავით დიდია და ძლიერი, მოგორავს მთა, ციხის ფსიქიატრიულის შენობას ეხეთქება, ღრიალებს, ბრახუნობს. ვუუმმ, ვუუმმ, ირხევიან ხეები. ქარი ხეების რხევას ფეხს ვერ უწყობს. იგი მარჯვნივ გარბის, ხეები კი მარცხნივ იხრებიან. ქარი ისევ აბობოქრდება და ღრჭიალებენ და იმსხვრევიან ხეები. ქარი თითქოს ძლიერი მოქნევით მძიმე გორებს ისვრის: კვნესის ჰაერი, ღრჭიალი, გრუხუნი ისმის, ვუუმმ, ვუუმმ, შენი ვარ, სადა ხარ, სადა ხარ? ირგვლივ კი ღამე შავ, გაუმჭვირვალე ფარდასავით ჰკიდია.

ფრანცს ესმის, რომ ეძახიან. ვუუმმ, ვუუმმ, დათარეშობს ქარი, ცოტა ხანს მაინც ჩადგებოდეს. სანიტარი კი თავის მაგიდასთან ზის და წიგნს კითხულობს? ვხედავ, რომ ქარიშხლის ღმუილი არ აფრთხობს. აქ წოლა ძალიან გამიგრძელდა. როგორ

დამდევდნენ, ჩემზე ნადირობდნენ, ეს წყეული ნადირობა, სიცოცხლე გამიმწარეს, მომტეხეს ხელი, ფეხები, ხერხემალი დამიმსხვრიეს. ვუუმმ, ვუუმმ, ვუუმმ, იღმუვლოს რამდენიც უნდა. აქ უკვე დიდი ხანია ვწევარ და ვეღარც ავდგები, მე, ფრანც ბიბერკოპფი, ვერასოდეს ავდგები. ფრანც ბიბერკოპფს ფეხზე საშინელი სამსჯავროს საყვირებიც კი ვერ წამოაყენებენ. იყვირონ, რამდენიც უნდათ, ეს ექიმები თავიანთი ზონდით მაინც ვერაფერს მიაღწევენ, ამაოა მათი ძალისხმევა, ახლა ზონდი ცხვირიდან შეჰყავთ, რადგანაც პირს ვერ მაღებინებენ. მაგრამ ერთხელაც იქნება, შიმშილით მაინც მოვკვდები და ამას ხელს ვერავითარი მედიცინა ვერ შეუშლის. რაც უნდათ, ის გააკეთონ.

სიცოცხლე მომიწამლეს, თავბედი მაწყევლინეს ამ არამზადებმა, მაგრამ ეს ყველაფერი წარსულში დარჩა. ერთი ნახე, სანიტარი ლიტრიანი კათხით ლუდს სვამს, დალია, სასმისი დადგა და აი, ესეც წარსულს ჩაჰბარდა. ამანაც გაიარა. ისე, როგორც ამქვეყნად სხვა ყველაფერი გადის.

ვუუმმ, ვუუმმ, დარტყმა, დარტყმა დარტყმაზე, ვუუმმ და ქარიშხალი კარიბჭეს ეხეთქება, მის წაქცევას ლამობს. ბრიალითა და ღრიალით მოფრინავენ ქარიშხლის მბრძანებლები. და მთელი ღამის განმავლობაში ერთი და იმავეს ამბობენ: როგორმე კედლები დავლეწოთ, როგორმე ფრანცი გავაღვიძოთ! ნუ გეშინია, ფრანც, ცუდს არაფერს გაგიკეთებთ, ხელებს და ფეხებს არ დაგამტვრევთ, მაგ სახლიდან გამოგიყვანთ, თორემ სქელია მაგ სახლის კედლები და ჩვენი ძახილი არ გესმის, და როცა გარეთ აღმოჩნდები, დაგვინახავ და მიცის ყვირილსაც გაიგებ. ის შენ გეძახის, შველას გთხოვს და მაშინ გალღვება შენი ყინულად ქცეული გული, გაიღვიძებს შენში სინდისი, გამხნევდება სული შენი, თორემ რას ჰგავს ეს, ვეღარ გცნობთ, საკუთარ თავს აღარ ჰგავხარ, არ ვიცით, როგორ გიშველოთ. ნაჯახს თუ დაარტყამ, გამხმარი ხეც კი აკვნესდება. შენ კი? თითქოს გაშეშდი, საკუთარ მწუხარებას ჩაეყინე, - თითქოს თვალები დაგევსო და ყურები დაგეცო. ვერაფერს ხედავ, არაფერი გესმის. ეს საშინელებაა, ფრანც! არ დავთმოთ, ძმებო, ჩვენსას მივაღწიოთ, შევცვივდეთ ამ სახლში, დავლეწოთ კედლები, დავამსხვრიოთ ფანჯრები, მოვგლიჯოთ სახურავი და როცა დაგვინახავს, მაშინ გაიგონებს, მიცი სიკვდილის წინ როგორ კიოდა, საყვარელ მამაკაცს შველას როგორ სთხოვდა. და მიცის ძახილზე აღდგება იგი, და მიხვდება, თუ

რა დაემართა. უნდა შევაჯანჯღაროთ, ძმებო, შიში კიდევ ერთხელ განვაცდევინოთ და საწოლიდან წამოვაყენოთ.

და პატიმართა სამკურნალო კორპუსს თავს მთელი ღამის განმავლობაში დასტრიალებენ ქარიშხლის მბრძანებლები.

- საბანს გადავხდი! - ყვირის ერთი.

- საწოლიდან გადმოვაგდებ! - მხარს უბამს მეორე.

- მე კი სანიტარს მაგიდიდან წიგნსა და ლუდს ავწაპნი! - იმუქრება მესამე.

- ჩვენ კი ნათურას გავტეხთ, სადენებს დავგლეჯთ, ერთიც ვნახოთ და ცეცხლი ავარდეს, საგიჟეთი დაიწვება. პატიმართა კორპუსიც დაიწვება! - ბობოქრობენ სხვები.

ფრანცმა კი ყურები დაიცო, გაირინდა, წევს და არ ინძრევა. მიიკლაკნება დრო. დღე - ღამე, ღამე -
დღე, პატიმართა საავადმყოფოს ფანჯრებში ხან მზე იჭყიტება, ხან სახურავზე წვიმა აწკაპუნდება.

* * *

კედელთან სოფლელი გოგონა დგას დასანიტარს ელაპარაკება.

- რა, მემჩნევა, რომ ვიტირე?

- არა, ოღონდ ცალი ლოყა გაქვს ოდნავ შესივებული.

- ლოყა კი არა, მთელი სახე გამისივდა, კეფაც მტკივა.

გოგონამ წაისლუკუნა და ცხვირსახოცის ამოსაღებად ხელი ჩანთაში ჩაყო, სახე კი ისე შეეჭმუხნა, თითქოს რაღაც მჟავე ჩაიდო პირში.

- ასეთი რა ვქენი? საფუნთუშეში პურის საყიდლად მივედი, გამყიდველი გოგო ჩემი ნაცნობია და ვკითხე, დღეს რას აკეთებ-მეთქი. მიპასუხა: მეფუნთუშეები და ხაბაზები მეჯლისს აწყობენ და იქ მივდივარო. სახლში ჯდომა ისე მომწყინდა, თანაც ისეთი საზიზღარი ამინდია, რომ გარეთ ცხვირს ვერ გაყოფ. ჩემს ნაცნობ გოგონას კი ზედმეტი მოსაწვევი ჰქონდა და დამპატიჟა. ამას ყველა ხომ არ გააკეთებს, არა?

- არა, რა თქმა უნდა!

- აბა, ერთი ჩემი მშობლებისთვის მოგესმინა, განსაკუთრებით დედაჩემმა გაახურა: არ გაგიშვებ და მორჩა. აბა, გაბედე და წადიო! - მიყვიროდა. რატომ, იქ ხომ წესიერი ადამიანები არიან და ხანდახან გართობა მეც ხომ მინდა-მეთქი, - შევეპასუხე. დედა კი ისევ უარზეა: არა, არ გაგიშვებ. ასეთ ცუდ ამინდში სად უნდა წახვიდე, თანაც მამაშენი შეუძლოდ არისო. მე კი ვუთხარი, მაინც წავალ-მეთქი! და ამ დროს თმაში მწვდა და ცემა დამიწყო. ხომ ხედავ, რა დღეში ჩამაგდო! განა ასე შეიძლება?

გოგო აქვითინდა:

- თავი მისკდება. მიბრძანა, კეთილი ინებე და შინ იჯექიო. ჩემი აზრით, ეს მეტისმეტია. ვერ გამიგია, რატომ არ უნდა წავიდე, უკვე ოცი წლის ვარ. დედამ მითხრა, შაბათობითა და კვირაობით ისედაც საკმარისად სეირნობო, მაგრამ ჩემი ბრალი ხომ არ არის, რომ იმ გოგოს მოსაწვევი ხუთშაბათისთვის ჰქონდა.

- ცხვირსახოცი ხომ არ მოგცეთ?

- აი, უკვე ექვსი ცხვირსახოცი დავასველე, თან სურდოც მაქვს. აბა, რა იქნება, მთელი დღე ვტიროდი. იმ ჩემს ნაცნობ გამყიდველს რა უნდა ვუთხრა. ასეთი ლოყით მეჯლისზე კი არა, საფუნთუშეშიც ვერ მივალ. არადა, წასვლა ისე მინდოდა, ცოტას გავერთობოდი. ყველა უბედურება ჩემს თავს ხდება. აი, თქვენი ამხანაგი ზეპის არ იყოს: მივწერე, რომ ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდა. იმან კი არ მიპასუხა: ესე იგი, მართლაც ყველაფერი დამთავრდა.

- ეგ ბიჭი დაივიწყეთ, მიაფურთხეთ. ეგ უკვე სხვა გოგოს ხვდება. ყოველ ოთხშაბათს ქალაქში იმ გოგოსთან მიემგზავრება.

- და რა ვქნა, თუკი ზეპი მომწონს? აი, სწორედ მაგიტომ მინდოდა მეჯლისზე წასვლა. გავერთობოდი და იქნებ დამვიწყებოდა...

* * *

ფრანცთან საწოლზე ლოთობისგან ცხვირგაწითლებული მოხუცი ჩამოჯდა:

- მისმინე, ძმაო, ბოლოს და ბოლოს, გახსენი ეგ შენი გუდა და ყური მაინც დამიგდე. ფილოსოფოსობა მეც მიყვარს. როგორც ინგლისელები ამბობენ. „**Home, sweet home**“**[35]** ჩემთვის ტკბილი სახლი მიწის ქვეშ არის. რადგან მიწის ზემოთ სახლი არ გამაჩნია, მაშინ კეთილი ინებონ და დამასაფლავონ. ამ მიკროცეფალებს უნდათ, ტროგლოდიტად მაქციონ, გამოქვაბულში მცხოვრებ არსებად, და იმ გამოქვაბულში ცხოვრება მაიძულონ. ხომ იცი, ტროგლოდიტი რაც არის, ეს მე და შენ ვართ. აი, ის როგორ არის?

„აღსდეგ, ყოველი მხრის
მუშავ! გაიღვიძე,
პროლეტარო!
ჩვენვე უნდა მოვუპოვოთ
ჩვენს თავს აწ დრო
სანეტარო!“ ეს ხომ
ჩვენზეა, გესმის?
„მოცლილ ხალხის
მუქთახორას, ამქვეყნად რომ
დაწანწალებს, ნამუშევარს
სტაცებს ღარიბს
და უკიდებს გულში
ალებს“. აი, კიდევ:
„უნდა დავსცეთ თავზე მეხი,
გაურჯელად ვინც ნეტარებს!..
გაუმარჯოს მხოლოდ შრომას,
მუშებსა და
პროლეტარებს!..“[36]

მე, ძმაო, თვითნასწავლი ვარ, რაც ვიცი, იქამდე, ჩემი ჭკუა-გონებით მივედი, ციხეებსა და სიმაგრეებში. ახლა კი აქ ჩამსვეს, ხალხს ჩაგრავენ და აბრიყვებენ. მე მათთვის საშიში ვარ, იმიტომ, რომ თავისუფლად მოაზროვნე ადამიანი გახლავართ. და ეს სიმართლეა. შემხედავს მავანი და იტყვის, ასეთი ადამიანი ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამსო. მაგრამ, ძმაო, თუ გამაბრაზებენ, მაშინ მიფრთხილდეს ყველა!

კოლეგა, თვალები ოდნავ მაინც გაახილე, თორემ არ ვიცი, მისმენ თუ არა. აი, ასე, საკმარისია, ნუ გეშინია, არავის ვეტყვი. ასეთი მაინც რა ჩაიდინე? ამ ტირანებიდან რომელიმე მოკალი? აბა, მოდი, ვიმღეროთ. სიკვდილი ჯალათებს, ჩვენს მტრებს! შენ წევხარ და წევხარ, მე კი მთელი ღამე თვალი ვერ მოვხუჭე, გარეთ ავდარმა იმძლავრა, ვუუმმ, ვუუმმ, ღმუოდა ქარი. შემეშინდა, ჩვენი სამყოფელი ნამსხვრევებად არ ექცია. ისე, კარგი კი იქნებოდა! აი, ვიწექი და მთელი ღამე იმას ვითვლიდი, დედამიწა ერთ

წუთში მზის ირგვლივ რამდენ წრეს არტყამს. ვითვლიდი და ვითვლიდი. და ჩემი გამოთვლით გამოვიდა, რომ 28-ჯერ. და უცებ მომეჩვენა, რომ გვერდით ჩემი დედაბერი მიწევს. მე ვაღვიძებ, ის კი მეუბნება: მოხუცო, ოღონდ შენ არ გაბრაზდე, მაგრამ ეს მხოლოდ სიზმარი იყოო. აქ კი იმიტომ აღმოვჩნდი, რომ ვსვამ და როცა დავლევ, უმართავი ვხდები, საშინელი ბრაზი მიპყრობს! მართალია, საკუთარ თავზე ვბრაზობ, მაგრამ მთვრალს ჯობს ნურავინ გამეკარება. ირგვლივ ყველაფერს ვანგრევ და ვგლეჯ, თავს ვკარგავ. ერთხელ ასე გალეშილი ხაზინაში პენსიის ასაღებად წავედი. კანცელარიაში შევიხედე, ვხედავ, მუქთახორები სხედან, ერთმანეთს ეკინკლავებიან და თავი დიდ ბატონებად მოაქვთ. მე კი კარი შევგლიჯე და იმათ ყვირილი დავუწყე. მეკითხებიან, ვინ ხარ და რა გინდაო. მე კი პასუხის ნაცვლად მუშტი მთელი ძალით მაგიდაზე დავკარი. ვყვირი: „თქვენთან ლაპარაკი საერთოდ არ მინდა“. ისინი კი: „ვისთან გვაქვს საუბრის პატივი?“ მე კი ისევ ვყვირი. „ჩემი გვარია შეგელი, გთხოვთ, ტელეფონების წიგნი მომცეთ, სამმართველოს უფროსთან ლაპარაკი მსურს“. მერე კი იქაურობა დავარბიე, ყველაფერი დავამსხვრიე და იმ უქნარებიდან ორს კარგად ვუთაქე.

* * *

ვუუმმ, ვუუმმ, ქარიშხალი კარიბჭეს უტევს, მის შემოგლეჯას ლამობს! გრუხუნი, ჭახანი, ტკაცანი, გუგუნი... აბა, სად არის, სად არის ეგ ბიბერკოპფი, სად არის ეგ საფრთხობელა? მიიმალა და ელოდება, თოვლი როდის მოვა? ჰგონია, თოვლი შეგვაშინებს, წავალთ და უკან აღარ დავბრუნდებით? ერთი ამას დამიხედეთ, ფიქრობს ბიჭი! მაგრამ საინტერესოა, რითი? თავი ხომ ცარიელი აქვს? არადა, ისევ ჯიუტობს, გამოსვლა არ უნდა! დაგვაცადე, გაჩვენებთ სეირს, ჩვენ რკინის ძვლები გვაქვს, ეეერთი, ოორი, აბა, ყველამ ერთად კიდევ ერთხელ შევუტიოთ! ბაბახ! რაღაც გასკდა, გაიბზარა, ნებდება კარიბჭე, ჩამოიქცა და მის ადგილზე ერთი გრძელი, პირდაღებული ორმო რჩება. და აი, ქარიშხლის გუგუნში უცებ დარტყმის უცნაური ხმა გაისმა, თითქოს მავანი ურროს ურტყამს, უფრო და უფრო ხმამაღლა, ხმამაღლა. წითელ ცხოველზე ამხედრებული ქალი თავს ატრიალებს, ცხოველს შვიდი თავი და ათი რქა აქვს. ქალი ხორხოცობს, ხელში სასმისი უკავია და ფრანცს თვალს არ აშორებს. აი, სასმისი ასწია, ქარიშხლის მბრძანებლების სადღეგრძელოს სვამს და ისევ ხორხოცობს: ბატონებო, ამაოდ დაშვრებით, ამ

კაცის გამო თავის შეწუხება არ ღირს. იგი ხომ მხოლოდ ძვალი და ტყავია და თანაც ცალი ხელი აქვს. ღმერთს სულს თქვენს დაუხმარებლადაც მიაბარებს, უკვე ცივდება, საწოლში სათბურას უდებენ. სისხლი მისი უკვე თითქმის ბოლომდე შევსვი, მის სხეულში სისხლი სულ ცოტაღა დარჩა. ახლა სისხლით თავს ვეღარ მოიწონებს. ასე რომ, ნუ ღელავთ, ბატონებო, მართლაც არ ღირს. ამ ყველაფერს ფრანცი თავისი თვალით ხედავს. მეძავი ტრიალებს, ხარხარებს, თვალს უკრავს, ქანაობს მისი შვიდი თავი. მხეცი კი, რომელზეც მეძავი ზის, ფეხებს ნელ-ნელა ინაცვლებს და თავს აქნევს.

ფრანცს გლუკოზასა და ქაფურს უშხაპუნებენ, მაგრამ ბოლოს საქმეში ახალი პერსონაჟი ერევა

ფრანც ბიბერკოპფი ექიმებს ებრძვის. ცდილობს, ხელიდან რეზინის ზონდი გამოჰგლიჯოს, ზონდის გამოღება ცხვირიდანაც უნდა, მაგრამ ვერც ერთს და ვერც მეორეს ვერ ახერხებს. ზონდს ცხიმს უსვამენ და ის ხახიდან საყლაპავ მილში მიძვრება, შედეგად კვერცხი და რძე ფრანცის კუჭში ხვდება. მაგრამ, როგორც კი კვების პროცესი მთავრდება, ფრანცს შიგნიდან რაღაც აწვება, გულისრევის შეგრძნება ეუფლება. ერთობ ძნელი არის და მტკივნეულიც, ხელები შეკრული რომ გაქვს და პირში თითის ჩაყოფა არ შეგიძლია. მაგრამ ყველაფრის, რაც კი პირში ჩაასხეს, ამორწყევას მაინც ახერხებს. მოდი, ვნახოთ, სიჯიუტეში ვინ ვის აჯობებს. ამ დაწყევლილ სამყაროში ვეღარავინ ვერაფრის გაკეთებას ვერ მაიძულებს. მიპოვეს რა საცდელი ვირთხა და უხარიათ! სინამდვილეში კი რა მჭირს, არ იციან და არც უნდათ, გაიგონ.

ამ ორთაბრძოლაში ფრანცმა თითქოს ექიმები დაამარცხა: დღითი დღე სუსტდება და სუსტდება, მაგრამ ექიმები ფარ-ხმალს ასე ადვილად არ ყრიან. ავადმყოფის დარწმუნებას ხან ასე, ხან ისე ცდილობენ, პულსს უსინჯავენ, სასთუმალს ხან მაღლა უწევენ, ხან დაბლა, კოფეინსა და ქაფურს უშხაპუნებენ, ვენებში კი ფიზიოლოგიური ხსნარი და გლუკოზა შეჰყავთ. მის საწოლთან საკვები ოყნების გამოყენების მიზანშეწონილობაზე მსჯელობენ. ბატონებო, ავადმყოფს ჟანგბადი ხომ არ ვასუნთქოთ? სახიდან ნიღაბს ხომ არ მოიგლეჯს? ფრანცი კი წევს და ფიქრობს: არ მესმის, ბატონი

ექიმები ჩემზე ასე რატომ ზრუნავენ? ბერლინში ხომ ყოველდღიურად ას კაცზე მეტი კვდება, და თუ ვინმე ავად გახდება, ექიმებს ხმას ვერ მიაწვდენს, მხოლოდ იმასთან მივლენ, ვისაც ბევრი ფული აქვს. ჩემთან კი, ერთი ნახეთ, რამდენმა მოირბინა და არა იმიტომ, რომ დამეხმარონ, არა და არა! ადრე მაგათ ფეხებზე ვეკიდე და ჩემდამი ნაზი გრძნობები ახლაც არ ამოძრავებთ! ეგენი მხოლოდ იმან გააცოფა, რომ ჩემთან ვერაფერს გახდნენ, უჭირთ თავიანთი უძლურების აღიარება, აქ ხომ წესდების თანახმად პატიმრის სიკვდილი არ შეიძლება. მე თუ ფეხებს გავჭიმავ, მაგათ მოხვდებათ, დიახ, ასეა, გარდა ამისა, მიცისა და კიდევ რაღაც-რაღაცების გამო ჩემი გასამართლება ძალიან უნდათ. ამისთვის კი აუცილებელია ჯერ ფეხზე დამაყენონ. ლაქიები - აი, ვინ არიან ეგენი, ჯალათების ხელქვეითები. ისე, ლაქიობას, ჯალათობა ჯობს. არადა, თეთრი ხალათები აცვიათ, სირცხვილ-ნამუსი კი არ გააჩნიათ.

საავადმყოფოში ფრანცთან ექიმების ყოველი ვიზიტის შემდეგ გესლით გაჟღენთილი ჩურჩული დაძრწის: ერთი შეხედეთ, როგორ ცდილობენ, ტყავიდან ძვრებიან, ძალ-ღონეს არ იშურებენ, ჯეელი კი წევს და იქცევა ისე, თითქოს ეს ყველაფერი არ ეხებოდეს. საწყალს რაღა არ შეუშხაპუნეს. ალბათ, მალე თავდაყირაც დააყენებენ, ახლა კი სისხლის გადასხმას უპირებენ. საინტერესოა, სისხლი სად უნდა იშოვონ. აქ ეგეთ სულელს, სისხლის გაღებაზე რომ დათანხმდება, ვერ იპოვიან. ვერ ხვდებიან, ამ უბედურს თავი რომ უნდა დაანებონ. კაცს სიკვდილი უნდა და მოკვდეს (ეს მისი საქმეა) და მთელი სახლის ბინადრები ერთმანეთს მხოლოდ იმას ეკითხებიან, ხომ არ იცით, დღეს ჩვენს ფრანცს რა ნემსს გაუკეთებენ და ზურგს უკან ექიმებს დასცინიან, ნიშნის მოგებით ამბობენ: ფრანცს ეგენი ვერ მოერევიან, მაგის ძალა არა აქვთ, ეგ ბიჭი კაჟივით მაგარია, ეგეთები არ ტყდებიან.

ბატონი ექიმები საორდინატოროში თეთრ ხალათებს იცვამენ. ყველანი აქ არიან: მთავარი ექიმი, ექიმი-ასისტენტი, ორდინატორები, ექიმი-პრაქტიკანტი და ერთხმად ადასტურებენ, რომ ავადმყოფს სტუპორული მდგომარეობა აქვს. თუმცაღა, ახალგაზრდა ექიმები სხვა აზრისანი არიან; ფრანც ბიბერკოპფის მდგომარეობას ფსიქოგენურს უწოდებენ. ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, მოცემულ შემთხვევაში, ეს ავადმყოფობა სულიერი ტრავმით არის გამოწვეული და ხასიათდება მოძრაობის შინაგანი შეფერხებითა და შებოჭილობა-შებორკილობით. ალბათ, ფსიქოანალიზი

ძალიან დაგვეხმარებოდა, რომ ამ მდგომარეობისთვის ცნობიერების უძველეს ფორმებთან დაბრუნება გვეწოდებინა, მაგრამ, ოჰ, ეს მარადიული და გამაღიზიანებელი „მაგრამ“ ყველაფერს აფუჭებს, სამწუხაროდ, ფრანც ბიბერკოპფი არ ლაპარაკობს. აი, რომ ალაპარაკებულიყო და ექიმთა კონსილიუმებში მონაწილეობა მიეღო, მაშინ მისი ფსიქიკური პრობლემების ლიკვიდაცია შესაძლებელი იქნებოდა.

ექიმებს ფრანც ბიბერკოპფის ცნობიერების ბლოკადის გარღვევა უნდათ, ანუ მისთვის რაღაც ლოკარნოს პაქტისმაგვარის მოწყობა. საავადმყოფოში სამი ახალგაზრდა ექიმია: ორი ორდინატორი და ერთი პრაქტიკანტი. ყოველდღიურად, დილის ან საღამოს ჩამოვლის შემდეგ, ამ სამიდან ერთ-ერთი ფრანცთან, პატარა, ფანჯრებზე გისოსებიან იზოლატორში შედის და ავადმყოფთან საუბრის გაბმას ცდილობს. ამისთვის იგნორირების მეთოდს იყენებენ: ექიმები ფრანცს ისე ელაპარაკებიან, თითქოს ამ უკანასკნელს ყველაფერი ესმის და აცნობიერებს (თუმცაღა, სინამდვილეში ასეც არის). ასე უნდათ ამ უკანასკნელის იზოლაციის მდგომარეობიდან გამოყვანა და ცნობიერების ბლოკადის გარღვევა. მაგრამ ნეტარ არიან მორწმუნენი, შემდეგ ახალგაზრდა ექიმმა ფიზიოთერაპიული კაბინეტიდან იზოლატორში აპარატურის გადმოტანა მოახერხა და ფრანც ბიბერკოპფის მკურნალობა ფარადეიზაციით დაიწყო, რაც სხეულის ზემო ნაწილში ცვლადი დენით ზემოქმედებას გულისხმობს. ძირითადად კი, ყბებზე, კისერზე და პირის ღრუში. ახალგაზრდა ექიმის აზრით, ყველაზე მეტად პირის ღრუს გაღიზიანებაა საჭირო.

ხანში შესული ექიმები - დამყოლნი, დამთმობნი, ბევრის მნახველნი, რომლებიც წელისა და ფეხის გასაშლელად პატიმართა ოთახებში ხშირად შედიან ხოლმე, ახალგაზრდების ამ წამოწყებას შემწყნარებლურად უყურებენ.

დილა. საორდინატოროში მაგიდასთან მთავარი ექიმი ზის და ხელს იმ ქაღალდებს აწერს, რომლებსაც მარცხენა მხრიდან უფროსი ფელდშერი წინ უდებს. ახალგაზრდები, ახალგაზრდა გვარდია: ექიმი-ასისტენტი და პრაქტიკანტი ფანჯარასთან ცხაურთან დგანან, მშვიდად საუბრობენ. საძილე საშუალებების სია შემოწმებული და დამტკიცებულია, ახალი სანიტარი უფროსობას უკვე წარუდგინეს და იგი უფროს ფელდშერთან ერთად საორდინატოროდან გავიდა. ბატონი ექიმების კომპანია კი დარჩა, ისინი ერთმანეთში საუბრობენ, ბადენ-ბადენში ჩატარებულ ბოლო ფსიქიატრთა ყრილობის პროტოკოლებს ფურცლავენ.

- ასე, თქვენ ახლა იმასაც გვეტყვით, რომ პროგრესირებად დამბლასაც სულიერი ტრავმა იწვევს, - ამბობს მთავარი ექიმი, - სპიროქტები კი სხვა არაფერია, თუ არა წილები ტვინში. ოჰ, სული, სული, ეს ხომ მხოლოდ სენტიმენტებია! მედიცინა ვარდის წყალზე.

ახალგაზრდა ექიმები მოკრძალებულად დუმან, ღიმილს იკავებენ. ხანში შესული ადამიანები ბევრს ლაპარაკობენ, რადგანაც გარკვეული ასაკიდან ტვინში კირი იწყებს დაგროვებას, და ამიტომ ადამიანი უკვე ახლის შესწავლის უნარს კარგავს.

მთავარი ექიმი სიგარეტის მოწევით ქაღალდს ქაღალდზე აწერს ხელს და ლაპარაკს აგრძელებს:

- აი, ხედავთ, ელექტრომკურნალობამ უკვე გაცილებით დიდი ეფექტი მოგვცა, მაგ თქვენს „იგნორირებულ" ლაყბობასთან შედარებით. მაგრამ, არის ერთი მაგრამ, სუსტი დენის გაშვებით ვერაფერს მიაღწევთ, შედეგს მხოლოდ ძლიერი დენის გაშვებით იღებთ, ჰოდა, ეგ დანაშაულია. იცით, ალბათ, რომ ძლიერი დენით მკურნალობა აკრძალულია და დენი დღეს წამების თანამედროვე საშუალებაა. ფრთხილად იყავით, საქმე სადავიდარაბოდ არ გაგიხდეთ. ძლიერი დენით მკურნალობა, ჩემო ძვირფასებო, ჩვენთვის, უფროსი თაობის ექიმებისთვის, ომის დროიდან არის ცნობილი.

ახალგაზრდა ბატონები გათამამდნენ და თავს შეკითხვის უფლება მისცეს.

- აბა, იმ შემთხვევას, როგორიც ბიბერკოფისაა, რა მეთოდით უნდა ვუმკურნალოთ?

- თავდაპირველად დიაგნოზი უნდა დაისვას, შეძლებისამებრ სწორი დიაგნოზი. სულს, რაღა თქმა უნდა, არ უარვყოფთ, ჩვენც კარგად ვიცნობთ გოეთესა და შამისოს,[37] მაგრამ მათ შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და სულის გარდა, არსებობს კიდევ ცხვირიდან სისხლდენა, კოჟრები და ფეხის მოტეხილობა, მათ, როგორც წესი და რიგია, ისე უნდა ვუმკურნალოთ. მოტეხილი ფეხი მსჯელობით, დარწმუნებით, დარიგებებითა და საუბრებით არ შეხორცდება, თუნდაც ამ დროს როიალის აკომპანემენტით ლაპარაკობდეთ. ძვალი სწორად უნდა ჩაისვას და ზედ არტაშანი დაედოს, მხოლოდ მაშინ დაიწყება განკურნების პროცესი. ასევე მკურნალობა უნდა კოჟრებსაც. კოჟრებზე ავადმყოფმა საცხი უნდა წაისვას, უკეთესი იქნება, თუ პაციენტი გაცილებით მოხერხებულ ფეხსაცმელს იყიდის, მართალია, ფეხსაცმელი უფრო ძვირი დაუჯდება, მაგრამ ბევრად მიზანშეწონილი იქნება.

ჩვენი ბრძენი საპენსიოდ მომწიფდა! ხელფასის ზრდის პროპორციულად გონების ფუნქცია მცირდება, ფიქრობს ორდინატორი, ხმამაღლა კი კითხვას სვამს:

- ბიბერკოპფს რა ვუყოთ, ბატონო მთავარო ექიმო?

- სწორი დიაგნოზი დავსვათ. მართალია, ჩვენ დიაგნოზებს ძველი მეთოდებით ვსვამთ, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს კატატონიურ სტუპორთან. ისე, ეს შეიძლება ტვინის

ქსოვილის უხეში ორგანული ცვლილებებით იყოს გამოწვეული: მაგალითად, შუა ტვინში წარმოქმნილი სიმსივნით, ვერ წარმოიდგენთ, ჩვენ, მოხუცები, რაღას აღარ შევხვედრივართ ამ ეგრეთ წოდებული „თავის გრიპის“ დროს. ხშირად ხდება, რომ ექიმს თავის ქალის ახდამდე ეჭვი სულ სხვა ავადმყოფობაზე აქვს, ხოლო ახდის შემდეგ შეიძლება სულ სხვა ავადმყოფობას წააწყდეს. საიდუმლოებით მოცულია ადამიანის თავი.

- კატატონიური სტუპორი?

ღმერთო ჩემო, აი, ვის სჭირდება მოხერხებული ფეხსაცმელი!

- დიახ, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში კატატონიის ტიპური სურათი გვაქვს: გაშეშება, ჭარბი ოფლიანობა, არადა, სხვათა შორის, ავადმყოფი თვალებს ახამხამებს და ჩვენც ძალიან ყურადღებით გვაკვირდება. თუმცა, არ ლაპარაკობს და საკვებზე უარს ამბობს. ეგ რომ სიმულანტი ან ფსიქოგენური სუბიექტი ყოფილიყო, ბოლოს და ბოლოს, რაღაცის გამო აფეთქდებოდა და არც შიმშილით მოიკლავდა თავს.

- და მაინც, ავადმყოფი ასეთი დიაგნოზით რას მოიგებს, ბატონო მთავარო ექიმო? ამით მდგომარეობა ხომ არ უმსუბუქდება (გაები, ბატონო მთავარო ექიმო? მიდი, ახლა და იცეკვე)?

მთავარმა ექიმმა გადაიხარხარა, ფანჯარასთან მივიდა და ორდინატორს მხარზე ხელი დაჰკრა:

- უპირველეს ყოვლისა, თქვენ ორის მეურვეობას თავს დააღწევდა, ძვირფასო კოლეგა, და მშვიდად ძილს მაინც შეძლებდა. და ეს მისთვის ნამდვილად დიდი შეღავათი იქნებოდა. როგორ გგონიათ, თქვენი გაჯანჯლებული, ვითომ მკურნალობა ავადმყოფს არ მოჰბეზრდა? და რადგანაც არ იშლით, ჩემი დიაგნოზის სისწორეს სრულიად უბრალოდ დაგიმტკიცებთ, მომისმინეთ: მოცემულ შემთხვევაში საქმე მართლაც რომ ეგრეთ წოდებულ „სულიერ ტრამვასთან“ გვქონოდა, ეს ავადმყოფი მარჯვე შემთხვევით ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ ისარგებლებდა. თუკი გამოუსწორებელი დამნაშავე სიმულანტობს და ხედავს, რომ თქვენისთანა ახალგაზრდები, რომლებსაც ამ საქმისა არაფერი გაეგებათ (მაპატიეთ, მაგრამ აქ ხომ ყველანი ჩვენიანები ვართ), მის განკურნებას ლაპარაკითა და სხვა მსგავსი შარლატანობით ცდილობენ, ასეთი

სუბიექტისთვის თქვენ ხომ პირდაპირ მონაპოვარი ხართ, შეუფასებელი განძი. მას ხომ სწორედ თქვენისთანები სჭირდება. და მაგ ბიჭს გონი და გათვლის უნარი რომ ჰქონდეს, იცით, ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ რას გააკეთებდა, კოლეგა?

აკაკანდა ბრმა ქათამი, ჰგონია, ბოლოს და ბოლოს, მარცვალს მიაგნო!

- მაგრამ, ბატონო მთავარო ექიმო, ავადმყოფს, და ჩვენ ამაში, მგონი, შევთანხმდით, შეფერხება აღენიშნება, რასაც სტუპორული მდგომარეობა ეწოდება, მაგრამ ვერ შევთანხმდით ამ ავადმყოფობის გამომწვევ მიზეზებზე. ჩვენი აზრით, იგი გამოწვეულია სულიერი, ფსიქიკური მომენტებით, როგორიც არის რეალობასთან კონტაქტის დაკარგვა, იმედგაცრუება, მარცხი, ბავშვობაში არარეაგირებული სექსუალური კომპლექსები და დაკარგული კონტაქტის აღდგენის უნაყოფო მცდელობა.

- სულიერი და ფსიქიკური მომენტები? ეგ ყველაფერი სისუსტეა! და თუ მაგაზე წავიდა საქმე, მაშინ სულ სხვა ხასიათის ფსიქიკური მომენტები ექნებოდა. შებორკილობას და შეფერხებას ადვილად დასძლევდა და მათ, თქვენ ორივეს, შობას გაჩუქებდათ. წარმოვიდგინოთ, რომ ერთი კვირის შემდეგ „თქვენი დახმარებით“ ფეხზე მართლაც წამოდგება. აი, მაშინ ნახეთ აურზაური! რა დიდი მკურნალები ბრძანებულხართ! გაუმარჯოს ფსიქოანალიტიკურ თერაპიას, დიდება მას, ფროიდს ვენაში მისალოც დეპეშას გაუგზავნით, ერთი კვირის შემდეგ კი თქვენი დახმარებით ახალგაზრდა დერეფანში დასეირნობს, სასწაული, ნამდვილი სასწაული, ალილუია! კიდევ ერთი კვირა და უკვე ეზოს ყველა კუთხე-კუნჭული დაზვერა და ზედმიწევნით შეისწავლა. კიდევ ერთი კვირის მერე კი თქვენი ხელშეწყობით აქედან აორთქლდა, ისე, რომ კვალიც არ დაუტოვებია, თითქოს მიწამ ჩაყლაპა, ვერსად მიაგნეს. ალილუია!

- არ გეთანხმებით, ბატონო მთავარო ექიმო, ამბობენ, ცდა ბედის მონახევრეაო. ჩვენც ხომ უნდა ვცადოთ. მაინც, არა მგონია, ეგ ეგრე ადვილი იყოს (მე ყველაფერი ვიცი, შენ არაფერი იცი, ხა, ხა, ხა, ჩვენ ყველაფერი ვიცით).

- მე კი ასე ვფიქრობ, ჯერ სად ხართ, ჩემი ხნისა რომ გახდებით, ბევრ რამეს გაიგებთ. დაღვინდებით, და მედიცინასა და ცხოვრებას სხვა თვალით შეხედავთ. გეუბნებით, მაგ კაცს თავი დაანებეთ, ამაოდ ირჯებით, ვერაფერს მიაღწევთ. ერთი ამ ღლაპებს

დამიხედეთ (ჭეშმარიტად ასეა, ღმერთის იმედი გქონდეს, მაგრამ ჭკუა შენც დაატანე, ჰო, კიდევ მეცხრე განყოფილებაში უნდა შევიდე, ნეტავი ახლა რომელი საათია?)!

*** * ***

ფრანც ბიბერკოპფი უგონოდ წევს, კოჭებშეშუპებული, შიმშილისგან გასივებული, გაფითრებული, სახეზე მოყვითალო ფერი გადაჰკრავს. კაცს შიმშილის სუნი ასდის, აცეტონის ტკბილი სუნი; ვინც კი მასთან პალატაში შედის, გრძნობს, რომ აქ რაღაც უჩვეულო ხდება.

ფრანც ბიბერკოპფის სულმა უკვე ყოფიერების უმდაბლეს საფეხურს მიაღწია, ცნობიერება იშვიათად უბრუნდება. სამაგიეროდ, ახლა მისი კარგად ესმით ნაცრისფერ თაგვებს, რომლებიც საწყობში სახლობენ, კიდევ ბარაკის კედლებს მიღმა ხიდან ხეზე მოხტუნავე ციყვებსა და მინდვრის კურდღლებს. თაგვები პატიმრების ბარაკსა და საავადმყოფოს მთავარ კორპუსს შორის თავიანთ სოროებში სხედან. სწორედ იქით ისწრაფვის ფრანცის სულის რაღაც ნაწილი, იქ დაძრწის, ჩურჩულებს და ბრმად უბრუნდება თავის სამყოფელს, რომელიც ქვის კედლის მიღმა ჯერ კიდევ წევს და სუნთქავს.

თაგვები ფრანცს თავიანთ სოროში ეპატიჟებიან, საკვებს სთავაზობენ და სთხოვენ, ასეთი მოწყენილი ნუ ხარო! ეკითხებიან, ასე რამ დაგაღონაო. და აქ მჟღავნდება, რომ მას ლაპარაკი უჭირს, თითქმის არ შეუძლია.

თაგვები ურჩევენ, ამ შენი მდგომარეობიდან ბოლოს და ბოლოს როგორმე უნდა გამოხვიდეო. ადამიანი საზიზღარი ცხოველია, ყველაფრისა და ყველას მტერი, ამ დედამიწაზე ყველა ქმნილებაზე უსაზიზღრესი, კატაზე უარესი.

ფრანცი ეთანხმება: ადამიანად ყოფნა კარგი არ არის, ცუდია. ამას ჯობს მიწის ქვეშ დაიმალო, მინდვრებში ირბინო და იმით იკვებო, რასაც ღმერთი გამოგიგზავნის. და აქ ქარი ქრის, წვიმა მოდის, მზე ანათებს, ხან ცივა, ხან ცხელა, აქ მადლია და სავსება. ადამიანის ტყავში ყოფნას ბევრად ჯობს ასე ცხოვრება.

და აი, ფრანცი მინდვრის თაგვია. სხვა თაგვებთან ერთად დარბის, მიწაში იჩიჩქნება...

ფრანცი-ადამიანი პატიმართა ბარაკში წევს, ექიმები ყოველდღე მოდიან, მის სხეულში სიცოცხლის ოდნავ მბჟუტავ ცეცხლს უბერავენ, ჩაქრობის უფლებას არ აძლევენ, მაგრამ ამაოდ - ცეცხლი მაინც ქრება. ფრანცზე ხელი ახალგაზრდა ექიმებმაც კი ჩაიქნიეს. ცხოველურმა ბრმა ძალამ ფრანცის სხეული დატოვა. მინდორში გავარდა.

არადა, ამ ძალას საკუთარ სხეულში ბუნდოვნად გრძნობდა. ახლა კი მის სხეულს ყველაფერი, რაც კი მიწისგან მიუღია, ისე ტოვებს, რომ მათ ფრანცი ვერც ხედავს და არც ესმის. ფრანცის ბრმა სული გარეთ ხელების ცეცებით გადის, ზემოთ მიიწევს, თაგვების სოროების თავზე მიფრინავს. და აი, სული უკვე მინდორშია, ბალახის ღეროებს შორის რაღაცას ეძებს. აი, ჩავიდა მიწაში, იქ, სადაც მცენარეები თავიანთ ფესვებს მალავენ. ფესვებს რაღაცას ჩასჩურჩულებს და მათაც ესმათ მისი. შეინძრა ბალახი, გაისმა ჩქამი, ისეთი, თითქოს თესლი მიწაში ჩაცვივდა. ეს ფრანცის სულია, დედამიწას მის ღივს უბრუნებს. ეგ არის მხოლოდ, დრო არის შეუფერებელი, ცივა და ყინავს. ვინ იცის, ჩაიკრავს კი გულში დედამიწა ამ ღივებს, გააღვივებს და ყლორტებს გამოაღებინებს? მაგრამ მინდორი დიდია და ფართო, იქ ბევრი ადგილია, ფრანცის სული კი მიწიერი ღივებით მდიდარი. ყოველდღე მიფრინავს სული მინდორში და ახალ-ახალ ღივებს თესავს. იქნებ ერთმა მაინც იხაროს!

სიკვდილი თავის ნაღვლიან, მდორე სიმღერას მღერის

ქარიშხლის მბრძანებლები ჩაჩუმდნენ და სხვა სიმღერა გაისმა. ამ სიმღერას და იმას, ვინც მღერის, ყველანი იცნობთ. ის რომ ხმას აუწევს, ყველანი ვდუმდებით, დედამიწაზე მცხოვრები ყველაზე დაუდგრომელი და მძვინვარე ადამიანებიც კი.

სიკვდილმა თავისი ნაღვლიანი სიმღერა ხმადაბლა წამოიწყო. მღერის გაბმულად. მელოდია მდორედ მოედინება. სიკვდილი თითოეულ სიტყვას ენის ბორძიკით იმეორებს, ერთ ლექსს იმღერებს, მეორეს და მერე ისევ თავიდან იწყებს. მღერის ისე, თითქოს ხერხი ღრჭიალებდეს. ხმა მდორედ მოედინება, მერე ღრმად ხორცში იჭრება, წივილ-კივილში გადადის და უმაღლეს ნოტზე წყდება, ისვენებს. მერე ისევ და ისევ ამღერდება სიკვდილი, ამღერდება ჩუმად, ხმა მდორედ მოედინება, ძალას თანდათან იკრებს, წივილ-კივილში გადადის და სხეულში ისე იჭრება, როგორც ხერხი ხეში.

სიკვდილი გაბმულად მღერის:

დადგა ჟამი შენთან მოსვლის, რადგან უკვე ფანჯრიდან შენი სიცოცხლის ყლორტები ცვივა, მოემზადე წასასვლელად. და ზეწარი შენი, რომელზეც ველარ დაწვები, დაფერთხე. მე მარტო

მთიბავი კი არა ვარ, მარტო მთესველი კი არა ვარ, მცველიც გახლავართ. აი, რატომ ვარ აქ! ო, დიახ! ო, დიახ! ო, დიახ!

ო, დიახ! - სიმღერას, რომელსაც სიკვდილი მღერის, ასეთი მისამღერი აქვს და თითოეული სტროფის შემდეგ იმეორებს. და ყველა მკვეთრი მოძრაობისას სიკვდილი ამბობს: „ო, დიახ!“ სიკვდილი კმაყოფილია. მოსწონს მისამღერი.

მაგრამ მათ, ვისაც ეს მისამღერი ესმით, სულაც არ მოსწონთ, თვალებს ხუჭავენ, ისე, როგორც გაუსაძლისად კაშკაშა სინათლეზე.

ნაღვლიანად, გაბმულად მღერის სიკვდილი. და მას მეძავი ბაბილონი და ქარიშხლის მბრძანებლები მდუმარედ, ყურადღებით უსმენენ.

- აი, მე აქ ვდგავარ, ვხედავ და ვაფიქსირებ: იგი, ვინც აქ წევს და სიცოცხლესა და თავის სხეულზე უარს ამბობს, ფრანც ბიბერკოპფია. მან იცის, სად არის, სად მიდის და რა უნდა.

მართლაც ლამაზი სიმღერაა, არა? მაგრამ ფრანცს ესმის თუ არა? ხვდება კი, რას ნიშნავს „სიკვდილის სიმღერა“? ასეთ რაღაცას წიგნში თუ ნახავ და წაიკითხავ, მაშინ იტყვი, რომ ეს პოეზიაა. შუბერტი, მაგალითად, ასეთ სიმღერებს წერდა: „სიკვდილი და გოგონა“. განა არ მოგისმენიათ მისი ეს ნაღვლიანი და უმშვენიერესი სიმღერა? მაგრამ ეს რა შუაშია?

მინდა სიმართლე ვთქვა, ნაღდი სიმართლე და ეს სიმართლეა: ფრანცს ესმის სიკვდილისა. ესმის მისი ხმადაბალი სიმღერა, ენის ბორძიკით ნამღერი, ისიც, თუ როგორ იმეორებს სიტყვებს, ესმის მისი ხმა, იმ ღრჭიალის მსგავსი, ხერხი ხეში რომ შედის.

- ვაფიქსირებ, ფრანც ბიბერკოპფ. შენ აქ წევხარ და ჩემთან წამოსვლა გინდა. დიახ, სწორი გადაწყვეტილება მიიღე, ფრანც, ჩემთან მოსვლა რომ გინდა. აბა, ადამიანმა ნამდვილი, ჭეშმარიტი სიკვდილის გარეშე როგორ უნდა იცხოვროს? მთელი ცხოვრება თავს უფრთხილდებოდი, თავს გაუფრთხილდი, ასეთია თქვენი, ადამიანის ლაჩრული მცნება. და აი, უკვე რა ხანია, ერთ ადგილს ტკეპნი. ასე საქმე არ გამოვა.

როცა ლიუდერსმა მოგატყუა, მაშინ პირველად გამოგელაპარაკე, მაგრამ მაშინ სმა

დაიწყე და ალკოჰოლით თავი გადაირჩინე. მერე კი ხელი დაკარგე. მაშინ სიცოცხლე შენი, ფრანც, ბეწვზე ეკიდა, მაგრამ აღიარე, მაშინაც სიკვდილზე წუთითაც არ გიფიქრია. ეს ყველა განსაცდელი მე გამოგიგზავნე, მაგრამ ჩემს აღიარებაზე უარს ამბობდი, და როგორც კი ჩემს მოახლოებას იგრძნობდი, შეძრწუნებული გამირბოდი. თავში ფიქრადაც არასოდეს მოგსვლია, შენს საქმიანობასა და საკუთარ თავზე უარი გეთქვა. შენს ძალ-ღონეს ისე ეჭიდებოდი, როგორც წყალწაღებული ხავსს და ახლაც ეჭიდები. თუმცაღა, მგონი, დარწმუნდი, რომ ვერავითარი ძალ- ღონე ვერ გიშველის. ყოველთვის დგება ისეთი წამი, როცა ადამიანს ვეღარაფერი უშველის. ასეთ წამს სიკვდილი ტკბილი იავნანათი არ დაგაძინებს, არც თავისი გულსაკიდით დაგახრჩობს. ადამიანი ჩემთან უნდა მოვიდეს, რადგან მე ვარ სიცოცხლე და ჭეშმარიტი ძალა, დღე სიკვდილისა ჯობს გაჩენის დღეს. როგორც იქნა, შენ ეს გაიგე და გაგიქრა თავის გადარჩენის სურვილი!

- რაო? ამას მე მეუბნები? რას მიპირებ?

- მე ვარ სიცოცხლე და ჭეშმარიტი ძალა. უმძიმეს ქვემეხზე ძლიერი, შენ ეს გაიგე და არა გაქვს უჩემოდ ცხოვრების სურვილი. გინდა გამოცადო თავი შენი, გინდა შეიცნო თავი შენი, შენ მიხვდი, რომ უჩემოდ სიცოცხლე არ ღირს, რომ სიცოცხლე ჩემით ხარობს. მომიახლოვდი, სახეში შემომხედე. უფსკრულის ფსკერზე წევხარ, ფრანც. მე ჩამოვუშვებ კიბეს, ამოხვალ და იხილავ იმას, რაც არასოდეს გიხილავს, ამოდი ჩემთან, აი, კიბე. მართალია, ერთი ხელი გაქვს, მაგრამ მარცხენა კიბეს მაგრად ჩასჭიდე და ამოძვერი. ფეხები ხომ ძლიერი გაქვს, მყარად დააბიჯე, თამამად აძვერი! მოდი ჩემთან!

- ამ სიბნელეში კიბეს ვერ ვხედავ, აბა, სად არის ეგ შენი კიბე, თანაც ერთი ხელით ვერ ამოვძვრები.

- ხელი რაში გჭირდება, ფეხებითაც კარგად ამოძვრები.

- კიბეზე თავს ვერ შევიკავებ! ჩემგან შეუძლებელს ითხოვ!

- გატყობ, ჩემთან მოახლოება არ გინდა. მოიცადე, გაგინათებ და გზას მაშინ იპოვი.

სიკვდილმა მარჯვენა ხელი დაიქნია და მიხვდა ფრანცი, აქამდე ხელს ზურგს უკან რატომ მალავდა.

- რადგან სიბნელეში ჩემთან მოსასვლელად გამბედაობა არ გყოფნის, გაგინათებ, აბა, ამოძვერი, -

და ჰაერში ნაჯახმა ელვასავით გაიბრწყინა. და მაშინვე ჩაქრა.

- ამოძვერი, ამოძვერი!

სიკვდილი ხელს ნაჯახითურთ ძლიერად მოიქნევს, ზემოთ აღმართავს, თავზემოთ წრეს მოხაზავს და ის არის, უნდა ჩასცეს, რომ ნაჯახი ხელიდან გაუსხლტება და ზუზუნით მიწაში ერჭობა. კიდევ ახალი გაიბრწყინებს, ისიც ხელიდან გაუსხლტება და ზუზუნით მიწაში ერჭობა, მერე მესამე, მეოთხე და ისინიც მიწაში ერჭობიან, და ასე ბევრჯერ - წრეს მოხაზავენ, გაიბრწყინებენ და მიწაში ერჭობიან: ზემოთ - ქვემოთ, ზემოთ - ქვემოთ, ზემოთ - ქვემოთ...

ელავენ ნაჯახები, ზუზუნებენ, ჰაერს აპობენ და ქვემოთ ცვივიან.

ფრანცი კი კიბეზე გუმანით მიფორთხავს და ყვირის, ყვირის, ყვირის, მაგრამ უკან არ ბრუნდება, მხოლოდ ყვირის. და, აი, ისიც, სიკვდილი!

ფრანცი ყვირის.

ფრანცი ყვირის, მიფორთხავს და ყვირის.

ყვირის მთელი ღამე. ჩვენი ფრანცი გზას დაადგა. ბოლოს და ბოლოს, გადაწყვეტილება მიიღო. ყვირის დღისით.

ყვირის დილით.

ყვირის

შუადღეზე.

ყვირის საღამოს.

წუწუნებენ ზემოთ და ქვემოთ, ისმის ზუზუნი, ბახ!

ბახ! ზემოთ - ქვემოთ, ხრრრ!

ყვირის საღამოს.

ყვირის მთელი ღამე, მთელი ღამე.

ფრანცი მიწაზე მიფორთხავს. იკლაკნება, წინ ფეხის კვრით მიიწევს. სხეული მისი მიწაზე, ისე როგორც საჯალათო კუნძზე, ძევს და სიკვდილის ნაჯახი ხორცს ნაჭერ-ნაჭერ აჭრის. მისი სხული უნებურად წინ მიფორთხავს, მას სხვანაირად არ შეუძლია. ნაჯახი ჰაერში ლივლივებს, გაიბრწყინებს და ვარდება. ხორცს სანტიმეტრ-სანტიმეტრ აჭრის. მაგრამ ნაჯახის მეორე მხარეს ფრანცის სხეული ცოცხლობს და არ კვდება.

იგი იგრიხება და სულ წინ და წინ მიხოხავს.

ექიმები მის საწოლთან მიდიან, ჩერდებიან, ქუთუთოებს ზემოთ უწევენ, ამოწმებენ, რეფლექსები თუ აქვს, პულსი ძაფისებრია. ექიმებს ფრანცის კივილი არ ესმით, მხოლოდ მის ღია პირს ხედავენ, ჰგონიათ, სწყურია და შიგ დიდი სიფრთხილით სითხეს წვეთ-წვეთად ასხამენ. ოღონდ გული არ აერიოს, ოღონდ კრიჭა გახსნას. და უკვირთ: ამ კაცს მაინც რა აცოცხლებს!

- მტკივა, მტკივა!

- კარგია, რომ გტკივა, ძალიან კარგია, რომ გტკივა, ამაზე უკეთესს ვერაფერს ინატრებდი.

- აჰ! ნუ მაწამებ, დროზე მომიღე ბოლო!

- ბოლო მოგიღო? არა, ბოლო თავისთავად მოგეღება.

- მომიღე ბოლო, ეს ხომ შენს ხელშია!

- ხელში მხოლოდ ნაჯახი მაქვს, სხვა ყველაფერი შენს ხელშია!

- რა არის ჩემს ხელში, არაფერი! დაამთავრე! მომიღე ბოლო!

აი, აქ კი აფეთქდა სიკვდილი, ხმა შეეცვალა, მის ხმაში ისმის მოუთვინიერებელი, ველური, შეუკავებელი მრისხანება.

- ხედავ, საქმე სადამდე მივიდა? აქ რომ ვდგავარ, გელაპარაკები და შენს დარწმუნებას ვცდილობ, განა საკმარისი არ არის? შენ მე სისხლისმსმელი თუ ჯალათი ხომ არ გგონივარ? ან იქნებ გინდა შხამიანი საზიზღარი გველივით მიგახრჩო? ან იქნებ გრამოფონი გგონივარ, ფირფიტას დადებ, მე დაგიძახებ, მერე მოგბეზრდება ჩემი მოსმენა და ფირფიტას აიღებ! არა, მაინც ვინ გგონივარ? პირდაპირ მითხარი - ვინ? ასე საქმე არ გამოვა.

- ასეთი რა დავაშავე, განა საკმაოდ არ დავიტანჯე? არ მეგულება ამქვეყნად არავინ, რომელიც

ცხოვრებამ ისე დატანჯა და გაამწარა, როგორც მე.

- შენ ვერავინ ვერაფერს შეგაგნებინებს, არაკაცო! რა ხანია, ამ ქვეყნად ვცხოვრობ და ფრანც ბიბერკოპფის მსგავსი ტიპი არ შემხვედრია. როცა ლიუდერსი მოგიგზავნე, ამან თვალები ვერ აგიხილა, პირი ჯიბის დანასავით მოკუმე, სასოწარკვეთილებამ შეგიპყრო და დარდის ჩახშობა სცადე.

- მინდოდა პატიოსნად მეცხოვრა, იმან კი მომატყუა.

- აკი გეუბნები, რომ თვალები ვერ გაახილე, შე ძაღლისშვილო! ლანძღავდი გაიძვერებსა და გაიძვერობას, ადამიანებს კი არ უყურებდი და არ ეკითხებოდი, ისინი ამ მდგომარეობამდე რამ მიიყვანა, ასეთი რატომ გახდნენ. ადამის შთამომავლობის განსჯას ბედავდი, თავად კი თვალები არ გქონდა, ბრმა იყავი, ვერაფერს ხედავდი და თანაც ამპარტავანი, ცხვირს მაღლა სწევდი, თავი მოგქონდა. გამომიხვედი რა შენც დიდი ბატონი! მისი უგანათლებულესობა ბატონი ბიბერკოპფი, არისტოკრატთა კვარტალიდან. მთელი სამყარო მაგას უნდა მოერგოს, მაგის ჭკუაზე მოეწყოს. არა, ჩემო ბიჭო, ასე არ ხდება, შენ არავინ მოგერგება, შენს ჭკუაზე კიდიხარ! მერე კი რაინჰოლდმა მოგისროლა და პირდაპირ მანქანის ქვეშ შეგაგდო, ხელი მოგაჭრეს, მაგრამ დანებება არც იმჯერად გიფიქრია. კაცი ბორბლებქვეშ აგდია და მაინც ვირივით ჯიუტობს: მინდა ძლიერი ვიყოო! ნაცვლად იმისა, ჭკუა მოგეხმო და ტვინი გაგენძრია, კაჭკაჭივით ერთსა და იმავეს იმეორებდი. ძლიერი ვიქნები, არ დავნებდები! არ გინდოდა იმის გაგება, რომ მე გელაპარაკებოდი. კარგი, მაშინ ახლა მაინც მომისმინე.

- რას ნიშნავს, გაგება არ მინდოდა? მაინც რისი?

- დასასრულ, მიცის ამბავი! გრცხვენოდეს, ფრანც, გრცხვენოდეს! ეს თავის მოჭრა იყო! აღიარე, რომ თავის მოჭრა და სირცხვილი იყო!

- არ მესმის, მაინც რისი უნდა მრცხვენოდეს!

- მე კი გეუბნები, სამარცხვინოდ მოიქეცი. მოვიდა შენთან გოგო, ნაზი, ლამაზი, უყვარდი, გიფრთხილდებოდა, შენზე ზრუნავდა, შენით ხარობდა, შენ კი? ყვავილივით იყო, შენ კი სხვა უკეთესი ვერაფერი მოიფიქრე, რომ რაინჰოლდთან ამ გოგოთი თავი მოგეწონებინა, გეტრაბახა. ტრაბახი ხომ შენი უპირველესი

მოთხოვნილებაა. გინდოდა იმ კაცისთვის შენი უპირატესობა დაგემტკიცებინა. გაგიხარდა, რაინჰოლდთან გატოლება რომ შეგეძლო. რატომღაც გადაწყვიტა, რომ მასზე ძლიერი იყავი და სულ ეკინკლავებოდი! ახლა დაფიქრდი, განა შენი ბრალი არ არის, რომ მიცი ცოცხალი აღარ არის? და იმ ქალის გამო, რომელმაც სიცოცხლე შემოგწირა, ჰო, ჰო, შენ შემოგწირა, აბა, სხვა ვის? ერთი ცრემლიც არ გადმოგვარდნია. მხოლოდ წუწუნებდი: „მე“ და „მე“. და კიდევ „მაინც რამდენ უსამართლობას ვითმენ, რა კეთილშობილი ვარ, რა კარგი, თავის მოწონებისა და გამოჩენის საშუალებას არ მაძლევენ, ვერ ხედავენ, რა ადამიანი ვარ!“ თქვი, რომ გრცხვენია! იყვირე, რომ ეს სირცხვილია და თავის მოჭრა.

- ვერ ვხვდები, რას მეუბნები!

- შენ ომი წააგე. დამთავრებულია, ჩემო ბიჭო, შენი საქმე. მოაგროვე, რაც გაგაჩნია და უთხარი, რომ შენს ავლადიდებასთან ერთად სკივრში შენც ჩაგდონ და ნაფტალინი მოგაყარონ. ჩემთან მოსული კი არ დაგინახო! შეგიძლია, რამდენიც გინდა, იმდენი იწუწუნო და იწკმუტუნო, შენი დანახვაც აღარ მინდა. ამაზრზენი ვინმე ხარ! ყველაფერი გაქვს: გული, თვალები, ყურები. კიდევ რა გინდა? და ჰგონია, კარგია, რომ პატიოსანია, ანუ ის, რასაც პატიოსნებას უწოდებს, და არაფერს ხედავს და არაფერი ესმის. ცხოვრობს თავისთვის და ირგვლივ ვერაფერს ამჩნევს. ამ ქვეყნისთვის მხოლოდ ზედმეტი ბარგია. აკეთებს იმას, რაც უნდა.

- აბა, რა უნდა მექნა?

სიკვდილი ღრიალებს: აღარაფერს გეტყვი. შენი სულელური ლაყბობით თავი მომაბეზრე. შენ ხომ არც თავი გაქვს და არც ყურები. შენ თითქოს არც კი დაბადებულხარ, ამ სამყაროს არ მოვლენიხარ! უდღეურო! თანაც პრეტენზია იდეებზე აქვს! თავში რაღაც სისულელეები და იდეები ჩაიჭედა. გგონია, ყველა იმას ელოდებოდა, როდის დაიბადებოდი და აუხსნიდი, როგორ იცხოვრონ და ეს ქვეყანა როგორ არის მოწყობილი. არა, ძმაო, ქვეყანას შენისთანა არ სჭირდება, ბნელი, ამპარტავანი. მას სჭირდება ისეთები, რომლებიც უფრო თავხედები არიან, ხედავენ, რომ ეს სამყარო მარტო შაქრისგან კი არ არის შექმნილი, არამედ ერთმანეთში არეული შაქრისა და განავლისა და კიდევ ბევრი სხვა საზიზღრობისგან. აბა, ბიჭო, მომეცი შენი გული და შენს არსებობას წერტილი დავუსვათ. შენს გულს გადავაგდებ სანაგვეზე,

სადაც არის ადგილი მისი. შენი ბრიყვული სიფათი კი შეგიძლია დაიტოვო.

- არა, მოიცადე! მაცალე, აზრზე მოვიდე, თუნდაც სულ ცოტა ხანი, სულ ცოტა ხანი, მომეცი!

- ბიჭო, გული მომეცი!

- სულ ცოტა ხანი დამაცადე!

- ეი, შენ, მაშინ მე თვითონ ავიღებ, გესმის?

- დრო მომეცი, სულ რამდენიმე წუთი!

და უსმენს ფრანცი სიკვდილის გაბმულ სიმღერას

გაიელვებს და ჩაქრება, გაიელვებს და ჩაქრება, გაიელვებს და ჩაქრება - და უცებ ყველაფერი მთავრდება. ჰაერში ნაჯახები აღარ ელავენ, აღარ უსტვენენ. ნაჯახებმა სიმშვიდე პოვეს და დაწყნარდნენ. ფრანცი ორი ღამე ყვიროდა, მხოლოდ განთიადისას გაჩუმდა. ჰაერში ნაჯახები აღარ ბრწყინავენ, აღარ უსტვენენ და ფრანციც აღარ ყვირის. თვალები გაახილა, გაჭიმული, უმოძრაოდ წევს; თვალები უბრწყინავს, ხედავს, რომ დიდ, ნათელ ოთახშია, ადამიანები მიდი-მოდიან. „პირი გააღეთ!“ - და პირში თბილ სითხეს ასხამენ. ნაჯახები აღარ ელავენ, ჰაერს არ ჩეხენ. ირგვლივ თეთრი კედლებია. ცოტა, კიდევ ცოტა ხანს, - ეს რა იყო? - თვალები ისევ დახუჭა.

და როგორც კი თვალები დახუჭა, მაშინვე საქმეს შეუდგა. თქვენ ვერ ხედავთ, რას აკეთებს, გგონიათ, ალბათ, ადამიანი კუნძივით აგდია, ვერ ინძრევა და სიცოცხლეს ემშვიდობება?! არა და არა! იგი გზას მიუყვება, დახეტიალებს, ეძებს ყველაფერ იმას, რაც კი ოდესმე დაუკარგავს და დანაკარგს რუდუნებით აგროვებს. ფანჯრიდან დიდ მინდორში გადის, თითოეულ ბალახის ღეროს ეხება. თაგვების სოროებში მიძვრება. აბა, ყველაფერი მომეცით, რაც კი ჩემია! ღეროების ქვეშ ხელებს აფათურებს: მომეცით, რატომ მალავთ, ეგ ყველაფერი ჯერ კიდევ მჭირდება, უამრავი სამუშაო მაქვს, ყველაფერი დამიბრუნეთ, აბა, ცოცხლად!

პირში ბულიონს კოვზით ასხამენ დი ყლაპავს, გული აღარ ერევა. თავად არ უნდა, რომ გული აერიოს.

სიკვდილის სიტყვა ფრანცს პირში აქვს და მას ვერავინ ამოჰგლეჯს. მას პირში ატრიალებს, სიტყვა ქვასავით არის, ქვა კი ქვაა და იქიდან წვენს ვერ გამოწურავ. სიკვდილის სიმღერა რომ ესმათ, უამრავი ადამიანი მოკვდა. მათ ხვალინდელი დღე

აღარ გაუთენდებათ. არ იცოდნენ, რომ საკმარისი იყო, სულ ცოტა ძალისხმევა, საკუთარი სხეულისთვის კიდევ ერთხელ ტკივილის მიყენება და ისინი იცოცხლებდნენ. რჩებოდა მხოლოდ ერთი პატარა ნაბიჯი, მაგრამ გადადგმა ვერ შეძლეს. მათ ეს არ იცოდნენ, მისახვედრად კი დრო აღარ ეყოთ. თუ ადამიანს სისუსტე დაეუფლება, კრუნჩხვა კი გულზე მოუჭერს, კიდევ ერთი წამი, მეორე და უკვე ამ ქვეყანას ტოვებს, საიქიოში ხვდება, სადაც მათ აღარ ჰქვიათ კარლი, ვილჰელმი, მინა ან ფრანცისკა. ისინი, მწუხარებით ყელამდე სავსენი, რისხვითა და უმწეობით წითლად გავარვარებულნი, მარადიული ძილით იძინებენ. და არ იცოდნენ, რომ თუ თეთრად გავარვარდებოდნენ, მაშინ კრუნჩხვა გულს მოეშვებოდა და მათთვის ახალი ცხოვრება დაიწყებოდა. ღამე მოიწევს შენკენ, შავი და ცარიელი, არმყოფობის, არარსობის მსგავსი. ნუ გეშინია, მოუშვი ახლოს და იხილავ თოვლით დაფარულ მინდვრებს, ყინულით შეჯაჭვულ გზატკეცილებს, ეულად მდგარ აგურის სახლებს და მათი ფანჯრებიდან გამომკრთალ მოწითალო შუქს; იხილავ შეცივებულ გამვლელებს, გლეხებს, რომლებსაც ცხენშებმული ფურგონით ქალაქში ბოსტნეული მიაქვთ; კიდევ ბრტყელ, უტყვ დაბლობებს; თვალს შეავლებ აქ მორბენალ სწრაფ მატარებლებს, რომლებიც ამ პანოს ორივე მხარეს, სიბნელეში, კაშკაშა სინათლის ძნებს ისვრიან; სადგურში ადამიანებს დაინახავ. აი, შეხედე: გოგონა მშობლებს ემშვიდობება, ოჯახის ორ ძველ ნაცნობს ის ოკეანის გაღმა, ამერიკაში მიჰყავს. ბილეთები უკვე აღებული გვაქვს. ოჰ, ღმერთო ჩემო, ჩვენი საწყალი პატარა, მაგრამ არაფერია, მიეჩვევა, მთავარია, კარგი და პატიოსანი ადამიანი გაიზარდოს, სხვა ყველაფერს კი ეშველება! იხილავ რკინიგზის ხაზის ბრესლაუ-ბერლინის გასწვრივ მდებარე ქალაქებსაც: ბრესლაუს, ლიგნიცს, ზომერფელდს, გუბენს, ოდერის ფრანკფურტს, ბერლინს - ეს ქალაქები დაიმახსოვრე! მატარებელი სადგურიდან სადგურისკენ მიქრის და სადგურების ირგვლივ ამოყვინთავენ ქალაქები, თავიანთი დიდი და პატარა ქუჩებით. ბრესლაუ თავისი შვაიდნიცერშტრასეთი, კაიზერვილჰელმშტრასეთი, ბერლინი დიდი რინგით, კურფიურსტენშტრასეთი, და ყველგან სახლები, ბინები, რომლებშიც ადამიანები თბებიან, ერთმანეთს სიყვარულით შესცქერიან ან ერთმანეთის გვერდით გულგრილად სხედან. იხილავ ჯურღმულებს, ბინძურ ფარდულებს, ლუდხანებს, სასადილოებს, სადაც გამხდარი ტაპიორი[38] ფორტეპიანოზე ოდინდელ

ფოქსტროტებს ასრულებს. გესმის, უკრავენ შლაგერებს: „მადონა, შენ მთვარეზე მშვენიერი ხარ“ ან „რამონას“ - თითქოს ამ **1928** წელს ამ სიმღერებზე უკეთესი არაფერი შექმნილა.

ღამე უფრო ახლოს მოუშვი და ქუჩებში მქროლავ ავტომობილებს, ტაქსებსა და დროშკებსაც

დაინახავ. ვინ იცის, ამ მანქანით მარტოსა თუ ვინმესთან ერთად რამდენჯერ გიმგზავრია. მაშინ მანქანა ქუჩის ოღროჩოღროებში ხტოდა. ხედავ, მანქანის ნომერია **20174.**

ღუმელში პურს აცხობენ.

ღუმელი გლეხის ეზოში დგას. შორიდან აგურების გროვა ეგონება კაცს. ქალებმა შეშა უხვად დახერხეს, ღუმელთან ახლოს ერთმანეთზე ლამაზად დააწყვეს და ახლა შეშის ნაჭრებს საცეცხლეში დებენ. ერთმა ქალმა ხელში ცომით სავსე ფორმით ეზოში გაიარა. ბიჭუნამ ღუმლის კარი ხმაურით გააღო, იქიდან სიმხურვალე გამოიჭრა, ცეცხლი გიზგიზებს, ამის ხილვას არაფერი ჯობს. აი, ეს არის სიმხურვალე! ქალმა ფორმა საჭერელათი ღუმელში შედგა, ცომმა ამოსვლა დაიწყო. ზედმეტი სინოტივე აორთქლდება და პური დაიბრაწება.

ფრანცი საწოლზე წამოიწია, ზის და იცდის, თითქმის ყველაფერი, რაც კი დაკარგა, ისევ მასთან არის! ფრანცი კანკალებს: სიკვდილი რას ამბობდა? მისი სიტყვები უნდა გავიხსენო. კარი გაიღო. აი, ისიც! წარმოდგენა იწყება: ამ კაცს ვიცნობ. ლიუდერსი, სწორედ მაგას ველოდებოდი. ფრანცი სულმოუთქმელად ელოდება. ნეტავ ამ ლიუდერსს რა მოუვიდა? ფრანცმა სანიტარს რაღაც ანიშნა, იმან კი იფიქრა, ავადმყოფს პირდაღმა წოლისგან მკერდი ასტკივდაო, მაგრამ ფრანცს წამოჯდომა უნდა. ახლა ხომ ისინი შემოვლენ. ჰო, ჰო, ასე კარგია, აბა, შემოდით!

ისინი ცალ-ცალკე შემოდიან. აი, ლიუდერსი, ჩია, გალეული. აბა, ერთი მომიახლოვდი, მინდა შემოგხედო. აი, ჩია კაცი კიბეზე ხელში ზონრებით ადის. ჰო, მახსოვს, ზონრებს ვყიდდით. აბა, რა გვექნა, ცხოვრება ხომ გვინდოდა. დავდიოდით ომიდან ჩამოყოლილ ძონძებში. თქვენი მეუღლისთვის ფეხსაცმელების ზონრები არ გნებავთ, მადამ? იქნებ ყავით გამიმასპინძლდეთ, მადამ! თქვენს მეუღლეს რა მოუვიდა, ომში დაიღუპა? და აი, ლიუდერსი თავზე შლაპას ჩამოიფხატავს და ყვირის: „აბა, ფული მომეცი, ჩქარა!“ ეს ლიუდერსია, იყო დრო, კომპანიონები ვიყავით. ქალს სახე უხურს, მხოლოდ ცალი ლოყა აქვს თოვლივით თეთრი, ქალი საფულეში იქექება, კრიახებს, ლამის წაიქცეს. ლიუდერსი კი უჯრებში იქექება, ეჰ, მხოლოდ ძველი ალუმინის ნაგავია, უნდა გავიქცე, თორემ ახლა ყვირილს ატეხს. დერეფნიდან კარისკენ გაძვრა, გარეთ გავარდა და კიბეზე დაეშვა. ჰო, აი, ამ

ლიუდერსმა რა გააკეთა. ქალს უკანასკნელი ხურდა წაჰგლიჯა, ბინაში რაც კი ხელში მოხვდა, ყველაფერი აწაპნა. მე კი იმ ქალის საყვედურით სავსე წერილი გადმომცეს. ეს რა მჭირს, ფეხებს ვერ ვგრძნობ. ვერ ვდგები: „მომისმინეთ, ბიბერკოპფ, კონიაკი დალიეთ, ვინმე მოგიკვდათ თუ რა ხდება? ჰო, რატომ, რატომ ვერ ვგრძნობ ფეხებს, ეგ მე არ ვიცი. მაშინ ვკითხავ ლიუდერსს, დაველაპარაკები. გამარჯობა, ლიუდერს, როგორა ხარ? ცუდად, ძალიან ცუდად, მეც. აი, აქ სკამზე დაჯექი, ნუ გეშინია, ცუდი რა გაგიკეთე, არ წახვიდე, იჯექი ჩემთან ცოტა ხანს.

შავი ღამე უფრო ახლოს მოუშვი და დაინახავ მანქანებს. ყინულივით შეჯაჭვულ გზატკეცილებს. ხედავ, იქ პატარა გოგონა მშობლებს ემშვიდობება, ოჯახის ძველმა ნაცნობებმა იშვილეს და ოკეანის გაღმა, ამერიკაში მიჰყავთ. ნუ ტირი, იქაურობას მიეჩვევი, ახალ მშობლებს დაუჯერე და სხვა ყველაფერი მალე მოგვარდება.

რაინჰოლდი! აჰ! რაინჰოლდ, ეს შენ ხარ? ფუი, დალახვროს ეშმაკმა! არამზადა, მაინც გამოჩნდი არა? აქ რა გინდა? თუ ჩემთან სატრაბახოდ მოხვედი? ჭეშმარიტად - კუზიანს სამარე გაასწორებს. ბანდიტი ხარ და მკვლელი. შენ ყველაზე წყალუხვი მდინარეც ვერ გაგრეცხავს. კეთილი ინებე და ყალიონი პირიდან გამოიღე, როცა გელაპარაკებიან! კარგია, რომ მოხვედი, ძალიან მაკლდი. უწმინდურო! ჯერ კიდევ არ დაუჭერიხარ? არადა, კატორღა დიდი ხანია გელოდება! რა, ისევ ძველი პალტოთი დადიხარ? არ გეშინია, რომ ჩავარდე?

- შენ თავად კი ვინ ხარ, ფრანც?

- მე? ოჰ, შე მაწანწალა! ყოველ შემთხვევაში, მკვლელი მაინც არა ვარ. და იცი, მაინც ვინ მოკალი?

- მერედა, ის გოგო ვინ მაჩვენა და საერთოდ, მას ვინ არ უფრთხილდებოდა, თავის საწოლში ვინ ჩამაწვინა? ვინ? შენ, ენაჭარტალავ და ტრაბახავ!

- ამიტომ დაახრჩვე?

- დავახრჩვე, დიდი ამბავი, თუ დავახრჩვე! შენ არ იყავი, ჩემ თვალწინ ცემით სული რომ კინაღამ ამოხადე? ეჰ, კარგი ვინმე ხარ, რა! მერე კი, როგორც ამბობენ, იყო კიდევ ერთი არსება. ეს არსება ახლა სასაფლაოზე, ცივ მიწაში წევს. ხომ ვერ მეტყვი, ის არსება სრულიად ახალგაზრდა და ჯანმრთელი იქ როგორ მოხვდა? აბა, ახლა რას

იტყვი, ბატონო ბიბერკოპფ, უმაღლესი დონის ყბედო და ცრუპენტელა?

- მე კი მანქანის ქვეშ რატომ შემაგდე? შენი ბრალია, ხელი რომ დავკარგე.

- ჰა, ჰა, ჰა, პაპიე-მაშეს ხელი მიიბი! რა, მე ვარ დამნაშავე, რომ ნამდვილო იდიოტი გადამეკიდე?

- იდიოტი?

- რა გიკვირს, აბა, ვინა ხარ? აი, შენ ახლა ბუხში გიჟის როლს თამაშობ, მე კი ჩემთვის ვცხოვრობ და სინდისი სულ არ მაწუხებს, აბა, ჩვენ ორიდან იდიოტი ვინ არის, ა?

და რაინჰოლდი მისკენ მიიწევს: თვალებში ჯოჯოხეთის ცეცხლი უელავს, თავზე რქები აქვს და ღრიალებს:

- მოდი, კრივში გიწვევ, მაჩვენე ერთი რა შეგიძლია,ფრანცეკენ, ფრანცეკენ ბიბერკოპფ! ბიბერკოპფხენ!

ფრანცმა თვალები დახუჭა. ამ ცხოველთან საქმე არ უნდა დამეჭირა, ამას არ უნდა ვებრძოლო, ვერაფერს გავხდები.

- მოდი, ფრანცეკენ, მაჩვენე, რა შეგიძლია, თუ ჩემთან საბრძოლველად ძალა არ გეყოფა?

- არა, მაგას არ უნდა ავყოლოდი, ახლაც ჩემს განადგურებას ცდილობს. ხელიდან წასული კაცია! ჩემზე ძლიერია, ვერ მოვერევი. ეს ლაპარაკი სულ არ უნდა წამომეწყო!

- რა, ძალ-ღონე სულ გამოგეცალა, ფრანც?

- მაგას ღონით ვერ ვაჯობებ! არ მინდა ბრძოლა, მით უმეტეს, მაგასთან. შევცდი, ახლა ვხვდები, რაც გავაკეთე! აქედან წავიდეს! მაგის დანახვაც არ მინდა!

მაგრამ რაინჰოლდი დგას, არ მიდის.

- წაეთრიე, აქედან წაეთრიე!

ხმამაღლა ღრიალებს ფრანცი, ხელებს იმტვრევს.

- ნუთუ არავინ მოვა? სხვები სად არიან? ეგ ტიპი აქ რატომ დგას და არ მიდის?

- ვიცი, ვიცი, არ გიყვარვარ, - იკრიჭება რაინჰოლდი, - კარგი, იყოს ნება შენი, ახლა სხვა მოვა!

ღამე ახლოს მოუშვი და იხილავ ფართო, მდუმარე დაბლობებს, ეულად მდგარ აგურის სახლებს, რომელთა ფანჯრებიდან შუქი მოწანწკარებს; იხილავ ქალაქებს სარკინიგზო ხაზის გასწვრივ, მიმართულებით: ოდერის ფრანკფურტი, გუბენი, ზომერფილდი, ლიგნიცი, ბრესლაუ, - ეს ქალაქები სადგურებთან ერთად ამოყვინთავენ თავიანთი დიდი და პატარა ქუჩებით. ღამე უფრო ახლოს მოუშვი და გზებზე ნელა მიმავალ

დროშკებსა და ისრის სისწრაფით მოძრავ ავტომობილებსაც დაინახავ.

და რაინჰოლდი მიდის, მაგრამ ზღურბლზე კიდევ ერთხელ შემოტრიალდება, გაბრწყინებული თვალებით ფრანცს შეხედავს:

- აბა, ჩვენ შორის ვინ უფრო ძლიერია, ფრანცეკენ, ვინ გაიმარჯვა?

ფრანცი კანკალებს:

- ვიცი, ვერ დაგამარცხე.

ღამე ახლოს მოუშვი.

შემდეგი უკვე კართან დგას, ახლა შემოვა.

და ფრანცი საწოლზე ზემოთ იწევა, ხელი მუშტად აქვს შეკრული.

ღუმელში, უზარმაზარ ღუმელში, პურს დებენ. საშინელი სიცხეა, ღუმელი ტკაცუნობს.

როგორც იქნა, წავიდა. იდა, მადლობა ღმერთს, ჩემთან რომ მოხვედი. ეს-ეს არის ჩემგან ერთი არამზადა გავიდა, დიდი არამზადა, რომლის მსგავსიც ამქვეყნად მეორე არ მოიძებნება. იდა, რა კარგია, ჩემთან რომ ხარ. ის არამზადა ჩემს გამოწვევას ცდილობდა, აბა, რას მეტყვი, ჩემი საქმე ცუდად არის. აი, ვზივარ ახლა აქ, ბუხში. იცი, ბუხი რა არის? სულით ავადმყოფთა სახლია. ჩამსვეს აქ და ახლა იმის დადგენას ცდილობენ, მართლა გიჟი ვარ თუ ვსიმულანტობ. იდა, მოდი ჩემთან, ზურგს ნუ მაქცევ. იდა, იქ რას აკეთებ? ჰო, გოგო სამზარეულოში დგას. თეფშებს რეცხავს და წმენდს. მაგრამ სულ ერთ მხარეს რატომ იხრება, წელკავიანივით. ისე, თითქოს გვერდში ვიღაცა ურტყამდეს? ეი, ვინ ხარ მანდ, მაგ გოგოს ნუ ურტყამ, მომისმინე, ვინც ხარ, ადამიანი არ გეცოდება? თავი დაანებე, დაანებე, არ გესმის? იმ ვიღაცას კი არ ესმის და იდას გამეტებით ურტყამს. იდა კი ფეხზე ძლივს დგას, სადაც არის, წაიქცევა. გოგონი, წელში გაიმართე. მოტრიალდი, მე შემომხედე. ასე დაუნდობლად მაინც ვინ გირტყამს?

- შენ, ფრანც, შენ მომკალი ცემით.

- არა, არა, ეგ სიმართლე არ არის, სასამართლომ დაადგინა, რომ მხოლოდ სხეულის დაზიანება იყო და შენი მოკვლა განზრახული არ მქონდა. მაგას ნუ ამბობ, იდა, შენს სიკვდილში დამნაშავე მე არა ვარ.

- არა, ცემით მომკალი. ფრთხილად, ფრანც.

ფრანცი ყვირის, არა, არა. ხელს თვალებზე იფარებს, მაგრამ იდას მაინც ხედავს.

მოუშვი ღამე ახლოს. მოუშვი და იხილავ უცხო გამვლელებს, მათ ზურგზე კარტოფილით სავსე ტომრები ჰკიდიათ, მათ უკან კი ბიჭუნა ხელის ურიკას მიაგორებს. საწყალს ყურები სულ გაყინული აქვს, გარეთ ცივა, ტემპერატურა მინუს 10 გრადუსია. ბრესლაუ, ნაცნობი ქუჩები: შვაიდნიცერშტრასე, კაიზერვილჰელმშტრასე, კურფიურსტენშტრასე.

ფრანცი კვნესის: ასეთ ყოფას სიკვდილი მირჩევნია, ამის ატანა შეუძლებელია, ნეტავ მომკლავდეს ვინმე, ეგ მე არ გამიკეთებია, ეგ ნამდვილად არ ვიცოდი. ფრანცს ლაპარაკი არ შეუძლია, მხოლოდ საწყალობლად წკმუტუნებს და გაუგებრად ბურტყუნებს. სანიტარს ეგონა, ავადმყოფი რაღაცას ითხოვდა. ჰკითხა და პასუხი რომ ვერ მიიღო, ფრანცს ერთი ყლუპი თბილი წითელი ღვინო შეასვა.

იდა კი სულ ერთ მხარეს იხრება. ნუ იხრები, იდა, არ გინდა, კმარა, მაგის გამო ტეგელის ციხეში ოთხი წელი ვიჯექი. დანაშაულისთვის სასჯელი მოვიხადე. იდა გაიმართა, აღარ იხრება, მერე დაჯდა, თავი დახარა, თანდათან დაპატარავდა და გაშავდა. და რას ხედავს ფრანცი - იდა კუბოში წევს და არ ინძრევა.

უფრო მეტად აკვნესდა ფრანცი. ტანჯვამ მის თვალებში შეაღწია, გვერდით სანიტარი მიუჯდა, მისი ხელი აიღო. ეს კუბო აქედან გაიტანონ, გაიტანონ, მე ხომ ადგომა არ შემიძლია, გაიგეთ, არ შემიძლია.

და ფრანცმა ხელი გაანძრია. კუბო კი ადგილიდან არ იძვრის. იგი ხელს იშვერს და კუბოს ვერ მისწვდენია. და სასოწარკვეთილებისგან ფრანცი ატირდა. ტირის ფრანცი, მზერა კი კუბოზე აქვს მირჭობილი. და მის ცრემლებსა და სასოწარკვეთილებაში გაუჩინარდა კუბო. ფრანცი კი ისევ ტირის და ტირის.

და თქვენ იცით, ჩემო მკითხველებო, ფრანც ბიბერკოპფი რას დასტირის? იგი თავის ცხოვრებას დასტირის, იმას, რაც გადაიტანა. მძიმე წარსულსა და გაურკვეველ აწმყოს. დასტირის იმ საყვარელ ადამიანებს, რომლებიც უნებლიეთ, გაუცნობიერებლად თუ თავისი რეგვენობით სასიკვდილოდ გასწირა. ახლა ფრანც ბიბერკოპფი საკუთარ თავს დასტირის.

მზე ანათებს. შუადღე. ბარაკში სადილი ჩამოარიგეს, სანიტარმა, ვინც სადილს არიგებდა და ორმა ავადმყოფმა, რომლებსაც სიარულის უფლება ჰქონდათ, ქვემოთ, კართან ქვაბებიანი ურიკა მოატრიალეს და ისევ უკან, სამზარეულოსკენ გააგორეს.

ფრანცთან სადილის შემდეგ მიცი მოდის. მას ისეთი მშვიდი და ნაზი სახე აქვს. თეთრი კაბა აცვია და ნაცნობი ქუდი ახურავს, რომელიც თავს მჭიდროდ ეკვრის და შუბლსა და ყურებს უფარავს. სიყვარულით სავსე, ნათელ მზერას ფრანცს მიაპყრობს. ზუსტად ისეთია მიცი, როგორიც ბიბერკოპფს ქუჩაში შეხვედრებიდან ახსოვს. ხელებს უწვდის და მომიახლოვდიო, სთხოვს გოგოს და ისიც უახლოვდება, კაცის გამოწვდილ ხელებს თავის ხელებს აგებებს. ოღონდ ხელებზე ტყავის ხელთათმანები აქვს წამოცმული.

- ხელთათმანები გაიხადე!

ხელები ხელთათმანებიდან გამოაძვრინა და ორივე ხელი ფრანცს გაუწოდა.

- აქ მოდი, მიცი, უცხოსავით რატომ იქცევი! მაკოცე!

მიცი მშვიდად უახლოვდება, დაიხრება, თვალებში ნაზად ჩახედავს და აკოცებს.

- ჩემთან დარჩი, ძვირფასო, ძალიან, ძალიან მჭირდები, დამეხმარე!

- არ შემიძლია, ფრანცეკენ, ხომ იცი, რომ მკვდარი ვარ!

- არა, მაინც დარჩი!

- სიამოვნებით დავრჩებოდი, მაგრამ არ

შემიძლია. მიცი ფრანცს ისევ კოცნის.

- ფრანც, ხომ იცი ფრაიენვალდში რაც მოხდა, ჩემზე გაბრაზებული ხომ არა ხარ?

და მიცი გაუჩინარდა. ფრანცი საწოლზე მოიკუნტა, ფართოდ გახელილი თვალებით გოგონას ეძებს, მაგრამ ვერ ხედავს. ღმერთო, ეს რა ვქენი. როგორ მოხდა, რომ მიცი დავკარგე? მიცი რაინჰოლდისთვის რომ არ მეჩვენებინა, ეს არ მოხდებოდა. ღმერთო ჩემო, ეს რა ვქენი, რას ვფიქრობდი მაშინ.

ფრანცს სახე საზარელმა გრიმასამ გადაუსერა და ძლივს, ოდნავ გასაგონად თქვა:

- დაუძახეთ, მინდა ჩემთან კიდევ ცოტა ხანს იყოს.

სანიტარმა მხოლოდ სიტყვას „კიდევ“ მოჰკრა ყური და ფრანცს ღია, გამომშრალ პირში ღვინო ჩაასხა. ფრანცი იძულებული იყო, სითხე გადაეყლაპა.

ცომი გავარვარებულ ღუმელში დგას, საფუარზე ფუვდება, ბუშტებს იკეთებს და აი, ფუმფულა, დაბრაწული პურის კვერი უკვე მზად არის!

და ისევ ისმის სიკვდილის ხმა, სიკვდილის ხმა, სიკვდილის ხმა.

- მთელი შენი ძალისხმევა, ყველა კეთილი ზრახვა, ამაოა! დიახ, დიახ, დიახ, ამაოა! გინდოდა პატიოსნად გეცხოვრა და რა გამოვიდა? ახლა ისღა დაგრჩენია, საკუთარი თავი შეიცნო და ცოდვები მოინანიო!

და ხუხულასავით დაიმსხვრა ყველაფერი ის, რითაც ფრანცი ცხოვრობდა, - ფრანცს რაც გააჩნდა, ყველაფერი გასცა და თავისთვის არაფერი დაიტოვა.

რა არის ტკივილი

აქ ორიოდე სიტყვას ტკივილზე ვიტყვით, მწუხარებაზე, რომელიც ადამიანის სულს ღრღნის და ნაფლეთებად გლეჯს. ამის შეხსენება იმიტომ დაგვჭირდა, რომ ფრანცს სულიერი ტკივილი ეწვია. და იგი იტანჯება. სულიერ ტკივილსა და მწუხარებაზე ერთობ ბევრი ლექსი დაწერილა. სასაფლაოებზე ლამის ყოველდღე შეიძლება დამწუხრებული ადამიანების ხილვა.

აქ კი მხოლოდ იმას გეტყვით, ტკივილმა ფრანცზე როგორ იმოქმედა. ფრანცმა ტკივილს ვერ გაუძლო, მის წინ მუხლებზე დაეცა, თავი მსხვერპლად შესწირა, სამსხვერპლოს აგიზგიზებულ ცეცხლში ნებით ჩავარდა, რათა მომკვდარიყო,

განადგურებულიყო, ფერფლად ქცეულიყო.

უნდა ვადიდოთ ტკივილი, რომელმაც ჩვენი ფრანცი გარდაქმნა. ლაპარაკია გამანადგურებელ ტკივილზე, ტკივილზე, რომელიც ადამიანს ისე მოდრეკს და მიწაზე გააკრავს, როგორც ქარიშხალი ტანწვრილ, უსუსურ ხეს. დაანგრევს, მტვრად აქცევს.

ყოველივეს თავისი დრო აქვს და ყველაფერს თავისი ჟამი ამ ცისქვეშეთში: კაცის კვლას და განკურნებას, ნგრევასა და შენებას, ცრემლის ღვრასა და მხიარულებას, პოვნასა და დაკარგვას, დახევასა და შეკერვას.

ფრანცი აგონიაშია და სიკვდილს ელოდება, ლმობიერსა და გულმოწყალეს. აი, მოვა სიკვდილი და მის ტანჯვას ბოლოს მოუღებს. საღამო ჟამს ფრანცი საწოლზე კანკალით წამოჯდება, რათა სიკვდილს ღირსეულად შეხვდეს.

და ისევ ეწვივნენ ისინი, ვინც იგი დღისით გაანადგურეს. ფრანცი ამბობს: მოსახდენი უნდა მოხდეს. მე, ფრანც ბიბერკოპფი, მზად ვარ, თქვენთან წამოსასვლელად. გთხოვთ, თან წამიყვანეთ.

გულის ფანცქალით შესცქერის უბადრუკ ლიუდერსს, რომელსაც უკან ფეხების ჩოჩვით ავაზაკი რაინჰოლდი მოსდევს. თრთოლით უსმენს იდას ყოველ სიტყვას. აი, მიციც, იგი გოგონას სახეში უყურებს. აღსრულდა, ყველაფერი დამთავრდა. და მწარედ ატირდა ფრანცი: მე, მე ვარ ყველაფერში დამნაშავე, ადამიანი არა ვარ, ცხოველი ვარ, ურჩხული!

და იმ საღამოს ჟამს გარდაიცვალა ფრანც ბიბერკოპფი, ყოფილი ავეჯის მზიდავი, მძარცველი, სუტენიორი და მკვლელი. საწოლზე ახლა სხვა ადამიანი წევს. ამ სხვას იგივე დოკუმენტები აქვს, რაც ფრანცს, გარეგნობითაც ფრანცს ჰგავს, წყლის ორი წვეთივით, მაგრამ მას ახალ ცხოვრებაში სხვა სახელი ჰქვია.

ასეთი იყო ფრანც ბიბერკოპფის სიკვდილისკენ მიმავალი გზა, რომლის აღწერაც მე მინდოდა. ეს გზა **1928** წელს ტეგელის ციხის კართან იწყება და ბუხის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში **1929** წლის ზამთარში მთავრდება.

მხოლოდ ისღა დამრჩენია, რამდენიმე სიტყვა გითხრათ იმ ახალი ადამიანის ცხოვრების პირველ საათებსა და დღეებზე, რომელსაც დოკუმენტები ფრანც ბიბერკოპფის სახელზე აქვს.

ბოროტი მეძავი უკან იხევს. დიადი სამსხვერპლოს, მედაფდაფისა და მეხთამტყორცნელის ტრიუმფი

ვერან ადგილას, სადაც ფსიქიატრიული საავადმყოფოა და მის გარშემო მინდვრებზე ჭუჭყიანი თოვლი დევს, გრგვინავენ დაფდაფები. მეძავი ბაბილონი დამარცხდა. მას გამარჯვებული სიკვდილი დაფდაფების ცემით მიაცილებს.

მეძავი იღრინება, დორბლს ყრის, ყვირის:

- მაგაში რა ხეირია, ნეტავ რა ჯანდაბად გინდა ეგ საპყარი, ბეჩავი ფრანც ბიბერკოპფი? მიმიფურთხებია მაგისთვის!

სიკვდილი კი დაფდაფებს სცემს:

- აფთარო, ვერ ვხედავ მაგ თასში რა საზიზღრობა გისხია. მაგრამ შესანიშნავად ვხედავ მამაკაცს, რომელსაც ჰქვია ფრანცი, იგი აქ, ჩემს ფერხთით წევს, ეს კაცი საბოლოოდ გავანადგურე, მაგრამ რადგან ძლიერი და კეთილია, გაუშვი, ახალი ცხოვრება დაიწყოს, გზა დაუთმე. ახლა მე და შენ აქ აღარაფერი გვესაქმება.

მეძავი კი ისევ იღრინება, დორბლს ყრის. სიკვდილი დაიძრა. წინ მიდის, თანდათან ფეხს აუჩქარებს და უკვე ლამის გარბის. მისი რუხი მოსასხამის კალთებს ქარი აფრიალებს და იქიდან, ისე, როგორც მრუმე ნისლიდან, ერთიმეორის მიყოლებით აჩრდილები მოცურავენ და სიკვდილს ირგვლივ, მკერდის სიმაღლემდე ერტყმიან, სიკვდილი წინ მიიწევს და მას გრუხუნი, ცეცხლი და სიხარულის შეძახილები მიაცილებს. ეს სიკვდილის ტრიუმფია. მხეცი, რომელზეც მეძავი ზის, ყალყზე დგება.

აი, მდინარე ბერეზინა და ლეგიონები, რომლებიც უკან იხევენ.

სასტიკი ყინვა, ცივი ქარი, ისეთი, რომელიც ძვლებამდე აღწევს. ყინულით დაფარულ ბერეზინაზე ლეგიონი გადადის. მეომრები აქ საფრანგეთიდან დიდმა ნაპოლეონმა ჩამოიყვანა. ბობოქრობს ქარი, ქარბუქია, წუიან ტყვიები. ჯარისკაცები მდინარისკენ

მიიწევენ, მერე ყინულზე გარბიან, ეცემიან და ისმის შეძახილები: „გაუმარჯოს იმპერატორს!“ აი, ისიც, სიკვდილის სამკალი. მსხვერპლო, მსხვერპლო, ეს სიკვდილია!

სხვა ზმანება: ეშელონები იარაღის ჩხარუნით გარბიან, ქვემეხები გრუხუნებენ, ჭურვები სკდებიან. ბრძოლა შმენ დე დამსა და ლანგემარკთან. გრიგალივით დათარეშობს ცეცხლი. საყვარელო სამშობლო, იყავი მშვიდად, საყვარელო სამშობლო, შეინარჩუნე სიმშვიდე! ჭურვებით დანგრეული და მიწით ამოვსებული ბლინდაჟები, ჯარისკაცების მოცელილი რიგები, სიკვდილმა მოსასხამი გაიხსნა, მიდის და მიიმღერის; „ო, დიახ, ო, დიახ“.

წინ, ნაბიჯით იარ! ნაბიჯით იარ! ომში მწყობრი ნაბიჯით მივაბიჯებთ, ჩვენთან ერთად ასი მუსიკოსი მოდის. სისხამ დილით თუ მზის ჩასვლისას, ვგრძნობთ ნაადრევი სიკვდილის მზერას, ასი მუსიკოსი უკრავს, ტარარამ, და თუ ბედი არ გაგვიღიმებს, მაშინ ვაი ჩვენ: სიკვდილმა მოსასხამი შეიხსნა, მიდის და მიიმღერის: „დიახ, დიახ, კარგია, კარგი!“

ღუმელში ცეცხლი გიზგიზებს, ღუმელში ცეცხლი გიზგიზებს, ღუმელთან კი დედა და მისი შვიდი ვაჟიშვილი დგანან, და ხალხის კვნესა ისმის მათ უკან. დედამ და შვილებმა წინაპრებისა და ხალხის რწმენა უნდა უარყონ. სიხარულით გაბრწყინებული სახეებით მშვიდად დგანან. მზადა ხართ, უარყოთ თქვენი რწმენა და დაგვმორჩილდეთ, პირველი ამბობს - „არა“ და მას აწამებენ. მეორე ამბობს - „არა“ და მას აწამებენ, მესამე ამბობს - „არა“ და მას აწამებენ, მეოთხე ამბობს -
„არა“ და მას აწამებენ, მეხუთე ამბობს - „არა“ და მას აწამებენ, მეექვსე ამბობს - „არა“ და მას აწამებენ. მეშვიდე ამბობს - „არა“ და მას აწამებენ. დედა დგას და შვილებს ამხნევებს. ბოლოს, დედა ამბობს - „არა“ და აწამებენ დედას. სიკვდილი კი მოსასხამის კალთებს მიაფრიალებს, მიდის და მიიმღერის: „ო, დიახ, ო, დიახ, კარგია, ძალიან კარგი!“

მეძავი შვიდთავა მხეცის დაძვრას ცდილობს, მაგრამ მხეცი არ იძვრის.

წინ, წინ, მხნე ნაბიჯით ბრძოლის ველისკენ იარ! ჩვენთან ერთად ასი მუსიკოსი მოდის. მუსიკოსები დაფდაფებზე უკრავენ და უსტვენენ, ტარარამ, ტარარამ, ერთს გაუმართლებს, მეორეს, არა, ერთი გაუძლებს, მეორე - არა, ერთი უსულოდ აგდია,

მეორე კი გვამებზე გარბის. ტარარამ, ტარარამ!

საზეიმო შეძახილები. მოაბიჯებენ ორკაციანი, სამკაციანი, ექვსკაციანი მწკრივები, მოაბიჯებს საფრანგეთის რევოლუცია, მოაბიჯებს რუსეთის რევოლუცია, მოაბიჯებენ გლეხთა ომები, ანაბაპტისტები და მათ ყველას ფეხდაფეხ სიკვდილი მოჰყვება.

წინ, წინ, თავისუფლებას გაუმარჯოს, არ წყდება აღტყინებული ბრბოს შეძახილები. წინ, წინ, თავისუფლებისკენ, ძირს ძალადობის სამყარო, წინ განთიადისკენ, ტარარამ, ტარარამ, მოაბიჯებენ ორკაციანი, სამკაციანი, ექვსკაციანი მწკრივები.

„აღსდეგ, ყოველი მხრის
მუშავ! გაიღვიძე,
პროლეტარო!
ჩვენვე უნდა მოვუპოვოთ
ჩვენს თავს აწ დრო
სანეტარო!“

მარცხენა, მარცხენა, მხნედ გადადგით ნაბიჯი, ტარარამ, ტარარამ! სიკვდილმა კი მოსასხამის
კალთები ააფრიალა, მან გაიმარჯვა, იცინის და თავის სიმღერას მღერის: „დიახ, დიახ, კარგია, კარგი!“

დიდმა მეძავმა, როგორც იქნა, მხეცი დაძრა და იგი თვალუწვდენელ მინდორში გარბის. ფეხები თოვლში ეფლობა. მეძავი უკან იხედება და სიკვდილს წყევლა-კრულვას უგზავნის. ველურმა ღრიალმა მხეცს თავბრუ დაახვია და აწრიალდა, აბორგდა, მუხლებზე დაეცა, მეძავი კი მხეცს კისერზე ჩამოეკიდა. სიკვდილმა მოსასხამი შეიკრა. სახე უბრწყინავს და მღერის: „ო, დიახ, დიახ“. და მინდორიც ეხმიანება: „ო, დიახ, დიახ!“

ყველაფრის თავიდან დაწყება ძნელია

მიცვალებულივით გაფითრებულა ავადმყოფი, რომელსაც ოდესღაც ფრანც ბიბერკოპფს უწოდებდნენ. ბუხში ისევ თავის საწოლზე წევს. მას შემდეგ, რაც ალაპარაკდა და მზერა აზრიანი გაუხდა, გამომძიებლებისა და ექიმების არმია დაესია; გამომძიებლები მისი ძველი ცოდვების გაგებას ცდილობენ, ექიმები დიაგნოზს

აზუსტებენ. ავადმყოფი გამომძიებლისგან შეიტყობს, რომ ამოცნობილია და დაპატიმრებული ვინმე რაინჰოლდი, რომელმაც მის ცხოვრებაში, უფრო სწორად, მის წარსულ ცხოვრებაში, გარკვეული როლი ითამაშა. ბრანდენბურგის ციხეში მომხდარი ამბავიც უამბეს და ჰკითხეს, ვინმე მოროშკიევიჩს ხომ არ იცნობო, და თუ იცნობთ, იქნებ გვითხრათ, ახლა სად შეიძლება იყოსო. ავადმყოფს ეს შეკითხვები რამდენჯერმე გაუმეორეს, ისინი მდუმარედ მოისმინა, მაგრამ პასუხი არ გაუცია. იმ დღეს სამართალდამცველებს მეტად აღარ შეუწუხებიათ. არის მომკელი, მას სიკვდილი ჰქვია. ახლა იგი ცელს ლესავს, სამკელად ემზადება. თავს გაუფრთხილდი, ცისფერო ყვავილო, მეორე დღეს კი ფრანცი ალაპარაკდა. გამომძიებელს ჩვენება მისცა: თქვა, რომ ფრაიენვალდში გათამაშებულ დრამასთან მას კავშირი არა აქვს, და თუ რაინჰოლდი მას ბრალს რამეში სდებს, ეს სიმართლეს არ შეესაბამება. მაშინ ავადმყოფს მყარი ალიბი მოსთხოვეს. ალიბის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად ფრანცს რამდენიმე დღე დასჭირდა. გაფითრებულ, შინაგანად გამოფიტულ კაცს წარსულში დაბრუნება არა და არ უნდა, ამას მთელი არსებით ეწინააღმდეგება. მერე, თავს ძალა დაატანა და კვნესით რამდენიმე ფაქტი დაასახელა. ოხრავს, ღმერთო, როდის მოეშვებიან! ფრანცი დამფრთხალი, ნაცემი ძაღლივით იყურება. ადრინდელი ბიბერკოპფი სამუდამოდ მოკვდა, ახალს კი ჯერ არ გაუღვიძია. რაინჰოლდი ერთი სიტყვითაც არ დაუდანაშაულებია. ყველას თავზე ნაჯახია აღმართული და არ ვიცით, თავში როდის მოგვხვდება.

ფრანცის ჩვენებები დადასტურდა, ისინი მიცის მფარველისა და მისი ნათესავი ბიჭის ჩვენებებს დაემთხვა. ახლა ექიმებისთვისაც ბევრი რამ ნათელი გახდა: დასმულ დიაგნოზზე, „კატატონია“, უარის თქმა მოუხდათ. ეს იყო ფსიქიკური ტრავმით გამოწვეული გონების ბინდისებრი მდგომარეობა. ავადმყოფს მძიმე მემკვიდრეობა აქვს, თანაც ეს ჯეელი უარს არც სასმელზე ამბობს. ეტყობა კიდევაც. და ბოლოს, დიაგნოზზე ატეხილი კამათი სულ უსარგებლო აღმოჩნდა: ყოველ შემთხვევაში, ეს ადამიანი სიმულანტი არ არის, მას ნამდვილად დროებითი შეშლილობა ჰქონდა, თანაც როგორი, ღმერთმა ყველას გვაშოროს, ეს კი მთავარია. აქედან გამომდინარე, მას ალექსანდერშტრასეზე სროლის ატეხის გამო პასუხისმგებლობა არ ეკისრება, წერტილი. საკითხავი მხოლოდ ის არის, ახლა ამ კაცს ფეხზე დავაყენებთ თუ არა? ეს გაცილებით საინტერესოა.

ადამიანი, რომელსაც ინერციით ახლაც გარდაცვლილი ბიბერკოპფის სახელით მიმართავენ, უკვე საავადმყოფოს დერეფანში დადის, სისუსტისგან კი ყანყალებს, მაგრამ სანიტრებს სადილის

დარიგებაში მაინც ეხმარება. გამომძიებლები აღარ აწუხებენ, დასაკითხავად აღარ მოდიან, და ვერ ხვდება, რომ ისევ პოლიციის ყურადღების ცენტრშია. სამძებროს აგენტები ამჯერად იმის დადგენას ცდილობენ, ამ კაცმა ხელი როგორ, რა ვითარებაში დაკარგა და სად მკურნალობდა. მაგდებურგის კლინიკაში ცნობებს აგროვებენ, ეს ხომ დიდი ხნის წინ მოხდა! მაგრამ პოლიცია ხომ იმიტომაც არსებობს, რომ ასეთი საქმეებით დაინტერესდეს და გამოიძიოს, თუნდაც შემთხვევის შემდეგ ორი ათეული წელი იყოს გასული. თუმცაღა, იძიეს, იძიეს და ვერაფერი გამოიძიეს, ჩვენ კი ბედნიერ დასასრულს ვუახლოვდებით! ის კი გამოიძიეს, რომ ჰერბერტიც სუტენიორია. ეს ძველი ამბავია: ახალგაზრდა ვაჟბატონებს გვერდით ულამაზესი გოგოები ჰყავთ და თავიანთ მატერიალურ კეთილდღეობას მათ აბრალებენ, ამბობენ, ეგენი ჩვენი ოქროს კვერცხის მდებელი დედლები არიანო. რა თქმა უნდა, ამისი არც ერთ აგენტს არ სჯერა. შეიძლება, ამ ვაჟბატონებს მათი გოგოების დოყლაპია მფარველებისგან რაღაც ფული მართლაც აქვთ, მაგრამ გულზე ხელდაკრეფილი არც ეგენი სხედან, ბნელ საქმეებს აკეთებენ, მაგრამ ამაზე ჩვენი ძმები დუმან და თუ ფაქტზე ვერ წაასწრებენ, ვერ დაუმტკიცებენ.

ფრანც ბიბერკოპფს ჭექა-ქუხილმა და ქარიშხალმა ამჯერადაც გვერდი აუარა. მას ყველაფერი აპატიეს. გაგიმართლა, მეგობარო! გზა მშვიდობისა!

და დადგა დღე, როცა მას საავადმყოფოდან უშვებენ. თუმცა, პოლიციამ გააფრთხილა, რომ მომავალშიც მეთვალყურეობის ქვეშ იქნება. საწყობიდან მოაქვთ ყველაფერი ის, რაც კი ადრინდელ ფრანცს ეკუთვნოდა, და ხელიდან ხელში გადასცემენ: იცვამს თავის ძველ სამოსს, ქურთუკზე მიმხმარი სისხლია, ეს მაშინ დაესვარა, როცა ერთ-ერთმა შუპომ თავში ხელკეტი ჩასცხო.

- ხელოვნურ ხელს არ წავიღებ და პარიკიც იქნებ სამოყვარულო სპექტაკლისთვის გამოგადგეთ.

- ჩვენთან სპექტაკლი ყოველდღე თამაშდება, მაგრამ უპარიკოდაც იოლად გავდივართ. აი, თქვენი გათავისუფლების ცნობა.

- მშვიდობით, ბატონო უფროსო სანიტარო!

- ნახვამდის, შემოიარეთ ჩვენთან, ბუხში, როცა დათბება.

- აუცილებლად, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა.

- მოიცადეთ, კარს

გაგიღებთ. ესეც ასე,

ამანაც ჩაიარა!

სამშობლო, მშვიდად იყავი, თვალები ფართოდ მაქვს ღია, ხათაბალაში არ გავებმები!

ბიბერკოპფმა დაწესებულება, სადაც თავისი ნება-სურვილით არ მოხვედრილა, მეორეჯერ დატოვა. ჩვენ კი უკვე გრძელი გზის ბოლოს ვდგავართ და ისღა დაგვრჩენია, ფრანცთან ერთად კიდევ ორიოდე ნაბიჯი გადავდგათ.

დაწესებულება, რომელიც მან პირველად დატოვა, ტეგელის ციხე იყო. მაშინ იგი ციხის წითელ გალავანს შიშით ეკვროდა, მერე კი, როცა კედელს მოშორდა, ტრამვაი **№41**-ში ავიდა და ბერლინში გაემგზავრა. მაშინ სახლები ქანაობდნენ, სახურავები ქვემოთ მოცურავდნენ და ფრანცს ეშინოდა, ისინი თავზე არ დასცემოდა. აფორიაქებული დიდხანს დააბიჯებდა, დიდხანს იჯდა, ვიდრე ყველაფერი დაწყნარდებოდა და თავადაც ძალას მოიკრებდა.

ახლა სრულიად ღონეგამოცლილია. ბუხის საავადმყოფოს მყარი შენობის დანახვა აღარ შეუძლია, ეზიზღება იქაურობა. მაგრამ ბერლინში ჩასული შტეტინის სადგურის ბაქანზე რომ მიდის და სასტუმრო „ბალტიკის“ ნაცნობ შენობას დაინახავს, ჰოი, საოცრებავ, იგი არ მოძრაობს. სხვა სახლებიც არ მოძრაობენ, სახურავებიც მყარად ახურავთ. ახლა ტროტუარზე სახლებქვეშ გავლა თამამად შეიძლება. საჭირო არ არის ეზო-ეზო სირბილი. და აი, ეს კაცი - მართლა, სიტყვამ მოიტანა და მოდი, ამ კაცს ფრანც კარლ ბიბერკოპფი ვუწოდოთ, ნათლობის დროს ხომ მეორე სახელიც დაარქვეს, დედის მხრიდან, ბაბუის პატივსაცემად. ეს კაცი ახლა ინვალიდენშტრასეზე მშვიდად მიაბიჯებს, აკერშტრასეს ჩაუვლის და ბრუნენშტრასეზე გადის. აი, ბაზრის ყვითელ შენობასაც ჩაუარა. ათვალიერებს მაღაზიებს, სახლებს და აქეთ-იქით მორბენალ გამვლელებს, აუ, როგორ ჩქარა დადიან, ეს ყველაფერი რა ხანია აღარ მინახავს, აი, მეც დავბრუნდი. გეგონათ, გავუჩინარდი? შემომხედეთ, თქვენი ბიბერკოპფი ისევ აქ და თქვენთან არის.

მოუშვი ღამე ახლოს და იხილავ თვალუწვდენელ მინდვრებს, წითელი აგურის სახლებს, რომელთა ფანჯრებიდან შუქი იღვრება. იხილავ სიცივისაგან აკანკალებულ, ზურგზე

ტომრებმოკიდებულ გამვლელებს. ეს დაბრუნებაა, მაგრამ უბრალო დაბრუნებაზე რაღაც უფრო მეტია.

ბრუნენშტრასეზე ლუდხანაში შედის, ჯდება, გაზეთებს ათვალიერებს: იქნებ მასზე, მიციზე, ჰერბერტზე ან რაინჰოლდზე შიგ რამე წერია. არა, არც ერთი სიტყვა. სად წავიდე? მოდი, ევასთან წავალ, გავიგებ, როგორ არის?

ევა ჰერბერტთან აღარ ცხოვრობს. ფრანც-კარლს კარი დიასახლისმა გაუღო: ჰერბერტი დააპატიმრეს, უკან აღარ დაბრუნებულა, პოლიციელებმა მისი ნივთები გადაქექეს. ნივთები ახლა ზემოთ, სხვენში აწყვია. რა ვუყო, არ ვიცი, ხომ არ გავყიდო?

- კარგი, შეგატყობინებთ.

ევას ფრანც-კარლმა მისი მფარველის ბინაში მიაგნო, ქალმა კარი ფართოდ გააღო, ბინაში მიიწვია. გაუხარდა ევას ფრანც-კარლის დანახვა.

- ჰო, ასეა, ჰერბერტი ჩავარდა, ორი წელი მიუსაჯეს. ვეხმარები, როგორც შემიძლია. ყურადღებას არ ვაკლებ. იცი, დაკითხვებზე შენზეც ბევრი რამ ჰკითხეს. ჯერჯერობით ტეგელში ზის. შენი საქმეები კი როგორ არის, ფრანც?

- როგორც ხედავ, ცუდად. ბუხიდან გამომიშვეს, შეურაცხადად მაღიარეს.

- ჰო, ორიოდე დღის წინ ეგ გაზეთში წავიკითხე.

- ღმერთო ჩემო, ამ გაზეთებში რაღას არ წერენ, მაგრამ ძალიან სუსტად ვარ, ევა, ხომ იცი, იქაური სალაფავი რაც არის!

ევამ ფრანცს თვალებში შეხედა. ახლა ფრანცს თვინიერი, ღრმა და ოდნავ დაბნეული მზერა აქვს, ადრე კი სულ სხვანაირი ჰქონდა. და ევამ კაცს თავის შესახებ არაფერი უთხრა, თუმცა, მასაც შეემთხვა რაღაც ისეთი, რასაც ფრანცთან უშუალო კავშირი ჰქონდა. გაიფიქრა: ახლა მისთვის ამის თქმა არ ღირს, ძალიან დასუსტებულია.

მალე ევამ ოთახი უშოვა, დააბინავა. გაუშვი, დაისვენოს და სხვა არაფერზე იფიქროს, მით უმეტეს, მუშაობაზე. ეს თვითონაც უთხრა ევას, როცა ეს უკანასკნელი ახალ ბინაში პირველად ეწვია:

- ჰო, ახლა მუშაობის თავი ნამდვილად არა მაქვს.

* * *

მაშ, რას აკეთებს ჩვენი ფრანც-კარლი, დროს როგორ კლავს? ოდნავ რომ მოღონიერდა, გარეთ გავიდა. ბერლინის ქუჩებში დასეირნობს.

ბერლინი მდებარეობს ჩრდილოეთის განედის 52°31° და დასავლეთის გრძედის 13°24°-ზე. ქალაქში 20 სადგურია შორ მანძილებზე მიმავალი მატარებლებისთვის, წრიული სარკინიგზო გზით - 27 სადგური, საქალაქო რკინიგზის - 14, 7 - სახარისხებელი სადგური. გარდა მატარებლებისა, მოძრაობს საქალაქო ტრანსპორტი: ტრამვაი, ავტობუსი, მეტროპოლიტენი. დედამიწის ზურგზე სხვა ასეთი დიდებული ქალაქი არ არსებობს, თუმცაღა ვენელების აზრით, ამქვეყნად ყველაზე მშვენიერი ქალაქი ვენაა! ერთ-ერთი ნიუ-იორკის ფირმა სამი სიტყვით რეკლამას უწევს ქალების სანუკვარ ოცნებას - ახალ კოსმეტიკურ საშუალებას, რომელიც თურმე გაყვითლებულ ბადისებრ გარსს ისევ აცისფრებს, ანუ ანიჭებს იმ შეფერილობას, ადამიანს მხოლოდ ახალგაზრდობაში რომ აქვს. ქალბატონებო, ჩვენი ტუბის შიგთავსი თქვენს გუგებს ცისფრიდან მუქ ლურჯამდე შეაფერადებს! „სიახლე! ბეწვის სამოსის გაწმენდაზე ამდენი ფული რატომ უნდა დახარჯოთ!“

ფრანც-კარლი ქალაქში დასეირნობს. ბერლინში ადამიანი, თუ მას ჯანმრთელი გული აქვს, დაკარგულ ენერგიას სწრაფად აღიდგენს.

უპირველეს ყოვლისა, ალექსზე გავიაროთ. თუმცა, აქ სანახავი ბევრი არაფერია; ძალიან ცივი ზამთარი იყო, ყინავდა და მუშაობა შეუძლებელი გახლდათ. ამიტომ აქ არც არაფერი გაკეთებულა, ისევ ისე არის გადათხრილი, როგორც ფრანცს ახსოვს. მხოლოდ ურნალი გადაუადგილებიათ. ახლა ურნალი გეორგენკირხპლაცთან ახლოს დგას. ახლა იქიდან ჰანის უნივერმაღის დანგრევის შემდეგ დარჩენილი ნაგავი გააქვთ. ერთი ნახე, ლიანდაგები ჩაუყრიათ, აქ, ალბათ, სადგური იქნება. მაგრამ მიუხედავად ამ ყველაფრისა, ალექსზე სიცოცხლე მაინც დუღს, მაგრამ მთავარია, რომ იგი აქ არის! და აქ ადამიანები აქეთ-იქით ისევ მირბი-მორბიან. მთელ მოედანზე მუხლამდე ტალახია. ეს იმიტომ, რომ ბერლინის მაგისტრატის კეთილშობილ, ჰუმანურ მოხელეებს ხალხის შეწუხება არ უნდათ. თოვლი თავად გადნება, თანდათან ტალახად იქცევა, მაგრამ ამ თოვლჭყაპზე ხელის დაკარება არავინ გაბედოს, ხოლო, როცა მანქანა გაივლის, სასწრაფოდ უახლოეს სადარბაზოში შევარდი, თორემ შევარდნა თუ ვერ მოასწარი

და მანქანამ სახეში ტალახის ტყვიების ჯერი

დაგიშინა, მაშინ ვაი შენ: შეიძლება, სახელმწიფო ქონების დატაცებისთვის პასუხისმგებლობაც კი დაგაკისრონ. ისე, აბა, აქ კიდევ რა შეიცვალა? აჰა, ძველი „მოკა-ფიქსი“ დაუხურავთ! კუთხეში კი ახალი კაფე „მექსიკო“ გაუხსნიათ; მსოფლიო სენსაცია: დარბაზი ინდურ ბლოკჰაუზის სტილშია გაფორმებული, სამზარეულოს დიდი ფანჯარა ქუჩაში გადის და ყველა გამვლელს შეუძლია იხილოს, მზარეული ქურასთან როგორ ჯადოქრობს, რაღაცას ლარტყულაზე წვავს. ალექსანდრეს ყაზარმისთვის ყრუ, ქვის გალავანი შემოურტყამთ, ღმერთმა იცის, შიგნით რა ხდება. მიმდინარეობს პირველი სართულების ფართის მაღაზიებად გადაკეთება. ტრამვაები ხალხით არის გაჭედილი, ყველას საქმეზე ეჩქარება, მგზავრობა ისევ ოცი პფენიგი ღირს, მაგრამ თუ ფული არ გენანებათ, თუნდაც ოცდაათი გადაიხადეთ ან „ფორდი“ შეიძინეთ, „ფორდით“ მგზავრობა გაცილებით კომფორტულია! ესტაკადებზე რკინიგზაც კარგად მუშაობს, იქ პირველი და მეორე კლასები არ არის, მხოლოდ მესამე კლასია, ყველანი მთელ სიგრძეზე, ერთმანეთის გვერდით სხედან, მაგრამ ვაგონები ისეა გადაჭედილი, რომ მგზავრებს უფრო ხშირად ფეხზე დგომა უწევთ. სვლის დროს ვაგონიდან ჩამოხტომა სასტიკად აკრძალულია, წესრიგის დამრღვევთათვის ჯარიმაა დაწესებული - 150 მარკა. თუმცა, ჩვენ უჯარიმოდაც არ ჩამოვხტებოდით, რადგან შეიძლება დენმა დაგვარტყას და ფეხები გავჭიმოთ. „მზესავით იბრწყინებს თქვენი ფეხსაცმელი, თუ შეიძენთ საცხს „ეგი“! ასვლისას და ჩამოსვლისას ნუ დაყოვნდებით - გაიარეთ ვაგონის შუაში!“

ეს ყველაფერი კარგი რაღაცებია, ისინი ადამიანს ფეხზე დგომაში ეხმარებიან, თუნდაც იგი ოდნავ დასუსტებულიც იყოს, მთავარია, გული ჰქონდეს ჯანმრთელი! კართან ნუ გაჩერდებით! ჰოდა, ფრანც-კარლ ბიბერკოპფი ჯანმრთელია. ნეტავ სხვების გულიც ისევე რიტმულად ძგერდეს, როგორც მისი. აბა, კაცზე, რომელიც ფეხზე მტკიცედ არ დგას, ასეთი გრძელი ამბის მოყოლა ეღირებოდა? ერთხელ, როცა ვინმე ბუკინისტი წიგნებით ხელში კოკისპირულ წვიმაში ქუჩაში იდგა და თავის ბედსა და ხელმოცარულობას წყევლიდა, პოეტი და მწერალი ცეზარ ფლაიშლენი მიუახლოვდა, ბუკინისტის წყევლა-კრულვას მშვიდად მოუსმინა, მერე სველ მხრებზე ხელი დაჰკრა და უთხრა: „დაივიწყე ეს უამინდობა. მზე შენს გულში აანთე“. ასე დაამშვიდა პოეტმა ბუკინისტი და წავიდა. ამ ეპიზოდმა და მისმა ფრაზამ შთააგონა ფლაიშლენს მოგვიანებით მზის შესახებ ცნობილი და შესანიშნავი პოემის დაწერა. ასეთი მზე,

თუმცა, ოდნავ სხვა ხასიათის, გულში ფრანც ბიბერკოპფსაც უნთია, და თუ ამას ერთ სირჩა არაყს დავუმატებთ და წვნიანსაც უფრო მეტ მალც-ექსტრაქტს მოვაყრით, მაშინ ისევ მხნედ იქნება.

„ამ წერილით მაქვს პატივი, შემოგთავაზოთ 1925 წლის მოსავალზე დამზადებული ტრაბენერ ვიურცგარტენის მარკის თეთრი ღვინო ხელმისაწვდომ ფასად - 50 ბოთლი შეფუთული, ადგილზე მიტანის გარეშე - 90 მარკად. ან ერთი ლიტრი ჭურჭლის გარეშე - 1 მარკად და 60 პფენიგად“.

„ათეროსკლეროზის შემთხვევაში მიიღეთ დიოდოლი“. ბიბერკოპფს ათეროსკლეროზი არ აწუხებს. მხოლოდ სისუსტეს გრძნობს და ეს გასაკვირი არც არის. ბუხში ისე მარხულობდა, რომ შიმშილისგან კინაღამ ფეხები გაჭიმა. მისი გამოჯანმრთელება მხოლოდ დროის საკითხია, ფრანცს ახლა ექიმები არ სჭირდება. ევა კი იმ ჰიპნოზიორთან წასვლას აძალებს, რომელიც ქალს ოდესღაც დაეხმარა.

ერთი კვირის შემდეგ ფრანც-კარლი და ევა მიცის საფლავზე ერთად მიდიან. უყურებს ევა ფრანცს და უკვირს, ამ კაცმა ძალა რა მალე აღიდგინა, ცოტაც და, ალბათ, ისევ ძველი ფრანცი იქნება. ამჟამინდელ კარლ-ფრანცს ცრემლები არ გადმოუყრია. საფლავზე მხოლოდ ტიტების თაიგული დადო, ჯვარს ხელი დაუსვა, მერე ევას ხელკავი გამოსდო და იქიდან წამოვიდნენ.

უკანა გზაზე საკონდიტროში შევიდნენ, ნუშის ნამცხვრები აიღეს მიცის პატივსაცემად, მიცვალებულს ძალიან უყვარდა. ნამცხვრები მართლაც გემრიელია, მაგრამ არცთუ გასაგიჟებლად გემრიელი, ისე რა!

- ესეც ასე, ჩვენი პატარა მიციც მოვინახულეთ, ისე, მართალი გითხრა, სასაფლაოებზე სიარული არ მიყვარს, აქ ადამიანი შეიძლება გაცივდეს. მაგრამ, მომავალ წელს მიცის ისევ მოვინახულებთ. არა, ევა? მის დაბადების დღეს. იცი, ევა, სასაფლაოზე სიარული სულ არ მჭირდება, თუ დამიჯერებ, ის ისედაც სულ თვალწინ მიდგას, ჩემი პატარა გოგონა წამით არ მავიწყდება, და რაინჰოლდიც, დიახ, რაინჰოლდსაც ვერ ვივიწყებ და ხელიც რომ გამეზარდოს, მაშინაც კი ვერ დავივიწყებ. იცი, არის ისეთი რაღაცები, რაც მთელი ცხოვრება გემახსოვრება, თუკი შენ, რა თქმა უნდა, ადამიანი ხარ და არა ჩვარი.

ასე ლაპარაკობს ფრანცი და ნუშის ნამცხვარს მიირთმევს.

ევა ფრანცს უსმენს და ფიქრობს. იყო დრო, როცა ფრანცი უყვარდა, უნდოდა მისი ქალი ყოფილიყო. მაგრამ ახლა ამაზე აღარ ფიქრობს. ფრანცისადმი ნაზი გრძნობა ახლაც აქვს, მაგრამ მიცის ამბისა და საგიჟეთის შემდეგ - არა, ეს უკვე მეტისმეტია, ევასთვისაც კი. თანაც ბავშვი, რომელსაც ქალი ფრანცისგან ელოდებოდა, ამ ქვეყანას არ მოევლინა: მუცელი მოსწყდა, არადა, რა

კარგი იქნებოდა, რომ დაბადებულიყო. რას იზამ, მაშასადამე, დაბადება არ ეწერა. ისე, შეიძლება უკეთესიც იყოს, ასე რომ მოხდა, განსაკუთრებით ახლა, როცა ჰერბერტი ციხეშია, მის მფარველს კი ის უფრო უხარია, ევას შვილი რომ არა ჰყავს. ის კეთილი ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, მიხვდა, რომ ბავშვი მისი არ იყო. ასე რომ, მოხუცზე არ უნდა გაბრაზდეს.

ასე მშვიდად სხედან ისინი ერთმანეთის გვერდით, წარსულს იხსენებენ, მომავალზე ფიქრობენ, მიირთმევენ ნუშის ნამცხვარსა და კრემიან შოკოლადის ბურთულებს.

მტკიცე ნაბიჯით იარ! მარჯვენა, მარცხენა, მარჯვენა, მარცხენა!

და აი, ჩვენს გმირს კიდევ ერთხელ ვხვდებით: სასამართლოში მიმდინარეობს რაინჰოლდისა და მეთუნუქე მატერის (იმავე ოსკარ ფიშერის) საქმის მოსმენა: მათ ბრალი ედებათ **1928** წლის **1**-ელ სექტემბერს ბერლინთან ახლოს მდებარე ფრაიენვალდში ემილია პარზუნკეს მკვლელობასა და დანაშაულის კვალის წაშლაში. ბიბერკოპფს ბრალდება წაყენებული არა აქვს, იგი უდანაშაულოდ ცნეს, მაგრამ ცალხელა კაცი მაინც პუბლიკის ყურადღების ცენტრშია. ეს ხომ ნამდვილი სენსაციაა: მოკლული ქალი ამ ცალხელას საყვარელი იყო! იცით, ქალის სიკვდილის შემდეგ კაცი გაგიჟდა, არადა, მას ბრალს თანამონაწილეობაში სდებდნენ. ღმერთო, რა ტრაგედიაა! რა უბედურება! ამ პროცესით დაინტერესება დიდია. აბა, რა, ეს ხომ კრიმინალურ სამყაროში გათამაშებული დრამაა.

ახლა, ექსპერტების დასკვნის თანახმად, ცალხელა მამაკაცი სრულიად ჯანმრთელია და ჩვენების მიცემა შეუძლია: მოკლული - იგი ქალს მიცის სახელით მოიხსენიებს - რაინჰოლდთან სასიყვარულო კავშირში არ ყოფილა; დიახ, იგი, მოწმე, და რაინჰოლდი დიდი მეგობრები იყვნენ, მაგრამ რაინჰოლდს ქალებისადმი არაბუნებრივი, მე ვიტყოდი, საშიში ლტოლვა ჰქონდა. სწორედ ამიტომ მოხდა ეს უბედურება. იყო თუ არა რაინჰოლდი სადისტი, ეგ ფრანცმა არ იცის. მისი ვარაუდით, იქ, ფრაიენვალდში, მიციმ რაინჰოლდს წინააღმდეგობა გაუწია და მაშინ, მიცი მან აფექტის მდგომარეობაში მოკლა. იცით, თუ არა რამე ბრალდებულის ბავშვობიდან? - არა, მაშინ მას არ ვიცნობდი. თავის შესახებ არც არაფერი უამბია? ბრალდებული სვამდა? - აბა,

როგორ გითხრათ: ადრე საერთოდ არ სვამდა, მაგრამ ბოლო დროს დაიწყო სმა, რამდენს სვამდა და ხშირად თუ იშვიათად, ეგ უკვე აღარ ვიცი, მაგრამ ჩვენ რომ დავმეგობრდით, ლუდსაც კი არ სვამდა, მხოლოდ ლიმონათს და ყავას მიირთმევდა.

რაინჰოლდზე ფრანცს მეტი ვერაფერი ათქმევინეს. იმის შესახებ, ხელი სად და როგორ დაკარგა, სიტყვა არ დასცდენია, არც მათ ჩხუბსა და ორთაბრძოლაზე. თავად ვარ დამნაშავე, მაგასთან ურთიერთობა არ უნდა გამეგა. დარბაზში ევა და პუმსის ბანდის რამდენიმე წევრიც სხედან. რაინჰოლდი და ბიბერკოპფი ერთმანეთს ჯიქურ უყურებენ. ცალხელას ადამიანი, რომელიც ბრალდებულის სკამზე ორ ბადრაგს შორის ზის და თავისი ტყავის გამო კანკალებს, ეცოდება, მეტიც, მისდამი უცნაურ სიახლოვესა და სიყვარულსაც კი გრძნობს. მყავდა ერთი მეგობარი, უკეთესი არ არსებობს. და რაინჰოლდს თვალს არ აშორებს. ასე, ალბათ, მთელი ცხოვრება გიყურებდი. ჩემთვის ცხოვრებაში მთავარი შენთვის მშვიდად და თვალის დაუხამხამებლად ყურებაა. ახლა აქ ბრალდებულის სკამზე მჯდომარეს შეგხვდი, გარეთ კი ათასჯერ მაინც შევხვედრივართ ერთმანეთს, ვიცი, ვინც ხარ, რას წარმოადგენ და რისი გაკეთება შეგიძლია. ისიც კარგად შევიგნე, რომ ეს ქვეყანა შაქრისა და განავლისგან არის შექმნილი. მაგრამ ჩემი გული არასოდეს გაქვავდება, ამას ვერ მოესწრები.

რაინჰოლდი, იმ შემთხვევაში, თუ საქმე მისთვის ერთობ ცუდად წარიმართებოდა, პუმსის მთელი ბანდის ჩაშვებას აპირებდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, გაეყიდა ყველანი, ბოლო წევრამდე, თუკი მის ჩაძირვას შეეცდებოდნენ. მაგრამ უპირველეს ყოვლისა, ამ კოზირს იმ მომენტისთვის ინახავდა, თუ ბიბერკოპფი, ეს ძაღლიშვილი, რომლის გამოც ამ ხათაბალაში გაება, სასამართლოზე თავის მოწონებას დაიწყებდა. მერე დარბაზს თვალი მოავლო. დაინახა, რომ დარბაზში პუმსის ბიჭები სხედან, ეს კი ევაა, ესენი კი სამძებროს აგენტები არიან, სამოქალაქო ტანსაცმელში მათი ცნობა ძალიან ადვილია, და რაინჰოლდი დაცხრა, თავი ხელში აიყვანა, მდგომარეობა საღად შეაფასა, ყოფილი თანამეინახეების გარეშე ცხოვრება ნამდვილად გაუჭირდება, ოდესმე ციხიდან ხომ გამოვა, ციხეში კი ისინი, მით უმეტეს, სჭირდება; ხოლო რა აზრი აქვს ამ ძაღლი პოლიციელებისთვის სიამოვნების მინიჭებას? და თანაც ეს ბიბერკოპფი საოცრად წესიერად იქცევა. ამბობენ, ყვითელ სახლში იჯდაო. როგორ შეცვლილა ეგ

ბრიყვი. ველარ იცნობ. უცნაურად იყურება, თითქოს თვალები გაჰქვავებია, თითქოს იქ, ბუხში ჩაუჟანგდა, ენასაც ძლივს ატრიალებს, ეტყობა, ახლაც აფრენს.

ასე რომ, რაინჰოლდს ბიბერკოპფსა და მათ წარსულ ერთობლივ საქმეებზე არაფერი უთქვამს. მაგრამ ფრანცმა შესანიშნავად იცოდა, რომ ამის გამო რაინჰოლდისთვის სამადლობელი არაფერი ჰქონდა.

რაინჰოლდს ათი წელი მიუსაჯეს, მკაცრი იზოლაციით; სიფიცხისა და გაღიზიანების ნიადაგზე მკვლელობის გამო, ალკოჰოლი, გაუწონასწორებელი ფსიქიკა, მიუსაფარი ბავშვობა. გასაჩივრებაზე რაინჰოლდმა უარი თქვა. განაჩენს რომ აცხადებდნენ, მოულოდნელად დარბაზში ქალის ქვითინი გაისმა. ეს ევა იყო. მას მიცი გაახსენდა და თავი ვერ შეიკავა. ბიბერკოპფი, რომელიც მოწმის სკამზე იჯდა, ტირილის გაგონებაზე წამოიწია, მერე კი სკამზე ისევ მძიმედ დაეშვა და სახეზე ხელები აიფარა. არის მომკელი, მას სიკვდილი ჰქვია, მე შენი ვარ... ის შენთან მოვიდა ნაზი, მოყვარული, გიცავდა და გიფრთხილდებოდა, შენ კი? სირცხვილი! იყვირე! სირცხვილი!

ბიბერკოპფს პროცესის დამთავრებისთანავე პატარა ქარხანაში დამხმარე ვახტიორის ადგილი შესთავაზეს და იგიც დათანხმდა. მის შემდგომ ცხოვრებაზე საამბობი აღარაფერია.

* * *

ჩვენ ფინალამდე მივედით. თხრობა ძალიან გაგვიგრძელდა, მაგრამ ასე ხდება ხოლმე, ვერაფერს იზამ. მონათხრობი ჩემი თანდათანობით ფართოვდებოდა, ფართოვდებოდა, ვიდრე უმაღლეს წერტილს, იმ უმაღლეს მწვერვალს მიაღწევდა, საიდანაც მთელ განვლილ გზას შუქი მოეფინებოდა და თვალნათლივ დასანახი შეიქნებოდა.

ჩვენ ბნელი ხეივანი გავიარეთ. ხეივნის დასაწყისში არც ერთი ლამპიონი არ ანათებდა, მხოლოდ ის ვიცოდით, რომ ეს გზა ბოლომდე უნდა გაგვევლო, ჩვენც მივდიოდით. და ხეივანში რაც უფრო ღრმად შევდიოდით, მით მეტად ნათდებოდა გზა და ბოლოს ერთ-ერთ ლამპიონზე მიკრულ ფირფიტაზე ქუჩის დასახელებაც კი წავიკითხეთ. ეს ჭეშმარიტების გარკვევის თავისებური პროცესი იყო. ფრანც ბიბერკოპფმა იგივე გზა გაიარა, რაც ჩვენ, მაგრამ ჩვენგან განსხვავებულად. ჩვენ მივზოზინობდით, იგი კი ამ გზაზე კისრისტეხით გარბოდა, ხეებს ეჯახებოდა და რაც უფრო სწრაფად გარბოდა, შუბლს მით ხშირად იხეთქავდა. ირგვლივ ისედაც ბნელოდა, იგი კი რამდენჯერაც ხეს შუბლით მიეხეთქებოდა, იმდენჯერ თვალებს ხუჭავდა. და ყოველ ჯერზე ერთხელ დასადგურებული უმნიშვნელო შიში იზრდებოდა, ძლიერდებოდა. და ბოლოს და ბოლოს, გატეხილი შუბლით ნახევრად გონდაკარგულმა გზის ბოლომდე მიირბინა, დაეცა, თვალები გაახილა და დაინახა, რომ მის თავზემოთ ფარანი

კაშკაშებდა, მის ქვემოთ მიკრულ ფირფიცრის ნაგლეჯზე კი ქუჩის დასახელება ეწერა.

ახლა კი ახლად შობილი კარლ-ფრანცი ფაბრიკაში დამხმარე ვახტიორად მუშაობს. და ისე, როგორც ადრე, ალექსანდერპლაცზე სრულიად მარტოდმარტო აღარ დგას. ირგვლივ ადამიანები დადიან: მის მარჯვნივ, მარცხნივ, წინაც და უკანაც.

როცა ცხოვრების გზაზე მარტო მიდიხარ, უბედურებას ელოდე. როცა ბევრნი ხართ, საქმე სხვაგვარად არის. მიდი, მოუსმინე, სხვები რას ამბობენ, რამეთუ, რასაც ისინი ამბობენ, შენც გეხება. მოუსმენ მათ და მიხვდები, სად არის ადგილი შენი და რა უნდა ქნა. გახსოვდეს, ეს შენი ბრძოლაა და მას გვერდს ვერ აუვლი. სიფხიზლე გმართებს, მოხედვას ვერ მოასწრებ, რომ ბრძოლის ველზე აღმოჩნდები.

ბიბერკოპფი ფაბრიკაში ვახტიორად მუშაობს.

მაინც რა არის ბედი? - ფიქრობს იგი. თუ მარტო კაცი ხარ, შენზე ძლიერია. და თუ ორნი ვართ, მას ჩვენი დამარცხება უძნელდება, თუ ათნი ვიქნებით, მით უმეტეს, გაუძნელდება, მაგრამ ერთად თუ ათასები და მილიონები ვიქნებით, მაშინ ბედი ჩვენს დამარცხებას ვეღარ შეძლებს.

არა, ნამდვილად უფრო კარგია, როცა ხალხში ხარ. ამას ვგრძნობ და ამაში ერთხელ კიდევ დავრწმუნდი. გემი უღუზოდ ქარიშხლის შემოტევას ვერ გაუძლებს, ჩაიძირება და ადამიანიც სხვა ადამიანების გარეშე წონასწორობას დიდხანს ვერ შეინარჩუნებს, აუცილებლად წაიქცევა. სად არის სიმართლე და სად ტყუილი, ახლა უკეთესად ვხვდები. ერთხელ სიტყვებზე წამოვეგე და ეს ძვირად დამიჯდა; მეორეჯერ ეს მე, ბიბერკოპფს, აღარ დამემართება. სიტყვები ადამიანს ყოველი მხრიდან უტევენ, მისკენ მოგორავენ და არ არის გამორიცხული, რომ გაგჭყლიტონ. ადამიანი ფხიზლად უნდა იყო! ასეა, ქუჩაზე რომ გადადიხარ, თუ ორივე მხარეს არ გაიხედე, აქეთაც და იქითაც, და ფრთხილად არ გადახვედი, მაშინ ხომ შეიძლება ავტობუსის ან ტრამვაის ბორბლებქვეშ აღმოჩნდე. ასეა, სიფხიზლე ყოველთვის აუცილებელია. ახლა მე არანაირ სატყუარაზე არ წამოვეგები. მამულო, მშვიდად იყავი, თვალები ფართოდ მაქვს ღია. ხათაბალაში არ გავებმები, ეგეთი არა ვარ!

ფრანცის ფანჯრის წინ ხშირად დადიან ადამიანების კოლონები მუსიკით, სიმღერით, დროშების ფრიალით. მათ ბიბერკოპფი თავისი კარიდან გულგრილად გაჰყურებს და

თავს აქნევს, აქაოდა, ხათაბალაში არ გავებმები, ეგეთი არა ვარ, ჯერჯერობით სახლში ვიჯდები, ვნახავ, რას მიაღწევთო. ისინი კი ფრანც-კარლს თითქოს ეუბნებიან: მოკეტე და ჩვენთან ერთად წამოდი. თქვენთან

ერთად წამოვალ და მხრებზე თავი არ შემრჩება, მავანთა სულელური იდეების გამო სიკვდილი არ მინდა. არა, ჯერ ყველაფერს კარგად მოვიფიქრებ და მერე ვნახოთ. გადაწყვეტილებას ვირის ნაცვლად ჯოხი იღებს, ადამიანს კი გონება აქვს.

ჯერჯერობით კი ვახტიორად მუშაობს, აკეთებს, რაც ევალება: დაფაზე დაკიდებულ ნომრებს აქეთ-იქით გადააადგილებს, შემომსვლელგამსვლელ მანქანებს შლაგბაუმს ზემოთ უწევს, აკვირდება ადამიანებს, რომ ფაბრიკაში უცხო ვინმე არ გაეპაროს.

და ფიქრობს: ფხიზლად უნდა ვიყო, ფხიზლად, ცხოვრება ადგილზე არ დგას, ამ ქვეყანაში რაღაცა ხდება. სამყარო შაქრისგან არ არის გაკეთებული, იმათ გაჰყვები და აირის ბომბების სროლას დაიწყებენ, გაიგუდები და ფეხებს გაჭიმავ, მაშინ მავანთ და მავანთ ველარ ჰკითხავ, ბომბებს რატომ გესვრიან, მაგისი თავი აღარ გექნება, რადგან ამაზე ადამიანმა მაშინ უნდა იფიქროს, როცა სული პირში უდგას.

და თუ ომში გაგიწვევენ და არ იცი, საომრად რატომ მიდიხარ, მაშინ დამნაშავე თავად ხარ და ახია შენზე. ნულარ იტყვი, რომ ომი უშენოდ დაიწყო! თვალები გაახილე - ამქვეყნად მარტო არა ხარ. წვიმას და სეტყვას დაემალები, ომს კი - ვერა! მაგრამ ამქვეყნად ბევრი რამ არის ისეთი, რასაც ადამიანმა წინააღმდეგობა უნდა გაუწიო. ადრე ყველაფერს ბედს ვაბრალებდი. ახლა კი მივხვდი, ყველაფერი ბედს არ უნდა დააბრალო, ეს მისთვის დიდი პატივია. არა, უნდა დაუკვირდე, მიზნის მისაღწევ გზაზე წინ რა გელობება, ხელები დაიკაპიწო და ის ყველაფერი ძირფესვიანად ამოძირკვო.

ფრანცის ზურგს უკან დაფდაფებს დაუნდობლად სცემენ. წინ, წინ, მხნე ნაბიჯით ომში, ჩვენთან ერთად ასი მუსიკოსი მოდის, მზე ამოდის, თუ მზე ჩადის, - ადრეული სიკვდილის მზერას ვგრძნობთ.

ბიბერკოპფი ერთი უბრალო მუშაკია და ახლა იგი ფიქრობს: ახლა ჩვენ ვიცით, რაც ვიცით, და ჩვენ ეს ცოდნა ძვირად დაგვიჯდა.

წინ, წინ, თავისუფლებისკენ, ძველი სამყარო უნდა
დაინგრეს! წინ, გარიჟრაჟთან შესახვედრად!
აუწყვეთ ერთმანეთს ფეხი, მარჯვენა, მარცხენა, მარჯვენა, მარცხენა!

მივაბიჯებთ მწყობრი ნაბიჯით ომში, მივაბიჯებთ მწყობრი ნაბიჯით ომში და ჩვენთან ერთად მოაბიჯებს ასი მუსიკოსი, ისინი ბუკისა და ნაღარის ცემით მოდიან.

ერთს გაუმართლა, მეორეს - არა; ერთი ფეხზე დგას, მეორე სასიკვდილოდ დაჭრილი დაეცა; ერთი გარბის, მეორე უსულოდ აგდია, ტარა-რა-რამ, ტარა-რა-რამ.

[1] შუპო - პოლიციელი; ქალაქის საპატრულო პოლიციის ქვედანაყოფის თანამშრომელი. [2] რაბინთა, ბრძენთა მოძღვრებანი.

[3] გეორგ კასტრიოტა (1404-67), იგივე სკანდერბეგი, ალბანელთა ეროვნული გმირი, მეთაურობდა ანტითურქულ აჯანყებას.

[4] ყველაფერი კარგად არის, წესრიგშია.

[5] გერმანიაში გავრცელებული ბანქოს თამაში.

[6] გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის ეს პარაგრაფი ჰომოსექსუალიზმს დანაშაულის კვალიფიკაციას აძლევს.

[7] ლაბასხმული (ან ცხელი კერძი) ღორის შებოლილი, მოხარშული ფეხებისაგან.

[8] მწვერვალი ელზასში, რომლის დასაპყრობადაც პირველ მსოფლიო ომში სასტიკი ბრძოლა გაიმართა.

[9] 20-იან წლებში სოციალ-დემოკრატიული პარტიის შეიარაღებული რაზმი გერმანიაში.

[10] იაპონიასა და აზიის სხვა ქვეყნებში მთავარი ბერის წოდება ტაძარში; აქ, გადატანითი მნიშვნელობით - დიდჩინოსნები, პოლიტიკოსები.

[11] აქ და შემდგომ ლექსები თარგმნა კოტე ყუბანეიშვილმა.

[12] ფილიპ შეიდემანი (1865-1939), გერმანელი პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატი, ვაიმარის

რესპუბლიკის პირველი პრემიერ-მინისტრი.

[13] ჯამბაზის ამპლუა დასავლეთევროპულ ცირკში. [14] ასე უწოდებენ გერმანიაში პოლიციის მანქანას. [15] ბოძების მიწაში ჩასარჭობი მანქანა.

[16] მეომარი ქალი, ბერლინის სიმბოლო.

[17] ბერლინის მეტროპოლიტენის სადგური.

[18] (ჰოლანდ. Kraag - საყელო) ტყავის წვივსაკრავი. [19] ქოქოსის ზეთი.

[20] ბერლინისპოლიციაპრეზიდენტი, სოციალ-დემოკრატი, რომლის ბრძანებით 1929 წელს მუშათა დემონსტრაციას ცეცხლი გაუხსნეს.

[21] (თურქ.) ნაქსოვის გასაჭიმი ხის მოწყობილობა. [22] ორი წლის თხა, რომელსაც ჯერ თიკანი არ მოუგია.

[23] 1928 წელს ბერლინში საქალაქო რკინიგზაზე ორთქლმავალი ელექტრომავლით შეიცვალა. [24] ორი წლის ცხვარი (სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I)

[25] მოკვეთილი კიდურის ან სხვა ორგანოს დარჩენილი ნაწილი. [26] პოლიციელების მეტსახელი გერმანიაში.

[27] გუსტავ შტრეზემანი (1978-1929), პოლიტიკოსი, რაიხსკანცლერი და ვაიმარის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი; ლოკარნოს შეთანხმებების დადებისათვის მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი (1926, არისტიდ ბრიანთან ერთად).

[28] ეჟენ პოტიე, „ინტერნაციონალი“, აკაკი წერეთლის თარგმანი.

[29] „როტე ფანე“ („წითელი დროშა“) და „არბაიტსლოზე“ („უმუშევარი“) - კომუნისტური

გაზეთები, რომლებიც იმ წლებში გერმანიაში გამოდიოდა.

[30] ნაცისტური გაზეთი.

[31] სახანძრო საქაჩი.

[32] ეკლესიასტე, **4, 1**

[33] ეკლესიასტე, **4, 2.**

[34] XX საუკუნის დამდეგის პოპულარული გერმანული სიმღერა „სადგურზე ყველი ვინ შეაგორა?“

[35] (ინგლ.) „სახლი, ტკბილი სახლი“.

[36] „ინტერნაციონალი“, აკ. წერეთლის თარგმანი.

[37] ადელბერტ ფონ შამისო **(1781-1838)**, ფრანგული წარმოშობის გერმანელი მწერალი, პოეტი და ბუნებისმეტყველი.

[38] XIX ს. მიწურულსა და **XX** ს. დამდეგს მუსიკოსი, რომელიც უკრავდა საცეკვაო დარბაზებში, მოგვიანებით მუნჯ ფილმებს მუსიკალურ ფონს უქმნიდა.